საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

შედგინა, წინასიტყვაობა, შესავალი წერილი
და შენიშვნები დაურთო
იოსებ ბოცვაძემ

საპედაგოგო-პედაგოგიური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი 1957

რედაქტორი გ. ნადარეიშვილი

წინასიტყვაობა

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ტყით დაფარულ წიწამურის ფერდობზე დაიღვარა უმანკო სისხლი სახელოვანი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის და გულმხურვალე მამულიშვილისა.

ვერაგი ხელით გასროლილმა პატარა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა გოლიათი აზროვნებისა — დიდი ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ჯერ ისევ მისი სიცოცხლის დროს წარმოადგენდა ცხარე კამათისა და მსჯელობის საგანს. ცხოველი ინტერესი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგაც არ შენელებულა, მაგრამ ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე იგი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა. საკმაო რაოდენობით გამოქვეყნდა მონოგრაფიები, ნარკვევები და კრიტიკული წერილები, რომელნიც ეხებიან ილია ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ცალკეულ საკითხებს, მაგრამ მწერლის შემოქმედება, საბოლოო ანგარიშში მაინც არ არის შესწავლილი.

რაც უფრო ღრმად ვწვდებით ილიას შემოქმედების უძირო ზღვას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაქვს გამოსაკვლევი, შესასწავლი და დასადგენი.

დიდი მწერლისა და მოაზროვნის სრულყოფილ შესწავლას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ, სამწუხაროდ, დღემდის ვერ მოგვიხერხებია სრული სახით მივაწოდოთ მკითხველ საზოგადოებას, არა მხოლოდ ილიას მხატვრული შემოქმედება, არამედ მისი ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტურ-პოლემიკური და სხვა ხასიათის წერილები. სრულად არ არის გამოქვეყნებული მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ის საარქივო, თუ სხვა ხასიათის მასალები და დოკუმენტები, რომელნიც შუქს ჰფენენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობას, მხატვრულ შემოქმედებას, მის აზროვნებას.

წინამდებარე კრებული მიზნად ისახავს ერთგვარი წვლილი შეიტანოს დიდი მწერლის შემოქმედების შესწავლის საქმეში.

კრებულში მოთავსებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ამოკრებილია ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებიდან. აქვე შევიტანეთ

ცალკეული გამოცემები, რომელიც პატარ-პატარა ბროშურების სახით იბეჭდებოდა.

ვინაიდან კრებული საკმაოდ დიდი მოცულობისა გამოვიდა, ამიტომ თავი შევიკავეთ მასში ისეთი მასალის შეტანისაგან, რომელიც მკითხველისათვის შედარებით ხელმისაწვდომია. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის წერილები, რომელნიც შეიდნენ 1955 წელს გამოცემულ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის მიძღვნილი ქრესტომათიის პირველ ტომში.

კრებულში გამოქვეყნებული მასალების ნაწილი შემოკლებით იბეჭდება. რაც ტექსტში მრავალწერტილით არის აღნიშნული. გამოტოვებულია ისეთი ადგილები, რომელთაც, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ ილიას შემოქმედების შესწავლისათვის.

ვცდილობდით არ გამოგვრჩენოდა არც ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. თუ რამდენად მივაღწიეთ მიზანს, ამის განსჯა მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდია.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ გამოგვრჩენოდა ისეთი, შეიძლება არსებითი მნიშვნელობის მქონე, წერილებისა. ასეთი ვდგომარეობა ყოველთვის არის მოსალოდნელი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის ბიბლიოგრაფიული ჩვენი პერიოდული პრესის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი[1].

ეჭვგარეშეა, კრებული ხარვეზებისაგან არ იქნება თავისუფალი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მკითხველთა საქმიანი და სამართლიანი შენიშვნები ხელს შეგვიწყობენ, როგორც ჩვენ, ასევე დაინტერესებულ პირთაც, დიდი მწერლის შემოქმედების ღრმად შესწავლისა და შეფასების საქმეში.

ი. ლ. ბოცვაძე

---

[1] მუშაობის პროცესში თინათინ ნაკაშიძემ საშუალება მოგვცა გვესარგებლა მის მიერ შედგენილი ი. ჭავჭავაძის ვრცელი ბიბლიოგრაფიით, რისთვისაც ულრმესად ვმადლობთ.

ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

(ზოგადი მიმოხილვა)

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.
ილ. ჭავჭავაძე

— ილიკო თურმე მოთხრობასა ჰსწერს.
— მართლა? კარგი ამბავია; ნეტა რა აქვს საგნად?
— უეჭველია ჩვენი ცხოვრება!
— როდის გაათავებს? მალე მაინც იყოს?..
— რავდენიმე ხნის შემდეგ;
— გაუთავებია, ამღამ კითხულობს რედაქციაში.
— უცხოს არ მიესვლება?
— არა, მარტო თანამშრომლები ეყოლება. ამბობენ ლიტერატურულ საღამოზედაც წაიკითხავსო.
— სად, როდის?...
— წაიკითხა?
— წაიკითხა!
— სულ?
— სულ.
— როგორ მოგწონთ?
— აბა რა, ილიკო განა ურიგო რასმე დასწერდა!

ასეთი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს მკითხველი საზოგადოება და ქართული ლიტერატურული კრიტიკა დიდი შემოქმედის კალმის მოძრაობას მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

და ეს სრულიად ბუნებრივია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე იყო ჩვენი იდეური ცხოვრების გონიერი ორგანიზატორი, რომელმაც მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით უდიდესი სამსახური გაუწია თავის ხალხს და თავის ქვეყანას. ამ დიდი რეალისტის შემოქმედებაში, რომელიც მებრძოლი სოციალური მოტივებით იყო გაჟღენთილი, მკვეთრად გამოვლინდა როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკა-

ცობრიო იდეები. ილიას სახელთან არის დაკავშირებული რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული მწერლობის და სალიტერატურო მეტყველების განახლება და აღორძინება.

პროგრესული ნათელი სიტყვა, ხუთი ათეული წლის განმავლობაში, მთის ანკარა ნაკადულივით უხვად მოედინებოდა ილიას აზროვნების უშრეტი აუზიდან.

მართალია, დროთა განმავლობაში და განსაკუთრებით კი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში თავი იჩინეს გარკვეული ხასიათის წინააღმდეგობებმა, პრინციპული ხასიათის შეცდომებმა, ისეთმა დებულებებმა, რომელთაც ჩვენ დღეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ, მაგრამ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ შ ო უ ც ი ა თ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მ ო გ ვ ც ე ს ა ხ ა ლ ი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“[1].

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და საერთოდ მის მემკვიდრეობას, ნათლად გამოჩნდება მისი, როგორც მ წ ე რ ლ ი ს, პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი ს და მოქალაქის დიადი ბუნება.

ობიექტური ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის ცდილობდა გაერკვია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ბუნება, პრობლემათა სიღრმე, თემათა აქტუალობა, მხატვრული განზოგადოების ხერხები და უნარი, შეეყვანა მკითხველი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში და დადებითთან ერთად წარმოეჩინა ის მხარეებიც, რაც მას ჩრდილოვან მოვლენებად ეჩიაჩნდა ილიას შემოქმედების ნათელ ფონზე, მაგრამ, ამის პარალელურად, რიგი გულღვარძლიანი კრიტიკოსებისა ერთი ხელისმოსმით ცდილობდნენ ამ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის, ან ცალკეული ნაწარმოების გაბიაბრუებას, ყოველივე დადებითისა და მნიშვნელოვანის მიჩქმალვას და უარყოფით მხარეთა წინა ხაზზე წამოწევას. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ილიას ბევრ იდეურ მოწინააღმდეგესაც საბოლოოდ არ შესწევდა უნარი, რომ არ ეღიარებინა მწერლის მხატვრული აზროვნების ნიჭი და ძალა.

როგორც ბიოგრაფები იუწყებიან ილ. ჭავჭავაძის პოეტურმა მუზამ ბავშვობაშივე გაშალა ფრთები. პოეტის თანამედროვენი ასახელებენ კიდეც ყრმობის პერიოდში ილიას მიერ დაწერილი ლექსების სათაურებს და აღნიშნავენ, რომ ეს ლექსები საკმაოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მსმენელებზედო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან ჩვენამდე თითქმის არცერთს არ მოუღწევია.

გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ნიჭი თანდათანობით გაი-

---

[1] გ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 217.

ლა, ყრმობის წლებში ჩაფიქრებულმა პოეტურმა სახეებმა სრულყოფილი გაფორმება ჰპოვეს და განახლებულ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოჩნდა პოეტის რამდენიმე წვრილი ლექსი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდი ხალისით არ ეკიდებოდა „ცისკარში“ თანამშრომლობას. მისი მონაწილეობა ჟურნალში უფრო იძულებითი ხასიათისა იყო, რაც კარგად ჩანს ილიას ერთი კერძო ბარათიდან, რომელიც პოეტს მიუწერია თავის დის, ნინო აფხაზისათვის 1859 წლის 18 მარტს:—„იანვრის ცისკარში ჩემი ლექსია დაბეჭდილი (იგულისხმება ლექსი „ჩიტი“) წაიკითხე თუ არა. აი, გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა არც მაგას დავაბეჭდინებდი იმიტომ, რომ ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“[1].

ილია ჭავჭავაძის პირველ პოეტურ ნაწარმოებებს, რომელნიც მზის სინათლეზე იქნენ გამოტანილნი, ლიტერატურულმა კრიტიკამ დადებითი შეფასება მისცა. გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ წერილში, „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც „ცისკრის“ პირველ ნომერს ეხებოდა, ნიკოლოზ ბერძნიშვილმა მკითხველთა ყურადღება ილიას ლექს „ჩიტზე“ გაამახვილა და აღნიშნა: „...ლექსი მოგვეწონა. განსაკუთრებით, ბუნების უმწიკლო სიწმინდის აღწერით, სისუბუქისა და უამოთქმის ხმოვანებისა გამო“–[2].

და მართლაც, ილ. ჭავჭავაძის წვრილი ლექსები, გამოქვეყნებული „ცისკრის“ ფურცლებზე, სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდნენ მკითხველი საზოგადოებისათვის, როგორც ფორმის ასევე შინაარსის თვალსაზრისითაც. ეს იყო ახალი სიტყვა, ახლებურად, სადად და მარტივად ნათქვამი, რომელშიც იხატებოდა ეპოქისათვის შესაფერისი პროგრესული აზრი.

თვით ჟურნალი „ცისკარიც“ უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა ილიას ნაწარმოებებს და სხვა ავტორთა შორის უგულითადეს მადლობას უცხადებდა ახალგაზრდა პოეტს „მშვენიერთა თხზულებათათვის“. „რედაქცია—აცხადებდა „ცისკარი“—მოვალედ რაცხს განუცხადოს უგულითადესი მადლობა თანამედროვეთა ჩვენთა მწერალთა: ს. ალექსიევ-მესხიევს, დ. ბაქრაძეს, ს. დოდაევს, თ. რ. ერისთავს, დ. მგალობელოვს, თ. დ. მაჩაბელს, თ. ბ. ჩ., გ. კოლხიდელს, თ. ვ. ორბელიანს, თ. ალ. ორბელიანს, გ. რჩეულოვს, ალ. სვანელს, თ. ალ. ჩიქოვანს და თ. ილ. ჭავჭავაძეს.

გარნა გთხოვთ არ დაგვაგდებდნენ და კვალად გამოგზავნიდნენ თავიანთა მშვენიერთა თხზულებათა“...

ლიტერატურული კრიტიკის და კერძოდ „ცისკრის“ რედაქციის ეს

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, „წერილები“—აფხაზეთის სახელგამი, 1949 წ., გვ. 20.

[2] „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“. კრესტომათია, I, გვ. 67.

გულთბილი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი არ შეცვლილა 1861 წლის აპრილამდე.

1861 წელი არსებითი გარდატეხის ხანაა როგორც ქართული ლიტერატურული კრიტიკის, ისე საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში. ამ წელს მყუდროებით მოცულ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზაფხულის მაუწყებელი გრგვინვა გაისმა, „ცისკრის“ აპრილის თვის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი—„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელმაც თავდაყირა დააყენა მანამდე უფლებამოსილი, ლიტერატურულ წრეებში საყოველთაოდ აღიარებული და ხელშეუხებელი ქართული ენის გრამატიკა და „თეორეტიკა“.

„ორიოდე სიტყვის“ უდიდესი მნიშვნელობა მარტო იმ გარემოებით კი არ განისაზღვრება, რომ ავტორმა დაიწუნა კოზლოვის ნაწარმოები და მისი ქართული თარგმანი, რომ მთელი კატეგორიულობით უარჰყო გაბატონებული ენა და სტილი და დააყენა ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნის აუცილებლობის საკითხი, არამედ,—ილიამ მწვავედ გააკრიტიკა იმ ეპოქის მთელი ქართული მწერლობა და „გადაჭრით დააყენა იმ სქოლასტიკური პოზიციის შეცვლის აუცილებლობა, რაც ჟურნ. „ცისკარს“ ეკავა... ილია ამავე წერილში ქვეტექსტით აყენებს იმ ბოროტების კრიტიკულად ჩვენების აუცილებლობას, რაც საქართველოს მაშინდელ ცხოვრებას აწყლულებდა“.[1] „ორიოდე სიტყვა“ მამა-პაპურ უდარდელ ძილში მყოფ ქართველ საზოგადოებას მკაფიოდ მიუთითებდა საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ახალი, ფართო და ნათელი გზებისაკენ.

თავისთავად ცხადია, რომ საუკუნეებით შექმნილი ტრადიციების ნიადაგზედ აღზრდილი ძველი თაობა, რომელიც „მომდინარეობდა მამა-პაპათა ჩვეულებაზედ“ და რომელიც „უმაღლესს პოეზიას, განა ფილასოფიას“ პოებდა „უმეტესად საღმრთო წიგნებში“, გულგრილად ვერ შეხვდებოდა ილ. ჭავჭავაძის კრიტიკულ წერილს, რადგან იგი შეუპოვრად ამსხვრევდა უკვე სავსებით მოძველებულ, ეპოქისათვის შეუსაბამო მსოფლმხედველობას.

„ორიოდე სიტყვის“ გამოქვეყნების შემდეგ ახალგაზრდა ავტორს თავს დაესხა მთელი წყება „ცისკრის“ თანამშრომლებისა, რომელთაც უფრო „რიცხვით ჯობნა მოისურვეს და არა თავისი სტატიების ღირსებითა“.

წერილების ავტორები გმობდნენ იმ სიახლეს, რომლის შეტანასაც მოითხოვდა ჭავჭავაძე სალიტერატურო ენაში, დაუშვებლად და ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრებისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ ახალგაზრდა ავტორის მიერ რუსეთის რევოლუციურ-განმანთა-

[1] აკ. ცენკოშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1955 წ., გვ. 44.

ვისუფლებელი იდეების, კერძოდ კი ბ. ბელინსკის მნიშვნელოვან დებულებათა გამოყენება და განვითარება, პირად შეურაცხყოფად თვლიდნენ მათი ჯგუფის აქტიური წევრის, რევაზ ერისთავის მწვავედ გაკრიტიკებას და დააყენეს წერილების კორიანტელი. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ძველი თაობის პუბლიცისტები ვერ ჩასწვდნენ ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის არსს, წერილის ქვეტექსტი ხომ მათთვის სრულიად ამოუკითხავი დარჩა, სიმძიმის ცენტრი მათ ძირითადად ენობრივ საკითხებზე გადაიტანეს და არსებითად სწორედ ამ ნიშნის გამოყენებით შეეცადნენ ილია ჭავჭავაძის დამარცხებას. თეორიულ სფეროში გაურკვეველმა, ახალ პროგრესულ შეხედულებებში გაუთვითცნობიერებელმა ძველმა თაობამ ანტონ კათალიკოსის გრამატიკაზე და თეორეტიკაზე დაყრდნობით განიხილა ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული წერილებიდან ყურადღებას იპყრობს ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს სტატია, „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ", რომელიც დაისტამბა ჟურნალ „ცისკრის" 1861 წლის მაისის ნომერში.

ბ. ჯორჯაძე სასტიკად აღაშფოთა ილ. ჭავჭავაძის პირმოუფერებელმა, მწვავე კრიტიკულმა სტატიამ. მწერალი ქალი ვერ შეურიგდა იმ გარემოებას, თუ როგორ გაბედა უნივერსიტეტში აღზრდილმა ახალგაზრდამ „ცისკრის" ღვაწლმოსილ პროზაიკოსთა და მოლექსეთა გმობა, რა საფუძველზედ მიიჩნია ილიამ „ცისკრის" პოეტები ახალის „რითმების მორახუნეებათ", რატომ შესცვალა ლიტერატურაში გამეფებული „პატიოსნური და დარბაისლური ენა უშვერობად, როგორ გაბედა დადგენილი ორთოგრაფიის გამარტივება და როგორ აღმართა ხელი „ბუნებით მომზადებულთა სიტყუათათჳს ადრევე დადებულ" კახონთა წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძემ თავის კრიტიკულ წერილში ხაზგასმით მიუთითა, რომ „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა". აქვე ილიამ მკაცრად უსაყვედურა იმ პოეტებს, რომელნიც რითმისათვის სწირავდნენ აზრს და ქმნიდნენ „მაშრიყ-მაღრიბულ ენის კონსტრუქციას", სასტიკად ამახინჯებდნენ ენას. ბ. ჯორჯაძე შეეცადა ილიას ეს მოსაზრება მისივე წინააღმდეგ გამოეყენებინა და ილიას ნაწარმოებთა განხილვის საფუძველზე ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ თუმცა ილ. ჭავჭავაძე „სხუებზედ ბრძანებს: რითმების ტრფიალებისათჳს აზრსა სწირამენო: თუ უკაცრაოთ არ ვიქნებით, მგონი ენასაც თითონ ახდენს და რითმების ტრფიალებით სიტყუებსაც ამახინჯებს"-ო[1].

ამ დებულების დასამტკიცებლად ბ. ჯორჯაძემ განიხილა „ცისკარში" დაბეჭდილი ილ. ჭავჭავაძის სამი ლექსი: „ალექსანდრე ჭავჭავაძე", „გახსოვს ტურფავ..." და „გაზაფხული". ზემოხსენებულ ნაწარმოებთა განხილვის დროს ბ. ჯორჯაძე შეეხო მხოლოდ რამდენიმე სიტყვას, რომელიც

[1] ქართული ლიტერატ. კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, გვ. 180.

ბისი აზრით, ილ. ჭავჭავაძეს უმართებულოდ ჰქონდა ნახმარი. ნაცვლად „სუბუქ" პოეტს უნდა ეხმარა „სუბუქი", ნაცვლად „ფრთითა"-„ფრთებითა" „შენმა გიჟმა და არა შენ გიჟმა" და სხვ...ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია აგრეთვე მერცხლის ჭყივილი ლექსში „გაზაფხული". ამგვარ შეცდომებს ილ. ჭავჭავაძე იმიტომ ჩადის, მიუთითებს ბ. ჯორჯაძე, რომ სწორედ „რომ დაეწერა, მარცუალი მეტი მოუვიდოდა და ლექსად აღარ გამოუვიდოდა"-ო.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ბ. ჯორჯაძის მიერ შემჩნეული შეუსაბამობანი ახალგაზრდა პოეტს, რა თქმა უნდა, შეცდომად უნდა ჩაეთვალოს, მაგრამ ეს შეცდომები იმდენად უმნიშვნელო იყო ზემოხსენებულ ლექსებში შემოტანილ კანონიერ სიახლესთან შედარებით, როგორც წვეთი ზღვასთან. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ გულმოდგინე ძიებია შემდეგ სამ სააშუალო ზომის ლექსში ბ. ჯორჯაძემ ექვსიოდე შეცდომა აღმოაჩინა.

ბ. ჯორჯაძე არ შეხებია ილ. ჭავჭავაძის ლექსთა შინაარსობლივ-იდეურ მხარეს, მაგრამ სავარაუდებელია, რომ სამღვთო წერილის დოგმატიკით შეზღუდული მწერლისათვის ილიას ნაწარმოებთა ლეიტმოტივი გაუგებარი დარჩა. მაგალითად, გონივრულად ჩაფიქრებული ღრმა შინაარსის მქონე მხატვრული სახე ობოლი ვაზით რომ გამოხატა ილიამ ლექსში „გაზაფხული", სრულებით ვერ მიეიდა ბ. ჯორჯაძის აზროვნებამდე. ობოლი ვაზის მხატვრული სახე ბ. ჯორჯაძემ გაშიშვლებულად, პირდაპირი მნიშვნელობით წარმოიდგინა და იმავე სამღვთო წერილის დებულებებით აღჭურვილმა უსაყვედურა პოეტს: „თუ კი მერცხალი დაიჭყიველებს, რატო ბულბული კი არ უნდა ჭყიოდეს,—სადაც ვაზს აობლებს ბაღში, რომელსაც რამდენიმე ასი და ათასი სხვა ვაზები ახვევიან და, სადაც იესო ქრისტემ ქებაყანა ამ სიტყვათ აკურთხა „განმრავლდით, ვითარცა ვენახი მსხმოარს კი აობლებს, მაშ რატომ მერცხალი კი არ დაიჭყიველებს ხეზედ შემოჯდარი მაისის დროს"[1].

ძველი თაობის პოზიციების განსამტკიცებლად და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გასაბიაბრუებლად 1861 წლის „ცისკრის" მაისისა და ივნისის ნომრებში დაიბეჭდა გიორგი ბარათაშვილის (ბარათოვის) „წერილი რედაქტორთან".

გ. ბარათოვმა მოისურვა განხილვა ილია ჭავჭავაძის „ქმნილებათა და შეტყობა, თუ რავდენი მისხალი პიიტიკური ნიჭი ძევს მათში".

ტენდენციურად განწყობილ, მდარე ლიტერატურული გემოვნების მქონე გიორგი ბარათაშვილს არ შეეძლო მოეცა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმა და ობიექტური ანალიზი და ეს ასეც მოხდა. ილიას ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძეს" გ. ბარათაშვილმა დაიწუნა იმიტომ, რომ ლექსში „წერტილები უმრავლესია სიტყვებზედ" და „აბა მწერლის საიდუმ-

[1] ქრესტომათია, I, გვ. 181.

ლოებას ჩუნ რას მივხვდებით“ უეარგისია ლექსიც „ალბომში“. რად გან „საალბომო ლექსი უნდა იყოს მოკლე და დიდ აზროვანი და არა ლექსები იმ დასტალუღებითა, როგორათაც აქუს ილია ჭავჭავაძეს“. რაც შეეხება ლექსს „გაზაფხული“, იგი, ბ. ჯორჯაძის მსგავსად, სრულიად გაუგებარი დარჩა გ. ბარათაშვილისათვის. ილიას მიერ ნანატრი „საყვარელი მამულის აღყვავება!—სამშობლოს განთავისუფლება ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრა-მონობისაგან, მისი შემდგომი წინსვლისა და აყვავების სურვილი, რაც ლექსის ქვეტექსტით არის წარმოდგენილი, ამოუკითხავი დარჩა გ. ბარათაშვილს და ირონიული ტონით უკიჟინა პოეტს: „გაზაფხულში“ პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდითივ ბიბინებს!!!“[1]

გ. ბარათაშვილმა ირონიით მოიხსენია აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის უმაღლესი განათლება, პოეტის გატაცება ბელინსკის მოწინავე იდეებით და ხალხური. მარტივი, სადა სიტყვის დამკვიდრების ტენდენცია სალიტერატურო ქართულში. „უფ. ჭავჭავაძე—წერდა გ. ბარათაშვილი—ნაცნობლად მაღლობისა, რომ იმის ლექსებს ყური არავინ არ ათხოვა, შეემზადა პეტერბურღში, როგორათაც დონკიხოტი; მარცხენა ჯელში იპყრა ფარის ბაგივრათ, ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ და ძალ აეღო დაფნის გვირგვინი“[2].

ილია ჭავჭავაძის ლექსები გ. ბარათაშვილს აგონებენ „ახალი მოსწავლე ღურგლის ნახელავ ყუთს: „შორიდამ ხედავთ ყუთი არის გარანდული, ლაქ წასმული, უბრალო ხისა; მერე ახლო გასინჯეთ და მაშინვე მიუხვდებით, რომ ის არის ახალმოსწავლის გაკეთებული“[3].

გ. ბარათაშვილმა შეამჩნია ილია ჭავჭავაძის ლექსების მსუბუქი ენა და სტილი, მაგრამ საეკლესიო ენის ძძიმე არტახებში მოქცეული კრიტიკოსის მიერ ეს გარემოება უარყოფით მოვლენად იქნა მიჩნეული. გ. ბარათაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ცოდვად ჩაუთვალა აგრეთვე შილერის, გოეთეს, ბაირონისა და სხვათა ნაწარმოებთა თარგმნა, რითაც ილიამ დიდი სამსახური გაუწია ქართული მწერლობის დაახლოვებას ევროპულ ლიტერატურასთან. მისი აზრით პოეტს „ამ დიდ მოლექსეთ სახელებით უნდა დაებრმავებინა მკითხველი,“ და იმას კი ვერ ხედავდა, რომ სწორედ ამ თარგმანებით ეცნობოდა ქართველი საზოგადოება დიდ შემოქმედთა შემკვიდრეობას. გ. ბარათაშვილი სხვა სნეულებასაც პპოვებს ილ. ჭავჭავაძის ლექსებში: „ეს გახლავთ—მარად კვნესა და გულმტკივნეულობა მამულისათჳს“. მართალია. გ. ბარათაშვილი იზიარებს გოეთეს აზრს, რომ „ვისაც ჰსურს კარგი წერაო, უნდა უყვარდეს მამული. ბუნებაო და ნა-

[1] ქრესტომათია, I, გვ. 191.
[2] იქვე.
[3] იქვე.

თესაობაო". მაგრამ ეს არის „მხოლოდ ერთი მრავალ... პირობათაგანი კარგის მწერლობისა". ილ. ჭავჭავაძე კი მხოლოდ ამ ერთ პირობას იყენებს, ვადგან იცის რომ „კვნესით ბევრს აუხვევს თვალებს და მით დაჰფარავს ლექსების ნაკლულევანებას"[1]. ილია ჭავჭავაძის ლექსების არსებითი ნაკლი კი კრიტიკოსის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ეს „ლექსები არიან უგარმონიო, უფერული, უნდილი და ისეთი მძიმე, რომ ვერა თაგვის მუცელი ვერ მოინელებდა"[2]. ასევე მწვავედ გააკრიტიკა გ. ბარათაშვილმა ილ. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ლერმონტოვის „ჰაჯი აბრეკი" და მოითხოვდა, რომ ილია ჭავჭავაძეს თავისი ლექსებისათვის გაეკეთებინა შენიშვნა „თარგმანი ქართულს ენაზედ, რადგანაც მისი ლექსი არც ქართულია და არც რუსულიო".

მართალია, გ. ბარათაშვილმა ვერ შეძლო ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების სწორი გაგება და შეფასება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული ზოგიერთი შენიშვნა მაინც იმსახურებს ყურადღებას. მაგალითად, გ. ბარათაშვილმა დაიწუნა „ელეგიის" ბოლო სტრიქონი: „როსღა გვექნება ჩუნ გაღვიძება" და აღნიშნა: „უთუოთ, ხუმრობით მოსვლია ესეთი ლექსი, თორემ განა თვითონ უფ. ჭავჭავაძემ არ იცის, რომ არ ითქმება „გვექნება გაღვიძება" და უნდა იყოს: როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება"[3]. საყურადღებოა, რომ როგორც ჩანს, ილ. ჭავჭავაძეს ეს შენიშვნა გაუთვალისწინებია და „ელეგიის" ბოლო სტრიქონი ამგვარად შეუსწორებია: „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!"

ასევე დაიწუნა გ. ბარათაშვილმა მესამე სტრიქონი ლექსიდან „მწუხარება" („და მე კი მკლავდა მწუხარების ისართ ტკივილი") და აღნიშნა: „უფ. ჭავჭ. ვერა ყოფილა კარგათ შეწუხებული, თორემ „ისართ ტკივილს" ყურს არ ათხოვებდა. და არც მესმის, რა სნეულება ეჭირვებოდათ ისართ?" ილ. ჭავჭავაძეს გ. ბარათაშვილის არც ეს შენიშვნა დაუტოვებია უყურადღებოდ და სხვა რედაქციულ ცვლილებებთან ერთად ლექსში დაწუნებული სტრიქონი შემდეგნაირად შეუსწორებია: „და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი".

მიუხედავად ასეთი ხასიათის რამდენიმე მართებული შენიშვნისა გ. ბარათაშვილმა და საერთოდ ჟურნალმა „ცისკარმა" ერთხელ კიდევ გამოამეღავნეს ის მწვავე რუტინიზმი, რომელიც კოშმარივით აწვა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას.

ამ რუტინიზმის მხილების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის „პასუხმა", რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის" ივნისის ნომერში. ამ წერილით ილია ჭავჭავაძემ, ერთის მხრით, მთლიანად ჩამოხსნა ნიღაბი კონსერვატიულ თაობას, მოუ-

---

[1] კრესტომათია, I, გვ. 195.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 193.

რიდებლად ამხილა მათი უმწეობა და მოუმზადებლობა, ხოლო, მეორეს მხრით, მთლიანი სისტემის სახით წარმოადგინა რეალისტური მიმართულების იდეოლოგია, რომელიც ახლად იკიდებდა ფეხს ჩვენ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ და აგრეთვე მისი ორიოდე სიტყვა... ამავე დროს წარმოადგენდნენ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატთა (ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) თეორიულ დებულებათა დაცვას და მათ პრაქტიკულად გამოყენებას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან შეფარდებით.

საფიქრებელი იყო, რომ „პასუხის“ გამოქვეყნების შემდეგ „მამათა“ თაობა ვეღარ გაბედავდა ხმის ამოღებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და „ცისკარიც“ შეცვლიდა თავის მიმართულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. კონსერვატიულმა თაობამ კვლავ განაგრძო მედგარი შეტევა და ილიას წინააღმდეგ მოათავსა მთელი სერია წერილებისა. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, იგივე ბარბარე ჯორჯაძე, ეფთვიმე წერეთელი და სხვანი ეკამათებოდნენ ახალგაზრდა პოეტსა და კრიტიკოსს უმთავრესად ქართული ენის გრამატიკის საკითხების თაობაზე. მაგრამ ამ პაექრობაში ილია ჭავჭავაძე მარტო არ აღმოჩნდა, მას გვერდში ამოუდგნენ ფესვმაგარ პროგრესულ ქართულ კულტურაზე და რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდობა აკაკი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი წერეთლის და სხვათა სახით. მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში ახალმა თაობამ სასტიკად დაამარცხა დახავსებული კონსერვატიული მსოფლმხედველობა.

1861 წლიდან ლიტერატურული კრიტიკა თანდათანობით ფეხს იკიდებს და აღმავალი ხაზით მიემართება. ჟურნალ „ცისკარში“, ხოლო შემდეგ „საქართველოს მოამბეში“ ვხვდებით მთელ წყებას საკმაოდ მოხრდილ ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებისას, რომელნიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებსაც ეხებიან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1863 წლის „ცისკრის“ მარტის ნომერში ქერელი ბექას ხელმოწერით დაბეჭდილი ანტონ ფურცელაძის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი—„ქართული ლიტერატურა“, რომელშიც მიმოხილულია „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები.

ანტონ ფურცელაძე საგანგებოდ ჩერდება ჟურნალში გამოქვეყნებულ ლირიკულ ნაწარმოებებზე და განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძის ლექსებზე: „მუშა“, „ჩემო კალამო“ და „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. ამ სამ ნაწარმოებთა შორის ყველაზე საუკეთესოდ ა. ფურცელაძეს ლექსი „მუშა“ მიაჩნია.

კრიტიკოსის აზრით ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტის მიერ თემა კარგადაა მიგნებული, გარდა ამისა „პოეტი ხუდოენიკი ამ საგანზე ისე წარმოსთქმამს თავის შხამაა, ისე წარმოანთხევს თავის შეგუბებულს გესლსა და შემაგრებულს მწუხარებას, ისე გამოგისახავთ და თვალთ დაგანახვებთ ამის მდგომარეობას;

შეგიყვანთ იმათ გულში და როგორც თქვენს ხუთს თითს ისე დაგანახვებთ იმათ კაცობრივს გულის ფეთქვას, კაცობრივს გრძნობას, რომელიც კაცთავე უსამართლობით, ძალმომრეობით, საზოგადოების სიბრმავით და დაუნახველობით აქვთ იმათ შემაგრებული უწყალო ტოლვაში და დახშულებული წარმოთქმისა და მნებელობის ბრძოლაში,—ამას ყველას ისე დაგანახვებთ, რომ გულგახევებულ კაცსაც შეურყევს უწყალოებას და აგრძნობინებს ამათ დაჩაგვრას და უსამართლოებას[1]". ანტონ ფურცელაძის მართებული მსჯელობით ილ. ჭავჭავაძე ძლიერი „პოეტურის ფერებით აგვიწერს მუშის ყოფას", ნაწარმოებში „არის სითბოს ნაპერწკალი". ლექსი „სწორეთ რომ საუცხოვო სურათების შემცველია" და ძლიერ გავლენას ახდენს მკითხველზე. ამ სავსებით სწორ და მართებულ მსჯელობას უცბად მოსდევს სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომელიც აქარწყლებს კრიტიკოსის მიერ ადრე წამოყენებულ დებულებებს. მაგალითად, ფურცელაძის აზრით ნაწარმოებში არ ჩანს, რომ პოეტი თანაუგრძნობდეს მუშას, მართალია „ესა ცდილობს, რომ დაუახლოვდეს, მიაკრას ამათს მდგომარეობას გული, მაგრამ ვრცელ გულით და ვრცელ გრძნობით ვერ დანათესავებია ის იმათ ცხოვრებას, და იქ ჰხედავთ დაძაბულ გრძნობას, რომელიც გამოდის ცარიელი ავტორის წრიპინი"[2]. პოეტს არ შესწევს უნარი განაცდევინოს მკითხველს ის გრძნობა, რასაც თვითონ განიცდის, ამის მიზეზი კი ის არის, რომ თვით პოეტის გრძნობა ნაძალადევია, არ არის ღრმა და საფუძვლიანი. „ამის გამო—აცხადებს ა. ფურცელაძე,—რომ ავტორი ვერ თანაჰგრძნობს მხურვალეთ და ვერ დანათესებია თავის გამოსახულებას, თქვენ როდესაც კითხულობთ „მუშასა" არ ჰგრძნობთ იმ სიმწუხარესა, იმ ნაღველს, იმ სიბრალულს, რომელსაც ცდილობს ავტორი, რომ გამოგიხატოთ"[3]...

ცხადია, რომ აქ ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. თუ გავიზიარებთ ა. ფურცელაძის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას, მაშინ როგორღა შევუთანხმოთ ამას სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება ამავე წერილში განვითარებული? ა. ფურცელაძე ხომ აქვე ხაზგასმით აცხადებს, რომ „მუშის" ერთ-ერთი უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი „შეგიყვანთ იმათ გულში და როგორც თქვენს ხუთს თითს ისე დაგანახვებთ იმათ კაცობრივს გულის ფეთქვას, კაცობრივს გრძნობას, რომელიც კაცთავე უსამართლობით, ძალმომრეობით, საზოგადოების სიბრმავით და დაუნახველობით აქვთ იმათ შემაგრებული უწყალო ტოლვაში და დახშულებული წარმოთქმისა და მნებელობის ბრძოლაში,—ამას ყველას ისე დაგანახვებთ, რომ გულგახევებულ კაცსაც შეურყევს უწყალოებასა და აგრძნობინებს ამათს ჩაგვრას და უსამართლოებას".

---

[1] ქრესტომათია. I, გვ. 304.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ამ ორში რომელი მოსაზრებაა მართალი? ცხადია ეს უკანასკნელი. „მუშა“ ღრმა გრძნობითა და განცდით დაწერილი ნაწარმოებია და მას არ ახასიათებს „ხაძალადეობა და ჰაპანწყვეტა“, როგორც ეს ა. ფურცელაძეს ჰგონია. ლექსიდან ძლიერად იგრძნობა, ერთის მხრით მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილი ლუკმა-პურის მაძიებელი მუშის გულის კვნესა, ხოლო მეორეს მხრით პიროვნებისა და შრომის განთავისუფლების იდეით აღტყინებული პოეტის სურვილი და მისწრაფება, რაც ამ პერიოდის რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას ამოძრავებდა. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ილიამ თავის ლექსს ეპიგრაფად ნეკრასოვის მრავალმეტყველი სტრიქონები წარუმძღვარა: „В труде проходит жизнь его и не приносит ничего“.

ლექსიდან ძლიერად იგრძნობა პოეტის თანაგრძნობა პატიოსანი შუბლიდან ოფლგადმომდინარე დაჩაგრული ძმისადმი. ამ ნაწარმოებზედ ლაპარაკის დროს უდავოდ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველად „მუშაში“ გაისმა მუხთალი ბედით გადმოტყორცნილი მუშისადმი ძმური თანაგრძნობის ხმა[1].

ა. ფურცელაძე, იხილავს რა „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერში დაბეჭდილ ილიას ლექსს: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, კელავ პარადოქსულ მოსაზრებას ავითარებს. მისი აზრით „საშინელი წირპელა სანტიმენტალური და ავტორის თავის ჩენა, თითქმის ყველგან უმთავრესია ჭავჭავაძის ლექსებში; ამასთანავე შეჰხედებით კვეხნას და ძრავალგან მოუსაზრებლობას და აზრის შეუმუშავებლობას“[2]. ამ დებულების საილუსტრაციოდ ა. ფურცელაძეს სწორედ ზემოხსენებული ლექსი მოაქვს.

ვფიქრობთ, მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ ლექსი არ არის სენტიმენტალური და მასში არაფერია მოუსაზრებლად წამოსროლილი. ილიას ეს ნაწარმოები, ისე როგორც მთელი წყება ამ პერიოდის ასეთივე ხასიათის ლექსებისა, ნათლად ამჟღავნებენ მამულის სიყვარულით და რადიკალური მოქმედების სურვილით გამსჭვალული პოეტის კონცეფციას.

სამწუხაროა ის გარემოება, რომ ა. ფურცელაძემ ვერ გაიგო ეს ნაწარმოები და განსაკუთრებით კი მისი უკანასკნელი სტროფი:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..“

ძოაქვს რა ეს ამონაწერი, ა. ფურცელაძე დასძენს: „ერთი ჰკითხეთ. საყუარელნო მკითხველნო, უფ. ჭავჭავაძეს: მაშ ვისთვს უკრთება ასე

[1] მ. ხ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1954 წ., გვ. 287.
[2] ჭრესტომათია, I, გვ. 305.

უწყალოთ ძილი, ვისთვს იკლავს თავსა, თუ კი მრთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მაგის აზრის განზიარებისა?" როგორცა ჩანს, ეგ ცარიელი საქართველოს მიწისათვისა დრტვინავს და ჰფიქრობს!.. ჯერ ათამაშა, ათამაშა, ეძახა. შენთვსა ვარ გაჩენილიო და მერე კი უცებ: ჩემი ღირსი არავინა ხართო!"[1].

როგორ უნდა გავიგოთ ილ. ჭავჭავაძის ეს ნაწარმოები და კერძოდ მისი უკანასკნელი სტროფი? ცხადია არა ასე, როგორც ეს ა. ფურცელაძეს ესმის, რადგან არც ილიას შემოქმედებაში და არც ამ ლექსში არ მოიპოვება ა. ფურცელაძისეული გაგების საფუძველი. აქ არც ტრაბახია, „პირველ ჩანჩალათ თავისი თავის" გამოყვანა და არც უკაცო საქართველოსათვის დრტვინვა და ფიქრი. ილიას თქმისა არ იყოს: „თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი". მაგრამ რაში გამოიხატება ეს გულწრფელი სურვილი მისი? წმინდა სიტყვის ხალხში უშიშრად მოფენა, ბოროტთ სულით-ხდომის სეირის მზერა, მიძინებული ცხოვრების კალაპოტიდან დაძვრა. ეროვნული და სოციალური თავისუფლების დამკვიდრება? ვინ უნდა იყოს ამ დიადი საქმის წამომწყები და ხელმძღვანელი, ვინ უნდა ჩაუდგეს სათაეში ფეხადგმულ ცხოვრებას და ვინ უნდა გამოიყვანოს მშრომელი მასა თავისუფლებისა და ბედნიერების გზაზე? ეს საჭირბოროტო კითხვები იმთავითვე ტრიალებდა ილ. ჭავჭავაძის აზროვნებაში. დაკვირვებული პოეტი, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყველა კლასისა და ფენის შესაძლებლობას, ხედავდა, რომ ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად გლეხობა ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო, ქართველი, თავადაზნაურობა უმოქმედობის, უსაქმურობის და უვიცობის ჭაობში ეფლობოდა, ცხოვრების გარდაქმნის შიშით დამფრთხალი, ორივე ხელით ებღაუჭებოდა ყოველივე ძველს, დროგადასულს და ცდილობდა მის ხელუხლებლად შენარჩუნებას. ბუნებრივია, რომ პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებულ ნათელი იდეებით აღჭურვილ მგოსანს იმ პერიოდის საქართველოს მიძინებულ ცხოვრებაში თანამოაზრე ძნელად თუ ეყოლებოდა. ძირითად იმედს იგი რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში მყოფ ქართველ სტუდენტობაზედ ამყარებდა, მათში ხედავდა „დაობლებული მამულის" მხსნელს და თავის გრძნობათა თანაზიარს („ქართლის დედა", „ქართველი სტუდენტების სიმღერა"). ილიას ეს წინასწარი ხედვა ცხოვრებამ პრაქტიკულად დაადასტურა: 1861 წელს „მამათა" წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ილ. ჭავჭავაძეს კარგა ხნის განმავლობაში უხდებოდა მარტოდ ყოფნა. ამ ცხარე ბრძოლაში საქართველოდან მას არავინ გამოქომაგებია თვით ანტონ ფურცელაძეც კი დადუმდა და განზედ გადგა. საბოლოოდ პოეტს ისევ პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა წამოეშველა, რომელმაც გაიგო და გაიზიარა

[1] ქრესტომათია, I, გვ. 306.

მისი ფიქრი და გრძნობა, მხარში ამოუდგა ილიას და კიეონა დასცა „მამათა" დახავსებულ ბანაკს. მაგრამ ისინი მაინც შორს იყვნენ საქართველოს მიწა წყლიდან. ქართველ მიწაზე კი პოეტს თანამგრძნობი თავდაპირველად არ აღმოუჩნდა და სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მას მხედველობაში, როდესაც გულნატკენი მიმართავდა საყვარელ მამულს, „რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო!"...

აქვე გვინდა მკითხველს იმ გარემოებაზედაც მიეუთითოთ, რომ ილ. ჭავჭავაძე, შემდეგშიც მეტად დიდ როლს ანიჭებდა კულტურულ ახალგაზრდობას ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. მაგალითად, როდესაც 1897 წელს პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა მოინდომეს თანაგრძნობის წერილი გაეგზავნათ ათინელი სტუდენტებისათვის კრიტოსზე თურქების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების გამო და რჩევისათვის მიმართეს ილია ჭავჭავაძეს, მან ქართველ სტუდენტობას შემდეგი პასუხი გასცა: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი ჩვენის ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული, ჩვენი ხვალე. ჩვენი მერმის თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი უუწმინდესი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო სრულის, რამოდენადაც შესაძლოა, სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვის-ღა იმედზე დარჩეს?.. სასწავლებლად წასულხართ. ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, მარტო... სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარხმალით ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც სხვა საეედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე გონება-გახსნილი, გულ-განათებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ეგრე ძვირად და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანს ვერ ვიმეტებთ"[1].

1863 წლის „ცისკრის" ივლისის ნომერში კვლავ გამოჩნდა ა. ფურცელაძის წერილი: „ქართული ლიტერატურა". ეს წერილი, რომელიც წინა წერილის გაგრძელებას წარმოადგენს, პოლემიკური ხასიათისაა და მიზნად ისახავს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" მიმართულების გარკვევას. ჟურნალისადმი ტენდენციურად განწყობილმა ა. ფურცელაძემ „საქართველოს მოამბის" მიმართულების შეფასების საქმეში საკმაოდ უხეში ხასიათის შეცდომები დაუშვა ილიას ნაწარმოებთა გაგება-შეფასებაშიც.

ა. ფურცელაძე ცდილობს რა „დაამტკიცოს", რომ „მოამბე" უნიჭო ნაწერებით გამოიჯიკნა", ნიმუშად ასახელებს ილ. ჭავჭავაძის რამდენიმე

---

[1] ი. ჭავჭავაძე, „წერილები", აფხაზეთის სახელგამი, 1949 წ., გვ. 87—88.

2. ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტ. კრიტიკაში

ლექსს: „ციურნი ხმები“, „მძინარე ქალი“, „პოეტი“, „გუთნის დედა“ და „ლოცვა“.

„ციურნი ხმები“ და „მძინარე ქალი“ კრიტიკოსის აზრით ცრუ ოცნების ნაყოფნი არიან და მათ არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ მკითხველისათვის. ასეთსავე „ამაოთ ლაყაფისა და ქადაგებაების“ შემცველია ლექსი „პოეტი“. „იქ ჭავჭავაძე ღმერთს ელაპარაკება და ციდგან მიწაზეა გამოვზავნილი ქრისტიანეზედ წესიერების დასამყარებლად. არა, ეკითხავთ ჩუნ ჭავჭავაძესა: ეს რა იგავია, ან რა უნდა ეთქუა ამითი? ალბათ მეტის მეტი მადლით თუ მოზდის ჭავჭავაძეს ეს თავის უაზრობა!“[1] მეტად საეჭვოა, რომ ა. ფურცელაძეს არ ესმოდეს ამ ლექსის მნიშვნელობა, ის დიდი როლი, რომელიც ნაწარმოებმა შეასრულა ცრუკლასიციზმისა და „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში რეალისტური ლიტერატურის დამკვიდრებისათვის, მაგრამ თუ ა. ფურცელაძე ამ ნაწარმოებს მაინც არარაობად მიიჩნევს, ეს „საქართველოს მოამბისა“ და კერძოდ მისი რედაქტორისადმი ა. ფურცელაძის ტენდენციური დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ნაწილობრივ.

ა. ფურცელაძეს არ მოსწონს არც „გუთნის დედა“, რადგან „გუთნის დედას ისეთი მაღალი ენით ალაპარაკებს და მძიმე საგნებსა, რომ დარწმუნებული, ვარ თითონ ჭავჭავაძემაც შემდგომ დიდის ფიქრისა ძლივს მოიგონა და მოიფიქრა“-ო.

ცხადია, ა. ფურცელაძე არც ამ შემთხვევაშია მართალი. „გუთნის დედაში“ არ გვხვდება არავითარი მძიმე საგნები“ და რაღაც განსაკუთრებული მაღალი ენა. ნაწარმოებში მხატვრულ სახეებშია გადმოცემული გლეხობის ტანჯვა და გულის-წუხილი, ლექსად, არის ნათქვამი ის, რასაც გლეხი ჩვეულებრივი, ზოგ შემთხვევაში შეიძლება უფრო ხატოვანი მეტყველებითაც გადმოსცემდა. ლექსში ორიოდე გლეხური აფორიზმიც არის გალექსილი და საერთოდ ნაწარმოები „არ არის დამოუკიდებელი ხალხური შემოქმედებისაგან. მისი დასაწყისი სტრიქონები შთაგონებულია ხალხური ლექსით, რომლის პირველი ჩანაწერი ჩვენთვის 1850 წლის რუსული თარგმანით არის ცნობილი... ილიას ლექსი ბრმად არ მისდევს ხალხურ ტექსტს. მისი გუთნის დედა იძულებულია ლაბასთან ერთად „ერთგულად ჰიმოს ჰაპანი“ ეს გარემოება ოდნავადაც არ ასუსტებს იმ მძაფრ სოციალურ მოტივს, რაც ხალხური ლექსის დამახასიათებელია. პირიქით, ილია ხავის ლექსით კიდევ უფრო ღრმად გვახედებს პირუტყვზე უარეს სავალალო ყოფაში ჩავარდნილ ყმა გლეხის სულში. ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავ გლეხთა სიბეჩავის ასახვის მიზნით ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ცნობილი გუთნური სიმღერა:

გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო“[2].

---

[1] ქრესტომათია, I, გვ. 354.

[2] ჯ. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, გვ. 31—32.

ასევე არა სწორად არის გაგებული ა. ფურცელაძის მიერ ილიას ლექსი „ლოცვა". შეუძლებელია, რომ ა. ფურცელაძეს, რომელმაც ლიტერატურისა და ლიტერატორების წინაშე მკვეთრად დააყენა საკითხი, რათა ეწერათ ხალხზე, ხალხის საჭიროებაზე, თვით მწერალსა და პუბლიცისტს, რომლის შემოქმედების ძირითად თემასაც გლეხის სოციალური და იურიდიული მდგომარეობის ასახვა წარმოადგენდა, არ დაენახა ის მძაფრი სოციალური მოტივი, რაც ი. ჭავჭავაძემ „გუთნის დედაში" განავითარა. მაგრამ მან თვალი დახუჭა არა მხოლოდ ილიას ნაწარმოებებში განვითარებულ პოზიტიურ შეხედულებათა წინაშე, არამედ ასევე მოექცა იგი ნ. ბარათაშვილის ლექსებს და საერთოდ „საქართველოს მოამბეს".

მემარცხენე პოზიციაზე მდგარი ა. ფურცელაძე უფრო პირადი შეურიგებლობის გამო ებრძოდა ი. ჭავჭავაძეს და მის პერიოდულ ორგანოს.

როგორია საერთო დასკვნა, რომელსაც ა. ფურცელაძე აკეთებს „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ლექსების მიმოხილვის შედეგად? ილ. ჭავჭავაძე განიცდის ძლიერ გავლენას იმ ნაწარმოებებისას, რომელნიც მას მოსწონს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პოეტზე, რადგან „კაცი მინამ სხვს ნიჭის გავლენის ქვეშ არის, მინამ ყველა თხზულება ავტორისა ვერ გამოვა რიგიანი: ის იქნება ხოლოდ აჩრდილი ავტორზედ გავლენის თხზულებისა".

ა. ფურცელაძის რწმენით ი. ჭავჭავაძე არ შეიძლება ჩაითვალოს ნიჭიერ პოეტად, მისი ნაწარმოებნი ხასიათდებიან უმოქმედობით, უსიცოცხლობით, მისი თხზულებები მკვდარია და ავტორი ცდილობს ძალით შთაბეროს მაცოცხლებელი სული. ამიტომ „აქ ნიჭი კი არ მუშაობს, ხელოვნება მუშაობს", თუმცა ესეც ღირსებაა, მაგრამ პოეტურ ნიჭსა და „ხელოვნებას" შორის მაინც არსებითი განსხვავებაა. და საბოლოოდ კრიტიკოსს ულმობელი განაჩენი გამოაქვს პოეტის მიმართ,—ჭავჭავაძე ამაზედ წინ ვეღარ წავა იგი „ახალს ვერაფერს ვერას შეიქმს".

ეს სტრიქონები 1863 წელს იწერებოდა, როდესაც ილ. ჭავჭავაძეს თავისი შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილი ჰქონდა შექმნილი და გამოქვეყნებული. ამის შემდეგ მწერლის კალამმა ქართული ლიტერატურა დაამშვენა ლირიკული და პროზაული შედევრებით, რომელთა ერთ ნაწილს საკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. ასე რომ ნაადრევი გამოდგა კრიტიკოსის პროგნოზი, თუმცა ამისთვის მას არავითარი საფუძველი არ მოეპოვებოდა. ა. ფურცელაძის მიერ განხილულ ილიას ნაწარმოებებს ჭვრეტით გარკვეული პოეტური ღირსება და იდეური თვალსაზრისითაც საკმაოდ საყურადღებონი არიან. ა. ფურცელაძის ზემოთ მოტანილ კრიტიკულ შეხედულებებში აშკარად შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ნიჰილიზმი. თუმცა ჩვენ მას ჩამოყალიბებულ ნიჰილისტად მაინც

ვერ გამოვაცხადებთ და ვერ გავუტოლებთ ნიჰილისტებს—პისარევსა თუ ზაიცევს"[1].

„საქართველოს მოამბის" მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებში ილ. ჭავჭავაძემ მ. ჯიმშერაძის ხელმოწერით გამოაქვეყნა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მძაფრი სატირული ნაწარმოები—„კაცია-ადამიანი", რომელშიც ავტორმა მკაფიოდ წარმოგვიდგინა როგორც ქართველი თავადაზნაურობის, ასევე გლეხობის ერთი ნაწილის გადაგვარებისა და გაპარტახების სურათი. აქვე ილიამ მწვავე მათრახი გადაჰკრა ჩინოვნიკობას, როგორც ეპოქისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმახინჯეს მოვლენას. ამ ნაწარმოებით „ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურად მძაფრ კლასიკური სატირის ფუძემდებელი და დამამკვიდრებელი გახდა ქართულ ლიტერატურაში"[2].

„კაცია-ადამიანი" მისი გამოქვეყნების პირველივე დღიდან შეიქნა კრიტიკის ობიექტი. პირველხანებში გაიმართა ზეპირი სჯა-ბაასი და ცხარე კამათი ნაწარმოების ავ-კარგიანობის შესახებ. განაწყენებულმა თავადაზნაურობამ, რომელმაც ნაწარმოებში სარკესაით დაინახა თავისი თავი, დაჰგმო მოთხრობაც და მისი ავტორიც. დაბალი ფენა და ობიექტურად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია კი აღტაცებით შეეგება ამ დიდებული ნაწარმოების დაბეჭდვას. „ზოგიერთნი—მოგვითხრობს ა. ფურცელაძე—არიან აღფრთოვანებულნი ამ მოთხრობით, უმეტესობას ან არ ესმის იგი სრულად, ან მტრულადაა განწყობილი მისი ავტორისადმი და ამტყუნებს მას ქართველი თავადაზნაურობის „გაშავებაში". უფრო მეტად გაღიზიანებულნი არიან ისინი, რომელნიც თავისსა და სცენაზე გამოყვანილ პიროვნებათა შორის მსგავსებას პოებენ. დასასრულ,—ძველი ლიტერატორები—ავტორიტეტები, რომელნიც მიჩვეულნი არიან ქების ჰიმნების წერასა და „მთვარისა და ქალის" შექებას, აღსდგებიან მთელი ძალით ახალი სიტყვის წინააღმდეგ, უწოდებენ მას პასკვილს, რომელიც არცკი უნდა აიღოს ხელში კეთილზნეობრივად აღზრდილმა ადამიანმა"[3].

ზეპირი პაექრობა და მითქმა-მოთქმა ნაწარმოების ირგვლივ ჯარგი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა.

1864 წელს გაზ. „კავკაზის" ლიტერატურულ დამატებაში, რომელიც „Литературный листок"-ის სახელწოდებით გამოდიოდა, ა. ფურცელაძემ დაბეჭდა საკმაოდ ვრცელი კრიტიკული წერილი „კაცია-ადამიანის" შესახებ (იხ. №№ 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9). ეს იყო პირველი რეცენზია, რომელიც ამ ნაწარმოების ირგვლივ გამოქვეყნდა. ა. ფურცელაძემ, ძირითა-

---

[1] გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, 1955 წ., გვ. 519.

[2] ა. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1955 წ., გვ. 63.

[3] ა. ფურცელაძე, „კაცია-ადამიანი—მოთხრობა მ. ჯიმშერაძისა" „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის", ქრესტომათია, I, გვ. 374.

დად, დადებითად შეაფასა მოთხრობა, თუმცა იქვე მიუთითა ზოგიერთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებაზე, რაც მისი აზრით „კაცია-ადამიანს" ახასიათებდა.

ნაწარმოების მთავარ ღირსებას რეცენზენტი იმაში ხედავს, რომ „კაცია-ადამიანი" „შეუდარებლად ახლოსაა ცხოვრებასა და სინამდვილესთან", მოთხრობა „პირველი შეხედვით უბრალოა, თითქმის სრულიად უმნიშვნელო. მით უფრო არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ უფ. ჯიმშერაძის მიერ არჩეული საგანი ძლიერ კარგია იმ მიზნისათვის, რომელიც მას ჰქონია განსაზღვრული. ავტორმა შეიძლო შეერჩია ისეთი ფაქტები მოთხრობისათვის, რომელთაც შეუძლიანთ თამამად გამოსახონ მოთხრობის იდეა და დაახასიათონ მოქმედი პირები"[1].

ა. ფურცელაძის მართებული შენიშვნით ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი" მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა. ფურცელაძე გაკვრით ეხება „ცისკარში" დაბეჭდილ წერილებსა და მხატვრულ მასალას და აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურის მოღვაწენი ძირითადად „უმღეროდნენ ვარდსა და მთვარეს, ან თარგმნიდნენ და წერდნენ სისულელეებს, რომელთა გამოყენება მხოლოდ ძილის პირზე შეიძლებოდა"[2], თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ნაწარმოებს და განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილისა და დ. ჭონქაძის შემოქმედებას, რომელშიც იგრძნობა „არსებული წრისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიმძიმე". 60-იანი წლებიდან კი, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ძველი ცხოვრების წარმავლობაში დარწმუნებული, ჯანსაღი აზრით გამსჭვალული ახალგაზრდა პოეტები, ერთგვარად შეტორტმანდა მიძინებული ცხოვრება და „ცისკრის" ფურცლებზე გაისმა პროტესტის ხმა, მაგრამ „ეს პროტესტები ჩნდებოდნენ ლექსად (გარდა უფ. ჭონქაძის „სურამის ციხისა") და არა გააზრებულ პროზაულ ფორმაში"[3] „კაცია ადამიანის" უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი წარმოადგენდა ახალ, მაღალ საფეხურს ქართული პროზის განვითარებაში, რომელმაც „თავისი ძლიერი, თუმცა გადაჭარბებული პროტესტით[4] ხმაური ასტეხა და სხვადასხვანაირი, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი აღძრა ქართულ საზოგადოებაში".

ნაწარმოების ანალიზის დროს ა. ფურცელაძე მთავარ ყურადღებას მოთხრობის მნიშვნელოვანი პერსონაჟების ხასიათებს აქცევს და ამ თვალსაზრისით ყურადღების გარეშე არ ტოვებს ზოგ მეორეხარისხოვან

---

[1] ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 372, 387.

[2] იქვე, გვ. 374.

[3] იქვე.

[4] რა თქმა უნდა, არ არის სწორი ა. ფურცელაძე, როდესაც ფიქრობს, თითქოს ნაწარმოებში ავტორის გადაჭარბებული პროტესტის ხმა ისმოდეს.

დეტალსაც კი. აქვე ხაზგასმით უნდა მივუთითოდ იმ გარემოებაზედ, რომ ა. ფურცელაძემ სწორედ გაიგო ავტორის ჩანაფიქრი. იგი მიხვდა, რომ ი. ჭავჭავაძემ ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრების კონკრეტული მაგალითი მხოლოდ იმდენად გამოიყენა, რამდენადაც მას ამით საშუალება ეძლეოდა გადაეშალა მკითხველისათვის დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების ნათელი სურათი. ილიას ყურადღების ცენტრში ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრების ისტორია კი არ იდგა, არამედ საზოგადო პირი და ვარამი. „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს — წერდა ილია —ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთო“. და ა. ფურცელაძემაც თათქარიძეობა მიიჩნია საზოგადო სენად და შეეცადა დაენახვებინა მკითხველისათვის თუ რამდენად შესძლო მწერალმა ამ სენის გამორკვევა და მისი წამლობა. კრიტიკოსი სწორად შენიშნავს, რომ ლ. თათქარიძის სახლ-კარისა და მისი მეურნეობის აღწერა იმდენად ზუსტი და ტიპიურია, რომ „ამ სურათის ნამდვილი შეიძლება ყოველ ნაბიჯზე მოინახოს უთაურ და უზრუნველ ქართველ მემამულესთან“.

ილ. ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძის დახატვით ქართველი თავადაზნაურობის ტიპიური სახე შექმნა. ა. ფურცელაძე, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრებას, ლუარსაბ თათქარიძეში ხედავს ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს იმ ბრწყინვალე წოდებისას, რომელიც ცხოველურ ვნებებში ჩაფლულა და რომლისთვისაც უცხოა როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური საქმიანობა, „თათქარიძეები—შენიშნავს ა. ფურცელაძე—საქართველოში ობლომოვებისა და გოგოლისებური ივანე ნიკიფოროვიჩის შუა დგანან“, ეს ის ხალხია, რომელთა უდარდელ გულამდე არ აღწევს ქვეყნად გამეფებული უსამართლობა, მათ სინდისს არ აღელვებს არავითარი უხამსობა. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილნი ცხოვრებას ეგოისტური თვალით უცქერიან და მხოლოდ მაშინ შეიშმუშნებიან, თუ ცხოვრების ტალღა მათი უშინაარსო ცხოვრების სფეროს შეეხო. ი. ჭავჭავაძის, როგორც მწერალს დამსახურება ა. ფურცელაძის აზრით სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან „გაკვრით მოასწრო მეტად ოსტატურად გამოეხატა ისინი ამისთანა ვითარებაში.“ ფიქრსა და აზროვნების უნარს მოკლებულნი, სიამით მიაბიჯებენ თათქარიძენი მამა-პაპათა მიერ გატკეპნილ გზაზე და ეერც კი წარმოუდგენიათ, თუ შესაძლებელია მისგან ოდნავ მაინც გადახვევა. ცრუმორწმუნეობის ბურანში გახვეულნი მთვარეულივით დაეხეტებიან ამ ცხოვრებაში „მათ არ სძინავთ, მაგრამ მათი ცხოვრება არსებითად არ განსხვავდება ძილისაგან“.

ფურცელაძემ სწორად შენიშნა, რომ თათქარიძენი, ძირითადად, სულით კეთილი ადამიანები არიან, მაგრამ ეს კეთილბუნებოვანება შედეგია არა მათი ჰუმანური გონიერებისა, არამედ ორგანიულად გამომ-

დინარეობს მათი ბუნების თავისებურებიდან. სიზარმაცე, რომელიც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, სრული უმოქმედობა და სულიერი აპატია, აიძულებს მათ ზოგჯერ კეთილნი იყუნენ. გაჯავრებისთვისაც ენანებათ ენერგიისა და ძალღონის დახარჯვა. მართალია თათქარიძენი ზოგჯერ სტუქსავენ მოახლეებსა და შინამოსამსახურეებს, ზოგჯერ სწყრებიან ბრწყინვალე თავადები, „მაგრამ წყრებიან, ჯერჯერით, ხშირად აუღელვებლად, მეორეც და, თუ წყრებიან, არა გულისწადილით, არამედ უბრალოდ, სხვების ჩაგონებით, სხვებისა, რომელნიც მათ უმტკიცებენ ამ სიკეთის აუცილებლობას მორიდებას აღძვრისა და მოსამსახურეთა ერთგულებისათვის“[1].

რა არის მიზეზი თათქარიძეების ფიზიკური, გონებრივი და ზნეგონებრივი ხრწნისა და ლპობისა? ამ კითხვაზედ ა. ფურცელაძე საკმაოდ სწორ პასუხს იძლევა. მთავარი მიზეზი თათქარიძეების დაცემისა ის სოციალური წყობილებაა, რომელშიც მათ მოუხდათ ცხოვრება. „გვაროვნულმა საკუთრებამ მრავალი ბოროტება შესძღვნა ადამიანს, მრავალი სიცოცხლე მოწამლა მან და არა ერთი თათქარიძე ეწამა მისი წყალობით.“ ა. ფურცელაძემ ისიც შენიშნა, რომ მახინჯმა სოციალურმა წყობილებამ პირუტყვის მდგომარეობამდე მიიყვანა არა მხოლოდ თათქარიძენი არამედ მშრომელი გლეხობაც. ნაწილობრივ სწორი იყო ა. ფურცელაძე იმ შემთხვევაშიც როდესაც მიუთითებდა მკითხველს, რომ თათქარიძენი საგრძნობლად ჩამორჩნენ თავის წინაპრებს. მათი წინაპრები მათზე „უკეთესები იყვნენ და იცოდნენ, თუ რა ესაჭიროებოდათ და რა უნდა სცოდნოდათ თავის პირობებში. ისინი არ მუქთახორობდნენ. ისინი თავის შრომით ცხოვრობდნენ და თათქარიძეების მსგავსად არ აპარტახებდნენ უბედურ, უპატრონო გლეხობას“.[2]

მართლაც ლუარსაბ თათქარიძის თაობა განსხვავდებოდა მის წინაპრებისაგან. ამას თვით თათქარიძეც გრძნობს — „დრო გამოიცვალა,— იტყოდა ხოლმე ამოოხვრით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა... ვენაცვალე უწინდელ დროს ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავი პატიოსანი“[3] და საცოდავი ლუარსაბი, რომელსაც ხორცი ღორულ სიმსუქნემდე ელაღებინა, გრძნობდა, რომ მას აღარ ჰქონდა მარჯვე მკლავი კაი ხმლის დასაქერად და კაი ცხენის სადაურის მოსაზიდად და თვით ძველ პატიოსნებასაც აშმორებული გუბის წყალი შესდგომოდა.

თუ ა. ფურცელაძემ სწორად ახსნა ქართველი თავადაზნაურობის

---

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ 378.

[2] იქვე, გვ. 377.

[3] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ II, 1950 წ., გვ. 129.

გადაგვარების მიზეზი და დაინახა გარკვეული განსხვავება თათქარიძეებსა და მის წინაპრებს შორის, სამაგიეროდ შეცდომა დაუშვა თათქარიძეებისა და მის წინაპართა შორის არსებული ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის დადგენის საქმეში. ცხადია სასტიკად სცდებოდა ა. ფურცელაძე, როდესაც ფიქრობდა, თითქოს თათქარიძეთა წინაპრები თავისი შრომით ცხოვრობდნენ. ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის პირობებში თავადაზნაურობას საკუთარი შრომით ეცხოვრა. მართალია, შეიძლება ისინი თათქარიძეების მსგავსად არ აპარტახებდნენ უბედურ, უპატრონო გლეხობას, მაგრამ ექსპლოატაციის ფორმები მაინც საგრძნობლად უხეში იყო, რაც გლეხობის მრავალ აჯანყებასა და ამბოხებას იწვევდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი გლეხობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა; არსებითი ხასიათის ცვლილებებმა საქართველოს მართვა-გამგებლობის საქმეში გლეხობას ახალი ბატონები წამოასია, კაპიტალიზმის სწრაფმა ზრდამ, საარსებო საშუალებების ძიების მზარდმა მოთხოვნილებამ და ფულის განუზომელმა საჭიროებამ ქართველი თავადაზნაურობა უფრო მეტად დააწოლა გლეხობას კისერზედ, რამაც ერთი ათად გაზარდა ექსპლოატაციის ფორმები, ერთი ათად გაზარდა გლეხთა დრტვინვა და სიღატაკე. ა. ფურცელაძე, თვითმხილველი ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობისა, მკითხველ საზოგადოებას ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ეწამებიან ადამიანები, რომელნიც თავის ქონების უკანასკნელი ნამცეცებით იძულებულნი ხდებიან შეინახონ ისინი (თავადაზნაურობა. ი. ბ.); ეწამებიან არა მხოლოდ თათქარიძეებისაგან, არამედ მდიდარ მუქთამჭამელთა მთელი წოდებისაგან. ღარიბები დღითი დღე უფრო ღარიბდებიან და ნადგურდებიან“[1].

თავის კრიტიკულ წერილში ა. ფურცელაძე საგანგებოდ ჩერდება დარეჯანზე, რადგან ქართველ ქალებში აღარა ეხვდებით ჯანსაღ ადამიანებს „არამედ, მეტ ნაწილად ეხვდებით ჯიმშერიძისეულ დარეჯანების ტიპიურ თვისებათა სიჭარბეს“[2].

ა. ფურცელაძე ლუარსაბსა და დარეჯანს შორის ერთგვარ განსხვავებას ხედავს. დარეჯანზე—მისი აზრით—იმის თქმა არ შეიძლება, რაც ლუარსაბზე ითქმის. „თუმცა უფალი ჯიმშერიძე—წერს კრიტიკოსი—ცდილობს დარეჯანი ქმრის მსგავსი წარმოგვიდგინოს, მართალია დარეჯანშიაც ნამდვილად ბევრია თათქარიძისეული, მაგრამ მასში მაინც მეტია სასიცოცხლო ელემენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის ავტორმა ვერ შესძლო რელიეფურად გამოეკვეთა ეს ტიპი და მგონი კიდეც გაურბოდა მის დაწვრილებით განხილვას, მაინც ისეთ რამეებს ვხედავთ, რაც გაკაცრულად მაინც გვაცნობს დარეჯანის პიროვნებასა და ხასიათს“[3],

---

[1] ქართული ლიტერატ. კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 376.

[2] იქვე, გვ. 384

[3] იქვე. გვ. 382.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. რა არსებითი ხასიათის განსხვავებას ხედავს ა. ფურცელაძე ლუარსაბსა და დარეჯანს შორის? ეს განსხვავება კრიტიკოსის აზრით პირველყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ დარეჯანში მეტია სასიცოცხლო ელემენტი. „იგი ქმრისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უშედეგოდ დაფუსფუსებს; უმიზეზოდ აგინებს სცემს მოსამსახურეებს... მე ვთქვი—უშედეგოდ დაფუსფუსებსო, მაგრამ უმიზნოდ ფუსფუსი არ შეიძლება; მაშასადამე არის მოთხოვნილება რაღაცის კეთებისა... მას ესიამოვნება შრომა, მასში კიდევ არის ენერგია“[1]. თუ რამდენად სასიამოვნო იყო შრომა ცოლ-ქმრისათვის; ვფიქრობთ, ამაზედ ლაპარაკიც კი ზედმეტია, ხოლო ის სასიცოცხლო ელემენტი, რომელიც ოდნავ ზედმეტ მოძრაობაში გამოიხატებოდა, რაც დამახასიათებელია დარეჯანისათვის ლუარსაბებთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისთვის ანგარიშის გაწევა არ ღირდა, მითუმეტეს რომ მიზანიც და შედეგიც მათი ფუსფუსისა ერთი და იგივე იყო. ამ ოდნავ და უმნიშვნელო განსხვავებაზე ილია ჭავჭავაძეც მიუთითებდა: „დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი,—(თუმცა სიზანტე დარეჯანისთვისაც არ იყო უცხო ი. ბ.) ამაში კი, ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ....რა კი ბატონი კნეინა თვალს გააყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადაიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადაიცვამდა ჩითის კაბას—ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა—შიშველ ფეხს შეიმოსავდა ჩუსტით და—ჰერი ბიჭო—დაეშვებოდა ჩალურისაკენ სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ“ და იწყებოდა საბრალო მსახურთა დაწიოკება. „აქ იმას გაუწყრებოდა—რაზედ? თვითონ კნეინამაც არ იცოდა—რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა—რისთვის? არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყეველიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა—ერთის სიტყვით—მთელი ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზე“. მაგრამ ეს ჩვეულება ლუარსაბისათვისაც არ იყო უცხო. „ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე. მართალია ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა“.

ლუარსაბსა და დარეჯანს ერთნაირად ესმოდათ მამულის მზრუნველობა და ორივე კმაყოფილნი იყვნენ თუ სახლი სავსე ჰქონდათ ხორაგით და სტომაქი ზომაზედ მეტად გადატვირთული. ეს იყო იდეალი მათი ცხოვრებისა. არავითარი მნიშვნელოვანი განსხვავება ლუარსაბსა და დარეჯანს შორის არ არსებობდა. ფეოდალურ-ბატონყმურმა ურთიერთობამ თავის წიაღში წარმოშვა მსგავსი ადამიანები საერთო ბუნებითა და ხასიათებით. ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ლუარსაბის „ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I. გვ 384.

ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რა—რიგად: იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარი პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად ცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი“.

ლუარსაბთან ერთად დარეჯანი ერთ-ერთი ძლიერი და საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ტიპია ბატონყმური ცხოვრებისა. მწერალმა არ დაზოგა ძალა და მხატვრული საღებავები, რათა ცოცხლად წარმოედგინა იგი მკითხველისათვის და მიზანსაც სამაგალითოდ მიაღწია. ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლუარსაბისა და დარეჯანის სახელები უმოქმედობის, სიზარმაცის, გაუმაძღრობის გონებრივი სიჩლუნგის და სხვა მისთანათა სინონიმებად იქცა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ა. ფურცელაძეს თითქოს ილია ჭავჭავაძე ცდილობდეს, რომ „დარეჯანის პიროვნება დაჩრდილოს და იგი უსახოდ, ჩკვდრად გამოიყვანოს, კარგი მონაცემებისა და გონების გარეშე. ა. ფურცელაძე ფიქრობს, რომ „დარეჯანში ბევრია კარგი მონაცემებიცა და გონებრივი შესაძლებლობაც .არც თუ ისე ცოტა გააჩნია“. ვფიქრობთ ეს მოსაზრებაც არ არის სწორი, მითუმეტეს, რომ იგი არ ეთანხმება კრიტიკოსის მომდევნო მსჯელობას. დარეჯანში იმ ჟამად უკვე აღარავითარი რაიმე ხელშესახები „კარგი მონაცემი და გონებრივი შესაძლებლობა“ აღარ არსებობდა. მას შეიძლება ადგილი ჰქონოდა ბავშვობის ადრეულ წლებში, „დარეჯანებს—როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. ფურცელაძე—რომ მოსწრებოდათ კეთილგონიერი დამოკიდებულება, რომ დროზე პატარა ბიძგი ჰქონდათ, გაემოფხიზლებოდნენ, თავის შესაძლებლობას მთელი ძალით გამოამჟღავნებდნენ... მაგრამ დარეჯანი თავის ცხოვრების დასაწყისშივეა გაფუჭებული, მან თავიდანვე ცუდი მიმართულება მიიღო“[1]. და ილია ჭავჭავაძესაც სწორედ ამის ჩვენება სურდა, რაც მან ოსტატურად შეძლო.

ა. ფურცელაძე, როგორც ლუარსაბის, ასევე დარეჯანის გადაგვარების მიზეზს იმ ობიექტურ პირობებში ხედავდა, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება. ეს იყო „წრე, არაკეთილგონიერი პირობები და საზოგადოებისა და აღმზრდელთაგან უცოდინარობა გონებისა და შესაძლებლობის მართებული განვითარების მიცემისა და ბავშვის ხასიათისა და შეგნების ადამიანური მიმართულებისა“.

ა. ფურცელაძის ეს შეხედულება სავსებით ეთანხმებოდა „კაცია-ადამიანის“ ავტორის აზრს. „იმ წრეს—წერდა ი. ჭავჭავაძე,—საცა ბავშვი პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცი-

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 382, 383.

ლებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითოეულ წერას ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ"[1]. ეს სტრიქონები 1888 წელს იწერებოდა, მაგრამ ამაზედ უფრო ადრე, ვიდრე „კაცია-ადამიანი" საბოლოო სახეს მიიღებდა, მის ადრეულ ვარიანტში სახელწოდებით „კაკო", ილიამ სამაგალითოდ გვიჩვენა, თუ უკულტურო და ცრუმორწმუნე ოჯახში, გახრწნილი და ჩამორჩენილი მშობლების ხელში, როზგზე დამყარებულ გიმნაზიაში და მთვლემარე საზოგადოებაში, როგორ ირყვნებოდა პატარა კოლა და ჰკარგავდა ადამიანურ იერს. „ვინ იცის, ჩვენო მკითხველო,—დასძენს გულდაწყვეტილი მწერალი—რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში", მაგრამ აღზრდისა და ცხოვრების მახინჯმა პირობებმა პატარა კოლა და მისი მსგავსნი ლუარსაბის, დარეჯანის და დათიკოს პირუტყვულ მდგომარეობამდე მიიყვანა. მწერალს სწორედ ეს სურდა ეჩვენებინა მკითხველისათვის და მიზანსაც სამაგალითოდ მიაღწია.

„კაცია-ადამიანის" მიმოხილვისას ა. ფურცელაძე შეეხო მოთხრობის სხვა მოქმედ პირებსაც, კერძოდ ლუარსაბის ძმას—დავითს და მის მეუღლე ელისაბედს. დავითის სახეშიც ა. ფურცელაძე, სრულიად სამართლიანად, ქართველი ბრწყინვალე წოდების ტიპიურ წარმომადგენელს ხედავს. „რომლის მსგავსსაც კაცი შეიძლება ყოველ ნაბიჯზე შეხვდეს". ასეთივე ტიპიურ სახეს წარმოადგენს ელისაბედი, ეს ცოცხალი ჭორების ბუდე. რომელიც უსაქმურობით მოღლილი უმაღლეს სიამოვნებას ადამიანთა წაწყმედაში პოულობს.

„უმნიშვნელო როლს არ თამაშობს მოთხრობაში, აგრეთვე მაჭანკალი". ა. ფურცელაძე ნაწარმოების საფუძველზე მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მაჭანკლობა საქართველოში გავრცელებული მოვლენაა და მწერალთან ერთად მკაცრად ილაშქრებს როგორც კასტური წესჩვეულებების. ისე კერძოდ მაჭანკლობის წინააღმდეგ, რომელიც კარჩაკეტილი ცხოვრების პროდუქტს წარმოადგენს.

ამით დაამთავრა ა. ფურცელაძემ საუბარი ნაწარმოების მოქმედ პირთა შესახებ. სამწუხაროდ, იგი არ შეხებია მოთხრობაში წარმოდგენილ ლამაზისეულსა და დათოს სახეებს, არ შეხებია არც მოსე გრძელაძის პიროვნებას, ესენი კი უდავოდ იყვნენ განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი.

დასასრულს, ა. ფურცელაძე შეეხო საკითხს იმის შესახებ „თუ როგორ შესძლო მოთხრობის ავტორმა დასახული ამოცანის შესრულება" და შეეცადა იმ ნაკლოვან მხარეთა წარმოჩენას, რაც მისი აზრით ახასია-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 293.

თებდა ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს და კერძოდ, მის „კაცია-ადამიანს".

პირველი შენიშვნა, რაც ა. ფურცელაძემ ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლის მიმართ გააკეთა, არსებითად იგივე ხასიათისა იყო, რაც ადრეც ქონდა გაკეთებული (1863 წლის „ცისკრის" ივლისის ნომერში). ა. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძე „სხვადასხვა ავტორების გავლენითა წერს" და ამიტომ მას „არ შეუძლიან კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი შრომა". „ლუარსაბ თათქარიძის ტიპის აღებისას და მისი ხასიათის მრავალი მხარის დამუშავებისას ავტორმა თავის გმირს ისეთი ნიშნები მიაწერა, რომლებიც არ ეთანხმებიან ქართველი კაცის საარსებო პირობებს. ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულეს ხედავთ; ზოგჯერ კი არც ისაა, არამედ ხელში რჩება რაღაც ამოკითხული, უშნოდ შეკოწიწებული... უფ. ჯიმშერიძე მოთხრობას მეტად დაუდევრად ეპყრობა".[1] ეს გარემოება კი კრიტიკოსის აზრით მკითხველს საშუალებას აძლევს, რომ „კაცია-ადამიანში" მექანიკურად შემუშავებული ნაწარმოები დაინახოს.

სამწუხაროდ, ა. ფურცელაძე არ მიუთითებს თუ რა არის ლუარსაბ თათქარიძეში ისეთი, რაც „არ ეთანხმება ქართველი კაცის საარსებო პირობებს" მაგრამ უფრო მეტად სამწუხარო ის არის, რომ კრიტიკოსის ეს დებულება არ გამომდინარეობს იმ მსჯელობიდან, რაც მან ამავე წერილის წინა ნაწილში განავითარა. თუ ლუარსაბ თათქარიძე „უშნოდ შეკოწიწებული" ტიპია, თუ ავტორი „მეტად დაუდევრად ეპყრობა" მოთხრობას და არ ახდენს მასალის გონიერ შერჩევას, მაშ როგორ მოხდა, რომ მოთხრობა „შეუდარებლად ახლოსაა ცხოვრებასა და სინამდვილესთან"? როგორღა დავუჯეროთ ა. ფურცელაძეს, როდესაც იგი ხაზგასმით აცხადებს, რომ „ავტორმა შეიძლო შეერჩია ისეთი ფაქტები მოთხრობისათვის, რომელთაც შეუძლიანთ თამამად გამოსახონ მოთხრობის იდეა და დაახასიათონ მოქმედი პირები". ლუარსაბ თათქარიძეში ბევრი რამ არის ისეთი, რაც დამახასიათებელი იყო რუს ან სხვა რომელიმე ერის მემამულეთათვის, მაგრამ ეს გარემოება აიხსნება არა ბრმა წამბაძეელობით, არამედ ძირითადად იმ გარემოებით, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ინსტიტუტი მემამულეებში აყალიბებდა მსგავს თვისებებსა და ხასიათებს: უმოქმედობასა და სიზარმაცეს, ფლიდობას და მიამიტობას, კონსერვატიზმს და გონებრივ სიბრმავეს და სხვა. ილია ჭავჭავაძის ბასრი კალამი სწორედ ამ მახინჯ მოვლენებს შეეხო და საამკაროზედ გამოიტანა ისინი. ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ზოგადი ხასიათები მოგვცა კონკრეტულ ნაციონალურ ინდივიდუალურ სახეში. „კაცია-ადამიანში" ილია ჭავჭავაძემ „პირდაპირ უჩვეულო ძალით დაგვისატა ადამიანთა ხასიათები. ეს ადამიანები მან ისეთ ტიპიურ სიტუაციებ-

[1] ქართული ლიტერატ. კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 389.

ში წარმოგვიდგინა, რომლებშიც საესებით ნათლად გამოვლინდა ბატონყმური წყობილების არსი"[1].

ა. ფურცელაძეს მიაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში ილ. ჭავჭავაძე მოთხრობაში „უმსგავს გადამლაშებასაც უშვებს". ასეთ უმსგავს გადამლაშებად" კრიტიკოსს ლუარსაბ თათქარიძის მიერ ჭერში ბუზების თვლა მიაჩნია და აცხადებს: „ლუარსაბი უკვე იმხელაა და იმდენი ბუზი დაუთვლია თავის ახალგაზრდობაში, რომ შეუძლებელია იმის დაშვება, თითქოს მას ასე ართობდეს; ბუზების დათვლა შეუძლიათ მხოლოდ ბავშვებს ექვსიდან ათი წლის ასაკამდე და არა ხანში შესულ ლუარსაბს, რომელსაც შეუძლია გამონახოს წლოვანებისა და ხასიათისათვის უფრო მეტად შესაფერი გასართობი თავისი უმოქმედობის ხანს"[2]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ არავითარ გადამლაშებას არა აქვს ადგილი. ლუარსაბ თათქარიძის ტრაგედია იმაშიც მდგომარეობდა, რომ იგი თავისი გონებრივი დონით არა თუ ბევრად მაღლა არ იდგა 6—10 წლის ბავშვზე, არამედ ხშირად ჩამორჩებოდა კიდევაც მას. ილია ჭავჭავაძე მშვენივრად ხედავდა, რომ ბატონყმურმა წყობილებამ გადააგვარა ადამიანი, „ბრწყინვალე" წოდების ბევრი წარმომადგენელი აბსოლუტურ გონებრივ სიჩლუნგემდე მიიყვანა, რომელთათვისაც მოუსაზრებლობა, სისულელემდე მისული მიამიტობა და აზრობრივი ხასიათის შეცდომები შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენენ. ლუარსაბის მიერ ჭერში ბუზების თვლა და მისი პაექრობა დარეჯანთან, მშვენიერი სურათია გამოთაყვანების საფეხურზე მდგარი „ბრწყინვალე" თავადის დასახასიათებლად და არავის ეჭვი არ ეპარება, რომ გონებრივი განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგარ უმოქმედო და სიზარმაცისაგან დამძიმებულ თავადს, რომელიც დილიდან დაღამებამდე და დაღამებიდან დილამდე ტახტზე გორაობით ნებივრობდა, არ შეეძლო გამოენახა „უფრო მეტად შესაფერი გასართობი თავის უმოქმედობის ხანს", როგორიც ბუზების თვლა იყო. ეს მძაფრი სატირული სცენა ილ. ჭავჭავაძეს საუცხოოდ აქვს მოფიქრებული და გაშლილი.

ა. ფურცელაძეს ნაწარმოებში არც იმ ზღაპრის შეტანა მოსწონს, რომელსაც დარეჯანი უამბობს ლუარსაბს რუსთ ხელმწიფის ბაღში „ქეთილისა და ბოროტის" ხის არსებობის შესახებ, რადგან „ცნობილია, რომ ასეთი გადმოცემანი არა თუ არ არსებობს, არსებობაც კი არ შეუძლია ქართველთა შორის"-ო. ვფიქრობთ ეს მოსაზრებაც არ არის სწორი. მართალია ზღაპარი იმ სახით, როგორც იგი „კაცია-ადამიანშია" შეტანილი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში არ გვხვდება. მაგრამ ამბავი „ხე ქეთილისა და ბოროტის" შესახებ ბიბლიაში საკმაოდ საინტერესოდაა მოთხრობილი. სავარაუდებელია, რომ ბიბლიის საფუძველზეა წარმოქმნილი ზღაპრების ის ცალკეული ვარიანტები, რომელნიც იხსენიებენ ხეს ბოროტისას

[1] გრ. კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის", გვ. 335.

[2] ქართული ლიტერატურული კრიტ. ისტორიისათვის, I, გვ. 389.

და კეთილისას. ფოლკლორისტების აზრით ზღაპარი ეპოკრიფული წარმოშობისა უნდა იყოს და მოსიარულე სიუჟეტთა რიგს მიეკუთვნება. ილ. ჭავჭავაძემ, რომელიც ქარგად იცნობდა ბიბლიას, ძველ და ახალ აღთქმას, იცნობდა მოსიარულე სიუჟეტებს, ზღაპარს თავისებური ინტერპრეტაცია გაუკეთა და შეიტანა ნაწარმოებში. ამ ზღაპრის გამოყენებით ილ. ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „მოზრდილი ადამიანისათვის უპატიებელ და სამარცხვინო მეამიტობას“ და გულბრყვილობას, რომელიც სისულელეში გადადის, რაც დამახასიათებელი იყო უწყინარი ცოლ-ქმრისათვის. აქვე იმ გარემოებაზედაც უნდა მივუთითოთ, რომ არც ა. ფურცელაძის წერილის გამოქვეყნებამდე და არც მისი გამოქვეყნების შემდეგ არავის არ ჩაუთვლია ცოდვად მწერლისათვის არანაციონალური წარმოშობის ზღაპრის, ლეგენდის ან ამბის ნაწარმოებში გამოყენება, მითუმეტეს, თუ იგი კარგად გამოხატავდა ნაციონალური ტიპის ხასიათს და რატომ უნდა გაჰკვირვებოდა იგი ა. ფურცელაძეს?

ა. ფურცელაძეს ყველაზედ დიდ ხარვეზად ის გარემოება მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძე „ძლიერ ხშირად, მიუხედავად რაოდენადმე ნაკითხობისა,... შეუფერებელ დასკვნებს აკეთებს. ლუარსაბის საცხოვრებლის აღწერისას იგი ამბობს: „-მაშ რაღაა სდგას ეგრე ცუდათ? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით“.

ეს რა აქსიომაა? ალაჰმა უწყის.

„სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? — ამბობს ჯიმშერიძე. — „ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ?“.

რატომ და რისთვის არ მოთავსდებიან ქართველი და სიძუნწე?“[1].

ვფიქრობთ რეცენზენტმა ნამდვილად ვერ გაიგო ის რის თქმაც სურდა ილია ჭავჭავაძეს ზემოთ მოტანილი ადგილებით. საქმე იმაშია, რომ იქ საკმაოდ ძლიერი ირონიით ქართველი თავადაზნაურობის სწორედ იმ უარყოფით თვისებებზე და მხარეებზეა მინიშნებული, რაც დამახასიათებელი იყო მათთვის. მაგალითად, ა. ფურცელაძისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ქართველი თავადაზნაურობისათვის სიძუნწე ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც ლუარსაბის აზრით—ბატონყმობის გადავარდნა. ქეიფსა და დროსტარებაში გართული გაზარმაცებული ქართველი თავადაზნაურობა უმწყალოდ ანიავებდა სარჩო-საბადებელს, მამაპაპურ დოვლათსა და მიწა-წყალს, მათი ავლა-დიდება თანდათანობით ჩარჩ-ვაჭართა ხელში გადადიოდა და ერთი წუთითაც არ ფიქრობდნენ, რომ ქონებას დაზოგვა ესაჭიროებოდა, ხოლო მამულს მოვლა-პატრონობა. დაუსრულებელი ჰარი-ჰარალე ეროვნული უბედურების ერთ-ერთი ჰომასწავებელი ნიშანი იყო, რასაც გამჭრიახი თვალით ამჩნევდა ილ. ჭავ-

---

[1] ქართული ლიტერატ. კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 390.

ჭავაძე და თავადაზნაურობას გონიერი, მომჭირნე ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ისიც იცოდა, რომ შეიძლებოდა ადამიანი კისრამდე სავსე ყოფილიყო დოვლათით, მაგრამ მაინც ცუდად ეცხოვრა, რადგან არ შეეძლო ქონების რაციონალურად გამოყენება.

ნაწარმოების მეორე თავში ილია ხაზგასმით მიუთითებს, რომ ლ. თათქარიძეს ჰყავდა „ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც უმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის... ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, უმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, — ვინც გამოუყენება იცის, — კაი ლუკმა არის“, მაგრამ ყოველივე ეს „გულშეუტკივარად თავმინებებული“ იყო, თავადაზნაურობის მეურნეობას ფლიდი მოურავები განაგებდნენ და ყოველდღიურად აპარტახებდნენ მას. ილ. ჭავჭავაძემ სწორედ იმ უდარდელობაზე, უზრუნველობაზე და დაუდევრობაზე მიუთითა, რაც დამახასიათებელი იყო ქართველი თავადაზნაურობისათვის და რაც ჭეშმარიტად აქსიომას წარმოადგენდა. იცნობდა რა ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრებას, ილია ყოველთვის ფაქტიური მასალიდან ამოდიოდა და მისი დასკვნებიც, ამ მასალაზე დაყრდნობით, არ იყო მოულოდნელი და შეუფერებელი. ბრძოლა უქნარობისა, დაუდევრობისა და უდარდელობის წინააღმდეგ ილ. ჭავჭავაძეს არასოდეს შეუნელებია არც ქართველი თავადაზნაურობისა და არც გლეხობის მიმართ და ამ მიზნით იგი სატირასაც იყენებდა. „კაცია-ადამიანის“, ილიას მთელი შემოქმედების და იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ცოდნას არ უნდა მიეცა საფუძველი ფურცელაძისათვის ასეთი უცნაური კითხვების დასაყენებლად. მაგრამ ალბად ამ შემთხვევაშიც ნიჰილიზმმა გადასძლია.

აშკარაა ნიჰილიზმი მჟღავნდება იმ დასკვნაშიც, რომელსაც ა. ფურცელაძე წერილის დასასრულს აკეთებს. მისი აზრით „რაც შეეხება ადამიანის შინაგან სამყაროს, ეს უფ. ჯიმშერიძისათვის სრულიად მიუწვდომელია. გარდა ლუარსაბის სიზმრისა არსად არ ჩანს, რომ იგი ადამიანის გრძნობათა გამოვლინებას სულის სიღრმიდან კრეფდეს“.[1] ეს ბრალდება კი მეტისმეტად მძიმეა, მაგრამ ამავე დროს მეტად პარადოქსალური. ილ. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო კალმის ერთი მოსმითაც კი საკმაოდ ძლიერად გამოეხატა ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სულის მოძრაობა, ფიქრი, აზრი და გრძნობა. ამის ნათელ დადასტურებას ილიას მთელი შემოქმედება და კერძოდ კი „კაცია-ადამიანი“ წარმოადგენს. ჩვენ აქ არ შევუდგებით კონკრეტული მაგალითების მოტანას, რადგან ეს საკითხი

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I. გვ. 390. იგივე მოსაზრება განავითარა ა. ფურცელაძემ 1872 წელს (იხ. „მნათობი“, 1872 წ., № 10—11—12).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მკვლევართ საკმაო სიცხადითა აქვთ გარკვეული.

ამრიგად, მიუხედავად მთელი რიგი არსებითი ხასიათის ხარვეზებისა და შეცდომებისა, ა. ფურცელაძის წერილს „კაცია-ადამიანის" შესახებ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ნაწარმოების გაგებისათვის, ისე ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში.

ყურადღების ღირსია აგრეთვე რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ა. ფურცელაძემ განავითარა 1872 წ. წერილში „საწყალი კუდაბზიკა". კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ილ. ჭავჭავაძე „აწერს ცხოვრებას იმას, რაც თვით ცხოვრების მიმდინარეობიდამ. რაც ცხოვრების მიზეზებიდამ, რაც გარეშემო მოვლინებიდამ ხშირად არ წარმოსდგებიან"[1] და რომ ილიას არა აქვს ფსიქოლოგიური ცნობა კაცის გულისა. ეს გარემოება კი, კრიტიკოსის აზრით უარყოფითად მოქმედებს ქართულ მწერლობაზე, რადგან ილიას ავტორიტეტი ძალიან დიდია და „უველა მისი ბრმა მბაძავი სრულიად აღარ ჰფიქრობენ ღრმათ საქმეში ჩახედვას და საქმის გაცნობას". თავის დებულების დასადასტურებლად ა. ფურცელაძე ასახელებს გ. წერეთლის „ჯიბრს" და „ჩვენი ცხოვრების უკვავილს". „რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აღწერილი ჭავჭავაძის ნაკლულებები".

ზემოხსენებული შეხედულებებიდან ერთი უდავოა:— ილ. ჭავჭავაძის ავტორიტეტი, როგორც მწერლისა და მოაზროვნისა, მართლაც დიდი იყო. მან შექმნა გარკვეული სკოლა და აღზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა მწერლებისა და თუ ამ უკანასკნელთა შემოქმედებაში ზოგიერთმა ნაკლოვანებამ იჩინა თავი, ეს მათი ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიჭის მიზეზით უნდა აიხსნას. გ. წერეთლის შემოქმედებას უდავოდ ამჩნევია ილ. ჭავჭავაძის გავლენის კვალი, მასში მოჩანს აგრეთვე რიგი ნაკლოვანებანი, რომელიც დაუმსახურებლად ა. ფურცელაძემ ილ. ჭავჭავაძეს მიაწერა, მაგრამ ეს აიხსნება არა ილ. ჭავჭავაძის გავლენით, არამედ იმ გარემოებით, რომ გ. წერეთელი, როგორც ბელეტრისტი, ილ. ჭავჭავაძესთან შედარებით სუსტია.

ილ. ჭავჭავაძისათვის წარმოუდგენელია ცხოვრებას მიაწეროს ის, რაც „ცხოვრების მიმდინარეობიდამ" არ წარმოსდგება. მან ძალიან კარგად იცის, რომ „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან" და რომ ცხოვრებას ხელოვნურად ვერაფერს მიამყნობ. ილიას თეორიულ დებულებათა პრაქტიკულ განხორციელებას მისი მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს, სადაც ძნელია მოიძებნოს მაგალითები, რომ მწერალი ცხოვრებას აწერდეს იმას, რაც მისი შინაგანი კანონზომიერებიდან არ მომდინარეობდეს.

ა. ფურცელაძე არ იზიარებს იმ მოსაზრებას „ვითომც ახალი მიმარ-

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ 390.

თულება და აზრები იყვეს დაწყობილი და შემოღებული ჩვენში ილია ჭავჭავაძისაგან". მისი გაგებით ყველა ის აზრები და შეხედულებანი, რაც ილიას შემოქმედებაში იჩენს თავს გვხვდება გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ზ. ანტონოვის და დ. ჭონქაძის შემოქმედებაში. ილიას დამსახურება კი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან მხოლოდ „გააცხოველა ეს აზრები და მიმართულება სხვა თავის ტოლებითურთ, რომლებშიაც ერთი პირველი ადგილთაგანი მაგას ეპირა".

აქ უკვე სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. როგორც გრ. ორბელიანი, ასევე განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილი ილ. ჭავჭავაძის წინამორბედნი არიან. ილია დიდი სიყვარულით ეკიდება და არა ერთგზის იმოწმებს მათ. ის ძლიერი პატრიოტული გრძნობა და პატრიოტული სული, რაც დამახასიათებელია მათი შემოქმედებისათვის და საერთოდ ქართული ლიტერატურისათვის, ილიამ განვითარების ახალ საფეხურზედ აიყვანა და ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად ახალ სამოსელში გახვია. ბევრია საერთო ერთი მხრით ზ. ანტონოვისა და დ. ჭონქაძის, ხოლო მეორე მხრით ილ. ჭავჭავაძის შეხედულებათა შორის ძირმომპალი ცხოვრებისა და ბატონყმური ინსტიტუტის წესახებ. შემხვედრი ხაზები დაიძებნება სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებებთანაც, მაგრამ ეს გარემოება არავითარ უფლებას არ გვაძლევს, რომ ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი მხოლოდ და მხოლოდ მათი აზრების განმაგითარებლად მივიჩნიოთ და არ დავინახოთ ის სიახლე, რომლითაც მათ მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ეს საკითხი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ნათლად არის გარკვეული, ამიტომ აქ მასზედ აღარ შევჩერდებით.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას გაკვრით შეეხო მ ღ ვ ი მ ე ლ ი ც წერილში „ჩუნი დროების მწერლები", რომელიც დაიბეჭდა „ცისკრის" 1865 წ. აპრილის, ივლისისა და ოქტომბრის ნომრებში. წერილში ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ეხება აგრეთვე, ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „ქართულ ქრესტომატიას" და უსაყვედურებს შემდგენელს, რომ მან წიგნში არ შეიტანა თანამედროვე მწერლების, კერძოდ კი ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ლექსები და მიუთითებს, რომ „ეს ორი ჩუნი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ სჯით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან". მოაქვს რა ნიმუშები ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის და ილ. ჭავჭავაძის ლექსებიდან, მღვიმელი დასძენს, რომ ეს სამი პოეტი „არა თუ ქართულ ლიტერატურაშიდ, რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც მაღლა დგას გენიით. ვიტყვი თამამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორს მოიტოვა"[1]. მართალია, ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის და ილ. ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საკმაოდ დიდია, მათი შემოქმე-

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 394.

დებითი ნიჭი სადავოდ არავის გაუხდია, მაგრამ მღერმელისეული დასკვნა მაინც ერთგვარ გადაჭარბებად მიგვაჩნია.

1864 წელს კ. ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოსცა ლექსთა კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით, რომელშიც შეტანილი იყო, აგრეთვე, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლექსები. კრებულის გამოსვლას ერცელი რეცენზიით გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. აკაკის რეცენზია დაიბეჭდა „ცისკარში“ 1865 წლის სექტემბრის ნომერში.

„ჩონგურის“ უპირველეს ღირსებად აკ. წერეთელმა ის გარემოება მიიჩნია, რომ კრებული ეროვნული სულის გამომხატველი იყო. მას „ასხია ქართული ხორცი, უდგია. ქართული სული, სტირს და ჰკვნესის ქართველების კვნესით... მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალი თაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე“.[1]

აკ. წერეთელი მკაცრად ილაშქრებს იმ არასწორი შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ილ. ჭავჭავაძე თითქოს „ჭაპან-წყვეტით ლექსების მწერალია, რომლის ლექსებშიაც არც სულის განმაცხოველებელი პოეზია იპოება და არც სასმენელის დამტკბობი გარმონია ისმის“ და რომელიც ვეოაფერს ხედავს დადებითს ილიას პოეზიაში და ელაღებით უარჰყოფს მას. მართალია, აკაკისაც არ მოსწონს ილიას ლექსები პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით, მაგრამ მათში იგი სხვა რიდ ღირსებას ხედავს, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

აკ. წერეთელი პირველი იყო, რომელმაც შეამჩნია და ამავე დროს ბაზგასმით მიუთითა იმ საერთო თვისებებზე, რაც დამახასიათებელი იყო ნ. ბარათაშვილისა და ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. უფრო მეტიც. აკაკი წერეთელმა, პირველმა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, გამოთქვა სავსებით სწორი მოსაზრება იმის შესახებ. რომ „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთ გვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყარები არიან, ერთს გაუწყვეტლის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია“[2].

რით არის დაუვიწყარი და ღირსშესანიშნავი აკაკის აზრით ნ. ბარათაშვილი ჩვენი მწერლობისათვის? პირველ ყოვლისა იმით, რომ „ძველი მწერლების ლექსებში ჩვენ ვერაფერს ვხედავთ გარდა ბუნების აღწერისა სიყუარულისა, ღვინის, ვარდის, ბულბულის და ვირისა... აი, ამ გვარ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი და ამ გვარათ სტუდენტენ მისი მწერლები, როდესაც პირველად გამოვიდა ჩვენს ხალხში ბარათაშვილი“ რომლის პოეტური სიტყვა, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მხრივ, სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურაში. რა თქმა

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 394.
[2] იქვე, გვ. 395.

უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით აკაკის ძველი მწერლობის ამგვარ შეფასებაში, ამ შემთხვევაში დიდი პოეტი უდავოდ სცოდავდა, მაგრამ რომ ნ. ბარათაშვილი ახალი, თავისებური და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში, ეს უდავოა. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში მკაფიოდ გამოვლინდა მეამბოხე სული ეპოქის წინააღმდეგ მიმართული პოეტისა და ტრაგედია სულიერი ობლობით გამოწვეული. სწორედ ამ სულიერი ობლობის თვალსაზრისით პოულობს აკაკი ერთგვარ შემხვედრ ხაზებს ნ. ბარათაშვილსა და ილ. ჭავჭავაძეს შორის. „საბრალო იყო პოეტი დაობლებული მარტო უდაბნოში, ვერავის მიმხდომი. — და თჳთ უკეთ გვიხატავს თჳს მდგომარეობას შემდეგის სიტყვებით:

არღა აჭუს ნდობა მას ამა სოფლის,
ეშინიან, ეკრძალვის, არღა იცის
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა და სხუანი.

საკჳრველია, რომ ეს ჰაზრი მეორე ჩუენმა სასიქადულო მწერალმაც თ. ი. ჭავჭავაძემ სხუა სიტყუებით გამოსთქუა:

მაგრამ, მამულო ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..[1]

მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ნ. ბარათაშვილის „სული ობოლი“ და ილ. ჭავჭავაძის „მას აქეთ რაკი შენდამი ეცან მე სიყვარულით“ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. „სული ობოლი“ რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი მოწყენილობის, მარტოობის და უიმედობის გრძნობის მკაფიო გამოხატულებაა, რაც ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს, ილიას ლექსიდან კი არ ჩანს უნდობლობა „ამასოფლისა“ და არც შიში და კრძალვა „საძაგელი ცხოვრებით“ გამოწვეული (თუმცა ეს გრძნობა პოეტისათვის უცხო არ იყო 50-ანი წლების მიწურულში), მაგრამ ერთგვარი რომანტიკული იერი მაინც დაჰკრავს ლექსის ბოლო სტროფს, რაც აახლოვებს მას ნ. ბარათაშვილთან.

აკ. წერეთელი სავსებით სწორედ მიუთითებს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნ. ბარათაშვილმა სრულიად ახალი გზით წარმართა ქართული ლიტერატურის განვითარება. მაგრამ „დიდმა ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს“. მართალია, აკაკი ყურადღების გარეშე არ სტოვებს ისეთ მწერლებს, როგორიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი და სხვანი. მაგრამ პოეტი მათი შემოქმედების შესახებ არასწორ თვალსაზრისს ავითარებს. მისი აზრით „ამათ ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ“, წერდნენ ლექსებს, მაგრამ „იმათი მღერა, რასაკვირველია,

[1] ქართ. ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 399.

ჩხავილი იყო და არა სტვენა, რადგანაც თვითონაც არა ბრძანდებოდნენ ბულბულები".

მართალია, ზემოხსენებულ პოეტთა შემოქმედება XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერ წარიმართა იმ გზით, რომელიც ნ. ბარათაშვილმა ქართული ლიტერატურის წინაშე დასახა, მაგრამ ასე ხელაღებით მათი შემოქმედების გაბიაბრუება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

აკ. წერეთელი სწორედ შენიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე ქართულ ლიტერატურაში „სიკოტრის ჟამი" სუფევდა. მაგრამ ეს აიხსნება არა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის ან. რ. ერისთავის კალმის სისუსტით, არამედ სულ სხვა გარემოებით. საქმე იმაშია, რომ 1846 წელს სამუდამოდ დადუმდა ალ. ჭავჭავაძის ჩანგი და მის მიერ დატოვებული ლიტერატურული მემკვიდრეობა, ძირითადად, მკითხველ საზოგადოებაში მხოლოდ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა და ისიც ნაწილობრივ. გრიგოლ ორბელიანი 1851 წლიდან 1860 წლამდე, თითქმის აღარაფერს ქმნის, მეტად მცირე პროდუქტიულია ვ. ორბელიანი 1850-დან 1866-წლამდე (დაწერილი აქვს მხოლოდ ორიოდე ლექსი). ჟურნალ „ცისკრის" რეაქციული ფრთის „ხელი გავიქნიე ფეხი"-ს პოეზია კი, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გამოხატავდა ეპოქის წინაშე მთელი სიმწვავით წაყენებულ მოთხოვნილებას. და აი, „ამ სიკოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირველად, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმონტოვით და სხ. მაგრამ ბოლოს დააგდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამად, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა,—„აი რა უნდა ეთქო თქუსნთჳს ბარათაშჳლსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო" ერთი სიტყვით ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკარნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული"[1]. აკაკი წერეთლის ეს დებულება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობამ საკმაოდ განამტკიცა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალა მოგვაწოდა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ (იხ. ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1951 წ., გვ., XLII—XLIX). დიდია ნ. ბარათაშვილის დამსახურება ილ. ჭავჭავაძის წინაშე: „სულით ობოლი" პოეტი ილიას სულიერი წინაპარი აღმოჩნდა. „ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის შემდეგ ქართულ ლექსს მისცა ფილოსოფიური სიღრმე, მან ქართულ პოეზიას ბარათაშვილის შთაგონებით ახალი გზა უჩვენა და ახალი პორიზონტები დაანახა"[2].

რა არის ის არსებითი ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, რომლითაც იგი აკაკის ყურადღებას იმსახურებს? ეს არის ის, რომ „ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას", იმ ტკივილებს, რომელიც აწუხებს ჩვენ ცხოვრებას. „მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს

[1] ქართ. ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 402.

[2] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 1950 წ., გვ. 275.

ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თჳთონ არის; ავიღოთ მისი ჰკუიანი ლექსი, მაგალითად, „გუთნის დედა“. რა კარტინას გვიხატავს ავტორი? ასე ჰგონია კაცს, რომ სერზედ შემჯდარი ჰკვჰავაძე მიჩერებია გულგრილად მოღიღინე გუთნის დედას და ეუბნება: „შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასაო“[1]. ვფიქრობთ, რომ ასეთი შთაბეჭდილება არ უნდა იქმნებოდეს ლექსის წაკითხვის შემდეგ. ნაწარმოების ამგვარი დახასიათება სავსებით შეეფარდება დიმიტრი ბერიძის (ბერიევის) ლექსს „გუთნის დედას“, რომელიც „ცისკრის“ მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა 1860 წელს. დ. ბერიევი იდილიურ ფორმაში ხატავს რა ყმა გლეხის მდგომარეობას, მართლაც ეუბნება მას: „შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასო“:

გუთნის დედაო ყველას სჯობიხარ
როს თავისუფლად დაბადებულხარ,
ეგ შენი ღვაწლი და შენი შრომა,
შენ მოგანიჭა კეთილმა დრომა...
ოდეს პერანგა საკინძ გახსნილი,
შენ გუთანზედა მოგივა ძილი,
ამა გვითხარი მას რა სჯობია,
დროს უკეთესი რა უშობია?

ილიას ლექსიდან კი ოდნავადაც არ ჩანს „გულგრილად მოღიღინე გუთნის დედის“ სახე. პირიქით მასში ჩვენ ვხედავთ პირუტყვის მდგომარეობამდე მისულ გაღატაკებულ გლეხს, რომელსაც „ზეცა წაართვეს ძალით“ და რომელსაც თავის ჭირისა და თავის წუხილის, თავის კაცობის გულის დუღილის სიტყვანი გულში ებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან. ილიამ გლეხს საკუთარი პირით ათქმევინა „კაცობრიობის გულის დუღილი“, რითაც მკვეთრად წარმოგვიდგინა რეალური სინამდვილე.

დაახლოებით ასეთივე აზრისაა აკაკი ილიას მეორე ლექსზეც: „ხმა სამარითგან“ აქაც „ჩუნ სამარიდგან კი არ გვესმის ხმა, ეხლა ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც, როგორც სასტიკი მსაჯული ეუბნება შემცოდეს: „შენ ეს ცოდვები გაქვს და ესაო“.

აკაკის, აზრით ლექსში „ხმა სამარითგან“ „პოეზიის ნატამალიც არ იპოებაჲ, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსების შემარცვლა უსწორ-მასწორია და რიხმაც, პირველი სიმდიდრე ჩუნის ლექსისა, არ სად სჩანს“[2]. საერთოდ ილიას ლექსები აკაკის შეხედულებით ხელოვნების თვალსაზრისით არ არიან დიდი ღირსებისა, იგი ზოგჯერ „ამახინჯებს ქართულს და სიტყვებს კვეცავს, რომ ძალდატანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე, მაგრამ მის ლექსებში არის ჰკვიანი აზრი, ეს უდიდესი საუნჯე მწერლისა. ამ მხრივ აკაკის განსაკუთრებული ყურადღების

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 402.
[2] იქვე, გვ. 403.

ღირსად მიაჩნია ილიას „პოეტი“ ამ ლექსში გატარებული კაცური აზრი. ილიას გარდა არავის უთქვამს. „ამისი ერთს სტრიქონს, ფუთობით, რომ შიბოძოთ ჩუსნის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რიხმებიც, არ გავცვლი; და მიზეზიც ეს არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ბეშმარიტებას, ჩუსნს ნაკლულევანებას და ჩუსნს საჭიროებას და ამისათვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“[1]. თუ ილია ერთგვარად მოისუსტებს პოეზიაში, სამაგიეროდ, იგი ძლიერი და შეუდარებელია პროზაში, აკაკის მართებული შენიშვნით ილიას „კაციადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტად დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში.

დასასრულს აკაკი მოუწოდებს „განათლებულ მსწავლულთ“, რათა ხელი მოჰკიდონ ლიტერატურულ კრიტიკას და უკუაგდონ ის მცდარი აზრი, „რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დასწეროს მისი განხილვაო“. „ის კაცი,—შენიშნავს აკაკი;—რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო“[2].

ინტერესმოკლებული არ არის 1865 წელს „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი დიმ. ჯანაშვილის (ინგილო ჯანაშვილი) წერილი სათაურით „მახე“, რომელიც პოლემიკური ხასიათისაა და მართულია იმავე წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაბეჭდილი ღვიძელის წერილის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

დიმ. ჯანაშვილი სასტიკი წინააღმდეგია ძველი ლიტერატურის ხელახლებით გაბიაბრუებისა და თვით მღვიმელის სტატიისა, რომელიც „შესდგება მამაპაპის, ჩუბინოვისა და ერთისა, როგორც ეძახის პატივცემული კრიტიკოსი, ღვიმელი, „ქართველის მიწის შვლის კრიტიკოსისა“ ლანძღვით, ძაგებით და დამცირებით, ჩუსნი ენის დაცემის მიზეზის მამაპაპის კისერზედ მოხვევით“[3]. უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხარვეზებს და ჩრდილოვან მხარეებს, რაც ქართულ ლიტერატურას გასულ საუკუნეებში ახასიათებდა, დიმ. ჯანაშვილი, სრულიად, მართებულად იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობებით ხსნის. შექმნილ ლიტერატურულ მემკვიდრეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და დასძენს, რომ „წარსულნი შთამომავლობანი, ჩემის აზრით, კარგნი იყვნენ, რაც შეიძლებოდა და საჭირო იყო იმათ ის აღასრულეს“.

თუ დიმ. ჯანაშვილი სამართლიანად აკრიტიკებს ღვიმელს ძველ-

---

[1] ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, გვ. 403.

[2] იქვე, გვ. 404.

[3] იქვე, გვ. 406.

ლიტერატურის შეუფასებლობისათვის და ამ გარემოებას მიუტევებელ შეცდომად მიიჩნევს, სამაგიეროდ თვითონაც ეშვება ანალოგიური ხასიათის შეცდომას, როდესაც იძლევა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შეფასებას. „მეცხრამეტე საუკუნის შთამომავლობას წერს იგი— ჯერ არაფერი არ გაუკეთებია ლიტერატურისათვს: ის ჯერ კიდევ ბურანშია და ქმენას ვერ ასცლია“[1]. დიმ. ჯანაშვილის აზრით ამ კატეგორიის მწერლებს მიეკუთვნებიან ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. მართალია, მათ ბევრი უწერიათ, მაგრამ „ეს იმათი მწერლობა არწერას უდრის, რადგან იმისი სარგებლობა არა სჩანს, მათი თხზულებანი ხალხში არ გატანილა. გარდა ამისა იმათ მეტი შეუძლიანთ გააკეთონ, მაგრამ სიზარმაცის გამო არ აკეთებენ. ამისა გამო იმათი ნიჭი ჩუენთვის სრულებით უნაყოფოა“[2].

დიმ. ჯანაშვილი ფიქრობს, რომ ილ. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბე“ მხოლოდ თავის გამოჩენისა და ეფექტისათვის დააარსა. მან ვერ შესძლო გაემართლებინა თავისივე სიტყვები: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველს ბედმა და დაე გუძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“. თუ სიყრმიდანვე ქართველს ბედმა აიყოლია, კითხულობს დიმ. ჯანაშვილი, მაშ რატომ აღარ განაგრძო ილიამ, ჟურნალის გამოცემა? ამაში კრიტიკოსი ილიას გულგრილობას ხედავს და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომელმაც აიძულა ილ. ჭავჭავაძე, რომ 1864 წლიდან „საქართველოს მოამბის“ გამოცემა შეეწყვიტა. „საქართველოს მოამბის“ დახურვა დიმ. ჯანაშვილის თვალწინ მოხდა და მას უნდა სცოდნოდა ყველა ის მიზეზები, რამაც ეს არასასიამოვნო ფაქტი განაპირობა.

იმ ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით, რომელიც 1863 წლამდის ილია ჭავჭავაძის მიერ უკვე იყო შექმნილი, დიმ. ჯანაშვილს. საშუალება არ ეძლევა გაარკვიოს, თუ რამდენად სასარგებლოა ხალხისათვის ილ. ჭავჭავაძე. როგორც მწერალი. მართალია. „გლახის ნაამბობსა“ და „კაცია-ადამიანს“ იგი მშვენიერ ნაწარმოებებად მიიჩნევს, რომელნიც „ხალხისთვს ცალკე რომ იყოს დაბეჭდილი და ხალხი ჰკითხულობდეს, უეჭველია, რომ რამე სარგებლობას ნახამდა: იქნება მიმართულება და აზრი შეეცვალა, მაგრამ ისინი რადგანაც ჟურნალში არიან დაბეჭდილები, რომლის არსებობა ხალხმა სრულებით არ იცის, და თუნდ რომ იცოდეს ვერ იყიდის,—იმას ჰკითხულობენ ისევ ცოტათ თუ მეტათ განათლებულნი, ამისათვს სრულებით ჯერ გამოუსადეგია ჩუენ ხალხისათვს ილ. ჭავჭავაძე თავის მწერლობით და ნიჭით“[3]. ამის შემდეგ დიმ. ჯანაშვილი მთელი კატეგორიულობით აყენებს ილიას წინაშე საკითხს მისი თხზულებების ცალკე წიგნებად გამოცემისას და „თუ ისინი „მოსწმენდენ ხალხს ტანჯვის ცრემლსა და წარუძღვებიან წინა ერსა“, მაშინ ვიტ—

[1] ქართული ლიტერატურული კრიტ. ისტორიისათვის, I, გვ. 414.

[2] იქვე, გვ. 416.

[3] იქვე, გვ. 147.

ყვით, რომ იმან სარგებლობა მოუტანა ხალხს და დიდი „გენიოსი“ პოეტიც არის“.

დიმ. ჯანაშვილის მიერ ილიას ნაწარმოებთა მასიურად გავრცელების საკითხის დაყენება დროული და საესებით მართებული იყო, ეს გარეშეა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა მწერლის შემოქმედების ფართო მასშტაბით გავრცელებას, მაგრამ როგორც „ცისკარში“, ისე „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ილიას მხატვრულ თუ პუბლიცისტურ-კრიტიკულ ნაწარმოებებს იმდენად ძლიერი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდათ, რომ ისინი მთელ ეპოქას ქმნიდნენ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული დიმ. ჯანაშვილის განცხადება, თითქოს ილიას სასარგებლო არაფერი გაეკეთებინოს ქართველი ხალხისათვის. 1865 წლისათვის, როდესაც დიმ. ჯანაშვილის ზემოხსენებული ტრიქონები იწერებოდა, ილია უკვე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულ მწერალი გახლდათ. იგი იყო ავტორი ისეთი ლექსებისა, მოთხრობებისა და წერილებისა, როგორიცაა: „გუთნის დედა“, „პოეტი“, „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ქართველის დედა“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“, „ორიოდე სიტყვა...“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“ და სხვა. ამ დროისათვის „საქართველოს მოამბეს“ უკვე ჰქონდა ნათქვამი თავისი სიტყვა და ილიას ხელმძღვანელობითა და მეთაურობით დახავსებული ცხოვრება უკვე დაძრული იყო ძველი კალაპოტიდან. ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე ახალი ცხოვრების ჰორიზონტები ისახებოდა და ამის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა ილია ჭავჭავაძეს, იგი ქართული კულტურის ისტორიაში მაინც დარჩებოდა, როგორც უაღრესად სასარგებლო პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება.

*

* *

XIX საუკუნის 70-ანი წლების ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე ცაგარლის ვრცელი წერილი, „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელიც ხუთ ფელეტონად[1] გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1870 წელს.

წერილის ქვესათაურის მიხედვით ავტორი ძირითადად ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს“ უნდა შეხებოდა რომელიც 1669 წელს გამოიცა პეტერბურგში, მაგრამ ალ. ცაგარელი სცილდება ამ ფარგლებს და მსჯელობს ილიას სხვა ნაწარმოებებზეც, აქვე ეხება ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა შემოქმედებას და აგრეთვე ქართული ლიტერატურის რიგ მტკივნეულ საკითხებს. ჩვენ ადრე გვქონდა საშუა-

[1] ფელეტონს, ამ შემთხვევაში, იმ გაგებით ვხმარობთ, როგორც ეს გაზ. „დროების“ რედაქციას ესმოდა.

ლება მიგვეთითებინა[1] იმ პრინციპული ხასიათის შეცდომებზე, რომელიც ამ წერილში დაუშვა ალ. ცაგარელმა XIX საუკუნის ქართული მწერლობის შეფასების საქმეში, ამიტომ ამ საკითხზედ აქ აღარ შევჩერდებით, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ალ. ცაგარელს ზოგიერთ საკითხში თვით „დროების“ რედაქციაც არ ეთანხმებოდა და სარედაქციო ხასიათის შენიშვნაში აღნიშნავდა: „თუმცა რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთი ჩვენი მწერლების დაფასებაზედ და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზედ, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიასა“, რადგან იგი პირველად ეხება „ძლიერ საინტერესო, მაგრამ ჯერ გაუხილველ საგნებსა და ღარდა ამისა, შეიძლება ამ სტატიამ ლიტერატურის ასპარეზზედ გამოიწვიოს პიროვნებანი, „რომელთაც მოჰკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვას და უფრო საფუძვლიანად განიხილონ“-ო[2].

ვიდრე „ქაცია-ადამიანის“ განხილვას შეუდგებოდეს, ალ. ცაგარელი, გაკვრით ეხება ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებს და აღნიშნავს: „ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ლანძღეს კიდეც და აქეს კიდეც, მაგრამ არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ“.[3]

ალ. ცაგარელი უდავოდ სწორად შენიშნავს, რომ ილ. ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ქართველი ინტელიგენცია ორ ნაწილად გაიყო: „მამათა“ კონსერვატიული თაობა მკვეთრად დაუპირისპირდა ახალგაზრდა პოეტსა და პუბლიცისტს, ხოლო პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა მხარში ამოუდგა ახალი დროის მესიტყვეს და მასში თავისი იდეური ხელმძღვანელი დაინახა. ეს საყოველთაო ნათელი ფაქტი იყო და მის შესახებ ასევე ნათლად მეტყველებენ 60-იანი წლების „ცისკრის“ ფურცლები, რასაც ალ. ცაგარელმაც გაუსვა ხაზი. მაგრამ ცდებოდა კრიტიკოსი, როდესაც ფიქრობდა თითქოს არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ“.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ, მართალია, ძველი თაობა საფუძვლიანად ვერ ჩასწვდა ახალგაზრდა პოეტისა და პუბლიცისტის ნააზრევს, ბევრი რამ ილიას შეხედულებებიდან მათთვის სრულიად გაუგებარი დარჩა, მაგრამ მათ კარგად გაიგეს და მშვენივრად შეამჩნიეს, რომ ახალგაზრდა სტუდენტის სახით გამოვიდა ადამიანი, რომელმაც თავდა-

---

[1] ი. ბოცვაძე. ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. სადისერტაციო, 1956 წ.

[2] გაზ. „დროება“, 1870 წ., № 2.

[3] იქვე.

ყირა დააყენა ანტონ კათალიკოზის პრემატია და „თეორეტიკა“ და ახალი გზებისაკენ მიუთითა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებასა და აზროვნებას. ეს კი სავსებით საკმარისი და გარკვეული საბუთი იყო ილიას მოწინააღმდეგეთათვის, რათა ახალგაზრდა პუბლიცისტი ლაფში ამოესვარათ. ძველი თაობის კონსერვატიული წრე სრული შეგნებით უპირისპირდებოდა დახავსებული ცხოვრების რეფორმატორს.

ასევე სრული შეგნებით დაუპირა ილიას მსარე პროგრესულმა ქართველმა ინტელიგენციამ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ საფუძვლიანად გაიგეს ილ. ჭავჭავაძის ძირითადი დებულებანი და სახელმძღვანელოდ გაიხადეს ისინი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მთელი სერია წერილებისა: კ. ლორთქიფანიძის „წიგნი მიწერილი რედაკტორთან“, „ორიოდე სიტყვა „ცისკარზე“. ე. წერეთლის „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზე“, „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, აკ. წერეთლის „ახირებული ფურცელი“ და სხვა, რომელიც იმ პერიოდში გამოქვეყნდა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ როდესაც „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ალ. ცაგარლის აზრით ილ. ჭავჭავაძე „ჩრდილს შეეფარა“ მისი მიმყოლი გუნდი წინამძღოლის სიტყვებს იმეორებდა, აფორიზმებად მოჰყავდათ საღმრთო წერილის სიტყვებივით; და აი ამ დროს ქართულ ლიტერატურაში თავი იჩინა სენტიმენტალურმა მიმართულებამ, რადგან „თვით მოღვაწეც კი (ილ. ჭავჭავაძე) არ არის თავისუფალი თავის თხზულებებში „ბებიური გულჩვილობისა და გულმტკივნეულობისაგან“; ამას ეტყვიან სენტიმენტალურ, ანუ ჩვენ ენაზედ, ასე ვთქვათ „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვითინებს, ფრანგების მქადაგებელსავით“.

ცხადია, აქ საკმაოდ უხეშ შეცდომასთან გვაქვს საქმე. რადგან, სენტიმენტალიზმი, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულება ქართული მწერლობისათვის სრულიად უცხოა. უფრო მეტიც. — სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრ გალაშქრებას ჩვენ ჯერ კიდევ 1852 წელს ეხედავთ, როდესაც მიხ. თუმანიშვილმა გაზ. „კავკაზში“ მ. ლივენცოვის რომანზე („ქართული იდილია“) დაბეჭდილ რეცენზიაში სათაურით „მიხაკო და ნინა“, ხაზგასმით განაცხადა, რომ მან დაჰკარგა ყოველგვარი რწმენა XVIII საუკუნის გერმანელ სენტიმენტალისტ გესნერისადმი და მთელი ყურადღება დიკენსსა და გოგოლს მიაპყრო[2]. ზემოხსენებულ წერილში მიხ. თუმანიშვილი უპირისპირებდა რა ერთმანეთს სენტიმენტალისტურ-რომანტიკულ და რეალისტურ მიმართულებას, სრული შეგნებით გეეელინება რეალისტური ხელოვნების დამცველად.

სენტიმენტალიზმის, ე. წ. „ბებიური გულჩვილობისა და გულმტკივნეულობის“ წინააღმდეგ მკაცრი გალაშქრების საუკეთესო ნიმუშს წარ-

---

[1] „დროება“, 1870 წ., № 2.

[2] „Кавказ“, 1852 წ., № 21.

ნიადაგენს ილ. ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვა“... წერილის დასაწყისშივე ილიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სენტიმენტალიზმის მამამთავარს რუსეთში კარამზინს, მის მიმდევარ კაზლოვს და აღნიშნა: „კაზლოვი იყო კარამზინის სხოლის მწერალი. არამც თუ მარტო თავის ლექსებს კოზლოვმა შეჰყარა ჭირი იმ წირპლიან სხოლისა, არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაცა სთარგმნიდა და რომელთაცა სულ არ სცვიოდათ ძალად გაჭიმულ პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი კარამზინსავით და მის მიმყოლ კაზლოვისავით“, რომელსაც ახასიათებდა „ძალად მოყვანილი ცრემლი“, რაც „სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად“[1].

ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის კლასიკური წარმომადგენლის — ილ. ჭავჭავაძისათვის, რომლის მთავარ მიზანსაც იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების დაუნდობელი მხილება წარმოადგენდა და რომლის შემოქმედებაც აღსავსე იყო შეუპოვარი ბრძოლის მოტივებით, უცხო იყო სენტიმენტალური ქვითინი, ეს მას საერთოდ ორგანულად სძულდა და ეზიზღებოდა.

მიუხედავად ზემოთ მოტანილი მსჯელობისა ალ. ცაგარელს ილ. ჭავჭავაძე მაინც მნიშვნელოვან პოეტურ მოვლენად მიაჩნია, რომლის მსგავსნიც „მარტო იბადებიან“. ილიას ჭაბუკობის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან, „როგორც პატარა ცვარში, ცხადათ გამოსჩვირს ბედნიერი პოეტიკური ნიჭი“ და რაც მთავარია — „ღრმა პოეტური ბუნება. რომელსაც ვერსად ვერ იპოვნის და ვერ შეიძენს კაცი, თუ ბუნებით არ არის დაჯილდოებული“[2]. მაგრამ ეს, ალ. ცაგარელის აზრით, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ილიას პოეზია უნაკლო იყოს.“ „ნაკლებულობა იმის პოეზიას მართალია ბევრი აქვს, მაგრამ ღირსება უფრო ბევრი; — იმის პოეზიის ნაკლებულებანი ისეთნი არიან, რომ... შეუძლიან ერთ-ორ წელიწადს ეს ნაკლებულება სრულიად შეიმსოს“[3].

ილ. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის უდიდეს ღირსებად ალ. ცაგარელს ის გარემოება მიაჩნია, რომ ილიას ნიჭი და მოვლენათა ჭვრეტის უნარი არ არის ცალმხრივი, იგი „დაჰყურებს საგანს ყოველმხრივ და მრავალ სხვადასხვა ფერ და გვარ საგანსა“. ილია „არ იღიწყებს დიდათ კაცობრივულ, ჰუმანურ საგნებზედ წერას“. რასაც ნათლად ადასტურებს მისი „მუშა“, „გუთნის დედა“, „ნანა“ და სხვანი.

„მეორე მიუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვა-გამოთქმათ საშინელი და შეუმვრებელი ძალა, გულწრფელობა და გულღიაობა.— აქედან წარმოსდგება იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოველ ს

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, 1953 წ., გვ. 8.
[2] „დროება“, 1870 წ., № 4.
[3] იქვე.

შემძვრელი ზედ-მოქმედება. რომელიც მკითხველის, ახუ ვსმენელის გულს ეტანება და სწვავს", ალ. ცაგარლის მიერ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების ეს დადებითი ნიშანდობლივი მხარეები სავსებით სწორად და მართებულად არის შენიშნული და ხაზგასმული.

აქვე ალ. ცაგარელი პარალელს ავლებს ერთი მხრით ნ. ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის, ხოლო მეორე მხრით ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას შორის, მაგრამ მის დასკვნებს სიზუსტე და გარკვეულობა აკლიათ.

მისი აზრით ილ. ჭავჭავაძის „პოეზია არც ისეთი სევდის და სასოწარკვეთილების ნისლსა ჰგვრის კაცსა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები და არც ისეთ „გოგონა და ძუძუნას" კილოზედ ღიღინებს, როგორც ალ. ჭავჭავაძე. არა, იმას არც იმედი აქვს დაკარგული უკეთეს მომავალზედ და არც დიდი სასოება და მოლოდინი აქვს (მაგ., „ქართველის დედას"), ამის ლექსი მართალია სწვავს გულსა, ჰკბენს, მაგრამ გველსავით კი არა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები, არა ასე ვთქვათ, ტკბილათ, როგორც ყმაწვილი უკბენს დედასა; ამის პოეზიაც სისხლს უმღვრევს მართალია კაცსა, მაგრამ გესლით და შხამით კი არა, როგორც ისევე ის საიქიოდან გამოგზავნილი. როგორც დანტეს ეძახდნენ, ჩვენი ბაირონი — ნიკ. ბარათაშვილი,—არა მარტო წარსული დროების მოგონებათა (მაგ., „არაგვი"), მომავალში სიმხნის მოცემითა („ნანა") ან არა და ღვთის შეწევას მოიწევს ხალხზედ („ღვთის მშობელო ეს ქვეყანა შენი ხვედრია...") და სხვა ამგვარი ლექსებითა ანუგეშებს თავის სამწუხოსა"[1].

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ამგვარი შეფასება არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი. მართალია ნ. ბარათაშვილისათვის დამახასიათებელია სევდა და კაეშანი, მაგრამ არა სასოწარკვეთილება, როგორც ეს ალ. ცაგარელს ჰგონია. ნ. ბარათაშვილის შემოქმედება თავისუფალია აგრეთვე გველური გესლისა და შხამისაგან, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს უწამლავს. მართალია „მისი პოეტური ქმნილებანი ხშირად აღბეჭდილნი არიან ღრმა ტრაგიზმით და დიდი სევდით, მაგრამ ეს ტრაგიკული უიმედობა, რომელიც გამოწვეულია იმ დროის საშინელი სინამდვილით. სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი თითქოს არ ღებულობს ცხოვრებას. პირიქით, ბარათაშვილის შემოქმედებაში ცხოვრება იმარჯვებს. მისი ყოველი ლექსი, როგორი პესიმისტური განწყობილებითაც არ უნდა იყოს დაწერილი, მაინც გაცისკროვნებულია იმედის სხივით და მოქალაქეობრივი დანიშნულების გრძნობით. ჰუმანიზმით არის გამთბარი ბარათაშვილის მთელი შემოქმედება. პოეტის ზრუნვის საგანი, ტრაგიკულ გაფიქრებათა წამშიც, ადამიანია. მისი პოეზიის მამოძრავებელი ღერძი ადამიანური რწმენაა. მისთვის უცხოა დემონური საწყისი. ამიტომაა, რომ პოეტი არ ემორჩილება მის

[1] „დროება", 1870 წ., № 4.

წინ აღმართული მაცდური დემონის აჩრდილს—„ბოროტ სულს“ და გაბედულად უკუაგდებს მას“[1]. სწორედ ბარათაშვილის შემოქმედების ამ არსებითმა მხარემ მოხიბლა ილ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს. ადრეულ პერიოდში ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ილიამ ხაზი გაუსვა იმ დიდ იმედს და მომავალის რწმენას, რომელიც უღროდ ჩაჰკვნა პოეტის გულში:

რადგან იმედი და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროდ?

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ილია უფრო ღრმად სწვდება ნ. ბარათაშვილის შემოქმედების არსს, ვიდრე ალ. ცაგარელი. ილიამ საკმაოდ ნათლად შეამჩნია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ის მებრძოლი სული, რაც დამახასიათებელი იყო პოეტისათვის და „წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ აღნიშნა, რომ ნ. ბარათაშვილმა „მართალია, ცის იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლური გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც თავის „მერანის“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მიწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ეძონა მას, არც აწ ეძონოს შენი მხედარი!

ილ. ჭავჭავაძემ ბარათაშვილის უდიდეს დამსახურებად ის გარემოებაც მიიჩნია, რომ მან „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაწაფა“. ამიტომ ითვლება ნ. ბარათაშვილი ილ. ჭავჭავაძის სულიერ წინაპრად.

ალ. ცაგარელი მიუთითებს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების რიგ დადებით მხარეებზე და აღნიშნავს, რომ პოეტს არა აქვს დაკარგული მომავლის იმედი, მაგრამ „არც დიდი სასოება და მოლოდინი აქვს“ მისი. ცხადია, რომ ილიას პოეზიის ამგვარი შეფასება არავითარ შემთხვევაში არ არის ზუსტი და სრული. პირველ ყოვლისა კრიტიკოსის მიერ უგულებელყოფილია მწერლის შემოქმედების მებრძოლი და მამხილებელი ხასიათი და მკაფიოდ არ არის გარკვეული საკითხი, თუ როგორია ილიას დამოკიდებულება მომავლისადმი. ალ. ცაგარლის აზრით, მართალია, პოეტს არა აქვს დაკარგული მომავლის იმედი, მაგრამ არც თუ დიდი სასოება და მოლოდინი აქვს მისი.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი ორჭოფული დამოკიდებულება საკითხისადმი ილიასთვის არ არის დამახასიათებელი. ილ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება სწორედ იმის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს,

[1] გ. აბზიანიძე, ნიკ. ბარათაშვილი, 1955 წ., გვ. 41.

რომ მას სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის იმედი აქვს. „არასოდეს იქნება ჭავჭავაძეს ეჭვი არ შეპარვია, რომ მშობელი ქვეყანა იხილავდა ბედნიერ მომავალს, დაიმსხვრეოდა ბორკილი და ნათელი მომავალი ხალხს სახარულს დაუმკვიდრებდა"[1]. ეს იყო პოეტის ღრმა რწმენა და ეთელი შესაძლებლობით, სწორედ ამ რწმენას უნერგავდა იგი ქართველ ერს.

ილ. ჭავჭავაძის პოეტური ნიჭის ნათელსაყოფად ალ. ცაგარელი განსაკუთრებით ჩერდება ლექსზე „გაზაფხული" და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები „თავისი მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალი მიმდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით, რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ, აგრეთვე რითმის კეთილხმოვანებითა ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებითა და თავისებით ეს ლექსი ღირსია ჰეინეს კალმისა"[2]. ილიას, როგორც პოეტის უდიდეს ღირსებად კრიტიკოსს ის გარემოებაც მიაჩნია, რომ მისი პოეზიის კილო კეთილშობილური,—მაღალ-პოეტურია და თავისუფალია ცინიკური სცენებისაგან.

ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების დადებით მხარეს ალ. ცაგარელი შედარებით ნაკლებად ეხება და ძირითადად ყურადღებას იმ ნაკლოვანებებზე ამახვილებს, რომელიც მისი აზრით, დამახასიათებელია პოეტისათვის. ალ. ცაგარელის მიერ გაკეთებული შენიშვნების ერთი რიგი უდავოდ მართებულია და ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ შენიშვნების მეორე რიგი სრულიად უსაფუძვლოა და რაც მთავარია არ ეთანხმება კრიტიკოსის საერთო შეხედულებას ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე.

ალ. ცაგარელი წერს: „უმეტესი ნაწილი ნაკლულოვანება აქვს ილ. ჭავჭავაძის პოეზიასა გარეგანი ფორმის, ხელოვნების შესახებ,—ენისა და ლექსთ-წყობის შეუმუშავებლობა, აგრეთვე შინაგანი თვისების შეუფარდებლობა, ცოტა გრძნობის ქონვა ზოგ ლექსებში და ბევრი მსჯელობის ჩაჩრა,—ნაციონალური კილოს უქონლობა და უკანასკნელ, შეუფერებელი პოეტის დანიშნულებისა, ხალხთან არშიყობა, გაკილვისა და ძრახვის შიში"[3]. კრიტიკოსის აზრით ილიას ლექსების უმეტესი ნაწილი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს იგი რუსულიდან იყოს ნათარგმნი, ამიტომ მათი აზრი მხოლოდ მაშინ არის ცხადად გასაგები, როდესაც რუსულად თარგმნით.

---

[1] გ. ჯიბლაძე. კრიტიკული ეტიუდები, 1950 წ., გვ. 279.

[2] „დროება", 1870 წ., № 4.

[3] „დროება", 1870 წ., № 6.

ილ. ჭავჭავაძის ზოგიერთ ლექსს, „გარეგანი ფორმის“ მხრივ, მართლაც აკლია დამუშავება. ზოგ შემთხვევაში რითმის გულისთვის სიტყვა შეკუმშული ან გაყრცობილია, მაგრამ ეს გარემოება არ არის დამახასიათებელი პოეტისათვის, როგორც ეს ალ. ცაგარელს ჰგონია.

რაც შეეხება ლექსის ფორმას, მის ზომას, ამ თვალსაზრისით ილიას ქართულ პოეზიაში ახალი არაფერი შემოუტანია. „მაგრამ ახალი ის გუნებ-განწყობილება იყო, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ ეს ძველი ზომა კვლავ სასიცოცხლოდ გაჩოიწვია, ახალი იყო ის გადახალისება, რომელიც მან ლექსიურ მასალას მოუხდინა, ახალი იყო თემები, ბგერათა შერჩევა და სხ...“[1], რაც ალ. ცაგარელს შეუმჩნეველი დარჩა. არის შემთხვევები, როდესაც ილიას ლექსებში ვხვდებით ღარიბ რითმებს, რაც გამოწვეულია ლექსის მწყობრი მდინარების დარღვევით, მაგრამ რიტმი და ლექსის საერთო მუსიკალობა ჩრდილავს ამ ხარვეზს. მართალი იყო ვ. კოტეტიშვილი, როდესაც აღნიშნავდა, რომ „პოეტის გუნებ-განწყობილება ყოველთვის სწორ ზომას ჰპოულობს, და ეს მეტოდია ხშირად იმდენად მიმზიდველია, რომ სტრიქონის ბოლოებს ყურადღებას არც კი აქცევთ. შთაბეჭდილების ცენტრო აქეთ არის გადმოტანილი, ლექსის შინა ქვეყანაში“.

ილ. ჭავჭავაძე რომ უდიდესი გრძნობის პოეტი იყო, ამის ნათელ დასტურებას მისი მთელი შემოქმედება წარმოადგენს. მის სათუთ გრძნობას ჰკლავდა „მწუხარების წყლულთა ტკივილი“, „ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი ქართველის ძილშია კვნესა ესმოდა“. როგორ შეიძლება გრძნობის სიმცირე ვუსაყვედუროთ იმ ადამიანს, რომელსაც სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი გულის სიმებს უთრთოლებდა. ადამიანისა და სამშობლოსადმი ძლიერმა სიყვარულმა ათქმევინა პოეტს ჰეშმარიტი გრძნობით გამთბარი სიტყვები:

მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულო დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვები, ანალოგიური სტრიქონები უხვადაა ილიას პოეზიაში და პროზაში, რაც მისი დიდი მგრძნობელობის მაუწყებელია.

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნ. II, 1925 წ., გვ. 126.

საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ ილიას გრძნობის გარეშე საერთოდ ვერ წარმოუდგენია შემოქმედება. ჯერ კიდევ 1860 წელს თავის პირველ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილში, მან გაჰკიცხა კაზლოვი „იმისათვის, რომ ორიოდე ლექსი აქვს, მართლა-და ცოტა სიამოვნებით წასაკითხავსი და გრძნობით გამთბარნი“ და საერთოდ კი გრძნობა მის პოეზიაში არ ჩანს. ილია დასცინის იმ ძალად პოეტებს, რომელთაც არ შესწევთ არა თუ დიდი გრძნობის გამომჟღავნება, არამედ არა აქვთ უნარი „ძალად გაჭიმული პაწაწინა გრძნობის უმარილოო ცრემლის“ გადმოღვრისაც კი. წერილში, „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, რომელიც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა და რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს ძალა დამწყები პოეტებისათვის, ილია ხაზს უსვამს პოეზიის ემოციონალურ მხარეს, მის დიდ მგრძნობელობით ზეგავლენას მკითხველზე. „პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი.—წერს ილია—ჩვენ მხოლოდ მისი ზემოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა.... პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა ძარგალიტების ამომტანელი“. სწორედ ეს დიადი გრძნობა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ილიას შემოქმედება შეიტკბო და შეისისხლხორცა ქართველმა ხალხმა.

დიდებულ პოეტსა და ჩვენს შორის ნახევარი საუკუნე ჩადგა, მაგრამ დღესაც ვგრძნობთ, და შეიძლება უფრო მეტი სიძლიერითაც, მის გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა და ლხინთა ხატებას.

ალ. ცაგარელი ილიას უარყოფით მხარედ იჭ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ მას ახასიათებს „ლექსებში ბევრი მსჯელობის ჩაჩრა“. ამ დებულების საილუსტრაციოდ კრიტიკოსი „მუშას“ და „გუთნის დედას“ ასახელებს და შენიშნავს, რომ „ხშირად ილ. ჭავჭავაძე იძულებულია თვით ონვე ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზედ მიყუდებული ყმაწვილი, თავისი მოქმედი პირები და მუდამ ჩასჩურჩულებდეს, რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ჰკუითა დიდებათ ეჩვენენ, და არ აცლის თავიანთ ბუნებით, ჰაზრისა და შეგნებისა, გრძნობის შესაფერად რას იტყოდნენ, იმათ ნებაზედ, რომ მიეგდოთ“[1].

მართალია, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში არის „მსჯელობა“, როგორც ალ. ცაგარელი შენიშნავს, ანუ ძლიერია მასში აზრის სიღრმე, ძლიერია ლექსის შინაარსი, მაგრამ ეს ღრმა აზრი, ანუ მსჯელობა არცერთ მის ლექსში ხელოვნურად არ არის ჩაჩრილი. რომ ი. ჭავჭავაძე ლექსის შინაარსს დიდ მნიშვნელობას აძლევს, ეს მისი „პოეტურ სისუსტის ბრა-

[1] „დროება“, 1870 წ., № 6.

ლი კი არ არის, არამედ ასეთი იყო ეპოქის მოთხოვნილება, და ჩვენში კი არა მხოლოდ, ევროპაშიც"[1]. ზოგჯერ ილია მართლაც არ აქცევს ყურადღებას ლექსის ფორმას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გარკვეული მოსაზრებით ხელმძღვანელობს: „ბევრს აქამდისინაც ვერ გამოუბერტყნია გონებიდან ის აზრი, წერს იგი, რომ მაღალი ფრაზით, მდაბალი ფრაზით და საშუალო ფრაზით წერას სრულიად არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. ხსნულებაში საქმე აზრია, და მაღალსა და მდაბალს ფრაზას არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში".

ხალხში განათლების შეტანა ილიას მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად და ამ რწმენით გამსჭვალული საგანმანათლებლო ფუნქციას იგი მეცნიერებასთან ერთად ხელოვნებასაც აკისრებდა; „მეცნიერებასა და ხელოვნებას—წერდა იგი— ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... რაც მათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული. იმ ვადების ხალხში,... მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა".

ილ. ჭავჭავაძეს ესმოდა, რომ XIX საუკუნის 60—70-იან წლებში მასების განათლების დონე მეტად დაბალ საფეხურზე იდგა, რის გამოც გაჭირდებოდა ხალხის საწარმოო შრომისა და ცხოვრების განვითარება მხოლოდ მეცნიერების საშუალებით, გაჭირდებოდა მასების მომზადება პოლიტიკურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, საჭირო იყო შუამავალი „მეცნიერებისა, ერთი მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორე მხრით. ასეთ შუამავლად კი ილიამ მხატვრული სიტყვა და „პოპულარული ლიტერატურა" მიიჩნია. ამიტომ იყო, რომ პოეტი თავის შემოქმედებაში სდებდა ღრმა აზრს, მსჯელობდა, კამათობდა, სურდა გამოეფინა „საქვეყნოდ კაცის ჰკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად". ილიას „მუშა" და „გუთნის დედა" შრომაში დაწაწამებ უუფლებო ადამიანთა წარუშლელი სახეებია. მათ სიტყვებში არაფერია ისეთი, რაც ხალხურ ლექსებში, ანდაზებში ან ზღაპრებში არ პოულობდეს თავის გამოხატულებას, ანდა არ გამოხატავდეს დაბეჩავებული ადამიანის გულისწუხილს. ჩვენი აზრით ილიას დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან გუთანს მოკიდებული გლეხის და ტვირთ ქვეშ მჭმინავი მუშის უკმაყოფილების გამომხატველ სიტყვებს პოეტური სამოსელი შეუკერა, მათ მიერ პრიმიტიული ფორმით გამოთქმულ აზრს სიმახვილე და გარკვეული გამოხატულება მისცა, გაამძაფრა მოვლენის სოციალური და პოლიტიკური მხარე.

ილიას მოქმედი პირები არ გვანან პოპინაზედ მიყუდებულ ყმაწვილებს, რომელნიც თუთიყუშივით იმეორებენ პოეტის ჩაძახილს. მათი

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატ. ისტორია, ნ. II, გვ. 162.

წუხილი ხალხის გულის წუხილია ილიას მიერ მხატვრულ სიტყვაში ჩამოქანდაკებული და ხალხის წიაღშივე გადასროლილი. სწორედ ამგვარი ფესვმაგარი და ღრმააზრიანი შემოქმედებით ამზადებდა ილ. ჭავჭავაძე სოციალურ და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

განაგრძობს რა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების გარჩევას, ალ. ცაგარელს მის საგრძნობ ნაკლულოვანებად ის გარემოებაც მიაჩნია, რომ პოეტს „ზოგჯერ რაღაცა აშიყობის და სიკეკლუცის კილო, გასათხოვარი ქალისა და არა პოეტის შესაფერი, წამოჰკრავს ხოლმე". ერთგვარ კეკლუცობას, სიმხდალეს და თავის გამხნევებას ხედავს კრიტიკოსი ლექსში: „ჩემო კალამო" და კერძოდ სტრიქონებში: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა, და დაე გვძრახონ;—ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი". მოაქვს რა ეს ამონაწერი ალ. ცაგარელი დასძენს: „ან ერთს წუთს მაინც როგორ უნდა შეუშვას თავში კაცმა ამისთანა შიში და ან ერთ წამს თავში გაუელვოს, მეტადრე პოეტსა, რომელიც ღმერთთანბაასობს და ხალხს წინ უძღვის, ამგვარი მხდალობა და თავის გამხნევება". ეფიქრობთ, აქ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. არც მოტანილი სტრიქონი და არც ეს ლექსი მთლიანად, არ ძალევიან ალ. ცაგარლისეული დასკვნის გამოტანის საშუალებას. ლექსის პირველივე სტროფიდან მკაფიოდ იგრძნობა არჩეულ გზაზე მდგარი პოეტის მტკიცე ნებისყოფა და წმინდა სიტყვის ხალხში უშიშრად გატანის საჭიროება. ბედთან და უკუღმართობასთან შერკინების სურვილი, ვედმოუხრელობა, სიმტკიცე და პირდაპირობა ჩანს ილიას მთელ შემოქმედებიდან და კერძოდ „ქართველი სტუდენტების სიმღერიდანაც":

დიდს არ გავექცევინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა;
ძალას გულდაგულ დავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

მართალია, ადრეულ პერიოდში ილიას ემჩნევა ერთგვარი კრძალვა და შიში, ახალგაზრდა პოეტი იკრძალვის შესცუროს ცხოვრების ზღვაში, მაგრამ ეს არის განცდა ცხოვრებაში ახლად ფეხადგმული, გამოუცდელი ადამიანისა, რომლის მსოფლმხედველობა ის-ის იყო ყალიბდებოდა.

შემდეგი „უდიდესი ნაკლულოვანება ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა—ეიქრობს ალ. ცაგარელი—არის ნაციონალური, ნამდვილი ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა, ანუ ცოტას ჭონა, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში[1]". ნაციონალური კილოს სისუსტეს უსაყვედურებს კრიტიკოსი არა მხოლოდ ილ. ჭავჭავაძეს, არამედ ყველა ჩვენ პოეტს და საზოგადოდ ქართულ ლიტერატურას და ამის მთავარ მიზეზს იგი ერთი

[1] „დროება", 1870 წ., № 7.

ზხრით მწერლების მიერ „ხალხის პსიხოლოგიის“ უცოდინარობაში ხედავს. სოლო მეორე მხრით იმ გარემოებაში, რომ ჩვენმა პოეტებმა „ვერა სვეს ხალხის ნოყიერი რძე, რომლის ძუძუზედაც უნდა იზრდებოდეს პოეტი“, არ იცნობენ ხალხურ შემოქმედებას, არ იყენებენ მის მდიდარ სალაროს შემოქმედებით მუშაობაში.

ილია ჭავჭავაძეს რომ „ნაციონალური, ნამდვილი ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა“ უსაყვედურო, ეს იგივეა, რომ ბრალი დასდო წყნარ ოკეანეს წყლის სიმცირეში.

ნაციონალური კილო, ეროვნული იერი იმდენად ძლიერი იყო ილიას მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტიკაში, რომ იგი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ასაზრდოებდა ქართულ მწერლობას ეროვნული გრძნობის მაცოცხლებელი ნაკადულით და ასეთად დარჩება იგი მარადის. „სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ილია ჭავჭავაძის ზრუნვისა და ყურადღების უპირველესი საგანი იყო. არ არსებობდა მისთვის არავითარი სხვა საკითხი ამაზე მაღალი, წმინდა და მნიშვნელოვანი. გასაგებია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩნია ილიას აზროვნებისათვის, იგი იმდენად იყო შეპყრობილი თავისი ხალხის ნაციონალური განთავისუფლების იდეით, რომ არ შეეძლო ამ საკითხის თვალსაზრისით, ამ ინტერესებით არ მიდგომოდა დანარჩენი საკითხების გადაწყვეტასაც...

ლირიკულ ლექსს წერდა და ოცნებობდა სამშობლო მთებზე, თუ არკვევდა შორეული ირლანდიის დაჩაგრული ხალხის ცხოვრებას, ეკამათებოდა ვინმე თავხედს, ვინც აუგად იხსენიებდა ქართველ ერს, თუ არკვევდა რთულ ფილოსოფიურ საკითხებს—ყველგან ილიას თვალწინ ედგა თავისი „პატარა, მშვენიერი სამშობლო გმირული წარსულითა და დიდი ტრადიციებით, მდიდარი ენითა და კულტურით“[1] და ღრმად სუნთქავდა მისი ნაციონალური სულით..

ძარღვმაგარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური შემოქმედება მუდამ წარმოადგენდა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების უშრეტ წყაროს. ილია აწარმოებდა არა მხოლოდ ცხოველ ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას, არამედ მის „მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერება ხშირად სოციალური პრობლემის დაყენების საშუალებაა; ზოგ ნაწარმოებში იგი თანაბრად გამოყენებულია როგორც სოციალური, ისე ეროვნული მოტივების გასამახვილებლად“[2]. ილიას ღრმად ესმოდა ხალხური შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა. მნიშვნელობა ხალხის მიერ შექმნილი ეროვნული გმირისა ხალხისავე სულისკვეთების, „ხალხის პსიხოლოგიის“ გამოსახატავად და მიუთითებდა, რომ „ერი თავის

---

[1] პრ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილ. ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებანი, 1954 წ., გვ. 87—88.

[2] დაწვრილებით იხილეთ ქ. ს ი ხ ა რ ულ ი ძ ე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თავი „ილია ჭავჭავაძე“, სახელგამი, 1956 წ.

გბირობაში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწერთხელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ...ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა"[1]. და ილია არც ივიწყებდა შარავანდედით მოსილ ქართველ გმირთა ნათელ სახეებს, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღოდათ ერის წინსვლისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში და როგორც მსატვრულ შემოქმედებაში, ასევე პუბლიცისტურ წერილებში აცოცხლებდა მათ.

ალ. ცაგარელი ქართულ მწერლობას და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს მიუთითებდა აგრეთვე მატიანეებზე, როგორც შემოქმედებით წყაროზე. „ჩვენი მატიანეებიც (წელთ-აღწერა) —წერდა იგი— თითქოს განგებ არის შედგენილი, რომ პოეტს ფანტაზია და გამოხატულება აღუგზნან, ლექსის საგანი მისცენ". საჭიროა „ჩვენი ხალხის წარსულ დროს მიჰმართონ ჩვენმა მოლექსეებმა". „რომ ამ ყოველად განმაცხოველებელი ცვარით ასხუროს გრძნობა-მიხდილი ხალხი და თითონაც აცდეს თ ა თ ქ ა რ ი ძ ე ობ ა ს, რომელშიც მიიყვანა პოეტი სხვათა შორის უთუოთ აწმდგომი დროის უსაგნობამ".

მართალია, მატიანეებს ძიუციათ თემა ჩვენი მწერლობისათვის და ნაწილობრივ მასალაც ჰიუწოდებიათ, მაგრამ ის ძირითადი და არსებითი, რომელსაც ლიტერატურაში უნდა ეჩინა თავი, მატიანეებში არ ჩანდა. მატიანე არაფერს გვეუბნებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და ამდენად იგი მწერლის სამაგიდო წიგნად ძნელად თუ გამოდგებოდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ილ. ჭავჭავაძეს, როდესაც აღშფოთებული წერდა დავით ერისთავს: „ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო.. ისტორიულ ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ექნა? ვამბობ ამ აჩრდილს თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს"[2].

მიმართავდა თუ არა ილ. ჭავჭავაძე ჩვენს ისტორიულ წარსულს? ვისაც წაუკითხავს მისი „მეფე დიმიტრი თავდადებული", „აჩრდილი", „ქართლის დედა", „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით", „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" და „ამბავად გაგონილნი", მისთვის საკითხი ნათელია. ილია ჭავჭავაძისათვის საქართველოს ისტორიულ წარსულს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც აწმყო, ასევე მომავალი ცხოვრების გაჯანსაღებისათვის, მაგრამ, მან ისიც კარგად იცოდა, რომ წარსულის ყველა სურათი ამ დიადი ამოცანის გადასაწყვეტად არ გამოდგებოდა. ილია წარსულს საღი კრიტიკულ-რეალისტური თვალით უმზერდა და მასში კარგთან ერთად ავსაც ხედავდა. „ჩვენ ერს—წერდა იგი—ორი ათასი წელი—

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, II, გვ. 486—487.

[2] ი. ჭავჭავაძე, „წერილები", ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949 წ., გვ. 35.

წადი უცხოურია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელშიაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგდებად". საქართველოს ისტორიულ წარსულში ილია სწორედ იმ მაგარ ქვებს დაეძებდა და მეტად ფაქიზად ჰკრებდა, რომელიც გამოდგებოდა ეროვნულად დამოუკიდებელი, კულტურულად ამაღლებული და ეკონომიურად მოღონიერებული ქვეყნის მტკიცე შენობის ასაგებად.

ზემოთქმულის შემდეგ ალ. ცაგარელის ყველა საყვედური დ პითითება, რომელიც ილიას საქართველოს ისტორიული წარსულისადმი დამოკიდებულების საკითხს ეხება, ჩვენ უსაფუძვლოდ და გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

დასასრულ, ინტერესს მოკლებული არ არის ის შეხედულება, რომელიც ალ. ცაგარელმა გამოთქვა „კაცია-ადამიანის" შესახებ.

„ჩემი აზრით—წერს კრიტიკოსი—ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია-ადამიანი". ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართველის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადად ის ფუღურო, ფუყი და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარით არ ეპკურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს რა და უკანასკნელ განწირულებაშია"[1].

ალ. ცაგარელი გარკვეულ მსგავსებას ხედავს ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანსა" და ნ. გოგოლის შემოქმედებას შორის. გოგოლის მსგავსად ილიასაც შეუძლიან ცოტა სიტყვებით ბევრის თქმა, იყენებს ანდაზებს, ახასიათებს იუმორი, „როგორც გოგოლი, ძალიან ბედნიერად და მახვილგონივრულად ირჩევს ნამდვილ ნაციონალურ ქართულ სურათებს მოქმედ პირებად მოთხრობისათვის"; ამ მხრივ „კაცია-ადამიანსა" და „მკვდარ სულებს" შორის ბევრია საერთო, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული ხასიათისაა და არა შინაგანი ჰაზრის თანხვედრა". არსებითი ხასიათის განსხვავება კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „ის ერთი ღრმა, ყველა ნაწილების შ ე მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ჰ ა ზ რ ი, რომელიც ჰკრავს და ბეჭდავს ერთ მთელ კავშირიან მოთხრობათ ამ პოემასა („მკვდარ სულებს".—ი. ბ.), ა რ ა რ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი „კ ა ც ი ა-ა დ ა მ ი ა ნ შ ი". მართალია, მოთხრობაში დიდი ოსტატობით არის აღწერილი ცალკეული სცენები და სურათები, მაგრამ მათ შორის ძალიან მცირე. ხან-კი სრულიად არავითარი კავშირი არ არსებობს, „ამიტომ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს". მთელი ნაწარმოები აღწერითი ხასიათისაა, რომელშიც არ არის მოქმედება და ერთი გარკვეული აზრი, „რადგან მოთხრობაში ერთი ჰაზრი არ არის გატარებული, იმიტომაც არც მოქმედი პირია იმის წარმომადგენელი, როგორც, მაგ., „მიცვალებულ სულებში" ჩ ი ჩ ი კ ო ვ ი".

[1] „დროება", 1870 წ., № 7.

ასეთია ძირითად ხაზებში, „კაცია-ადამიანის“ შეფასება ალ. ცაგარლის მიერ.

სწორია თუ არა კრიტიკოსის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი? გოგოლისა და ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას შორის მართლაც ბევრია საერთო. ეს სიახლოვე იგრძნობა „მკვდარი სულებისა“ და „კაცია-ადამიანის“ კითხვის დროს. არც გოგოლისა და არც ილ. ჭავჭავაძისათვის არ არის დამახასიათებელი სიტყვათა უბრალო თამაში. მათი კომიზმი პერსონაჟთა კომიკურ მდგომარეობას ემყარება. ორივე მწერლისათვის დამახასიათებელია სუბიექტურობა, ტენდენციურობა, რაც ბელინსკიმ „მკვდარი სულების“ უდიდეს ღირსებად მიიჩნია. ორივე მწერლისათვის დამახასიათებელია თანადროული ცხოვრების შავბნელი სურათების ჩვენება, უაღრესად პრინციპული მამხილებელი ტონი. ა. გეოცენმა „მკვდარ სულებს“ ბრწყინვალე შეფასება მისცა: „ესაა ნატურიდან გადმოღებული პათოლოგიური სურათების წყება, დახატული უზარმაზარი და სრულიად ორგინალური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის მიერ“. იგივე შეიძლება უცვლელად გავიმეოროთ „კაცია-ადამიანის“ და მისი ავტორის მიმართ.

ალ. ცაგარლის აზრით „კაცია-ადამიანი“ მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს, რადგან არავითარი კავშირი არ არსებობს ცალკეულ სცენებსა და სურათებს შორის, ნაწარმოებში არ არის გატარებული ერთი გარკვეული მთლიანი აზრი.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება ერთგვარ გაუგებრობაზეა აგებული. საქმე იმაშია, რომ „კაცია-ადამიანის“ ძირითად და გარკვეულ მიზანს წარმოადგენს არა ერთი კონკრეტული პიროვნების, ლუარსაბ თათქარიძის, ცხოვრების ისტორიის თხრობა, არა ბატონყმური ინსტიტუტის რომელიმე ცალკეული მხარის კრიტიკა, არამედ—მხილება ბატონყმობის მთელი ინსტიტუტისა. მხილება საზოგადო ჭირისა. „ჩვენ პირთან საქმე არ გვაქვს—გვეუბნება მწერალი—ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთო“.. ეს არის მწერლის ძირითადი მიზანი და ნაწარმოებიც ამ გარკვეული აზრითაა დაწერილი. ამ მთავარი თემისა და იდეის საფუძველზე იქმნება მოთხრობა და ილიას მიერ ოსტატურად მიგნებული მასალის საფუძველზე მოთხრობის თითოეული ნაწილი ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს.—ქმნის მის მხატვრულ მთლიანობას. ქართველი თავადაზნაურობისა და ძირმომპალი ცხოვრების დასახასიათებლად ილიამ შექმნა სახეების მთელი გალერეა, თითოეული მათგანი იშვიათი ფსიქოლოგიური ინდივიდუალობით დახატა და მკითხველი ნათლად გრძნობს და ხედავს ამ დაუვიწყარ ტიპთა შორის არსებულ მჭიდრო შინაგან სოციალურ-ფსიქოლოგიურ კავშირს. ძნელია დავასახელოთ „კაცია-ადამიანის“ რომელიმე სცენა ან სურათი, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული: პირველ თავში ვეცნობით ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარს, მეორეში—თვით ლუარსაბსა და მის მეუღლეს, მესამეში—ცბიერ მოურავს, მეოთხეში მათ „გულშე-

ბატკივარ“ რძალს და უმწეო ლამაზისეულს, მეხუთე თავი ისევ ცოლ-ქმრის „სიბრძნეს“ გვაცნობს და ა. შ. თითოეულ თავს რაღაც გარკვეული სიახლე შეაქვს მოთხრობის მსვლელობაში, ახალ მოქმედ პირებს აცნობს მკითხველს, რომელნიც ცხოვრების ხორცმეტებს წარმოადგენენ ერთი საერთო პირის, ბატონყმური ინსტიტუტის წყალობით.

ამ თვალსაზრისით თითქმის ანალოგიური ხასიათისაა „მკვდარი სულები“. თუმცა მას უფრო მეტად დაჰკრავს მხატვრულ-პორტრეტული ნარკვევის იერი. „მკვდარი სულები“, მართლაც, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს კომპოზიციურად მხატვრულ-პორტრეტული ნარკვევებისაგან შედგებოდეს. თითოეულ ნარკვევში ეხედებით პათოლოგიური სახეების ან მთელ ჯგუფს. ან კიდევ ერთ რომელიმე ზნეობრივად მახინჯ ტიპს, ოსტატურად გამოკვეთილს. პირველ თავში მკითხველი ეცნობა საგუბერნიო ქალაქის უტვინო მოხელეებს. აქ მთელი წყებაა პათოლოგიური მემამულეთა სახეებისა, მეორეში—მემამულე მანილოვს; მესამეში—კორობოჩკას, მეოთხეში—ნოზდრიოვს, მეხუთეში—სობაკევიჩს, მეექვსეში—პლიუშკინს, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე თავებში ისევ საგუბერნიო ქალაქის მოხელეებს ეხება. სატირული კილო ნაწარმოების ბოლომდე გასდევს. გმირის ბიოგრაფიაც მთლიანად სატირულია“[1]. ასევე მთლიანად სატირულია „კაცია-ადამიანის“ გმირის ბიოგრაფიაც, ასევე ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს სატირული კილო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ალ. ცაგარლის ბრალდება ილიას მიმართ, თითქოს მან ვერ შესძლო „კაცია-ადამიანის“ „ერთ მთელ ცხოველ კავშირიან მოთხრობაში“ შექმნა, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

ასევე უსაფუძვლოდ და მცდარად ვიგვაჩნია ის მოსაზრებაც, თითქოს „ჩიჩიკოვს“ „მიცვალებულ სულებში“ ეშმაკობა და მოხერხება მაინც აქვს, რომელიც მოსაზრებას და ჭკუას მოითხოვს... „კაცია-ადამიანში“—კი ეს გაიძვერობა და რამის თუნდ ჭკვიანი მოტყუების ხერხიც არა აქვს მოქმედ პირებს; თითქმის თაიი იმათ ტანზედ რაღაც მეტი და გამოუსადეგრონება იყოს, ისე არაფერში არ ეკეთხებიან ჭკუას და არა ხმარობენ“. ეს მოსაზრება სავსებით მართებულია ლუარსაბის, დარეჯანის და ლამაზისეულის მიმართ. მათი გონება მართლაც ატროფირებულია. რომელსაც საერთოდ დაუკარგავს აზროვნების უნარი. მაგრამ დანარჩენი გმირები არსებითად, სწორედ, იმით განსხვავდებიან ამ ცხოველებისაგან, რომ აზროვნებენ, მოქმედებენ და ბოროტებისა, გაიძვერობისა და შურიანობის გზაზედ შემდგარნი გონებას თავის სასარგებლოდ ხმარობენ, მოხერხებულად აბამენ სხვადასხვა ქსელს უგუნურ მსხვერპლთა გასაბმელად.

სუტ-კნეინა. მოსე გჟელაძე, მოურავი დათო, თვით დაითი და ელისაბედიც გაიძვერა, გაქნილი, მეტისმეტად მოხერხებული და შურით აღსილნი ადამიანები არიან, რომელთაც არ აკლიათ პრაქტიკული ჭკუა და

[1] ვ. შადური, გ. ტალიაშვილი, ნ. ვ. გოგოლი, 1952 წ., გვ. 134.

რომელნიც ცხოვრებაში არაკეთილსინდისიერი გზით მიდიან. ამ შეხვედრაში ცალკეული მაგალითების მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან მთელი მოთხრობა ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ასეთი იყო ალ. ცაგარელის შენიშვნები ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. მკითხველი დაინახავდა, რომ ამ შენიშვნებიდან რიგი საყურადღებო და ანგარიშგასაწევია, ხოლო ნაწილი—სრულიად მიუღებელი და უარსაყოფი.

1871 წელს ჟურნალ „კრებულის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ I—IV თავები, დანარჩენი თავები კი (V—VIII) ამავე ჟურნალის მე-5 ნომერში დაისტამბა.

„მგზავრის წერილებმა“ დაბეჭდვის უმალ მიიპყრო მკითხველი საზოგადოებისა და ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ „კრებულის“ მე-2 ნომერში მოთხრობის მხოლოდ პირველი ნახევარი იყო დაბეჭდილი „დროებამ“ მაინც საჭიროდ სცნო მასზედ სპეციალურად შეჩერებულიყო[1]. წერილი ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა. ავტორი მოკლედ აცნობს მკითხველს პირველი ოთხი თავის შინაარსს და სურს დაინტერესოს მკითხველი „მგზავრის წერილებით“.

ასეთივე ხასიათისაა „დროების“ 39-ე ნომერში დაბეჭდილი ს. წ-ს ბიბლიოგრაფია „კრებულის“ მეხუთე წიგნის შესახებ, რომელშიც „მგზავრის წერილების“ დანარჩენი ნაწილები იყო დაბეჭდილი.

ორივე რეცენზენტი თავის ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით „მგზავრის წერილების“ პოპულარიზაციას ახდენდნენ.

1873 წელს ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უძვირფასესი საჩუქარი მიიღო, ამ წლის „კრებულის“ პირველ სამ ნომერში გამოქვეყნდა ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“. ამ ნაწარმოების პირველი ექვსი თავი მკითხველისათვის ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო ცნობილი (დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ 1863 წ., №1). საზოგადოება იმავე წელს მოელოდა მოთხრობის დანარჩენ თავებსაც, მაგრამ, როგორც ცნობილია, მწერალს მისი წერა აღარ გაუგრძელებია. სამწუხაროდ, დღემდის გაურკვეველია, თუ რატომ 1863 წელსვე არ დაამთავრა ილიამ მოთხრობა, როდესაც მასში აღძრულ საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ გამძაფრებულ ბრძოლაში.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა და მკითხველი საზოგადოება დასრულებული სახით დასტამბულ „გლახის ნაამბობს“ უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება და 1873 წლის „კრებულის“ მე-5-6 ნომერში ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე მ სპეციალური წერილი უძღვნა ქართული პროზის ამ ერთ-ერთ უშესანიშნავეს ძეგლს.

[1] „დროება“, 1871 წ., № 8.

ნ. ნიკოლაძის აზრით „გლახის ნაამბობში" ჩვენს წინაშე ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზაგამოურჩეველი მწერალი დგას. რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მრბაძავა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს"[1]. წერილის დასაწყისში ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებაზედაც მიუთითებს, რომ მოთხრობა 1859 წელს არის დაწერილი, იგი მწერლის შემოქმედების პირველ პერიოდს მიეკუთვნება და სწორედ იმიტომ არის საინტერესო, რომ გვიჩვენებს „ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს".

ნ. ნიკოლაძის მოსაზრებანი უდავოდ საყურადღებოა. მაგრამ მათი გაზიარება მთლიანად მაინც შეუძლებელია. არ შეიძლება. მაგალითად, გავიზიაროთ ის მოსაზრება თითქოს „გლახის ნაამბობი" 1859 წელს იყოს დაწერილი. ამ წელს ილიას მხოლოდ დაუწყია ნაწარმოების ცალკე მოთხრობად დამუშავება, მოთხრობაზე მწერალს უმუშავნია 1862 წელსაც და 1863 წელს მისი პირველი ნახევარი „საქართველოს მოამბეში" დაუბეჭდია. ამავე წელს გამოაქვეყნა ილიამ სრული სახით „კაცია-ადამიანი?". „გლახის ნაამბობზე" და „კაცია-ადამიანზე" მწერალი პარალელურად მუშაობდა.

„საქართველოს მოამბის" დახურვის შემდეგ, 70-ანი წლების დასაწყისამდე, ილ. ჭავჭავაძე არც მხატვრული ლიტერატურისა და არც პუბლიცისტიკის სფეროში არაფერს არ ქმნის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1865 წელს დაწერილ „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებს". 1864 წლიდან იგი სამსახურს იწყებს ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მონდობილობათა მოხელედ. შემდეგ მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში, ხოლო ბოლოს კი თვით დუშეთში. ეს არის ილიას „ჩინოვნიკობის" პერიოდი. როგორც თვითონ ამბობდა. მატერიალური ხელმოკლეობა აიძულებდა დიდ მწერალს კანცელარიის მაგიდას მისჯდომოდა და ნაცვლად მხატვრული შედევრებისა ეწერა განაჩენები, მიმართვები, მოთხოვნილებანი და არზებიც კი წერა-კითხვის უცოდინარ გლეხობისათვის. მართალია, ამ პერიოდში მან მიუდგომელი მოსამართლის და ჩაგრულთა მოსარჩლის სახელი დაიმსახურა და დიდი პოპულარობაც მოიპოვა საზოგადოებაში, ახლოს გაეცნო ხალხის ცხოვრებას, ხალხურ შემოქმედებას, მაგრამ ილია, როგორც შემოქმედი ნამდვილად დაზარალდა. აუარებელი საქმიანობა, გულის გამწვრილებელი „ჩინოვნიკური" სამსახური ბორკავდა მასში პოეტსა და შემოქმედს. წერის სურვილი კი დიდი იყო, მაგრამ არც დრო და არც სულიერი განწყობილება ამის საშუალებას არ იძლეოდა. ერთ-ერთ წერილში ილია წერდა თავის მეგობარს, პეტრე უმიკაშვილს: „ახლის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ცხალი მე გათაეებული, ანუ უკეთ ეპსთქვათ შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი

[1] „კრებული", 1873 წ., № 5—6, გვ. 101—102.

ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამაშალა დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება“[1].

მიუხედავად ამგვარი მოუსვენარი ცხოვრებისა და ხელის შემშლელი პირობებისა, ამხანაგების დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ილია იძულებული გამხდარა 1872 წლის 9 დეკემბერს შედგომოდა „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებას. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ ილია დუშეთიდან წერდა ნიკო ნიკოლაძეს: „ძმაო ნიკო უკანასკნელის შენი წიგნის სანაპასუხოდ გაუწყეს შემდეგს: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ გლახის ნაამბობის კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორექტურა გამომგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია ისე გადაბეჭდეთ (ლაპარაკია „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ტექსტზე.—ი. ბ.). დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოსწონს გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება. ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდეც „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს. ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფავწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად“[2].

დაძაბული მუშაობის შედეგად 1873 წლის 29 იანვარს ილიამ დაამთავრა „გლახის ნაამბობი“.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს „გლახის ნაამბობი“ არ არის გამოუცდელი და გზააბნეული მწერლის ნაწარმოები. იგი არ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს ახალგაზრდა მწერლისას, რადგან „გლახის ნაამბობის“ დამთავრებამდე ილიას უკვე ჰქონდა დასრულებული და ნაწილობრივ გამოქვეყნებული ღირსშესანიშნავი პოეტური და პროზული ნაწარმოებნი.

ნ. ნიკოლაძისა და კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი ილიას პირადი ბარათები ნათლად იუწყებიან „გლახის ნაამბობის“ შექმნის ისტორიას,

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედ. სოხუმი, 1949 წ., გვ. 38—39.

[2] იქვე, გვ. 52.

რაც ცნობილი იყო ნ. ნიკოლაძისათვის და გაურკვეველია თუ რატომ ათარიღებს კრიტიკოსი ნაწარმოებს 1859 წლით. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ თვით ილია ათარიღებს „გლახის ნაამბობს“ 1859 წლით, რადგან, როგორც ჩანს, ამ დროისათვის მწერალს მოთხრობის ძირითადი რკალი უკვე ჰქონია მოხაზული და მისი მხატვრული კონცეპციაც ჩამოყალიბებული. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ თუმცა „პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ ათი-ცამეტი წლით არის დაცილებული მეორე ნაწილისაგან, მაგრამ მოთხრობას არ ემჩნევა რაიმე ბზარი, არ ახლავს სტილის ელფერის რაიმე სხვაობა, თითქოს მოთხრობა ერთის მიდგომით და ერთის განწყობილებით არის ნაწერიო“[1].

რაში გამოიხატა მიბაძვა და „სხვისი ენით ლაპარაკი, რამაც ნ. ნიკოლაძის აზრით „გლახის ნაამბობში“ იჩინა თავი? ნ. ნიკოლაძე, პირველ რიგში რუსული ლიტერატურის გავლენაზე მიუთითებს. „მაშინდელმა Современникъ-მა — წერს ნ. ნიკოლაძე — მოდაში შემოიღო ისეთი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომელშიც გლეხ-კაცობა გამოყვანილი იყო კაცურ კანში. ამ თხზულებებში ნიადაგ ის აზრი იყო გაყვანილი, რომ გლეხებიც კაცები არიან, იმათაც გრძნობა აქვთო. მაგრამ რადგან იმ დროს მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს Современникъ-მაც ბატონ-ყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგ ის ერთი და იგივე ამბავი იყო აღწერილი. რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დაამბლაო. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიახაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო“[2], თუმცა ამ მწერლობას ჰქონდა გარკვეული ხასიათის ნაკლოვანებანი. მაგრამ ლიტერატურული კრიტიკა განზრახ გვერდს უვლიდა მათ, რათა ხელი არ შეეშალა გლეხთა განთავისუფლების საქმისათვის.

ეს ნაკლოვანებანი კი ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ იმ პერიოდის მწერლები (გრიგოროვიჩი, პოტეხინი, პისემსკი, ტურგენევი, ჭარკო-ვოვჩოკი და სხვა...) არ იცნობდნენ გლეხის მდგომარეობას, „მკითხველს წინ, ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე, იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველდღეო დარდს და აზრს კი არა გაზეპირებულ, წიგნიდამ ამოკითხულ, ბაირონის და შილერის ფრაზებს ამბობდა და გამოსთქვამდა“ ეს გლეხობა მწერლების მიერ დახატული იყო, რო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1950 წ., გვ. 596. პ. ინგოროყვა, ილიას ნაწარმოებთა კომენტარი.

[2] „კრებული“, 1873 წ., № 5—6, გვ. 404—405.

ვორც უმანკო. გულკეთილი, გამრჯელი. აღსაცსე პატიოსნებით, ერთი სიტყვით—რაღაც იდეალურ პიროვნებად, რომელიც სიბრალულს იწვევდა მკითხველში. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ როდესაც მკითხველი ცხოვრებაში გაიცნობდა ხანდაზმულ გლეხს, „ის ვეღარც ცნობდა თავის „საყვარელი გლეხკაცის“ სურათს, ეს კი მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო. „რუსეთელ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტალური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღითი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებელი და უღონო უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყვანა“[1].

ნ. ნიკოლაძე საკუთარ სწორ ამოცანებს აყენებს მწერლობის წინაშე. მწერლობა უნდა ცდილობდეს, რომ შეუფერავად და სწორად გამოხატავდეს თანამედროვე ცხოვრებას. „მწერლობა მარტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა იკვლევდეს, იმას ხშირად სხვა დანიშნულებაც აქვს,—პირდაპირი სჯის გამოთქმისა. გამოხატული მოვლენის... ადგილის ჩვენებისა... მწერლობაში დიდი გავლენა და ძალა აქვს მწვავე და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირად გადმოცემას მკითხველისათვის... ამნაირ გვარმოებაში საჭირო და გამოსადეგია სატირა, იუმორისტული თხზულებები, პამფლეტი, საჭიროა ერთი სიტყვით ფელეტონური ლიტერატურა“[2].

ამ თვალსაზრისით უდგება ნ. ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და კერძოდ, „გლახის ნაამბობს“.

ლიტერატურისადმი წაყენებულ ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს კარგად აკმაყოფილებს ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, „მგზავრის წერილები“ და მისივე ლექსები. „კაცია-ადამიანში“ გამორჩეული საგანი სწორედ ისაა აწყობილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების განთავისუფლების სცენები ერთი მხრით ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან. აგრეთვე ოსტატურად და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“, ხომ ჩანებულად ამ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის წუთიერ, საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს“[3]. თვით „კაკო ყაჩაღშიც“-კი, რომელშიც მაინც გამოსჭვიოდა

[1] „კრებული“, 1873 წ., № 5—6, გვ. 420.
[2] იქვე, გვ. 423—424.
[3] იქვე, გვ. 425.

სენტიმენტალიზმი, უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე იგრძნობა. ვიდრე „გლახის ნაამბობში".

„გლახის ნაამბობი", კი ნ. ნიკოლაძის აზრით, ვერ შეედრება ზემოხსენებულ ნაწარმოებებს და განსაკუთრებით კი „კაცია-ადამიანს". მართალია, მოთხრობას ისე მკვეთრად არ ახასიათებს ის ნაკლოვანებანი, რაც რუსული ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ ნაკლი მაინც მნიშვნელოვნად შეინიშნება. ილ. ჭავჭავაძეს უგრძვნია სუსტი მხარე რუსული რომანისა, სადაც „გლეხი რჩვილ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდა" და ხელოვნური რომ არ გამოსვლოდა მაღალფარდოვანი სიტყვები გაბრიელისა, იგი მღვდლისთვის მიუბარებია აღსაზრდელად და გრძნობათა განსავითარებლად, მაგრამ „გრძნობის სინარნარე და სიფხიზლე, ის პატოსნური ამაყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის გადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩვილე". რაც საერთოდ დამახასიათებელია გაბრიელისათვის კერძოდ და „გლახის ნაამბობისათვის" საერთოდ, აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილი ცხოვრების სურათებს". ვერც ენის მხატვრულობა და ლაკონიურობა, ვერც მშვენიერი სურათები, ვერც იგავებისა და ანდაზების ოსტატური გამოყენება. კრიტიკოსის აზრით, ვერ ჩრდილავენ ზემოხსენებულ ნაკლოვანებას. მაგრამ „გლახის ნაამბობს" მაინცა აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რადგან მასში ჩანს გრძნობით სავსე მწერალი, „რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი", მისი ლტოლვილება ამაღლებულისადმი აკეთილშობილებს ადამიანს და უკეთეს მომავალს უმზადებს საზოგადოებას.

ასეთია, ძირითად ხაზებში, ნ. ნიკოლაძის აზრი „გლახის ნაამბობზე". რა შეიძლება ითქვას ყოველივე ზემოხსენებულის შესახებ? იგრძნობა თუ არა „გლახის ნაამბობში" „მწერლის სენტიმენტალური და შეფერილი გული", რაც ნ. ნიკოლაძის აზრით „რუსეთელ მწერლობაში" იჩენდა თავს, თუ შეძლო მწერალმა რომ დაენახვებინა მკითხველისათვის „გლეხი მისი ღრმად-ღრმეული საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებელი და უღონო, უპატიური ცხოვრებით"?

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოქმნილმა ისტორიულმა პროცესებმა თავის გამოხატულება ჰპოვა კულტურის ყველა სფეროში და კერძოდ ლიტერატურაშიც. ერთი მხრით ვამჩნევთ ლიბერალურად განწყობილ მწერლებს, გრიგოროვიჩსა და ტურგენევს, რომელნიც ანვითარებენ სენტიმენტალიზმს, ხოლო მეორე მხარეს დგანან რევოლუციური დემოკრატიის იდეოლოგები—ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი და სხვები.

სენტიმენტალიზმმა განსაკუთრებით იჩინა თავი დ. ვ. გრიგოროვიჩის შემოქმედებაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო რუსულ ლიტერატურაში, რომელმაც სცადა ფართო, სურათებად გადმოეცა გლეხთა ყოფა-

ცხოვრება ბატონყმობის პირობებში. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, მოთხრობა „სოფელი“; მწერალი ცდილობს გამოიწვიოს მკითხველში სიბრალულის ფილანტროპიული გრძნობა გლეხობისადმი, უმწიკვლოდ წარმოადგინოს ბატონყმური უღლის ქვეშ გათელილი გლეხის პიროვნება, მაგრამ მის მიერ შექმნილი გლეხთა სახეები მოკლებულნი არიან მხატვრულში რეალიზმისათვის დამახასიათებელ ტიპიურობას, გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი მწერალს საშუალებას არ აძლევს გასცილდეს მორალის ფარგლებს.

სენტიმენტალური განწყობილებით ხასიათდება ივ. ტურგენევის შემოქმედებაც. „მონადირის ჩანაწერებში“ წარმოდგენილია დარბაისელი ფაქიზი, ნაზი და გულკეთილი გლეხობა, აღჭურვილი მაღალადამიანური თვისებებით, რომელიც სიბრალულის გრძნობას იწვევს მკითხველში. „მონადირის ჩანაწერებში“ ვერ შეხვდებით ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ მებრძოლ გლეხს, პირიქით, თვით უკიდურესად შევიწროებული და განაწამები გლეხიც კი უაღრესად მომთმენი და მორჩილია, რომელიც დუმილით ელის თავისი ძაღლური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას („ბურმისტრი“). გლეხობის წარმოდგენა დადებითი თვისებებით გამჭრიახი ჰკუითა და კეთილი გულით მკითხველის სიმპათიას იწვევდა მათდამი. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა ბ. ბელინსკი, როდესაც ტურგენევის შემოქმედებას ეხებოდა: „რა თანაგრძნობითა და გულკეთილობით აგვიწერს ავტორი თავის გმირებს, რა რიგად ემარჯვება მას მთელი არსებით შეაყვაროს ისინი მკითხველებს“-ო.[1]

სენტიმენტალიზმი იგრძნობა ილიას „გლახის ნაამბობშიც“, განსაკუთრებით გაბრიელის და მღვდლის სახის დახატვის დროს. (თუმცა მღვდელი არ არის რეალური პიროვნება). ილიას გაბრიელი ხშირ შემთხვევაში გვაგონებს გრიგოროვიჩის და ტურგენევის გლეხთა სახეებს, მაგრამ არის ერთი არსებითი და მთავარი თვისება, რითაც იგი დიამეტრალურად განსხვავდება გრიგოროვიჩისა და ტურგენევის გლეხთა სახეებისაგან. აქვე იგრძნობა აოსებითი ხასიათის განსხვავება ბატონყმობის ლიკვიდაციის საკითხში დ. ტურგენევისა და ილ. ჭავჭავაძის შეხედულებათა შორის.

ტურგენევისათვის მიუღებელია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა რევოლუციური გზით, ბატონყმობის სწრაფი და დაუნდობელი ლიკვიდაცია. მისი აზრით ბატონყმობა თანდათანობით უნდა მოისპოს, ამისათვის კი საჭიროა გლეხობის გადაყვანა ღალაზე. რის შემდეგაც მათ ვიღაცამათ ბატონისაგან თავის გამოსყიდვის საშუალება; მანამდის კი გლეხობის მხრივ მხოლოდ მოთმინებაა საჭირო.

ილ. ჭავჭავაძისათვის უცხოა მოთმინების აპოლოგია. მისთვის დღესავით ნათელია, რომ „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძ-

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. 1948 წ., გვ. 753.

ლებს ბატონის ხელში", ამიტომ ილიას გლეხები იარაღს ისხამენ. ტყეს აძლევენ თავს და შეუპოვრად იბრძვიან, როგორც პირადი თავისუფლებისათვის, ისე ბატონყმობის ბორკილების დასამსხვრევად. „ბატონყმობა ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია ისეთ სოციალურ უბედურებად, რომლის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალება მისაღებია: თვით კაცისკვლა და სისხლის ღვრაც დასაშვებია მის წინააღმდეგ. მუდამ კაცთა შორის სიყვარულსა და სათნოების მქადაგებელი ილია აქ უშვებს გამონაკლისს. მას იმდენად სძულს ბატონყმობა, რომ უგულვებელჰყოფს თავის საკუთარ მოძღვრებას ზნეობაზე და მოუწოდებს გლეხებს იარაღით გაუსწორდნენ თავიანთ გულქვა ბატონებს. როგორც რუსეთში ჩერნიშევსკი მოუწოდებდა გლეხობას ნაჯახისაკენ, ისე ჩვენში ი. ჭავჭავაძე მოუწოდებდა ყმა გლეხებს იარაღისაკენ"[1]. ამის ნათელ დადასტურებას ილიას მთელი შემოქმედება და კერძოდ კი „გლახის ნაამბობი" და— კაკო ყაჩაღი" წარმოადგენს.

მართალია, სენტიმენტალიზმის ერთგვარ გამოვლინებას უდავოდ ვხედავთ „გლახის ნაამბობში", მაგრამ არა ისეთი სრული სახით, როგორც ამას გრიგოროვიჩისა და ტურგენევის შემოქმედებაში აქვს ადგილი. მიუხედავად სენტიმენტალური ტენდენციისა, რომელიც „გლახის ნაამბობშია" გატარებული, ილიამ მაინც სამაგალითოდ შეძლო მოეცა მკაცრი შეფასება ბატონყმური ძალმომრეობისა. შეძლო დაენახვებინა მკითხველისათვის „გლეხი მისი დღითი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებელი და უღონო, უპატიური ცხოვრებით" და ეს მისი, როგორც მწერლის, უდიდესი დამსახურებაა.

წერილის დასასრულს ნ. ნიკოლაძე გაკვრით შეეხო ილ. ჭავჭავაძის პოეზიას. შეადარა ადრეული პერიოდის ლექსები უკანასკნელ ლექსებს და აღნიშნა: თუ პირველდაწყებით ლექსებში იგრძნობოდა „სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩამდა", ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში „სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვების თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა".

და მართლაც ილ. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, ბელეტრისტის, პუბლიცისტის და მოაზროვნის თანდათანობითი ზრდა ნათელ ფაქტს წარმოადგენდა, რაც ნ. ჯიერმა კრიტიკოსმა მშვენივრად შენიშნა და სიხარულით აუწყა მკითხველ საზოგადოებას. თუმცა „გლახის ნაამბობის" მიმართ მაინც ძველი შეხედულება შეინარჩუნა.

---

[1] პ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1954 წ., გვ. 145.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში გაძლიერდა მთარგმნელობითი ხასიათის მუშაობა. ითარგმნებოდა როგორც რუსული ასევე ევროპული ნაწარმოებები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ ნაწარმოებთა თარგმნა, ძირითადად, რუსული თარგმანებიდან სრულდებოდა და არა უშუალოდ ორიგინალიდან. რასაც ბევრი გაუგებრობა მოსდევდა. ცუდი რუსული თარგმანიდან გადმოღებული ესა თუ ის ნაწარმოები ქართულ თარგმანში ხშირად საკრძნობლად სცილდებოდა დედანს. ამასინჯებდა ორიგინალის ძირითად აზრს.

ამ გარემოებას მტკივნეულად განიცდიდა ქართული ლიტერატურული კრიტიკა. მაგალითად, გ. თუმანიშვილი კატეგორიულად აყენებდა საკითხს: „გამოვესალმოთ უცხო ქვეყნელ თხზულებების თარგმნას რუსულიდამ", რადგან „რუსულად დამახინჯებულ კლასსიკების თარგმნა ქართულად სწორედ სავნო საქმეც არის. ქართველი მკითხველები მოიძულებენ ევროპიელ გენიოსებს უგვარო ქართულ თარგმნების გამო"[1]. ამიტომ, გ. თუმანიშვილი გულწრფელად მიესალმა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ორიგინალიდან გადმოქართულებულ „მეფე ლირს", თუმცა იქვე განაცხადა, რომ „დიდ ეჭვში ვართ შეიძლეს თუ არა „მეფე ლირის" მთარგმნელებმა ამ ტრაღედიის ხასიათის გამოთქმა ქართულად. მოქმედნი პირნი ამ თხზულებაში ლაპარაკობენ გრძელი წინადადებებით და ერთი უბრალო აზრის გამოსათქმელად ხმარობენ მძიმე მწიგნობრულ ენას. ეს ლაპარაკის გაჭიანურება ცოტად მაინც ასუსტებს იმ ღრმა შთაბეჭდილებას, რომელიც ჩრება ხოლმე მკითხველს შექსპირის თხზულების კითხვიდამ"[2]. გ. თუმანიშვილის ეს მცირე შენიშვნები ძირითადად სწორია. უფრო მეტიც, ქართულ თარგმანს ზოგჯერ აბსიათებს დედნისაგან დაშორება, არის ზოგიერთი შეუსაბამობანი და ბუნდოვანი ადგილებიც, მაგრამ საერთოდ თარგმანი უდავოდ კარგია, მან თავიდანვე ჰპოვა საყოველთაო აღიარება. რაც შეეხება თარგმანის ენას უნდა ითქვას, რომ „სწორედ „მეფე ლირის" თარგმანში იყო პირველად გამოყენებული ის ერთგვარად მოძველებული ენა, რომელიც აუცილებელია შექსპირისათვის დამახასიათებელი სტილისტური გარემოცვის შესაქმნელად თარგმანში, თვით მისი სურნელების გადმოსაცემად"[3].

„მეფე ლირის" გარდა გ. თუმანიშვილი შეეხო ილია ჭავჭავაძის ორიგინალურ შემოქმედებასაც. ამ მხრივ საყურადღებოა მისი წერილი: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება". კრიტიკოსის აზრით

---

[1] „ალმანახი", 1878 წ., წიგნი I, გვ 132.

[2] იქვე, გვ. 133.

[3] უ. შექსპირი, ტრაგედიები, II, გ. გაჩეჩილაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1954 წ., გვ. 778—779.

ილ. ჭავჭავაძეს ათი-თხუთმეტი წლის წინ უფრო მეტი გავლენა ჰქონდა ჩვენს ლიტერატურაზე, ვიდრე უკანასკნელ წლებში. ამის მიზეზს გ. თუმანიშვილი იმაში ხედავს, რომ ილიას ადრეული პერიოდის ლექსები, როგორიც იყო მაგალითად: „მუშა“ და „პოეტი“ გაცილებით უფრო აქტუალურ საკითხებს ეხებოდნენ, ვიდრე მისი უკანასკნელი ნაწარმოებნი. ან შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელშიც კრიტიკოსის გაგებით არ არის არავითარი ახალი აზრი. გ. თუმანიშვილი ფიქრობს, რომ „ასჯერ და ათასჯერ მეტი ზედმოქმედობა ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პოემას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე“[1].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გ. თუმანიშვილის საყვედური სრულიად უსაფუძვლოა. სოციალური საკითხი ყოველთვის იდგა ილ. ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში და მას არასოდეს შეუნელებია ბრძოლა სოციალურ უკუღმართობათა წინააღმდეგ. თუნდაც იმავე 1879 წელს ილიამ დაწერა და „ივერიის“ მე-2 ნომერში დაბეჭდა მწვავე სოციალური ხასიათის მოთხრობა „სარჩობელაზედ“, რომელშიც გამოიყვანა „ცხოვრებისაგან ჯერ გაუფუჭებელი“ ორი ახალგაზრდა და იქვე გვიჩვენა სოციალური ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული მათი სრული გადაგვარების სურათი. მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ იმ პერიოდში მხოლოდ სოციალური საკითხის გადაჭრა არ წარმოადგენდა კარდინალურ პრობლემას, არამედ ასეთივე (თუ უფრო მეტი არა) სიმწვავით იდგა ეროვნული საკითხიც და „მეფე დიმიტრი თავდადებული“, სწორედ, ეროვნული გრძნობის გაღვივებასა და გაღრმავებას ემსახურება. ამ საკითხზე პოემის გამოქვეყნებამდე ბევრი დაწერილა, თვით ილიას უწერია ძალიან ბევრი, ასე, რომ ერთი შეხედვით, პოემაში ახალი მართლაც არაფერი თქმულა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეროვნული გრძნობა არასოდეს არ ძველდება, იგი მარად ახალი და მარად უკნობია. XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში კი, როდესაც მთელი რუსეთის იმპერიისა და კერძოდ საქართველოს ცაზე რეაქციის შავი ღრუბლები იგრაგნებოდნენ, ეროვნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს კარგად ესმოდა ქართველი ერის დიდ მოამაგეს და შეუპოვრად ამოქმედებდა თავის ნიჭსა და კალამს ამ მიმართულებით, რისთვისაც იგი მხოლოდ ქება-დიდების ღირსი იყო და არა საყვედურისა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა კრიტიკოსმა სწორად ვერ გაიგო „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ მნიშვნელობა. მაგალითად, ალექსანდრე სარაჯიშვილი, რომელმაც მიმოიხილა 1879 წლის „ივერიის“ პირველი ნომერი, სპეციალურად შეჩერდა ილიას ზემოხსენებულ პოემაზე და შეეცადა მოეცა მისი იდეურ-მხატვრული ანალიზი. მაგრამ, როგორც

[1] „ალმანახი“, 1879 წ., წიგნი II, გვ. 49.

სამართლიანად შენიშნავდა გრ. ვოლსკი, კრიტიკოსმა „მთელი პოემა ყირაზე შეათამაშა".

ალ. სარაჯიშვილის აზრით პოემის არსებითი ხასიათის ნაკლოვანება იმაში გამოიხატება, რომ მთავარი მოქმედი პირი, მეფე დიმიტრი, მეტისმეტად „უცნაური გმირია", მას არ ახასიათებს დამოუკიდებლობა, თითონ არ შეუძლიან რაიმე გადაწყვიტოს, უნდა სხვას ჰკითხოს „რას მირჩევენო?"[1], იგი სუსტი ხასიათის, მხდალი და გაუბედავია.

ალ. სარაჯიშვილის ეს მცდარი შეხედულება სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა გრ. ვოლსკიმ და მიუთითა რეცენზენტს, „რომ თქვენ სრულიად ვერ გაიცნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლათ იმის დაუკითხავათ, თუ რა აზრიანი არიან დიდებულნი და მღვდელ-მთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემოებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელმთავრისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიაჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, რომ ვერას გავა, მზათაა შეაკვდეს გმირულათ მამულის მტერს. მეფე ცხადათ, გარკვევით აღიარებს თავის აზრს და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება. რა არის აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუბედაობა?"[2].

ალ. სარაჯიშვილმა ვერ გაიგო ვერც დიმიტრი მეფის სახე და ვერც ილიას პოეტური ჩანაფიქრი[3]. რეცენზენტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მეფე დიმიტრი არ არის თაყვანისცემის ღირსი, ვინაიდან იგი არ არის გმირი. „მისი საქციელი უფრო გულ-შემატკივარ ხუცესის საქციელსა ჰგავს, ვინემც მამულის შვილისას და გმირისას", რადგან იარაღით ხელში არ შეებრძოლა სამშობლოს მტერს. ალ. სარაჯიშვილი ვერ ამჩნევს, რომ ნაწარმოების შექმნისას ილიამ არ უღალატა შემოქმედების რეალისტურ მეთოდს. მწერალმა ისტორიული მასალის მხატვრულად გააზრების საფუძველზე მოგვცა გმირული წარსულის რეალისტური სურათი, რომელიც ცხოვლად ემსახურებოდა აწმყოს გარდაქმნის და ბედნიერი მომავლის შექმნის ბრწყინვალე იდეას. მართალია მეფე დიმიტრი დარბაზის რჩევისამებრ არ გაიხიზნა მთებში და იარაღით ხელში არ შეებრძოლა კარჩედ მომდგარ მტერს, მან არჩია თავის ნებით წამდგარიყო ურდოს წინაშე. მაგრამ ეს აიხსნება არა სილაჩრით, არამედ შორსმჭვრეტელი მეფის გონიერებით. „თუ არ წავიდე ურდოსა და წავიდე მთიულეთს სიმაგრეთა

---

[1] „დროება", 1879 წ., № 31.

[2] „დროება", 1879 წ., № 53.

[3] ასეთივე ამბავი დაემართა ალ. სარაჯიშვილს მოთხრობის, „სარჩობელაზედ" გარჩევის დროს; იხ. „დროება", 1879 წ., № 67.

შინა და დავიცვა თავი ჩემი... რამდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების"[1], აცხადებს მტრის წინაშე სამშობლოს უსუსურ მდგომარეობაში დარწმუნებული მეფე. ამიტომ მან გმირულად გასწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს გადასარჩენად. ეს ფაქტი ილიას დიმიტრი მეფის დიდბუნებოვანობის და გმირობის უტყუარ ნიშნად მიაჩნია: „დიდი წამება—წერს ილია—დიდბუნებოვანობის ნიშანია. როგორც დიდი ძლევამოსილობა, დიდი წამება იგივე დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნებოვან კაცსა, ხოლო გამარჯვებული. ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც ტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული კი იწვის სანთელივით და სხვას კი უნათებს". სწორედ ასეთი გამარჯვებისათვის წამებული და საბოლოოდ გამარჯვებული, გმირი იყო მეფე დიმიტრიც. სიცოცხლის განწირვით მან გამარჯვებას და უკვდავებას მიაღწია:

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს ღვინია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

აქვე გვინდა მივუთითოთ მეფე დიმიტრის პიროვნებისა და მოღვაწეობის იმ საყურადღებო დახასიათებაზე, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა: „ადამიანის ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი თვისებები ყველაზე მკაფიოდ, უეჭველია განსაცდელის დროს გამომჟღავნდება ხოლმე: სწორედ მაშინ ირკვევა უცილობლად, კაცის ბუნებაში პატიოსნება და გმირული თავგანწირულება სჭარბობს, თუ ცხოველურ-მხეცური მიდრეკილება მას, თავის თავის გარდა, ყველაფერს ავიწყებს და პირადი უშიშროება—სიმრთელის გადასარჩენად მზად არის ყველა სხვები და ყველაფერი ინაცვალოს. ეს დაკვირვება საშუალებას აძლევს მკვლევარს დემეტრე II-ის პიროვნება საბოლოოდ უფრო შეუმცდარად შეაფასოს.

თუ ამ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ცხადი გახდება, რომ დემეტრე II-ის ქცევამ იმ საბედისწერო შემთხვევაში, როდესაც მას უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტა, თავისი პირადი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა და ამისათვის თუნდაც უდანაშაულო ქართველი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლეც-კი მსხვერპლად შეეწირა, თუ პირიქით, სიკვდილის აუცილებელ სასჯელს არ შეჰშინებოდა და თავისი პირადი მოქმედებისათვის პასუხსაგებად, ხალხის გადარჩენის მიზნით, რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო, დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამომჟღავნდა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბლველობა ასხივოსნებს"[2].

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, გვ. 119.
[2] „ქართლის ცხოვრება", გვ. 737.

სწორედ ამგვარად წარმოგვიდგინა ილ. ჭავჭავაძემ დიმიტრი ძეფის სახე, ისტორიული სინამდვილისათვის მას არ უღალატნია.

ალ. სარაჯიშვილის აზრით ილ. ჭავჭავაძეს შეეძლო დიმიტრი „გმირ და დიდ კაცად“ წარმოედგინა, თუ თვითონ მოგვითხრობდა მის თავგადასავალს და ბრმა მეფანტურეს არ დაუთმობდა სიტყვას. „მეფანტურეს, დაბალი ხალხის კაცს არ ძალუძს დიმიტრის გულისთანა გმირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტათ მიუწდომელი და მაღალი ტაბისაა, მისი გულის ჩჩვილობა და მამაცობა ვერ თავსდება მეფანტურის გონებაში და ამიტომაც იმის ნაამბობით დიმიტრი გმირათ კი არ მოჩანს, არამედ მხდალ და გაუბედავ კაცად“[1].

რეცენზენტის ამგვარი მსჯელობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ნაკლებად იცნობს გარდასულ დროთა ჩვენს ისტორიას, იგი ყურადღების გარეშე სტოვებს იმ გარემოებას, რომ სამშობლოს დასაცავად, წინა რიგებში მტრის საპირისპიროდ, სწორედ, „დაბალი ხალხის კაცი იდგა“, მათ კისერზედ გადადიოდა ბრძოლის ქარცეცხლი და მათივე წრიდან გამოდიოდნენ სახალხო გმირები. გმირული გულის ცნობა ყველაზე უკეთ სწორედ ამ გმირს, „დაბალი ხალხის კაცს“ შეეძლო. რასაც ბრწყინვალედ ადასტურებს უამრავი ჭართული გმირული ზღაპარი, პოემა და ლექსი „დაბალი ხალხის კაცის“ მიერ შექმნილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალ. სარაჯიშვილის ზემოთ მოტანილი მოსაზრება, იმთავითვე იქნა უარყოფილი ლიტერატურული კრიტიკის მიერ. გრ. ვოლსკიმ მკაცრად გააკრიტიკა რეცენზენტი და სავსებით სწორად შენიშნა: „რაც შეეხება იმას, რომ პოეტი მეფანტურეს უთმობს სიტყვას, ეს ერთი იმ ხერხთაგანია, რომელსაც ხმარობენ პოეტები პოეზიის გაჩენიდამვე. მაგრამ ეს სულაც არ გაძლევსთ ნებას, რომ თავგანწირული, სამაგალითო გმირი „გულშემატკივარ ხუცესათ“ გამოახატვინონ და ამგვარად სულ წინააღმდეგი შთაბეჭდილება დაბადონ მკითხველის გონებაში... დიდი შეცდომაა ამ შემთხვევაში თქვენი მხრით პოეტისა და მეფანტურის გაცალ-ცალკეება. აქ ეს ორი პირი განუსაზღვრელი და განუყოფელია, და პოეტი, მეფანტურეც რომ თავიდამ მოეცილებინა, ერთს ნამცეცს არ აგიხსნიდათ და არ გამოთქვამდა იმაზე მეტს, რაც ახლა არის გამოთქმული“[2]. გრ. ვოლსკიმ ალ. სარაჯიშვილს ისიც უსაყვედურა, რომ მას ძალიან დაბალი წარმოდგენა ჰქონია ხალხის პოეტურ ნიჭზე და გონებრივ უნარზე.

„რაც შეეხება ლექსთა-წყობას — ალ. სარაჯიშვილის თქმით — ილ. ჭავჭავაძე ამ საქმეში განვითარებული და გამოცდილი მოლექსეა,—მისი ლექსი დაემსგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილს ჯარს. პოეტურ სურათებითაც მდიდარია ეს პოემა“[3].

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 31.
[2] „დროება“, 1879 წ., № 54.
[3] „დროება“, 1879 წ., № 31.

ამრიგად, როგორც ამ ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, გრ. ეოლსკის შეხედულება „მეფე დიმიტრი თავდადებულზე“ გაცილებით უფრო სწორი და ობიექტური იყო, ვიდრე ალ. სარაჯიშვილისა.

„მეფე დიმიტრი თავდადებულის“ განხილვას საკმაოდ ვრცელი წერილი უძღვნა სილოვან ხუნდაძემაც.

წერილის დასაწყისში იგი ლაპარაკობს ქართული ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობაზე და მთელი კატეგორიულობით აყენებს პრინციპული—ობიექტური კრიტიკის შექმნის აუცილებლობის საკითხს. ამის შემდეგ ზოგადად ლაპარაკობს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე და აღნიშნავს: „ილია ჭავჭავაძე, ჩვენის აზრით, შესანიშნავი მწერალია ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნიჭიერი თხზულება მიუწოდებია მას ქართველ საზოგადოებისათვის; მაგრამ ეს გარემოება კრიტიკისათვის არ არის საკმაო საფუძველი. რომ ამ მწერლის ყალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულოდ და უძვირფასეს განძათ ჩაითვალოს... ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა შორის ჩვენ ზოგი მიგვაჩნია შესანიშნავ თხზულებათ, ხოლო იმის კი დიდი წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული“ შესანიშნავი და საუკეთესო იყოს“[1]. სილ. ხუნდაძე თითქმის უცვლელად იმეორებს ალ. სარაჯიშვილის აზრს მეფე დიმიტრის პიროვნების შესახებ და დიდ ნაკლად უთვლის პოეტს იმ გარემოებას, რომ იგი „დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულია, ეს მეფე თავის პოემის გმირათ აუყვანია და იდეალათ თვალწინ გვიყენებს... ამგვარ მაგალითს კი ხალხის ბუნების მხოლოდ გალაჩრება შეუძლია და არა გაგულადება და გამხნევება“[2].

ანალოგიური მცდარი შეხედულების შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, ამიტომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

სილ. ხუნდაძემ შეაჯერა „ქართლის ცხოვრება“ ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულთან“ და მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავება ვერ ჰპოვა. მისი აზრით ნაწარმოების შექმნისას „პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნია“. „ჩვენის პოეტის საკუთრება პოემაში მხოლოდ ის არის, რომ 1) დიმიტრის თავგადასავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანტურე (ეს წესი მოთხრობაში ხშირად უხმარიათ სხვადასხვა მწერლებსაც ჩვენს პოეტამდის), 2) მოხუცისა და მისი ორი შვილის გამოსვლა“[3]. ეს უკანასკნელი ადგილი, განსაკუთრებით კი მოხუცის სიტყვები ყველაზედ მეტი შთაბეჭდილების მომხდენია პოემაში. კრიტიკოსს იმდენად მოსწონს ბრმა მეფანტურე, რომ მის შეფასებაში ერთგვარ უკიდურესობამდისაც კი მიდის. თუ ალ. სარაჯიშვილის აზრით „მეფანტურეს, დაბალი ხალხის კაცს არ ძალუძს დიმიტრის გულისთანა

[1] „ჯვალი“, 1894 წ., № 18, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 8.
[3] იქვე.

გმირული გული იცხოს. ეს მეფე უბრალო კაცისათვის მეტად ძიუწვდომელი და მაღალი ტანისაა"; სილ. ხუნდაძე პირიქით მსჯელობს: „აი, კაცი, რომელსაც არ შეჰხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამეფოს წარმოშადგენლის დანიშნულება. ის, მხოლოდ ის არის ჩვენის თანაგრძნობისა და თვით სამეფო ტახტის ღირსი და არა მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ღიჭრობს"[1]. ცხადია ორივე აზრი ერთგვარად გადაჭარბებულია.

თუმცა სილ. ხუნდაძემ აღნიშნა, რომ „ქართლის ცხოვრებასა" და „მეფე დიმიტრი თავდადებულს" შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსო, მაგრამ დაკვირვებული ძიების შემდეგ მან მაინც შენიშნა ერთგვარი სხვაობა. „ქართლის ცხოვრების" თქმულებიდან პოეტს დაუმალავს ერთი გარემოება. ურომლისოდაც დიმიტრის პიროვნება ნამდვილათ არ დაეხატება მკითხველს თვალწინ. ეს ის გარემოებაა, რომ მეფე დიმიტრი თავდაპირველათ თავის ხალხის შემბრალებელი, მოწყალე და ღვთის მოყვარე იყო, ხოლო რამდენსამე წლის შემდეგ ხალხის სამსახურიც დაივიწყა და თვით ღმერთიც: სამი ცოლი შეირთო, უსჯულოებასა და უწესობას ხელი მიჰყო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნაო". ვფიქრობთ, დემეტრე მეფის ამგვარი დახასიათება უდავოდ ცალმხრივი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში მეფისადმი უფრო ის უარყოფითი დამოკიდებულება იჩენს თავს, რომელიც საეკლესიო წრეებში სუფევდა. მაგრამ, დაუშვათ, რომ ყველაფერი ეს სიმართლეს შეეფერებოდა, რა საჭირო იყო პოემაში ამაზედ ყურადღების გამახვილება, განა ამით რაიმეს მოიგებდა ნაწარმოები, თუ პირიქით ჩრდილს მიაყენებდა ხალხის მიერ თავდადებულად წოდებულ მეფეს? სავსებით სწორად მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც საეკლესიო წრეებში დემეტრე II-ისადმი მანამდე სუფევდა და თვით სამცოლიანობის ფაქტიც ჟამთააღმწერელს შერბილებული უნდა ჰქონდეს. ილიამ კი მასზე ყურადღების შეჩერება სრულიადაც ზედმეტად სცნო, რადგან პოეტის მიზანი დემეტრე II-ის სრული ბიოგრაფიის თხრობა კი არ იყო, არამედ იმ მაღალ სულიერ და ზნეობრივ თვისებათა გაშლა-გაფართოება, რომელმაც თავისი ქვეყნისათვის წამებული დემეტრე II გმირობის კვარცხლბეკზედ აიყვანა, ეს კი სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას და მისთვის თავდადების სურვილს უნერგავდა ცარიზმის მარწუხებში მომწყვდეულსა და მრავალგზის განაწამებ პატიოსან ქართველს.

სილ. ხუნდაძე პოემის ლექსწყობასა და ენასაც შეეხო და „ბევრი შეცდომა და წინდაუხედაობა" აღმოაჩინა. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე შენიშვნა, რომელიც სილ. ხუნდაძემ ამ მიმართულებით გააკეთა, უდავოდ ყურადსაღებია, მაგრამ რიგი შენიშვნებისა—სრულიად უსაფუძველო და უმართებულოა. ასევე უმართებულო და უსაფუძვლოა კრიტიკოსის დასკვნაც, რომლის მიხედვითაც „პოემა „დიმიტრი თავდადებული"

[1] „ცნობის ფურცელი" 1894 წ., № 16.

არა თუ შესანიშნავ პოემათ არ ჩაითვლება, არამედ ძლიერ სუსტ ქმნილებათ უნდა ჩაირიცხოს".[1]

ამრიგად, ვერც სილოვან ხუნდაძემ შეძლო მოეცა პოემის სრული დობიექტური ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა ობიექტური და პრინციპული კრიტიკის აუცილებელ საჭიროებას.

* *

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ილ. ჭავჭავაძის „განდეგილს" ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, როგორც შინაარსის, ისე პოეტური სრულყოფის თვალსაზრისითაც. ეს მაღალი საკაცობრიო იდეით გაჟღენთილი ფილოსოფიური ხასიათის პოემა ილიას 1893 წელს საბოლოოდ დაუმთავრებია და იმავე წლის 8 თებერვალს დავით სარაჯიშვილის ბინაზე საჯაროდ წაუკითხავს. პირველი წაკითხვისთანავე „განდეგილს" უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე. გაზეთი „დროება" ამის შესახებ იუწყებოდა: „პოემა „განდეგილი" ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჩვენს პოეტურს ლიტერატურაში. უეჭველია, საპატიო ადგილს დაიკერს და რომელიც ავტორის სახელს რამდენიმე ახალ სხივს მიუმატებს"[2].

„განდეგილი" გამოქვეყნების დღიდანვე[3] გახდა მსჯელობის საგანი. ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა კრიტიკული ხასიათის წერილები, ეწყობოდა „განდეგილის" საჯარო განსამართლება. იმართებოდა ცხარე სჯა-ბაასი და რაც დრო გადიოდა ინტერესი პოემის მიმართ მით უფრო ცხოველდებოდა.

პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი ილ. ჭავჭავაძის „განდეგილს" ი ო ნა მ ე უ ნ ა რ გ ი ა მ უძღვნა. წერილი გაზ. „კავკაზის" 1883 წლის 6 მარტის ნომერში დაიბეჭდა.

ვიდრე უშუალოდ „განდეგილის" განხილვაზე გადავიდოდეს, ი. მეუნარგია ლაპარაკობს იმ ხელისშემშლელ პირობებზე, რაც აფერხებს ქართული ლიტერატურის განვითარებას. ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ გარემოებაღ ი. მეუნარგიას ის მიაჩნია, რომ ჩვენში არ არიან პროფესიონალი მწერლები. ისინი ვინც ლიტერატურულ შრომას მისდევენ, ძირითადად სამსახურებრივი საქმიანობით არიან დაკავებულნი და არა აქვთ საშუალება, რომ „მთელი თავის გონებრივი ძალები მოახმარონ ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას". ეს გარემოება გარკვეულ გაელენას ილ. ჭავჭავაძეზედაც ახდენს და არსებითად ამით აიხსნება, რომ „თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში მწერალმა დაწერა მხოლოდ შვიდი თუ რვა პატარა ზომის მოთხრობა და პოემა და რამდენი-

[1] „კვალი", 1894 წ., № 19, გვ. 7.
[2] „დროება" 1883 წ., № 29.
[3] „განდეგილი" დაიბეჭდა 1883 წელს „ივერიის" მეორე ნომერში.

შე წვრილი ლექსი". თუმცა აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ილიას პოეტური მუზის თავისებურებასაც. რათა უფრო სწორედ გაიგოს და შეაფასოს მკითხველმა ილ. ჭავჭავაძის ახალი პოემა „განდეგილი" ი. მეუნარგია ცდილობს წარუდგინოს „მკითხველს მცირე რეტროსპექტიული მიმოხილვა მწერლის ლიტერატურული წარსულისა".

ი. მეუნარგია ხაზს უსვამს რუსული მოწინავე ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების გავლენას, რომელიც ილ. ჭავჭავაძემ გაიცადა. ამ პერიოდში ილია ძირითადად მემამულეებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულების საკითხით იყო დაინტერესებული. ამ პერიოდში შეიქმნა „აჩრდილი", „გლახის ნაამბობი" (ნაწილობრივ) და „კაკო ყაჩაღი".

„გლეხთა განთავისუფლების შემდეგ—წერს ი. მეუნარგია— ი. ჭავჭავაძემ შესცვალა თავისი პოეტურ თხზულებათა საგანი, მან აიღო უფრო ზოგადი თემა. ორი შემდეგი პოემა „დედა და შვილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული" თავისი შინაარსით ქადაგებენ მამულის სიყვარულს და თავდადების საჭიროებას მისი გადარჩენისათვის".

ვფიქრობთ ეს მოსაზრება არ არის სწორი. სოციალური და ეროვნული საკითხი ილ. ჭავჭავაძეს მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი და ილია როგორც შემოქმედი და მკვლევარი ამ საკითხებზე პარალელურად მუშაობს. ბატონყმობის გადაავარდნის შემდეგაც სოციალური საკითხი კვლავ ილიას ყურადღების ცენტრში იდგა. ვინაიდან იგი მასების სასარგებლოდ ისევ გადაუჭრელი დარჩა.

ბატონყმობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის პროცესშიც-კი ეროვნული საკითხი ასევე მწვავედ აფიქრებს დიდ მამულიშვილს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი უკვდავი „მგზავრის წერილები" (1861). პირველი ესკიზები პოემისა „მეფე დიმიტრი თავდადებული" (1860). პირველი ვარიანტი „ქართლის დედისა" (1860 წ.) და სხვ.. ასე რომ გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ილიას არ შეუცვლია „თავისი პოეტურ თხზულებათა საგანი." ძირითადი პრობლემები ისევ თავის ადგილას დარჩა. მხოლოდ გაფართოდა ინტერესთა სფერო, ზოგადსაკაცობრიო იდეები უფრო მძაფრად და კონკრეტულად წარმოისახა ილ. ჭავჭავაძის აზროვნებაში.

ასეთ ზოგადსაკაცობრიო საკითხის შემცველ ნაწარმოებს წარმოადგენს ილიას „განდეგილი", რომელიც ი. მეუნარგიას თქმით „მდიდარი შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის".

პოემა „განდეგილს" ი. მეუნარგია საერთოდ მაღალ შეფასებას აძლევს. განსაკუთრებით ნოსწორს ზოგიერთი ადგილი, მაგალითად, „განდეგილის პიროვნების აღწერაში პოეტი პირდაპირ შეუდარებელია", განდეგილსა და მწყემსი ქალის „საუბარი, კონტრასტი ცხოვრებასა და მის უარყოფას შორის, პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგი-

ლია". ჩინებულია ის ადგილი, როცა ხატის წინ ხელაპყრობილ განდეგილს წმინდანის ნაცვლად ქალის სახე წარმოუდგება, „შეცვლა მშვენიერი მწყემსს-ქალის სახით სრულიად მოულოდნელია და სასიამოვნოდ აოცებს მკითხველს. როდესაც განდეგილმა თვალი მიაპყრო ხატს, ჩვენ ველოდით, რომ მასზე დავინახავდით საყვედურის ან მრისხანების გამოხატულებას, მაგრამ პოეტმა უფრო უკეთესი ხერხი გამონახა იმ საშინელი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელშიც მაშინ მწირი იმყოფებოდა".

ეს და სხვა მის მსგავს ადგილებს ი. მეუნარგია შეუდარებლად თვლის, მაგრამ იქვე იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთ დეტალებზე, რაც პოემისათვის შეუფერებლად და ნაკლად მიაჩნია. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ.

ცნობილია, რომ პოეტმა პოემის პირველ თავში მეტად ლაკონიურად მოგვცა მყინვარის ბუნების დახასიათება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ცხოველი და მიმზიდველია აგრეთვე VII და VIII თავები. ი. მეუნარგიას კი „კავკასიის მთების სიდიადის გამოსახატავად" ეს აღწერილობა არასაკმარისად მიაჩნია. საყურადღებოა ისიც, რომ ილიას მიერ მყინვარის ბუნების აღწერაში იგი არაფერს განსაკუთრებულს არ ხედავს. კრიტიკოსი მით უფრო გულდაწყვეტილია, რომ იგი ვერ ხედავს მასში „ვერც ლერმონტოვის „ალმასის წახნაგს", ვერც თავად ორბელიანის „ბუმბერაზ მთებს — ყინულებს, ცათამდის აყუდებულებს".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ი. მეუნარგია, ამ შემთხვევაში, უდავოდ, ცდება. მართალია, როგორც ლერმონტოვის, ისე გრ. ორბელიანის მიერ საკმაოდ ძლიერად არის აღწერილი კავკასიონის მომაჯადოებელი ბუნება, მაგრამ მათ არაფრით არ ჩამოუვარდება ილიას მიერ „განდეგილში" შექმნილი სურათები, თუ ზოგ შემთხვევაში უფრო მაღლაც არ დგას მათზე. ი. მეუნარგიას შეუმჩნეველი დარჩა ის გარემოება, რომ კავკასიონის ბუნების სურათებს ილ. ჭავჭავაძე პოემის ერთ გარკვეულ ადგილას კი არ იძლევა, არამედ ნაწარმოების მთელ სიგრძეზედ. ზოგჯერ მოკლე, მაგრამ უაღრესად მაღალ პოეტური სტრიქონებით ილია ცხოველად და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს კავკასიონის ბუნების სიდიადეს, სინაზეს, მყუდროებას და ჯოჯოხეთურ მრისხანებას. ეს ჯადოსნური კუთხე ჩვენი ლამაზი ქვეყნისა, მწერლის მიერ ყოველ მდგომარეობაშია დანახული და წარმოდგენილი.

ი. მეუნარგიას განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია ის თავი, „სადაც ლაპარაკია განდეგილის სენაკში მომხდარ სასწაულებრივ მოვლენაზე", იმ გარემოებაზედ, რომ მზის სხივი, საკმლით გადმოშვებული იკავებს განდეგილის ლოცვანს. მაგრამ მისი აზრით, ეს ადგილი არ არის საკმაოდ კარგად დახვეწილი. „მასში არ არის ის დამაკავშირებელი, მოვლენის ხაზგამსმელი სტრიქონები, რომლებიც მოამზადებდნენ მკითხველს ზებუნებრივის აღსაქმელად და მთელ ყურადღებას თავს მოუყრიდნენ იმაზე, თუ რა იქნება შემდეგ". პოეტი, განაგრძობს ი. მეუ-

ნარგია, ამ ადგილას ერთგვარად აჩქარებულია, რასაც შედეგად შეიძლება ის მოჰყვეს, რომ მკითხველმა უყურადღებოდ დატოვოს ეს საგულისხმო მომენტი.

ვერც ამ შემთხვევაში დავეთანხმებოდით ი. მეუნარგიას. არ შეიძლება მკითხველს ყურადღებიდან გამორჩეს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, რადგან პოეტმა მას მთლიანად ერთი თავი (VI) დაუთმო და დასაწყისშივე გაამახვილა მკითხველის ყურადღება იმ სასწაულზე, რაც ღმერთმა მადლის ნიშნად ბერს მოუვლინა. აქვე ილიამ იმაზეც მიუთითა, რომ ბერი თავის „სიწმინდეს ყოველდღე თურმე ამ სასწაულით შეიმოწმებდა". პირველი თავების წაკითხვის შემდეგ მკითხველს, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა წინასწარ გაეთვალისწინებინა „თუ რა იქნება შემდეგ". და ილიას, როგორც მწერლის, უდიდეს ღირსებას ჩვენ, სწორედ, ამაში ვხედავთ. რას ემგვანებოდა „განდეგილი", რომ მკითხველისათვის რამდენიმე წინა თავის წაკითხვის შემდეგ უკვე გარკვეული ყოფილიყო, თუ როგორ წარიმართებოდა და რით დამთავრდებოდა მოქმედება? მაგრამ ინტერესი „თუ რა იქნება შემდეგ", მკითხველში ოდნავადაც არ ნელდება. რაც უფრო წინ მიიწევთ, მით უფრო ცხოველდება იგი და მოუთმენლად მოელით ამბის დასასრულს. ინტერესი თითოეული დეტალისადმი შეუნელებლად ცოცხლობს მკითხველის მეხსიერებაში და ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. მეტად ძლიერია პოემის დასასრულიც. განდეგილის სიკვდილი, რაც ი. მეუნარგიას, სრულიად დაუსაბუთებლად სუსტ და უფერულ ადგილად მიაჩნია.

მწყემსი ქალის მიერ თავგადასავალის თხრობა, ი. მეუნარგიას მართებული შენიშვნით, „უნაკლოა მხატვრული თვალსაზრისით", მაგრამ მან მაინც ვერ დააკმაყოფილა კრიტიკოსი, რადგან „ის ცოტა გრძელია და გვაცნობს ისეთ წვრილმანებს, მაგალითად, ცხვრის შესახებ, რომლებსაც ძალიან ცოტა კავშირი აქვთ პოემის მკითხველების გულთან". ძნელია ამ შემთხვევაში კამათი, რადგან კრიტიკოსი არ მიუთითებს იმ „წვრილმანებზე", რომელთა გვერდის ავლაც შეიძლებოდა. რაც შეეხება ამბავს ცხვრის შესახებ, აქ იგი მხოლოდ გაკვრით არის ნათქვამი. საერთოდ კი ილიას არ ახასიათებს ამბის მოსაწყენად გაგრძელება და ასეთ „წვრილმანებზე" შეჩერება, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მოვლენის ასახსნელად. ამ შემთხვევაში იგი მეტად დინჯი და წინდახედულია და ზომიერების ფარგლებიდან არ გამოდის. ეს ახასიათებს ილიას მრავალ ნაწარმოებს და განსაკუთრებით-კი პოემა „განდეგილს".

თუმცა ი. მეუნარგია „წვრილმანების" წინააღმდეგია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში თხოულობს მათზე ყურადღების გამახვილებას. მაგალითად, პოემის VII თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ განდეგილი

> ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,
> გამომდგარიყო ზღუდის კარებსა
> და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
> მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.

უცბად ატყდა საშინელი ქარიშხალი და ჰექა-ქუხილი და განდეგილი „ჩვენთვის შეუმჩნეველად შევიდა თავის სენაკში და დადგა წმინდა ხატის წინ... როდის დაბრუნდა განდეგილი თავის სენაკში და მან „დაღლილმა" როგორღა შესძლო ხელახლა ლოცვა-ვედრება — ამის შესახებ პოეტი სდუმს", რაც ი. მეუნარგიას ნაწარმოების ხარვეზად ეჩვენება.

ვფიქრობთ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ყოველივე ეს ჭარბლაც იშდენად „წვრილმანია", რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნაწარმოებისათვის. ილიას რომ ამ წვრილმანებზე გაემახვილებინა ყურადღება და აღენუსხა განდეგილის ყოველი ნაბიჯი, სწორედ, მაშინ მივიღებდით იმ უსიცოცხლო გაჭიანურებულ თხრობას, რასაც ი. მეუნარგია, საერთოდ სამართლიანად გმობს.

ი. მეუნარგიას შეუძლებლად მიაჩნია მწყემსი ქალის მიერ ბუნების მშვენიერების ესოდენ ძლიერი განცდა, რადგან „ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ბუნების წიაღში, რომელიც დაიბადა, იზრდებოდა და შეჩვია რომელიმე მშვენიერ ადგილს, ვერც კი ხედავს და ვერც აფასებს თავისი სამშობლოს სილამაზეს". კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ილია მწყემსი ქალის სახით გვიხატავს „რომელიღაც პოეტს, რომელიც აღტაცებულია ბუნების სიმშვენიერით".

არც ეს აზრია მართებული. ჯერ ერთი ნაწარმოებიდან არ ჩანს. რომ მწყემსი ქალისათვის ნაცნობი ყოფილიყო მყინვარის სიდიადე. ამ მიდამოებში იგი პირველად სრულიად შემთხვევით მოხვდა, მან მხოლოდ ახლა უგულებელჰყო მამის დარიგება და ბუნების სილამაზით მოჯადოებული შემთხვევით ამოჰყვა ცხვრის ფარას სახიფათო ადგილებში.

ბუნების სილამაზის განცდა, რასაც მწყემსი ქალი ამჟღავნებს. არ საჭიროებს აუცილებლად რაღაც განსაკუთრებულ პოეტურ ბუნებას. ეს განცდა დამახასიათებელია არა თუ ყველა ნორმალური ადამიანისათვის, არამედ იმისათვისაც კი ვინც სანახევროდ საიქიოს ზიარებია. იმდენად ჯადოსნური მომხიბვლელობის იყო დაისი, რომ მან ამ ადგილებს შეჩვეული, ცხოვრებას მოწყვეტილი და ხელოვნურად ნორმალურ გრძნობა-ჩახშული ბერიც კი გაიტაცა:

ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქნა განყენებული
და ვით ცხოველ ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.

სწორედ ასეთივე განცდა ახასიათებს მწყემს ქალსაც:

რა რიგ შვენოდა მზე დამავალი!
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გაეშტერდი, ვეღარ მოეხსნიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შემოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.

ასე, რომ აქ რაღაც განსაკუთრებული პოეტური ბუნება საჭირო არ იყო. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ განდეგილისა და მწყემსი ქალის მიერ ბუნების გოანდიოზული სილამაზის ანალოგიური განცდა შემთხვევითი ხასიათისა არ არის. ამ პატარა დეტალით ილია იმ გარემოებაზედ მიგვითითებს, რომ განდეგილში ხელოვნურად არის ჩაკლული ბუნებრივი გრძნობა, ხელოვნურია მისი ინდიფერენტული განწყობილება ცხოვრებისა და ბუნების მიმართ და იგი როგორც ხელოვნური არა მყარია. მართალია მას

განუდევნია გულიდან ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი...
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

მაგრამ რა ნახა ბუნების თვალწარმტაცი სურათი, იგი ისევე განიცადა, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა, როგორც უბრალო მწყემსმა ქალმა.

განდეგილში, რომელსაც „ხორცი სულისათვის უწამებია და ვით ჰურჯელი იგი მწყემედილი ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია", უმალ გაიღვიძა ადამიანის ხორციელმა გრძნობამ როგორც კი მოპირდაპირე სქესის სიახლოვე იგრძნო; ნაძალადევმა და ხელოვნურმა განცდამ და გრძნობამ წწვავე კატასტროფა განიცადა. ნორმალურმა ცხოვრებამ გაიმარჯვა.

რაც შეეხება პოემის წმინდა მხატვრულ მხარეს, მის ენას, ლექსსა და პოეტურ ფორმას, იგი ი. მეუნარგიას სამაგალითოდ მიაჩნია, მაგრამ ამ ნემთხვევაში ვერაფერს ამბობს, რადგან წერილი დაწერილია რუსულ ენაზე, რომელშიც მაღალმხატვრული ქართული მეტყველების ნიმუშების მოტანა მოუხერხებელი იყო. კრიტიკოსმა, ამასთან ერთად, შენიშნა პოემაში ზოგიერთი მხატვრული გამოთქმის განმეორება, რიგი ნაკლებ მეღერადი რითმები და თუმცა კონკრეტული მაგალითები არ დაუსახელებია, მაგრამ ზოგადად მიუთითა პოეტს და უსურვა შემდგომ მუშაობაში თავი აერიდებინა მათთვის.

ასეთი ხასიათის იყო ი. მეუნარგიას შენიშვნები, რომელიც მან „განდეგილის" ირგვლივ გააკეთა. თუ რამდენად სწორია კრიტიკოსი, ამას მკითხველი დაინახავს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მან ვერ განუმარტა მკითხველს პოემის ლეიტმოტივი, რის ირგვლივაც, ამ წერილის შემდეგ ლიტერატურულ კრიტიკაში ცხარე კამათი გაიმართა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი ს „საკვირაო მასლაათი", რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა გაზ. „დროების" 20 მარტის ნომერში.

კრიტიკოსის აზრით „განდეგილი" ყველაზედ სუსტი ნაწარმოებია ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. ამ პოემით ილიამ თურმე დაგვიმტკიცა, რომ მას ჯერ კიდევ ვერ მიუგნია

თავისი ძირითადი მიზნისათვის და ნაცვლად ერის წინამძღოლობის: „წმინდა ხელოვნების თეორიას“ უკმევს გუნდრუკს.

რაში გამოიხატება მაინც ამ პოემის არსებითი ნაკლი? დ. სოსლანი ფიქრობს, რომ „ჭავჭავაძის ახალი პოემა „განდეგილი“ სწორედ ამ სოფლიდან გაცლას და მთის წვერებზედ ლოცვას გვიჩვენებს, მაშინ როდესაც დიდის და პატარის ძალა უნდა ერთად იყოს მოქცეული, რომ ხომალდი არ დაიღუპოს, რომელსაც გაშფოთებული ზღვის ტალღები დამსხვრევას უქადიან“[1], ილ. ჭავჭავაძე კი ამ პოემით ხალხის მისაყუჩებელ და „ზარმაცთა ყურის დასატკბობ ხმებს დამღერის“. ასეთია დ. სოსლანის აზრით პოემის ლეიტმოტივი. რაც შეეხება ფორმას, იგი თავიდან ბოლომდი ნაძალადეობისა და მშრალი რიტორიკის ნიმუშია. „განდეგილი“, რომ თავით ბოლომდე გადაიკითხოთ—აცხადებს სოსლანი—თითონ მიჰხვდებით, რომ პოეტს ღაუძალებია თავი: მთელ პოემაში ერთ ალაგს ვერ შეხვდებით, სადაც ის ძლიერი გრძნობა იყო გამოხატული, რომელიც ჭავჭავაძის სხვა ნაწერებში ისე უხვად სჩქეფს“[2].

ვთქვათ დ. სოსლანმა ვერ გაიგო პოემის დედააზრი. ეს მას, ასე თუ ისე, მაინც ეპატიება, რადგან ანალოგიურ თვალსაზრისს სხვებიც იზიარებდნენ, რაც ჩვენი აზრით, „განდეგილისადმი“ და საერთოდ ილიას შემოქმედებისადმი არასერიოზული დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს კრიტიკოსთა ეს ნაწილი ღრმად ვერ ჩასწვდა ილიას შემოქმედებას და საერთოდ მის მსოფლმხედველობას, მაგრამ ნაწარმოების ფორმის ხელაღებით გაბიაბრუება და მასში თავიდან ბოლომდის ნაძალადეობისა და მშრალი რიტორიკის დანახვა, მეტი, რომ არ ვთქვათ, კრიტიკოსის დაბალ ლიტერატურულ გემოვნებაზე მიუთითებს. საინტერესო იქნებოდა კრიტიკოსს რიტორებისა და ნაძალადეობის რამდენიმე ნიმუში მაინც მოეტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ამას ვერ ახერხებს და მხოლოდ ტენდენციური დეკლარატიული განცხადებით კმაყოფილდება.

დ. სოსლანის არსებითად მცდარი შეხედულება ილ. ჭავჭავაძის პოემის ლეიტმოტივის შესახებ განაეითარა ე ს ტ ა ტ ე ბ ო ს ლ ე ე ლ მ ა (მჭედლიძემ) წერილში: „ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი“, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა გაზ. „შრომაში“ (№ 18). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბოსლეველი მხოლოდ „განდეგილის“ განხილვით არ კმაყოფილდება, არამედ ცდილობს აჩვენოს მკითხველს „ილ. ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადო ხასიათი და მიმართულება“. მართალია, ამ შემთხვევაში ე. ბოსლეველი ზოგადად მსჯელობს, მაგრამ მისი ზოგიერთი დასკვნა, უდავოდ, ყურადსაღებია.

ე. ბოსლეველი, გაკვრით, მაგრამ სწორად ახასიათებს რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ილ. ჭავჭავაძეს და მის

[1] „დროება“, 1883 წ., № 60.

[2] იქვე.

თანამებრძოლებს მოუხდათ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში. კრიტიკოსი აქვე მიუთითებს პროგრესული რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების გავლენაზე, რომელიც ილ. ჭავჭავაძემ და ქართველმა სამოციანელებმა განიცადეს. ხაზს უსვამს იმ წინააღმდეგობას, რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნებულ ქართველ ინტელიგენციას დახვდა საქართველოში კონსერვატიული თაობის მხრივ. ამ წინააღმდეგობის მთავარ საფუძველს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ ახალმა თაობამ დაიწყო „გატარება ცხოვრებაში იმ იდეალთა და პრინციპთა, რომელთაც ქადაგებდა რუსეთის ლიტერატურა“.

სამოციანელთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფში „ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი ეკავა პოეტ ილ. ჭავჭავაძეს, რომელსაც საკმაოდ მოსდევდა როგორც თავის გარემო ცხოვრების ცოდნა, ისე ლიტერატურული ნიჭიც. მისი „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“, „ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და ათასგვარი წვრილი ლექსები ერთსა და იმავეს დასტრიალებენ თავს, ერთსა და იმავე ცხოვრებას გვიხატავენ სხვადასხვა მხრით და ერთსა და იმავე ჰუმანურს აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში“.

ე. ბოსლეველის სამართლიანი შენიშვნით ილ. ჭავჭავაძის ზემოხსენებული მოთხრობებისა და პოემის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ „ჩვენს ლიტერატურაში დაიწყეს სრულიად ახალი ხანა“. ამ ნაწარმოებებით ილიამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბატონყმობას. მაგრამ, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ე. ბოსლეველის აზრით „ილ. ჭავჭავაძისა და მისი ამხანაგების პოეზიას თითქოს მასალა გამოელიათ“, ილიამ თითქოს ვეღარ იპოვა ცხოვრებაში საგანი „თავისი პოეზიისათვის და მიაშურა ისტორიას, წარსულს და ახალი ცხოვრებიდან ტიპების გამოხატვა კი მიანდო უნიჭო მწერლებს“. მკითხველი შეამჩნევს, რომ ე. ბოსლეველის ეს აზრი ახალი არ არის, იგი ჩვენს მიერ ზემოთ განხილული გ. თუმანიშვილის შეხედულების ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს და ისეთივე მცდარი ხასიათისაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ე. ბოსლეველი ილ. ჭავჭავაძის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ეროვნული გრძნობის გაძლიერების საქმეში. ილ. ჭავჭავაძემ, წერს ე. ბოსლეველი, „დედა და შვილით“ და „მეფე დიმიტრი თავდაუზოგველით,“ სწორედ ისე, როგორც მის პოეტურ ნიჭს ეკადრებოდა, გამოხატა... მამულისადმი ღრმა, თავდავიწყებული სიყვარული ჩვენის ეპოქისა. და ამით მისცა მან ხმა საზოგადოებაში გაღვიძებულს პატრიოტულს გრძნობას და მისცა ცოცხალისა და მართალის ტიპების დახატვით, და ამ ტიპებში ნამდვილ პოეტურად გამოკვანძა მან ამ პატიოსანისა და უმაღლესის გრძნობის იდეალი“.

ე. ბოსლეველს ილ. ჭავჭავაძე, როგორც შემოქმედი და მოაზროვნე უდიდეს მოვლენად მიაჩნია. განსაკუთრებით ძლიერია ილია, როგორც მოაზროვნე, მის მიერ შექმნილი ტიპები ჩვენი ცხოვრებიდან ერიან არე-

ბულნი და ოსტატურად ჩამოქანდაკებულნი. „ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთად-ერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოქანდაკება შეუძლიან“.

ამავე წერილში ე. ბოსლეველი ავითარებს საინტერესო თვალსაზრისს ლიტერატურული ნაწარმოების ღირსებისა და მისი დანიშნულების შესახებ. ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის კრიტიკოსი ისეთ თხზულებებს აძლევს უპირატესობას, „რომელშიც მშვენიერს ლექსს გარდა, ხელოვნურად დაწერილს სურათებს გარდა ეპოულობთ რომელსამე ხელოვნურადვე თავიდგან ბოლომდის გატარებულს იდეას, აზრს“, რომელსაც რეალური სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის. „პოეზიის სამღვთო დანიშნულება---განაგრძობს ბოსლეველი—იმაში მდგომარეობს, რომ გააცნოს მკითხველი რეალურ ცხოვრებას, მისს ავსა და კარგს და გააცნოს არა მშრალად, ლოღიკურის მსჯელობის, დიალექტიკურის საშუალებით, არამედ პორტრეტებისა და ტიპების დახატვით, რომელნიც უნდა გახდნენ კერძო მოვლენათა ერთად თავმოყრილ ფოკუსად“.

ე. ბოსლეველის სამართლიანი განცხადებით ილ. ჭავჭავაძის შემოქმედება სავსებით აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს, მაგრამ „განდეგილში“ პოეტმა უღალატა მისთვის ჩვეულ გზას და მარცხიც განიცადა.

ე. ბოსლეველის აზრით „განდეგილი“ უდაეოდ მაღალმხატვრული ქმნილებაა: „სულის მოძრაობათა ღრმად გაგებაში, გრძნობათა ფსიხოლოგიურს ანალიზში და ამ სულის მოძრაობისა და გრძნობების, ადამიანის შინაგანის, ასე ვთქვათ, ქვეყნის გამოხატვაში ილ. ჭავჭავაძეს ძნელად თუ ჰყავს ბადალი ჩვენს მწერლობაში და ამ აზრს ამტკიცებს აშკარად, სხვათა შორის, მისი ახალი პოემა „განდეგილი“, რომელშიაც, ჩვენი აზრით, ბოლად გაშლილა პოეტის მდიდარი ნიჭი“. უდიდესი სინამდვილით არის პოემაში დახატული ორი, სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანის, მწყემსი ქალის და განდეგილის შეხვედრა და ამ შეხვედრის საბედისწერო შედეგი განდეგილისათვის, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით არის გადმოცემული ცეცხლის პირას მიძინებული ქალის წინ მდგარი განდეგილის სულიერი ქენჯნა და რყევა. ამ სურათის ასე ძლიერად გადმოცემა „მხოლოდ ღვთისგან ცხებული პოეტისაგან“ არის შესაძლებელი, ნაწარმოები, საერთოდ მეტად მაღალმხატვრული გემოვნებით არის შესრულებული, მაგრამ ე. ბოსლეველის აზრით იგი ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებას და არსებითად განსხვავდება ილ. ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებისაგან. „ეს პოემა თითქოს ახალს ხანას იწყებს ილ. ჭავჭავაძის პოეტურს მოღვაწეობაში. ამ პოემიდან ჩანს, რომ ჩვენმა ერთმა საუკეთესო პოეტთაგანმა თითქოს მიანება თავი ცხოვრების კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შემოსწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია“.

ცხოვრებისაგან განდგომისა და გაქცევის თემა ქართულ ლიტერატურაში, ე. ბოსლეველის აზრით ახალი არ არის. ამის სამაგალითო ნიმუშად კრიტიკოსი ნ. ბარათაშვილის „მერანი" მიაჩნია, მისი აზრით ამ გრძნობას ვერ აცდა ვერც გრ. ორბელიანი, მაგრამ „ამგვარი მიმართულება ჩვენი პოეტების მუზისა... ჯერ ისევ ტიპიურად, პრინციპიალურად არ გამოხატულა, როგორც გამოხატულია „განდეგილში". ამ ნაწარმოებში ილიას პესიმისტურ შეხედულებას „სააქაოზედ" საზღვარი არა აქვს.

ცხადია, რომ ე. ბოსლეველი სასტიკად ცდება. თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში ეს საკითხი სრულყოფილად არის გადაჭრილი და ღადგენილია, რომ ამ ნაწარმოებით პოეტი თვალს კი არ არიდებს ცხოვრებას, „როგორც ერთს რაიმე ჰირიანს", კი არ გაურბის მას რათა მყუდრო განსასვენებელი განდეგილებთან ჰპოვოს, არამედ, პირიქით, იგი მძაფრად მოუწოდებს კაცობრიობას ცხოვრებისაკენ, სიცოცხლისაკენ, მოქმედებისა და მოძრაობისკენ. ილიას ღრმა რწმენით „არ არსებობს სულიერი სიმშვიდე და სულიერი დაკმაყოფილება საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე. ვინც მოინდომებს ცხოვრების გარეშე იპოვოს დაკმაყოფილება, სიმშვიდე, იმ იპოვის დაიღუპება უკვალოდ, როგორც დაიღუპა განდეგილი"[1]. მართალია ცხოვრება ბევრი უსიამოვნებითა და ვაი-ვაგლახით არის აღსავსე, მაგრამ საჭიროა არა გაქცევა მისგან, არამედ—დარჩენა ცხოვრებაში და ბრძოლა კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის.

ილ. ჭავჭავაძეს „განდეგილით" ოდნავადაც არ გაუღუნავს შემოქმედების რეალისტური ხაზი. ამ ნაწარმოებშიც ისეთივე ომახიანი ძახილი ისმის, რაც „მგზავრის წერილებიდან" სმენია მკითხველს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და ბოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა და ვაი-ვაგლახითა".

„პოემა „განდეგილი" ცხოვრების ნიჭიერი აპოთეოზია". ილ. ჭავჭავაძის ამ პოემამ ფართო საზოგადოებრივობის იმდენად ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რომ ხშირად ეწყობოდა მისი განხილვა და ე. წ. ლიტერატურული გასამართლება. გასამართლების მონაწილეთა ერთი ნაწილი ამართლებდა განდეგილის მოქმედებას, ნაწილი კი სასტიკად ჰგმობდა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ამ მხრივ საყურადღებოა, „განდეგილის" ლიტერატურული გასამართლების ერთ-ერთი მონაწილის, ე ლ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს სიტყვა, რომელიც ბრალმდებელის როლში გამოვიდა. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოემის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ბრალმდებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განდეგილმა სრულიად შეგნებულად აქცია ზურგი ცხოვრებას, მასში გამეფებულ ბოროტებას და ვიწრო, ეგოისტური მოსაზრებებით აღფურვილი შეიკეტა იქ, სადაც „უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი", რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა

[1] მიხ. ხ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართ. ლიტერატურა, II, 1954 წ., გვ. 314.

სულით გაწმენდილ და განბანილი". იგი ლაჩარია. რომელსაც აკრთობს ცხოვრების ქუხილი. მას არ შესწევს უნარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა. ილ. ბაქრაძემ საესებით სწორად შენიშნა, რომ განდეგილმა ხელოვნურად ჩაჰკლა თავის არსებაში ბუნებრივი, ადამიანური გრძნობანი და მოთხოვნილებანი, რამაც განაპირობა მისი დამარცხების გარდაუვალობა. „თუ ადამიანი ხელოვნურად იკლავს ბუნებრივ გრძნობას, თუ ის ბორკილებს ადებს თავის სხეულს, რომ დაახრჩოს ბუნებრივი სურვილები, ბუნებრივი ვნება, ბუნება არ აპატიებს მას ასეთ უმსგავსობას და შურს იძიებს მასზე. ასეთი ადამიანი ხდება მსხვერპლი იმ გრძნობების ღელვის, რომელთა მოკვლა მან განიზრახა.

სწორედ ასე იძია შური ბუნებამ განდეგილზე მისი კანონების დათრგუნვისათვის"[1].

განდეგილის ცხოვრება აგებული იყო შიშზე, ფარისეველობასა და წინააღმდეგობებზე და, რა თქმა უნდა, მისი დაღუპვა საესებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

ვლ. ბაქრაძე ჩვენს მიერ განხილულ წერილში არაფერს არ ლაპარაკობს ავტორის ტენდენციაზე, მაგრამ იგრძნობა, რომ მას ილ. ჭავჭავაძე განდეგილის დამცველად არ წარმოუდგენია. მისი რწმენით განდეგილის გამტყუნებით დავგმობთ „იმ ოპორტუნიზმს, იმ ლაჩრობას, იმ ფარისეველობას დატარტიუფობას გრძნობათა სფეროში, იმ ეგოიზმს და საზოგადოებრივ იდეალების უარყოფას, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე მომენტი" და რომლის წინააღმდეგაც იბრძოდა ილ. ჭავჭავაძე მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

რაც დრო გადიოდა, კამათი ილ. ჭავჭავაძის „განდეგილის" შესახებ ეფრო ცხოველ ხასიათს იღებდა. ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე, რომელზედაც ილიას „განდეგილი" იხილებოდა მოხსენებით გამოვიდა კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, რომელმაც გააკრიტიკა ე. ბოსლეველის შეხედულება ამ ნაწარმოებზე და შეეცადა „ილიას რეაბილიტაციას ბოსლეველის ბრალდებებისაგან".

კ. აბაშიძის მოხსენებას გამოეკამათა გ-კ ა, რომელმაც გაზ. „მნათობის" 1911 წლის ოცდამეთოთხმეტე ნომერში მოათავსა მცირე მოცულობის წერილი. ეს წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, თუ როგორ არასწორად გაიგო ზოგიერთმა კრიტიკოსმა „განდეგილის" ლეიტმოტივი.

გ-კა ფიქრობს, რომ „განდეგილი ილიას პესიმიზმის ხატებაა, ის ცხოვრებას უარყოფს და გაურბის. პოემის უმთავრესი ღერძი სწორეთ ამაშია და ე. ბოსლეველთან ერთად ჩვენც ვიმეორებთ ამას"-ო. მისი აზრით პოემიდან სრულებითაც არ ჩანს განდეგილის დამარცხება და ცხოვრების გამარჯვება, პირიქით—განდეგილი ცხოვრების მშვენიერებაზე უფრო ძლიერი გამოდგა, მძინარე მწყემსი ქალის წინაშე მდგარმა, განზრახვა

[1] „ჩვენი გაზეთი", 1910 წ., № 62.

გულში ჩაიკლა, თავი გამარჯვებულად გამოაცხადა, ცხოვრება კი—დამარცხებულად. კრიტიკოსის აზრით განდეგილი მაშინ იქნებოდა გამარჯვებული, რომ მას მწყემსი ქალი გადაეკოცნა. „ჩახვეოდა". მასთან ერთად გამოქვაბული მიეტოვებია და საწუთროს უღლის ზიდვას შესდგომოდა... მაგრამ განდეგილი სწორედ ამის წინააღმდეგ მოიქცა... ამდენად ის რეაქციონური ნაწარმოებია".

ცხადია, აქ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ილიას განდეგილს არაფერი აქვს საერთო გ-კას მიერ წარმოდგენილ პიროვნებასთან. განდეგილი აღსავსეა წინააღმდეგობებით. იგი არც სააქაო და აღარც საიქიო ცხოვრებისათვის აღარ ვარგა. მის პიროვნებაში არსებულმა მწვავე წინააღმდეგობებმა განდეგილი დაამარცხა არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. მწირმა ერთ ღამეს დაჰკარგა უველაფერი, რაც კი წელთა განმავლობაში ლოცვითა და მარტეილობით მოიპოვა და განთიადის ჟამს, როდესაც წუთისოფელი ჩვეულებრივ ბუნებრივ ცხოვრებას იწყებდა, განდეგილმა დაასრულა თავის სიცოცხლე. მის სიცოცხლის დასასრულთან ერთად დასრულდა ბეთლემის ისტორია, დასრულდა განდეგილობის მძიმე ეპოპეა:

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჯვშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების,—
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
შორტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამოშფრთხალ, ჰეჭა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის.

ასეთია პოემის ფინალი, რაც იმის დამატებით საბუთს წარმოადგენს, რომ ყოველად შეუძლებელია ილიას „განდეგილი" რეაქციონურ ნაწარმოებად გამოვაცხადოთ.

* * *

კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, რომელიც გაკრიტიკებულ იქნა გ-კას მიერ, ილ. ჭავჭავაძის „განდეგილს" რამდენჯერმე შეეხო და მეტად საყურადღებო მოსაზრებანიც გამოთქვა...

კ. აბაშიძის რწმენით „განდეგილი" წარმოადგენს შედევრს არა მხოლოდ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ ლიტერატურაში. „განდეგილი", უკანასკნელი პოემა ილ. ჭავჭავაძისა, დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელია ავტორის რეალურის მიმართულების განვითარებისა. როგორც დედააზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით იგი ცხოვრება გამოვა) ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება და ბოლოს თვით ფორმაც პოემისა არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა"[1]. ამიტომ კ. აბაშიძე მკაცრად ილაშქრებს უვე-

ლა იმ უმართებლო შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელიც „განდეგილის“ მიმართ გამოითქვა ჩვენს პერიოდულ პრესაში, თუ ცალკეულ დისპუტებზე. ამ შემთხვევაში კ. აბაშიძეს მხედველობაში აქვს, განსაკუთრებით, ე. ბოსლეველის მცდარი მოსაზრება და პოემის საფუძვლიანი ანალიზით ცდილობს დაამტკიცოს ბოსლეველის და სხვა ავტორთა მსგავს შეხედულებათა სრული უსაფუძვლობა.

კ. აბაშიძე სწორად შენიშნავს, რომ მთელი ინტერესი პოემისა მდგომარეობს იმ მწვავე ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს ბუნების კანონებსა და მის უარისმყოფელ ასკეტიზმს შორის. „ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა—„დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით სულისთვის ხორცის წამებაჲ“, „ვერც ლოცვის ცრემლი“, რომელიც არ შემწყდარა, „ვითა ღელესა მას გლოვისასა“—ვერ დაძლევს ბუნების მოთხოვნილებას, ვერ გააქარწყლებს სასტიკს კანონს ბუნებისას. მართალია, კაცს თავისი ენერგიითა და ნების ძლიერებით შეუძლია სასტიკი ბრძოლა გაუწიოს ამ მოთხოვნილებას, შეჰბოჭოს და შეასუსტოს იგი, მაგრამ მთლად ერთიანად მისი მოსპობა კი შეუძლებელია“[2].

რა უნდოდა ეთქვა ილ. ჭავჭავაძეს თავისი უკვდავი პოემით? ამ საკითხზე კ. აბაშიძე სავსებით სწორ პასუხს იძლევა:—ილიამ ხაზგასმით მიუთითა მკითხველს, რომ ადამიანი, რომელიც გაექცევა ცხოვრებას, განდეგილის მსგავსად თვით ცხოვრების მიერვე იქნება სასტიკად დასჯილი. „ამ პოემით—წერს კრიტიკოსი—ი. ჭავჭავაძე არა თუ ზურგს არ უჩვენებს ცხოვრებაჲს, როგორც რაიმე „ჰორიანს“, წინააღმდეგ, გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება გარს გვარტყია, მისგან გაქცევა, მისი უკუგდება შეუძლებელია... რადგან ადრე იქნება, თუ გვიან, იგი თავისას მოითხოვს და მოითხოვს მკაცრად, ულმობლად“[3].

ილია დიდი ფსიქოლოგია, მას ყურადღების გარეშე არ რჩება ადამიანის სულის უმნიშვნელო მოძრაობაც კი. უბადლო ნიჭით დაჯილდოვებულმა მწერალმა გასაოცარი ხელოვნებით შეძლო გადმოეცა განდეგილის

---

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, ტ. I, გვ. 179.

[2] იქვე გვ. 185.

[3] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კ. აბაშიძე ყოველთვის არ ავითარებდა ასეთ სწორ შეხედულებას ნაწარმოების მიმართ. მაგალითად, 1901 წელს კ. აბაშიძე შენიშნავდა, „მეთაურმა სულისამ (ი. ჭავჭავაძემ.—ი. ბ.), ნ. ბარათაშვილის პოეზიის ნამდვილმა და სახელოვანმა მემკვიდრემ, საბრძოლოს დიდებულმა შვილმა „განდეგილის“ სასტიკი პესიმიზმით დააგვირგვინა თავისი პოეზია, მან დაჰგმო ცხოვრება მისი ერისა ისეთის მძლავრისა და ღონიერის სიტყვებით, რომ ქართულს პესიმიზმს ამაზედ უფრო გაბედული და ღრმა არა შეუქმნია რა... ი. ჭავჭავაძემ „განდეგილობა“ თითქმის გაამართლა: რაკი ცხოვრების საოცრად მკაცრი და სასოების წარმკვეთი სურათი დახატა, მაგრამ თანაც დასაჯა განდეგილი ამ ცხოვრების მოშორებისათვის, რადგანაც მის ი აზრით ცხოვრებიდან გა|ცლა ყოველად შეუძლებელია და მოუხერხებელი, და ამიტომ ამ ცხოვრების მძიმე ტვირთის ზიდვა მოუცილებლად დასაბა“ („ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 1347).

ივ. გომართელმა მართებულად არ გაიზიარა კ. აბაშიძის ეს მცდარი შეხედულება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პესიმიზმი არ შეადგენდა დამახასიათებელ თვისებას 60 - 70-იანი წლების პოეზიისას და ილიას მონათესლა პესიმისტად უხერხულად მიიჩნია (იხ. „ქვალი“, 1901 წ., № 15—ი. გომართელი „ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში“).

ფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი ის მომენტი, როდესაც მწირში თანდათანობით იღვიძებს ბუნებრივი გრძნობა. მწყემსი ქალი აღფრთოვანებით აღწერს უსულო ბუნების მშვენიერებას, რომელშაც მოხიბლა და გაიტაცა იგი. კ. აბაშიძე სწორად შენიშნავს:—მწყემს ქალს „თითქოს ამით უნდა განდეგილს შეაპაროს და ჩააგონოს ის აზრი, რომ თუ უსულო ბუნება კაცზე ასე მოქმედებს, რაღა უნდა იყოს ხორც-შესხმული მშვენიერება, ცოცხალი შვილი ბუნებისა და რაღა გასამტყუნარი იქნება ის, ვინც ამ მშვენიერების წინ თავს მოიხრის"[1]. განდეგილის არსებაში მართლაც უცნაურმა გრძნობამ იჩინა თავი, მის ყურთასმენას მისწვდა შორეული ძახილი:— ბუნება იხმობდა სიცოცხლისაკენ. მასში თანდათანობით იღვიძებს ცხოვრება, მძაფრად ამოქმედდება მწირის აზროვნება და თითქოს გონების თვალი აეხილაო, უკმაყოფილო რჩება თავისი ხვედრის. იგი რწმუნდება, რომ უბედურია. ეს შეცნობა თავისი მდგომარეობისა ბერს თავზარსა სცემს, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, „ქალში განდეგილი მაცდურს აღარა ხედავს. მისი სახე სიამოვნებით აცისკროვნებს მის გულს, მის გაცეცხლებულ არსების დამაამებელ მალამოდ ხდება, მის აღშფოთებულს სულს აცხრობს და ამშვიდებს", განდეგილი უფსკრულისაკენ მიექანება. უნდა დაეწაფოს ცხოვრების ნექტარს. თუმცა არ ჰყოფნის ძალა და გამბედაობა მტკიცე ნაბიჯის გადასადგმელად. თავზარდაცემული მწირი ნუგეშად მზის სხივს მოელის თავის სიწმინდის შესამოწმებლად, მაგრამ აქაც უმტყუნებს ბედი და თავის მანუგეშებელი მზის სხივის ქვეშ გაუტევებს ხელოვნურად ტანჯულ სულს.

ამრიგად, ცხოვრებისაგან გაქცეულ მწირს აღარ ეყო ძალა კვლავ დაბრუნებოდა ცხოვრებას, მაგრამ იგი წაწყმედილი და უვარგისი აღმოჩნდა სამონასტრო (საიქიო) ცხოვრებისათვისაც. იგი ორივე მხრივ დამარცხდა.

სწორად შენიშნა კ. აბაშიძემ, რომ ილ. ჭავჭავაძემ „თვით სიკვდილიც დაუკავშირა განდეგილის მოქმედებას. ცხოვრების გაქცევა, მისი მოთხოვნილებების უარ-ყოფა მომაკვდინებელია და მომსპობელი".

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში პირველად Wasian-მა შეადარა „განდეგილს" ე. ზოლას „აბატი მურეს შეცდომა" და გ. ფლობერის „წმ. ანტონის განსაცდელი"[2]. კ. აბაშიძე უფრო ვრცლად შეეხო ამ საკითხს და შეეცადა დაენახვებინა მკითხველისათვის, თუ რა დიდად განსხვავდება ილიას „განდეგილი" ზემოხსენებულ ნაწარმოებებისაგან.

ზოლა თავის ნაწარმოებში გვიხატავს ბრძოლას ბუნებრივ გრძნობასა და ასკეტიზმს შორის. ამ მხრივ და ზოგიერთი სხვა წვრილმანი დეტალებითაც ილიას „განდეგილი" ემსგავსება „აბატი მურეს შეცდომას", მაგრამ არსებობს არსებითი ხასიათის სხვაობა, რითაც „განდეგილი" გაცილებით მაღლა დგას ზოლას ნაწარმოებზე. ეს განსხვავება პირველყოვლისა იმა-

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 187.
[2] იხ. „ივერია", 1894 წ., № 198.

ში პოულობს გამოხატულებას, რომ ზოლას რომანში ასკეტიზმი რჩება გამარჯვებული, „განდეგილში"-კი ბუნება სძლევს ასკეტიზმს.

კ. აბაშიძე ხედავს იმ არსებითი ხასიათის განსხვავებასაც, რომელიც არსებობს ილიას განდეგილსა და ზოლას სერჟს შორის. ილიას „განდეგილი ფილოსოფოსია, პესიმისტი, ცხოვრების ბიწიერებისაგან გულ-მოწამლული, რომელსაც უნდა ქვეყნის ცოდვები ლოცვითა და ცრემლით გამოისყიდოს, მღვდელი მურე კი ცრუმორწმუნეობის და უაზრო ფორმის აღსრულების წადილის მსხვერპლია, იმ ფორმის, რომელიც ფორმალიზმს გამოუგონია და რომელსაც არავითარი მტკიცე ნიადაგი არ მოეპოვება არც სარწმუნოების კანონებში და არც ბუნებისაში"[1].

ილიას განდეგილს ცხოვრება საშინელებად და საზიზღრობად ეჩვენება, ამიტომ იგი წყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს და კისრულობს სარწმუნოების რომელიმე ფორმის შესრულებას. ზოლას განდეგილიც თითქოს ტოვებს ცხოვრებას, თუმცა მასთან კავშირს არ წყვეტს, რადგან სოფლის მღვდელია და სოფელშივე (ცხოვრებაშივე) ტრიალებს და ვინაიდან პატერია, ვალდებულია სარწმუნოების ესა თუ ის ფორმა აღასრულოს. მურე ავადმყოფი და არანორმალური ქმნილებაა, „თითქმის ფსიხოპატია..." განდეგილი კი ნორმალური არსებაა, სულით და ხორცით მთელი და ამიტომაც მასში ბუნებრივი გრძნობა ძლიერია, მთლად ვერ მოუსპია იგი. თუმც იმდენად სულით ძლიერი ადამიანი კია. რომ შეუძლია სულ არ მიუშვას „ძირითად მოთხოვნილებათა სადავე". ზოლას მურესა და ილიას განდეგილს შორის ის განსხვავებაცაა, რომ მურეს „ცხოვრებაზედ არავითარი აზრი არა აქვს შედგენილი, არ იცის ცხოვრების სიავ-კარგე", განდეგილი კი ცხოვრების ღრმა ცოდნით ხასიათდება.

ვფიქრობთ მართალი უნდა იყოს კ. აბაშიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ ზოლა „აბატი მურეს შეცდომით" „უფრო ვიწრო აზრს ებრძვის, კათოლიციზმისაგან შექმნილს კანონებს და მისგან დადგენილ ასკეტიზმს, ებრძვის მას, როგორც ბუნების დამასახიჩრებელს და ადამიანის დამღუპველ ფორმას", თუმცა რომანში ასკეტიზმი მაინც გამარჯვებული რჩება. ილიასთან კი სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ილია საზოგადოდ წინააღმდეგია განდეგილობისა, ებრძვის ცხოვრების უარყოფას, რა ფორმითაც უნდა იხატებოდეს იგი. ადამიანის ადგილი ცხოვრებაშია და არა მის მიღმა. ადამიანს უნდა აღელვებდეს კაცობრიობის ჭმუნვა და სიხარული, მისი ბედი და უბედობა. პოეტის ღრმა რწმენით

დიდის ღმერთის საკურთხეველს
მისთვის ღვიის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.

ამიტომ, პოეტი კატეგორიულად უარყოფს განდეგილობას, ასკეტიზმს და სასტიკად ამარცხებს მის წარმომადგენელს. „ი. ჭავჭავაძის იდეალია ისეთი აღმასრულებელი ღვთის მცნებისა, როგორიც თავისს „გლახის ნაამბობში"

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, I, გვ. 194.

დაგვიხატა მღვდლის სახით და რომელიც სრულიად სხვა გზით ცდილობს ემსახუროს ღმერთსაც და მოყვარესაც ვინემ განდეგილი. იგი უმსუბუქებს ხვედრს გაჭირვებულს, თავს სწირავს კაცის სიკვდილისაგან დახსნისათვის, აძლევს მათ გონებრივსა და ხორციელს საზრდოს. იგი ცხოვრებაში ტრიალებს და ცხოვრების ტალღებს გმირულად ებრძვის"[1]. ასეთი ადამიანია ილიას გაგებით პატივისცემის ღირსი და არა ცხოვრებას მოწყვეტილი ასკეტი.

კ. აბაშიძემ ილიას „განდეგილი" შეადარა ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელსაც" და ამ შემთხვევაშიც არსებითი ხასიათის განსხვავება დაინახა.

ფლობერის მსოფლმხედველობა მეტად თავისებურია. იგი წარმომადგენელია ბურჟუაზიული რეალიზმისა, მაგრამ, ამავე დროს, მისი ნაწარმოებებისათვის, განსაკუთრებით კი იმ ნაწარმოებებისათვის, რომელნიც ადრეულ პერიოდში არიან შექმნილნი, დამახასიათებელია რომანტიკული სევდა, ნაღველი და უიმედობა.

კ. აბაშიძე სწორად შენიშნავს, რომ „ფლობერის ფილოსოფია საშინელი პესიმისტური იყო და ყოველი მისი თხზულება არის უცნაური სევდით აღსავსე. ფლობერი ყოველს თავის თხზულებაში გვიხატავს კაცთა მისწრაფებისა და სურვილების შეუსრულებლობას; გვიჩვენებს, რომ მთელი ჩვენი წარმოდგენა ცხოვრებაზედ მტკნარი ოცნებაა, ჩვენი ბეჩავობისა და ჰკუის სისუსტის ნაწარმოებია"[2]. ასეთი შეხედულება, ძირითადად, სწორია, მაგრამ იგი სავსებით ზუსტი მაინც არ არის. არ შეიძლება ერთნაირი სულიერი განწყობილების გამომხატველად მივიჩნიოთ ერთი მხრით „წმ. ანტონის განსაცდელი", ხოლო მეორე მხრით „მადამ ბოვარი" და „სალამბო". მართალია, ამ ორ უკანასკნელ ნაწარმოებშიც ჩანს სამყაროს რომანტიკული ჰვრეტა, რაც იმ გარემოებითაც არის გამოწვეული, რომ ფლობერი ბურჟუაზიული კულტურის კრიზისს მთელი კაცობრიობის კულტურის კრიზისად წარმოიდგენს, მაგრამ „წმ. ანტონის განსაცდელი" რომანტიკული, უნუგეშო და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილების საუკეთესო ნიმუშია. ფლობერს, ამ ნაწარმოების მიხედვით „ცხოვრების გახსენებაზედ „გული ერევა", იგი ადამიანის მოქმედებისა და მისწრაფების უაზრობას და მის უგუნურებას მწარედ დასცინის".

რა მდგომარეობა გვაქვს ილ. ჭავჭავაძესთან? კრიტიკოსის აზრით „არც ჭავჭავაძეა ოპტიმისტი, არც იგია აღტაცებული მოტრფიალე ცხოვრებისა. ამ „ბოროტის სამეფოს". წინააღმდეგ მას იმდენზედ შეგნებული აქვს ეს წუთისოფელი, „სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა", იმდენად მწარედ აქვს იგი აღწერილი იმავე პოემაში (თავ. III), რომ განსვენებულმა ბოსლეველმა მისი პესსიმიზმი, კინაღამ ბაირონის პესსიმიზმზედ უფრო ძლიერად არ იცნო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ კაცს, და განსა-

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, I, გვ. 197.

[2] იქვე, გვ. 199.

კუთრებით ყოველ შეგნებულ შვილს ცხოვრებისას („განდეგილი") ვალად ადებს—ამ ცხოვრებას არ განშორდეს, იქვე იყოს, იქვე ემახუროს და კაცობრიობის ტკივილს უეცრად მიაშველოს წამალი. უმისობა, ცხოვრების დათმობა, მისი ზურგის შექცევა კაცისათვის შეუძლებელია"[1].

ამ დებულების მეორე ნახევარი სავსებით სწორია, მაგრამ საპირისპირო მოსაზრებას იწვევს კ. აბაშიძის შეხედულება, თითქოს არც ილ. ჭავჭავაძე იყოს ოპტიმისტი და პოემის III თავში იგი ღრმა პესიმიზმამდე დადიოდეს.

პოემის III თავში მართლაც მუქ ფერებშია წარმოდგენილი ცხოვრება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ცხოვრება დახახლი და დახასიათებულია არა ყოველმხრივ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი უარყოფითი მხარეებით. აქ, მართლაც, არავითარი ნიშანწყალი არ არის ოპტიმიზმისა, მაგრამ ასეთი ცალმხრივი უვრეტა ცხოვრებისა არ არის დამახასიათებელი ილიას აზროვნებისათვის. მწერალი ცხოვრების მეორე მხარესაც ხედავს, ხედავს მის მომხიბვლელობას, სილამაზეს და სიკეთეს, რაც სამაგალითოდაა ჩამოყალიბებული პოემის XIX და XX თავში. და თუ ილია პირველ რიგში და იმიც ძალიან მკაფიოდ ყურადღებას ცხოვრების უარყოფით მხარეებზე ამახვილებს, ამ შემთხვევაში იგი გარკვეული მოსაზრებით ხელმძღვანელობს. მისი აზრით „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა, ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი—ეგ აშკარაა"[2]. ასე მოიქცა ილია „განდეგილში" და. სწორედ. აქ გამომჟღავნდა მისი ძლიერი ოპტიმიზმი. ილ. ჭავჭავაძის „მსოფლმხედველობა, მისი ფილოსოფია არის არა პესიმიზმის და უიმედობის ფილოსოფია, არამედ ოპტიმისტური ფილოსოფია, კაცობრიობის უკეთესი მომავლის რწმენით გაჟღენთილი ფილოსოფია,—სიცოცხლის ფილოსოფია"[3]. ამ მხრივ ილ. ჭავჭავაძეა და ფლობერს შორის არსებითი განსხვავებაა.

განსხვავებაა ნაწარმოებთა შორის ფორმის თვალსაზრისითაც. ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელი", კ. აბაშიძის აზრით, უფრო მეცნიერული თხზულებაა, ვიდრე სიტყვაკაზმული ნაწარმოები. რომლის გაგებაც ისტორიული და მითოლოგიური ლექსიკონის გარეშე გაუჭირდებოდა მკითხველს. „განდეგილი" კი — მხატვრული სიტყვის შედევრია.

ამრიგად, კ. აბაშიძის მართებული დასკვნით. ილიას „განდეგილი", როგორც „აზრით, ისე გარეგანი ფორმით" ვაცილებით მაღლა დგას ფლობერის ნაწარმოებზე.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. კრიტიკოსის აზრით ფლობერიც

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 200.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 47.
[3] პ. რატიანი, ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1954 წ., გვ. 118.

და ზოლაც უკიდურესი დეტერმინისტები არიან (მეტაფიზიკური დეტერმინიზმი) ფლობერისათვის უაზრობაა ადამიანის აქტიური მოღვაწეობა ცხოვრებაში, რადგან, იგი ბოლოს მაინც სასიწარკვეთილებაში უნდა ჩაეყარდეა. ხოლო ზოლას გაგებით ყოველი ადამიანი გარეშე ზეგავლენაა მონაა. ბუნების კანონებისა და მოვლენების ყურმოჭრილი ყმაა.

რაც შეეხება ილ. ჭავჭავაძეს, მისი დეტერმინიზმი სრულიად თავისებურია: „მართალია კაცზედ გავლენა აქვს გარეშე ძალებს, მისს ბუნებრივ გრძნობებს. მაგრამ სულიერი მხარე ადამიანისა მაინც ძლიერია", რომლითაც იგი ბუნებრივ გრძნობას ძლევს. განდეგილმა დიდი ბრძოლით ჩაჰკლა თავის არსებაში ბუნებრივი გრძნობა. კ. აბაშიძის აზრით ილ. ჭავჭავაძის დეტერმინიზმი შემდეგში გამოიხატება: „ბუნებრივი ძალების სრულად მოსპობა არ ძალ-გვიძს, რაკგან შვილნი ვართ ბუნებისა. ამგვარად ჩვენი ნება შეზღუდულია. ხოლო ჩვენ შეგვიძლია ეს ბაცდური ძალები შევაჩეროთ და მათის ზედ-ვავლენის წყალობით უკიდურესობამდის არ მივიდეთ. ამ შემთხვევაშიაც არა ვართ სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება უფრო იდეალურია. ჩვენ ჩვენ აზრზედა ვართ დამოკიდებული, ჩვენი ვონებისა და ნების მონა ვხდებით. ე. ი. ჩვენი ბატონი ჩვენვე ვართ, ჩვენი უფალი ჩვენი არსებითი, სულიერი მხარეა. კაცის მოქმედებაზე ამგვარი შეხედულება პოეტისა, უფრო ღრმა საფუძველს აძლევს პოემის მთავარ აზრს"[1]. ილია მოითხოვს ადამიანის აქტიურ, საქმიან მონაწილეობას ცხოვრებაში, რითაც იგი უახლოვდება მარქსიზმს და დიამეტრალურად ემიჯნება ზოლას და ფლობერს.

კ. აბაშიძეს უურადღების გარეშე არც ის გარემოება დარჩენია, რომ ლიტერატურულ კრიტიკაში ილ. ჭავჭავაძის „განდეგილს" ხშირად ადარებდნენ მ. ლერმონტოვის „მწირს", ამიტომ მან საჭიროდ დაინახა, ამ საკითხზეც თავის მოსაზრება გამოეთქვა.

ლერმონტოვის მწირს ცხოვრებისაკენ ლტოლვა ახასიათებს. მაგრამ მას ძალით იშერენ მონასტერში ვით ტუსაღს. მწირს არაფერი არ აკავშირებს სამონასტრო ცხოვრებასთან, იგი ცხოვრებას შეჰხარის და ყოველგვარად ცდილობს თავი დააღწიოს სულის შემხუთავ კედლებს, გაურბის მონასტერს. იმ დროს, როდესაც ილიას განდეგილი თვით მიისწრაფვის მონასტრისაკენ ცხოვრებისაგან გამოქცეული. ამდენად, მათ შორის საერთო არაფერია.

კ. აბაშიძის აზრით ლერმონტოვის მწირი უფრო ზოლას რომანის გმირს ჰგავს. რადგან იგი აბატი მურეს მსგავსად ძალით არის დასახიჩრებული. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს, რადგან სერის არსებაში კათოლიკური ეკლესიის გაკვლენით მთლიანად ჩამკვდარია ადამიანური გრძნობები. ეს გრძნობა მხოლოდ ერთხელ გაიცოცხლდება ალბინასთან ურთიერთობის პროცესში, მაგრამ ეს არის გრძნობა

1 კ. აბაშიძე, ეტიუდები, I გვ. 210.

არა ნორმალური, არამედ ავადმყოფი ადამიანისა. როგორც კი გაიკურნება სერჟი იგი კვლავ გულმკვდარ ადამიანად იქცევა. აბატი მურეს გულცივობა იმ ზომამდისაც კი მიდის, რომ დასაფლავების დღეს, მშვენიერ ალბინასათვის წესის აგების დროს, წვეთ ცრემლსაც არ ღვრის და წარბსაც არ იხრის. კათოლიკურმა ეკლესიამ შეძლო სერჟის დამახინჯება, მაგრამ ქართულმა მონასტერმა ვერ ჩაკლა მწირში ადამიანი, ვერ ჩაკლა მასში სიყვარული და ტრფიალება ცხოვრებისადმი. პირიქით, ყრუ კედლებში გამომწყვდეული არსებისათვის ცხოვრება უფრო ლამაზი და მიმზიდველი შეიქმნა. იგი ეზად არის სიცოცხლის განახევრების. ოღონდ ეზიაროს ქარიშხალთან ცხოვრებას:

ცოტა ვიცხოვრე ტანჯულმა ტყვედა;
მუ ორ ამნაირ სიცოცხლეს ერთად
აბობოქრებულ ერთ ცხოვრებაზე.
რომ შემძლებოდა გავცვლიდი წამსვე.

მწირში ბუნებრივი გრძნობა აღძრა ქართველი ქალის მომხიბლელობამ და მისმა საამურმა სიმღერამ:

სიმღერა იყო უბრალო, საღა.
მაგრამ ის გულმა ღრმად განიცადა,
და ოდეს მწუხრით ვარ ვანისულო.
მას უხილავი მიმღერის სული.

სულთმობრძავი მწირის თვალთა წინაშე კვლავ სიცოცხლის, სილამაზის და ტრფიალების გრძნობის აღმძვრელი სურათები მირაჟივით გაიელვებენ. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი თავისი კუთხის, ბუნების და მშვენიერების მოტრფიალე რჩება.

ლერმონტოვის მწირი განსახიერებაა სიცოცხლის ტრფიალებისა და მას არაფერი აქვს საერთო ზოლას სერჟთან. ლერმონტოვის მწირი ცხოვრებისადმი უსაზღვრო ტრფიალებით და ბუნების მშვენიერების განცდით უფრო ილ. ჭავჭავაძის მწყემს ქალს გვაგონებს. ამ თვალსაზრისით საერთო მათ შორის მეტად ბევრია.

საინტერესოა დასკვნა, რომელსაც კ. აბაშიძე საბოლოოდ აკეთებს ზემოხსენებულ ნაწარმოებთა შედარების შედეგად: „ზოლას" რომანი ნასტიკი ბრალმდებელი იქმნა ასკეტიზმისა და კათოლიციზმის. ფლობერის თხზულება ცხოვრების უაზრობისა და უმნიშვნელობის ამბავია, ადამიანის უგუნურების სურათია. ლერმონტოვის პოემა რომანტიული, ინდივიდუალურ ფილოსოფიის პირმშო შვილია. „მწირი" უსაზღვრო პირადს თავისუფლებას ელტვის და თავისუფლებაზედ ფიქრი უსპობს სიცოცხლეს. ი. ჭავჭავაძის პოემა კი გვიჩვენებს არა თუ უაზრობას და უსაფუძვლობას ასკეტიზმისას, გვიმტკიცებს, რომ იგი შეუძლებელია; გვიჩვენებს როგორა სჯას ცხოვრება მის წინააღმდეგსა და უარმყოფელ შვილებს. აქ ავტორი სოციალურის, საზოგადოებრივის მორალის მოსარჩლედ ხდება: პირად უსიამოვნებას, პირადს ტანჯვასა და მწუხარებას არა სახავს უმთავრეს საგნად ცხოვრებისა; საზოგადოებისა და ცხოვრე-

ბის სამსახურია საჭირო და აუცილებელი. მისი აზრით... ვინც მისდევს პირადს მყუდროებაა, ვინც ცდილობს პირადი მშვიდობიანი ცხოვრება მოიპოვოს, იგი შემცდარია, ის სენაკშიც მოუსვენებელი იქმნება და ადრე თუ გვიან პასუხს მისცემს ცხოვრებას"[1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა მართებულია.

კ. აბაშიძემ განიხილა „განდეგილის" მხატვრული მხარეც. კრიტიკოსმა სწორად შენიშნა, რომ პოემა აგებულია ლეგენდაზე, მაგრამ იგი, ამავე დროს, ყურადღებას ამახვილებს იმ იდეურ-სიუჟეტურ ნათესაობაზე, რომელიც მართლაც არსებობს „განდეგილსა" და ერთ უძველეს თხზულებას შორის, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება წმინდისა მამისა ჩუენისა მარტინიანესი".

კ. აბაშიძე აყენებს საკითხს: „ავტორმა თავისი პოემის არაკი პირდაპირ ამ თქმულებიდან ისესხა, თუ ჩვენ ხალხშია ამგვარი თქმულება დარჩენილი?" სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობის გამო კ. აბაშიძემ ამ საკითხზე პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. დღეს სავსებით გარკვეულია, რომ „განდეგილი" არ არის დაწერილი მარტინიანეს „ცხოვრების" ლიტერატურული რედაქციის შთაგონებით. „ამ „ცხოვრების" ბერძნულ რედაქციებს ილია ვერ გამოიყენებდა, სხვა არა იყოს რომიტომაც, რომ ორი მათგანი მხოლოდ 1907 წელს გამოქვეყნდა, ქართული თარგმანი კი მისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ვინაიდან ერთადერთი ნუსხა მისი ათონის მთაზე აღმოჩენილი მხოლოდ. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თქმულება ილიას აუღია ხალხური სიტყვიერებიდან, სადაც ის ალბათ დიდი ხნიდან ყოფილა გადასული"[2].

ილიას რომ ნამდვილად გამოუყენებია ხალხური ლეგენდა ეს უდავოა. პოემის ერთ-ერთი ვარიანტი ილიას მიერ ასეა დასათაურებული: „მეუდაბნოე—ხალხში გაგონილი ლეგენდა". მეორე ვარიანტი ამ სათაურისა ასეთია: „ბეთლემი—ხალხში გაგონილი ლეგენდა", მაგრამ სამწუხაროდ, რომელია ეს ლეგენდა დღემდის მიუკვლეველი რჩება. ზოგად ხაზებში ემთხვევიან ილიას პოემას ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული სამი პატარა ვარიანტი ლეგენდისა ცბიერი დედაკაცის მიერ ბეთლემის წმ. გიორგის მონასტრის ბერის შეცდენის შესახებ, რომელიც მას ხევში გაუგონია, მაგრამ, როგორც აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს ეს ვარიანტები იმდენად უხეში ნატურალისტური ხასიათისანი არიან, რომ ძალიან შორს დგანან ილიას „განდეგილის" ლეგენდის თქმულებისაგან.

უდავოა ისიც, რომ ილია იცნობდა ბეთლემის აღწერას, რომელიც მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს: როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს „ვახუშტის ამ აღწერილობის ერთგვარ pendant-ს წარმოგვიდგენს განთქმული შესავალი ილიას პოემისა" არც ისაა გამორიცხული,

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 204.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1954 წ., გვ. 21—22.

რომ ილიას თავის თვალით ენახა ბეთლემი, მაგრამ ლეგენდა, რომელიც პოეტმა გამოიყენა, დღემდის უცნობია.

ილ. ჭავჭავაძე მხატვრული სიტყვის ოსტატია, იგი დინჯად და მოფიქრებულად არჩევს პოეტურ საღებავებს. სიტყვიერ მასალას და მხატვრულ ხერხებს ამა თუ იმ სურათის, ან ამა თუ იმ სახის დასახატად მაგალითად, „განდეგილის ფსიხოლოგიის დასასაბუთებლად ჭავჭავაძე ერთს მეტად ხერხიანს და ესტეტიკაში საუკეთესოდ მიჩნეულს საშუალებას ხმარობს და კიდევაც მიაღწევს ამით თავისს აზრს[1], ეს არის დაპირისპირების ხერხი. დაუპირისპირა რა „კუშტსა და მწყრალს" განდეგილს სიცოცხლით აღსავსე მწყემსი ქალი, ერთმა ფერადმა უფრო თვალსაჩინო გახადა მეორე და ორივე მოქმედი პირის სახე უფრო სრულად წარმოგვიდგინა. „დააკვირდით რა რეალიზმით აქვს ავტორს აღწერილი მომხიბვლელობა ქალის სიმწვანიერისა. განდეგილს თუ „კუშტადა და მწყრალად" გვიჩვენებს, თუ იქ სრულიად გვაცილებს ამ ქვეყნიერებას,—აქ ცხოვრების შუაგულია, ცხოვრების ბოძრაობაა. უძლიერესი ძალა სიცოცხლისა გადმოსჩქეფს ყოველ სტრიქონიდან და ძალა-უნებურად გიტაცებთ აქ, ამ ქვეყნისაკენ, ამ მწარე და თანაც ტკბილი წუთისოფლისაკენ"[2].

საყურადღებო ეს არის, შენიშნავს კ. აბაშიძე, რომ ილია ჭავჭავაძე დაწვრილებით არსად არ იძლევა ქალის სახისა და სხეულის ნაკვთების მშვენიერების აღწერას, იგი მხოლოდ რამდენიმე შტრიხს ავლებს, რითაც მკითხველის ფანტაზიას სრული გასაქანი ეძლევა, რომ წარმოიდგინოს ულამაზესი ტურფა ქმნილება.

მაგრამ, პოეტს ეხერხება არა მხოლოდ მოქმედ პირთა სახეების ოსტატური გამოკვეთა, არამედ „არა ნაკლებ გასაოცარ ხელოვნებას იჩენს ავტორი ბუნების სურათების აღწერაში". აქაც მოხერხებულად იყენებს იგი კონტრასტის ხერხს და ჰქმნის თვალის მომჯადოებელ, ზოგჯერ სიმბოლური ხასიათის მქონე სურათებს.

ილია, როგორც მხატვარი-შემოქმედი უდიდესი მოვლენაა.

დასასრულს კ. აბაშიძე შეეხო „მნათობის" ფურცლებზე მოთავსებულ გ-კას წერილსაც და ნათლად მიუთითა რეცენზენტს, რომ არავითარ პესიმიზმს და ცხოვრების უარყოფას „განდეგილში" ადგილი არა აქვს. საშინელება იქნებოდა, რომ განდეგილის მოქმედება ისე წარმართულიყო, როგორც ეს გ-კას სურდა. „განდეგილი რომ მწყემს ქალს პირველის დანახვისთანავე ჩაჰკონებოდა, როგორც ეს „მნათობის" რეცენზენტს ჰნებავდა, მაშინ მხოლოდ იმას დაეინახამდით, რომ ეს ილიას განდეგილი გამოდგა სულით სუსტი და მეტის-მეტად ცეტა, თორემ ზოგიერთს ღრმად მორწმუნეს აფიქრებინებდა, ასე არ მოიქცეოდა მტკიცე ხასიათის ადამიანიო.

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 216.

ით არის ეს პოემა ღრმა და აუცილებლად დამარწმუნებელი, რომ განდეგილი მტკიცე და შეუდრეკელის ძლიერის ხასიათისა და მაღალის რწმენის კაცია, მაგრამ იგიც სძლია ბუნებამ და ცხოვრებამ, სძლია და მით კატასტროფა მოახდინა მის არსებაში"[1].

ამ წერილში კ. აბაშიძემ „განდეგილის" შესახებ იგივე თვალსაზრისი გამოთქვა, რაც ადრეც ჰქონდა გამოთქმული.

* * *

კ. აბაშიძეს კვლავ გამოეკამათა გ-კა და შეეცადა კრიტიკოსის მიერ წამოყენებული დებულებების დარღვევას და თავის ადრეულ შეხედულებათა დაცვას, მაგრამ ამ წერილით მან ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა, რომ ვერ ჩასწვდა „განდეგილის" ლეიტმოტივს და ნაწარმოები ყალბად გაიგო. მან ისიც კი განაცხადა, რომ „ჩვენ საკმაო საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ავტორი განდეგილს თანაუგრძნობს, და რამდენათ ის მას თანაუგრძნობს, იმდენათ ის კვერს უკრავს და ადასტურებს ამ თავის ნაწარმოებში განდგომილობასაც"[2].

ვფიქრობთ, არ არის საჭირო ამ წერილის ვრცელი მიმოხილვა, რადგან ავტორს ახალი არაფერი უთქვამს. ხოლო თუ რამდენად ეცდარია ის ძირითადი დებულება, რომელიც ჩვენ აქ მოვიტანეთ, ამის შესახებ ადრეც გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული ფ. რ უ შ ა ე ლ ი ს წერილი, რომელიც წარმოადგენდა გ-კას მიერ გაზ. „მნათობის" 52 და 53 ნომრებში დაბეჭდილი წერილის პასუხს.

ფ. რუშაველი წერილის დასაწყისშივე მართებულად შენიშნავს, რომ „ბ. გ-კას სავსებით ვერ გაუთვალისწინებია ამ პოემის მთავარი აზრი" და ამიტომ ცდილობს გაარკვიოს რეცენზენტი ნაწარმოების ლეიტმოტივში.

წერილის დასაწყისში, რათა გაარკვიოს ილიას დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე, ავტორი გაკვრით იხსენიებს ილ. ჭავჭავაძის წინამორბედ პოეტებს, ბ. გაბაშვილსა და ალ. ჭავჭავაძეს და მათი შემოქმედების შესახებ არასწორ თვალსაზრისს ავითარებს. მისი აზრით „ვარდი, ბულბული, შავი თვალები, წითელი ღვინო, გრძელი კაეები... აი რა იყო ბესარიონ გაბაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და მრავალ პოეტების სატრფიალო საგანი, ხოლო სამშობლოს კი, როგორც ერს მთელი თავისი მასით, ეძინა და სულაც არ ესმოდა. ამ მოცლილი ადამიანების „რაყიფობა"[3]. ასეთი შეხედულება როგორც ბ. გაბაშვილს, ისე ალ. ჭავჭავაძის შესახებ საფუძველშივე მცდარია, რის შესახებაც ჩვენ ადრე გვქონდა ლაპარაკი[4], ამიტომ აქ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, I, გვ. 273—274.
[2] „მნათობი". 1911 წ., №53.
[3] გაზ. „თემი", 1911 წ, № 49.
[4] ი. ბოცვაძე, ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1955 წ., ბახტრიონი.

თუ ფ. რუშაველი სცდება ილია ჭავჭავაძის წინამორბედ პოეტთა შემოქმედების შეფასებაში, სამაგიეროდ სწორად აფასებს იგი იღ. ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის მნიშვნელობას და ხაზს უსვამს იმ ძირითად მოტივებს, რომელიც მწერლის ადრეული პერიოდის ნაწარმოებებისათვის იყო დამახასიათებელი. იგი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ილიას ადრეულ ნაწარმოებებში გატარებული აზრები ერთი წუთითაც არ შორდებიან ამქვეყნიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს და ამ საკითხებს დასტრიალებს თავს მისი პოემა „განდეგილიც".

განდეგილი მეტად მძლავრი სახეა ილიას მიერ შექმნილი, „ი. ჭავჭავაძემ ხალხის ოცნებიდან ამოკრიბა ყველა საუკეთესო თვისებები და მიაკუთვნა ისინი ცხოვრებიდან გასულს ღვთის მოსავს ადამიანს. პოეტს ეს პირი ტენდენციურად არ შეუქმნია, ის მას არ უშვია, არამედ ამოძერწა ხალხის გონებიდან და საუკეთესო ასკეტის სახე დაგვიყენა თვალწინ"[1].

ბერი ასკეტური სამყაროს ძლიერი წარმომადგენელია, ამიტომ საჭირო იყო ძლიერ პიროვნებას ძლიერივე მოპირდაპირე წარსდგომოდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, რათა ბრძოლის პირობები გათანასწორებულიყო. კრიტიკოსის აზრით „მწყემსური სანა კაცობრიობის ცხოვრებაში ყველაზედ უფრო მხატვრული და ლამაზია" და ილიამაც განდეგილს რეალური ცხოვრების საუკეთესო წარმომადგენელი, მწყემსი ქალი, დაუპირისპირა. მათ შორის „ხანგრძლივი ბრძოლა არ მომხდარა, პირველ დაპირისპირებისთანავე ბერის არსება შეინძრა, მის გულში ისევ ამქვეყნიურმა ზრახვებმა გაიღვიძეს" ქალის შეკითხვაზე: „მაშ ვინც ქვეყნად ვართ ყველა წავწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?" ბერი იბნევა, იგი ვერ ახერხებს მის მიერ გადადგმული ნაბიჯის დაცვას, იგი ეხლა ერკვევა, რომ თურმე „სინამდვილეს მხოლოდ გონებით განშორებია, თორემ არსების მოკვლა, ჩახშობა შეუძლებელი ყოფილა" და თავს უბედურად რაცხს.

კრიტიკოსის აზრით პოეტს შეეძლო აქ დაესვა წერტილი. მაგრამ „ისე როგორც ვერ ჩაჰხვია ბერი გოგონას", ვერც პოემა შესწყვიტა, რადგან სურდა „ჯერ ერთი—უფრო ნათლად დაენახვებინა ასკეტიზმის უსაფუძვლობა და მეორეც იმისათვის, რომ მეტის-მეტად ტენდენციური სახე არ მიეცა პოემისათვის და სინამდვილის ელფერს მოეცო მისი აზრის სამართლიანობა—ერთის სიტყვით პოემის ჰეშმარიტი მსვლელობა არ შეეფერხებია და ცხოვრების ობიექტური პირობებისათვის არ ეღალტნა".

ღმერთი ყოველად მოწყალე და ლმობიერია, მან იცის ცოდვათა მიტევება, ეს ძალიან კარგად იცის განდეგილმა და ცდილობს ცოდვათა მონანიებას. საშველად იგი ხატს იხმობს, მუხლმოდრეკილი პირჯვრის წერითა და ცრემლების ცხარე ნაკადულით ცდილობს განიბანოს ცოდვებისაგან,

[1] „თემი", 1911 წ., № 49.

ზე ახედა... დედა ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთის-შობილს ნაცვლად,
თვალთ-წინ დაუდგა იგივე ქალი...
პირჯვარი უნდა ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა—ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!

იწყება საშინელი აგონია. ბერი წმიდა ხატისგანაც მოტყუებული დარჩა. გარეთ გავარდება, ყინულთა შორის დაძრწის, ტანტალებს, სურს გამოფხიზლდეს, მაგრამ აქაც თითქოს ქვეყანა თავდაყირა დამდგარა, იდუმალი ხმა გესლიანად ჩასძახის ყურში: „გძლიე თუ ვერა" მწირის უკანასკნელი ხუჯეში მზის სხივიღაა. მაგრამ „ერთხელ ძლეული ასკეტიზმი აღარ იქნა შეწყნარებული თავის მეუფისაგან და ბერის ლოცვანი სხივმა არ დაიჭირა". და კრიტიკოსი მართებულად კითხულობს: რა იქნა ლმობიერება, გულმოწყალება, სულგრძელობა, ცოდვათა პატიების ქველმოქმედი ძალა ღვთაებისა, რისთვისაც მწირი გუნდრუკს უკმევდა ზეციერ მამას? აღმოჩნდა, რომ თურმე ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა. „ეს არამც თუ დამარცხებაა ასკეტიზმისა, ეს მთელი ხომალდების დაწვაა. ეს ისეთი მომენტია ტრაგიზმის, რომ გამოსასვლელი ერთი და არის—სიკვდილი... და ბერმაც „იქვე სხივქვეშ უტევა სული". ფ. რუშაველი კარგად შენიშნავს, რომ ბერს აღარც რეალური ცხოვრებისკენ დაბრუნება შეეძლო და აღარც ძველი გზის განგრძობა.

განდეგილი სიკვდილის შემდეგაც უბედური აღმოჩნდა. მისი სული არ შეიწყნარა ზეციერმა მამამ, რადგან ილიამ იცის, რომ ყველაფერი ეს სიყალბეა. პოემის აპოთეოზით მწერალმა ასკეტიზმს უკანასკნელი საყრდენიც გამოაცალა.

შეეძლო თუ არა პოეტს მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა ლერმონტოვი, რომელმაც დემონისაგან ტანჯული თამარის სული ანგელოზებს გაატანა? ანდა „ფაუსტის" ავტორი, რომელმაც მარგარიტას სული ანგელოზთა გუნდში მოაქცია? რა თქმა უნდა არა. ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ ასკეტიზმი გამარჯვებული გამოვიდოდა, რადგან ბერი სწორედ იქით მიისწრაფოდა, რომ ანგელოზთა და სხვა წმინდანთა შორის მარადიული ნეტარი სასუფეველი დაემკვიდრებინა.

ამის შემდეგ ფ. რუშაველის დასკვნა სავსებით მართებულია: „განდეგილში" ილია ასკეტიზმს კი არ ქადაგებს, არამედ პირიქით, მის სასტიკ მოწინააღმდეგედ გვევლინება, და „შემცდარია ის ვინც პოეტს ასკეტიზმისადმი სიმპატიას დასწამებს"[1].

---

[1] „თემი", 1911 წ., № 49

„განდეგილის“ ირგვლივ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე 1912 წლის გაზეთ „თემში“ დაბეჭდილი მ. წულუკიძის სტატია: „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა“.

სტატიის ავტორი „განდეგილს“ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრად მიიჩნევს, რომელიც საპატიო ადგილს დაიჭერს მსოფლიო ლიტერატურაშიც. ნაწარმოების ერთ-ერთ უდიდეს ღირსებად მ. წულუკიძეს ის გარემოება მიაჩნია, რომ მასში მეტად ორგანულად არის შერწყმული ფორმა და შინაარსი[1].

მ. წულუკიძე განდეგილობას საერთოდ, არ მიიჩნევს დადებით მოვლენად. განდეგილნი ცხოვრებაში ნიადაგგამოცლილი ადამიანები არიან, მაფ ეპოქასთან არავითარი კავშირი არა აქვთ და მხოლოდ თავისი ინდივიდუალური ცხოვრებით სცხოვრობენ. მათ ახასიათებთ უსაზღვრო სიყვარული ყველასადმი, სამაგალითო სიწმინდე სულისა, იდეალიზმი, გულახდილობა, პირდაპირობა. მაგრამ ამ თვისებებს იყენებენ არა საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, არამედ საკუთარი არსების განსპეტაკებისათვის. „მათი თვალები მომავლისაკენ იყურებიან და დღევანდელ რეალურ ცხოვრებას ვერ ხედავენ, მათი გონება ბედნიერებაში სცხოვრობს, მათი თვალსაზრისი შორეულ თავისუფალ ადამიანთა სიყვარულის და სათნოების მუსიკითა სტკბება... და თანამედროვე ხალხთა ჟრიამულსა და ჟივილ-ხივილს ვერ ისმენს... მომავალი მათი მათივე პიროვნებაა“[2], მაგრამ ისინი შორს არიან თავისი იდეალიდან და საბოლოოდ ცხოვრების გარეშე რჩებიან. მათ სული ზეცისათვის ჩაუპარებიათ, მაგრამ. სწორედ. აქ იწყება ტრაგედია განდეგილობისა. რეალური სინამდვილე, სისხლჭარბი ცხოვრება მთელი ძალით იჭრება მათ არსებაში და დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ სასტიკად მარცხდებიან. თუმცა ეს ნიადაგგამოცლილი ადამიანები მაინც გზას უნათებენ კაცობრიობას, როგორც პიროვნებანი. მ. წულუკიძის აზრით „ამ დიდებულ საკითხს, ამ იდეას ეხება აგრეთვე ჩვენი დიდებული მგოსნის—ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

ვფიქრობთ აქ დამატებით მსჯელობას არ საჭიროებს იმის მტკიცება, რომ ილ. ჭავჭავაძის „განდეგილს“ არაფერი აქვს საერთო იმ იდეასთან, რომელსაც მ. წულუკიძე გეთავაზობს. ილიას განდეგილები არ წარმოუდგენია ისეთ ადამიანებად, რომელნიც „ცხოვრების გარეშე დარჩენილან

---

[1] მ. წულუკიძის აზრით ფორმისა და შინაარსის ასეთი ორგანული კავშირი არ ახასიათებს ილიას სხვა ნაწარმოებებს. „ბევრ მათგანში, ნაახრევსა და ნაფიქრს მეტი ადგილი უჭირავს ვიდრე განცდილს და ნაგრძნობს“, იქ შინაარსი და ფორმა განცალკევებით ემსახურებიან ავტორის შემოქმედებას. ასეთი შეხედულება საფუძველშივე მცდარია. ძნელია დავასახელოთ ილიას მემკვიდრეობაში რომელიმე ნაწარმოები, სადაც ფორმა შინაარსის შესაბამისი არ იყოს და პირიქით.

[2] „თემი“, 1912 წ., № 80.

და თხზავენ თავის ლეგენდას, რომლის წინაშე კაცობრიობა მოწონებით თავს იხრის“...

როგორც პოეტმა, ასევე ლიტერატურულმა კრიტიკამ დაჰგმო განდეგილი. დაჰგმო მისი მოქმედება. მაგრამ მ. წულუკიძე არ იზიარებს ამ აზრს. პირიქით, განდეგილი მას თაყვანისცემის ღირსად მიაჩნია და ფიქრობს, თითქოს ილიაც თაყვანს სცემდეს მათ. „ბევრი ჰგმობს განდეგილის მოქმედებას—წერს მ. წულუკიძე— მოღალატეს უწოდებს მას,—როგორ შეუძლია ადამიანს მონაწილეობა არ მიიღოს ყველა იმაში, რაც ხდება ჩვენ თვალწინ, გულხელდაკრეფით უცქიროს ცხოვრების უკუღმართობას და თავგასულობასო... ძალიან მართალია ეს ყველაფერი, მაგრამ მჭედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ასეთ ადამიანებს, როგორიც განდეგილია, არ შეუძლიანთ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, რადგან მათი სულიერი არსება ამის წინააღმდეგია... განა სიკეთის მოტანის მეტი რაიმე სურთ განდგომილ ადამიანთ? მთლიანი მათი პიროვნება მხოლოდ ამას გაძახის ხოლმე, მაგრამ აქტივობა მათი საქმე არ არის—ისინი უნათებენ შორით თანამედროვე კაცობრიობას, როგორც პიროვნებანი, როგორც წინამორბედნი შორეულ სპეტაკ ადამიანთა,—ისინი პირველნი მერცხალნი არიან; დიახ, მაგრამ ჩვენთვის, დღევანდელ პირობებისათვის გამოუსადეგარნი, ჩვენივე თვალთა ხედვის ისრით. მათში ჩვენ ვხედავთ შორეულ მომძეთ, რომელნიც მოევლინებიან შემდეგში სამყაროს... განდეგილნი ამიტომ დასაგმობი კი არა, სათაყვანებელნი არიან, თუმცა მათ აზროვნებას და მიდრეკილებას თანამედროვე ადამიანი ვერ დაეთანხმება. ასე მოეპყრო მათ ილია ჭავჭავაძეც და ამ გამოიჩინა მან ნამდვილი მგოსანი სული“[1].

ეს შეხედულება განდეგილობაზე ბევრით არაფრით განსხვავდება, თვით რომელიმე განდეგილი ბერის შეხედულებებისაგან და სამღვთო წერილში განვითარებულ მოძღვრებისაგან. საშინელება იქნებოდა, რომ საღ აზროვნებას განდეგილნი შორეულ სპეტაკ ადამიანთა წინაპრად წარმოედგინა. იდეალური, სპეტაკი პიროვნების შესაქმნელად არსებობს სრულიად სხვა გზა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ასკეტურ ცხოვრებასთან. ასკეტიზმი, ერთი შეხედვით, თითქოს აფაქიზებს ადამიანს, მაგრამ ფაქტიურად მის არსებაში ნერგავს საშინელ ეგოიზმს, რომელიც ერთ-ერთი უმახინჯესი მხარეა ადამიანისა. როგორ შეეძლოთ განდეგილთ შორით გაენათებინათ გზა თანამედროვე კაცობრიობისათვის, როდესაც მათ ცხოვრებასთან ყოველგვარი კავშირი ჰქონდათ გაწყვეტილი. კაცობრიობისათვის ისეთივე უცხონი იყვნენ ისინი, როგორც მათთვის კაცობრიობა. განდეგილში ილია არ ხედავს შორეულ მომძეს, რომელიც მოევლინება შემდგომში სამყაროს. არათუ მათი შემდგომი მოვლინება, არამედ მათი არსებობაც კი ილიას უაზრობად და შეუძლებლად მიაჩნია. ამიტომ ამარ-

[1] თეატრი, 1912 წ., № 81.

„განდეგილის“ შესახებ თავისი შეხედულება გამოთქვა კრიტიკოსმა სილოვან ხუნდაძემაც. მისი აზრით „ილიას „განდეგილი“ გერმანელი რომანისტის ებერსის ნაწარმოების „Homo sum“-ის გავლენით არის დაწერილი, რომელიც თვით ილიას „რამე თუ კაცი ვარ“-ის სათაურით აქვს ნათარგმნი“[1].

სილ. ხუნდაძემ სწორად გაიგო ნაწარმოებია დედააზრი და მისი სწორი ანალიზიც მოგვცა. სავსებით მართებულად შენიშნავდა კრიტიკოსი, რომ „განდეგილი“ ცოცხალი სურათებით გამოხატული განმარტებაა იმ დედააზრისა, რომელიც ილიამ მყინვარისა და თერგის შედარებაში დაგვისაბუთა („ელბრუსიკავკასიდამ ტფილისამდე“). ცხოვრებაში, ხალხში ტრიალი და ბოროტებასთან მედგარი ბრძოლა — აი ჩვენი პოეტის იდეალი, და განდეგილის დამარცხებით პოეტი გვეუბნება, რომ ადამიანი ცხოვრებას კი არ უნდა გაშორდეს, პირიქით—ხალხში უნდა ტრიალებდეს და მისი კეთილდღეობისათვის მის თვალწინვე ლოცულობდეს (უბნობდეს) და მოქმედობდეს. სულ ერთია, ცხოვრების სინამდვილეს ადამიანი მაინც ვერ გაქცევია, მასთან ურჩობა არ გაუვაო“[2].

ასე წარმოგვიდგინა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“. ჩვენს მიერ განხილული წერილებიდან მკითხველი დაინახავდა, რომ რევოლუციამდელი ლიტერატურული კრიტიკა თითქმის ყოველმხრივ შეეხო პოემას და საფუძვლიანად მიმოიხილა იგი. შემდეგდროინდელ კრიტიკოსებს პოემის ირგვლივ რაიმე არსებითი ახალი აზრი აღარ გამოუთქვამთ და ძირითადად სხვადასხვა ვარიანტით იმეორებდნენ იდრე გამოთქმულ შეხედულებებს. არის თუ არა საკითხები, რომელიც თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის კვლევის ობიექტი გახდეს? რა თქმა უნდა არის. არ იქნებოდა ინტერესმოკლებული სპეციალურად შეგვესწავლა, მაგალითად, პოემაში გამოყენებული პოეტური ხერხები და მათი მნიშვნელობა ნაწარმოების იდეური მხარის ახსნისათვის, შეგვესწავლა პოემის ლექსიკა და სხვ... ამ საკითხთა განხილვით ლიტერატურული კრიტიკა კიდევ ერთ ახალ სიტყვას იტყოდა ილ. ჭავჭავაძის უკვდავი პოემის ირგვლივ.

*

*

არანაკლები ინტერესით გამოეხმაურა ლიტერატურული კრიტიკა ქართული პროზის შედევრს — „ოთარაანთ ქვრივს“.

„ოთარაანთ ქვრივით“ დაბეჭდა ილიამ თავისი შემოქმედების ოქროს კარი. აქ გამოვლინდა მწერლის მსოფლმხედველობის ძლიერი და სუსტი

---

[1] სილ. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, VI, 1919 წ., გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 51.

შხარეებზე, ამ ნაწარმოებში ილიამ, როგორც ხელოვანმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. „ოთარაანთ ქვრივი“ ილ. ჭავჭავაძის აზროვნებისა და შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის ქვინტესენციას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული შენიშვნები „ოთარაანთ ქვრივზე“ გაცილებით ადრე გამოითქვა, ვიდრე იგი ბეჭდური სახით მოევლინებოდა მკითხველ საზოგადოებას.

„სალამოს რვა საათი იქნებოდა — მოგვითხრობს ი. მანსვეტაშვილი — სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელნი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის ყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი, — საუცხოო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — და კიდევ. ბევრნი სხვანი“[1]. აი, ამ რჩეულ ქართველ საზოგადოებაში, 1887 წლის შემოდგომაზე, ილიამ წაიკითხა ხელნაწერი თავისი რჩეული მოთხრობისა — „ოთარაანთ ქვრივი“.

როგორც ი. მანსვეტაშვილი გადმოგვცემს, მოთხრობას წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია მსმენელებზე. გრ. ვოლსკის, ამ საუცხოო მცოდნეს ქართული ენისას, საჯაროდ განუცხადებია, რომ „მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი. როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებულია. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელია“[2]. ასეთი მაღალი შეფასების პარალელურად გრ. ვოლსკიმ რამდენიმე შენიშვნაც გააკეთა. მაგალითად, მას არ მოეწონა გიორგი, იგი უფრო ლანდია, ვიდრე ხორცშესხმული ცოცხალი ადამიანი. გიორგის მიერ მეჯინიბისა და მოჯამაგირის ცემა, გრ. ვოლსკის აზრით, არ გამოხატავს მის დიდსულოვანებას და დიდბუნებოვანებას, გიორგი ვერ იჩენს „თავის სულიერ სილამაზეს და გონების წარმტაცებლობას“, ამიტომ კესო არ არის გაკიცხვის ღირსი თუკი გიორგის სიყვარულს ვერ მიუხვდა.

გრ. ვოლსკის ამ თვალსაზრისისთვის მზარი დაუჭერია ნიკო ნიკოლაძეს. ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმება ილიას, რომელიც კესოსა და გიორგის შორის უფსკრულის გაჩენას მათი წოდებრივი სხვადასხვაობით ხსნის. თუ კესო ვერ მიუხვდა გიორგის სიყვარულს, ეს არც გვარიშვილობის ბრალია და არც ხიდის უქონლობისა. ამის მიზეზი ნ. ნიკოლაძის აზრით (როგორც ი. მანსვეტაშვილი გადმოგვცემს) მათი კულტურული დაშორე-

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 116.

[2] იქვე, გვ. 116—117.

ბაა. „აბა გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა შიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, — როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეჰხვდებოდა გიორგის, ამას რომ თავის გრძნობა ემცნო?... კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო"[1]. სანდოა თუ არა ი. მანსვეტაშვილის მიერ გადმოცემული ნ ნიკოლაძის აზრი? დოც. ჯ. ჯუმბურიძე ფიქრობს,, რომ „ცოტა არ იყოს, საეჭვოა, რომ ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც იმ დროის საქართველოში ყველაზე უკეთ ესმოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი, ასეთი აზრი გაძოეთქვა"[2]. მართლაც როგორც ჩანს ი. მანსვეტაშვილმა ზუსტად ვერ გადმოსცა ნ. ნიკოლაძის ნათქვამი, რადგან, როგორც ცნობილია ნ. ნიკოლაძე მშვენივრად ხედავდა, რომ საზოგადოება დაყოფილი იყო ანტაგონისტურ კლასებად, რომ მათ შორის წარმოებდა კლასობრივი ბრძოლა, ადგილი ჰქონდა მძაფრ წინააღმდეგობებს, ურთიერთ გაუგებრობას და შეძლებულთა და შეუძლოთა დაშორებას კულტურის სფეროშიც. სხვა საკითხია თუ რა გზით მიიჩნევდა ნ. ნიკოლაძე შესაძლებლად კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობას. ამ შემთხვევაში იგი გამოსავალს ხალხის გათვითცნობიერებაში, ხალხში განათლების შეტანაში ხედავდა, „ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას. გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას"— წერდა იგი და უტოპიური სოციალიზმის მსოფლმხედველობის ნიადაგზე მდგარი. ცდილობდა სალხში განათლების შეტანით. „თანამედროვე საზოგადოების ცნებების" გარდაქმნის გზით მოესპო სოციალური უთანასწორობა. ნ. ნიკოლაძე ყოველგვარი ბოროტების საწყისს ხედავდა არა კულტურულ ჩაგორჩენილობაში. მაღალ და დაბალ ფენათა შორის არსებულ კულტურულ დაშორებაში. არამედ კლასობრივ უთანასწორობაში. თავადაზნაურობისა და გლეხობის კულტურული დაშორება კი შედეგი იყო კლასობრივი განსხვავებისა. ამიტომ ძნელი სავარაუდებელია. რომ კესოსა და გიორგის შორის არსებული გაუგებრობა ნ. ნიკოლაძეს მხოლოდ ძირითადი მიზეზის (კლასობრივი სხვაობის) შედეგით (კულტურული დაშორებით) აეხსნა.

„ოთარაანთ ქვრიეის" შესახებ აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ. ზოგს გიორგის სიკვდილი დაუწუნებია „არა ბუნებრივია, შემთხვევითიაო, თვით მოთხრობის მსელელობიდან არ გამომდინარეობსო". ზოგს კი აღუნიშნავს. რომ „თვით სიკვდილი გიორგისა:—პირ-აღმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდან გიორგი და ურმის ჭალას ზედ დაეგო ზურგითაო"..., არა ესთეტიურიაო.

---

[1] ი. მანსვეტაშვილი. „მოგონებანი". გვ. 117.

[2] ჯ. ჯუმბურიძე, „ოთარაანთ ქვრივი" ქართულ კრიტიკაში, უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომების კრებული, II, გვ. 33.

ალბათ სხვაც ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ. მაგრამ ი. მანსვეტაშვილი, სამწუხაროდ, ამის მეტს არაფერს გვეუბნება.

შეიტანა თუ არა რაიმე შესწორება ილიამ მოთხრობაში, მიცემული შენიშვნების საფუძველზე? ხელნაწერების ტექსტი გვიდასტურებს, რომ რაიმე შესწორების შეტანა ავტორს საჭიროდ აღარ დაუნახავს და 1886 წლის იანვრიდან დაუწყია მოთხრობის ბეჭდვა „ივერიაში“,

დიდ ხანს არ გაუვლია ნაწარმოების ბეჭდვის დამთავრებიდან, რომ ქართველ საზოგადოებრიობას მოევლინა არა მხოლოდ საგაზეთო კრიტიკული წერილები, არამედ პატარა ზომის წიგნებიც, რომელნიც სპეციალურად განიხილავდნენ „ოთარაანთ ქვრივს“.

ერთ-ერთი ასეთი პირველი წიგნთაგანი იყო შ ი ო დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ს (მკითხველის) „ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვრივი-ს“ — ბ. ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები“.

შ. დავითაშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ მკითხველის უბრალო შენიშვნებით და საკმაოდ მწვავე კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამს, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს ვერ უგრძვნია ნაწარმოების მხატვრული ღირსება და ზოგ შემთხვევაში ვერც შინაარსი გაუგია.

შ. დავითაშვილი ილ. ჭავჭავაძეს, როგორც შემოქმედს, მაღალ შეფასებას აძლევს და ქართული მწერლობის მზედ მიიჩნევს, რომლის კალამმაც მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შესძინა ქართულ მწერლობას. მაგრამ, რაც შეეხება „ოთარაანთ ქვრივს“, იგი არ ემორჩილება „ლიტერატურის ისტორიით გამორკვეულს, ცნობილ კანონს“.

კრიტიკოსის აზრით „ოთარაანთ ქვრივში“ მარტივი სურათებია; ცალკე ფელეტონები ერთად არის შეკრებილი, მხოლოდ ავტორის სახელით. თუ მოთხრობად გადაკეთება გვინდა, რამდენიმე ფელეტონი უნდა ამოვშალოთ, გავსჭრათ, მივაკეროთ, ჩავუმატოთ, რომ მომქმედ პირთ რამე კავშირი ვუპოვოთ და ცხოვრების გზაზე ერთად შევყაროთ. თუ არა და, ყველას მაგივრად ავტორი ლაპარაკობს, გამოჰყავს გმირი და თვითონ გვიამბობს: ეს ასეთია ის ისეთიო“[1].

ვიდრე ნაწარმოების ცალკეულ მოქმედ პირთა დახასიათებაზე გადავიდოდეს, შ. დავითაშვილი ცდილობს გამოარკვიოს, თუ ვინ შეიძლება მიჩნეულ იქნას „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარ მოქმედ პირად. მისი აზრით მთავარი მოქმედი პირი გიორგია, რადგან „მოთხრობა მის გარშემო არის აშენებული“, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ავტორს უპირატესობა ოთარაანთ ქვრივისათვის მიუნიჭებია და მოთხრობისთვისაც მისი სახელი უწოდებია. ეს გარემოება კი კრიტიკოსს ნორმალურად არ მიაჩნია, რადგან მისი აზრით ოთარაანთ ქვრივის „დიდი სამსახური, ღვაწლი ქვეყნისა და შვილისადმი, მხოლოდ დედობა იყო, ისიც კი არ სჩანს, მოთხრო-

[1] მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი“, 1888 წ., გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9.

ბედამ, გარდასცა დედამ გიორგის თავისი ხასიათი, თვისება ჭკუა, გონება, ან გარეგანი შეხედულება მაინც, თუ არა?... მოთხრობაში ერთი მაგალითიც არ არის, რომ დედას შვილზე ავი ან კარგი გავლენა ჰქონოდეს"[1]. ამ სტრიქონების ავტორს, სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორც ჩანს, სრულებით არ ესმის „ოთარაანთ ქვრივის" უდიდესი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ვერ ამჩნევს ხალხური აღზრდის იმ საუკეთესო ჯანსაღ მეთოდებს, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი გიორგის საწვრთნელად იყენებდა.

არ მიაჩნია რა ოთარაანთ ქვრივი მოთხრობის მთავარ მოქმედ პირად შ. დავითაშვილი აცხადებს, რომ შეიძლებოდა იგი სრულიად ამოღებული ყოფილიყო ნაწარმოებიდან და მოთხრობას ამით არაფერი დააკლდებოდა, გარდა მისივე სურათისაო, მაგრამ საოცარია, რომ ავტორს ავიწყდება თავის დებულება და იმავე გვერდზე სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებას აცხადებს: „მოთხრობა — წერს იგი — ოთარაანთ ქვრივით იწყება და იმითვე თავდება, ის რომ არ ერიოს მოთხრობაში, წასაკითხავადაც აღარ ეკარგებოდა, მხოლოდ ამ გმირ დედაკაცისათვის მოუხმარებია ავტორს თავისი მხატვრული ნიჭი, ადამიანის სულის ცოდნა"[2]. აქ რომ აშკარა წინააღმდეგობაა, ეს იქვე გარეშეა, მაგრამ საყურადღებოა ავტორის მოსაზრების მეორე ნახევარ: კერძოდ, — არის თუ არა საყურადღებო თვით ოთარაანთ ქვრივი?

შ. დავითაშვილის წარმოდგენით ოთარაანთ ქვრივი ერთი აშარა დედაკაცია „სამაგალითო ლანძღვა-გინება რომ იცოდა". ავტორი ცდილობს იგი გულკეთილ ადამიანადაც წარმოგვიდგინოს და მოწმედ სოფლიან გაიპირას მცხოვრებ ერთ ქვრივ დედაკაცს ასახელებსო, მაგრამ ეს კრიტიკოსს საბუთად არ მიაჩნია, რადგან „ერთმა რაც უნდა სთქვას საქმარისი არ არის, — როდესაც მთელი სოფელი სხვა-ფრივ მოწმობს", ეს სხვაფრივ მოწმობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ „ოთარაანთ ქვრივს" გულის მაგიერ ქვა უდევსო, ამბობდნენ სოფელში". ოთარაანთ ქვრივის ახირებულ თვისებად კრიტიკოსი იმ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ ამ დედაკაცმა არ იცის ცრემლი, რომელიც „საზოგადოდ ქალებს, ქართველთ მეტადრე, ...გულით დააქვთ; ბრალიან უბრალოზედ, გულის საქმეა თუ მუცლისა, ღაპაღუპით გადმოსდით მდუღარება". აქ არაფერა ვიტყვით იმის შესახებ თუ რა არა სწორად არის გაგებული ცხოვრებაში გამოწრთობილი ქართველი ქალის გმირული ბუნება, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ როგორც ჩანს, შ. დავითაშვილი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს ცხოვრების ქარცეცხლში გამოვლილ ოთარაანთ ქვრივსა და არისტოკრატიულ სალონში აღზრდილ ქარაფშუტა ქალს შორის, რომელიც მართლაც „გულისა თუ მუცლის საქმეზე" ერთგვარად აფრქვევდა მდუღარებას.

კრიტიკოსმა ოთარაანთ ქვრივის სიკვდილიც არ მიიჩნია ნამდვილ მოვლენად. უდიერად გააშარჟა ის უდიდესი ტრაგიკული მომენტი, ის

[1] მკითხველი „ჩატეხილი ხიდი", 1938 წ., გვ. 9.
[2] იქვე.

უდიდესი ემოციური ძალის მქონე სულიერი განწყობილება ოთარაანთ ქვრივისა, რაც მოცემულია XXI თავში („ეძახის“). მან ოთარაანთ ქვრივი შეშლილად, უპკუოდ გამოაცხადა და ბოლოს დასძინა: „ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ საფლავზედ მოსიყვარულეთა სიკვდილი „პოეტ“ ავტორის ფანტაზიით არის გამოგონილიო“.

ოთარაანთ ქვრივის, როგორც ნაწარმოების გმირის გაგება-შეფასებაში შ. დავითაშვილის მსჯელობა იმდენად სუსტი, დაუსაბუთებელი და ზოგ შემთხვევაში გულუბრყვილოა, რომ სრულიად ზედმეტია მისი სერიოზული კრიტიკა.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გაიგო კრიტიკოსმა გიორგის პიროვნება. ამ შემთხვევაში შ. დავითაშვილს იგივე დაემართა, რაც ოთარაანთ ქვრივის შეფასების დროს.

კრიტიკოსი საყვედურობს ავტორს, რომ რატომ ერთი ფაქტი მაინც არ მოგვაწოდა, თუ მართლაც „ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩახაზვია გულში იმისი სიყვარული!?“ ან რატომ არ გვაჩვენა გამოიყენა რამეში თავის ღონე და გამრჯელობა, „ერთი ჩხირიც არის შეჰმატა თავის ოჯახს, თუ ამაოდ უბარაქოდ იკარგებოდა მისი შრომა ეშმაკის მუშასავით?“[1].

კრიტიკოსის მიერ ილ. ჭავჭავაძის მიმართ წამოყენებული საყვედურები და დაყენებული კითხვები გვაიძულებენ ჟიფიქროთ, რომ მას გულდასმით არ წაუკითხავს ნაწარმოები და ამის გამო გარკვეული აზრიც ვერ გამოუტანია. მოთხრობის სხვა ადგილებს რომ თავი დავანებოთ, განა III თავი („ხუთი ქისა“), ანდა V თავი („დედა-შვილობა“). გვაძლევენ საშუალებას, რომ გიორგის შრომა „ეშმაკის მუშის“ შრომას შევადაროთ? შეიძლება ვინმე შეგვედავოს. III თავში გიორგი არ ჩანს. იქ ოთარაანთ ქვრივის გარჯილობაზეა ლაპარაკიო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო“, რომელიც მხარში ედგა დედას და მასთან ერთად ჰქმნიდა ოჯახის დოვლათს.

გიორგის პიროვნება კრიტიკოსმა იმდენად გააუბრალოვა, რომ „პირუტყვთა საზოგადოების წევრად“ მიიჩნია, რომელიც „პირუტყვის გულისთვის კაცს წაუშენს სახრეს“, რასაც მისი მეტიჩრობით ხსნის.

შ. დავითაშვილი უცნაურ მოვლენად თვლის გიორგის მიერ კესოს შეყვარებას და შეუძლებლადაც კი მიიჩნევს ამას, რადგან „ჩვენში გვარიშვილობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ თავადთა და აზნაურთა მოყვრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არის... თავადთა და გლეხთა შორის ხომ, ავტორისავე სიტყვით: „ხიდია ჩატეხილი“. ავტორმა კი, კრი-

[1] მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი“, გვ. 20.

ტიკოსის აზრით, გიორგის დასწამა კესოს სიყვარული, როცა სინამდვილეში ამის მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

როგორ უნდა გავიგოთ გიორგის დამოკიდებულება, მისი გრძნობა კესოსადმი, აქ ნამდვილი სიყვარული გვაქვს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუ რაღაც სხვა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მიჯნურის გრძნობასთან? ამ საკითხზე შ. დავითაშვილი შემდეგ აზრს ავითარებს: გიორგიმ' „დაინახა, რომ იქ იყო ლამაზი (იქნებ მახინჯიც — მოთხრობაში სიჩუმეა) ქალი. შეუყვარდა ეს ქალი და როგორ? აქაც „პოეტს" გრძნობა შემოკლებია, ან „დამჯდარი ჭკუა“ ვეღარ გამოუყენებია და გიორგის სიყვარული ვეღარ გაურჩევია. განა არა გიორგისაც დაუტყვია, რომ იმის სიყვარული საჭიროდ გახდებოდა და საწყალმა ავტორს მიჰმართა თხოვნა, ვედრება: არა შენი ჭირიმე, მაგას როგორ ვიფიქრებდი, „მე ვინ და ის ვინ... სად მივწვდები ცაში ვარსკვლავს, ხატსავით ვლოცულობდი, მზესავით მინათებდა. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის ამარა დღეს მზეს ვუყურებ“.

ეს სიყვარული სულ სხვა ხილია. ბევრი ამხანაგთაგანი, ქალი თუ კაცი, ბევრი უსულო საგანიც გვიყვარს სხვადასხვა სიყვარულით. ვის არ უყვარს კარგი ყვავილი, ვის არ უნდა ვარდი მუდამ თვალწინ ედგას, მაგრამ ეს სიყვარული ის სიყვარული არ არის, რომელიც გიორგის დასწამეს. თუ ამაზედ დამეთანხმებით, მაშინ გიორგის ყოველი ქცევა ადვილად ასახსნელია. ის რომ ოცდაერთის წლის გიორგის რაღაც „დაღრეჯილობა“ დაემართა, კესოს ბრალი არ იყო. აქ სულ სხვა მეტად ცხადი მიზეზია: ამარ დედას რომ თავი დაანება და ვარდის ახლო ყოფნა არჩია — რა გასაკვირველია, მაგრამ კანკალი „ფეხის ძარღვების დაჭრა, ბარბაცი, თითქო მეხმა ახლო გაუარაო, თვალების აბმა.. რეტის დასხმა, გულის ჰიდილი“ და სხვა სულ „პოეტის“ ფანტაზიას ეკუთვნის. იქნება კრძალვა კანკალათ მიიღო, ვარდის ცქერით სიამოვნება — თვალების აბმად და ყნოსვის დატკბობა — რეტის დასხმად.. გიორგის ამ შემთხვევაში ბრალი არა აქვს; „კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო“[1].

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ შემთხვევაშიც სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მართალია, „ის გარემოება, რომ გლეხს გიორგის შეუყვარდა არისტოკრატი თავადის ასული (კესო), მეტად იშვიათ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, ცხადია, ამაში არაფერია შეუძლებელიც. სიყვარული ხომ ისეთი ძალაა, რომლისგანაც შეიძლება „ბრძენი ხელად რბოდეს“, ან „მეფე მონას ეყმოს“. თქმულება „აბესალომისა და ეთერის“ შესახებ ხომ ხალხის გენიის ნაყოფია. მაინცდამაინც უცნაური არც ისაა, რომ გიორგიმ ვერ გაბედა სიყვარულის გამომჟღავნება, ხოლო კესო ვერ მიუხვდა მას (ან კიდეც რომ გაეგო, გიორგის როგორც გლეხს ფურმე მაინც არ იკადრებდა). ეს უკვე რეალური პასუ-

[1] მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი“, გვ. 24.

სია იმ წოდებრივი დაშორიშორებისა, რაც საუკუნეებმა დაამკვიდრა". ეს გარემოება მშვენივრად იცოდა ილ. ჭავჭავაძემ და, სწორედ, იმიტომაც დაუშვა ერთგვარი გამონაკლისი, რომ უფრო მკვეთრად ეჩვენებინა წოდებრივი დაშორიშორება და ჩატეხილი ხიდის გამთელების შეუძლებლობა.

შ. დავითაშვილი ახდენს რა არასწორ ციტირებას ილ. ჭავჭავაძის საწარმოებებიდან სურს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გიორგის ფიქრადაც არ გაევლოს კესოს სიყვარული. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ „აშარ დედას" მოშორებულ გიორგის კესოს სიახლოვე განაცდევინებდა რაღაც უცნაურ გრძნობას, როგორსაც განიცდის, მაგალითად, ადამიანი ლამაზი ვარდის ცქერით, სიამოვნებას — მისი ყნოსვის დამტკბობი სურნელებით. სინამდვილეში კი გიორგის სიყვარული, სიყვარული ნამდვილი, ადამიანური, სავსებით ნათელი იყო. მომაკვდავი გიორგი ველარ მალავს ამ უძვირფასეს გრძნობას და პირდაპირ მიმართავს კესოს: „განა არ ვიცოდი,—მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი კაში ვარაკვლავს... გ უ ლ ი გ წ ვ დ ე ბ ო დ ა, გ უ ლ ი, ხ ე ლ ი კ ი ვ ე ღ ა რ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... მაგ კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება?".

გიორგის ამ სიტყვებს, მთელ მის მოქმედებას და მის დამოკიდებულებას კესოსთან, არაფერი აქვს საერთო სიყვარულის იმგვარ გრძნობასთან, რომელიც შ. დავითაშვილმა გიორგის ნამდვილად დასწამა.

რას წარმოადგენენ არჩილი და კესო შ. დავითაშვილის დახასიათებით?

არჩილი და კესო ის ადამიანები არიან, რომელთა სიტყვა და საქმე განსხვავდება ერთმანეთისაგან—„სიტყვით სწორე, საქმით კუზა" არჩილი დაუსრულებელი ლაპარაკის მოყვარულია, რომელიც ეძებს მსმენელს და თუკი ვინმე ხელში ჩაიგდო— შენს მტერს, გააბრუებს „რაღაც აზრებით", რომელიც „უტრიალებს არჩილს თავში და თვითონაც „ვერ გამორკვეულა".

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსმა არასწორად გაიგო არჩილისა და კესოს პიროვნება, მან მაინც შეძლო შეემჩნია, თუ რა საშუალებებით ცდილობს არჩილი ჩატეხილი ხიდის აღდგენას („ცნობიერი ცრემლი") მაგრამ ეს საშუალება ხიდის აღსადგენად, თუკი იგი ჩატეხილია, კრიტიკოსს შეუძლებლად მიაჩნია. „თუ ცრემლებით ხიდები შენდებოდეს, ჩვენი ქვეყანა სულ ხიდებად იქნებოდა გადაქცეული, იმდენი ცრემლი დაღვრილა"—აცხადებს კრიტიკოსი.[1]

რაც შეეხება სოსია მეწისქვილეს, ისიც სრულიად ზედმეტია მოთხრო-

---

[1] აკ. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე, 1955 წ., გვ. 100, 101.

ბაში და ავტორმა მხოლოდ იმიტომ შექმნა ეს სახე, რომ ერთი მეგობარი, გულის შემატკივარი და დამტირებელი მაინც ჰყოლოდა ოთარაანთ ქვრივს, რომელმაც მთელი სოფელი დააფორიაქა და რომელსაც აღარავინ ეკარებოდა.

კრიტიკული წერილის დასკვნით ნაწილში შ. დავითაშვილი იძლევა ნაწარმოების ზოგად შეფასებას და აღნიშნავს, რომ „ოთარაანთ ქვრივი" საუკეთესო მაგალითია „სიტყვების სიმრავლისა, უაზრო, მაგრამ მაღალ, რიტორულ ფრაზებისა". ნაწარმოები წაკითხვის უმალ ავიწყდება მკითხველს, რადგან „მთელ მოთხრობაში არ არის არც ერთი დასრულებული სახე: ერთისა ენა გვიჩვენეს, მეორისა მკლავი, მესამისა ფეხი და მეოთხისა ჩრდილი. ამასთან მთელი მოთხრობა ჩვენს ნიადაგზედ არ არის აწენებული. ერთი ჩვენი ნაცნობი სახეც ვერ დავინახეთ. ჩვენი აღმაშფოთებელი, ან დამატკბობელი სიტყვაც ვერ გავიგონეთ, ის სიტყვა, რომელიც მაღლა ცაში კი არ იკარგება, არამედ გულსა ჰხვდება"[1]. ოთარაანთ ქვრივის და გიორგის მსგავსი გლეხები ჩვენ სინამდვილეში არ მოიპოვებიან. არჩილისა და კესოს მსგავს პირებს კიდევ შეიძლება შეხვდეთ ცხოვრებაში, მაგრამ აქაც არჩილის ზოგიერთი მხარე არ ეთანხმება რეალურ სინამდვილეს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ავტორს აწინდელ ქართველთა სახე კი არ გადაუღია, არამედ იდეალური სურათები თუ დაუხატავს და გარდმოუცია ჩვენთვის სახელმძღვანელოდ".[2]

მაგრამ ვარგა თუ არა იდეალად ისეთი გმირები, როგორიცაა ოთარაანთ ქვრივი ან გიორგი? ამ კითხვაზე კრიტიკოსის პასუხი უარყოფითია. „წარმოიდგინეთ სოფელი — წერს იგი — სადაც ერთი ათიოდე ოთარაანთ ქვრივი ცხოვრობდეს. მგონებ ლეკიანობა გერჩივნოთ აძისთანა სოფელში გაელას... რავდენიმე გიორგიც კარგად მოთავსდებოდა ერთად. ოთარაანთ გიორგი ოთხფეხს გამოესარჩლება, მეორე ქათამს არ დააკვლევინებს, მესამეს ვირის საპალნე დიდად ეჩვენება, მეოთხე მუშაობას დაუწუნებს და... გაიმართა მუდამ ცემა-ტყეპა. არჩილები ცრემლების გროვებას მოუნდებიან, კესოები ყვავილებს გააჩენენ და შეიქმნა სამოთხე. მაგრამ არ ვიცი „ჩატეხილი ხიდი" ამით გამთელდებოდა თუ არა"[3].

არსებობს თუ არა წინააღმდეგობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის? ნუთუ მართლა ხიდია მათ შორის ჩატეხილი? კრიტიკოსის პასუხი ამ კითხვებზედაც უარყოფითია და მწერლის დიდ შეცდომად მიიჩნია წოდებათა შორის არსებული მწვავე სოციალური წინააღმდეგობის ბაღალმჭატვრული გახსნა. „ჩვენ-თავად რომ ვიფიქროთ, რა გზა-კვალს, რა ხიდებს ეძებს ჩვენი მწერლობა ბ. ჭავჭავაძის მოთავეობით? ნუ თუ მართლა ჩვენ ხალხში წოდებათა შორის ისეთი განხეთქილება სუფევს,

---

[1] მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი", გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 35.

რომ მათ შორის ხიდი ჩატეხილა და მის აღსადგენად მრავალთაგან მრავალი ცრემლი იყოს საჭირო? რა უნახავთ, რა გაჰკვირვებიათ, რომელ ხიდის ჩატეხაზედ გვესაუბრებიან?

რა ვიცი, არა ერთი სოფელი მოვიელია, არა ერთს თავადს, აზნაურს ვიცნობ, არა ერთ გლეხთან მილაპარაკია და ჩატეხილ ხიდზედ ხსენებაც არსად არის. მართალია ყველა თავისთვის ცხოვრობს და სხვის დარდი არა აქვს, მაგრამ არჩილსაც და კესოსაც არა ჰქონიათ გიორგისა და მეწისქვილე სოსიას დარდი. ეს მაინც არ უშლის არც ერთ მხარეს მიჰმართოს მეორეს, დაუკითხავად ესტუმრონ სახლში ერთმანეთს (არჩილმა კი გიორგი „დოკლადით“ მიიღო), როცა რამე მოუნდებათ„[1]. მამასახლისისაგან, ან იასაულისაგან შეწუხებული გლეხი ბატონს მიმართავს საშველად, ბატონია მისი მფარველი მაშინაც, თუ გლეხს თავისივე მოძმე წამოედავა. ან ავაზაკმა დაარბია, ან თუ სტიქიამ ზარალი მიაყენა. შ. დავითაშვილი თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის სრულ ჰარმონიას ხედავს და კატეგორიულად აცხადებს, რომ „აქ ჩატეხილ ხიდზედ ლაპარაკიც არ შეიძლება და არ ვიცი საითგან რა გამოუგონია ბ. ჰავჰავაძეს. დღემდის ეს არის და თუ ხიდის ჩატეხაა, შეიძლება დღეის იქით ჩატყდეს და ისიც ჩვენ „არჩილების“, მედიდურთა მწერალთა და მათ მოლაქლაქე ერთგულთა წყალობით“[2]. ამრიგად, შ. დავითაშვილს სურს დეკლარატიული განცხადებით მიიჩქმალოს ის კლასობრივი წინააღმდეგობანი და მის საფუძველზე წარმოქმნილი ხიდჩატეხილობა, რომელსაც გასული საუკუნე საკმაოდ ნათლად ამჟღავნებდა. მას ავიწყდება ამავე ნაშრომში მის მიერვე განვითარებული სწორი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „ჩვენში გვარიშვილობას დიდი მნიშვნელობა აქვს“ და რომ სხვაობა გვარიშვილობის ნიადაგზე თავს იჩენს არა მხოლოდ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, არამედ თავადთა და აზნაურთა შორისაც.

შ. დავითაშვილმა, რაკი უარჰყო ჩატეხილი ხიდის არსებობა, ამიტომ მწერალსაც ამ ხიდის გამთელებაზე ფიქრი და ზრუნვა შეცდომად ჩაუთვალა.

მაგრამ, თავისთავად, უდავოდ, საინტერესოა საკითხი, თუ რა პრობლემის ირგვლივ ტრიალებს ნაწარმოები? შესაძლებლად მიაჩნია თუ არა ილ. ჰავჰავაძეს ჩატეხილი ხიდის გამთელება და ჰქადაგებს თუ არა იგი „ოთარაანთ ქვრივში“ კლასობრივი ჰარმონიის თეორიას? ამ საკითხზე ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა და კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მწერალი „ოთარაანთ ქვრივში“ კლასობრივი ჰარმონიის თეორიის აპოლოგეტად გვეელიხება და კონკრეტულ გზებსაც სახავს ამ თეორიის განსახორციელებლად, მაგრამ არის აზრიც, რომ მართალია, ნაწარმოებში ილ. ჰავჰავაძის მიერ

---

[1] მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი“, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 40.

დასმულია კლასობრივი ზავის საკითხი, მაგრამ მოთხრობა არ არის კლასობრივი ზავის მქადაგებელი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება, უდავოდ, სწორია და იგი არა მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივის“. არამედ ილია ჭავჭავაძის შემოქმედრეობის და, საერთოდ, მისი მსოფლმხედველობის ღრმად შესწავლიდან გამომდინარეობს.

კლასთა ბრძოლის საკითხისადმი ილ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება ერთობ თავისებურია.

ბატონყმობის მძიმე ვარების პერიოდში ილია მკვეთრად აყენებს ფეოდალურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციის რევოლუციური გზით დანგრევის აუცილებლობის საკითხს, იგი მოუწოდებს კაცობრიობას „კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილების დამსხვრევას“ და „შრომის ასსნას“, რასაც უნდა მოჰყვეს „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ენებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამხვრევლად განზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტკივრთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის.
კაცთა ღვლვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.

ამ პერიოდში ილ. ჭავჭავაძისათვის წარმოუდგენელია ფიქრი თანადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთ მორიგეობაზე. მას ღრმად სწამს, რომ „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...“ დამაფიქრებელია გაბრიელის ნაღვლიანი სიტყვები: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!“...

ილ. ჭავჭავაძე, საუკეთესო მცოდნე კაცობრიობის ისტორიისა, მშვენივრად ერკვეოდა კლასთა ბრძოლის მიზეზებსა და შინაარსში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენენ მისი წერილები, რომლებშიც ლაპარაკია გერმანიის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოთა განვითარების შინაგან პროცესებზე. ილ. ჭავჭავაძე ნათლად ხედავდა, რომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოება გაყოფილია ორ მოპირდაპირე, მტრულ ბანაკად—ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. ამ ბრძოლაში ილიას მთელი სიმპათიები მუშათა კლასის მხარეზეა... ილია ცდილობს დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები და დაუფარავი სიხარულით ლაპარაკობს იმ „ალიაქოთზე“, რომელიც თავიანთ მჩაგვრელებს შეიძლება აუტეხოს ევროპის მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა“[1].

[1] პ. რატიანი, „ი. ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1954 წ., გვ. 168.

წოდებრივ და კლასობრივ ანტაგონიზმს ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ბატონყმობის პერიოდის საქართველოში. არამედ, ზოგ შემთხვევაში, იგი უფრო მწვავედაც იჩენს თავს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც. და ილ. ჭავჭავაძეს, ნაცვლად იმისა, რომ სწორედ ამ გარემოებაზედ გაემახვილებინა ყურადღება, 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანების დასაწყისში მან უარჰყო როგორც რეფორმამდელ. ასევე რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში წოდებათა შორის ანტაგონიზმის არსებობა და შეეცადა თავადაზნაურობისა და გლეხობის „ძორიგებას". „წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის და პოლიტიკურისა— წერს ილია—ცილება—რომელიც უღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში. ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი. თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით არ განსაკუთრებულა ერთს წყობად. ერთს დასად"[1].

მკითხველს აოცებს დიდი მოაზროვნის ასეთი შეხედულება და საჭართლიანად ხედავს მძაფრ წინააღმდეგობას „გლახის ნაამბობისა" და „კაკო ყაჩაღის" ავტორისა და „ცხოვრება და კანონის" ავტორს შორის.

ილია თითქოს გრძნობს თავისი დებულების სისუსტეს და მიუთითებს ერთგვარ ელემენტებზე. რომელთაც შეეძლოთ „საქმე ბრძოლამდე და შეხეთქებამდე" მიეყვანათ, თუკი განვითარების საშუალება მიეკებოდათ. „ჩვენ იმის თქმა-კი არ გვინდა—წერს იგი—რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა. არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში. რომელიც, თუ თავის ცხოვრებაში უხუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა. საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზევითა ვსთქვით. ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში".

რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში წინააღმდეგობამ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ახალი ძალით იჩინა თავი, ილ. ჭავჭავაძეს არ შეიძლებოდა არ შეენიშნა და არ აღენიშნა ეს გარემოება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი ერთგვარად არბილებს შექმნილ ვითარებას: „ამით იმის თქმა კი არ გვინდოდა—წერს ილია—რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური თუ მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად ცხოვრობენ. არა,—ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება. ხოლო დიდი შეცდომა იქნება. ამისი მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილე-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 60.

ბას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული. ხარბი თვალი. გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა"[1]. ეს მიზეზები კი. რომელნიც ქმნიან წოდებათა განხეთქილებას. ილიას აზრით. ისეთი ხასიათისაა. რომელთა გადალახვა და მოსპობაც შესაძლებელია. რადგან ბოროტების მთავარი წყარო—ბატონყმობა აღარ არსებობს. ამიტომ იგი მიზეზთა მოსპობისაკენ და წოდებათა სრული მორიგეობისაკენ მოგვიწოდებს: „ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი. რომ ჩვენი ცხოვრება. წარმოადგენს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ალისას. ამიტომაც დიდად სცოდვენ ქვეყანას და ხალხსაც. ნამეტნავად ჩვენში,—ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა. განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის. რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, საცა ეგ არ არის, რათ გვინდა რომ იყოს?"[2]

რატომ დაჭირდა ილია ჭავჭავაძეს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში წოდებათა შორის არსებული წინააღმდეგობის უარყოფა და ცალკეული კლასების „შერიგების" შესაძლებლობის პროპაგანდა?

როგორც ცნობილია, ილ. ჭავჭავაძისათვის მთელი მისი შეგნებული სიცოცხლისა და მოღვაწეობის პერიოდში ძირითად პრობლემას ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა. „სრულიადაც არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ინტერესებს შეწირა ილიამ ყველაფერი: თავის თეორიული მუშაობის წარმატებაც. კლასთა ბრძოლის მეცნიერული გაგებაც, მთელი თავისი პირადი ცხოვრებაც"[3].

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეამ მიიყვანა ილ. ჭავჭავაძე საქართველოში კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე. წოდებათა შორის არსებული პრინციპული განხეთქილების უარყოფამდე. მისი მიზანი იყო ნაციონალური თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ჩაბმულიყო არა ერთი რომელიმე კლასი, ან წოდება, არამედ მთელი ქართველი ერი. ამისათვის კი საჭირო იყო არა განხეთქილება კლასებსა და წოდებათა შორის, არამედ მონოლითური ერთიანობა ქართველი ერისა. მაგრამ საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ილიას საჭიროდ რაცხს არა მხოლოდ ქართველი ხალხის მჭიდრო კავშირს. არამედ იგი უფრო შორს მიდის და ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობაზედაც კი ოცნებობს. ვერაგი მტრის დათრგუნვა ილიას მხოლოდ მაშინ მიაჩნია შესაძლებლად, თუ „მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმოჩენილი, ერთისა აზრით, ერთის გრძნობით" აღელდებოდა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 61.
[2] იქვე, გვ. 61—62.
[3] პ. რატიანი, „ილ. ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი," გვ. 135

ამისათვის პირდებოდა ილიას კლასთა და წოდებათა ურთიერთ თანამშრომლობის თეორიის ქადაგება.

მაგრამ საზოგადოების განვითარებას თავისი კანონები აქვს და იგი არ იცვლება ცალკეულ ადამიანთა ნება-სურვილების მიხედვით. ცხოვრებაც თავისი კანონებით მიედინებოდა და რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა კლასთა და წოდებათა შორის. მიუხედავად მრავალგზის ცდისა, ილ. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობათა მოსპობა და ჩატეხილი ხიდის გამთელება. კაცთა შორის და განსაკუთრებით თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსებულ მტრობისა და წინააღმდეგობის მიზეზთა გადალახვა და მდგომარეობის ნორმალიზაცია არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეს ილ. ჭავჭავაძეს ეგონა, ოადგან იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ და ეკოსოციალურ მიზეზებთან. დიდი მოაზროვნის მოლოდინს ცივი წყალი გადაესხა. მისმა იმედებმა საბედისწერო კრახი განიცადეს და იგი დარწმუნდა, რომ მათი განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან, ის იდეები ოდნავადაც არ ეფარდებოდნენ შექმნილ ვითარებას. ფერცვლილი ცხოვრების წინაშე პირისპირ მდგარი ილია ჭავჭავაძე დაიბნა და თითქოს დაიწყო ახალი გზების ძიება. 1886 წლის ერთ მოკლე პუბლიცისტურ წერილში, „ახალი დასის მოლოდინში", ილია კარგად გადმოგვცემს ამ მდგომარეობას: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია. ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია თუ კაცს გზა აერევა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია"[1]. სწორედ ასე დაემართა ილ. ჭავჭავაძეს. უკან დაბრუნება მისთვის შეუძლებელი იყო. ფერცვლილი ცხოვრებისთვის მისი იდეები შეუფერებელი აღმოჩნდა და ჩიხში მომწყვდეულმა მოაზროვნემ სწორი გზის პოვნა ვეღარ შეძლო თუმცა ოპტიმისტური სული ბოლომდე შეინარჩუნა. 80-იანი წლების მიწურულს ი. ჭავჭავაძე ერთხელ და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კლასობრივი ზავის ქადაგება უიმედო ოცნება იყო.

ამ საკითხის მხატვრულ სრულყოფას წარმოადგენს ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი".

გიორგის გულწრფელი სიყვარული კესოსადმი სრულიად უშედეგო აღმოჩნდა წოდებათა შორის ხიდის გასადებად. სიკვდილის წინ კესოს მიმართავ გიორგის მიერ წარმოთქმული სიტყვები—„მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწედებოდი ცაში ვარსკვლავს"... ერთგვარად გვაგონებს გაბრიელის აღსარებას: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი რომა ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!..." ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც კი ნაბა-

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ II, 1941 წ., გვ. 172.

ტონარმა ვერ უცალა ნაყმევს. სიყვარულის უძლიერესი გრძნობაც კი უსუსტესი გამოდგა სოციალურ ზღუდეთა გადასალახავად.

საქმეს ვერ უშველა ვერც არჩილისა და კესოს განათლებამ. მათმა გულწრფელმა სურვილმა და მოქმედებამ გლეხობასთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად. გლეხობა მათდამი კვლავ მიუკარებელი დარჩა. უფრო მეტიც— გიორგის სიკვდილმა გლეხობის ერთი ნაწილის ერთგული ზიზღიც კი გამოიწვია და-ძმის მიმართ.

რაც შეეხება ოთარაანთ ქვრივს, ამ „უკვდავი მხატვრული სახით ილია ჭავჭავაძემ სასოკვდილო ლახვარი ჩასცა ყოველგვარი კლასობრივი წერიგების თეორიას"[1]. განსაკუთრებით X თავში („მხილება თუ კადნიერება") ოთარაანთ ქვრივის მკვახე სიტყვით სამაგალითოდ არის მხილებული ის უფსკრული, რომელიც გლეხობასა და თვადაზნაურობას შორის არსებობს და აქვე მინიშნებულია ამ უფსკრულის ამოვსების შეუძლებლობა.

ჩატეხილი ხიდის გამთელების მკრთალი იმედი იგრძნობა თითქოს არჩილისა და კესოს დიალოგში „ცრემლიანი ცოდნის" მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ეს უფრო სურვილია ვიდრე იმედი. რომელიც მილეული ვარსკვლავივით ბუტკავს და ბევრს არას გვეუბნება სანუგეშოს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ილ. ჭავჭავაძეს ეს საყრდენი წერტილიც გამოეცალა. „ცხოვრება ცალკე ადამიანისა თუ მთელი ერისა—წერდა იგი 1895 წელს—უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია... ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა. თუ ხელის ნაწევ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჰიანშველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძლარი მშიერს წერილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშ სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაძლებლად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ-კი დამწეველც და გამქცეველც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან ხელი მოიმართეო"[2].

1897 წელს კი ილია, უკვე სავსებით და აშკარად მიუთითებდა იმ უფსკრულის არსებობაზე, რომლის წინაშეც იდგა ქართველობა თავისი კლასებითა და წოდებებით.

„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირს ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან—და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწუწნონ. ისეთი ღრმაა ეს თხრილი. ისეთი უძირო"[3].

ცხადია, ამის შემდეგ კლასთა და წოდებათა დაზავებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

---

[1] ა. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 104.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, გვ. 95.

[3] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI. გვ. 14.

„ოთარაანთ ქვრივი“, სწორედ. ამ საკითხს ეხება. მასში დიდი რეალისტისა და შემოქმედის მიერ: ძლიერი მხატვრული სახეების მოშარჯვებით. დადასტურებულია „წოდებათა შერიგების თეორიის“ უსაფუძვლობა.

1888 წელს. გარდა ჩვენს მიერ განხილული შ. დავითაშვილის წიგნისა. გამოვიდა აგრეთვე დავით. სოსლანის (ქეზელის) ბროშურა: „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“.

ვიდრე უშუალოდ ნაწარმოების განხილვაზე გადავიდოდეს. დ. სოსლანი ლაპარაკობს კრიტიკის აუცილებელ საჭიროებაზე. მის ხასიათსა და დანიშნულებაზე, ეხება ლიტერატურისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, ლაპარაკობს, აგრეთვე, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენილობაზე და იმ ღონისძიებებზე. რაც მისი აღორძინებისათვის არის საჭირო.

უნდა შევნიშნოთ. რომ დ. სოსლანის მსჯელობა ზემოხსენებული საკითხების შესახებ სწორი და ყურადსაღებია, მაგრამ. სამწუხაროდ, იგი ყოველთვის ვერ ახერხებს თეორიული დებულებების გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში. რასაც ნათლად ადასტურებს მის მიერ წარმოებული ანალიზი „ოთარაანთ ქვრივისა“.

მსგავსად შ. დავითაშვილისა დ. სოსლანმაც პირველი იერიში მოთხრობის სათაურზე და მის მთავარ მოქმედ პირზე მიიტანა. „რისთვის ჰქვიან ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“?—კითხულობს კრიტიკოსი —რატომ გიორგი არ ჰქვიან. კესო ან არჩილი? ოთარაანთ ქვრივი თუ გნებავთ. შემთხვევითი და დაუპატიჟებელი სტუმარია მოთხრობაში. უფრო მეტად დახელოვნებული მწერალი იმას გამოაჩენდა მხოლოდ მაშინ. როდესაც გიორგი თივიდამ ვარდება და იარიოდე კალმის გასმით დაგვიხატავდა მის პიროვნებას.... ეს ისე მეორე ხარისხის პირია, რომელსაც ეპიზოდურს ეძახიან მოთხრობაში. დრამაში. თუნდა კომედიაში. შეიძლება ეს ოთარაანთ ქვრივი სრულიად მოისპოს და მოთხრობის დედა აზრი ამით მაინც არაფერს დაჰკარგავს“[1].

ვფიქრობთ, არ არის საჭირო განსაკუთრებული მსჯელობა იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად მცდარია დ. სოსლანის ზემოთ მოტანილი მოსაზრება. ოთარაანთ ქვრივის გამოცხადება მეორეხარისხოვან. ეპიზოდურ სახედ, გვაფიქრებინებს, რომ კრიტიკოსს სწორად არა აქვს გაგებული ნაწარმოები და არა აქვს შემუშავებული სწორი თვალსაზრისი ეპიზოდური სახის რაობაზე. დ. სოსლანი თითქოს გრძნობს ერთგვარ უხერხულობას და იძულებული ხდება ოდნავ მაინც შეარბილოს ადრე წამოყენებული მოსაზრება „პატივცემულ ავტორს—წერს იგი—ცხოვრების დაკვირვების და დაკვირვებულის შეთვისების ნიჭიც ზედ აქვს და-

[1] დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, გვ. 7—8.

ბერტყილი მადლიანის ბუნებისაგან. ოთარაანთ ქვრივისთანა ბრგე დ. გამჭრიახი დედაკაცი გვინახავს და თვალ წინ გვიდგასო"[1].

ასეთივეა გიორგი და სოსია მეწისქვილე. არჩილის მსგავსი ღონე-ძიხდილი პიროვნებანი ხომ ჭიანჭველებივით ირევიან. თითოეული მათგანი მწერლის მიერ სინამდვილიდან არის აღებული და დიდი ოსტატობით გამოქანდაკებული. რამდენადაც ღრმა შთაბეჭდილების მომხდენია თითოეული ზემოხსენებული სახე, იმდენად სუსტია კესო „ეს ისეთი რაღაც ყოველად უფერულია, რომ ამაზედ ამის მეტი არაფერი ითქმის, რომ კესო ჰქვიან". მართალია, მწერალს ეხერხება ნაწარმოების მოქმედ პირთა ოსტატური გამოძერწვა „ცალ-ცალკე რომ ავიღოთ და ისრე გავსინჯოთ ამ თხზულებაში მომქმედნი პირნი, არ შეგვიძლიან ავტორს რამე წუნი შევსდოთ, ამიტომ რომ თვითეული მათგანი ნამდვილთან სწორეა, გადაჭარბებული არაფერია", მაგრამ „სინამდვილით დახატვა თვითეული პირისა, რომელისამე ცალკე სცენისა მაგდენი არაფერია საქმე და ნიჭის გამოჩენა რამდენიმე პირის ერთად შეყრაშია და მოთხრობის დედა აზრის თანდათან დახსნაში"[2]. ამ შემთხვევაში კ. კრიტიკოსის აზრით, ილ. ჭავჭავაძემ მარცხი განიცადა.

დ. სოსლანს სწორად არ ესმის მოთხრობის იდეა და მსგავსად სხვა კრიტიკოსებისა ისიც ფიქრობს, თითქოს მწერალი ნაწარმოებში ჩატეხილი ხიდის გამთელების პროპაგანდას ეწეოდეს და ამ საკითხის მოგვარება შესაძლებლად მიაჩნდეს სიყვარულის გზით. მაგრამ, შენიშნავს კრიტიკოსი, ილიამ ვერ შეძლო დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტა და „უფრო ჩაიმშხვრა უამისოდაც ჩატეხილი ხიდი"-ო.

დ. სოსლანის შეხედულებანი მძაფრი წინააღმდეგობებით ხასიათდება და ეს წინააღმდეგობანი ფაქტს იჩენენ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

კრიტიკული მიმოხილვის ერთ ადგილას დ. სოსლანი პირდაპირ აცხადებს: „მთელი მოთხრობა აშენებულია იმ წინა აღებულ აზრზედ (ტენდენციაზედ), რომ თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შორის ხიდია ჩატეხილი. ამ ხიდის გასამთელებლად ავტორს აუღია გლეხის ბიჭი გიორგი, მაგრამ როგორც მკითხველს ახსოვს მასალა ფარსაგი არ გამოდგა და უფრო ჩაიმშხვრა უამისოდ ჩატეხილი ხიდი"[3]. მოტანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ კრიტიკოსის აზრით ილ. ჭავჭავაძის სურვილი იყო ჩატეხილი ხიდის გამთელება და სწორედ ამ მიზნით შემოიყვანა მოთხრობაში გიორგი, რომელსაც კესო შეაყვარა.

დაკვირვებული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ილიას არასოდეს

---

[1] სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა", გვ. 10.
[2] იქვე, გვ. 10—11.
[3] იქვე. გვ. 11.

აზრად არ მოსვლია ჩატეხილი ხიდის გამთელება სიყვარულის ამგვარი ფორმით (თავადაზნაურობისა და გლეხობის შეჯვარებით). მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს ასეა, მაშინ კრიტიკოსს უნდა შეძლებოდა წამოყენებული დებულების თანმიმდევრულად დაცვა, მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგრძნო, რომ ეს აზრი „ფარსავი არ გამოდგა“ და საწინააღმდეგო შეხედულება განავითარა, თუმცა აქაც უხეში შეცდომა დაუშვა.

დ. სოსლანის თქმით ილ. ჭავჭავაძე ამ მოთხრობაში გამოდის „თაყვანისმცემლად და თითქმის მქადაგებლადაც იმ ბრმა კანონისა. რომელსაც აუცილებლობის კანონი ჰქვიან“. რაში გამოიხატა ამ კანონის ქადაგება? ილიას ხელისგულზე დაწაწერ სიტყვებად მიაჩნიათ „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, მაგრამ პოეტის ოცნება სხვაა და ნამდვილი ცხოვრება სხვა და მათ „შუა უდევსთ დიდი ზღვარიო“. დიაღ კარგია, რომ თავადიშვილის გაწყალებული სისხლი გლეხის სალი სისხლით ვანახლდებოდეს, როგორც ფიზიოლოგიური კანონი მოითხოვს, მაგრამ სოციალური კანონი ამას ეწინააღმდეგება და თავხედობისათვის ყველა გლეხის ბიჭს, რომელიც თავადის ქალს შეიყვარებს, ისე სასტიკად დასჯის, როგორც გიორგი დაისაჯაო“[1]. ცხადია, რომ აქ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ილიას არასოდეს არ წამოუყენებია ამგვარი, ეგრეთწოდებული „აუცილებლობის კანონი“ და ამიტომ არც არასოდეს დასჭირებია მისგან გადახვევა. არსებითად მცდარია მოსაზრება, თითქოს ილიას სახით „ჩვენ წინ სდგას თავადის სისხლის შეუბღალავობის დარაჯი გლეხის სისხლით“, თითქოს ილია სასტიკად სცდებოდეს, როდესაც სიყვარულს მიიჩნევს გზად და ხიდად ორი წოდების მორიგებისა და გაერთიანებისათვის, რადგან „თავადაზნაურობის და გლეხკაცობის შეერთება ქალის სიყვარულით. გლეხის თავადთან დასიძავებით არ მოხერხდება, ამიტომ, რომ მათი დაშორების მიზეზი ქალის სიყვარული არ ყოფილა“[2]. ეს უკანასკნელი მოსაზრება სავსებით სწორია „მაგრამ კითხვა ისმება ილ. ჭავჭავაძე რა შუაშია? სოსლანი ტყუილუბრალოდ ეკამათება ავტორს. მას აქაც ვერ გაუგია ილიას აზრი. ილიას არსად არა აქვს „ოთ. ქვრივში“ აღნიშნული და არც ფიქრობს რომ ჩატეხილი ხიდის გამთელება სიყვარულის საშუალებით მოხდება. სიყვარული აქ მხოლოდ ფონად აქვს გამოყენებული, რომელზედაც გაშლილია წოდებრივი უთანასწორობის სურათი“[3].

რა გზით მიაჩნია შესაძლებლად დ. სოსლანს ჩატეხილი ხიდის გამთელება? მისი აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული და

---

[1] დ. სოსლანი. კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] ჯ. ჯუმბურიძე, „ოთარაანთ ქვრივი“ ქართულ კრიტიკაში, სტუდენტთა შრომების კრებული, II, გვ. 35.

ეკონომიური თანასწორობის ნიადაგზე. ამგვარი თანასწორობა კი მხოლოდ მაშინ დამყარდება „როდესაც კესო თავის საკუთარ ნაფუძარს სადაც ყვავილები დაუთესია,' ერთს რომელსამე ბოგანო ბერუას დაუთმობს. რომელსაც შეუძლიან იქიდამ წლის სარჩო გამოიტანოს,—და თითონაც იმის მაგიერ, რომ განთიადიდამ ბინდამდე ყვავილებს სუნავდეს, თავის ძმას არჩილს დღეში სამჯერ აკიდებული ხურჯინით ჯერს მიუტანს ყანაში და იმასაც იქ ნამგალი ეჭირება, აბა მაშინ გამთელდება ეს. ჩატეხილი ხიდი"[1].

რომ იურიდიული და ეკონომიური თანასწორობა კლასობრივი წინააღმდეგობების მოსპობის და ურთიერთ თანამშრომლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია, ეს უდავოა. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას. შესაძლებელია თუ არა ამ მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნას ის უტოპიური გზა, რომელსაც დ. სოსლანი თავაზობს ავტორს? მოხდება თუ არა თავადაზნაურობის შეგნებაში ისეთი სასწაულებრივი გარდაქმნა, რომ თავის ნებით დაუთმობს საკუთარ ნაფუძარს რომელიმე ბოგანოს და მის გვერდით თოხით ხელში მდგარი შრომის ოფლს მოიწურავს? ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. დ. სოსლანს არ ესმის, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი რაიმე ნებაყოფლობით მომენტზე უნიადაგო ოცნებაა და რომ იურიდიული და ეკონომიური თანასწორობის დამყარება მხოლოდ კლასთა შორის ბრძოლის გაღრმავების, მისი განვითარების და უმრავლესობის გამარჯვების შედეგად შეიძლება.

თუ დ. სოსლანმა ვერ შეძლო ეჩვენებინა ავტორისთვის სწორი გზა წოდებათა შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოსასპობად. სამაგიეროდ მართებულად უსაყვედურა არჩილს. როდესაც იგი გამოსავალს „ცრემლიან ცოდნაში" ეძებდა. ამავე დროს მან არ მოიწონა არჩილისა და კესოს დიალოგი და მიიჩნია იგი, როგორც „ნიმუში დაქანებული რიტორიკისა. უსულო უაზრო სხოლასტიკისა და გონებითი ჩუკუნებისა".

ვფიქრობთ კრიტიკოსი ამ შემთხვევაშიც სცდება. მართალია, დაბეის დიალოგი გადატვირთულია მსჯელობით. რაც ერთგვარად აძძიმებს მას, მაგრამ აქ საგანგაშო არაფერია. რადგან ლიტერატურის ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც დიდი შემოქმედნი მხატვრული სახით ოდეის ბუნდოვან ცხადყოფას ამჯობინებენ სილოგიზმებით მის აშკარად გამოხატვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილიას, როგორც დიდი მხატვრის ნიჭმა ამ შემთხვევაშიც ჰპოვა გამოელინება და დიალოგის ოსტატური მომარჯვებით მწერალმა მკითხველს დიდი სიმძიმე არ აგრძნობინა.

კრიტიკული მიმოხილვის დასასრულს დ. სოსლანი სპეციალურად ეხება გიორგის კესოსადმი სიყვარულის საკითხზე და ეს გარემოება

[1] დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა". გვ. 14.

მწერალს დიდ ფსიქოლოგიურ შეცდომად, დანაშაულად ჩაუთვალ. „გიორგის შეაყვარებს კესოს მხოლოდ ის, ვისაც არ ესმის რა გვამია, რა მთის წვერიდან ზავით მოხეთქილი ძალაა ეს ბრგე გლეხის ბიჭი".

რას წარმოადგენს გიორგი კრიტიკოსის აზრით? იგი ამაყი და ამპარტავანია, რადგან გრძნობს თავის ძალას და უპირატესობას ირგვლივ მყოფთა მიმართ. მას არ შეუძლიან ვისმეს ემონოს და განსაკუთრებით კი ღიაცს, „გიორგისთანა გლეხს სისხლში აქვს თავად-აზნაურის სიამაყულვარე". გიორგის სიყვარულს კესოსადმი კიდევ „რამე ნაირად შეიძლებოდა შეჰრიგებოდა საღი გონება... რომ ავტორს ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ეს თაე მომწონე და უბადლო გლეხის ბიჭი კესოს ხორციელმა, ან სულიერმა სილამაზემ გაიტაცა... მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვიცით კესოს ტუჩ-კბილის და ზილფთა ელფერი, არც მისი თვალის ელვარება და ძუძუ-მკერდის მოყვანილობა. თუ ავტორი ფიქრობს, რომ რაკი კესო თავადის ქალია, უთუოდ მშვენიერების ღმერთად უნდა წარმოიდგინოთ, ეს შეცდომაზედ მეტია"[1].

კრიტიკოსი არც ამ შემთხვევაშია მართალი. გიორგის ალალმართლობა, პირდაპირობა და შეუპოვრობა სრულიადაც არ მიუთითებს მის ამპარტავნობაზე და სიამაყეზე. და ასეც რომ იყოს ილიამ ძალიან კარგად იცის, რომ სიყვარული უძლეველი ძალაა, რომელსაც „ვინ არს რომე არ ჰმონებდეს" მისგან „მეფე მონას ეყმოს", მისგან „ბრძენი ხელად რბოდეს". ხალხური შემოქმედება უამრავ მაგალითს იძლევა, როდესაც კლასობრივად მკვეთრად განსხვავებულ ადამიანთა შორის გულწრფელი სიყვარულის ძაფები გაბმულა, ასეთი მაგალითები ლიტერატურაშიც გვხვდება და რა დააშავა ილ. ჭავჭავაძემ თუ გიორგის კესოს სიყვარული ჩაუდო გულში? რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მწერალმა არ მოგვცა კესოს გარეგნული აღწერა, არ დაგვიხატა მის თვალთა ელვარება, ტუჩ-კბილი და მკერდის მოყვანილობა, არაფერი გვითხრა არც მისი განათლებისა და - გონება-გახსნილობის შესახებ — ვფიქრობთ, ეს არ არის დანაშაული და არც იყო საჭირო. არა გვგონია, ადამიანს, რომელსაც წაუკითხავს „ოთარაანთ ქვრივი", ნათლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი კესოს გარეგნული სახე, რომელიც თავისი მიმზიდველობით აძლიერებს მწერლის მიერ შექმნილ მოქმედ პირთა გალერეას. ილ. ჭავჭავაძის, როგორც დიდი შემოქმედის უდიდესი ოსტატობა, სწორედ, იმაში გამოიხატება, რომ მან ყოველგვარი გარეგნული აღწერილობის გარეშე ნათლად წარმოგვიდგინა კესოს სიმპატიური სახე.

საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ დ. სოსლანის კიდევ ერთ შენიშვნაზე. მან გიორგის სიკვდილი არა ბუნებრივ მოვლენად მიიჩნია და მწერალს ხელოვნურობა უსაყვედურა. „ყველაზედ მომეტე-

---

[1] დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა", გვ. 18.

ბული დანაშაულობა მიუძღვის ბ. ილია ჭავჭავაძეს გიორგის სიკვდილის შესახებ. დღეგრძელობა, თუ დაღუპვა მოთხრობის გმირისა უნდა იყოს ლოღიკური შედეგი ამისივე ენებათა მღელვარებისა, იმ გარემოებისა, რომელშიაც ის ავტორს ჩაუყენებია და არა შემთხვევითი მიზეზისა. გიორგი იმიტომ კვდება, რომ აგებული თივის წვერიდამ მოსხლტა და ურმის ჭალაზედ ჩამოეგო. რა ელემენტია თივა, რომ ამისთანა მნიშვნელობა აქვს გიორგის სიყვარულში?—არაფერი. როდესაც ტოლსტოის მოჰყავს თავისი ანა კარენინა და რელსებზე თავს ადებინებს, რომ მატარებელმა გადაჰყლიტოსო, ისრე სჯის, როგორც შეეფერება მაღალი ნიჭის პატრონს მწერალს. ეს სიკვდილი იყო შედეგი მთელი მისი ცხოვრების აგებულებისა და მიმდინარეობისა"[1].

ამ შემთხვევაში დ. სოსლანი, უდავოდ, სწორია. გიორგის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული ხელოვნური ხასიათის მატარებელია, რადგან იგი არ გამომდინარეობს ნაწარმოების ლოგიკური მსვლელობიდან.

ასეთი ხასიათის იყო დ. სოსლანის კრიტიკული შენიშვნები ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" მიმართ. მკითხველი დაინახავდა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, შენიშვნების უმრავლესობა უმართებლოა და ნაწარმოების იდეის არა სწორი გაგებიდან გამომდინარეობს. დ. სოსლანის „კრიტიკულ განხილვაში" შეინიშნება, აგრეთვე, ტენდენციურობაც, რაც არღვევს მის მიერვე ნარკვევის წინა თავებში მითითებულ ლიტერატურული კრიტიკის ეთიკის კანონს.

1888 წლის „ივერიის" 58-ე ნომერში მოზრდილ ფელეტონად გამოქვეყნდა მიხეილ ხელთუფლიშვილის „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა".

ავტორი მიზნად არ ისახავს მოთხრობის კრიტიკულ განხილვას. მას სურს მხოლოდ გაუზიაროს საზოგადოებას ის შთაბეჭდილება, რომელიც ნაწარმოებმა მოახდინა მასზედ, მაგრამ, თავისთავად. მ. ხელთუფლიშვილის მიერ გაკეთებული შენიშვნები მწვავე კრიტიკული ხასიათისაა.

პირველი შთაბეჭდილება რაც „ოთარაანთ ქვრივს" მ. ხელთუფლიშვილზედ მოუხდენია, ისეთია თითქოს ნაწარმოები წარმოადგენდეს „ნაწყვეტს უფრო დიდი ქმნილებისა და არა ცალკე დამთავრებულ მოთხრობას".

„ავტორს—წერს მ. ხელთუფლიშვილი—ჯერ რაღაცა დიდი ქმნილების დაწერა განუზრახავს და კიდეცაც დაუწერია ამ ქმნილების შესაფერი რამდენიმე შესავალი ხანა (I—VI), მაგრამ შემდეგ, რაკი ამ ფართო სამზღვრებში დაწყებული მოთხრობის იმ გვარ სამზღვრებშივე გაგრძელება და დამთავრება ვერ მოუხერხებია, თუ დაზარებია, მოთხრობის

[1] დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა". გვ. 20.

ძაფი შეუწყვეტია და სიჩქარით და ფაცი-ფუცით შესავლისათვის რაპოდენიმე შეუმუშავებელი ხანა მიუბლანდია, რომლებშიაც, ერთის მხრით, ტენდენციურად გამოსთქვამს იმ აზრს, რომელიც პირველ დაწყებულ ქმნილებაში ცხოვლად უნდა გაეყვანა, და, მეორეს მხრით, ცდილობს, მოთხრობის გასათავებლად, რაც შეიძლება ჩქარა მოკლას მოქმედი პირები"[1].

გასაოცარია, თუ რატომ დასტოვა მ. ხელთუფლიშვილზე ამგვარი შთაბეჭდილება ნაწარმოებმა, რომელიც უაღრესად შეკრულია კომპოზიციურად და სავსებით დამთავრებულ მოთხრობას წარმოადგენს. ძალიან გაგვიჭირდებოდა მოგვეძებნა „ოთარაანთ ქვრივში" ერთი ზედმეტი სიტყვა, ან ზედმეტი ფრაზა. ეს არის ოსტატის ხელით ნაჭედი დიდი მხატვრული ძეგლი, სადაც ყოველი ჩუქურთმა თავის ადგილას ზის.

მ. ხელთუფლიშვილის აზრით მოთხრობის I—VI თავი შესავალს წარმოადგენს. მაგრამ ილიას ასეთი გრძელი შესავალი არ ჩვევია. შესავალი, რომელიც წამძღვარებული აქვს „კაცია-ადამიანს", „ვლახის ნაამბობს", „განდეგილს" და სხვ., მეტად მოკლე და ამავე დროს ღრმა შინაარსის მქონეა. ხოლო რაც შეეხება „ოთარაანთ ქვრივს". ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ერთადერთი ნაწარმოებია ილიას შემოქმედებაში, რომელსაც შესავალი არა აქვს. აქ პირველივე სტრიქონიდან იწყება ამბავი, ყოველგვარი შესავალის გარეშე.

მ. ხელთუფლიშვილი „ოთარაანთ ქვრივს" ფაბულარულად სუსტ ნაწარმოებად მიიჩნევს. მისი აზრით რომანტიულ ფაბულაზე ავტორს უსეშად მიუკარებია მოთხრობის ტენდენცია, რომელსაც თითქმის არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს მოთხრობის შინაარსთან. მოთხრობის ცალკეული ნაწილები კი თეთრი ძაფით არიან შებლანდულნი. თუმცა მათშიც ურევია ზოგიერთი ობოლი მარგალიტი, როგორიცაა „ჯავრი დედისა", „ორი თვალი", „ზარი" და „უკანასკნელი ღამე".

ძნელია ეკამათო კრიტიკოსს, როდესაც იგი არავითარი არგუმენტაციით არ ასაბუთებს თავის დებულებას. რომელიმე თავის და განსაკუთრებით კი XIX და XX თავების მიჩნევა მოთხრობის არაორგანიულ ნაწილებად, იმაზედ მიგვითითებს, რომ მ. ხელთუფლიშვილსაც ვერ გაუგია ნაწარმოები.

კრიტიკოსის მსჯელობაში ერთიმეორის საპირისპირო მოსაზრებებსაც ვხვდებით. ერთის მხრით მას უკვირს თუ „რად ჰქვიან ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი", როდესაც—მომქმედნი კაცნი ამ მოთხრობისა,—თუ-კი ისინი არიან,—სხვანი არიან და არა ოთარაანთ ქვრივი". ხოლო მეორე ადგილას თითქოს ივიწყებს ზემოთ მოტანილ აზრს და აღნიშნავს, რომ ოთარაანთ ქვრივი პირდაპირ ხალხის ცხოვრებიდან არის აღებული, რომ „ავტორს, ხასიათის უფრო ცხოვლად გამოსახატავად გარდაუმეტებია და მეტის რისხვით შეუმოსია ქვრივი" ვიდრე

[1] „ივერია", 1888 წ., № 58.

საჭირო იყო", „დედის ხასიათი ბევრად უფრო ცხოველად არის დახატული ვიდრე შვილისა", ამიტომ, შენიშნავს ხელთუფლიშვილი, „ამიერიდამ სიტყვა „ოთარაანთ ქვრივი" საზოგადო სახელად გარდაიქცევა და, სადაც უნდა შეხვედეთ ცხოვრებაში ოთარაანთ ქვრივს ჩვენ ადვილად ვიცნობთ.... ოთარაანთ ქვრივი ამიერიდამ დაიჭერს საპატიო ადგილა ჩვენი ლიტერატურის იმგვარ უკვდავ ტიპთა შორის, როგორსაც არიან ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი, ნაზშირ-ფაშა და კუდურ-ბანჯგი..."[1]. კრიტიკოსის ეს უკანასკნელი მოსაზრება სწორია და იგი ისტორიამაც დაადასტურა. მაგრამ საინტერესოა ერთი საკითხი: მართლა გადააჭარბა თუ არ ილიამ ოთარაანთ ქვრივის ხასიათის ცხოვლად დახატვაში და სურდა თუ არა მას რისხვით შეემოსა ქვრივის სახე. როგორც ამას მიხ. ხელთუფლიშვილი ფიქრობა. ჩვენი აზრით აქ არავითარ გადაჭარბებასთან არა გვაქვს საქმე და არც არავითარი ტენდენცია არ იგრძნობა ავტორის მხრივ, რომ მას სურდეს მრისხანე სახის გამოკვეთა. ასეთი მოთმინებაკარგული ქალბატონის ხასიათის დახატვა არ შეიძლება დარჩეს ადამიანს. რომელსაც გულდაამით გადაუკითხავს ნაწარმოები და განსაკუთრებით IV, V, XI და XXI თავები. აქ მოჩანს ადამიანი უაღრესად მგრძნობიარე. რომლის სულის სიმები თრთიან სითბოთი და სიყვარულით. რომლის მკერდშიც გულისბარე გული ცემს და თუ ზოგ შემთხვევაში და განსაკუთრებით კი I

II თავში ოთარაანთ ქვრივი თავისი ლექსიკონით და ზოგიერთ ქცევებითაც მრისხანე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს მხოლოდ მოჩვენებითია, „აქ ერთგვარ მხატვრულ ჰიპერბოლურ თქმასთან გვაქვს საქმე. რაც რეალისტური ნაწარმოებისათვისაც უცხო არ არის და ხშირად მისაღებია"[2] ილ. ჭავჭავაძე თითქოს გრძნობდა. რომ შეიძლებოდა მისი გმირისათვის მართლაც მრისხანე ადამიანის სახელი შეერქმიათ და პირდაპირ ათქმევინა ოთარაანთ ქვრივს: „ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახეს! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემ ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები".

გიორგის ტიპი კრიტიკოსის მოწონებას იმსახურებს. „გიორგი ნამდვილი „ხალხის შვილია". და ამაშია მისი ძალა და მიმზიდველობა", მაგრამ მ. ხელთუფლიშვილის აზრით ილიას მიერ ეს ტიპი დამცირებულია. რადგან იგი „გამოუცნელ გამოცანად" არის მიჩნეული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

კრიტიკოსის აზრით, ილია არჩილსა და კესოს მსგავსად უყურებს გიორგის და იშვიათ გამორიცხვად მიიჩნევს მას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გიორგი მართლაც „გამოუცნელ გამოცანას" წარმოადგენდა არჩილისა და კესოსათვის, რადგან ისინი არ იცნობდნენ

---

[1] „ივერია", 1888 წ., № 58.

[2] ჯ. ჯუმბურიძე „ოთარაანთ ქვრივი" ქართულ კრიტიკაში, სტუდენტთა შრომების კრებული, II, გვ. 39

გლეხთა ცხოვრებას. მათთვის გიორგი მთელი წიგნი იყო სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი, რომელიც მათ ვერ ამოიკითხეს. პირველად შესდნენ ცხოვრებაში ასეთ ადამიანს და იგი „ჯშვიათ გამორიცხვად" მიიჩნიეს და ჰამლეტის სიტყვებით ინუგეშეს თავი: „ბევრი რამ არის ჩემო ჰორაციო. ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსო".

მაგრამ ილიასთვის გიორგი არ არის „გამოუცნელი გამოცანა" და „იშვიათი გამორიცხვა". ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ ილიას ვაუჭირდებოდა შეექმნა „ნამდვილი გლეხის ტიპი, ხალხის ცხოვრების ძირიდამ ამოღებული".

რაც შეეხება არჩილს, იგი ვერ იმსახურებს კრიტიკოსის სიმპათიას. „განათლებას ვერ მოუკლავს არჩილში თავადის მედიდური შეხედულება გლეხობაზე... ასეა თუ ისე, არჩილი ცოცხალი პირი როდია, ის მხოლოდ განყენებული სახეა, რომელიც ჩვენთვის მარტო იმდენად არის საყურადღებო. რამდენადაც ავტორი მისი პირით სარგებლობს თავის ჰაზრების გამოსათქმელად".

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. ხელთუფლიშვილს თითქოს არჩილისათვის დამახასიათებელი იყოს მედიდურობა და გლეხობაზე ზემოდან ცქერა. ნაწარმოები სწორედ ამის საპირისპირო მაგალითებს იძლევა. არც ის არის სწორი, თითქოს არჩილი არაცოცხალ პირს, რაღაც განყენებულ სახეს წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში ილია ასეთ პირს არ აიყვანდა თავისი აზრების გამოსათქმელად. არჩილი სხვა არაფერია თუ არა მეტად ცოცხლად დახატული ტიპი „მონანიე აზნაურისა", რომელიც მეტად გავრცელებული იყო XIX საუკუნის 80-იან წლებში. და რომელსაც ილიამ თავისი ზოგიერთი აზრი გამოათქმევინა.

მ. ხელთუფლიშვილის აზრით, არჩილთან შედარებით, კესო კიდევ უფრო მკრთალად არის წარმოდგენილი, რადგან არ არის ნაჩვენები, თუ სად ისწავლა რუსული ენა და საერთოდ რა განათლება ჰქონდა მიღებული. სად და რა პირობებში შეუყვარდა იგი გიორგის და სხვა. ეს კი, ჩვენი ფიქრით, ისეთი წვრილმანია, რომ იგი, რა თქმა უნდა, სრულიად არ იყო საჭირო მოთხრობისათვის.

რაც შეეხება მოთხრობის იდეას. მსგავსად სხვა კრიტიკოსებისა ხელთუფლიშვილსაც სწორად არ ესმის იგი და ფიქრობს, თითქოს ილია ნაწარმოებში ჩატეხილი ხიდის გამთელებას ჰქადაგებდეს „ცრემლიანი ცოდნისა" თუ „ცოდნიანი ცრემლის" გზით.

მ. ხელთუფლიშვილი არ ეთანხმება ილიას, რომელიც ფიქრობს, რომ იდეალიზებისა და ურთიერთ გაუგებრობის მიზეზი გვარიშვილობაა (წოდებრივი განსხვავება). კრიტიკოსის აზრით ამ შემთხვევაში წოდებრივი განსხვავება კი არ თამაშობს რაიმე როლს, არამედ განათლება და კულტურული დაშორება. „განა იმ გვარივე განწყობილებაში არ იქნებოდნენ გაუნათლებელი და ზედაპირად განათლებული გლეხი. გაუ-

ნათლებელი და ზედათად განათლებული თავადი? განა იმგვარიეე ჩატეხილი ხიდი არ იქნებოდა იმათ შორის", როგორიც არსებობდა გლეხ გიორგისა და თავადის ქალ კესოს შორის?—კითხულობს მ. ხელთუფლიშვილი და აქვე იძლევა გარკვეულ პასუხს. მას ღრმად სწამს, რომ განათლებული თავადი ვერ შეიყვარებს გაუნათლებელ თავადს, ისე როგორც განათლებულ გლეხს არ ძალუძს გაუნათლებელი გლეხის სიყვარული, რადგან „ქალ-ვაჟის სიყვარული არის მეგობრობა, გაძლიერებული სურვითა, ან სურვა, გაძლიერებული მეგობრობითა. ნამდვილი მეგობრობა კი მხოლოდ იმათ შორის არის შესაძლო, ვინც ერთი ჰაზრებით, ერთი მიმართულებით, ერთი მიზნებით და... ერთ გვარი განვითარებით არიან შეერთებულნი". ამიტომ, თუ კესომ გიორგი ვერ შეიყვარა ამის მიზეზი გვარიშვილობასა და „სისხლ-ხორცში" კი არა გაუნათლებლობის, განვითარების სხვა-და-სხვაობაში უნდა ვეძიოთ. ასე ფიქრობს მ. ხელთუფლიშვილი. მაგრამ იგი სასტიკად სცდება. კესოს რომ შეხვედროდა მასზედ გაცილებით უფრო დაბალი განათლების მქონე ბრწყინვალე თავადი, მოხდენილი და ლამაზი ვაჟკაცი, ამავე დროს მატერიალურად უზრუნველყოფილი, განა იგი ერთი წუთით მაინც დაფიქრდებოდა თანხმობა განეცხადებინა სიყვარულზე? რა თქმა უნდა არა, რადგან აქ ბრმა გული არ დახვდებოდა გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი.

ილიამ ძალიან კარგად იცოდა ქართველი თავად-აზნაურობის ფსიქოლოგია და სავსებით სწორად მოიქცა იგი, რომ კესოს გიორგის სიყვარული არ აგრძნობინა. რეალისტი მწერალი, ამ შემთხვევაში, კვლავ მტკიცედ დარჩა რეალიზმის პოზიციებზე.

დასასრულს, მ. ხელთუფლიშვილი სოსია მეწისქვილესაც შეეხო. მან ვერ გაიგო, თუ რად დაჭირდა მწერალს „სოსია მეწისქვილის ოთარაანთ ქვრივისადმი სიყვარული", ან საერთოდ რა საჭირო იყო მისი გამოყვანა მოთხრობის ფინალში. მწერლის მიერ უდიდესი ოსტატობით შექმნილი სახე ცხოვრებისაგან განაწამები ადამიანისა, მისი გრძნობით აღსავსე მოქმედება მოთხრობის დასასრულს, ხელთუფლიშვილს საჭირო ეპიზოდად მიაჩნია და ამდენად, ზედმეტად თვლის მას. კრიტიკოსს საჭიროდ არ მიაჩნია, აგრეთვე, უდიდესი ოსტატობით გამოკვეთილი სათაურები, რომელიც თითოეულ თავს ახლავს. მისი აზრით ისინი იმდენად უცნაურნი და შეუფერებელნი არიან, რომ „ბევრს უშლის მოთხრობის წაკითხვის დროს შთაბეჭდილების ერთიანობას" სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობასა აქვს ადგილი. მწერლის მიერ დიდი გემოვნებით შერჩეული სათაურები კომპოზიციურად ჰკრავენ და ახალ სხივს ჰფენენ მწერლის ჩანაფიქრს და მათი გაბიაბურება ეჰვ ქვეშ აყენებს კრიტიკოსის ლიტერატურულ გემოვნებას.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული წერილების საპასუხოდ, 1888 წლის „იერიაში" გამოქვეყნდა სტეფნე ჭრელაშვილის (სანო)

საკმაოდ ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“. გარდა „ოთარაანთ ქვრივისა“ წერილში ავტორი ეხება ილ. ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებებსაც. როგორიცაა, მაგალითად „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“. მართალია ყურადღება ძირითადად „ოთარაანთ ქვრივზეა“ გამახვილებული, მაგრამ, როგორც კრიტიკოსი შენიშნავს, არსებითად იგი ლაპარაკობდა „არა „ოთარაანთ ქვრივზე“, არამედ ჩვენ ცხოვრებაზე ამ მოთხრობის გამო“, რადგან იგი შეეხება მრავალ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას. ამ თვალსაზრისით სტ. ჭრელაშვილის მსჯელობა მეტად საინტერესოა. წერილში მკვეთრად გამოვლინდება ავტორის ბალხოსნური მსოფლმხედველობა.

სტ. ჭრელაშვილს საჭიროდ მიაჩნია გაამახვილოს ყურადღება არა მხოლოდ იმ კრიტიკულ წერილებზე, რომელნიც „ოთარაანთ ქვრივს“ ეხებოდნენ, არამედ იმ შენიშვნებზედაც, რომელნიც ქართველი საზოგადოების ცალკეულ წრეებში ზეპირად იყო გამოთქმული. როგორც ამ შემთხვევაში, ასევე „დაბეჭდილ წიგნებსა და წერილებშიაც კრიტიკა ვერ გასცილდა... უხუსურ თვალთა ხედვას და ამგვარად საგნის დანახვას“[1], შენიშნავს გულნატკენი ავტორი.

სტ. ჭრელაშვილი პირველ რიგში შეეხო მიხ. ხელთუფლიშვილის წერილს. მისი აზრით ეს წერილი სხვა კრიტიკულ წერილებთან შედარებით „უფრო მომეტებულის მეცადინეობით არის დაწერილი, ...მაგრამ მთელი კრიტიკული ძალა ამ წერილისა დახარჯულია რაღაცა წერილმანებზე, გარეგნობაზე და სიტყვების გაცვლა-გამოცვლაზე“[2].

სტ. ჭრელაშვილმა მიხ. ხელთუფლიშვილს მართებულად მიუთითა იმ წინააღმდეგობებზე, რაც მისი წერილისათვის იყო დამახასიათებელი და შენიშნა, რომ კრიტიკოსი მწერალს უმართებულოდ ბიაწერს სხვადასხვა აზრებს და შემდეგ იწყებს ამ აზრების კრიტიკას. „კარგია, თქვენმა მზემ,—დასძენს სტ. ჭრელაშვილი—კაცი თითონ შესცდეს, მერე თავისს მოყვასს მოახვიოს ეს შეცდომა თავზე და ბოლოს მოსდგეს და მტვერი იმასვე აადინოს“. სტ. ჭრელაშვილმა მიხ. ხელთუფლიშვილს ისიც უსაყვედურა, რომ მან ვერ გაიგო „აკიდო და დედა აზრი „ოთარაანთ ქვრივისა“. იგივე დაემართა სანოს აზრით დავით სოსლანსაც, ვერც მან გაიგო „რომელი საიდუმლოა გატარებული „ოთარაანთ ქვრივში“, რაც შეეხება შ. დავითაშვილის „ჩატეხილ ხიდს“, სანოს თქმით, „ეს კრიტიკული წერილი კი არ არის, რაღაც აბდაუბდა გადასკუპდაა თავიდან ბოლომდის“.

სანო სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ილ. ჭავჭავაძე „შესაიდუმლე და გულის მოპასუხეა ქართველი ერისა“, რომელმაც თავისი შემოქმედებით და კერძოდ „ოთარაანთ ქვრივით“ ნიჭიერად ასახა და პასუხი გასცა ცხოვრების მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს. „კაცია-

---

[1] „ივერია“, 1886 წ., № 95.

[2] იქვე.

ადამიანსა". „გლახის ნაამბობსა" და „ოთარაანთ ქვრივს" შორის მჭიდრო კავშირია, ეს ნაწარმოებნი ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ, რომელშიც საკმაო სიცხადით არის ნაჩვენები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტიპების თანდათანობითი განვითარება. „ოთარაანთ ქვრივი", სანოს აზრით შედეგია ჩვენ ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მისი ყოველმხრივი შესწავლისა. „ლექსებსაც რომ თავი დავანებოთ და მარტო მოთხრობებს გადავავლოთ თვალი—წერს სანო—ჩვენ ვნახავთ, რომ ბ-ნ ჭავჭავაძეს საგნად აუღია თვალ-უყური ადევნოს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და დახატვა ფერადით შეხამებულის სურათებით გადაგვიშალოს თვალ-წინ გული, ბუნება-გონება და აზრი ქართველისა, იმისი ზნე და ხასიათი. იმისი იქნები და განზრახვანი". „კაცია-ადამიანი", „გლახის ნაამბობი" და „ოთარაანთ ქვრივი" ეს სამი მოთხრობა, ერთად აღებული, სხვა არა არის-რა გარდა სხვადასხვა ნაწილი ერთისა და იმავე საგნისა. გაუსწორეთ ამ სამსავე თხზულებას თქვენი გონების თვალი და ნათლად დაინახავთ, რა მტკიცე კავშირით არიან ისინი ერთმანეთზე გადაბმულნი. „კაცია-ადამიანი", „გლახის ნაამბობი" და „ოთარაანთ ქვრივი" არის დასურათებული ფილოსოფია ჩვენის ცხოვრების ისტორიისა ამ უკანასკნელ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში. თუ ეს ფილოსოფია საბუთიანი და მართალია, რაშიაც ეპყრა ვერ შეიტანს, ვისაც კი ჩვენი ცხოვრებისათვის თვალ-უყური უდევნებია,—ჰო, თუ ეს ფილოსოფია მართალია, მაშინ ჩვენ ხელში გვქონია ისეთი საფუძველი, რომლის შემწეობითაც შეგვეძლიან ისტორიულად გავსინჯოთ, რანი ვიყავით გუშინ-წინიებში, რანი შევიქენით გუშინ და ვინა ვართ დღესა"[1].

ზემოხსენებული სამი ნაწარმოების ანალიზის შედეგად კრიტიკოსი ასკვნის, რომ ჩვენი ცხოვრების განვითარების შედეგად ლუარსაბისა და დარეჯანის ადგილს არჩილი და კესო იპყრის, ხოლო დათოსა და ლამაზეულის ადგილზე ოთარაანთ ქვრივები და გიორგები მკვიდრდებიანო.

მართალია სანო არ არის არჩილის და კესოს თაყვანისმცემელი. რადგან, მისი აზრით, ადამიანი მაშინ არის სრული, როდესაც იგი. შეგნებულად ერკვევა გარემო ცხოვრებაში. დგას თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე და მთელი ენერგიით ემსახურება საქვეყნო საქმეს. ამ მოთხოვნილებას კი სრულად ვერ აკმაყოფილებენ არჩილი და კესო. მაგრამ ლუარსაბთან და დარეჯანთან შედარებით ისინი უდავოდ პროგრესულნი არიან. ისინი ცდილობენ ალღო აუღონ ცხოვრებას. ჩხრეკენ, ეძიებენ და რწმუნდებიან შრომის აუცილებლობაში, მის უპირატესობაში.

სანო მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ არჩილმა და კესომ პირი ჰქნეს სოფლისაკენ. „ინტელიგენციაც.— წერს იგი,—თუ შეგნებული აქვს საგანი ქვეყნის სამსახურისა, უნდა

[1] „ივერია", 1888 წ., № 107.

ბიეშუოებოდეს სოფლისაკენ და თავის სიყვარული ხალხის მიმართ იმაში კი არ უნდა გამოიხატოს, რომ თვითონ ჩამოვიდეს ხალხის ნაკლულევანებამდე... არამედ ხალხი ასწიოს მეცნიერებისა და განათლებულ გულის სიმაღლემდე".

არჩილი, თავისთავად, და აგრეთვე გიორგიც. არ არიან სრულქმნილ-საჭიროა მათი თვისებების შერწყმა. „არჩილის ცოდნას მიეცით ხასიათი გიორგისა. ან გიორგის ხასიათს არჩილის განათლება და მაშინ ჩაუდგებიან კვალში ჩვენს ცხოვრებას და ასახელებენ საქართველოს".

მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ზემოთ მოტანილ სტრიქონებში ტიპიური ხალხოსანი მეტყველებს.

კრიტიკოსი ადარებს რა ერთმანეთს გაბრიელსა, ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის, არ ეთანხმება ავტორს თითქოს გაბრიელი მღვდლის შთაგონებით გამხდარა ასეთ ადამიანად. იგი მწერალს არც მღვდლის იდეალიზაციას უწონებს და შენიშნავს: „ავტორმა იმიტომ კი ატარა ჩვენს თვალ-წინ სპეტაკი სურათი ოშვიათის მღვდლისა, რომ აეხსნა ჩვენთვის გაბრიელის პატიოსნური შეხედულება ცხოვრებაზე. ავტორი გვეუბნება, რომ გაბრიელი მართლის თვალით უყურებდა ქვეყნის ტრიალს და ამ სიმართლის მიზეზი იყო მღვდელიო—მღვდელმა ჩააგონა ადამიანობა, კაცური ღირსება, მოყვასის პატივისცემა, კაცთა თანაბრობა, ერთობა, ძმობა, მოწყალეობა და სხვანიო"[1] კრიტიკოსის მართებული შენიშვნით ცხოვრება უკეთესი მასწავლებელი იყო, ვიდრე „ის ჩინებული და სანატრელი მღვდელი", რომლის მსგავსიც სანთლით საძებნელია მთელ დედამიწის ზურგზედ. მწერალს უნდა ეჩვენებინა, რომ გაბრიელი თვით ცხოვრებამ შექმნა, მის ქარცეცხლში გამოიწრთო და არა მღვდლის შთაგონებით. სანოს აზრით ის რაც ვერ მოახერხა ილიამ „გლახის ნაამბობში", სამაგალითოდ გადაწყვიტა „ოთარაანთ ქვრივში". ამ ნაწარმოების მოქმედი გმირები, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, ცხოვრების გულიდან ამოღებული სახეებია, რომელნიც სისწორით და დიდი ოსტატობით არიან გამოქანდაკებულნი. ოთარაანთ ქვრივი „წარმომადგენელია შრომისა და კარგადაც ესმის, რომ შრომის მეტი ვერა ჩაუდგამს-რა ღმის სულსა, ვერა მისცემს-რა თავისუფალს, ტკბილსა და უყვედურს ლუკმას, შრომის მეტი ვერა დაჰბადებს-რა მისთვის კმაყოფილებას და დამოუკიდებელს ცხოვრებას. ეს ჩააგონა ხალხმა, ცხოვრებამ, ეს გაუჯდა ძვალსა და რბილში და სწუხს, ჯავრობს. როდესაც ჰხედავს, რომ იმისმა ტოლმა და სწორმა თანაბრად ვერ გაიგო ახალი დრო, ვერ მიუხვდა ჯერ იმ ძალას, რომელსაც აძლევს შრომა გამრჯე ადამიანსა"[2].

რაც შეეხება გიორგის, იგი პატიოსანი, ალალმართალი, დარბაისელი, მშრომელია, რომელიც არ უდრკება არცერთ საქმეს თუკი ჭკუითა და მკლავით შეწვდება. გიორგი ერთგვარად განსხვავდება გაბრიელისა-

---

[1] „ივერია", 1888 წ., № 108.

[2] „ივერია", 1888 წ., № 112.

გან: „გაბრიელი უფრო სიტყვის კაცი იყო, ვიდრე საქმისა... გიორგი— კი ძალიან ნაკლებად ჰხარჯავს სიტყვასა და სამაგიეროდ ირჯება და თვით საქმეს ალაპარაკებს თავის მაგიერ და თავის ღირსების სასარგებლოდ".

მართალია, აღნიშნავს სანო, გიორგი ბევრად უფრო წინ დგას გაბრიელზე თავის ხასიათით, ზნეობით, გულითა და მოქმედებით, მაგრამ იგი არ არის გაბრიელის მსგავსად საზოგადო მომქმედი, გ მ ი რ ი. გიორგის საქმიანობა უფრო კერძო ხასიათის მატარებელია, გაბრიელისა კი— საზოგადო, რომელიც კაცობრიობის ჭირს ეხმაურება, ამიტომ გიორგის „სახელი ვერ დარჩება ქვეყნისათვის საყვარლადა და სახსოვრად, როგორც სახელი არსენასი, კაკო ბლაჭიაშვილისა და აქედამ თვით გაბრიელისაც".

სანოს ეს შენიშვნა უდავოდ მართებულია. გიორგის მიერ მეჯინიბისა თუ მოჯამაგირის მიბეგვა უფრო კერძო ხასიათის მატარებელია, წვრილმანი გარემოებით გამოწვეული. აქ არის გალაშქრება ცალკეულ უსამართლო მოვლენების წინააღმდეგ, არსენას, კაკოს და გაბრიელის მოქმედება კი ბრძოლაა კაცობრიობის დამამცირებელი ინსტიტუტის, ბატონყმობის წინააღმდეგ, რომელსაც ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა ენიჭება.

სანოს წინაშე მართებულად ისმის კითხვა: თუკი გიორგი გაცილებით უფრო წინ დგას გაბრიელზე, რატომ იგი არ არის გმირი? ამის მიზეზს კრიტიკოსი დროის სხვადასხვაობაში ხედავს. ბლაჭიაშვილის დრო „ისეთი დრო იყო, როდესაც ერთი წუთი გადაქცევდა უბრალო, სადა კაცს ქვეყნის გმირად... სრულებით სხვა დროა გიორგის დრო, ეხლა ჯერ არ არის გამწვავებული კაცთა შორის ურთიერთობა, უსამართლობასაც ვერა ჰხედავს კაცის თვალი იმ ზომამდე. ეხლანდელი გლეხი თუ დაინახავს, კერძო, განცალკევებულ უსამართლობას დაინახავს. ეს უსამართლობა არ არის მისთვის ზოგადი, საყოველთაო".

ამგვარი შეხედულება არსებითად მცდარია. XIX საუკუნის 80-იან წლებში უსამართლობის ფორმები იმდენად მწვავე და ძლიერი იყო, რომ იგი სპეციალურად შეიარაღებული თვალის გარეშეც ადვილად შეიმჩნეოდა. გლეხობის მასიური გამოსვლები და გაფიცვები ამის ნათელი მაგალითია. და თუ სანო ამ მდგომარეობას ვერ ამჩნევს, ეს პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ზედმეტად აფასებს რეფორმის შედეგებს, ვიდრე ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა სანოსაც შესაძლებლად მიაჩნია წოდებათა შეთანხმება. ისე როგორც ილია „ცხოვრება და კანონში", სანოც ცდილობს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს გარდაუვალი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდეს წოდებათა მორიგებას. „რა-კი ბატონ-ყმობა გადავარდა—წერს იგი—ამის შემდეგ ძირი ვამოეთხარა წოდებრივ განსხვავებასა და განცალკევებას, აღარ ჰქონდა აზრი წოდებათა დაშორებას, ცალ-ცალკე შეკეტვასა და მოწყვეტას".

თუ რამდენად მცდარი იყო ამგვარი შეხედულება, ამის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ რაში სჭირდება სანოს ამგვარ დებულე-

ვათა პროპაგანდა? აქ იგი ილიას პოზიციაზე დგას, იზიარებს ეროვნულად მთლიანი საქართველოს იდეას, და სურს შექმნას დამოუკიდებელი საქართველო, ამისათვის კი საჭიროა არა წინააღმდეგობის გაშწვავება კლასებსა და წოდებათა შორის, არამედ მათი შეთანხმება და მორიგება. „ყველანი ძმანი ვართ. ვეკუთვნით ერთსა და იმავე ერსა. შურისა და მტრობის საგანი მარტო წვრილმანობაში-ღა დაგვრჩა, ამის გამო ძლარ ღირს განცალკევება, ამაშიაც როგორმე მოვშველდებით, გავსწორდებით. მოვრიგდებით და, მაშასადამე, მივცეთ გული გულსა. ჩაკიდოთ ხელი ხელსა, გავისარჯოთ და ვასახელოთ ქვეყანა ჩვენი“ (დაახლოებით ასეთივე აზრი გაატარა ზ. ჭიჭინაძემ თავის წიგნში „თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი“).

ეხება რა გიორგის პიროვნებას, იგი სანოს აგონებს ღოსიერ ყამირს, რომელიც მით უფრო გამშვენიერდება, რაც უფრო უკეთეს გუთანს შეიტანს მასში გუთნის დედა, უკეთესი მარცვლის დასათესად. ასეთ გუთნის დედად სანო არჩილს მიიჩნევს, რომელმაც განათლების თესლი უნდა შეიტანოს გიორგის გონებაში, არჩილმა უნდა „მისცეს ხელი გონებით ჩამორჩენილ გიორგისა, იცნოს იგი თავის უკეთეს ძმად და უმეცრების სამეფოდამ გამოიყვანოს ცოდნის ნათელ საბრძანებელში“[1]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სანო ხალხში განათლების შეტანით ცდილობდეს სოციალური საკითხის მოგვარებას და „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებას, მისი აზრით, ამისთვის გარკვეული დროა საჭირო, საჭიროა ადამიანის შეგნების თანდათანობითი გარდაქმნა. სანო, ამ შემთხვევაში, არჩილის მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგას და ჰგონია თითქოს ილიაც იზიარებდეს ამ თვალსაზრისს და თავადაზნაურობის შეგნების გარდაქმნის გზით ფიქრობდეს წოდებრივი განსხვავების მოსპობას.

სანომ მართებულად არ გაიზიარა მიხ. ხელთუფლიშვილის შენიშვნა. რომლითაც ეს უკანასკნელი საყვედურობდა ილიას, რომ მან არ გვიჩვენა გიორგის და კესოს პირველი შეხვედრის სურათები. არ გაგვაგებინა თუ სად, როგორ და რა პირობებში შეუყვარდა გიორგის კესო. კრიტიკოსმა ამგვარი დეტალები ზედმეტობად მიიჩნია, მაგრამ ნაწილობრივ თვითონაც ვერ ასცდა ანალოგიური მოთხოვნილების წამოყენებას. მაგალითად, მან დიდ ნაკლად ჩაუთვალა მწერალს ის გარემოება, რომ მან არ მოგვცა დათიკოს ხანში შესულობის და არჩილის ბავშვობის სურათები, რაც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენდა არავითარ საჭიროებას.

საბოლოო დასკვნა, რომელსაც სტ. ჭრელაშვილი ნაწარმოების მიმართ აკეთებს, ასეთია: „ოთარაანთ ქვრივი“ შეეხება მრავალს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას. პატარა მოთხრობა, რომელშიაც ორიოდე სიტყვით იმდენ მკაფიოდ არის გამოხატული არა მარტო ხასიათი ოთარაანთ ქვრივისა და გიორგისა, არამედ რეზონერის თვისებანი გამოფხიზლებული არჩილისა და კესოსი, სადაც რამდენისამე კალმის მოსმით დახატულია

[1] „ივერია“, 1888 წ., № 123.

სახე თვით სოსია მეწისქვილისა, მოთხრობა, რომლის წაკითხვის შემდეგ ყველა ეს ადამიანები გონებაში გრჩებიან და აღარ გშორდებიან, და რაც ჩვენ ამასთანავე იმდენად ზედ გამოკრილია ჩვენს საჭირო-ბოროტო საკითხებზე, რომ ყველანი აგვალაპარაკა,—ჰო, ასეთი მოთხრობა. როგორც ჰხნახეთ, მეტის ღირსია, ვიდრე იმ „კრიტიკული" წერილები, რომელიც ჩვენ დავისახელეთ"[1] კრიტიკოსის ეს დასკვნა სავსებით სწორი და მართებულია.

„ოთარაანთ ქვრივს" საკმაოდ საფუძვლიანად შეეხო ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე[2]. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს თ. ილ. ჭავჭავაძის შედევრად პროზაში ისე, როგორც „განდეგილი" პოეზიაში"[3]. კ. აბაშიძეს სამწუხარო მოვლენად მიაჩნია ის გარემოება, რომ როგორც მკითხველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა, ისე ლიტერატურულმა კრიტიკამაც ვერ გაიგო ნაწარმოები. მათ ვერ შენიშნეს, რომ „ოთარაანთ ქვრივში" ორი ლიტერატურული მიმართულებაა თავმოყრილი—ერთი ხან-დალეული რომანტიზმი და მეორე ახალგაზრდა, ჯანსაღი, სიცოცხლითა და ჯანით აღსავსე რეალიზმი". რის გამოც ნაწარმოების გაგება გაუძნელდათ და მრავალი შეცდომა დაუშვეს.

რომანტიკულ-პოეტური ბუნების გამომხატველად კ. აბაშიძეს გიორგი მიაჩნია. კრიტიკოსის აზრით მას „უფრო აღტაცებულის რომანტიკოს-პოეტისებური ბუნება აქვს, ვინემ ცხოვრების სისასტიკეში ვამოწრთობილის ქართლელის გლეხისა". რატომ წარმოგვიდგინა მწერალმა გიორგი ესოდენ ფაქიზი ნერვების პატრონად? კ. აბაშიძის აზრით „ეს იმის ბრალია, რომ ავტორსა სურდა გრძნობამოდუნებულისა და გაგრილებულის არისტოკრატიის შვილთათვის შეედარებინა ცხოვრებისაგან დასჯილის წოდების შვილი, რომლისთვისაც ბუნებას ესოდენ უხვად მიუნიჭებია მაღალ-გრძნობიერება და მაღალ-სულოვნება"[4], რათა უფრო ნათლად ეჩვენებინა მათ შორის არსებული სხვაობა.

მართალია, გიორგის სიყვარული კესოსადმი მეტად ფაქიზი, ნაზი და თავისებურია. მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ სათუთ, ნაზ და რომანტიულ პიროვნებად, როგორც ეს კ. აბაშიძეს ჰგონია. ლომგული ოთარაანთ ქვრივის შვილს ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო თავის დედასთან და შეიძლება ითქვას, რომ მასშიც იმდენივეა რომანტიკული, რამდენიც ოთარაანთ. ქვრივში.

---

[1] „ივერია", 1888 წ., № 123.

[2] ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ძირითადად, კ. აბაშიძის სამი წერილი: 1) თ-დი-ილია ჭავჭავაძე—რომელიც პირველად „მოამბეში" დაიბეჭდა 1898 წ. № 8, 9, ხოლო შემდეგ „ეტიუდების" I ტომში 1911 წ. 2) ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი („ეტიუდები" ტ. I, 1911 წ.) და 3) .....ილია ჭავჭავაძე" კრიტიკული მიმოხილვა, დაბეჭდილი მიხ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა I ტომში 1914 წელს.

[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 248.

[4] იქვე, გვ. 239.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კ. აბაშიძის პიერ გიორგის პიროვნება საერთოდ სწორად არ უნდა იყოს გაგებული.

კრიტიკოსის აზრით, გიორგი, რომელიც „რომანტიკული კაცია"; არ არის შემკული „ყოველიფრის ღირსებით", მაგალითად, „გიორგისაგან მეჯინიბის ცემა და სხვა ამგვარი მოქმედება არც თუ დიდი ქველობაა. მით უმეტეს. რომ ცოტა არ იყოს მოხელეობრივი „დამსახურების" სუნი უდის, სხვის ტყავზედ კარიერის გაკეთების ფერი აქვს, თუმც ჩინის ადგილი აქ კესოს გულს უპირავს და კარიერის მაგიერობას მგრძნობელობით გაშუქებული სიყვარული გაუწევს"[1]. ასეთი შეხედულება არსებითად მცდარია. მწერალი მოთხრობის მთელ მანძილზე მეტად სათუთად ექცევა თავის მოქმედ პირს და ნათლად მიგვითითებს მის კეთილშობილურ ხასიათზე. განა რომელ კარიერაზე ფიქრობდა ჯერ კიდევ 10—12 წლის გიორგი, როდესაც უმიზეზოდ დაჩაგრულ გოლას გაძოეს არჩილა? რა ჩინ-მედლებს მოელოდა ტყეში ჰიგოს საპრელად წასული გიორგი, როდესაც ომარაანთ, მოჯამაგირეს მძინარეს წაუწყდა და უსიამოვნება მოუვიდა, აქ მათ ხომ არავინ ხედავდა?

ასეთივე იყო მეჯინიბის ცემაც: „გულმა არ მოუსვენა ცხენი რომ მოუველი ნახა და მეჯინიბე-კი არხეინად მწოლიარე", უთხრა: „ცოდო არ არის ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზე წყალს მაინც გადაავლებდი... ხომ წახდა ცხენიო" და გაემართა ცხენის მოსავლელად. გიორგი ცხენს მოუვლიდა და ისევ თავის ადგილზე დაბამდა ისე, რომ ამას ვერც არჩილი და ვერც კესო ვერ გაიგებდნენ, მაგრამ მეჯინიბემ დედა შეაგინა, გიორგი აინთო, იგი მამასაც კი არ შეარჩენდა დედის ავად ხსენებას და მიბეგვა მეჯინიბე, რომლის ყვირილ-ღრიალმაც და-ძმის ყურამდე მიაღწია.

ვთქვათ გამოეპარა კ. აბაშიძეს ეს მომენტი, მაგრამ არჩილის სიტყვები ხომ ნათელყოფენ გიორგის ქცევას, მის კეთილშობილებას: „საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა. არ შეიფერა. ხომ არც ცხენი იყო მისი და არც მეჯინიბე იმისგან დავალებული, რა ეწადა, რა უნდოდა, ჩვენ რომ ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არ მოაღწევდა? მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველად ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწყანახედოთ გამხდარი საქმე ჰნახა, იქვე ხელთ-უძრავი მოსაქმე, და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა".

შეიძლება კ. აბაშიძე ფიქრობდა, რომ გიორგიმ თავის გამოჩენა მაშინ მოინდომა, როცა პეტრე თივის ზვინს დგამდა და არჩილი და კესო იქვე ტრიალებდნენ. მაგრამ არც ეს იქნებოდა მართალი. ილია ეითქოს გრძნობდა, რომ შეიძლება მისი გმირისათვის ასეთი რამ დაებრალები-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. CVIII. კ. აბაშიძე ილ. ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა).

სათ და ამიტომ ისეთი დეკორაცია შექმნა, რომელიც ოდნავადაც ვერ დააეჭვებს მკითხველს ამ მომენტში გიორგის თავის გამოჩენია სურვილში. „იმ მხრივ—წერს ილია—საიდანაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს. და ვერც ესენი დაინახავდნენ გიორგის".

დაბოლოს ილია ხომ პირდაპირ გვეუბნება „ეს ხასიათი დასჭმდა გიორგის დედასავითა,—თავისი იყო, თუ სხვისა. თუ ცუდი რამ იყო გამოეკიდებოდაო". ეს იყო გიორგის თანდაყოლილი ბუნება და არა სხვის ტყავზედ კარიერის გაკეთებით გამოწვეული „მოხელეობრივი" სურვილი.

კ. აბაშიძე არც იმ შემთხვევაშია სწორი. როდესაც ერთგვარ პარალელს ავლებს გიორგისა და „გლახის ნაამბობის" დათიკოს შორის. მისი აზრით „გლახ. გიორგიც ერთგვარი დათიკო არ არის; ოღონდ სპეტაკი, წმინდა, სულითა და ხორცით მშვენიერი? განა, იგიც თავის პირადობას, თავის „მე"-ს, თავისებურ, რასაკვირველია, მაღალ და ფაქიზ სქესობრივ გრძნობას არ სწირავს თავისს თავს, თავისს სიტურფითა და სილამაზით აღსავსე სიცოცხლეს და ამ გრძნობის წინაშე უარს არა ჰყოფს ყოველივეს მამის „ანდერძსაც", დედის ამაგსა და ერთგულებასაც?"[1]

ასეთი პარალელი მეტად უხერხულია. არ არსებობს საფუძველი ვილაპარაკოთ სპეტაკი სიყვარულის გრძნობით გაცისკროვნებული გიორგის „სქესობრივ გრძნობებზე" და შევადაროთ იგი გარყვნილების უძირო ჭურჭელს,—დათიკოს, რომელსაც არასოდეს აზრადაც არ ეოსვლია თავისი სიცოცხლე შეეწირა საყვარელი არსებისათვის. დათიკო უნამუსობის ბუნებრივი მსხვერპლი იყო, გიორგი კი უმწიკლო სიყვარულის შემთხვევითი ზვარაკი. მართალია, შეიძლება გიორგის ბევრი რამ გაეწირა სიყვარულისათვის, მაგრამ ნამუსის ქუდს ლაფში არ გადაისვრიდა; დათიკოსთვის—კი ნამუსის ქუდი ისეთივე უცხო იყო, როგორც ძროხისთვის უნაგირი. გიორგისა და დათიკოს შორის საერთო არაფერია.

თუ კ. აბაშიძე რაღაც საერთოს ხედავს გიორგისა და დათიკოს შორის, სამაგიეროდ რადიკალურ განსხვავებას ამჩნევს გაბროსა და გიორგის შორის. ეს განსხვავება სოციალურ პირობათა ცვლილებებმა გამოიწვია და იმაში გამოიხატა, რომ „გაბროს მეომარი რომანტიკოსობა გიორგის წყნარ და მშვიდ რომანტიკოსობად შეიცვალა. გაბროს უბედური, მაგრამ ღრმა და ძლიერი გრძნობა, მეგობრობა დათიკოსადმი გიორგის კესოსადმი აღტაცებულ სიყვარულად და ტრფობად გადაიქცა. როგორც გაბრომ დათიკოსა და მის მეგობრობას გადაატანა თავი, ისე გიორგიმ კესოს სიყვარულის საფუძველზე მიიტანა მსხვერპლად თავისი მშვენიერი და ლამაზი სიცოცხლე. და როგორც გაბრომ მარტო

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. CVIII—CIX.

კატასტროფის შედეგად შეიგნო, „რომ უმცროს უფროსობაში" სიყვარული სიზმარია, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი გაიდება (უკვე აქ არის ხიდი მოხსენებული), ისე გიორგიც ხათლად იგრძნო თავისის განაწამების სიცოცხლის საშუალებით, რომ „გლეხსა და ბატონს შორის სიყვარულისა და ტრფობის ხიდი ჩატეხილია". ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაბრომ ამ შეგნების გამო შური იძია სიყვარულსა და მეგობრობაზედ, ხოლო გიორგი კი ლოცვა-კურთხევით შეზავებულ უკანასკნელ სალამს უბღვნის თავისს „ასულელობა" თავისს ბედისწერას"[1]

კ. აბაშიძე სწორად შენიშნავს, რომ გიორგის არ ახასიათებს ის ძლიერი სული, რაც გაბრიელისათვის იყო დამახასიათებელი. ისიც სწორია, რომ ორივემ მხოლოდ კატასტროფის შემდეგ შეიგნეს, რომ „უმცროს უფროსობაში" სიყვარული სიზმარია. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს გაბრიელს შური ეძიოს სიყვარულსა და მეგობრობაზე. გაბრიელისათვის, ცხოვრებაში მწვავე დამარცხების შემდეგ, დაჰქრა სიყვარულიც და მეგობრობაც, და შეურაცხყოფილმა და მიწასთან გასწორებულმა გაბრიელმა შური მოსისხლე მტერზე, მისი ადამიანობის გამქელავ დათიკოზედ იძია, და თუ ეს ასეა, მაშინ ვეღარ გაეზიარებთ კ. აბაშიძის მოსაზრებას, თითქოს „გაბრომ დათიკოს და მის მეგობრობას გადაატანა თავი". რადგან მეგობრობა აქ უკვე აღარაფერ შუაშია.

ოთარაანთ ქვრივი არსებითად განსხვავდება გიორგისაგან. ამ ტიპის დახატვით ილ. ჭავჭავაძემ გამოამჟღავნა ნიჭის სრული მოწიფულობა. ოთარაანთ ქვრივის ტიპი შედგება „ავტორის მომწიფებულის, გაზრდილისა და გაძლიერებულის რეალიზმისა. ეს ტიპი ისეთი რეალური ტიპია და ისეთი საესებით დასურათებული, რომ მაგის მსგავსი ჩვენს ახალს ლიტერატურაში არა გვაქვს-რა"[2]. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, ოთარაანთ ქვრივი პირმშო შვილია ბრძოლაში გამოცდილი ხელისა. რომელიც პირ-ვარამსა და უბედურებაში გაკაჟებულა და რომელშაც იცის შრომისა და ჯაფის ფასი. ცხოვრების ქარცეცხლში გამოწრთობილი დედაკაცი, ერთი შეხედვით თითქოს სასტიკი და უხეშია. ოინამდვილეში კი მის მკერდში კეთილი და ლმობიერი გული ცემს, ოგრამ ტკბილი სიტყვა მისთვის თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი. ოტლ გრძნობათა გამომჟღავნება მას სამარცხვინოდ მიაჩნია, გულში ინარხევს შვილის სიყვარულსაც კი. რომელზედაც მზე და მთვარე ანათებდა. „გარეგანი სიმკაცრე სიმკვახე ამ დედაკაცისა ჰფარავდა თავგანწირულს სიყვარულს თავისის შვილისას და თავის ქმრის ანდერძის" თავდადებულ და ენერგიულ შემსრულებელს"[3]. კ. აბა-

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1914, გვ. CII—CIII. კ. აბაშიძე. ი. ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა).

[2] კ. აბაშიძე, „ეტიუდები", I, გვ. 235.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. CIV. კ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა).

შიძე სწორად შენიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძემ მეტად მკვეთრად დაუპირისპირა მხსნე, მამაცი და სასტიკი ცხოვრებისაგან გამოწრთობილი ოთარაანთ ქვრივი უენერგიო და სუსტ ქმნილებებს — არჩილსა და კესოს და დაგვანახვა ქვრივის უპირატესობა,— „ოთარაანთ ქვრივი“ ადამიანია ყოველისავე თავისის ნაკლულევანებით და ღირსებით“.

კ. აბაშიძე ილ. ჭავჭავაძის თანამედროვე იყო და ძალიან კარგად იცნობდა მის ფსიქოლოგიას, ხასიათსა და შინაგან ბუნებას. ილიას პიროვნების კარგად მცოდნე კრიტიკოსმა მწერალსა და ოთარაანთ ქვრივს შორის ერთგვარი მსგავსება დაინახა და აღნიშნა: „თუ ოდესმე ავტორს თავის გამოხატულ ტიპში თავისი თავი წამოსცდენია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ტიპში მისი თვისებები მისდა უნებურადაც შეჰპარვია, ეს ოთარაანთ ქვრივის შესახებ უნდა ითქვას. ილია ყველასაგან ცნობილია, ვითა გარეგანად მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანი. არასოდეს ტკბილი სიტყვა და ქალაჩუნი არ ჰყვარებია. მაგრამ სასტიკად შემგნები იყო თავისი მოვალეობისა. თავდავიწყებულად დამცველი თავისის „განძისა“ და „ანდერძისა“. ტყვილ უბრალო არავის დააჩაგვრინებდა მისი ცხოვრების სატრფიალო საგანს, არც მის ჯავრს არავის შეარჩენდა“[1]. მართლაც, გარეგნულად მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანის იერი ჰქონდა ილიას, რომელიც ოთარაანთ ქვრივის მსგავსად ერიდებოდა ალერსიან, ტკბილ სიტყვას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ილიას ერთ-ერთი წერილი მეუღლისადმი მიწერილი სწორედ იმ წელს, როდესაც „ოთარაანთ ქვრივი“ იწერებოდა: „ოცდა ოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც. განა არ იცი, თუ მეწყინა რამე გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავიხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადავიყრი. ორმოცდაათის წლის კაცი ვარ და ხელახლად ხომ აღარ დავიბადები?... ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი. სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე, ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდათ გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი. რომელიც კაპასაკით ღღე მუდამ არ სჩხავის და მზეთ უნახავად დაბინავებულია გულში“[2]. ამ სტრიქონებში გულახდილად არის გადაშლილი მწერლის ხასიათი და შინაგანი ბუნება. ამ სიტყვებით თითქოს ოთარაანთ ქვრივი მეტკვეღებს.

როგორც ზემოთ დავინახეთ ლიტერატურული კრიტიკა საყვედურობდა ილ. ჭავჭავაძეს, რომ მან შექმნა უფერული ტიპები არჩილისა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. CIV. კ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, (კრიტიკული მიმოხილვა).

[2] ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი. ფონდი A—1720/15-ა.

და კესოსი და უფერულობის მიზეზს ავტორის ნიჭის სისუსტეში ხედავდა. არჩილსა და კესოს კ. აბაშიძეც უფერულ ტიპებად თვლის, მაგრამ მათი ამგვარად წარმოდგენა მიაჩნია არა მწერლის ნიჭის სისუსტის, არამედ სიძლიერის შედეგად, რადგან არსებულ გარემოს სწორედ ისეთი უფერული ადამიანები უნდა შეექმნა, როგორიც კესო და არჩილი იყო. ილიას ნიჭის ძლიერება, კრიტიკოსის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან სრული სიზუსტითა და დამაჯერებლობით დაგვისახა რეალურად არსებული უფერული ტიპი არჩილისა.

ვინ არიან არჩილი და კესო კ. აბაშიძის გაგებით? „კესო და არჩილი გამოფიტული აჩრდილნი არიან: მათ არც ავის გაკეთება შეუძლიათ, არც კარგის წასდენა. მათ ხორცის გრძნობაც კი დაჩლუნგებული აქვთ იმდენზედ, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას სჯობნის თავში მშრალ-მშრალად ჩალაგებული უსისხლხორცო ათასგვარი ტრადიცია“[1]. კ. აბაშიძის აზრით არჩილი რეზონიორია, რომელსაც მაღალ-მაღალი ფრაზებით აქვს ავსებული თავი, მაგრამ სულის სიღრმემდე არცერთი მათგანი არ ჩაწვდენია. არჩილი ლუარსაბისა და დათიკოს ჩამომავალია, იგი ერთგვარად წინ დგას თავის წინაპრებზე, თუმცა საერთოც ბევრი აქვთ. მაგალითად, ლუარსაბისაგან არჩილი იმით განსხვავდება, რომ ლუარსაბის მსგავსად იგი სწავლა-განათლებას ჭირად არ მიიჩნევს, უფრო გათლილი და გაშალაშინებულია თავის მამაზე, მაგრამ „ლუარსაბივით უფერულია და უშინაარსო“. არჩილი დათიკოსაგან უფრო მეტად განსხვავდება: „მაშინ, როდესაც დათიკო ნამდვილი მტერი იყო ჩვენის საერთო ცხოვრებისა და საზოგადოდ კაცთა ადამიანურის ცხოვრების შემბილწველი, არჩილი გახლავთ სწორედ მეოთხმოცე წლების ახალგაზრდა, პრაქტიკულის მიმართულებისა, რომლის უმაღლესი იდეალი ადგილ-მამულის მოელაშია და, თუმცა მის ნაწარმოებს არ ადიდებს, არა ჰფლანგავს და არა ჰყრის მაინც უთავბოლოდ. ზის თავის სახლში და ქეიფსა და უზნეო ცხოვრებას მაინც არ მისდევს. მაგრამ გონებითა და მოქმედებით კი მაინც უფერულია: სოფელს არა რა არგია მისგან. აზრთა-წვრთნა სამშობლოისა არ ეინტერესება და იქნება სასაცილოდაც მიაჩნდეს“[2].

ვფიქრობთ, არჩილის ამგვარი მკაცრი დახასიათება მთლად სწორი არ უნდა იყოს. არჩილი (და აგრეთვე კესოც) სხვა არა არის რა, თუ არა ტიპი „მონანიე აზნაურისა“, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხლობს ფეოდალური წყობილების ნაშთი, იგი არ ჰგავს რუსეთის ცხოვრებაში წარმოშობილ „მონანიე აზნაურს“, მასთან შედარებით არჩილი გაცილებით უფრო სუსტი და მკრთალია, რაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობით უნდა აიხსნას, მაგრამ იგი მაინც მკვეთრი

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. CII. კ. აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა).

[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 237.

გამომხატველია ხალხოსნური იდეებით გაჟღენთილი „მონანიე აზნაურის“ ფსიქო-იდეოლოგიისა[1]. ამ თვალსაზრისით არჩილი არ არის გონებით უფერული პიროვნება და მისი „უმაღლესი იდეალი“ ადგილ-მამულის მოვლაში კი არ გამოიხატება, არამედ წოდებათა მორიგებაში. თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებაში. არჩილის სურვილები უაღრესად კეთილშობილური და ჰუმანურია, თუმცა მათი შესრულება შეუძლებელია.

არჩილთან შედარებით კესო, რა თქმა უნდა. უფერულია, მაგრამ აბაშიძის მკაცრი შეფასების ღირსი მაინც არ არის. ძნელია მკითხველი დაეთანხმოს კრიტიკოსს, რომელიც ფიქრობს, რომ „ეგ კესო სწორედ ნულია და ავტორს სულაც რომ არა ეთქვა-რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ არჩილსა ჰყავანდა ნულივით უშინაარსო და. რომელიც გიორგს უყვარდაო, ამით არას წავაგებდით“[2].

როგორ უყურებს ილ. ჭავჭავაძე წოდებათა შორის ურთიერთობის საკითხს? კ. აბაშიძე ამ საკითხის ირგვლივ მეტად საინტერესო და გართებულ მსჯელობას აწარმოებს. კრიტიკოსმა სწორად შენიშნა. რომ ილიამ ჯერ კიდევ „გლახის ნაამბობში“ მიიჩნია შეუძლებლად უმცროს-უფროსობაში სიყვარულის ხიდის გადება და იგივე აზრი გაატარა „ოთარაანთ ქვრივშიც“ კ. აბაშიძე სასაცილოდაც კი მიაჩნია, რომ „ავტორს დასწამეს, ვითომ ამ წოდებათა შორის ხიდის გამთელება სიყვარულითა და ქორწინებით უნდოდა“[3]. „ოთარაანთ ქვრივში“— შენიშნავს კრიტიკოსი—ილიამ ის გვითხრა, რომ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის „არა თუ სიყვარული, სიყვარულის გაგებაც კი არ შეიძლება“. კ. აბაშიძემ სწორად გაიგო, რომ ილიას აწუხებს ეს გარემოება, რადგან წოდებათა შორის არსებული ამგვარი გათიშვა მას საზიანოდ მიაჩნია. ამავე დროს იგი იცავს მწერალს იმ პირთაგან. რომელნიც საყვედურობდნენ, რომ მან „წოდებათა შორის ბრძოლა სანეტაროდ და სამხიარულოდ არ ჩასთვალა“. კ. აბაშიძე დანაშაულად არ უთვლის მწერალს სურვილს ისეთი წყობილების შექმნისას. „სადაც არც ერთს არა ჰქონდეს-რა მეორესთან საბრძოლველი და სადავო.“ მაგრამ რა გზით შეიქმნება ასეთი წყობილება, ამის ჩვენებას კ. აბაშიძე ილიასაგან არ მოითხოვს და არც თვითონ იძლევა პასუხს. იგი იზიარებს მწერლის შეხედულებას, რომ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი და ამ ხიდის გამთელება შეუძლებელია. „და ამაში ბრალი უდევს „გვარიშვილობას“ არა მარტო როგორც

---

[1] ალბათ არჩილის სახის ამგვარად წარმოდგენამ აფიქრებინა „ოთარაანთ ქვრივის“ ზოგიერთ მკითხველს, რომ ილიას „ნაროდნიკობა“ დაუწყია და „ნაროდნიკული“ ლიტერატურა უნდა დაამარსოს „ჩვენშიო“... (დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, 1888 წ., გვ. 13).

[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 237.

[3] იქვე, გვ. 238.

თეორიისა. არამედ იმავე „გვარიშვილობას", როგორც ერთგვარ ფიზიოლოგიურ სნებას, როდესაც ვარდი მზის სხივებს ეღარ შეითვისებს და შეიშნობს იმიტომ, რომ მისი ფესვები გამხმარია და დამპალი"[1]. კრიტიკოსი ეთანხმება ილიას, რომ თავადაზნაურობა ხიდის ერთ-ერთ საყრდენ ბურჯად უკვე გამოუსადეგარია.

კ. აბაშიძე არ იზიარებს მიხ. ხელთუფლიშვილის შეხედულებას, თითქოს ნაწარმოების XIX და XX თავები, სადაც ჩატეხილი ხიდის შესახებ არის მსჯელობა, მოთხრობის არაორგანულ ნაწილებს წარმოადგენდნენ. კ. აბაშიძე ფიქრობს, რომ „ამ ბაასის მიუცილებლობა მოთხრობისათვის უეჭველია, რადგან ამაში მშვენივრად იხატება უფერული ტიპი არჩილისა".

კრიტიკოსი არც შ. დავითაშვილს დაეთანხმა, რომელმაც ვერ გაიგო თავი მოთხრობისა „ეძახის" და სავსებით მართებულად შენიშნა, რომ ეს თავი „ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია ქართულ ლიტერატურაში. კლასიკური სიმარტივე ამ სურათისა განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში თავისის შინაარსის სიძლიერითო".

კ. აბაშიძე არ დაეთანხმა მიხ. ხელთუფლიშვილს სოსია მეწისქვილის ტიპის გაგების საკითხშიც. კ. აბაშიძემ სავსებით სწორად აღნიშნა, რომ „დიდი ძლიერი ნიჭი საუცხოვო მხატვრისა გამოიჩინა თ. ილ. ჭავჭავაძემ უბედურის მეწისქვილის სოსიას ტიპის დასურათებაშიაც... ეს სოსიკა გარდა იმისა, რომ მშვენიერი ტიპია ბედისაგან დაჩაგრულის და მოძულებულის ადამიანისა... იგი რაღაც უცნაურ სიმბოლოს წარმოადგენს, სიმბოლოს ერთის ადამიანის გრძნობის მეორისაგან მეუგნებლობისა... და მით ბევრად უფრო ზოგად და დიდ მნიშვნელოვან სურათად რჩება, ვინემ თვით უმთავრესი გმირი მოთხრობისა გიორგი"[2].

თუ მოთხრობაში, ერთი მხრით ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის, ხოლო მეორე მხრით არჩილისა და კესოს თითქმის განუყრელ კავშირში ვხედებით, სამაგიეროდ ობლად და განმარტოვებით გამოიყურება სოსია მეწისქვილის სევდით მოცული მდუმარე სახე. ეს სურათი ილიას მიერ განგებ არის შექმნილი. სოსიას სიმარტოვით მწერალი ხაზს უსვამს ცხოვრებაში გამეფებულ საზოგადოების გულგრილობას, რაც ხელს უშლის ინდივიდუალურ ბედნიერებასა და კეთილდღეობას. აქაც, სწორედ ისე, როგორც მოთხრობაში „სარჩობელაზე", შესამჩნევად არის ამოკვეთილი ილიას ერთ-ერთი თეზისი: ინდივიდსა და საზოგადოებას შორის გაუგებრობა და გაუტანლობაა და თუ ხიდია ჩატეხილი თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ეს „ჩატეხილი ხიდი". სამწუხაროდ ინდივიდსა და საზოგადოებას შორისაც გაუმთელებელი რჩება, რაც კაცობრიობის ცხოვრების ტრაგედიის მაჩვენებელია.

საყურადღებოა აგრეთვე ის შედარებაც, რომელიც კ. აბაშიძე

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I. 1914 წ., გვ. CII.

[2] კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 246–247.

აწარმოა ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ გმირს, პლატონ კარატაევსა და ოთარაანთ ქვრივს შორის. შედარების შედეგად კ. ბაბაშიძე იმ ძირითებულ დასკვნამდე მივიდა, რომ „კარატაევის ფილოსოფია პიკიდილისა, მცონარეობისა, სულით დაგლახაკებისა, დაკრავებისა და ბრწყინვალე ცხოვრების უარყოფისა ისე შორს არის ჩვენგან. ისე უცხოა, როგორც უცხონი და გაუგებარნი არიან ერთმანეთისათვის პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი, აკიმა, თედორე, გაბრო, კაკო და ზაქრო“[1].

საინტერესოა ის დასკვნაც, რომელსაც კ. ბაბაშიძე აკეთებს „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ—მართალია, კომპოზიციური და ტექნიკური თვალსაზრისით „კაცია-ადამიანი“ მაღლა დგას „ოთარაანთ ქვრივზე“, მაგრამ ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს თ. ილ. ჭავჭავაძის შედეგრად პროზაში ისე, როგორც მისი „განდეგილი“ პოეზიაში. ორივე ნაწარმოები უკანასკნელი ხანისაა, რაიცა ამტკიცებს, რომ ავტორს თავისი სიტყვა განუვითარებია. შეუმუშავებია და მისი ზრდისათვის ხელი შეუწყვია. ეს ქართული ლიტერატურისათვის არა ჩვეულებრივია“[2].

კ. ბაბაშიძის ეს აზრი სავსებით მართებულია.

„ოთარაანთ ქვრივს“ შეეხო ალ. ხახანაშვილიც თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“. მაგრამ მან ძირითადად ყურადღება ნაწარმოების შინაარსის გადმოცემაზე გაამახვილა და გაიმეორა ის მცდარი მოსაზრება, თითქოს ილია „ოთარაანთ ქვრივით“ ცდილობდეს თავადაზნაურობისა და გლეხობის დაახლოებას და მათ საერთო ინტერესით დაკავშირებას.

1913 წელს გაზეთმა „თემმა“ გამოაქვეყნა მ. წულუკიძის წერილი —„ილია ჭავჭავაძე“. რომელშიც ავტორი იძლევა ილ. ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის მეტად ზერელე და მცდარ დახასიათებას. მისი აზრით, „როგორც მწერალი-ხელოვანი ილია ჭავჭავაძე მთელს ერს ეკუთვნის; როგორც მწერალი-მოაზროვნე კი ის მთელი ერის სულიერ ცხოვრების, მისი მიმართულების გამომხატველი არ არის. ილია ჭავჭავაძე თავის თხზულებებში ამა თუ იმ ცხოვრების ტენდენციის გამტარებელი, ასე ვთქვათ, ორი სხვადასხვა მიმართულების პიროვნებაა“[3].

რაში გამოიხატება ილ. ჭავჭავაძის ორმაგობა მ. წულუკიძის აზრით? პირველ ყოვლისა იმაში, რომ ბატონყმობის გადავარდნამდე ილია გვეელინება, როგორც დემოკრატი, გლეხთა ინტერესების დამცველი და ქომაგი. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კი, „ოთარაანთ ქვრივის“ ილია წინანდელი აღარ არის—ის საზოგადოებრივად განთავისუფლებულ კაკოს აღარ ექომაგება, მისი ინტერესების წინანდელი მედგარი დამცველი ჰკარგავს

[1] კ. ბაბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 263.
[2] იქვე გვ. 248 – 249.
[3] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 147.

თავის „მე-ს“ და საზოგადოების ხედაპირის ნამდვილ შვილად გვეჩვენება. თუ აქამდი ილია ბრძოლის მქადაგებელი, ინტერესთა წინააღმდეგობის მომხმარე იყო, ეხლა ის ორგანიულ მთლიანობაზე. ბრძოლის უარყოფაზე ლაპარაკობს, წოდებათა შუა ძმობა-ერთობის ჩამოგდებაზე ჰლადებს... ამ დროის ილია ჭავჭავაძე თავის წინანდელი პრინციპების უარის მყოფელია. კეშმარიტი დემოკრატიზმის მოწინააღმდეგე“[1].

ამგვარი შეხედულება იც. ჭავჭავაძეზე, როგორც მწერალზე და მოაზროვნეზე. მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ მისი ავტორი ოდნავადაც ვერ ერკვევა ილიას შემოქმედებისა და აზროვნების ხვეულებში. ის ვინც ღრმად იცნობს ილიას მემკვიდრეობას, მხატვრული იქნება იგი თუ პუბლიცისტური, დარწმუნებულია, რომ „80-იან და შემდგომ წლებში, ისე როგორც ადრე, ილია ჭავჭავაძე ერის საკითხში გარკვეული ხასიათდება რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით. ისე როგორც ყოველი განმანათლებელი, ისიც უმეტესად განურჩევლად კლასებისა მთელი ერის სახელით ლაპარაკობს. ამავე დროს ერის ცნებაში მთავარ კომპონენტად მშრომელებს, გლეხობას აცხადებს. კიდევ შეტი, მაღალ წოდებას ხშირად უპირისპირდება“[2].

მ. წულუკიძის წერილის საპასუხოდ, ა რ. ჯ-შ ვ ი ლ მ ა „სახალხო განათლებაში“ მოათავსა ვრცელი სტატია, სათაურით: „ჩატეხილი ხიდი“. ამ სტატიით ავტორი შეეცადა ნათელეყო რიგი საკითხებისა, რომელშიაც მ. წულუკიძემ სრული არევ-დარევა შეიტანა.

ა რ. ჯ-შვილმა მკაცრად გაილაშქრა მ. წულუკიძის მცდარი შეხედულების წინააღმდეგ და ხაზგასმით მიუთითა, რომ ილია ჭავჭავაძე „წინააღმდეგი იყო არა მხოლოდ ბატონყმობისა. არამედ იმ ძირითადი სოციალური უკუღმართობისა, რომელზედაც აშენებული იყო, სხვათა შორის ბატონყმობაც. ეს რომ დავივიწყოთ ილია ჭავჭავაძის დახასიათება ცალმხრივი გამოვა და სრული არ იქნება“[3].

ა რ. ჯ-შვილის „ოთარაანთ ქვრივი“ ისეთ ნაწარმოებად მიაჩნია, რომელშიც ნათლად იჩინა თავი ი. ჭავჭავაძის მსოფლმაედველობამ. იგი საესებით სწორად იქცევა, როცა არ იზიარებს შეხედულებას, თითქოს „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერამდე ილია ყურადღებას ამახვილებდა და იბრძოდა ცხოვრებაში არსებული სოციალური განხეთქილების წინააღმდეგ, ხოლო „ოთარაანთ ქვრივში“ მოისურვა წოდებათა შორის ხიდის გადება და მორიგმალვა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსებული ანტაგონიზმისა. კრიტიკოსი არც იმ მოსაზრებას იზიარებს, თითქოს „ოთარაანთ ქვრივში“ დაირღვა მთლიანობა მოაზროვნე ილიასი, პირ-იქით, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოაშკარავდა ფაქიზი სინდისი ღრმად მოაზროვნე ილიასი“[4].

---

[1] გახ. „თემი“, 1913 წ., № 147

[2] ა. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ილ. ჭავჭავაძე. 1955 წ., გვ. 119.
„სახალხო განათლება“, 1913 წ., № 1031.

[3] იქვე.

[4] იქვე.

საეჭვოა სწორია არ. ჯ.-შვილი, როდესაც ფიქრობს, რომ ილია წოდებათა შორის მთლიანობის დამყარებას კი არ ქადაგებს, არამედ მთლიანი პიროვნების შექმნის მღაღადებელია, ეს არის მისი იდეალი, რასაც ხელს უშლის ცხოვრებაში გამეფებული სოციალური უთანასწორობა. მართალია, მოისპო ბატონყმობა, მაგრამ ვერ შეიქმნა პირობები მთლიანი პიროვნების შესაქმნელად. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ „ილიას წინ კვლავ ახალი პრობლემა აღიმართა. მან, როგორც მგრძნობიარე სინდისის პატრონმა, როგორც მთლიანმა მოაზროვნემ, ერთბაშად დაინახა, რომ ბატონყმობის მოსპობით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა იდეალი. განთავისუფლდა კაკო, იგი თავისუფალ გიორგად იქცა, მაგრამ თავადსა და გლეხს შორის ხიდი მაინც ვერ გაიდო. ამ აზრის ილუსტრაციაა შესანიშნავი ხელოვნებით დაწერილი „ოთარაანთ ქვრივი“.

მოაქვს რა არჩილის მსჯელობიდან ის ადგილი სადაც ლაპარაკია ჩატეხილი ხიდის შესახებ, არ. ჯ-შვილი მართებულად ასკვნის, რომ შექმნილ სოციალურ ვითარებაში ილ. ჭავჭავაძეს შეუძლებლად მიაჩნია ხიდის გამთელება. „იმ დრომდე, სანამ სოციალური უსამართლობის წყალობით, ერთი ნაწილი მეორე ნაწილისაგან დაშორებულია. მათ შორის სიყვარული შეუძლებელია. იქ სადაც სიყვარული არ არის, არც ერთმანეთის გაგებაა, არც დანდობა და პატივისცემა. იქ მხოლოდ პრძოლა და ურთიერთისადმი მტრობაა. რახან ილია ჭავჭავაძე ამას ხედავდა. ცხადია ვერც იმას იფიქრებდა, რომ ცხოვრების პირობების შეუცვლელად შესაძლებელი გახდებოდა თანხმობის დამყარება მოპირდაპირე ჯგუფთა შორის“[1].

კრიტიკოსის მართებული შენიშვნით „ილია დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მდგომარეობა საბოლოოდ არ არის, ერთხელაც არის მათ შორის ხიდი უნდა გაიდოს“.

მაგრამ რა გზით მიაჩნია ილიას შესაძლებლად ჩატეხილი ხიდის გამთელება? ამ საკითხზე არ. ჯ-შვილი მეტად საინტერესო მოსაზრებას აყოთარებს. იგი ფიქრობს, რომ „ილია ჭავჭავაძე მთელ თავის იმედებს ხალხის შემოქმედებით ძალაზე ამყარებს, ჰსწამს კიდეც, რომ იგვ თავის ეხლანდელ მდგომარეობას თავს დააღწევს... როდესაც ხალხში დაგუბებული სასიცოცხლო ძალა გაიშლება და შეიქმნება მთლიანი პიროვნება, მაშინ ჩატეხილი ხიდიც გამთელდება. ცხადია, თუ დღევანდელი სოციალური პირობები უცვლელი დარჩა, უფსკრულიც ამოუვსებელი დარჩება და ხიდიც ვერ გაიდება. ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად საჭიროა მთლიანი პიროვნება და მთლიანი პიროვნება კი მხოლოდ ხალხს შეუძლიან წარმოშოს თავის „გულის სიღრმიდან“[2]. ასეთი იყო ილიას მიერ დასახული გზა რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ გადაჭრიდა კლასთა შორის არ-

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 1031.

[2] იქვე.

ებული წინააღმდეგობის მოსპობის საკითხს. ილია მწვავედ ხედავდა კლასთა ბრძოლას, რომელიც დღითი დღე განვითარების ახალ საფეხურზე ადიოდა, და რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა დახავსებული ცხოვრება, მაგრამ ილია ამ ბრძოლას არ თანაუგრძნობდა. მწერალს „დიდი სურვილი კი აქვს ამ ბრძოლას ბოლო მოეღოს, მხოლოდ არა საკუთარი ინტერესების დავიწყების საშუალებით, არამედ განკაცების, ცხოვრების ახალი პირობების დამყარების საშუალებით".

ის გარემოება, რომ ცხოვრების განახლების წყაროს ილია ხალხში ეძებს, არ. ჯ-შვილს დამოკრატიზმის ბრწყინვალე გამოხატულებად მიაჩნია, ხოლო „ოთარაანთ ქვრივი" დემოკრატიზმის აპოლოგიად.

შეიძლება ამ შემთხვევაში არ. ჯ-შვილი ოდნავ აჭარბებდეს, მაგრამ მისი მოსაზრებანი მაინც საყურადღებოა.

არ. ჯ-შვილს გამოეკამათა მ. წულუკიძე (იხ. გაზ. „თემი", 1913 წ. № 148) და შეეცადა თავის ძველ შეხედულებათა დაცვას, მაგრამ რაიმე ახალი მოსაზრება ამ შეხედულებათა განსამტკიცებლად მას არ წამოუყენებია.

„ოთარაანთ ქვრივს" სილოვან ხუნდაძეც შეეხო. მას რაიმე ახალი არ უთქვამს ნაწარმოების შესახებ და ძირითადად მხოლოდ ძველ შეხედულებათა გამეორებით დაკმაყოფილდა.

* * *

ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას შეეხნენ არა მხოლოდ ქართველი მწერლები და კრიტიკოსები არამედ მან ევროპელთა ყურადღებაც მიიქცია. ამ მხრივ საყურადღებოა არტურ ლაისტის რამდენიმე წერილი, რომელიც ილიას შემოქმედებას ეხება.

ა. ლაისტმა დიდი როლი ითამაშა ქართველი და ევროპელი ხალხების გაცნობისა და დაახლოვების საქმეში. მან ევროპელებს და, კერძოდ, გერმანელებს გააცნო ქართული ლიტერატურა, როგორც ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით, ასევე თარგმანების საშუალებით, გააცნო ქართულ კულტურის საუკეთესო მონაპოვრები, — ქართველი ხალხის ზნეჩვეულებანი და ადათ-წესები. მეორეს მხრივ იგი ცდილობდა გაეცნო ქართველი საზოგადოებისათვის ყოველივე ის მოწინავე და პროგრესული, რაც გერმანელ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში შეექმნა. ა. ლაისტის ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითი იყო მოწინავე ქართველი და გერმანელი ინტელიგენციის მეგობრობისა და ურთიერთ თანამშრომლობისა.

ილ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიდან საყურადღებოა ა. ლაისტის საყურნალო სტატია „ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ. ი. ჭავჭავაძის თხზულებანი", რომელიც გერმანულ ჟურნალში („Magazin für die literatur des zn — und auslandes"

გამოქვეყნდა და რომელიც გაზ. „დროების“ რედაქციამ თარგმნა და დაბეჭდა 1873 წლის 264 ნომერში.

ზემოხსენებულ წერილში ა. ლაისტი ცდილობს მოგვცეს ქართული ლიტერატურის ზოგადი დახასიათება. ამ დახასიათების დროს ავტორი უშვებს რიგ პრინციპული ხასიათის შეცდომებს, მაგალითად, მისი აზრით ქართული ლიტერატურის „განვითარებაზედ არ ჰქონია გავლენა არც დასავლეთის ევროპის გონების მოძრაობას, არც ფილოსოფიურ სისტემებს, არც რომელიმე სკოლის მიმართულებას“[1]. ცხადია, რომ ამ მოსაზრებას არაფერი აქვს საერთო საქმის არსებით ვითარებასთან. ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველ ხალხს იზოლირებულად და კარჩაკეტილად არასოდეს არ უცხოვრია და მას განუცდია მოწინავე ხალხების კულტურის გავლენა, ისე როგორც თავის მხრივაც მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია მრავალ, თვით მოწინავე კულტურის მატარებელ ხალხებზე. ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია და იგი იმდენად ცნობილია და ხელშესახებია, რომ აქ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ თუ ა. ლაისტმა ამგვარი შეცდომა დაუშვა, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის მას ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ ჰქონდა შესწავლილი ქართული ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების ვრცელი გზა.

მიუხედავად რიგი შეცდომებისა, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული წერილი, ასევე მისი მეორე წერილიც, „ქართული ლიტერატურა“, დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“ 1884 წელს, მრავალ საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავენ, განსაკუთრებით ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ.

ა. ლაისტი ძირითადად ყურადღებას ილიას იმ ნაწარმოებზე ამახვილებს, რომელნიც ბატონყმობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი. მისი მართებული შენიშვნით, ეს ნაწარმოებნი „ჰგვანან კაცობრიულ გრძნობის ფსკერულნებს და მის მემამულეთა ჩუმს პატრიარქალურ ცხოვრებას ქარიშხალსავით მოედებენენ“[2]. ა. ლაისტმა ის გარემოებაც შენიშნა, რომ ილ. ჭავჭავაძე „დიდი მცოდნეა თავის თანა-მემამულეთა ხასიათისა და გულისა. მისი მოთხრობები, რომელთაც საგნათ აქვთ აგვიწეროს აწმყო ცხოვრება, საკვირველ არიან უმშვენიერესი სურათებითა და გვიხატავენ უფრო ბნელ მხარეებს ქართველების ცხოვრებისას, ვიდრე ნათელს. ჩვენ გვგონია, რომ სხვა მოთხრობა არ მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ისეთის სიმართლით და ისე დამთავრებულად გვიხატავდეს ძველი დროის თავადობის ცხოვრებას, როგორც „კაცია-ადამიანი“. ეს მოთხრობა შეიცავს ყოველისფერს, რაც კი საჭიროა ამ ხალხის გასაცნობად“[3].

---

[1] „დროება“, 1883 წ., № 264.

[2] იქვე.

[3] „ივერია“, 1884 წ., № 5–6, გვ. 116.

ლაისტმა მკითხველის ყურადღება გაამახვილა იმ დიდ პატრიოტულ გრძნობაზე, რაც ილ. ჭავჭავაძისათვის არის დამახასიათებელი. კრიტიკოსი ასახელებს ილიას რამდენიმე ნაწარმოებს: „გაზაფხული“, „ელეგია“, „დედა და შვილი“. და „მეფე დიმიტრი თავდადებული“, — რომლებშიც განსაკუთრებული სიმძაფრით არის ასახული პოეტის საყვარელი სამშობლოს ავბედითი მდგომარეობა, მაგრამ, ამავე დროს, ძლიერად იგრძნობა ჰეზნებარე ოპტიმიზმი. უკეთესი მომავლის ღრმა რწმენა. „ყველა ლექსებიდან, — წერს ა. ლაისტი — რომლებიც უძღვნა მან სამშობლოს, მოისმის შესაზარი კვნესა და ოხვრა, თუმცა ამავე დროს გამოსჭვრეტს სხივი ბედნიერი მომავლისაც“[1]. და ეს ბედნიერი მომავლის სხივი, „წარმატების აურეელი,— ა. ლაისტის აზრით—იქნება ამის თხზულებებში უფრო შესამჩნევი იყოს, ვიდრე სხვა ქართველ პოეტების თხზულებებში“.

რა თქმა უნდა, უკეთესი მომავლის რწმენა და ძლიერი სურვილი ბედნიერი ცხოვრებისა ილიას შემოქმედებიდან ძლიერად იგრძნობა, მაგრამ არანაკლები სიძლიერით გამოსჭვივის იგი სხვა მწერლების შემოქმედებიდანაც, როგორც არიან, მაგალითად, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი და სხვები.

ი. ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებად ა. ლაისტს ის გარემოება მიაჩნია რომ მან მწერლობაში შემოიტანა ხალხური მეტყველების საუკეთესო ნიმუშები. ილიამ ახალი გზით წარმართა ქართული ლიტერატურის განვითარება. იგია „ნამდვილი დამაარსებელი ჰეშმარიტი მოთხრობისა... მან გააშშვენიერა ენა და მისი ფორმები და უმნიშვნელო ოცნებათა სამაკიეროდ, შეიტანა მოთხრობაში სჯა ისეთ საგნებზედ, რომლებიც აღელვებენ საზოგადოებას“[2].

ა. ლაისტი ერთმანეთს ადარებს ილ. ჭავჭავაძისა და ა. პუშკინის ნაწარმოებებს და მათ შორის ბევრს ხედავს საერთოს „გრძნობითაც და წარმატების სურვილითაც“ და საერთოდ რუსულ ლიტერატურას მიიჩნევს იმ ძლავრ სკოლად, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც ილ. ჭავჭავაძის, ისე სხვა მრავალი ქართველი მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირების საქმეში.

ა. ლაისტის ეს აზრი საკმაოდ სწორია. ამის შესახებ თვით ილ. ჭავჭავაძეც მიუთითებდა.

საყურადღებოა, რომ იმ გავლენაზე, რაც რუსულმა ლიტერატურამ ქართულ მწერლობაზე მოახდინა, რ. ჩხიკვაძეც (ალისუბნელი) მიუთითებს და მაგალითად ილიას „კაცია-ადამიანს“ და გოგოლის „ძველი დროის მებატონეებს“ ასახელებს. მაგრამ „კაცია-ადამიანს“ იგი ბრმა ჭიმბაძველობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებად კი არ მიიჩნევს არამედ,

[1] „ივერია“, 1884 წ., № 5—6, გვ. 117.
[2] იქვე, გვ. 121.

სრულიად ორიგინალურ მოთხრობად. „ჩვენ „კაცია-ადამიანს“ წერს, იგი—ნიადაგ ქართული აქვს... იქ სურათებიც ქართულია, ცრუმორწმუნეობაც ქართული, სმაც, ჭამაც,—ერთი სიტყვით სულ ყველაფერი“-ო[1].

* *

1894 წელს ჟურნალ „მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ბუთა თავი ილ. ჭავჭავაძის ეტიუდისა—„უცნაური ამბავი“. ნაწარმოები დამთავრებული არ იყო, მაგრამ ლიტერატურულმა კრიტიკამ მაინც საჭიროდ დაინახა გამოეთქვა თავისი აზრი. სწორედ ამ მიზნით, ამავე წლის „ივერიის“ მეათე ნომერში გამოქვეყნდა სტ. ჭრელაშვილის „საბიბლიოგრაფიო წერილი“. ავტორი მიზნად არ ისახავს ეტიუდის ირგვლივ ერცელი მსჯელობა აწარმოოს, რადგან იგი დაუმთავრებელია, აქიტომ, მხოლოდ ერთგვარ სურვილს გამოთქვამს, რათა „უცნაური ამბავი“ არ იყოს პატარა ეტიუდი, რომელშიაც დახატულია ხოლმე თითო რომელიმე კუთხის საგანი“.

მიუხედავად ზოგადი მსჯელობისა, საყურადღებოა ერთი მოსაზრება, რომელსაც ავტორი ნაწარმოების ირგვლივ ავითარებს. იგი ერთგვარ მსგავსებას პოულობს „ოთარაანთ ქვრივსა“ და „უცნაურ ამბავს“ შორის. სტ. ჭრელაშვილის აზრით ილიამ არჩილის სახით „მხოლოდ გაკერით, მხოლოდ ცალის სიტყვით დაგვანახა ახალი კაცი, ინტელიგენტი... რომელიც ჰსცდილობს ცხოვრების საქმიანობას და ტრიალს აზრი და მიზეზი მოუნახოს, მოუჩხრიკოს და ამის გამო ყოველ მოვლენას ცხოვრებისას ჭლამის გულ-ღვიძლი გაუსინჯოს“[2]. არჩილი რეზონერია, მაგრამ ავტორმა არ დაგვანახა მისი „მოქმედება, მისი გულის პასუხი, მისი წმინდათა-წმინდა, მისი მისწრაფებანი, მისი იდეალები, მისი სულთქმა, ბრძოლა, ერთი სიტყვით, მისი გზა ცხოვრებისა“. რაც შეეხება „უცნაური ამბის“ გმირ სოლომანას, ისიც რეზონერია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „მას უკვე დაჰბჩენვია სიმტკიცე სულისა, ხალისი თავის აზრის განხორციელებისა ცხოვრებაში“. კრიტიკოსი თხოვს მწერალს, რათა მან „უცნაურის ამბით“ დაგვიხატოს ქართველი განათლებული ახალგაზრდა, მისი გულის პასუხი და მისი ჯერ გაუბედავი მოღვაწეობა, რომელიც უეჭველია მალე გაიკვლევს გზას და მედგრად მოქმედებას გამოიჩენს ქართველის ერის ცხოვრებაზედ“.

თუმცა „უცნაური ამბავი“ დამთავრებული არ არის, მაგრამ ის, რაც დაიბეჭდა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ავტორის მიზანდასახულება და ნაწარმოების ხასიათი.

„უცნაური ამბავი“ წმინდა პედაგოგიური ხასიათის ეტიუდია, რომელშიც სოლომანას სახით გამოყვანილია მეტად ფრთხილი, წინდახედუ-

---

[1] „თეატრი“, 1885 წ., № 15, გვ. 143.

[2] „ივერია“, 1894 წ., № 10.

ლი პიროვნება მაძიებელი პედაგოგისა, რომელსაც ღრმა თეორიული პედაგოგიური განათლება აქვს და სურს მისი გამოყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში. მას ღრმად სწამს, რომ „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია". მაგრამ მეტად რთულია ბავშვთან მუშაობა, რადგან „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია თუ ისე ითქმის და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი"[1]

მართალია, არჩილიც მაძიებელია, მისი ძიების სფეროს თავადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხები წარმოადგენენ. სოლომანას ძიების სფერო კი აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთ დამოკიდებულებისა და აღზრდის პროცესის ნორმალურად წარმართვის საკითხებით ისაზღვრება, ამიტომ პარალელის გავლება არჩილსა და სოლომანას შორის, ჩვენი აზრით, უხერხულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია არ იზიარებს არჩილის თეორიას „ჩაეხილი ბიდის" გამთელების შესაძლებლობის შესახებ; ის საღი პედაგოგიური შეხედულებანი კი, რაც „უცნაურ ამბავშია" გამოთქმული, სავსებით ეთანხმებიან ილიას პედაგოგიურ დებულებებს. „უცნაურ ამბავში" ილ. ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როგორც მოწინავე პედაგოგიური თეორიით შეიარაღებული მოაზროვნე. ეს გარემოება მხედველობის გარეშე დარჩა გ. წ ე რ ე თ ე ლ ს ა ც, რომელმაც მაზაკველის ფსევდონიმით, 1894 წლის „კვალის" მეექვსე ნომერში მოათავსა ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი „მოამბის" პირველი ნომრის ირგვლივ. სადაც „უცნაურ ამბავს", სრულიად უსაფუძვლოდ, უარყოფითი შეფასება მისცა. გ. წერეთლის ზემოხსენებული რეცენზია ტენდენციური ხასიათის მატარებელია.

მზადება ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავი იუბილესათვის საკმაოდ ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ 1894 წელს „საქართველოს კალენდარში" გამოქვეყნდა ი-ნი ა მ ე რ ი ს წერილი, რომლითაც ავტორი მიზნად ისახავდა ზოგად ხაზებში წარმოედგინა მკითხველისათვის ის დიდი ღვაწლი, რაც მიუძღოდა ილ. ჭავჭავაძეს ქართველი ერის წინაშე. კრიტიკოსს ილ. ჭავჭავაძე, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია უდიდეს მოვლენად, როგორც ჩვენი ლიტერატურული, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, რომელმაც ქართველი საზოგადოების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მაგრამ „დაიმსახურა იგი არა სიმდიდრით, არა ჩინებითა და აპელატებით

[1] ი ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრ. კრებული, ტ II, 1950 წ., გვ. 480.

ერამედ მარტოდ მარტო სამოქალაქო ძოღვაწეობით და კალმის წვერის ნაწარმოებით"[1].

სამწუხაროდ ი-ნი ამერი ყურადღების გარეშე ტოვებს ისეთ ძნიშვნელოვან ნაწარმოებებს, როგორც პოეტურ, ისე ბელეტრისტულ და პუბლიცისტურ სფეროში, რომლითაც ილიამ იმთავითვე, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ასეთი ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ასახელებს ილიას „გამოცანებს". მისი აზრით „ილია ჭავჭავაძის სახელი „გამოცანების" შემდეგ დაჰკერდა პირზედ ჩვენს საზოგადოებას, და აბა სწორედ აქედან დაიწყო ისეთი ხანა. როდესაც ქვეყანამ მიჰმართა თავისი ყურადღება ახალგაზრდა პოეტ-მჭადაგებელს და გაფაციცებით აცქერდებოდა მის ყოველს ნაბიჯს"[2].

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს შეხედულება სწორი არ არის. მართალია, 70 წლებში ილიას „გამოცანები" დროულად ნასროლ ყუმბარას წარმოადგენდა, რომელმაც ნიღაბი ჩამოხადა ჩინ-მედლოსანთა ფიზიონომიას და ააფორიაქა თვითკმაყოფილების ბურანში მყოფი პრივილეგიური საზოგადოების ერთი ნაწილი, ამ ნაწარმოების უდიდეს მნიშვნელობაზე კრიტიკოსიც მიუთითებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ აქედან არ დაწყებულა „ისეთი ხანა, როდესაც ქვეყანამ მიჰმართა თავისი ყურადღება ახალგაზრდა პოეტ-მჭადაგებელს". ამ დროისათვის ილ. ჭავჭავაძე უკვე იყო ავტორი უაღრესად მნიშვნელოვან პოეტურ, ბელეტრისტულ და პუბლიცისტურ თხზულებათა და იგი უკვე საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც დიდი ნიჭისა და შესაძლებლობის მქონე პოეტი, ბელეტრისტი და უბადლო პუბლიცისტი, როგორც ქართველი ერის წინამძღოლი და მისი ბედის მოჭირნახულე.

ილ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, ი-ნი ამერს მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია. მისი აზრით „უმთავრესი ღირსება ჩვენის პოეტის ლექსისა იმაში მდგომარეობს, რომ რაც გინდ პატარა იყოს ეს ლექსი, იგი დამთავრებულია, მას არა აკლია-რა არც თავში, არც შუა წელში და არც ბოლოში, თანაც ყოველი ნაწილი ლექსისა შეზავებულია ისე, რომ მეტ-ნაკლებობა არ გიმღვრევეთ გულსა"[3].

თუ ძლიერია ილ. ჭავჭავაძე როგორც პოეტი, არანაკლებ ძლიერია იგი, როგორც ბელეტრისტი. „ღირსება პოეტურის ზომიერებისა, უმეტნაკლებობისა და შემოქმედებისა ჩვენს მოღვაწეს ერთიან გადაუტანია. ბრთხრობათა წერაშიც მისი „კაცია-ადამიანი" საუკეთესო ქმნილებად ჩაითვლებოდა თვით ისეთ ლიტერატურაში, როგორიც არის ლიტერატურა ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და რუსეთისა"[4]

---

[1] „საქართველოს კალენდარი". 1894 წ., გვ. 440.
[2] იქვე, გვ. 441.
[3] იქვე, გვ. 442.
[4] იქვე, გვ. 444

ი-ნი.აძერი ყუოადღებას აძასვილებს ილიას პუბლიცისტურ-პოლეძიკურ ნიშზე. რომელიც განსაკუთრებული ღირსების ნემცველია. „ეს ღირსება არის განუსაზღვრელი პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა, ხელშეუხებლობა მისი ადამიანური ღირსებისა“[1]. ავტორი მკითხველს უთითებს ილიას დიდ ორატორულ ნიშზეც და სრულიად მართებულად დაასკვნის, რომ ი. ჭავჭავაძე „თავისი მოღვაწეობით წინაშე სამშობლოს მწერლობისა, არის არა მარტო უწარჩინებულესი პოეტი, მგოსანი ჩვენის საზოგადოებრივ მწუხარებისა თუ სიხარულისა, ჩინებული პელეტრისტი და საუკეთესო პუბლიცისტი, არამედ ყველა ამათთან ერთად იგი არის ერთად ერთი ბურჯი ქართულის ლიტერატურისა მეცხრამეტე საუკუნეში, ბურჯი ჩვენის სამოქალაქო და საზოგადო აზროვნებისა, იგი არის მქადაგებელი უმაღლეს ჰუმანიურ და საკაცთმოყვარეო აზრებისა და იდეალებისა“[2]. და მართლაც ასეთი იყო დიდებული ილია.

* * *

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს ეტიუდებს და იმ კრიტიკულ წერილებს, რომლებშიც მან ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვა მოგვცა. მართალია, კვლევა-ძიების დროს კ. აბაშიძე ფრანგი კრიტიკოსის ბრიუნეტიერის „ევოლუციის მეთოდს“ ეყრდნობოდა, რის გამოც ხშირად არსებითი ხასიათის შეცდომებს უშვებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შეხედულებანი. როგორც სხვა ქართველი მწერლების. ისე ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, დღესაც იმსახურებენ ყურადღებას.

კ. აბაშიძე მართალი იყო, როდესაც შენიშნავდა, რომ „ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად თ. აკ. წერეთელი და სხვანი მათი თანამედროვენი თავიანთი მოქმედებით, ნაწერებით და ცხოვრებით დამასურათებელნი არიან დიადის ეპოქისა ჩვენს ცხოვრებაში... მათი ნაწარმოებნი შეადგენენ ჩვენი ახალი ცხოვრების ისტორიას, რომელიც ბესამოცე წლებში დაიწყო და დღემდისაც მიმდინარეობს.

მათში კი განგებამ და, თუ გნებავთ, ბედმა პირველობა თ. ი. ჭავჭავაძეს არგუნა“[3].

კ. აბაშიძე მართებულად მიუთითებს იმ დიდი დამსახურების შესახებ, რაც ილ. ჭავჭავაძეს მიუძღვის ქართული ლიტერატურის და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე, მაგრამ, ვფიქრობთ სწორი არ არის კრიტიკოსი, როდესაც შენიშნავს, რომ თითქოს ილ. ჭავჭავაძეს „არა ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწერილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივისა და ზნეობრივის დაქვეითებისა და ამ დაცემა-

[1] „ს ქართველოს კალენდარი“, 1894 წ., გვ. 445.
[2] იქვე.
[3] კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, I, გვ. 147.

ლექსთების მისწრებები არ ჰქონია გამოკვლეული[1]. ჩვენი აზრით, ილ. ჭავჭავაძის უდიდესი ღვაწლისახურება იმაშიც დგომარეობს, რომ ის ირ-ველსავე ნაწარმოებებში საკუთარით გარკვეულად ჩანთიალებია მისწრებ-ების უსუსურში. მდგომარეობისა და მისი განკუთვნების გზა და საშუალებ-ებიც დასახა. ილიას „ყვარლის მთებს“, „აჩრდილის“ ადრეული ვარიან-ტები, „კოლა“ და „კაკო“, „მგზავრის წერილები“, „ორიოდე და სხვა, ამის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ.

კ. აბაშიძემ კარგად შენიშნა, რომ ძირითადი საგანი, რომლის ირგვ-ლივაც ტრიალებს ილ. ჭავჭავაძის ფიქრი და გრძნობა, პოეტის ლირიკული შემოქმედება,—ეს არის მისი მრავალტანჯული საყვარელი სამშობლო. „მამული ილიასი—წერს კ. აბაშიძე— ფრიად გარკვეული მცნებაა და არაეითარი ბუნდოვანი და მისტიური არ ახლავს თანა. რამდენადაც შესაძლო იყო იმ დროის ცენზურის პირობებში... და რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა პოეზიის თვისება—ამ ცნებაში გამოხატული იყო მთელი პო-ლიტიკურ-სოციალური მრწამსი სრულიად ნათელი და საკუთარით დამ-თავრებული“[2] და საკვირველი არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, რადგან ილ. ჭავჭავაძე პოეტი და დიდბუნებოვანი არსებაც რომ არ ყოფილიყო, ისეთ დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვა-ვაებასათვის ზურგი შეექცია. ამ კაცმა კარგად იცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა ერს და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს ამის გამო სამ-გლოვიარო ხმა არ გამოეცა?“[3].

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, აღნიშნავს კ. აბაშიძე, დამახასია-თებელი იყო ჩვენი რომანტიკოსებისათვისაც, მაგრამ ილიას დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გრძნობათა გამოხატვაში ჩვენს პოეზიას — ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი ნაბიჯი წაუღიგამს წინ და უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომია. ნიმუშად კრიტი-კოსი იღებს ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბას“, რომელიც თუმცა „საერო-ვნო მწუხარების“ გამომხატველი ნაწარმოებია, მაგრამ მასში არ არის წარმოდგენილი პოეტის აზრი არც აწმყოსა და არც მომავლის შესახებ და მხოლოდ დაკარგული დიდებით გამოწვეულ ვაებას წარმოადგენს.

სამშობლოს ავბედობით გამოწვეული პესიმისტური სულიერი ვან-წყობილება, საკმაოდ იგრძნობა „ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან. მაგრამ პესიმიზმი, კ. აბაშიძის მართებული გაგებით, ორგვარია: „ერთი პესიმიზმი უაზროა, უიდეალო და უნუგეშო, რომელიც დარდობს მხო-ლოდ დაკარგულის გამო და არაფერს ელის არც აწმყოსაგან და არც მომავლისაგან; კიდევ მეტი, არაეითარი იდეალი არა აქვს არც აწმყოში და არც მომავალში; მეორეგვარი პესსიმიზმია ის მხნე პესსიმიზმი, რო-მელიც ხედავს, რომ აწმყო თუ გინდ წარსული სატირალია იმ იდეალ-

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 153.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. LXXXIX. კ. აბაშიძე, „ილ. ჭავ-ჭავაძე“.

[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 156.

თან შედარებით. რომელიც დაუსახავს ცხოვრებაში და რომლის მიღწევასაც სცდილობს"[1].

ილ. ჭავჭავაძე ამ „მეორეგვარის პესსიმიზმის" წარმომადგენელია. მან „მომავალს მიაპყრო იმედებით აღსავსე თვალი და გამამხნეებელი ლექსით შემოსძახა თანამედროვეებს:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

სამშობლოზე ფიქრისა და ზრუნვის გამომხატველ საუკეთესო ნაწარმოებებად მიიჩნევს კ. აბაშიძე პოეტის „აჩრდილს", „ბაზალეთის ტბას", „იანჩარს". „გაზაფხულს", „ელეგიას", და „ქართველის დედას", რომლებშიც ამავე დროს. ძლიერად იგრძნობა უკვეთესი მომავლის მტკიცე რწმენა. „ნაგრამ ყველაზე უწრფელესი. ყველაზედ უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშური—გულუბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა სერიოზული გრძნობით არის აღსავსე თ. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები"[2]. სავსებით სწორია კ. აბაშიძე. როდესაც ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ მხატვნელობას ანიჭებს ილიას შემოქმედებაში, როგორც ეროვნული გრძნობის ყველაზე მკვეთრად გამომხატველ ქმნილებას. ამ ნაწარმოების უდიდეს მნიშვნელობას კ. აბაშიძე იმაშიც ხედავს, რომ „მგზავრის წერილებმა" დაუდო სათავე მოჩხუბარიძისა და რაზიკაშვილების შემოქმედებას.

კ. აბაშიძე არ იზიარებს იმ შეხედულებას. თითქოს „ჩვენი ლიტერატურა მესამოცე წლებისა რუსეთის იმავე დროის ლიტერატურის მიბაძვა იყოს და „როგორც მეთაურს ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი დასწამეს ეს მიმბაძველობა"[3]. საერთოდ. ლიტერატურული მიმბაძველობის საკითხს კ. აბაშიძე განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავს. მართალია მთელ რიგ საკითხებში მას დღეს ჩვენ ვერ დავეთანხმებით. მაგრამ სწორია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ „არც ერთი ხალხი არ სესხულობს აზრს ბრმად მეორისაგან. თუთიყუშივით არ იმეორებს. არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად ასხვავებს. რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით. თუ თანდათანობით არა სდიეთ ამ აზრის შთანაჩენის წვრთნას და აღზრდას. ვერც კი გაიგებთ. საიდან წარმოსდგება იგი აზრი"[4]. ი. ჭავჭავაძემაც განიცადა, როგორც ეკროპული. ასევე რუსული ლიტერატურის გავლენა. მაგრამ იგი ბრმად არ მიჰყოლია მათ. პროგრესულ ევროპულ და რუსულ აზრს, საქართველოს ნიადაგზე გადმოტანილს.

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, I, გვ. 158.
[2] იქვე, გვ. 161.
[3] იქვე, გვ. 167.
[4] იქვე, გვ. 164.

ილია განვითარების თავისებურ გზას აძლევდა და თავისი ერის ინტერესთა შესაბამისად აყალიბებდა.

კ. აბაშიძე ერთგვარ მსგავსებას ხედავს ერთი მხრით საფრანგეთის, ხოლო მეორე მხრით რუსულ და ქართულ ლიტერატურას შორის. „საფრანგეთის ლიტერატურაში—წერს იგი—რეალიზმი დამყარდა და რეალიზმთან თავიანთი პირადის გრძნობების გამოხატვას თავი მიანებეს და „კაცობრიობის ტანჯვის, ერის ვაების" გამოხატვას ცდილობდნენ.

ამ გზას დაადგა რუსული ლიტერატურა და ქართულიც თ. ჭავჭავაძის მეთაურობით"[1]. ქართულ ლიტერატურაში რეალიზმი გ. ერისთავმა დაიწყო თავისი კომედიებით, „ხოლო პოეზიაში რეალიზმის დამამკვიდრებლად გამოვიდნენ ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი".

მართალია, ილია პოეზიაში რეალიზმის ფუძემდებელია, მაგრამ იგი კანონიერი მემკვიდრეა ნ. ბარათაშვილისა და ამდენად რომანტიკოსთა პოეზიის გავლენისაგან არ არის მთლიანად განთავისუფლებული. „ეგრე მახლობელ წინაპარს სრულებით ვერ ჩამოსცილებია და ამიტომაც ძის ნაწარმოებში ხშირად ვხედავთ შერეულს რომანტიზმისა და რეალიზმის ნაწილს, თუმცა, რასაკვირველია, რეალისტი მწერალი უფრო ძლიერია მასში, ვინემ რომანტიკოსი"[2].

უმთავრესი თემა ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა საზოგადოებრივი ხასიათისაა. კ. აბაშიძის აზრით, პოეტი ამ ნაწარმოებებში მეტად მცირე ყურადღებას აქცევს პირად გრძნობათა გამოხატვას, მაგრამ ეს იმით სრულებითაც არ აიხსნება, რომ თითქოს ილიას ლირიკოსი პოეტის ნიჭი აკლდეს, „არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ ი. ჭავჭავაძე არ გვიჩვენებდეს თავის გრძნობებსა და შეხედულებებს სხვადასხვა მოვლენის შესახებ; არა, ი. ჭავჭავაძე პირადის, კერძო გრძნობების გამოხატვას არ კისრულობს: არ გვამცნევს თავის სევდას, უიმედო სიყვარულისაგან გამოწვეულს, ანა-და სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს, ჰიმნს არ მღერის, არ გვიჩვენებს პირადს შიშსა და მშმუნვარებას. სიხარულსა და გინდ გულგრილობას სიკვდილ-სიცოცხლის გამო: არ გვამცნევს რა გავლენა აქვს მასზედ ბუნების ამა თუ იმ სურათს. ბუნების ამა თუ იმ სანახაობას რა კერძო გრძნობები აღუძრავს მასში. თუ სწუხს და სტირის საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამის მიზეზი. თუ იცინის, მწარეა ეს სიცილი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების, ღრმა ნაკლულევანებათ"[3].

მართლაც. ილიამ თავის შემოქმედებაში საკმაო სიმკვეთრით ასახა ის ტკივილები და ნაკლოვანებანი, რომელნიც საზოგადოებრივი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ძნელია გავავლოთ ზღვარი იმ ნაწარმოებთა შორის, რომელნიც საზოგადოებრივი ტკივილების გამომხატველია და იმ

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 167.

[2] იქვე, გვ. 163.

[3] იქვე, გვ. 170.

ნაწარმოებთა შორის, რომელნიც ილიას პირად გრძნობებსა და ტკივილებს გადმოგვცემენ, რადგან პოეტის პირადი გრძნობები და ტკივილები უმეტესად საზოგადოებრივი ხასიათისა იყო. დაღებულ მამულიშვილს ერის წყლული აჩნდა წყლულად, ეწვოდა მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით ედაგვოდა მტკიცე გული და რაც უნდა სუბიექტური განწყობილების გამომხატველი ყოფილიყო მისი სიმღერა, მასში მაინც ძლიერად იგრძნობოდა ერის მძაფრი სულისკვეთება, მღერი აკორდი საზოგადოებრივი ტკივილებით დამძიმებული. ასეთი ხასიათის ნაწარმოებებად მიიჩნევს კ. აბაშიძე „მუშას“, „ნანას“ და „გუთნის დედას“, რომელიც თუმცა „დასევდიანებული პოეტის სევდათა გამომხატველია, გარნა პოეტი ყოველსავე ამაში კიდევ მაინც საზოგადო ხასიათის გრძნობებს გვიხატავს“.

ილ. ჭავჭავაძის პოეზიის თავისებურებას კ. აბაშიძე იმაშიც ხედავს, რომ „სიყვარული, ეს ყველა გრძნობაზედ უფრო კერძო და პირადი, ჩვენმა პოეტმა განაზოგადა, პირადისაგან უპირადო, საზოგადო გრძნობად გარდაქმნა“[1]. სამშობლოს სიყვარული, თავისი ქვეყნისადმი ტრფიალება, ისე ღრმად და ძლიერად არის წარმოდგენილი ილიას შემოქმედებაში, რომ თითქოს იგი თავის მიჯნურს, „მტანჯველ სატრფოს“ ესაუბრებოდეს. ასეთივე ხასიათისაა ილიას მიერ ბუნების მშვენიერების განცდა: „მას არც ბუნების გარეგანი სიმშვენიერე იტაცებს, არც ის გავლენა, რომელიც მას აქვს პოეტზედ ამა თუ იმ განწყობილების დროს: როცა ბუნება ხარობს, როცა „აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები“, სამშობლო აგონდება და სევდიანად ეკითხება: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო?“ როცა ბუნებასა სძინავს, „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა, მას კიდევ აქაც თავისი ქვეყნის „ტანჯვით ამოძახილი კვნესა“ ესმის, კიდევ თავისი ქვეყნის ძილი აწუხებს“[2].

კ. აბაშიძე მართებულად მიუთითებს, რომ ილია სწორედ იქ არის ძლიერი და შეუდარებელი, სადაც თავის ერთადერთ სატრფოს, თავის სამშობლოს დასტრიალებს თავს, ეალერსება და ერის ტკივილების მოშუშებას ცდილობს, ერის მახინჯ მხარეებს ამხელს. ილიას შესწევს უნარი ისტორიული სიზუსტით და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოსცეს თავისი ხალხის, როგორც წარსული, ისე აწმყო მდგომარეობა. ამის საუკეთესო მაგალითს „რა ვაქეთოთ, რას ვშვრებოდით“ და „ბედნიერი ერი“ წარმოადგენს. „ეს რამდენიმე სტრიქონი ყოველ ჩვენს ისტორიულ მონოგრაფიაზედ უმაღლესია და უძლიერესი. ამ ხანას ჩვენი ცხოვრებისას ილ. ჭავჭავაძემ ისეთი განსჯა მიაყენა, ისეთის შავის ფერადებით დახატა და ისე მძლავრად შეგვაზიზღა ჩვენი მოქმედება ამ პატარა ლექსით, რომ სხვანაირის აზრის გამომთქმელს წინდაწინვე შეუძ-

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 173.

[2] იქვე, გვ. 174.

ლია, დარწმუნებული იყოს, სხვა გვცარ შესედულებას ამ ხანის შესახებ ჩვენ შორის გასავალი აღარ ექმნება"[1].

კ. აბაშიძე სწორად შენიშნავს, რომ პოეზიაში „რა ვაკეთოთ, რას ეშვრებოდით" და „ბედნიერი ერი", ხოლო პროზაში „კაცია ადამიანი" სატირის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. ილიას სატირის ცხოველმყოფელობა კი იმაში გამოიხატება, რომ იგი საზოგადო ხასიათისაა. მთელი ერის ნაკლოვან მხარეებს ეხება და არა რომელიმე კერძო მოვლენას ან საზოგადოების ცალკეულ ჯგუფს.

კ. აბაშიძე გაკვრით შეეხო ილიას „კაკო უაჩაღსაც". კრიტიკოსმა კარგად შეამჩნია, რომ „კაკო უაჩაღი" „მხატვრული ილუსტრაციაა ამ ცოტა არ იყოს რიტორიკული ლირიკისა", რაც „აჩრდილის" XII თავშია მოცემული. პოემაში კარგად არის წარმოდგენილი იმ პირობათა ანალიზი, რამაც კაკო და ზაქრო გაუაჩაღებამდე მიიყვანა. კრიტიკოსი არ იზიარებს იმ აზრს, რომლის მიხედვითაც კაკო, ზაქრო და გაბრო რევოლუციონერებად არიან აღიარებულნი. მისი აზრით ამ გმირებს „არც თავიანთი უბედურების მიზეზი აქვთ ღრმად შეგნებული და გამორკვეული, არც არავითარი შემუშავებული პლანი საზოგადოების იარების განსაკურნებლად. დღეს დღეობით იგინი აჯანყებულნი არიან, „ბუნტოვშჩიკები", პირად მიზეზთა გამო „უაჩაღად" ქცეულნი. იგინი თავის კერძო უბედურობის გამო არიან აღშფოთებულნი და გაბრაზებულნი და ამის გამო იძულებულნი ხდებიან საზოგადოებასაც გაეჭცნენ და ზურგი შეაქციონ"[2]. კ. აბაშიძის ეს შეხედულება საჭესებით მართებულია.

საინტერესოა ის მოსაზრებანი, რომელნიც კ. აბაშიძემ ილ. ჭავჭავაძის პროზაულ ნაწარმოებთა შესახებ გამოთქვა. ეხება რა „გლახის ნაამბობს" კ. აბაშიძე სწორად მიუთითებს, რომ „ამ მოთხრობას აზრადა აქვს იმ დროის წესწყობილების კრიტიკა. ხოლო თანაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დღესაც დიდ საინტერესო მოთხრობადა ჩდება"[3].

ნაწარმოების მოქმედ პირებიდან კ. აბაშიძე განსაკუთრებით გაბრიელის, მღვდლის და დათიკოს სახეებზე ჩერდება. მისი აზრით გაბრიელი არ არის ცოცხალი ტიპი, რომელიც ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან იყოს აღებული. „გაბრო უფრო უმაღლესის სასწავლებლიდან გამოსულ ახალგაზრდასა ჰგავს. მეტის-მეტი ფაქიზის ნერვებისა და გრძნობის მქონეს, ვინემ იმ დროის გაუთლელს. მოუხეშავსა, და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს გლეხის შვილს"[4].

კ. აბაშიძის ამ თვალსაზრისის მთლიანად გაზიარება შეუძლებელია. ის თვისებანი, რაც გაბრიელს ახასიათებს: პატიოსნება, ალალ-მართლობა, შრომის მოყვარეობა, ჰუმანურობა, ტიპიური იყო ქართველი გლეხისათ-

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 175.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1914 წ., გვ. XCVII. კ. აბაშიძე, „ილ. ჭავჭავაძე".

[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 227.

[4] იქვე, გვ. 223.

ეის. მართალია, გაბრიელში იყო ზოგი რამ ისეთი, რაც არ იყო საერთოდ გავრცელებული. მასიური, არამედ—თითქოს რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ სიმპტომი მზარდი ახლისა, რომელიც შემდეგ გახდებოდა საერთოდ გავრცელებული. ტიპიური ხომ შეიძლება იყოს ჯერ კიდევ დაუდგენელი ხასიათები და მოვლენები, რომელნიც მზარდი ძალის მქონენი არიან. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ გაბრიელის პიროვნებას, მაშინ მასში ბევრი აღარაფერი დარჩება ისეთი, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ტიპიურ მოვლენად. რა თქმა უნდა, ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ილიას ამ ტიპის შექმნის დროს არ შეეტანოს რომანტიკული ელემენტები. ავტორისეული რომანტიკული ელემენტები გაბრიელის პიროვნებაში ნამდვილად მოიპოვება, მაგრამ იგი მაინც ტიპიური სახეა ქართველი გლეხისა.

რაც შეეხება მღვდელს, რომელიც აგრეთვე მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია, კ. აბაშიძის აზრით, არც ის არის რეალური ტიპი, მაგრამ „მომხიბვლელობა ამ მადლით მოსილის, კეთილის მწყემსისა, მაინც იმდენად დიდია, რომ ჩვენს ლიტერატურაში მისაბაძავ საგნად შეიქმნა („მოძღვარი“ ყაზბეგისა)“[1].

მღვდელი მართლაც არ არის რეალური ტიპი, იგი რომანტიკული სახეა. რომელიც გვიხატავს ავტორის მიერ წარმოდგენილი იდეალური ადამიანის თვისებებს. ასეთივეა ყაზბეგის მოძღვარიც, რომლის შესახებაც ავტორი წერდა: „ამასთანავე იქონიეთ მხედველობაში. რომ ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურ მოძღვარს, ისეთ მოძღვარს, რომელიც წირვა-ლოცვის დროს მლოცველს ხელში კი არ შეჰყურებს და უმაღლესის მოვალეობის აღსრულების დროს დახლზედ არ ფიქრობს. ჩემი „მოძღვარი“ ხალხისა და ქვეყნისათვის თავ-განწირულია, ის აღზრდილია უმაღლეს კანონთა—სახარების გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იქამდის ტენდენციური არის, რომ თვით ჩემი მოძღვარიც თუ არ იდეალურს, ტენდენციურ ქმნილებად, სხვა გვარად ვერ გამოიხატებოდა“[2].

ძლიერი ნიჭი რეალისტი მწერლისა, კ. აბაშიძის მართებული შენიშვნით, გამოვლინდა დათიკოს ტიპის შექმნაში. „სიძლიერე ამ ტიპისა ისეთ დიდ-მნიშვნელოვნად ქმნის ამ თხზულებას, რომ 50-ის წლის განმავლობაში, თუ კი დაწერილა ჩვენში რაიმე თვალ-საჩინო მოთხრობა, ყველაზე ძლიერი ჰქონია“[3]. კ. აბაშიძე სწორად მიუთითებს, რომ დათიკოს გამეორებას წარმოადგენენ გ. წერეთლის იერემია წარბა, მელანიას „ბნელოს“ ყნიაზი შაჭრო, ე. ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე და ტიტიკო დროიძე.

საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვა კ. აბაშიძემ „კაცია-ადამიანის“ შესახებაც. მისი აზრით „თუ „დონ-კიხოტი“ რაინდობის ისტორიული ეპოპეიაა, „კაცია-ადამიანი“ ბატონ-ყმობის ნიადაგზე აღმოცენებულის

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 223.
[2] „კავკასიონი“, 1924 წ., № 1—2, გვ. 18.
[3] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 225.

ფეოდალიზმის იგივე სატირული ეპოპეაა, იმ განსხვავებით კი, რომ „დონ-კიხოტი“ რაიმე თავბრუ დამხვევ იდეალს მაინც მისდევდა და ამაში ადამიანი იყო, ლუარსაბი და დარეჯანი კი თავის დღეში მათი ტახტისა და სუფრის იქით არას ხედავდნენ და ამით პირუტყვზედ არაფითარი უპირატესობა არა ჰქონდათ“[1].

კ. აბაშიძის ეს შეხედულება უდავოდ მართებულია, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსს, როდესაც იგი ფიქრობს, თითქოს „ლუარსაბი და დარეჯანი მარტო ბატონ-ყმობის დროის ქართველების დამახასიათებელნი კი არ არიან, საზოგადოთ. ქართველების თვისებების ნამდვილი და უტყუარი სურათებია: სიზარმაცე ფიზიკური და გონებრივი, სიბინძურე და დაუდევრობა, შურიანობა, რომელიც ხდება ცხოვრების ერთად ერთ საგნად „ამ კაცთა ადამიანობის შემარცხვენელ ვაჟბატონებისა,—ეს თვისებანი ქართველის ერის ხასიათის უაღრეს ნაკლოვანებათაგანს ეკუთვნის“[2]. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში კ. აბაშიძე უდავოდ ცდება. ის თვისებანი, რომელთა შესახებაც კრიტიკოსი მიუთითებს, დამახასიათებელი რომ ყოფილიყო საერთოდ ქართველი ერისათვის, იგი დიდი ხნის წინათ იქნებოდა აღგვილი მიწის პირიდან. ისე როგორც აღიგავნენ ამ თვისებათა მატარებელი ლუარსაბი და დარეჯანი. ქართველი ერის დამახასიათებელ თვისებებს ყოველთვის წარმოადგენდა ბრძოლის უნარიანობა, ჰირსა შიგან გამაგრება-შრომის მოყვარეობა, ამტანიანობა და გამტანიანობა. რითაც ამ გონიერმა ერმა მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა კაცობრიობის ისტორიაში.

კ. აბაშიძე კატეგორიულად უარყოფს იმ აზრს, თითქოს ილიას „კაცია-ადამიანი“ გოგოლის „ძველი დროის მემამულეების“ მიბაძვა იყოს“[3]. კ. აბაშიძე მიუთითებს იმ ზოგიერთ მსგავსებაზე რაც არსებობს ი. ჭავჭავაძისა და გოგოლის ნაწარმოებთა შორის. მაგრამ ამ გარემოებას იგი წამბაძველობით არა ხსნის. და მართლაც, „ეს მსგავსება აიხსნება არა წაბაძვით. არამედ ცხოვრებისადმი გოგოლისებური რეალისტური მიდგომით. ჭავჭავაძემ თავისი გმირები ცხადია, ქართული სინამდვილიდან აიღო და ქართული სული ჩაუდგა. ი. ჭავჭავაძის ლუარსაბი და დარეჯანი. გოგოლის ივან ივანოვიჩისა და პულხერია ივანოვნასაგან განსხვავებით, ბოროტნი, გესლიანნი, შურით აღსავსე უსინდისო. გულღვარძლიანნი და, ამავე დროს, საზიზღარნი და გულშემზარავნი არიანნ[4], მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობდეს ერთგვარი ნათესაობა ილიას მხატვრულ სახეებსა და გოგოლის ტიპებს შორის. ამ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XCVII. კ. აბაშიძე, ი. ჭავჭავაძე“.

[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 228.

[3] ამ საკითხს საკმაოდ ვრცლად შეეხო სილ. ხუნდაძეც, ნაშრომში „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები“, VI, 1919 წ.

[4] ვ. შადური, გ. ტალიაშვილი, „ნ. ვ. გოგოლი“, 1952 წ., გვ. 203.

ნაკლებობაზე ილ. ჭავჭავაძე თვით მიუთითებს. „ყოველმა თქვენგანმა იცის წერს ილია—როგორ ლხინობენ კახეთში. მაგრამ ყოველმა თქვენგანმა არ იცოდა, რომ ზუმბერიძე, გაცელაძე. ტრახაძე და სხვანი და სხვანი არიან აქა. ჩვენსა გვყვანან ქართველი პობჰინსკები და დობჩინსკები. ჩიჩიკოველები. საბაკევიჩები და სხვანი. მაგრამ ამათ სუყველას ჭართველის სუნი უდის. იქნება ოდესმე სულ დაწვრილებით აგიწეროთ შინაური და გარეული ჩვენის ბრწყინვალე თავადებისა" (მოთს. „კაკო").

დიდმა რეალისტმა მშვენივრად შეძლო ამ ამოცანის შესრულება. მსგავსება ილიას „კაცია-ადამიანსა" და გოგოლის „ძველი ღროის მეშამფლებს" შორის მართლაც არსებობს. რაც გამოწვეულია თემის ერთობლიობით. მაგრამ წაბაძვას არავითარ შემთხვევაში არა აქვს ადგილი. ამ გარემოებას კ. აბაშიძის ერთ-ერთი მახვილი შენიშვნაც ადასტურებს: „მაშინ, როდესაც... გოგოლი იარაღადა ხმარობს სენტიმენტალურს იუმორს. სიბრალულის აღმძვრელ დაცინვას. წერს დიკენსის კილოთი, თ ილია ჭავჭავაძე მკაცრსა და სასტიკს სატირას მიჰმართავს. სატირას მოღიერისა და ყოლერისას. სატირას, რომელიც დაუნდობლადა პკიცხავს და მიწასთან სწორებს ყოველს, რომელსაც დაუმახინჯებია და შეურცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა"[1].

„კაცია-ადამიანის" უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უაღრესად ფართო სიუჟეტის მქონე „საეროვნო მოთხრობაა", ჩვენი ცხოვრების ნაკლოვან მხარეთა და უარყოფით ზნე-ჩვეულებათა გამომხატველი.

ასეთია ზოგად ხაზებში კ. აბაშიძის შეხედულებანი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. ამ შეხედულებებიდან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა.

1892 წელს ქართველთა ამხანაგობამ გამოსცა ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხი ტომი. პირველ ტომში შევიდა ილ. ჭავჭავაძის ლექსები, როგორც ორიგინალური. ასევე თარგმანებიც. ამ ტომს ვრცელი რეცენზია უძღვნა სილოვანუნდაძემ. 1894 წელს ჟურნალ „კვალში" მან დაბეჭდა სამი ფელეტონი, რომელშიც განიხილა 1857 და 1858 წ. წ. დაწერილი და ნათარგმნი ლექსები. ს. ხუნდაძეს იმავე 1894 წელს მეოთხე ფელეტონიც გაუგზავნია „კვალის" რედაქციისათვის, რომელშიაც ავტორი 1859 წელს დაწერილ ნაწარმოებებს იხილავდა, მაგრამ „კვალის" რედაქ-

ე. ფელეტონი აღარ გამოუქვეყნებია. ამ წერილის გამოქვეყნებ სილ. ხუნდაძემ მხოლოდ 1901 წელს შეძლო ქუთაისში გამოცემულ წიგნაკში „ჩემი აზრი და ფიქრები".

ამ ვრცელ რეცენზიაში რამდენიმე შენიშვნაა, რომელიც ნაწარმოებთა შინაარსობლივ მხარეს ეხება. შენიშვნების დიდი უმრავლესობა კი ენობ-

---

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები, I, გვ. 123.

პიურ-სტილისტური ხასიათისაა. ამ შენიშვნების ერთი რიგი უდავოდ ყურადღებოა და როგორც ჩანს ილიას ზოგი მათგანი გაუთვალისწინებია კიდეც, მაგრამ შენიშვნების მეორე რიგი, როგორც ილ. ჭავჭავაძისა, ისე ქართველ მკითხველი საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, მით უფრო, რომ მათი ერთი ნაწილი უდავოდ ტენდენციური ხასიათის მატარებელი გახლდათ.

საკმაოდ საინტერესო შეხედულებანი განავითარა სილ. ხუნდაძემ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს მეექვსე ნაკვეთში, რომელიც მთლიანად ილია ჭავჭავაძეს დაუთმო. აქ თითქმის აღარ იგრძნობა ის ტენდენციურობა და ზედაპირულობა, რაც 1894 წელს დაწერილი რეცენზიისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ნაშრომში სილ. ხუნდაძე მოჩანს, როგორც საკმაოდ სერიოზული და ლიტერატურულ ნაწარმოებთა საფუძვლიანად განმქიქებელი.

იხილავს რა ილ. ჭავჭავაძის ცალკეულ ნაწარმოებებს, მის სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ს. ხუნდაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუმცა „მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთა შორის ნიჭიერებით პირველი ადგილი ნ. ბარათაშვილს უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ თუ ყოველმხარე მხარეს მივიღებთ მხედველობაში, ე. ი. როგორც სამწერლო ასპარეზზე, ისე საზოგადო ასპარეზზედაც ხანგრძლივ მოღვაწეობას და ამ მოღვაწეობის შინაარსის სისრულეს; მაშინ პირველი ადგილი უცილოთ ილია ჭავჭავაძეს უნდა ვაკუთვნოთ"[1]. ილია თავისი ნიჭითა და შემოქმედებით ყველაზედ ახლო დგას რუსთაველთან.

სილ. ხუნდაძე ხაზგასმით მიუთითებს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების მრავალფეროვანებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პატრიოტული და სოციალური ხასიათის ნაწარმოებებზე და წერილებზე და აღნიშნავს, რომ „ილიას იდეალი იყო წოდებათა შორის სოლიდარობა, თანხმობა, მაგრამ ისე, რომ თავადი თავადათ დარჩენილიყო, აზნაური—აზნაურათ და გლეხი—გლეხათ; იგი ხედავდა, რომ „შრომა აწ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა, და შენატრის იმ დროს, როდესაც მოვა „შრომის სუფევა", შრომის განთავისუფლება,— იმ დროს, როცა შესაძლებელი იქნება „ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი". მაგრამ, სამწუხაროთ, ილია ვერ დარწმუნდა იმაში, რომ „შრომის სუფევის", ადამიანთა შორის კეთილშობილური ურთიერთობის განმტკიცებისათვის მარტო პლატონური სურვილი და გრძნობა არ კმარა, არამედ ეკონომიური თანასწორობის საფუძვლებია საჭირო"[2].

სილ. ხუნდაძე სწორად შენიშნავს, რომ რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში ილ. ჭავჭავაძემდე იჩინა თავი, კერძოდ გ. ერისთავის კომედიებ-

---

[1] სილ. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, VI გვ. 56.
[2] იქვე, გვ. 70.

მაგრამ რეალიზმის მამამთავრად ს. ხუსდაძე მაინც ილ. ჭავჭავაძეს მიიჩნევს, რადგან „ეს მიმართულება მან განამტკიცა მრავალი სახელოვანი ნაწარმოებებით“. ცხადია ამ შემთხვევაში, სილ. ხუნდაძე არ არის მართალი. ილ. ჭავჭავაძემ უდავოდ განამტკიცა რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ რეალიზმის მამამთავრად მაინც გ. ერისთავი ითვლება. ამის შესახებ ილიაც მიუთითებდა „წერილებში მე-19-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, როცა გ. ერისთავის ღვაწლის შესახებ ლაპარაკობდა.

ილ. ჭავჭავაძის რეალიზმის თავისებურებას სილ. ხუნდაძე იმაში ხედავს, რომ „როგორც ნ. ბარათაშვილი რომანტიზმში არა პირადი გრძნობების, არამედ უმთავრესათ საზოგადოებრივის, მსოფლიო გრძნობებისა და აზრის მომღერალია, ისე ილია რეალიზმში არა კერძო შემთხვევებისა და მოვლენების, არამედ საზოგადოებრივი მიმართულებისა და ცხოვრების მხატვარია. ამიტომაც მის მიერ დახატული გმირები ზოგადი ტიპები არიან, მატარებელნი საერთო ცხოვრების მხარეებისა და არა პორტრეტები-კერძო პიროვნებათა გამოხატულებანი“[1].

სილ. ხუნდაძე ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში რომანტიზმის საკმაოდ ღრმა კვალს ამჩნევს, იგი მიუთითებს აგრეთვე პესიმისტურად განწყობილ ნაწარმოებებზედ, მაგრამ აქვე სავსებით სწორად შენიშნავს, რომ „ილიას პესიმიზმი საღი, იმედიანი პესიმიზმია—და ამიტომაც ჩვენი პოეტის ოცნების თვალსა და გონებას მომავალში ყოველთვის იმედი ევლინება ხან მოხუცის—აჩრდილის, ხან ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების—კაკოს, ზაქროს, გაბროს და სხვების სახით“[2].

ილ. ჭავჭავაძის. როგორც მწერლის უდიდეს ღირებულებას სილ. ხუნდაძე მის განსხვავებულ სტილში ხედავს. საერთოდ, მისი აზრით, ჭართველ მწერალმგოსანთა შორის განსაკუთრებით ილიას და აკაკის სტილია ცნობილი. ილიას ენა—სტილი მძიმეა, როგორც ქვა, მაგარი, როგორც ტინი, გამგმირავი როგორც ტყვია; აკაკის სტილი მსუბუქია, როგორც ღრუბელი, რხეულია, როგორც მინა, სრიალაა, როგორც ისარი. პირველის სტილი მედგრად არღვევს გულსა და გონებას და მტკიცეთ ნერგავს შიგ თავის გრძნობებს და აზრებს, მეორის სტილი ტკბილათ უქროლავს და უალერსებს სმენას და ოცნებას; ერთი სამხედრო გემსა გავს, რომელიც უშიშრათ არღვევს მშფოთვარ ტალღებს, მეორე გასართობათ სატარებელ ნავს, რომელიც ტალღებს შორის სუბუქათ დასრიალობს, პირდაპირ მათ დაჯახებას ერიდება, ეშმაკურათ მიმოცურავს, მძვინვარე ზვირთებს,—ისიც იშვიათად—ოდნავ გვერდს აფხანს“[3]. ეს შეფასება სავსებით მართალია.

სილ. ხუნდაძე მეტად მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ილიას გამგმირავ სატირას, მის იუმორსა და სარკაზმს, რომელიც „სპობს ქართველ

---

[1] სილ. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. VI, გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 73.

[3] იქვე, გვ. 74.

ერის მოძულეთ—მახლობელსა და შორებელ მტრებს, კაცივამია ადამიანებს".

იღ. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის უდიდეს ღირსებად სილ. ხუნდაძე ამ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ „ილიას პოეტური შემოქმედება განსაკუთრებით გრძნობიერობითაა წარმტაცი, გრძნობის ამშლელი მოულოდნელობითა და კოლიზიებით. ამ მხრით ილია ვიკტორ ჰიუგოს ნიჭს მოგვაგონებს"[1].

ჩვენ მეტად ზოგადად გადმოვეცით ის ძირითადი შეხედულებანი, რომელნიც სილ. ხუნდაძემ განავითარა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ. ამ შეხედულებათა ერთ ნაწილს დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

*
* *

1897 წელს სრულდებოდა იღ. ჭავჭავაძის დაბადების 60 და საშწერლო მოღვაწეობის 40 წლის თავი. ქართველ მოწინავე ინტელიგენციას გადაწყვეტილი ჰქონდა 1898 წლის 24 მაისს დიდი ზეიმით აღენიშნა უანგარო მოღვაწის სახელოვანი იუბილე. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ საპიროდ არ სცნო ამ თარიღის აღნიშვნა და იუბილე ჩაიშალა.

იუბილესათვის მზადების პერიოდში ჩვენს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი და საინფორმაციო ხასიათის ცნობა. ცალკე ბროშურებად დაისტამბა ზ. ჭიჭინაძის, ნადიკვრელის და მ. ნასიძის (მეგობლავარ) პოპულარული ნარკვევები იღ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მ. ნასიძის მიერ შედგენილ ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ეტიუდზე: „თ. ილია ჭავჭავაძე".

წინასიტყვაობისა და ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემის შემდეგ ნაშრომის II თავში, მ. ნასიძე იხილავს ქართველობისა და ქართული ლიტერატურის მდგომარეობას იღ. ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე. თვალსაზრისი, რომლითაც კრიტიკოსი უდგება ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვას. სავსებით სწორია, მ. ნასიძის მართებული გაგებით „ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები უნდა დაფასდეს შედარებით და შეფარდებით იმ დროისა და ჟამისა, როდესაც იგი დაწერილია"[2]. კრიტიკოსიც, ზოგად ხაზებში, სწორედ ამ თვალსაზრისით იხილავს, ილიამდელ ქართულ მწერლობას, განსაკუთრებით კი ჟურნალ „ცისკარს" და ძირითადად სწორ დასკვნამდე მიდის.

ნაშრომის მესამე თავი ეხება იღ. ჭავჭავაძის სალიტერატურო ასპა-

---

[1] სილ. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, VI, გვ. 77.

[2] მ. ნასიძე, თ. ი. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, 1898 წ. გვ. 7.

ებაზე გამოსვლაა და მის პირველ პოლემიკას ძველი თაობის წარმომად-ენლებთან.

ილ. ჭავჭავაძის პირველ პოლემიკურ წერილებს „ორიოდე სიტყვას"... და „პასუხს" მ. ნასიძე მეტად მაღალ შეფასებას აძლევს. მათ ერთ-ერთ ღირსებად კრიტიკოსი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ მასში „ახალგაზრდა ავტორის გული და სული იყო ჩადებული... მთელს ქართულს ლიტერატურაში ჩვენ სხვა წერილი არ გვეგულება, რომელიც იყოს დაწერილი ისეთის აღტაცებულის გრძნობით, როგორიც ის".

ილ. ჭავჭავაძის ამ წერილების უდიდეს მნიშვნელობას მ. ნასიძე იმაშიც ხედავდა, რომ მათი საშუალებით „ილია ჭავჭავაძემ ყველა გამოსჭრა ჩვენს სქოლასტიკურს და ცრუ-კლასიკურს პიიტიკოსებს; პოეზიას უჩვენა ახალი გზა და ახალი საგნები შინაარსისათვის, ახალი პოეზიის ნიმუშებიც თვითონვე მისცა ქართველობას. ლიტერატურის ისტორიაში ბევრს ვერ ნახავთ ასეთს გამარჯვებას ახალგაზრდა ავტორისას"[1]

მ. ნასიძე სწორად შენიშნავს, რომ ლექსში „პოეტი" მოცემულია ჭავჭავაძის სამოღვაწეო პროგრამა. რომელსაც განუხრელად ანხორციელებს პოეტი მთელი ორმოცი წლის მანძილზე. „რაგვარის მიმართულებისაც უნდა იყოს თ. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა,—წერს მ. ნასიძე,—იგი არ შეცვლილა ამ ორმოცის წლის განმავლობაში. სახელმძღვანელო მისი დედა-აზრები დღეს იგივე არიან რაც ამ ორმოცის წლის წინედ. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას დიდ-ბუნებოვანების აღსანიშნავად.

იმიტომ-კი არა სდგას იმავე მიმართულებაზედ, რომ ჯიუტობს, ანუ არ იცის, რაფერ იცვალონ ფილოსოფიური აზრები ამ უკანასკნელ დროში; არა, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტობის დროსვე შედგენილი თავისი პროგრამმა მოღვაწეობისა დღემდის მიაჩნია ერთად-ერთ სწორე გზად პროგრესისა. მისს მახვილს და დიდათ განათლებულს გონებას ეუცხოვება—რა დღეს ევროპის ახალს თუ ძველს აზრებში, გარნა, ვიმეორებთ, არ ბღალატობს თავისს ბაირაღს. ვინაიდან დარწმუნებულია, რომ სამართლიან გზაზედ დგას". ილია, როგორც პოეტი და როგორც პუბლიცისტი, თანაბარი ძალით იბრძვის ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. ქართველი ახალგაზრდობისათვის ილია ყოველდღე ნიმუშია დიდებული მოღვაწისა.

მ. ნასიძე ეხება ილ. ჭავჭავაძეს, როგორც პოეტს. იგი არ იზიარებს იმ კრიტიკოსთა შეხედულებას, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ „ილიას ლექსი ძნიმეა, ნაკეთებია, ძნელად იკითხებაო და სხვა..." რა თქმა უნდა, ეს შეხედულება სწორი არ არის. მაგრამ მ. ნასიძე ვერ ახერხებს საფუძვლიანად დაარჰყოს იგი და იჭვმიუტანელი საბუთებით დაუმტკიცოს მკითხველს ამ შეხედულების მცდარობა. ზემოხსენებული მცდარი დებულების გასაბათი-

---

[1] მ. ნასიძე, თ. ი. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, 1898 წ., გვ. 23. იქვე, გვ. 27.

ლებელი უყელასად ძლიერი საბუთი მ. ნასიძის აზრით ის არის, რომ „ჭაბ ჭავაძემ თავის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი ხანა უმთავრესად პოეზიას შესწირა. სახელი და დიდება ჩვენში ჭავჭავაძემ პოეზიით მოიპოვა. მაშასადამე, უმრავლესობა „საშუალო კაცებისა“ აღტაცებული იყო მისის ლექსებითა და მოთხრობებით... და მაშასადამე იგი ლექსები-მოთხრობები არიან უმაღლესად პოეტურნი, მშვენიერნი, თუნდა რომ სოციალ коллизия არ იყოს“.

მ. ნასიძე ერთმანეთს ადარებს ილ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ გრ. ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე „უფრო ჩაითვლებიან მსახურებად წმინდა ხელოვნებისა“. „დღიური ვარამი“ და საშოქალაქო პოტივები ნაკლებად იქცევენ მათს ყურადღებასო“. რაც შეეხება ნ. ბარათაშვილს, ბარათალია, იგი დიდი პოეტია, მაგრამ ცალმხრივობა ეტყობა, რადგან მისი მუზა სულ ტირის და კვნესის და ცხიარულება არ იცის, თუმცა ღრმად სწვდება ადამიანის გულს. „ილ. ჭავჭავაძის მუზა,—შენიშნავს მ. ნასიძე—ისე ღრმად ვერ ჩაცრინდება კაცის გულში, როგორც ბარათაშვილისა; ნაცვლად ამისა განიერ გზას გაიტანს. ერთი თუ სიღრმით დაჰკრავს, მეორე სიგანით, ფრთა-გაშლილობით. ნ. ბარათაშვილის მუზა დაგწვავთ, ჯვარს გაცმევთ და დაგტოვებთ ისე. ილ. ჭავჭავაძის მუზას ხან თუ პესიმიზმი შეიპყრობს, ხან ოპტიმიზმიც ესტუმრება ხოლმე. ტემების სიმრავლით და მრავალფეროვნებით ილია ჭავჭავაძე მაღლა დგას ბარათაშვილზედ“[1].

მ. ნასიძე პარალელს ავლებს ილიასა და აკაკის შემოქმედებას შორის და საინტერესო მსჯელობას აწარმოებს. მოვიტანთ ამ ადგილს მთლიანად: „მუზა აკაკი წერეთლისა იბრძვის ერის კეთილდღეობისათვის. იბრძვის როგორც მხედარი, შეიარაღებული ნამდვილის იარაღით, თოფ-ხმალით; მუზა ჭავჭავაძისა იარაღად ხმარობს ჰუმანიზმს, სიყვარულს. საქართველოს წარსულში აკაკის მუზა ეძებს ჩვენს გამარჯვებას, გმირობას თოფ-იარაღით, ვეჟკაცობით („თორნიკე ერისთავი“). ილიას მუზა შლის, ატრიალებს ჩვენს ბატიანეს და ჰპოვებს ისეთს მაგალითებს გმირობისას, სადაც ხმალს პირველობა სულისთვის გადაუცია. დიმიტრი თავდადებულიც გმირია, როგორც თორნიკე ერისთავი, მხოლოდ ერთია გმირი სულისა, მეორე ხორცისა. ერთის წინაშე მუხლს ვიდრეკთ იმიტომ, რომ მან გვაჩვენა მაგალითი სულის ვაჟკაცობისა, მეორემ გულისა და მკლავისა. ილიას მუზას სძაგს იარაღი, სისხლის ღვრა, შფოთი. მისი საგანია ჰუმანიზმი, თაყვადება, თავის შეწირვა მოყვასისადმი, სიყვარული, განსპეტაკება ადამიანისა სულიერად. აი იდეალი ჭავჭავაძის მუზისა:

---

[1] მ. ნასიძე, თ. ი. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, 1898 წ., გვ. 37.

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

რა გზით და რა საშუალებით? ამის პასუხსაც იძლევა:

აქ არის დედავ შენი მაღალი
დანიშნულება და წმინდა ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას.

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...

დედავ ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარიტება
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

ილიას მუზა ცდილობს ყველგან ჰარმონია და სიყვარული შეიტანოს: ერთა შორის, წოდებათა შორის. იგი ყველგან და ყოველთვის უპირველესად ეძებს „კაცს“, რომელსაც არ ეუკადრისება „ადამიანის“ სახელის ტარება. კაცური კაცობა, ადამიანობა უპირველესად — ეს იმისი იდეალი“[1].

ამონაწერი ცოტა გაგვიგრძელდა. მაგრამ იგი ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, როგორც გონივრული დაკვირვების ნიმუში. ჩვენ მხოლოდ შევნიშნავდით, რომ მართალია, ილიას შემოქმედებას უდავოდ ახასიათებს ღრმა ჰუმანიზმი, იგი ცდილობს ჰარმონია და სიყვარული შეიტანოს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, მაგრამ არ არის თოფიანაღი ხმარების წინააღმდეგი, იმ შემთხვევაში როდესაც სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მ. ნასიძე შეეხო ილ. ჭავჭავაძეს როგორც ბელეტრისტსაც. ვფიქრობთ არ უნდა აჭარბებდეს კრიტიკოსი, როდესაც ილიას მიიჩნევს მამად ბელეტრისტული რეალური სკოლისა. სავსებით სწორი იყო მ. ნასიძე, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ილ. ჭავჭავაძემ პირველმა გაუკეთა ჩვენში სახელი და მისცა მნიშვნელობა პროზას. პირველმა დაუმტკიცა ქართველობას, რომ პოეზია და ხელოვნება მარტო ლექსით არ ლაპარაკობს. ჭავჭავაძის მოთხრობებით ქართველმა მწერლობამ მარტო კარგი მოთხრობები კი არ შეიძინა: არა, მათი მნიშვნელობა ბევრით იმაზედ ზევით მიდის: ჩვენმა ლიტერატურამ შეიძინა მათში „ქართული“ მოთხრობა, ორიგინალი, ნაყოფი ქართულის ფიქრისა. ქართველების ცხოვრებიდან ამოღებული“[2].

მ. ნასიძის მართებული შენიშვნით ილ. ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრის-

---

[1] მ. ნასიძე, თ. ი. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, 1898 წ., გვ. 38, 39.

[2] იქვე, გვ. 40.

ტი ხელოვნების იმ საფეხურზე ავიდა, რომელზედაც იდგნენ მისი მასწავლებლები: გოგოლი, ტურგენევი, ნეკრასოვი, პუშკინი და ლერმონტოვი. მაგრამ ილიამ არცერთ მათგანს არ მიჰბაძა. ილიამ აიღო თითოეული მათგანის შემოქმედების საუკეთესო მხარე და განავითარა იგი ქართულ ნიადაგზე. „იუმორი მისის ნაწერებისა, რომელიც მკითხველს ცალი თვალით ატირებს და მეორეთი აცინებს, მოგაგონებენ ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლს. ჰუმანიზმი და სოციალურნი მისწრაფებანი გაგახსენებენ დაუვიწყარ ნეკრასოვს. ის ალერსი და სიყვარული რომლითაც ეპყრობა ჭავჭავაძე ყოველ თავისს გმირს, პოეტური გარემოცულობა გმირებისა, გაგონებენ ტურგენევს“[1].

უდიდესია ილიას ღვაწლი ქართული ლიტერატურული ენის განვითარების საქმეში „მან შექმნა ახალი ქართული ენა, სწორედ ისე, როგორც დიდმა პუშკინმა შექმნა ახალი რუსული ენაო“ დასძენს მ. ნასიძე.

მართებულია დასკვნაც, რომელსაც მ. ნასიძე უკეთებს თავის ნაშრომს: „დიდებული მოქალაქე თავის ქვეყნისა XIX საუკუნეში“. ეს ლაკონიური ფრაზა მშვენივრად გამოხატავს ილიას ღვაწლს და დიდ ბუნებოვანებას.

მ. ნასიძის ბროშურამ ქართულ პრესაში ერთგვარი გამოძახილი ჰპოვა. კერძოდ, მას გამოეხმაურა ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. რომელმაც 1898 წლის „კვალის“ 31-ე ნომერში მოათავსა „მცირე შენიშვნა ბ. მეგახლავარის წიგნაკის გამო“.

ვიდრე უშუალოდ წიგნაკის განხილვას შეუდგებოდეს, ფ. მახარაძე წინასწარ რამდენიმე შენიშვნას აკეთებს იმ შეფასების შესახებ, რომელიც საზოგადოებამ და პერიოდულმა პრესამ 60-იანი წლების ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მისცა.

როგორც ცნობილია 60-იანი წლების ქართველმა ახალგაზრდობამ დიდი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში. მათ ახასიათებდათ დროის შესაფერისი საფუძვლიანი განათლება, უანგარო სამსახური თავისი ქვეყნისადმი, შეუდრეკელობა, ბრძოლის ტემპერამენტი და ყოველგვარ წინააღმდეგობათა გადალახვის უნარი. ამ სახელოვან ახალგაზრდობას ეკუთვნოდნენ: ილ. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. ფ. მახარაძეს არ მოსწონს ის მაღალი შეფასება, რომელსაც ჩვენი პერიოდული პრესა ამ ჯგუფის საქმიანობას აძლევს, არ მოსწონს მით უმეტეს, რომ მისი აზრით, ეს მაღალ ფარდოვანი, „სიტყვების“ ავტორებს მარტო ერთი პირი ჰყავთ მხედველობაში, ე. ი. თავადი ილია ჭავჭავაძე“, ფ. მახარაძე ფიქრობს, რომ „როცა მესამოცე წლების მწერლებზე დაიწყებენ..... მსჯელობას, მაშინ ამათ თვალში არც ისტორიულ ფაქტს აქვს ფასი და არც ლიტერატურულ

[1] მ. ნ ა ს ი ძ ე. თ ჭავჭავაძე, პოპულარული და კრიტიკული ეტიუდი, 1898 წ., გვ. 41.

[2] „კ ვ ა ლ ი“, 1898 წ., № 31. გვ. 519.

დოკუმენტსო"[1]. და ყველა დამსახურებას ილია ჭავჭავაძეს მიაწერენო, მაგალითად, ფ. მახარაძე არ იზიარებს გ. მაიაშვილის თვალსაზრისს, რომელიც ფიქრობს, რომ პირველად იერიში თავად-აზნაურობის და მისი უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ აკი თავად-აზნაურობამ მიიტანა და, კერძოდ, ი. ჭავჭავაძემ. ფ. მახარაძის ღრმა რწმენით „ის ვინც პირველად აიღო ხმა დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, ან ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ გათელილი პიროვნება ადამიან-სა, ვინც პირველათ განაცხადა ჩვენში პროტესტი იმ შემაძრწუნებელი წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონ-ყმობა ერქვა, იყო დანიელ ჭონქაძე, სოფლის ღარიბი მღვდლის შვილი, ჩამომავლობით დუშეთელი გლეხი". ამის შემდეგ კი პირველობის მიკუთვნება ილია ჭავჭავაძისათვის, ფ. მახარაძის აზრით, „გამოსარკვევი საგნის სრული უცოდინარობა და გაუგებრობაა".

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თავისთავად საკითხის ამგვარი დაყენება უნდა იყოს „გამოსარკვევი საგნის გაუგებრობის" შედეგი. მართალია დ. ჭონქაძის „სურამის ციხე" ილიას ყველა იმ ნაწარმოებებზე ადრე გამოქვეყნდა, რომელნიც სასტიკად ამათრახებდნენ ბატონ-ყმობას, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ „სურამის ციხე" მათზე ადრე იყო შექმნილი. საყოველთაოდ ცნობილია და დადგენილია, რომ 1857, 58, 59 წლებში ილიას შემოქმედებით ლაბორატორიაში უკვე შეიქმნა ძლიერი მხატვრული ტილოები, ადრეული ვარიანტები პოემებისა და მოთხრობებისა, რომელნიც სასტიკად ანადგურებდნენ ბატონ-ყმურ ინსტიტუტს. ეს გარემოება აძლევდა საფუძველს გ. მაიაშვილს და სხვებსაც, რომ ამ შემთხვევაშიც პირველობა ი. ჭავჭავაძისათვის მიეკუთვნებინათ. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ილ. ჭავჭავაძემ არა მარტო მხატვრული სიტყვით, არამედ პრაქტიკულადაც გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და დაიცვა გლეხთა ინტერესები, რაც ასალგაზრდა პოეტს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ილიას ცნობილი გამოსვლა გლეხობის მიწიანად განთავისუფლების შესახებ. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა ან „გამოსარკვევი საგნის სრული უცოდინარობითა და გაუგებრობით" უნდა აიხსნას, ანდა ცნობილი ფაქტების განგებ მიჩქმალვის გზით, ილია ჭავჭავაძის ღვაწლის ხელოვნურად დამცირების სურვილით.

საერთოდ, წერილიდან იგრძნობა ავტორის არა ობიექტური დამოკიდებულება 60-იანი წლების მოღვაწეთადმი და, კერძოდ, ილ. ჭავჭავაძისადმი. მაგალითად, ფ. მახარაძის განმარტებით ქართველი ინტელიგენცია ორი ნაწილისაგან შედგება, „ერთს უფრო მცირე ნაწილს შეადგენენ ჭავჭავაძისებრ მცხოვანნი „მოღვაწენნი"; თითოეულ იმათგანს საქართველოს „ბურჯათ" მოაქვს თავი და ასეთ სანეტარო ოცნებაში ჰკლავს დროს; ამასთანავე

[1] „კვალი", 1898 წ., № 31, გვ. 519.

თითოეული იმათგანი თავის მეგობრის ბურჯობაზე იმდენად სწუხს, რამდენათ მე და შენ, მკითხველო, ჩინეთის სახელმწიფოზე...მეორე ნაწილი. ანუ წერილ-ფეხა, მჩხავანა „ინტელიგენციაჲ“, შედგება ამ მოღვაწეთა ბრმა თაყვანისმცემლებისაგან, რომლებიც იმათ სახელზე ლოცულობენ და იმათ ნათქვამს იმეორებენ. უნდა უყუროთ იმათ მაშინ, როცა ვინმე რომელიმე „ბურჯის“ პოქმედებას იჴვის თვალით შესედავს“[1]. ვფიქრობთ, ფ. მახარაძეს არ ჰქონდა საფუძველი გასული საუკუნის 60—80-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ასე ცინიკური შეფასებისათვის. სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლ თავდადებულ ადამიანებს ეს არ დაუმსახურებიათ.

ფ. მახარაძის აზრით ბროშურის „ავტორის ნამდვილი მიზანი მხოლოდ ის ყოფილა, რომ ქება-დიდება შეესხა თ. ილ. ჰავჰავაძისათვის“. საიუბილეო ბროშურა ან წერილი სწორედ ასეთი ხასიათისაა ხოლმე, მაგრამ საკითხავია: ხომ არ არის დაუმსახურებელი ქება-დიდება ავტორის მხრივ იუბილიარისა? თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით მ. ნასიძის ბროშურას, მასში ვერაფერს ვიპოვით ხელჩასაჭიდს. აქ არ არის გადაჭარბებული, დაუმსახურებელი ქება-დიდება. პირიქით, ზოგ შემთხვევაში ილიას შემოქმედებაში შენიშნულ ზოგიერთ ნაკლოვან მხარეებზედაც არის მითითება. მაგალითად, მ. ნასიძე გარკვევით მიუთითებს, რომ ილიას „პირველ ნაწერებს შიგადაშიგ ეტყობა უსწორ-მასწორობა და არა ქართული კილო“-ო.

ფ. მახარაძე არ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ „ილია ჭავჭავაძე ჩვენში უნდა ჩაითვალოს მამათ ბელეტრისტიკის რეალურის სკოლისა“ რეცენზენტის აზრით პირველობა ამ მხრივ ლ. არდაზიანს ეკუთვნის. ფ. მახარაძე უფრო შორსაც მიდის და შენიშნავს, რომ ქართულ მწერლობას მოთხრობა ქართულ ნიადაგზე აგებული, ქართველების ცხოვრებიდან აღოღებული დ. ჭონქაძემ შესძინა. „რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს, აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ უმთავრესი იმათგანი, როგორც მაგალითად „გლახის ნაამბობი“, უცხო ნიადაგიდან არიან გადმოღებულნი, და ამიტომ იმათში ნამდვილი ცხოვრება ძლიერ მკრთალათ იხატება“[2].

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ეს საკითხები საკმაოდ არის გარკვეული. ზევით, გზა და გზა, ჩვენც გვქონდა საშუალება გაკვრით შევხებოდით მათ და დაგეენახებინა, თუ რამდენად მცდარია ასეთი შეხედულება. მართლაც, ძნელია უარჰყოს ადამიანმა ის ცოცხალი ფაქტი, რომ ქართული პროზის აღორძინება XIX საუკუნეში ი. ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული, რომ ილიას პროზას არაფერი აქვს საერთო უცხო ნიადაგთან და მისი ნაწარმოებნი საკმაო სიმკვეთრით გამოხატავენ ნამდ-

---

[1] „კვალი“, 1898 წ., № 38, გვ. 521.

[2] იქვე, გვ. 522—523.

ილ ქართულ ცხოვრებას. თუ ამ შემთხვევაში ფ. მახარაძე ცდებოდა, საქმეიროდ. სამართლიანად არ იზიარებს იგი მ. ნასიძის ერთ-ერთ თეზისს, რომ „ილ. ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გამეფდა ქართულს მწერლობაში... იგი დიქტატორის ძალღონით ბრძანებლობს ჩვენს ლიტერატურაში იმ თანიდანვე დღემდის ორმოცი წლის მანძილზედ.“ „დიქტატორულ ბრძანებლობას“, შენიშნავს ფ. მახარაძე, შეიძლება სარგებლობის მოტანა შეეძლოს სხვა ადგილას, ხოლო მწერლობაში იგი ყოველთვის და ყველგან მავნებელი იქნება“-ო..

ცხადია, რომ მ. ნასიძე ამ შემთხვევაში, უდავოდ, ცდება. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს სიტყვა „დიქტატორის“ არა სწორ გამოყენებასთან. ილ. ჭავჭავაძე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და ტონს აძლევდა ქართულ მწერლობას. მაჯარამ ეს კიდევ არ ნიშნავს დიქტატორობას. თავის ჭრებსა და შეხედულებებს ილია თავზე არ ახვევდა არავის. იგი ხელმძღვანელობდა და საუთოდ ზრდიდა ქართული მწერლობის მოყვარულთ. განსაკუთრებული სიფხიზლით ეკიდებოდა დამწყებ მწერლებს, ზომავდა მათი შესაძლებლობის ზღვარს და შესაფერ მიმართულებას აძლევდა მათ ნიჭს. ილ. ჭავჭავაძის წერილი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ საუკეთესო ნიმუშია მზრუნველი მამის რჩევა-დარიგებისა და არა დიქტატორის ბრძანებლობისა.

სწორია, აგრეთვე, ფ. მახარაძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ 1857 წ. „ცისკარს“ გ. ერისთავი კი არ რედაქტორობდა არამედ ივ. კერესელიძე, მართებულად აკრიტიკებს ფ. მახარაძე ბროშურის იმ ადგილსაც, სადაც მ. ნასიძე ავითარებს თავის თვალსაზრისს „ესთეტიური კრიტიკის“ შესახებ.

1897 წელს დაიბეჭდა და გამოვიდა ზ. ჭიჭინაძის პატარა წიგნაკიც: „თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი“. ნაშრომი არ არის ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათისა., ავტორი აქ საერთოდ ეხება ილიას ღვაწლსა და დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. განსაკუთრებით ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ილიაზე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელზე და ამ საკითხის სათელაყოფად იყენებს მწერლის რამდენიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს. ზ. ჭიჭინაძემ კარგად შენიშნა, რომ „ილ. ჭავჭავაძის ლექსებმა არამც თუ მარტოთ გულის მიმტაცებლობის მხრით იქონია გავლენა და მრავალთა მამულის შვილობით აღბორგება და მომზადება, არამედ იმის ლექსებმა გამოზარდა მთელი თაობა, მთელი გუნდი თვით ჩვენი სიტყვაკაზმულის მგოსნებისა“[1].

* * *

ინტერესი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა 900-იან წლებში—ერთ-ერთი პირველი წერილთაგანი, რომელიც

[1] ზ. ჭიჭინაძე, „თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი“, 1897 წ., თბილისი, გვ. 66.

ამ პერიოდში გამოქვეყნდა, იყო ივ. გომართელის საკმაოდ მოზრდილი სტატია: „თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“ სტატიის უბრალო გადათვალიერება საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ივ. გომართელმა ვერ მოახერხა ჩასწვდომოდა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას. ამის გამოც ვერ შეძლო სწორედ „აეხსნა და განემარტა ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ზოგიერთი მთავარი მხარენი“[1].

ივ. გომართელი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ორ პერიოდად ყოფს და თითოეულ პერიოდს შორის არსებითი ხასიათის განსხვავებას პოვებს. მისი აზრით „პირველ ხანას შეადგენენ მესამოცე წლები. მეორე იწყება სამოცდაათი წლიდან. ამ ორ ხანას შუა არავითარი კავშირი, არავითარი მსგავსება არ არის. პირველ ხანაში ილ. ჭავჭავაძე სრულებით სხვა არის, მეორეში სრულებით სხვა. ამ ორ ხანაში ერთი და იგივე პირი ორი სხვადასხვა ადამიანია, პირველი შფოთარი, მოუსვენარი, ჯერ კიდევ დაუდუღებელი, მეორე კი დინჯი, წყნარი და სამუდამოთ დადუღებული“[2].

ვინც იცნობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის ლიტერატურულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ივ. გომართელის ეს მოსაზრება არსებითად მცდარი და მიუღებელია. ილ. ჭავჭავაძე მთლიანი, განუყოფელი პიროვნებაა დღიდან სამწერლო-საზოგადოებრივო ასპარეზზე გამოსვლისა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას არასოდეს უღალატნია ერთხელ აღებული მიზნისათვის, რის ნათელ დადასტურებასაც ის ნარ-ეკლით მოსილი გზა წარმოადგენს, რომელიც მტკიცე ნებისყოფის მქონე მოქალაქემ, მოაზროვნემ და დიდმა შემოქმედმა გაიარა. ეს გზა ყოველგვარი ზიგზაგების გარეშე ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების და კულტურული და ეკონომიური კეთილდღეობის დიადი მწვერვალისაკენ მიემართებოდა.

მაინც რა თავისებურება ახასიათებს, ივ. გომართელის აზრით, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას პირველ პერიოდში? შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ წლებში ილიასათვის, მსგავსად ძველი მწერლებისა, დამახასიათებელია სევდა, გამოუცნობი მისწრაფება გაურკვეველისადმი, უკმაყოფილება და სამშობლოს ღრმა სიყვარული. „პოეტის პირველ ლექსებში—შენიშნავს კრიტიკოსი—ნათელ გარკვეულ მიზანს, სამუდამოთ არჩეულ გზას მკითხველი ვერ ნახავს“[3], მშვენიერია ქართველის დედისადმი მიმართული სიტყვები,—რომ საჭიროა მოვკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს, აქ, უდავოდ, იგრძნობა მომავლისადმი ახალგაზრდა პოეტის ღრმა რწმენა, მაგრამ „გულსატკენია. რომ პოეტმა თვითონვე უარჰყო ეს,—

---

[1] „ქვალი“, 1902 წ., № 35, გვ. 569.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 570.

გავიდა დრო, სული და გული წარსულს მიაპყრო და თუმცა შვა თავისი საკუთარი მყობადი, მაგრამ ეს მყობადი ის არ გამოდგა რაც მოსალოდნელი იყო... ჩაუვლა თუ არა ცხოვრებას ახალგაზრდა პოეტი, იმისმა დუღილმა სრულიად ჩანთქა, გადაახალისა და გამოვიდა სრულებით სხვა ილ. ჭავჭავაძე"[1].

ივ. გომართელი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ „ილ. ჭავჭავაძე უყოყმანოთ მიიტანა იერიში ბატონყმობაზე... „მესმის მესმის", „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი", „გლახის ნაამბობი" და „კაცია ადამიანი" სრული უარყოფა და გმობაა ბატონყმობისა". ეხება რა იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ილ. ჭავჭავაძემ სასტიკად გაამათრახა ბატონყმობა, ივ. გომართელი სწორ მსჯელობას აწარმოებს, მაგრამ შემდეგ კრიტიკოსი ისეთ მოსაზრებებს ავითარებს, რომელთა გაზიარება ყოვლად შეუძლებელია. ივ. გომართელის აზრით ილ. ჭავჭავაძე პრაქტიკულ ცხოვრებაში თურმე იმდენად ებრძოდა ბატონყმობას, რამდენადაც მისი ლუარსაბი და დარეჯანი. ილია თურმე მხოლოდ თავის გულში კიცხავდა ძველ წყობილებას, იქ კი, საცა ეს ბრძოლა საჭირო იყო, ე. ი. თვით ცხოვრებაში, ილ. ჭავჭავაძე სრულებით სდუმდა. ილია თურმე მალავდა თავის მტრობას ბატონყმობისადმი, რასაც ის გარემოება ადასტურებს, რომ „კაკო ყაჩაღი", „აჩრდილი" და სხვ... ბატონ-ყმობის გადავარდნიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ გამოაქვეყნა. ილიამ, აღნიშნავს ივ. გომართელი, ვერც „საქართველოს მოამბე" გამოიყენა და ერთი უბრალო პუბლიცისტური წერილიც არ დაუბეჭდია მასში ბატონყმობის წინააღმდეგ..

ძნელი წარმოსადგენია, რომ ივ. გომართელს არ სცოდნოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ილიას მიერ ჩატარებული, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიულ-მხატვრული მუშაობის შესახებ. ჩვენი აზრით, ივ. გომართელი განგებ ხლართავს გზებს, ხელოვნურად აბნელებს ნათელ საკითხს და წყალს ასხამს ილიას შემოქმედების ვულგარიზატორთა წისქვილზე.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი პრაქტიკული მუშაობა, რომელიც გლეხთა ინტერესების დაცვის ნიშნით ჩაატარა ილია ჭავჭავაძემ, როგორც რეფორმის მომზადების, ისე მისი გატარებისა და გატარების შემდგომ პერიოდში. ილიას არასოდეს დაუმალავს თავისი მტრობა ბატონყმობისადმი თვით ბატონყმობის მძვინვარების პერიოდში. სიმართლეს, არ შეეფერება ის გარემოება თითქოს ბატონყმობის პერიოდში ილია არ ცდილა გამოექვეყნებინა ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებნი.

ცნობილია, რომ „საქართველოს მოამბეში" ილიამ მოახერხა გამოექვეყნებინა „გლახის ნაამბობის" პირველი ნაწილი, „კაცია ადაჰიანი", „გუთნის დედა", ნაწყვეტი „აჩრდილიდან", და ნაწილი პოემის „კაკო ყაჩაღი". მართალია მთელ რიგ ნაწარმოებთა გამოქვეყნება ილიამ

[1] „ცნობის ფურცელი", 1902 წ., № 35, გვ. 570.

სრული სახით ვერ მოახერხა, მაგრამ ეს აიხსნება არა იმ მიზეზებით, რომელთაც ივ. გომართელი ვარაუდობს, არამედ უფრო ღრმა და სერიოზული მდგომარეობით. როგორც ცნობილია, იმ დროს, როდესაც „საქართველოს მოამბე“ გამოდიოდა, ილიას „გლახის ნაამბობი“ დამთავრებული არ ჰქონდა. მოთხრობა ილიას 1873 წლის 29 იანვარს დაუმთავრებია და იმავე წლის „კრებულის“ 1—3 ნომრებში სრული სახით დაუბეჭდავს.

„კაკო ყაჩაღის“ ბეჭდვა ილიას დაუწყია „საქართველოს მოამბეში“ და ოქტომბრის ნომერში გამოუქვეყნებია პოემის ერთი შეკრული. ვარაუდება, რომ შემდეგ ნომერში ნაწარმოების ბეჭდვა გაგრძელდებოდა, მაგრამ ცენზურას ნება არ მიუცია და პოემა აუკრძალავს. ილია ბევრს ეცადა, რომ პოემა სრული სახით გამოექვეყნებინა, მაგრამ ძიზნისათვის ვერ მიუღწევია. ეს იყო მიზეზი, რომ გულდაწყვეტილი ილია წერდა პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს: „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს ამიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“[1].

განსაკუთრებული წამება განიცადა ცენზურის მხრივ „აჩრდილმა“. პოემის პირველი ვარიანტი ილიას 1858 წელს დაუმთავრებია და უცდია მისი დაბეჭდვა ჟურნ. „ცისკარში“, მაგრამ ჟურნალში მხოლოდ V თავის გამოქვეყნება მოხერხდა (იხ. „ცისკარი“, 1859 წ., №10). 1859—1860 წელს შეიქმნა პოემის მეორე ვარიანტი, რომლის გამოცემაც ილიამ ცალკე წიგნად გადაწყვიტა, მაგრამ პოეტი გრძნობდა, რომ „აჩრდილის“ ცალკე გამოცემა გაძნელდებოდა და ამიტომ უთარგმნია „ჯაჯაბრეკი“ და ერთ წიგნად გადაუწყვეტია ორივე ნაწარმოების გამოცემა, მაგრამ ცენზურას არც ამ შემთხვევაში დაურთავს დაბეჭდვის ნება. 1863 წელს ილიამ „საქართველოს მოამბეშიც“ ვერ შეძლო სამ თავზე მეტი გამოექვეყნებინა. ეს თავებიც (XXIV, XXVI, XXVII) სასტიკად არის დამახინჯებული ცენზურის მიერ. დაახლოებით ასეთივე ბედი ეწია „აჩრდილის“ მესამე და მეოთხე ვარიანტს, რის შედეგადაც პოემა საბოლოოდ დამახინჯდა, დაიკარგა პოემის 22 და 23 თავი. ამრიგად, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ილია ვერ ახერხებდა გამკლავებოდა ცენზურას და დროულად გამოექვეყნებინა თავისი ნაწარმოებნი. მაგრამ ისინი ხელნაწერის სახით მაინც ვრცელდებოდა საზოგადოებაში და გარკვეულ გავლენას ახდენდა მკითხველთა ვიწრო წრეში.

თუმცა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი ილიასაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბატონყმობის გაუქმებიდან 10—15 წლის შემდეგ გამოქვეყნდა, მაგრამ, მიუხედავად

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, აფხაზეთის სახელგამი, 1949 წ., გვ. 29.

აღიარა. მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სოციალურ უკუღმართობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ბატონ-ყმობის გადაულახნის შემდეგ უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი ფაქტიურად კვლავ ყმის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი სრული განთავისუფლება ისევ აქტუალურ საკითხად რჩებოდა. ამიტომ არის მართალი ივ. გომართელი, როდესაც ფიქრობს, რომ „რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გაბრის 70-იან წლებში და კაკოს ოთხმოც წლებში? მხოლოდ ის, რომ მკითხველს გაეგო ვინ იყო მათი დამწერი“[1].

ივ. გომართელი არც იმ შემთხვევაში იყო მართალი, როდესაც წერს: „მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში ილ. ჭავჭავაძეს ხელთ ეპყრა „საქართველოს მოამბე“, მასში ერთი უბრალო პუბლიცისტური წერილიც არ დაუბეჭდია ბატონყმობის წინააღმდეგო.“

ვისაც „საქართველოს მოამბე“ გადაუთვალიერებია, იგი დაგვეთანხმება, რომ ასეთი ბრალდება ილიასადმი სავსებით უსაფუძვლოა. „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული მხატვრული ნაწარმოებნი, ზოგი სრულად და ზოგი ნაწილობრივ. აქვე დაიბეჭდა ბასტიას „მცარცველობის ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“ და პრუდონის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ როგორც ბასტიას, ისე პრუდონის წერილები სოციალური უსამართლობის პრობლემის გარკვევას ეხება. ეს პრობლემა საქართველოსათვის უაღრესად აქტუალური პრობლემა იყო. მაგრამ მის გარშემო საკითხებზე წერა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელებს აკრძალული ჰქონდათ. უკეთეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ აღ საკითხებზე სხვისი ენით, სხვის მიერ გამოთქმული აზრებით მაინც ელაპარაკათ. ბასტიას და პრუდონის აღნიშნულ წერილებში დასმული საკითხები იმდენად ახლოს იყო „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა შეხედულებებთან, რომ ზოგიერთი შესწორებით შეიძლება ისინი თვით „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა აზრებადაც კი მივიღოთ[2].

„საქართველოს მოამბე“ ეპოქის მესიტყვე იყო და იგი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური დაძაბულობით იბრძვოდა ადამიანის სოციალური მონობის, ბატონყმობის წინააღმდეგ. თვით ილ. ჭავჭავაძე არ ერიდებოდა მაღალი არისტოკრატიის ათვალისწუნებას, როგორც ეს ივ. გომართელს ჰგონია და მას თავისი სპეტაკი აზრები, გრძნობები და მისწრაფებანი მაგიდის უჯრაში არ გამოუკეტია.

ივ. გომართელის ეს მცდარი შეხედულებანი უკიდურესობამდე განავითარა ფ. მახარაძემ 1904 წელს დასტამბულ ბროშურაში „დ. ჯონქაძე და მისი დრო“. ფ. მახარაძემ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ ვერ გამოიჩინა სიდინჯე და მეცნიერული ობიექტურობა, და დიდი

---

[1] „კვალი“, 1902 წ. № 35, გვ. 572.

[2] კ. გ ა გ ო ი ძ ე. „საქართველოს მოამბე“, 1956 წ., გვ. 147.

მწერლის მკაფიო აზრების ხელოვნურად დაბნელებით მოახდინა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების დაუშვებელი ვულგარიზაცია.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ილიას შემოქმედების პირველ და მეორე პერიოდის ნაწარმოებთა შორის ივ. გომართელი არსებითი ხასიათის განსხვავებას ხედავს. „პირველ ნაწერებში—წერს იგი—გრძნობას იმდენივე ალაგი აქვს დათმობილი, რამდენიც გონებას,—ისინი შეერთებული ერთად შეზავებული გრძნობისა და გონების ნაყოფი არიან. შემდეგ ნაწერებში კი, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, გრძნობას თანდათან უფრო მცირე ალაგი ეთმობა, გონებას კი თანდათან მეტი და ბოლოს გონება სრულებით იმორჩილებს და სჩაგრავს გრძნობას“... გრძნობის განდევნის ბრალია ერთის მხრით, რომ მეორე ხანის ნაწერებში ილ. ჭავჭავაძემ ბევრი დამალა, ბევრი არა თქვა ისე, როგორც უნდა ეთქვა. ოადგან გადაუხვია და ბოლოს სრულებით იცვალა სახე“[1].

რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება ილ. ჭავჭავაძეში? ამ კითხვას პასუხს საკმაოდ გარკვევით ივ. გომართელი იძლევა „ახალ კავკასიონში“ 1925 წელს. მისი აზრით „ილია ვერ დაეტია პოეზიისა და საერთოდ სიტყვა კაზმული მწერლობის საზღვრებში, მისი ბუნება უფრო პრაქტიკული მოღვაწეობის ფართო ასპარეზს ითხოვდა. ასეთი ასპარეზი მან დაინახა სათავადაზნაურო ბანკში რომლის გამგეთაც პოეტი აირჩიეს... ბანკმა ჩაჰკლა ილიაში თავისუფალი და დამოუკიდებელი მგოსანი..

რატომ? რა იყო ამისი მიზეზი?

ბანკი იყო დაარსებული წარჩინებული წოდების ფულით, წარჩინებული წოდებისაგან და მისი ბედიც ამ წოდებას ეპყრა ხელთ. ილია. წარჩინებული წოდების წინააღმდეგ მებრძოლი. სათაეში მოექცა ისეთს დაწესებულებას, რომელიც ამ წოდების ხელში იყო

ილია წინდახედული. ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო და კარგად ესმოდა,—თუ წინანდელ გზას ბრძოლისას განაგრძობდა, ადრე თუ გვიან ბანკს უნდა გამოთხოვებოდა.

ილია შედგა კომპრომისის გზაზე და აქედან დაიწყო მეორე ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა. ეს ხანა ღარიბია პოეტური გზნებით და გაჭანებით... ეს ხანა ღარიბია პოეტური ქმნილებით“[2]. კრიტიკოსი არ იძლევა კონკრეტულ მასალას თავის დებულებათა დასაბუთებლად, თუმცა. ასეთი მასალის მოძებნა მას ძალიან გაუჭირდებოდა რადგან დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა ილიას მებრძოლი კალამი ძირს არ დაუხრია. შერიგებისა და კომპრომისის გზა მისთვის ცნობილი არ ყოფილა. ქართველი წარჩინებული წოდების წინაშე ილიას არასოდეს დასჭირებია რევერანსები, პირიქით, ილია ჩვეული პირდაპირობით კიცხავდა ე. წ. წარჩინებული წოდების უკუღმართობას. მაგალითად, როდესაც ილიას მეთაურობით თბილისის სათავადაზნაურო

---

[1] „ქ ვ ა ლ ი“, 1902 წ., № 36, გვ 584.

[2] „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2, გვ. 261—263.

ბანკმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი გადადო, თავადაზნაურობის ერთი ნაწილი უკმაყოფილო შეხვდა ამ დადგენილებას, რადგან არ სურდათ ბანკიდან გაცემული თანხა დაბალი წოდების აღზრდა-განათლებაზე დახარჯული-ყო. ილ. ჭავჭავაძე მკაცრად გამოესმაურა ამ ვითარებას და მოურიდებლად დაჰგმო წარჩინებული წოდების უმსგავსო საქციელი: „ჩვენი უბედურება—წერდა ილ. ჭავჭავაძე—ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ჰქმნას კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ი. ბ.) სახეში ჰყავს მთელი ქართველობა, თავადაზნაურობა კი გამოსულა და იძახის მეო და არა სხვაო[1]. ეს და სხვა მისი მსგავსი მრავალი ფაქტი ცხადჰყოფენ, რომ ილია „წინანდელ გზას- ბრძოლისას განაგრძობდა“, განაგრძობდა შეუპოვრად. რაც შეეხება იმას, თითქოს ილიას შემოქმედების—მეორე პერიოდი ღარიბი იყოს პოეტური გზნებითა და გაჭანებით, პოეტური ქმნილებებით, ეს უკვე სრული გაუგებრობაა. მარტო „განდეგილი“, არ მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივი“ რომ დაეწერა ილიას ამ პერიოდში, ისიც საკმარისი იქნებოდა ივ. გომართელის დებულების გასაქარწყლებლად.

ივ. გომართელის აზრით ილ. ჭავჭავაძეს თურმე „ფრიად განდიდებული წარმოდგენა აქვს ჩვენი წარსულის შესახებ“ ამის მაგალითად კრიტიკოსი „დედა და შვილს“ ასახელებს, რომელშიც თუმცა ბევრი კარგი და ღრმა აზრია, მაგრამ, როგორც მხატვრული ნაწარმოები თურმე სუსტია, რადგან ხასიათდება გადაჭარბებული სენტიმენტალიზმით და დედისა და შვილის ფსიქოლოგიის ყალბად წარმოდგენით. ივ. გომართელს წარმოუდგენლად მიაჩნია, თუ როგორ შეიძლება დედამ შვილი და შვილმა დედა გაწიროს სამშობლოსათვის. საერთოდ, კრიტიკოსის აზრით ილ. ჭავჭავაძე გადაჭარბებული აზრის არის ქართველობაზე, რაც მწერლის ეროვნული სიამაყის მაჩვენებელია და წარმოადგენს პირველ ნაბიჯს შოვინიზმისაკენ; „თუ ვინმეა მცარცველი ჩვენს ნაწერებში, ეს საცოდავი უსათუოთ სომეხი უნდა იყოსო და სხვ“.

ყოველივე ეს ისეთი საშინელი ცილის წამებაა, რომლის მსგავსიც იშვიათია დაიძებნოს ცილისმწამებლობის ისტორიაში. ივ. გომართელი სანიმუშოდ თვითონაც ვეღარ ახერხებს ამ დებულების დაცვას და შენიშნავს: „ახალგაზრდა პოეტი რომ დაბრმავებული მოტრფიალე არა ყოფილა ქართველობისა, ამას ამტკიცებს რამდენიმე მისი წერილი ლექსი და განსაკუთრებით კი „კაცია ადამიანი“. მაგრამ ნუთუ მხოლოდ რამდენიმე ლექსი და „კაცია.. ადამიანი“ ამტკიცებს, რომ ილია დაუფარავად ამხელს ქართველობის ნაკლს და სრულებითაც არ არის რაღაც განსაკუთრებული წარმოდგენისა ქართველობაზე. ილია შორს დგას

[1] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრ. კრებული, ტ. VII. გვ. 294.

ქოვინიზმისაგან და ყოველი ერის ღირსებისა და პატივისცემის დამცველია; მან ძალიან კარგად იცის, რომ ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ ერთ-ხორც მკვიდრთა, ყველა პატიოსანისა და ჭკუათა-მყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავადსენება—დიდათ სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წაღილები, თავისი გულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება"[1]. უდავო ცილისწამებაა, თითქოს ილიას ნაწარმოებში მცარცველად აუცილებლად სომეხი უნდა ჰყავდეს გამოყვანილი. გაბრიელი („გლახის ნაამბობიდან") ტიპიური ქართველი კაცი იყო, რომელმაც გზად მიმავალი სომეხი გაძარცვა. სოფლის პატარა ქართველი ბიჭები იყვნენ „სარჩობელას" მოქმედი პირები, რომელთაც პეტრეს ჯიბე მოაპრეს. ილიამ კარგად იცის, რომ თითო რამ ნაკლი ყოველ ერშია, მაგრამ იმავე ერში არის ბევრი რამ ისეთი, რაც მის თაყვანისებურებას მის დადებით სახეს განაპირობებს. ტრაბახი და უკუდო ამპარტავნობა, რაღაც გადაჭარბებული სიამაყე უცხოა პირადად ილიასათვის და უცხოა ილიას გაგებით ქართველი ერისათვის.

ივ. გომართელი ამავე წერილში სპეციალურად იხილავს საკითხს, თუ რას წარმოადგენს ილ. ჭავჭავაძე როგორც პოეტი და პელეტრისტი? „სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე—წერს კრიტიკოსი—ილ. ჭავჭავაძე დაადგა რეალურ გზას, მაგრამ უკანასკნელ დრომდე შეირჩინა მან რომანტიული მიდრეკილებანი. პოეტის ფანტაზია ფართო ფრთებსა და ფართო ჰორიზონტს მოკლებულია; ახალგაზრდა პოეტი ცუდის კეცხვრთა და კარგის ქებით იმდენათ იყო გატაცებული, რომ სინამდვილეში ხშირად იმას კი არ ხედავდა, რაც მართლა არსებობდა, არამედ იმას რაც დანახვაც თვითონ უნდოდა. ამიტომაც ყველა მისი ნაწარმოები სუბიექტურია"[2]. თვით ლუარსაბის სურათსაც კი ავტორმა თურმე იმდენი სუბიექტური ხაზები ჩაურთო, რომ ლუარსაბმა სრულებით დაჰკარგა ტიპის ხასიათი. წერილის იმავე გვერდზე ივ.გომართელ თითქოს ავიწყდება ზემონათქვამი და სრულებით საპირისპირო მოსაზრებას ავითარებს. „ილ. ჭავჭავაძის ძლიერება—წერს იგი—გამოისახება პოეტურ ზომიერებაში. გამომხატველობითი ნიჭში. ღრეულ მხარესა და ფსიხოლოგიის ცოდნაში. მისი ყოველი შემუშავებული თხზულება. როგორც მაგალითად „კაცია-ადამიანი". „გლახის ნაამბობი" საუცხოო ნიმუშებია იმისი. თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორიული ნაწარმოები. ქართულს ენაზე ცოტას ნახავთ ამდენათ შემუშავებულ ნიმუშებს. აქ არცერთი სიტყვა, არცერთი შტრიხი მეტი არ არის; ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის... ავტორს საუცხოოდ ეხერხება იმის გამოხატვა რასაც გრძნობს და რასაც ხედავს"[3]. მისი ყოველი ნაწარმოები აშენებულია დროის

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ. სრ. კრებული. 1941 წ., ტ. II. გვ. 418.
[2] „ქვალი", 1902 წ., № 36, გვ. 585.
[3] იქვე.

შესაფერ და საყურადღებო იდეაზე. მისი გმირები არსად არ ღალატობენ. თავის თავს, მათ ლაპარაკსა და მოქმედებაში არცერთი სიტყვა და არცერთი მოძრაობა არ არის ყალბი. ასეთია კრიტიკოსის გაგებით ილიას ნაწარმოებნი, რომელნიც შემოქმედების პირველ პერიოდშია შექმნილი.

ვფიქრობთ ამ შეხედულებას არაფერი აქვს საერთო იმ აზრთან, რაც ივ. გომართელმა ცოტა ზემოთ განავითარა.

საბოლოოდ ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების პირველ პერიოდ[1] ივ. გომართელი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ იქვე კვლავ პარადოქსალურ მოსაზრებას ავითარებს. ივ. გომართელი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ილ. ჭავჭავაძე დაჯილდოვებულია ძლიერი დაკვირვების ნიჭით და ადამიანის ბუნების ამოკითხვის უნარით, მაგრამ იგი თურმე გლეხის ბუნებას არ იცნობს. „ავტორს გლეხის არა თუ ტიპი, მისი უბრალო კონკრეტული სახეც კი არსად დაუსატავს თავის ნაწერებში... ილ. ჭავჭავაძე არა თუ არ იცნობს გლეხს, მას არც უყვარდა ეს გლეხი... ის ზევიდან დაჰერებოდა ქვეყით მყოფ გლეხს, იბრალებდა მას, შენატროდა მისი ცხოვრების გაუმჯობესებას, მისი ტვირთის შემსუბუქებას. ხოლო სიყვარული, წარმტაცი, წრფელი სიყვარული გლეხისადმი პოეტის გულს არც ერთხელ არ უგრძვნია“[1].

ცოტა არ იყოს გაუგებარია, თუ როგორ ესმის ივ. გომართელს გლეხის სიყვარული. რა უნდა გაეკეთებინა ილ. ჭავჭავაძეს იმისათვის, რომ ეს სიყვარული დაემტკიცებინა და საფუძველი არ მიეცა ივ. გომართელისათვის, რომ მისი დემოკრატიზმი იქვე ქვეშ დაეყენებინა. ილ. ჭავჭავაძე თავის თავს არ თვლიდა არც თავად-აზნაურთა კლასის, არც ბურჟუაზიის და არც გლეხობის იდეოლოგად. მართალია თავად-აზნაურობასთან და ბურჟუაზიასთან შედარებით ილ. ჭავჭავაძის სიმპათიები უფრო მშრომელი ხალხისაკენ იხრებოდა. თავგამოდებით იცავდა მათ ინტერესებს, ილია გლეხობას უწოდებდა „სულსა და გულს ჩვენის ეროვნულის იმედებისას“, მაგრამ თავად-აზნაურობის, როგორც კლასის მოსპობის საკითხი მას არასოდეს დაუყენებია. ისე როგორც წინააღმდეგობა არ გაუწევია კაპიტალიზმის განვითარებისათვის საქართველოში. ილია თავის თავს არცერთ წოდებას არ აკუთვნებდა. მისი ყურადღების ცენტრში იდგა არა რომელიმე ცალკეული კლასი, არამედ მთელი ქართველი ერი თავისი კლასებითა და წოდებებით. ილია განმანათლებელი იყო და განმანათლებლები კი, როგორც ლენინი მიუთითებდა, „მოსახლეობის არცერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს“[2]. ილიას მთელი შემკვიდრეობიდან, იქნება ეს მხატვრული თუ პუბლიცისტური, ძლიერად იგრძნობა არა კონკრეტულად მხოლოდ გაბროს, კაკოს ან ზაქროს სიყვარული, როგორც ეს ივ. გომართელს ჰგონია, არამედ სიყვარული საერ-

[1] „ქვალი“, 1902 წ., № 35, გვ. 586.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 11, გვ. 656.

ოდ მშრომელი, გონიერი ადამიანისა რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი[1]

ამთავრებს რა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების პირველ პერიოდის ძირითად მოხილვას, ივ. გომართელი ასკვნის „რომ პირველ ხანაში ახალგაზრდა ილ. ჭავჭავაძე იყო ერთი საუკეთესო მოღვაწე პროგრესიული მსოფლიოსთან ფრიად ჰუმანიური მწერალი, ხოლო ის არ წარმოადგენს ჯერ დადუღებულ ტიპს,—ის ჯერ გაუბედავია, კრძალვაში და ეჭვშია დაუდუღებელი და დაუმთავრებელი“. ამ დებულების პირველი ნახევარი, რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს, მაგრამ მეორე ნახევარი ყოველად მიუღებელია, მითუმეტეს, რომ იგი არ გამომდინარეობს თავის წინამძღვრიდან.

წერილის დასასრულს ივ. გომართელი ჰპირდებოდა მკითხველს, რომ „კვალის“ მომდევნო ნომერში იგი დაანახვებდა მკითხველს „სახეს დამთავრებული და დადუღებული მოღვაწისას“, მოგვცემდა მეორე პერიოდში შექმნილ ნაწარმოებთა ანალიზს. მაგრამ კრიტიკოსს ეს დაპირება აღარ შეუსრულებია. „კვალის“ 41-ე ნომრიდან დაიწყო ივ. გომართელის წერილის, ბეჭდვა „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებების ბუნება“, ილიას შემოქმედებაზე კი წერილის გაგრძელება აღარ ჩანს.

1925 წელს ივ. გომართელმა „ახალ კავკასიონში“ გამოაქვეყნა წერილი „ილ. ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება“. ეს წერილი არსებითად „კვალში“ დაბეჭდილი წერილის ერთგვარ გადამუშავებას წარმოადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ახალ კავკასიონში“ დაბეჭდილ წერილში ივ. გომართელი გაკვრით ეხება „ოთარაანთ ქვრივს“ და აყენებს ახალ მცდარ დებულებას. მისი აზრით: „მეორე ხანაში ილია სხვა არის. თუ პირველ ხანაში ილიას ახასიათებს „კაცია ადამიანი“ და „კაკო ყაჩაღი“, ილია მეორე ხანისა ნათლად ისახება „ოთარაანთ ქვრივში“. აქ ილია იშველიებს მთელ თავის ნიჭს, შემოქმედებით ძალას, მჭერმეტყველებას და ლოღიკას. რომ დაამტკიცოს ის, რასაც „კაკო ყაჩაღში“ უარყოფდა. მაგრამ ასეთს როლში ილია უმწეოა, თუმცა „ოთარაანთ ქვრივი“ იშვიათი კაზმული ნაწარმოებია“-ო[2]. ეს დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ივ. გომართელმა ვერ გაიგო ილ. ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიდან უურადღებას იმსახურებს გიორგი ქავხიშვილის

---

[1] ვფიქრობთ სავსებით სწორი იყო ს. ქვარიანი, როდესაც ახასიათებდა რა ილ. ჭავჭავაძეს წერდა: „იგია შესანიშნავი პოეტი-ბელეტრისტი და ამავე დროს მეცნიერულად მომზადებული კრიტიკი-პუბლიცისტი; იგია ქართველი ერის და კერძოდ მშრომელი ხალხის მედგარი ქომაგი... იგია პროგრესისტ-დემოკრატი, ფართო რეფორმების მომხრე, ევოლიუციონისტი“ (იხ. ჟურნ. „ნიშადური“, 1907 წ., № 15, გვ. 2.)

[2] „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2. გვ. 263.

კრიტიკული გამოკვლევა: „ილია ჭავჭავაძე როგორც მგოსანი". რომელიც რამდენიმე ფელეტონად დაიბეჭდა გაზ. „ისარში" 1907 წელს.

გ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოეტის აღზრდის პირობებს. განსაკუთრებით კი „სოფლურ აღზრდას, რასაც „ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა ილიას პოეზიისათვის", სოფლად გაეცნო მწერალი თავად-აზნაურობისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულებას, „აქედან წარმოიშობა მეორე დარგი იმის ნაწარმოებთა: უარყოფა ღლევანდელ საზოგადოებისა და მისი კილეა"[1]. სოფლური აღზრდის წყალობით ჩამოყალიბდა პოეტში ერთი გარკვეული მტკიცე მიმართულება, „განუწყვეტელი მიმდინარეობა ერთი აზრისა. მისი მიმართულება, შესწორება და უფრო ღრმად დასმა და არა ხან ერთი და ხან მეორე საგანზედ გადახტომა—გადმოხტომა—ყველა ეს დიდად განასხვავებს ილიას ნაწერებს დანარჩენ მგოსანთა ნაწერებისაგან"[2].

მესამე მხარე სოფლური აღზრდისა, რომელმაც თავისი გამოვლინება ჰპოვა ილიას შემოქმედებაში, ეს არის ბუნების სიყვარული. გ. ჯავახიშვილი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული დამახასიათებელია ყველა იმ მწერლისათვის, „რომელიც აწმყოში არარას ჰპოვებს და წარსულში ეძებს კარგს მხარეებს", მაგრამ ილიას არ ეკუთვნებს ამ მწერალთა რიგებს. მართალია ილიას შემოქმედებას ახასიათებს პესიმისტური კილო, „მაგრამ მაინც მასში სდუღს სურვილი წინსვლისა, ბრძოლისა და არა თუ ბრძოლისა, გამარჯვების იმედითაც არის გატაცებული". ბრძოლის ძლიერი ტემპერამენტი და გამარჯვების მტკიცე რწმენა. რაც დამახასიათებელი იყო ილ. ჭავჭავაძისათვის სხვა კრიტიკოსების მიერაც იყო აღნიშნული და გ. ჯავახიშვილი, ამ შემთხვევაში, ეზიარებს ადრე გამოთქმულ შეხედულებას.

კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს ილიას სტუდენტობის პერიოდზე და სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გარკვეული როლი ითამაშა პროგრესულმა რუსულმა ლიტერატურამ და კერძოდ ჩერნიშევსკიმ. სწორია გ. ჯავახიშვილი იმ შემთხვევაში. როდესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სტუდენტობის ხანა ნაყოფიერი ყოფილა ილიასათვის. უმეტესი ნაწილი იმის ნაწარმოებთა ან ამ დროს არის დაწერილი, ანა და დაწყებული. ესე, რომ ამ ხანებშივე ისახება მთლიანად მგოსნის ფიზიონომია... ამ ხანაშივე ეტყობა ილიას, რომ საზოგადო მსოფლიურსა და საკაცობრიო საკითხებს იმის გულში არა ნაკლები ადგილი უჭირავს"[2]. მაინც რა არსებითი ნიშნებით ხასიათდება ილიას შემოქმედება სტუდენტობის პერიოდში? ეს არის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულ ნაკლოვანებათა გმობა. ცდა მისი გამოსწორებისა და იდეალური მოსწრაფე-

---

[1] „ისარი". 1907 წ.. № 195.

[2] იქვე.

[3] „ისარი", 1907 წ.. № 196.

ბანი, „მიყოლა ციურ ხმათა“. მართალია, არსებული ნაკლოვანებანი პოეტში სევდას აღვიძებენ, მაგრამ ბრძოლის უნარი მასში მაინც დიდია.

ეხება რა ილ. ჭავჭავაძის პოეტურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველ წლებს, გ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ილიას ბრძოლას ძველი თაობის წინააღმდეგ და „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. სწორად შენიშნავს მკვლევარი, რომ „საქართველოს მოამბის“ გამოცემამ დიდი კვალი დაამჩნია ჩვენს ლიტერატურას... ეს პირველი ცდა იყო ქართულ ნიადაგზედ ნამდვილი სახის ჟურნალის გამოცემისა“[1].

გ. ჯავახიშვილი არ იზიარებს იმ ყალბ შეხედულებას „ვითომ ილია მარტო მაშინ ბეჭდავდა ბატონყმობის წინააღმდეგ წერილებს, როცა იგი უკვე გადავარდნილი იყო და იძლევა იმ ნაწარმოებთა მიმოხილვას, რომელიც მიმართულნი არიან ბატონყმობის წინააღმდეგ. მისი აზრით ამ ნაწარმოებებს „სხვა დანიშნულება ჰქონდა და არა მარტო ლიტერატურული. ამ ნაწარმოებებს აზრად ჰქონდა, რომ საზოგადოებაზედაც მოეხდინა შესაფერი გავლენა, ან მოემზადებინა იგი ამ მოვლენის გადავარდნისათვის ან შეეჩვია იგი აჰის გადავარდნისათვის... ისე მკაცრად და ამასთან საბუთიანად, როგორც ილიას ნაწერებში, არსად არ არის გაკიცხული წოდებრივი უთანასწორობა და მისი შედეგი. ამიტომაც, ეს ნაწარმოებნი სამუდამო სამაგალითო ნიმუშად დარჩება ამ ისტორიულ უსამართლობის შესასწავლად“[2]. „კაკო ყაჩაღით“ ილიამ გვიჩვენა, თუ როგორ აიძულა ბატონყმობამ მშვიდობის მოყვარე გლეხობა ყაჩაღად გადავარდნილიყო და ისე ერჩინა თავი. „გლახის ნაამბობში“ დახატულია ის, თუ რა გამრყვნელი გავლენა ჰქონდა ბატონყმობას მებატონეზედ, როგორ ამხეცებდა იგი ბუნებით კარგ ადამიანსაც-კი, ხოლო „კაცია-ადამიანში“ ვხედავთ მზა სურათს ამნაირ დამახინჯებულ ადამიანისას“[3].

გ. ჯავახიშვილის აზრით, ეინაიდან აწმყო არაფერს იძლეოდა სანუგეშოს, ამიტომ ილიამ წარსულს მიმართა. წარსულში ილია მხოლოდ დადებით მოვლენებზე ამახვილებს მკითხველთა ყურადღებას და ადარებს მათ თანამედროვე მდგომარეობას. „მისი ნაწარმოებნი, სამშობლოს წარსულიდან ამოღებული, გარდა აღწერილობითი ხასიათისა, წარმოადგენს ცდას—მათის საშუალებით მაგალითი მისცეს დღევანდელ საზოგადოებას“ — ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ილიას „დიმიტრი თავდადებული“ და „დედა და შვილი“. ამ ნაწარმოებებით ილიამ შეძლო მოეცა ღრმა დახასიათება და დასაბუთება სამშობლოს სიყვარულისა, ახსნა ამ სიყვარულისა საზოგადო კაცობრიული მოტივებით. მამულიშვილური გრძნობის ღრმა დასაბუთებით და მისი ფსიქოლო-

---

[1] „ისარი“, 1907 წ., № 198.
[2] „ისარი“, 1907 წ., № 199
[3] „ისარი“, 1907 წ., № 203.

გური ანალიზით, გ. ჯავახიშვილის მართებული შეხედულებით, ილია განსხვავდება სხვა მგოსნებისაგან.

გ. ჯავახიშვილი სწორად შენიშნავს აგრეთვე, რომ „აჩრდილი“ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებია ილიას შემოქმედებაში. მას ავტობიოგრაფიული მნიშვნელობაცა აქვს იმდენად, რამდენადაც პოემაში მთელი სიცხადით იხატება „მგოსნის მთელი სიცოცხლის სულის კვეთება; ის რაც სხვადასხვა დროს აწუხებდა. აქ არის შეკრებილი“. მართლაც „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი 1858 წელს ეკუთვნის, ხოლო მისი ბოლო რედაქცია 1881 წლით თარიღდება. ნაწარმოებში ყველა ის მტკივნეული საკითხებია დასმული და ზოგი მათგანი ზოგადად გადაწყვეტილიც, რომელიც აწუხებდნენ დიდ მამულიშვილს და რომელთა სრულყოფილად წარმოდგენას მწერალმა. სხვადასხვა დროს, სპეციალური ნაწარმოებნი უძღვნა, სწორია გ. ჯავახიშვილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშავს, რომ როგორც სოციალურ, ასევე ეროვნულ საკითხსაც ილ. ჭავჭავაძე საზოგადო კაცობრიული საზომით წყვეტდა.

„საზოგადო კაცობრიულ საკითხთა“ განხილვას ილიას შემოქმედებაში გ. ჯავახიშვილმა სპეციალური თავი უძღვნა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „თავის სამშობლოს ვიწრო ფარგლებიდან გამომდინარეობს მისი (ილიას—ი. ბ.) მსოფლიო შეხედულება, და მგოსანი თვით ადამიანის ძირითად საფუძველზედ არჩევს და არკვევს იმნაირსა კითხვებს, რომელნიც შეადგენენ კაცობრიობის ცხოვრებისა და არსებობის სათავეს“[1]. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია წოდებრიული უთანასწორობა. რომელიც კვლავ საჭირბოროტო საკითხად დარჩა ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგაც. ამ საკითხს უძღვნა ილიამ თავის უკედავი „ოთარაანთ ქვრივი“. გ. ჯავახიშვილმა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში პირველმა გამოთქვა ის საყურადღებო აზრი, რომ „თავის „ოთარაანთ ქვრივით“ მგოსანი ამტკიცებს, რომ ამ კედლის დანგრევა ბეუძლებელიცაა ჯერჯერობით, რადგან იგი ისტორიულად არის აღმოცენებული და იმის დანგრევაც თანდათან იქნება შესაძლებელი“. გ. ჯავახიშვილი წინააღმდეგია იმ გავრცელებული შეხედულებისა, თითქოს ილიას შესაძლებლად მიაჩნდეს „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. პირიქით, საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად კრიტიკოსი სწორად აღნიშნავს, რომ „ოთარაანთ ქვრივში“, ილიას გაგებით „ამ ორ სხვადასხვა შეხედულობის ხალხთა მორიგება და ერთად მოთავსება შეუძლებელია“. „ოთარაანთ ქვრივს“, როგორც მხატვრულ და ღრმა შინაარსის მქონე ნაწარმოებს გ. ჯავახიშვილი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს. „ჩვენ—წერს იგი—იშვიათად შეგვხვედრია არა თუ ჩვენის, არამედ უცხოელების სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიაც კი ამნაირი ღრმა ფსიხოლოგიური ანალიზი უპირველეს სოციალურ პრობლემისა. უფრო

[1] „ისარი“, 1907 წ., № 207.

მეტის თქმაც შეგვიძლიან: თვით სოციალურ ფსიხოლოგიის ლიტერატურაშიაც კი ბევრი არ მოიპოვება ასე სავსებით გადამწყვეტი ფსიხოლოგიური ახსნა წოდებრივ ურთიერთობისა ცხოვრების ნიადაგზედ"[1]

„ოთარაანთ ქვრივით", აღნიშნავს გ. ჯავახიშვილი, ილ. ჭავჭავაძემ ანდერძი აუგო „ტეტიათა მოტრფიალეთა" იდეოლოგიას, არჩილმა და კესომ სასტიკი მარცხი განიცადეს. რაც შეეხება დიალოგს და ძმას შორის (თავი „დასაწყისი განთიადისა"), გ. ჯავახიშვილს არ ესმის იმგვარად, როგორც ეს ზოგიერთ კრიტიკოსს ესმოდა, მისი აზრით „აქ ალეგორიულად დასურათხატებულია ფსიხოლოგიური მხარე იმ გზისა, რომლითაც უნდა შესწორდეს წოდებრივი უსწორმასწორობა, თორემ ძგოსანმა ხომ იცის, რომ გასწორებისათვის საჭიროა სინამდვილე ცხოვრებისა, არა მარტო ფსიხიურ ნიადაგზე დამზადება, არამედ პირველად ეკონომიურის ურთიერთობის ახსნა. თვით შინაარსი მოთხრობისა ეუბნება გარეშე ჰყოფს მგოსნის შეხედულებას წოდებაზედ, იმის სიმპატიას გლეხთა მიმართ. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს მოთხრობა დაწერილია 1887 წ. და განა ამის დამწერს ვინმე დასწამებს თავად-აზნაურობის იდეალის გამხმასახველობას? მგონი რომ არავინ. მაგრამ ასე კი მოხდა და ეს, ვფიქრობ, არის ერთი უსაშინელესი ისტორიული უსამართლობათაგანი მგოსნისა მიმართ"[2].

ჯ. ჯავახიშვილის ეს შეხედულება სავსებით სწორია. სწორია, რომ ილიამ მკვეთრად გაუსვა ხაზი ორ წოდებას შორის არსებულ უსწორმასწორობას და გაუგებრობას, რასაც თავისი ისტორიული საფუძველი ჰქონდა, მაგრამ არ არის მართალი მკვლევარი, როდესაც იგი წერს, თითქოს „ამ მოთხრობაში ვხედავთ, რომ დედას და შვილსაც ვერ გაუგიათ თავიანთი გულის ნადები და თუნდაც რომ გაიგონ, ვერ გაუწვდიათ ხელი ერთმანეთისათვის". ვფიქრობთ, მოთხრობის არც ერთი ადგილი არ უნდა იძლეოდეს ამ დებულების წამოყენების საშუალებას. არც ის არის მართალი, თითქოს ილ. ჭავჭავაძეს ამ ნაწარმოებით იმის თქმაც სურდა, რომ გაუგებრობა დამახასიათებელი და აუცილებელია ხოლმე მხოლოდ წოდებათა შორის, არამედ იგი აუცილებელი ყოფილა დედა-შვილს შორისაც, რადგან საერთოდ ასეთია ადამიანის ბუნება. დედა-შვილობის საკითხს ყველაზედ ძლიერად და საფუძვლიანად ილ. ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივში" შეეხო. მთელი მოთხრობა და კერძოდ XI თავი („ორი თვალი"), რომლის მიხედვითაც გ. ჯავახიშვილს ზემოთ მოტანილი დასკვნა გამოაქვს, ჩვენი აზრით, სწორედ იმას მოწმობს, რომ დედა-შვილს შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობს, მართალია ზოგიერთ საკითხში მათი ინტერესები და შეხედულებანი არ ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთიმეორისა არ ესმოდეთ.

---

[1] „ისარი", 1907 წ., № 207.

[2] იქვე.

გიორგი მეტად სათუთად ინახავს გულისა და გონების სიღრმეში თავის ფიქრებსა და გრძნობებს, უფრთხის მათ გამომზეურებას, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი ჯადოსნური ძალით სწვდება მათ, გონივრული თვალით ზომავს და გრძნობს შვილის გულის თითოეული სიმის შერხევას. დედას ესმის შვილის დაჩრილი გულის კვნესა.

— შენი ფიქრი სადა ჰქროდა რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოკვედი, ისე სმენა-დახშული და გონება-გაქცეული იდექი.—ეკითხება დედა შვილს—განა ერთხელ და ორჯელ მინახივხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯერ მინახივხარ: სადილ-ვახშამზე ლუკმა პურში ჩაგიდგია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ, თითქოს სადილიდამ წაგიღო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრას გიპირობსო.

—ეგეც დრომ იცის დედი!

—სხვამ არაფერმა?

—იქნებ სხვამაც...

—ჯადომაც იცის, შვილო ჯადომაც...

გიორგის გულში მოჰხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგად ვერ მიეგნო,—რად უხსენა დედამ ჯადო. გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აიყოლია მისი გონება.

— ჯადო რა მოსატანი იყო? — ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, — ვაი, თუ...

ვერ დაასრულა სათქმელი, სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს.

გაიქნია უმადურად თავი, წამოდგა ფეხზედ, დედას ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ ხელი და უთხრა:

—წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, შენგან გამიგონია, დედი.

— „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“, მაწ ესეც გაიგონე, ჩემო კარგო—უთხრა დედამ.

—რა ექნა,—ჰფიქრობდა გულში გიორგი—რატომ ეგრე ახლო მიმივიდა? ცოდნით მოსდის თუ ალალბედობით? თითონ ჰტრიალებს ახლოზედ, თუ ჩემს გუმანს მოაქვს იმისი სიტყვა შორიდამ ახლოს.

საყურადღებოა მოთხრობის მეორე ადგილიც. ოთარაანთ ქვრივი მოზრდილ ბარგს ატანს არჩილთან და კესოსთან მიმავალ გიორგის:

—მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი... თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

—ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

—ქალი ხომ უფრო საბოლოოთ არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

—მართალია, მაგრამ ქალი,—მინამ გათხოვდება,—დასაფრენი ბღარტია და ფრთის ქვეშ უზის დედასა.

—როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

—ძაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს...

გიორგი აიმრიზა, ხმა აღარ გასცა. მიტრიალდა და კუთხეში რაღაც ღუთური დაიწყო, ვითომ-და ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ გაწყვეტა ლაპარაკისა შენიშნა და შეიმჩნია კი.

—უფრთხის ახლოს მისვლასაო,—იფიქრა დედამ.

პოტანილი და სხვა მრავალი მათი მსგავსი, ადგილები, ნათლად მეტყველებენ, რომ დედა-შვილს მშვენიერად ესმით ერთმანეთის, მაგრამ სიყვარულის სათუთ გრძნობას ორივე მეტად ფრთხილად და ფაქიზად ეკიდება. არცერთი მხარე არ აშიშვლებს ამ გრძნობას, საკუთარი სახელით არ იხსენიებს საგანს, მაგრამ ორივე მხარისათვის საკითხი სავსებით გარკვეულია, ორივე მხარე საგანს თავს დასტრიალებს და მათ გარკვევით ესმით ერთიმეორის.

ილ. ჭავჭავაძემ თავისი შემოქმედებით კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მოქმედი კანონმდებლობა და სასტიკად დაჰგმო საზოგადოების მიერ პიროვნების გაუტანლობა, წინააღმდეგობა და გაუგებრობა, არსებული ინდივიდისა და საზოგადოებას შორის. ამ საკითხს უძღვნა მწერალმა პატარა მოცულობის ნაწარმოები „სარჩობელაზედ". გ. ჯავახიშვილს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ეს მოთხრობა, განსაკუთრებით გაუმახვილებია ყურადღება ძმის წერილზე პეტრესადმი, რომელშიც „მგოსანი სჯის არა მარტო კანონმდებლობას, რომელიც დარჩენილ ძმასაც უარესად აბრაზებს, არამედ მთელ საზოგადოებას, რომელიც ასე გაუგებრად ჰსწყვეტს და გულ-გრილად უცქერის ადამიანის პიროვნების შელახვას"[1].

ამრიგად, გ. ჯავახიშვილის აზრით საზოგადოებრივი ცხოვრება წინააღმდეგობებით არის ალსავსე. წინააღმდეგობანი და გაუგებრობანი თავს იჩენენ თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, დედასა და შვილს შორის, მაგრამ წინააღმდეგობას ადგილი აქვს ცალკეულ ადამიანის არსებაშიც, რაც კრიტიკოსის აზრით პოეტმა თავის უკვდავ „განდეგილში" გვიჩვენა.

„განდეგილით", წერს გ. ჯავახიშვილი, ილია „გვიჩვენებს, რომ რაც უნდა განმარტოვებულად იყოს ადამიანი, იმის გულში იბრძვის ორი, ურთ-ერთის მოწინააღმდეგე გრძნობა, ორი ბუნება ერთსა და იმავე კაცისა. რაც უნდა დაიჩაგროს ერთი, ხოლო მეორე ამაღლდეს, დაჩაგრული მაინც თავისას გაიტანს და ერთხელაც იქნება ხმას ამოიღებს"[2].

გ. ჯავახიშვილის აზრით ყოველ ადამიანში არსებობს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო გრძნობა, რომელნიც ებრძვიან ერთმანეთს. ერთია—მისწრაფება განყენებული იდეებისადმი, მისწრაფება გონებრივ

---

[1] „ისარი" 1907 წ., № 211

[2] იქვე

ღ: ზნეობრივ გაფაქიზებისადმი, ხოლო მეორე სურვილი ამქვეყნიური სიტკბოების ვამოცდისა. ცხოვრებით სარგებლობისა. თუმცა ამ ორ გრძნობათა და მისწრაფებათა შორის წინააღმდეგობაა, მაგრამ მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, რადგან ასეთია ბუნება ადამიანისა.

რა თქმა უნდა, გ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი სწორი არ არის. ამ ორი გრძნობის არსებობა ადამიანის ბუნებაში დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენს. მართალია, არსებობენ პიროვნებანი, რომელთა ბუნებაც წინააღმდეგობათა შემცველია, მაგრამ ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ და არა ტიპიურ მოვლენას. რომ ყოველი ადამიანის არსება წინააღმდეგობებით ყოფილიყო აღსავსე, მაშინ კაცობრიობის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა.

ილ. ჭავჭავაძე „განდეგილით“ სრულებითაც არ ცდილობს დაამტკიცოს, როგორც ამას გ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ თითქოს „თვით ადამიანის გულში ორი კაცი ზის, ორი ბუნება: ერთი მიისწრაფის ზეცისაკენ სულის ასამაღლებლად, მეორე კი ელტვის დედამიწას... და კაცობრიობას დღემდე ამ ორი ბუნების შესარიგებლად ვერა გამოუძებნია რა“.

იმავე „განდეგილში“ წარმოდგენილი მწყემსი ქალის სახე, რომელიც ღვიძლი შვილია ჩვეულებრივი ცხოვრებისა, სწორედ ამ დებულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

თვით განდეგილის არსებაში ერთ და იმავე დროს ორი გრძნობა, ორი ბუნება არ არსებობს. ყინულთა შორის მარტოდ-მარტო დაყუდებულს. „განუდევნია გულიდამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი... აქ სული მისი აღყვავებულა, და ხორციელი გულისთქმა ყველა დამარხულა და განსვენებულა“. ასე მიმდინარეობდა მისი ცხოვრება წელთა განმავლობაში და გაგრძელდებოდა, ალბათ, ბოლომდე, რომ მწყემსი ქალი არ შეხვედროდა. ცხოვრების შვილთან შეხვედრამ დაარღვია მისი მყუდროება. შეარყია წლების განმავლობაში ღოცვა-ვედრებით აყვავებული სული და მიუხედავად დიდი შინაგანი ბრძოლისა საბოლოოდ იძლია. დამარცხდა იმ ქვეყნიური ტრფიალების გრძნობა, აზრი და ფიქრი, ვაიმარჯვა რეალურმა ბუნებრივმა გრძნობამ და მოთხოვნილებამ.

აბრიგად, „განდეგილის“ ლეიტმოტივი სრულებითაც ის არ არის, რასაც გ. ჯავახიშვილი ფიქრობს. ამ საკითხის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

გ. ჯავახიშვილი ფეხდაფეხ მისდევს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევითარების გზას და საბოლოოდ იმ ზოგად სწორ დასკვნამდე მიდის, რომ „მგოსნის მსოფლიო შეხედულობის უმთავრესს საგანს შეადგენდა უარ-ყოფა დღევანდელ წეს-წყობილებისა და სურვილი ახალ ხანის დამყარებისა. რომელშიაც აღარ უნდა იყოს ერთმანეთის გაუგებრობა, როგორც წოდებრივ, ისე საზოგადო ნიადაგზე აღმოცენებული“[1]. ამ სა-

[1] „ისარი“, 1907 წ., № 271.

კითხის ნათელსაყოფად მკვლევარი სპეციალურად იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ არის წარმოდგენილი ილიას შემოქმედებაში ზნეობრივი ელემენტი და გლეხთა ტიპები.

ეხება რა სტუდენტობის პერიოდის ლექსებს, გ. ჯავახიშვილი ცდილობს გაარკვიოს, თუ რამდენად აღელვებდა მგოსანს მაშინდელ საზოგადოებაში კაცური კაცობის გრძნობის უქონლობა. პოეტი მოუწოდებს ადამიანს, რათა „ვით მამა ზეცის, იყოს თვით სრული“. იგი „ციური ხმებით“ ხელმძღვანელობს და ჰქადაგებს კაცთა სიყვარულს, ცდილობს ამ მაღალი გრძნობის გავრცელებას და განვითარებას საზოგადოებაში. ილია იმასაც კი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა უყვარდეს ადამიანს: „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“, ამბობს პოეტი და მასში თანდათანობით თავს იჩენს, ერთის მხრით, ზიზღი და პრეტენზია, მეორე მხრივ,—შებრალება დაჩაგრულთადმი. სიყვარულმა დაჩაგრულთადმი ილია მიიყვანა გლეხობის თაყვანისცემამდე. „იმ მრავალწლოვან აუტანელ ტანჯვაში,—წერს გ. ჯავახიშვილი,—რომელიც გლეხობამ გამოიარა, იმ შელახვაში მასში ადამიანური ღირსებისა და პიროვნებისა, რომელიც მან გამოსცადა, იგი ჰხედავდა საკმაო საბუთს, რათა გლეხთათვის ეპატიებინა ყველა ნაკლი და მარტოოდენ კარგი მათი მხარეები გაეთვალისწინებინა. ამნაირ გრძნობის განვითარების შედეგია ისეთი დასურათება ყაჩაღობისა, როგორიც მოგვცა ილიამ თავის ნაწარმოებებში“[1]. გ. ჯავახიშვილი, ერთი მხრით, მართალია. კაკოს, ზაქროს და გაბრიელის სახით ილიამ წარმოგვიდგინა უაღრესად დადებითი ხასიათის გლეხები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს თითქოს ილია გლეხობაში საერთოდ ვეღარ ხედავდეს უარყოფით ელემენტს. ლუარსაბ თათქარიძის მოურავი დათო და „გლახის ნაამბობის“ გიტო, თუმცა ეპიზოდური, მაგრამ მკვეთრი სახეებია ბატონყმური ინსტიტუტის წყალობით გადაგვარებული, გაიძვერა, პირმოთნე და გათახსირებული გლეხობისა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მათ გვერდით უფრო ნათლად და სიმპატიურად გამოყურებიან განსაკუთრებული სიყვარულით შექმნილი კაკოს, ზაქროს და გაბრიელის სახეები, რომელთაც ავტორი მხოლოდ დადებითი მხარეებით წარმოგვიდგენს. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ გ. ჯავახიშვილს ათქმევინა: ილიას „ნაწარმოებნი წარმოადგენენ, ერთის მხრით, რეალურ ელემენტს, როცა ისინი ეხებიან მოწინავე წოდებას და მის შნიშვნელობას საქართველოს დაქვეითებაში და, მეორეს მხრით, თითქოს სანტიმენტალურ გაიდიალებას, ამაღლებას იმ პირთა, ვინც დაჩაგრული იყო“.

გ. ჯავახიშვილი ამ მოსაზრებას უკიდურესობამდე ავითარებს და,

---

[1] „ისარი“, 1907 წ., № 271.

ულადაოდ. ძცდარ დასკვსაძდე ძიდის. იგი ფიქრობს, რომ გლეხთა „დასურათხატება ილიას ნაწარმოებებში უდაოდ სუსტია". რადგან ისინი წარმოადგენენ არა ოვალურ ტიპებს, არამედ „მომავალში განსაითარებელ ელემენტს". ამიტომ „რაკი ილია თავის მოთხრობებში ამ აზრით ასურათებდა გლეხებს, გასაკვირველი არ არის, თუ ისინი ცოტა უფეოულნი გამოვიდნენ. ილიას ამ მოთხრობებში მიზნათა ჰქონია მათი დასურათხატება არა ისე, როგორნიც ისინი არიან, არამედ ისე, როგოოც ისინი ისწრაფვიან. რომ იყვნენ. მაშასადამე, მათში ილიას აინტერესებს ის შეხლა და ბრძოლა ინტერესთა, რომელიც ასტყდა გლეხთა და თავადაზნაურთა შორის, ის ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის, რომელიც ჯერ დაასურათხატა ყაჩაღობის გადავარდნაში"[1].

ცხადია, ეს შეხედულება სწორი არ არის. ძნელია ილიას შემოქმედებაში ვიპოვოთ რომელიმე მოქმედი პირი გლეხთა წრიდან, რომელიც რეალური ცხოვრების სინამდვილიდან არ იყოს ამოღებული და მეტ-ნაკლებად არ გადმოსცემდეს განაწამები გლეხობის რეალურ სულისკვეთებას, მათ მდგომარეობას, მათ აზრსა და ფიქრებს. ილიას უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ჯოგჯა არა მხოლოდ რეალური სურათი გლეხთა ეკონომიური და სოლიდარული მდგომარეობისა, არამედ ნათლად დაგვანახა მათი სულიერი მხარეც, მათი სურვილები, მიზნები და მისწრაფებანი, რაც უფრო მკაფიოს ხდის მათ რეალურ სახეს. სწორედ იმ შეხლასა და ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის და რომელიც ილიას ყურადღების ცენტრში იდგა, მკვეთრად აისახა ნამდვილი სახე ქართველი გლეხობისა.

ჩვენ გ. ჯავახიშვილის ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, თითქოს ილ. ჭავჭავაძეს „თავის პირვანდელ ნაწერებში სრულიადაც არ ჰქონია აზრად გლეხთა საესებით დახასიათება; გლეხები ავტორს მხოლოდ იმდენად აინტერესებდნენ. რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ: 1. ობიექტს თავად-აზნაურთა თარეშობისას და 2. მებრძოლ ელემენტს, ამ მოვლენასთან საწინააღმდეგოდ გამოსულს. ამიტომაცაა, რომ ილია თავის ნაწერებში: „გლახის ნაამბობი", „კაცია-ადამიანი", „კაკო ყაჩაღი" და „სცენები მომრიგებელ შუამავალთან" უმთავრესად თავადაზნაურობის დახასიათებას აქცევს ყურადღებას"[2]. ვფიქრობთ, არცერთი ზემოხსენებული ნაწარმოები ასეთი დებულების წამოყენების საშუალებას არ იძლევა. მართალია, „კაცია-ადამიანი" ძირითადად თავადაზნაურობის გადაგვარებული ცხოვრების ნათელი სურათია. მაგრამ ილიას, როგორც დიდი ოსტატის, ღირსება. სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვით თავადაზნაურობის ცხოვრების ასახვით და ლამაზისეულის, დათოს და ხელზედ მოსამსახურე გოგო-ბიჭების

[1] „ისარი", 1907 წ., № 271.
[2] „ისარი", 1907 წ., № 279.

ეპიზოდური სახეების ჩვენებითაც კი სრული წარმოდგენა მისცა მკითხველს გლეხობის მდგომარეობაზე, მოგვცა სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფ გლეხთა სრული დახასიათება. თუ „კაკო უაჩაღში“ ეპიზოდურად არის მოცემული მრისხანე ბატონის აჯამი სახე, სამაგიეროდ საფუძვლიანად და სრულყოფილად არის წარმოდგენილი გლეხთა ცხოვრების ეკლიანი გზა ბავშვობიდან დავაჟკაცებამდე. რაც შეეხება „გლახის ნაამბობს“, აქ როგორც ბრწყინვალე წოდების, ასევე გლეხობის სახეები ერთნაირი სიცხადითა და სრულყოფილობით არის წარმოდგენილი დიდი შემოქმედის მიერ.

გ. ჯავახიშვილი ვერ ახერხებს მის მიერ წამოყენებული დებულების თანმიმდევრულად გავითარებას და შეიძლება თავისდა შეუმჩნევლად საწინააღმდეგო მსჯელობას ავითარებს. ილიას ნაწარმოებებში გამოყვანილ გლეხობას იგი ორ ჯგუფად ყოფს. „ერთი გვარი გლეხთა, გამოყვანილი „კაცია-ადამიანში“ დასურათხატებულია დაჩაგრულ, ხმის ამოუღებელ ადამიანებად, რომელთაც, მართლაც დაუკარგავთ წარმოდგენა თავის თავის ღირსებაზედ, იმდენად ძლიერია ზედგაყლენა მათზედ ბატონ-ყმურ წეს-წყობილებისა,“—ეს არის ლამაზისეული. „კაცია-ადამიანშიევ“ დასურათებულნი არიან ისეთი გლეხნიც, რომელნიც, მართალია, ჯერ არ ეწინააღმდეგებიან ბატონებს, მგრამ მაინც იმნაირ მდგომარეობამდე არ მისულან, რომელშიაც ლამაზისეულია“, მეორე ჯგუფი გლეხობისა გვხვდება „გლახის ნაამბობში“ და „კაკო უაჩაღში“. ესენი არიან: გაბრო, კაკო და ზაქრო. „ამ ჯგუფს რომ დაუკვირდეთ, ადვილად მივხვდებით, რომ უაჩაღად გავარდნა უოფილა იშვიათი კი არა, ჩვეულებრივი ამბავი და საშუალება ბატონ-ყმობის აუტანელ პირობებისაგან თავის დახსნისა“. თავის თავად ეს მეორე ჯგუფი კიდევ ორ ნაწილად იყოფა: „ერთნი, როგორც გაბრიელი და ზაქრო, იმისათვის არიან გამოყვანილნი, რომ ნათელჰყოს მგოსანმა ღრმა სოციალური პირობები და მიზეზები იმნაირი მოვლენისა, როგორიც უაჩაღად გავარდნაა; რომ გვიჩვენოს, როგორ და რა დიდი ხნის უოყმანის შემდეგ ჩრდილობენ ისინი ამ ხელობას, ხოლო მეორენი, როგორც კაკო უაჩაღი და ორიოდე სიტყვით ნახსენები არსენა, წარმოადგენენ მზა სურათს უკვე დამთავრებულის ადამიანისას, რომელსაც მომავალში აღარა მოელის რა. გარდა იმ ხელობისა და გაჭირვებისა. რომელიც მათ ბატონყმობის ნაცვლად არჩიეს... ამნაირად, ორივე ტიპს მიზნად აქვს საკმაოდ დახატვა იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენდა გლეხთა ცხოვრებაზედ ბატონ-ყმობა. როგორ მზადდებოდა ხოლმე მშვიდობის მოყვარე და გულჩვილი ადამიანისაგან შეუპოვარი და დაუდეგარი ცხოვრებისაგან გარიყული უაჩაღი“[1].

სწორედ ის გარემოება, რომ ილიამ თავის შემოქმედებაში „სხვადასხვა უალიბის“ გლეხობა“ წარმოგვიდგინა, ერთის მხრით პირუტყვის

[1] „ცისარი“, 1907 წ., № 279.

მდგომარეობამდე მისული, აზროვნებადაქვეითებული ადამიანები ლაზარე მაზნისეული და გლახა ჭრიაშვილი, მეორეს მხრივ, გაიძვერა, გაქნილი და პირძღმისი გლეხობა—მოურავი დათო და გიტო, ხოლო, მესამე მხრივ, იარაღით ხელში უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობა—კაკო, ზაქრო და გაბრიელი,—იმის შესახებ მეტყველებენ, რომ ილიას ყურადღების ცენტრში, საერთოდ, ქართველი გლეხობა დგას და არა მისი რომელიმე ცალკეული ფენა. არც ის არის მართალი თითქოს ილიას ყურადღების გარეშე დარჩა ე. წ. „საშუალო ყალიბის“ გლეხობა, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა. პეპია, თამრო, პეტრე და მეუღმე („კაკო ყაჩაღიდან“), აგრეთვე სხვა რამდენიმე ეპიზოდური სახე, სწორედ, ამ „საშუალო ყალიბის“ გლეხობას ეკუთვნიან, რომელთაც ილია სიყვარულითა და მზრუნველობით დასტრიალებს თავს. მაგრამ მათ შორის მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც მებრძოლ გლეხობაზე ამახვილებს და ეს სრულიად ბუნებრივია. ამ გარემოებაზე გ. ჯავახიშვილიც მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ილიას განსაკუთრებით აინტერესებს სახე „ცხოვრების შეუპოვარის და მასთან მებრძოლის გლეხკაცისა, როგორც ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს გლეხკაცის მომავალი. ვფიქრობთ, რომ აშკარაა ილიას პოზიცია ამ მოვლენაში, მისი ზნეობრივი თვალთ-საზომი. თავისებურება აქ ის არის, რომ ჭავჭავაძე ამ მოვლენას უცქერის მოიმედე გლეხის თვალით“[1]. მკვლევარის ეს დასკვნა უდავოდ მართებულია, მართებულია ისიც, რომ „ეს ტიპები რეალურს მოვლენას წარმოადგენენ“.

ბატონყმობის გადავარდნამ ვერ მოსპო ის ჯებირები, რომელიც არხებობდა თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის. წინააღმდეგობამ ახალი ძალით იჩინა თავი და გლეხობაში კვლავ ახალი დიფერენციაცია მოხდა. ამ გარემოებამ თავი იჩინა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა გ. ჯავახიშვილს.

„ბატონ-ყმობის შემდეგ დროის გლეხნიც—წერს გ. ჯავახიშვილი—ილიას დახასიათებით, შეიძლება გაიყვნენ ორ ტიპად: ერთი, როგორც მეწისქვილე სოსია და გლახა ჭრიაშვილი, მოწამენი არიან მათი აუტანელი ხვედრისა, რომელსაც ისინი დაემორჩილნენ და რომელმაც სრულიად თითქმის აღხოცა მათში ცოცხალი ადამიანის კვალი; მეორე ტიპები (გიორგი და თვით ოთარაანთ ქვრივი) იბრძვის საუკეთესო ცხოვრებისათვის. რომლისათვისაც ცხოვრების მიერ მოზომილი მოქმედების ასპარეზი ვიწროა და სულის შემხუთველი“[2].

გ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით ილ. ჭავჭავაძე როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის ტიპებს საკმაო სიმკვეთრით ხატავს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მეწისქვილე სოსია და გლახა ჭრიაშვილი მწერალს „მოკლედ, თუმცა მკაფიოდ აქვს დასახული. მაშინ როდე-

---

[1] „ისარი“, 1907 წ., № 279.

[2] „ისარი“, 1907 წ., № 283.

საც მეორე ტიპს—ძებრძოლ და წინსვლისაკენ მიმსწრაფველ გლეხებს. (ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის —ი. ბ.) იგი უმთავრესს ადგილს უთმობს თავის მოთხრობებში".

კრიტიკოსის აზრით ოთარაანთ ქვრივი საესებით ჩამოყალიბებული პიროვნებაა. რომელსაც მყარი აზრები და გარკვეული ძიძართულებანი ახასიათებს, გიორგი კი—ჯერ „დაუდეგარი მაჯარია" და ამიტომ მოთხრობაში იგი უფრო უფერულად გამოიყურება. კფიქრობთ, არც ეს შეხედულებაა სწორი. მართალია, ნაწარმოების ცენტრალური გმირი ოთარაანთ ქვრივია, მაგრამ გიორგი არავითარ შემთხვევაში არ არის უფერული. ილ. ჭავჭავაძის, როგორც დიდი შემოქმედის მხატვრული ოსტატობა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია, არა თუ მთავარი მოქმედი პირები, არამედ ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდური სახეებიც კი კალმის რამდენიმე მოსმით განსაკუთრებული სიმკვეთრით ჩამოაქანდაკოს. ვისაც ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებები გულისყურით წაუკითხავს, ძნელია მისი მეხსიერებიდან დაიკარგოს მოთხრობის თუ პოემის რომელიმე მოქმედი პერსონაჟი, რაც უნ-

მეორე ან მესამეხარისხოვანი იყოს იგი.

გ. ჯავახიშვილი, უდავოდ მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ „ოთარაანთ ქვრივში" გაგრძელებაა იმავე ბრძოლისა, რომელსაც ავტორი „კაკო ყაჩაღში" და „გლახის ნაამბობში" წარმოგვიდგენს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში ნაჩვენებია, თუ როგორ იბრძვის გლეხობა წოდებრივი უპირატესობის წინააღმდეგ. როგორც ბატონ-ყმობის პირობებში, ასევე მისი გადავარდნის შემდეგაც. „წოდებრივი წესწყობილება მათთვის (გლეხობისათვის, ი. ბ.) სულის შემხუთავია აქაც და იქაც იბრძვის ამ წოდებრივი წესწყობილების მოსასპობლად. მხოლოდ იქ, სადაც ბატონ-ყმობა ჯერ ისევ გადაუვარდნელი იყო, ჩვენ ბრძოლას ვხედავთ უაჩაღობის სახით, აქ კი ბრძოლა უფრო მალულად, ესე იგი უხილავად სწარმოებს, რადგან კანონმა ვითომდა დაამყარა უფლებრივი თანასწორობა..."[1] კანონმა თითქოს გაათანასწორა გიორგი და კესო, მაგრამ სინამდვილეში ისინი ისევ შორს არიან ერთმანეთისაგან და ამიტომ გიორგის სულიერი მღელვარება უფრო ძლიერია, ვიდრე ზაქროსი და გაბრიელისა. ამის მიზეზი მკვლევარის აზრით ის არის, რომ გლეხობამ იგემა „ცხოვრების სიტკბოება და ნაშთი ბატონყმური წყობილებისა შეიქმნა მათთვის უფრო აუტანელი, ვიდრე ოდესღაც თვით ბატონყმობა". რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ლაპარაკი გლეხთა ცხოვრების სიტკბოებაზე სრულიად ზედმეტია, მაგრამ ის გარემოება, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარების შედეგად გამწვავდა ურთიერთობა გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. რასაც კარგად ხედავდა ილ. ჭავჭავაძე.

[1] „ისარი", 1907 წ., № 283.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ილ. ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივს მიაწერა ის საუკეთესო გრძნობანი და მისწრაფებანი, რომელიც შექსპირის სავსებით განათლებულ ადამიანს? კითხულობს გ. ჯავახიშვილი და თვითონვე იძლევა მართებულ პასუხს: ეს აიხსნება იმით, რომ ვლესობა ყველაზე მეტად განიცდიდა სიმძიმეს წოდებრივი განსხვავებისას, იგი ყველაზე მეტად გრძნობდა სიძნელეს წოდებრივი ზღუდის გარღვევისას, გლეხობაში ყველაზე მეტი იყო სურვილი წინსვლისა და, რაც მთავარია, ილიას გლეხობა მიაჩნდა მომავალი, უკეთესი ცხოვრების საყრდენად.

მკვლევარის აზრით ოთარაანთ ქვრივი მსოფლიო ტიპია, რადგან მას ცხოვრება მოუხდა უმძიმეს პირობებში და, რაც მთავარია „ოთარაანთ ქვრივი ადამიანის ამ თითქმის გამსრეს პირობებს არ შეუშინდა და არ დაჰკარგა მან ადამიანობის ნამდვილი სახე, რომ იგი მუდამ მაღლა ატარებდა ადამიანის გრძნობას... სიმტკიცე ხასიათისა, გრძნობა თავმოყვარეობისა. სხვის წინაშე ქედ-მოუხრელობა, სიმართლის სიყვარული და ამასთან სხვისადმი გულ-შემატკივრობა,—ყველა ეს ჰხდიან ოთარაანთ ქვრივს მთლიან დედაკაცად, რომელსაც ცხოვრებამ, მართალია, თავისი დაღი დაასვა, მაგრამ მაინც არ შეუმცირებია მასში მოთხოვნილება თავის თავისადმი, ადამიანის ღირსება მაღლა სჭირებია, თავისი ადამიანობა არავისთვის გაუქელვინებია და თვითონაც არავინ არ დაუჩაგვრნია... აი, ეს მთლიანობა ადამიანის ბუნებისა: გონების სიმახვილე, შეგნებულება, ხასიათის სიმტკიცე და ამასთან მოსიყვარულე ჩვილი გული. ბგოსნის დასურათებით განხორციელდა ოთარაანთ ქვრივში; იქნება განათლებით იგი დაბლა დგას ბევრ ინტელიგენტზედ, მაგრამ „ადამიანობით". მგოსნის აზრით, ოთარაანთ ქვრივი უფრო მაღლა სდგას. ვიდრე ბევრი მაღალი წრიდან გამოსული ადამიანი"[1].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გ. ჯავახიშვილის ეს მრსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული. ოთარაანთ ქვრივი საგრძნობი ნიშანთვისებებით უახლოვდება მსოფლიო ტიპს. იგი იმ პერსონაჟთა რიგებს მიეკუთვნება, რომელნიც მარადიულად ცოცხლობენ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პრობლემა, რომელსაც ნაწარმოები ეხება, სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ზოგად-საკაცობრიო საკითხებს ეხმაურება.

გ. ჯავახიშვილი მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ „ოთარაანთ ქვრივით" და მასში გამოყვანილი გლეხთა დახასიათებით, ილიამ ის გარემოებას გაუსვა ხაზი, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ „გლეხთა ვითარებაში არ მომხდარა ისეთი არსებითი ცვლილებები, რომელთაც შეძლებოდა გამოეცვალა მათი მიმართულება". წარჩინებული წოდება ისევ ძლავრი იყო, უფსკრული თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის კვლავ არსებობდა, მაზანი ისევ ძველი დარჩა, მხოლოდ ბრძოლის ფორმამ იცვალა სახე. რაც უფრო უკვირდებოდა მწერალი

[1] „ი ს ა რ ი". 1907 წ., № 286.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, მით უფრო ღრმად რწმუნდებოდა, რომ „წოდებრივი წესწყობილების დამხობა ჯერ შორსაა და საეჭვოც არის ახლო მომავალში მისი ასრულება. მიზეზი ის არის, რომ ქონებრივს განსხვავებას ზედ ერთვის განსხვავება ამ ორ წოდებრივ რწმენასა და შეხედულებაში, ჩვეულებაში და, საზოგადოდ, მთელ ცხოვრების აგებულებაში", მაღლი და კეთილი სხვადასხვა წოდებას სხვადასხვაგვარად ესმის, მათ შორის სრული გაუგებრობაა. „ოთარაანთ ქვრივში"— განაგრძობს გ. ჯავახიშვილი— ილია გვიჩვენებს, რომ არა თუ იქ. სადაც აუცილებლად ერთმანეთს ეჯახებიან ეკონომიური ინტერესები ორი წოდებისა, არამედ იქაც კი, სადაც ამისთანა შეჯახებას ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს, გრძნობა და აზრი შეღებილია წოდებრივის ელფერით. წარმოიდგინეთ თვით სიყვარულშიც-კი თავისას იტანს თურმე სოციალური და წოდებრივი სხვადასხვაობა"[1], სიყვარულიც კი უსუსური გამოდგა წოდებათა შორის არსებული ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად. ქონებრივმა და სოციალურმა წინააღმდეგობებმა განაპირობეს ადამიანთა ზნეობრივი და, საზოგადოდ, ფსიქიური ბუნების სხვადასხვაობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცობრიობამ არ იზრუნოს ადამიანის ზნეობის გაფაქიზებისათვის, „კაცური კაცობის" გაუმჯობესებისათვის. გ. ჯავახიშვილის რწმენით, ეს საკითხი ილ. ჭავჭავაძისათვისაც ერთ-ერთი ძირითადი და მტკივნეული საკითხთაგანია. მწერალი „ეძებს საზოგადოებრივ ელემენტებში იმისთანას, რომელსაც შეეძლოს... მდიდრისა და ღარიბის, გლეხისა და ნაბატონარის თუ მორიგება არა, ერთმანეთის გაგება მაინც".

მკვლევარის ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. უდავოა, რომ ილია გულმოდგინედ ზრუნავდა ადამიანის ზნეობის გაფაქიზებისათვის, „კაცური კაცობის" გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დიადი მიზნის-მიღწევა მწერალს შესაძლებლად მიაჩნდა გლეხისა და ნაბატონარის ურთიერთ მორიგებით. ზევით. სადაც ჩვენ სპეციალურად ვეხებოდით ოთარაანთ ქვრივს, დავინახეთ, რომ ილიამ შეუძლებლად მიიჩნია და გააცამტვერა კლასობრივი მორიგების ყოველგვარი თეორია, შეუძლებლად მიიჩნია ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება. ამიტომ, მკვლევარის მიერ ამ საკითხის ირგვლივ წარმოებული მსჯელობა, რომელიც ეხება ხალხში სამოღვაწეოდ გასულ მაღალი წრის წარმომადგენლის „სინანულიან სურვილს" და ხალხსა და თავად-აზნაურობას შორის არსებული გაუგებრობის ძირითადი მიზეზის შეგნებას, სწორი არ არის. არც ერთი ეს გარემოება ილიას არ მიაჩნდა საკმარისად წოდებათა მორიგებისათვის. თუმცა მათ განვითარებას ადამიანის ზნეობის გაფაქიზებად მიიჩნევდა.

საერთოდ, ზნეობრივი ელემენტი, როგორც გ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ილიას შემოქმედებაში საკმაოდ ძლიერია. ილიასათვის „საზოგადო

---

[1] „ისარი". 1907 წ., № 286.

კეთილდღეობა უმთავრესი მიზანია. რომლისათვისაც უნდა ცხოვრობდეს და იღწვოდეს ადამიანი". მაგრამ რა გზით შეიძლება ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელება? ამ შემთხვევაში ორი ძალა მოქმედებს: ერთი—თავდამსხმელი, რომელიც თავისთავსაც იცავს და სხვასაც იმორჩილებს. ხოლო მეორე—მხოლოდ თავის დამცველი. რომელიც უფრო ფარსა. ჰგავს ვიდრე ხმალს და რომელიც პასიურია. მკვლევარის აზრით ილიასთვის დამახასიათებელია მიდრეკილება პასიური ძალისაღმი. რაც. ალბათ. მწერლის მოხუცებულობით აიხსნება, თავის დებულების ნათელსაყოფად გ. ჯავახიშვილს მოაქვს ამონაწერები ილიას შემოქმედებიდან. განსაკუთრებით „დამაკვირდიდან" და ასკვნის. რომ მწერლის გაგებით „გულია ის ელემენტი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელმაც უნდა შეარიგოს ორი მოქიშპე ძალა ადამიანისა—ეგოისტური და ალტრუისტული. რომ გულმა უნდა გადასწყვიტოს ის. რაც შეადგენს კაცობრიობის უმთავრეს საკითხს—სოციალური უთანასწორობა. ჰკუა. მისი წარმოდგენით. ის ძალაა. რომელსაც ცხოვრება წინ მიჰყავს. მაგრამ რომელსაც, სხვათა შორის. ცხოვრება ნებას აძლევს ძლიერის მიერ უძლურის დაჩაგვრისას. თუ ჰკუას გულიც არ მიემატა მაშველ ძალად. მაშინ უთანასწორობა უფრო ძლიერი იქნება... ამნაირად, თუ ჰკუამ კაცობრიობას უნდა საშუალება მისცეს ქვეყნის აშენებისა და წინსვლისა. გულმა-კი უნდა შეიტანოს მასში ელემენტი სოციალური გათანასწორებისა... მაშასადამე. ჰაეპავაძის აზრით სიყვარული ის ძალაა, რომელიც აშენებს კაცობრიობის კეთილდღეობას. რომელიც სძლევს ბოროტს ძალას და რომელიც შეარიგებს ეგოისტურ და ალტრუისტულ გრძნობებს"[1].

გ. ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში. უდავოდ. მართალია. მაღალ ზნეობას და ადამიანთა შორის ურთიერთ სიყვარულის გრძნობას. ილ. ჰაეპავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულების საქმეში და დიდ ადგილსაც უთმობს თავის შემოქმედებაში. პოეტი ხშირად უკიდურეს გულუბრყვილობამდეც კი მიდის და ჰქადაგებს სიკეთის საშუალებით და სიბრალულის გზით უბოროტესი მტრის ძლევას:

გებრალებოდეს. ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო...
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს აშმეედე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

ან კიდევ:

სიკეთით სძლიე შენს მტერსა.
ერიდე სისხლით ხელევასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა.

[1] „ისარი" 1907 წ, № 287.

ეს და ანალოგიური სტრიქონები ილიას დიდ ჰუმანიზმზე მიუთითებენ. მისი აზრით სიბრალულისა და სიყვარულით აღსავსე გულს, სინდისსა და ნაშუსს და კაცურ კაცობას უნდა დაემყარებინა სრული ჰარმონია ადამიანთა შორის. „ასეთი მორალი შეინიშნავს პრ. რატიანი— ვერ ეჩვენებოდა გზას მშრომელ ხალხს უკეთესი მომავლისაკენ. პირიქით, მას შეეძლო აეცდინა მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი სწორი გზიდან“[1]. ასეთი შეხედულება მართლაც დამახასიათებელი იყო მწერლისათვის ბოლვაწეობის უკანასკნელ პერიოდში. იგი თავს იჩენდა უფრო ადრეც. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უფრო ვიწრო ადამიანურ ურთიერთ დამოკიდებულებას გულისხმობდა. მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ილიას მიერ მიღებული ყოფილიყო აქტიური ძალის გამოყენება. არა იმ გაგებით, რომელიც სხვას იმორჩილებს, არამედ—თავისი ვინაობის დასაცავად ხმარებული. სწორედ ამ შემთხვევაში მკლავდება ილიას დიდი რევოლუციური პათოსი და რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენენ ისეთი უკვდავი ნაწარმოებნი, როგორიცაა: „მგზავრის წერილები“, „ქართვლის დედა“, „აჩრდილი“, „კომუნის დაცემის დღე“ და სხვ. იქ სადაც საქმე იხეთა ეროვნულ დამოუკიდებლობას. ილ. ჭავჭავაძე უკან არ იხევს სისხლიანი გზის წინაშე, რადგან მას სწამს, რომ

თავისუფლების მშოენელი
ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია.

ილია ქმნის თავისუფლების ოდას. მან კარგად იცის. რომ თავისუფლების დიდებული ტაძარი უსისხლოდ არ შენდება, თავისუფლება არის „უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი. მაგრამ სისხლით კი იკელეს გზასა მბებნელი შენი.“ ამ შემთხვევაში ილიასათვის უცხოა ყოველგვარი კომპრომისი. უცხოა შებრალების. მიტევების. მოქმედების პასიური გზა. ამ შემთხვევაში ხმალთან ერთად გულმაც უნდა გაჭრას და მწერალიც ოვალსიანად მოუწოდებს ქართველობას:

მამულის დამხსნელს—ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია...
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!..

მტრისადმი შენდობას ილია ჰგმობს იმ შემთხვევაშიც. თუ მტრობა უკიდურეს, აუტანელ ფორმებს აღწევს. „ის დალოცვილი მღვდელი ბოგვითხრობს გაბრიელი—ხშირად მარიგებდა ხოლმე. რომ მტერსაც პატივება უნდაო. მეც ვამბობ. მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში

[1] პრ. რატიანი. „ილ. ჭავჭავაძე—ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1954 წ., გვ. 92.

კი სხვა ბალღამი ტრიალებს. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა, სულ ტყუილია მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია...“ ეს იყო ნეშაარიტი დასკვნა ცხოვრებაზე დაკვირვებული რეალისტი მწერლისა, რაც ეწინააღმდეგებოდა მის სურვილებსა და მისწრაფებებს. გ. ჯავახიშვილი სწორედ ამ ფაქტით ხსნის იმ გარემოებას, რომ ის ნაწარმოებნი ან ცალკეული გამონათქვამები. რომელნიც ქადაგებენ შებრალებას, სიყვარულსა და სათნოებას მოკლებულნი არიან „აღფრთოვანებით კილოს“. „აშკარაა, რომ მადლს არც ისე დიდი გასავალი აქვს ჯერ, რომ შგოსანი ღტაცებაში მოსულიყო“.

ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ გ. ჯავახიშვილის შეხედულებანი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველი მაინც შეამჩნევდა იმ უდავოდ საყურადღებო და ორიგინალურ მოსაზრებებს, რომელნიც მკვლევარმა წამოაყენა და რომელნიც დღესაც ინარჩუნებენ ინტერესს და სპეციალურ განხილვას მოითხოვენ.

* * *

პროფ. ალ. ხახანაშვილმა საკმაოდ დიდი ამაგი დადო ცალკეული მწერლების და საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეს. მან გარკვეული წვლილი შეიტანა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლაშიაც. მართალია, ზოგიერთ მოსაზრებას, რომელსაც ალ. ხახანაშვილი ილიას შემოქმედების მიმართ აქვთარებდა, თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკა ვერ გაიზიარებს, მაგრამ თავის დროზე მათ, უდავოდ, ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა, რადგან ერთგვარი სიახლე შეჰქონდათ დიდი მწერლის შემოქმედების კვლევა-ძიების საქმეში. სავსებით სწორი იყო ის საერთო შეფასება, რომელიც კრიტიკოსმა მისცა ილიას, როგორც დიდ შემოქმედს და ასევე დიდ საზოგადო მოღვაწეს: „ილია იყო საუკეთესო შვილი თავის ქვეყნისა და ხალხისა; მან დაიტია თავის ფართო ბუნებაში ყველა საჭიროებანი ქართველის ერისა; იგი იყო სავსებით გამომხატველი ქართველის ნაციონალურის ფსიხიკისა და ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ მის ხელში მიაღწია ხელოვნურს სიმწიფემდე და გაიკაფა ეროვნულის დამოუკიდებლობის გზა და მიმართულება“[1].

ალ. ხახანაშვილი აღიარებს ილიას მაღალ მხატვრულ ნიჭიერებას და შენიშნავს, რომ პოეტური ნიჭი მწერალმა გამოაელინა ჯერ კიდევ ერთერთ ადრეულ ნაწარმოებში, როგორიც არის „ყვარლის მთებს“, სადაც „ერთის კალმის მოსმით იგი აკავშირებს სულის ვითარებას ბუნების სიმწვენიერესთან. ძლიერის და შეურყეველის გრძნობით მიჯაჭულია სამშობლოსთან. რომლის მოშორებაც მწუხარებით ავსებს მის არსებას“[2].

---

[1] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. გვ. 114.

[2] იქვე. გვ. 88.

ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ალ. ხახანაშვილი ორ ძირითად მოტივს ამჩნევს, ერთია ეროვნული, ხოლო მეორე—სოციალური. ამის მიხედვით მკვლევარი ილიას შემოქმედებაში სამ პერიოდს გამოჰყოფს. პირველი პერიოდი იწყება პოეტის რუსეთიდან დაბრუნებიდან და გრძელდება ბატონყმობის გადავარდნამდე. „მისი მიმართულება ამ დროს ორის თვისებით განისაზღვრება: ელეგიურის და სატირულის ხასიათით. ეროის მხრით ჰკიცხავს თანამედროვე საზოგადოების ჩამორჩენას, მეორე მხრით მწარე გრძნობით გვიხატავს თავის მარტოობას, საქვეყნო საქმის მოდუნებას, თანამოაზრეთა გულგრილობას“[1]. ამ პერიოდში ილია მწვავე ბრძოლას აწარმოებს ბატონყმობის წინააღმდეგ.

მეორე პერიოდი ილიას შემოქმედებაში იწყება ბატონყმობის გადავარდნიდან და გრძელდება 1883 წლამდე. „ამ დროს ილია ცდილობს წარსულიდან აღებულის დიდებულის სურათებით გააღვიძოს ქართველობაში მიფერფლილი თვითცნობიერების გრძნობა“, პატრიოტული თემის გაღვივებით, ქართველი მეფის, დედის, მოჭალაქის, თავადების შექებით ილიას სურდა „თანამედროვე საზოგადოება გამოეწვია ნაყოფიერს ნიადაგზე საშრომლად“.

პირველი და მეორე პერიოდის შემაერთებელ ხიდად ალ. ხახანაშვილს „აჩრდილი“ მიაჩნია, რადგან მასში „გაკიცხულია აწმყო განწყობილება „უფლის და მონას“ შუა, მაგრამ აქვე განდიდებულია „ძლიერება“ ძველთ ქართველთა და აღფრთოვანებული ნატვრა წარმოთქმული, რომ „კვლავაც აღმდგარიყოს მშვენიერი ჩვენი ქვეყანა“. ალ. ხახანაშვილი ერთგვარ უხერხულობას გრძნობს ილიას შემოქმედების პირველი და მეორე პერიოდის მკვეთრად გამიჯვნის გამო და შენიშნავს, რომ „პატრიოტული ელფერი აძევს მის პირველის პერიოდის თხზულებებს. რომლებშიაც იგი ჰკიცხავს აწმყოს საუკეთესო მომავლის მოსამზადებლად. მტკიცე ლარის გატარება პირველს და მეორე ხანას შორის ამიტომ დიდად საძნელოა“-ო[2].

ეს შეხედულება უდავოდ მართებულია, რადგან იმ წლებში, როდესაც იქმნებოდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებნი, იწერებოდნენ, აგრეთვე, ღრმა პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ლექსები და პოემები, რომელნიც მკვეთრი ეროვნული ტენდენციის გამომხატველნი იყვნენ და ასეც რომ არ ყოფილიყო, თავის თავად, ილიას მიერ წარმოებული ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ ეროვნული კეთილდღეობის საქმეს ემსახურებოდა. „კაცია-ადამიანსა“, „კაკო ყაჩაღსა“, თუ „გლახის ნაამბობში“ მკვეთრად მოჩანს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტი მწერლის მთლიანი სახე.

ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ ალ. ხახანაშვილის მოსაზ-

---

[1] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 100.

რებას. თითქოს „პატრიოტული ტენდენცია გაქრებულია ილიას ნაწერებში 1883 წლამდე, როცა დაიბეჭდა მისი პოემა „განდეგილი". აქედან იწყება მესამე პერიოდი ილიას სალიტერატურო მოღვაწეობისა.

ილიას უდიდესი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ პატრიოტული სულიკვეთება არც ერთი წუთით არ შესწყვეტია მის დიად ბუნებაში და იგი თანაბარი ძალით ვლინდებოდა მოღვაწეობის დასაწყისიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. „განდეგილის" შექმნიდან შეიძლება ვილაპარაკოთ ილიას შემოქმედების მეორე პერიოდზე (თუმცა მწერლის შემოქმედების პერიოდებად დაყოფა ყოველთვის პირობითი და მიახლოებითია). როდესაც მწერალი ზოგად-საკაცობრიო საკითხებს უფრო მკვეთრად შეეხო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ძლიერად გამოვლინდა თავისი ხალხისა და სამშობლოს უანგარო სიყვარული. საერთოდ კი უმჯობესი იქნებოდა ილიას შემოქმედება გაგვეხილა ყოველგვარი პერიოდების გარეშე. მართალია, სხვადასხვა დროს ილიას მხატვრულ თუ პუბლიცისტურ აზროვნებაში სხვადასხვა საკითხები გამოდიან წინა პლანზე. სხვადასხვა წლებში მეტ-ნაკლები სიძლიერით აისახებიან ისინი. მაგრამ ეს კიდევ არ უნდა იძლეოდეს საფუძველს ვილაპარაკოთ რაიმე გარკვეულ მკვეთრ პერიოდებზე. შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისშიც კი, როდესაც პოეტი ცხოვრების ვზის ძიებაშია, მკვეთრად იგრძნობა მისი დამოკიდებულება ეროვნული და სოციალური საკითხებისადმი. ეროვნული და სოციალური პრობლემები წარმოადგენენ გასული საუკუნის დიდი მწერლისა და მოაზროვნის ზრუნვის საგანს და ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს მისი მთელი შემოქმედება. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილია ერთი მთლიანი პიროვნებაა, რომლის შემოქმედებაც თავისუფალია ყოველგვარი პერიოდებისაგან.

ალ. ხახანაშვილი შეეხო ილიას ცალკეულ ნაწარმოებებსაც და ძირითადად, თუმცა მათი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა მოგვცა, მაგრამ აქვე რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებაც გამოთქვა. თუმცა ჩვენ ვერ გავიზიარებთ ალ. ხახანაშვილის აზრს, რომ თითქოს „ოთარაანთ ქვრივში" წოდებრივი შეუთანხმებლობა ფართოვდებოდეს დედა-შვილს შორის არსებული გაუგებრობით, ანდა დედა-აზრი „განდეგილისა" სულისა და ხორცის შეუთანხმებლობაში მდგომარეობდეს და პოემა წარმოადგენდეს „უტენდენციო ხელოვნურ ქმნილებას". ამ დებულებათა დასადასტურებლად არავითარი საფუძველი არ არსებობს და თვით ალ. ხახანაშვილიც ვერ ახერხებს მათ დასაბუთებას.

* * *

მეტად საყურადღებოა ის მოსაზრებანი, რომელნიც ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ გამოთქვა ჩვენმა ნიჭიერმა კრიტიკოსმა გ. ქ ი ქ ო ძ ე მ. მან 1913 წელს „სახალხო გაზეთში" გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი: — „ილ. ჭავჭავაძე.—მგოსანი და მოაზროვნე", რომელ-

შიც აეტორმა მოგვცა ილ. ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის დახასიათება, განსაზღვრა მისი როლი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში.

გ. ქიქოძეს ილ. ჭავჭავაძე, საერთოდ სამართლიანად მიაჩნია მრავალმხრივ განათლებულ უნიჭიერეს ადამიანად, რომელმაც „ჩვენს ჰაწია და უკან ჩამორჩენილს სამშობლოში ისეთივე ცენტრალური როლი ითამაშა, როგორიც ორი საუკუნის საზღვარზე დიდსა და კულტუროსან გერმანიაში გეტეს ჰქონდა წილად. ეს როლი არ განისაზღვრება არც პოეზიით, არც ლიტერატურით; ის ფარგლავს თითქმის მთელს ჩვენს ხელახლად ფეხ ადგმულს სულიერს კულტურას“[1].

ილ. ჭავჭავაძის წინამორბედად ნ. ბარათაშვილი უნდა იქნას მიჩნეული. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით ილიამ შეგნებულად და ფხიზელ პლასტიურ ფორმებში გამოხატა ის სული, რომელმაც სტრიქონიეით გადმოხეთქა ბარათაშვილის პოეზიაში, რითაც ილ. ჭავჭავაძემ ახალ ქართულ ლიტერატურას სრულებით სხვა მიმართულება მისცა.

„ილია ჭავჭავაძის მიერ გამოწვეული იდეური რევოლუცია იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის სულიერ წინაპართა არისტოკრატიზმს შეგნებული დემოკრატიზმი დაუპირისპირა, მათს პესსიმიზმს ჯანსაღი ოპტიმისტური სიხარული ცხოვრებისა. მათს გადაჭარბებულს ინდივიდუალიზმს ფართე ჰუმანიტარული მსოფლიო მხედველობა. ამით მან იღეურს სფეროში შეიტანა ცვლილება, რომელიც თავისი შედეგებით შეიძლება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო, ვიდრე ბევრი სოციალური რეფორმა“[2].

ილ. ჭავჭავაძე იყო უდიდესი რეფორმატორი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, გ. ქიქოძის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მან „ჩვენს გამოურკვეველსა და ინსტიქტიურს ლტოლვას ევროპისადმი გარკვეული და შეცნობილი მიმართულება მისცა“.

გ. ქიქოძე არ იზიარებს მათ შეხედულებას, ვინც ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას მხოლოდ ესთეტიკური საზომით ზომავს, რადგან. თუმც „ნაზად მგრძნობიარე ესთეტიკოსი მის ნაწარმოებში ყოველთვის ბევრს ხიბლს და შეცდომას აღმოაჩენს, მაგრამ ესთეტიკური დეფექტები ადვილი ასახსნელი და მისატევებელნი ჰხდებიან, თუ ვიწრო ლიტერატურულს კრიტიკას მივატოვებთ და მათ ეთიური კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ“. ეს დებულება უდავოდ მისაღებია. მაგრამ ვერ დაეთანხმებით კრიტიკოსს თითქოს ილ. ჭავჭავაძის უდიდესი ნაკლი პოეზიაში სოციალური ტენდენციის გატარებაში მდგომარეობდეს. ასევე ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებასაც, თითქოს ილ. ჭავჭავაძის გლე-

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 887.

[2] იქვე.

სები დიდი რომანტიკოსები იყვნენ. რომელნიც „უფრო რენესანსის ძლიერ ადამიანებს ჰგვანან, ვიდრე უბრალო მოუხეშავ სოფლის მუშებს". მართალია, ილიას გლეხების ერთი ნაწილი მატარებელია რომანტიული ელემენტებისა. მაგრამ თვით ეს გლეხებიც კი ცხოვრების ღვიძლი შვილები არიან და სავსებით სწორად გადმოსცემენ ეპოქის სულს. საკუთარ ტანჯვასა და წამებას და ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ფეხქვეშ გათელილი სოციალური წოდების შრომაზე, ჯაფაზე და ჭირ-ვარამზე.

გ. ქიქოძის წერილში ყურადღებას იპყრობს იმ საკითხის დასმა და გადაწყვეტა, თუ, ილიას აზრით, რომელი საზოგადოებრივი წოდება უნდა გამოსულიყო საქართველოში იმ ბურჯად, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა დიადი ეროვნული შენობა. ამ საკითხებზე მსჯელობის შედეგად ავტორი სავსებით სწორ დასკვნამდე მიდის და აღნიშნავს, რომ „თითქმის მთელი თავის იმედი და სასოება მან (ი. ჭავჭავაძემ. ი. ბ.) ქართველს გლეხობაზე დაამყარა, რომ თავისი საუკეთესო ოცნებანი და იდეალები ამ ჩაგრული, მაგრამ ჯანსაღი წოდების წარმომადგენლებში განახორციელა". თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში გ. ქიქოძის ამ დებულებამ ფართო აღიარება მოიპოვა.

საყურადღებო მოსაზრებანი წამოაყენა გ. ქიქოძემ „აჩრდილისა" და „განდეგილის" შესახებ. ასევე საინტერესოა მისი დაკვირვებანი, წარმოებული ნ. ბარათაშვილისა და ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედარების დროს.

გ. ქიქოძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმა იდეურობას და სავსებით სწორად დაასკვნა, რომ „მისი შემოქმედება იდეური იყო, ამ სიტყვების საუკეთესო მნიშვნელობით. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც დიდი სოციალური, არც სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და პედაგოგიური პრობლემები, რომელნიც მის თანამედროვეებს აღელვებდნენ. ამიტომ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისა და გონებრივი გამოფხიზლების საქმეში არც ერთს ჩვენს ახალს მწერალს არ მიუძღვის ისეთი დიდი ღვაწლი, როგორც ილია ჭავჭავაძეს".

გ. ქიქოძე ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებას შეეხო მეორე წერილშიაც— „პოეზია და სინამდვილე", რომელიც მან 1914 წელს დაბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში". აქ ძირითადად იგივე დებულებებია წარმოდგენილი ოდნავი ცელილებებით, რაც წინა წერილში იყო წამოყენებული. მაგრამ აქვე გვხვდება ზოგიერთი შეხედულება, რომელთაც ავტორი დღეს, ალბათ, თვითონ აღარ გაიზიარებდა, მაგალითად, არ იქნებოდა სწორი, თუ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას" სუსტ ნაწარმოებად მივიჩნევდით, სადაც პოეტმა ვერ შეძლო „დრამატიული მდგომარეობის პლასტიურად გამოხატვა, იმიტომ, რომ მისი ნიჭი სავსებით ლირიკული და მუსიკალურია", რომ თითქოს „ბარათაშვილს არ ესმის გარეგნულ საგანთა დამოუკიდებელი ღირებულება; მისთვის ფიზიკური მოვლენა საინტე-

რესოა არა თავის-თავად, არამედ როგორც სარკე სულიერი გახცდისა"[1] და სხვ. ჩვენ ვერც იმ დებულებას გავიზიარებთ, თითქოს „ილ. ჭავჭავაძის მოთხრობები თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან ცოტად თუ ბევრად ღრმა ფსიხოლოგიურს ანალიზს"[2]. ილ. ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას შესწევს უნარი შეუმჩნეველი არ დარჩეს ადამიანის სულის უმნიშვნელო მოძრაობაც კი და კალმის რამდენიმე მოსმით მძლავრად განაცდევინოს იგი მკითხველს.

გ. ქიქოძის აზრით ილ. ჭავჭავაძის რეფორმატორული როლი სხვა გარემოებაშიც პოულობს გამოხატულებას. „ის ერთი პირველი ქართველი მწერალთაგანია, პოეზიას რომ თავის სამშობლოს უახლოესი სინამდვილე დაუდო საძირკვლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა მან თავის ხელოვნებას უფრო მარჯვედ აცდინა ტრავიალიზმის საფრთხე, ვიდრე ზოგიერთმა ძველმა მწერალმა. ამ ეფექტს მან იმით მიაღწია, რომ წერილმანი და შაბლონიური მოვლენანიც იმ დიდ მსოფლიო მხედველობის პერსპექტივაში მოაქცია, სადაც დიადნი და არაჩვეულებრივნი იმყოფებიან. ეს მსოფლიო მხედველობა სამშობლოს უზომო სიყვარულით არის გამსჭვალული და ადამიანის გრძნობისადმი რწმენით"[3]. ვფიქრობთ, ეს დებულება სავსებით მართებულია.

*

* *

1914 წელს, სამტრედიაში დაიბეჭდა პატარა წიგნაკი სახელწოდებით: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი". წიგნაკის ავტორი გაურკვეველია — იგი წარმოდგენილია ინიციალებით მ. ტ-ძე.

ავტორი ცდილობს ლიტერატურული მასალის საფუძველზე გაარკვიოს, თუ როგორ აისახა ილიას ნაწარმოებებში ეპოქის მტკივნეული საკითხები, როგორ წარმოგვიდგება სოციალური და ნაციონალური პრობლემები მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

სამწუხაროდ, მ. ტ-ძე ოდნავადაც ვერ ერკვევა ილიას შემოქმედებაში და იმგვარ პარადოქსალურ მოსაზრებებს ავითარებს, რომელნიც ადრევე იყო დაგმობილი ჰეშმარიტი ლიტერატურული კრიტიკის მიერ.

ეხება, რა სოციალურ საკითხს ილიას შემოქმედებაში, მ. ტ-ძე ფიქრობს, რომ ილია „არ არის მებრძოლი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; ის გაბატონებულ კლასს მიმართავს, რომ მან შეასუსტოს თავისი ბარბაროსობა თავის საკუთარ უფლებათა შეზღუდვით"[4]. მაგალითად, „აჩრდილ-

---

[1] გახ. „სახალხო ფურცელი", 1914 წ., № 15.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] მ. ტ-ძე, „ი. ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი", 1914 წ., გვ. 14.

ში“, კრიტიკოსის აზრით, თუმცა არის ლაპარაკი „შრომის სუფევის“ შესახებ, აქვე მრავლად მოიპოვება „სოციალისტური სიტყვები“, მაგრამ პოეტს თურმე ყმა „აინტერესებს როგორც სიბრალულის საგანი. როგორც დაბეჩავებული და ილაჯ-გაწყვეტილი არსება და არა როგორც ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლი“. თვით „შრომის სუფევა“ ილიას აზრით არ არის ისეთი რამ, რაც უსიამოვნებას უქადდეს გაბატონებულ წრეებს. ცხადია, ავტორის მიერ არა სწორად არის გაგებული „აჩრდილი“ და კერძოდ „შრომის სუფევის“ საკითხი. რასაც ილიამ სავსებით გარკვევით და მკვეთრად გაუსვა ხაზი და გადაჭრა ეპოქის პროგრესულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ასევე არასწორად ესმის ავტორს „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. „მეტი ღმობიერება და მეტი გულკეთილობა გლეხებთან დამოკიდებულებაში— აი, რას უქადაგებს თავად-აზნაურობას პოემის ავტორი. აქ არ არის დაგმობილი ბატონ-ყმობა, როგორც სისტემა, როგორც რეჟიმი“[1] თუმცა ბატონ-ყმურ წყობილებაში ილია ბევრ დასაგმობ მხარეებს ხედავს. მაგრამ, ავტორის აზრით მწერალს შესაძლებლად მიაჩნია მათი თავიდან მოცილება „ისე კი, რომ არსებითად არაფერი შეიცვალოს თვით ბატონ-ყმურ ურთიერთობის საფუძველში. ამას ამტკიცებს მისი ნაწარმოები „კაცია-ადამიანი“[2].

ზემოხსენებულ ნაწარმოებთა საფუძველზე მ. ტ-ძე საბოლოოდ ასკვნის, რომ ილ. ჭავჭავაძეს, საერთოდ, ბატონ-ყმობის იდეალურად დახატვა უფრო ეადვილება და ემარჯვება, მისი იდეალი „გაკეთილშობილებული ბატონ-ყმობაა“, ე. წ. განათლებული ფეოდალიზმია.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მ. ტ-ძის მიერ წამოყენებული დებულებები იმდენად უსაფუძვლო და უსუსურია, რომ სერიოზულ კრიტიკას არ საჭიროებენ. ავტორის მთელი მსჯელობა ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ბატონ-ყმობისადმი ილ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხის ვულგარიზაცია.[3]

მ. ტ-ძე შეეხო ნაციონალურ საკითხსაც ილიას შემოქმედებაში, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც ვერ ახერხებს სწორ მოსაზრებათა განვითარებას. სწორია კრიტიკოსი, როდესაც აღნიშნავს, რომ ილიას „მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხის ჭირ-ვარამი გაუხდია თავის ფიქრთა და გრძნობათა საგნად და მის სამსახურში სურს მან დალიოს დღენი“, სწორია

---

[1] მ. ტ-ძე, „ი. ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“, 1914 წ., გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 21.

[3] მ. ტ-ძის ბროშურის ერთგვარ პასუხს უნდა წარმოადგენდეს გ. ჯუბაბრიას საინტერესო წერილი „მოქალაქეობრივი ჰანგები ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში“, რომელიც პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შრომათა კრებულში დაიბეჭდა 1915 წ. წერილი დაწერილია საქმის ცოდნითა და სიყვარულით.

ისიც, რომ ილიას აზრით სამშობლოს დამოკიდებლობის გარეშე ყოველი მადლი მატლად იქცევა, რომ ილია ქადაგებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დაახლოების საჭიროებას და მათ გაერთიანებას, საერთო აზრით გამსჭვალვას, მაგრამ ეს პატრიოტიზმი, კრიტიკოსის გაგებით, გამომხატველია თავად-აზნაურობის სულიერი განწყობილებისა და სავსებით გაუგებარია გლეხობისათვის. საერთოდ კი ილიას პოეზია ჰეგელისტური სულისკვეთების გამომხატველია და კრიტიკოსის აზრით, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ილია თურმე გამომხატველია თავად-აზნაურობის სულისკვეთებისა, რომელსაც ყოველდღიურად ნიადაგი ეცლებოდა, „დღე-დღეზე პოზიციას პოზიციაზე ჰკარგავს და იმედ-მიხდილობა და კვნესა მისი განუყრელი ძმები იყვნენ“.[1]

ეს შეხედულება ახალი არ არის. ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდნენ სხვა კრიტიკოსებიც, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

მიუხედავად არსებითი ხასიათის მცდარი შეხედულებებისა, დასკვნა, რომელსაც მ. ტ-ძე აკეთებს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ, უდავოდ სწორია, მაგრამ იგი ბუნებრივად არ გამომდინარეობს ავტორის საერთო მსჯელობიდან.

* * *

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ რ. ფანცხავას (ხოშტელის) საინტერესო წერილს: „ილ. ჭავჭავაძე როგორც ლირიკოსი პოეტი“, რომელიც ავტორმა ჟურნალ „განთიადსა“ და „ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა 1915—1916 წ. წ.

რ. ფანცხავა, საერთოდ, მაღალ შეფასებას აძლევს ილ. ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ხაზგასმით მიუთითებს მის უდიდეს დამსახურებაზე ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე. მაგრამ ზოგ შემთხვევაში თითქმის უცვლელად იმეორებს იმ მცდარ შეხედულებებს, რაც ა. ფურცელაძის, სილ. ხუნდაძის და სხვათა მიერ ადრევე იყო განვითარებული. მაგალითად, კრიტიკოსის აზრით „ილ. ჭავჭავაძეს არ გამოუჩენია... ხელოვნების ჭეშმარიტი ხერხების დიდი ცოდნა და მისი ლექსები წარმოადგენდნენ უფრო წინადღე შეთხზულ აზრებისა და მისწრაფებათა პროპაგანდას“[2].

რ. ფანცხავა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას სოციალურ და ეროვნულ მოტივებზე ამახვილებს. მაგრამ არცერთი

---

[1] მ. ტ-ძე. „ი. ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“. 1914. გვ. 34.

[2] „განთიადი“. 1915 წ., გვ. № 15.

ამ საკითხთაგანი ამრომწურავად არა აქვს განხილული. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ საკითხებზე, თუ ცალკეულ ნაწარმოებებზე მსჯელობის დროს კრიტიკოსი პრინციპული ხასიათის შეცდომებს უშვებს. მაგალითად „მამულის სიყვარული პოეტს ძლიერათ აქვს გამოთქმული და ამ მამულის სიყვარულს ილ. ჭავჭავაძე მიაწვა მთელი თავისი ნიჭით და ენერგიით. ამიტომ იმის პოეზიას ეტყობა ცალმხრივობა, პოეტურ საგანთა მრავალგვარობას მოკლებულია"[1]. და სხვ... მართალია, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მამულის სიყვარულმა ძლიერად იჩინა თავი, მაგრამ ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ „მის პოეზიას ეტყობოდეს ცალმხრივობა", დაკვირვებული მკითხველისათვის ცხადია, რომ გარდა ნაციონალური საკითხისა, ილიას შემოქმედებაში სხვა მრავალმა საჭირბოროტო საკითხმაც იჩინა თავი.

რ. ფანცხავამ წერილის შენიშვნაში გაკვრით გაჰკენწლა პ. გელეიშვილის მცდარი შეხედულება, რომელიც მან განავითარა ილ. ჭავჭავაძის თვალსაზრისის ირგვლივ კლასთა და წოდებათა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხის შესახებ.

საერთოდ პ. გელეიშვილმა უსაზიზღრესი როლი ითამაშა ილ. ჭავჭავაძის მიმართ, როგორც პოეტის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგაც. გარდა იმისა, რომ პ. გელეიშვილი პერიოდულ პრესაში ათავსებდა ცილისმწამებლური ხასიათის წერილებს ამ დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ, იგი მოხსენებებითაც გამოდიოდა საქართველოს ცალკეულ დაბა-ქალაქებში. მის ლექცია-მოხსენებებში განვითარებული შეხედულებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ იმდენად ყალბი, პროვოკაციული და შემაძრწუნებელი იყო, რომ დამსწრე საზოგადოება არ უსმენდა მას და ობსტრუქციის შედეგად დარბაზიდან აძევებდა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ცნობა, რომელსაც გაზეთი „თემი" იძლევა: „27 აპრილს ქუთაისის თეატრში, როდესაც პ. გელეიშვილი კითხულობდა თავის ლექციას ილია ჭავჭავაძის შესახებ დამსწრეთა ერთმა ნაწილმა ობსტრუქცია გაუმართა. ლექტორი იძულებული გახდა ლექცია შეეწყვიტა"[2].

ქართველმა ინტელიგენციამ პ. გელეიშვილს „ბულვარული ჯიშის კალმოსანი" და „ბულვარული მქირდავ-მოლაყბე" უწოდა. მრავალი წერილი დაისტამბა „თემში" მისი ყალბი, პროვოკაციული შეხედულებებისა და აზრების წინააღმდეგ, მაგრამ მას მაინც ეყო გამბედაობა, რომ თავისი უბადრუკი გონების ნაყური ცალკე წიგნაკად გამოეცა. ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ წიგნაკის განხილვას, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ „მთელი წიგნი თავმოდგმული ჰუჰყია, ერთი რაღაც მურტალი ტალახია, ყოვლად

---

[1] „განთიადი", 1915 წ., № 16.
[2] „თემი", 1914 წ., № 174.

უმეცრების, ყოველად უვიცობის და უჭკუობის ფურთხით ურცხვად აზელილი"[1].

ამგვარი გაძოხტომებით მოსყიდული პიროვნებანი ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ ქართველი ერის სიამაყისათვის, ჩირქი მოეცხოთ თვით ქართველი ერისათვის, მაგრამ თუ სიცოცხლეში ილია გამოდიოდა ქართველი ერის ჭომაგად და არავის აძლევდა მისი გათელვის უფლებას, სიკვდილის შემდეგ მთელი ქართველი ერი გადაეფარა მზრუნველი მამის წმინდა სახელს. არავის მისცა უფლება მისი გაბიაბრუებისა და ილიას მკვლელებთან ერთად სამარცხვინო ბოძზე გააკრა ყველა ჯურის ცილისმწამებელი, რომელიც ჩირქს ცხებდა ილიას უმწიკვლო პიროვნებას.

ქართველი ხალხის ხსოვნაში ილ. ჭავჭავაძე იყო, არის და დარჩება როგორც „დიდებული, სხივოსანი ნიჭი, უებრო მგოსანი, უმაღლესი ჭკუა, გაწვრთნილი გონება, ენციკლოპედიური განვითარება, შეუდარებელი მეტყველი, უცხო მოამბე, მტკიცე მოღვაწე, იშვიათი მოჭირნახულე და მოამაგე მრავალ-ტანჯულის ქართველ ერისა, უსწორ-უბადლო უშიშარი დარაჯი და მცველი საქართველოსი"[2].

ასეთად წარმოიდგინა და დაახასიათა ძირითადად ილია ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამაც. ამის ნათელი მაგალითები ამ კრებულშივე მოიძებნება.

ავტორს არა აქვს პრეტენზია, თითქოს ამ მიმოხილვით დამთავრებულად ჩაითვალოს ილიას შემოქმედების ირგვლივ არსებული ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებათა ანალიზი. ზოგად მიმოხილვას ეს არც ეთხოვება. ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადადგმული. გასაკეთებელი ჯერ საკმაოდ ბევრია.

ვინაიდან წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისა გამოვიდა, ამიტომ მასში ილიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების მხოლოდ ერთი ნაწილი შევიტანეთ. ანალოგიური ხასიათის წერილების საკმაოდ დიდი ნაწილი გათვალისწინებულია მეორე ტომად.

აქვე გვინდა ხაზგასმით მიუთითოთ ერთ გარემოებაზე: კრებულში წარმოდგენილი ცალკეული ავტორების (ალ. ცაგარელი, კ. აბაშიძე, სტ. ჭრელაშვილი, სილ. ხუნდაძე და სხვ.) ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელთაც არსებითად ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, მკითხველისაგან კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ. ზემოხსენებული ავტორები, ხშირ შემთხვევაში, სოციალურ, ეროვნულ და ლიტერატურულ-თეორიულ საკითხებზე მსჯელობის დროს პრინციპული ხასიათის შეცდომებს უშვებენ. ზოგ შემთხვევაში მათ მიერ სწორად არ არის შეფასებული რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მწერალთა მსოფლმხედველობა. მათი ცალკეული ნაწარმოებნი. შეინიშნება, რომ ამგვარ მცდარ შეხედულებათა და დებულებათა ერთი ნაწილი იმავე პერიოდში გახდა

[1] ი. ჭავჭავაძე, „თხზულებანი", ტ. II. გვ.499.
[2] „ნიშადური", 1907 წ., № 2.

კრიტიკის საგანი, ხოლო თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ისიხი საფუძველშივე დაგმობილი და უარყოფილია.

თუ ჩვენი შრომა ხელს შეუწყობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმა და მეცნიერულად შესწავლის საქმეს—ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლიდით.

იოსებ ბოცვაძე

ჩვენი უგედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში[1]

კაცია ადამიანი. მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან. პეტერბურგი, 1869 წ.

ვაჲ სოფელო, რაშიგანხორ რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!...
შოთა რუსთაველი

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება...
ნიკოლოზ ბარათაშვილი

...ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ღანძღეს კიდეც და აქებ კიდეც. მაგრამ არც ძომხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ; გაუგებრად ნახირს მისდევდნენ და რასაც ერთი დაიბღავლებდა, როგორაც მოხდება ხოლმე, სხვანიც ბანს მისცემდნენ; თითონაც არ ეყურებოდათ რა უნდა ეთქვათ ამით.—ეხლა სისხლმა დაიდუღა. სიცხე გამოსწყდათ და გაუგებარი ქებაც და ძაგებაც მოსწყინდათ: იყაყანეს – იყაყანეს და დასდუმდნენ... თვითონ ჭავჭავაძეც კი ჩრდილს შეეფარა, იმის მიმყოლი გუნდი კი დარჩა პირდაღებული ასე ორ წყალ შუა: მარტო წინამძღოლის წარმოთქმულს სიტყვებს კიდევ იმეორებენ, აფორიზმებათ მოჰყავთ საღმრთო წერილის სიტყვებსავით და ამგვარად პოეტის ფრთის ქვეშ ამოფარებულნი ეს ახალამოღიებულნი მწერლები. სვინტრსავით ანუ სოკოსავით წვიმის შემდეგ, უხვად აფქვიენ ცხელ ცრემლსა, თავიანთ ვაგლახ „მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ შ ი (ამ პირ შეუბუმბლავ „მჯღაბნელებში“ ამ სტატიის მწერალსაც ფეხი უდგას). ღვთის წინაშე, თვითონ მოძღვარიც კი (ილ. ჭავჭავაძე) არ არის თავისუ-

---

[1] ეს სტატია მოუვიდა რედაქციას მიუნხენიდან ერთი თავისი თანამშრომლისაგან. თუმც რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთი ჩვენი მწერლების დაფასებაზედ და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზედ, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიასა, მით უფრო რომ ის (სტატია) პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო, მაგრამ ჯერ გაუხილველ საგნებსა. იქნებ ამ სტატიამ საფუძვლიანად ვერ დააფასოს და ასწონოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოები; გაზეთისთვის დაწერილ მოკლე სტატიას ეს არც მოეთხოვება; იმას მაინც იქს, რომ აღძრავს ამ საგანზე სჯას: შეიძლება ამ სტატიის გამო გამოჩნდნენ შემდეგში ისეთი პირები, რომელთაც მოჰკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვას და უფრო საფუძვლიანათაც განიხილონ; ეს, იმედია, ყველასათვის სანატრელი და სასარგებლო იქნება—...

ფალი თავის თხზულებებში „ბებიური გულჩვილობისა და გულმტკივნეულობისაგან“; ამას ეტყვიან სენტიმენტალურ, ანუ ჩვენ ენაზედ, ასე ვთქვათ „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქეითინებს, ფრანგების მქადაგებელსავით.—ასე შუა გზაზედ და რაღაც გამოუკვლეველ ლიტერატურულ მიმართულებაში გაუშვა ილ. ჭავჭავაძემ (თვითონ თავისი პოეზიის ხასიათიც ვერ გამოიჩინა ცხადათ) თავისი მცირე და გზის უცოდნელი, მაგრამ ერთგული ლაშქარა, რომლის დროშაც ასე მამაცურად ეჭირა და უძღოდა წინა (თუმცა საუბედუროთ, მარტო ერთ-ორ წელიწადს), და თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი. მაგრამ ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება, რომ „პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია“...

რაც უნდა იყოს, ნათქვამია, „ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო“—ჩვენი ლიტერატურის მდგომიარეობას და ილ. ჭავჭავაძის პოეზიის კილოს რიგიანათ ვერ გავიგებთ, ვერც იმის მნიშვნელობას ჩვენ დროსთვის, თუ თვალი არ გადავავლეთ ჩვენ ლიტერატურას ამ საუკუნის განმავლობაში, რომელიც ბევრით განირჩევა წინა ჩვენი ისტორიის საუკუნეებისაგან თავის ხასიათით ან, უფრო სწორეთ რო ვთქვათ უხასიათობით, ცხრაწვენაობით[1]....

> ყრმაო პოეტო უღეთო იყო შენი უკუწირვა!...
> მიბაძეა***-სა
> ხშირად საქმის დაწყება კი არ არის
> ძნელი, უფრო შესრულება არის საქები“.

ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილ. ჭავჭავაძეს მართლა ტოლი, უღლის გამწევი არა ჰყავს ჩვენ ლიტერატურაში, რომლის ნაკლებულებაზედაც რამდენიმე წლის წინ ამ სიტყვებით ჩიოდა:

> ...მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი
> ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
> რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი
> რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო![2]

თუმცა ჯერ მარტო ორიოდე პატარ-პატარა ნიმუშები გვაჩვენა თავის მოღვაწეობისა და მუზისა ჰაბუკობის ასაკის დროს, მაგრამ ამ ცოტაშიაც, როგორც პატარა ცვარში. ცხადათ გამოსჭვირს ბედნიერი პოეტიკური ნიჭი. ნაკლებულება იმის პოეზიას მართალია ბევრი აქვს, მაგრამ ღირსება უფრო ბევრი;—იმის პოეზიის ნაკლებულებანი ისეთნი არიან, რომ

---

[1] ამის შემდეგ ავტორი ეხება ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის და გ. ერისთავის შემოქმედებას. წერილის ეს ადგილები ჩვენს მიერ გამოტოვებულია.—ი. ბ.

[2] იმედი გვაქვს, ავტორი მოგვიტევებს კადნიერებას, რომ სიადვილის გულისთვის ლიტერატურულ პირბადეს ვხდით და სამივარსკვლავის მაგივრად, რომლებიც უმეტეს ნაწილს იმის ლექსებისას უსხედან ფსევდონიმათ, როგორც დაგვარწმუნეს, პირ—და პირ ილ. ჭავჭავაძის სახელს ვარქმევთ; ლიტერატურული განხილვა გვაიძულებს მოდის წინააღმდეგ მოვიქცეთ აქა. ავტ.

თუ კაცს სიცოცხლეში ჰაზრი და ამომიზნებული საგანი აქვს (ერთ დროს პატარა ლექსში თითონ პოეტიც შენატროდა ამ გვარ მართლა ჩვენში იშვიათ კაცებს. ნეტავ იმას ვინც თავის სიცოცხლეს აღნიშნავსო...) ყურს უგდებს თავის ნიჭსა და არ უნდა, უძღებ მონასავით. მისდამი მინიჭებული ტალანტი მიწაში ჩაჰფლას, არამედ ამრავლოს და შეძინოს თავის შრომით სარგებელი—შეუძლიან ერთ-ორ წელიწადს ეს ნაკლებულება სრულიად შეიმოსოს, და რაც სიკეთეს და ღირსებას აჩვენებს ილ. ჭავჭავაძის პოეზია ავტორში, სახელდობრ ღრმა პოეტურ ბუნებას—ამას ვერსად ვერ იპოვნის და ვერ შეიძენს კაცი, თუ ბუნებით არ არის დაჯილდოებული, თუნდ კაცმა თავის დღენი იმის ძებნაში დააღამოს; მართალია ბეჯითობით და ცდით კაცი ბევრს შეიმატებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძეები მარტო იბადებიან...

ყველას თავი დავანებოთ, მაგალითისთვის ავიღოთ პატარა ლექსი ილ. ჭავჭავაძისა „გაზაფხულე“

ტყეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო
შენ როსღა აყვავდები?!..

ამ პატარა ლექსის მეტიც რომ არა დაეწერა რა ილ. ჭავჭავაძესა, მაშინაც კი ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ ამის წარმომშობელი უბრალო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს. თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალი მომდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით. რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ. აგრეთვე რითმის კეთილხმოვანებითა ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის მაგალითი არის ეს ამ უმაღლესი ღირსებით და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰეინეს კალმისა!.. ამ მოკლე ლექსში, რამდენიმე სიტყვით, მთელი ფიზიკური ბუნების განახლება არის ასე ცხადათ, ნათლად, მარტივად (როგორც საზოგადოთ ხალხი ხატავს თავის გრძნობათა), წარმოდგენილი და ამ გაახლების მშვენიერი ნიშნები ასეთის მახვილ გონიერებით ჩამოთვლილი: „ტყე, რომელიც ჟურცელს ისხამს, მერცხლის ჟყივილი, ობოლი ვაზის მეტის ლხინით ტირილი“—რომელ ქართველს არ ეცნობა ეს „ვაზის ტირილი“ გაზაფხულზედ.—სხვა ენაზედ რომ გადათარგმნო ეს სიტყვები, გაუგებარი იქნება, იმიტომ რომ ნამდვილი ქართული სიტყვა და ღრმა ხალხის ენა, ანუ გამოთქმა არის „ვაზის ტირილი“, ამას მარტო ქართველი გაიგებს (აგრეთვე შესანიშნავია ამ ლექსში ღრმა პსიხოლოგიური ფაქტი: მეტი ლხინისაგან ტირილი); ცოტათი კიდევ ვაკვირდებით პოეტი გაზაფხულის წინამორბედობის ჩამოთვლაში:

„აყვავებულა მდელო. აყვავებული მთები“ და ერთბაშად უსულო ბუნების განცხოველებისაგან და გაღვიძებისაგან გადახედავს სულიერ და ცოცხალ ბუნებას—ადამიანებსა და რომ დაინახავს მეერთმანეთულებსა ისეც მძინარე და ზამთარში მყოფთა, წამოისვრის მეხისავით, მოულოდნელად ამ გულ-საკლავ სიტყვებს: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავედები!..“ როგორც მეორე ალაგას შესძახებს პოეტი:

ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა, გვეკნება ჩვენ გაღვიძება?!..

რაც ამ პატარა ლექსის „გაზაფხულის“ ლექსწყობას ან ესთეტიკურ ღირსებას შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ უსრულესია და ნამდვილხელოვნურია: თავი და ბოლო ისეთი შეკრული აქვს, რომ ყველა მიმატება, ან დაკლება ლექსს წაახდენს.—კაცმა არ იცის,—უკანასკნელი სიტყვები (მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები) იმიტომა თქვა პოეტმა, რომ წინა სიტყვებმა მოიტანეს, თუ წინა სიტყვები უკანასკნელმა სიტყვებმა, რომელთ გულისთვინ არის ნათქომი გაუგებარია,—ეს უჯრო პეშმარიტების ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ლექსის ორივე ჰაზრი და ნაწილი ერთბაშად და უნებლიედ, თავის თავად არიან დაბადებულნი პოეტის გამოხატულებაში, ამიტომ მიბმულნი და მიკერებულნი კი არ არიან ერთმანეთზედ, როგორც განგებ, განძრახვით მოგონილ ლექსებში მოხდება ხოლმე, არამედ შეთვისებულნი და შეხორცებულნი; ამ გვარ ლექსსა, რომელშიაც ძარტივი და უაღრესი დაუღლებიან და შეკავშირდებიან, როგორც ამ ლექსში. სადაც გრძნობა უბრალო ზაფხულის აღწერით დაიწყებს დატკბობას და ბოლოს ღელვითა თავდება, განრისხებული ადამიანების მცხოვანობაზედა, როდესაც უსულოც კი ცხოველდება,—ლექსს რომელშიაც გარეგანი სახე. ფორმა შინაგან ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი არიან, ერთმანეთთან შეთანასწორებულნი და შედუღებულნი,—ვამბობ ლექსს, რომელსაც ეს თვისებები აქვს, არის ნამდვილად სრული ხელოვნური.

ცოტა მოკლეთ ვიტყვით ილ. ჭავჭავაძის პოეზიის განსაკუთრებით თვისებაზედ და ღირსებაზედ და მერე ცოტა ვრცლათ იმის არა ღირსებაზედ, ან ნაკლებულებაზედ:—ილ. ჭავჭავაძის ნიჭი არა არის მარტო ერთ გვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველ მხრივ და მრავალ სხვადასხვაფერ დაგვარ საგანსა, მაგ., დიდი გრძნობითა სწერს ლექსს მძინარე ქალზედ, ადრე „ცისკარში“, მთვარეზედ და ამგვარ საგნებზედ უწერია, მაგრამ ამაეე დროს არ ივიწყებს დიდათ კაცობრივულ, ჰუმანურ საგნებზედ წერას, როგორც „მუშა“, „გუთნის დედა“, „ნანა“ და სხვანი... მეორე მიუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვა-გამოთქმათ საშინელი და შეუმაგრებელი ძალა, გულწრფელობა და გულღიაობა,—აქედგან წარმოსდგება

იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძვრელი ზედმოქმედება, რომელიც მკითხველის, ანუ მსმენელის გულ-ეტანება და სწვავს (რასაკვირველია, თუ სულ გულამორეცხილი არ არის). სწორეთ იმას აგრძნობინებს, რაც პოეტს უნდოდა ეგრძნობინებინა. თითქმის ყველა იმის ლექსები ასეთია. მაგრამ მოვიგონოთ მარტო. „ნანა", „ღვთის მშობელო ეს ქვეყანა (საქართველო) შენი ხვედრია." „ქართველის დედას." არაგვი და სხვ. არა, რაც უნდა იყოს, ამით წარმომშობელი გული უბრალო, გაქსუებული არ უნდა იყოს: გაცეცებული სისხლი ამ გვარ მგზნებარე გრძნობას ვერ წარმოსჩქეფავს. უბრალო და გაქსუებული სული გულის შემწველ ალს და ნაღველდალს ვერ აღმოხრავს... ამის პოეზია არც ისეთ სევდის და სასოწარკვეთილების ნისლსა ჰგვრის, კაცსა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები და არც ისეთ „გოგონა და ძუძუნას" კილოზედ ღიღინებს, როგორც ალ. ჭავჭავაძე; არა, ამას არც იმედი აქვს დაკარგული უკეთეს მომავალზედ და არც დიდი სასოება და მოლოდინი აქვს (მაგ., „ქართველის დედას"): ამის ლექსი მართალია სწვავს გულსა, ჰკბენს, მაგრამ გველისავით კი არა. როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები, არა ასე ვთქოთ, ტკბილათ, როგორც ყმაწვილი უკბენს დედასა; ამის პოეზიაც სისხლს უმღვრევს მართალია კაცსა, მაგრამ გესლით და შხამით კი არა. როგორც ისევ ის საიქიოდგან გამოგზავნილი, როგორც დანტეს ეძახდნენ, ჩვენი ბაირონი — ნიკ. ბარათაშვილი, — არა მარტო წარსული დროების მოგონებითა (მაგ., „არაგვი"), მომავალში სიმხნის მოცემითა („ნანა") ან არა და ღვთის შეწევნას მოიწვევს ხალხზედ („ღვთის მშობელო ეს ქვეყანა შენი ხვედრია"...) და სხვა ამგვარი ლექსებითა ანუგეშებს თავის სამწყსოსა. ამის და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიაში ისეთივე განსხვავება არის, როგორც. ვთქოთ, ჰეინეს და ბაირონის პოეზიაში: ორნივე დასტირიან და დასცინიან ხალხებსა და მთელ კაცობრიობაზედ უფიქრელობის და ტუტუცობისთვის. მაგრამ სხვადასხვა კილოზედ მოსთქვამენ ისინი გლოვის ზარსა.—ერთი (ბაირონი) სულ იმედ მოხდილია მკვდრების ზნეობით დაცემული ხალხების და უმეცარ-კაცობრიობის აღდგენაზედ.—ამბობს: ჩვენ ცოდვილ დროში სასწაულები აღარ ხდებაო, რომელსაც კი შეუძლიან შეუძლებელი შესაძლოთ გახადოსო.—მეორეს (ჰეინეს) ცოტათა აქვს იმედი: მართლაო, ამბობს, მაგრამ დროსა და კაცს ბევრი შეუძლიანო. ილ. ჭავჭავაძეს აქვს ის იშვიათი თვისება, რომელიც დიდ ღირსებას შეადგენს, — იმის ლექსები არიან თითქმის დიდათ საცნობელ და ხანდახან ღრმა კაცობრიულ საგნებზედ დაწერილი; — რაც ადრე ვთქვით შეიძლება აქ გავიხსენოთ, რომ ამ პოეტის დიდად პატრიოტული ლექსები სულაც არ უშლიან და არ ეწინააღმდეგებიან იმისსავე მაღალ კოსმოპოლიტიკურ ლექსებს; ამასთანავე, რაზედაც უნდა სწერდეს, ყოველთვის გრძნობა, წარმოდგენა, მთელი პოეზიის კილო ნამდვილ კეთილშობილურია, ე. ი. მაღალ-პოეტური, და მდაბალ. ცინიკურ სცენებს ერიდება.—ჰაი, მოკლეთ ამით თავები

ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ღირსება და საქები თვისებები... ეხლა თვალი ვადევნოთ იმის ნაკლულევანებას.—თუ მიცვალებულთ შენდობის მეტი აღარა გაეწყობათრა (Le mortuis nihil, nisi, bene) ცოცხლებს კი უნდა ანგარიში მოვთხოვოთ იმათ მოქმედებისა.

უმეტესი ნაწილი ნაკლულოვანობა აქვს ილ. ჭავჭავაძის პოეზიასა ყარეგანი ფორმის, ხელოვნების შესახებ, — ე ნ ი ს ა და ლ ე ქ ს თ - წ უ ო ბ ი ს შეუმუშაევებლობა, აგრეთვე შ ი ნ ა გ ა ნ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს შ ე უ ფ ა რ დ ე ბ ლ ო ბ ა, ც ო ტ ა გ რ ძ ნ ო ბ ი ს ქ ო ნ ვ ა ზოგ ლექსში და ბევრი მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს ჩ ა ჩ რ ა, — ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი კ ი ლ ო ა უ ქ ო ნ ლ ო ბ ა და უკანასკნელ, შეუფერებელი პოეტის დანიშნულებისა, ხალხთან არშიყობა, გაკილვისა და ძრახვის შიში (жеманство, кокетничанье). ჩვენდა სამწუხაროთ, ზემოხსენებული ლექსისთანა („გაბაფხული") ყოველმხრით სრული, ბევრი არა აქვს. მაღალი პოეტური ნიჭის შესაფერათ ე ნ ი ს შ ე მ უ შ ა ე ბ ა, მეტადრე ლექსებში, ძალიან საგრძნობელია (პროზაში აგრე რიგათ არა). ამ გვარად იმის ნიჭს აკლია იარაღი, საშუალება გამოსთქვას ყველაფერი, რაც სურს, ცხადათ, ადვილათ და სასიამოვნოთ. თუმც თვალ-წინ აქვს ჩვენი ძველი და ახალი მწერლების თხზულებები, მაგრამ ზოგჯერ არამთუ ნამდვილ ქართულ კილოზედ მოხდენილი, მოხერხებული ენა-წყლიანობა აკლია, რომელიც ასე საჭიროა მეტადრე პოეტებისთვის, არამედ ზოგიერთ იმის თხზულებაში ნახმარები სიტყვები, და ხან მთელი, წინადადება, არ უდგება ქართულ ენას და ეტყობა მწერალსა იმათი მნიშვნელობა კარგათ არ ეყურება. მაგ., მოვიყვან აქ რაც მომაგონდება,—ყველა იტყვის, რომ ამის უცოდინარობა არამ თუ პოეტებს, რომლებიც „ღმერთთან ბაასობენ" უბრალო გიმნაზიის შეგირდებსაც, რომელსაც ნეტარად ხსენებულ ზაზარ სტეფანიჩთან ულაპარაკნია, არ უნდა ეპატიოს. ილ. ჭავჭავაძე სწერს პოეტში:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფ რ ი ნ ვ ე ლ მ ა გ ა რ ე გ ა ნ მ ა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ჭეეყნად ცამა.

რას ჰქვიან „გ ა რ ე გ ა ნ ი ფრინველი"? ამას ქართველი კაცი არ იტყვის დღ არც სხვა ენაზედ არის გასაგები: რუსულათ მაგ., იქნება სიტყვა სიტყვაზედ რომ გადათარგმნო „Внешняя, наружная птица" — სრულიად უაზროა, ამისთვის, რომ ეს ზედნადები („გარეგანი") ხატავს ერთსა და იმავე საგნის გარეგან მხარეს, ნაწილსა. — და ამ ჰაზრით, როგორც ილ. ჭავჭავაძე ხმარობს, სულიერ არსებებზედ თავის დღეში არ იხმარება; — მაშ რა უნდა ეთქვა? — ცხადია, რომ „გარეული" მოუშინაურებელი, „ტყისა" და სხვ. ყველა ამბობს „შინაური ფრინველი, გარეული ფრინველი" და არა „გარეგანი და შინაგანი ფრინველი"

რუსულათაც ასეა: Домашняя, приручонная". ამის წინააღმდეგი ჰაზრი—„Дикая неприручонная". თუ ამ უბრალო სიტყვების უცოდნელობიდგან წარმოსდგა ეს შეცდომა ცუდია და თუ იმისგან, რომ რითმას „განმა" „ცამა" დააძახოს და გარეული რომ ეხმარა რითმა არ გამოდიოდა—ეს უფრო უცუდესი, რადგან მარტო „მესტვირეებმა" და იმათ გვარ პოეტებმა იციან სიტყვების ძალათ დაგრეხა, დაკელაკნა და ჰაზრის დამარხვაც ლექსის გულისთვის, რომ სა, სა და მეო, მეო იძახონ თითონ შეკავშირება წინადადებისა მოყვანილ ლექსში „პოეტი" უკანონოა, ენის წინააღმდეგია; მე ამას არ ვამბობ კიდევ, რომ ამ პირობის შეკვრა და დაჩარჩება კარგ პოეზიაში არ იხმარება, მისთვის... რომა... (ბარემ „შეკაცოც" მიუმატოს) ძალიან პროზულია! მარტო ენის უკანონობაზედ ვიტყვი: „მისთვის არ ვმღერ, რომ (?) ვიმღერო—არც რუსულად ითქმის ასე, Потому не пою, чтобы (?) петь... არამედ: не потому пою, чтобы петь,—ან არა და потому не пою, чтобы не петь ქართულათაც სწორედ ამგვარად ითქმის უარყოფითი წინადადება: არა მისთვის ვმღერ, რომ ვიმღერო, ან არა და, მისთვის არ ვმღერ (ე. ი. მისთვის ვარ ჩუმათ), რომ არ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა (ანუ ჩვენებურათ გარეულმა)...

აქ ქართული ენის წინააღმდეგ შეცდომებს იმიტომ ვადრი რუსულ ენას, რომ უმეტესი ნაწილი ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა რუსულ ენიდგან ნათარგმნსა ჰგავს, იმდენათა აქვს რუსული ენის კილო და წინადადებათა წყობა; აგრეთვე სიტყვები არის ნახმარი, პროზაშიაც კი ხან და ხან და იმათ მიხვრა-მოხვრა რუსული ენის კანონებზედ, ასე რომ ხშირად იმისი თხზულება მაშინ არის ცხადათ გასაგები, როდესაც რუსულათ სთარგმნით; საზოგადოთ იმისი ლექსების კითხვის დროს რუსულათ უნდა ჰფიქრობდეს კაცი. ხშირად გაუჭირებლივ უცხო ენიდგან სესხულობს სიტყვებსა და გამოთქმასა; --ჯერ გაჭირვებაში რა არის ვალი, რომ გაუჭირებლივ რა იყოს; მაგრამ იქნება ვალის მოყვარეობითაც კიდევ უფრო მტკიცდება, რომ პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია; მაგ.. „კაციანადამიანში". როდესაც თათქარიძის სახლ-კარს აღწერს, ამბობს: „მუაჯარს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა თამაშობდა". წმინდათ რუსულიდგან არის გაუჭირებლივ ნასესხი ეს სიტყვები (ბევრ ევროპიულ ენებში არის ესევე სიტყვის მასალა), მაგრამ რომ გადათარგმნოთ უკანეე ქართული ენიდგან, ჰაზრი არ გამოვა, რადგან სიტყვა „როლი" აკლია--„играть роль шкафа" და არა „играть шкафа!" ან არა, ვაჟო, და რა საჭიროა თავში ცემით აქა იქ ვალის ასაღებად წეწება... —ღმერთს ჩვენი საკუთარი სახელი მოუცია იმ საგნისთვის რომელიც უნდოდა ვითომ მახვილ-გონიერად დაესახელებინა პოეტს, და, მთელ ევროპის ახალ ენებში რომ ეძებოთ, ჩვენი ჩვე-

ულების გამომხატველ სიტყვას ვერ იპოვნით: ჩვენ დღე ვალაგებთ ხოლმე ქვეშაგებსა და დავაწყობთ განჯინაში, რომელსაც „წალოს“ ეძახით. ამიტომ, ჩვენის ჰაზრით, უფრო კანონიერი და მახვილ-გონიერული იქნებოდა, რომ ჩვენი შ შ ე ვ ნ ი ე რ ა დ გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი და ს ა კ უ თ არი ნამდვილი ქართული სიტყვა ეხმარნა: „საქვეშაგებო“ ან უფრო „სალოგინე“ იყო, „ან „წალოს ალაგი ეჭირა, ან წალოთ იყო“ იმ უხეირო ხახმარებ უცხო ენით გამოხატვის მაგივრად. მე აქ არ შევდგები და არც სტატიის სამძღვარი და არც მეხსიერება ნებას არ მაძლევს ამ გვარ შეცდომების ჩამოთვლას გამოუდგე: ასე ხშირია ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ამ გვარი შეცდომები, რომ იშვიათ ქართველს გაუჭირდება იმათი პოვნა. ეს ორიოდე ე ნ ი ს (ქ ა რ თ უ ლ ი ს) დ ა თ ა რ გ მ ნ ი ს, ა ნ უ შ ი ბ ა ქ ვ ი ს უ კ ა ნ ო ნ ო ბ ი ს ნიმუში იყო: ერთისაც. სამების ძალზედ. ულოლიკობის. ჰ ა ზ რ ი ს. წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს უკანონობას მოვიყვან. მაგ., ლექსში „ხ მ ა ს ა მ ა რ ი დ ა მ“ მიცვალებული, „მდივანბეგი“ დიდი მოჭრთამე, სააქაოს სთხოვს მკითხველთა საფლავიდგან. სააქაოს (ე. ი. ჩვენებურათ „საიქიოს“) თუა ქრთამი, გამახარეთ. ჩამომძახეთო!“ ანდაზა ამბობს: „ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს ეუბნებოდაო“; სწორეთ ამ „მდივანბეგის“ საქმეც ასეა; ან უფრო პოეტისა, რომელიც ასეთ მოუსაზრებელ სიტყვებს ათქმევინებს მიცვალებულს, საიქიოს წასულ კაცს: „საიქიოს თუა ქრთამიო“ შემატყობინეთო სააქაოს მყოფ ცოცხლებსა სთხოვს! — ვაჟო, თითონ იქ არის, ვერა გაუგიარა და ჩვენ აქედან რა პასუხი უნდა მივსცეთ. — მართალია, თუ იუმორია დაცინება ვითომ მოკლე ჰკუის პატრონ დიამბეგისა, მაინც ძალიან მოუხერხებელი, უშნო. ულაზათო, „ულოლიკო“ იუმორია, რომელიც აჩვენებს, რომ ან თითონ ავტორი მოტყუებულა, ან სხვას თვალებს უბამს ამ უხდილ ხუმრობითა. იქნება პოეტმა სთქვას, რომ „ჯერ ეს არ წამდგარა საშინელი სამსჯავროს წინაშეო“; — მართალია, მაგრამ, რაც უხდა იყოს, ჩვენ უფრო შორს და ხამები არა ვართ იმაზედ საიქიოს და უცოდინარი „მდივანბეგები“ არიან, — იმათ ნახევარი გზა მაინც გაუვლიათ და საიქიოს წვენი უწვნევიათ. არა. ამისთანა ხუმრობას მდივანბეგი არ იტყოდა, ეს უფრო იმ საფანელ შემოკლებულ მწერლების (ილ. ჭავჭავაძე ტყუილათ ჰბაძავს იმათ) ადათია, რომლებიც საღრმთო ვალათა რაცხვენ მკითხველები ბოლოს გაუღრეჭავი არ გაუწვან და რადგან ხეირიანი, ნამდვილ, მარდათ მოხერხებული და მახვილ გონიერი სიტყვა-პასუხი არა აქვთ, ამ თავიანთებურ უძველო-უფხო შეთითხნილ ხუმრობას წამოისერიან ხოლმე და ეს დიდ კვახე მახვილ-გონიერებათ მიაჩნიათ.

ი. ჭავჭავაძის პოეზიას აქვს ნაკლულევანება, რომელიც გარეგანი ნაკლულევანების—ენის შეუმუშავებლობის და ნამდვილ ესტეტიკური ფორმის უქონლობაზედ ბევრით დიდი და საგრძნობელია; ეს ის ძნელათ სანდო-

მი და საეჭვო კილოდ კვალი არის, რომელიც პოეზიას „ფილოსოფიურ განსჯით“ ან „ეკლესიურ ქადაგებათ“ გარდააქცევს. და ეს ცხადია, რომ ამისთანა ცხრა-წვენაობა არც ფილოსოფიისთვის, არც ზნეობისთვის და არც პოეზიისთვის არის სასარგებლო. პოეტი ცდილობს თავის ლექსებში (პროზაშიაც) რაც შეიძლება, ბევრი ჰაზრი და კაცთმოყვარეობითი ფილანტროპიული გრძნობა ჩასტიოს; საჭიროა თუ არა, ან ეტევა თუ არა, ამას არ დაგიდევს, ოღონდ კი ახალ მოდურ კილოზედ მოსძახოს იმისმა მუზამ.— აქ ნურავინ იფიქრებს, რომ მე ვითომც კაცთმოყვარულ გრძნობისთვის და მსჯელობისათვის ეძრახავდე ილ. ჰავჰავაძეს, — არა, ყოველადვე ნუ იყოფინ; მე მარტო იმას ვამბობ, რომ პოეზიას პოეზია უნდა ერქვას და პოეზიის თვისება ჰქონდეს და ეკლესიურ ქადაგებას ეკლესიური ქადაგებისა. პოეზიაში. რასაკვირველია, როგორც უველა ჰკვიანურ საქმეში, ჰაზრი და მსჯელობა უნდა იყვეს. მაგრამ არ უნდა დავიწყოთ არასოდეს, რომ პირველი და უმთავრესი, განსაკუთრებით სფერა პოეზიისა არის „გრძნობა“. ანუ უკეთ „მგრძნობელობა“ და პოეტი პირველათ და უმეტესად „გამოხატველია ან აღმწერი. რომელიმე საგნისა ან მოქმედებისა და მოვლინებისა და მერე მსჯელი (мыслитель). თუ კი თავის დანიშნულება პოეზიამ კარგათ აასრულა: ღრმათ და მტკიცეთ გამოსთქვა გრძნობა. მაშინ საკუთარი ცეა აღარ უნდა მწერალს. რომ მაინც და მაინც დიდი ჰაზრი და მსჯელობაც ჩავტენოვო; დიდ გრძნობაში დიდი ჰაზრიც არის ყოველთვის და საზოგადოთ ხელოვნების (პოეზიის, მუზიკის. მხატვრობის, მოქანდაკების, ან ჩუქურთმის) ვალი და დანიშნულება არის უმეტესად გრძნობა (ვრცლად ნაგულისხმები) გამოიხატოს, როგორც მაგ.. მათემატიკური, ასტრონომიული, სტატისტიკური და საზოგადოთ ნამდვილი. ასე ვთქოთ. მშრალი მეცნიერება. რომელიც უმთავრესად მსჯელობას მოითხოვს და უპირველესათ აქ ჰკუაგონება მუშაობს. პირველი (ხელოვნება) ასე ვთქვათ, პირველათ გრძნობასა და გულს ეტანება, მერე ტვინს, თავსა; უკანასკნელი კი (მეცნიერება) თითქო ჯერ ტვინზედ და თავზედ მოქმედებს, მერე გულზედ. მაგ.. ახალი დროის პოეტებში უველაზედ ღრმათ შექსპირსა აქვს „გრძნობა“ გამოთქმული თავის თხზულებებში და უველაზედ ცოტათა ცდილობს მაინც და მაინც მსჯელობაც შესჩხიროს იქ, სადაც გრძნობაც ძლივს ეტევა; ამიტომაც ის არის უველაზედ დიდი პოეტი. დიდი მცოდნე კაცის გულისა. მოგვი გრძნობისა და ენებათა მოძრაობისა; იმავე დროს ის არის, თითქმის უნებლიეთ, დიდი მსჯელიც და იმის პოეზია შეიცავს თვით უდიდეს ფილოსოფიურ ჰაზრებსა. რომლებიც ჰეშმარიტ პოეტურ თხზულებაში ყოველთვის არიან. ეხლა ამის წინააღმდეგ მოვიგონოთ მეორე პოეტი, რომელიც უფრო ფილოსოფო-

სი და მსჯელი იყო. ვიდრე ნამდვილი პოეტი; იმის პოეტიკუ-
თხზულებათ: დრამებს. ლირიკულ ლექსებს და სხვ. დიდი პოეტი-
კური ღირსება და მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ
ყველა იმათგანი ღრმა ფილოსოფიურ ჰაზრზედ და მაღალ კაცობრიულ
(ჰუმანურ) საგნებზედ არიან დაფუძნებულნი და დაწერილნი. რატომ?
მიტომ, რომ პოეტი თავის თხზულებაში, ასე ვთქოთ, ჰკუა-გონებას
ატანს ძალას და არა გრძნობასა, მკითხველის ანუ მსმენელის გულს
კი არ ელაპარაკება. როგორც პოეტის ადათი და წესია, არამედ თავს
ჰკუითა და მსჯელობით ცდილობს დაუმტკიცოს და დააჯეროს თავის
აზრზედ და არა გრძნობით შესძრას და აღელვოს მსმენელი
ეთილი საქმისთვის. ლესსინგის ჩვეულება იყო, როდესაც ძველი ან
ახალი დროების ჰაზრი მოეწონებოდა, ან დაიწუნებდა გამოახვევდა ამ
აზრს პოეზიის სამოსელში (ხშირათ დრამათ) და გააერცელებდა ხალხში;
მაგრამ ეს პოეტური სამოსელი თხელი გახლდათ სოლმე: ყოველ სიტყვა-
ში ავტორის სურვილი სჩანდა—რომ მკითხველები დააჯეროს თავის აზრ-
ზედ და თავის ბადეში გასაბმელათ, რაღაც ტყუილების არიფანასა თამაშობ-
და, რომ უკეთესათ მოეტყუილებინა. ერთი სიტყვით, კარგათ ვერ მალავ-
და თავის სურვილსა თავის პოეტურ თხზულებებში, გრძნობას,
ფანტაზიის და გამოხატულობის ძალა აკლდა და გულს
ვერ ელაპარაკებოდა, ამიტომაც იმის პოეზიას ისეთი ცხოველი და წა-
ყოფიერი ზედმოქმედება, გავლენა ვერა ჰქონდა ხალხზედ, როგორც შეშ-
პარიტ პოეტის ქმნილებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს. მაგ., იმისი დრამა
„ნათანაელ ბრძენი" არის დაწერილი იმ დიდ კაცთმოყვარულ დიდ
მოძღვრისაგან წარმოთქმულ ჰაზრზედ, რომელიც ევროპის ქრისტიანებმა
დაივიწყეს და ურიების დაწვა ღვთის პატივისცემათ
მიაჩნდათ; მცნება კი ამბობდა, რომ ღმერთისთვის არ არის არც
ურია, არც ელლინი, არც წარმართიო და თქვენ ყოველნი ძმე-
ბი ხართო. ამ დრამაში არიან მოქმედ პირებათ სხვადასხვა სარწმუნეო-
ბის ხალხი: „ნათანაელ ბრძენი" არის ურია,—სალადინი „სულთანი"
იერუსალიმისა, — მახმადიანი და რაინდი (рыцарь) ქრისტიანი,
ესენი თითქმის ერთმანეთის სისხლსა სმენ (უფრო ქრისტიანი
ემტერება ურიასა და სულთანი-მახმადიანი არიგებს) და უმეცრების, ფა-
ნატიზმის მოწყალენი თავიანთვე სიცოცხლეს სწამლავენ, ჰეშმარიტ
კაცობრიულ, ადამიანურ გრძნობას იხშავენ ერთმანეთისადმი, რადგან
სხვადასხვა სარწმუნეობისა არიან, რადგან სხვადასხვა გვარათ. სხვადა-
სხვა ენაზედ ერთსა და იმავე ღმერთს ადიდებენ... აი, ამ
დიდად ღირსს საგანზე სწერს ლესსინგი თავის უკეთეს თხზულებას
„ნათანაელ ბრძენი". მოქმედება არის იერუსალიმში და თავდება იმით,
რომ ბოლოს მაინც საზოგადო ადამიანური ბუნებითი გრძნობა, სისხლისა
და ხორცის კავშირი სულთანის უმეცრებისაგან წარმოშობილ ცრუმორ-

წმუნებით ხალხების გაყრა-განსხვავებასა და სიმტრესა. მაგრამ ეს ნაძდვილ კაცობრიული და ქრისტიანული ჰაზრი მაინც ისევ „ზნეობით სწავლად“, ქადაგებად, დარიგებად რჩება, რაღაც შეთხზული „მსჯელობა“ გამოდის და არა ნამდვილი პოეზია. ამ მაღალ ზნეობითი ფილოსოფიის ჰაზრებს პოეტური სიცოცხლე აკლიათ და, როგორც ყველა არა ცხოველი, ადამიანური ცხოველი გრძნობით ღარიბნიარიან, თუმცა სამღთო გრძნობა და სიყვარული არ აკლია ამ დრამასა, მაგრამ სამღთო წერილი პოეზიაარაის, როგორც კოპერნიკმა ?ისწერა რომის პაპს: სამღთო წერილი ასტრონომია არ არისო, როდესაც თავის თხზულება: De revolutionibus orbium codestium (ციურ მნათობთ მოძრაობაზედ) უძღვნა!... ამ პოეტური გრძნობის, მარტივი და უბრალო წარმოდგენის უქონელობისაგან მოხდება ხოლმე ისა, რომ ხშირათ ილ. ჭავჭავაძე იძულებულია თვითონვე ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზედ მიყუდებული ყმაწვილი, თვისი მოქმედი პირები და მუდამ ჩასჩურჩულებდეს, რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ჰკუიანი დიდებათ ეჩვენენ, და არ აკლის თავიანთ ბუნებით, ჰაზრისა და შეგნების, გრძნობის შესაფერად რა სიტყოდნენ, იმათ ნებაზედ რომ მიეგდოთ; ამ გვარი ხასიათი და კილო აქვთ „მუშას“, „გუთნის დედას“ და სხვ., სადაც ასე უხვად არის მსჯელობა და ხშირად კაცთმოყვარული გულმტკივნეულობა ქადაგების კილოზედ. პუშკინს მემატიანების და ისტორიკოსების მაგივრად პოეტებზე რომ ეთქო, ამგვარად იტყოდა.

Пой, не мудрствуя лукаво!..

აქ მოვიყვანთ აგრეთვე პოეტის სამოქალაქო სიმამაცის ნიმუშს. — მე ზემოთ მოვიხსენე, როგორც ილ. ჭავჭავაძის საგრძნობელი ნაკლულევანება, რომ ზოგჯერ რაღაც არშიყობის და სიკეკლუცის კილო, გასათხოვარი ქალისჭდაარა პოეტის შესაფერი, წამოჰკრავს ხოლმე-მეთქი. ხშირათ გაუჭირებლივ არწმუნებს პოეტი მკითხველებს — მე თქვენ მიყვარხართ, თორემ როგორ გავბედავდი ამ გვარათ თქვენზედ დამეწერაო და ამისთანაები, მაგრამ ყველაზედ ცხადათ ეს კეკლუცობა არის გამოთქმული ერთ ლექსში: აგვიყოლია ჩვენ (ე. ი. ილ. ჭავჭავაძე) ქართველის ბედმა, და, დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი...

ან ერთს წუთს მაინც როგორ უნდა შეუშვას თავში კაცმა ამისთანა შიში და ან ერთ წამს თავში გაუელვოს, მეტადრე პოეტსა, რომელიც ღმერთთან ბაასობს და ხალხს წინ უძღვის, ამ გვარი მხდალობა და თავის გამხნევება: დაე, გვძრახონ (პატიოსან სიტყვას ვაძლევთ, რომ ეს წმინდა ქალური სიტყვა ვაჟისაგან ჩემ დღეში არ გამიგონია)! დაე, გაგვკილონო (მამულის სიყვარულისთვის...) არამც და არამც ჩვენ ქართველის ბედის ძებნას თავი არ დავანებოთო... არა, რა ძალა უნდა ჰქონდეს ამ ძრახვასა და კილვასა საზოგადოთ არამც თუ მარტო მამაკაცზედ, რომლებიც უფრო ხშირად გულგრილნი არიან

სხვის ტრაბ-ტრუბზედ. არამედ დედაკაცზედაც კი, თუ მეტისმეტი ღვთის გლახა არ არის?! როგორ უნდა ეშინოდეს კაცს ძრახვისა და კილვისა: სხვის „ტიტინი", „ტრაბა-ტრუხი", „რახა-რუხი"—ვისთვის რა სასჯელია, რა „ეკლის გვირგვინი" არის პოეტისათვის?!... (ცენზურა).

გვანებულა იმ პოეტებს (დანტე, ტასსო), რომელნიც თავის თავს ეუბნებოდნენ და გულს იმხნევებდნენ: დაგეძრახონ კი არაო, თუნდ გვდევნონ, პირველ ქრისტიანებსავითაო,.. (ცენზურა) ჩვენ მაინც ჩვენი წმინდა საქმის ძებნაში დავლიოთ დღენიო... რუსთაველს რომ ჰინჯნურების ბაგივრად თავის სიტყვები პოეტის თვისებაზედ ეთქვა, ასე იტყოდა: „ვისაც ეს ჭირი არა სჭირს, ნუ იტყვის პოეტობასა!" და არა დაძრახვა და გაკილვანუ შეგვაშინებსო, რომლის წარმოთქმაც უნდა ეთაკილებოდეს და ეზიზღებოდეს ყოველ კაცსა. ენის შეცდომას, უნამდვილობას არ შეიძლება ეს „ძრახვა" მიუწეროთ; ადვილათ შეეძლო სხვა სიტყვის პოვნა, თუ სხვა ჰაზრი უნდოდა ეთქვა.

ჩვენ ამ სიტყვებზედ იმიტომ შევდექით ამდენ ხანს, რომ ძალიან ცხადათ და ნათლად ხატავენ პოეტის სიმამაცეს და პროგრამას, სამძღვარსა და მიჯნას, სადამდინაც მიახწევს იმის საზოგადოებასთან ფალავნობა, დაძრახვა, გაკილვა.

უკანასკნელი და უდიდესი ხარისხი დევნისა იმისთვის ძრახვა არის; ეს არის ლექსებში, პოეზიაში, თეორეტიკულათ ნათქვამი. ახლა, ჩვენდა სამწუხაროთ, რა უნდა იყოს ნამდვილი ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის ლიტერატურაზედ უფრო მდაბალია!? საუბედუროთ, ამ ძრახვისა და გაკილვის პატარძლური ტეორია ბევრ ჩვენ მწერლებს და მჭღაბნელებს უკრავს ხელებს და აშინებს, რომელთაც მტკიცე ჰაზრი სიახლეში და ხორცში არ გასჯდომიათ, არამედ მიხედვით ორიოდე ბოლო წამწკეპრტილი ლექსებით კაკანებენ; ამათ ვერ გავამტყუნებთ: როგორიც ღვდელი, ისეთი ერიო...

უფრო საგრძნობელ ნაკლულევანებას ილ. ჭავჭავაძის პოეზიისას, როგორც მთელი ჩვენი ლიტერატურისას, სახელდობრ ნამდვილ ნაციონალური კილოს უქონლობას, ბოლოს მოვიხსენებ; ეხლა ვიტყვი ორიოდ სიტყვას პროზაზე — „კაცია ადამიანზედ". აქამდინ უმეტესად ლექსები მქონდა სახეში.

ჩემის ჰაზრით, ყველაზედ დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია ადამიანი". ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართველის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადათ ის ფუღურო, ფუყე და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარით არ ეპკურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს რა და უკანასკნელ განწირულებაშია, თუმცა თვით პოეტი სასოწარკვეთილებას და იმედ მიხდილობას არასოდეს არ ეძლევა; ერთგან ლექსში, „ქართველის დედას" ამბობს:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ „დროებაზედ დარდი"
(„დროზედა დარდი" რომ იყოს, კიდევ ლექსს ეგუანებოდა)
ჩვენ უნდა ვსდევდეთ ეხლა სხვა ვარსკვლავს (რა ვარსკელავს?!)
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს

ყველა იმის თხზულება ამბობს: რაც იყო, იყო, წარსული დავივიწყოთ, ეხლა „ახალი პური გაიტეხოთო". არსად ცხადათ არ ამბობს, სრულიად სწყვეტს ყველა კავშირს წარსულთან, თუ ადრინდელ შნოლაზათზედ და კილოზედ უნდა იმღეროს, აწინდელისთვის საძირკველი წარსულში უნდა ეძებოს, როგორც რიგია; — ამასვე ამბობს პოეტისგან მოყვანილი ლეიბნიცის სიტყვები: „წარსული მშობელი არის აწინდელისა" და თუ შვილის ცნობა გვინდა ჩვენ ანდაზას გაუგონოთ: „დედა ნახე მამა ნახე—შვილი ისე გამონახე;" არც დარვინია ამ ბრძნულ ანდაზაზედ შორს.

ცხადათ ეტყობა გოგოლის კილო და მიმართულება „კაცია-ადამიანისა"; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მზგავსება არის მ ა რ ტ ო გ ა რ ე გ ა ნ ი და არა შინაგანი აზრის თანხმობა: მართალია, მას აქვს აღწერაში ისევ ის სიცხადე და მახვილ-გონიერება, როგორც გოგოლი ხმარობს თავის თხზულებებში, მეტადრე „მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ს უ ლ ე ბ ზ ი": ცოტა სიტყვით ბევრის თქმა, ხშირათ ძალიან მოსწრებით ხმარებულნი სიტყვის მასალები, ნამდვილ ქართული სიტყვა-პასუხი, მოხდენილი, მკვახე იუმორი, ანდაზების ძალიან უხვათ მოყვანა, რომლების გულისთვისაც ხანდა-ხან ბაასს აგრძელებს, რომ რომელიმე ანდაზა მოაკეროს (მარტო ანდაზებში არა მდგომარეობს პოეზიის ნაციონალური კილო). საბაასო. სალაპარაკო ენას დიდის ცოდნით და ხელოვნებით სწერს; აგრეთვე. როგორც გოგოლი, ძალიან ბედნიერად და მახვილგონიერულად ირჩევს ნამდვილ ნაციონალურ ქართულ სურათებს მოქმედ პირებათ მოთხრობისთვის;—მაგრამ ამითი თავდება, საუბედუროთ, მზგავსება „მიცვალებულ სულებთან". ის ერთი ღრმა, ყველა ნაწილების შ ე მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი, ჰ ა ზ რ ი, რომელიც ჰკრავს და ბეჭდავს ერთ მთელ ცხოველ კავშირიან მოთხრობათ ამ პოემასა, ა რ ა რ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი „კ ა ც ი ა ა დ ა მ ი ა ნ შ ი". ამიტომ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს: ე ს ა რ ი ს პ ა ტ ა რ-პ ა ტ ა რ ა დ ი დ ი ს ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა ღ წ ე რ ი ლ ი ს ც ე ნ ე ბ ი დ ა ს უ რ ა თ ე ბ ი, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შ ე მ თ ხ ვ ე ე ვ ე ბ ი, შ ე კ რ ე ბ უ ლ ი ე რ თ ა თ, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ხ ა ნ ს უ ლ ა რ ა დ ა ხ ა ნ ძ ა ლ ი ა ნ ც ო ტ ა შ ი ნ ა გ ა ნ ი კ ა ვ შ ი რ ი ა ქ ვ თ ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ. ყველამ ვიცით ნამდვილი მოთხრობისთვის რა არის საჭირო და ცხოვრების მიუცილებელი თვისება,—ეს არის „მოქმედება". ბერძნულათ რომ დ რ ა მ ა ს ეძახიან; სადაც ეს არ არის. ის

თხზულება (პოეტიკური) შედგენილი დამოგონილია და არა ნამდვილი სიცოცხლიდგან აღებული და გადმოხატული, რადგან ცხოვრება და მოქმედება (ხშირად ტუტუცური, მაგრამ მაინც ისევ მოქმედება) განუყრელი ძმები არიან. მოქმედება იქ იწყობა, სადაც საქმე დაიხლართება და გამოინასკვება და შიგ ჩაბმული მოქმედი პირები თითქმის უნებლიედ ერთმანეთს შეხვდებიან და შეეჯახებიან, ამ გვარად გრძელდება მოქმედება ვიდრე ამ მახიდგან არ დასხლტებიან და ბადედგან არ გამოძვრებიან, როცა კი თავს დაახწევენ მოქმედნი პირნი, მაშინ კვანძი გაიხსნება და მოქმედება თავდება, თუ ეს დავიდარაბა მშვიდობიანათ გათავდა, „კომედიას" უწოდებენ ამ მოქმედებას, თუ სანწუხარო ბოლო ჰქონდათ პირებს, რომლებმაც საქმეში მონაწილეობა მიიღეს, მაშინ—„დრამას" ან „ტრაგედიას". ერთი სიტყვით, ამ გვარ თხზულებებში, მოთხრობებში, რომანებში და სხვ., როგორც თვითონ სიცოცხლეში, რომელიც დედნათ უნდა ჰქონდეს ყოველთვის ხელოვნებასა, პირველი და უკანასკნელი არის მოქმედება, რომელიც ათამაშებს მოქმედ პირებს თავის ნებაზედ, თითონ (მოქმედება) დაიწყება,—შეჰყრის იმათ ერთათ და გათავდება—გაჰყრის.—ახლა თუ „კაცია ადამიანს" შეხედავთ ამ ყველა გვარ მოთხრობის კანონების დაგვარად, მაშინვე შევიტყობთ, რომ ის ამ ბუნებას დახელოვნების ყალიბში ვერ მოვა: ავტორი, როცა უნდა, შეაყვარებს და ქორწილს გააჩენს თავის მოთხრობაში, როცა უნდა დააორსულებს კნეინას და ძეობის ფაფას მოაშაფათებს, როცა უნდა მაზლის ცოლს და მაჭანკალს დაიბარებს, ატიკტიკებს ორივეს თავ-თავის წესადათზედ და გაისტუმრებს, როცა უნდა, სწორეთ ტიკინებსავით. ერთი სიტყვით, არა მოქმედების ძალა არსწევს მოქმედ პირებს და თვითსაქმეს და ერთი მოქმედება მეორეს არ ითხოვს, როგორც სიცოცხლეში ყოველთვის მოხდება ხოლმე. მთელი მოთხრობა არის აღწერა (დიახ ხელოვნური მართალია) სურათებისა, რომლებიც, ვთქვათ, შემოწყობილნი არიან ოთახში და ერთმანეთთან არა ცხოველი კავშირი არა აქვთ: ერთს ჰქვიან „მაზლი", მეორეს „ცოლი", „მაჭანკალი" და სხვ. იმათ გაშინჯვას საიდგანაც გნებავთ დაიწყობთ, რადგან იმათში არც დიდია, არც პატარა, არც თავი, არც ბოლო; ყველანი ერთგვარ მონაწილეობას მიიღებენ, რადგან მოთხრობაში ერთი ჰაზრი არ არის გატარებელი, იმიტომაც არც მოქმედი პირია იმის წარმომადგენელი, როგორც, მაგ., „მიცვალებულ სულებში" — ჩიჩიკოვი, მატარებელი და მცველი პოემის ღრმათ და უწყვეტლივ გატარებული ჰაზრისა, რომელსაც ერთ წუთსაც არ ივიწყებს არც ჩიჩიკოვი და არც პოეტი. ერთი ჰაზრის უქონლობისაგან წარმოსდგება ისა, რომ მოვა სომეხი და მოიტანს სხვა მეხსა, ე. ი. ყველა ამ მოთხრობის სცენაში ახალ-ახალ სავნებზედ ჩამოაგდებენ, ვინც კი მივა, საუბარსა: წინა „თავ-

შო“ კავკავის ქარებზედ ილაპარაკეს, მეორეში ბატონ-ყმობის გაღაწყვეტაზედ იმუსაიფებენ, მესამეში ჩიხირთმაზედ და თართის დოშზე, მეოთხეში კიდევ მკითხავებზედ და სალოცავებზედ. ასე ამგვარად, ერთი საფუძვლიანი დამჯდარი ტუტუცობა (капитальная глупость) კი არ არის, რომელიც ყველა ამ ტუტუცობებს შეიცავდეს და, როგორც შამათ მთავარს შვილი-შვილები, ან ღეროს შტოები ეკუთვნოდნენ.

თუ ჰაზრი თითონ ჩვენ ცხოვრებაში არ არის და პოეტი ხომ ვერ მოივონებდა, ერთი თავკიდურიტუტუცობა მაინც უნდა ეპოვნა ჩვენ ცხოვრებაში, რომელსაც ბევრი ძებნა არ მოუნდებოდა და მთელ მოთხრობაში, როგორც ხელოვნების რიგია, თავიდან ბოლომდინ გაეტარებინა, როგორც გოგოლი მოიქცა თავის „მიცვალებულ სულებში“.

ამ მოთხრობის, „კაცია ადამიანის“, უთავბოლობიდგან წარმოსდგება ისა, რომ გინდ ერთი ამოდენა მოთხრობა თავში მოაკერო ამასა და ერთი ამოდენაც ბოლოში, მაინც შოქმედების წყობას და მიმდინარეობას (რომელიც არც არის მოთხრობაში), არაფერი დაუშავდება რა, როდესაც რომ ნამდვილ პოეტურ-ესტეტიკური თხზულება ასე უნდა იყოს შეკრული შებეჭდილი და სრული, რომ ყველა გვარი მიმატება ან დაკლება რამისა, როგორც ბუნების წინააღმდეგი, გინდა თუ არა მოქმედების გაჭიანურება, როდესაც ნამდვილ სიცოცხლეში თავდება, თხზულებას ავნებს და არ არგებს; მაგ., ასე არ არის „მიცვალებულ სულებში“, თუმც ხელოვნურ სისრულეს ამას თითონაც ბევრი აკლია, მაგრამ მაინც ერთი ღრმა ყველა მოქმედი პირების შემაწუხებელი და შემაერთებელი ჰაზრი ჰკრავს ამ პოემის (რასაკვირველია, პირველი ნაწილი გვაქვს სახეში) ნაწილებსა, და აღწერას სურათებისას და ამ საცოდავ მიცვალებულთ გამყიდველი, ძუნწი ქალბატონების სახეების დახატვას ამ პოემაში მეორეალაგიუჭირავს; ასე რომ თხზულების პირველ და უმთავრეს ჰაზრს ასრულებს პირველი პოემის გმირი—ჩიჩიკოვი, რომელიც თავის მოქმედებაში შეხვდება სხვადასხვა ხალხსა, პირებსა, სურათებსა და პოეტი უნდა თუ არა იძულებულია ასწეროს ისინიცა, მაშასადამე ეს მხარე (აღწერა როგორც პირისა, აგრეთვე ლაპარაკისა) თხზულებისა გამოდის სხვათაშორის და არა თხზულების პირველი საგანია, როგორც „კაცია ადამიანში“.

უდიდესი ნაკლულოვანება ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის ნაციონალური, ნამდვილი ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა, ანუ ცოტას ქონა, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში. მართალია, ნამდვილი, ჭეშმარიტი ნაციონალური კილო ყველა ჩვენ პოეტებს და საზოგადოთ ლიტერატურას აკლია, მაგრამ რაც ადრინდელებს ეპატიებათ, ის ჩვენი დროების პოეტს არ შეენდობა. ეხლა ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური უნდა იყოს უმისოდ ლიტერატურა ლიტერატურა არ არის; მაგ., იმიტომ არის უფერული, უძლური,

ღარიბი და შეუნიშნავი რომაელების ლიტერატურა, რომელიც არის მარტო მიბაძვა (თუმც ძალიან მახვილ-გონივრული) ბერძნული ლიტერატურისა, და ბერძნული კი ასე დიდ პატივსაცემი, უმაღლესი და სრული, რადგან ნაციონალური ნამდვილი ბერძნული არის, ბერძნის ერის აღმოხვრილი და წარმოშობილი, როგორც თითონ ბერძნები განირჩეოდნენ ყველასაგან ვინც ბერძნები არ იყვნენ, ისე იმითი ლიტერატურა—ყველა სხვა ხალხების ლიტერატურებისაგან. დიდი ღირსი მიბაძვის დედანია ეს უკვდავი ხალხი თავის ლიტერატურითა, როგორც მრავალ სხვა მხრივ. უცოდნელობა და მიუბაძაობა ნამდვილ ქართული სახალხო პოეზიისა. ისტორიული გარემოებათ და ისტორიული პირების გამოუყვანელობა სცენაზედ, მითებისა, გარდმოცემითი მოთხრობისა, ლეგენდებისა, ზღაპარ არაკებისა, რომლებშიაც ხშირად გამოხვეულია უმაღლესი ჰაზრი და კაცობრიული გრძნობა, აი, ამ დიდი მეცნიერების უცოდნელობა, რომელსაც „ხალხის პსიხოლოგიას“ ეძახიან გერმანიაში და რომელსაც თვით უდიდესი პოეტები სწავლობდნენ, უკრავს ჩვენ პოეტებს ხელებს, რომ ვერ მიაგნეს აქამდინ და ვერა სვეს ეს ხალხის ნოყიერი რძე, რომლის ძუძუზედაც უნდა იზდებოდეს პოეტი და იმის მკერდზედ უნდა იხილოს თავის უკეთესი სიზმრები. ხშირად ზღაპარ-სიტყვაობითი გარდამოცემა იყო საგნად უდიდესი მსოფლიო პოეტებისა; მხოლოდ დიდი გვამები პოულობენ ხალხის ხშირად ყმაწვილურის, სიმარტივით და გულწრფელობით ნათქვამ ჰეშმარიტებათა. ის დიდი ომების პოემები „ი ლ ი ა დ ა“ და „ო დ ი ს ე ი ა“—რა არის თუ არ გალექსილი ზღაპარ-სიტყვებით მოთხრობა, გალექსილი იქნება თვითონვე მესტვირეებისაგან (რაპსოდებისაგან), რომლებიც მღეროდნენ ამ ლექსებსა? ან ის დანტეს (დ ი ვ ი ნ უ რ ი კ ო მ ე დ ი ა—გამოხატვა ხალხის მისტიკური წარმოდგენისა საიქიოსი?—შექსპირის უმეტესი ტრაგედიები არის დაფუძნებული ან ხალხის მოთხრობით გარდმოცემაზედ, ან ზღაპრებზედ, მაგ., იმის „კ ო რ ო ლ ი ლ ი რ ი“: ვის არ გაუგონია ეს არაკი (რასაკვირველია, სხვა სახელებით და სხვა ენაზედ), ხელმწიფემ რომ გაუყო თავის სიცოცხლეშივე თავის სამ ქალს სამეფო, იმ პირობით, რომ სიკვდილამდინ უნდა ერჩინათ თავისი მამა, ის კი არა თუ, მადლობის მაგიერ, უფროსმა და შუათანა ქალმა პანღური ჰკრეს თავიანთ მამას (რაც არა მარტო ზღაპრებში მოხდება ხოლმე), ძალზედ მოხუცსა; მერე დიდი ხნის აქა-იქ წეწებისა და ზამთარში ღვთის რისხვა ქარაშოთიან ღამეებში ტყეში ხეტების შემდეგ, უმცროსს ქალს მიაგნებს, რომელიც როგორც ყველა უმცროსების რიგია ზ ღ ა პ რ ე ბ შ ი (მარტო ზღაპრებში), დიდი სიხარულით მიიღებს და სხვ.—მაგრამ შეხედეთ ამ უბრალო ზღაპრიდგან რა ყოელის შემძვრელი დრამა არის შედგენილი, ანუ უფრო სწორეთ ვთქვათ, შ ე ქ მ ნ ი ლ ი ჩ ა მ ო ს ხ ნ უ ლ ი.—ჩვეულებრივ საგანში უაღრესი ჰაზრის პოვნა მარტო დიდი გვამების საიდუმლო და ხელობა არის... აგრეთვე რა არის

ეს უდიდესი ფილოსოფიური ჰაზრის მქონი ტრაგედია, რომელშიაც მთელი კაცობრიობის ბედი არის წარმოთქმული, გეტეს „ფ ა უ ს ტ ი“. რომლის ზღაპარსა დღესაც მოგითხრობთ ნემეცის გლეხი გერმანიაში?! ფაუსტი. რომელსაც ეშმაკები უფრო ბევრი ჰყავს მეგობრებათ და მოსაუბრეთ. სინამ ადამიანები, მაგრამ გადახადეთ ეს გამოხატულების და ფანტაზიის პირბადე, რომელშიაც ჩვეულებრივ რომ უკეთ. ცხადათ წარმოიდგინოს. გაახვევს ხოლმე ხალხი თავის აზრსა და გრძნობასა და ნახავთ სისხლით და ხორცით სავსე ცოცხალ კაცსა, ადამიანსა. ჟაღრესის ჰაზრით და გრძნობით სავსესა; უმეცრები კი, რომლებსაც ანაბანა ძლივს უსწავლიათ. ბრძენებათ მოაქვთ თავი და „ცრუ მორწმუნეობა აქვსო“ ხალხს დასცინიან; ვაი, ჩვენ ყვავებსა, ამიტომ მომრავლდნენ ასე ჟიმნაზიის 3 კლასს ძლივს მიხწეული მოლექსეები, ანუ უკეთ, მესტვირეები. რომლებიც ორიოდე ლექსს ბოლოებს წაუმწკვერტავენ, „ტუ,ტუ,ცი,ცი“ დააძახებენ. ისიც არ იციან, რომ თავიანთ სახელი თქვეს; რიგიანი მოლექსეები კი არსად არიან და, თუ ვინმე ჩემულობს კიდევ პოეტობას, ისინიც ღარიბნი არიან გრძნობით. ჰაზრით და ნაციონალური კილოთი. ესენი გახლავან, ჩვენი ცხოვრების ნაყოფნი.

თუ ცოტა ხანს ამ წიგნის („კაცია ადამიანის“) ნაკლულოვანებას დავიწყებთ და გავსინჯავთ საზოგადოების შესახებ,—ერთ რაღაც საზიზღარ და გულის შესაწუხებელ ადამიანებს შევხვდებით; ეს უბედურები, რომლებიც სულ თავის მუცელს ჩასტირიან, სულ ჩიხირთმაზედ. ბოზბაშზედ და თართის დოშზედ ლაპარაკობენ, ამაზედ უმაღლესი ღირსი უურადღებისა ქვეყანაზედ საგანი არ გააჩნიათ. არაკებს. ძილში ნანახ სიზმრებს ეუბნებიან ერთმანეთს და თითების ტკაცუნზედ მოელიან შვილის ყოლას; ადრე მოვალე რომ ილაჯს გაუწყვეტდა, ეტყოდნენ ხოლმე „აი, მელიციაში წაველ, ჯამაგირს ავიღებ და თავში გახლი შენ ფულსაო“—ეხლა ამ ტრაბახობის ხალისიც არა აქვთ; ამ საყვარელ მეუღლეების „ძლევამოსილი გამარჯვება“ ის არის, როდესაც სამზარეულოში მძინარე გოგო ბიჭს მსუსხავ დილაზედ თავს დაეცემიან კრუხებსავით, დასწეწენ და დააფეთიანებენ, თითქოს ეს საცოდავები იყვნენ იმათი სისხლის მსმელი მტრები. ამ გვარად ბრაზს იმათზედ ხეთქენ (თუ ქართველ კაცს ბრაზი და ნაღველი აქვს როდისმე). რადგან წინაღამის დანივრული არტალა ვერ მოინელეს; ასე გალეშილნი ყოველ ღამე და დღე სუფრიდგან პირ-და-პირ დაგებულ ქვეშაგებზედ ან ფარდაგ-ხალიჩაზედ ბედნიერნი თანამეცხედრენი რომ გადაგორდებიან კუტლებსავით. ან მორგვებსავით. დაბერილ დალაბანდებისავით მუცლებით.—ჭკითხველს თითქმის უჭირს დაასახელოს რა გვარ ცხოველებს უნდა ეკუთვნოდენ ეს დედალ მამალი არსებანი...

...ჩიჩიკოვს „მიცვალებულ სულებში“ ეშმაკობა და მოხერხება მაინცა აქვს, რომელიც მოსაზრებას და ჭკუას მოითხოვს და თუ ის ამ ჭკუა-

ვრცებას და მსჯელობას სიცრუეზედ და ყველა წარ გაიბევრობაზედ ხმა-
რობს. როდესაც გარემოება და დრო შეიცვლება, და ამ გვარ კუდიანი-
ხელობით ვერას გაჰყიდის. მაშინ ამ ჰკუას რგ—პატიოსან საქმეზედ
ასეთივე ხალისით და მოგებით მოიხმარებს,- აქ კი, „კაცია ადამიანში"
ეს გაიბევრობა და რამის თუნდ ჰკვიანი მოტყუების ხერხიც არა აქვთ
ჰოქმედ პირებს, თითქმის თავი იმათ ტანზედ რაღაც მეტი და კაპიტუსა-
დეგი ქონება იყოს, ისე არაფერში არ ეკითხებიან ჰკუას და არა ხმარო-
ბენ. მაგრამ ყველა აღწერა ამ სულიერებისა ტყუილია: ვისაც სურს
ამ საცოდავ პირუტყვულ ცხოვრებაზედ გაგება ჰქონდეს, უნდა ითითონ
„კაცია ადამიანი" წაიკითხოს; შეგვიძლიან დავარწმუნოთ, რომ
ბევრით მეტს გაიგებს. სანამ თითონ რასაც მოელოდა: მართალია, იცი-
ნის კაცი იმის კითხვაში, მაგრამ ვაი, იმ სიცილს—ტუჩებზედ ღიმილსა
ჰგვრის და თვალებზედ ცრემლსა.

ესეთი არის ნახევარი წარმავალი თაობა ჩვენი ხალხისა. პოეტი
თავის აღწერაში მისულა უკანასკნელ სამძღვრამდინ, სადაც სასოება
სწყდება და სასოწარკვეთილება იწყობა, თუმც პოეტი თითონ არსად
არ იძლევა ამას და, ეტყობა რაღაც ახალ მოდაზედ ნათლავს თავის
სამწყსოსა... პოეტი არ შეესცდება, რომ მომავალ თაობაზედაც
ასეთივე უნუგეშო ჰაზრი იქონიოს, ახალ თაობაზედ, ანუ ისეთ ვაჟბატო-
ნებზედ. რომელთაც „გულზედ ერთი ალდი თეთრი მიტკალი აუფარე-
ბიათ (მანიშა)", როგორც ამბობს გლეხი „ტივით მოგზაურობაში" და
დიდ განათლებულებათ მოაქვთ თავი...

საკმაოა ეს გულის შესაღონებელი ზნეობითი ჩვენი მდგომარეობა
წარმოვიდგინოთ, რომ ავხსნათ პოეტის ეხლანდელი უმოქმედობა...[1]

ილ. ჭავჭავაძე ამბობს: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს"
თუ იმ ვარსკვლავის ძებნად გვიპატიჟებს, რომელიც ვითომ ყველა-
გან ერთნაირათ ანთებსო, ასე ვთქვათ, კოსმოპოლი-

---

1. ალ. ცაგარლის ეს თვალსაზრისი არსებითად მცდარია, ისევე, როგორც მცდარია მისი შეხედულებანი იმ პერიოდის ქართველობის დახასიათებისას. არის შემთხვევები, როდესაც ალ. ცაგარელი ვერ ხედავს სხვაობას ქართველ მცონარე თავადაზნაურობასა და ქართველი ერის სხვა წარმომადგენელთა შორის. იგი ქართული თავადაზნაურობის ძველ უარყოფით თვისებებს საერთოდ ქართველი ერის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს, რაც რა თქმა უნდა, სრულიად უცხო იყო ჭართველ მშრომელი ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციისათვის. ასეთსავე მცდარ თვალსაზრისს ავითარებს სტ. კრელაშვილიც წერილში „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის" გამო", როდესაც შენიშნავს, რომ თითქოს ილ. ჭავჭავაძეს სურდეს ლუარსაბ თათქარიძის სახით „ყოველი ქართველი დაგვანახოს". ანალოგიური ხასიათის უმართებულო მოსაზრებანი გავითარებულია სხვა კრიტიკოსებისა და განსაკუთრებით კი კ. აბაშიძის მიერ. მიიჩნევენ რა ქართველი თავადაზნაურობის უარყოფით მხარეებს ქართველი ერის დამახასიათებელ ნიშნებად, ვერ გრძნობენ, რომ ამით ჩირქს სცხებენ და შეურაცხყოფას აყენებენ მთელ ქართველ ხალხს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა და შრომობდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა, წინსვლისა და განვითარებისათვის. ი. ბ.

ტური ვარსკვლავისაკენ, ამაზედ უკაცრავათ ნუ ვიქნებით, ჩვენ ხელი დაგვიბანია ამისთანა სტუმრობისაგან, მიიპატიჟოს სხვა, ვინცა ნებავს და, თუ ამასთანავე გულისხმობს აქა, მაშინ გაებედავ სხვა მხრისკენ მიეწვიო; პოეტს ყურადღებას მივაქცევთ ჩვენ წარსულ ცხოვრებაზედ, სადაც მახვილ-გონიერი, მგრძნობელი კაცი უხვად იპოვნის საუნჯესა, მრავალგვარ და ფეროვან საზრდოსა თავის მხურვალე გულისა და ნიჭისათვის, რომ ამ ყოვლად განმაცხოველებელი ცვარით ასხუროს გრძნობა-მიხდილი ხალხი და თითონაც ასცდეს თათქარიძეობას, რომელშიაც მიიყვანა პოეტი სხვათა შორის უთუოთ აწმდგომი დროის უსაგნობამ და სიმცირემ მაღალ პოეტიკური წარმოდგენისთვის და ვრცელი თხზულებისთვის, რომელშიაც კი პოეტს შეეძლოს გამოახვიოს და გამოხატოს პოეტის გულის თვით საყვარელი და ძვირფასი ჰაზრები. დიდი ჰაზრის გამოსახატავად დიდი შემთხვევა უნდა აიღოს საგნათ! მეტადრე როდესაც რომ ჩვენი მამულის წარსული დრო სავსეა სამწუხარო, მაღალ ტრაგედიული შემთხვევებით და პირებითა; დრამებ შუა ორიოდე ნათელი საუკუნოსაც იპოვნის კაცი ჩვენ ისტორიაში, რომ უნდოდეს: ჩვენ მამულს „თავს ბევრი გადახედია, ასჯერ უნახავს მრისხანედ, მომღიმარეთაც ბედია!" მთელი წარსული დრო ჩვენი ხალხისა თითქმის მარტო ლექსად არის გამოსათქმელი თავის მაღალ დრამატიკული ბედის წერითა[1]. ჩვენი მატიანეებიც (წელიაღწერა) თითქოს განგებ არიან შედგენილნი, რომ პოეტს ფანტაზია და გამოხატულება აღუგზნან, ლექსის საგანი მისცენ, სინამ ისტორიკოსს მტკიცე მეცნიერებისთვის ემსახურონ მასალათ! ბევრი ნაღდვილი ქართული გულის და სულის ამოოხვრილი და გამოთქმული ლექსი დაჰჭრის ჩვენი ქვეყნის მთა და ბარში: მწყემსი თავის სალამურზედ და მენახირე სტვირ-ჭარაზღაზედ ბევრ წარსულ დროს გმირს იხსენებენ და ამკობენ

---

[1] აქ ნუ დავივიწყებთ ერთად ერთ ნიმუშს წარსული დროის წარმოდგენისას, მშვენიერ, ღირს მიბაძვის გ. რჩეულოვის თხზულებას „თამარ ბატონიშვილი", ისტორიული რომანი. სამაგალითო რამ არის ენით, ისტორიული ცხადი წარმოდგენით, იმ დროს ზნეობის, ჩვეულების, წეს-ადათის და საქართველოს დამოკიდებულების სხვა და სხვა ქვეყნებთან ცოდნით. საკვირველ-ს გრძნობით მოჯადრობა, ნათლათ და ცხადათ აღწერა სხვადასხვა შემთხვევისა, სცენებისა და მოქმედ პირების; ბევრი ადგილია საშინლად შემძვრელი და შემარყეველი კაცის გულისა, ბევრი თვალი არ იყო მშრალი იმ სცენის კითხვის დროს, სადაც მამა და შვილი ოცი წლის შემდეგ საპყრობილეში შეხვდებიან და ეს მოქმედება ყველა მწერალს არ შეუძლიან, ბედნიერ ნიჭს მოითხოვს.— ეს წიგნი ღირსია საკუთარი განრჩევისა; მაგრამ ჩვენ მწიგნობრებმა ღირსეული ყურადღება არ მიაქციეს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს რომანი „ცისკარში" იბეჭდებოდა, მეორე ეს, რომ მგონი ავტორი ახალ მოდის რუსეთშემეებს არ ეკუთვნის, და იქნება თერგის წყალიც არ ეხმაროს (ოო, უმცრებავ!) ჩვენი მკლაბნელები კი ადრინდელ მწიგნობრებ და ფარისეველსავით გაიძახიან,. რომ „გალილოიიდგან განა კეთილი რამ იქნებაო, წინასწარმეტყველი იქიდგან მოვაო!"... ის კი არა თუ მართლა სწორეთ იქიდგან მოვიდა; მესამე მიზეზიც ის იყო, რომ ისტორიულ ნაციონალური თხზულების ღირსება არ ეყურებოდათ.

ლექსითა და, როგორც მშვენიერად ამბობს აკ. წერეთელი „თავის კვნესით აგონებენ საქართველოს მწარე მოთქმას“. ხალხის ლექსში და მეხსიერებაში არ გაწყვეტილან დიდი გმირების თამარისა და ერეკლეს სახელები; მეტადრე ამ დიდ ქალს ეხვევა ჩვენი ხალხის პოეტიკური ფიქრი:

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდამ ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა შეკნეს დრეკა!..

და ამისთანაებს გასძახის მშვენიერ ეკკლესიის ანუ ციხე-დარბაზის ნანგრევზედ რომ ჩამომჯდარა მწყემსი, რომელიც ჰგონია, რომ დიდი თამარის ნაშენი არისო. ვისაც კი გრძნობით სავსე გული აქვს, ბედნიერი გამოხატულება და ფანტაზია, ნიჭი, რომ ხალხის სურვილს და ლექსის კილოს მიხვდეს, იმის გამოუკლელ ლტოლვაში ჰაზრი და წადილი გამოჩხრიკოს, რაც ხალხს საუკუნეთ განმავლობაში წარმოუწობნია, უმოქმედნია, უნახავს შავნი და კარგნი დღენი, უფიქრია, უოცნია, ტანჯულა და ეს ხშირათ მარტო შაირში, ანდაზაში და არაკში გამოუთქვამს,—აი ეს ხალხის სული და გული გაიგოს და ხელოვნების ძალით უფრო გააშვენიეროს,—იმ კილოზედ დამღეროს,—აი ამით მოიპოვებს უკვდავებას პოეტი და იმისი თხზულება მაწინაც სამუდამოთ იცოცხლებს. მე აქ არა ესაჭიროება, რასაკვირველია, სახელდობ ჩამოვთვალო, ისეც გაგძელდა ლაყბობა,—მარტო მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ თვით უდიდესი პოეტები, ისტორიკოსები და სხვ. ეძებდნენ საზრდოს თავის გულისა და ნიჭისათვის მამულის წარსულ დროში მაშინაც, როდესაც აწმყომიც საკმაოდ აძლევდა შემთხვევას და საგანსა მოქმედებისთვინა. ვამბობ, თუ არა ნებავთ მარტო სხვა და სხვა კაცთმოყვარების (филантропия) საგნებს დამღერონ მეთქი, ან სულ უსაგნოთ დარჩნენ, უნდა ჩვენი ხალხის წარსულ დროს მიჰმართონ ჩვენმა მოლექსეებმა. აქამდინ ბატონ-ყმობა იყო იმათი საგანი სიმღერისა, მაგრამ ეს გადაწყდა; ძველ სამართალსაც ხომ ბოლო მოეღო. ეხლა მომავალ წარმატებაზედ თუ იოცნებენ, მაგრამ მე გავბედავ მოვახსენო, რომ ვინც წარსულით და აწმყომით კარგათ ისარგებლებს, ის აუცილებლივ უმზადებს ბედნიერ მომავალსა თავის ხალხსა.

საზოგადოთ ვისურვოთ, რომ უ. ილია ჭავჭავაძე სიცოცხლის და ბუნების წინააღმდეგ არ მოიქცეს, რომლების პირველი და უკანასკნელი დანიშნულება, თვისება არის მოძრაობა, „მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“ და არ გვათქმევინოს თავის თავზედ ისა, რაც რამდენიმე წლის წინ, როცა გული ერჩოდა, ბევრ კარგ საქმეს მოჰკიდა ხელი და ვერც ერთი ვერ დაასრულა, წარმოსთქვა ისე უდროოთ, უბედურად გაფუჭებულს შეუბრალებელი სიკვდილის ხელით პოეტზედ ცოტა სხვა სიტყვით: ყრმაო პოეტო. უღვთო იყო შენი უ კ უ წ ი რ ვ ა!...

20 (1 ნოემბ.) ოკდომბერი
მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

ბიბლიოგრაფია[2]

„კრებული“ პირველი და მეორე წიგნი

...კრებულის მეორე წიგნში ბოლოს არის დაბეჭდილი „მგზავრის წერილები“. ამ წერილების დამწერი არის ავტორი მშვენიერის პოემისა: „რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ამის თქმა საკმაო იქნებოდა ჩვენის აზრით, იმისათვის, რომ ამ წერილებზედ ჩვენი მკითხველების ყურადღება მიგვექცია. მაგრამ, იმედი გვაქვს, მკითხველი არ დაგვემდურება უფრო დაწვრილებით რომ შევატყობინოთ ამ წერილების შინაარსი.

ავტორი „მგზავრის წერილებისა“—მოდის რუსეთიდამ საქართველოსაკენ. რუსეთში მგზავრს ოთხი წელიწადი გაუტარებია, „ის ოთხი წელიწადი, რომელიც საძირკველს უდებს კაცის ცხოვრებას, რომელიც ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელესა და სინათლეს შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვინ კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა ჭკუის სავარჯიშებლათ, ვინც რუსეთში წასულა, რათა ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ყმაწვილი კაცის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოდის და ძაღლკურძენაც. ნეტავი იმას, ვისაც ამ ოთხი წლისაგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია! ნეტა იმას ვისაც ეს ოთხი წელიწადი რიგიანათ მოუხმარია!“

—მკითხველო, მივიხედ-მოვიხედოთ, შევხედოთ იმათ, ვისაც რუსეთში ოთხ-ოთხი, ან მეტი ან ნაკლები წელიწადი გაუტარებიათ სწავლის შესაძენათ და ცხოვრებისათვის მოსამზადებლათ, მოვკითხოთ იმათ ანგარიში: რიგიანათ მოიხმარეთ ეს ოთხ-ოთხი წელიწადი თუ არა თქო? რას გიპასუხებენ? ზოგმა იქნება გვითხრას, რომ დიაღ რიგიანათ მოვიხმარეო, ეს ოთხი წელიწადი; კურსი შევასრულეო და ახლა წარმატებაში შევდივარ და ფულს ბლომათ ვიგებო; ამასთან ლაპარაკი ვიციო, მუსაიფი და საზოგადოებაში დროს გატარება, ტანცაობა, ქალებს მოესწონვარო და ხალხი პატივსა მცემსო... ყოველი შვილის პატრონი ნატრულობს ნეტავი ჩვენი შვილიც ამისთანა გამოვიდესო. აი, ხომ ხედავთ, რომ კარგათ მომიხმარია ის ოთხი წელიწადიო.—კარგი და პატიოსანი, ეიტყვით

ჩვენცა. მაგრამ ეს მითხარი, ყმაწვილო, იმ კვირტიდამ, რომელიც რუსეთში გატარებულ ოთხ წელიწადს გამოუკვანძავს შენში, მშვენიერი მტევანი გამოსულხარ თუ არა? ერთი ეს მითხარი, ყმაწვილო, მოგვსლია აქეთკენ რუსეთიდამ მომავალსა ის ფიქრები, რომელიც აღელვებდა ჩვენს მგზავრსა და რომელნიც გამოხატულ არიან „მგზავრის წერილების“ 195 და 196 გვერდებზედა? ან შენ დღეში მოგვსვლია კი მაინც ოდისმე ეს ფიქრები? გიკითხავს როდისმე შენი თავისათვის: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანასაო და როგორ შემეყრება იგი მეო, ან რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალსა და რას მეტყვის იგი მე? შევიძლებ თუ არა; რომ ჩემს ქვეყანას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო“ და სხვ.

ამ გვარ ფიქრებს თავის დღეში არ შეუწუხებია შენი თავი, ჩემო განათლებულო ყმაწვილო. არა, შენ თავსა სხვა ფიქრები აწუხებდა, როცა შენი ქვეყნისაკენ მოდიოდი, შენ თავს ახლაც სულ სხვა ფიქრები აწუხებს: კეთილი ცხოვრება როგორ შევიძინო, დრო როგორ გავატარო და სხვ.

—:—

მესამე წერილში გამოხატულია ერთი აფიცერი, რომელსაც შეხვდება მგზავრი სტანციაში და რომელსაც მგზავრთან ახირებული მუსაიფი აქვს განათლებაზედ და საზოგადო სარგებლობის მოტანაზედ... (ცენზურა).

—:—

მეოთხე წერილში ჩვენი მგზავრი მოგვითხრობს, რომ იმ დღეს, როცა აფიცერი იმას ახირებულათ უხსნიდა განათლების მნიშვნელობას, იმ დღესვე წამოვიდა იმ სტანციიდამ და საღამოს სტეფან-წმინდას ამოვიდა. აქ გამოგვიხატავს მგზავრი მყინვარის სურათს და ადარებს დიდებულს და მყუდროსა, ციცსა და თეთრს ყაზბეგის მთას გიესა, შეუპოვარსა და დაუმონებელს მღვრიე თერგთან: „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა; იმითი ხარ კარგი, თერგო, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადეგ თუ მყრალ გუბეთ არ გადაიქეც და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს! მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და ცეცხლის ბოლცები“...

ბიბლიოგრაფია[3]

„კრებული" მეხუთე წიგნი.

...პირველი ადგილი „კრებულის" მეხუთე წიგნში, უეჭველია, ***-ის „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ს" ეკუთვნის. ეს არის მგზაურის წერილებიდან ამოღებული სამი პატარა თავი, სულ რვა თაბახი; მაგრამ რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თაბახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და ჰკუას გვიჩვენებს ის ავტორში! წაიკითხეთ ეს ღამის და დღის ალეგორიული შედარება და დამერწმუნებით, რომ ***-ს მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვს:

„დაღამდა, თვალ წინ აღარა ჩანს რა; მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა. დაღამდა, მაგრამ, არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდა კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედღა ეღირებოდა?...

...არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი ბნელო ღამეც, მეჯვრები შენ მე, შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვის, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა...

შენს კალთის ქვეშ, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა ჰსჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთ-მაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერად აჩვენებს ხოლმე: შენ ხარ ყამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან; დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ბღავის და იბრძვის. ჰსჩანს ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათხდა და გაიხმაურა ქვეყანაშ ადამიანის ხმითა; დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცი-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ ჰსძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ. არიან იმისთანანი შენში? მე მოვნახავ და თუ ვიპოვე, გეთაყვანები".

თავის მოგზაურობის დროს. ავტორი შეხვდება ერთ მოხეველს, რომელთანაც საუბარი თითქმის ორი წერილის შინაარსს შეადგენს. ეს საუბარი. ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხეველისა ისეთი ხელოვნებითაა გადმოღებული, ისეთი ორიგინალური და შესანიშნავია, რომ არ შეგვიძლია აქედამაც ორიოდე სტრიქონი არ გადმოვსწეროთ.

მოხეველ სჩივის, ეხლა დრო წახდა, უწინდელი დრო უკეთესი იყოო. რით იყო უკეთესიო? ჰკითხავს ავტორი. (ცენზურა) ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთი დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით, ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარავდით, შენ მიწრიელს[1], გარედ მავნეს დავულაგმებდით, ღთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძნდით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავევარვინდით, დაცემულ ვიურვებდით, ერთმილს ვიხოინშნიდნით და ესრედ იყეის ბრალება კაცისა, ერთ-გულობა

(ცენზურა)

—ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?!

— რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით? რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაეღვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჰია-ჰუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის. რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცალიარ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლწვილ გიწიოკებდათ ხოლმე?

— აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარხმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის? ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ. ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი სახელ ვშოობდით, სვამეხთან ეაჟაი რაი სახელ ჩამორჩების?...

მაგრამ ამნაირი ნაწყვეტ-ნაწყვეტების წაკითხვით მკითხველი ვერ გაიგებს ამ მშვენიერი ნაამბობის ღირსებას, თუ კი თვითონ მთლათ არ წაიკითხავს...

---

[1] მიწრიელი — ჯშმაკი.

საწყალი კუდაბზიკა[4]

...რაც შეეხება უფ. ჭავჭავაძეზე ჩემს ლაპარაკს (იმის ლექსების წერის ნიჭიერებაზედ იქნება ეხლა ისე სასტიკათ აღარ ვილაპარაკო) ვამბობ და ვიტყვი კიდეცაც, რომ აზრებისა, იდეებისა, ტემებისა სიუხვე და სიმდიდრე აქვს; მაგრამ ამის ქმნილებათა აკლიათ შევსება აზრებისა, აკლიათ სისრულე აზრებისა (ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ იმისი აზრები სხვებისაზედ სრულნი და შემუშავებულნი არ იყვნენ. კიდეც იმიტომ არის ჭავჭავაძე ჩვენი სასტიკი ყურადღების მისაგებელი). ამასთან ჭავჭავაძეს აქვს ერთი ნაკლებულება, რომელიც აქამდინაც არ ამოიკვეთა, ეგ ისა, სწერს ცხოვრებას და არ ამოქმედებს ცხოვრებას, ანუ უკეთა ვსთქვათ, აწერს ცხოვრებას იმას, რაც თვით ცხოვრების მომდინარეობიდამ, რაც ცხოვრების მიზეზებიდამ, რაც გარეშემო მოელინებიდამ ხშირად არ წარმოსდგებიან; უყვარს ჭავჭავაძეს უტრიროვკა; აიღეთ თუნდა ბუზი რეკრეაციერი „მგზავრის წერილებში“ არა აქვს ფსიხოლოგიური ცნობა კაცის გულისა და დაკვირვება ლოღიკურის მომდინარეობის კაცის მოქმედებისა. მე ამაზედ ვრცლათ ვაპირებდი ლაპარაკს თავის დროზედ, რომ ჩვენი ჟურნალი გავრცელებულიყო, თუმცა ვიცოდი, რომ ამით შეეიძენდი ახალს მოქიშპეს, რათგან ჭავჭავაძეს თქვენზედ ნაკლებ არ უყვარს ისინი, ვინც უჩვენებს ნაკლებულებას, და თქვენზედ ნაკლებ არა ჰზოგავს იმათ გასასვრელს იარაღს. მე ვრაცხდი ამას უფრო იმიტომ საჭიროთ, რომ მაგის ამგვარ ლიტერატურულს წარმოებას აქვს მოქმედება ჩვენს მწერლებზედ. ამგვარმა მაგის ნაწერების მოქმედებამ დაჰბადა ჩვენს მწერლობაში უფ. გ. წერეთლის „ჯიბრი“ და „ჩვენი ცხოვრების ყვავილები“ და მის მსგავსები, რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აწერილი ჭავჭავაძის ნაკლულებები. ავტორიტეტი ჭავჭავაძისა ისე მოქმედებს ჩვენს მწერლობაზე, რომ ყველა იმისი ბრმა მბაძავნი სრულიად აღარ ჰფიქრობენ ღრმათ საქმეში ჩახედვას და საქმის გაცნობას: ისინი ბავშურის თავმოწონებით ცდილობენ მხოლოდ თავის ბავშური აზრების თავის მომქმედ პირებზედ ზედ მოხვევნას და აღარ დაგიდევს ან ეს აზრები, ან ეს მოქმედი პირები არიან ნამდვილნი და ან გამოსადეგნი მაინცა. ამგვარმა ჭავჭავაძის მოქმედებამვე დაჰბადა ის ცრუ პოეზური სურათები, რომელსაც ვპოვებთ ეგრეთვე გ. წერეთლის „ყვავილში“, სადაც „ჰგორავს დიდი ცეცხლის ბურთი (მზე) და სტყორცნის დილის ცვარს ოქროს სხივებსა“ სადაც ჯმაწვილების თამაშობისაგან გამხიარულებული მზე „ცაზედ დაელურს აკეთებდა“, სადაც „ფუტკრის რაზმები უგალობდნენ შრომის ლექსებს ყვავილებსა და არცხვენდნენ ლოთებს. რომ ჩვენ ვშრომობთ და თქვენ

კი არაო", სადაც ყვავილები სტირიან საკრავების ხმაზედ ყმაწვილების მოშორებასა და სხვადასხვა. ამასთან თქვენგან პირველისაგან არ ისმის ისა, ვითომც ახალი მიმართულება და აზრები იყვეს დაწუობილი და შემოღებული ჩვენში ილია ჭავჭავაძისაგან. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მაგან გააცხოველა ეს აზრები და მიმართულება სხვა თავის ტოლებითურთ, რომლებშიაც ერთი პირველი ადგილთაგანი მაგას ეპირა. მაგრამ რომ მაგის დაწყობილი იყვეს ეს საქმეები, მაგას მხოლოდ თქვენისთანა კაცები იტყვიან. რომელთაც არ იციან ჩვენი ლიტერატურა და ლაპარაკობენ, რაც პირზედ მოადგებათ. ეს აზრები ყველაზედ ადრე იწყობა გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილიდგან, მეტადრე ამ უკანასკნელიდგან, რომელიც თავის „ქართლის ბედში" სტირის თავის სამშობლოს ცუდს ბედს, პლაპარაკობს და ქადაგებს იმგვართა აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაშიაც არ ისმოდა. ვის არ ახსოვს მსაჯულის ლაპარაკი ირაკლისთან, სადაც ის ჰკიცხავს ირაკლის იმის განზრახვისთვის, და ის ამბობს: „სახელმწიფოსა ერთობაჲ სჯულის არა რას არგებს. ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს". შემდეგ ამბობს ამ გულის საკლავ სიტყვებსა, რომელიც ხშირათ განჰგმირავს ქართველის გულს: „მაშინ მეფეო, რავდენთ კაცთ მართლათ მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ! მაშინ ირაკლის სახსენებელი, ვინღა ასსენოს აწ საქებელი", ან კიდევ ეს სიტყვები: „განზრახვა შენი მეფეო მაკვირვებს! ირაკლიმ იცის რომე ქართველებს არად მიაჩნიათ უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჴერ ქვეშ თავისუფლება" და სხვა ამგვარები. ეგრეთვე რა იყო „მერანი" ბარათაშვილისა, თუ არ ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრებისა და ახალის ცხოვრებისათვის? ამათ შემდეგ ამავე გზას გვიკვლევდნენ ანტონოზი თავის კომედიებში, სადაც ის დასცინოდა ძველს დამპალს ცხოვრებას, ძველს ძაძად მორწმუნებათა; გვიჩვენებდა გლეხების უბედურეს მდგომარეობას იმათს დაჩაგვრას ბატონისა, მოურავისა, დიამბეგისა, იასაულებისა და ათასთა სხვათაგან. ამასთან ჴონქაძე, რომელშიაც ისე ცხოვლად განჰკიცხა ბატონყმობა ჯერ მაშინ, როდესაც ის ისე უწყალოდ იყო გაძრიელებული და გვიჯდებოდა ქართველს ხალხს ძვალსა და რბილში. მხოლოდ ამათ შემდეგ გამოდიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელთაც მოსდევს მთელი ფოლანგა, არა ილია ჭავჭავაძისაგან აღზრდილნი, არამედ იმ აზრებით გატაცებულნი, რომელნიც ტრიალებდნენ რუსეთში, საიდამაც გადმოღიოდა ჩვენს ძარღვებშიაც და ჩვენს თავშიაც, როგორც თვით ჭავჭავაძის თავშიც. მაშასადამე ამ მხრივაც მე მოკრძალება და თაყვანება წინაშე ჭავჭავაძის შეცდომაებისა არ მემართა. რომ ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში, მაგას მეც ვაღიარებ, მაგრამ რომ ეს გვაძლევდეს მიზეზს მაგის წინ თვალების დახუჭვისას, ეგ თქვენთვის მოგვინდვია...

აი, დღესაც ჩემი აზრი ჭავჭავაძეზედ უფ. სკანდელო.

ჩვენი მწერლობა[5]

„გლახის ნაამბობზე"

„გლახის ნაამბობი", მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა („კრებული" 1873, 1—3).

„გლახის ნაამბობი" 1859-შია დაწერილი, პეტერბურგში. ილ. ჭავჭავაძის, თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანერის ბეჭედი ასვიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია ადამიანისაგან", „გლეხების გათავისუფლების სცენებიდგან" და საზოგადოთ იმ თხზულებებიდგან, რომელხიც ჰავჭავაძის დავაკაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია. „გლახის ნაამბობში" ჩვენს წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს. შემდეგ ჩვენ სხვა თხზულებებში ეგევე მწერალი გავიცანით, თავის საკუთარ გზაზე დამდგარი, სხვის გავლენისა და მიბაძვისაგან გათავისუფლებული, ბეჯითათ მოლაპარაკე თავისი საკუთარი ენითა და თავისი საკუთარი გრძნობის გამომთქმელი. და ეს „გლახის ნაამბობი" ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს: ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის ამით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტი ვინემც იმას მისი საკუთარი ღირსება და მისი ნამდვილი ფასი მისცემდა.

ამ მოთხრობას, როგორც ვთქვით, უცხო ქვეყნის მწერლობის გავლენა ატყვია. რუსულ მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ ერთი ისეთი მიმართულება დაარსდა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკაში, რომლის ნამდვილს და ჩინებულს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ „გლახის ნაამბობი". როცა ეს მწერლობა ათას ნაირ ჯახრაკწაპირებული იყო, და თავისი მაშინდელი გულის-წადილის გამოთქმას ვერ ახერხებდა, იმ გულის-წადილის, რომელსაც თანაუგრძნობდა მთელი მაშინდელი გონიერი და სინდისიანი საზოგადოება, ის სხვადასხვა კილოთი, სხვადასხვა მოხერხებული გადაკრულ-გადმოკრული სულისნამვით ჰბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნათ მაინც გაეხსენებია მკითხველისათვის ეს გულის-წადილი,

როგორც მკითხველმა იცის, მაშინ რუსული საზოგადოებისა და მწერლობის უმთავრესი გულის-წადილი და იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყო როგორმე ის უჯიშო და კაცის დამმდაბლებელი ბატონყმობა, რომელიც სულს ართმევდა რუსეთელ ხალხს და ნიადაგ დაბრკოლებათ უდგა საზოგადოების წარმატებას და წინ-წაწევას. ამ საერთო და საყოველთაო გრძნობას ვერ გამოთქვამდა იმ დროინდელი რუსული მწერლობა, ამიტომ რომ მწერლობის გარემოებები იმის გამოთქმის ნებას არ აძლევდნენ, რაც მწერლობას დაარსებულ კანონებში და განწყობილებაში სავნებელ და შესაცვლელ რათმე მიაჩნდა. მაშინ მწერლობამ, რომელსაც ამ მხრით თავისი აზრისა და გრძნობის გამოთქმა არ შეეძლო, უფრო მოთხრობებს, რომანებს და დრამულ თხზულებებს მიაწვა, რომლებშიაც კარგათ თუ ავათ გლეხ-კაცური მდგომარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებოდა.

მაშინდელმა Современникъ-მა მოდაში შემოიღო ისეთი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომელშიც გლეხ-კაცობა გამოყვანილი იყო კაცურ კანში. ამ თხზულებებში ნიადაგ ის აზრი იყო გაყვანილი, რომ გლეხებიც კაცები არიან, იმათაც გრძნობა აქვთ, იმათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათო, იმათაც გული აქვთო. მაგრამ რადგან იმ დროს მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს, Современникъ მაც ბატონყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგის ერთი და იგივე ანბავი იყო აწერილი, რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააობლაო. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიახაც საჭირო და სასარგებლო მწერლობა იყო. მკითხველი ძალაუნებურათ იმ შეხედულობას ეჩვეოდა, რომ გლეხსაც კაცის გული აბადია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძნობა, სურვილი და იმედი უღვივისო, რომ გლეხიც ღვთის გაჩენილი ქმნილებააო და ღმერთს ის ქვეყანაზე სატანჯველათ და სხვის მრჩენელათ კი არა, თავის თავის სანუგეშოთ გაუჩენიაო. ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც უამისოთაც ბატონყმობა უსამართლო საქმეთ მიაჩნდა და მისი მოსპობა გამოუკლეველ ნატვრათ ჰქონდა, ნამდვილი თანაგრძნობა და შებრალება ებადებოდა გლეხ-კაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და ეს სარგებლობა ხასიათათ ჰქონდა ყველა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ Современникъ-მა წინ წამოსწია, და რომელთაც საზოგადოების ყურადღება, თანაგრძნობა და მადლი მოუპოვა.

ამ მწერლებში პირველი ადგილი ეკავათ გრიგოროვიჩს, პოტეხინს (ალექსის), ტურგენევს („მონადირის წერილებით“) და პისემსკის. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მარკევიჩის

ქალს (მარკო-ვოვჩოკს). იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალისით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება, და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგადო საქმისთვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა და როდი ანიშვნინებდა მკითხველებს იმათ სუსტ მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათი ხელოვნური მხრის ნაკლულევანებას, როდი ამბობდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა უფრო ბეჯითი გზით უნდა დაიარებოდესო. კრიტიკას რომ იმ დროს ეს შენიშვნები გამოეთქვა, იმას რომ იმათი ხელოვნური სისუსტე გამოეაშკარებია, ამით საშინელი ნება მიეცემოდა საზოგადო საქმეს—გლეხ-კაცობის განთავისუფლებას,—და სული ჩაედგმოდა, ძალა მიეცემოდა იმ უხეირო მწერლობას და იმ საზიზღარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმათ ეწინააღმდეგებოდა ან სწყეულიდა. და პირველი ხმა, რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების წინააღმდეგ ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლეხების გათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა: თვითონ Современникъ-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не начало ли перемены?“ (совр. 1861, № 11).

რაში მდგომარეობდა, ვითომ, ეს ნაკლულევანება და რას მოითხოვდა კრიტიკოსი ხელოვნური მწერლობის სახელით?

ამ მწერლების (გრიგოროვიჩის, პოტეხინის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო-ვოვჩოკის და სხ.) ნაკლულევანება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხ-კაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდნენ. იმათ გლეხები შორიდამ დაენახათ, და თავიანთ კაბინეტში, პეტერბურგს, მოეაზრებიათ, რომ რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო, ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმოდა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს და არ ხმარობს. მკითხველის წინ, ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველდღეო დარღს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდამ ამოკითხულ, ბაირონის და შილერის ფრაზებს ამბობდა და გამოსთქვამდა. კაცი გრძნობდა, რომ ეს ფრაზები, ეს ვითომ-გრძნობა, ეს დარდი ღრმათ და ეშმარიტათ გულს გამკდარი რომ ჰქონდეს ამ გლეხს, უფრო გასაგები, უფრო ბუნებითი და გულიდამ პირდაპირ ამოსული სიტყვებით გამოთქვამდა ის თავის სათქმელსო. მკითხველს ის შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც ჭოუგონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოვებს, ის შთაბეჭდილება, რომელიც ერუანტელს უვლის კაცს ტანზე და რომელიც თითქოს სა-

ნიადაგოთ რჩება მის ტვინში და მეხსიერებაში ამ შთაბეჭდილების მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზეპირ-მოლაპარაკე გლეხს, რომელიც ისეთ ნაირათ ლაპარაკობდა და იქცეოდა, როგორც ილაპარაკებს ან მოიქცევა გერმანიელი სენტიმენტალური მწერლობით გამოზრდილი კაცი, და როგორც თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი გლეხი ან გლეხის ქალი. ამ თხზულებებში გამოყვანილი გლეხ-კაცობა ყოველთვის გულკეთილი, მეტის მეტათ პატიოსანი, მტკიცეთ გამრჯელი, ერთი სიტყვით ყოველი ღირსებით და უმანკოებით ავსილი იყო. მკითხველს თითქმის ის აზრი რჩებოდა თავში, რომ ანგელოზები ჩამოსულან ციდამ და გლეხის ტულუფი, გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო. გულ-კეთილება, გრძნობის სიწმინდე მოუსყიდლობა, ნიადაგ შრომა, წუთიერი სიამოვნების ან სიმთვრალის ზიზღი და დავიწყება, მოვალეობის შეუდრეკი და სინდისიანი შესრულება, ერთი სიტყვით ყოველნაირი სიმართლე ნიადაგ მათ მხრით იყო, ვითომ.—ავაზაკათ, უსინდისო მჩაგვრელათ, ბნელ ეშმაკათ, მოძალადეთ მუდამ სტაროსტა და ხანდისხან მებატონე გამოიყვანებოდა. და მკითხველი, ამის გამო, მართალია, სიმპატიას გრძნობდა გლეხკაცობისადმი, მაგრამ ის იყვარებდა ნამდვილ გლეხ-კაცობას, ცოცხალ გლეხს კი არა, იდეალური გლეხის „პეიზანების“ სურათს და წარმოდგენას. და როცა შემდეგში ცხოვრება იმას ხალხთან აახლოვებდა, როცა ის ხალხის ნამდვილ მდგომარეობას და ხასიათს გაიცნობდა, როცა მის წინ „პეიზანების“ და იდეალური გლეხების მაგიერ ნამდვილი გლეხ-კაცი დადგებოდა, მისი ნაკლულევანებით, მისი უგნურებით და ცხოვრებით გაფუჭებული ან გათელილი ხასიათით, ის ვეღარ ცნობდა თავის „საყვარელი გლეხკაცის“ სურათს, ის ჰფიქრობდა ეს წამხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძნობელი ქმნილებაა და არა გლეხ-კაცია, ის იზიზღებდა იმას, ხანდისხან შებრალებას ივიწყებდა და როდიღა ზოგადა... საყვარელი, შესაბრალებელი, დასაზოგავი გლეხი სულ სხვანაირიაო, ფიქრობდა ის, ის გულკეთილი, სინდისიანი, მშრომელი, გრძნობიერი და ბატონის ხათრით აღსილი ქმნილებააო, და ეს კი უფრო იმ საზიზღარ სტაროსტებს ჩამოგავს, რომელთაც მე იმ მოთხრობების კითხვის დროს ვსწყეველდიო. იმათ აბა როგორ დავზოგავო!

უეჭველია, რომ ეს ძლიერ დიდი ნაკლულევანება იყო იმ მწერლობისა რომლის ხასიათს ჩვენ ვსწერთ, მაგრამ, ვიმეორებთ, რომ მაშინდელ დროში, 1861-მდი, ამ ნაკლულევანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან გამოაშკარავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცთომა იქნებოდა, იმიტომ რომ კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მაღლა მთელი ხალხისა და საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრიტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ჯერ გლეხების გათავისუფლება კანონათ იქცეს, და მერე თუნდ იგრძნოს საზოგადოებამ ნამ-

დვილი გლეხ-კაცების ნაკლულევანებაო, მაშინ იმდენი ვნება არ მიეცემა, საზოგადო საქმეს, მით უფრო რომ შემდეგ ვეცდებით საქმე გავასწოროთ და შეუფერავი სურათებით საზოგადოების გრძნობა გავასწროთო.

ეხლა ისიც გავიხსენოთ, საქმის უკეთესათ გაგებისთვის, თუ რას მოითხოვდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა ხალხის მდგომარეობის გამოსახვის დროს, რას მოითხოვდა რუსული კრიტიკა მწერლობისაგან, და რა ვერ მისცა იმას მაშინდელი მწერლობის სუსტმა და გამოუცდელმა მწერლებმა. ეს ჩვენ იმ მხრით გამოგვადგება, რომ როგორც წინეთ აწერილი ნაკლულევანების კვალი ჰავჰავაძის „გლახის ნაამბობს“ ამჩნევია, ისე ამ ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მისი შემდეგი თხზულებები და განსაკუთრებით „კაცია-ადამიანი“.

ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროებების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესენი დაუბადნია. კაცობრიული საზოგადოება ანგელოზებიდამ კი არ არის შემდგარი, იმას სხვადასხვა სურვილი, თვისება და საჭიროება აქვს, და ზოგი ამათგან კარგია, ზოგი ავი, ზოგი მოსაწონია, ზოგი არა. მარტო ერთის მხრით გადაჭარბებით, მარტო ავის ერთ წოდებაში ან პირში გამოხატვით და კარგის—მეორეში საქმე შორს ვერ წავა და საზოგადოების გრძნობა და ხასიათი ვერ გადაკეთდება. ქვეყანაზე არსადაა არც ნამდვილათ და მთლათ ერთიანათ ავი კაცი, ბოროტებით თავიდამ ფეხებამდი აღვსილი, არც ანგელოზს-მსგავსი გმირი. საზოგადოთ ყოველ სულდგმულს ბევრი კეთილი თვისება და მხარე აქვს ხასიათში, ბევრი ცუდი და მოსასპობელი. ამის გამო მწერლობის მხრით შეცთომაა იმრიგათ უხატავდეს მკითხველს ადამიანის საზოგადოებას, რომ აი ეს პირები გიყვარდეს და ესენი კი გძაგდესო, ამათ გზა დაუცალე და სხვებს კი ხელფეხი შეუკოჭეო. ამ ნაირი მწერლობა პროკურატურას ჰგავს, და ამ ორ დანიშნულებას შუა დიდი განსხვავება უნდა იყოს. მწერლობა იმას უნდა იკვლევდეს, თუ რომელი თვისება როგორ მდგომარეობიდამ სწარმოებს, რომელ მდგომარეობას რა წამალი მოუხდება, რით და როგორ დაკმაყოფილდება კერძო პირების მოთხოვნილება და საჭიროება არც ერთს კაცის გულის თვისებას არ უნდა ივიწყებდეს მწერლობა, ამიტომ რომ ყოველი თვისება, თუ კი ის რამდენიმე ასს და ათასს კაცისათვის საერთოა, უსათუოთ რამე ბუნებითი მიზეზი და ფესვი აქვს კაცის აგებულებაში. მწერლობა ყველა ამნაირ თვისებებს უნდა აკვირდებოდეს და გაიცნობდეს და იმ მხრით შინჯავდეს, თუ რანაირათ შეიძლება თითოეული კაცის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისე, რომ სხვებს ამ დაკმაყოფილებამ არ ავნოს, სხვები არ დაჩაგროს და სხვის

მოთხოვნილებას და საჭიროებას გზა არ გაუხიდოს. გონიერმა მკითხველმა მწერლობიდამ იმის ცოდნა უნდა გამოიტანოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისებები აქვს თანამედროვე ხალხს და საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას ეძებს და თხოულობს ეხლანდელი კაცობრიობა, და რა გზით, რა საშუალებით, რა იარაღით შეიძლება როგორც ამ საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თვითოეული ხეირიანი კაცის სარგებლიანი მოქმედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროვე გარემოებაში.

როგორც საზოგადოების ზნეობით ამაღლებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრების და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონდეს, იმნაირათვე აუცილებლად საჭიროა, რომ ესეც მწერლობა მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს, რომ კაცმა იცოდეს, ხელში რა იარაღი ექნება და რანაირ მასალასთან ექნება საქმე, რანაირ გარემოებაში დასჭირდება შრომა, რა და რა გვარი შემთხვევა და დაბრკოლება დახვდება გზაზე, რა ხასიათის წინააღმდეგობა აუტყდება და რამსიდიდე ღონისა და ენერგიის ხმარება დასჭირდება. უამისოთ მწერლობა მკითხველ საზოგადოებას თვალს ვერასოდეს ვერ აუხელს და თუ რასმე მოახერხებს, მარტო იმას, რომ ორიოდ სამს კერძოობით აზრს ან გრძნობას ჩაუსახავს მკითხველის გულს, ორიოდ სამი მხრით გააუმჯობესებს მის ხასიათს. და როცა ამ გვარათ გაუმჯობესებული მკითხველი ცხოვრების ნამდვილ მიმდინარეობას შეხვდება, როცა იმას უცნობი დაბრკოლება, უნახავი და გაუგებარი თვისებები წინ დაუდგება, ის გაშტერებული და დაუმზადებელი კაცივით ან გულ-ხელს იკრეფს, ანა და ცხოვრების მიმდინარეობას მიჰყვება და დანარჩენი საზოგადოებისავით ბრმათ და გაუგებრათ მოქმედებს...

მწერლობა იმისთანა მკითხველებს კი არ უნდა ამზადებდეს, რომელთაც გაზეპირებული აქვთ ვითომ—ზნეობითი კატეხიზმოს ლიბერალური მუხლები, და რომელნიც ამ მუხლებით ზმანავენ ყველაფერს, რაც კი ცხოვრებაში იმათ შეხვდებათ. ამისთანა მკითხველი სანდო და გამოსადეგი იშვიათათ გამოვა. მწერლობას მიზნათ იმისთანა მკითხველების მზადება უნდა ჰქონდეს, რომელთაც საზოგადო მიზანი კარგათ იცოდენ და თანამედროვე მდგომარეობა გაცნობილი ჰქონდეთ. თუ მკითხველს ხეირიანი ტვინი და გრძნობა აქვს, ამ ცოდნით ის ყოველ გარემოებაში გზას და კვალს გაიგნებს, კარგს და სასარგებლოს ავისა და სავნებელისაგან გაარჩევს და ხალისი თუ ექნა, საქმეს ყოველთვის სარგებლობას მოუტანს. იმას, მართალია, ზეპირათ როდი ეცოდინება ლიბერალური არტიკულები, მაგრამ სამაგივროთ ის თვალ-ახელილი იქნება, მისი გონება საკუთარ მუხლებზე მარჯვეთ იდგება, იმას ახალ გარემოებაში სინათლის დანახვა და კეთილი გზის პოვნა თვითონვე შეეძლება. ნასწავლი და თუნდ

სწავლული მაშინის მაგიერ, ის კაცი იქნება, საკუთარი გონებით და ძალ-რებით მოქმედი, და თუ იმას საზოგადო საქმის, საზოგადო მიზნის ხსოვ-ნა არ ამოეხოცა გულიდამ, მის მოქმედებას თითქმის ყოველთვის კეთილი და სასარგებლო შედეგი ექნება.

აი ამისთანა მკითხველისათვის უნდა ამზადებდეს მასალას თანამედროვე და გონიერი მწერლობა, და ეს მასალის დამზადება, როგორც წინეთ ვთქვით, განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მიზნის, უკეთესი იდეალის გამოსახვას გვერდით მოჰყვებოდეს ეხლანდელი ხალ-ხის, საზოგადოების და ადამიანის ნამდვილი ხასიათის, მდგომარეობის და საჭიროების გამოხატვა. ამისათვის საჭიროა ზოგიერთი წოდების ან გრუპების შეფერება და ცამდი აყვანა კი არა (ეს მარტო ხანდისხან, ბრძოლის დროსაა გამოსადეგი) მათი პირუთვნელი ავისა და კარგის გა-მოთქმა, მათი ნაკლულევანების გაცნობა, მათი სისუსტის დანახვა, ერთი სიტყვით მათი ნამდვილი ხასიათის ცოდნა. ჩვენ საგანს რომ დაუბრუნდეთ და ისევ გლეხ-კაცობაზე ლაპარაკი განვაგრძოთ, გვეთქმება, რომ რუსე-თელ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტალური და შე-ფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი ღრმით-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოე-ბისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებული და უღო-ნო, უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყვანა. მწერლობას მკითხველი-სათვის უნდა ეჩვენებინა, რომ ცუდ წესს, ძალადობას, სიღარიბეს, უმეც-რებას, განათლებული წოდებისაგან მიტოვებას ეს ღვთისაგან გაჩენილი, ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუმდაბლებია, გაუბინძურებია, გაუ-სულელებია, თითქმის პირუტყვათ გაუხდია, და მასში დღეს ღვთის სახე და მსგავსება კი არა, ადამიანის სურათიც აღარ მოჩანსო. მწერლობას გლეხების მდგომარეობა ნამდვილათ და სწორეთ, შეუფერავად რომ გა-მოეხატა, აღმოეჩნდებოდა, რომ განათლებულ საზოგადოებას, გონება გა-ხსნილ წოდებას, „უმაღლეს კლასებს“ და თვითონ მთავრობასაც აუცი-ლებლათ სჭირიათ ამ დამდაბლებულ და დაბრმავებულ გლეხ-კაცობის ყურადღება მიექციონ, დაეხმარონ, უკეთესი მომავალი და ბედი მოუმზა-დონ, ამიტომ რომ წეუძლებელი და გაჭირვებული საქმეა მაღალი საზო-გადოებისთვის და მთავრობისთვის იმისთანა ხალხში გაძლება და ცხოვ-რება, რომელიც ამისთანა უბედურ და დამდაბლებულ მდგომარეობაში იმყოფება. ამნაირი საქმის გამოხატვა მწერლობის მსრით ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა და თან საზოგადოებ-რივ საჭიროებასაც სიკეთეს უზმიდა, საზოგადო მიზანს სარგებლობას მოუტანდა, რუსეთის პოლიტიკურ გახსნას დაეხმარებოდა და გააადვილებ-და... ეს მაგალითი კრიტიკის და მკითხველის ყურადღების ღირსია: ის გვიჩვენებს იმ კანონის სიმართლეს და სინამდვილეს, რომ ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსადეგი პუბლი-ცისტიკა თითქმის ერთი და იგივე საქმეა.

აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ მწერლობას ჩვენის აზრით ნიადაგ და მარტო დღითი-დღიური ცხოვრების ფოტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში. ამასწინეთ[1] ჩვენ ვრცლათ მოვილაპარაკეთ იმ პირობებზე, რომელნიც მწერალს ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ასაწერი საგნების არჩევის და გამოხატვის დროს, და ერთი და იმავე აზრის ათასჯერ გამოთქმა, ხომ, მკითხველსაც უნდა აბეზრებდეს თავს და მწერალსაც. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ მწერლობაში შეუფერავათ და სწორათ უნდა გამოიხატებოდეს თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ მეორე მხრით, მწერლობაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა სხვა საჭიროებასაც აქვს, და მწერლობა ამ საჭიროებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მწერლობა მარტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა იკვლევდეს, იმას ხშირათ სხვა დანიშნულებაც აქვს, პირდაპირი სჯის გამოთქმისა, გამოხატული მოვლენის დაფასებისა, მისი ნამდვილი ადგილის ჩვენებისა, და ამ მხრით იმას ძლიერ ხშირათ მეორე იარაღის ხმარება, მეორე კილოთი დაწერა სჭირდება. მწერლობაში დიდი გავლენა და ძალა აქვს მწვავე და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირათ გადაცემას მკითხველისთვის. ხელოვნურ მწერლობაში ამ მხარესაც დიდი ადგილი უკავია, და უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის ისე ხშირათ უხმარიათ, როგორც ცხოვრების შეუფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე იარაღი უფრო საჭირო და გამოსადეგია მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტაოდნათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათ ან მალულათ ბრძოლა სდუღს, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერევოდეს და თავის აზრს, შთაბეჭდილებას და გრძნობას საზოგადოებას უნდა აგებინებდეს. აი ამ დროებაში, ამნაირ გარემოებებში საჭირო და გამოსადეგია სატირა, იუმორული თხზულებები, პამფლეტი, საჭიროა ერთი სიტყვით ფელეტონური ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზევითა გვაქვს ნათქვამი, ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს.

ამაებზე ჩვენ ლაპარაკი იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია ადამიანი“ საკმაოდ გვიჩვენებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ცდის შემდეგ იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე, რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით, და მალე გაუცნია ნამდვილათ ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები. „კაცია ადამიანში“ გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბ-

[1] „კრებული“ 1871, № 3, სტატია: „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“.

მით. „გლეხების განთავისუფლების სცენები“ ერთი მხრით ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და ჩინებულათ აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან, ეგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“, ხომ, ჩინებულათ იმ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის წუთიერ, საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამათში მეტის-მეტად სანუგეშო გაელენას წარმოგვიდგენს. მაგრამ ამაებზე ჩვენ სხომის გვექნება მოლაპარაკების დრო და შემთხვევა. ეხლა კი ჩვენს „გლახის ნაამბობს“ დაუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვით მასზე სჯა დავაბოლოოთ.

ეს თხზულება, როგორც წინათ ვთქვით, 1859-შია დაწერილი პეტერბურგს. ამას იმ მწერლობის გავლენა ატყვია, რომლის წარმომადგენელი იყვნენ რუსეთში: გრიგოროვიჩი, მარკო-ვოვჩოკი და სხვ. მაგრამ, რადგანაც მიმბაძველი ბრმა მიბაძვას არ სჯერდებოდა, რადგანაც მისი ხელოვნური გრძნობა მაშინაც ხედავდა ამგვარი მწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტათ შემსუბუქებული არიან. მაგალითად, წეღან რომ ვამბობდით რუსულ რომანებში გლეხი რჩეილ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდა თქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძვნია ეს ნაკლულევანება, და მის „გლახის“ ნასწავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდამვე ერთ კეთილ-მოქმედ ღედელს შეუყრის, რომელიც იმას წერა-კითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალას აგრძნობინებს და გზას უჩვენებს და „ვეფხის-ტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებინებს. „ვეფხის-ტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებით გამოკეებულ კაცში, რასაკვირველია „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერული ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია.

ამავე აღზრდით აიხსნება ის გრძნობის სინარნარე და სიფხიზლე, ის პატიოსნური ამაყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის გადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩვილე, რომელიც „გლახის ნაამბობში“ ისე აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილ ცხოვრების სურათებს. მაგრამ ვერც ეს ხერხი, ვერც ცალკე ადგილების მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მალავენ იმ საზოგადო ნაკლულევანებას ამ თხზულებებისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი დედა საგანი იშვიათი განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში, რომ მართალია, ამგვარი შემთხვევა ხშირათ მომხდარა ხოლმე ჩვენშიც, ბატონყმობის დროსა, მაგრამ იმ შემთხვევებს ამნაირი გარემოებები თითქმის არასოდეს არ დაჰყოლიათო, ეს ამბავი „შეკეთებუ-

ლი", შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ჩამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო და სხვადასხვა.

მაგრამ თუ ჩვენ ამ საზოგადო ნაკლულევანების დავიწყება მოვახერხეთ და კეისარს კეისრის მივეცით, მაშინდელი დროის საჭიროება და გონების მოძრაობა გავიხსენეთ, და სისუსტის უკუმიგდებით დანარჩენ მხარეებს თვალი გადავავლეთ, ბევრ ნიშიერს და გრძნობით სავსე ფურცლებს წარმოგვიდგენს ჩვენ ეს „გლახის ნაამბობი". ღვდლის სიტყვებში, მისი ერთობ გადაჭარბებული სიწმინდე და გულკეთილობა რომ დავივიწყოთ, ბევრ ხელოვნების მარგალიტს შევეყრებით ხოლმე. მაგალითად თუნდა იმ ადგილს მოვიყვანთ, სადაც ღვდელი პეტრეს სწავლისა და ცოდნის სარგებლობას და საჭიროებას უხსნის, გასაგები, უბრალო და გონიერი ენით, ჩინებული მაგალითებით და შედარებებით. ეს სწორეთ „საქრესტომატიო" ადგილია. ყველა იმ ადგილების ამოწერა ან მოხსენება რომ მოვინდომოთ, საიდანაც გამოსჭვერს „კაცია ადამიანის" შემდეგი ავტორის ნიჭი და ძალა, ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ ან ჩამოვთვალოთ და „გლახის ნაამბობი" მკითხველს ახლად წაკითხული აქვს, მისი ხსოვნა და შთაბეჭდილება იმას ისე არ დაუკარგია, რომ ეხლა ჩვენი გახსენება და ჩამოთვლა სჭიროდეს. მაგრამ ორიოდ-სამ მაგალითს მაინც მოვიყვანთ, რომ მკითხველმა იცოდეს, რანაირი ადგილები გვაქვს მხედველობაში, როცა „გლახის ნაამბობის" კერძოობით ღირსებებზე ვლაპარაკობთ:

„ადამიანს,—ამბობს გლახა იმ ადგილას, საცა ის ათავებს იმ სურათის აღწერას, თუ თავის შეყვარებულს პირველათ „ჰო" როგორ ჩამოართვა, ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის სიფელში იმისთანა დრო, ეს წუთის სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა ჰსცოდნია, უბედურების მეტი"; ან აი ეს:

„სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო (არიგებს გლახას ღვდელი) არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და შამა. ძზე რომ ამოღის ვარსკვლავები მაშინ არა ჰსჩანან".

ან კიდევ სურათი: „გაოცებული ვუყურებდი ღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალი გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი, რაღაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარ მითხრა რა და სიარულში გაიქარწყლა გულის წადილი".

ან ეს შედარება, რომელიც ღვდელს უხმარია როცა გაბრიელს მისთვის უკითხავს „ვეფხვის ტყაოსანი" სამღვთო რამ არის თუ არაო?

„ყველაფერი სამღვთოა, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დაშწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თვის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს,

ხიდათ გასდებს, რომ თუ არა თითონ სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს ამ ხიდს ზედ ამჩნეია ყოველთვის ღვთის მადლი".

ერთი სიტყვით ძალათ თუ არ შევიკავეთ თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამოწერა ას ასობით მოგვინდება.

* * *

ილ. ჭავჭავაძის თხზულებებს შუა მეორეც იპოება ისეთი, რომელსაც ამ „გლახის ნაამბობთან" ბევრი საერთო თვისება და მზგავსება აქვს. ჩვენ ვამბობთ პოემაზე „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ", რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში" და „ჩონგურში" იყო დაბეჭდილი და რომელიც სრულად „კრებულში" მალე დაიბეჭდება. ამ ორ თხზულებას თითქმის ერთი და იგივე აზრი და გარემოებები აქვთ, ისე რომ ერთი მეორეზე გამოჰრილი ჰგონია კაცს. მაგრამ „რამდენიმე სურათში" ნაკლები სენტიმენტალობაა და მოქმედი პირების ხასიათის გამოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს ვინემ „გლახის ნაამბობში" ამავე მხარეებს. როცა ეს პოემა „კრებულში" დაიბეჭდება, მკითხველი იმას სრულად გაიცნობს, და, იმედი გვაქვს დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაშიც, როგორც „გლახის ნაამბობში" ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ჯერ კიდევ ფრთა-გაუშლელი და თავისი ნიჭისა და გზის თითქმის პირველათ მსინჯველი, გამოდის მაინც შესანიშნავ მწერლათ და გრძნობით საესე პოეტათ, რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლათ დაუტოვებია, და მაღალი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს. ყველა ამ გრძნობებს ის ისეთი ჩინებული, გასაგები და დასამახსოვრებელი ენით გამოსთქვამს, ამ ახალგაზრდულ თხზულებებშიაც, რომ მისი ნათქვამი მკითხველ საზოგადოების გრძნობამდის გზას გაიკვალავს და თავის ბეჭედს დასტოვებს, ესე იგი პოეტის გრძნობა გავრცელდება, სარგებლობას მოიტანს, საზოგადოებას და ხალხს, ცალკე პირს და მამულს სამსახურს გაუწევს, ასარგებლებს, არგებს და აამაღლებს. და ნეტავი იმ მწერალს, რომლის შრომას ამნაირი ხასიათი აქვს: იმას ბევრი წერილმანი ნაკლულევანება შეენდობა, თუნდ, იმისთანაც, რომელიც „გლახის ნაამბობის" საზოგადო ხასიათს და ხელოვნების სისუსტეს შეადგენს.

ჩვენ გავაცანით მკითხველს ჩვენი შეხედულობა ილ. ჭავჭავაძის ყმაწვილურ ცდებზე. მის ნამდვილ და გაელენიან შრომას კი, მის „კაცია ადამიანს", „სცენებს" და სხვ. ჩვენ როდისმე სხომის დაუბრუნდებით, მათ-

დაწვრილებით გასაშინჯველათ. მარტო მაშინ მკითხველს ნაჩვენები და გამოხატული ექნება ჭავჭავაძის ნამდვილი ღირსება და მნიშვნელობა, მისი ძალა და ხასიათი და მისი ნაწარმოების გაელენა ჩვენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაზე და მომავალ ბედზე. ეხლანდელი ჩვენი საუბარი კი მასზე მარტო მეორე, უწინდელ, ახალგაზრდა ჭავჭავაძეს შეეხება, რომელსაც „კაცია ადამიანი" რომ არ დაეწერა „გლახის ნაამბობი" ჩინებულ თხზულებათ ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია ადამიანის" დამწერმა დაავიწყა.

* * *

ამ საგანზე ჩვენ აქვე უნდა მოგვესპო ლაპარაკი, მაგრამ არ შეგვიძლია ამ უწინდელ ილ. ჭავჭავაძეს მოვცილდეთ უიმისოთ, რომ ერთი შენიშვნა კიდევ არ გამოვთქვათ. როგორიც განსხვავებაა მის „გლახის ნაამბობს" და „კაცია ადამიანს" შუა, სწორეთ იმნაირათ განისხვავება მისი პირველ-დაწყებითი ლექსები ეხლანდელებიდგან. უწინდელ მის ლექსებში სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა. ეხლანდელ მის ლექსებში კი[1] საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ეხედავთ ხოლმე. იმათში ჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვების თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისათვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს გასცნობია, მისი სულით აღუსილა, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გაშოხატულება კარგა საფუძვლიანათ დაუნახავს და შეუსწავლია. ეს მეტის მეტად საქები და სასარგებლო საქმეა, ერთი მით, რომ ხელოვნურ მწერლობას ამით იარაღი უკეთესდება და უძლიერდება და მეორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშვნელობაც ძლიერდება. ჩვენ მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას გავეჩვევით და იმნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი მიწევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ მწერლობას ძალასა და გავლენას, და მარტო ამით შევაძლებინებთ იმას ხალხის სასარგებლოთ გამოსადეგ სამსახურს და გაელენიან შრომას.

---

[1] „კრებულში" ბევრი ისეთი ლექსია დაბეჭდილი ილ. ჭავჭავაძისა, რომელნიც უწინდელ მის მწერლობას ეკუთვნის, უწინაა დაწერილი, და არა ეხლა.

შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება[6]

დაიწყოთ ხელოვნურ თხზულებაებიდამ. ამ მხრივ რასაკვირველია ნათარგმნები შარშან მეტი გვქონდა, ვინემ ორიგინალური თხზულებაები. ყველაზე მეტი ყურადღება ქართულ მკითხველების მხრივ მიქცეული იყო „მეფე ლირზე" ეს გამოჩენილი თხზულება შექსპირისა იყო ნათარგმნი ილ. ჭავჭავაძისაგან და ივ. მაჩაბლისაგან ინგლისურიდამ. ამას იქითაც კარგი იქნება, რომ გამოვესალმოთ უცხო ქვეყნელ თხზულებაების თარგმანს რუსულიდამ. რუსულ მწერლობაში, როგორც იქაურმა კრიტიკამ აღმოაჩინა, ბევრი უნიჭო, უკეთ ვთქვათ, უგვარო თარგმანია. ვისაც წაუკითხავს ჰეინე ნემეცურ ენაზე და რუსულზე, ვისაც წაუკითხავს „ტარტიუფი" ფრაინცულად და რუსულად, ის დარწმუნებულია, რომ დიდი განსხვავებაა ნემეცურ და რუსულ ჰეინეს შუა, ფრაინცულ და რუსულ ტარტიუფის შუა. რუსულად დამახინჯებულ კლასსიკების თარგმნა ქართულად სწორედ სავნო საქმეც არის. ქართველი მკითხველები მოიძულებენ ევროპიელ გენიოსებს უგვარო ქართულ თარგმნების გამო. ამ მხრივ სწორედ თანაგრძნობის ღირსია „მეფე ლირის" ქართულად გადმოღება. ამ თარგმნის სისწორეზე ლაპარაკი მიგვინდია იმათთვის, ვინც რიგიანად იცის ინგლისური და ქართული ენები. მაინც კი ვიტყვით, რომ დიდ ეჭვში ვართ, შეიძლეს თუ არა „მეფე ლირის" მთარგმნელებმა ამ ტრაღედიის ხასიათის გამოთქმა ქართულად. მოქმედი პირნი ამ თხზულებაში ლაპარაკობენ გრძელ წინადადებებით და ერთ უბრალო აზრის გამოსათქმელად ხმარობენ მძიმე მწიგნობრულ ენას. ეს ლაპარაკის გაჭიანურება ცოტად მაინც ასუსტებს იმ ღრმა შთაბეჭდილებას, რომელიც რჩება ხოლმე მკითხველს შექსპირის თხზულების კითხვიდამ. უკეთეს რუსულ თარგმნებს შექსპირის ტრაღედიებისას, რამდენადაც გვახსოვს, ეს ნაკლულოვანება არ აქვთ და ამიტომაც მეტი შთაბეჭდილება რჩება იმათგან მკითხველს.

ამის გარდა „მეფე ლირის" გადათვალიერებაზე ვიპოვეთ იქ ერთი ადგილი ძნელად გასაგები იმათთვის, რომელთაც რუსულად არ წაუკითხავთ ეს თხზულება მესამე მოქმედების მეოთხე სანახავში ტრიალ მინდორზე ლირს ახლავან გლოსტერი და კენტი, რომელსაც ტანისამოსი გამოუცელია და ამის გამო ვერვინ იცნობს იმას. გლოსტერი ეუბნება კენტს:

„ძის (ლირის) ღვიძლნი შვილნი სასიკვდილოდ მას იმეტებენ.
კეთილო კენტო!.. ყოველი ეს მან წინად იგრძნო...
ვაი უწყალოდ განდევნილსა?.. შენ მეუბნები, რომ ხელმწიფესა ჭკუა-გონება ეკარგებაო“...

აქ მკითხველს ეგონება, რომ გლოსტერმა იცნო კენტი, რადგან იმას გლოსტერი ეუბნება: „კეთილო კენტო!“ საჭირო კია, მკითხველი მაშინვე მიხვდეს, რომ გლოსტერი ვერ იცნობს ტანთ გადაცმულ კენტს და თუ ამბობს „კეთილო კენტო“ ეს იმიტომ, რომ ის იგონებს თავის ძველ განდევნილს ნაცნობს და იბრალებს იმას. ეს ადვილი გასაგებია დრუჟინინის რუსულ თარგმანში. აი რას ამბობს იქ გლოსტერი ზემომოყვანილ სიტყვების მაგიერ: „იმის (ლირის) სიკვდილი სურთ ქალებს. აბ, კეთილი კენტი! სად არის ახლა ის! ყოველი ეს იმან წინადვე სთქვა! შენ ამბობ, ხელმწიფეს ჭკუა-გონება ეკარგებაო!“.. ამ სიტყვებიდამ მკითხველს ადვილად ესმის, რომ გლოსტერი იგონებს კენტს, მაგრამ კი ვერ იცნობს იმას. იქვე მდგომსა-

ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება[1]

ქართულ ჟურნალ-გაზეთობამ ირჩივა უფერულობა, რომელიც რასაკვირველია ბევრად სჯობია პრელ საეჭვო ფეროვნებას ევროპიელ გაზეთებისას, და ბევრად დაუვარდება ადრინდელი ქართულ ჟურნალ-გაზეთობის ქადაგებას.

მოვიყვანთ აქ რამდენიმე მაგალითს.

მოიგონეთ ის მწერალი, რომელიც ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ მკითხველებზე ამ ათიოდ-თხუთმეტიოდე წლის წინათ: ილ. ჭავჭავაძე. იმის მაგიერობა ამ უკანასკნელ სამიოდ-ოთხიოდ წელს არავის არ უკისრნია, ისევე პოეტი მოქმედობს ქართულ ლიტერატურის ასპარეზზე, თუმც იმის მეათედი გაელენა არა აქვს, რაც ადრე ჰქონდა. რატომ? ამას გაიგებთ ადვილად, რომ შეადაროთ იმის ძველი და ახალი ლექსები.

აიღეთ გინდ „მუშა“ და „პოეტი“, რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომრებში და ისე ძლიერ მოსწონდნენ უკეთეს ახალგაზრდობას, რომ იზეპირებდა კიდეც იმათ. შეადარეთ ეხლა ეს ლექსები შარშანდელ პოემას იგივე პოეტისას „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიის“ მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყეს. ზოგმა წაიბუტბუტა: „ჭავჭავაძეს აღარ აქვსო ძველებური პოეტური ნიჭი“ და ამით გათავდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თავის წამკითხველებზე ილ. ჭავჭავაძის ახალმა ლექსმა. მაგრამ რისგან წარმოსდგა, რომ ასე ციცად დახვდნენ იმას? ნუ თუ მართლა ჭავჭავაძის პოეტური ნიჭი დასუსტდა? არა, ეს არ ითქმის. „დიმიტრი თავდადებული“ დაწერილია უფრო მსუბუქ ლექსით და ცოცხალ ხალხურ ენით, ვინამც „მუშა“ ან „პოეტი“. მართალია თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რომ ის არ არის მდიდარი ნამდვილი პოეზიით, ე. ი. ვერ იპოვით ცოცხალ სურათებს დახატულებს ხელოვნურად, მრავალფეროვანი ენით, მაგრამ ვერც ეს შენიშვნა აგვიხსნის რასმეს. რადგან ილ. ჭავჭავაძის ლექსს ადრეც ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა დავარდნილი; იმის ხელოვნებით არავინ ჰკვირობდა. ყველა იმის მომწონი იძახდა მარტო: რა კარგი გრძნობა არის იმაში გამოთქმულიო, რა სწორე აზრია გამოყვანილიო. არც ერთი თითქმის ილ. ჭავჭავაძის თაყვანის

მცემი არ იტყოდა იმაზე: მშვენიერი მცოდნეაო კაცის გულისა, სააშო ჟღეროვან ლექსის დამწერიო. ილ. ჭავჭავაძის და ხან-და-ხან აკ. წერეთლის ლექსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ათიოდ, თხუთმეტიოდ წლის წინათ ჩვენ საზოგადოებაში იმიტომ, რომ ისინი უპასუხებდნენ იმ კითხვებზე, რომელნიც დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენ განათლებულებს. ჩვენ ვპოულობთ ამ ლექსებში ახალ გრძნობას, ახალ აზრებს.

აიღეთ „მუშა“, ის დაიწერა იმ დროს, როცა ჩვენი განათლებულები თავიდამ ფეხის ფრჩხილებამდი ბატონები იყვნენ, გარდა ორიოდ ახალგაზრდასი. დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი „მუშა კაცის“ უბედურებაზე ახალი რამ იყო ჩვენ მწერლობაში. იგივე ითქმის „პოეტზე“. ამ ლექსის დაბადებამდე თითქმის მთელი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო „ვარდ და ბულბულის“, „წალკოტისა და იადონის“, „აშიყთ ჰიკჰიკის“ სიმღერებით, არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის სულდგმულობდეს. ილ. ჭავჭავაძის „პოეტმა“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთმოყვარეობით სავსე, მქებელი ძმობის და თანასწორობის.

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, (ამბობდა ილ. ჭავჭავაძის პოეტი)

რომ წარუძღვე წინა ერსა,
რომ ხალხისა მოძმე ვიყო
ჭმუნვაში და სიხარულში;
ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცედ გული.
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ: მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა!

ახლა გადაიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული“ და მიბრძანეთ, რაა ის ახალი აზრი, რომელსაც ის გამოგვითქვამს. იქ პოეტი დამღერის მეფეს, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩიენა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვასთან ერთად. აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება. ყოველ ანბანში სწერია: გიყვარდეს მოძმე შენიო ვითა თავი შენიო; თავ-განწირვით გიყვარდეს სამშობლოო. ამგვარ უეჭვო ჭეშმარიტებაზე სიმღერა ეხლა, როდესაც თავში გვერევა ათასი ძნელი გადასაწყვეტი საგანი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრად გვეპაშნიკება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასჯერ

და ათასჯერ მეტი ზედმოქმედობა ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პოემას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე. აბა ერთი დაიხატა სწორედ ილ. ჭავჭავაძეს, რამდენჯერ ეცემა ხოლმე ტალახში ჩვენებური კაცი, რამდენჯერ ივიწყებს ის თავის წმინდა გრძნობას, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რამდენ სილასა სჭამს, რომ უბრალოთ არ დაიღუპოს, რა გარემოება აკვლევინებს თავს საპყრობილეში ახალგაზრდა, შეძლებულ, განათლებულ კაცს, რა ადვილია ჩვენებური გლეხის დაქცევა და დანელება და მაშინ დარწმუნებული იყავით ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას ისეთი დიდი გავლენა ექნებოდა ჩვენში, როგორიც ჰქონდა იმის „მუშას“ და „პოეტს“ ან ნეკრასოვის „Размышления у парадного подъезда“ ან ვიქტორ ჰიუგოს „Les chatiments.“ იგივეთქმის აკ. წერეთლის ზოგიერთ ძველ და ახალ ლექსებზე. ამ მწერალს ადრე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მწერლობაში, ვინამც ილ. ჭავჭავაძეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პოეტური ნიჭი ამისაზე ნაკლები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ დაშორებული იყო ის იმ ახალგაზრდობისაგან, რომელსაც დააჩნდა რუსულ უკეთეს ჟურნალების ბეჭედი[1]. მაგრამ ვერც აკ. წერეთელმა აიცილა სრულებით თავიდამ ამ ჟურნალების, ანუ უკეთ ვთქვათ, ჟურნალის გავლენა და იმის „მუშურს“ ილ. ჭავჭავაძის ლექსებზე ნაკლებად არ მოჰყვანდა აღტაცებაში ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება, იმიტომ რომ ამ „მუშურში“ გამოითქმებოდა იგივე სატირა, იგივე რჯული, რომლის მომტანნი იყვნენ რუსეთში ნეკრასოვი, დობროლუბოვი და იმათი ამხანაგები და ჩვენში—ილ. ჭავჭავაძე.

მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა „მუშურის“ შემდეგ და ბოლოს დროს კიდევ დაგეხვდა აკ. წერეთელი თავის ლექსებით „დროებაში“. შარშან იმან დაბეჭდა სხვათა შორის ორი ლექსი: პოემა „ორი ქართველი“ და „სხვადასხვა ერი“. პირველში აღწერილია ძველი ქართველის მამაცობა; მეორეში აღწერაა სხვადასხვა ერის თვისებისა... როგორც ხედავთ, მკითხველო, არც პირველ და არც მეორე ლექსში აზრი არ არის ახალი, ღირსშესანიშნავი...

აქ მოყვანილი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ეხლანდელ გაზეთების მიმართულების გავლენა ვერ აიცდინეს თავიდამ ვერც იმისთანა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელია.

ვიმეორებთ: ქართული გაზეთი ან ჟურნალი აღარ არის თავის საზოგადოების წინამძღოლი, ის არის ეხლა მხოლოდ ამ საზოგადოების თანასწორი, იმის გამრთობი და მისაებ მღეველი დაობებულ ჰეშმარიტებაების...

---

[1] ამაზე იმედი მაქვს უფრო დაწვრილებით მოველაპარაკო მკითხველს „ალმანახის“ შემდეგ წიგნში, როცა წარვუდგენ ახალ მწერლების სურათს ცალ-ცალკე.

მწერლობა[6]

ივერია, № 1, იანვარი 1879

ეს პირველი წიგნი ჟურნალ „ივერიისა“ ერთობ ღარიბია ლიტერატურულ ნაწილითა: ორი დაბეჭდილი მოთხრობა, ორივე ნათარგმნი არიან, ზ. მოენიძის ლექსი—ისიც ნათარგმნი და ორიოდე პატარა ხევსურული ლექსები—ყველა ეს არაფრით არ არის შესანიშნავი და ბევრს არრას უმატებს ჩვენ მწერლობას; დარჩა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და მეც პირ-და-პირ ამ თხზულების გარჩევას შევუდგები.

ბრმა-მეფანტურე გვიამბობს მეფე დიმიტრის თავგანწირვას, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩია საქართველოს გაოხრებას. როცა ყეინმა გაუგზავნა მეფეს მოციქული: „გამოცხადდი ჩემ წინ შენო, თუ არ მოხვალ შენს ქვეყანას ნაცარტუტას ავადენო“. დიმიტრიმ შეჰყარა მღვდელთ-მთავართა და დიდებულთა ყრილობა და ჰკითხავს,—რას მირჩევთო? დიდებულნი ურჩევენ ბრძოლას და მღვდელთ-მთავარი თავის შეწირვას, მეფემ გადაწყვიტა თვითონ მომკვდარიყო და საქართველო დაეხსნა, და თუმცა ხალხს არ უნდოდა თავის ბატონის გაცემა, დიმიტრი მაინც წავა ყაენთან და იქ მოჰკვეთენ თავსა.

უცნაური გმირია ეს დიმიტრი თავდადებული: მის გონებაში მხოლოდ ერთი აზრია — მამულის დახსნა და გულში ერთი გრძნობა — სიცოცხლის სიყვარული. მეფეს ყაენის ბრძანება რო მოუვიდა, თითონ არ შეუძლიან რაიმე გადაწყვიტოს, უნდა სხვასა ჰკითხოს რას მირჩევენო? თითქოს გმირისთვის აქ არჩევანი ან ფიქრი შეიძლებოდეს კიდევ?

თუ მამული უყვარს და ბრძოლის ილაჯი არ არის — ცხადია რომ თავი უნდა შესწიროს, და დიდებულთა და მღვდელთ-მთავართა თუ მოიხმობს ამ შემთხვევაში, მხოლოდ თავის ნების გამოსაცხადებლათ. მეფე თითქმის სხვის გადაწყვეტილებას ემორჩილება და არა თავის გულის წადილს. ასე რომ დიმიტრი გმირი არ არის, ეს მამულის მსხვერპლია, თავის ქვეყნის მოწამე. ერთ აზრს დაუპყრია მისი გონება — საქართველოს სიკეთე და მეფე ვერ მიმხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოისა — ერთია: ხალხი თავის ბატონის გამცემი, თავის უძლურობას აჩენს და მას იგივე მოელის, რაც ბატონს გადახდა. შეცოდების ღირსია ეს უბედური მეფე და არა თაყვანისცემის: მისი საქციელი უფრო გულ-

შემატკივარ ხუცესის საქციელსა ჰგავს. ვინემც მამულის შვილისას და ეშირისას.

ერთი უცნაურობაც მაკვირვებს ამ მეფისა: დიმიტრი თუმცა კეთილი და ლბილი გულის კაცია,—არავინ არ უყვარს. ის არავის არ ესალმება წასვლის დროს, არც დედა აგონდება, არც ცოლ-შვილი. ნუთუ ამ ჩჩვილი გულის კაცს არც საყვარელი ჰყავს და არც მეგობარი? ეს მამულისთვის თავ-დადებული კაცი ისე მიდის, რომ შვიდობასაც არ ეუბნება თავის საყვარელს საქართველოს, არ შეხედავს სამშობლო ცას და მიწას, არ მოაგონდება ბედნიერი დღენი, რომელნიც აქ დალია...

უცნაური კაცია ეს მეფე დიმიტრი, უცნაური! როგორ ითავსებიან ხის გულში ამდენი გაუგებარი ურთიერთის წინააღმდეგი გრძნობანი?

იცით მკითხველო, რისგან წარმოსდგება ეს უცნაურობა? მეფე დიმიტრი დიახაც გმირი და დიდი კაცი გამოვიდოდა, თუ თვითონ პოეტს, ილია ჭავჭავაძეს, ეამბნა მეფის თავდადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა რაც დიმიტრის გულში უცნობი და მიუხდომელია, მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთმისანია. მაგრამ რაკი პოეტი ბრმა მეფანტურეს უთმობს სიტყვას, იძულებულია თავის გმირიც დაამდაბლოს. მეფანტურეს, დაბალ ხალხის კაცს არ ძალუძს დიმიტრის გულისთანა გმირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტათ მიუწდომელი და მაღალი ტანისაა, მისი გულის ჩჩვილობა და მამაცობა ვერა თავსდება მეფანტურეს გონებაში და ამიტომაც იმის ნაამბობით დიმიტრი გმირათ კი არ მოჩანს, არამედ მხდალ და გაუბედავ კაცად.

ამაში მდგომარეობს პოემის ნაკლულეანება და ხდება მისი მშვენიერება.

რაც შეეხება ლექსთა წყობას, ილ. ჭავჭავაძე ამ საქმეში განვითარებული და გამოცდილი მოლექსეა, მისი ლექსი დაემსგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილს ჯარს. პოეტურ სურათებითაც მდიდარია ეს პოემა; აი ერთი მაგალითი მრავალთაგანი:

მეფეს ახლდა მხარ-მარჯვნივა
გულ-მწუხარე მღვდელ-მთავარი
და მხარ-მარცხნივ შუბლ-შეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.
მღვდელ-მთავარი ჰსწუხს და ვაებს
მეფის თავ-გადადებასა,—
სპასალარი კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.

მგონია რუსთაველიც არ დაიწუნებდა ამ ლექსსა და ყველა პოეტი დიდის სიხარულით დაიჩემებდა.

შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“[9]

უფ. ა-მა თავის „დიმიტრი თავდადებულის“ გარჩევაში უპოვნა ამ პოემას ისეთი ნაკლულოვანება, რომლითაც „ხდება მისი მშვენიერება“. ეს ნაკლულოვანება, რეცენზენტის აზრით, გახლავთ იმაში, რომ პოემის პირველი პირი დიმიტრი თავდადებული, ვერ იჩენს ხასიათის სიმტკიცეს, რომ ის რაღაც „უცნაური გმირია“. დიახ, თუ ხასიათი ვერ არის ნამდვილათ, გულთმისნურათ გამოხატული, თუ გმირი გმირათ ვერ უდგა მკითხველს თვალ-წინ, ეს იქნება დიდი, ძრიელ დიდი შეცდომა, დიდი წაბორძიკება პოეტის მხრით, რადგან პოეტობის უპირველესი და უარსებითესი პირობაა ხასიათისა ნამდვილათ, ბუნებურათ გამოხატვა, და აქ, ამ გამოხატვაში, გამოჩნდება ხოლმე, ერთი არაკისა არ იყოს, ვინაა ნამდვილი და ვინ ცრუ პოეტი. თუ პოეტმა დიდი, სამაგალითო რამ გმირის გამოხატვა დააპირა და ამის მაგიერათ გამოუვიდა „შეცდომების ღირსი“ მამაკვდავი, მამულისშვილისა და გმირის ხასიათის მაგიერ „გულ-შემატკივარი ხუცესის საქციელი“, ეს, რაღა თქმა უნდა, ვერაფერი პოეტობაა, ეს იმას ემსგავსება, რომ თქვენმა მზარეულმა (უკაცრავათ მდაბიო შედარებისათვის) პიროვნას გამრცხობა რომ დააპიროს და სუფრაზე კი მჭადი მოგართვათ. ყველაფერს ამაობაში, რასაკვირველია, ყველა დამეთანხმება.

მაშ თუ ილ. ჭავჭავაძის გმირი ვერაფერი გმირია, ორში ერთი უნდა იყოს: ან ილია ჭავჭავაძე ვერაა ნამდვილი მხატვარი-პოეტი ან ამ უცნაურობას რამე ახსნა უნდა ჰქონდეს. უფ. რეცენზენტს ისევ ახსნის მოძებნა აურჩევია და ამ გაუგებარი უცნაურობის კლიტეს ჰპოვებს იმაში, რომ პოეტი ამბავს ბრმა მეფანტურეს მოაყოლებინებს: „მეფე დიმიტრი დიახაც გმირი და დიდი კაცი გამოვიდოდა“, ამბობს უფ. ა— „თუ თვითონ პოეტს ეამბნა მეფის თავდადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც დიმიტრის გულში უცნობი და მიუხვდომელია(?), მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთმისანია. მაგრამ რაკი პოეტი ბრმა მეფანტურეს უთმობს სიტყვას, იძულებულია თავის გმირი დაამდაბლოს(?) მეფანტურეს, დაბალ ხალხის კაცს არ ძალუძს (?) დიმიტრის გულისთანა გმირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტათ მიუწდომელი (!) და მაღალი ტანისაა, მისი გულჩვილობა და მამაცობა ვერა

თავსდება (!) მეფანტურის გონებაში და ამიტომაც იმის ნაამბობი, დიმიტრი გმირათ კი არ მოჩანს, არამედ მხდალ და გაუბედავ კაცად (!)"

უკაცრავად არ ვიყო და მე გაკვირვებული ვარ, რა ლოღიკური მოსაზრებით და რანაირათ თავსდებიან თქვენს გონებაში ამისთანა აზრები უფ. ა! (ბოდიშს ვითხოვ, რომ ასე უცებ პირდაპირ თქვენ მოგიბრუნდით). თქვენ სცდებით ერთი იმაში, რომ ხედავთ უცნაურობას, გაუგებრობას იქ, სადაც არაფერია არც უცნობი და არც გაუგებარი, მეორეთ თავის უცნაურს ახსნაშიაც. ამ პოემას კარგი, რიგიანი გარჩევა ეკადრება, მაგრამ საუბედუროთ „დროება" ისეთი პატარა გაზეთია, რომ ჩემი სიტყვა მოკლე უნდა იყოს: მე ვეცდები ოღონდ თქვენი აზრის დარღვევას. თქვენ ამბობთ დიმიტრი მეფის გონებაში მხოლოდ ერთი აზრია— მამულის დახსნაო და გულში ერთი გრძნობა, სიცოცხლის „სიყვარული". სწორი ბრძანებაა; რაც უფრო გმირია კაცი, მით უფრო უყვარს მას ქვეყანა და სიცოცხლე! ხშირათ გმირული გული ეწვის—იდაგვის ცხოვრების შემბედარე, ხშირათ ისმის იმისგან მწარე, გულ-გამხეთქი გაკვრცხვა, შეუბრალებელი კრულვა ამ წუთი-სოფლის, ხშირათ გადმოზდის მდუღარე, მწვავი ცრემლი, მაგრამ დიდათ შემცდარი იქნება ის და ცუდი გულთ-მისანი, ვინც იფიქრებს რომ იმას სძულს, ეზიზღებაო წუთი-სოფელი და სიცოცხლეო, ან და, თუ უყვარს, ვერ არი გმირიო და ვერ შესწირავს ყოველს წამს საყვარელ სოფელს თავსაო. თქვენ ამბობთ, რომ როცა ყეენის ბრძანება მოუვიდა, მეფემ თვითონ ვერაფერი ვერ გაარიგაო, სხვას ეკითხებოდა, თითქო აქ გმირისთვის ფიქრი და არჩევანი შეიძლებოდეს, თითქო არ იყოს ცხადიო, რომ თავი უნდა შესწიროს. თუ მოიხმობს ყრილობას ისევე ნების გამოსაცხადებლათ და არა რჩევისათვის (კეთილი და პატიოსანი!) მაგრამაო მეფე უფრო რჩევას ემორჩილება ვიდრე თავის წადილსაო.

ამაზე მიბოძეთ ნება მოგახსენოთ რომ თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლათ იმის დაუკითხავათ, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელ-მთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემოებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელ-მთავრისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიაჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, რომ ვერას გავა, მზათაა შეაკვდეს გმირულათ მამულის მტერს. მეფე ცხადათ, გარკვევით აღიარებს თავის აზრს და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება. რა არის აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუბედაობა?! პირიქით, კრებას რომ დამორჩილებოდა, უნდა დარჩენილიყო, და ან სადაურია, საქართველოს მეფე კრებას

ემორჩილებაო?! „ერთ აზრს დაუპყრია მისი გონება—საქართველოს სიკეთე და მეფე ვერ მიმხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთია; ხალხი თავის მეფის გამცემი თავის უძლურებას აჩენს და მას იგივე დღე მოელის რაც ბატონს გადახდაო“, ამბობთ თქვენ. მიკვირს და გამკვირებია რათ ბრძანებთ ამას, ბატონო! აქ რამდენიც აზრია, იმდენი შეცდომა. საქმეც იმაშია, რომ გარემოებისა და ვიღაც ხეპრე დესპოტის კაპრიზის წყალობით ორში ერთი უნდა მომხდარიყო: ან მეფეს შეეწირა თავი, ან ქვეყანას ადენოდა ნაცარ-ტუტა: ვინ მოგახსენათ, რომ მეფის დაღუპვა და სამეფოსი ერთიაო? ისტორიაში ძრიელ ხშირათ სულ წინააღმდეგი ხდება ხოლმე. გადაშალეთ ისტორიის პირველი ფურცლები, მოიგონეთ საბერძნეთის ძველი ისტორიიდან მეფე კოდრის თავ-გაწირვა და დამეთანხმებით, რომ თქვენი აზრი ვერც საზოგადოთ და ვერც რჩეული პოეტისთვის განსაკუთრებით ვერ აუვა კრიტიკას. რომ „ხალხი“ თავის ბატონის გამგები თავის უძლურობას აჩენს“, ამაში ყველა დაგეთანხმებათ და იმას კი რომ „ამას იგივე დღე მოელისო, რაც ბატონს გადახდაო“ რა მოგახსენოთ!

ერთი უკანასკნელი „უცნაურობა“. „დიმიტრი თუმცა კეთილი და რბილი გულის კაცია—არავინ არ უყვარსო“, აცხადებთ თქვენ: „ის არავის ესალმება წასვლის დროს, არც დედა აგონდება, არც ცოლ-შვილიო“... ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რათ იჩენთ უცნაურს იქ, სადაც არაფერია უცნაური! კაციაო და გუნება: ვის ხუცესი მოსწონსო და ვის ხუცის ცოლიო. ერთი იტყვის რატომ დედას არ გამოეთხოვაო, მეორე — ცოლი რათ არ გადაპროშტაო, მესამე—მეძებრებს უნდა გამომშვიდობებოდაო და მეასე—ხატებსაო... ეს ადამიანის გემოზეა, და პოეტი ყველას ვერ გაწვდება. განა გმირისთვის მოიძებნება თავის ხალხზე უსაყვარლესი სატრფო და მეგობარი? იმაზედ უკეთესი გამომშვიდობება და სიყვარულის გამოცხადება, რომელსაც მეფე უცხადებს ხალხს, განა შეიძლება კიდე?! არა, ღმერთმანი უცნაურია თქვენი კრიტიკა, უცნაური! ძალას ატანთ პოეტს, რომ მას მაინცა-და-მაინც ამისთანა გამოთხოვება უნდა გამოეხატაო... პოეტმა ამოარჩია რამოდენიმე საუკეთესო წუთი (მომენტი) თავის მხატვრულ-პოეტური მიზნისათვის: ქვეყნის დიდ-კაცობასთან თანბარი, ხალხთან გამოთხოვება, გამოგზავნილ ჯართან შეყრა, ყეენის წინაშე წადგომა, სატყეეოში ყოფნა და თავსაკეთი მოედანი. როგორ თუ გმირი არაა ის მეფე, რომელსაც დარჩენას ევედრება მთელი ხალხი,რომლის გულისთვის სამარეში ფეხ-ჩამდგარი მოხუცი, როგორც მთელი ხალხის სურვილის და გრძნობის გამომთქმელი, მზათ არის შვილები მტერს შეაკლას და რომლის რჩინა გული (თუმც სტირის და ვაებს) უცვლელათ ადგია ერთხელვე გადაჭრილ-გამოზომილს აზრს?! მან კარგად იცის, რა მეფეცაა ის თავის ხალხისთვის, და სწირავს თავს სწორედ გმირულათ. ის

თვითონვე ეუღრება მხლებლებს ნუ გააჯავრებენ ჯარს და ნუ გამოიღებენ ხელსაო, თუ ვინიცობაა რამე უკადრისობა აკადრეს, ის გმირულათ, ნამდვილ მეფურათ უპასუხებს ამაყ ყეენს; ის მაღალ-სულოვნებით აღსავსე რკინა-გული ეუბნება უარს, როგორც მაცდურებას, ერთგულ მხლებლებს, რომელთაც, როგორც არაგმირებს, ვერ უცვნიათ თავის გმირი მეფე, თუ დააპირეს მისი გულის გატეხა: ოღონდ ჰე, უკანასკნელათ ტანჯულ-წამებულმა, ღონე-მიხდილმა ხორცმა კინაღამ სძლია მაღალ სულსა და დაამტკიცა, რომ რაც უნდა გმირი ადამიანი იყოს, ადამიანი მაინც ადამიანათ რჩება. უბრალო სიკვდილის შვილსა და ნამდვილ გმირს შუა ამ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ გმირი გმირობას მაინც ბოლომდე გაიტანს, მაშინ როდესაც უბრალო მომაკვდავი მოულოდნელათ, საცოდავათ იჩენს, რომ წუთი-სოფელს მაინც ვერ მოსცილდება.

აქაც, ჩემის აზრით, საქებურმა პოეტმა გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვარ-პოეტური გულთმისნობა, ნუ დამარწმუნებთ, რომ დიდს რომაელს ბრუტს (თუ კი ის ჰეშმარიტი გმირი იყო და არა ფანატიკოსი) ხელი არ უკანკალებდაო, როცა ხანჯალს იცემდა გულში. იულიუს კეისარი დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული თავის ბანაკში, სანამ გადააბიჯებდა რუბიკონს. ოღონდ იმ შემთხვევაში დაგეთანხმებით, მე თქვენ იმაში, რომ ილ. ჭავჭავაძის დიმიტრი თავდადებული ვერაა გმირი, თუ კი თქვენ იტყვით, რომ ეს არ არის გმირობა, როცა კაცი შერება იმას, რაც უნდა ჰქნას კაცურმა კაცმა, როცა სწირავს თავს იქ, სადაც უნდა შესწიროს. ერთი სიტყვით თქვენგან შემჩნეული ამ პოემის ნაკლი მდგომარეობს მეფის ხასიათის გაორებაში და შეუსრულებლობაში (двойственность и неныдержка характера). მაგრამ ამაში ცდებით, და პირველი პირის ხასიათი მთელ პოემაში ერთიანი ერთსაირათ შესრულებულია. რაც შეეხება იმას, რომ პოეტი მეფანტურეს უთმობს სიტყვას, ეს ერთი იმ ხერხთაგანია, რომელსაც ხმარობენ პოეტები პოეზიის გაჩენიდამვე. მაგრამ ეს სულაც არ გაძლევსთ ნებას, რომ თავგანწირული, სამაგალითო გმირი „გულშემატკივარ ხუცესათ“ გამოაცხადოთ და ამგვარათ სულ წინააღმდეგი შთაბეჭდილება დაბადოთ მკითხველის გონებაში. თქვენი რა ვიცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოემის კითხვაზე არა ერთს და არა ორს მკითხველს აებურძგნა თმა და ჟრჟოლამ გაურბინა ტანში. „თითონ პოეტს რომ ეამბნა მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც დიმიტრის გულში უცნობი და მიუხდომელიაო“, ამბობთ თქვენ. ერთი, რომ აქ (ვიმეორებ კიდე) არაფერია არც უცნობი და არც მიუხვდომელი და მეორე—დიდი შეცდომაა ამ შემთხვევაში თქვენის მხრით პოეტისა და მეფანტურესი გაცალ-ცალკევება. აქ ეს ორი პირი განუსაზღვრელი და განუყოფელია, და პოეტი, მეფანტურეც რომ თავიდან მოეცილებინა, ერთს ნამცეცს არ აგიხსნიდათ და არ

გამოთქვამდა იმაზე მეტს, რაც ახლა არის გამოთქმული. პოეზიის ამგვარ დარგში, რომელსაც ეკუთვნის პოემა, რაც უფრო უჩინარია პოეტი, რაც უფრო ნაკლებათაა მისი პირადი ახსნა და გამოთქმა, მით უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტობის წინაშე. აქ პოეტი კი არა, არამედ თვით გმირის ხასიათი, საქციელი, თვით ამ გარემოებათა ბრუნვა, რომელშიაც ჩააყენებს პოეტი თავის გმირს, უნდა გვეუბნებოდენ, გვიხელდენ უჩინარი პოეტის აზრს, ახსნას, იდეას და სუყველაფერს, რაც გნებავსთ. თქვენ ძლიერ ცუდი აზრი გქონიათ შედგენილი დაბალი ხალხის პოეტურ ნიჭზე, თუ გგონიათ, რომ მისი გონება ვერ გაიგებს, ვერ მიწვდება გმირის გულს, უნებურათ, დაამდაბლებს და, როცა ლომის გამოხატვას დააპირებს კატა გამოუვა ხოლმე.

მე აქ არ შევდივარ მდაბიო ხალხის უხელოვნური პოეზიის გარჩევაში, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ პირიქით უბრალო ხალხის პოეზიური ნაწარმოები არასოდეს არ ჩამორჩებიან უკან ასე დარქმეულს ხელოვნურ პოეზიას წმინდა პოეზიური ელემენტებით. ხალხი ვერ აგიწყობსთ ლექსს, გამოიჩენს თავის გამოუცდელობას, უხელოვნობას, გარეგან ფორმაში, გამოიჩენს სიღატაკეს, ვიწროობას მაღალ და ფართო იდეებისა ფრენაში, აურევ-დაურევს ისტორიულ პირებს და გარემოებას, ხან და ხან სიცილსაც მოგგვრისთ, თუ გნებავთ, თავის ბავშვური შეხედულობით, მაგრამ ნუ იტყვით, რომ იმან გმირი დაამდაბლოს და სახელოვანი მამულის-შვილი გამოხატოს ისე, რომ ის ემსგავსოს ,მტირალა ხუცესს, მხდალ და გაუბედავ კაცს. მე გთხოვთ მოიგონოთ ლერმონტოვის ჩინებული ლექსი: „Песня про царя Ивана Васильевича и купца Калашникова". აქაც პოეტი უთმობს სიტყვას მეფანტურეს, და, თქვენ, თუ გააყოლებთ პარალელს ამ ორ ლექსს შუა, უთუოდ ლერმონტოვსაც შესწამებთ ნაკლულებანებას. ივანე მრისხანეს ხასიათი ვერ გამოიხატა რიგიანათო. როგორ თავსდება თქვენს აზრში ის უცნაური გარემოება, რომ მეფანტურე, დაბალი ხალხის კაცი, რომლისთვინ გმირული გული „მეტად მიუწვდომელია" ხან-და-ხან წამოსთქვამს ამგვარ აზრს:

გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.
მართალ ვაჟ-კაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია,
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ-სულოვნობის შვილია.

მაგრამ უბედურებაც ესაა, რომ თქვენ ვერ ხედავთ აქ ვერაფერ წინააღმდეგობას, ვერ მიმწვდარხართ აქ გამოთქმულს მაღალს და სამღვთო აზრს და იმიტომაც მთელი პოემა ყირაზე შეათამაშეთ. ყველაფერში, ყველაფერში და გმირული გულის გაგებაში არ არის ისეთი განსხვავება „დაბალ" და „მაღალ" ხალხს შუა, როგორც თქვენ პოვეთ.

მწერლობა[10]

„ივერია“, № 2, თებერვალი 1879 წ.

...„სარჩობელაზედ“ პატარა მოთხრობაა უცნობი ავტორისა. მოთხრობის შინაარსი ფრიად მარტივია. ბებერ მეურმე პეტრეს გზაზე შეეყრება ორი დამშეული, შკოლიდან გამოქცეული ყმაწვილი კაცი. პეტრემ შეიწყნარა ეს ყმაწვილები, ურემზე დაისო, აჭამა, ასვა და ქალაქს ჩაიყვანა; ყმაწვილებმა კი მადლობის მაგიერად კეთილი მეურმე გაჰქურდეს და გაიპარნენ. ოთხის წლის შემდეგ იგივე მეურმე ქალაქს იყო და მახათაზე ავაზაკის ჩამოხრჩობას დაესწრო. ბოლოს გამოჩნდა, რომ ჩამოხრჩობილი ერთი იმათგანი იყო, რომელთაც ისე ურცხვად გადუხადეს პეტრეს სიკეთე. მოხუცმა მეურმემ მიიღო ჩამოხრჩობილ ავაზაკის ძმისაგან წიგნი, სადაც ის აცხადებს დაუზოგავ მტრობას და სიძულვილს კაცობრიობისადმი, რომელმაც მიიყვანა ამ მდგომარეობამდე და მოჰკლა მისი ძმა.

ეს შინაარსი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ისე საინტერესო არ არის, რომ შეეძლოს თავის თავათ მწერალი მიიზიდოს და კალამი აღებინოს. ჩვენ გვგონია რომ ეს მოთხრობა მხოლოდ სალიტერატურო ფორმაა, რომელშიაც მწერალს უნდოდა ფსიხოლოგიური სურათი ჩაესვა; ავტორს განზრახვა ჰქონდა ჩაეხედნა ავაზაკის გულში, გამოეკვლია ამ ბნელი სულის მტრობა ადამიანის ტომისა, გამოეშკარავებინა კაცის სიავის მიზეზი და დაემტკიცა რომ ეს სიავე გარემოების შედეგია. ეს განზრახვა დიახ კეთილია, მაგრამ ლიტერატურის წესების დავიწყებაც არ ვარგა. პირველი და უეჭველი წესი ყოველ მოთხრობისა, ზღაპრის გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანი, დასაჯერებელი იყოს. ეს არ ითქმის ამ პატარა მოთხრობაზე.

მეურმე პეტრე ავაზაკის ჩამოხრჩობას რო უყურებს სცდილობს თავის თავი დააჯეროს, რომ ეს ნამდვილი ამბავი კი არ არი, არამედ რაღაც მანქანება. პეტრემ იცის რომ ქალაქის ხალხი ეშმაკი ხალხია და სოფლელს ადვილათ დაიბრიყვებს და ჰგონია რომ მთელ ამ ხალხს იმის მოტყუება უნდა; არც გაუბედნია ჰკითხოს ვისმე იმ შიშით, რომ სასაცილოთ ამიგდებენო. იმ დროსაც, როცა საცოდავი ავაზაკი სარჩობელაზე ფართხალობს, პეტრეს მაინც არა სჯერა: „დილამდი რომ სულ ეგრე იქნივ'ო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებო!“ გასაოცარი ახირებაა.

მეურმე პეტრე ხნიერი კაცია, გამოცდილი, რასაკვირველია ქალაქის ხალხს საკმაოთ იცნობს, თუმცა კაცის ჩამოხრჩობა პეტრეს ჯერ არ უნახავს, მაგრამ ხამი მთიული ხომ არ არის, რომ არ შეეძლოს ნამდვილის და მანქანების გარჩევა, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ მოხუცებულ კაცს თვალები ისე აეხვიოს, რომ კაცის ჩამოხრჩობა ჯამბაზობათ ეჩვენოს?

კაცის ცხოვრებაში სამწუხარო და სასაცილო ერთმანეთს მოსდევსო და ერთმანეთში გადაბმულია, ამბობენ. მწერლობაში იციან ხშირათ ამ მოვლენის გამოხატვა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საჭიროა სამართლიანობა და ზომიერება და თუ მწერალი წრეს გავიდა, დარწმუნებული იყავით, რომ მისი ნაამბობი სრულებით წინააღმდეგ შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე და იმ გრძნობას არ აღძრავს, რომელიც მას ჰსურდა აეძრა. ასე მოუვიდა ამ მოთხრობის დამწერსაც: მეურმის გადაპარბებული ხუმრობა და ურწმუნობა ავაზაკის საშინელ დასჯის დროს ლიზღობა გამოდის და კაცს ზიზღისგან აურაოლებს.

სასჯელი რომ წესრულდა პეტრე მიდის ბაკზე თავის მეურმე-ამხანაგებთან, გზაზე დაეწევა ვიღაც უცნობი კაცი, ჩასჩრის ხელში წიგნსა და გაჰქრება. ეს უცნობი კაცი ჩამოხრჩობილის ძმა არი: მან დაინახა მახათაზე პეტრე, მოაგონდა პეტრეს სიკეთე და მოინდომა იმის წინ თავისი გული გადაეშალა და წიგნსა სწერს. ორ ფურცელზე როდის ან როგორ მოასწრო ყმაწვილმა კაცმა იმ სიგრძე ეპისტოლეს დაწერა,—რა მოგახსენოთ, ეგ თუ სასწაული არ არი დიდი და ძნელი ჯამბაზობაა...

ამ ნომერში დაბეჭდილია სამი ლექსი. ერთი მათგანი ილ. ჭავჭავაძისა „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“. ეს ლექსი მწვავე სატირა არი ჩვენის ეხლანდელი ისტორიულის ცხოვრებისა, სადაც ხუმრობაში ბევრი სამწუხარო სიმართლეა გამოთქმული. შვილის-შვილი ჰკითხავს თავის პაპას რას ვშვრებოდით ამა და ამ შემთხვევაშიო და პაპის სიტყვით გამოდის, რომ ყოველს შემთხვევაში თითქოს ვცდილობდით ჩვენი თავი ჩვენივე ხელით წაგვეხდინა და ბოლოს უნებლიეთ უნდა დავეთანხმოთ ჩვენს „პაპას“, რომ

მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით!...

დამტვრეული ოცნებანი[11]

...ვინ არ დამეთანხმება, რომ ჩვენი მწერლობა აშენებულია მხოლოდ შიშველ შემთხვევაზედ. ყველა ჩვენგანი შემთხვევით აიღებს ხელში კალამს, შემთხვევით მოჰკიდებს რომელსამე საგანს ხელსა, დაუწყებს მას ერთ საცოდავ ჩიჩქნას, ძლივ ვაი-ვაგლახით ააყალ-ჩააყალებს თავსა, ზოგჯერ შემთხვევით მიადგება რამე შემთხვევათა აზრს, გამოიღაშქრებს ბეჭედში და ჰგონია... მაგრამ რაც ჰგონია, იმას თავი დავანებოთ, თორემ შორს მოგვივა...ჰო, და შემთხვევას ასეთი ერცელი ადგილი უჭირავს ჩვენ მწერლობაში. ხანდისხან ეს შემთხვევა მიგვიყვანს ხოლმე მართლა რიგიან მწერალთან, რომელსაც ნიჭიც ეტყობა, ჭკვაც, გონებაც, სწავლაც და დაკვირვებაც, მაგრამ, რაკი მწერლობის გზა გაუკვერავია, რაკი ლიტერატურას ჯერ ცხოვრებაში ვერ უხვედნია მოთავეობა და რაკი თითო ადამიანისათვის ძნელია ცხოვრების სისულელესთან ცალკე ბრძოლა, -ამიტომ ჩვენ ვხედავთ სამწუხარო მოელენასა, რომ ამისთანა მწერლები იდრეკენ მუხლს ცხოვრების სიდარდაკის წინა და იწყებენ სიმღერას მის უნისონათ.

მე არ ვილაპარაკებ წვრილმან მწერლებზე. ავიღოთ ისეთი თვალ-საჩინო და ყველასათვის ცნობილი მწარე მაგალითი ჩვენი ცხოვრებიდგან, დავასახელოთ ჩვენი წარჩინებული მწერალი უ. ილიკო ჭავჭავაძე. შემთხვევამ მოაყოლა ეს ბუნებით მდიდარი, ნიჭიერი პირი იმ ქარიველი ყმაწვილების რიცხვში, რომელნიც იზრდებოდნენ და იწურთნებოდნენ გუმანიურ და სოციალისტიკურ ნაწერებით დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკისა. შემთხვევის წყალობით დაეცა სინათლის სხივი ქართველი ახალგაზრდობის გულსა და გონებას. უ. ჭავჭავაძემაც გადაათვალიერა ეს ცხოვრება და თანაც რუსეთის ნათელი რიკოშეტით გადმოჰფინა ქართულ საზოგადოებას. აგერ მოჰყვა ეს „გლახის ნაამბობი" ვარო, „ქაცია ადამიანი", ეს „ყაჩაღის ცხოვრება", ეს „აჩრდილიო" და ბევრიც სხვა მტკიცე და მკვახე ლექსები. ამისთანა შუქმა უცებ დაარეტიანა ჩვენი ბნელი საზოგადოება. ჭავჭავაძის სახელმა გაიდგა ბურჯი ქართველ ახალგაზრდობაში. მოსწავლეთ და ნასწავლთ ამოედგათ ენადიდი და პატარა ლაპარაკობდა ჭავჭავაძეზე და ჭავჭავაძეობა ენატრებოდა. ყოველი ცოცხალი ქართველის გული გადაება დაურღვეველი სიმპატიით ი. ჭავჭავაძის გულთან. ყველას მიეცა იმედი, რომ ქართველებიც როდისმე დადგებიან წარმატების გზაზედაო. ჭავჭავაძე

ზურგში გვედგასო და ჩვენც ღმერთი გვიშველისო, ფიქრობდა ქართველი ახალგაზრდობა. მაგრამ ცოცხალი არსების გვერდზე ჩვენში იყვნენ და ძალუმი ადგილიც ეჭირათ მკვდრებს, რომელნიც იყურებოდნენ საფლავებისკენ და თვალსა სთხრიდნენ ყველას, ვისაც ენატრებოდა სინათლე და ეჯავრებოდა ღამურობა. ეს ქართველი „ბობოლაები“ ვეშაპივით გადასწოლოდნენ ცხოვრებას, სდევნიდნენ ყოველის მხრით, ვინც იმათ წინ წაუსწრობდათ, ხმარობდნენ ყოველ იარაღს ამისთანა თ ა ვ ხ ე დ ი ს და გ ა დ ა ბ ი რ ე ბ უ ლ ი ს დასაკოდათ. რასაკვირველია, მარტო ნიჭი არ კმარა, რომ მწერალი ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას. ამ ნიჭთან უნდა ზეზავებული იყოს მოუდრეკელი ხასიათი, სამოქალაქო თავმოყვარეობა, გულის სიმაგრე და მამაცობა. ყველაზე სამწუხარო იყო ქართული მწერლობისათვის უ. ჭავჭავაძის დაკარგვა. გადაბრუნდა დედა-ბოძი ჩვენი გამოფხიზლებული აზრისა, გადმოგვივარდა ქვა-კუთხედი ქართული მწერლობის დაფუძნების იმედისა. უ. ჭავჭავაძემ დაატრიალა ჩანგი გაცეცთილ და მომაკვდინებელ კილოზე: დაკარგული „დიდება“, გაზვიადებული „მამული“, ზნეობის სიმაღლე და ქართველთა ტომთა ვითომც ერთმანეთში ძმური სიყვარული—წარსულში. ენის გარყვნა, სადაც „შამობრძანდი“ პატიოსნებასაც ნიშნავს და უწმაწურობასაც, „ჰკიდია“ და სხვანი—აწმყოში. ამ სათაურს მოჰყვა უშველებელი გოდება და ტირილი იმისთანა რამეებზედ, რომელსაც ყოველი ქართველი დასტირის და სადაც ამ ტირილით არაფერი არ კეთდება, გარდა ჩხირკედელაობისა. ამ ჩხირკედელაობაში პირველი ადგილი დაიჭირა ენამ, ურომლისობაც რასაკვირველია, მძიმე, მაგნე და ვაგლახი მოვლენაა, მაგრამ ჯერ მისი წართმევა ძნელი და მოუხერხებელია, მერე მას აღემატებიან მრავალი სხვა სოციალური უბედურებანი, რომელთაც ენაც მოზდევს, კბილებიცა და ცხვირიც, და რომლებზე ლაპარაკიც „მკვდრებს“ არ უჭირთ. ამ ვიწრო, ერთი ნამცეცა წრეში მოთავსდა მთელი ტეორეტიკული მხარე უ. ჭავჭავაძის მოსაზრებისა. ამისთანა ჩხირ-კედელაობით, რასაკვირველია, არც მწვადი დაიწვება და არც შამფური ანუ როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, И невинность соблюсти, и капитал приобрести.

რამდენათაც უმნიშვნელო, უვარგისი, უსულო, უღირსო და უყურადღებო შეიქნა ტეორეტიკული მხარე იმ ერთხელ პატივსაცემი და საყვარელი ილიკო ჭავჭავაძისა,—იმდენათვე აუსრულებელი, უკუდო და საჩხირკედელაო ხასიათი მიეცათ პრაკტიკულ მოსაზრებას უ. ილია ჭავჭავაძისასა: დააძმობილოს ბატონი და ყმა, თავადი და გლეხი, დაუმტკიცოს მათ, რომ იგინი ერთ საქმეს ემსახურებიან—გლეხი თავადის მუცელს და თავადიც თავის მუცელს—და აქედან წარმოსდგება, რომ იმათ შორის გასაყოფი არა არის რაო.

მე, რა თქმა უნდა, ვერ მივცემ ჩემ თავს ნებას, რომ აქ შევსწამო უ. ჭავჭავაძეს ვითომც იგი გაძრახ გადასდგომოდეს ჭეშმარიტებას, გაძ-

რახ დაენებებინოს თავი ჩვენი ცხოვრების სიმახინჯესთან ბრძოლისათვის, გაძრახ შესდგომოდეს თავისი დაუვიწყარი სახელის გაქარწყლებას, დანგრევას. არა, არა, ძნელია, რომ კაცმა გაძრახ აიღოს ხელი იმ საგნიდგან, რომელიც პირ-და-პირ, უთქმელად ადგამს მას უკვდავებისა და გმირის გვირგვინს. აქ ბრალია ჩვენი მწერლობის მდგომარეობისა, მისი შემთხვევითი არსებობისა, რომელიც ვერ შეუწყობს ჯერ ჯერობით ხელს სუსტ ხასიათს. ან უ. ჰავჰავაძეს უნდა ჰქონოდა კედელივით მაგარი ხასიათი, რომ ძალუმი, ხანგრძლივი სული ჩაედგა ჩვენი მწერლობისათვის, და არა ეშობნა ისეთი უდღეო ქმნილება, თუმცა ლამაზი, რომელსაც ათ წელიწადზე მეტი არ ექნებოდა სიცოცხლე და რომლის მოკვლასაც თვითონვე ჰავჰავაძე შეუდგებოდა, ან არა და ჩვენი მწერლობა უნდა ყოფილიყო აშენებული მტკიცე საძირკველზე, სცოდნოდა კარგი და ავი...

განდეგილი
პოემა ი. ჭავჭავაძისა[12]

ქართული ლიტერატურის გამოჩენილ პირთა იერარქიაში, მთელი ქართული სიტყვიერების უზენაესი პატრიარქის გრიგოლ ორბელიანის შემდეგ, პირველი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძეს. მასთან ერთად, და ასე ვთქვათ, ერთს ხარისხსა და კლასში დგას მხოლოდ აკაკი წერეთელი. გონებაუმახვილესი ქართველ მწერალთა შორის. სხვა, მეტ-ნაკლებად ბედნიერი ნიჭით დაჯილდოვებული მწერლები, მიჰყვებიან ამ ლიტერატურული იერარქიის დაღმა დამავალ საფეხურებს.

ამიტომ ი. ჭავჭავაძის ახალი პოემის გამოჩენა არ შეიძლება არ იქნეს ჰიჩნეული მნიშვნელოვან მოვლენად მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში. ის იქნებოდა მოვლენად იმ შემთხვევაშიც კი, ახალი პოემა განსაკუთრებული ლიტერატურული ღირსებებითაც რომ არ გამოირჩეოდეს. და ეს აი რაზე იქნებოდა დამოკიდებული,—ი. ჭავჭავაძე ძუნწობს როგორც მწერალი,—ის დიეტაზე ამყოფებს თავის მკითხველებს რამდენიმე წლის განმავლობაში, და რაცა ამის შემდეგ აწვდის მათ პოემას, ან რომელიმე მოთხრობას, მისი ნაწერების მკითხველი საზოგადოება, ე. ი. წერა-კითხვის მცოდნე მთელი ქართველობა მადააღძრული ეტანება მის თხზულებას, როგორც მონატრებულ საჭმელს გახსნილებისას, და თავისებურად დამშეული ამ თხზულების გამოჩენას, როგორც არ უნდა იყოს იგი, ანიჭებს ლიტერატურული მოვლენის ხარისხს. პოეტი ყურადღებასაც არ აქცევს თავისი მკითხველების მოუთმენლობას. მისი მუზა ოლიმპიური სიდინჯით ნეკრასოვის მუზასავით

...поёт по прихоти свободной,
или молчит, как горцая раба.

ი. ჭავჭავაძის მუზის ამ „ოლიმპიურ სიდინჯესა“ და „თავისუფალ ხალისს“ უნდა მიაწეროს ქართველმა საზოგადოებამ ის გარემოება, რომ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში მწერალმა დაწერა მხოლოდ შვიდი თუ რვა პატარა ზომის მოთხრობა და პოემა და რამდენიმე წვრილი ლექსი. ძნელი სათქმელია, თუ რაზეა დამოკიდებული ი. ჭავჭავაძის მუზის ასეთი სიდინჯე და ხალისი. ხალისსაც ჰომ, რაც არ უნდა თვალით მიუწვდომელი და ასახსნელად შეუძლებელი

იყოს ის, აქვს თავისი საფუძველი. ეს აიხსნება ი. ჭავჭავაძის პოეტური ნიჭის თვისებით, რომელიც იქ ვერ პოულობს აღმაფრენას, სადაც სხვა, უფრო გულმტკივნეული პოეტები, როგორც, მაგალითად, აკაკი წერეთელი იღებს თემებს თავისი პოეტური თხზულებებისათვის, თუ ჩვენი ყოველდღიური, უშნო ცხოვრება, ჩვენი უბადრუკი სინამდვილე ისე უფერულია, რომ მას არ შეუძლია მისცეს საზრდო არც კარგს, არც ცუდს, არც არავითარ პოეტურ ნაწარმოებს საერთოდ! შესაძლებელია,—ღმერთმა უწყის ამ პოეტების საქმე,—ეს ვარაუდი მართალია, შესაძლებელია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ძალუძს განაწყოს პოეტების გუნება, აღაშფოთოს ისინი ან აღაფრთოვანოს. მაგრამ თუ მიმდინარე სინამდვილე, მართლაც, ისე ღატაკია, რომ არ შეუძლია საზრდო მისცეს პოეტურ ნაწარმოებებს, კავკასიის დიდებული ბუნება, რომელმაც შეჰქმნა ლერმონტოვისა და პუშკინის დიდი სახელი და ხელოვნების მარადიული თემები, რომელთა წყაროს წარმოადგენს დაკვირვება ადამიანის სულიერ ბუნებაზე, ხომ მაინც არსებობს და შეიძლება გამოყენებული იქნეს მხატვრული თხზულებების საგნად! საიდანღაა, ამ შემთხვევაში ასეთი გაუგებარი პაუზა, რომელიც ძლიერ ახლოსაა პოეტის ძარღვების მგრძნობიარობის ნაკლებულებასთან, საიდანღაა ნაწარმოებთა ასეთი რაოდენობრივი სიღარიბე იმ მწერლისა, რომელიც მუშაობს საუკუნის მთელი მეოთხედის განმავლობაში?

ეს აიხსნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო პირობებით. ქართველი ხალხის ცხოვრებაში და საერთოდ მთელს ჩვენს მხარეში, ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ჩვენს შორის პროფესიული მწერლების არსებობა, რომლებსაც გარემოებანი მისცემენ საშუალებას მთელი თავისი გონებრივი ძალები მოახმარონ ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას. თითოეული თანამედროვე მწერალთაგანი ეწევა ლიტერატურულ შრომას თავის ძირითად საქმესთან ერთად, მოცლისა და დასვენების წუთებში. მათი მუდმივი საქმეები კი სხვებია, ხშირად ძალიან ძნელი და არასასიამოვნო, რომელთა კეთების დროს წარმოუდგენელია წესიერი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა. სხვა უფრო ბედნიერი ხალხების ლიტერატურაში, რომელთაც მილიონობით განათლებული მკითხველი ჰყავთ, პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს შეუძლიათ აწარმოონ ის მუშაობა, რომელიც მათ გულთან ახლოსაა. სრულიად დარწმუნებულებს, რომ ეს მუშაობა მათ აუნაზღაურდებათ ასპეცად. ჩვენში კი ყოველივე პირიქითაა. ჩვენ განწირულნი ვართ უპასუხოდ დავტოვოთ ჩვენი გულის მიდრეკილებანი, ვიაროთ ჩვენთვის არასასიამოვნო სამსახურში, სიმწრის ოფლი ვღვაროთ ჩვენი ოჯახების კამოსაკვებად, განვიცადოთ კრედიტორებისა და სამოსამართლო ბოქაულების ვიზიტები და, თუ ყოველივე ამასთან ერთად, როგორღაც მოვახერხეთ დროის მცირე ნაწილი დაგვეთმო მაღალი იდეალებისათვის, ჩვენი

საკუთარი ნაწარმოებები უნდა ვბეჭდოთ ჩვენი მცირე სახსრებით და არ ვიქონიოთ არავითარი იმედი, რომ ავინაზღაურებთ დახარჯულ ჩვენი შრომით მონაგარ გროშებს, ასეთ პირობებში ძნელიცაა მოვთხოვოთ მუზას მწერლის მეტი ნაყოფიერება.

დაახლოებით ასეთსავე საზოგადოებრივ პირობებში უხდება წერა ილია ჭავჭავაძესაც. ამ პირობების დაძლევა აღემატება ერთი ადამიანის ძალღონეს. ამაზეა დამოკიდებული ნიჭიერი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა რაოდენობრივი სიღარიბე.

ვუბრუნდებით რა ი. ჭავჭავაძის ახალ პოემას „განდეგილს“, ჩვენ ნებას ვაძლევთ თავს წარვუდგინოთ მკითხველებს მცირე რეტროსპექტიული მიმოხილვა მწერლის ლიტერატურული წარსულისა, რათა უფრო სწორად შევაფასოთ მისი ახალი ქმნილება და მივაკუთვნოთ მას შესაბამისი ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძემ მაშინ დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, როდესაც ვინც კი იყო რუსეთში მოაზროვნე, პატიოსანი და განათლებული, ყველა მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას, რომელიც რუსეთის სამოქალაქო და გონებრივ წარმატებას ამუხრუჭებდა. მოწინავე რუსი საზოგადოება, სტუდენტები და პრესა თავს ესხმოდნენ ძველ საზოგადოებრივ წყობას და სიხარულით იყურებოდნენ მოსხივეცისკარე მომავლისაკენ. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც მაშინ რუსეთში ღებულობდა სწავლა-აღზრდას, არ შეეძლო არ გაეზიარებინა საყოველთაო აღტაცება და არ დამდგარიყო აბოლიციონისტების მხარეზე. პირველი მისი პოემები, რომლებიც დაიწერა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ამ ადრეულ პერიოდში: „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, მისი მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, აგებულია მემამულეებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულების თემაზე. „განდეგილის“ მომავალმა ავტორმა მათში გამოიჩინა შესანიშნავი პოეტური ნიჭი და ლექსის ღირსება, ისეთი ღირსება, რომლის გადაჭარბებაც მან ვერ შეძლო შემდეგ, მიუხედავად ოცდახუთი წლის თავის სამწერლო მოღვაწეობისა. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველად დაწერილი ლექსები იყო მის აწინდელ ლექსზე უკეთესი, რომელშიც ხშირად გვხვდება დაუდევრობის ნიშნები, არაახალგაზრდა ასაკის მწერლის უზრუნველყოფისაგან წარმომდგარი.

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ი. ჭავჭავაძემ შესცვალა თავისი პოეტურ თხზულებათა საგანი. მან აიღო უფრო ზოგადი თემა. ორი შემდეგი პოემა: „დედა და შვილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“ თავისი შინაარსით ქადაგებენ მამულის სიყვარულს და თავდადების საჭიროებას მისი გადარჩენისათვის.

„განდეგილით“ ი. ჭავჭავაძე შევიდა იმ წმინდა ხელოვნების სამფლობელოში, რომელიც არ წყალობს სხვადასხვა ჯურის ტენდენციებს, თავისუფალი მხატვრული შემოქმედების ამ მოსისხლე მტრებსა და მკვლე-

ლებს, და ჩვენ სულით და გულით ვულოცავთ მწერალს თავისი პოეტური მოღვაწეობის ამ ახალ ფაზისში შესვლას.

ახალი პოემის თვით სახელწოდება მიგვითითებს მის შინაარსზე. ი. ჭავჭავაძის „განდეგილი"—ეს იგივე ლერმონტოვის „მწირია", იგივე მაიკოვის „ქურუმია", რომლებმაც უარჰყვეს ეს ქვეყანა, მაგრამ რომლებშიც წუთით გაიღვიძა ადამიანურმა ბუნებამ და დაარღვია მათი ჩვეულებრივი განდეგილური განმარტოება. ლერმონტოვმა გამოიყვანა თავის „მწირი" ბუნების წიაღში, დაანახა მას მშვენიერი ქართველი ქალი, გაახსენა მშობლიური სახლი, სათეს ავები, ტოლები და ხელახლა დააბრუნა იგი ბერის მშვიდობიან სენაკში, სადაც უხმაუროდ მოამზადა ის სიკვდილისათვის. მაიკოვმა თავისი ქურუმი გააძევა შორეულ უდაბნოებში, სადაც მას გაახსენდა მხოლოდ, თუ „როგორ იქნა ის მოტყუებით მიყვანილი სატრაპთან საშინელი გამოცდისათვის", სადაც მას კისერზე შემოეხვია მომხიბლავი ლესბიელი ქალის თოვლივით თეთრი ხელები, შემდეგ პოეტმა „კივილ-კივილით" გაუშვა ის, უკვე გამოფხიზლებული, აფრიკის თვალუწვდენელ უდაბნოებში სახეტიალოდ. ილია ჭავჭავაძემ მოათავსა თავისი „განდეგილი" მიუვალ გამოქვაბულში, მყინვარის მახლობლად, და მიუგზავნა მას ცთუნება მომჯადოებელი მწყემსი ქალის სახით, რომელიც გამოცხადდა მის წმინდა სენაკში. განდეგილმა შეხედა მას... მან გადადგა ნაბიჯი... დახარა თავი მისი ბაგისკენ და ის-ის იყო უნდა ეკოცნა, მაგრამ თავი შეიკავა, სძლია თავის სხეულს და გაიჭრა გარეთ თავისი სენაკიდან.

ჩვენ გიამბობთ აქ ამ ლეგენდას და ამავე დროს აღვნიშნავთ თვით პოემის ლიტერატურულ ღირსებას. ვნახოთ, რამდენად ღრმად შესძლო ი. ჭავჭავაძემ აღებეჭდა თავისი პიროვნება მის მიერ არჩეულ ლეგენდაში, რამდენად მისი მე, ბელინსკის გამოთქმით რომ ვთქვათ, გახდა ჩვენთვის სალხინებლად, იმ ბრძმედად, საიდანაც ყოველი თემა, როგორიც არ უნდა იყოს ის, უნდა გამოდიოდეს ოქროსავით გაწმენდილი.

იქ, სადაც ცამდის ატყორცნილა მყინვარი, მუდმივი თოვლისა და ყინულის საბრძანებელში, თვალაუწვდენელ მთების მწვერვალებზე, სადაც ორბნი-არწივნიც ვერ აფრენილან, ძველ მიტოვებულ გამოქვაბულში ცხოვრობდა ერთი წმინდა ბერი, რომელიც განშორებოდა ამ ცოდვილ ქვეყანას. ის არ იყო მოხუცი... მაგრამ აქ მოვიშველიოთ თვით პოემის ავტორის კალამი

სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნოყად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წუნარი და ტკბილი,

თითქო მათ'იგას ღასახლებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

ოყინვარის ბუნების აღწერაში არაფერია განსაკუთრებით შესანიშნავი. ჩვენ ვერ ვხედებით იქ ვერც ლერმონტოვის „ალმასის წახნაგს“, იქ არ ჩანს არც გრ. ორბელიანის „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ, ცათამდის აყუდებულნი“, არის მხოლოდ ერთი დამახასიათებელი გამოთქმა, რომელიც ატარებს პოეტის პიროვნების ანაბეჭდის ნიშანს. ეს მაშინ, როდესაც ის ლაპარაკობს მყინვარის სიმაღლეს შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მისწვდენია საზარელი „კაცთ ჟრიამული“, მაგრამ ეს ცოტაა კავკასიის მთების სიდიადის გამოსახატავად. მხოლოდ განდეგილის პიროვნების აღწერაში პოეტი პირდაპირ წეუდარებელია. ზემოთ მოყვანილია ამ აღწერის ერთი ნაწილი, რომლის თუ უკეთესი არა ამ ნაწილზე, დაბლა მაინც არ დგას ქვეყით წარმოდგენილი ადგილები.

მეუდაბნოეს ცხოვრება ღვთისათვის შესაწყნარებელი იყო:

წამება მისი ღმერთს შეუწირავს.
ვედრება მისი ღმერთს უსმენია.
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუელენია.
ბნელსა სენაკსა სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი,
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა;
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ ჰააყრდენდა.
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა...

ეს თავი, სადაც ლაპარაკია განდეგილის სენაკში მომხდარ სასწაულებრივ მოვლენაზე, არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოემისათვის და, ჩვენი აზრით, არ არის საკმაოდ კარგად დახვეწილი. მასში არ არის ის დამაკავშირებელი, მოვლენის ხაზგამსმელი სტრიქონები, რომლებიც მოამზადებდნენ მკითხველს ზებუნებრივის აღსაქმელად და მთელ ყურად-

ლებას თავს ძოუყრიდნენ იმაზე, თუ რა იქნება შემდეგ. აჩქარებული ფოტოგრაფის მსგავსად, პოეტმა ძლიერ ადრე მოხსნა ობიექტივს სარქველი, ჰაშინ, როდესაც მის წინ მდგარი გადასაღები მოვლენა ჯერ კიდევ არ იყო გამზადებული ობიექტიეისათვის, და ამიტომაც თვით სახეც გამოვიდა უფერული. პოეტი ამბობს, განდეგილზე, რომ ის ლოცულობდა მზის შუქზე და როს ჰლოცულობდა, სხივსა თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა და ხორცუსხმელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა...

ლექსების ჩქარა წაკითხვისას მკითხველს შეუძლია სრულიად უყურადღებოდ დასტოვოს ეს ადგილი, რომელიც საგულისხმოა მნიშვნელობით და სუსტია დამუშავების მხრივ.

ლოცვებში და ღმერთთან სულიერ ურთიერთობაში მიმდინარეობდა განდეგილის ცხოვრება. თუ როგორ ცხოვრობდა ის, ჰქონდა თუ არა მას იოანე წინამორბედის გარეული თაფლი და მკალი მაინც—ამის შესახებ პოემაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს, თუ გნებავთ, ჩავთვალოთ უბრალო ცნობისმოყვარეობად, რომელზედაც პოეტს შეუძლია არ გვიპასუხოს. როგორც არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ ერთხელ, საღამოს ჟამს „ლოცვით დაღლილი" მეუდაბნოე (ჩვენ ვირჩევდით, რომ „დაღლილის" მაგიერ ყოფილიყო რომელიმე სხვა ეპითეტი) დადგა გამოქვაბულის კარებთან და დაფიქრებული უყურებდა მყინვარის მშვენიერ მიდამოებს, მთებს გადაღმა ჩამავალ მზეს და ტკბებოდა ბუნების ველური სიდიადით. უცებ ატყდა ძლიერი ქარი, მოზღვავდნენ ღრუბლები, შეიქნა შემაძრწუნებელი ელვა, ჭექა და ქუხილი და წამოვიდა საშინელი-ღვართქაფი. აბობოქრებული ცა ისეა აღწერილი, რომ უკეთესად ალარ შეიძლება, განსაკუთრებით სურათოვანია ის ორი სტროფი, სადაც პოეტი ამბობს, რომ

უეცრად ატყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ.
და მყინვარიდან ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმედ.
დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იჭ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა...

მხოლოდ ერთი მცირე უყურადღებობა: აქ მოცემული აღწერის დამთავრებამდე თქვენ წარმოდგენილი გქონდათ, რომ განდეგილი იდგა გამოქვაბულის კარებთან და უცქეროდა აბობოქრებულ სტიქიონს, როგორც ამის შესახებ იყო ნათქვამი აღწერის დასაწყისში; მაგრამ აღწერის დასასრულს ვეღარ ვნახეთ განდეგილი ჩვენს ახლოს; აღმოჩნდა, რომ ის ჩვენთვის შეუმჩნეველად შევიდა თავის სენაკში და დადგა წმინდა ხატის წინ. რისთვისაა ასეთი წინააღმდეგობა? როდის დაბრუნდა განდეგილი თავის სენაკში და მან „დაღლილმა" როგორღა შეძლო ხელახლა ლოცვა-ვედრე-

ბა,—ამის შესახებ პოეტი სდუმს. კითხვის დროს ეს უფრო იქცევს ყურადღებას. მაგრამ ამას ნუ გამოვეკიდებით.

განდეგილი იყო დაჩოქილი და ლოცულობდა ქვეყნის ხსნისათვის, როცა უეცრად მას ლოცვა შეაწუეტინა მისდამი მიღწეულმა ადამიანის ხმამა. ის მიიპრა გამოქვაბულის კარებთან და დაუწყო ძებნა ადამიანს.

თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის,
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!

ჩვენ, ვგონებ, ზევით არ ვთქვით, რომ გამოქვაბული იყო გამოკვეთილი კლდეში და მასში ასვლა შეიძლებოდა ძირს ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით. ბერმა ჩახედა ძირს, საიდანაც მოისმოდა მაეედრებელი ადამიანის ხმა, რომელიც თავშესაფარს თხოვდა განდეგილს, რომ ნიაღვარს არ წაეღო ამ შემაძრწუნებელ ღამეში. მწირმა ყურად იღო მასთან მიწვეული სტუმრის თხოვნა და მიუთითა ჯაჭვზე, რომლითაც ის ავიდა მასთან სენაკში. აქ, ღამის წყვდიადში, სტუმრის პირველ სიტყვებიდანვე განდეგილმა უცნობ ადამიანში შეიცნო ქალი და წმინდა მამა შეძრწუნდა.

თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
ბწკრი ცოდვილი დღეს გამომცადოს.

გაჩაღებული ცეცხლის ალმა გაანათა სტუმარი-ქალის სახე და განდეგილის თვალებმა იხილეს იშვიათი სილამაზე:

უმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

პოეტი არ იშურებს ფერებს ბედისწერის მიერ მოგზავნილი ქალის დასახატავად: მხოლოდ ამ სილამაზეს შეეძლო შეეცდინა მოკრძალებული განდეგილი.

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა—
მაკის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას,—ვინ ვის ამშვენებს;
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქუენით,

გულმკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!...
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოველად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულჯ-მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატბება და დაწუნარდება.
და დაუწუნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

მათ შორის გაიბა საუბარი, სტუმარი აღმოჩნდა მწყემსი ქალი, რომელიც თავისი ცხვარით ბუნების სილამაზეს მიეზიდნა მყინვარის მწვერვალებისაკენ, სადაც მოუსწრო ჰექა-ქუხილმა. ამ ჰექა-ქუხილმა და მისმა მომდევნო სეტყვამ დაღუპა მისი ფარა, მას უნდოდა გაქცეულიყო სახლში, მაგრამ გზა დაკარგა და ბედისწერამ მიიყვანა გამოქვაბულის კარებთან, რომლებიც გაიღო მის წინაშე და ამრიგად, ის გადარჩა გარღაუვალ სიკვდილს. მწყემსი ქალის მოთხრობამ, თუმცა ის უნაკლოა მხატვრული თვალსაზრისით, ვერ შეძლო ჩვენი მთლიანი დაკმაყოფილება; ის ცოტა გრძელია და გვაცნობს ისეთ წვრილმანებს, მაგალითად, ცხვრის შესახებ, რომლებსაც ძალიან ცოტა კავშირი აქვთ პოემის მკითხველების გულთან. მაგრამ საქმე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ პოეტი თავისი პოემის სამ-ოც-ოცსტრიქონიან თავში თითქმის ერთი და იმავე გამოთქმებით გვიხატავს ამ მწყემსი-ქალის სახით რომელიღაც პოეტს, რომელიც აღტაცებულია ბუნების სიმშვენიერით.

იქნებ, ის ლეგენდარული მწყემსი-ქალი, რომელიც განდეგილთან მივიდა, მართლაც პოეტი იყო სულით, მაგრამ ჩვენ მოკლებული ვართ ამის ცოდნას ისევე, როგორც თვით ავტორი. თუ მან შექმნა მისგან პოეტი სოფლის მცხოვრებლებისადმი საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ დავუპირდაპიროთ მათ ჩვენი საკუთარი და სხვათა დაკვირვებები, რომლებიც გამოთქმულია ზოგადი წესის ფორმით, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ბუნების წიაღში, რომელიც დაიბადა, იზრდებოდა და შეეჯვია რომელიმე მშვენიერ ადგილს, ვერც კი ხედავს და ვერც აფასებს თავისი სამშობლოს სილამაზეს. ეს ჩვენ ვართ, ცოდვილნი, მთელი წლობით ქალაქში გამოუსვლელად მცხოვრებნი და მოუკირწყლავი ქუჩების მტვერის მყლაპავნი, რომელსაც შეგვიძლია უფრო სიამოვნებით ამოვისუნთქოთ და გულაჩვილებულებმა ცრემლი დავღვაროთ პირველსავე შეხვედრილ მინდორზე. ღმერთო შეგვინდე, შეიძლება ჩვენ ცილს ვწამებდეთ ვისმე მაგრამ გვგონია, რომ პოეტების ნერვები (გაღიზიანებულები, არანორმალურები) გვხვდებიან მხოლოდ ქალაქებში და მსხვილ ცენტრებში.

მაგრამ განვაგრძოთ პოემის შინაარსი.

ჰწყემსძა-ქალმა გაათავა თავისი მოთხრობა და გახდეგილსა და ძის გულ-უბრყვილო სტუმარ-ქალს შორის ჩამოვარდა ლაპარაკი განდეგილთა განმარტოებული ცხოვრების აზრის შესახებ. რად დავტოვოთ დედა, მამა, ნათესავები? რატომ ვთქვათ უარი სააქაო ცხოვრებაზე და მისგან მონიჭებულ სიხარულზე? ღმერთისათვის რატომ არის სასიამოვნო ადამიანების ყინულებში ცხოვრება?—ეკითხება ქალი განდეგილს სხვადასხვა დროს და თხოვს მას პასუხს. მათი ამ თემაზე საუბარი, კონტრასტი ცხოვრებასა და მის უარყოფას შორის პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. დაღლილ მწყემს-ქალს ცეცხლის პირას წაეძინა.

არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა.
საოცარი იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი მშვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა —
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულეველა.

განდეგილს თითქოს მაგნიტი იზიდავდა მძინარე ლამაზ ქალისაკენ.

დიდხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ, ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის-ძგერა!..
ეხლა მის გული თითქოს ებანს სცეკვს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკედაებასა?
ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას,
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და ღაიხარა თავი თუ არა —

უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედაე,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუ თუ იძლიან არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს!..

განდეგილმა თავი შეიკავა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ განზრახვით, რისთვისაც კიდეც დაისაჯა.

„მაგრამ ეს რაა?... „წაწყმდი თუ არა!..“
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!... ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს, ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე — —
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთისმშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივ ქენჯნაა,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!..
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად.
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუ თუ ღვთისმშობლის საფარველ-ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწუნარდება!..
ზედ აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მაცქერებელი შეჰმართა თვალი..
და ვაი, წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად,
თვალწინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწია? ამას რას ჰხედავს?..
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუ თუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუ თუ აწ ღმერთი ღირსად არა ჰხდის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?
პირჯვარი უნდა—ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა—ენა ებმება,
ხატის ხილვა სურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!“ და კვლავ ეიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

ხატის ეს შეცვლა მშვენიერი მწყემსი-ქალის სახით სრულიად მოულოდნელია და სასიამოვნოდ აოცებს მკითხველს. როდესაც განდეგილმა თვალი მიაპყრო ხატს, ჩვენ ველოდით, რომ მასზე დავინახავდით საყვედურის ან მრისხანების გამოხატულებას, მაგრამ პოეტმა კიდევ უფრო უკეთესი ხერხი გამონახა იმ საშინელი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელშიც მაშინ მწირი იმყოფებოდა.

გამოქვაბულიდან ის „როგორც გიჟი გავარდა კარში“ და მთელ ღამეს დაეხეტებოდა მთებში და მეორე დილას, როდესაც თავის სენაკში დაბრუნდა, მან ხელახლა იხილა თავისი საკვირველმოქმედი სხივი (მწყემსმა ქალმა, ალბათ აქ ღამე გაათია და დილაზე წავიდა თავისი ცხვარის საძებრად, მით არა მცირედად გაკვირვებული, რომ სენაკში ვეღარ ნახა სტუმართმოყვარე მასპინძელი).

ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სეეტად
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.
გულზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრო თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა.
მივარდა ლოცვას, დააყრდნო სხივზედ
და ეჰა, სხივმა არ დაიკირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქაე სხივ-ქვეშ უტევა სული.

აქ ისევე სისუსტე და უფერულობაა იმ ლექსისა, რომელიც გამოხატავს ლოცვანის ძირს დავარდნას. ორიგინალში ნათქვამია: მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ და, ეჰა, სხივმა არ დაიკირა.

ამით ჩვენ ვათავებთ მოთხრობას, იმ ლეგენდისას, რომელიც დაედვა საფუძვლად ი. ჭავჭავაძის პოემას, და იმ წვრილ-წვრილ შენიშვნებს, რომლებიც ჩვენ ვსცანით საჭიროდ პოემის კონცეფციის დასადასტურებლად თუ უარსაყოფად.

ამის შემდეგ, მივმართავთ რა პოემის წმინდა მხატვრულ მხარეს, მის ენას, ლექსს, პოეტურ ფორმას, ჩვენ ვართ ჩაყენებული გაძნელებულ მდგომარეობაში მით, რომ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ნაწარმოების უველაზე არსებით რამეზე, სახელდობრ ენაზე, ვინაიდან ვწერთ პოემის შესახებ არა იმ ენაზე, რომელზედაც თვით ის არის დაწერილი. ჩვენი ცდა წარგვედგინა მკითხველისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოემის სიტყვიერი სიმდიდრე, იქნებოდა უნაყოფო.

მთელი პოემა დაწერილია ათმარცვლიანი ლექსით, რომელშიც რითმა რითმას მოსდევს გამოშვებით, „რითმა—მონა ქალიაო“, სთქვა ფრანგული პოეტური ხელოვნების კანონმდებელმა. ი. ჭავჭავაძისათვის კი ის თავისუფლად მოაზროვნე მსახური-ქალია, რომელიც ისწრაფვის თავისუფლებისაკენ. მას ხშირად აქვს ბრუნვითი და ნაზმნარი რითმები. ზოგჯერ ის თანდებულებითაც კი სარგებლობს, როგორც, მაგალითად, XIX თავში, რის გამოც ლექსი საერთოდ არც თუ ისე მეღერადია.

ზევით ვაჩვენეთ ავტორის უკეთესი პოეტური ფორმები და შედარებები, ვგრძნობთ მხოლოდ ვისურვოთ, რომ პოეტმა თავი აარიდოს თავისი მხატვრული კამოთქმების ზოგიერთ განმეორებებს, რაც მისი ძველი ნაკლია.

საერთოდ პოემა „განდეგილი“ მდიდარი შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის, თუმცა საეჭვოა, რომ მან შეძლოს პირველი აუკილა დაიჭიროს ილიას მხატვრულ თხზულებებში...

საკვირაო მასლაათი[13]

მე მსურს პატარა ხან შევაჩერო მკითხველის ყურადღება ჩვენი პოეტის ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემა „გ ა ნ დ ე გ ი ლ ზ ე“.

თ. ილ. ჭავჭავაძე, ყველამ იცით, ბურჯია, დედაბოძი ჩვენი ლიტერატურისა. ის, ესეც კარგად ვიცით, თავის მკითხველებს არ ანებიერებს და კარგადაც ამარხულებს; ამიტომაც იმის ერთი დამთქნარებაც ჩოჩქოლს აღძრავს ხოლმე საზოგადოებაში. უეჭველია ყველამ, ახალი ბეჭდიდან გამოსული, ისევ სველ-სველი ფურცლები გადაყლაპეს და, მგონია ის ველარ იგემეს, რასაც ელოდნენ. პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით არის ყველაზედ უსუსტესი, რაც კი ბ. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა; უსუსტესიამეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით. თუმცა ბ. ჭავჭავაძემ ერთხელ დაჰმღერა:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა!..

მაგრამ „განდეგილით“ დაგვიმტკიცა, რომ იმას ჯერ კიდევ თავის მაღალი დანიშნულება ვერ გაუკვლევია, ის ერის წინ წაძღოლას არ აპირობს და უფრო იმ პოეტსა ჰგავს, რომელიც პუშკინის აზრით „შექმნილია ტკბილ ხმების დალოცვისათვის“. ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა, თავის ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოთ და უმიზნოთ ცხოვრების დასამღერად მომართოს. ჯერ ერთია, რომ ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება. მართალია ხალხურ ლეგენდებში ბევრ წმინდა ბერს შევხვდებით, რომელიც უდაბნოში ლოცულობს, მაგრამ ის მთლად არ არის დაშორებული ხალხთან და გაჭირების დროს იმის წმინდა ცხოვრება სასარგებლო ხდება ხალხისთვის. ბ. ილ. ჭავჭავაძის „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი“ შეიძლება იყოს ბერძნებისა, ასურეთლებისა, რუსებისა და ქართველებისა კი არ არის. ჩვენ ლიტერატურაში მხოლოდ ორმა პოეტმა მიაგნო ნამდვილ კვალს და აღარც გადაუხვევია. რ. ერისთავმა, რაც დაწერა „ასპინძის ომი“, იმას აქეთ მისი მუზა დაჰმღერის ისტორიულ და ხალხურ კილოზედ. ჩვენის აზრით ეს არის ერთად-ერთი დროთა მოთხოვნილების შესაფერი კილო და სხვა გვარი

კილო ნაფრენის შეშლა იქნება. აკაკის ლექსების კილოშიაც დიდი ხასი-
რაც ისმის მხოლოდ ისტორიული, ხალხური და განკიცხვითი კილო. რო-
დესაც ილ. ჭავჭავაძემ „დიმიტრი თავდადებული" დაწერა,
ჩვენ გვეგონა ისტორიულ კილოს აღარ უმტყუნებდა, მაგრამ „განდეგილმა" წინასწარმეტყველება არ გაგვიმართლა. განა ბ. ჭავჭავაძისთანა პოეტს ეპატიება ხალხის მისაყუჩებელი და „ზარმაცთა ყურის დასატკბობ" ხმებს დაჰმღერდეს მაშინ, როდესაც დაუდგრომელი შრომა და მჟდგარი ბრძოლა არსებობისათვის არის საჭირო?

ნუ თუ ხომალდის ოთახში ამ დროს
დაიწყებ გრძნობით შენ ჩანგის კვრასა,
რომ მით ზარმაცებს ყური დაუტკბო
და იმით ღრიალი ქარის გაუქრო?

ასე ეუბნება ნეკრასოვის მოქალაქე პოეტს. დამეთანხმეთ, რომ ბ. ჭავჭავაძის ახალი პოემა „განდეგილი" სწორედ ამ სოფლიდან გაცლას და მთის წვერებზედ ლოცვას გვირჩევს მაშინ, როდესაც დიდის და პატარის ძალა უნდა ერთად იყოს მოქცეული, რომ ხომალდი არ დაიღუპოს, რომელსაც გაშფოთებული ზღვის ტალღები დამსხვრევას უქადიან.

და კიდევ უფრო სირცხვილი არის,
რომ მამულისა უბედობის დროს
მშვენიერებას მიწისა და ცის
და ლამაზ ქალებს მან უგალობოს!

ეუბნება იგივე მოქალაქე პოეტს.

„განდეგილი" რომ თავით ბოლომდე გადაიკითხოთ, თითონ მიჰხვდებით, რომ პოეტს დაუძალადებია თავი: მთელ პოემაში ერთ ალაგს ვერ შეჰხვდებით, სადაც ის ძლიერი გრძნობა იყოს გამოხატული, რომელიც ჭავჭავაძის სხვა ნაწერებში ისე უხვადა სჩქეფს. თავით ბოლომდე ძალადობაა და ხმელი რიტორებაა...

ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი“[14]

ილია ჭავჭავაძეს უპირავს ერთი უპირველეს ადგილთაგანი იმ მწერალთა შორის, რომელთაც თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, ფეხი აადგმევინეს ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას, ენას და თვით საზოგადოების მოქალაქეობრივს გრძნობას და რომელნიც ბევრად თუ ცოტად დღესაც ბელადობას უწევენ ჩვენს ლიტერატურას და ცნობიერ ცხოვრებას. აქ ამ საგაზეთო სტატიაში ჩვენ ვერ გავბედავთ ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურულის მოღვაწეობის დაფასებას სხვა მწერლების მოღვაწეობასთან შედარებით. ეს თითქმის შეუძლებლადაც მიგვაჩნია დღეს, რადესაც ჩვენი მწერლების ნაწერები ერთად არც კი არის შეკრებილი და გამოცემული, რომ შესაძლებელი იყოს თვითეულს მათგანზედ განსაზღვრულის, გარდაწყვეტილის და დაბოლოებითის აზრის შედგენა და თვითოეულის მათგანისათვის თავის შესაფერის, საკუთარის ადგილის მიცემა მწერლობაში... ჩვენ თუ აქ ილ. ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადო ხასიათი და მიმართულება ვუჩვენეთ მკითხველებს, იმასაც ვიქმარებთ ამ ჟამად.

ილ. ჭავჭავაძე იმ დროს დაბადებული და აღზრდილია, როდესაც ჩვენში ბატონყმობად წოდებული სრული მონობა სუფევდა და როდესაც ჩვენსა და რუსეთის ცხოვრებას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ბატონყმობის პრინციპი. ამასთან ჩვენი პოეტი აღიზარდა რუსეთში სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთის ლიტერატურაში დიდი და მრავალმნიშვნელობიანი მოძრაობა იყო, როდესაც ყირიმის ომის შემდეგ თვითონ მართებლობამ დაინახა და იგრძნო ძველის მოქალაქეობრივისა და სოციალურის წყობილებათა უვარგისობა და მავნებლობა. თვითონ მართებლობა დარწმუნდა მწარე გამოცდილებით და სხვა ხალხთან პირის-პირ შეტაკებით, რომ ძველი წესი ერთობ ვიწრო კალაპოტი იყო და ამ კალაპოტში გამოჰედილის ცხოვრების განვითარება, პროგრესიული წინ-მსვლელობა ყოვლად მოუფიქრებელი საქმე იყო. მაშინ მმართველობამ მიჰყო ხელი სხვადასხვა რეფორმებისათვის მზადებას და რადგან გული დააჯერა იმაზედ, რომ მარტო ვერას გახდებოდა, მუხრუჭიც მოუშვა კერძო ინიციატივას, თაოსნობას და თითქმის პირველად აამუშავა საზოგადოების ტკივნი საზოგადოებრივს საქმეზედ, საზოგადოებრივს ცხოვრებაზედ და ამ ცხოვრების სხვა რიგად მოწყობაზედ. ეს წარმოადგენდა ბედნიერს დროს რუსეთის მოწინავე აზროვანის საზოგადოებისათვის, რომელიც ძალუმად

დაეწაფა მისადმი მინიჭებულს ფიქრსა და ფიქრთა გამოთქმის უფლებას და რომელმაც ლიტერატურის საშუალებით დაუწყო ცხოვრებას ღრმა ანალიზი. დაიწყო უწყალო დევნა და უკუთქმა თანამედროვე ცხოვრების დამყაყებულ და დრო-გადასულ მოვლენათა, რომელნიც, როგორც ერთგულნი დარაჯნი წარსულის უმსგავსოებისა, ხელს უცარავდნენ ახალ წყობილებათა შემოღებას და დამკვიდრებას ცხოვრებაში.

ლიტერატურის საშუალებით მთიდგან გადმოვარდნილს ნაკადულსავით მოსკდა რუსეთის ცხოვრებას ცოცხალი აზრები, ახალი შეხედულება ქვეყნიერობაზედ, საზოგადოების წოდებათა, წევრთა დამოკიდებულებაზედ და მოქალაქის დანიშნულებაზედ. ამ ლიბერალურმა გაცხარებულმა მოძრაობამ რუსეთის ცხოვრება, რასაკვირველია, ძირიანად ვერ შესცვალა, რადგან ამას დიდი დრო სჭირდებოდა; მაგრამ ეს კი ჰქნა მაინც რომ აღზარდა ახალს აზრებში და გასწრთვნა ბრძოლისათვის ამ აზრების გასატარებლად და განსახორციელებლად რეალურს ცხოვრებაში მთელი დასი მოღვაწეთა, რომელნიც ერთის ენით აალაპარაკა, ერთის წადილით და მოსწრაფებით ააცხოვრა და ერთის საქმისათვის აუტოკა გული და მაჯის ცემა...

ამ მოძრაობას შეესწრნენ რუსეთში და მის გაელენის ქვეშ აღიზარდნენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაც ჩვენშიაც გამოუცხადეს სასტიკი ომი ცხოვრების ძველ წესებს, ბატონ-ყმობის წამბილწველს და ადამიანის პირუტყეულად გარდამქცევს ზეგავლენას.

ამ სასიკეთო გამაღვიძებელს მოძრაობას როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც აღუჩნდნენ, რასაკვირველია, მოწინააღმდეგენი, რომელთაც სრულად არ ჰქონდათ შეგნებული ახალის მოძრაობის დედა-აზრი, ან და ჰქონდათ გაგებული, მაგრამ არ უნდოდათ, რომ ცხოვრების ძველის გზისათვის ეღალატნათ და მათთვის ზურგი შეექციათ.

შესანიშნავია, რომ ამ მოწინააღმდეგეთა შორის ითვლებოდა არა ერთი და ორი ბევრად თუ ცოტად შეგნებული და მამულის თავისებურად მოყვარე ქართველი, რომელიც ახალის თაობის, ან და „შვილების" ბრწყინვალე აზრებს ხალხის გამრყვნელად ჰხადოდა, უსასოობისა და ურწმუნოების გამავრცელებლად და რომელიც ყველა „შვილებზედ" განურჩევლად ასე მოსთქვამდა:

ვაი საბრალოს,
ჩვენს საჭათეელოს,
თქვენ დაებადეთ მას სადიდებლად...

ამ „შვილებთა" შორის, რომელთაც ქირდვით ეკითხებოდნენ:

სადღაც მიმალეით
რას ჰროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათ სწყრეთ მამათა?..

ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი ეკავა პოეტს ილ. ჭავჭავაძეს, რომელსაც საკმაოდ მოსდევდა როგორც თავის გარემო ცხოვრების ცოდნა,

სე ლიტერატურული ნიჭიც. მისი „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“, „ყაჩაღის ცხოვრებიდგან“ და ათასგვარი წვრილი ლექსები ერთსა და იმავეს დასტრიალებენ თავს,—ერთსა და იმავე ცხოვრებას გვიხატავენ სხვადასხვა მხრით და ერთსა და იმავე ჰუმანურს აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში.

ამ მოთხრობებმა და პოემებმა ჩვენს ლიტერატურაში დაიწყეს სრულიად ახალი ხანა და ამას გარდა თითქმის გარდააცილეს თავს ჩვენს მწერლობას მიმბაძველობითი მიმართულება, რომელიც ყოველთვის თანამორბედია ახლად ფეხ-ადგმულის ლიტერატურისა. გარდააცილეს; რასაკვირველია იმდენად, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო ეს, როდესაც ჩვენი მწერლები აღიზარდნენ მეთქი რუსეთის განვითარებულის ლიტერატურის გავლენის ქვეშ და როდესაც თვით ჩვენში მწერლობამ თავდაპირველად ამოიღო ხმა იმ საგნებზედ, რომელზედაც შრომობდა იმ დროს რუსეთის ლიტერატურა და დაუწყო გატარება ცხოვრებაში იმ იდეათა და პრინციპთა, რომელთაც ქადაგებდა რუსეთის ლიტერატურა.

მაგრამ გათავდა ბატონ-ყმობაც და გახდა იგი ისტორიულ მოვლენად, დადგა სხვანაირი ბატონ-ყმობა, ცხოვრება ახალს პირობებში ჩადგა, საზოგადოებას სხვა გამოსაკვლეველი და გარდასაწყვეტი კითხვები წარმოუდგა თვალ-წინ,—ილ. ჭავჭავაძისა და მისი ამხანაგების პოეზიას თითქო მასალა გამოელიაო, მთელი როლი, როგორც თანამედროვე ცხოვრების გამომთქმელის პოეტებისა, თითქო გათავდაო... ილ. ჭავჭავაძემ თითქო ვეღარ იპოვა გარშემორტყმულს ცხოვრებაში საგანი თავის პოეზიისათვის და მიაწვა ისტორიას, წარსულს და ახალის ცხოვრებიდგან ტიპების გამოხატვა კი მიანდო უნიჭო მწერლებს. დასწერა მან „დედა და შვილი“, „დიმიტრი თავდადებული“, სადაც სწორედ ისე, როგორც მის პოეტურს ნიჭს ეკადრებოდა, გამოხატა მან მამულისადმი ღრმა თავდავიწყებული სიყვარული ჩვენის ძამებისა. და ამით მისცა მან ხმა საზოგადოებაში გაღვიძებულს პატრიოტულს გრძნობას და მისცა ცოცხალისა და მართალის ტიპების დახატვით. და ამ ტიპებში ნამდვილ პოეტურად გამოკვანძა მან ამ პატიოსანისა და უმაღლესის გრძნობის იდეალი. თავისის ისტორიულის ტიპებით ნიჭიერმა პოეტმა მიაპყრო საზოგადოების თვალი ჩვენის წარსულის ცხოვრებისადმი და მათის პირით თითქო უთხრა საზოგადოებას:

Добудь изъ отеческихъ гробовъ
Святой огонь, тотъ сердце пылъ
Который их животворилъ!.

და მართლაც, რამდენადაც კი შესაძლებელია, რომ ერთი კაცი, თუნდ ძალიან ნიჭიერიც, გახდეს მიზეზი ეროვნულის გრძნობის გაძლიერებისა, ილ. ჭავჭავაძემაც შესძლვნა ჩვენს ცხოვრებას ამ მხრით თავისი „წვლილი“.

ჩვენში, მგონია, ყოველს მწერალს ლექსის წერით აღუდგამს ენა და დაუწყია ტიკტიკი. ლექსების წერა განსაკუთრებით ამ უკანასკნელს

წლებში სნებასავით გადამდებ მოდად შემოვიდა ჩვენში. შეუმკობელი აღარა დაგვრჩენია რა: ვესიყვარულებით „წყალს“ და „ღვინოს“, ვესიყვარულებით „რკინასა და ქართველ ჭრიჭინა ურემს“. ლექსად გარდაგვაქვს ძველი და ახალი ამბავი, არაკი და ზღაპარი; ვლექსავთ ისტორიულს ამბებს, თუნდაც ამით თვითონ ამბავს პროზის დაღი ღრმად აჩნდეს. იწერებიან უშველებელი პოემები ჩვენის წარსულის ცხოვრებიდგან, თუნდაც ამ პოემებში არც წარსული იხატება და არც აწმყო, და იმდენად შეესაბამება იქ გამოყვანილი სურათები ჩვენს წარსულს, როგორც ყოველის სხვა ხალხის წარსულს. მხოლოდ ის გვაკლია, რომ ვინმემ დაგვიწეროს ქართლოსიადა და გაგვილექსოს დიდებულიძეების არითმეტიკა და საღმთო სჯული.

ეს მოვლენა, რასაკვირველია, ამტკიცებს მხოლოდ ჩვენს გონებითს პოტენციას, ჩვენის ტვინის დაუმთავრებლობას.

მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ აქ მარტო იმ ახალს ცრუ-პოეტებზედ ვლაპარაკობდეთ, რომელთაც „იმედში“ და „დროებაში“ დაუდგამთ საბუდრები და რომელთა სახელი ლეგიონ არს. ჩვენ ვამბობთ იმისთანა მელექსეებზედ, რომელნიც დიდის ხნიდგან გვიქედავენ ყურებს თავიანთის „მოშლილთა ჩანგთა სიმების“ პარტყა-პურტყით და რომლის მსგავსებზედაც უკვდავმა შოთამ სთქვა: განალა სთქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი-შორი; მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო. უცილობლობს ვითა ჯორი.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ იმ მწერალთა შესახებ, რომელნიც უხუმრად ეუბნებიან მკითხველებს: „ჩვენ პოეტები ვართო და სხვებიც ასე გვიწოდებენო“, მხოლოდ მიტომ, რომ კარგი ხანი გასულა, რაც სულგრძელსა და ლიტერატურულ გემო გაუხსნელს საზოგადოებას ბედნიერება აქვს მათის ლექსების კითხვისა. ამ მელექსეთა შორის, რომელთ ნაწერებშიაც თუნდაც:

Все тотъ-же блескъ, все тотъ-же свѣтъ,
Но нѣтъ тепла, но жизни нѣтъ!

ჩვენი შეხედულება ილ. ჭავჭავაძეზედ რომ უფრო ნათლად გავაგებინოთ მკითხველს ეხლავე უნდა აღვიაროთ, რომ პოეტის თხზულებათა შორის ჩვენ იმისთანა თხზულებას ვაძლევთ უპირატესობას, რომელშიაც პშევნიერს ლექსს გარდა, ხელოვნურად დაწერილს სურათებს გარდა ვპოულობთ რომელსამე ხელოვნურადვე თავიდგან ბოლომდის გატარებულს იდეას, აზრს. იმ პოეტს ჩვენ ბევრად არ ვაფასებთ, რომელიც მარტო მოვლენის გარეგანის მხარით, ზედა-პირით სარგებლობს თავისის პოეტურის ნაწარმოებისათვის, რომლის პოეტური ნიჭი საზოგადოებრივის ცხოვრების განცალკევებულს მოვლენათა შორის ვერ ჰპოებს ერთს დაფარულს ღედა-აზრს და ამ ღედა-აზრს ვერ გარდასცემს მკითხველს სურათებად ხახატულს.

პოეტი შობილი უნდა იყვეს, რასაკვირველია; მას უხვის ხელით უნდა ჰქონდეს მიწყული ბუნებისაგან მდიდარი წარმოდგენა, მრავალგვარი ფანტაზია; მაგრამ მარტო ესეც არ კმარა ნამდვილის პოეტისათვის, რომელიც დაუდგენია „ქვეყნიერად ცასა“, განსაკუთრებით ახლა, როდესაც პოეზიისაგან მარტო ფორმას კი არა, აზრსაც ითხოვენ; არამედ მიუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს მისთვის აგრეთვე გონებითი ძალაც, რომ თვითონ მისს ფანტაზიას და ამ ფანტაზიის წყალობით ტილოზედ გადმოტანილს სურათებად განკერძოებულს მოვლინებებს აზრი მიეცეს და ამ სურათებმა საგრძნობელი, რეალური სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. უამისოდ პოეტი მხოლოდ სასიამოვნო, დროს გასატარებელი საკითხავი იქნება, რომელიც წაკითხვისთანავე დაავიწყდება მკითხველს.

ამას გარდა ის საყურადღებო გარემოებაც ჯრ უნდა დავივიწყოთ რომ პოეზიის (საზოგადოდ რომ ავიღოთ) სამღვთო დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გააცნოს მკითხველი რეალურ ცხოვრებას, მისს ავსა და კარგს და გააცნოს არა მშრალად, ლოღიკურის მსჯელობის, დიალექტიკურის საშუალებით, არამედ პორტრეტებისა და ტიპების დახატვით, რომელნიც უნდა გახდენ კერძო მოვლენათა ერთად თავმომყრელ ფოკუსად. მაგრამ ამ საგანს პოეტი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც იგი მდიდარ ფანტაზიასთან ერთად ჰფლობს გამკვეთის, მდიდარის გონებითის ძალით, როდესაც იგი შეიარაღებულია მოვლენათა ღრმა ანალიზის ნიჭით.

ილ. ჭავჭავაძე თუ ფანტაზიით რამდენადმე დაუვარდება ვისმე, მის მაგიერ გონებითის ძალით, გონებითის ანალიზით და მოვლენათა ტიპებრის გამოთქმით იგი თითქმის ყველას ბატონობს. დიდებული სურათია გამოკვეთილი თ. გრ. ორბელიანის შემდეგს რამდენსამე სიტყვაში:

> სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი
> და მდინარენი ზაბილით ზვიადის ზვირთებზედ მსროლ ლნი.
> უფსკრულხი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალგადუწვდენელნი,
> სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰჯენან ღრუბელნი.

მაგრამ ამაზედ ნაკლებს სურათებს აღარ წარმოადგენენ ჭავჭავაძის ნაწერების ზოგიერთი სურათები, იმ განსხვავებით, რომ სადაც გრ. ორბელიანი თავისის სამხატვრო კალმის ერთის გაქნევით ჩამოასხამს დიადს სურათს, იქ ილ. ჭავჭავაძე ორჯერ და სამჯერ გაჰკრავს იმავე კალამს. მაგრამ აიღეთ ახლა ი. ჭავჭავაძის სურათების შინაგანი მხარე, არსება მათი, ნახეთ იმისი ტიპების სისრულე, სიგრძე და სიგანე, მათი დასრულებულობა და ცხოვრებასთან სინამდვილე... რომელი პოეტური ნაწარმოებიც უნდა აიღოთ ამ პოეტის „კაცია ადამიანი“ იქნება, თუ „გლახის ნაამბობი“, „სურათები ყაჩაღის ცხოვრებიდგან“, თუ „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“ თუ „დედა და შვილი“, ყველგან შეხვდებით ხელოვნურად გამოყვანილ ტიპებს, რომელნიც პირდაპირ ჩვენი ცხოვ-

რებიდგან არიან ამოღებულნი; მგონია არ შევსცდეთ, ვთქვათ, რომ ჩვენს მწერლობაში ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთად-ერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკეებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოჭანდაკება შეუძლიან... სხვაგან, თითქმის ყველგან, ჩვენ ვატყდებით თავს პაწაწკინა ტიპებს, პორტრეტებს, ხშირად ავტორისაგან გაუგებელს, რომელნიც არიან გამოყუანილნი გაუთავებლად, ჰრელად, აჩრდილად და რომელნიც თან დაშორებულნი არიან ცხოვრებაზედ და რეალურს სინამდვილეს მოკლებულნი.

სამწუხაროდ, ამისთანა აზრიანი და ნიჭიერი პოეტი ერთობ იშვიათად ჰკაზმავს პარნასის რაშს, ერთობ ძვირად გვაღირსებს ხოლმე კალმის ნაწარმოებს. ამის მიზეზის გამოკვლევას ჩვენ აქ ვერ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოგისაგან გამოთქმული აზრი, რომელიც ამის მიზეზად აღიარებს იმას, რომ ჩვენში ლიტერატურული შრომა უზრუნველყოფილი არ არისო, უსაბუთო აზრად მიგვაჩნია ილ. ჭავჭავაძის შესახებ. საქმე არც იმითი აიხსნება მაინც-და-მაინც, რომ ვსთქვათ, ჩვენი ცხოვრება პოეზიას საკმაო მასალას არ აძლევსო. ჩვენ ჰკუაზედ ახლოს უფრო ის მიგვაჩნია, რომ ცხოვრება ყოველთვის მისცემს საქმიანს და შინაარსიანს პოეზიას საკმაო მასალას, თუ კი თვითონ პოეტი არ ჩამორჩენია ცხოვრებას, მის მოთხოვნილებას, თუ პოეტს აქვს საკმაოდ დაკვირვების ნიჭი და მასთან ერთად თუ მისი შემოქმედებითი ძალი უფრო მომქმედია და მრავალ-გვარი. ჩვენ ისიც გვგონია, რომ, რამდენადაც ჩვენ პოეტებს ვიცნობთ, ზოგიერთი ამ პირობათაგანი აკლია, განსაკუთრებით დღევანდელის ცხოვრების ცოდნა და შემოქმედებითის ძალის სისუსტე და მრავალ-გვარობა. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი მათგანი ერთსა და იმავეს იმეორებს და ზოგი სულ წარსულში ჩხრეკს მასალას.

აი თუნდ ავიღოთ ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი" და ვნახოთ, თუ რამდენად ეტყობა მას, ამ ნიჭიერს პოეტს, ეს ნაკლულევანება.

ამ პოემაში არის გამოყუანილი „წუთის სოფლიდგან განყენებული, დაყუდებული მეუდაბნოე, რომელსაც „საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია".

ამ განდეგილს „ცოდვის სადგურის" დედამიწისათვის, ამ „ბოროტების სამეუფოსათვის" ზურგი შეუქცევია და განუდევნია გულიდგან „მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი" და „ყინულებში შეთხრილ ღვთის ტაძარს" შეჰკედლებია.

განდეგილა და ყინულებში,
სულ მარტოდ მარტო დაყუდებულა
და გვაში მისი ცოდვილთ ფიქრისგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.

დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია
და ვით პურპელი იგი წყმედული
ცრემლით ურეცხავს, უსველებია...

აი ამ გახდეგილს სოფლისაგან, რომლისათვისაც ყოველი „ხორციელი გულის-თქმა დამარხულა და განსვენებულა“, შეახვედრებს პოეტი ერთს მშვენიერს მწყემსს ახალგაზრდა ქალს, რომლის სიტურფის შექმნას ბცდილანო თითქო სიყვარული და ნეტარება.

თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს,
დახე მის ტუჩთა!... თითქოს თვით ტრფობას,
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.

ერთის მხრით ვხედავთ სიცოცხლით საესე ყმაწვილ ქალს, ხოლო მეორეს მხრით განდეგილს, რომელსაც თვით ცხოვრებაც კი ცოდვად მიაჩნია. მაგრამ ამ ორის თავიანთის მიმართულებით და წადილებით წინააღმდეგის არსების შეხვედრა და ამ შეხვედრის შედეგი მეუდაბნოეთვის შესანიშნავის სინამდვილით არის გატარებული თავიდგან ბოლომდის.

„მწყრალის, გულ-მშრალის მწირის“ სულისკვეთება, მისი „უცოდველის გულის ტკივილი“, ამ „მრავალ გზის ტანჯულის და ამ ტანჯვათა ზედა ძლევით მოსილის და განდიდებულის“, ბერის მონადირება ყმაწვილის ქალის სიმშვენიერისაგან, თვითონ განდეგილის სულისა და გულის, მისის ახალს გრძნობების პსიხოლოგიური ანალიზი თითქმის შეუდარებელია ჩვენს პოეზიაში. თუნდაც „ხორციელი გულის თქმა ყველა დამარხული და განსვენებული“ კი ჰქონდა განდეგილს, მაგრამ მინდვრის შველივით ყელ-მოღერებულის ქალის მშვენიერებამ თავისი ჰქმნა მაინც; ციდამ წამოხეთქილს ნიაღვარსავით მოაწვა დაყუდებულის გულს ახალი ვნება, როდესაც მას ეჩვენება:

ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
თითქო თვით მადლსა მშვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაბნევია,
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზე,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

ამისთანა უბრალო ზეციურს მომხიბვლელს ტრფობას, რასაკვირველია, უნდა აღეძრა განდეგილში გრძნობები და ჰქონოდა მასზედ ის გავლენა, რომელიც არის გამოთქმული პოემაში. ნამდვილი პოეტური ალღო ყოველთვის შენიშნავს ამ ზე-გავლენას და თუნდ ნამდვილს განდე-

კილსაც. ამ ცხოვრებაზედ ხელ-აღებულს, არ ჩააყენებს უალბს ძღვო-ბარეობაში და არ წაართმევს ხორციელის ადამიანის გულსა და გრძნო-ბას. საყურადღებოა პოეტის შემდეგი შენიშვნა:

....მოდი გულს უთხარ,
კარგს სანახავზედ რად ხარ-თქო ხარბი.

ყმაწვილის ქალის სიმშვენიერით ტყვექმნილის განდეგილის სულიერი ქეჯნა და ყოყმანი, როდესაც იგი თავს დასდგომია ცეცხლაპირს მიძინებულს ქალს, რომლის ტურფა სახესაც ცეცხლის შუქი „ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა“, იმ გვარის პსიხოლოგიურის ანალიზით არის გამოხატული, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ ღვთისგან ცხებულის პოეტისაგან. ჩვენ რომ ეს პსიხოლოგიური მომენტი გარდავცეთ მკითხველს და აგრეთვე ის, თუ რა სულიერი ტანჯვა გამოსცადა განდეგილმა, როდესაც თავის გულის-თქმა ღმობაკვდინებელ ცოდვად და ღვთის გმობად აღიარა, ხუთი-ექვსი თავი უნდა ამოვსწეროთ პოემიდგან. ეს შეუძლებელია და რამდენიმე მარგალიტს კი ამოვიღებთ... აი თუნდ ამას:

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კელავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას თწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა,
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა...

ეს იდუმალი ხმა, რომელიც ჩასძახის ცოდვილის გულის-ვნებით ძლეულს განდეგილს: „წაწყმდი თუ არაო!“ და რომელიც იმის მკვდარს გულში გახარებული გაჰკივის: „დაგძლიე თუ არაო!“ ეს ხარხარი, ეს დაცინვა ღვთის მშობლის ხატის „ცოდვილ სახედ გარდაქმნა“. ეს სურათი:

პირ ჯვარი უნდა, ხელი არ ერჩიხ:
ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება,
ხატის ხილვა სწუხს და იგივ... იგივ.
ქალი წყეული თვალთ ელანდება!“

ეს სულის განტევება ბერის, როდესაც ლოცვანი აღარ დაიჭირა მზის სხივმა, სულ ეს შესანიშნავია როგორც სინამდვილით, ისე ხელოვნურის გამოხატულებითაც. ჩვენ ზევითაც გვითქვამს, რომ სულის მოძრაობათა ღრმად გაგებაში, გრძნობათა ფსიხოლოგიურს ანალიზში და ამ სულის მოძრაობისა და გრძნობების, ადამიანის, შინაგანის, ასე ვთქვათ, ქვეყნის გამოხატვაში ილ. ჭავჭავაძეს ძნელად თუ ჰყავსო ბადა-

ლი ჩვენს მწერლობაში და ამ აზრს ამტკიცებს აშკარად, სხვათა შორის. მისი ახალი პოემა „განდეგილი", რომელშიაც, ჩვენი აზრით, მთლად გაშლილა პოეტის მდიდარი ნიჭი.

ეს ხომ ასეა, მაგრამ თვითონ ამ გვარის პოემის გამოჩენა ჩვენს ლიტერატურაში და ასე ვსთქვათ, წმიდა ფსიხოლოგიურის კითხვის შემუშავება პოეზიაში, რის მომასწავებელ ნიშნად უნდა მივიღოთ.. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პოემა თითქოს ახალს ხანას იწყებს ილ. ჭავჭავაძის პოეტურს მოღვაწეობაში. ამ პოემიდგან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქო მიანება თავი ცხოვრებითის კითხვების გამოხატვას, პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შემოსწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია!.. მართალია, საწუთროზედ მდურვა, ცოდვის სადგურის დედამიწისაგან განდეგილება, დაღონებული კილო, ნაღვლიანი გულის კვნესა ახალი მოვლენა არ არის ჩვენს ლიტერატურაში, არამედ თან დაჰყოლია მას. ჩვენის კლასსიკურის პოეტის ნ. ბარათაშვილის „მერანი" სხვა რა არის, თუ-არ ჩამოსხმული „კვნესა გულისა"-და „გაწირულის სულის კვეთება", თუ არ მთლიანად ამ ცხოვრებისადმი გულ-გაცივებულის მაშვრალის ოხვრა-გოდება?! ახლა გაიხსენეთ მისივე „სული ობოლი", გაიხსენეთ მისი მდურვა ამ სოფლისადმი და ჩივილი, ცრუ და მუხთალის სოფლის მოძაგება, იმის გულში დასადგურება სევდისა და წყვდიადისა, მისი ობლობა, მწუხარება, მიუსაფრობა!.. ამ გრძნობებს ვერ წაუვიდა ვერც მეორე პოეტი თ. გრ. ორბელიანი, რომელიც თავის გულს გრძნობდა უდროოდ მწარედ დამჭკნარს და თავის თავს უდროოდ დაბერებულს, რომელსაც „ხვალე აღარ სწამდა, ვითარცა ღამეში მაცდური სხივი" და რომელიც მწუხარებით ჰზერდა მომავალს და სწყევლიდა „ფუჭად წარსულსა".

ამგვარი მიმართულება ჩვენის პოეტების მუზისა, ვამბობთ, ახალი ამბავი არა არის ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ჯერ ისე ტიპიურად, პრინციპიალურად არ გამოხატულა, როგორც გამოხატულია „განდეგილში". ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას „სააქაოზედ" სამზღვარი არა აქვს (თავი III). ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად მიაჩნდა, რამდენადაც ადამიანი მდაბლად და ბოროტად.

ამ გვარს ფაქტს ჩვენს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიც კი აქვს, რასაკვირველია, თავის გამმართლებელი საბუთი, მაგრამ ამას მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენის მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურ ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჭირიანს თვალი აარიდოს და განსვენება ეძიოს „განდეგილისთანა" პოემებში. ჩვენი ლიტერატურა თუ ამ გზას დაადგა, უკანა რიცხვით ლაპარაკს თავის დღეში ვერ ასცილდება!..

ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი*[15]

ჩვენს საუკუნეში განვითარდა ახალი ქართული ლიტერატურა ისე, რომ ამ განვითარებაზედ არა ჰქონია გავლენა არც დასავლეთის ევროპის გონების მოძრაობას, არც ფილოსოფიურ სისტემებს, არც რომელიმე სკოლის მიმართულებას. ეს ლიტერატურა თუმცა ხელშეუხებელი და თითქმის ველური, მაგრამ იგი ნაზი და საამო, თვალის წამხალისებელი და გულისმიმტაცი, როგორც ხელუხლებელი ყვავილი, აღმოცენებული საქართველოს უხვს ნიადაგზე. პირველს გაცნობაზედ ეს ლიტერატურა მეტისმეტად გეუცხოვებათ, რადგან თვალ წინ თქვენთვის უცნობ სურათსა და ცხოვრებას გადაგიშლით, მაგრამ მალე მოგიყოლიებთ თავის ადამიანურის თვისებით და ეს ცხოვრება, ახლო გასინჯვის შემდეგ, თითქოს შურს აღძრავს ევროპიელის გულში, რადგან მასში გამოხატული ნორჩი ძალი და ღონე და ბუნებასთან დაახლოება ჩვენს წინაპართა ხდომიათ მხოლოდ წილად.

ჩვენ, რასაკვირველია, ის არა გვსურს, რომ ჩვენი ცხოვრება ისე მკაცრად მოეწყოს, როგორც ქართულ ლიტერატურაშია გამოხატული, მაგრამ გვინდა კი, რომ ამ უმაღლესს ცივილიზაციასთან ერთად... იმისთანა სულის მდგომარეობა. რაკი საქართველომ განაახლა... მოჰყვა იგი ლექსთა თხზვას და სიმღერას იმ გვარადვე, როგორს ლექსებსა სთხზავდა და მღეროდა თამარ მეფისა და რუსთაველის ბრწყინვალე დროს. იმისმა პოეტებმა მიიტანეს სამშობლოში ევროპის მადიმოზედ შეკრეფილი ყვავილები, მაგრამ თან კათედრის მტვერი არ მიუყოლებიათ; არ მაუყოლებიათ-რა იმისთანა, რაც კი თავისუფალსა და ბუნებრივს, ძლიერს გრძნობას შეჯაჭვავდა. თითქმის ყველა ეს პოეტები წარმატებას ურჩევენ თავის ხალხს, მაგრამ გაუფრთხილებლად არ ეხებიან მისს რწმუნებასა და აზრსა, წინაპართაგან გარდაცემულს სარწმუნოებას და ისტორიულს თქმულებას. ჯერ საქართველოსთვის არ დამდგარა დრო ფილოსოფიურისა და სოციალურის საგნების განხილვისა და დამყარებისათვის. ამიტომ საქართველოს პოეტები უფრო დამღერენ სიყვარულს, გაზაფხულს, მხიარულებას და ჰაფიზსავით დანატრიან უდარდელს ცხოვრებას. მაგი ლექსების კილო იცვლება და

---

* ეს წერილი დაბეჭდილია ერთ ნემეცურს[1] ჟურნალში Magazin für die literatur des zn-und aus landes № 51, გვ. 18 და ეკუთვნის არტურ ლეისტს, რომელმაც თავისით შეისწავლა ჩვენი ენა და გულმოდგინეთ ადევნებს თვალ-ყურს ქართულს ლიტერატურას.

დიდებული სახე ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა თავიანთ მშვენიერს სამშობლოს შეჰხარიან. ახლად მიცვალებულის გრიგოლ ორბელიანის ლექსები ჰგვანან კავკასიის კლდეებიდგან გამონაცემ ხმასა. ყოველ სტრიქონში ეტყობა აღტაცება, ნეტარება და განცვიფრება; იგი ჰხატავს ამ ქვეყნის დიდებულს წარსულს და მის შეუდარებელს ბუნებრივს მშვენიერებას ისე, როგორც შეუძლიან დახატვა აღტაცებულს და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულს ადამიანს. პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ ასეთის უხვის კალმით არავის დაუხატავს კავკასიის მთების მშვენიერი სანახაობა.

თუმცა ასეთის აღტაცებით არ არიან დაწერილნი, მაგრამ უმეტესი ადამიანური გრძნობა, უმეტესი ცხოვრების მიმდევრობა ეტყობა ჯ წერეთლის ლექსებს, რომელიც თავის თანამედროვეთა ნაკლულევანებას თითქო ხუმრობის კილოთი უწყალოდ ამხილებს. მაგრამ ესიც კი არ ებრძვის თავის მემამულეთა აზრის მიმართულებას, თუმცა საგნად თავის პოეზიისა თავის სამშობლოს წარმატება გაუხდია. იქნება ამ სიფთხილის მიზეზი სამშობლოს სიყვარული იყოს, მაგრამ ამ გვარი სიყვარული არ იქნება ჯეროვანად გაგებული და ახალის ცხოვრების შესაფერი. ეს კარგად გაიგო თ. ილია ჭავჭავაძემ, როდესაც ამ ოცის წლის წინად მიჰყო ხელი თავის პირველ მოთხრობებს. მისი მოთხრობები ჰგავდენ კაცობრიულ გრძნობის ფსალმუნებს და მის მემამულეთა ჩუმს პატრიარქალურ ცხოვრებას ქარიშხალსავით მოედვნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე II განიზრახა გლეხების განთავისუფლება ბატონყმობის უღლისაგან. მაშინ ჭავჭავაძემ აღტაცებით წარმოსთქვა: „გლეხი უნდა თავისუფალი იყოს, ისიც ჩვენსავით კაციაო". ფეოდალ მებატონეებს არაფრად ეამებათ ეს სიტყვები, მაგრამ ჭავჭავაძემ უფრო თანდათან აღამაღლა თავისი ხმა და ორს მშვენიერს მოთხრობაში: „კაცია ადამიანში" და „გლახის ნაამბობში" გამოჰხატა ბატონ-ყმობა, ბატონების სიმკაცრე და ყმების სიღატაკე.

შორს წამიყვანს, რომ ყველა ის სურათები მოვიყვანო, რომელნიც ჭავჭავაძეს ხელოვნურათა აქვს დახატულნი; აქ მხოლოდ გავაცნობ მკითხველებს მის გმირებს*

ორ დასახელებულ მოთხრობაში მწერალს შეჰყავს მკითხველი იმისთანა ფეოდალურის მზგავსს ცხოვრებაში, რომელიც საქართველოში ამ ოცდა-ხუთის წლის წინად არსებობდა. თუმცა დასავლეთის უმაღლესი ცივილიზაცია ამ მხარეს თითქმის არ შეჰხებია, მაგრამ ხალხს არ აკლია

---

* პატივცემულ ავტორს როგორც მკითხველი თითონაც ენიშნავს, ერთის მოთხრობის გმირები მეორისათვის მიუწვდომელია, ასე რომ განთქმული ლუარსაბ თათქარიძე არსად სჩანს, თუმცა „კაცია ადამიანის" გმირზედ ლაპარაკს კი ჰპირდება. ამ გვარი შეცდომები ზემოთაც იყო, მაგრამ ეს აუცილებელია იმისთანა პირისათვის, რომელსაც მხოლოდ თავის მეცადინეობითა და შრომით შეუსწავლია ისეთი ძნელი ენა, როგორიც ჩვენია და ჩვენი ლიტერატურა. რედ.

არც გრძნობა, არც მოაზრება, არც თავის თავის უადრი თავის ღირსების ცნობიერება.

მშვენიერად არის დახატული რაინდის მზგავსი მებატონე, რომელსაც თავის სწორთან დამოკიდებულებაში ყოველთვის თვალწინ პატიოსნება უდგას; არის მამაცი, გამბედავი, ზრდილობიანი, სტუმრის მოყვარე და საამოდ დროს გამტარებელი. ამ თვისებას ვალათა სდებს მას მისი გრძნობა, წოდება და მოვალეობა საზოგადოების წინაშე. მაგრამ ეს პატიოსნებით სავსე პირი უკაცური რამ არის თავის ყმასთან; ყმის წინაშე იგი არაფრის მოვალე არ არის, თითქმის ადამიანური გრძნობაც კი მეტ ტვირთად მიაჩნია. ყმა მისი მონაა და არავითარი უფლება არა აქვს მისი რაინდული გრძნობანი თავისთვის გამოიხმოს. მებატონე სხვაა და ყმა სხვა. ყმა თითქო განგებისაგან იმიტომ არის დანიშნული, რომ თავისი უფლის კეთილდღეზედ იაროს და იმოქმედოს. მთელი სიცოცხლე ბმა-ამოუღებლივ ჰზიდავს იგი ამ ტვირთს და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მჩაგვრელი გააწვდენს ხელს იმისკენ, რაც უძვირფასესია ყმისთვის ქვეყნიერებაზედ,-მხოლოდ მაშინ ესპობა მოთმინება და იწყობს იქვიანობას, მართლა მარტო ეს მცირე დანიშნულება აქვს, თუ არა.

მეორე მებატონე არა ჰგავს რაინდს, იგია სასტიკი, როგორც მთის ჩერჩეზი და გარყვნილი; მხოლოდ გარყვნილობაზედ უქირავს თვალი და ეს თვისება დესპოტად გარდაქმნის მას. როგორც ყველგან ამ გვარ პირთა ცხოვრებაში სიკვდილ-სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია, ისე ეს მებატონე ჰხდება მსხვერპლი თავის უკაცურობისა და წინათაც რომ ეგრძნო თავისი ბოლო, მაინც ადამიანობა არ დაეტყობოდა. იმისი ყმა შაქრო თავის მამის ჯავრსა ჰყრილობს მასზედ და გარბის მთებში, სადაც იწყებს ყაჩაღობას. გულში ჯოჯოხეთის ცეცხლით ჰხდება იგი ავაზაკი და კაცის მკვლელი, რომ კაცობრიობას თავისი უბედური სვე აზღვევინოს.

ყაჩაღი კაკო, რომელიც მას თავის ამხანაგად მიიღებს, ასე უხატავს თავის ხელობას:

უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-და-ღამ ხელში,-
ჭართალია, ძმაო, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გიყვარდება
სადაც ჩვენებე ვართ ჩვენი ბატონი!

ჭაჭავაძის გმირებს არა აქვთ-რა საერთო ჩვენს საზოგადოებასთან და როგორც გარეგანის მხრივ აზით განსხვავებული პატრიარქალურ-ბეჭედი, ისე გულითაც სხვანი არიან. ჩინებული, კეთილ-შობილი ქმნილებაა თბილისელი მღვდელი „გლახის ნაამბობში“. ამ მღვდელს მოყვასის სიყვარული თავის ცხოვრების უმთავრეს საგნად გაუხდია და ეზიზღება, რო-

დესაც სხვის გულისთვის თავის გაწირვას უშლიან—ამ კეთილ-შობილ კაცის თვალში თანაწორობა ხალხისა ადვილად მისაღწევია და ამ თანასწორობისათვის მუდამ ჟამს ოცნებობს და მოქმედობს. როგორც იგი თანასწორობის დამყარებას ჰფიქრობს, ამისთანა თანასწორობაზედ ზრუნვა მხოლოდ ჩვენს წორეულს წინაპრებს შეეძლოთ, რადგან იმის ბრძნული სიმშვიდით წარმოთქმულ სიტყვებში გამოსჭვირს საუკეთესო და უწმინდესი ადამიანური გრძნობა.

ჰავჰავაძის ყოველ თხზულებაში ჩანს ბუნებრივი ძალა, ძლიერი, მღელვარე, სიცოცხლე. პოეტი გრძნობს, რომ მზე განათლებისა ამ ცხოვრებასაც მოჰფენს თავის სხივებს და წარმატების სურვილი იქნება ამის თხზულებებში უფრო შესამჩნევი იყოს, ვიდრე სხვა ქართველ პოეტების თხზულებაში.

შესამჩნევია და დიდებული ჰავჰავაძის სიყვარული მამულისადმი, რომელიც უფრო ძლიერად გამოსჩანს იმის „დედა და შვილში“ და „დიმიტრიში“. იგი ამბობს პირველში:

ეჰა, მამულო, შენის ტრფობის ძალსა ღვიძურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა..
რა სხივოსანი შენი შუქი აღბობრწყინდება,
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰკრება,
ჯოთა გზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ჯოთა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა!

პოეტი იჩენს განსაკუთრებულს ძლიერებასა, როდესაც იგი ხატავს წარსულს თავის სამშობლოისას. მწუხარება და ტკივილი გულს უწყალავს...

(ამის შემდეგ არტურ ლეისტს მოჰყავს ორი ლექსი ი. ჰავჰავაძისა ნეშეცურად გადათარგმნილები: „მტკვრის პირზედ“ და „ელეგია“ და შემდეგ განაგრძობს):

ჰავჰავაძე ჩინებული ლირიკოსია და ქართულს ლიტერატურას მრავალი მშვენიერი ლექსები შესძინა. მშვენიერი პოეტური ქმნილებაა იმისი უკანასკნელი პოემა „განდეგილი“, რომელიც დაბეჭდილია თბილისურს ქართული ჟურნალის „ივერიის“ წრევანდელს თებერვლის ნომერში. თუმცა ამ ლექსის აზრი ახალი არ არის და მოგვაგონებს ლერმონტოვის დემონს. ძაგრამ ეს აზრი თავისებურად არის შემუშავებული და იმდენი ხელოვნური და ახალი სურათებია, რომ მეტადრე თავ-მობეზრებულს ევროპიელს ჩინებულს გულისგადამაყოლებელ საკითხავს მასალას მისცემს. მერე რა მშვენიერი ბუნების სურათებია ყაზბეგის ყინულებში დახატული, როგორი ბრწყინვალე დილა და საღამოა აღწერილი, როგორი მშვენიერებაა ქმაწვილი ქალი, როგორი ძლიერია განდეგილის სიყვარული! ხშირად ჰავჰავაძის თხზულებები პუშკინის ნიჭს მოგვაგონებენ,—მაინც ამ პოეტს დიდებულს რუსის პოეტთან ბევრი აქვს საერთო გრძნობითაც და წარმატების სურვილითაც. იქნება სხვაფრივაც ჰქონდა ზედ-მოქმედება პუშკინს

ძასზე, რადგან რუსული რომანებიული პოეზია იყო სკოლა როგორც მისთვის, ისე მრავალი სხვა ქართველი პოეტებისათვის. ეს კარგად დაამტკიცა ერთმა თბილისელმა კრიტიკოსმა ვ. მიქელაძემ თავის ლამაზს ბროშიურაში. ეხლა ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა ისპობა და ეროვნული თავისებურობა თავის უფლებას კვალად ჰპოვებს. უნდა ვისურვოთ მხოლოდ, რომ ამ ძიმართულებამ დიდხანს გასტანოს, რადგან პოეზიის ნიჭით დასაჩუქრებულ ქართველებისაგან მომავალში ბევრს უნდა მოველოდეთ.

ძართული ლიტერატურა წერილი[16]

... ახალ ცხოვრებას უფრო შეეფერებიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ეს ორი პოეტი, თუმცა ურთიერთ შორის ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ ორივე ერთნაირის მხნეობით და ძალით მოღვაწეობენ და ცდილობენ გაავრცელონ თავიანთი თანა-მემამულეთა შორის დაწინაურებული აზრები და იდეები. პირველნი ნაწარმოებნი თ. ილია ჭავჭავაძის კალმისა გამოვიდნენ ლიტერატურაში ამ 20-ს წლის წინად და მაშინვე დაიჭირა მან საპატიო და თვალ-საჩინო ადგილი თანამედროვეთა შორის. მთავრობამ განიზრახა თუ არა გლეხების განთავისუფლება, ჭავჭავაძემ პირველმა დაიწყო საქართველოში ღაღადება და თავის ნაწერებით მოამზადა საზოგადო აზრი ისეთი დიდი გუმანიური რეფორმის მისაღებად, როგორიც იყო ბატონ-ყმობის მოსპობა. ორ პირველ თავის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“, მან გამოსახა ისეთი სურათები გლეხთა უბედური და ტანჯული მდგომარეობისა, რომ მათი წაკითხვა შეაძრწუნებს და ააღელვებს ყოველ კაცის კეთილშობილურს გრძნობას.

მოთხრობაში გამოყვანილი პირები არიან გარემოცული საშუალ-საუკუნოების ჟანგით, ხოლო ყოველი მათგანი შეჰურვილია მძლავრი ენერგიით, რომელსაც ძვირად შეხვდებით ჩვენ დროში და ჩვენ საზოგადოებაში. მართალია, იმათ არა სწამთ მუსულმანთა „ბედის-წერა“, რადგან ქრისტიანები არიან, მაგრამ მათ სიცოცხლის საფუძვლად მაინც გამლეტის „to by or not to by“ არის. სიცოცხლეს იმათი შეხედულობით არ აძევს დიდი ფასი, მაზედ გაცილებით მაღლა აყენებენ სიყვარულს, სიძულვილს, მადლობის გრძნობას და სისხლის ზღვევას ანუ ძიებას. ყველა ხასიათები ზემოთ დასახელებული მოთხრობებისა არიან შემუშავებულნი შესანიშნავის ხელოვნებით. აქ ჩვენ ვხედავთ ბარბაროს თავადს, რომელიც თუმცა თავის წრეში, თავის თანასწორთან იქცევა კაცურად, ხანდისხან დიდად პატიოსნადაც, მაგრამ თავის ყმებთან, გლეხებთან საქციელში იგი ჰკარგავს ყოველგვარ კაცის ღირსებას. მისი აზრით, გლეხი იმათ არა ღირს, რომ მიაქციოს მათ ავან-ჩავანს მცირედი ყურადღება მაინც. ამ უბედურთაც დედის ძუძუსთან ერთად შეთვისებული აქვთ ის აზრი, რომ ისინი გაჩენილნი არიან ყმებად, ბატონის ფიხის მტვრად. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ განგებამ ესენი შექმნა მხოლოდ იმისათვის, რომ

ასრულონ ყოველი გახკარგულება (თუნდ იგი იყოს ნაყოფი სულელ-ჰკუისა), ვითარცა პირუტყვმა სიტყვის შეუბრუნებლად თუმც ეს ასეა. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მშიერი კაცის მოთმინებას აქვს თავისი საზღვარი და როდესაც ბარბაროსი ბატონი შეეხება მას, რაც მის რწმუნებით არის წმინდა და ხელ-შეუხებელი, მაშინ ყმის გულში გაიღვიძებს კაცობრიული ღირსების გრძნობა. ამნაირ გაღვიძებას კიდევ მოსდევს აღრეულობა, სისხლის ღვრა და სხვ.

ჭავჭავაძე დიდი მცოდნეა თავის თანამემამულეთა ხასიათისა და გულისა. მისი მოთხრობები, რომელთაც საგნად აქვთ აგვიწეროს აწმყო ცხოვრება, სავსე არიან უმშვენიერესი სურათებითა და გვიხატავენ უფრო ბნელ მხარეებს ქართველების ცხოვრებისას, ვიდრე ნათელს. ჩვენ გვგონია, რომ სხვა მოთხრობა არ მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ისეთის სიმართლით და ისე დამთავრებულად გვიხატავდეს ძველი დროის თავადობის ცხოვრებას, როგორც „კაცია-ადამიანი". ეს მოთხრობა შეიცავს ყოველისფერს, რაც კი საჭიროა ამ ხალხის გასაცნობად. აქ ჩვენ ვხედავთ სოფლელ მდიდარ თავადს, რომლის სიცოცხლე მიმდინარეობს ჩუმად, უზრუნველად, უსაგნოდ და უაზროდ. ოჯახსაც ის არ უელის, რადგან შრომას არ არის შეჩვეული და არც უყვარს იგი. მისი სატრფონი არიან: გემრიელი სადილი, მშვენიერი კახური და განცხრომით ძილი ქართულ ტახტზედ. პროგრესი მას არა ჰსწამს, სწაელას და ცოდნას ის მოჭრილ ბარგად სთვლის. წიგნი ეჯავრება, როგორც სიკვდილი. ნაცელად ამისა მას მტკიცედ სწამს თავისი მოწოდება, ესმის და აფასებს თავის უფლებას, რომელიც მას აქვს ნაბოძები თვით ღვთის მიერ. ამ მხრივ, მის აზრით, თავის დღეში არ უნდა შეიცვალოს-რა, ან როგორ შეიძლება ჩამოერთვას თავადს უფლება — ნაყოფი მის მამა-პაპათ დიდებული სამსაურისა სამშობლოს წინაშე. სამშობლოს და თავისი გვარის ისტორია ცოტა არ იყოს ახალისებს ჩვენ თავადს და ამ საგნის შესახებ მოეპოვება მცირედი ცოდნაც. ყოვლად პატიოსანი და ბრწყინვალე მისი მეუღლე დარეჯანი ძალიან წააგავს ქმარს. თუმცა წიგნების კითხვის წყალობით მან ცოტათი გაიცნო ქვეყანა, იშვიათი შემთხვევა არ არის საქართველოში, რომ დედა-კაცი სჯობდეს მამა-კაცს თავისი აღზრდით და ცოდნით. კნეინა დარეჯანს უყვარს წიგნები, მაგრამ, მაინც კი ვერ განთავისუფლებულა იმ ცრუ-მორწმუნეობისაგან, რომლითაც არის გარემოცული მისი ქმარი. ნიჭიერი პოეტი გვიხატავს მრავალ სურათებს ძველებური ცრუ-მორწმუნეობისას, რომლითაც იყო მოდებული ძველებური საქართველო.

ისტორიულ მოთხრობებში ჭავჭავაძე ჩანს დიდი თაყვანისმცემელი თავისი საყვარელი საქართველოსი. უყვარს მას სამშობლო გატაცებით. ვეღა ლექსებიდამ, რომლებიც უძღვნა მან სამშობლოს, მოისმის შესანიშნავი კვნესა და ოხვრა, თუმცა ამავე დროს გამოსჭვრეტს სხივი ბედნიერი მომავლისაც, მაგალითებრ:

გაზაფხული

ტყეს ესხმება ფოთოლი
აგერ მერცხალი ჰყივის
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ღხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები
და სხვა.

ანუ:

ელეგია

მკრთალი ნათელი საცეე მთვარისა,
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა,
ლაჟვარდ სივრცეში ჩაინთქებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!!..
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი, ტანჯვით გამოძახილი
ქართლის ძილშიაც კვნესა ისმოდა
ვიდექ მარტოკა... და სხვ.

ეხლანდელ ქართულ მოთხრობებსაც კი ცხადად ატყვიათ ხალხური მრავალსიტყვაობის და ყბედობის ბეჭედი და ვერა შემთხვევაში ვერ დაეწერებიან ევროპიული ლიტერატურის ამ გვარსავე ნაწერებს. ჰხოლოდ ამ საუკუნის ნახევარში იწერება ნამდვილი მოთხრობები, ევროპიული მოთხრობების სახით და შეიცავენ ორიოდე სურათს, ამოღებულს ნამდვილი ცხოვრებიდამ. ნამდვილ დამაარსებლად ჰეშმარიტის მოთხრობისა ითვლება ილია ჭავჭავაძე... მან გაამშვენიერა ენა და მისი ფორმები და უმნიშვნელო ოცნებათა სამაგიეროდ, შეიტანა მოთხრობაში სჯა ისეთ საგნებზედ, რომელებიც აღელვებენ საზოგადოებას. მის მაგალითს მალე მიჰბაძეს ბევრმა სხვებმაც, და რამდენიმე ახალგაზრდა განათლებულმა ქართველებმა სცადეს ემუშავნათ ამ გზით. ხოლო ჯერ-ჯერობით ერთობ მცირედ გამოჩინეს თავი.

რაჭიდან ჩხიკვაძე (ალისუბნელი)

ჩვენს ლიტერატურაზე[17]

ჩვენი მწერლები აიზარდნენ რუსეთში, რუსების ლიტერატურაც დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა ჩვენზე. ზოგიერთი ჩვენი თხზულებები ცხადად მოგვაგონებენ რუსების პოეტების ნაწერებს. მაგალითად, ჩვენი ძვირფასი „კაცია ადამიანი“ გამოჩენილი გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკებს“. ხოლო ეს მოგონება მხოლოდ მოგონებად რჩება და მითი საქმე ბოლოვდება. ჩვენ „კაცია ადამიანს“ ნიადაგი ქართული აქვს, შიგ ჭეშმარიტი ქართველები მოქმედებენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუმორწმუნეობაც ქართულია, სმაც, ჭამაც,—ერთი სიტყვით სულ ყველაფერი. გოგოლის თხზულებას კი სულ თავიდამ ბოლომდე „რუსული სუნი უდის“ მხოლოდ გარეგნობით, ფორმით გვანან იგინი ერთმანეთს. ჩანს, რომ გოგოლმა თავის „სტაროსვეტსკოე პომეშჩიკებში“ დიდი ნიჭი გამოიჩინა. სინამდვილის ცხადად გამოხატვით, მაგრამ ბ. ჭავჭავაძემ გადააჭარბა მას. შეგირდმა ოსტატს აჯობა...

„ჩატეხილი ხიდი“
„ოთარაანთ ქვრივი-ს“ ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები[18]

დიდი ხანია გვესმოდა:

—ილიკო თურმე მოთხრობასა ჰწერს.

—მართლა? კარგი ამბავია; ნეტავ რა აქვს საგნად?

—უეჭველია ჩვენი ცხოვრება!

—როდის გაათავებს? მალე მაინც იყოს!..

რამდენიმე ხნის შემდეგ:

—გაუთავებია, ამაღამ კითხულობს რედაქციაში.

—უცხოს არ მიესვლება?

—არა, მარტო თანამშრომლები ეყოლება. ამბობენ ლიტერატურულ საღამოზედაც წაიკითხავსო.

—სად. როდის?..

ჯიდევ:—წაიკითხა?

—წაიკითხა!

—სულ?

—სულ!

—როგორ მოგეწონათ?

—აბა რა, ილიკო განა ურიგო რასმე დასწერდა!

საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ და აკაკიც კი გაფითრებული და სულ-განაბული ისმენდა. ნიკოლაძე აღტაცებაში მოიყვანა. სხვებს ხომ სულის ძარღვები შეგვეხუთა; როცა გაათავა. კარგა ხანი გაჭიდა, რომ ძლივს მოვედით გონსა.

—მაშ კარგი რამ ყოფილა?

—არა წამიკითხნია რა შაგის ბადალი. ყოველ ევროპიულ ხალხის ლიტერატურაში დიდ განძად და ძვირფას სამკაულად ჩაითვლებოდა.

—როდის დაიბეჭდება?

პირველ იანვრიდგან დაიწყება, ჯერ გაზეთში დაიბეჭდება და მერე ცალკე წიგნად.

—ხვალ ღამ ბ. სარაჯოვისას კითხულობს, ვახშამიც ექნებაო.

აგერ რაღაცა მანქანებით ათი კაცი შეყრილა და შემდეგი ბაასი აქვსთ:

—საგანგებო არ არის. თვითქო რაღაც აკლია. თვითქო ღასრულებული არ არისო.

—დასრულება მეტიღა უნდა, ჩვენი ცხოვრება კი დასრულებულია? ამაგან აღძრა კითხვა და ცხოვრებამ დაასრულოს.

—რას ბრძანებთ, რის კითხვა და რის დასრულება! თავიდამ ბოლომდე გენიოსობა ეტყობა, ეგ უბრალო კალმით არ არის დაწერილი. მაგაზედ მეტი რაღა უნდა დაწერილიყო?

—გენიოსურია თუ არა, ეგ არ ვიცი და ეს კი ვიცი. რომ შეუსწორებელი ეგ არ დაიბეჭდება, ავტორი ვერ გაჰბედავს.

—იქნება შეასწოროს შენიშვნებისამებრ.

—ილია—კი იქნება სხვისა. თქმით შეასწოროს, ხელსაც არ ახლებს.

—არ ახლებს და, გამოჩნდება...

—ამბობენ, არჩილში თავის-თავი ჰყავს გამოხატულიო.

—ამბობენ ნიკოლაძეს ძალიან მოსწონებია და ათარგმნინებსო. ერთსა და იმავე დროს გამოვა „ივერიაშიც“ და რუსულადაც „ახალ მიმოხილვაში“.

—რო თავის ქერქში დაიგებოდეს ის ურჩევნი.. ჯერ ქართულად ივარგოს და მერე რუსულად სთარგმნონ.

მერე, რომ ივარგოს, ვინ უნდა დააფასოს. მე კი არც ჩემს თავს, არც თქვენ არა ვხედავ ღირსეულად, ქართულ ენის და ცხოვრების მცოდნედ. რომ ილიას ნაწერები დაუფასოთ. ეს ღვთაებრივი ქმნილებაა. სჯა კი არ შეგვიძლიან, უნდა ვისწავლოთ.

—ეგ თქვენ..

—არა, თქვენც და სუყველანიც....

ეს აზრების არევ- დარევა ჩვენში პირველი გაგონება არ არის. საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, აქნობამდე ჩვენ განათლებულ საზოგადოებას და მწერალთ მეტადრე არ შეუძლიანთ ერთი აზრი შეადგინონ რომელსამე საგანზე, თუ ამისათვის ცოტად თუ ბევრად ჰკუის ანუ გულის შემწეობაა საჭირო.

ჯერ არ ვიცით ავისა და კარგის განრჩევა, როდის და რა გვეშველება! სხვაგან ამ შემთხვევაში მწერლობას მიჰმართავენ ხოლმე და მისგან შეიტყობენ ნამდვილს. როგორ გგონიათ: შეიძლება შევიტყოთ მართალი ჩვენ მწერლობისაგან და მის აზრს დავემყაროთ? ვაი შენს მტერს, რაც ნამდვილი ვერა გავიგოთ—რა! ის კი შეიძლება, რომ თქვენი ცოტად თუ ბევრად მართალთან დაახლოებული აზრიც იქ დასტოვოთ და ისე წაბრძანდეთ. მაგალითად, გამოვიდა რამე ახალი თხზულება; თქვენ, რასაკვირველია, წაიკითხეთ და შეადგინეთ თქვენი აზრი, მაგრამ არ გინდათ თქვენს მსჯულობას დაემყაროთ და გსურთ მწერლობისაგანაც განმტკიცდეთ, თუ თქვენი აზრი შეუცდომელია; წინააღმდეგ შემთხვევაში აზრსაც შეიცვლით და სჯასაც მიეჩვევით. ჩვენი მწერლობის იმედი ნუ გაქვთ

ჩვენი მწერლები თხზულებათა დაფასებაში ჰკუა-გონებით, სწავლით, გამოცდილებით კი არა ხელმძღვანელობენ, არამედ პირად დამოკიდებულებით ავტორთან და, იქმნება, მის ჯიბესთანაც. წინადვე თვალში ამოღებული ჰყავთ მწერლები, რომელნიც თავის დღეში კარგს ვერას დასწერენ. არიან ისეთი ბედნიერებიც, რომელთ ნაწერებზე, რაც უნდა იყვეს, უკეთესი წარმოსადგენი არა იქმნება—რა. ეს კიდევ არაფერი! ჩვენმა მწერლებმა, წინასწარმეტყველებისამებრ, წინადვე იციან, იქარგებ მწერლობაში თუ არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, ეკუთვნი ეხლანდელ მწერალთა დასს, თუ არა, ავად თუ კარგად იხსენიებ ეხლანდელ მწერალთა მეთაურებს. ესეც არაფერია! თუ ხმა ამოიღე რომელსამე მწერალზედ, მაშინადვე ხახაში მოგვარდებიან, როგორ გაჰბედეო; დაჰკრამენ ტელეგრაფს და ქვეყანას შეატყობინებენ: ამან ეს მწერალი ცუდად მოიხსენიაო, რა საბუთით?—სულ ერთია.

წარმოიდგინეთ სადამდის მიდის ჩვენ მწერალთა სიწვრილმანე და მათ დათვ-მოყვრებთა ერთგულება: მის მაგივრად, რომ პასუხი მოგცეს შენიშვნაზედ და დაგირღვიონ შემცდარი აზრი, მტრად გახდებიან არამც თუ მწერლები, არამედ მათი ნაცნობნი და ნათესავნიც. რო ჰკადრო რომელსამე მწერალს ზრდილობიანი და ცოტა საბუთიანი სიტყვა, ნუ გგონია, რომ მეორე დღეს მის მეგობარმა გამარჯვება გითხრას. ბატონო! რა უბედურობაა, კაცს სიტყვას არ ათქმევინებთ? არა მგონია ესეთი უკუღმართი მწერლობა სხვაგან სადმე იყვეს. სხვაგან მხოლოდ სიტყვიერი ბრძოლა აქვთ. ჩვენში კი მუშტსაც გიჩვენებენ: აბა ბანკისკენ ჩამოიარეო! საკვირველია და საზიზღარი ესეთი აზრის დევნა! ჩვენ მოთავეთა შესახებ ცუდს ნუ ამბობთო, მაგათზე უკეთესი დღეს არა გვყავს და ეგენიც როჩვენვე დავამხოთ, სხვა რაღას გვიზავსო. კარგი და პატიოსანი! გაჭუმდით, მაგრამ მართლა ცხვრები ხომ არა ვართ, საითაც თხები წავლენ, თან მივყვეთ. ვგონებ, ცოდო არ იქმნება, ვიცოდეთ, გვიპირებენ საითმე წაყვანას თუ არა; თუ არა მოთავენი, წინამძღოლნი, რა საჭიროა, თუ ჰო—გვითხარით: სად, საით, როდის, რისთვის? ეს ერთი. მეორე ნუ თუ უცოდველი გგონიათ თქვენი თავი, რომ თქვენ განკარგულებას მონებრ დაეთმორჩილოთ? მესამე, გუშინაც თქვენ ბრძანდებოდით მოთავედ, დღესაც, ხვალაც თქვენის იმედით ვიყვნეთ; იქნება თქვენ დღესვე მიგიწვიეს საიქიოს დასამშვენებლად, მერე არ გვინდა ერთი შემზადებული კაცი გვყავდეს, რომ დაფანტულ ცხვრებისავით ბღავილი არ დავიწყოთ?

ერთის სიტყვით, ჩვენი მწერლობის წარმომადგენელთ უნდა იდონ კისრად ის ცოდო, რომ დღემდის ჩვენში ავ-კარგის განრჩევა, კრიტიკა, არ არის. რასაკვირველია, არის სხვა მიზეზიც, მაგრამ უმთავრესად, რაცა ვსთქვით, ის უნდა ჩაითვალოს. ასე თუ ისე, ყველა დამეთანხმება, რომ დღეს კრიტიკა არ არის, არა! ამ არას ათასი სხვა ნაკლულევანება და ბოროტმოქმედება მოსდევს. ბოროტმოქმედებას იმისთვის ვამბობ, რომ ზოგ მწერალს კეთილი განზრახვაც აქვს, მაგრამ დათვურად გვმოყვრობს:

ძაგის გარდა ჩვენში ბევრი ნასწავლი, ჭკუა-მახვილი კაცია, ნიჭიერი, თა-ვის ერისთვის გულისშემატკივარი, მაგრამ არ ემონება ეხლანდელ ერთ დასის ბატონობას, თავმოყვარეობა არ აძლევს ნებას უაზრო ლაქლაქ-მჯღაბნავებში ჩაერიოს და სხვაფრივ თავი ვერ უჩენია. სამაგიეროდ თავ-მსუბუქი ვაჟ-ბატონები ფარფაშობენ სამწერლო ასპარეზზედ და მედი-დურად გაიძახიან: ინტელიგენციას ჩვენ შევადგენთ, „დედა-მიწის მარი-ლი“ და სამშობლოს „ქვა-კუთხედი“ ჩვენა ვართ, აბა ჩვენ სამწერლო კა-ლამს შემოჰხედეთო! გაიხსენონ მაინც დალოცვილებმა სიტყვები იმ „ვეფხვის-ტყაოსნისა“, რომელიც მათ უღირსელად ყოველ დღე პირზე აკერიათ: „ყვავი რო ვარდსა იშოვნის თავი ბულბული ჰგონია“.

რა საჭიროა ესეთი შესავალიო? იკითხავთ: რა ვქნა, ბატონო, გაჭირდა საქმე: დაგვებადა მრავალი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და სიმსუბუქის მეტი თან არა დაჰყვათ რა. მივარდებიან მთელ დედა-მი-წას და ერთ თაბახ ქაღალდზეც მოთავსებას უქადიან. რას მიქვიან ქვეყა-ნა და მისი ძირი, ბუნება, კაცი, სული, ლობიო, ნაცარი! ყველა ეს ავტო-რის კალამს უნდა ემონებოდეს. იმის კეთილ სურვილზედ არის დამოკი-დებული, ქვა ქვაზედ დააყენოს, თუ თვით მზე და მთვარესაც კი ბინა უცვალოს. სიყვარული?.. ვაი სიყვარულის ბრალიც ჩვენი ავტორების ხელში. უბრძანებენ: შენ ეს და ეს უნდა შეაკავშირო!

—არ შემიძლიან, თქვენი ჭირიმე, თხა და მგელი ერთად როგორ სძო-ვენ.

— რას მიჰქარავ, ის კაცია ის ჭალი·

—მართალია, მაგრამ ის თხა და მგელი უფრო მორიგდებიან...

—სსუ!...

კიდევ კარგი, რომ ჯერ-ჯერობით სქესთა განსხვავებას მაინც ემორ-ჩილებიან.

ამ არეულ მონასტერში და ჭკუა-გონების სიბნელეში რო ხანდისხან მზემ ჩამოაშუქოს—ყველასათვის სასურველია და სანატრელი. ბ. ჭავჭავაძე ჩვენს მწერალთა შორის მზედ ითვლება. ეს არის მიზეზი, რომ ყველანი მოუთმენლად ველოდით ბ. ჭავჭავაძის თხზულების გამოსვლას და მიღე-ბისთანავე დავეწაფებოდით, სადაც უნდა ყოფილიყო, შინ თუ გარედ. ავ-ტორის სახელმა აღძრა ცნობის მოყვარეობა და, როგორც იყო, ძლივს წყურვილი მოვიკალით. ეხლა „ივერიის“ ნიმუშები წინ მიძევს და მინდა გამოვარკვიო ჩემი შთაბეჭდილება.

არ ვიცი ჯერ, რა დაეარქვა ამ თხზულებას? მოთხრობა? იქნება ავტორ-მა გვიწყინოს, მოთხრობის დაწერა არც კი მომფიქრებიაო.

ყველა თხზულება ემორჩილება საერთოდ ლიტერატურის ისტორიით გამორკვეულს, ცნობილ კანონს. თხზულებანი ირჩევიან როგორც გარეგა-ნის ფორმით, აგრედვე შინაარსით და კილოთიც.

ბ. ჯავჯავაძის თხზულებაში მარტივი სურათებია; ცალკე ფელეტონები ერთად არის შეკრებილი მხოლოდ ავტორის სახელით. თუ მოთხრობად გადაკეთება გვინდა, რამდენიმე ფელეტონი უნდა ამოვშალოთ, გაესწრათ, მივაკეროთ, ჩავუმატოთ, რომ მოქმედ პირთ რამე კავშირი ვუპოვოთ და ცხოვრების გზაზედ ერთად შეეყაროთ. თუ არა და, ყველას მაგიერად ავტორი ლაპარაკობს, გამოჰყავს გმირი და თვითონ გვიამბობს: ეს ესეთია ეს ესეთიო; მართალია უსიამოვნოდ გეჩვენებათ, მაგრამ მალე თვალს შეაჩვევთო.

სად არის მოთხრობის კვანძი? გიორგის, თუ ოთარაანთ ქვრივის დაბადება?

ყველას დასკვნა სიკვდილია, ეს ადგილი მისახვედრებელია.

ვინ არიან მოქმედნი პირნი—გმირნი მოთხრობისა წარმომადგენელნი იმ ცხოვრებისა, რომელსაც ავტორი გვიხატავს?

ოთარაანთ ქვრივი? სამაგალითო ლანძღვა-გინება რომ იცოდა, თუ შვილი რო ჰყავდა და ზედ დააკვდა ჰკუა-მიხდილი, სიცხიანი, ავადმყოფი.

გიორგი? პირუტყვთა სიყვარულით რო კაცებს სცემდა, თუ ვიღაც ქალი რო შეუყვარდა და თქმაც ვერ გაჰბედა?

არჩილი? ლაქლაქ-ლაპარაკად რომ არის გადაქცეული?

კესო? გიორგის სიყვარულს რომ ვერ მიუხვდა, თუ ძმის ლაქლაქს რომ უძლებდა?

მეწისქვილე?

თუ ძაღლი, რომელიც არა სიცხით და ბოდვით, არამედ „სრულის-ჰკუით და სურვილით“ თავს იკლავდა თავის პატრონის გაყინულ ოთარაანთ ქვრივის გვერდით?

იქნება ერთის თვალის გადავლებით ვერ მიგვიგნია ნამდვილ გმირებისათვის; ახლოც გავსინჯოთ თვითეული მოთხრობაში დასახელებული პირი.

ამისათვის მოკლედ მოვიგონოთ შინაარსი მოთხრობისა:

გიორგი ოთარაანთ ქვრივის შვილი, მოჯამაგირედ დაუდგა თავადიშვილს არჩილს, რადგანაც არჩილის და, კესო, შეჰყვარებოდა და მასთან სიახლოვეს ყოფნა სურდა. კეთილად და სინდისიერად მუშაობდა გიორგი. მაგრამ ბედმა უმუხთლა: ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს სათიველმა ჩამოვარდა. „ურმის ჰალს ზედ დაეგო ზურგით“ და შეშდეგ სული ამიარა.

აქ, როგორც ჰხედავთ, უმთავრესი მოქმედი პირი გიორგია და მოთხრობა მის გარეშემო არის აშენებული; მისგან უნდა დაგეწყო განრჩევა. მაგრამ ავტორს უპირატესობა სხვისთვის უთავაზნია და ჩვენც ძალაუნებურად უნდა დავმორჩილდეთ.

მოთხრობას რად უწოდა ავტორმა ამ დედაკაცის სახელი? მისი დიდი სამსახური, ღვაწლი ქვეყნისა და შვილისადმი, მხოლოდ დედობა იყო. ისიც კი არა სჩანს მოთხრობიდამ, გარდასცა დედამ გიორგის თავის ხასიათი, თვისება, ჰკუა, გონება, ან გარეგანი შეხედულება მაინც, თუ არა?

თვითონ ოთარაანთ ქვრივი კი ხშირად გაიძახოდა: „სულ ცხონებული შამაა, ცხონებული მამა!“

მოთხრობაში ერთი მაგალითიც არ არის, რომ დედას შვილზე ავი ან კარგი გავლენა ჰქონოდეს და მის სურვილი შეეცვალოს მაშინაც კი, როცა გიორგი თავის ხასიათით ბევრს ხიფათს ემთხვეოდა და როცა ახალგაზრდობით, ცხოვრების უცოდინარობით, განსაცდელში შედიოდა. როდესაც გიორგის კესოსადმი სიყვარული და არჩილთან მოჯამაგირედ დადგომის სურვილი შეიტყო ოთარაანთ ქვრივმა, ერთის სიტყვითაც არ დაუშალა, „გარდაწყვეტილი არა უთხრა-რა“. იქნება ამ თქმაზედ კი იყო დამოკიდებული გიორგის მომავალი ბედ-იღბალი. მერე ოთარაანთ ქვრივი მიეგებავნა კიდეც შვილს არჩილთან თანხმობის გამოსაცხადებლად. შემდეგ სრულიად იკარგება მოთხრობიდამ შვილის სიკვდილამდე. თვითონაც ხომ მალე ლოგინად ჩავარდა და მოკვდა; მაშასადამე, ავტორის და მკითხველების ყურადღებას ვერასფრით ვერ დაიმსახურებდა.

მაშ რა შუაშია ოთარაანთ ქვრივი? ნუ თუ სულაც რომ ამოეშვათ ეს დედაკაცი, მოთხრობას რამე დააკლდებოდა, გარდა მისივე სურათისა? რისთვის არის ჩართული ეს სურათი და რავდენიმე ფელეტონი რად მოანდომა ავტორმა საკუთრად ამ სურათს?

ხშირად მოვა თქვენთან ნაცნობი ანუ უცნობი რაიმე საქმისთვის და იმის მაგივრად, რომ პირ-და-პირ საქმეზედ დაგიწყოთ ლაპარაკი, შორითგან მოჰყვება: გიქებსთ მამას, დედას, შვილს, ძმას; მერე გადაკვრით და შემდეგ ცხადად გამოსთქვამს თავის სურვილს. სწორედ ასე, ვგონებ, მოსელია ჩვენს ავტორსაც. მთელი მისი კალმის ძალა, თვალ-უური, სიმპატია, მიქცეული არის ოთარაანთ ქვრივისაკენ, მაგრამ „ერთი მერცხალის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“, ერთი ოთარაანთ ქვრივი რა მოთხრობას ააშენებს, საჭიროა მიჰკერდეს ვინმე; მიჰკერდნენ კიდეც.

მოთხრობა ოთარაანთ ქვრივით იწყება, იმითვე თავდება, ის რომ არ ერიოს მოთხრობაში, წასაკითხავადაც აღარ ეყარგებოდა, მხოლოდ ამ გმირ დედაკაცისათვის მოუხმარებია ავტორს თავისი მხატვრობითი ნიჭი. ადამიანის სულის ცოდნა.

იქნება მართლა საყურადღებო არის რამე, აბა კარგად დავაკვირდეთ. „ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზის და წვიმის მეტს არავის შეეძლო გაელა ქვრივის უნებურად... ასეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა... ჯგუფად რომ გლეხ-კაცობა სადმე მდგარიყო,

ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე, —ნაცვალი თუ მამასახლისი,— და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქედ-იქით, თითქო ალალმა დაჰკროლა წიწილებსო... ყველას ეშინოდა... ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც-კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ".

მტრის კარს, მტრის კარს! წამოგცდებათ უნებურად.

„ისე არავის გაუელდა გეერდით, რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქმნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა"... გლახა მთხოვარსაც-კი თავისებურად წამოულაგებდა: ...ი... ი...შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი. ნამუსი აღარა გაქვს...შე გულ-კვდარო...შე ოყრაყო...აი გაგიხმეს ეგ ხელფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ... შენი ბრიყვი თავი... ფუ, წენს ნამუსსა... შე არ დასარჩენო... შე დასაღუპავო... დაგიღია იქ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო შენა და შენი ღენი ქაღლივით სხვას შეჰყურებ აცა, გამოხრულ ძვალს გადმომიგდებენო... შე არ დასაცალებელო... დახე, დახე ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭისავით გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი—კი არა აქვს..."

რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს ლანძღვა-თრევის ლექსიკონი? საშვილი-შვილოდ ხომ არ გინდათ შეინახოთ. ბარემ სკოლებშიაც შეასწავლეთ!

ამ სიტყვების მიუხედავად ოთარაანთ ქვრივი ძალიან კეთილი გულის ადამიანი ყოფილა. „არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვას". აი ყველა ავტორისაგან მოყვანილი ფაქტები ოთარაანთ ქვრივის გულკეთილობისა.

ერთს ქვრივს წვრილ-შვილიან ღარიბ დედა-კაცს ოთარაანთ ქვრივი „ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთს ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე: აჰა ხეთქეო!.."

„გლახა მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა."

„თუ მეტად შესაბრალებელი და ღონე მიხდილი გლახა შეხვდებოდა. ერთი ორიოდ ჩარექა კაი ღვინოს გადაახუხებდა".

ერთხელ ერთ მთხოვარს ერთი შოლტი საქალამნე უყიდა ექვს პურად და თავში მიახალა.

ესეთი კეთილი გულის ადამიანი სოფელმა ვერ დააფასა: „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ". ავტორს არა ერთხელ გაუგონია გლეხებისაგან ოთარაანთ ქვრივის დანახვაზედ: „წამოვიდა მეხი და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო".

—„ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, ამბობდნენ სოფელში."

„მართლა ასე იყო თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივ დედაკაცსა“ ბრძანებს ავტორი, მაგრმ მე მეზარება იმ დედა-კაცისაკენ გამგზავრება და დარწმუნებულიცა ვარ, ნამდვილს ვერ შევიტყობ. ერთმა რაც უნდა სთქვას როდესაც მთელი სოფელი სხვა-ფრივ მოწმობს. ამ მოწმობას ზედ ერთვის შემდეგი მოსაზრებაც: ადამიანი საზოგადოდ, დიდი თუ პატარა, მეფე თუ მთხოვარა, კაცი თუ ქალი, ყოველთვის სცდილობს უკეთესად ეჩვენოს სხვებს ვიდრე ნამდვილად არის, უნდა ყველას მოეწონოს, ეს ბუნებითი კანონია და მარტო ადამიანებს კი არა, პირუტყვთაც უწერიათ. ძალად ავად თავის გამოყვანა შეუძლებელია. მთელ ოც-ორმოც წლობით ცხოვრებაში აქტიორობა ოთარაანთ ქვრივისა წარმოსადგენი არ არის. ის კი შეიძლება: ნამეტანისაგან გულისა ბაგენი მეტყველობდეს. შეიძლება ოთარაანთ ქვრივი ძალიან ავი იყო და ყოველთვის ავი სიტყვა ეკერა პირზედ.

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა“.

აი მცირედი შემთხვევა, რომელიც ცხადად გვიხატავს ოთარაანთ ქვრივის ზნეს:

ცხვირ-პირ დასისხლიანებული გიორგი, გულის პირ ჩამოგლეჯილი შინ მიუვიდა დედას.

—ეგ რა არის, შვილო? მაჩვენე ერთი რა გაქვს გატეხილი?

—კუპრაანთ თედომა მცემა.

—რადა?

— თედოს მანასაანთ გოლასთვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია მე პატარა.

—მერე წაართვით?

—წავართვით.

—რა უყავით?

—ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზე წარბი გაეხსნა.

—ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავ ცოტად, გაიზდები დაგავიწყდება, უთხრა შვილს.

—არ დამავიწყდება, დაიცა ერთი გავიზარდო! მე ვუჩვენებ ცემა როგორც უნდა.

დედამ შვილი გულს ჩაიკრა.

—სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, გაიხარა დედამ...

აბა მიბრძანეთ რა იყო აქ გასახარელი გულ-კეთილი ადამიანისათვის? არ დამავიწყდებაო, გარდავუხდიო?

ან როგორ შეიძლება დაუფიცოთ სიავე ოთარაანთ ქვრივს, როდესაც თვითონ ამბობს:

„ფული რა არის ?!.. ხელის ჭუჭყია, ერთი თუმანი რა სათქმელია!..

ჭავრი რომ არ შეეარჩინე,—ეს რადა ღირს?"

ეტყობა ავტორს ან არ უნახავს თავის თვალით ოთარაანთ ქვრივი. ვერ უცვნია. რომელს ირჩევს?

აი კიდევ ახირებული თვისება ოთარაანთ ქვრივისა.

საზოგადოდ ქალებს, ქართველთ მეტადრე, ცრემლი გულით დააქვსთ ბრალიან უბრალოზედ, გულის საქმეა თუ მუცლისა, ღაპაღუპით გადმოს დით მდუღარება. ოთარაანთ ქვრივი სულ სხვა ყოფილა; იმასთან ქალებ კი არა კაცებიც ღმერთმა შეარცხვინოს. ოთარაანთ ქვრივი კი იქნებ ცრემლი უჩვენოს ვისმე. გიორგი ოც და ერთის წლისა იყო და „დედის თვალზედ ცრემლი არ ენახა... არ ახსოვდა"; როცა ნახა, „ეოცა, გაუკვირდა". არა ჰგვანებია ტარიელ-ავთანდილს, თვალთაგან ზღვა სდიოდათ ოთარაანთ ქვრივს კი შვილი უკვდება და მაინც თავის სიამაყე ახსოვს ერთი ცრემლიც არ გადმოაგდო, ვიდრე ყველა კარში არ გამოჰყარა „ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულ თავი".

გაუგონიათ. „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვიტკირსა" და ჰგონიათ, ყველა ჭირის ატანა შეიძლებაო. ან ოთარაანთ ქვრივისათვის შვილის სიკვდილი განა ჭირი იყო? ერთად-ერთი შვილი. რომლისთვისაც ოცი წელიწადი მარტოდ-მარტო ივაივაგლახა, ათასი წყენა და შეურაცყოფა გამოიარა, ეს ერთი შვილი მოულოდნელად უკვდება; ერთად-ერთი ცხოვრების ძაფი, თვალის ჩინი, იმედი და ნუგეში უეცრად უწყდება! ეს განა ჭირია?

ჩემის აზრით, ეს სიკვდილია, სიკვდილზედ უარესი და სიკვდილი, ხომ მოგეხსენებათ, ისეთი რამ არის, რომ, არამც თუ სიბრძნეს, სისულელესაც კი დააევიწყებს კაცსა, ათას ავტორთაგანაც რომ იყოს შეთხზული.

„მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი"... „ეგ საუბარი მაშინ ჰხამს, თუმცაღა ვიყო ცნობასა".

ამბობს პოეტი-ფილოსოფოსი.

„ჩამაქვაეთ, ჩამქოლეთ... მიწა მომაყარეთ!" იციან ქართველებმა ამისთანა შემთხვევაში, თუ ხმის ამოღება შეუძლიათ.—

არც ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი მიმაჩნია ნამდვილ მოვლენად. ავტორი ესე მოგვითხრობს:

„შობა ღამეს ბნელ ოთახში... ტახტზე იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი ოთარაანთ ქვრივი. არ ეძინა.

—ვინ მეძახის, ვინ! იძახოდა ძილ დაკარგული სნეული თავის გულში წადი, წადიო! რად იძახის გული, რადა მეწევა რად?

— მივაღწევ-კი!.. ჰკითხა თავის თავს ფეხის გადადგმის ილაჯა აღარ მაქვს... გზაზე დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გახდ

ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!.. შეჰკივლა ხმა მაღლა ვიღასაც კვნესითა და ვაებითა და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლაპირას მწოლიარე ბებერ დედაკაცსა, ხომ არ გამოიღვიძა და არ შემიტყოვო.

სძინავს! სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა: მეც მალე დავიძინებ... სულთამხუთავი კარს მირაკუნებს, დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ.... მეყოფა.

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო რაც სტკივა დაუამდაო.

კიდევ! კიდევ მეძახის დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს! მოვდივარ, მოვდივარ!..

მე ჩემის მოკლე ჰკუით ვერ მიმხვდარვარ და, თუ შეიძლება, კარგად შემატყობინეთ: ვინ, ვის და რისთვის ეძახის?

გულში იძახოდა, გული მეძახისო! ვინ, ვის ჰკითხავს: ვინ მეძახის, რად მეძახისო? ვის ეუბნება: მოვდივარ მოვდივარო! სულთამხუთავს ხომ არა, კარებს რომ უკაკუნებს?

აბა ერთი გრამატიკულად გამირჩიეთ ეს ფრაზები, რომ მაშინ მაინც შევიტყო აზრი. მაგრამ თქვენ მიპასუხეთ: რა დაგემართა, კაცო, ვერა ჰხედავ დედა-კაცი უკანასკნელად მიხრწნილა, ჰკუა დაჰკარგვია და შენ მოგაკვდავის ბოდვაში გინდა გრამატიკა და ლოგიკა ამოიკითხოვო? ან რატომ არ გაიგონე სიტყვები: „დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს“ ეხლაც ვერ მივხვდი ვინ ეძახისო?

ჰო!... ეგრე ყოფილა? ახლა კი მივხვდი და, თუ შეიძლება, შეგირდსავით „ჩემი სიტყვით“ მოგახსენებთ ამ ძახილის ამბავს.

ოთარაანთ ქვრივი, შვილის სიკვდილის შემდეგ, დასნეულდა, დადნა, მიიღია, ლოგინად ჩავარდა და თითქმის სასიკვდილოდ მიიხრწნა; ადგომის იმედი არცა აქვს და არც უნდა, მას ენატრება მხოლოდ ის ჟამი, როდესაც საიქიოს თავის შვილს შეეყრება. შვილის უბედურობამ საყვარელ ქმარიც-კი დაავიწყა, თუ მოაგონდება, როგორც დიდი ხნის სიზმარი, ერთს წუთს გამოჩნდება და მაშინადვე მიიმალება, სხვა დროს, დღისით თუ ღამე, სიზმარში თუ ცხადივ, სულ გიორგის ჰხედავს, გიორგი ელანდება. ის ეხლაც ოთარაანთ ქვრივს არა სძინავს. დიდის ხნის უმოძრაობისაგან, ავადმყოფობისაგან, უძილობისაგან და უიმედო სევდა-დარდისაგან ჰკუა დაჰკარგვია, გონება დახშობია და ბურანში ჩავარდნილა, არც ძილია, არც უძილობა...

უეცრად შემოესმა ნაცნობი ხმა, ის ხმა, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი ათიათასშიაც გამოარჩევს, ის ხმა, რომლისთვისაც თავის სხეულს თავისივე ხელით ნაკუწ-ნაკუწად აჩეცებს და სულს სამუდამოდ ჯოჯოხეთისათვის არ დაინანებს, ეძახის:

— დედი!

— შვილო, გიორგი!!..

— ჰო, დედი მე ვარ!

— სადა ხარ, შვილო, დამენახე!...

— აქა ვარ, დედი, მოდი!

— ეხლავე, შენი ჭირიმე!..

წამოხტა საბრალო დედა. სად კაბას წამოაცლო ხელი, სად ცალ წინდას და ცალ ქოშს, ან იმასაც არა, გამოვარდა კარში და მირბის... სად? იქ, სადაც არა ერთხელ ყოფილა, ვიდრე ლოგინად ჩავარდებოდა, და საითკენაც დღე და ღამ დარბიან, დასეირნობენ მისი ფიქრები, გრძნობა, ჭკუა, გული, გზა არ შეეშლება, თვალდახუჭულიც კარგად მიაგნებს, ოღონდ კი ფეხებმა არ უმტყუნონ და, თუ უმტყუნეს-სულ ერთია: დედის და შვილის საფლავი და ორივეს განკურნებაც იქ არის, სადაც დაეცემა...

„პოეტი"—ავტორი—კი, თავისდა უნებურად, გვარწმუნებს, ოთარაანთ ქვრივს სიკვდილამდე სრული ჭკუა შერჩაო.

ჭკუა რომ არ შერჩენოდა ამისთანა სიდინჯეს ვინ მისცემდა:

ქვეშაგებში უღონოდ (მთქნარებითაც ხომ არა?) წამოჯდა. ჩაიცვა თბილი წინდები (არ შემცივდესო), თბილი ახალუხი (ღილებსაც ხომ შეიკრავდა), ზედ გადაიცვა კაბა (ურიგოდ არაეინ დამინახოსო), მოიხვია თავს შავი (სხვა არ შეჰფერის ქვრივსა) შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი ვეღარ წასდგა დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა,—არ წავიქცეო. ცოტა ხანს ხელ დაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოჰსურიელდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და. ფეხ-აკრეფით (იქ მწოლ დედაკაცმა არ შემიტყოსო) გავიდა სახლიდამ, უღონობის სიარულით ეზო გაიარა, ორისავე ხელით წინ წაძღოლილ (?) ჯოხზედ დანდობილმა. ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოსდგა (მადლობა ღმერთს, კარში გამოახწია!) და დაინახა ახლად მოსული ფეხუხლებელი თოვლი (ესეც არ გამოეპარა) სთქვა: ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა (სიკვდილის ჟამსაც გულ-კეთილობა!) არ შოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ შოვდივარ, მო!"...

ჭკუაა თუ უჭკუობა? —

ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ საფლავზედ მოსიყვარულეთა სიკვდილი „პოეტ"—ავტორის ფანტაზიით არ არის გამოგონილი.

გიორგი

ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო, ჯმუხი და ძარღვიანი, შავგვრემანი, კუპრივით შავი, კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაშით და დიდრონ ჭორფლ თვალებით. „კაცი თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ, ხოლო რაედენსაც უფრო დააკვირდებოდით... უფრო და უფრო მოგეწონებოდათ („კაცი ჭირსაც შეეჩვეაო"-ისე ხომ არა?).

თუმცა გიორგი სულ პირ-დაღვრემილი და წარბ-შეკრულია, მაგრამ ბევრს სოფლის საპატარძლოს ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩახაზვია გულში იმისი სიყვარული.

ერთი ფაქტი მაინც ვიცოდეთ!

„მუშაობაში ხომ მთელ სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის... ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, ბარს დაჰკრავს, ბარს, ისე გგონია დედამიწა უნდა შუა გულამდე ჩაანგრიოსო (შუაგულამდე ჩანგრევა არ გამიგონია). მარტო-ხელი ძნის ურემს დაუდებს და წინ მიიტანსო“.

ბევრს ამისთანებთ ლაპარაკობდნენ გიორგიზე სოფლელები და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

გამოიყენა რაშიმე ეს მუშაობა, ერთი ჩხირიც არის შეჰმატა თავის ოჯახს, თუ ამაოდ, უბარაქოდ იკარგებოდა მისი შრომა ეშმაკის მუშასავით? ან იქმნება ისეთი გარემოება ეხვია გიორგის და საზოგადოდ ყველა მის მოძმეს, რომ რაც უნდა ბევრი ეშრომათ, არაფერი დარჩებოდათ? ამ საინტერესო კითხვაზედ ამაოდ ელით პასუხს.

რომ ღონე და გამრჯელობა ჰქონია გიორგის, მაგაზედ დავეთანხმებით ავტორს, მაგრამ ნაცვლად ვთხოულობთ თანხმობას გიორგის უხერხულობაზედ, რომელიც გიორგიმ თავის მოულოდნელს და უცნაურის სიკვდილით დაგვიმტკიცა. ეს არაფერი.

სხვა-ფრივ ახირებული კაცი ყოფილა ი დალოცვილი გიორგი იმის შიშით ღორსაც კი ვერავინ შეაწუხებდა. მაშინადვე ჰკრავდა მოგეერდს და გააკრავდა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. ჩემმა ერთმა მეგობარმა იხუმრა, გიორგი პირუტყვთა საზოგადოების წევრი ყოფილა, პირუტყვის გულისათვის კაცს წაუშენს სახრესაო, თორემ

—„ახლა ჩვენში რომ ვიკითხოთ, რა დავა ჰქონდა“. ეკითხება ერთი სოფლელი მეორეს გიორგის მეტიჩარაობაზედ.

—ეგა სთქვი და გაათავე, მეც ეგ არ მიკვირს. აკი ვამბობ, ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

—დედაც ხო მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს, მამაც-კი ღვთის წინაშე—ცოტა არ იყოს მოუსვენარი კაცი იყო, ეგეები იმანაც იცოდა.

მოუსვენარნი იყვნენ და, მოგეცათ ღვთის წყალობა. მთელს სოფელს ჯავრი ამოჰყარა ავტორმა: „ისეთი ჭირი შეახვედრა გიორგის, რომ სიზმარშიაც არ მოელანდებოდა. ათასი წელიწადი რო იცოცხლოთ და სულ გიორგიზე იფიქროთ მაინც ვერ მიხვდებით რა უბედურება ეწვია ამ საწყალს. თვითონ ისიც კი ვერ მიხვდა, ვინც უბედურობის მიზეზად გაჰხდა.

ზღაპრებში რომ არის წყევლა: აი შენც ჩაგვარდნია გულში ამა და ამ დევის ქალის სიყვარულიო. სწორედ ესე მოაჯადოვა ავტორმა: თავადი

შვილის ქალის. კესოს, სიყვარული ჩაუგდო გულში და ელდა-ნაცემსავით დაარეტიანა.

საითგან, როგორ, რამ გააჩინა სიყვარული, რამ გააღვიძა? სად შეხვედ გიორგი კესოს, ლაპარაკი ჰქონდათ, უნახავს სადმე, თვალი მოუკრავ როდისმე თუ არა? მოთხრობაში ერთი სიტყვაც არ არის.

უცნაური სიყვარულია სწორედ!

ყველა კაცი კაცია, მაგრამ ყოველთა შორის ხომ არ აღიძვრის სიყვარული. ევროპიელთ და ბუშმანთა შორის განა შესაძლებელია ის წმინდა სიყვარული, რომელიც ღვთისგან ნაკურთხია და პოეტთაგან ქებული? გვარტომობას და საზოგადოებრივ თანასწორობას დიდი გავლენა აქვს ადამიანზედ და მის გრძნობაზედ. გლეხი ვერ შეიყვარებს ხელმწიფეს იცის რომ ეს მიუხდომელი, აღუსრულებელი ოცნება იქნებ.ოდა. ერთ წამსაც არ გაუვლის თავში ეს ფიქრი და გული კი იშვათად მოატყუებს ნამდვილ ბუნების შვილს. ხშირად ქონებით განსხვავებასაც კი აქვს მნიშვნელობა. გლეხმა იცის, რომ მილიონერი ქალს არ მოათხოვებს და ფიქრადაც არ მოუვა ისეთი სიძეობა. რაიმე განსაკუთრებითი გარემოება უნდა ხელს უწყობდეს, რომ დიდთა და პატარათ შორის, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ, სიყვარული აღიძრას. მაგალითებრ: როდესაც დიდი თავს უსწორებს, უყადრებს პატარასა; როდესაც დიდი და პატარა ხშირად ჰხედვენ ერთმანერთს, ლაპარაკობენ, სჯიან, ერთს საქმეს ემსახურებიან, რომელიც მათ აკავშირებს; ერთმანერთის კარგად გაცნობის შემდეგ, გულიც გაუსწორდებათ და გრძნობაც გაურთიერთდებათ.

ჩვენში გვარი-შვილობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ჯერ თავადთა და აზნაურთა მოყვრობა იშვიათი მოვლენა იყო და არის. თავადი თუ შეირთავს აზნაურის ქალს, თორემ თავადის ქალი ძნელად იკისრებს აზნაურის ცოლობას. აზნაურთა და გლეხთა შორის უფრო სიახლოვე ეტყობა. მაგრამ აქაც გლეხმა უთუოდ კანი უნდა იცვალოს თუ გლეხი ან ნასწავლი არ არის, ან სასულიერო წოდებისა, ან სამსახურში მყოფი, ან ქალაქში მცხოვრები, ნუ გგონიათ, რომ აზნაურმა ქალი მისცეს. კარგის ოჯახის გლეხის ქალი კი შეიძლება „ჰად აზნაურამ" შეირთოს. თავადთა და გლეხთა შორის ხომ, ავტორისავე სიტყვით:

„ხიდია ჩატეხილი, შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანერთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია. იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მზგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი".

ეხლა მიპასუხეთ, გიორგიმ რომელი შეიყვარა: „მარგილი თუ ტყლაპი"? სხვას ხომ ვერას დაინახავდა?

ავტორისავით სასტიკად არ მოვექცევი გიორგის და, „გიჟი იყო თუ არა", მაინც ადამიანობას არ დავუკარგავ. დავთანხმდები, რომ გიორგის ძალიან შორსმჭვრეტელი თვალი ჰქონდა და ზედ-მიწევნით გაარჩია ნიშან-

ში ამოღებული საგანი. თვალების თუ დურბინდის წყალობით, ძახ დაიხა ხა, რომ იქ იყო ლამაზი (იქნებ მახინჯიც—მოთხრობაში სიჩუმეა) ქალი. შეუყვარდა ეს ქალი და როგორ? აქაც „პოეტს“ გრძნობა შემოჰკლებია ან „დამჯდარი ჭკუა“ ვეღარ წამოუყენებია და გიორგის სიყვარული ვერ გაურჩევია. განა არა გიორგისაც დაუტყვია, რომ იმის სიყვარული საჭორაოდ გახდებოდა და საწყალმა ავტორს მიჰმართა თხოვნა, ვედრება.

არა შენი ჭირიმე, მაგას როგორ ვიფიქრებდი, „მე ვინ და ის ვინ...სად მივწვდები ცაში ვარსკვლავს, ხატსაეით ელოცულობდი... მზესავით მინათებდა. მე ისიც მყოფნის რომ ყოველ ცის ამარა დღეს მზეს ვეუყურებ-

ეს სიყვარული სულ სხვა ხილია. ბევრი ამხანაგთაგანი, ქალი თუ კაცი. ბევრი უსულო საგანიც გვიყვარს სხვადასხვა სიყვარულით. ვის არ უყვარს კარგი ყვავილი, ვის არ უნდა ვარდი მუდამ თვალ-წინ ედგას, მაგრამ ეს სიყვარული ის სიყვარული არ არის, რომელიც გიორგის დასწამეს. თუ ამაზედ დამეთანხმებით, მაშინ გიორგის ყოველი ქცევა ადვილად ასახსნელია, ის, რომ ოც და ერთის წლის გიორგის რაღაც „დაღრეჯილობა“ დაემართა, კესოს ბრალი არ იყო. აქ სულ სხვა მეტად ცხადი მიზეზია; აშარ დედას რომ თავი დაანება და ვარდის ახლო ყოფნა არჩია—რა გასაკვირველია, მაგრამ კანკალი „ფეხის ძარღვის დაჭრა, ბარბაცი, თითქო მეხმა ახლო გაუარაო, თვალების აბმა, რეტის დასხმა, გულის ჭიდილი“, და სხვა—სულ „პოეტის“ ფანტაზიას ეკუთვნის, იქნება, კრძალვა კანკალად მიიღო, ვარდის ცქერით სიამოვნება—თვალების აბმად და ყნოსვის დატკბობა-რეტის დასხმად. გიორგის ამ შემთხვევაში ბრალი არა აქვს; „კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო“.

გიორგისაგან სიკვდილის დროს საიდუმლოს სიტყვით გამომეღავნება მეტია. უშველებელი მონოლოგებით ხომ სულ გადააჭარბა.

არჩილი და კესო

„არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ, სწავლა იქ შეესრულებინა, ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად სცხოვრობდნენ... სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა, კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა“.

რითი იყვნენ კარგი და, მაშასადამე, რა მოსწონს სოფელს? სწავლა განათლებამ გააკარგა, თუ სიკარგე ნათლიამ დაანათლა და ცხოვრებაზე ვეღარ შესცვალა?—პასუხს ნუ ეძებთ.

მოთხრობიდამ კი არჩილის სიკარგეს მხოლოდ ლაპარაკში ეხედავთ. ლაპარაკი ძალიან უყვარს და ყოველთვის მოხარულია ისარგებლოს მსმენელთა ყურით: •

„არჩილს ძალიან უყვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი. ზოგჯერ ლაზღანდარობაც“.

როდესაც გვერდით სხვა არავინა ჰყავს, დას ჩააცივდება და იმანაც ძალა-უნებურად ყური უნდა უგდოს და პასუხი აძლიოს.

„ძეყოფა!..დავიტანჯე!“ ბღავის უბედური, მაგრამ, შენც არ მოძიკვდე. არჩილმა ეგრე მალე ენა არ შეაჩეროს.

რაღაც აზრები უტრიალებს არჩილს თავში და თვითონაც ვერ გამორკვეულა სწუხს:

„ჩვენ და გლეხთ შორის ხიდია ჩატეხილი: ისინი იქითა ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქედ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია... ერთმანეთისა არა გვესმისრა... მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად“...

თავისი თავი არჩილს სძაგს, ეზიზღება (საწყალს საითგან სწვევია ეს უდიდესი ტანჯვა-მხოლოდ კაცისთვის დაარსებული?), გაღმა მხრელები კი ენანება, ებრალება. რად? იმიტომ რომ „გლეხ-კაცისთანა ხარბს, გლეხ-კაცისთანა გაუტანელს, გლეხ-კაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ჰნახავთ სადმე, მაშინაც-კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს, სხვას ვიღა სჩივის!..“

„მჯერაო“, დაც კვერს უკრავს.

ხიდს აღდგენა უნდა, მაგრამ რით, როგორ? არჩილს ამისი წამალიც ამოუჩენია. აბა რა არის, თუ მიხვდებით?.. ვერა? მაშინ ისევ არჩილს და კესოს დაუგდოთ ყური:

„ზოგჯერ ცრემლი მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამრცემულია, ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალიაო, ვიღასაც უთქვამს.

მაგით რა გინდა სთქვა.

—შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან-ღა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ, იქ, უკან ბნელია.... ღამეა....

—და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!... წამოიძახა კესომ.

—ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ, შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

—ვიცი და ვსტირი...

—ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი... (ჩვენც ვტირით?)

—არჩილ, წინ რაღაა, წინ! შეჰბღავლა უეცრად კესომ.

ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს, ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს, ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა,—შუქია წინასი და შუქი ხომ...“

ახლა ხომ მიხვდით?!...

ოთარაანთ გიორგი, არჩილის შეხედულებით,

„მთელი წიგნი იყო.... წიგნი ცხოვრებისა... თვით უკვდავება მშვენი-

ერს სულში... ცხოვრების ცოცხალი ხატი... თაყვანსაცემელი ღირსება... ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება „სულისა.“

შეირთავდი?! კითხავს არჩილი კესოს.

„არა!..

—მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობა...“

„სიტყვით სწორე, საქმით კუზა“ სწორედ ესენი არიან. არა, თქვე დალოცვილებო, თუ მაგისთანა ღვთაებრივ ღირსებას არ იკადრებთ დ: გვერდს აუქცევთ, რაღად იწუხებთ თავს და ჩვენც გვაბეზრებთ ლაქლაქით და რაღაც ჩატეხილ ხიდებით?!

ახლა ერთს კითხვას ჩვენცა გკადრებთ:

მდიდარი ვაჭრის ქალი, ქალწული ანუ ქვრივი, რომ იყოს, კარგ მზითვიანი, მას ხომ შეირთავდით... გიცნობთ!..

მეწისქვილე

ამ უბედურს მეწისქვილეს რაღად დაურღვიეს მყუდროება. ვინ იცის, ოთარაანთ ქვრივს თან გაჰყვა და ეხლა ტყუილ-უბრალოდ საფლავი შეუნძრიეს, რადა, რისთვის? მოთხრობაში სულ ორ-სამ ადგილას აცოცხლებინეს თავი და ისიც იმიტომ კი არა, რომ თვითონ ყურადღების ღირსი იყოს, არა, სულ სხვა მიზნით: ნეტარ-ხსენებულმა ოთარაანთ ქვრივმა, როგორც მოგეხსენებათ, დააფორიაქა მთელი სოფელი, აღარავინ მას არ ეკარებოდა. სიკვდილის ჟამმა მოაღწია და ნუ თუ ერთი ნამდვილი მოსიყვარულე მეგობარი, გულის შემატკივარი, დამტირებელი არ უნდა ჰყოლოდა? ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა მთელ კაცობრიობისაგან შესანიშნავ დიდსულოვან გმირ-ადამიანის წინაშე, და ავტორმა, არანაკლებ დიდსულოვნურად, აგვხადა ყველას ბრალი, შეჰქმნა ახალი გმირი. ამრიგად ორი კაცის სიმპატია მაინც წაიღო ოთარაანთ ქვრივმა საიქიოს: მეწისქვილესი და...ავტორისა. ორივე კი, ღვთის წინაშე, უცხოეთიდგან იყვნენ მისულნი.

რამ მიიყვანა სოსია მეწისქვილე აწინდელ უბედურებამდე, რამ დასცა, რამ გაჰხადა ბავშვების სასაცილოდ, მასხარად? ნუ თუ სიყვარულმა?

მოვიფიქრებდით განა, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ ამდენ უცნაურ რამეს ვიპოვიდით? აბა დაკვირვებამ ეგ იცის! ჩვენ ქართველურად ყველას სიხარულით მივეგებებით და ის კი არ ვიცით, ვინ რა გულით გვესტუმრა. თუ მეტადრე ტკბილის სიტყვით მოგვიხიბლეს გული და ჩვენ უზომო თავმოყვარეობას ბაზმა უკმიეს, მაშინ, ხომ შეუძლიანთ ცხე მიგვაძინონ და ხელ-ფეხი დაგვბრან, რომ ვერც კი გავიგოთ და, თუ გავიგეთ, ჩვენვე მადლობას გადავუხდით. ოღონდ ტკბილი სიტყვა გაგვიმეორონ, სიტყვა და სიტყვა, სხვა არაფერი! ჩვენი ეხლანდელი მწერლობაც სიტყვებს გამოსდგომია და თხზულებას სიტყვების სიმრავლით, უაზრო, მაგრამ მაღალ, რიტორიულ, ფრაზებით აფასებს. ოთარაანთ ქვრივი კარ-

კი მაგალითია. ღირსეულ წარმომადგენელს ეხლანდელის მწერლობისას ღირსეულისვე ნიჭით შესრულებული თხზულება უბოძებია ღირსეულ ქვეშევრდომთათვის. როდესაც კითხულობთ, მარტივი სიტყვები და ფრაზები ეარწიყება თქვენს გულს და გონებას, გაგაცინებს, გულს ძაფს შეგინძრევს, თვალის ძარღვს შეგითამაშებს, იქნება რავდენიმე ცრემლიც გადმოგიგდოს და სხვა არაფერი. ადვილად მოპოვებული ადვილადვე იფლანგება. რაწამს „ივერიის“ ნუმრებს იქით მისდებთ, შთაბეჭდილებაც თან მიჰყვება და თქვენ სრული თავისუფალი ხართ, როგორც ამის წინად, როცა კითხვა დაიწყეთ.

-რა სწერია, აბა ჰკითხეთ ვისმე. რას გეტყვის?

--უჰ, ძალიან კარგი რამ არის!

---მაინც რა არის?

—აი, რა არის: ერთი დედა-კაცი ყოფილა, ოთარაანთ ქვრივი...ჰა, ჰა, ჰა! სულ ილანძღებოდა, გლახას პურს თავში მიახლის და „ოხერო, მაწანწალას“ ზედ დაატანს.

—მერე?

—მერე... ყველას ეშინოდა თურმე, მაღლა ფრინველს და ძირს ჭიან-ჭველას ვერ გაუვლია იმის ახლო, ისეთი აშარი ყოფილა. რო დაინახავდნენ.... აჰ, ჰა, ჰა,! მეხი წამოვიდაო, იტყოდნენ ხოლმე.

—სხვა?

---სხვა და...ერთი შვილი ჰყოლია, გიორგი, ისიც სულელი, შეტიჩარა. წარმოიდგინეთ, ჰა, ჰა, ჰა! თავადის ქალი შეუყვარდა.

---რას ამბობ, მერე?

---მერე მოჯამაგირედ დაუდგა იმ ქალს, კესო ერქვა, და იმის ძმას არჩილს, ისე უჯამაგიროდ ემსახურებოდა და... საწყალი სათივიდამ ჩამოვარდა, ურმის ჰალას დაეგო და მოკვდა. უბედური დედა მოვარდა, რო შეატყობინეს, მაგრამ, წარმოიდგინე, რა მაგარი დედაკაცი ყოფილა, ერთი ცრემლიც არ გადმოაგდო, მანამ სუყველა კარში არ გავიდა.... მართლა, ის მასხარა მეწისქვილე, ჰა, ჰა, ჰა! იქვე კუთხეში მობუზულიყო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივმა დაუბღვრიალა თვალები და მაშინ კი, მოგეცა ღვთის წყალობა, იმან იკადრა კარში გამობრძანება. თურმე ამ მეწისქვილეს ოთარაანთ ქვრივი უყვარდა და თქმაც ვერ გაუბედა. როცა მოკვდა, მაშინ სხვას ეუბნება, მიყვარდაო! ჰა, ჰა, ჰა! წავიდეს და დაეწიოს!

—სხვა?

—სხვა რაღა, ეგ არის, ჰო, მართლა!...ოთარაანთ ქვრივი ზამთარში შობა ღამეს გამოვარდა კარში და მეორე დღეს შვილის საფლავზედ გაფიჩხული იპოვეს საბრალო დედა!.. ძაღლიც იქვე გვერდით უწვა და წკავწკავებდა.

--გათავდა?

გათავდა მარა! კიდევ რაღაც იყო ჩატეხილ ხიდზე, მაგრამ მე ყური ვერ დავუგდე.

—საყურადღებო ეგ იყო მაგასაც ყური არ დაუგდე? ჩამოერევა სხვლაპარაკში.

—აბა რა იყო საყურადღებო? ძალიან საჭიროა ხიდებზე ლაპარაკი. ყილაც არჩილი წამოსულა, ბატონო, და ცრემლით ხიდს აშენებს, ჰა, ჰა. ამ უბედურს მერე ტირილიც არ სცოდნია და სხვის ცრემლით უნდა ააშენოს, ისიც ჩვენ ლიახვ-არაგვზედ, ჰა, ჰა, ჰა! თუ ცრემლებით ხიდები შენდებოდეს, ჩვენი ქვეყანა სულ ხიდებად იქნებოდა გადაქცეული, იმდენი ცრემლი დაღვრილა; ან სულელებისათვის ვის აქვს ცრემლი?... ხილი მიირთვით, ყმაწვილებო!—

ეს არის შედეგი „ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვისა. ჯერ დღეს, წაკითხვის უმალ, რომ არა დაგვრჩა რა, ხვალ-ზეგ სულაც გაქარწყლდება და იქნებ ერთი ქვრივიღა შეგვრჩეს სამასხაროდ, ფეხ-წამოსაკვრელად.

ავტორისა რა ბრალია, ეგ მკითხველზე არის დამოკიდებულიო. არა. ჩემო ბატონო, რაც უნდა უგულო და მსუბუქი მკითხველი იყოს, ნიჭიერ ავტორის თხზულება არ დაავიწყდება. რაც უნდა ეცადოთ ვერ აღმოფხვრით ოტელოს, დონ-იაგოს, ფალსტაფის, დონ-კიხოტის, დონ-ჟუანის, კარლი და ფრანც მოორების, ვალენშტეინის, ხლესტაკოვის, ჩიჩიკოვის. ტარიელ, ავთანდილის, მეჯღანუაზვილის, კუდურ-ხასუმის, დიდ-მოურავის, ძუნწ-კარაპეტას და სხვათა მრავალთა სახეს, თუკი როდისმე კაცს თვალი მოუკრავს. ამას ვამბობ თითქმის ყოველ მკითხველის შესახებ და, რაც რჩეულთ შეეხება, რაღა თქმა უნდა, რომ ისინი სურათის სიმკრალესაც კი მალე იგრძნობენ. მკითხველზე კი არა, მწერალზე არის დამოკიდებული. მას შეუძლიან ისე ღრმად დაასვას დაღი კაცის გულს, რომ მიწამაც ძლივს გადახეხოს. კარგ, დაურღეეველ, მაგალითს წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსანი“. რავდენ საუკუნემ, რავდენ დროთა ვითარებამ, დევნამ, გარდაცემის სიძნელემ, უსტამბობისა გამო, ვერ დააუძლურა შთაბეჭდილება, ვერ შეასუსტა სიყვარული ავთანდილ-ტარიელისადმი.

რა ვუყოთ ის გენიოსის ნაწარმოები არისო! დიაღ, ნამდვილია და ბ. ჭავჭავაძე ნაკლები არ არის თურმე სხვებზედ, ესე ბრძანებენ ჩვენი მწერლები. მაგრამ აქ გენიოსობაც არ არის საჭირო. განა ყოველ ზემოდ ხსენებულ თხზულებათა ავტორნი გენიოსები არიან, რომ ჩვენს ხსოვნაში ჯეროვანი ადგილი დაიჭირეს? მაშ ოთარაანთ ქვრივს რაღა დაემართა, რომ ეგრე მალე დავიწყებას მიჰბარდა? ადვილი ასახსნელია. მთელ მოთხრობაში არ არის არც ერთი დასრულებული სახე: ერთისა ენა გვაჩვენეს, მეორისა მკლავი, მესამისა ფეხი და მეოთხისა ჩრდილი. ამასთან მთელი მოთხრობა ჩვენს ნიადაგზედ არ არის აშენებული. ერთი ჩვენი ნაცნობი სახეც ვერ დავინახეთ, ჩვენი აღმაშფოთებელი, ან დამატკბობელი სიტყვაც ვერ გავიგონეთ, ის სიტყვა, რომელიც ცალკე ცაში

კი არ იკარგება. არამედ გულსა ჰხვდება. აბა რა იყო ოთარაანთ ქვრივი? ვის გინახავთ ჩვენში მაგისთანა დედა-კაცი? სად გინახავთ გლეხის ოჯახი და ისიც ქვრივისაგან ხელ-უხლებლად შენახული, როგორიც ოთარაანთია. თქვენ ვერ დამისახელებთ ისეთს გლეხს, რომ ფული ხელის ჰუპუად მიაჩნდეს და მე კი გიჩვენებთ, რავდენსაც მიბრძანებთ, რომ ერთი თუმანი თვალითაც არ ენახოს. ათი დღის მიწის მოხვნა ხუთ-კაციან ოჯახსაც კი გაუჭირდება, ოთარაანთ ქვრივისთვის კი ეს სულ ნაკლები იყო. თვითონ ავტორი ამბობს: „დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით—ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო". ჩვენში შეძლებული ოჯახი იშვიათია და, თუ საზოგადო ოჯახს გვიხატავდა ბ. ჭავჭავაძე, ზოგადი მაგალითიც უნდა აეღო. მაინც და მაინც თუ მართლა არსებობს სადმე ისეთი ყოველად სრული გლეხობაში ოჯახი, ვიცოდეთ მაინც წყარო ნივთიერ ბედნიერებისა, რომ სხვასაც ვასწავლოთ.

რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ ოჯახს მთელ სოფელთან?

გიორგისთანა გლეხი სადღა გინახავთ? კამბეჩსავით მუშაობა და პირუტყვად გარდაქცევა ხომ არ არის კაცობა! სულ თავ-დაღუნული, წარბ-შეკრული, პირ-დაღვრემილი მუშაობა ქართველ კაცისა ვის გაუგონია? სად წასულა ქართველთ ბუნება მხიარულებისა, რომელსაც პოეტნი ესე გვიხატავენ:

„შავთა დროთა ვერა შესცვალჭს მის გული ანდამატისა"... „მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი".

ახლა გიორგის სიამაყე! „თავზე ფრინველს არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველას არ გაიტარებდა". თავის არსებობით, ჰფიქრობდა ჩვენ მწერალთამებრ, ქვეყანას ვამშვენებ, ვაბედნიერებო, ეს იყო მიზეზი, რომ გლეხის გომბიოებს ყურადღებას არ აქცევდა და თავადის ქალებზედ ეჭირა თვალი. არა, ესეთი გლეხი ჩვენში არ მოიპოვება. ხშირად თავადის ქალები ემასხარებიან ხოლმე გიჟს, ეხვეწებიან შემირთეო; ისიც მედიდურის და კმაყოფილების ღიმილით დაიღრეჯს სახეს თანხმობის ნიშნად. ეს ხომ არ უნახავს ავტორს?

არჩილისთანა და კესოსთანა კი შეიძლება გენახოსთ. ეხლა ბევრი გვყავს ლაქლაქა ახალგაზრდები, თავადი, გლეხი, თუ აზნაური, — სულ ერთია. მაგრამ აქაც ერთი მხარე არჩილისა არ ეთანხმება სინამდვილეს. ჩვენ ახალგაზრდებმა მხოლოდ მაშინ იციან თავის გამოდება, როდესაც ენის მოსაფხან საგანზედ ჩამოვარდება ლაპარაკი და ლაპარაკითვე გათავდება; მხოლოდ მაშინ გამოიჩენენ მხურვალებას. უიმისოდ კი ყველაფერი ფეხებზედ ჰკიდიათ, არაფრისთვის თავს არ შეიწუხებენ. არჩილი კი სულ სხვანაირია: ის ჰფიქრობს და იტანჯება. არც ახალგაზრდობის ოცნება, არც ბუნების სიმშვენიერე, არც კარგის დის ამხანაგობა და არც უცნაური მადლის მოვლენა გიორგის სახით—მას არ აკმაყოფილებს, არ

ანუგეშებს, თავის-თავის ზიზღს არ ავიწყებს. ჩვენ ესეთი „მამული-შვილები“ არა გვყავს.

ამ რიგად, არც ერთს „ოთარაანთ ქვრივში“ გამოხატულ სურათს, არამც თუ ნამდვილი—ორიგინალი, მზგავსებაც ვერ ვუპოვნეთ ჩვენს ცხოვრებაში და ეს გვაფიქრებინებს, რომ ავტორს აწინდელ ქართველთა სახე კი არ გადუღია, არამედ იდეალური სურათები თუ დაუხატავს და გარდმოუცია ჩვენთვის სახელმძღვანელოდ: აი, ასეთი უნდა იყოთ, რომ სასუფეველი დაიმკვიდროთო. აბა ვინ ვის სახელს დაირქმევს? არჩევანში კი ჩხუბი არ მოგვივიდეთ და ოთარაანთ ქვრივი არ დაგვირდეთ გამშველებლად.

იდეალები კი, სწორედ მოგახსენოთ, კარგი იქნებოდნენ! ჯერ ოთარაანთ ქვრივი რადა ღირს! წარმოიდგინეთ სოფელი სადაც ერთი აიორო ოთარაანთ ქვრივი სცხოვრობდეს. ეგონებ, ლეკიანობა გერჩივნოთ ამისთანა სოფელში გავლას. კარგი სანახავი კი იქნებოდა, როდესაც ეს ათი ოთარაანთ ქვრიები ერთმანერთს შეჰხვდებოდნენ სადმე, მეტადრე თოხებით ხელში წყალის გამოსაყვანად მიმავალნი. ავტორი არ ისურვებს, ნეტავ, რომ სამი-ოთხი ოთარაანთ ქვრივი დაუსახლდეს მეზობლად და მათის დილას, ბალკონზე რო გამობრძანდება ჰაერის ჩასაყლაპად, ოთხივ-კუთხივ ოთარანთეულმა ბულბულებმა დაუტკბონ სმენა? გიორგი ხომ ატაცებული რაღაც არის. რავდენიმე გიორგიც კარგად მოთავსდებოდა ერთად. ოთარაანთ გიორგი ოთხფეხს გამოესარჩლება, მეორე—ქათამს არ დააკლევინებს, მესამე — ვირის საპალნე დიდათ ეჩვენება, მეოთხე — მუშაობას დაუწუნებს და... გაიმართა მუდამჟამს ცემა-ტყეპა. არჩილები ცრემლის გროვებას მოუნდებიან, კესოები ყვავილებს გააჩენენ და შეიქმნა სამოთხე. მაგრამ არ ვიცი, „ჩატეხილი ხიდი“ ამით გამთელდებოდა თუ არა.

ან რა არის ეს „ჩატეხილი ხიდი“, რომელზედაც ავტორს ათიოცი წლობიდ უფიქრნია, რომელზედაც არჩილს თავის ამტვრევინებდა, ლუკმას უმწარებდა და არ მოასვენა ვიდრე არ აპოვნინა აღდგენის წამალი. ათი წლობით უფიქრია მეთქი იმისთვის მოგახსენებთ, რომ ბ. ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობშიაც“ აქვს მაგ., ჩატეხილ ხიდზე საუბარი, მაგრამ მაშინ სულ სხვა ნაირად ჰფიქრობდა თურმე:

„რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი რომ ბატონყმობის (?) შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედ, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა ღმერთს ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველს ვავიწურებდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი—მაშინ რა ვიცოდი?“...

თუმცა გლახა სიკვდილის ჟამს, ცხოვრებით გამოცდილი, გვარწმუნებდა, მაშინ არ ვიცოდი, ეხლა კი ვიცი, რომ ბატონ-ყმის შუა ხიდი

არ გაიდებაო, მაგრამ, ჩანს, გამოცდილება სცდებოდა და ასლანდელმა გამოუცდელმა ახალგაზრდა ბიჭმა არჩილმა აჯობა ხიდის გადებაში. საქვირველიც არ არის ბატონ-ყმობის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ცვლილება მოხდა ცხოვრებაში და სუყველამ სახელი იცვალა. ეხლა . სადღა გაიგონებთ ბატონობას ან ყმობას. მართალია. ზოგნი არა დამჯდარის ჰკუისანი იტყვიან, რომ ბატონთა და ყმათა ურთიერთ დამოკიდებულება საუკუნეთა სამჭედლოში გამოკერილა. გამოჭედილა და, მაშასადამე ოცი და ოცდახუთი წელიწადი ვერ შესცვლისო. მაგრამ „პოეტი" და ჩვენი მწერალნი რო გვარწმუნებენ, როგორ არ დაეუჯეროთ, შეუძლებელი შესაძლოდ შეიქმნა. აქამდის ხიდის გადებას ვერ მოიფიქრებდა, ეხლა კი პროექტიც და სმეტაც შეუდგენიათ. ამ ხიდის იმედით ეხლა ჩვენ ორად გაყოფილნი, ერთმანერთს შევყურებთ სხვადასხვა ნაპირიდამ და დავინიშნეთ კიდეც ერთმანერთი საცოლ-ქმროდ. გიორგი რომ ეგრე მალე არ მომკვდარიყო და ხიდის გადებას მოსწრებოდა, უეჭველია ბედნიერებით დასტკბებოდა: კესოს ახალ ხიდზე გამოატარებდა და თავის დედას მიჰგვრიდა ქედეულ სახლში. რა დიდ ბედნიერებას დაეღწევოდნენ სამნივე!

კარგი, აღვადგინეთ ხიდი, დავმოყვრდით სუყველანი და ერთმანეთში ავირიენით, თხა მგელისავით კი არა, როგორც მოყვასნი. მაგით გათავდა არჩილების ტანჯვა, ლაქლაქი და ლანძღვა-გინება? ეს არის თქვენი მოთხრობების აზრი, იდეა, მწერლობის მიზანი? ქორწილების გასაჩაღებლად ჩატეხილი ხიდები კი არ უნდა აღედგინათ, რაც ეხლა ხიდებია ისიც უნდა ჩაგენტერიათ, რომ განსაცდელი არ დაგეახლოებინათ და უფრო შორს გაგეტყორცნათ:

შორიდგან ერთმანერთს უფრო ტურფად ვეჩვენებოდით, ჰორფლს და ნაყვავილარს მაინც ვერ შეგვამჩნევდნენ;

„შორით ბნელა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ჰალვა"—სჯობს ახლო ლანძღვა-თრევას.

ხიდს გასდებთ-ვარდს ქკალს გაასხლით, მიჯნურიც და ვარდიც ადვილი საწოვარი გაგვიჩდება და ბედნიერებას სულაც დავკარგავთ; ხომ გახსოვთ: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად"

ან ყველა გლეხის ბიჭმა თავადის ქალი რო მოინდომოს, მაგდენი ხიდი გავაჩინოთ? ან რა სასურველია?!...

ახლა, ხუმრობა გაშვებით, ჩვენ-თავად რომ ვიფიქროთ, რა გზა-კვალს, რა ხიდებს ეძებს ჩვენი მწერლობა, ბ. ჭავჭავაძის მოთაყვეობით? ნუ თუ მართლა ჩვენ ხალხში წოდებათა შორის ისეთი განხეთქილება სუფევს, რომ მათ შორის ხიდი ჩატეხილა და მის აღსადგენათ მრავალთაგან მრავალი ცრემლი იყო საჭირო? რა უნახავსთ, რა გაჰკვირვებიათ, რომელ ხიდის ჩატეხაზედ გვესაუბრებიან?

რა ვიცი, არა ერთი სოფელი მომიყვლია, არა ერთს თავადს, აზნაურს,

ეიცნობ. არც ერთ გლეხთან მილაპარაკია და ჩატეხლ ხიდზედ ხსენებაც არსად არის. მართალია, ყველა თავისთვის სცხოვრობს და სხვის დარდი არა აქვს, მაგრამ არჩილსა და კესოსაც არა ჰქონდათ გიორგისა და ჭეწიაქვილე სოსიას დარდი. ეს მაინც არ უშლის არც ერთ მხარეს მიპატიჟოს მეორეს, დაუკითხავად ესტუმრონ სახლში ერთმანეთს (არჩილმა კი გიორგი „დოკლადით“ მიიღო), როცა რაიმე მოუნდებათ.

გლეხს რომ მამასახლისი ან იასაული (ორივე გლეხნი) შეაწუხებს ვისთან გაიქცევა, მიპატრონე, შენი შვილების საღღეგრძელოთაო?

„ბატონთან“ უეჭველია!

გლეხს რო თავის მოძმე წამოედავება რაზედმე, ვის მიჰმართავს?

—„ბატონს!“

ავაზაკნი (ორფეხი თუ ოთხფეხი) რო დაესხმიან ღამით სოფელს, გლეხი რას დაიძახებს?

— არიქა, „ბატონს“ შეატყობინეთო!

ცეცხლი რო გაჩნდება, წყალი რო მოვარდება სოფელში, ვინ დატრიალებს გარშემო, ვინა ჰყვირის, განკარგულებას ვინ აძლევს?

„ბატონი!“

სწავლა-განათლების მოთავე ვინ არის სოფელში? დამზოგველ-შემნახველ ამხანაგობას რო შეჰხარიან ჩვენი მწერლები, ვინ არის ამითი და ბანკების დამაარსებელი?

მასწავლებელი გლეხთაგანი როგორა ჰყავთ მიღებული ბატონებს, როგორც „ბოსი და ტყლაპი“, თუ როგორც სწორი და ამხანაგი?

მაშ აკი ხიდია ჩატეხილიო? ესე კარგად მიდიან-მოდიან ერთმანეთთან, კარგად ეყურებათ ერთმანეთის ლაპარაკიც და მოთხოვნილებაც. რა ვუყოთ, რომ ერთი ყოყოჩინაობს და მეორე თავს იხრის; ზოგი მაშინა ნახე, როცა საერთო გაჭირება მიადგებათ, თუ გაარჩიოთ, რომელი ბატონია, რომელი ყმა. დღეს მხოლოდ პიროვნულ გაჭირებას გრძნობენ, ლუკმა პურისთვის იბრძვიან და შეიძლება ერთმანერთსაც წაართვან, მაგრამ თუ საერთო მტერი დაინახეს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ორივეს დაავიწყდებათ სასმელიც და საჭმელიც, გუშინდელი მტრობაც, დღევანდელი წყენაც და ერთმანერთისათვის თავს დასდებენ. კრუხი თავის წიწილებს ნისკარტს ჩაჰკრავს ხოლმე და, თუ მშიერია, წიწილებისთვის დაყრილ მარცვალსაც აჰკენკს. მაგრამ, თუ ქორი დაინახა, ფრთებს გაშლის და ყველას გადაეფარება, ესეთი არის კაცის ბუნებაც...

თუ არავინ არ ურღვევს მყუდროებას, ქართველ ბატონს არც კი მოუვა აზრად, რო ჰყავს ვინმე მტერი, არაფრისთვის არაოდეს მომზადებული არ არის. როცა მოჰშივა, პურზედაც კი მაშინ დაიწყებს ზრუნვასა და აბა სად იფიქროს წინადვე, ათი-ოცი წლის შემდეგ რომელი მტერი დამესხმისო. ამისათვის თანამოაზრენიც იმისათვის საჭირო არ არის, აზრი რომ არა აქვს, თანამოაზრე საითგან ეყოლება ამავე მიზეზით ყოველ სასარგებლო, საზოგადო საქმეზედ გულცივია, ყურმიყრუებული. აქ წარ-

სულია დამნაშავე. მშვიდობიანობის დროს ქაოტური ბატონი ყოველთვის ლხინში იყო, ჭეიფს არის მიჩვეული და დღესაც სხვა არა აგონდება რა. აქ ჩატეხილ ხიდზედ ლაპარაკიც არ შეიძლება და არ ვიცი, საითგან რა გაბოუგონია ბ. ჭავჭავაძეს.

დღემდე ასე არის და, თუ ხიდის ჩატეხაა, შეიძლება დღეის იქით ჩატყდეს და ისიც ჩვენ „არჩილების", მედიდურთა მწერალთა და მათ მოლაქლაქე ერთგულთა წყალობით. ამ ვაჟბატონებს თვითონვე ვერ გაურჩევიათ თავიანთი მიმართულება, იდეალი, ლტოლვილება, სურვილი. დღეს თავადი სძულთ და აძაგებენ, ხვალ გლეხს და თავადს აქებენ, ზეგ ორივე უყვართ და მაზეგ არჩილსავით, ერთს და იმავე დროს ორივე სძულთ და უყვართ. თავისი არა აქვსთ რა, სხვისა არა ესმითრა, ტყუილ-მართალს ვერ არჩევენ და ის უნდა ამოიძახონ, რასაც „აღები" ჩასძახებენ, ან ის წამოისროლონ, რაც ენაზედ მოადგებათ. ჩნდება ჭორი, ჭორი ლიტერატურული. ვის აწყენს, ვის არგებს—სულ ერთია. ამით მწერლობის და საზოგადოების, აგრეთვე კერძო პირთა შორის, უთანხმოება უსიამოვნება იბადება და, ერთი კი არა, იქმნება ყველა ხიდები ჩაგვიტეხონ და ჩვენ სახლს გარედ ფეხი ვეღარ გავსდგათ. წინად ჭორაობა პატარა ქალაქებში და მათთან ახლო-მახლო მდებარე სოფლებში იყო გავრცელებული. ეს „პოეტი" არ გამოჰპარვია და ავტორმა ბარე ორჯერ გაგვიზიარა სოფლის ჭორი. ერთი ბაშინ, როცა გიორგი დამარხეს და „გაიბა დედაქალებში ლაპარაკი" გიორგისა და კესოს სიყვარულზედ. მეორე, როცა ოთარაანთ ქვრივი სასაფლაოზედ მკვდარი იპოვეს.

„შეიქმნა ჭლივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, მითომ არ იყო სალაპარაკო თუ (?) გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა, ყველას ის ეხარებოდა გავიგო ვინ რას ამბობსო და საცა ჯგუფს დაინახავდა, ლაპარაკის ხათხათს (?) ყურს მოჰკრავდა, აქ გარბოდა და მიეშურებოდა"...

ახლა ეს ჭორაობა ქართველ მწერალთ სწვევია. „სამი მსხვერპლის" ავტორი ბ. კარიჭაშვილი (პოეტია?) მოგვითხრობს უფრო საინტერესო ჭორაობის ამბავს: ტბილისის მწერალ-პედაგოგობა შეყრილა და გაცხარებული ბაასი გაუმართავთ: ამა და ამ ქალმა თავის ქმარს რომ თავი დაანება -„საზოგადო საქმეა თუ შინაურიო?".

„მითომ არ იყო სალაპარაკო თუ?"...

დასასრულ არ შემიძლიან რავდენიმე მეტი სიტყვა არ წარმოვსთქვა, რომ ეს ჩემი წერილიც საჭორაოდ არ გახდეს.

საზოგადოდ რომ ჩვენს მწერლობაზედ ცუდი შეხედულება მაქვს—ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ჩვენი მწერალთაგანი უვარგისად მიმაჩნდეს. არა. ზოგს მათგანს დიდად პატივსა ვსცემ და მათზედ არავითარ საეჭვო სიტყვას არ გავბედავ. მაგრამ მათი რიცხვი, საუბედუროდ, ძალიან მცირეა და მათი ხმა ძალიან იშვიათად ისმის. ფერი და მიმართულება მწერლობისა სულ სხვისაა: მე ეს სხვა მაქვს სახეში. ეს მიმაჩნია მავნებლად.

არც ერთ მწერალთან არავითარი პიროვნული საქმე და დამოკიდებულება არა მაქვს, კეთილ-ნაცნობობის გარდა, და, მაშასადამე, არავის პირადი წყენა არ მსურდა და არც მოვინდომებ. თუ, ჩემდა უნებურად, ვაწყენინე ვისმე, ბოდიშს ვიხდი და შესანდობელი მიზეზიც მაქვს. თუ მე ამდენი ხანი მოთმინებით ვკითხულობდი, რასაც ჩვენი მწერლობა მოგვიტანდა, ნიჭიერი იყო ბუ უნიჭო, სასიამოვნო ოუ გულის შემაწუხებელი და სისხლის ასამღვრევი,მეც, ვგონებ, ნება მაქვს ერთი სიტყვა ვკადრო, მით უმეტეს, რომ მე შემაწუხებდა საზოგადო საქმე და ჩემს წერილს კი მხოლოდ პირადი წყენა თუ შეუძლიან, რაც შეეხება ბ. ჭავჭავაძეს, ვგონებ, მას სამდურავის თქმა მხოლოდ მაშინ შეუძლიან, თუ მის თხზულებას მსუბუქად მოვეპყარ; დაგვიმტკიცოს და მე სახალხოდ ბოდიშს მოვიხდი, რა სასჯელსაც დამდებ,—ვიკისრებ. და თუ ჩემი შენიშვნები ყურადღების ღირსი აღმოჩნდა, მაშინ ბ. ჭავჭავაძეს მადლობის მეტი არა ეთქმის-რა. შეიძლება დათმოყვრების ქებამ და ყურ-მოჭრილ ყმაწვილ დიდებამ ისე გააამაყოს კაცი, რომ თავისი თავი უცოდველი ეგონოს. თავისი სურვილი სხვებისთვის კანონად მიაჩნდეს და არ დაუფიქრდეს არც ერთს თავის სიტყვას და საქციელს. ამისთანა კაცს რო დააფიქრებ და გულში ჩაახედვინებ—კარგი საქმეა: სხვას აღარ დაუჯერებს და თვითონვე ეცდება გამოიცნოს, რის ნიჭიც აქვს და რის არა, რომ ნამდვილ დიდების გზას დაადგეს.

მწერალთა რიცხვში არცა ვყოფილვარ და არც სურვილი მაქვს როდისმე გავერიო. ეს ორიოდე სტრიქონიც ძლივს დავჯღაბნე, ძალ-დატანებით, გულმა აღარ მომითმინა, თავ-ქარიანების ცრუ-გამარჯვების სიხარულმა მეტად გამაბრაზა. შეიძლება, ჩემი აზრი კარგად ვერ გამოვხატე და ზოგ ადგილას მკვახე სიტყვებიც ვიხმარე. არ მომეტევება?

კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“

(მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა)[19]

[

არ ვიცი ახლად დამდგარი ნაკიანი წელიწადი ქერის და სიმინდის მოსავლისათვის როგორი იქნება და ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის კი ჯერ საკეთილოდ დაიწყო. წარსულის იანვარში დაიწყო და კიდეც გათავდა „ივერიის“ ფელეტონებში ბ. ილია ჭავჭავაძის ახალი მოთხრობა -„ოთარაანთ ქვრივი“. ბედნიერია ის ერი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის თანა ზეგარდმო ნიჭით მიმადლებული მწერალი ჰყავს და არანაკლებ ბედნიერია ის მწერალიც, ვისთვისაც ბუნებითს ნიჭს და გარეგან მდგომარეობას სრულის თანხმობით ხელი შეუწყვიათ და გზა წაუმართავთ კრიტიკა მრავალ გვარია და ყველაზედ სამართლიანი ისტორიული კრიტიკაა. ე. ი. რომლისამე ხელოვნური ლიტერატურის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის ავიღოთ მარტო ის ნაწარმოები და ყოველისად და მიუხედავად გადავწყვიტოთ, კარგია თუ ცუდი, ნიჭიერად არის დაწერილი, თუ უნიჭოდ. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, მიკლედ მოვსჩრით. როგორც მიჯნურობისათვის მარტო გარეგანი სილამაზე და სიჩაუქე საკმარისი არ არის და, სხვათა შორის, საჭიროა „დრო და მოცალეობა“. ისრე მწერლობისათვის, ბუნებითი ნიჭის გარდა, აუცილებლივ საჭიროა იგივ „დრო და მოცალეობა“. ზოგი მწერალი სწერს გასხეპით და ერთ ღამეს უნდა დასწეროს ის, რაზედაც მეორეს შეუძლიან ერთი, და თუნდა ათი წელიწადიც-ეს მის ნებაყოფლობაზედ არის დამყარებული,-იშრომოს. ამ ჯთხოვთ ყურადღება მიაქციოთ სიტყვას „უნდა“, რომელიც ნიშნავს იმას, რომ პირველს ერთი ღამის მეტი დრო და მოცალეობა არ აქვს, მეორისათვის კი დრო განუსაზღვრელია. ბუნებით ერთნაირი ნიჭით დაჯილდოებული მწერლები რომ ავიღოთ, მათი გონებითი ნაწარმოების დაფასების დროს სამართლიანმა კრიტიკამ ეს გარემოება უეჭველად მხედველობაში უნდა იქონიოს. ჩვენს მწერლებში ბუნებით ნიჭთან არც ერთს ისრე ხელს არ უწყობს გარემოება, ე. ი. არ შესწევს დრო და მოცალეობა, როგორც ბ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია ეს გარემოება მის ნაწარმოებს ღირსებას ვერ წაართმევს, ხოლოდ კრიტიკის მოთხოვნილებას აძლიერებს. კარგა ხანია რაც „ოთარაანთ ქვრივზედ“ საზოგადოებაში

ხმა ისმოდა. ერთი პატარა ნაწყვეტი კიდეც იყო დაბეჭდილი „ივერიაში“ შარშან, თუ შარშანწინ. დიდი ხანია ბ. ილ. ჭავჭავაძე ითვლება ქართველთ საზოგადოების „სულის კვეთების“ გამომხატველად, მის მესაიდუმლედ და ქეჩად ყველა საზოგადო საქმეში. მაშასადამე, ამისთანა კაცის სიტყვა იმერული აბაზი არ გახლავთ საზოგადოებისათვის. მისი სიტყვა უკანასკნელია, ჯანიოზ ექიმის ფაზარ-ხუთოა და წყრულის გულის მალამო საზოგადოებისათვის. ამიტომაც, „ოთარაანთ ქვრივს“ სული-მწარედ მოელოდა ქართველობა. ქადებული არ გაგვიმტყუნა ნიჭიერმა მწერალმა. ოთარაანთ ქვრივი მოვიდა და ახალი წელიწადი მოგვილოცა. მისი ნეკვლა ობა როგორი იქნება ჩვენის მწერლობისათვის, ამას შემდეგი გამოაჩენს. ეხლა კი მოთხრობა მთლად გათავებულია. ბელეტრისტმა თავისი შეასრულა. რიგი მიდგა ეხლა კრიტიკაზედ...

III

როდესაც მთლად მოთხრობას გარდაიკითხავ და გაზეთის ნომრებს წიდაილაგებ, პირველი კითხვა, რომელიც თავში გებადება ხემდეგია: რის თვის ჰქვიან ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“? რატომ გიორგი არ ჰქვიან, კესო ან არჩილი? ოთარაანთ ქვრივი, თუ გნებავთ, შემთხვევითი და დაუპატიჟებელი სტუმარია მოთხრობაში. უფრო მეტად დახელოვნებული მწერალი იმას გამოაჩენდა ხოლოდ მაშინ, როდესაც გიორგი თივიდამ ვარდება და ორიოდე კალმის გასმით დაგვიხატავდა მის პიროვნებას. არა მგონია თვით ავტორი ფიქრობდეს, რომ ოთარაანთ ქვრივი მოთხრობაში უპირატესი გმირია, რომლის გარემოც დანარჩენნი ისრე მოქრაობენ და ემსახურებიან, როგორც მთვარე მზეს. ეს ის მეორე ხარისხის პირია, რომელსაც ეპიზოდურს ეძახიან მოთხრობაში, დრამაში, თუნდა კომედიაში. შეიძლება ეს ოთარაანთ ქვრივი სრულიადაც მოსპოს და მოთხრობის დედა აზრი ამითი მაინც არაფერს დაჰკარგავს.

კრიტიკა ჯერ ისეთი მტკიცე მეცნიერება არ არის, როგორც ესთქვათ, მათემატიკა და არა ოდესაც არ მიაღწევს აქამდე, ამიტომ რომ ადამიანის გემოვნების მოთხოვნილება მრავალ კეცი და მიუწვდომელია. მაინც მაინც შემუშავებული და გამოკვლეულია რამდენიმე კანონი, რომლის ანახმანიც ყველანი არიან. უმთავრესი და ძირეული მოთხოვნილება ყოველი ხელოვნური ნაწარმოებისა არის სინამდვილით და სიმართლით გადაღება იმისა, რაც ნამდვილად არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბელეტრისტი უნდა იყოს ფოტოგრაფის მინა, რომელზედაც უნდა გადაიხატოს ყველაფერი, რასაც წინ დაუყენებენ. სამწუხაროდ ესე ცალ მხრივ გაიგეს ეს კანონი ზოგიერთებმა და ამის წყალობით დაიბადა საფრანგეთში მთელი სკოლა ლიტერატურისა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „პროტოკოლური მიმართულება“. ამ მიმართულების თუ ღვიძლი შვილი მაინც არა, აღმზრდელი ლალა და უნიჭიერესი წარმომადგენელი მაინც ემილ ზოლა არის, უფრო ფხიზელი მიმართულება კრიტიკისა ამას დავას უწევს უ-

ამტკიცებს, რომ მწერალი არ უნდა მოსცილდეს სინამდვილის ნიადაგს, მაგრამ თვისი შემოქმედებითი ძალაც უნდა ამუშაოს. ღირსება და ნიჭი მწერლისა დაფასდება იმით, თორემ მკითხველი და კრიტიკაც იმ მდგომარეობაშია ხოლმე ჩაყენებული, რომ კაცმა არ იცის მოთხრობის რომელი პირი პატიოსანია და რომელი უპატიოსნო. ამიტომაც უთხრა ერთხელ გამოჩენილმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ გონჩაროვს: „Увась, Иван Александрович, не отличишь честного человека отъ подлеца". მე არ ვეთანამები იმ აზრის წარმომადგენელთ, რომელნიც ამტკიცებენ რომ ხელოვნურს თხზულებაში თვით ავტორის პიროვნება მთლად დაღუპული უნდა იყოსო. უსამართლობაა ავტორი მეკარნახეს (სუფლიორს) დავადაროთ. მისი პიროვნება უთუოდ უნდა გამოსჭერდეს თხზულებაში, რომ მკითველმა იცოდეს - რა აზრს და რომელს გმირს თანაუგრძნობს ის და ეტრფის. აბა სწორეთ ფეხ წამოსაკრავი, კისერ წასამტვრევი და ბეწვის ხიდიც აქ გახლავთ მწერლისათვის. რა ზომაზედაც დაიცავს ის საკუთარის პიროვნების გამოჩენას მოთხრობაში, ანუ რომანში, იმ ზომით დაფასდება მისი ნიჭი და შემოქმედებითი ძალა. თუ მწერალი მკითხველის დარიგებას და სხვადასხვა ჭეშმარიტების ქადაგებას მოჰყვა, ის ხელოვნურს ნიჭს მოკლებულია.

IV

მგონია საკმაო სახელმძღვანელო იარაღი მოგეცით ხელში, რომელმაც უნდა გზა გაგვიკვლიოს ჩვენ ბ. ილ. ჭავჭავაძის ახალი თხზულების გარჩევაში. ცალ-ცალკე რომ ავიღოთ და ისრე გავშინჯოთ ამ თხზულებაში მომქმედნი პირნი, არ შეგვიძლიან ავტორს რამე წუნი შევსდოთ, ამიტომ რომ თვითეული მათგანი ნამდვილთან სწორეა, გადაჭარბებული არაფერია და ნათლად გვიმტკიცებს, რომ პატივცემულს ავტორს ცხოვრების დაკვირვების და დაკვირვებულის შეთვისების ნიჭიც ზედ აქვს დაბერტყილი მადლიანის ბუნებისაგან. ოთარაანთ ქვრივისთანა ბრგე და გამჭრიახი დედაკაციც გვინახავს და თვალ წინ გვიდგას, იმისი შვილი გიორგისთანა გამრჯელი მუშა ბიჭი და ძუძუსთან ერთად სიალალმართლე ჩაწვეთებული გვამიც შეგვხვედრია; არჩილისთანა რუსეთიდამ ახლად გადმოსულს და ღონე მიხდილს ჭიანჭველებს ხო ფეხსაც ვერ აუქცევ; მეწისქვილე სოსიასთანა უთვისტომო და გულჩახვეული უბედურებით ხო არაგვსა და მტკვარს დააგუბებთ, როცა გნებავთ; ახალგაზრდა კნიაჟნა კესოსი კი რა მოგახსენოთ... უფერული და უგემური კნიაჟნები მრავალია ჩვენში, მაგრამ ეს ისეთი რაღაც ყოველად უფერულია, რომ ამაზედ აძის ალეტი არაფერი ითქმის, რომ კესო ჰქვიან. დასაბამიდამ ყველა უბედურების მიზეზი ქალი ყოფილა. აქაც კესო შეიქნა საბრალო გიორგის უბედურების მიზეზი და, როგორც ბოლოს შეიტყობთ ,ასევე კესო შეიქმნება ამ ახალი მოთხრობის უბედურების მიზეზიც. ეს უგემური კესოც რა ბედენაა. თვითეული მათგანი, ვიმეორებ, ნამდვილად სწორია მაგრამ მოთხრო-

ბა ალბომი ხომ არ არის, რომ მასში შენახული თვითეული სურათი ნამდვილს იმ სახეს წარმოადგენდეს, რომელიც არის გადაღებული. სახლის ასაშენებლად საჭიროა, მოგეხსენებათ, ხე, ქვა, ქვიშა, კირი, აგური და სხ. თუ ლამაზი და გემოვნებაზედ დადგმული სახლი გინდათ, საკმარი არ არის, რომ საუკეთესო და ძვირფასი მასალა იშოვნოთ. თუ ოსტატი უცოდინარი და უნიჭოა, ამ საუკეთესო მასალიდამ ისეთს რაღაც ულაზათოს წამოგვითოთლავს, რომ თქვენს ცხენსაც კი ვერ გაიმეტებთ იმაში დასაბმელად, არამც თუ თქვენ დასდგეთ. მაშასადამე, სინამდვილით დახატული თვითეული პირისა, რომელსამე ცალკე სცენისა მაგდენი არაფერია. საქმე და ნიჭის გამოჩენა რამდენიმე პირის ერთად შეყრაშია და მოთხრობის დედა აზრის თანდათან დახსნაში.

მთელი მოთხრობა აშენებულია იმ წინა აღებულს აზრზედ (ტენდენციაზედ), რომ თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შორის ხიდია ჩატეხილი. ამ ხიდის გასამთელებლად ავტორს აუღია გლეხის ბიჭი გიორგი, მაგრამ, როგორც მკითხველს ახსოვს მასალა ფარსაგი არ გამოდგა და უფრო ჩაიმშხვრა უიმისოდაც ჩატეხილი ხიდი. რისთვის მოკვდა ესრე უდროოდ ეს ჯანსაღი და სოფლის თვალი ბიჭი?—იმისთვის, რომ თავადის ქალი შეიყვარა. თუმცა ავტორი ახალგაზრდა თავადის არჩილის პირით მეტად სწუხს, რომ სიცოცხლით და პატიოსნებით სავსე გლეხის ბიჭმა ესრე უგემურად გაათავა თავისი სიცოცხლე, მაგრამ მაინც სხვანაირი დასკვნა აქ შეუძლებელია და ერთად ერთია,—ის რომელიც ზევით დავასახელეთ ბ. ილ. ჭავჭავაძე გამოდის აქ თაყვანის მცემლად და თითქმის მქადაგებლადაც იმ ბრმა კანონისა, რომელსაც აუცილებლობის კანონი ჰქვიან (Законъ необходимости). ძალიან მრისაწონია, სამღრთო და თითქმის ხელის გულზედ დასაწერი სიტყვებიაო, გვეუბნება ავტორი:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის ცემა ღირსებას...

არა ნაკლებ ლამაზად უთქვამს უკვდავ რუსთველსო:

ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ თითონ კაცი არ არის, ცუდია გვარიშვილობა!

– მაგრამ პოეტის ოცნება სხვაა და ნამდვილი ცხოვრება სხვა და მათ „შუა უდევსთ დიდი ზღვარიო.“ დიაღ კარგია რომ თავადიშვილის გაწყალებული სისხლი გლეხის საღი სისხლით განახლდებოდეს, როგორც ფიზიოლოგიური კანონი მოითხოვს, მაგრამ სოციალური კანონი ამას ეწინააღმდეგება და თავხედობისათვის ყველა გლეხის ბიჭს, რომელიც თავის ქალს შეიყვარებს, ისე სასტიკად დასჯის. როგორც გიორგი დასჯაო. მინამ ბეჭვდას დაიწყობდა, „ოთარაანთ ქვრივი“ ბ. ილ. ჭავჭავაძემ ჯერ წაუკითხა ქართველი ინტელიგენციის „რჩეულთა“. მე, რასაკვირველია რჩეულთა რიცხვში არც ვყოფილვარ და არც ეხლა ვიქნებოდი, ძრომჰენლებმა კი სხვადასხვა აზრი და შთაბეჭდილება გამოიტანეს ამ მოთხრო-

ბაზედ. თითქმის ყველანი ერთხმად ამბობდნენ, რომ ილია გლეხკაცობის ეარშიყებაო. ერთმა მათგანმა ამ სიტყვებით გადმომცა თავისი შთაბეჭდილება: „ილიას „ნაროდნიკობა“ დაუწყვია და რუსული „ნაროდნიკული“ ლიტერატურა უნდა დაარსოს ჩვენშიო“. ამის შემდეგ, როგორ არ გაიხსენოს კაცმა გრიბოედოვის გესლით სავსე სიტყვები:

„А судьи кто?“

ეხლა თქვენი ბედნიერი თვალით ჰხედავთ, რომ ბ. ჭავჭავაძე ძლიერ დაშორებულია გლეხობასთან არშიყობაზედ, პირიქით ჩვენ წინა სდგას თავადის სისხლის შეუბღალობის დარაჯი გლეხის მყრალ სისხლით. თვით ის აზრი, რომ სიყვარული, მიჯნურობა გაიდოს „გზად და ხიდად“ ამ ორს, გრძელი ისტორიული წეს--წყობილობით ერთი-ერთმანეთზედ დაშორებული, წოდებათა შორის, სათავეშივე ყალბი და შემცდარია. თავად-აზნაურობის და გლეხ კაცობის შერიგება და შეერთება ქალის სიყვარულით, გლეხის თავადთან დასიძავებით არ მოხერხდება, ამიტომ რომ მათი დაშორების მიზეზი ქალის სიყვარული არ ყოფილა. მართალია ტროელების და ბერძნების ისტორიულ მტერობის მიზეზი მშვენიერი ელენე შეიქნა, მაგრამ აქ ქალი სრულიად მოსატანი არ არის. თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის ხიდი იმიტომ კი არ ჩატყდა და აღარ მთელდება, რომ პირველთ მეორეებს თამარი, ან დარეჯანა მოსტაცეს; უფრო მძიმე მიზეზებია მათი გაყრისა. ჩატეხილის ხიდის გამთელება, რომლისთვისაც ისე გოდებენ არჩილი და კესო, და მათი შერიგება მოხერხდება მხოლოდ იურიდიულ და ეკონომიურს ნიადაგზედ, ამიტომ რომ დაშორების მიზეზი უფლებების წართმევა და ეკონომიური დაჩაგვრა ყოფილა. როდესაც კესო თავის საუკეთესო ნაფუძარს, სადაც ყვავილები დაუთესია, ერთს რომელსამე ბოგანო ბერუას დაუთმობს, რომელსაც შეუძლიან იქიდამ წლის სარჩო გამოიტანოს,—და თითონაც იმის მაგიერ, რომ განთიადიდამ ბინდამდე ყვავილებს სუნავდეს, თავის ძმას არჩილს დღეში სამჯერ აკიდებული ხურჯინით ჯერს მიუტანს ყანაში და იმასაც იქ ნამგალი ეჭირება, აბა მაშინ გამთელდება ეს ჩატეხილი ხიდი. თორემ ნახეთ ერთი რა საწუალებითა სწადიანთ ამ უსაქმო და-ძმას შეაერთონ ეს ჩატეხილი ხიდი.

--და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. წამოიძახა ტკივილით კესომ.

—ეგ მინდა რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

—ვიცი და ვსტირი.

—იმიტომაც მიხარიან შენი ტირილი.

—არჩილ, წინ რაღაა წინ!—შეჰბღავლა უეცრად კესომ...

—ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს; წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორ-

საც ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი ყანისა,—შუქია წინასი და შუქი ხომ“...

—დასწყისია განთიადისა, განა ჩემო კარგო.

—სწორედ.

და-ძმანი ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ.

რა არის ეს, თუ არ ნიმუში დაქანებული რიტორიკისა, უსულო და უაზრო სხოლასტიკისა და გონებითი ჩუკუნებისა? თუნდა დავიჯეროთ, რომ „ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნათლავს და ამწვანებს“ ამითი გამთელდება ის ჩატეხილი ხიდი, რომლის იმედითაც და-ძმანიც ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ. არა, ბატონო ეს ცარიელი წკრიალა სიტყვაა და ამითი მარტო უსუსური ბავშვის გართობა შეიძლება. ეს მშრალი კოზია და მშრალი კოზი ხომ ხახასა ხევს.

V

თვითონ გიორგი ნამდვილი ცხოვრებიდამ არის გამოგლეჯილი, მაგრამ მისი სიყვარული კესოსადმი დიდი ფსიხოლოგიური შეცდომაა, თუ არ დანაშაულობა ავტორის მხრით. ქვეით დაინახავთ, რომ გიორგის არ შეეძლო კესოს შეყვარება და არც ესეთი სიყვარული, როგორც ავტორსა აქვს დახატული, ამიტომ, რომ ესრეთი სიყვარული ერთნაირ სულის ავადმყოფობად ცნობილია მეცნიერებაში, რომელსაც ფსიხიატრია ჰქვიან. ეს შეუწყნარებელი შეცდომები ამიტომ მოუვიდა ავტორს, რომ ძალად შეჰყარა ერთად მოუთავსებელი არსება (ზეთი და წყალი) წინათ აღებული აზრის გულისათვის. ღრმა დაკვირვების შემდეგ, მე ეს შევნიშნე: როდესაც ბ. ილ. ჭავჭავაძეში მუშაობს მისგან დამოუკიდებელი შემოქმედი ძალ (Безсознательное творчество), მაშინ ის შეუდარებელია. განგებ. ანუ განცრახ შემოქმედებითი ძალა მისი კი ერთობ სუსტია. გიორგი სრული არსებაა, როგორც სულით ისე ხორცით; ამასთან მატერიალური შეძლებაც ისეთი მოსდევს, რომ ბევრს არამცთუ აზნაურს, თავადსაც ენატრება. დედის ერთა ბიჭი, მამალ ყვავს თავზედ არ დაისმს; ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად. მართალია ქალამანს იცვამს, მაგრამ როგორც ავტორი გვიწერს, იმის ქალამნები ბევრს, იარმუკაზედ ნაყიდს, თავადის წაღებსა სჯობია ვიცი, ბატონებო, გამოცდილებითაც და თეორიითაც, რომ სიყვარული ძლიერი რამ ძალაა ქვეყანაზედ. პოეტი სრულიადაც არ აზვიადებს, როდესაც ეუბნება სიყვარულს:

შენგნით მეფე ველად რბოდეს.
შენგნით ბრძენიც გიჟდებოდეს!..

მაგრამ გიორგის შეაყვარებს კესოს მხოლოდ ის, ვისაც არ ესმის რა გვამია, რა მთის წვერიდამ ზავივით მოხეთქილი ძალაა ეს ბრგე გლეხის

ბიჭი. დიაღ ბ. ილ. ჰაეშავაძეს არ ესმის რის წარმომადგენელია გიორგ. თუ გახსოვთ თითონვე ამბობს ერთს ალაგას, რომ გიორგი ჩემთვისაც ისეთი გამოცანააო, როგორც შენთვისაო. გიორგი სრულიადაც არაა გამოცანა. ეს ის გვამია, რომელსაც შეუძლიან ბედნიერ შემთხვევაში შეიქმნას ნაპოლეონად, გარიბალდად, ვაშინგტონად და სხვ. ერთის სიტყვით, გიორგიდამ ადვილად შეიძლება გამოვიდეს ან სისხლის ამჩქეფე ღვთის რისხვა, ან სოციალური რეფორმატორი, ან ნიაღვარივით მოხეთქილი საერო ტრიბუნი. ცხოვრებაში და სალიტერატურო ასპარეზზედ ხომ (თუ გამოვიდენ) გიორგები სამუდამოდ რჩებიან იმ ყველასაგან აბუებულ და შოძულებულ პირებად, რასაც ფრანცუზები ეძახიან— „L'enfant terrible" თანამედროვეთაგან ყოველთვის გაუგებარნი და შეუწყნარებელნი არიან. იმათზედ იმას ამბობენ ხოლმე, რასაც ერთი გლეხი ამბობს გიორგიზედ: „ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი"... ამპარტავნობა და მედიდურობა სულის ბიწიერებაა, როდესაც არარაობაზედ არის დამყარებული. ამიტომაც არის ნათქვამი: „გლახა ამპარტავანი ღმერთსა სძულს და ეშმაკს უყვარსო". აქ მარტო ჯიბის სიგლახაკე არ გეგონოთ,—სულისაც იგულისხმიერეთ, რომელიც უარესია ჯიბის სიგლახაკეზედ. გიორგისთანა გვამი კი ყოველთვის ამპარტავანი და მედიდურია და არც შეიძლება არ იყოს, ამიტომ რომ ცხადად გრძნობს თავის ძალას, უაღრესობას და მეტობას ყველაზედ, ვინც მას გარს ახვევია. მართალია ისინი სულით გლახაკნი და შურით აღგზნებულნი ტოლ-სწორნი მუდამ სისინობენ და უთითებენ გიორგის ამპარტავნობაზედ, მაგრამ მას მაინც უხდება ეს ამპარტავნობა, ამიტომ, რომ ეს ბუნების წესია და ბუნებას სასაცილო არაფერი დაუბადავს ჯერ. როგორც ლოგიკური შედეგი გიორგის სულიერი თვისება არის სხვაზედ ბატონობა, სხვა პიროვნების დაჩაგვრა, აქ რამდენიმე ხაზი კიდევ აკლია, რომ გიორგის ხასიათი სრულიად დაგიხატოთ, მაგრამ დანარჩენს თქვენც მიჰხვდებით. ეხლა თქვენ გასინჯეთ, შეეძლო გიორგის კესო შეეყვარებინა და თავისი თავი სამუდამოდ მონად მიეცა ამ თავადის ქალისათვის? არა ბატონო, ვისმე მონად გახდომა და ნამეტურად დიაცისა გიორგების დავთარში არა სწერია. ეს ცილის წამება იქნება მათზედ. გიორგისთანა გლეხს სისხლში აქვს თავად-აზნაურის სიმძულვარე. არ შეიძლება გიორგი თავის თავს ისე არ უყურებდეს, როგორც ციდამ დანიშნულს რისხვას, რომელმაც არჩილს და მის თანამოძმეს უნდა გადუხადოს ის უსამართლობა, რომელიც მათ მამა-პაპას მისი მამა-პაპისათვის მიუყენებია. გიორგი გლეხის ბიჭია და მას დედის ნათესავთან აქვს გაგონილი აზნაურის ქალს რაც უნდა „შიგნიდამ მოკის პერანგი, იმას გარედამ სხვა უნდაო", ჩასძახოდა მას დედა. გიორგი იქამდე სულელი არ არის, მისი სიამაყე და თავმომწონეობა იმას ვერ აიტანს, რომ აზნაურის ქალი თავზედ წამოისვას, სიცოცხლის მიზნად ის გაიხადოს, რომ მას მოკის პერანგი არ მოაკლოს. ხომ ქვეყანაში ქუდი მოეხადა და სალექ-

სოდ თავი გაიხადა. რამენაირად შეიძლებოდა შეჰრიგებოდა საღი გონება ამ ამბავს, რომ ავტორს ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ეს თავმომწონე და უბადლო გლეხის ბიჭი კესოს ხორციელმა, ან სულიერმა სილამაზემ გაიტაცა. ემილ ზოლა, მაგალითებრ, თუ სახეს არა, თეძოებს მაინც ისეთის გემოთი ასწერს ხოლმე, რომ ოცდაათის წლის დაყუდებულიც კი რაღაც ფათფათს იგრძნობს გულში. ეხლა ჩვენ სრულიადაც არ ვიცით კესოს ტუჩ-კბილის და ზილფთა ელფერი, არც მისი თვალის ელვარება და ძუძუმკერდის მოყვანილობა. თუ ავტორი ფიქრობს, რომ რაკი კესო თავადის ქალია, უთუოდ მშვენიერების ღმერთად უნდა წარმოიდგინოთ, ეს შეცდომაზედ მეტია. რამდენი ასი წყვილი თავად-აზნაურის ქალი ვიცით, რომ ჯოჯოხეთიდამ ამოგდებულ მუგუზალსა ჰგვანან. კესოს ხასიათის და გონების ავ-კარგიანობა ხომ მთლად დაფარულია ჩვენთვის. ვიცით ხოლოდ რომ ყვავილების მეტი ინტერესი იმას ცხოვრებაში არ უჩანს. იმისი ყვავილების ბაღის გარე არის რამე კიდევ ქვეყანაზედ თუ არა, ის არა ძიობს. რაც შეეხება მის განათლებას და ჭკუას, მოთხრობიდამ ესა ჩანს, რომ რამდენიმე რომანი უეჭველად წაკითხული უნდა ჰქონდეს და იქიდამ თუთიყუშსავით ისვრის ამისთანა გაუგებარ სიტყვებს, როგორც სიბნელე უკანისა და შუქი წინისა და სხვ. მაშ რაღამ მოხიბლა და წაართო გონება გიორგის?—თავადის ქალობამაო (მართლა, განა ეს საკმარისი არ არის გლეხის ბიჭისათვის?) გვეუბნება ავტორი „Ваше сиятельство"-მ როგორც ამბობს არუთინა ცაგარელის ერთ კამედიაში. რასაკვირველია, ეს იმისთანა საბუთია, რომლის წინააღმდეგიც ჩვენ არაფერი გვეთქმის.

ზევით გაკვრით მოვიხსენიე, რომ იმ გვარი სიყვარული, როგორსაც გვიხატავს ბ. ილ. ჭავჭავაძე, არ არის ჩვეულებრივი, ნორმალური. გიორგი ჯანით, ღონით და საღი სულით სავსეა იქამდე, რომ დუღს და გადმოდის და მისი სიყვარული კი სულის ავადმყოფობის ნიშანია. მისი სიყვარული შტოა ფსიხიატრიაში ესრედ წოდებული ეროტომანიისა, რომელსაც პროფესორი ბალლი ეძახის „Любовно-целомудренное помешательство"-ს. დიაღ, ან გიორგი სულით ავადმყოფია და, მაშასადამე, საგანია ფსიხიატრიისა და არა გმირი მოთხრობისა. და თუ ის ისრეთის ყოველისფერით სრული არსებაა, როგორც ავტორსა ჰყავს გამოყვანილი, მაშინ ამ გვარი სიყვარული ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელია იმისაგან. აი, მეწისქვილე სოსიას რომ შეეყვარებინა კესო ამ გვარად და თავისთვის ებუტბუტნა: „ეს სოფელი მისთვის მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო", მაშინ კრიტიკას არაფერი შეეძლო ამის წინააღმდეგი ეთქვა.

მაგრამ ყველაზე მომეტებული დანაშაულება მიუძღვის ბ. ილია ჭავჭავაძეს გიორგის სიკვდილის შესახებ. დღეგრძელობა, თუ დაღუპვა მოთხრობის გმირისა უნდა იყოს ლოღიკური შედეგი ამისივე ვნებათა მღელვარებისა, იმ გარემოებისა, რომელშიაც ის ავტორს ჩაუყენებია, და არა შემთხვევითი მიზეზისა. გიორგი იმიტომ კვდება, რომ აგებული თივის წვერო-

ლამ მიახლტა და ურმია ჰაერზედ ჩაძოეგო. რა ელეშეხტია თიცა, რომ ამ ისთახა მნიშვნელობა აქვს გიორგის სიყვარულში?—არაფერი. როდესაც ტოლსტოის მიჰყავს თავისი ანა კარენინა და რელსებზე თავს ადებინებს იმ მატარებელმა გაჰყლიტოსო, ისრე სჯის, როგორც შეეფერება მაღალი ხიჯის პატრონს მწერალს. ეს სიკვდილი იყო შედეგი მთელი მისი ცხოვრების აგებულებისა და მიმდინარეობისა. ანა კარენინა, რომ მატარებელს შემთხვევით მოჰყოლოდა და მომკვდარიყო, მაშინ ტოლსტოი ლიტერატურის ფინანსი იქნებოდა და არა პირველ ხარისხოვანი რომანისტი.

ბ. ილ. ჰავჰავაძე შემთხვევით წააწყდა ამისთანა ცოცხალ და ყოვლისფოით შესანიშნავ ტიპს, როგორც არის გიორგი. სამწუხაროა, რომ ეს ხვანაირად ვერ გამოიყენა და დახარჯა „ჩატეხილი ხიდის“ გასამთელებლად. ვაი ის არის, რომ ვერც ის ჩატეხილი ხიდი გამთელდა და ესეც უნაყოფოდ დაიმსხვრა. დამიჯერეთ, კიდევ ბევრი მჭონდა სათქმელი ამ „ოთარაანთ ქვრივზედ“, მაგრამ

ან ეს რაცა ვსთქვი,
რადა ვსთქვი,
თუ რაც მინდოდა,
ვერა ვსთქვი?....

რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“*[20]

„ენაჲ გულისა უნდა სთქვას“
ოთარაანთ ქვრივი.

სხვისათვის თავისი აზრებისა და შთაბეჭდილებათა განზიარება და სხვის აზრების და შთაბეჭდილებების გაგება შესახებ რომელისამე საყურადღებო მოვლენისა შეადგენს ადამიანის ერთს უპირველესს სულიერ მოთხოვნილებათაგანს, და სწორედ ამ სულიერ მოთხოვნილების ნაყოფია ეგ ჩვენი „რამდენიმე შენიშვნაც“ „ოთარაანთ ქვრივის“ გამო.

ჩვენ სახეში არა გვაქვს კრიტიკულად გავარჩიოთ „ოთარაანთ ქვრივი“,— ჩვენ გვსურს მხოლოდ საზოგადოებას განეუზიაროთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ მოთხრობამ იქონია ჩვენზედ, როგორც ერთს მოთხრობის წამკითხველთაგანზე. ამ გვარმა „შენიშვნებმა“ შესაძლოა კრიტიკოსსაც გაუწიონ მცირე რამ სამსახური.

„ოთარაანთ ქვრივი“ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქო იგი იყოს ერთი რომელიმე ნაწყვეტი უფრო დიდის ქმნილებისა, და არა ცალკე, დამთავრებული მოთხრობა. მკითხველს ძალაუნებურად თვალწინ ეხატება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ მოთხრობის შექმნის ისტორია. ავტორს ჯერ რაღაც დიდი ქმნილების დაწერა განუზრახავს და კიდევაც დაუწერია ამ ქმნილების შესაფერი რამდენიმე შესავალი ხანა (I—IV)—ფიქრობს იგი,—მაგრამ შემდეგ, რაკი ამ ფართო სამზღვრებში დაწყებული მოთხრობის იმ გვარ სამზღვრებშიეე გაგრძელება და დამთავრება ვერ მოუხერხებია, თუ დაზარებია, მოთხრობის ძაფი შეუწყვეტია და სიჩქარით და ფაცა-ფუცით შესავლისათვის რამოდენიმე შეუმუშავებელი ხანა მიუბლანდია, რომლებშიაც, ერთის მხრით, ტენდენციურად გამოსთქვამს იმ აზრს, რომელიც პირველ დაწყებულ ქმნილებაში

---

* ეს „შენიშვნები“ მოგვივიდა და თან ავტორი გვწერს ცალკე წიგნში სხვათა შორის, ამას: „შეიძლება თქვენ არ გეხერხებოდეთ თავის გაზეთში ჩემი შენიშვნების იმ ადგილების დაბეჭდვა, სადაც მე ქებით მოგიხსენიებთ თქვენ, მაგრამ საჭიროა, არ დავიწყოთ, რომ „იევრეის“ ერთად-ერთი (არასპეციალური) ჟართული გაზეთია, და რომ იქაც არ შეიძლებოდეს თქვენზე როგორც ავის, ისე კარგის თქმაც, მაშინ ჩვენ თითქმის იძულებულნი ვიკნებოდით სრული მართალი არასოდეს არ გვეთქვა“.

ჩვენ სწორედ იმ ადგილს მოვერიცენით, რომელსაც ავტორი ასახელებს. სხვას და ბარჩენს-კი სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელად ვბეჭდავთ.

ცხოველად უნდა გაეყვანა, და, მეორეს მხრით, ცდილობს, მოთხრობის გასათავებლად, რაც შეიძლება ჩქარა მოკლას მომქმედი პირები.

„ოთარაანთ ქვრივის“ ფაბულა მეტად ღარიბია. აი სქემა ამ მოთხრობისა. ოთარაანთ ქვრივს ჰყავდა შვილი გიორგი, რომელთანაც იმას კარგი დედაშვილობა ჰქონდა (ს. ს. I—VI). ერთხელ გიორგი სანადიროდ წაიდა და სამი დღე შინ არ დაბრუნებულა; ამის შემდეგ დედა ამჩნევდა, რომ შვილი რაღაცაზე დაფიქრებულია, და დედის გულს მეტად აწუხებდა ეს გარემოება. ასე გავიდა ორი წელი. ბოლოს დედამ გამოჰკითხა შვილს დაჯავრიანებულობის მიზეზი და შვილმა გამოუცხადა დედას, რომ რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, თორემ მე გარდავწყვიტე მოჯამაგირედ დაუდგე არჩილსაო (VII-VIII), რომელიც იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-შესრულებული ახალგაზრდა, ადგილობრივი მემამულე და რომელსაც ჰყავდა განათლებულივე და — კესო. მცირე ყოყმანის შემდეგ, ოთარაანთ ქვრივი თანხმდება და გიორგი მოჯამაგირედ უდგება არჩილს, რომელსაც, ერთის მხრით, უკვირს ამ გვარი გიორგის საქციელი, და, მეორეს მხრით, უხარია ასეთი გამრჯე კაცის შოვნა (IX-X). ოთარაანთ ქვრივი ისტუმრებს შვილს ოჯახიდამ (XI). გიორგი დიდის გულმოდგინებით ეპასახურება არჩილს, უკეთებს ვენახს, ბაღს, რომელშიაც ყოველდღე ჰხვდება კესოს, და დიდად მადლიერია თავის ბედის (XII-VX). მაგრამ არჩილისას ჰდგმენ თივის ზვინს, გიორგი ასწორებს პეტრეს დადგმულს ზვინს, ვარდება ზემოდამ და კვდება. სიკვდილის ჟამს გიორგი ტყდება, რომ იმას უყვარდა კესო,— ყველანი, გარდა ოთარაანთ ქვრივისა განცვიფრებულნი არიან. შვილი კვდება, დედა სტირის (XVI—XVIII). არჩილი ისეთის ყოფით და ამბით მარხავს გიორგის, თითქო მისი ოჯახიშვილი ყოფილიყო. კესო სტირის,—„სიყვარული ძნელიაო“, ამბობენ სოფლის დედაკაცები. აქ ავტორი სარგებლობს ერთი დედაკაცისაგან ნათქვამის სიტყვით,—„კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბამენ თვალსაო“, — და არჩილს მოთხრობის ტენდენციას ათქმევინებს (XIX—XX). ოთარაანთ ქვრივი ჰკვდება, ბებერი მეწისქვილე სოსია, „კაცი ძველი, გულჩახვეული, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული“, რომელსაც, — ნუ იტყვით, — ოც-და-ათი წელი ოთარაანთ ქვრივზე გული შეყვარდნილი ჰქონია, მწარედ სტირის და, როდესაც ტირილს უშლიან, ამ-ამბობს: „ცოცხალზედ არ გამახარა წუთი-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდოო!“ „მართლა რომ ცოდოაო... მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?—ერთიც ეს არის საპირ-ბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთი-სოფელშიო“, უსამძიმრებს ავტორი სოსიას და ამით ათავებს მოთხრობას. ამგვარია რომანტიული ფაბულა ბ-ნ ჭავჭავაძის ახალი მოთხრობისა. და ამ რომანტიულ ფაბულაზე შეუხამებელი ფერადით გამოქარგულია, ან უკეთ ვსთქვათ, ზედ დაჭერებულია მოთხრობის ტენდენცია, რომელსაც თითქმის არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს მოთხრობის შინა-

არსთან. ავტორს თავისუფლად შეეძლო გამოეშვა მოთხრობიდამ ის ორ-
ხანა (XIX—XX) სადაც ეს ტენდენცია არის ჩამწყვდეული, და თქვე-
ყერც-კი მიხვდებოდით, რომ იქ რაღაც უნდა ჰყოფილიყო; ავტორს შე-
ეძლო შემდეგ ის ორი გამოშვებული ხანა, მცირეოდენი შეცვლით, ცალ-
კე დაებეჭდა გაზეთში, თუ გინდ მოწინავე სტატიად, და თქვენ შეგეძლოთ
კიდევ ვერ მიმხვდარიყავით, რომ ეს მოწინავე სტატია იმ მოთხრობიდან
იყო ამოღებული, რომელიც თქვენ წინად წაიკითხეთ. მართალია „ოთა-
რაანთ ქვრივი“ მაშინ კიდევ უფრო დაუმთავრებელი მოთხრობა იქმნე-
ბოდა, მინამ ამ ჟამად არის, მაგრამ... განა ტენდენციის ჩაყენება — ეს
ჰშველის მას? „ოთარაანთ ქვრივი“, როგორც მოთხრობა, დღესაც ერთ
ბუსტს, ტენდენციურს მოთხრობას წარმოადგენს, რომლის ნაწილებ
თეთრის ძაფით არიან შებლანდულნი და რომლის მეორე ნახევარი —
ერთი რამ ნაძალადევია, თუმცა მასშიდაც ურევია ისეთი ობოლი მარ-
გალიტები, როგორც „ჯავრი დედისა“, „ორი თვალი“, „ზარი“, და „უკა-
ნასკნელი განღობა“. რა უნდოდა ამ კაცს ეთქვა ამ მოთხრობით? — ძა-
ლა-უნებლივ ეკითხებით თავის თავს, როდესაც მოთხრობას წაიკითხავთ.
რად დაუწერია ეს მოთხრობა? ნუ თუ მხოლოდ მისთვის, რომ ის აზ-
რები გამოეთქვა, რომლებიც არჩილმა გამოსთქვა — XIX და XX ხანებ-
ში? კარგი, მაგრამ რა საჭირო იყო ამისათვის მოთხრობის წერა, თუ კი
ეს აზრები მხოლოდ ისე იქმნებოდნენ მიბმული მოთხრობის ბოლოს,
როგორც მეტი ცხენი ეტლის ბოლოს მიიბმის ხოლმე? რად ჰქვიან ამ
მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“, როდესაც-რომ მომქმედნი კაცნი ამ
მოთხრობისა,—თუ კი ისინი არიან,—სხვანი არიან, და არა ოთარაანთ
ქვრივი? თუ ავტორს უნდოდა ამ მოთხრობაში მხოლოდ დაეხატა ოთა-
რაანთ ქვრივის და მისი შვილის ხასიათები, რა საჭირო იყო ამისათვის
მოთხრობის რომანტიული ფაბულა, ერთი სიტყვით, რა საჭირო იყო ის,
რაც ამ მოთხრობის შინაარსს შეადგენს? რამ მოამართვინა პოეტს თა-
ვისი ჩანგი რომანტიულ კილოზე? რამ შეათხზვევინა ამ მოთხრობის
უშნო შინაარსი?.. ერთი სიტყვით, რამ დააწერინა—„კაცია ადამიანის“,
„გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“ და „განდეგილის“ ავტორს „ოთა-
რაანთ ქვრივი“?

როგორც ჩვენ ზემოდაც ვთქვით, პირველი ექვსი ხანა უკეთესი ნა-
წილია მოთხრობისა. თვით ამ ნაწილს, ცალკედ აღებულს, შეეძლო შე-
ედგინა მაღალ-ღირსებით აღსავსე ეტიუდი „ოთარაანთ ქვრივი“. აქ ავ-
ტორი ჩვეულებრივი ნიჭით გვიხატავს ოთარაანთ ქვრივის და მისი შვი-
ლის, გიორგის, ხასიათებს, რომლებზედაც ჩვენ თითქმის აღარაფერს
ახალს აღარ გვეუბნებიან შემდეგი ხანები. დედის ხასიათი ბევრად უფ-
რო ცხოველად არის დახატული, ვიდრე შვილისა, და ამას, უსათუოდ,
თვით ავტორი კარგად ჰგრძნობდა, როდესაც თვით მოთხრობას,— რა-
მელშიაც ოთარაანთ ქვრივი მხოლოდ მეორე ხარისხოვანი პირია,
„ოთარაანთ ქვრივს“ არქმევდა; და მართლადაც, ამიერიდამ სიტყვა

„ოთარაანთ ქვრივი“ საზოგადო სახელად გარდაიქცევა, და, სადაც უნდა შევხვდეთ ცხოვრებაში ოთარაანთ ქვრივს, ჩვენ ადვილად ვიცნობთ „ო, ნათლიდედ, ნათლიდედ!“— მხიარულად მიეგებებით, როგორც ჩვენ ძველ ნაცნობს; ოთარაანთ ქვრივი ამიერიდამ დაიჭერს საპატიო ადგილს ჩვენი ლიტერატურის იმ გვარ უკვდავ ტიპთა შორის, როგორნიც არიან ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი, ნახშირ-ფაშა და კუდურ-ხანუმი... ეს დიდი ნიჭით და ხელოვნებით შექმნილი ტიპები მით უფრო ძვირფასია, რომ იგი პირდაპირ ხალხის ცხოვრებიდამ არის ამოღებული. ჩვენ არას ვიტყვით თვით ტიპის ხასიათზე,—ვინც-კი მოთხრობას წაიკითხავს, ის თვით დააფასებს ოთარაანთ ქვრივის ხასიათს. აქ ჩვენის მხრით კომენტარიები სრულებით უსალაგო იქნებოდა. არ შეგვიძლია მხოლოდ არა ვთქვათ, რომ ჩვენის ჰაზრით, ავტორს, ხასიათის უფრო ცხოველად გამოსახატავად გარდაუმეტებია და მეტის რისხვით შეუმოსია ქვრივი, მინდა საჭირო იყო „ჯგუფად რომ გლეხ-კაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტანად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე,—ნაცვალი თუ მამასახლისი,—და ოთარაანთ ქვრივი დაენახათ მომავალი, ისე გაიფანტებოდნენ აქეც-იქით. თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო“, ამბობს ავტორი. „შე კაცო, რა ბაყბაყ დევი მე მნახესო!“ საფუძვლიანად ესაყვედურება ოთარაანთ ქვრივი.

გიორგის ხასიათიც იმავე ცხოვრებიდამ არის ამოღებული, იმავე თვისებაა გამოცხობილი, იმავე „შექმნის ძალით დაწნილა, როგორც ოთარაანთ ქვრივის ხასიათიც. გიორგი ნამდვილი „ხალხის შვილია“, და ამაშია მისი ძალა და მიმზიდველობა. პოეტი იმას გვიხატავს პატიოსან, გულუბრყვილო, მარჯვე და შრომის-მოყვარე კაცად. გიორგი „კაცობის დიდი ნიშან-წყალით“ არის აღბეჭდილი და იმ ნამუსის მქონეა, რომელიც „სხვისისაც ისე ერჩის, როგორც თავისას“; მას არ შეუძლიან გულ-გრილად უცქიროს „საწანახედოდ გამხდარს საქმეს და იქვე ხელთ-უძრავს მოსაჭრელს“. გიორგი „თვით ბუნებით არის შექმნილი“ და „იმ გვირისტით არის მეკერილი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის“, ერთი სიტყვით, გიორგი ნამდვილი გლეხის ტიპია, ხალხის ცხოვრების ძირიდამ ამოღებული; იგი ამ ცხოვრების საზოგადო მოვლენაა, და არა იშვიათი გამორიცხვა, მაგრამ რადგან ავტორისათვის საჭირო იყო, რომ, თუ არ გვარიშვილობა, კესოსათვის შესაძლო ჰყოფილიყო გიორგის წეყვარება, იგი გიორგის გლეხის ტყაპუჭს ჰხდის და, გარეგნობით მაინც მას თავადს ამსგავსებს. მართალია, გიორგი „ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი“ იყო, მაგრამ, როდესაც იგი კოხტად და ფაქიზად ჩაცმულ-დახურული, ბაზარში გაიელიდა, იტყოდნენ ხოლმე: „ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, ბიორემ თავადიშვილია და თავადიშვილიაო“ ასე წარმოიდგინეთ, გიორგი „ტოლ-ამხანაგობასაც აგრე რიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერეოდა პირველობას ყველგან იმას უთმობდნენ“ ტყუილად კი არ უკვირდათ თავადებს, „გლეხ-კაცობაში როგორ უნდა დაწნილიყო ამისთანა ზნე. ამის-

თანა ხასიათით," როგორც ავტორისათვის, ისე იმათთვისაც გიორგი „გამოცანური გამოცანა" იყო, რომლის ასახსნელად ისინი ჰამლეტის სიტყვებს მიმართავდნენ ხოლმე: „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსო". ამგვარად, ავტორი საზოგადო მოვლენას, ტიპს,—არ ეიცით, რა აზრით და მოსაზრებით,—იშვიათ გამორიცხვად ჰხდის, რითაც, ცოტა არ იყოს, ამცირებს ამ ტიპის მნიშვნელობას. თუმცა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, გიორგის ხასიათი ბევრით ჩამოუვარდება სიცხოველით ოთარაანთ ქვრივის ხასიათს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი დიდი შენაძენია ჩვენ ტიპებით მეტად ღარიბ ახალ ლიტერატურისათვის.

ავტორი, რა-კი ოთარაანთ ქვრივს და გიორგის გაგვაცნობს, იმ წამს ჰგრძნობს რომ „უცნაურად სკვნის ნასკვს",—როგორღაც და სადღაც გიორგის კესოს შეაყვარებს და პირდაპირ არჩილის ოჯახში შეგვიყვანს. მაგრამ ვიდრე ამ „ნასკვზე" გარდვიდოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ რამოდენიმე სიტყვა არჩილზე და კესოზედაც ვსთქვათ.

არჩილი, თავის ერთად-ერთი გასათხოვარი დით—კესოთი, ცხოვრობდა სოფელში და თვითვე მართავდა თავის მამულს — სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმას. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა,ვისაც კი დაეკითხებოდით. არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ, სადაც მას შეესრულებინა განათლება,—უნდა ვიგულისხმოთ უმაღლეს სასწავლებელში, რადგან საშუალო განათლების მისაღებად ჩვენებურთაგანი ძვირად თუ ვინმე მიდის რუსეთში. არჩილი ნაკითხი კაცი იყო, მაგრამ არც სულ „წიგნის კაცი", არც სულ „მწიგნობარი" იყო, მას ესმოდა, რომ „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა", რომ „უწიგნოდ თვალთა-ხედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნებითაც საკმაოდ გრძელი არ არის", მას სჯეროდა, რომ „ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისათვისაც-კი ოსტატია. ამის გამო არჩილს ძალიან უყვარდა გლეხებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც; მას არა ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში. განათლებას ვერ მოუკლავს არჩილში თავადის მედიდური შეხედულება გლეხზე, როგორც ამაზე მოწმობს X ხანას თვით სათაური. ასეა თუ ისე, არჩილი ცოცხალი პირი როდია, ის მხოლოდ განყენებული სახეა, რომელიც ჩვენთვის მარტო იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ავტორი პირით სარგებლობს თავის ჰაზრების გამოსათქმელად.

რა ადამიანი იყო კესო, ამაზედ ისტორია მეტად ცოტას მოგვითხრობს. ვიცით მხოლოდ, რომ კესო იყო არჩილის და, არჩილსავითვე კეთილი და რუსულად მოლაპარაკე. ან სად ისწავლა კესომ ეგ რუსული, ან საზოგადოდ რა განათლების პატრონი იყო იგი, — ავტორი საჭიროდ არ რაცხს ამის ახსნას. თუმცა ეს სრულებით მეტი არ იქნებოდა. მხოლოდ იმ გარე-

ბიებიდამ, რომ კესო და იმის განათლებული ძმა არჩილი „რას არ ჰკითხუ-
ლობდნენ“ ერთად, და იმ გარემოებიდამ, რომ კესო „ტკივილით“ ლაპარა-
კობს „ჩატეხილ ხიდზე?“ და „თითების ფშვნეტით და მტვრევით“ ეკითხე-
ბა არჩილს—„წინ რაღააო“, ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ
კესო განათლებული და ნაკითხი ქალი უნდა იყოს. საზოგადოდ, კესო კი-
დევ უფრო განყენებულად და ბუნდად არის გამოხატული, მინამ არჩილი.

ავტორი არც იმის ახსნას ჰრაცხს საჭიროდ, ან თუ დადიოდა გიორგი „უცნაურის ნასკვის“ წინად არჩილისას, ან თუ როგორ და სად შეუყვარდა მას კესო. ვიცით მხოლოდ, რომ ოთარაანთ ქვრივი-კი ჰხვდებოდა ხანდის-ხან და-ძმას.

„ოთარაანთ ქვრივს“ ზოგიერთი კარგიც ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თვი-თონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილით, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისაგან გაიგო-ნებდნენ“.

რაც შეეხება გიორგის... „გიორგის ამბებიც არა ერთხელ მისვლიათ და-ძმას და არა ერთხელ გაჰკვირვებიათ იმისი ზნე და ხასიათი“.

ერთი სიტყვით, ავტორი გვეუბნება, ეგ თქვენი საქმე არ არის, სად და როგორო, მე გიორგის კესო შევაყვარე და ეკლესიაზედ მოხდა ეგ თუ გზაზედ,—ეს ჩემი საქმეა და არა თქვენიო.

თვით მოთხრობის დედა-ჰაზრი, ავტორისაგან მოთხრობის უკანასკნელ-ხანებში არჩილის პირით გამოთქმული, მეტად საყურადღებო და საგუ-ლისხმიეროა.

„ჩვენსა (უმაღლეს წოდების) და იმათ (გლეხ-კაცობის) შუა ხიდია ჩატე-ხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქედ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვერ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუა-რი... ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთ-რი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინ-დით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა. ისინი მა-გასაც მოკლებულნი არიან... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვე-ყანაა. შორი-შორსა ვართ... იმათ ტირილს და ლხინს ცალკე ღობე აქვია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მიგვიხვედრებია, და რად უნდა გიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა... ეხლა ჩვენ შუა დადის მარტო ბრტყელი ენა მწიგნობრისა და ხარბი გული გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულობა აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ... გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენასა და ხელს უნდა ასაქმებდეს, აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალ-თვალა და ცალ-ყურა ნახევარით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმა-ნეთს... ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა... მაგრამ განსხვავება იმ ცოცხალ ნახევარშია, რომელიც შერჩენილი გვაქვს.

ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი—კი შექმნილნი... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი... ცხოვრება იმათშია: იქ ძლიერს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვია... ჩვენ ხედვათ და სმენადაც უღონონი ვართ და იქ—კი... იქ—კი რა მოდენა ღონეა შექმნისა... დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა... ჩვენ ის სისხლხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგარამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული-კი ისევ ებღაუჭება. ისევ აშენებს... ჩვენს უკან ბნელია. ღამეა.. და ხიდია ჩატეხილი".

ეგ უნდა ავტორს, რომ ყველას გააგებინოს, იმ იმედით და დარწმუნებით, რომ „ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა,—შუქია წინასი და შუქი ხომ დასაწყისია განთიადისა: ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს, და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს".

აქ დიდად პატივცემული ავტორი ისეთს კითხვას შეეხება, რომელიც მწარედ აფიქრებს და აღელვებს ყოველს ინტელიგენტს; მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ ვერ ხსნის ;—ერთმხრივ ჰფენს ნათელს მას.

ავტორი მეტს ყურადღებას აქცევს გულს, მინამ გონებას, და ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს აქ არ დავეთანხმოთ ავტორსა. მართალია, ჩვენდა საუბედუროდ, „სისხლ-ხორცის" კედელი ჯერ კიდევ მაგრად სდგას, ჯერ კიდევ ბოლომდე არ დაქცეულა ჩვენში, მაგრამ ამ გარემოების მიზეზი ჩვენ გონებაში უნდა ვეძიოთ და არა გულში. თუ—კი მართლა „რაღაც" ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს ამ კედელს, ეგ „რაღაც"—გაუნათლებელი ან ზედათად—განათლებული გონებაა და არა გული. ჩვენსა და ხალხის შუა „სისხლ-ხორცის" კედელზე უფრო დიდი და უფრო დამაფიქრებელი მეორე კედელია,—ერთის მხრით, სულ გაუნათლებლობის და, მეორეს მხრით, ზედათი— განათლების ქვითკირია, ქვითკირი ამ „გაუნათლებლობა ზედათი-განათლების" დიდ კედელთან შედარებით. „სისხლ-ხორცის" კედელი მხოლოდ ერთი იმ დაფოკებული ტიხრულთაგანია, რომელიც ამ დიდ კედლის ძირში მიფარულა და რომელიც, თავის მფარველის დაქცევისთანავე, თვით გაქრება დედამიწის ზურგიდამ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ „გაუნათლებლობის" კედლის დაქცევას, თორემ ვიდრემდის იმ გვარად იდგმება, იგი დაიცავს ჰაერის გამწმენდ ნიავისაგან და წვიმისაგან ისტორიით მის ძირში მიშენებულ, და აწ უკვე დაშლილ, უწმინდურ ტიხრულსა. აქ გული მარტო ვერას გააწყობს. სწავლა-განათლება დურბინდი-კი არ არის, რომლითაც ჩვენ წყალ-გაღმა გახედვა შეგვიძლია,—ეგ თვით ის მასალაა, რომლითაც „ჩატეხილი ხიდი" უნდა გამთელდეს და ორივე ნაპირი გაერთოს. რასაკვირველია, ჩვენ აქ ნამდვილ განათლებაზე ვამბობთ და არა იმ განათლებაზე, რომელიც მხოლოდ „ენას აალმასებს".

ავილოთ თვით ავტორის მოთხრობა. განა იქ გამოყვანილ ორ წოდებათა წარმომადგენელთა შორის დაშორებულობა, ერთისაგან მეორის გაუგებლობა მარტო „სისხლ-ხორცის“, „გვარიშვილობის“, „გულის“ ბრალია? იმ გვარივე განწყობილებაში არ იქნებოდნენ გაუნათლებელი და ზედაოდ-განათლებული გლეხი. გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული თავადი? განა იმგვარივე ჩატეხილი ხიდი არ იქნებოდა იმათ შორის? „არ მიყვარდა და იმიტომ არ წავყვებოდი გიორგისო“, ამბობს კესო. „ჩვენი ვაიც მაგაშიაო“, მიუგებს ავტორი ერთხელვე დაჭირავებულ არჩილის პირით და მოგიყვება ისეთს „თეორიას სიყვარულისას“, რომელზედაც არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ.

„არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო... არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერ სულს“, არ გიყვარდა ვინ? —„თაყვან-საცემელი ღირსება“, არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სჩიენით აცისკროვნებს მშვენიერება სულისა“, ჩასცივებია არჩილი.

„სიყვარული ბრძანებით არ მოდისო“, ეუბნება საცოდავი კესო, მაგრამ არჩილი უკან მაინც როდი დაიხევს. „განა მზე-კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო“... განაგრძობს იგი: „აქ თავის თავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“. კარგი რამ არის პოეტურ ქმნილებაში ვარდი და ბულბული, მზე და ვარდი, იადონი და. ია, და სწორედ ამის გამო არიან ისინი ხშირად შეწუხებულნი ჩვენი პოეტებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც მზე გარდაშლის ყოველ გასაშლელ ვარდს, ისე რომ ყოველი მშვენიერი სული“—ქალი ყოველ „მშვენიერ სულს“—ვაჟს შეიყვარებდეს,— მეტის მეტი იქნებოდა! ქალ-ვაჟის სიყვარული არის მეგობრობა, გაძლიერებული სურვით, ან სურვა, გაძლიერებული მეგობრობით. ნამდვილი მეგობრობა კი მხოლოდ იმათ შორის არის შესაძლო, ვინც ერთი აზრებით, ერთი მიმართულებით, ერთი მიზნებით და, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი განვითარებით არიან შეერთებულნი: „სიმშვენიერე სულისა“ დიდხანს მეგობრობას ვერ გამოჰკვებს, ვერ ჰშობს „სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“. იქ სადაც სურვა მეგობრობასთან არ არის შეერთებული, მხოლოდ ეგრეთწოდებული გატაცებაა (увлечение), და არა სიყვარული, თუმც საზოგადოებაში ხშირად გატაცებას სიყვარულად ჰრაცხვენ. განა შესაძლო იყო გიორგის კესოსაგან შეყვარება, ორივენი ერთი „გვარიშვილობის“, ერთი „სისხლ-ხორცისაც-რომ ყოფილიყვნენ? თუ გიორგი კესოს გულით სწყდებოდა,—ხელით კი ვერა“, ამის მიზეზი „სისხლ-ხორცში“ კი არა, განათლების, განვითარების სხვა-და-სხვაობაში იყო.

„აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო... სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდ ნაასალი მადლიც გიორგისა არა სცხებოდა. აქ-კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი

მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯვარსავით ეფინებოდა ცივს ღელს. შენ ვერც-კი მიუხვდი, ვერც"...

ეუბნება არჩილი კესოს, მაგრამ აქაც „სისხლ-ხორცით" მთლად საქმე არ იხსნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარადვე შეეძლო ვერ გაეგო განათლებულს თავადის ქალს გაუნათლებელი სოფლის თავადის სიყვარული. მაშ კესოს და გიორგის შუა არა მარტო „სისხლ-ხორცის" კედელი ყოფილა!

ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ, ცხადად და გარკვევით აეხსნა ჩვენი ხალხის ერთმანერთზე დაშორებულობის შედეგი, ავტორი მთელ ფილოსოფიას მოგვიყვება „გულზე და მადლზე", და ამ, შინაურულად, ნიგვზის ზეთზე შემზადებულ ფილოსოფიით უფრო აბუნდებს, მინამ ჰხსნის საგანს.

„გული რა არის?—ფილოსოფოსობს არჩილი—მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ ექნებოდა. გული მადლია და მადლი მარტო ორ შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ-რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე გულიცა. თუ ორნი არ არიან გულმარისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვაოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის ალებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალ-გაღმაა, შორს.... შორს... მაშ რაღად გვიკვირს, რომ იქიდამ ვეღარა გვხედვენ, ჩვენი აღარა ჰჯერათ-რა... კეთილიც-კი".

ამ მსჯელობის ნაძალადეობა აშკარაა. ეს მსჯელობა კიდეც რომ მართალი იყოს, რამდენადაც იგი შეეხება თვითეულ კერძო პირს, ცალკე აღებულს, იგი, ყოველ შემთხვევაში, უსაფუძვლო და გამოუყენებელია, როდესაც საქმე მთელ წოდებას შეეხება. ყოველივე წოდება თვით შედგება მრავალი ინდივიდუმიდან, მრავალ გულიდამ, და, მაშასადამე, თვით წოდების სამზღვრებში შესაძლოა „ორ შუა მადლის საქმობა", ესე იგი მთელი გულის, მადლის დაცვა, თუ ავტორს სახეში აქვს არა წოდების თვითეული წევრი, არამედ მთელი წოდებანი,—განა წოდებას, როგორც წოდებას, როგორც შეკრებულობითი საგანს, ჰქონია ოდესმე, ან შეიძლებაკი ჰქონდეს მთელი,გინდ ნახევარი გული? მაშ რა ჰაზრი აქვს მთელ „გულ-მადლის" ფილოსოფიას?

მაგრამ არის მოთხრობაში ერთი რამ, რაც ფილოსოფიაზედაც უფრო ძნელი გასაგებია, და ეს „ერთი რამ"—სოსია მეწისქვილის ოთარაანთ ქვრივისადმი სიყვარულია. ჩვენ ვერას გზით ვერ გაგვიგია, რა საჭირო იყო ავტორისათვის მოთხრობის ბოლოს ამ მართლა რომ სასაცილო ეპიზოდის ჩაყენება. ერთი ეს არის საჭირ-ბოროტო საკითხავი ამ „უსწორმასწორო" მოთხრობაში.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ის უცნაური და ხშირად შეუფერებელი სათაურები, რომლებიც ავტორს მოთხრობის თვითეულ ნაწილისათვის მიუცია, ბევრს უშლის მოთხრობის წაკითხვის დროს მთაბეჭდილების ერთიანობას. ჩვენ გულ-წრფელად ვურჩევთ დიდად პატივცემულ ავტორს, რომ მოთხრობის ცალკე გამოცემის დროს მან სრულებით გაანთავისუფლოს ზოგიერთი ნაწილი იმ „ყურადღების ალმძვრელ“ სათაურებიდამ, რომლებიც სრულებით საჭირონი არ არიან ბ-ნ ლია ჭავჭავაძის მოთხრობისათვის.

1888 წ. 15 თებერვალს.

მცირე შენიშვნა

„ოთარაანთ ქვრივის“ გამო[21]

I

კარგა ხანია ჩვენს მწერლობაში არა დაბეჭდილა-რა ისეთი თხზულება რომელსაც გამოეწვიოს მრავალ გვარი ბაასი სიტყვით თუ წერით, რო-გორც გამოიწვია პატარა მოთხრობამ ბ-ნ ილია ჭავჭავაძისამ. „ოთარაანთ ქვრივზე“ ლაპარაკობენ შინაურობაშიაცა და გარეულობაშიაც. გაზეთებ-შიაცა და ცალკე წიგნებშიაც. ამ ბაასს რომ მუშტრის თვალით დაუგდო ყური, მაშინვე იგრძნობთ, რომ მოთხრობას ისე-კი არ ჩაუვლია, როგორც არა ერთსა და ორს, რომელსაც წაიკითხავ და მეორე წამს აღარ გახსოვს, რაზედ იყო ლაპარაკი არა, მოთხრობას დაუჩნევია მკითხველზე რაღაც კვალი და კარგა ღრმა კვალიცა. ყველამ უნდა ანგარიში მისცეს თავის თავს, რა წაიკითხა, რა აზრი ჰქონდა წაკითხულს, რამ დააწერინა ავტორს „ოთარაანთ ქვრივი“, რას ეტრფის ამ მოთხრობით. რა სწადიან და სხვა ამ გვარი ათასი საკითხავი მოსდის კაცს თავში იმ წამიდგამვე, რა-კი ერ-თი ათიოდე სტრიქონს წაიკითხავს პირველსავე ყარისას. გინდა ღირსე-ბად ჩასთვალეთ ასეთი თვისება ბ-ნ ჭავჭავაძის მოთხრობისა, გინდა ნაკ-ლულევანებაში ჩამომართვით, ეს-კი არ დაიმალება, რომ ასეთი თვისება დაჰყოლია ამ პატარა მოთხრობას თავიდამვე და ესევე თვისება შეჰრჩე-ნია უკანასკნელ სიტყვებამდე.

სწორედ ამ თვისებაში უნდა ვეძებოთ ის მიზეზი, რომ ვისაც-კი „ოთა-რაანთ ქვრივი“ წაუკითხავს, ყველას უნდა თავისი აზრი წარმოსთქვას და თავისი შეხედულობა გაუზიაროს თავის მტერ-მოყვარეს. ასეთი საყოველ-თაო ხალისი აზრთა გაზიარებისა იქამდის მისულა. რომ თვით უსუსურ ბალღებსაც-კი კალამი აუღიათ ხელში და თავიანთ შენიშვნებსა სწერენ ზოგი დასაბეჭდად, ზოგიც ისე ალალბედზე. ე. ი. თუ დაიბეჭდება-რა კარგი, არა და—მე ხომ ჩემი აზრი გამოვსთქვიო.

ჩვენში ძალიან იშვიათი ამბავია, რომ ვისიმე ნაწერი შეიქმნას საგნად საზოგადოების ფიქრისა. მართალია, გვყვანან თითო-ოროლა მწერალნი, რომელთაც მკითხველი სიამოვნებით გადააყვებს თვალსა, მოისმენს ბო-ლომდე, კიდეც უქებს კალამსა, სურათებს, ცალკე სიტყვებს, მაგრამ უფ-ლაფერი თავდება ამ ცალკე მოწონებით, იმიტომ-რომ გულსა და ჭკუას არა ჩვდება არც რომელიმე ხელ-ჩასაკიდებელი აზრი და არც ასე თუ ისე

ბულს-მოსახვედრი გრძნობა, რომელთაც შეეძლოთ ჩაიყოლიონ მკითხველის ზნეობრივი და გონებრივი ძალა და ავტორთან ერთად ამუშაონ და ფიქრიანონ საქვეყნო საგანზე.

*

საუბედუროდ, ჩვენს საზოგადოებაში მოიპოვება არა ერთი და ორი ავ-ზნე კაცი, რომელიც თავის დღეში ვერ მიჰხვდება, რომ ადამიანი ჰმოქმედებდეს უანგაროდ, ემსახურებოდეს გულ-წრფელად მარტო ჭეშმარიტებას და არა ხელმძღვანელობდეს საკუთარის მდაბალის ანგარიშებით. ამისთანა კაცი მუდამ იმის მეცადინეობაშია, რომ კილო რამ გამოაბას შენს სიტყვას, რაც გინდ მართალის გულით ამოიღო ხმა და დაატოკო ენა. ეს იმის ბრალია, რომ გახუნებულსა, უფერულსა და ავ-ზნე კაცს სიზმარში ოუ ცხადლივ მარტო ქვენა ანგარიშები-ღა ელანდება. ესთქვათ, მოიწონე რამ საგანი მართალის გულითა და სალის ჰკუით,—გახუნებული კაცი მაინც დარწმუნებულია, რომ შენ მხოლოდ რაღაც ანგარიშები გაწონებენ და არა გონებისა და გრძნობის გარჯა. თუ გაჰბედე და აქე საგანი, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იგი მართლა ქების ღირსად მიგაჩნია. ავ-ზნე კაცი ამას მაინც ვერ გაიგებს: იმას არა სჯერა, რომ ქვეყანაზე იყოს რამ ღირსი ქებისა. ის შეჩვეულია იმ აზრსა, რომ ადამიანი თუ აქებს რასმე, მხოლოდ იმიტომ აქებს, რომ ან დასცინცლოს ვისმე რამე, ან აჰკრას, ან ლუკმას გამორჩეს. თუ არ ამისთანა ანგარიშები, ქებას არა აქვს ქვეყანაზე ადგილი ავ-ზნე კაცის თვალში. ისა ჰფიქრობს, რომ რაკი აქებ მოყვასს, ალბად გინდა თვალი აუბა ქებით, მიაძინო, მიამთვრალო და ამ სიმთვრალეში გამოჰრჩე რასმესაო. იმის თვალში აგრეთვე ძაგებაც აშენებულია იმისთანავე ანგარიშებზე—აძაგებ მარტო იმ აზრითა რომ აამო სხვას ვისმე, ვინც ნიშანში გყვავს ამოღებული და რამ სამსახურს გამოელი.

ამისთანა გაცვეთილი კაცების სწორე გზაზე გამოყვანა იკისროს, ვისაც აქვს დრო, „სიყმე და მოცალეობა“, მე-კი ასე მგონია, რომ მრუდე კუდი მარტო სამარეში გასწორდება, და თუ ამისთანა გახუნებულებზე ჩამოვაგდე სიტყვა, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჯურის კაცები სხვა ფრივ ვერ ახსნიან მიზეზს, რამაც დღეს მე ხელში კალამი ამაღებინა. იმათთან მე მაინც არა მწადიან გამკლავება, ისინი ჩემს თვალში მკვდარნი არიან და თავიანთ სუდარას თვითონვე ატარებენ ქვეყანაზე ცოცხლივ.

მე ვიცი და მრწამს კიდევაც, რომ ჩვენს საზრგადოებაში მოიპოვება სხვა ჯურის მკითხველებიც და იმათთან ლაპარაკში მუდამ „გულს გული იცნობს და ღონეს ღონე“. ამათი მეცადინეობა მიმართულია იქითკენ, რომ სიტყვებში იძიონ სიმართლე, საფუძველი მარტო სპეტაკ ჭეშმარიტებისა. სადაც ასეთი მკითხველები მიაგნებენ უტყუარს კვალს ამ გვარის საფუძვლისას, იქ სიმდაბლედ მიაჩნიათ ტყუილ კუდებისა და კილოს

გამობმა. ამიტომაც ჩემს შენიშვნებს მე მივმართავ მხოლოდ იმ გვარ მკითხველებს და განვუზიარებ იმ ერთად-ერთს მიზეზს, რომელიც მაწერინებს ამ წერილს.

• •

ზევითა ვსთქვი, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ ჩვენს მკითხველებს შეექნათ მასალად გონების ვარჯიშობისა, რომ ყველანი სცდილობენ თავიანთი აზრი შეადგინონ ამ თხზულებაზე. ზოგს მოსწონს ეს მოთხრობა, ზოგი წუნსა სდებს. ეს დაწუნ-მოწონება საუკეთესო საწყაოა, რომ აიწყას ჩვენი გონების ძალა, ჩვენი გახსნა-განათლება, ჩვენი ცოდნა ცხოვრებისა და იმის გზა-კვალისა. რაკი „ოთარაანთ ქვრივი“ ისეთი საგანია, რომ ყველას წყურვილი გაუჩნდა—დასძრას პირი და გამოამჟღავნოს თავისი საფუძველი დაწუნ-მოწონებისა, მაშასადამე, ჩვენ წინ, ასე თუ ისე, ცოტა თუ ბევრად გაშლილია ჭკუა-გონება ქართველ საზოგადოებისა და შეგვიძლიან დაახლოებით გავსინჯოთ, რამდენად მომზადებულნი ვართ საქვეყნო საგნების გაგებაში, სადამდისა სჭრის ჩვენი კრიტიკა, რა მიგვაჩნია ცხოვრებაში სასიქადულოდ, რა გვძულს, რას ველტვით, საითკენ მივისწრაფვით და სხვადასხვანი.

დღევანდელ წერილში მე მხოლოდ მოკლედ დაგისახელებთ, ვინ როგორის თვალით შეჰხედა „ოთარაანთ ქვრივსა“ და ვინ რა დაინახა ამ თხზულებაში, ვის რა საფუძველი მიუძღვის, როდესაც აქებს, და ან რა მიზეზით არ მოსწონს, ვინც აძაგებს.

ცალკე ლაპარაკისათვის რომ ყური დაგეგდოთ, გაიგონებდით სხვადასხვაგვარ კრიტიკულს მსჯელობას. მაგალითად, რამდენიმე ღარიბაისელ ადამიანისაგან გამიგონია ასეთი სამდურავი: აფსუს, ილიას ნიჭო, რომ ამისთანა წვრილმანზე იხარჯებაო. ყველაფერს მოვიფიქრებდით რომ ილიას კალამი შეეჭიდებოდა, მაგრამ იმას კი თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ თავადიშვილის ქალს შეაყვარებდა ვიღაც ოთარაანთ ქვრივის ბიჭსაო. აბა რა საკადრისია ამისთანა საქმე! გინდა კიდეც რომ მომხდარიყო სადმე მაგეთი უგვანო ამბავი, პატიოსნება მოითხოვდა დაგვემალა, ჩაგვეჩუმებინა, შინაურობაშივე მოგვენელებინა სირცხვილი, და ეგ-კი ამდგარა და საქვეყნოდ სწერს, რომ გლეხის ბიჭმა შეიყვარა თავადიშვილის ქალიო. ეს კიდევ არაფერი. თითონაც კვერს უკრავს, რომ ეგ სწორეთ მაგრეც უნდა იყოსო. არა, არ ეკადრებოდა ილიას კალამს მაგეთი საგანი და მაგრე ძირს დაშვება ბაირაღისაო.

მეორე ჯურის დარბაისელნი ბრალსა სდებენ მოთხრობის დამწერს, რომ ამისთანა ღვთის კაცი, ისეთი მადლიანი ბიჭი, როგორიც გიორგი იყო, მოადნობინა და ამოაჭამა თავადიშვილის გომბიოსაო. კესო ვინ ეგდო, რომ გიორგის შეჰყვარებოდაო. ჰაი თუ უნდა ჰავჭავაძეს, რომ საქმიანი გლეხობა გადაეკვიატოს უსაქმურ თავადის ქალებს და რაღაც „მიბრ-

ძანდ-მობრძანდიზე“ და ცარიელ სიტყვა-პასუხზე გასცვალოს გლეხის შრომის მოყვარეობა, პატიოსნება და გულ-კეთილობაო.

ამ გვარს ბევრს რასმე მოჰკრავდით ყურსა. მაგრამ ვინ მოსთვლის.

*

*

საქმე იმაშია, რომ თვით დაბეჭდილ წიგნებსა და წერილებშიაც კრიტიკა ვერ გასცილდა იმისთანა უსუსურ თვალთა ხედვას და ამგვარად საგნის დანახვას. ჯერ მხოლოდ სამი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა. ერთი თვით „ივერიაში“ და ორიც ცალკე წიგნი. ერთ წიგნს თავში აწერია „დავით სოსლანი“, დიდის ასოებით ამობეჭდილი. არა, ღვთის წინაშე, ამ წიგნში უფრო მეტი ბაასია ვიღაც დავით სოსლანზე, მაგრამ ავტორის განზრახვა-კი ისა ყოფილა, რომ ელაპარაკნა „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ. მეორე წიგნაკსა ჰქვიან „ჩატეხილი ხიდი“. ამ „ჩატეხილ ხიდს“ ქვეკით აწერია უსახელო ვიღაც ერთი მკითხველთაგანი და ისეთს აზრსა სტოვებს თქვენზედ, რომ თითქოს ერთს მკითხველთაგანს-კი არ დაეწეროს არამედ სამი მკითხველთაგანი ერთად შეერთებულიყოს და შეერთებულიყავე ძალით დაეწეროთ თავიანთი „საკლიტიკო“ წერილი. ძალიან მოსაწონია ასეთი საამური სამ-პირიანი ერთობა, ანუ ერთიანი სამ-პირიანობა. თუ კარგად გამოიკვლევთ, კიდეც მიჰხვდებოდით, ამ სამში რომელი რა ზომისაა და ერთად როგორ შეუდგენიათ ერთი მკითხველთაგანი. „დავით სოსლანის“ ავტორი ბოლოში ეკითხება თავის თავს და ჰნანობს პოეტის სიტყვებით—ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვსთქვიო. ოღონდაცაო—უპასუხებს მკითხველი. „ჩატეხილი ხიდის“ დამწერი სამ-პიროვნება-კი გეფიცება— ჩემს დღეში კალამი არ ამიღია ხელში და არც ამაა იქით-ღა მოვკიდებ ხელსა, ბოდიშს ვიხდი ამის დაწერისათვის და შესანდობელი მიზეზიცა მაქვსო. „შეიძლება, ჩემი აზრი კარგად ვერ გამოვხატე და ზოგ ადგილას მკვახე სიტყვებიც ვიხმარე. არ მომეტევებაო?“ მოდი და ნუ მიუტევებ ამისთანა უცაბედურს მწერალს. მოგეტევება ბ-ნო ერთი მკითხველთაგანო. როგორ არ მოგეტევება...ჰირველობა ხომ ერთხელ უნდა.

ხსენებულ სამ კრიტიკულ წერილში უფრო მომეტებულის მეცადინეობით არის დაწერილი „რამდენიმე შენიშვნა“ ბ-ნ მიხეილ ხელთუფლიშვილისა. მაგრამ მთელი კრიტიკული ძალა ამ მწერლისა დახარჯულია რაღაც წვრილმანებზე, გარეგნობაზე და სიტყვების გაცვლა-გამოცვლაზე. მაგალითად, თუმცა ბ-ნ ხელთუფლიშვილი თითონვე გვარწმუნებს, რომ ოთარაანთ ქვრივი ისე ხელოვნურად არის ამოთვალ-თვალებული ჩვენის ცხოვრებიდან, რომ სადაც-კი ტიპის წარმომადგენელს შეჰხვდები, მხიარულად მიეგებები: „ო, ნათლიდედ, ნათლიდედო“, როგორც ჩვენს ძველ ნაცნობსაო.—მაგრამ ამასთანავე საშინლად უკვირს, რად დაარქვა ჰაეპა-

კაძემ თავის მოთხრობას სახელად „ოთარაანთ ქვრივიო". თითონ კრიტი
კოსიევე გვეუბნება, რომ ქვრივის ხასიათი ბევრით უფრო ცხოველად არის
დახატული, ვიდრე სხვა გმირებისაო. და თითონვე უკვირს მოთხრობის სა
ხელი. ძალიან არ ეპაშინკება ბ-ნ ხელთუფლიშვილსა, რომ მოთხრობაში
ჰხოლოდ რამდენიმე სიტყვაა ნათქვამი არჩილსა და კესოზე. ნამეტნავად
იმაზედა სწყრება, რომ მოთხრობის ავტორს არ ჩაურთია დაწვრილებით
აღწერა კესოს თვალ-წარბისა, გულ-მკერდისა, ელფერისა, რომ არა
აღწერილი ის გარემოება, რომელშიაც პირველად შეჰხვედა გიორგი კესოს
და გულში ჩაუვარდა იმისი სიყვარული და სხვანი. კრიტიკოსს არც ის
მოსწონს, რომ და-ძმანი „ტკივილით" ლაპარაკობენ „ჩატეხილ ხიდზე"
და „თითების ფშვნეტით და მტვრევით" ეკითხებიან ერთმანეთს—წარხ
რაღააო. ამის შემდეგ კრიტიკოსი სწამებს მწერალს, ვითომც ამას მ ა რ ტ ო
სისხლ-ხორცი და გვარიშვილობა მიაჩნდეს წოდებათა დაშორების მიზე-
ზად, სწამებს და თითონვე არღვევს ამ აზრსა, რომელიც სრულებით არ
შეგვხვედრია მოთხრობაში. ასეთ აზრების დარღვევა ყოველად ადვილი
საქმეა, მაგრამ მოთხრობა და იმისი დამწერი რა შუაშია!

რაკი ახალგაზრდა კრიტიკოსმა ერთხელ ფეხი შესდგა დაწამებაში.
ბერე უფრო გაუადვილდა ასეთი საქმე და უფრო მეტი გამბედაობაც გა-
მოიჩინა. აი მაგალითიც: „ყოველივე წოდება თვით შედგება მრავალი
ინდივიდუუმიდამ, მრავალ გულიდამ და, მაშასადამე თვით წოდების სამ-
ზღვრებში შესაძლოა „ორ-შუა მადლის საქმობა." ესე იგი მთელი გულის
მადლის დაცვა. თუ ავტორს სახეში აქვს არა წოდების თვითეული წევრი.
არამედ მთელი წოდებანი—განა წოდებას, როგორც წოდებას, რაგორც
შეკრებულობითს საგანს, ჰქონია ოდესმე, ან შეიძლება-კი ჰქონდეს მთე-
ლი, გინდ ნახევარი გული? მაშ რა ჰაზრი აქვს მთელ ამ „გულ-მადლის"
ფილოსოფიას?

უნდა მოგახსენოთ, რომ გულ-მადლის ფილოსოფია-კი საკმაოდ მესმის,
მაგრამ სრულებით ვერ გამიგია, რა აზრი აქვს ამ შენიშვნას. განა მოთხ-
რობა გვეუბნება, რომ ერთს წოდებას აქვს მთელი, ნახევარი და მესამედი
გულიო? განა მოთხრობა ამტკიცებს, რომ მთელს წოდებაში, და იმის საზ-
ღვრებში გული არ მოიპოვება, რომ ენამ იმოციქულოსო, ანუ ოროა შუა
მადლი მოჰხდესო? კარგია, თქვენმა მზემ, კაცი თითონ შესცდეს, მერე თა-
ვის მოყვასს მოახვიოს ეს შეცდომა თავზე და ბოლოს მისდგეს და მტვერი
იმასვე აადინოს: შე აგეთ-იგეთო, მაგისთანა შეცდომა როგორ მოგივიდა
თავში და თუ მოგივიდა, როგორ გაჰბედე, რომ საქვეყნოდ ჰღალადებო.

ასეთი გაცვლა-გამოცვლა სიტყვებისა ვერაფერი იარაღია კრიტიკულ-
მსჯელობაში. ერთი ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ კრიტიკოსს მაინც მოს
წონს ყოველივე ცალკე კარი მოთხრობისა. ეს არის, ვერ გაუგია აკიდო და
დედააზრი „ოთარაანთ ქვრივისა."

„დავით სოსლანის“ ავტორი ძალიან ბევრს ლაპარაკობს იმაზე, რომ კრიტიკა და ლანძღვა-თრევა ერთი და იგივე არ არისო. მე და ჩემმა ღმერთ

ამ შემთხვევაში ავტორი არ სტყუის. შემდეგ გადადის იმაზე, რომ კრიტიკა ისტორიული უნდა იყოსო. ესეც მართალია, მაგრამ ერთი ვკითხოთ—ვაგებით როგორ გაუგია „დავით სოსლანის“ ავტორს, რა არის ისტორიული კრიტიკა. ისტორიული კრიტიკაო, ამბობს იგი, და გვისახელებს იმ ამბავს, რომ ბ-ნ ჭავჭავაძეს გარემოება ხელს უწყობსო, ე. ი. დრო და მოკალეობა აქვსო. ამ სახით გამოდის, რომ ისტორიული კრიტიკა ის არის, როცა კრიტიკის განსაკითხავი მწერალი მდიდარია. თუნდა თვითონ კრიტიკოსი-კი ძალიან ღარიბიც იყოს.

აგრეთვე ნამდვილი ჰეშმარიტება სთქვა ამ კრიტიკულ წერილის ავტორმა, რომ ბ-ნ ჭავჭავაძე სამართლიანად ითვლება მწერლობაში ქართველ ერის მესაიდუმლედ, გულის მოპასუხედო, მაგრამ ეს ჰეშმარიტება მიღებული და დამკვიდრებული სახელია. სახელს სახრავიც უნდა. ვინც იმეორებს და სახრაეისა არა გაეგება-რა, იმას რაც უნდა კაი სიტყვა სთქვას, ფრაზიორს ეძახიან. ქართველ ერის მესაიდუმლედ-კი აღიარა მოთხრობის ავტორი და იმას-კი ვერ მიხვდა, რომგლი საიდუმლოა გატარებული „ოთარაანთ ქვრივში“.

მიზეზიც ეს მიუხვედრელობა და გაუგებრობაა, რომ კრიტიკოსსა ჰგონია, ვითომც „ოთარაანთ ქვრივით“ მწერალი დარაჯად ედგას წოდებათა დაშორებას და გიორგისთანა გლეხის ბიჭებს ეუბნებოდეს—ჰა, არამც და არამც არ გაგიწყრეთ ღმერთი და კესოები არ შეიყვაროთო, თორემ თივის ზვინებიდან გადმოსცვივით, ურმის ჰალაზე აეგებით და უცებ სულს განუტევებთო.

ეს კიდევ არაფერი. თვითონვე ამბობს, რომ გიორგი შეძლებული ბიჭია, ზრგს აზნაურსა და თავადს უკან მოიქცევს თავის ქონებითაო და თანაც უმატებს, რომ გიორგი მარტო მაშინ შეიყვარებს კესოს, როდესაც იმის მამულ-დედულს ხილში ჩაიგდებსო. სიყვარულს როდი დაუშორებია ერთმანეთს წოდებანი, რომ სიყვარულმა გადოს მათ შორის ხიდიო. ავტორი ვერ იცნობს გიორგისაო—ამისთანა ბრგე ბიჭი უთუოდ თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც ციდამ დანიშნულს ღვთის რისხვას, ჯალდიდამ მოხეთქილს ნიაღვარს, რომელმაც თან უნდა გაიტანოს არჩილები და კესოებიო.

ღმერთო ჩემო, ეს რა ღვთის ცეცხლი რამა ყოფილა გიორგი, რომელიც ჩვენ ასე წუნარ და საამურ ბიჭად გვეჩვენა. ან როგორ ვერ გამოიცნო ბ-ნმა ჭავჭავაძემ, რომელიც გიორგის დაბადებიდამ გიორგისავე სიკვდილამდე შესცქეროდა და შეჰხაროდა ამ გლეხის ახალგაზრდასა! საკვირველია თქვენმა მზემ!

ყველა უმეტესად გაგვიკვირდა, როდესაც „სოსლანის“ ავტორი მოგ-

ჟიყვება: „გიორგი ის გვამია, რომელსაც შეუძლიან ბედნიერ შემთხვევაში შეიქმნას ნაპოლეონად, გარიბალდად, ვაშინგტონად და სხვად. ერთის სიტყვით, გიორგიდამ ადვილად შეიძლება გამოვიდეს ან სისხლის ამჩქეფი ღვთის რისხვა, ან ნიაღვარივით მოხეთქილი საერო ტრიბუნი. ცხოვრებაში და სალიტერატურო ასპარეზზედ ხომ გიორგები სამუდამოდ რჩებიან ყველასაგან აბუებულ და მოძულებულ პირებად. გიორგისთანა გვამი ყოველთვის ამპარტავანი და მედიდურია და არც შეიძლება არ იყოს... მართალია, მისნი სულით გლახაკნი და შურით აღგზნებულნი ტოლ-სწორნი მუდამ სისინობენ და უთითებენ გიორგის ამპარტავნობაზედ, მაგრამ მას მაინც უხდება ეს ამპარტავნობა... როგორც ლოღიკური შედეგი, გიორგის სულის თვისება არის სხვაზედ ბატონობა, სხვა პიროვნების დაჩაგვრა. აქ რამდენიმე ხაზი კიდევ აკლია, რომ გიორგის ხასიათი სრულიად დაგიხატოთ, მაგრამ დანარჩენს თქვენც მიჰხვდებით.

„დავით სოსლანის" ავტორი ლაპარაკობს გიორგიზე, მაგრამ ისე ოსტატურად-კი, რომ გიორგისა სცემს და სხვას-კი ასმენს, ე. ი. გიორგიზე სწერს და სხვა ვიღაც დიდ-ბუნებოვან კაცს-კი გვანიშნებს ჩვენშივე. მართალია კრიტიკოსი: აქ რამდენიმე ხაზი კიდევ აკლია, რომ გიორგის (ესე იგი, ვინც სახეში ჰყავს ავტორს, იმისი), ხასიათი სრულიად დაგიხატოთ, მაგრამ დანარჩენს თქვენც მიჰხვდებით." დიაღ, დანარჩენს ხომ მიჰხვდებით, მკითხველო, საით უყო კრიტიკოსმა თავი ამ გიორგის სახელსა. აი სწორეთ ეს არის—მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო. თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე-კი სწორე უნდა მოგახსენოთ, რომ საშურველ ყოფად მიმაჩნია ისეთი ყოფა, როდესაც კაცს თავისი ერთიბეწო თავი ქვეყნის ღერძადა ჰგონია: შემომხედეთ და დარწმუნდით, რომ მე ვარ მზე ქვეყნისა, მანათობელი და მაცისკროვნებელიო. მომეცით გარემოება, შემთხვევა—და ხვალვე გარდავიქცევი გინდა ნაპოლეონად, გინდა გარიბალდად, გინდა ვაშინგტონი გავხდებიო.

*
* *

რაც შეეხება „ჩატეხილ ხიდს," ეს კრიტიკული წერილი კი არ არის, რაღაცა აბდა-უბდა გადასკუპდაა თავიდამ ბოლომდის. აიღეთ რომელიმე ადგილი განსაკითხავ თხზულებისა, მორთეთ შეუფერებელის შენიშვნებით, აი თუნდა ასე: აგრე იარე მცხეთამდი, მცხეთას-კი გაგივაკდება-ქო, და გამოვა სწორეთ „ჩატეხილი ხიდის" ასლი, მაგალითად, მოვიყვანოთ რომელიმე ხანა რუსთაველისა, თუნდა შემდეგი:

თავი ყოლა ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი.
განა-ღა სთქვას ერთი-ორი,
უმსგავსი და შორი-შორი,
მაგრამ იტყვის: ჩემი სჯობსო,
უცილობლობს, ვითა ჯორი.

გავარჩიოთ ახლა „ჩატეხილი ხიდის“ ყაიდაზე: „თავი (რატომ ბოლო არა?) ყოლა (მითომ ესეც სიტყვაა რაღა!) ნუ ჰგონია (მითომ რატომ არ უნდა ეგონოს) მელექსეთა (თუ მეთევზეთა!) კარგთა სწორი (სიბრძნით აღემართენით!). განაღა სთქვას (რომ არა სთქვას, მერე რაღას იტყვიან!) ერთი-ორი (რატომ სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი აღარა?.. ლექსი არ არის, მაშ რა ეშმაკებია!) უმზგავსო (მითომ მახინჯიაო რაღა) და (და, თუ ძმა, თუ ბიძაშვილი, თუ ბაბუაშენი!) შორი-შორი (მე ვსთქვი—შორშორიო. და მომაგონდა ჯონჯოლი, ზეთის ხილი, ტარხუნა, პრასა, წიწმატი, ქონდარი, პიტნა-პიტნა პილენძა, მარგალიტი გამექცა). მაგრამ იტყვის (რატომაც არა, იტყვის, მაშ ენა ტყუილად მიუცია ქვეყნის დამბაღებელსა! თქვენ რა გკლამთ, როცა სხვებიც იტყვიან რასმე! სულ ხომ თქვენ არ ილაქლაქებთ!): ჩემი (შენი რათა! სულ შენი, სულ შენი, ჩვენი-კი აღარა უნდა იყოს-რა!) სჯობსო (ახლა ამას დაიჟინებს—სჯობსო!) უცილობლობს (მე მეგონა უცინის ლობიოსაო. აბა ენაც ამას ძიქვიან, აი!), ვითა (ეს რაღა ღვთის წყრომაა!) ჯორი (მითომ სასაცილოდ უნდა აიგდოს ეს პატიოსანი მშრომელი პირუტყვი! მოდი ამას იქით ნუ იტყვი, რომ ავტორი არისტოკრატია: იმისათვის საქები მარტო ყარაბაღული ცხენებია და ჯორი-კი, ეს პატიოსანი პირუტყვი. რომელიც გლეხს უანგაროდ ტვირთს უზიდავს საგინებელ სახელად გადაუქცევია!).

ამისთანა კრიტიკა სახსენებელიც არ არის, მაგრამ რას იზამთ, როდესაც რა-კი კაცი იტყვის „ერთსა, ორსა, უმზგავსო და შორი-შორსა“ მაშინვე თავისი თავი ყოლა ჰგონია კრიტიკოსთა კარგთა სწორი და თუ ნაპოლეონობას არა, ბულანჟეობას ხომა სჩემობს და სჩემობს.

„დავით სოსლანის“ ავტორი გვარწმუნებს, ვითომც ქართველ მწერლობაში ვიღაცებმა „ფხიანი და სამართლიანი პუბლიცისტები არ აბოგინესო და სულ ექსორიით განდევნესო.“ „ჩატეხილი ხიდის“ ავტორი, ერთი მკითხველთაგანი, თავის მხრივ თითქმის ამავე აზრს იმეორებს—გვეფიცება, ვითომც ქართველ საზოგადოებაში მრავალნი არიან პატიოსანი, ნიჭოსანი, ტალანტოსანი და სხვა ამგვარი ოსანებიო, მაგრამ იქაური პატიოსნები არიან, რომ ლაქლაქა მწერლებთან ერთად ვერ მოთავსებულანო. არ ვიცით, ეს ლაქლაქა მწერლები ვინ არიან და ერთის მკითხველთაგანის ნაწერს „ჩატეხილ ხიდს“-კი სრულებით არ აზის ბეჭედი ისეთის მწერლისა, რომლის სახელი აღემატებოდეს ლაქლაქობის ღირსებასა. ეს საკვირველი სამპიროვანება საშინლადა ჯავრობს ახლანდელ მწერლებზე, მიწასთან ასწორებს და არ ვიცით-კი რა დანაშაული უნდა მიგვიძღოდეს ამ გაბრაზებულ კაცთან! ჩვენი რა ბრალია, რომ ზოგიერთი რამ იმას სრულებით ვერ გაუგია, ზოგს ვერ მიმხვდარა, ზოგან სრულებით თავ-ბედს იწყეველის. მაგალითად, თავის წიგნაკის მე-17 გვერდზე იძახის: „მე ჩემის მოკლე ჭკუით ვერ მიმხვდარვარ და, თუ შეიძლება კარგად შემატყობინეთ: ვინ, ვის და რისთვის ეძახისო?“

თუ-კი მოკლე ჰკუა აქვს კაცსა, აბა როგორ უნდა მიჰხვდეს ან ფართო სურათსა და ან რთულ აზრსა! აქ არავის ბრალი არა აქვს და ნურც არავის დაემდურებით. ვისაც-კი მისხლის ოდენა ჰკუა მოეძევება თავში, ყველამ გაიგო, რომ იქ მომაკვდავი ოთარაანთ ქვრივი ელაპარაკება თავის გიორგის სულს, და ყველაზედაც შთაბეჭდილება მოახდინა საშინელმა სურათმა დედა-შვილობის სიყვარულისამ. ვინც ვერ გაიგო. და აბა იმას რა წამალი დაედება!

•

აი, ეს გამოითქვა აქამდე „ოთარაანთ ქვრივზე.“ თქვენა ხედავთ, რომ ზოგი ეკამათება ავტორს—მაგეთი სახელი რათ დაუძახე მოთხრობასაო, ზოგი ემდურება—მაგეთი სიყვარული შეუძლებელიაო, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. მაგრამ ყველას კი ეტყობა, რომ ლაპარაკის მადაზედ მოსულა, ყველას რაღაც მოჰხვედრია გულსა და ჰკუაში და ამიტომ უნდა პასუხის გაცემა.

...ჩვენ ვეცდებით ჩვენის შეძლებისამებრ გამოვარკვიოთ, თუ რა არის ამ მოთხრობაში ისეთი, რომ ჩვენი საზოგადოება ასე აალაპარაკა.

II

...დღეს-კი თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ სახელზედ, რომელიც ყველას პირზე აკერია შესახებ „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორისა: ილიოზომ მესაიდუმლე და გულის მოპასუხეა ქართველის ერისაო. გავსინჯოთ. საიდამ წარმოსდგა ეს მესაიდუმლეობა და გულის მოპასუხეობა ჩვენის ავტორისა.

ლექსებსაც რომ თავი დავანებოთ და მარტო მოთხრობებს გადავავლოთ თვალი, ჩვენა ვნახავთ, რომ ბ—ნ ჰაქჰავაძეს საგნად აუღია თვალ-უყური ადევნოს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და დასაჯნეც ფერადით შეხამებულის სურათებით გადაგვიშალოს თვალ-წინ გული, ჰკუა-გონება და აზრი ქართველისა, იმისი ზნე და ხასიათი, იმისი იმედები და განზრახვანი. „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და დღეს „ოთარაანთ ქვრივი,“ ეს სამი მოთხრობა, ერთად აღებული, სხვა არა არის-რა გარდა სხვადასხვა ნაწილი ერთისა და იმავე საგნისა. გაუსწორეთ ამ სამსავე თხზულებას თქვენი გონების თვალი და ნათლად დაინახავთ, რა მტკიცე კავშირით არიან იგინი ერთმანეთზე გადაბმულნი. „კაცია-ადამიანი,“ „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ არის დასურათებული ფილოსოფია ჩვენის ცხოვრების ისტორიისა ამ უკანასკნელ ორ-მოცდა-ათის წლის განმავლობაში. თუ ეს ფილოსოფია საბუთიანი და მართალია, რაშიაც ეპქვს ვერ შეიტანს, ვისაც-კი ჩვენი ცხოვრებისათვის თვალ-ყური უდევნებია,—ჰო, თუ ეს ფილოსოფია მართალია, მაშინ ჩვენ ხელში გვქონია ისეთი საფუძველი, რომლის შემწეობითაც შეგვიძ-

ლიან ისტორიულად გავსინჯოთ, რანი ვიყავით გუშინ-წინეებში, რანი შევიქენით გუშინ და ვინა ვართ დღესა.

პირველი კანონი ჭკვიანობისა და სიბრძნისა არის — შეიმცნე თავი შენი, გამოიცან ვინა ხარ, რა ხარ, რა ზომისა და ყალიბის ადამიანი ხარო. აგრეთვე ერის გონიერებაც მაშინ აიდგამს ხოლმე ფეხსა, როდესაც იგი არ არის დაბრმავებული ცრუ-ამაყობით და თავის თავს უყურებს კრიტიკის თვალითა. თუ რომ ბ—ნ ჭავჭავაძის მოთხრობებს შევხედავთ, როგორც ერთ-ერთ წყაროს ჩვენის ვინაობის გამორკვევისას, უნდა რწმენით ვაღიაროთ, რომ ჩვენს ცხოვრებას, შორიდამ თითქო ასე მიჩეშებულსა და შეგუბებულს, კარგა შესამჩნევი ნაბიჯი გადაუდგამს მსოფლიო სარბიელზე ამ ორმოციოდე წლის განმავლობაში. აიღეთ დარბაისელი თავადი ლუარსაბ თათქარიძე თავის მეუღლითურთ და შეადარეთ თავად დათიკოსთან, „გლახის ნაამბობის“ გმირთან, და მერე ეს ორივენი დაუსისწრივეთ კესოსა და არჩილს „ოთარაანთ ქვრივის“ გმირებს. ნუ თუ ვერა ჰხედავთ, რა დიდი მანძილი სძევს ერთის მხრით ლუარსაბისა და მეორეს მხრით არჩილის შორის, რამოდენა უფსკრული აშორებს ერმანეთს კესოსა და იმის ბრწყინვალება დარეჯანს. თავადიშვილებიდამ ახლა გლეხებზე გადადით და მიჰმართეთ აქაც შედარებას. აიღეთ ხეველობაში ლუარსაბის დათო, დარეჯანის ლამაზისეული და შეადარეთ „გლახის ნაამბობის“ გაბრიელსა და თამროს, მერე გადმოდით ჩვენის ცხოვრების დღევანდელს შვილებზე, ოთარაანთ ქვრივსა და იმის შვილს გიორგიზე.

ეს შედარება ნათლად დაგანახებთ, რამოდენის ბეჯითობით უკვლევია და უსწავლია ჩვენი ცხოვრება, როგორ ამოუკითხავს ჩვენი გულის პასუხი ჩვენისავე გუილდამა და როგორ გამხდარა ჩვენს შესაიდუმლოდ პატივცემული ავტორი.

* * *

როდესაც ასეთის თვალით შეხედავ „ოთარაანთ ქვრივსა“, მაშინ ველარ იტყვი, რომ ავტორს შემთხვევით დაეწეროს ეს მოთხრობა, ე. ი. ვითომც ბ-ნ ჭავჭავაძეს ეწეროს აქამდე მეთაურები გაზეთში, მოსწყენოდეს ასეთი წერა და ეთქვას — მოდი, ახლა კიდევ, მავანისა და მავანის გამოსაჯავრებლად ავდგები და მოთხრობას დავწერ და დავარქმევ სახელად თუნდა „ოთარაანთ ქვრივს“, თუნდა „ვარდბულბულიანს“, თუნდა „ეშხსა და ალერსსაო“. არა, „ოთარაანთ ქვრივისთანა“ მოთხრობა ასე შეკვეთით როდი იწერება. იგი არის ნაყოფი ხანგრძლივის დაკვირვებისა და ჩვენის ცხოვრების შესწავლისა ყოველ მხრივ.

ამ მოთხრობით ავტორი გვეუბნება—მართალია, ჯერ კიდევ ძალიან დაბლა ვდგევართ, ძლიერ დაქვეითებულნი ვართ, მაგრამ ღვთის მადლით ლუარსაბობა სამუდამოდ გადავარდა, გაახილეთ თვალი და დასტკბით

ახალის ნიშნებით, რომელიც ლაზათსა და შვენებას აძლევს ჩვენს დღეკანდელს ცხოვრებას და რომელიც შეხორცებული ნაყოფია ჩვენის ავ-კარგიანობისაო. ამას იქით ლუარსაბი და დარეჯანი, თუმცა ძლიერ გულ-კეთილნი და დარბაისელნი ბრძანდებოდნენ, არა თუ ჩვენის ცხოვრების საათაებში ველარ გამოიჩიმებიან თავიანთის ქოშებითა და ფლოსტებით, არამედ უკვე შეიქმნენ ხორც-მეტნი და ნელ-ნელა თან-და-თან ადგილს უთმობენ არჩილსა და კესოს. აგრეთვე ცვლილება მოხდა გლეხკაცობის ვინაობაში და უწინდელის დათოსა და ლამაზისეულის ადგილზე დამკვიდრდნენ ოთარაანთ ქვრივები და გიორგებიო.

ზოგიერთი კრიტიკოსი, რომელსაც, იმავ თავით გონების ძაფი ჩასწუვეტია, ტუჩს აიტრუკავს ჩვენს შენიშვნაზე და იტყვის —ვითომც რა დიდი ნაბიჯი ჩვენ გადაგვიდგამს ცხოვრებაში, რომ ლუარსაბის მოადგილედ ვიღაც არჩილი გამოგვცხადებიაო. ლუარსაბი თავისთვის მაინც იყო, ლაპარაკი არ შეეძლო ჭკუა-მოკლეობის გამო და გულს მაინც არ ვეწყვრილებდა თავის უბედობითაო. ამ არჩილმა-კი სწორედ სული შეგვიხუთა იმდენსა ლაპარაკობსო.

მე არა ვარ თაყვანის-მცემელი არც არჩილისა და არც კესოსი. ჩემი აზრით, კაცი მაშინ არის სრული, როდესაც შეგნებული აქვს გარემო ცხოვრება, სდგას თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზედ და მთელის თავისის ღონით თავ-გამომეტებული ემსახურება ქვეყნის დღეგრძელობასა, ჴეშმარიტებასა და მართალს. თქვენის აზრით იქნება ამაზე უფრო მეტი მოეთხოვებოდეს ყოველს კაცსა და უკეთესიც იყოს, რომ ლუარსაბის ადგილი დაეჭირათ იმათ, ვინც თქვენ მართლა სრული არსებანი გგონიათ, მაგრამ საქმე ის კი არ არის, რა უფრო ემჯობინებოდა ჩემის და თქვენის აზრით, რომ ყოფილიყო ჩვენს არჩევანს როდი უგდებს ცხოვრება ყურსა. ცხოვრება გვეუბნება—გაიგეთ და შეიტყეთ, რომ ლუარსაბის ადგილზე ჩავაყენე არჩილიო. თქვენ როგორა ჰფიქრობთ, ამ ორში რომელი უფრო სამჯობინოა თქვენთვისაო. უკეთესები რომ ჯერ არ მიღირსებია თქვენთვის, რაღასა არჩევანობთო. აი ჩვენც ამაზე უნდა ვაგოთ პასუხი.

* * *

თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ჩემი პასუხი ვერ იქნება ისეთი სრული, როგორიც მე მჭონდა განზრახული, და ეს გარემოება ბევრად მიშლის შეძლებისადაგვარად გავარჩიო „ოთარაანთ ქვრივი“, რადგან ამ პასუხშია ღირსება და ნაკლულევანება განსაკითხველის მოთხრობისა, მაგრამ შევეცდები მაინც ფეხი ჩავადგმევინო მკითხველს იმ კვალში, საიდანაც აშკარადა ჩანს ყოველი ღირსება და ნაკლი „ოთარაანთ ქვრივისა“.

მოიგონეთ ის დრო, როდესაც ლუარსაბ თათქარიძეები ჩვენს საზოგადოებაში პირველ კაცებად ითვლებოდნენ. რა ყოფაში იყო მაშინ ჩვე-

ნი თავად-აზნაურობა და გლეხობა, რა შეადგენდა იმათის სულის სარ-
ჩოს, გულის ავ-კარგიანობას, რა თვალით უყურებდნენ მაშინ ჩვენნი წი-
ნაპარნი ქვეყანას, ღმერთს, რა იყო იმათს თვალში კეთილი და რა იყო
ბოროტი, რა გაეგებოდათ ქვეყნის მართვისა და საზრგადოებათა ცხოვრე-
ბისა, ერთის სიტყვით, რა იყო მაშინდელი თავადი და გლეხი.

ვიდრე ჩვენი ცხოვრება ლუარსაბებსა და ლამაზისეულებს შემოი-
ღებდა, მანამდის ქართველს თავად-აზნაურობასა და გლეხობას ჰქონდა
საგანი ცხოვრებისა. მაშინ ჩვენს ქვეყანას გარეშემო ადგა მრავალი მტე-
რი, რომელიც ყოველს წამს მზად იყო აღეგავა ჩვენი არსებობა და ჰაერ-
ში განეფანტა ქართველის ხსენება. მაშინ ცხოვრების ძარღვი დაჭიმული
იყო ძალზე და ყოველს წარმომადგენელს ჩვენის ხალხისას ცხადად
ესმოდა თავისი კავშირი ქვეყანასთან და ქვეყნისა თავის თავთან. ქართ-
ველს კაცს ყოველი თავისი ნაბიჯი უნდა მოფიქრებული და განსაზღვრული
ჰქონოდა და ამათანავე ფხიზელის თვალით ეყურებინა მეზობელთა ფე-
ხის გადადგმისათვის. უნდა სცოდნოდა არა მარტო თავისი ძალ-ღონე,
არამედ მტრისაცა: უნდა შეეგნო მტრის ავ-კარგიანობა და თავის მოძმე-
თა ვინაობაც გაზომილი ჰქონოდა სიგრძე-სიგანეზე. ერთი სიტყვით,
მაშინდელს კაცს, გლესი იქნებოდა თუ თავადი, უნდა ეცხოვრნა, და კი-
დეცა სცხოვრობდა, საგანი ჰქონდა ცხოვრებისა. უამისოდ შეუძლებელი
იყო თავის გატანა იმდენ მტერთა შორის საზოგადოდ და კაცად ყოფნა:
საკუთრივ. ეს იყო წინა თაობა ლუარსაბისა.

* * *

მაშინ ლუარსაბის მამა-პაპას ცალს-ხელში ხმალი ეჭირა და ცალში
გუთანი. გლეხ-კაცობაც გვერდში ედგათ და სისხლის ღვარებით იგერიებ-
დნენ აქეთ ლეკებს, იქით ყიზილბაშებს, მერე ოსმალებს და სხვებს. ყვე-
ლანი ვაჟკაცობასა სცდილობდნენ და ვაჟკაცებადაც გამოდიოდნენ. ხალ-
ხი მადლიერი იყო თავის გმირებისა და დაუვიწყარ ლექსითაც ამკობდა.

შემდეგ გამოიცვალა ეს საშინელი ყოფა. ჩვენი ქვეყანა შეუერთდა
რუსეთს და ამ ძალუმ მომხრის მაყურებელი მტერი გაიქსაქს-გამოიქსაქ-
სა. ქვეყანა დამშვიდდა. აღარ იყო შიში არც იმისი, რომ მტერი მოვა და
დაიტაცებს ლუარსაბების ცოლ-შვილსა, გადასწვავს სახლ-კარსა და
სარჩო საბადებელს და დაამხობს, მიწასთან გაასწორებს სამშობლო ქვე-
ყანასაო. ერთის სიტყვით, დადგა ისეთი დრო, როდესაც აღარც თავად-
სა და აღარც გლეხს აღარ უპირდათ სამშობლოს დაცვა მტრებისაგან
და აღარაც-არა ეკითხებოდათ-რა ამ საგანზე.

ამისთანა მყუდროება შედარებითს ბედნიერებას შეადგენს მომზა-
დებულის ხალხისათვის. იჯექ შენთვისა და გაისარჯე, ავარჯიშე ხელი,
ფეხი, გონება, ჰკუა და ასახელე შენი ქვეყანა. მაგრამ ამისთანა საქმიანო-
ბასაც ჯეროვანი მომზადება უნდა და ჩვენნი წინაპარნი-კი სრულებით

მოუმზადებელნი იყვნენ აუმღვრეველ და ბოლომდის გამტან შრომისათვის. ამასობაში ხმალი დაჟანგდა ქარქაშში, თოფის ბუდეს ობი მოეკიდა და შიგ მომწყვდეული თოფიც ჟანგის შესაჭმელი გახდა. ხალხს აღარ ეპირდა ზრუნვა თავის დაცვისა—მტერნი ისეც განეფანტნენ. ჰკუავონებას აღარ აღელვებდა და აღარ ამუშავებდა ადრინდელი საგანი ქვეყნის მოვლისა, აქამდის დაიკარგა ეს საგანი, რომ მისი ხსოვნაც-კი გამოეცალა ჩვენს დარბაისელს ლუარსაბს: „დრო გამოიცვალაო— იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი,—დრო გამოიცვალა... ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დროზე იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე! კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანიო!“

ლუარსაბს სრულებით აღარ ახსოვს, რისთვის უნდოდა უწინდელს დროსა კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და პატიოსანი კაცობა!

აი, ამ გარემოებაში დაიბადა ლურსაბი, შედარებით მდიდარი თავადიშვილი. ლუკმა პური თავისთვის უყვედური და უკვდავი ჰქონდა. სწავლის წყურვლი იმას არა თუ არ ჰკლავდა, მეტ ბარგადაც მიაჩნდა. მამულის პატრონობა დათოსაც იმდენად შეეძლო, რომ იმის ბატონს გამუდმებით ჰქონოდა არტალა, ზურგიელი, ტარხუნა, ბოზბაში, და, თუ დარეჯანი გაჭირვეულდებოდა, ჩიხირთმაცა. სხვა რაღა იყო საჭირო ლუარსაბის ბედნიერებისათვის? მეტი არაფერი. ლუარსაბსა და დარეჯანს თავიანთ თავი მიაჩნდათ ბედნიერად და ეს ბედნიერება ერთი ათად ექცეოდათ, როცა-კი საჭორაო მასალა გატყვრებოდა საიდგანმე. და ან როგორ არ უნდა გამტყვრალიყო, როდესაც ყმები, რომელნიც ერთიან ხელში ჩაუცვივდნენ თავად-აზნაურობას, ჰხედავდნენ, რომ იმათი ხსნა და შეღავათი მოჰყვა მხოლოდ კარგად მოგონილს ჭორს, რომელიც ასე საამური და სანუკვარი იყო იმათის ბატონებისათვის.

მაგრამ რადგან საინტერესო და გულ-გასაყოლებელი ჭორი მარტო დროგამოშვებით შეიძლება და არა გამუდმებით, ამიტომ ხან-დაზმობით უთუოდ რაიმე საქმე უნდა გაეჩინა თავისთვის ბატონობასა და კიდევაც გაიჩინა. ეს საქმე გახლდათ ყმების „დაწიოკება“, რომელსაც ხან ჯერჯერით მისდევდნენ ლუარსაბი და დარეჯანი, ხან ორივე ერთად. ამას დაუყვირებდნენ უადგილოდ, უაზროდ, იმას თავში ჩაუთხლაშუნებდნეს ასევე უადგილოდ, უმიზეზოდ და თანაც უსამართლოდ. ლანძღვა-გინებაში ხომ გაუთავებლივ ვარჯიშობდნენ ორივე, რადგან სხვა წყარო ბედნიერებისა ვერა გამოენახა-რა მაშინდელს კმაყოფილს. „გულზე ბალან-მოდებულს“ ქართველ თავადს. ამასობაში მისი ჭკუა იქამდის დაეშო ძირსა, იქამდის დაიწია, რომ მართლა სხვას ვეღარას შესწვდებოდა გარდა ბუზების თვლისა. ეს, რასაკვირველია, იგავით არის ნათქვამი, მაგრამ თქვენ თვითონ იფიქრეთ. რითი უნდა ეკვებნა თავისი ღვთიური ძალა კაცსა,

ომელიც თავის სულელსა და უხეირო თავს სრულებით ბედნიერად სთვლიდა, იქამდის ბედნიერად, რომ დაიცინებოდა იმათზე, ვისაც ერთი ბეწო რამ გაეგო ქვეყნიერებისა. ომი რა არის, ომი და თვით ჩრდილოეთ ომიც-კი ქართველის კაცისათვის იქამდე აზრმოკლებული და უხალისო შეიქმნა იმ დროსა, რომ არ იცის არც იმის მიზეზი, არც შედეგი და გულიც არ ერჩის იკითხოს. საქართველოს საზღვრებზე იმ დროს რუსეთი ეომებოდა ოსმალოს და მასთან ერთად თითქმის მთელს ევროპასა. ეს ამბავი მთელს ქვეყანას მოედო, მთელმა კაცობრიობამ ყბა დააღო და გულის ძგერით ელოდა მის გათავებას, ყველამ იცოდა იმისი მიზეზი, იმისი აზრი-და ამ დროს აი როგორი მუსაიფი აქვთ ჩვენს ლუარსაბსა და იმის ბედნიერ დარეჯანს:

— მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბრძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

— ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედ, მიუგო ლუარსაბმა.

— მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

— როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

— რას ამბობ? ისე ლაპარაკობ, ასე გონია, არა იცოდე-რაო. მაშინ ადამისა და ევას მეტი არავინ ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა. ——

— მართლა, ეგ-კი ვეღარ მოვიფიქრე არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო იმათ რომ ხილი მოიპარეს?

ხე ბოროტისა და კეთილისა.

— ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

—როგორ არა, ამბობენ რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიაო.

— ზურმუხტისა იქნება, გაუსწორა ლუარსაბმა.

—ჰო, მართლა, ზურმუხტისა. ზურმუხტიც ფოთოლასვით მწვანეა. დიახ ზურმუხტისა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

— ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

— ძალიან კი მიგიშვებენ: ქვეშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

— მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

—აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა. შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისევ გაპარულა.

წაულია, წაუღია!... რა ეშმაკი ყოფილა!

მაშ, წაუღია!... მერე დედოფალი შებრძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისათვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქარის საქმეა და ომი დაუწყია. ის ომი ხომ დღესაც არ გათავებულა.

აქამდის დაეცა და დაძაბუნდა მაშინდელი თვით დაწინაურებული წოდება, რომელიც ერთს დროს იყო სახელოვანი და დამამშვენებელი ქვეყნისა. ჭამა-სმა, ძილი, ჭორი, ერთმანეთის მტრობა და ყმების დაწიოკება — ეს იყო დღიური და წლიური საზრდო თვით იმისთანა შუათანა კაცისა, როგორსაც ვიცნობთ ჩვენს გულ-კეთილს ლუარსაბსა. წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყო კაცი, რომელსაც აღარ შეჰრჩენოდა ქართული გულ-კეთილობაც-კი! ის იქნებოდა ნამდვილი ღვთის რისხვა. მაგრამ ავტორს მხოლოდ საზოგადო პირთანა აქვს საქმე, რომ ასე თუ ისე ყოველი ქართველი დაგვანახოს ლუარსაბის სახით.

თავის თავის მოვლა ხომ არ იციან, როგორ უნდა მოუარონ და უპატრონონ ამისთანა თავადებმა თავიანთ ყმებსა. მაგალითად, აი რა დღეში ჰყავთ ამ დარბაისლებს კარის მოახლე „ლამაზისეული.“

— სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანა. ტანზედ ეცვა ხამი ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა რა ფერისა იყო. კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა. დახეულებიდგან გამოჩანდა ერთი რაღაცა დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშ გარშემო ჩამოკიდებული, მითომ-და იუპკა. აი მეხი-კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუპკა! თაუზედ ეკრა შიგა და შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. ამ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლივით დასორსელილი შავი — უკაცრავად არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭ-მუჭად ამოშვეროდნენ. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული—აი იმ გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა.

თუ გოგო ასეთ ყოფაში ჰყავთ, არც ბიჭი შეჰნატრის თავის მდგომარეობას. საკმარისია განუმარტებლივ თვით ავტორის სიტყვები, რომ გაიგოთ, რა ჯოჯოხეთად მიაჩნია თავისი სიცოცხლე ამ ბიჭს:

„პატარა შორი ახლო ძველ, ჭუჭყიანი სამოვარი დგას, გვერდით დაჩოქილა გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატრისო ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობს:—ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ყოფილი ყავიო!“

მე მგონია, რომ ამისთანა ბატონების ხელში თვით ძაღლიც ისეთი უბედური უნდა ყოფილიყო, რომ უეჭველად სხვა რომელისამე პირუტყვის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატრებდა.

ამ გარემოებაში მარტო ის ყმა აშოვნიდა ლუკმა-პურსა და იცხოვრებდა ბატონისაგან შეუწუხებლად, რომელიც უკეთესად მოატყუებდა თავის ბატონებს. აქ მართალს არა ჰქონდა გასავალი, იმიტომ რომ ბატონებმა მართლისა არც თავი იცოდნენ და არც ბოლო. ლუარსაბის შარჯვენა ხელი იყო დათო, რადგან იგი გაიძვერა და ორპირი იყო. ყმას რომ მართლის თქმა სდომებოდა, თვით გლეხებივე დაუშლიდნენ— რა გინდა, შენთვის იყავი, ხომ ჰხედავ, რომ ბატონს ტყუილი საამურად მიაჩნიაო.

ამისთანა ყოფაში შემდგარია ცხოვრების ძარღვის ცემა. ხალხის ჯკუა-გონება, ზნე, ჩვეულება და ხასიათი ძირს იწევს. ბედნიერი რამ ვარემოებაა საჭირო, რომ ცხოვრებას მუჯლუგუნი წაჰკრას და სადაცთას ძილს ბოლო მოეღოს, თორემ საშიშია, რომ თვით საზოგადოება არ გაქარწყლდეს და ერთიან ძირს, არ დაემხოს.

ასეთი გარემოებაც მოსდა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ იმაზედ შემდეგისათვის იყოს.

III

მკითხველი მიხვდებოდა, რომელმა გარემოებამაც გამოაფხიზლა ქართველის მიძინებული გონება და ხავს მოკიდებული ზნეობა. ეს იყო ბატონყმობის გადავარდნა. ხოლო ჯერ მინამ ამ საგანს შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ მაინც გადავავლოთ თვალი იმ ხანას ჩვენი ცხოვრებისას, რომელიც გამოგვიხატა ბ-ნმა ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ მით უმეტეს ვერ გავჩუმდებით ამ ხანაზედ, რომ იმისი კვალი დღესაც ღრმად გატარებული აჩნევია ქართვლის ბედსა და ჯერაც საკმაოდ აღონებს და აძმარებს ჩვენს წარმატებას, , დღესაც აუფერულებს და აუგემურებს ჩვენს თვით-ცნობობას და კიდეც კარგი დრო გვინდა, რომ სრულებით განვთავისუფლდეთ იმისის მავნე ზედ-მოქმედებისაგან.

ვიდრე ჩვენში ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, ქართულ ცხოვრებას დაეტყო ორგვარი საყურადღებო მიმართულება. ერთმა მიმართულებამ აჩინა თავი გლეხთა ავ-კარგიანობაში და იყო უმთავრესად შედეგი იმათის გაჭირებულის ყოფა-ცხოვრებისა, ხოლო მეორე მიმართულებამ აიდგა ფეხი თავად-აზნაურთა შორის და იყო გამოწვეული ზოგი მთავრობის მეცადინეობით, ზოგი მიხედვით, ზოგიც სხვადასხვა სათანადო მიზეზით.

უეჭველია, გახსოვთ, მკითხველო, როდის უფრო ბედნიერი და კმაყოფილი იყო ხოლმე ჩვენი ლუარსაბი,—როცა ერთი ლაზათიანად გაძღებოდა, გადაგორდებოდა და იქვე ტახტზე გულაღმა და, ნიშნად უმაღლესის ატეხარებისა, დაიკრავდა მუცელზე ხელსა და თანაც დააყოლებდა ამ სიტყვებს: „გმადლობთ შენ, მეფეო, რათა განმაძღე მეო.“ ამისთანა ნეტარება სხვა არა იყო-რა დუნიაზე ლუარსაბისათვის. მაგრამ ისიც გეხსომებათ, რომ თვით ამ დროსაც-კი წარმრუდგებოდა ხოლმე თვალ-წინ ის ქარაველნი, ვისაც სწავლა-რამ მიეღოთ. მართალია, ლუარსაბი იმათ დასცინოდა და თავმოწონებული იძახოდა: მე-თუ არა მისწავლია, იმიტომ ვერა

ვარ ბიჭი ყარაჩუხელიო, მაკლია ჩიჩია, დიაღ, როგორ არა, მაკლიაო! ვინც სასწავლებელში წასულა, ფერზე ეგენი აღარ არიან, ხორცზე და ჯანზეო. ჰკავაც ხომ თან გაუყოლებიათ ფეხ-ხორცისათვისაო,—ჰო, მართალია ამაებს იძახდა ჩვენი ლუარსაბი, მაგრამ თვით ის ამბავი, რომ ასე ხშირად გადასწვდებოდა ნასწავლ ქართველებს, საბუთია, რომ ლუარსაბი ახალმა დრომ თითქო როგორღაც შეაფიქრიანაო.

უამისობა შეუძლებელიც იყო. რა კი მართვა და გამგეობა ჩვენის ქვეყნისა მიიღო რუსეთმა, საჭირო იყო იმისთანა ნაწილი ქართველის ხალხისა, რომელსაც შესძლებოდა შუამავლობა რუსეთის მთავრობისა და ხალხის შორის. ამ საჭიროებისა და მიხედვით, რუსეთის მთავრობამ გამართა თავისი სასწავლებელი საქართველოში. ლუარსაბები და მისი მშობლები-კი გაიძახოდნენ—წიგნი რა ვაჟკაცის ხელობააო, მაგრამ საჭიროება ქვეყნისა და მთავრობისა მოითხოვდა, რომ თუ ყოველს ლუარსაბს არა, ათასში ერთს მაინც სწავლა რამ მიეღო, თუნდა იმოდენი, რომ შესძლებოდა რუსული ლაპარაკი და რუსული წერა-კითხვა. მაშინ სწავლის უარყოფა იქამდე მიდიოდა, რომ ჩვენი ყმაწვილები სასწავლებლიდამ გარბოდნენ მამა-პაპის სახლში, რის გამოც მთავრობა იძულებული იყო გაეგზავნა ხოლმე სალდათები იმათ წასაყვანად. სალდათები მოსძებნიდნენ ამ ყმაწვილებსა, შეჰკრავდნენ, ასწევდნენ, გაიდებდნენ მხარზე და წივილ-კივილით და ვაივაგლახით ძალათი მიათრევდნენ ისევ სასწავლებელში. ჯერ ეხლაც შეხვდებით არა ერთსა და ორს მოხუცებულს, რომელსაც თავის თავზე გამოუცდია ყმაწვილობაში ასეთი ძალად ცხონება.

ვინც ერთი-ორი რუსული ისწავლა, მაშინ კაციც ის იყო. იმას ეკითხებოდა უმაღლესი საგანი ქვეყნის ავისა და კარგისა, იმასა ჰქონდა საქმე პირდაპირ მთავრობასთან, იგი იყო წარჩინებული, იმის ხელში უნდა გაევარნა სახელმწიფო ხაზინის სიმდიდრეს, იგი იყო დაჯილდოვებული ჩინით, მედლით და აპელატებით. ყველა ეს ღირსება ისეთს სიკეთეს შეადგენდა, რომ თავად-აზნაურობას, თუ თვითონ სწავლისა და მეცნიერებისათვის არა, ამ სიკეთის მისაღწევად მაინც უნდა გაეგზავნა შვილები სასწავლებელში და კიდევაცა ჰგზავნიდა. ლუარსაბის განაყოფები და თანამედროვენიცა სწავლობდნენ რვა-ცხრა წლობით ერთსა და იმავე „бра-бра", „ври-ври", „баба", „баня" "буря", „вата" და ამგვარებს, რის შედეგიც იყო ხოლმე უმეტეს ნაწილად ისა, რომ მოსწავლენი ბოლომდის ვერ ათავებდნენ სწავლასა და ბრუნდებოდნენ სახლში თითქმის იმავე ცოდნით რაც სასწავლებელში მ ჰყვათ შინიდამ,—და აგრეთვე ისა, რომ იშვიათს შემთხვევაში ჩინებისა და აპელატების ღირსნიც ვახდებოდნენ ზოგიერთნი, რომელთაც გაუძლეს სწავლასა და საკმაოდ დახელოვდნენ „бра-бра", „ври-ври"-ში.

* * *

ეს მიმართულება დაიბადა ჩვენს თავად-აზნაურობაში. ამავე დროს უფრო ძირეული და უფრო ღრმა მოძრაობა დაეტყო გლეხთა ცხოვრებას.

ბატონ-ყმობის დროს გლეხ-კაცი როდი ეკუთვნოდა თავის თავსა, იგი იყო კუთვნილება თავის ბატონისა, როგორც რომელიმე უსულო ნივთი ანუ პირუტყვი და ხშირად პირუტყვს ერთი ათად მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ყმასა. გლეხს არა ჰქონდა საკუთარი პიროვნება და ამიტომ არც იმისი სურვილი და განზრახვა იყო თავისუფალი. იმასა ჰქონდა განსაზღვრული არა თუ მარტო ჯამა-სმა, ძილი, ღვიძილი, არამედ თვით აზრი და გრძნობაც-კია. გლეხის გოგოს უნდა შეერთო ისეთი ქმარი, რომელსაც ბატონი მოათრევდა ყურით, და გლეხის ბიჭს ჯვარი უნდა დაეწერა იმ გოგოზე, რომელსაც ბატონი ამოურჩევდა. ამნაირად იყო ორი წოდება ერთმანეთზედ დაშორებული და თანაც დაკავშირებული კანონის ძალით. ბატონი თავის საკუთრებას, ყმას, საითაც უნდოდა, იქით უზამდა თავს. ყველაფერი დამოკიდებული იყო ბატონის სურვილსა და ნებაზე. ამიტომ, თუ მხედველობაში მიიღებთ, რომ ათასნაირი იყო ბატონი, ათასნაირის გუნებისა და სურვილისა, ადვილად წარმოიდგენთ საშინელს სურათს მაშინდელ გლეხის ყოფა-ცხოვრებისას. ყველა ბატონი ძალმომრეობდა უტყვ გლეხის წინაშე, ყველა მათგანი თავის ნებასა და სურვილს კანონად უდებდა გლეხს. ბატონების უსაქმურობა და უქმად ყოფნა ხომ უარესადა ჰშვენოდა გლეხთა დაჩაგვრას—უკეთესი საქმე თვით გულ-კეთილის ლუარსაბისა იყო გლეხთა „დაწიოკება". ამ დაწიოკების დროს ჰგრძნობდა ჩვენი ლუარსაბი თავის თავს კაცად: რომ არა ვჯობდე, ხომ ვერც დავაწიოკებო, და რაკი ვაწიოკებ, მაშასადამე კაცი ვარ და ქუდიცა მხურავსო. ეს ლოღიკა და ამგვარი მოსაზრება აძლევდა ლუარსაბს კმაყოფილებასა და თავის პატივისცემას. ზოგი თავადი და აზნაური ხომ უდიერებამდის მიეიდა გლეხთა ჩაგვრაში. არა ერთი და ორი მაგალითი ახსოვს ხალხს დღემდე, რომ გამხეცებულსა და განრისხებულს ბატონს კალოში ჩაებას თავისი ყმები და ხარ-კამეჩის მაგიერ მათთვის ეტარებინოს კევრები.

ამის შედეგი იყო ისა, რომ ჩამოვარდა დიდი წყენა ამ ორთა წოდებათა შორის. გლეხი არც ერთს ღონისძიებას არ ერიდებოდა, რომ თავი დაეძრო ბატონის განკარგულებისაგან. ამავე დროს ბატონის უსაგნო და უსაქმო სული და გული იმის მეცადინეობაში იყო, რომ გლეხის თვალში რაიმე წკირი დაენახა და ამ წკირის გულისათვის კეტი ემტვრია თავზე. ყმა უმეტეს ნაწილად გამორჩეული იყო ცხოვრებაში, ტოლ-ამხანაგობაში. შეგინებული იყო იმისი სინდისი, ადამიანობა, იმისი წმინდა-წმინდათა, თუ ყმა ტყუილითა და ცბიერობით მოახერხებდა ბატონის თვალების აბმას, ხომ რა კარგი, არა და—გამწარებული სცდილობდა რითიმე ევნო, ეზარალებინა თავისი „შემნახველი", თავისი „მამა", რომელსაც მარჯვე დროს სასიკვდილოდაც თვალ-დაუხამხამებლივ ორის ხელით გაიმეტებდა.

აი, სწორედ ამ დროს გაიღვიძა გლეხის გონებამა და შეუდგა ანგარიშების გასწორებას. თუ მანამდე დარწმუნებული იყო, რომ გლეხის გაჩენაში

ღმერთი არ ურევიაო და ამიტომ ფიქრიც-კი უკეთესის წეს-წყობილების უადგილოდ მიაჩნდა,—ახლა სიმწვავის ძალამ მოაფხანინა თავი და ღრმად ჩაფიქრა გლეხი ცხოვრების ვითარების თაობაზე. ნაყოფი ამ ჩაფიქრებისა იყო, რომ გლეხმა გულში გადასწყვიტა—მეც კაცი ვარ ღვთის გაჩენილი და თვით ბატონთანაც—კი თანაბარი უფლება მაქვს შეუწუხებელის და შეუვიწროებელის ცხოვრებისაო. როცა ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმებით შეშინებული ლუარსაბი ეუბნება თავის გლეხს: აბა, ეგ რა დასაჯერია მთა და ბარი ეის გაუსწორებია; აბა ამ თითებს შეხედე, აქაც — კი დიდ-პატარაობა არისო, გონება გაღვიძებული გლეხი უპასუხებს: მართალია, თითები ერთი დიდია, მეორე პატარა, მაგრამ ერთი-ერთმანეთს-კი არ უშლიანო. რაკი ასეთი აზრი დატრიალდა გლეხობაში და ყმამ თავისი თავი იცნო კაცად, ამას აუცილებლივ უნდა მოჰყოლოდა სურვილი თავის პიროვნობის აღიარებისა და დაცვისა. კიდეეაც მოჰყვა ეს პატიოსნური სურვილი და სურვილს—პატიოსნურივე მოქმედებაცა. მარაბდელი არსენა, დაუვიწყარი და დღესაც საყვარელია არა მარტო გლეხთათვის, არამედ მთელის ქართველობისათვის, უკეთესი ისტორიული წრმომადგენელია მაშინდელ ყმათა მოქმედებისა. არსენას შეუყვარდა გოგო და უნდოდა ცოლად შეერთო. ბატონმა ცივი უარი გამოუცხადა. არსენა წინააღუდგა თავის ძლიერ ბატონს, და რომ ვერას გახდა მოიტაცა თავისი საყვარელი და „ახალციხეს შეუყენა". ორნივ გაექცნენ ბატონსა იმ განზრახვით, რომ გაენთავისუფლებინათ თავი. არსენა გარდაიქცა ხალხის გმირად, ყველას უნდოდა და „ენატრებოდა არსენობა". რასაკვირველია, ყველას არ შეეძლო არსენობა, მაგრამ არსენაში გამოიხატა სრული და საჭურველი სურათი ყმისა, რომელსაც გული და მაჯა შესწევს, რომ წინაღუდგეს დამამცირებელ ყმობის ტანჯულ ცხოვრებას. განზრახვით-კი თითქმის პირველი და უკანასკნელი ყმა თანასწორი იყო არსენასი.

•

• •

ეს დრო აქვს აღწერილი ჩვენს ავტორს თავის „გლახის ნაამბობში". ბევრნი დღესაც ამ აზრისანი არიან, ვითომც ბ-მა ჭავჭავაძემ ამ მოთხრობით მეტად გადააჭარბა და განძრახ ასეთი სასიამოვნო სურათი დაგვიხატა გლეხისაო. თანაც ზოგი კრიტიკოსი იქამდე მოწყალეა, რომ ბ-ნ ჭავჭავაძის განზრახვა შესაწყნარებელ და საპატიო განზრახვად მიაჩნია: მაშინ ისეთი დრო იყოვო, რომ პატიოსანს მწერალს უთუოდ უნდა გაელამაზებინა და სპეტაკის ნათელით წარედგინა საზოგადოებისათვის გლეხი კაცი, თორემ უამისოდ ვერ ემსახურებოდა გლეხთა განთავისუფლების აზრსაო. შეიძლება თვით ჩვენი პატივცემული ავტორიც დაჰყვა ამ შემცდარს გაჩაჩნს კრიტიკისას, მაგრამ, როგორც მკითხველს ადვილად შეუძლიან დაინახოს, ეს განაჩენი ყოველად შემცდარია. არა თუ გაბრიელი, არამედ თვით კაკო ბღაჟიაშვილიც. ყაჩაღად გავარდნილი, მხოლოდ სრული მსგავსებაა იმ

შვენიერის გმირისა, რომელიც თვით ცხოვრებამ დაჰბადა ჩვენში და რომელზედაც უკვე ვთქვით ორიოდე სიტყვა. მე მოგახსენებთ არსენაზე და. ჩემის აზრით, უმთავრესი ღირსება „გლახის ნაამბობისაც“ ის არის, რომ გაბრიელის მოსაწონი ადამიანობა იოტის ოდნავაც არ ჰშორდება ნამდვილს ცხოვრებასა. პირ-იქით, თუ რამ წუნი შეგვიძლიან დავდოთ „გლახის ნაამბობსა“, ეგ არის—ავტორის მეცადინეობა: აგვიხსნას გაბრიელის ხასიათი, როგორათაც შ ე დ ე გ ი ქ ა ლ ა ქ ე ლ მ ღ ვ დ ლ ი ს ზ ე დ-მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა. მართალია, ეს მეცადინეობა ძალმდის უმანკოა და თვით მღვდლის სურათიც ისეთი სანატრელი და სასიამოვნო, რომ სრულებით ამართლებს ამ მეცადინეობას, მაგრამ მაინც ჩვენ გვგონია, რომ ეს ნამდვილად შეცდომაა. პირველი ესა, რომ მაგეთი მღვდლები ჩვენის ცხოვრებისათვის დიდი ხანია საარაკონი შეიქმნენ, და მეორეც ესა, რომ არსენა ათაყვანებელი შეიქმნა მთელის ქართველობისათვის და ნუ თუ ყოველ სოფელში ასეთი მღვდლები აგონებდენ ხალხსა და უხელდნენ ბრალს, რა არის ცხოვრებაში კარგი და ავიო!..

ერთის სიტყვით ავტორმა იმიტომ გაატარა ჩვენს თვალ-წინ სპეტაკი სურათი იშვიათის მღვდლისა, რომ აეხსნა ჩვენთვის გაბრიელის პატიოსნური შეხედულობა ცხოვრებაზე. ავტორი გვეუბნება, რომ გაბრიელი მართლის თვალით უყურებდა ქვეყნის ტრიალს და ამ სიმართლის მიზეზი იყო მღვდელიო—მღვდელმა ჩააგონა ადამიანობა, კაცური ღირსება, მოყვასის პატივისცემა, კაცთა თანაბრობა, ერთობა, ძმობა, მოწყალეობა და სხვანიო.

მე ვფიქრობ, რომ გაბრიელის ხასიათი ასე ადვილად ასახსნელი არ არის. თუ რომ გაბრიელი ნაყოფია მღვდლის ზედ-მოქმედებისა, მაშინ გამოდის, რომ თუ ამისთანა ღვთისნიერს მღვდელს არ შეჰხვედროდა გაბრიელი, არც ისეთი კარგი იქნებოდა და არცა-რა წინააღმდეგობას გაუწევდა თავის ბატონის დათიკოს უსამართლობასა. ჩემის აზრით, ჩვენი ცხოვრება გაცილებით უკეთესი მასწავლებელი იყო, ვიდრე თვით ის ჩინებული და სანატრელი მღვდელი, რომელიც მართლა სანთლით უნდა ეძებო მთელს დედამიწის ზურგზე და იქნება ვეღარსადაც-კი შეხვდე ამ დროებაში.

მაგრამ ეს ცალკე საკითხია და შორსაც წაგვიყვანს. მხოლოდ გთხოვთ ეს ჩემი შენიშვნა დაიხსომოთ, რადგან იგი გამოგვადგება, როდესაც „ოთარაანთ ქვრივზე“ გადავალთ. მაშინ თქვენ ჰნახავთ, რამდენად წინ წავიდა ავტორი შემდეგ „გლახის ნაამბობის“ დაწერისა და რამდენი ნაბიჯი გადასდგა მას აქეთ ნამდვილს ხელოვნებაში.

*

*

გაბრიელი შინაგანმა მუშაობამ გონებისამ მიიყვანა იქამდე, რომ გულში თავისი თავი მიაჩნდა თავისუფალ არსებად, რომელსაც არა-

ფერი კაცური არა ეხამუხება-რა და რომელიც მხოლოდ უსაშართლობის გამო გამხდარა ყმა და ბატონის კერძი. თვით საქმის ვითარებამ ორად გაანაწილა ერთი არსება ყრმისა, ორკაცად აქცია ერთი კაცი. და რამდენიც დრო გადიოდა. იმდენი უფრო ძლიერად ჰშორდებოდნენ ერთმანეთს ეს ორი ნაწილი ერთი და იმავე პირისა. ერთი ნაწილი. ანუ კაცი, იყო გარეგანი, საჩვენებელი და ჰქონდა თვისებანი მორჩილის ყმა-მეგობრისა, ხოლო მეორე-იყო შინაგანი კაცი, რომელსაც გულში დაეთრგუნა და დაემსხვრია ბორკილი ბატონ-ყმობისა და ჰგრძნობდა თავს თავისუფლად და დამოუკიდებლად.

ადამიანი ამისთანა ყოფაში უფრო მომეტებულსა ჰფიქრობს, ვიდრე მოქმედობს თანახმად შინაგანის კაცისა, იმიტომ-რომ შინაგან კაცს მალვა ეჭირება, იმისი გამომჟღავნება და გამოქვეყნება დიდად განარისხებს ბატონებს და ამასთანავე სასტიკად აღკრძალულია კანონით. სადაც არ არის მოქმედება თანახმად საკუთარის აზრისა და საკუთარის გარდაწყვეტილებისა, სადაც, პირ-იქით, უნდა იმოქმედო ისე, რაც სრულიად ეწინააღმდეგება შენს გონებასა და გულს, იქ, რასაკვირველია, კაცის ხასიათი იჩაგრება, აკლდება სიმტკიცე და ფერი. ხელში გვრჩება კაცი, რომელიც მუდამ გამზადებულია იფიქროს, იფილოსოფოსოს, ასწონ-დასწონოს საგანი ქვეყნის უსწორ-მასწორობისა და ბოლოს მივიდეს თვით იმ უმაღლეს გულ-გრილობისა და გულ-ქვაობის კიბემდე, საიდამაც ცხოვრება მიგაჩნია მხოლოდ სისულელეთა და ამაოებად. ერთის სიტყვით, ჩვენის ქვეყნის შვილი გაბრიელი შეიქმნა რეზონიერი გლეხი და ამაებში არაფრით ჩამოუვარდებოდა თვით დანიის პრინცს ჰამლეტსა. ამისთანა კაცი გაბოროტებულია სხვების უსამართლობით, სულითა და გულით ეზიზღება ეს უსამართლობა, სძაგს იგი, პრინციპიალური მტერია მისი და არა თუ თითონ არ არის მოწადინე სხვას გადაუხადოს უსამართლობა უსამართლობითვე, არამედ გაურბის ყოველ გვარს უსამართლობას, თუ-კი როგორმე გაიკვერა სადმე ბილიკი და მოახერხა გაქცევა. თვით მარაბდელ არსენას უმაღლესი ნუგეში და სასიქადულო სიტყბოება სიკვდილის ჟამს ის იყო, რომ კაცის სისხლს არ შეუღებია ჩემი მარჯვენაო. თვით ხალხის გენიოსობა ამის გამო დიდს პატივსა სდებს არსენას სახელსა. იქნება არც გაბრიელს მოეკლა დათიკო, თუ რომ ფიცი არ მიეცა მომაკვდავ პეპიასათვის.

ხომ გახსოვთ, რა უმანკო და პატიოსნურის სიყვარულით შეიყვარა გაბრიელმა პეპიას ქალი თამრო. პეპია ყმა იყო დათიკოსი. ერთხელ დათიკომ თვალი მოჰკრა მშველივით ცქრიალას, მალხაზსა, ლამაზსა და სანდომიან თამროს ეკლესიაში. ამ ერთის ნახვით გადასწყდა თამროს ბედი. დათიკომ მოინდომა იმისი გაუპატიურება. თუმცა გაიგო, რომ თამრო საცოლე იყო გაბრიელისა, და გაბრიელიც უყვარდა დათიკოს პატარაობითვე, რადგანაც იმასთან ძმასავით შეზრდილი იყო, მაგრამ ვერც მეგობრობამ და ვერც არაფერმა ვერ ამოაღებინა გულიდამ თამროს გაუპატიუ-

ება. დათიკოს განზრახვა შეიტყო თვით გაბრიელმა და პეპიამაც. გაბრიელმა იცის მტკიცე ხასიათი თავის ბატონისა, იცის, რომ არც ერთს ქალს, არ დაინდობს, თუ კი ერთი ბეწო წყალი უდგა თვალში, გადაწყვეტილი აქვს დათიკოს მოკვლა, რომ დაიცვას ნამუსი თაძროსი, და ნაცვლად ამ განზრახვის შესრულებისა მაინც მიდის და ეხვეწება დათიკოს,-ხელი არ შეახო თამროსა, ღვთის გულისათვისაო. რასაკვირველია, ხვეწნით ვერ დააშშვიდებდა დათიკოს სორცთა თქმასა, და თითქო მარტო ამ ხვეწნის შემდეგ იცნო თავისი ბატონიო, გამოიღო ხანჯალი, რომ იქვე დაეკლა კაცი, რომელიც გაუპატიურებას უპირებდა იმის საყვარელს თამროსა. ამ დროს მოსცივდებიან გაბრიელს კაცები, შეჰკრავენ იმასაც და თამროს ძამას პეპიასაცა და ჩააგდებენ საპატიმროში, საიდამაც მაშინდელი სამართალი პირდაპირ ციმბირისაკენ გაამგზავრებს ორსავე ყმას დათიკოსას. საპატიმროში პეპია ძლიერ დაჯანდაგდა, ასე რომ ციმბირამდის ვერ მიაღწევდა, გზაში სადმე ამოუვიდოდა სული. სინიდისის მხილებამ დათიკო იქამდის მიიყვანა, რომ ერთს ღამეს დაეცა თავს ყარაულებს, რომელთაც მიჰყავდათ გაბრიელი და პეპია, და გაანთავისუფლა ციმბირში მიმავალნი, მაგრამ პეპიამ მაინც დიდხანს ვერ იგემა თავისუფლება, მეორე-მესამე დღეს „თავისუფალ კაცად" დალია სული ანდერძ-აუკებლივ, უმღვდლოდ, მივარდნილს ალაგას. სიკვდილის დროს ფიცი ჩამოართვა გაბრიელს, რომ უკეთუ თამრო ნამუს-წართმეული დაჰხვდებოდა, უთუოდ უნდა ეზღვევინებინა დათიკოსათვის. ფიცის გატეხა რომ დიდ უნამუსობად არ სწამებოდა გაბრიელს, თავის დღეში ვერ მოახერხებდა თვით ამ კაცის მოკვლას, რომელმაც ამოდენა ტანჯვა მიაყენა არა ერთსა და ორს სანიძოს, არა ერთსა და ორს დედ-მამას, აჰხადა ნამუსი მრავალს საპატარძლო ქალსა, დაატანჯვინა ციხეში თვით გაბრიელი, უნამუსოთა სიაში ჩაატანინა მშვენიერი თამრო და დაასნეულებინა პატიოსანი პეპია. ასეთი არის რეზონერის მართლ-მოყვარეობა საზოგადოდ!...

ამისთანა არსებას ცხოვრება ექცევა ისე-კი არა, როგორც ღვიძლს შვილს, არამედ როგორც ნაგერალს. მაგრამ აბა გასინჯეთ, რამ სიღრმე ჩაკრული ძევს „კაცია-ადამიანის" გაიძვერა დათოსა და გაბრიელის შორის. თუმცა პირველი არის შვილი ცხოვრებისა და მეორე-კი დევნილი ნაგერალი, მაგრამ მთელი თქვენი სიმპატია ეკუთვნის ამ ნაგერალს, იმიტომ რომ ამაში ჰხედავთ აზრის გარჯას, პატიოსნებით სავსე გრძნობას. ჭკვიანს სიტყვას, განუსაზღვრელ სულ-გრძელობას და ერთგულს მომხრეს მართლისას.

* * *

ასეთი დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა გლეხობამ ბატონ-ყმობის გადაცარდნის წინ. ამავე დროს ლუარსაბსაც ნელ-ნელა საძირკველი მოულხვა, თვით ლუარსაბს რაღაც ფამფალი აუტყდა, თითქოს ძირ-გამოშმული მარგილიაო. ცხოვრებას აღარ უნდოდა ლუარსაბი. ახლა დათიკო შეიქმნა შუა-

ახა ჰირად, რომელსაც ცა ქუდად აღარ მიაჩნდა, დედამიწა—ქალამნად დათიკომ გაიგო გემო ქალაქისა. მაშინ—როდესაც ლუარსაბს მარტო გაგონილი ჰქონდა, ამან საკუთარის თვალითა ნახა სხვადასხვა მანქანება. საცა მრავალგვარი „სიტკბოება“ ცხოვრებისა, რომელსაც ატარებდნენ და დღესაც ატარებენ ტფილისის ეგრეთწოდებული პაჟარნები, დარდიმანდი და ჩათუქესანი ყმაწვილი კაცები. ერთი-ორი „ври-ври“ და „ври ври“ გამოჰკრა მეხსიერების ბოხჩაში და ეხლა აბა რაღას დასჯერდებოდა ლუარსაბის აუმღვრეველს ბედნიერებას. ამისათვის საჭირო იყო მოძრაობა, ქეიფი, თავ-გამოდებული შეტაკება თავის ტოლ-ამხანაგებთან და უმეტესად-კი დროს გატარება გოგოებში.

რომ გაზომოთ ნაბიჯი, რომელიც გადადგა გლეხ-კაცობამ ცხოვრების მოედანზედ „კაცია-ადამიანის“ დათოდამ „გლახის ნაამბობის“ გაბრიელამდე და შეადაროთ ნაბიჯს, რომელმაც დააშორა ამავ მოთხრობათა თაეადობა, უნებლიეთ იტყვით, რომ გლეხთა წარმატება გაცილებით მაღალი და ძრიელი იყო თავად-აზნაურობისაზე, მაგრამ მაინც ამ წოდებაშიაც ვხედავთ წარმატებასა, თუმცა იგი ძალიან და ძალიან მცირეა. თანაც ეს წარმატება შეეხება უფრო გონებასა. ზნეობურმა ღირსებამ ბევრში უკან დაიწია. ლუარსაბი მართალია ცოტა მოსულელო ბრძანდებოდა, კარგა ბარაქიანი ცრუ-მორწმუნე იყო, მაგრამ სამაგიეროდ გულით გაურყვნელი ადამიანობა შერჩა ბოლომდე, დარბაისლობისა და ზნეობურ სიფაქიზის სუნი მაინცა სდიოდა ძველიდამ გამოყოლილი. მართალია, ლუარსაბსაც ჰოუვიდოდა ხოლმე ნერწყვი, როცა კი პირწყლიან გოგოს მოჰკრავდა სადმე თვალსა, მაგრამ თუ როგორმე გაჰბედავდა რასმე, გაჰბედავდა ჩუმად ისე, რომ მარჯვენა ხელსაც-კი არ სცოდნოდა, რასა სცოდვილობს მარცხენა ხელი, არა თუ საქვეყნოდ გამოსულიყო და გოგოების ამამტუტებელი გამხდარიყო. დათიკოს აღარა გაეგება რა ამისთანა სიფაქიზისა. ჰორცხვობისა, რიდისა. იმას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, გარდა თავის სიამოვნებისა. დათიკო სიცოცხლით სავსეა და არა სჯერდება იმას, რაც ბედს იმისთვის ურგუნებია. იმას სწყურიან გაცილებით მეტი და კიდეეაც მისდევს თავის წყურვილსა, ლუარსაბს თუ მეტი რამ მოუნდებოდა, ერთი ნერწყვი კი მოერეოდა პირში და ამით გათავდებოდა თვით სურვილიცა. ნეტავი მაჭამა ის ხილი, რომელიც ადამმა და ევამა ჭამესო. იტყოდა ნერწყვ-მორეული ლუარსაბი და ამით გაათავებდა საქმეს.

აგრეთვე უწყინარი იყო იმისი სურვილი გლეხ ქალთა შესახებ და თუ ოდესმე რამ აღვიძებდა მოქმედებისათვის, ეგ იყო შური, და როცა-ეგ შური უჩხვლეტდა ხოლმე, მარტო მაშინ აღეძვრებოდა ცხარე ნატვრა — ახ, ნეტავი ეხლა-კი ცოცხალი ვიყო: მე ვიცი, რასაც ვუზამდი ჩემს. რძალსა და ძმასაო! დათიკო-კი თუ რომ მოინდომებდა რასმე, კიდეეა შეებრძოლებოდა, ეცდებოდა გაემარჯვნა. ამის გამო დათიკომ შეიმუშავა ხასიათი და შეიქმნა ბატონი თავის სიტყვისა თუ მოქმედებისა. რამდენად ძრიელი ხასიათი დაუდგა დათიკოსა, ჩვენ ამასა ვხედავთ ჯერ მაშინ, რო-

დესაც სინდისი ამხელს და თავს ეუხმის ყარაულებს და ვაჟკაცურად ან-თავისუფლებს იმის საკუთარის მიზეზით საციმბიროდ გამხდარს პატიმრებს მეორედაც მაშინ, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან დათიკო და გაბრიელი ტყეში. დათიკო სიკვდილის დროს მართლა ვაჟკაცია, გულადია და ისეთი ვაჟკაციც არის, რომელსაც ბევრს ნაკლს აპატიებს კაცი. აქ თქვენ ჰგრძნობით უწინდელ ქართველის პატიოსანს გულსა. ხასიათში ლუარსაბი. დათიკოსთან შედარებით, ტყემლის ჩირადაც არა ღირს.

მაგრამ იმ დროს, როდესაც გლეხი კაცი, ყმა გაბრიელი, ჰფიქრობს სოფლის ავ-კარგიანობაზე, სწუხს და გული შესტკივა კაცთა უსწორ-მასწორობასა და უსამართლობაზე, როდესაც ყმა იტანჯება ღვთიურ აზრების ჯამცირების გამო და ერჯის გულის სამართლის დამყარებისათვის ცოდვილს დედამიწაზე,—სწორედ ამ დროს წარჩინებულ წოდების უკეთესი წარმომადგენელი დათიკო ჰფიქრობს მხოლოდ თავის სიამოვნებაზედ და სხვა არა აღონებს-რა.

თქვენ ჰხედავთ, რომ „კაცია-ადამიანში“ გლეხი დათო ჰკუით გაცილებით მაღლა სდგას ლუარსაბზე, აქ, „გლახის ნაამბობში“, ყმა შეუდარებლივ მაღლა სდგას დათიკოზე, ვითარცა მოქალაქე ქვეყნისა და შვილი თავის სამშობლოსი. ეხლა, რაკი ჩვენის შეძლებისადა გვარად გამოვჭერით ლვალთა ხედვის ისარი, რომელიც საჭიროა „ოთარაანთ ქვრივის“ გასარჩევად, ვნახოთ წადგა თუ არა ჩვენმა ცხოვრებამ ფეხი წინ და ეს წინწადგომა გამოიხატა თუ არა „ოთარაანთ ქვრივში“.

IV

თავის სასიქადულოდ და ქვეყნის ტკივილთა დასაამებლად, მთავრობამ შეიწყნარა ყმათა განუსაზღვრელი წამება, მიემხრო გლეხთა გულის ძგერასა, გაანთავისუფლა დამონებული არსება ყმისა და იცნო იგი ყველას თანასწორად. ბატონ-ყმობა გადავარდა. „სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდა დასანგრევად მონობისა“ და ღმერთმაც „ეს ხმა ტკბილი გაგვაგონა ჩვენს მამულშიაც“. გლეხს აუსრულდა გულის წადილი, შეესწრო იმ დროს, როდესაც იგი ეკუთვნოდა მხოლოდ თავის თავს და სხვას არავის. იმის სურვილს არ ედო ბაჟი, რომელიც ხანდისხან სიცოცხლედ დაუჯდებოდა ხოლმე, იმის განზრახვას აღარა ჰქონდა ამოდებული აღვირი, რომელიც არა თუ მარტო კბილებს, ყბებსაც თან გაიტანდა ხოლმე.

მე არ ვიტყვი, ვითომც ბატონ-ყმობის გადავარდნას სრული ნეტარება მოეტანოს გლეხისათვის. არა, გლეხს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა და დღესაც აკლია, რომ შეეძლოს უტკივარი ცხოვრება. მაგრამ ისიც ძალიან დიდი რამ იყო, რომ გლეხი კანონმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და აღიარა ადამიანად, რომელსაც ვეღარავინ დაეპატრონება და ვერ დაისაკუთრებს. გლეხს უხლა თავზე აღარავინ ადგა დოგა-დოგად და აღარ შეეძლო იმის უნებური რამ გაეკეთებინებინა. ბორკილი აეხსნა გლეხის სურვილსა. ამასთანავე განთავისუფლდა თვით შრომა და გარჯა. კანონმა

უთხრა გლეხს—აქამდის რაც უნდა გაგეკეთებინა, თითქმის ყველაფერი სხვისა უნდა ყოფილიყოვო; დღეის ამას იქით—კი რასაც მოიმოქმედებ, ყველაფერი შენია, ვერავინ წაგართმევს კანონის ძალით, მხოლოდ ეცადე—კი, რომ არავინ მოგატყუილოს და კანონს თვალი არ აუბას შენს საზარალოდაო.

ამისთანა ტკბილ სიტყვების გამგონე გლეხი, გუშინდელი შებოჭილი ყმა, დღეს ერთი ათად იქცა. მოისვა თავზე ხელი, დაიმკლავა და ღიღინით შეუდგა თავის საგლეხო საქმეებსა. თუ გაირჯებოდა, ლუკმა პურსაც იშოვნიდა,—ხელს არ გაანძრევდა კიდე—და, მაინც ძალის დამტანი არავინა ჰყვანდა. უმეტეს შემთხვევაში თავისი ბრალი იქნებოდა, შეიძენდა რასმესა, თუ მშიერ-მწყურვალე დალევდა სიცოცხლესა.

ამ გარემოებას სრულებით უნდა გამოეცვალნა ფერი ბატონისთვისაც და ყმისთვისაც, და სწორედ ასეც მოჰხდა. ამასთანავე, რადგანაც ჩვენი ხალხი მამულ-დედულისა და ხვნა-თესვის ხალხია. რადგან ქალაქებს თითქმის ჯერ მარტო გარეგანი ზედ-მოქმედება აქვს ჩვენს ბედზე, ამიტომ ბატონ-ყმობის გადაყარდნას მოჰყვა ისა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ძირეულად გამოიცვალა, გაიკვერა ახალი გზა, ხელში მოგვცა ახალი ფარ-ხმალი თავის გასატანად, სხვაფრივ დაატრიალა ჩვენი ჰკუა-გონება, სხვა, ახალი აზრი ჩაგვიდვა თავში, ახალის, აქამდე უცნობის, გრძნობებით აგვივსო გული, უფრო შეუპოვარის და თამამის სიტყვებით აგვიჩიქჩიკა ენა და ამ სახით გამოგვიყვანა ასპარეზზე სავარჯიშოთ...

მას აქეთ აგერ ოც წელზე მეტი შეგვისრულდა. მაშინდელი თავისუფლად დაბადებული ბალღები დღეს ვაჟკაცები შეიქმნენ, მათს თავისუფალს პირი-სახეს ამშვენებს გაწკეპილი ულვაშები და იტაცებს არა ერთისა და ორის საპატარძლოდ გამზადებულ გოგოების თავისუფალს გულს. ერთის სიტყვით, დავაჟკაცდა მთელი თაობა გლეხთა შვილებისა და ისინი კი, ვინც ყმობაში გაატარა თავისი ყმაწვილ-კაცობა, დღეს უკვე ადგილსა და პატივს უთმობენ თავიანთ ბედნიერს შვილებს.

•

ყველასათვის ვისაც—კი გულზედა აქვს მოჭიდებული ქვეყნის ავი და კარგი, ვისაც ახარებს ქვეყნის ბედნიერება და აღონებს იმისი დარდი, დიდად სანატრელია იცოდეს, რა მოაქვს ქვეყნისათვის ბედნიერსა თუ უბედურს შემთხვევას, ანუ რა მოიტანა უკვე ამისთანა შემთხვევამა და რის ბოლოდინი უნდა გვქონდეს კვლავაც. ამიტომ მე დაჯერებული ვარ, რომ ჩემი მკითხველი ჩემთან ერთად იკითხავს, რა შედეგი მოუტანა ჩვენს ცხოვრებას ყმების განთავისუფლებამ, რა ზნე და როგორი ხასიათი დასჩემდა გლეხსა, რითი შეიარაღდა ცხოვრებაში ის ქართველი, რომლის დედმამა აქამომდე გლეხის ჩაგვრითა სცხოვრობდა. იქნება ჩემმა მკითხველმა

სხვა უფრო სრული წყარო იპოვნოს ამ საკითხაუის პასუხად, მაგრამ მე—კი ჩემად უნდა ვაღიარო, რომ არ მეგულება იმაზე უკეთესი პასუხი, რომელსაც იძლევა მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ ამ საგანზე.

ბ-ნი ჭავჭავაძე კვალში ედგა ჩვენს ცხოვრებას ჯერ მაშინ, როდესაც ბატონ-ყმობა გაცხარებული იყო, კვალში ჩაუდგა მაშინ, როდესაც, ბატონ-ყმობამ ფამფალი დაიწყო და საძირკველი მოულხვა, კვალში სდგომია მაშინაც, როდესაც ბატონ-ყმობისა დარჩა მარტო საძაგელი ხსოვნა და თითო-ოროლა გულის ასამღვრევი ნაშთი, რომელიც ჯერაც კი უშლის წოდებათა შორის ჩატეხილ ხიდის გამრთელებას. „ოთარაანთ ქვრივიც“ საბუთია იმისი, რომ ბ-ნ ჭავჭავაძეს არ გამოჰპარვია მაჯის ცემა ქართველის ცხოვრებისა, რომ ავტორის ყურადღება მთლად მიქცეული ყოფილა ჩვენის ერის ვითარებაზე, უკვლევია და უსწავლია ამ ოცის წლის განმავლობაში ჩვენი ავ-კარგიანობა, ჩაუხედნია ქართვლის გულში და იქიდამ ამოუკითხნია ჩვენი ვინაობა, ჩვენი გულის-პასუხი, ჩვენი საიდუმლო, ჩვენი დაფარული განზრახვანი და ერთი ბეწო მოთხრობაში დაუხატავს მთელი ბედი ჩვენის დღევანდელის ავისა და კარგისა.

თუმცა თვით ეს მოთხრობა მე მიმაჩნია ისეთ საყურადღებო საგნად, რომელიც ყოველად ღირსია ბეჯით და დაწვრილებით განხილვისა, მაგრამ პირველი ესა, რომ ამისათვის საჭიროა გაცილებით მომეტებული ღონე და მკლავი, ვიდრე ჩემი, და მეორეც ისა, რომ მე ჩემს თავს ამ ხელად ნება მივეცი მელაპარაკნა მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივის“ გამო და ამიტომ დავჯერდეთ, ჩემო მკითხველო, მარტო ამ მოთხრობის გამო საუბარსა და თვით მოთხრობის შესაფერი განხილვა-კი მივანდოთ იმათ ვინც უფრო მომეტებულის გაბედულობისა, ცოდნისა, და აზრისანი გამოჩნდებიან ქართველებში.

* * *

თანახმად ამ გადაწყვეტილებისა გადავავლოთ მოკლედ თვალი, რა ხასიათები შეუქმნია ჩვენს ცხოვრებას, შემდეგ განთავისუფლებისა, გლეხობაში თუ თავადობაში.

როგორც იცით, ავტორის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია თვით ოთარაანთ ქვრივზე. გთხოვთ მოიგონოთ ჩემი შენიშვნა შესახებ „გლახის ნაამბობისა“. ავტორს ცხოვრებაში შეხვდა მარაბდელ არსენას მზგავსი კაცები, დაგვიხატა კაკო ბღაჟიაშვილი, დაგვიხატა გაბრიელი, როგორც ნამდვილი კაცი ჩვენის ცხოვრებისა და თანაც მოიწადინა, რომ აეხსნა ჩვენთვის, თუ რამ დაჰბადა ასეთი კაცი, რადგანაც თვით ცხოვრებაში ვერა ნახა, ის ნაკადული, რომლიდამაც გამომდინარეობნენ გაბრიელი და კაკოები, დაგვიხატა სურათი მღვდლისა.

სრულებით სხვა გვარადა სწერს იგივე ავტორი „ოთარაანთ ქვრივსა“ აქ უფრო ეტყობა, რომ ავტორს იმედი აქვს თვით ცხოვრების შემოქმედე-

ბისა და მხოლოდ გვეკითხება, რა ძალ-ღონით უნდა ემოქმედნა ბუნებას, რომ დაეწყნა ისეთი ხასიათი, როგორსაცა ვხედავთ ჩვენ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ზნეობაშიო. უეჭველია, ავტორს თითონ უფრო უკეთესად შეუძლიან პასუხი აგოს ამ საკითხზე, მაგრამ, როგორც იმ დღეს მოგახსენეთ, ავტორი ნამდვილს ხელოვნებაში მას აქეთ გაცილებით წინ წაწეულა და ესმის, რომ თვით სურათების ხერხიანი შეხამება საზოგადოდ უფრო მეტს ეუბნება მკითხველის სულსა და გულს, ვიდრე დაღეჭვა და მით გაქარწყლება რომელისამე ცხოველის აზრისა. დეე, მკითხველმა თითონ იფიქროს, „რა გვირისტით შეჰკერა ბუნებამ“ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ხასიათი, როგორ დაწნა იმათი ზნე. თუ მკითხველმა თითონ შიაგნო ბუნების ამგვარ შემოქმედებას, ხომ რა კარგი, არა-და ისიც კაი ღვთის წყალობაა, როდესაც დაინახავს, რომ ამისთანა ხასიათები თითოროლა კაცის ზედ-მოქმედებას-კი არ გამოუწვევია, არამედ თვითონ ჩვენს ცხოვრებას შეუქმნია და ამიტომ ეს ჩვენი ცხოვრება ისეთის ღირსებისა ყოფილა, რომ ჰღირს კაცმა გონების თვალი გაახილოს და იკვლიოს თავისი გარემო წრეო.

ავტორი არას გვეუბნება ოთარაანთ ქვრივის უმაწვილობაზე, მაგრამ მკითხველს თითონაც ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს, რა გარემოებაში დაიბადა ეს ადამიანი: მაშინ ბატონ-უმობა გაჩაღებული იყო ჩვენში და ჰშხამავდა გლეხის სულსა და გულს, და თუ ოთარაანთ ქვრივს დაეტყო შემდეგში რაიმე შხამი და გესლი, ეგ არის მხოლოდ შედეგი ადრინდელის მწარე ცხრვრებისა. ადრე დაქვრივდა ეს ადამიანი, ჯერ ისევ უმაწვილი იყო. ქმრის შემდეგ დარჩა პატარა ბიჭი გიორგი, საკმაო მაშულ-დედული, სახნავ-სათიბი და ვენახი. ბატონ-უმობა გადავარდნილი იყო და ოთარაანთ ქვრივი ჰხედავდა, რომ თუ გულზე ხელს არ დაიკრეფდა და იმხნეებდა, იმოდენას ამოიღებდა თავის მამულ-დედულიდგან, რომ თითონაც იცხოვრებდა, შვილსაც გამოზრდიდა და ამით „პირნათლად გამოვიდოდა“ საიქიოს თავის თედოსთანა. ასეც მოიქცა ოთარაანთ ქვრივი, მოიდრიკა მუხლი პატიოსან შრომის წინაშე და შეუდგა მუშაობას.

„თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო; მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

თუ არ გაუგონიათ, ახლა გაიგონო. ამბობდა ხოლმე: მითამ მე რითა ვარ ნაკლები იმ დამპალ გოგიაზე? თუ იმას ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზე წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ორი ფეხი აქვს და მეცა. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!... რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!...“

სხვათა შორის თქვენა ჰხედავთ, რომ ოთარაანთ ქვრივი, ხასიათსაც რომ თავი დავანებოთ, ქალების ემანსიპაციაშიც-კი გაცილებით ღონიერი

ყოფილა, მინამ ეგრეთწოდებული დღევანდელი ნასწავლი ქალი, რომელიც მარტო ენითა საქმობს და როცა მართლა საქმეზე მივარდება ჯერი, ღობემძვრალასავით მიიმალება სადმე საკუჭნაო ადგილას. ჰო-და, ოთარაანთ ქვრივმა ჩაჰკიდა ხელი მუშაობას, ირჯებოდა ისე რომ, ბევრი წვეროსანი ჩამორჩებოდა ამ ადამიანსა, ირჯებოდა იმიტომ, რომ არავისი მუნათი არ დაედო და აგრეთვე იმიტომ, რომ მტკიცედ შეენახა განძი და შეესრულებინა ანდერძი თავის საყვარელის ქმრისა.

•

თუ გლეხს აქამდის შრომა და გარჯა მიაჩნდა რაღაც მძიმე ტვირთად, რომელსაც ატარებდა ისევე უნებლიედ, როგორადაც დღეს ატარებს შინაური, პატრონისაგან მოძულებული, პირუტყვი, ეხლა იგივე შრომა მიიჩნია წმინდა მოვალეობად, რომელიც აყვარებს თაესა და ახალისებს ადამიანს. ოთარაანთ ქვრივსაც შეუყვარდა შრომა და იქამდე შეუყვარდა, რომ ყველა უქმი კაცი თითქმის ჭირივითა სძაგდა. მიზეზიც ეს იყო, რომ თუმცა გულკეთილობა დასძლეოდა ხშირად და მოწყალებას გამოამეტებინებდა, მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვისკენაც ოთარაანთ ქვრივი თავის მოწყალე ხელს გაიშვერდა:

„-აჰა, ხეთქეო, ეტყოდა ხოლმე: დაგიღია ეგ შავი მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსაეით სხვას შეჰყურებ-აცა, გამოხრულს ძვალს გადმომიგდებსო. შე არ დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!... დახე, დახე ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსაეით გათხვირულა, ლუკმა პურის შოვნის უნარი-კი არა აქვს, რა კარგი დაეყრებათ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ისინი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!“

ასეთს „პილპილს აყრიდა მადლსა“, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი ჩაიდენდა, და სწორეთ რომ გითხრათ, არ ვიცი, რა უფრო სჯობდა შეწყალებულთათვის—მადლი თუ პილპილი. მცონარა და უქმი კაცი ვერ გაიგებს აზრს ოთარაანთ ქვრივის პილპილისას და იტყვის: შე კარგო დედაკაცო, შენი არც არა შეწყალება მინდა და არც არაფერი, ოღონდ თავი დამანებე, ნუ მლანძღავ და ნუ მათრევო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივს კარგად ესმის და იცის, რასაც ამბობს. ამისთანა დედაკაცს უანგარიშოდ როდი დაჰხარჯავს სიტყვასა. იგი წარმომადგენელია შრომისა და კარგადაც ესმის, რომ შრომის მეტი ვერა ჩაუდგამს-რა იმას სულსა, ვერა მისცემს-რა თავისუფალს ტკბილსა და უყვედურს ლუკმას, შრომის მეტი ვერა დაჰბადებს-რა მისთვის კმაყოფილებას და დამოუკიდებელს ცხოვრებას. ეს ჩააგონა ხალხმა, ცხოვრებამ, ეს გაუჯდა ძვალსა და რბილში და სწუხს, ჯავრობს, როდესაც ჰხედავს, რომ იმის-

ბა ტოლმა და სწორმა თანაბრად ვერ გაიგო ახალი დრო ვერ მიუხვდა ჯერ იმ ძალას, რომელსაც აძლევს შრომა გამრჯე ადამიანსა და ვერ დაახწია თავი სხვის ხელში შემყურებლობას. ძლიერის ხასიათის რწმენა მაინც ის არის, რომ კაცი უნდა ერეოდეს გარემოებასა და არა გარემოება კაცსაო. ოთარაანთ ქვრივს დააკვირდა, რომ ბევრი ისეთი გარემოებაა, რომელსაც ცალკე კაცი, ჰიდილით გინდაც რო შეეჯიდოს, მაინც ვერას გახდება, მანამ მთელი კრებული არ შეეჯიდება და ამ გარემოებაზე უდიდესის ძალით არ გაუწევს წინააღმდეგობას. მაგრამ ოთარაანთ ქვრივს ეპატიება ისეთი ცალმხრივი ყურადღება საგნისა. აქამდის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ თავისუფლების მეტი არა უნდა-რა კაცსა, რომ ცხოვრებას არ გაეთელინოსო. ეს აზრი ძალზედ უნდა გასჯდომოდა ოთარაანთ ქვრივსა და რაც ამისთანა ადამიანს ერთხელ გაუჯდება თავში, იმის ამოფხეკა თითქმის შეუძლებელი-ღაა.

ღალატი იქნება შვილისა და ქმრისა, რო გავთხოვდეო, ეგონა ოთარაანთ ქვრივსა, და ეს ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი შეაბერდა თავის აზრსა და თუმცა მთხოვნელნი ბევრნი ჰყავდნენ, მაგრამ იმან ახლოც არავინ მიიკარა.

ყველაზედ შესანიშნავი-კი ოთარაანთ ქვრივში არის დედა-შვილობა. დამოუკიდებლობა, შრომა, გამრჯელობა შეადგენდა აზრს ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლისას. ხოლო თვით ამ აზრს ძალას აძლევდა და ფრთებს ასხამდა შვილის სიყვარული. გიორგი უდგამდა სულს ოთარაანთ ქვრივსა, გიორგის ეელებოდა თავს ეს დედაკაცი, გიორგი იყო იმისი სული და გული, გიორგიზე ამოსდიოდა მზე, გიორგი იყო იმისი ვარსკვლავი. შრომისათვის იმიტომ ერჯოდა გული, სიცოცხლეც იმიტომ უნდოდა, რომ გიორგი გამოეზარდნა, გიორგისათვის ენაღვლა და ეზრუნა ყველაფერი, რაც-კი იმის აზრით გიორგის გამოადგებოდა ცხოვრებაში. შეემთხვა უბედურება, მოუკვდა გიორგი ამისთანა დედას და თითონაც თან გადაჰყვა. ბევრი იტყვის—თუ მართლა ხასიათიანი და ძრიელი დედაკაცი იყო ოთარაანთ ქვრივი, უნდა კიდეც აეტანა ასეთი მძიმე უბედურებაო. მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც უნდა მშვენიერი და მკვიდრი შენობა იყოს თუ საძირკველს გამოუნგრევ. შენობაც მთელის თავის მშვენიერებით ძირს დაემხობა და დაიმსხვრევა. სწორედ ასე დაემართა ოთარაანთ ქვრივსა. ამას გამოეცალა ხელი დამ საგანი არსებობისა, საგანი ცხოვრებისა, ჩაწყდა შინაგანი ძალა, რომელიც აძლებინებდა ადამიანს, აყვარებდა შრომას და სიცოცხლეს. რაღა დარჩა ნაცვლად? რისთვის და ვისთვის-ღა ყოფილიყო ქვეყანაზე და ეტკეპნა დედამიწა! ოთარაანთ ქვრივისთანა ადამიანს შეუძლიან იცხოვროს დედამიწაზე მხოლოდ რისთვისმე ან ვისთვისმე. ამისთანა ადამიანი უნდა ემსახურებოდეს ან რომელსამე საქვეყნო აზრსა, ანუ, თუ აზრი იმისათვის მიუწდომელია, რომელსამე საყვარელს კაცს.

ოთარაანთ ქვრივს-კი აღარ დარჩა ისა, რისთვისაც სული ედგა გვამში ვის მზესაცა ლოცულობდა აქამომდე, დღისითა თუ ღამით. გატყდ რკინასავით მაგარი დედაკაცი და თან გადაჰყვა შვილის უბედურებას.

*

ამ სიმაღლემდე აიწია დედის სიყვარულმა ერთის ვიღაცა სოფლის დედაკაცისამ! სხვაგანაც შეჰხვდებით დედა-შვილობას, მაგრამ ასეთი უანგარო, ასეთი სუფთა და ამასთან ამ ზომამდე ღრმა გრძნობა შეგ- ხვდებათ მარტო დღევანდელ სოფლის ცხოვრებაში, ისიც გლეხთა შორის.

ამისთანა დედის ხელში გამოზრდილი შვილი, რა თქმა უნდა, შემ- კული იქნებოდა ხასიათის ღონით, სითამამით და გრძნობათა სიფა- ქიზით. პატარაობითვე ჩაგონებული ჰქონდა მართალი და არც გადა- უხვევდა ამ გზასა; ტყუილს ცხოვრებაში გასავალი აღარა ჰქონდა და ამიტომ ვისაც-კი ერთი ბეწო ნიშანწყალი დაჰყოლოდა, იგი ტყუილს აღარ იკადრებდა, აღარ შეირცხვენდა პირს ტყუილებითა. მართლის მოყვარეობა გიორგისა იქამდე ცნობილი და შემოწმებულია მთელს სოფელში, რომ როდესაც სოფლის სასამართლოში საჩივარია შემ- დგარი გიორგიზე, გლეხები იძახიან—რა ვუყოთ, რომ მოწმე არ არის, თითონ გიორგისა ვკითხოთ და ის ხომ ტყუილს თავის დღეში არ იტყ- ვისო. გიორგის ჩვენების სიმართლეში ერთსაც არ შეუტანია ეჭვი. სიმართ- ლესთან ერთად გიორგის უყვარს შრომა ისე, როგორც შეჰფერის იმის მშობლებისთანა შვილს. გიორგი სოფლის შვილია, უყვარს სოფლური საქმე და პირუტყვი, რომელიც თავისის ჯაფით ლუკმა პურს აქმევს პატრონსა. ამიტომაც გიორგი წინ არც-კი დაიხედავს, თუ გაჭირდა ძალა იხმაროს უქმს კაცზე, რომელსაც არა თუ საქმისათვის არ ერჯის გული, არამედ თავის სიზარმაცით საქონელსაცა სტანჯავს და აწუხებს. ერთი სიტყვით, გიორგიში გამოიხატნენ ისეთი თვისებანი, რომელნიც დღევან- დელ დღეს საჭიროა სოფლის კაცისათვის, რომ შეიქმნას პატივცემულ კაცად თავის სწორ-ამხანაგობაში. გიორგიმ იცის საქმის ფასი, შრომის ყადრი და ამიტომ ყველა წანახედი, თავისი იქნება თუ სხვისა, ერთნაირად ეწუხება, ვაი წამხდენის ბრალი, თუ ხელში ჩაუვარდა გიორგისა ღირ- სეულის დედის პატივისცემა ხომ იქამდე გამჯდარი აქვს გულში, რომ თუმცა ეხლა თითონ ჭკვიანი და თაოსანი კაცია, მაგრამ მაინც ოჯახის უფროსობაში არ ეცილება დედასა, რადგან იცის, რომ ოთარაანთ ქვრივი თუ არ შეჰმატებს არას დააკლებს ოჯახსა.

ერთის სიტყვით, მოკლეთ რომ მოვესპრათ ჩვენი გრძელი სიტყვა გი ორგი არის გულით პატიოსანი, მართლის მოყვარე, დარბაისელი, ხასია

თიანი სოფლის ახალგაზრდა, რომელიც არ შეუშინდება არც ერთს საქმეს, თუ-კი შესწევდა იმისი ჭკუა და მკლავი. გიორგი ჰგავს ყამირსა და ღონიერს მიწას, რომელიც .იმდენად უფრო აყვავდება და გამშვენდება, რამდენად უკეთესი გუთნის დედა შეიტანს უკეთესს გუთანს და დასთესს უკეთესს მარცვალს,—ისეთ ყამირს, რომელსაც ხელს უწყობს უხვი ბუნება და რომელსაც ვეღარა სჯიჯგნის, სჩეჩავს და ასახიჩრებს ვეღარც უხერხული ლუარსაბობა, ვეღარც უდარდელი დათიკოობა. ამისთანა ყამირ მიწას ან სრულებით არ უნდა ახლოს ხელი კაცმა, თუ-კი ვერ შესძლებს შესაფერს მოვლას, ან თუ ახლებს, უთუოდ კიდეც უნდა შესწევდეს ღონე და იმედი, რომ კი არ გააფუჭებს, უკეთესს ნაყოფს გამოატანინებს.

გიორგის არ გამოუჩნდა არც ცუდი და არც კარგი გუთნის დედა. გიორგის აღარა სტანჯავდა გაბრიელის მომხიბლავი ფიქრები, იმას აღარ ატკიებდა გულსა გლეხთა უნუგეშო ყოფა ბატონ-ყმობისა. არც სული ჰქონდა ნასეტყვი, არც გული ჰქონდა დაკოდილი. იგი იყო გულითაც და სულითაც საღი თავისუფალი შვილი თავისუფალ ბუნებისა და მშვენიერი, როგორც თვით ბუნება, რომელმაც უხვად დააბერტყა ზედ თავისი კალთა.

აქ მკითხველს მოაგონდება ლაზათიანი სურათი გიორგისა მოთხრობიდამა და საყვედურით წამოიძახებს: ვინ რას ამბობს, რომ მართლაც დიდად მოსაწონი და ძალუმი ბიჭია გიორგი და რა უსამართლო იყო მხატვარი, რომელმაც ეს ჩინებული ახალგაზრდა გადაჰკიდა ისეთს გრძნობას, რომ უთუოდ ფეხი უნდა მოსტეხოდა გიორგის მშვენიერებას, ეს გრძნობა გაუზიარებელი უნდა დარჩომილიყო და გიორგიც უნდა მოედნიდან გასულიყო ძალა-უნებურად, ან უნდა მომკვდარიყოო.

მე და თქვენ რომ დაგვკითხებოდა, ჩემო მკითხველო ავტორი, იქნება გიორგი დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, შეერთო თავისავით სრული გლეხის გოგო და ბედნიერად ეტარებინა ცხოვრება თავისი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ავტორი დაგვეკითხა ჩვენა და არც ცხოვრება, რომელმაც უთუოდ მოიწადინა და გიორგის შეახვედრა კესო. ამ შეხვედრას მოჰყვა ისეთი სიყვარული, რომელიც შეუძლიან მხოლოდ მაღალ გრძნობით მიმადლებულ ადამიანს, უშუჯყოსა და სუფთას. ალბათ ისეთის თვისებისა ნახა გიორგიმ კესო, რომ ღირსადა სცნო თავის სიყვარულისა. ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ პირველი და უკანასკნელი გრძნობა სიყვარულისა გამოიწვია კესომ. როგორ მოხდა, სად შეემთხვა და რად მოხდა ეს ასე, ეგ ყველამ თავისათვის წარმოიდგინოს, თუ ეხალისება. საქმე მომხდარი ამბავია და კრიტიკამაც მხოლოდ ეს ამბავი უნდა იქონიოს სახეში.

ოთარაანთ ქვრივს, მართალია, ბევრი კარგი გაუგონია არჩილსა და კესოზე, მაგრამ ისინი მაინც უქმი ხალხი ჰგონია და მაღლიდამაც დაჰყუ-

რებს იმათ, ისე მაღლიდამ, რომ სათაკილოდაც კი მიაჩნია, როდესაც ჯესო მუხლზე ხელს დაჰკრავს ნიშნად მოწონებისა. იქნება თვით გიორგისაც ასეთივე თვალით ეყურნა ამ და-ძმისათვის, რომ სიყვარული არ ჩარეულიყო, მაგრამ აგერ გაემეჭვალა გიორგის გული ამ დიდებულის გრძნობით და ვეღარა უშველა-რა თავსა. იმდენად პკვიანი ბიჭია, რომ ჰხედავს განსხვავებას თავისა და შეყვარებულის შორის, კიდეც დიდხანს ებრძვის თავის თავსა, მაგრამ ამ ბრძოლითაც არა ეშველა-რა. თუ სრულს ბედნიერებას ვერ მოვახერხებ და შეუძლებელია, იმას მაინც ვიქ, რომ ჩემი მზე ხშირად დავინახოო. ამ განზრახვით დაუდგა არჩილს მოჯამაგირედ. მოჯამაგირეობა სათაკილო იყო იმისთანა ოჯახის შვილისათვის, მაგრამ გიორგი ჰხედავდა, რომ იმისი სიყვარული მსხვერპლსა თხოულობს, და თავისი სიამაყე მსხვერპლად შესწირა ამ დიდებულს გრძნობასა. ვინ იცის, რამდენ ხანს შესძლებდა გიორგი თავის გრძნობის მალვას, იქნება ბოლოს მაინც გამოეცხადებინა თავისი სიყვარული, მაგრამ აშკარაა, რომ ეს გამომჟღავნება მაინც არას მოუტანდა გიორგის სახეიროსა, უარი აუცილებელი იყო და ამ უარს უნდა ჰქონოდა ისეთივე ბოლო, როგორიც ოთარაანთ ქვრიეს მოუვიდა შემდეგ გიორგის სიკვდილისა. ამიტომ მოთხრობის აზრისათვის აუცილებელი იყო გიორგის უბედურად გასვლა მოედნიდამ. ჩემის აზრით ავტორმა ხერხიანად აიცილა თავიდამ ეს საჭიროება და გიორგი მოაკვლევინა შემთხვევას, რომ ამით ეს საჭიროებაც დაეკმაყოფილებინა და თვით მოთხრობის პირველი პირიც, ოთარაანთ ქვრივი, ეჩვენებინა ჩვენთვის შემდეგ შვილის დაკარგვისა.

V

მაშინ—როდესაც გაბრიელის გრძნობამ გააუბედურა იმისი საყვარელი თამროცა, თამროს მამა პეპიაცა და თვით გაბრიელიც, გააუბედურა მარტო იმის გამო, რომ გლეხის ბიჭს უნდოდა ნამუსიანი ქალი მოეყვანა სახლში, ერთის სიტყვით, მაშინ—როდესაც გლეხის ბიჭს უხიფათოდ არ შეეძლო თავისუფალის არჩევით შეერთო გლეხისავე გოგო, ერთის თაობის შემდეგ გიორგის გული იმდენად განთავისუფლდა მრავალ-კეც ბორკილებისაგან, რომ თავის გრძნობის საგნად გამოიხატა თვით თავადიშვილის ქალი კესო, რომელსაც სიკვდილის ჟამს ეუბნება ამისთანა სიტყვებს:

„აი ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. ვანა არ ვიცოდი—მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გ უ ლ ი გ წ ვ დ ე ბ ო დ ა, გ უ ლ ი, ჭ ე ლ ი-კ ი ვ ე ღ ა რ ა... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც-კი იცოდი, ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, შეცხვენოდა, მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები".

ამ სიტყვებს, მგონი, განმარტება აღარ უნდა. ისეც აშკარადა ჩანს, ამ

მხრივ რამოდენა ნაბიჯი გადასდგა გლეხის განთავისუფლებულმა გრძნობამ. გაბრიელის დრო ისეთი იყო, როდესაც გლეხს ენატრებოდა, რომ ისიც ღვთის გაჩენილ არსებად ეცნო კანონსა და კაცობრიობას, გაენთავისუფლებინა იმისი უსამართლოდ შეგინებული და დამონებული პიროვნება. გაბრიელი იტანჯებოდა და შემდეგ იბრძოდა თავისუფლებისათვის. გიორგის ეს საგანი მზა-მზარეულად, გაურჯელად დაჰხვდა. ამას თავის მხრივ სხვა განძი უნდა შეეტანა ცხოვრებაში და თვით ცხოვრებამაც სხვა საგანი მისცა ხელში.

რაკი ბატონ-ყმობა გადავარდა, იმის შემდეგ ძირი გამოეთხარა წოდებრივ განსხვავებასა განცალკევებასა, აღარა ჰქონდა აზრი წოდებათა დაშორებას, ცალ-ცალკე შეკეტვასა და მომწყვდევას. გაფართოვდა მოედანი კაცთა ურთიერთობისა, გზა გაეხსნა დაახლოებას, აირღვა, გასკდა და დაინგრა ის უშველებელი კედელი, რომელიც აქამომდე ისეთის სიმტკიცით იყო აშენებული კანონის მიერ და ისეთის ძალით აშორებდა ერთმანეთს სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენელთ. არა თუ მარტო აზრითა და სიტყვით ამბობდა ეხლანდელი კაცი, რომ გვარიშვილობა თავისით არ შეადგენს რომელსამე ღირსებასაო, არამედ თვით საქმემ აღიარა, რომ „თუ კაცი თვითონ არა არის, ცუდია გუარიშვილობაო“. დადგა ისეთი დრო, როდესაც კაცს მარტო საკუთარის ღირსებით-ღა შეეძლო გაეტანა თავი ცხოვრებაში, მოეპოვებინა სახელი და დიდება. ამისთანა დროს წოდებათა ჩამწყვდევას და ერთმანეთის დაშორებას არა თუ არავითარი აზრი არა ჰქონდა, იგი შეიქმნა მაზარალებელი თვითოეულისათვის ცალ-ცალკე და ყველასათვის ერთად. და ამიტომ დღევანდელი საგანი ცხოვრებისა და ისტორიისა უნდა ყოფილიყო გათანასწორება, გაერთება ყველასი, რაიცა კანონმა უკვე აღიარა, — დაახლოება, ძმობა, სიყვარული— ყველანი ძმანი ვართ, ვეკუთვნით ერთსა და იმავე ერსა, შურისა და მტრობის საგანი მარტო წვრილმანებში-ღა დაგვრჩა, იმის გამო აღარა ღირს განცალკევება, იმაშიაც როგორმე მოვშველდებით, გავსწორდებით, მოვრიგდებით და, მაშასადამე, მივცეთ გული გულსა, ჩაეკიდოთ ხელი ხელსა. გავისარჯოთ და ვასახელოთ ქვეყანა ჩვენი.

აი საგანი ჩვენის დღევანდელის ისტორიისა. რაკი ასეთი საგანი წამოაყენა ცხოვრებამ, არ შეიძლება, რომ ამ საგანმა არ დაიმორჩილოს დღევანდელი კაცი. გინდაც რომ ჯერ აზრით ვერ შესწვდეს ადამიანი ამისთანა საგანს ცხოვრებისას, გული მაინც იგრძნობს, ამიტომ, რომ ასეთი საქმე ყოვლთვის ჯერ გულიდამ დაიწყება ხოლმე.

* * *

საღმა და სრულმა გულმა გიორგისამ იგრძნო ეს საგანი ერთობისა. წოდებათა ძმობისა: „გული გწვდებოდა, გული, ხელი-კი ვეღარაო“, ეუბ-

ნება კესოს. აბა კარგა ჩაუკვირდით ამ სიტყვებს და ამოიკითხავთ, რომ გლეხი, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი მთელის ხალხის გონიერებისა და სიკეთისა, უბოროტო რამ არის გულით, მალე ივიწყებს მტრობასა და წყენას, დანაშაულს აპატიებს თავის მტერსა, ერთის სიტყვით, სულგრძელია, და ოთარაანთ გიორგის გრძნობა პირდაპირ გვეუბნება, რამდენად გლეხის გულმა მაღლა აიწია თავად-აზნაურობის გულსა და ზნეობაზე. ჯერ ერთი თაობაც არ გასულა მას აქეთ, რაც გლეხის ღირსება შეგინებული იყო კესოსა და არჩილის მამა-პაპისაგან, მაგრამ გიორგის უბოროტო გულმა, თავისის სულგრძელობით, დავიწყებას მისცა ეს საშინელი წყენა, იქამდის დაივიწყა, რომ თავისი გრძნობაც-კი, მთელი თავისი სიცოცხლეც-კი არ ეშურებოდა კესოსათვის. ამავე დროს შვილი ისეთის დედ-მამისა, რომელთაც ეგოდენი სიბოროტე მიუძღვით გლეხთა მიმართ, იმდენადაც ვერ განთავისუფლებულა ათას გვარის ცრუ-შეხედულებიდამ, რომ გულით მაინც იგრძნოს ეგ დანაშაული მშობლებისა და თანასწორ კაცად მაინც იცნოს ისეთი ადამიანი, როჭელიც აგერ მეოთხედი საუკუნეა, რაც თვით კანონმა იცნო თანასწორად ყველასთან! ვერც-კი მიუხვდა სიყვარულსა, რადგან თავისი თავი ისე მაღალი და დიდი ეინმე ეგონა, რომ ფიქრადაც არ მოუვიდოდა აზრი, ჯითმც შესაძლო ყოფილიყოს რაიმე დაკავშირების გრძნობა იმასა და ჯიორგის შორის. მაგრამ ამ საგანს შემდეგაც მივუბრუნდებით.

ამ ხელად-კი დავამთავრეთ ჩვენი საკითხი შესახებ იმისა, თუ კიდევ რა განსხვავებაა გაბრიელსა და გიორგის შორის და რით სდგას ჯიორგი გაბრიელზე წინ, გარდა ამისა, რომ გაბრიელი განთავისუფლების მონატრე იყო და გიორგი-კი, რადგან თავისუფლება უკვე ნაზრუნი და ნანაღვლი ჰქონდა, გათანასწორების საგანს შეეტოტინა.

გაბრიელი უფრო სიტყვის კაცი იყო; ვიდრე საქმისა. ისა ჰხედავდა ხოლმე უსამართლობას, ესმოდა, რომ უსამართლობა არ ვარგა, გულიც შესტკივოდა მათთვის, ვისკენაც მიმართული იყო უსამართლობა, მაგრამ არც ეს ნახვა, არც სმენა და არც გულის ტკივილი არ ამოქმედებდა გაბრიელსა წინააღმდეგ უსამართლობისა, მანამ დანა ყელთან არ მიეიდოდა. მაგალითად, გაბრიელმა იცოდა, რომ დათიკო საშინლად გაწუწკებული იყო სოფლის გოგოებში და არც ერთს არ დასტოკებდა ნამუსს აუხდელს, მაგრამ გაბრიელი მაინც კარგ განწყობილებაშია დათიკოსთან და უყვარს იგი, როგორც თანაშეზრდილი. თუ გამოემკლავა დათიკოსა და იმის უსამართლობას, ეგ მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლა დანა ყელთან მივიდა და მძიმე საქმეს უპირებდა თვით გაბრიელის სიყვარულსა და იმის საცოლე თამროს ნამუსსა.აქამდის იგივე უსამართლობა მარტო

გონებას ამუშავებდა გაბრიელისას და მხოლოდ ეხლა, როცა თითონ იმის გულსა და საკუთარს საქმეს შეეხო, გაანძრევინა ხელი და ძლივ-ძლივობით, როგორც იყო ხანჯალი ამოაღებინა ქარქაშიდამ.

გიორგი-კი ძალიან ნაკლებად ჰხარჯავს სიტყვასა და სამაგიეროდ ირჯება და თვით საქმეს ალაპარაკებს თავის მაგიერ და თავის ღირსების სასარგებლოდ. ბატონ-ყმობის გლეხი ოხრავს, იტანჯება, სული ეხუთება და მხოლოდ ეხსნება მადა ლაპარაკისა ავსა და კარგზე. სრულებით სხვა ჯურის ადამიანია ეხლანდელი გლეხი. იმისთვის თვით სიტყვაც-კი იგივე საქმეა, სიტყვაც-კი იმდენად სწამს, რამდენადაც იგი კაცს გაუკეთებს. არგებს რასმე, თუ არა და არაფრად მიაჩნია:

— „ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი: ამ გამწარებულ წუთისოფელში ტკბილი,სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს: რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალ-მაქცობაა, სხვა არაფერი. „ტკბილი სიტყვა ნუგეშიაო, კაცს გულს მოფხანსო.“ გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, —მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ორი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრა-მოსძრა კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისიაა! უქმის კაცის საქმეა... ძილს მოჰგვრის. ის-კი არ იციან, რომ თუ წუთი- სოფელს ერთის ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.“

ჯერ ბავშვი იყო გიორგი, რომ, თუ-კი სადმე უსამართლობას დაინახავდა, ლაპარაკსა და ოხერას-კი არ მოჰყვებოდა გაბრიელსავით, პირდაპირ უელში სწვდებოდა უსამართლობის ჩამდენსა და იქვე თითონ გაასწორებდა წამხდარს საქმეს და დააყენებდა სამართალს,ან თვით ჩამდენს გაასწორებინებდა. თუ დაინახავდა, რომ ძალა სჩაგრავს უძლურობას, მაშინათვე შეეჭიდებოდა ძალუმსა და შემწეობას აღმოუჩენდა დაჩაგრულს. მაშასადამე, გიორგი მაშინაც-კი ჰმოქმედობდა, როცა საქმე სხვას, გარეშე კაცს შეეხებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ თავის თავს არ გმოაკლებდა საფარველს თუ-კი ვინმე მოიწადინებდა იმის გაქელვასა და ჩაგვრას. მოთხრობაში ვკითხულობთ, რომ ერთხელ ოთარაანთ ქვრივისათვის ქათამი წაერთმია გზირსა, მაგრამ რადგან ქვრივმა ეს ამბავი უსამართლოდ იცნა, გამოეკიდა თავის ქათამსა, თვით გუბერნატორამდე თავის ფეხით იარა და ქათამი ერთი შვიდად დაუსვა გზირსაო. თითონაც ერთ თუმნამდე დაუჯდა დავიდარაბა, მაგრამ ამბობდა თურმე:

— ფული რა არის?.. ხელის ჭუჭყია, ერთი თუმანი რა სათქმელია! ჯავრი რომ არ შევარჩინე,—ეს რადა ღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავაჩაგვრინე, — ცოტაა! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო.

* * *

ჩვენ მაინცა ვხედავთ, რომ თუმცა სახით გიორგი გაცილებით წინა სდგა გაბრიელზე ხასიათით, ზნეობით, გულით, მოქმედებით, მაგრამ გაბრიელი მაინც გმირია, საზოგადო მომქმედია და გიორგი-კი არ არის გმირი, არც საზოგადო მოღვაწე, გიორგი კაი სოფლის ბიჭია და მეტი არაფერი. იმისი სახელი ვერ დარჩება ქვეყნისათვის საყვარლადა და სახსოვრად, როგორც სახელი არსენასი, კაკო ბლაშიაშვილისა და აქედამ თვით გაბრიელისაც. თქვენ იკითხავთ მიზეზს — თუ კი გიორგიმ ასე წინ წადგა ნაბიჯი და გაუსწრო თავის წინაპარ გლეხებს, მაშ როგორ მოხდა, რომ მისნი სუსტი წინაპარნი-კი გმირებად იცნო ცხოვრებამა და სრული, დაწინაურებული გიორგი-კი არ მიიჩნია თავის მოსაწონებელ, სახელოვან გმირად და აღიარა, რომ გიორგი მხოლოდ შუათანა ბიჭია ერთის სოფლისა და ამ სოფელს ძნელადაც გადააბიჯებს იმისი სახელიო? იკითხავთ და შეც შეძლებისა-და გვარად მოგახსენებთ ამ მიზეზსა.

ყველაფერი დროზედა ჰკიდია, ყველაფერი დრომ იცის. იყო დრო, როდესაც ორი სპარსული ხანობას მოგცემდა საქართველოში, იყო დრო, როდესაც ორი რუსული საკმარისი იყო, რომ გენერლობა მოეცათ თქვენთვის. ეხლა-კი გინდა სხაპა-სხუპით გადააბულბულო რუსული ენა და იქამდე შეითვისო, რომ სამშობლო ენაზე ვეღარც-კი ახერხებდე ლაპარაკსა, არა თუ გენერლობას ვეღარ მიიღებ, იქნება „კრუჟოკის“ შვეიცარობაც და „ბურდუჩნი კლუბის“ სტოროჟობაც დაგირჩეს ისეთ სანატრელ საგნად, რომელსაც შენ დღეში ვერ შესწვდე, გინდაც კაცობითა და ადამიანობით ერთი-ათად წინ იდგე, ვიდრე ისინი, ვინც ერთხელ კარემოებამ სათავეში დაგიყენა.

გაბრიელის დრო ისეთი იყო, რომ გამწვავდა ერთმანეთის დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის, თანაც წინააღმდეგობა ამისთანა ვითარებაში დიდად ძნელი საქმე იყო, დიდს თავგამომეტებას თხოულობდა იმისგან, ვინც გაჰბედავდა და წინააღმდეგობდა მაშინდელს წეს-წყობილებას: ან უნდა სიკვდილით დასჯილიყო, ან ციმბირში გადაკარგულიყო, ან უაჩალად გავარდნილიყო და ტყეში ეცხოვრნა, ნადირსაებ. არსენამ გაბედა და თავისი საყვარელი გოგო მოსტაცა ზაალ ბარათაშვილსა. ეს საქციელი საკმარისი იყო, რომ მთელს საქართველოს და მთავრობას მთელი თავიანთი ყურადღება მიექციათ არსენასათვის. არსენა რომ დაჭერილი ჩამოატარეს ქალაქში, ყველანი იმას შეჰყურებდნენ და აქებდნენ. რუსები იძახდნენ არსენაზე:

—„ეი, ბოლ და მალადეცაო“, სომხები—„ლავე ბიჭი არის ესაო“, ოსები და სხვანი თავ-თავიანთ ენაზე ამკობდნენ არსენასა.

ეს ისეთი დრო იყო, როდესაც ერთი წუთი გადააქცევდა უბრალო, სადა კაცს ქვეყნის გმირად. გინდა ეს კაცი იმავე წუთს სიკვდილის მსხვერპლი გამხდარიყო, მაინც საყვარელ გმირად დარჩებოდა ქვეყნის

მეხსიერებაში, თუნდაც აქამდის საგმირო არა სტყობოდა-რა და ყველასაგან მივიწყებული ყოფილიყო.

სრულებით სხვა დროა გიორგის დრო.ეხლა ჯერ არ არის გამწვავებული კაცთა შორის ურთიერთობა უსამართლობასაც ვერა ხედავს კაცის თვალი იმ ზომამდე, რომ სული და გული ეხუთებოდეს. ეხლანდელი გლეხი თუ დაინახავს, ვერძო, განცალკევებულ უსამართლობას დაინახავს. ეს უსამართლობა არ არის მისთვის ზოგადი, საყოველთაო. პეტრე შეავიწროებს პავლეს, ივანე პართენის. თუ გიორგი შეესწრო ამ შევიწროებას, ჩაერევა ჩხუბში, გააშველებს მებრძოლთა და ერთი კაი-კაებს ურტყავს პეტრესაც და ივანესაც და თანაც ეტყვის, რომ კვლავ აღარ გაჰბედოთ პავლესა და პართენის შეწუხება, თორემ უარესს დღეს დაგაყრით, მენდეთ მაგაზეო. პავლესი და პართენის შეწუხება სრულებით კერძო საქმეა და არა ზოგადი. ამიტომაც მათი წამოქომაგება გიორგის მხრივ სრულიადაც არ შეეხება ქვეყნის საჭირ-ბოროტო საგანსა და დღიურ ვარამს, და ზოგი გლეხი ხომ გაშტერებული უყურებს გიორგის —არა, ჩვენთვის რომა ვსთქვათ, ამ კაცს რა უნდაო, ეგ ან გიჟია, ანუ ღვთისაგან გამოგზავნილი ვინმეო. ასეთის კერძო, ცალკე მართლიანობით გმირის სახელი არ მოიხვეჭება ქვეყანაზე.

მე ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, რომ დღევანდელ გლეხს არ შეეძლოს გმირობა. რატომ, თუ-კი დაჩაგრულსა და დანაგვნულს ყმას შეეძლო გმირად გამოსულიყო, რატომ საღი და სრული, თავისუფალი და თამამი დღევანდელი გლეხი—კი, რატომ გიორგი—კი ვერ გამოვა გმირად? გამოვა და ძალიან მოხდენილი გმირიც იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა დროების შესაფერი ფარ-ხმალი, რომელიც აკლია გიორგისა და რომელიც ასე უხვად მიუცია ცხოვრებას არჩილისა და კესოსათვის—არა აქვს მეცნიერების სინათლით განსპეტაკებული გონების თვალი და ამიტომაც ვერა ხედავს ვარამს დღევანდელის დღისას. რამდენადაც ადვილი და შესაძლებელი საქმე იყო გმირობა ადრინდელის ყმისათვის, იმდენად ძნელი და ჯერ თითქმის მოუხერხებელია გმირობა დღევანდელის გლეხისათვის.

* * *

უეჭველია შემოქმედებითი ძალა, რომელსაც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში, თავის დროზე გლეხსაც მიიყვანს იმ კიბემდე, საიდამაც უფრო ფართო მოედანზე ივარჯიშებს იმისი შეგნებული თვალი. მაგრამ მანამდის ბევრი და ბევრი დრო გასტანს, თუ არ ჩაერია რომელიმე სხვა ძალა და არ გაუადვილა გლეხს ცხოვრების გზაზე ძლევა-მოსილი სიარული.

მანამდის—კი გლეხს ჰრჩება ფრიად ჩინებული და ყოვლად მნიშვნელოვანი საგანი—ქონებრივი გაძლიერება, რომელსაც ორის ხელით დაეჯიდა ჩვენი გლეხი და რომელიც შეადგენს უმთავრესს საგანს მის

ღელვახდელ სიცოცხლისას. გლეხი ჯხედავს, რომ რამდენიც მეტს გაირჯება, იმდენი უფრო ზურგი მაგარი ექნება, და რაკი ერთ ფეხს მკვიდრად მოიკიდებს ნიადაგზე, ფიტს მოიკრავს და ზურგს საკმაოდ მოიმაგრებს, შემდეგ აღარა უშავს-რა—სახელმწიფო და სამოქალაქო მოვალეობასაც ადვილად გაუძღვება, გზირსაც აღარ გააშაბანებს თავის ეზოყურეში და მით არ შეირცხვენს თავსა, ღვდელსაც უთქმელად ჩააბარებს კოდის პურსა, ვაჭარსაც აღარ ჩაუვარდება ხელში და აღარც ვალი და ვახში გაუპირებს საქმეს. პირველი ეს არის ჩვენის გლეხისათვის და ამავიე უნდა ვხედავდეთ ჩვენს უმთავრესსა და უძლიერეს თამასუქს ჩვენის წარმატებისას. მთელი ჩვენი ძალა და დიდება ქვეყნისა დღეს მხოლოდ გლეხია, იგი ინახავს ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ენას, იგი ჰკეთებავს თავის თავსა და გვკვებავს ჩვენცა. თუ გლეხი დაჯანდაგდა, დანარჩენი ნაწილი ჩვენის ხალხისა ხომ მიწასთან გასწორდება—და—გასწორდება, მაგრამ ამ დანარჩენს ნაწილს ჯანი და სული წაუვიდეს,—დაჯანდაგდება მთელი ჩვენი ერი, დასუსტდება და დაუძლურდება ჩვენი კიბაობა, დასჭკნება შემოქმედებითი ძალა ქართველის ჰკუა-გონებისა, დაეცემა ჩვენი ზნე-ხასიათი, დაუძლურდება საზოგადოდ ქართველი კაცი. ამიტომაც სიხარულით უნდა აივსოს თქვენი გული, ჩემო მკითხველო, თუ ჩემთან ერთად აფასებთ ქონებრივს გაძლიერებას გლეხისას, როდესაც გლეხობის წარმომადგენელი ოთარაანთ ქვრივი სტუქსავს სოფლის დედაკაცებს, ვისაც — კი უსაქმოდ მოასწრებს ხოლმე: „—რაო, შუქთა მჭამელოო? შენს ქმარს თავის-თავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთადა გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები,—აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამა შენს აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა ყელზე დაადგება აი. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი კარგი რამ შენა ხარ!.."

აფერუმ, ოთარაანთ ქვრივო! ემაგრე, ეგრე,—სულ ძმარი აწურე და დაამიწე მუქთა-მჭამელები! მაგათ ადგილი აღარა აქვთ ცხოვრებაში, ეგენი მეტ-ხორცნი არიან. დაამიწე, რომ მაგათი ადგილი დაჰრჩეს იმათ, ვისაც ესმის დროების საგანი და ემასხურება ქვეყნის გაძლიერებასა!..

* * *

მაგრამ ყველაზე სანუგეშო და სასიხარულო ჩვენს ცხოვრებაში ის არის, რომ გლეხთა ამგვარი მიმართულება გარედამ მოსულის წახალისებით კი არ არის გამოწვეული, არამედ შედეგია იმათის საკუთარის შეგნებისა და გამჭრიახობისა. ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ რამდენადაც ვიცნობთ, ისიც საკმარისია, რომ თვალი გავახილოთ და დავინახოთ, რა ნაირის მედგრობითა და ენერგიით ეტაბება გლეხი თავის ქონების გაბევრებასა. ყველამ ვიცით ჩვენის დაკვირვებით. რომ გლეხი არც ერთს მსხვერპლს არ ერიდება, ოღონდ—კი წაუ-

ქატოს რამ თავის ვენახს, თავის სახნავ-სათიბს, უკეთესად მოაწყოს თავისი სახლ-კარი, უკეთესი იარაღი შეიძინოს ბუნებასთან ბრძოლაში. ჩვენა ვხედავთ, რომ წლითი-წლობით უფრო და უფრო ბევრდება რიცხვი დღიურ მიწებისა, რომელიც უსაქმურთა და უშნოთა ხელიდამ გადადის ჯამრჯე და შნოიან ხელში. ოთარაანთ ქვრივი აღარ დაგიდევსთ, თუ იგი დედაკაცია და არა მამაკაცი. იმან თავის თავზე იცის, რომ

ღეკეი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია,

ოღონდ გამოიჩინოს უნარი ხელგამომავლიანობისა და გამუდმებით ემსახურებოდეს ოჯახის მოღონიერებას.

უმთავრესად ეს საგანი წამოუყენა ცხოვრებამ ჩვენს გლეხობას და იმის საქებრად უნდა ვაღიაროთ, რომ გლეხმა ჩინებულად გაიგო სიგრძე-სიგანე, სიღრმე და ძალა ამ საგნისა. ქონებრივს მოღონივრებას მოაქვს გლეხისათვის დამოუკიდებელი ცხოვრება და უყვედური ლუკმა-პური. ამ ორის გარემოების შედეგი არის გრძნობათა სისრულე, გულის სიფაქიზე, ხასიათის სითამამე, თავისის თავის იმედი, მაშასადამე, გაუტეხელობა და სიმტკიცე. რაკი ოთარაანთ ქვრივს თითონ არ უჭირს ცხოვრება, ყველაფერი ნაზრუნი აქვს თავისათვის და გარჯა კიდევ უფრო მეტს აძლევს, ეიდრე იმისათვის საჭიროა,—იმდენად მეტს, რომ აღარც—კი იცის რაში გამოიყენოს მომეტებული, ამის გამო არც იმათთვინა ჰშურს ლუკმა პური, ვისაც ვერ გაუტანია ცხოვრებაში თავი, და კიდევაც აწვდის უხვად თავის მოწყალებას იმ ქისიდამ, რომელსაც იმისი მოსწრებული ენა ეძახის ხან „შიოს მარანს“ და ხან „ფარსეღას ქარვასლას“.

ცოტაცა—და, შეძლებული გლეხი უკეთესად გამოიყენებს თავის მონაგარს. ღმერთმა კი დაიფაროს და მოწყალებაზე ხელი არ ააღებინოს, რადგან გაჭირვებულთა დახმარება კაცის უმაღლესი ღირსებაა და უამისოდ პირუტყვს ემზგავსება, მაგრამ ერთი—კი მოიფხანოს თავი, მოიფშვნიტოს თვალები და გაახილოს, თორემ ადვილად დაინახავს, რომ ჭამა-სმის გარეშე კიდევ არის ერთი უმაღლესი საგანი, რომელიც გლეხმა უთუოდ უნდა ჩაიგდოს ხელში, რომ გაცილებით უფრო უდიდესი ნაბიჯი გადასდგას წარმატების გზაზედ, დაეწაფოს და შეიძინოს სწავლა-განათლება, ეს უშველებელი ღერძი ქვეყნის დიდებისა, რომელსაც გლეხის ღონიერი მარჯვენა დაშორებით უკეთ გამოიყენებს და მოიხმარებს, ეიდრე ღონე-გამოცლილი, მისუსტებული და უიმედო შვილი ფუფუნებისა და კმაყოფილებისა.

აი ეს აკლია გიორგის. მიანათეთ იმასაც სპეტაკი სხივი განათლებისა. და მაშინა ჰნახავთ, როგორ დატრიალდება ჩარხი ჩვენი ბედისა. ჯერ ეხლაც—კი ეტყობა გიორგის ცნობის-მოყვარეობა: გაიგო, რომ სადღაც შორს ვიღაც მებატონეს ახალ წესზე გაუშენებია ვენახიო. გულმა აღარ მოუთმინა. წავიდა იმის სანახავად და ძალიანაც მოეწონა ახალი საქმე.

ახალი ცოდნა. ხელ-ნელა თვით ცხოვრების მაგალითები მიიყვანს ოთარაანთ ქვრივებსა და იმათს შვილებს იმ აზრთანა, რომ სწავლა გაცილებითა სჯობია უმეცრებასა და რომ განათლების შემწეობით კაცი უკეთესად მოაწყობს თავის ყოფა-ცხოვრებას ცალკე და უკეთესი შვილიც იქნება ქვეყნისა.

ჰო და აი, აქ არის კიდეც საქმე იმ ნაწილისა, რომელიც დღეს დაშორებითა სცხრვრობს გლეხობაზე და უაზროდ აჩანჩალებს თავის ცხოვრებას. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.

არც ვიცი, ბოდიში მოვიხადო მკითხველთან, თუ არა ამ ჩემის წერილის თაობაზე. საქმე ის არის, რომ მანამ ხელში კალამს ავიღებდი, მეგონა ადვილად მოვიშორებ „ოთარაანთ ქვრივის“ გამო შენიშვნასა-მეთქი, და წერილსაც „მცირე შენიშვნა“ დავარქვი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოვსჯუუდი. რამდენიც ვუახლოვდებოდი საგნის გულსა, იმდენი თანდისთან ფართოვდებოდა საგანი და ყოველად საყურადღებო კუნჭულებს მიყენებდა წინა. მთელი ჩემი მეცადინეობა ვიხმარე და ამაზე მოკლედ ვერ გამოვსთქვი ის მოფიქრებანი, რომელიც აღძრა ჩემში ამ „საჭირბოროტო საკითხავებით“ გაჭედილმა მოთხრობამ. თუ ამ მოტყუილებამ ის მაინც მაღირსა, რომ ჩემს მკითხველს არ მოვაბეზრე თავი, ეს იქნება ჩემთვის უკეთესი და უტკბესი ჯილდო,—არა—და, აბა მომხდარ საქმეს საიდამ-ღა მოევლება! მეტი გზა აღარ არის, უნდა გავიდეთ ბოლომდე. თორემ ასე გაწყვეტა საგნისა უფრო საბოდიშო გამოხდება. ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ შემდეგში მოგერთმევათ ჩემი წერილი ისევ და ისევ „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ.

აქ გავათავეთ განხილვა გლეხთა ავ-კარგიანობისა, ახლა უნდა შევუდგეთ თავად-აზნაურობის დღევანდელ ვინაობას.

VI

როგორც ჩემგან თავ-მობეზრებულ მკითხველს ახსოვს, ჩვენი გლეხი საკმაოდ წარმატებაში შედიოდა ამ უკანასკნელს ნახევარს საუკუნეს. ცბიერსა და მოღალატე დათოს მოჰყვა სანდო და პატიოსანი რეზონიერი გაბრიელი, რომელსაც რუსეთმა მიაწოდა თავისი ღონიერი ხელი და წყალწაღებული, სულთმოძრავი კაცი გამოიყვანა სამშვიდობოში, სადაც კანონის მფარველობის ქვეშ, ამწვანდა, აყვავდა და მოისხა საკმაოდ შესამჩნევი ნაყოფი გლეხის შრომამ, იმისმა გულმა და სულმა. ამ ვითარებაში წყალ-წაღებულ და მოლაპარაკე გაბრიელის ადგილი დაიჭირა ჯანითა და ღონით შემკულმა მოსაქმე გიორგიმ.

ამავე დროს ჩვენი თავად-აზნაურობა წყალ-გაღმა დარჩა. საცოდავი ლუარსაბი უკანასკნელ დღეებს ვაი-ვაგლახით ატარებდა, მივიწყებული, თავ-მინებებული და გაბრაზებული ახალს დროებაზე, რომელმაც გამოაცალა ხელიდამ საგანი „დაწიოკებისა“ და ამით წაართვა თვით აზრი იმის ცხოვრებასა. გაბოროტებული იყო ახალს დროებაზე და მიაბარა

სული უფალსა ისე რომ თავისი ბუტ-ბუტი და გაბოროტება ველარც-კი შეატყობინა ქვეყანასა. ამ დროს ჩვენი დათიკო უკვე ნავარდობდა მოედანზე. ის ხასიათის მჭონე კაცი გახლდათ და მაგდენს არას დაგიდევდათ, რომ ყმები ჩამოაცალეს და მეორე ნაპირას დაასახლეს. „ჯანი ეგ სული წაუვიდეთო, — ჰფიქრობდა დათიკო: — მანამ ცოცხალი ვიქნები. ჩემი სარჩო-საბადებელიც მეყოფა, და ჩემს შემდეგ თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუღარა ყოფილაო“.

გაიმძღვარა წინ ჩვენმა დათიკომ ასეთი მოსაზრება და მთელის თავისის ღონით შეუდგა საკუთარის ოჯახის დაქცევასა, დანგრევასა და განადგურებას. ყველამ ვიცით, როგორის თავ-გამოდებით შეასრულა. ეს თავისი გზამჩვენებელი აზრი დათიკომ. შეჰამა და კიდეც მოინელა თავისი მამა-პაპეული ზვრები, ჩაიდო მუცელში საუკეთესო ნაფუძვრები. გადაბუგა თითქმის მთელი თავისი თვალ-მიუწვდენელი ტყეები, შთანთქა სახელოვანი ციხე-დარბაზები, მერე, თუ-კი სულს აქეთ მოეპოვებოდა-ღა რამ, ყველაფერი ჩააგირავა პრიკაზსა და ბანკში, ან ცალკე კაცის ხელში, და ბოლოს მთლად მიანება სოფელს თავი, ჰკრა ქუსლი და გადმოსახლდა დაბა-ქალაქებში ხანშესული, წვრილ-შვილი, ვალითა და ვაჭრით ჯან გაღებული, პატივ-აყრილი, გატეხილი, ლუკმა-პურის მონატრე და სხვათა ხელში შემაყურალი. ჭამა-სმა, სმა-ჭამა, კიდევ ჭამა-სმა და კიდევ და კიდევ. ქეიფი დღეს, ქეიფი ხვალ, ქეიფი ზეგ, სულ ქეიფი, კიდევ ქეიფი, გაუთავებელი; სამზღვარ-დაუდებელი ქეიფი და ლოთობა. ამას შესწირა თავისი ყმა-წვილკაცობა, ამასვე მისდევდა მოხუცებამდე და მანამ ზურგი შესწევდა. დათიკო იყო ტრაქტირებისა და რესტორანების უკეთესი გმირი. დათიკოებისთანა ხეირს ვერ აჩვენებდა რესტორანს ვერც ჩინოსანი დიდი კაცი, ვერც მილიონის პატრონი ვაჭარი და ვერც ეროი მოხელე. დათიკოს თითო „ზაკაზზე“ რამდენიმე თუმანი უნდა მოგება ენახა რესტორანისა, ბაღისა თუ ტრაქტირის პატრონს და კიდევაც აქებდა, უყვარდა და მადლიერი იყო დათიკოსი: „ვა, კნიაზჯან, შენისთანა დარდიმანდი ქართველი კაცი რომ არ მობრძანდებოდეს საქეიფოდ, ჩვენ სულ მშივრები დავიხოცებოდით, ღმერთმა მეტი შნო და ლაზათი მოგცეს კნიაზჯან“. კნიაზჯანიც უკან არ იხევდა, სცდილობდა უფრო მეტი შნო და ლაზათი გამოეჩინა, ე. ი. უფრო უანგარიშოდ ეფანტნა და ეხარჯნა თავისი საცხოვრებელი. ყველა მეფაიტონე იცნობდა დათიკოს და ბედნიერი იყო, თუ იმის ფაიტონში ჩაბრძანდებოდა. კნიაზი—ნახევარ საათი რომ მჯდარიყო ჭითელს ასიგნაციას მიაგდებდა თავში ბედნიერ მეფაიტონეს. კინტო ბიჭები ხომ დათიკოს მზესა ლოცულობდნენ:—„ვა, დათიკოს ღმერთის ჭირიმე. მართალია, კნიაზია, მაგრამ ჩვენზე უარესი. ლოთი-ფოთი ბიჭია. ეხლა ჩხუბში უნდა ჰნახო, რა დარდიმანდია! ვა, ვა, ვა!.. იმ დღეს ერთი გოგო მეეტაცნა, ორთაჭალის ბაღებში ჩამეყვანა და თავისებურად, დუდუკით დროს ატარებდა, ყეიროდა, ღრიალებდა ზორბად. ამ დროს გო-

ვის პატრონებიც წაჰყვნენ. დატრიალდა ჩვენი დათიკო და სულ ზურგზე ბოლი ადინა ყველას“.

* * *

ასეთი ხასიათი დასჩემდა დათიკოს იმავ თავით და იმის შესაფერ გზასაც დაადგა ცხოვრებაში, როგორც ცნობილია დღეს ყველასაგან. მძიმე თავისი უშველებელი ქონება, სამართლიანად თუ უსამართლოდ მოპოკებული საუკუნოთა განმავლობაში, რამდენსამე ათს წელს სულ თავის გაუმაძღარს მუცელში გაატარა და იქამდე უზრუნველი და უდარდელი იყო, რომ როგორც ვიცით ჩვენის ცხოვრებისავე ვითარებიდან, სამარის კარამდე მივიდა და თითქმის სამარხიც-კი არ ინაღვლა თავისთვის უყველური. დათიკოებს ნდომით ბევრი უნდოდათ, უფლებაზე თვალი ეჭირათ და მოვალეობას კი ქედს არიდებდნენ. დათიკოსათვის ქვეყანაზედ არ არსებობდა არავითარი მოვალეობა არც შვილებისა და არც მშობლების მიმართ, „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ხომ სრულებით ფეხებზედ ეკიდა“. გაველურდა, განადირდა კაცი, აღარ გაეგებოდა რა აღარც ქვეყნიერებისა, აღარც თავის თავისა, აღარც სამშობლოსი. მხოლოდ ერთი ესღა-ახსოვდა, რომ იგი ბრწყინვალესა და კეთილშობილს გვარს ეკუთვნის და ამიტომ სრული ნება აქვს უკადრისად მოეპყროს ყველას, ვისი გვარიც არა ბრწყინავს ცარიელის სახელით მაინცა და არა კეთილშობილობს ცარიელისავე სახელით. მიზეზიც ეს იყო, რომ როდესაც-კი დათიკოს შემოაკლდებოდა ხოლმე ჯიბის ფული და ათასში ერთხელ გამოცურდებოდა იმ სამშვიდობო ნაპირას, სადაც საკუთარი ბუდე გაიკეთა განთავისუფლებულმა გლეხობამ, მოაგონდებოდა დრო ბატონ-ყმობისა და ერთს ალიაქოთსა და ვაივაგლახს აუტეხდა დამშვიდებულს, დაწუნარებულს და მეშრომე გლეხობას. თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებდა, მაშინათვე გული ყელთან მოებჯინებოდა, ბრაზი მოერეოდა ჩვენს დათიკოს: „შე ღორო, ღორის ჯიშისავ! განა არ იცი, რომ მე თავადიშვილი ვარ და შენ —კი ვიღაც გლეხი? თვით მთავარმმართებელი მოწიწებით მელაპარაკება და მეტყვის-ხოლმე — თქვენო ბრწყინვალებაო, და შენ-კი სიტყვა უნდა შემომიბრუნო მე, თავადიშვილს, ბრწყინვალებას... მერე რომ გაგლანძღო, გაგათრიო, ვიკადრო და ჩემის ხელით სილა გაგარტყა, მაგ გაშავებულს ლოყაზე, შენ მადრიელიც უნდა დამრჩე, არა თუ სიტყვა შემომიბრუნო. აი ეხლაც გაგლანძღავ და გეფიცები ჩემს ბრწყინვალებას, რომ თუ ხმა ამოგიღია, მანდვე გაგაჭრობ. აი გლანძღავ: შე აგეთო, შე იგეთო, შენი მამა“... გლეხი ვერ მოითმენდა ამისთანა შეურაცხყოფას, სიტყვას შეუბრუნებდა და ხშირად დათიკოებიც ასრულებდნენ მუქარას, იქვე ხანჯალს შესცემდნენ მუცელში გლეხსა. რამდენი დათიკო გაემგზავრა ციმბირში ამისთანა განადირების გამო, დათიკოს შვილები ხომ ყოველ წლივ რამდენიმე თვე უეჭველად ციხეში უნდა ისხდნენ ლოთობის, ჩხუბის,

ჩეხვისა და ხანჯლის ტრიალის გამო. ესეთი და ამაზე უარესი საქციელი დათიკოებისა და იმის ჩამომავლობისა ჩვენ წიგნიდამ კი არ ვიცით, არამედ უფრო სარწმუნო წყაროდამ და ეს წყაროც არის ჩვენი ცხოვრება ამ უკანასკნელ ოცის, ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში. ჩემს მკითხველს თითონ უნახავს ათობითა და ოცობით მაგალითები შემაძრწუნებელი საქციელისა დათიკოებისა და იმის შვილების მხრივ. თანაც ეს საგანი ისეთი სამძიმოა, რომ გული გისკდება ბრაზებით, როდესაც-კი იგონებ და თვალწინ იდგენ დაჭუცმაცებას, დაწვრილმანებას და დაქვეითებას იმ წოდების წარმომადგენელთა, რომელთაც დარჩათ საკმაოდ დიდი წყარო გაძლიერებისა — თვალ-მიუწვდომელი მამულ-დედული. მაგრამ რასა იქმ, ჩემო ბატონო, ძნელია კაცი ადამიანად იქცეს, რაც გინდა გარემოება ხელს უწყობდეს, თუ არა აქვს შეგნება ამ გარემოებისა.

* * *

უმეტესობამ, უფროს — ერთმა თავად-აზნაურმა ვერ შეიგნო თავისი დრო, ვერ მიუხვდა აშკარად წამოყენებულს საგანს ცხოვრებისას, და მიზეზიც ეს იყო, რომ თითქმის მიწასთან გაისწორა თავისი თავი, საკუთარის ხელით წყალში გადაყარა ის თვალ-მარგალიტი, რომელიც გარემოებამ დაუნარჩუნა ცხოვრების ბრძოლის ასატანად, ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად. იმ დროს, როდესაც გლეხმა იგრძნო, გაიგო და ხელი ჩაჰკიდა ახალს საგანს ისტორიისას და თავისის გარჯით, მეცადინეობით შეჰქმნა და დაჰბადა საფუძველი შედარებითის კეთილდღეობისა, რითაც ასახელა თავისი ქვეყანა, — თავად-აზნაურობამ არა თუ ქვეყნისა, სამშობლოს საჭიროებისა ვერა შეჰნიშნა-რა და გული არ ერჩოდა საზოგადო საქმისათვის, არამედ საკუთარის საჭიროებისაც-კი ვერა გაიგო-რა, მისდგა თავის ქონებას, თითქო შემოსეული მტერიაო,თითქო ჭარელი ლეკიაო, და სულ ერთიანად ძირი გამოუთხარა.

ამისთანა საქციელით თავისი ძალ-ღონე ხომ ერთიანად გაუშვა ხელიდამ და ქვეყანას, რასაკვირველია ვერაფრით ვერა არგო-რა, პირ-იქით, აზარალა და დიდადაც აზარალა. თავის თავისა თუ-კი არა გაეგება-რა ადამიანს, აბა ქვეყანას რა ხეირი უნდა დაჰმართოს. და მართლაც, ხეირი-კი არა, დათიკოს და იმის ჩამომავლობას იქამდე არ ეყურებოდა თავისი ადგილი ქვეყანაში, იქამდე გამოერჩია და გაძევდა ცხოვრებიდამ, რომ აღარ იცოდა, რა არის სამშობლო, ქვეყანა, ჭართველი, რა არის თვით მშობლიური, დედა-ენა. თუ რა ზომამდე გამოეცალა თავიდამა, და გულიდამ ასეთი საანბანო და საყოველთაო გრძნობა და აზრი, თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ იქიდან, რომ მთელი წარჩინებული თაობა სოლომონ დოდაშვილისა მთელი ნიჭი და სისრულე ბარათაშვილის თაობისა, მთელი მეცადინეობა, თითქმის ქადაგად-დაცემა, ჭკუა და ნიჭიერება ეგრეთწოდებულ

„თერგდალეულთა" იყო საჭირო, რომ ამ ორმოცდაათის წლის განმავლობის შემდეგ ჩვენს თავად-აზნაურობას ზედათად არის მაინც სიტყვიერად მაინც შეეგნო, რომ იგი ქართველია, ეკუთვნის ქვეყანას და ამიტომ მოვალეობა აძევს მამულიშვილობისა. ნადირმაც-კი იცის ფასი თავისი სოროსი და დათიკოს შვილს დღეს დიდ გმირობაღ მიაჩნია, როდესაც ლოთობის დროს ბოხის ხმით წამოიძახებს:

ყანწით ვსვამ ღვინოოოოს,
თქვენს სადღეგრძელო ო ო ო ო ს...
და გაუმარჯო ო ო ს, ვარალო, და სხვ.

და იმავ წუთს, შემდეგ ამისთანა „პატრიოტულ" ლექსისა, მოაყოლებს არა ნაკლებ „პატრიოტულ" სიმღერას:

ჰე მიყვარს შენ ი ი ი ი ი
შავი თვალებ ი ი ი ი ი,
შენ გენაცვალოს, ვარალ ო ო ო ო
ყველა ქალებ ი ი ი ი ი
ტრანინაჰნან ო ო ო ო,
ტრანინაჰნა ე ე ე ე ჰე,
ტრანინანა ო ო ო, ვარალ ო ო ო ო,
ტრუნინანა ჰნა ე ე ე ე ე ე.

უმეტესობის შეგნება მამულის სიყვარულისა დღეს იწყება ამ ტრუნინანათი და თავდება იმ ტრანინანათი..ათასში ერთხელ თუ გაიმართება საზოგადო კრება დათიკოს შთამომავლისა თითო-ოროლა ჭკვიანი კაცი იტყვის, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ამიტომ უნდა გვიყვარდეს საქართველო, ჩვენი სამშობლო და ჩვენი დედა ენაო,—ეს ანბანური სიტყვები დათიკოს შვილს ჰგონია რაღაც ახალი და ციდამ შთაგონებულ ჰეშმარიტებად, მთქმელი მიაჩნია ქვეყნის გმირად, დიდ-სულოვან, გამბედავ კაცად, და ტაშის ცემასა და ვაშა-ვაშას ოოლო აღაია აქვს ხოლმე.

იმის გაგება-კი, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი სიყვარული. სამშობლოსი, როგორს სამსახურსა თხოულობს ეს უკეთესი გრძნობა ადამიანისა, რა მოვალეობას ადებს იგი მამულისშვილს, ამის გაგება უფრო-სერთისათვის ჯერ სრულებით მიუწდომელია.

თითო-ოროლა-კი, ვისაც რაიმე სწავლა მიუღია და ყური მაინც მოუკრავს განათლებისათვის, ცოტაოდენად გასცილდა ამ ტრუნუნანის პატრიოტობასა. მაგრამ მაინც ჯერ რიგიანად ვერ გაუფაქიზებია გული, ვერ მოუშორებია საუკუნეობით მოდებული ობი ტვინისათვის, და ამიტომ იმისი სიყვარული სამშობლოს მიმართ გამოიხატება თავის წოდების სიყვარულით. იმასა ჰგონია, რა-კი წავექომაგები თავად-აზნაურთა წოდებას, მორჩა და გათავდა ჩვენი ვალი, სამშობლოს მიერ კისერზე დადებული. ამასთანავე თუ საკმარისი ზიზღი გამოიჩინა დანარჩენ წოდებათა მიმართ, მაშინ ხომ სრული და უნაკლულო მამულიშვილია და მამულიშვილი. თუ

ამასთანავე წოდებამ შენიშნა ესეთი კაცი და სიყვარულის სამაგიეროდ ლუკმა პურის ილაჯი გამოუჩინა, მეტი აღარა არის-რა საჭირო. ქვეყნისათვის — სამშობლომ წინ წაიწიაო, ჰფიქრობს ასეთი კაცი, — აფასებს ღირსეულ მოღვაწესა. სამშობლომ შეიმცნო და აღასრულა საკუთარი მოვალეობა ჩემდამიო. კაი მოგეცეთ, კარგ ყოფაში დღეს ჩვენა ვართო. ეხლა იმის მეტი აღარა უნდა-რა ქვეყანას, რომ ცოტაც გაიჭიროს საქმე და ცხოვრების სახსარი აღმოუჩინოს ყოველს შვილს დათიკოსას, რადგან დათიკომ ვალისა და ვახშის მეტი არა დაუნარჩუნა-რა თვის შთამომავლობასო.

თუმცა ერთის მხრივ ასეთი უბადრუკი მიმართულება მეტად საწყენი და სათაკილოა ყოველ ნამდვილ მამულიშვილისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ თქვენ აქა ხედავთ ცოტაოდენ წარმატებას მაინც. დათიკოს დაბრმავებული თვალი გონებისა და გულისა სრულებით ვეღარა ხედავდა ვეღარც ქვეყანას, ვეღარც წოდებას; იგი დაბრმავდა იქამდე, რომ თავისის თავის დანახვასაც ვეღარ ახერხებდა, არა თუ წოდებისა, და ქვეყნისას. იმისი კერპი იყო — გაუმაძღარი ბრწყინვალე მუცელი და მუცელს აყრიდა ყველაფერს, რაც-კი საუკეთესო რამ მოეძებნებოდა ქვეყანაზე. დათიკოს შვილთა უფროს — ერთი დღეს ტრუნტუნტუს პატრიოტობას მისდევს და ამიტომ არ გაეგება თავისი მოვალეობა ქვეყნის მიმართ. დათიკოსავე შვილთა უმცროს-ერთს-კი გაუგია, რომ იგი არ არის რობინზონივით განცალკეებული კუნძულზე, მოწყვეტილი და გადაგდებული, წყლისაგან გარიყული. დაუნახავს, რომ იმ ნაპირზე, სადაც დასტოვა კანონმა დათიკო და მისი შვილები, მართალია გლეხები აღარ არიან, შემოიფანტნენ, გავიდნენ წყალ-გაღმა, — მაგრამ სამაგიეროდ ყოფილან და დარჩომილან სხვა დათიკოები და ამ სხვა დათიკოებს ჰყოლიათ თავიანთი შვილები, რომელნიც ერთს ტაფაში იწვიან ამასთანა. დათიკოებმა ერთს ტაფაში მოამწყვდიეს თავიანთი შვილები და საკვირველი აღარ არის, რომ ცოტათი თვალ-ახელილ შვილებმა ხელი მისცეს ერთმანეთს. თუმცა ესეთი ხელის მიწვდა სრულებით უხეიროა, სათაკილო და მეტად უსუსურია, მაგრამ მაინც ხელის მიწვდაა. კაცი მიჰხვდება, რომ იგი აღარ არის ნადირი, რომ იმასა აქვს მოთხოვნილება ეკუთვნოდეს რომელსამე კრებულს.

უეჭველია, რაკი ცოტათი კიდევ აახელს თვალს დათიკოს შვილი, ცოტათი კიდევ მისწვევ-მოსწვევს თავის ჰკუას ძალას, მაშინ დაინახავს, რომ წოდებრივი გამსჭვალვა, გასიება და მიდებ-მოდება, დღეს ნაცარქექიაობაღაა და მეტი არაფერი. გაიგებს, რომ ეხლანდელი წოდებათა განსხვავება ცარიელი სიტყვაა, და ვინც წოდებრივ უღირს ღირსებას ეჯაჯგურება, რომ ამითი ცხოვრებაში ფეხი მოიკიდოს, იგი ჰგავს იმ წყალ-წაღებულს, რომელიც ბუმბულს ეჭიდება, რათა გადაურჩეს საშინელ ტალღებსა. დაინახავს, რომ დღევანდელი წოდება, სიტყვით რაც უნდა სპეტაკი, ბრწყინვალე იყოს, სასაცილო ანახრონიზმია და სხვა არაფერი. ამისთანა ანახრონიზმით კაცი ვერ შეიქნება ადამიანად.

* *

და ვიდრე ამას გაიგებდნენ-კი, ნუ შეპრისხავთ ამ წვერ-ულვაშიან ბალღებს ცხოვრებისას და ნურც გაიკვირვებთ, როდესაც ჰნახავთ, რამდენის მეცადინეობით ირჯებიან, რომ კეთილშობილებიდამ ბრწყინვალებამდე ავიდნენ, რამდენს ეწევიან და როგორ იხვეწ-იმუდარებიან—„არიქა, გეთაყვა, მოგვეცით ხელი, რომ ჩვენც თქვენსავით ვბრწყინავდეთო". დეე, იბრწყინონ, ვის რას დაუშლიან. თუ კი ფუღუროო, ცარიელი, სიტყვა მაგეთს სანუკვარ საგანს შეადგენს ვისთვისმე, რა დავი გაქვთ. ესენი მხოლოდ თავიანთ თავს დაუშლიან და სხვას არავის. ამ მუხლში კანონმა იწია განათლების იმ სიმაღლემდე, საიდამაც წესაძლო გახდა უსამართლობისათვის ზურგის შექცევა, ცხოვრება თავის ღონიერ ფილტვებს ასუნთქებს თანასწორობასა, ჰმოქმედობს თანახმად სამართლისა და ერთობისა. ნამდვილი კეთილშობილება სულისა და გულისა ყველას თვალ წინ დღითი-დღე იზრდება და მატულობს. აბა ამისთანა დროს თითო-ოროლა უკანასკნელ მოღიკანების, დარჩომილ კაცების მეცადინეობა როგორღა შესცვლის ფერს ცხოვრებისას. ეს მეცადინეობა მხოლოდ საბუთია იმისი, თუ რამდენად ჩამორჩება დროებას ჩვენი თავად-აზნაურობა. ამ ჩამორჩენას თითონაცა ჰგრძნობს და უკეთეს კომპლიმენტად დღეს მარტო ის ღა მიაჩნია, როდესაც ხერხიანი კაცი მოიწადინებს ვინ თავზე ქონს მოუსვამს ჩამომავლობით უწინდელის დიდებით.

* *

ოცდაათისა და ორმოცის წლის ქარიშხალმა ქონებრივი შეძლება სრულებით ჩამოაცალა ხელიდამ და ნაცვლად არა მისცა-რა, გარდა სინანულისა და მიზეზიც სინანულისა ის-კი არ იყო, რომ აქამომდე, მოელს თავის სიცოცხლეში, არავის-რა სიკეთე მოუტანარა და პირიქით, სულ ძმარს აწურებდა ღონე მიხდილს და უძლურს მოყვასს, — არა, ესეთი სინანული ჯერ გვიან გაიღვიძებს ამ წოდების უმეტესობის გულში. დათიკოს იმისმა სინანულმა გაუარა გულში, რომ უანგარიშოდ აბნია თავისი სარჩო- საბადებელი და უკანასკნელ წამს აღარა აბაღია-რა, თან წაილები საიქიოს ატანენ წყევა-კრულვას და გაუთავებელს საყვედურს, რადგან მამულ-დედული ჩაიდო მუცელში და სამაგიეროდ არ დაუტოვა-რა, სწავლა-განათლებაც არ უნაღვლია შვილებისა. აი ამისი სინანული აქვს, მეტი არაფერი.

სხვა ქვეყნებშიაცა ვხედავთ ფეოდალობას, სხვაგანაც იყო გაძლიერებული თავად-აზნაურობა, მაგრამ იქ უფრო უმეტესადა ჰხედავთ, რომ დაწინაურებული წოდება შეადგენს მართლა ერთს მტკიცე კრებულს, რომელსაც აქვს საგანი ცხოვრებისა, ემსახურება ამ საგანს და აქედამ ქვეყანასაც, აქვს საკუთარი კულტურა, ზნეობითი ფერი, საკუთარი ჩვეულება. იქ ფეოდალობა წარმომადგენელი იყო საუკეთესო განათლებისა. ემსახურებოდა მეცნიერებას, ხელოვნებას, წინ ეწეოდა მეურნეობას,

ყურს უგდებდა მაშულ-დედულს, მფარველობას უწევდა ნიჭს და სიმშვენიერეს. იმისი კულტურა უფრო განვითარებული იყო, გაცილებით მაღლა იდგა გლეხის კულტურაზე და მაგალითად ედგა ჩამორჩომილ გლეხობას.

ჩვენში ამისთანას არაფერსა ვხედავთ. ჩვენი თავად-აზნაურობა კულტურით არა თუ მაღლა არ იდგა, გლეხობაზე და ამიტომ არ შეეძლო ხელმძღვანელობა და წინამძღოლობა, პირიქით, როგორცა ვნახეთ იგი გაცილებით ჩამოჰრჩა გლეხობასა: აღარც იმის გონებასა ჰქონდა საგანი და ამიტომ ჰკუა თითქო მეტს ბარგად შეიქმნა ჩვენის ლუარსაბისათვის, აღარც ზნეობრივი იდეალები, რომელსაც მუდამ ჰხედავთ ჩვენს გლეხში და რომელიც აგრეთვე მეტ ბარგად მიიჩნია დათიკომა. დღევანდლამდე წიგნსა თუ გაზეთს მტრის თვალით უყურებს და, ხელი რომ შესწვდებოდეს, არა თუ წიგნებს, სტამბებსაც ცეცხლს მოუკიდებდა და მწერლებს უეშველად ნაცარტუტას ჩააწურამდა თვალში საქმესა და ფიზიკურ მუშაობას ხომ აბა რას იკადრებდა—სხვა სისხლისა ბრძანდებოდა.

აბა ამისთანა წოდება რა მნიშვნელობას მოიპოვებდა ცხოვრების მოედანზე, რა განძს შეჰმატებდა სამშობლოს აზრსა და გრძნობას, რას გაუკეთებდა ქვეყნისათვის გამოსაყენებელს!

ვინც აქამდე ბედნიერი და ჭკვიანი იყო, რომ დროზე გამოიბერტყა ყურები, გამოიღო ბამბა, და პირდაპირ გაუსწორა თვალი ცხოვრების ახალ ჩარხსა, ვინც გაიგო და შეიმცნო ახალი აზრი და საგანი სიცოცხლისა, ის კიდევაც უტკივრად გადაურჩა ამ საშინელს ქარიშხალსა, დაანება თავი ათასგვარ სისულელეს „სისხლის“ შესახებ, დაიმკლავა ხელი და გლეხთან თანასწორ შეუდგა საქმიანობას,— იმან კიდეც მოიკიდა ფეხი ნიადაგზე და ღრმად გაიდგა ძირი ცხოვრებაში. იმან ადგილი დაიჭირა ქვეყნის მოედანზე, ხმა მიენიჭა ჩვენს ავ-კარგიანობაში. მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი ნაწილი მეტად მცირე იყო ჩვენში და მაგალითად ვერ გამოადგებოდა თავიდამ ხელ-აღებულ დათიკოობასა და უძრავ ლუარსაბობას. ამისთანა კაცები ღღეს თავაწეულნი და წელში გამართულნი არიან და ბოლთასაცა სცემენ ფართო ქვეყანაზედ. ირჯებიან, აქცევთ შეძლება კიდევაც იძენენ, ასწავლიან შვილებს, ანათლებენ ვაჟსა და ქალს, თითონაც ჩინებულადა სცხოვრობენ და სრულებითაც არა ჰგონიათ, რომ ბეტონ-ყმობა უფრო მეტს ლუკმას მისცემდა იმათ, ვიდრე ეხლანდელი დროა ადამიანის პიროვნების განთავისუფლებისა და გათანასწორებისა.

ვინც ვერ გაიგო ცხოვრების საგანი და ვერ შეიძლო ასპარეზზე გამოსვლა, იმან ხომ კიდევაც იწვნია, რადგან დღეს წარმოადგენს საცოდავს ნანგრევებს ოდესღაც დიდებისას...

ამისთანა წყვდიადსა და სიბნელეში ბ-ნმა ილია პაპავაძემ თვალი მოჰკრა არჩილსა და კესოს, ჩაჰკიდა თავისი გამოცდილი ხელი და დაგვანახვა ორნივ თავის ღირსებით და ნაკლულევანებით.

VII

საამურად უნდა დარჩენოდა პატივცემულს ავტორს, როდესაც პირველად შენიშნავდა ახალგაზრდა და-ძმასა, არჩილსა და კესოს, სოფელში, თავიანთ მამულ-დედულის მეთვალყურედ. ხოლო ამ სიამოვნებას მალე ზედ დაერთოდა საკმაოდ შესამჩნევი გაოცება, რაკი ავტორი გაიგებდა, რომ არჩილი კარგა ნასწავლი ყმაწვილია და კესოსაც სწავლა დაუმთავრებია. როგორ, ქართველი თავადიშვილი, ახალგაზრდა, სწავლა- მიღებული და სოფელში! თანაც საქმეს აკეთებს კაცი, თავის მიწაზე ჰფიქრობს, უვლის, ამშვენებს და აფართოვებს ზვრებსა! ამავე დროს თვით კესო, არჩილის და, თავადიშვილის გასათხოვარი და ნასწავლი ქალი, ჩამოსულა სოფლად და კი არ დაალაჯუნებს და დააქროლებს შორსა თუ ახლო სოფელსა და ქალაქებში ნაცნობებთან გაუთავებელს სატანცი-მანციოდ და საშორაოდ, არა, — ზის თავის სახლში და ჰფიქრობს თავისი მზრუნველი სელი გამოაყენოს მამა-პაპეულს მიწა-წყალს, თავისი კვალიც დააჩნიოს იქაურობას: ბაღს იკეთებს თავიანთ სახლთან, რომელიც ბევრ ორმოცდაათი წელიწადია აოხრებული და გაერანებული ეგდო ღვთის ანაბარად!

ავტორი აქამომდე იმის მეტს ვერასა ჰხედებოდა ჩვენში, რომ ქართველი თავადიშვილი, მეტადრე თუ ორი „დრასტი“ ესწავლა, ათასში ერთხელ არ დაინახავდა თავის სოფელს და, თუ დაინახავდა, იმიტომ-კი არა, რომ თავის მამულ-დედულისათვის გული შესტკიოდა და რომ ხალისი ჰქონდა იმის მოვლისა. ღმერთმა ნუ ჰქნას! ასეთი ეჭვი რომ აგეღოთ, კიდევაც გიწყენდათ — „განა ჩემი გვარიშვილობა იქამდის დაეცა, რომ მე შევირცხვინო თავი და ვიმუშაო, ან თვალყური დავიჭირო სხვათა შუშაობაზეო. გაქრეს თქვენი ლუარსაბი თუ დათიკო, იმან ეგ არ იკადროს! მაშ დათო ან გაბრიელი, ან ეხლანდელი მოურავები რას გვიკეთებენ, თუ ჩვენც თვალი დავიჭირეთ? მაშ პურს ტყუილად ვაჭმევთ, ჯამაგირს მუქთად ვაძლევთ, მაშ ქვეყანა ჩალითა ყოფილა დახურული რაღა! მე თუ ეხლა „წაბლიანში“ გიახელით, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ქეიფი მომივიდა, ამასთანავე მინდა არუთინას ვაჩვენო „წაბლიანის“ ზვრები—პატარა ფული მიჭირს, ხუთასი თუმანი მინდა ვიშოვნო როგორმე და გირაოდ ვაძლევ ზვრებს. ეგ არის, თორემ აქ რა მომიყვანდა, აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ.“ და მართლაც, აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ დათიკოს რა მიიყვანდა სოფელში, სადაც არ არის არც რესტორანი, არც ტრაქტირი, არც ზურნა-დუდუკი, არც „ჩარმანკა“ და არც ფაიტონი!

როდესაც ასე იყო საქმე და ჩვენი დათიკოები მთელის თავის სახლობით, დედიან-ბუდიანად, გაურბოდნენ სოფელსა, — მოდი და ნუ გიამებს ასეთი საკვირველი ამბავი, რომ თავადიშვილი არჩილი თავის დით კესოთი, თანაც ნასწავლი ყმაწვილები, გამოჰქცეოდნენ ქალაქის „სიამოვნებას“ და ჩამოსულან სოფლად, სცხოვრობენ „წაბლიანში“, ირჯებიან და აკეთებენ მამულს!...

ეს ამბავი ფრიად საგულისხმიეროა და ამიტომ შევდგეთ ცოტა ხანს და გავსინჯოთ, არჩილისა და კესოს სოფლად მოტრიალება შემთხვევის საქმეა, თუ შედეგია ჩვენის ცხოვრებისა. თუ აქ მარტო შემთხვევა მუშაობს, მაშინ ნება გვაქვს სრულებითაც თავი დავუკრათ ამ დაძმას და გამოვეთხოვოთ. ხოლო უკეთუ ეს ამბავი ნაყოფია ქართულის ბედისა, უნდა ორისავე ხელით დავეჯაჯგუროთ, გავაძლიეროთ და გავამაგროთ ჩვენში ასეთი ამბები და მაგალითები, რადგან იმათს გაბევრებასა და გამაგრებაზე მჭიდროდ არის დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის წარმატება.

მართლაც-და რამ მიიტანა ძალა არჩილზე, რა გარემოებამ აფიქრებინა ქალაქის მიტოვება, როდესაც დათიკოები თავიანთს ვაჟკაცობას აბნევდნენ ქალაქის ქუჩებში და პატარ-პატარა დათიკოები დღესაც ასეთის გულმოდგინებით სტკეპნიან და სცვეთენ საცოდავს ბულვარებს ქალაქისას! რამ დაატანა ძალა—გადი ქალაქიდამო, როდესაც მთელი დიდ-კაცობა დღეს ქალაქშია მოყრილი, როდესაც ახალგაზრდა კაცი ქალაქში იჩენს თავსა, ქალაქში ჰპოულობს სამსახურს, აქ ეხსნება გზა ჩინებისა და აპელატებისაკენ, აქ არის ათასგვარი კანცელარიები, სადაც თავადიშვილი მსახურობს და იღებს ჯამაგირს თვეში თხუთმეტ მანეთიდამ მოკიდებული ორას-სამას მანეთამდე!? არჩილი ხომ ნასწავლი კაცია და რა დაემართება, რომ აფიცრობა მაინც ვერ გაიკრას და ვერ დაიმშვენოს მხარ-ბეჭი. თუ ვინიცობაა სამხედრო სამსახურისათვის არ არის მომზადებული, როგორ შეიძლება, რომ სამოქალაქო უწყებაში მაინც ვერ ჩაიგდოს ადგილი და ვერ იცხოვროს თავის სწორ-ამხანაგებთან მხარ და მხარ?! ჯერ ვისაც არავითარი სწავლა-მომზადება არა აქვს, ისინი ჰპოულობენ დროებით მაინც რაიმე სამსახურსა, თუნდა კანცელარიის უმცროს მწერლის უფროს თანაშემწის ადგილსა და ამავე დროს ქართველი ნასწავლი თავადიშვილი მიდის წადღაც მივიწყებულ „წაბლიანში“!

თუმცა ძრიელ ცოტად და მკრთალად არის ნაჩვენები არჩილი მოთხრობაში, მაგრამ ჩვენ მაინცა ვხედავთ, რომ ეს კაცი სრულებითაც არ არის გიჟი, პირ-იქით, ძალიან ჭკვიანი და საღის მსჯელობის მქონე ახალგაზრდაა, არც ერთს საყურადღებო ამბავს და გარემოებას ისე არ გაუვლის, რომ ცნობის-მოყვარე თვალით არ შეჰხედოს, არ გასინჯოს, არ ჩაუღრმავდეს და არ შეადგინოს საკუთარი აზრი. მაშასადამე, თუ იმისთანა კაცი ხელს იღებს ქალაქის „სიამოვნებაზე“ და მიეშურება „გამოყრუებულს“ სოფელში, სიგიჟით კი არ მოსდის. ასეთი საქციელი, არამედ უთუოდ რამ დიდი და სამართლიანი საფუძველი აქვს ხელში, უთუოდ რამ წუნი უნდა ეპოვნოს ქალაქის „სიამოვნებისათვის“ და თვით სოფელიც ისეთი „გამოყრუებული“ არ უნდა სჩვენებოდეს, როგორიც იმის სწორ-ამხანაგთ მიაჩნიათ.

მართლადაც, არჩილსა აქვს იმის საფუძველი და ეს საფუძველი სწორედ ნიშანია ეხლანდელის ჟამთ-ვითარებისა, დროშაა ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა, აღმართული თვით დღევანდელის ცხოვრების მიერ, ამიტომ ისევ ძლიერი და ყოველად შემძლებელი, როგორც თვით ცხოვრებაა. ჩემის აზრით, არჩილი წინამორბედია იმ ბედნიერის გარემოებისა, როდესაც ჩვენი თავად-აზნაურობა, შემდეგ ორმოცდაათისა და სამოცის წლისა, კვლავ მიაგნებს, იპოვნის და დაინახავს საგანს ცხოვრებისას, როგორადაც თავმოსაწონებელი გაბრიელი შედეგია დათოს უგემურის ცხოვრებისა, აგრეთვე არჩილი ღვიძლი შვილია ლუარსაბის მცონარა უაზრობისა და დათიკოს ღვთისრისხვაობისა. არჩილზე ჩვენა ვხედავთ, რომ ეხლა—კი, როგორც იყო, ცოტათი მაინც გაიღვიძა აქამომდე მიძინებულმა აზრმა წოდებისამ, და არც შეიძლებოდა, რომ ასე არ მომხდარიყო.

* *

როგორც მოგეხსენება, ჩემო კარგო მკითხველო, ყველაფერს საზღვარი აქვს და მეტადრე ქონებრივს შეძლებას. იქნება მთელი ქვეყანა, მთელი ზღვა და ხმელეთი რომ დათიკოებისა ყოფილიყო, დათიკოობასაც ბოლო არ მოჰღებოდა: რაც უნდა ბევრი ეჭამათ დათიკოებს, მთელს ქვეყანას მუცელში ვერ ჩაიდებდნენ, ვერც ისინი და ვერც იმათი შვილი-შვილები. მაშასადამე, შესაძლებელი იქნებოდა უზომოდ, უანგარიშოდ სჭა საუკეთესო ღვინოებისა, გაუთავებელი „კატაობა," ზურნა-დუდუკი და დათიკოების გემოვნების დამაკმაყოფილებელი „შარმანკა", ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც—კი იმათი გონება და გრძნობა შესწვდებოდა. მაგრამ ასეთი სამზღვარ დაუდებელი არ იყო ქონებრივი შეძლება დათიკოებისა. რამდენსამე ათს წელს, როგორც წინა წერილში ვსთქვით, დათიკოებმა სულ ყირამალა დააყენეს თავიანთი ქონება და მერე სულ ერთიან გააოხრეს და გაატიალეს მამულ-დედული. ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლებოდა. საქმე ისე გაჭირდა, რომ ლუკმა-პურის სახსარიც აღარსაიდანმა ჩანდა. უნდა დამდგარიყო დრო სინანულისა, და ჩვენც იქამდე გავყვეთ დათიკოს მდგომარეობას, ვიდრე ეს უდარდელი კაცი სინანულში ჩავარდებოდა. სინანულის მიზეზიც ხომ კარგად ვიცით: მთელი ქვეყანა იყო და დათიკოს დაჯანდაგება, ჩამორჩენა. ყმაწვილობაში დათიკოს გიჟმაჟიანობას, გულუხვობას, ქეიფებსა და ჩხუბებს კინტოები მაინც უწონებდნენ. სიბერეში გულ-უხეობის გამოჩენას ჯიბე აღარა სწვდებოდა და, მაშასადამე, თვით კინტოებსაც—კი უნდა მიეცეწყებინათ დათიკო. სხვის თვალში ხომ ეს უბედურის დღის ბედკრული შვილი თითით საჩვენებელი შეიქმნა—„აგერ კაცი, რომელმაც ერთიან დაღუპა და დააქცია მამა-პაპის ძრიელი ოჯახი და დღეს ჯიბე-გამოფხეკილი დაიარება დედამიწაზეო". თვით დათიკოობაც ამავ განაჩენს იმეორებდა თავის თავზე, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელი-ღა იყო ამ დაძაბუნებულ თაობისათვის: შრომა იმას

არ შეეძლო და ცხოვრებამაც ისე გათელა, „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ სთელავს ხოლმე. აღარც ფიზიკური და აღარც ზნეობრივი ღონე იძას აღარ შესწევდა. უკან დაბრუნების პირველი ნაბიჯი უნდა ჰხვდომოდა შემდეგს თაობასა და ამის წარმომადგენელსაც ჩვენა ვხედავთ არჩილსა და კესოს, აი სწორეთ ამ ადლით უნდა გავზომოთ ჩვენ არჩილისა და კესოს ვინაობა. თუ გვინდა, რომ შევიტყოთ იმათი ფასი ჩვენის ცხოვრების თვალში.

* *

კარგი იქნებოდა, რომ ავტორს დაეხატნა ჩვენთვის დრო ვაჟკაცობისა დათიკოსი, სიბერე იმისი, ეჩვენებინა ის სურათები, რის მოწამეც შეიქნა არჩილი პატარაობაში, რა ესმოდა მოხუცებულ დათიკოებისაგან და რა ზემოქმედება ჰქონდა ყოველსავე გაგონილსა და ნახულს არჩილს ნორჩს სულსა და გულზე. მაშინ უფრო უკეთესად დასურათებული მასალა გვექნებოდა ხელში, როგორც წინა წერილისათვის, აგრეთვე დღევანდელისთვისაც. უეჭველია, პატივცემული ავტორი შემდეგში მაინც დაამთავრებს ამ ფრიად საყურადღებო საგახს ჩვენის ცხოვრებისას და იმით თავის სახელს უფრო მკვიდრად გამოსჭრის ჩვენის ისტორიის ყოველ თვითოეულ წელიწადზე ამ უკანასკნელის ხანისას, რომელიც შესდგება თითქმის სამოცის წლიდამ. დღეს ჩვენ არა გვაქვს ხელოვნური სურათი დათიკოს ხანში-შესულობისა და არჩილის ბავშვობისა და ეს დიდი ნაკლი უნდა შევავსოთ მხოლოდ ჩვენის საკუთარის გამოცდილებიდამა და ცხოვრების ცოდნიდამ.

არჩილი ახალგაზრდა ყმაწვილია. იმის პატარაობა იყო მოწამე დათიკოების დღითი-დღე გაღარიბებისა. აქეთ-აქიდამ ესმოდა, რომ ერთს დროს დათიკო შეძლებული კაცი იყო და იმის შეძლების წყაროს შეადგენდა ჩინებული მამულ-დედული ჩვენის მდიდარის ქვეყნისა. დაგვიანებული ოხვრა და გმინვა დათიკოსი, რომელმაც თავისისავე მეცადინეობით გაიგდებინა ჯანი და გაიხვრიტა ჯიბე, შეადგენდა თითქმის ყოველ დღიურ მწუხარე მუსიკას არჩილისათვის. ამ გაუთავებელს მუსიკას მწუხარებისას უნდა ჰქონოდა ყოველ მოზარდზე ისეთი ზედ-მოქმედება, როგორსაც მოსდევს კრიტიკული ხედვა საგნისა. ჭკვიანი ყმაწვილია არჩილი და ადრე უნდა გახსნოდა კრიტიკის ხალისი და მადა. თავის თავს თვითონ ამტყუნებდა დათიკოობა, ქვეყანამ ყბად აიგდო და რა საკვირველი იქნებოდა, რომ ჭკვიანს ყმაწვილს არჩილსაც გაემტყუნებინა თავისი ახლო წინაპარნი. „მამაჩემს რომ ჭკუა ეხმარნა და არ გაეევრანებინა ჩვენი მამულ-დედული, დღეს ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო.“—უნებლიედ მოუვიდოდა თავში ასეთი აზრი. რამდენიც ხშირად ჩაუფიქრდებოდა ამ საგანს, იმდენი უფრო მტკიცედ და გადაწყვეტილად დაადგებოდა ამ აზრსა სწავლაც რომ არ მიეღო, ეს აზრი მაინც ფესვებს ღრმად გაიდგამდა დათიკოს მომდევ თაობაში. და მართლაც, დღეს რომელი ნასწაული და უსწავლე-

·ლი თავადიშვილი თუ აზნაური არ უჩივის თავის მშობლებს! მაგრამ ძნელი ის არის, რომ უმეტესობა ამ მომჩივართა სჩივის მშობლებზე მარტო სიტყვით, საქმით—კი ვერ ასცილებია დათიკოს გზა-კვალსა. მიზეზი ჩვენ უნდა ვეძებოთ არა თვით ამ აზრის სისუსტეში, არამედ იმაში, რომ ხშირად კაცის ხასიათი და ჩვეულება უკანა სდგას საკუთარს აზრზე, გული ერთს ამბობს და ხელი კი სხვაფრივ ირჯება. საზოგადოდ რომ ავიღოთ, თითქმის ყოველ კაცის ხვედრი ეს არის—აზრი ყოველთვის და ყველგან წინ მიურბის ზნე-ჩვეულებაზე. მაგრამ ერთი კაცი გაირჩევა მეორისაგან იმით, თუ იმის აზრს რამდენად ნაკლებ უვარდება მოქმედება. რამდენიც უფრო ხასიათიანია კაცი, იმდენი ეადვილება შეუთანხმოს თავისი ცხოვრება, მოქმედება, ჩვეულება და ზნე აზრსა და იმდენი ნაკლები უთანხმოება ჰქონდეს იმის გულსა და თავს ერთმანეთში. სუსტი ხასიათი—კი დაჩაგრული და დამახინჯებული გარემოებისაგან, უმეტეს ნაწილად ჰფიქრობს ერთ ნაირად და ჰმოქმედობს სრულებით სხვა გზასა და კვალზე.

არჩილი იმითია კარგი, რომ თუმცა ბევრში ვერ უთანხმებს მოქმედებას და აზრს ერთმანეთსა, მაგრამ ბევრში უკეთესი წარმომადგენელია მთელის თავის სწორ-ამხანაგობისა. ის როდი სჯერდება მარტო კრიტიკას, იმას არა თუ არ მოსწონს საქციელი წარსულის თაობისა, არა თუ მხოლოდ აზრით ამტყუნებს დათიკოობას. არამედ კიდევაც განუზრახავს საქმითაც იმოქმედოს სრულებით წინააღმდეგ დათიკოებისა და ასეც ირჯება. იცის, რომ წყარო უწინდელის სიმდიდრისა იყო მიწა, სწუხს, რომ უდარდელმა დათიკოობამ დააფურთხა და შეაგინა მამულ-დედული, ააოხრა იქაურობა, და მოწადინებულია კვლავ ხელში ჩაიგდოს ის წყარო, ამოასუფთაოს შლამისაგან, გაუწმინდოს ნაპირები და ჩააყენოს იმისთანა კვალში, სადაც იმის მიმდინარეობას აღარ შეაფერხებს ათასი ვალი და ვახში, აღარ გააევრანებს უპატრონობა. ეს აზრი იქამდე გასჯდომია არჩილს ძვალსა და რბილში, რომ თუმცა სწავლა მიუღია და შეუძლიან სხვაფრივ იშოვნოს ლუკმა პური, მაგრამ მაინც არც ერთს მაცდურს გარემოებას აღარ ემორჩილება და არ უხვევს ამორჩეულ გზას სოფლად ცხოვრებისას. ამასთანავე სწავლის თვალი საკმაოდ ატყობინებს, რომ ყოველ სხვა ასპარეზზე არჩილი უნდა იყოს დამოკიდებული სხვაზედ და სოფელში—კი სრულებით თავისუფალია.

მოთხრობიდამ ჩვენ ვერა ვხედავთ, რომ ავტორი ამ გარემოებას დიდს ვნიშვნელობას აძლევდეს, რადგან ეს უფრო კერძო მხარეა და შეეხება არჩილის საკუთარ ქონებრივ საქმეებს. ავტორის თვალი მიმართულია არჩილის ვიწაობის უფრო საზოგადო მხარეზე, ე. ი. ავტორს უნდა გვიჩვენოს, რა კაცია არჩილი ქვეყნისათვის, რა აზრის მატარებელია შესახებ სამშობლოსი და ქართველის ავ-კარგიანობისა, რა ხასიათის წარმომადგენელია იგი ამისთანებში. რა თქმა უნდა, მკითხველი დამეთანხმება, რომ ჯერ

ასეთის საწყაოთი უნდა აიწყვებოდეს ყოველი ცალკე ადამიანი, რადგან ეს საწყაო ყველაზე უმაღლესია იმისთანა კაცისათვის, რომელიც კრიტიკის თვალით უყურებს ცხოვრებასა და არჩევს კარგს ავიდამ.

მაგრამ, ჩემის აზრით, სოფელში დაბრუნება ჩვენის თავად-აზნაურობისა ისეთი ყოვლად-მნიშვნელოვანი საგანია, რომელსაც შეუძლიან ველავ სიცოცხლე მისცეს კარგა მოზრდილ ნაწილს ჩვენის ერისას. წარმოიდგინეთ უცნაური და წარმოუდგენელი რამ: წარმოიდგინეთ, რომ დაბადებისთანავე ლუარსაბი ჭკუის პატრონი კაცი ყოფილიყოს და სცოდნოდეს მამულ-დედულის ყადრი ისე, როგორც ესმის დღეს არჩილს. წარმოიდგინეთ უფრო წარმოუდგენელი, რომ დათიკოს, ჭკუასთანა და ხასიათთან ერთად, ჰქონდეს შეგნება თავის ღირსებისა და მამულის ბედნიერებისა. წარმოიდგინეთ ეს და მითხარით, რა ყოფაში ვიქნებოდით ჩვენ დღეს. ეს რომ ასე ყოფილიყო და არა ისე, როგორც ჩვენის თვალითა ვნახეთ და ვხედავთ, დღეს ჩვენ გვეყოლებოდა ღონიერი და შეძლებული თავადიშვილობა, რომლისათვის სრულებითაც აღარ იქნებოდა საჭირო ცარიელი ჰიმიაობა. ის დღეს გაანათებდა გონებისა და გულის ნამდვილის შუქითა და ბრწყინვალებით. თითქმის არც ერთი თავადისა და აზნაურის შვილი არ იქნებოდა უმეცრების წყვდიადით მოცული. ეს წოდება შეიქმნებოდა ჭკუისა და გონების წარმომადგენელი თავის სამშობლოში. რაკი საქმე ასე იქნებოდა, უეჭველად იმათის ცოდნისა ხალხსაც მოეცხებოდა რაღაც, მის ცემდა ლაზათსა და ფერს, როგორც მზის შუქი თვით უფერულებასაც-კი აძლევს ფერსა. მაშინ როდესაც ეხლანდელს თავად-აზნაურობას არა თუ ერთი საკუთარი გიმნაზია ვერ გაუმართავს მთელს გუბერნიაში თავის შვილების გამოსაზრდელად, არამედ სათავად-აზნაურო დეპუტატთა კრებულის ერთი ბეწო ხარჯიც ვერ გამოუღია,—მაშინ ყოველს მაზრას ჩვენის მშვენიერის ქვეყნისას ექმნებოდა საკუთარი გიმნაზიები, ქალებისა თუ ვაჟებისა და საქართველოს ექნებოდა საკუთარი უნივერსიტეტიც-კი. აყვავდებოდა ჩვენში მეცნიერება, გასუფთავდებოდა გული, გაძლიერდებოდა აღებ-მიცემობა. ისეთ ქვეყნად გადაიქცეოდა ეს პატარა საქართველო, რომ მტერსაცა და მოყვარესაც თვალი ზედ დაჰრჩებოდა, როგორც ჰრჩებოდათ უწინდელ დროს. ჩვენს ქვეყანას ეყოლებოდა საკუთარი მეცნიერები, რომელთაც აქამდე გამოკვლეული ექნებოდათ ჩვენი წარსული ისტორია, ჩვენი ენა. ჩვენის ქვეყნის ცოცხალი თუ მკვდარი ბუნება.

მოჰხდა ისე, რომ ლუარსაბს ჭკუა არ დაჰყვა ანუ გარემოებას თან გადააყოლა, დათიკოს დასჩემდა არა-საპატიებელი დაუდევრობა, და თავად-აზნაურობამ თითქმის ერთიან გაუშვა ხელიდამ თავისი ქონებრივი შეძლება, მიანება თავი სოფელს და,თუ როგორმე შეიხედა სოფლისაკენ, შეიხედავს მარტო იმ განზრახვით, რომ უფრო უაღრესად აიკლოს უამისოდაც აკლებული და ფიტ-გამოცლილი მიწები.

დღეს რომ არჩილებმა მოახერხონ და უკან დაიბრუნონ მამა-პაპეული მამულები, რომელიც თითქმის ერთიანად დაგირავებულია პრიკაზში თუ

არუთინას ხელში, თანაც დაიბრუნონ არა ხვეწნითა და მუდარით, როგორც აქამდე ემუდარებოდნენ ხაზინასა და უჩიოდნენ არუთინას, არამედ გარჯითა და შრომით დაიხსნან მამულები ტყვეობიდამ, მოუარონ, უპატრონონ, ააყვავონ, გაამშვენონ და გამოაცემინონ ღირსეული ნაყოფი, ამას, თქვენმა მზემ, დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ჩვენის ერის თვით ამ ჩამორჩენილ ნაწილისათვის, აგრეთვე მთელის ქვეყნისათვისაც.

ასე რომ, არჩილის სოფლად ყოფნას სხვა აზრიც რომ არა ჰქონდეს რა, გარდა ქონებრივის მობრუნებისა და მოსულიერებისა, რომელიც ეგოდენად უპირს აგრეთ წოდებულს წარჩინებულს ნაწილს ჩვენის ერისას, დღეს მიზეზიც ეს არის, რომ ამ მხრივ არჩილი თითქმის თითით საჩვენებელი გმირი უნდა იყოს იმათთვის.

გადავარდა ბატონ-ყმობა და თავისუფლებამ ცოტათი ფიტი მოაკრა გლეხკაცობას, რომელსაც მანამდე არა ებადა-რა ქვეყნიერობაზე, გარჯისა და შრომის ხალისის მეტი. თავისუფლება ყველასათვის ერთნაირად იქნებოდა კარგი, თუ-კი ყველანი ჰკუით მოიხმარებდნენ და გამოიყენებდნენ. გლეხობას არ გაუპირდა და მაშინათვე ამუშავა თავის ჰკუა-გონება. ამიტომაც თავისუფლებამ შეაძლებინა შედარებითის ქონებისა და კეთილდღეობის მოპოვება. დათიკომ არ დაატანა ძალა ჰკუას, ვერ დააფასა ძალა და ლაზათი თავისუფლებისა, დახუჭა თვალები და მთელი თავისი ქონება ზღვაში გადაყარა. ეხლა ძლივს არჩილმა მიაღწია როგორც იყო იქამდე, რომ შეუძლიან თვალ-ხილული უყუროს საგანსა, როგორც უყურებდა თავისუფლების მონატრე გლეხობა, რომელსაც ესმოდა შრომის ყადრი.

ესეც ნაბიჯია წარმატებისა ჩვენის თავად-აზნაურობისათვის, რომელსაც ჯერ იმედი ჰქონდა უსასყიდლო და მუქთა შრომისა ყმათაგან და შემდეგ მთელი თავისი სასოება მიაპყრო მთავრობის ხელ-გაშლილობას და მოწყალებას. აკლდა მხოლოდ იმედი თავის-თავისა, არ იცოდა გემო და ფასი საკუთარის გარჯისა და მუშაობისა. არჩილი-კი აგერ მივიდა იმ აზრამდე, რომ კაცის აშენება და გაკეთება შეუძლიან მხოლოდ თავისი თავის იმედს, თავის ხელ-გამომავლობას, საკუთარს მეცადინეობას და სხვა არაფერს. რაკი ამ კიბეს მიაღწია კაცმა, მერე იმას აღარა უშავსრა, იმას ვეღარ დაუწუნებთ ამაყად ყურებას. ზიზღსა და შებრალებას ხომ ადგილი არ ექნება ამისთანა კაცის მიმართ. იგი საკუთარის ჰკუით მივიდა შრომის ჯეროვან დაფასებამდე. იმას უყვარს გარჯა და პატივისმცემელია მუშა კაცისა. იმას კი არ ეთაკილება, როდესაც მუშაობს, არამედ ის ეთაკილება, როდესაც მუქთა მჭამელადა ჰგრძნობს თავსა. ამ გარემოებით კაცის ღირსება ერთი ათად მაინც მაღლა იწევს ქვეყნის თვალში. მიზეზიც ეს არის, რომ არჩილმა ჯერ მარტო იმ გარემოებით დაიმორჩილა და დაატყვევა მთელი ჩემი სიმპატია, რომ ესმის ძალა სოფლისა, ესმის რომ იგი თავის-თავის ბატონი მარტო სოფელშია. აი, როდესაც მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა არჩილისავით მიჰხვდება, რომ სიტკბო და გემო მარტო იმ ლუკ-

მასა აქვს, რომელიც საკუთარის ოფლით მოუპოვებია კაცსა, როდესაც გაიგებს, რომ შრომა უმაღლესი, უწმინდესი და უტკბესი მოვალეობაა ყოველ რიგიანის ადამიანისა, და თანახმად ასეთის მიხვედრისა და გაგებისა მიუბრუნდება ისევ ღონიერს სოფელს,—აბა მნიშვნელობასაც მაშინ მოიპოვებს ხსენებული ნაწილი ჩვენის ერისა როგორც თვით ხალხის თვალში, აგრეთვე მართებლობისა და უცხოთა თვალშიაც.

მაგრამ, როგორც ვიცით, ავტორი მარტო გაკვრით შეეხება ამ საყურადღებო საგანს და გვიხატავს მხოლოდ არჩილის საზოგადოებრივ ვინაობას, რომელზედაც შემდეგ მოვილაპარაკებთ უკანასკნელს წერილში.

VIII

არჩილი იმიტომ წავიდა სოფლად, რომ მამა-პაპისაგან წამხდარი საქმე გაეწორებინა და ამასთანავე ეპოვნა დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრება. როგორც ვიცით, სოფელში გაიმძღვარა გაწვრთნილი ჭკუა და გაფაქიზებული გრძნობანი. ამისთანა იარაღით შემოსილი კაცი, რაკი თანაც კრიტიკის თვალი ერთხელ და ერთხელ აუხილა ცხოვრების ავ-კარგიანობამ, ვერ იკმარებდა მარტო საგანს ქონებრივის მოღონიერებისას. არჩილის სოფლად მოტრიალებას უთუოდ უნდა მოჰყოლოდა უფრო მაღალი საგანი — საგანი ქვეყნის სამსახურისა. სოფელი მხოლოდ იმისთანა კაცისათვის არის მიყრუებული, რომელსაც გონებისა და გულის თვალი არ უჭრის სახედავად, რომელსაც არ შეუძლიან ნახული და გაგონილი გამოიყენოს მასალად ჭკუის ვარჯიშობისა. არჩილი საკმაოდ განვითარებული ახალგაზრდაა და ამიტომაც სოფლის ცხოვრებაში იმისათვის უცხო და ხამი რამ ამბავი ისე არ ჩაივლის, რომ არჩილმა მთელი თავისი ცნობის-მოყვარეობა და აზრის ძალა არ იხმაროს, მინამ თვით სათავეს ამ ამბისას არ ჩაჰკიდებს ხელსა და არ გაჰზომავს სიგრძე-სიგანეზე. როდესაც ახლო უკვირდება სოფლის ცხოვრებას, იმდენი მტკიცედა რწმუნდება, რომ სოფელსა ჰქონია საკუთარი, ღრმა და ძლიერი აზრი, რომ სოფლის ცხოვრება არის ბრძნული წიგნი, თვით ბუნებისაგან დაწერილი, და ჭკვიანის კაცის მოვალეობაა, არა თუ მარტო ჩაიხედოს ამ წიგნში, არამედ თავი იმტვრიოს და შეიძლოს იმისი ჯეროვანი ამოკითხვა. სოფლის ზნე, ხასიათი, ჩვეულება, გლეხის გონება, ცოდნა, გამოცდილება. იმისი ენა და სიმღერა — ყოველივე ესე არჩილის თვალში დღე-დღეზე ჰპოულობს ისეთს ფასსა, რომ ბოლოს ჩვენი ახალგაზრდა მუხლს იდრეკს ამ ცხოვრების წინაშე და სრულის გონებით აღიარებს, რომ თვით იმისი განათლება, წიგნებიდამ გამოტანილი, სუსტია, ცალმხრივია და უჭირს დამთავრება გლეხის ცოდნითა და გამოცდილებით. აქაო-და სწაელა მიმიღიაო, არჩილი კი არა პამპლაუშობს გლეხის წინ, როგორც ბევრმა თაეკარიანმა მწიგნობარმა იცის, რომ უწიგნო კაცი, თუნდაც ჭკუით ცხრაჯერ მაღლა იდგეს ამ თავჭარიანზე, აღარ მიაჩნია ადამიანად. არა, პირიქით, არჩილი ჰხედავს, რომ არა ეთხელ და ორჯერ უწიგნო კაცს დაუჭერია მწიგნობარი და ჩა-

ჩუმებია პოსაზრებით, დაკვირვებით და გამჭრიახობით. თვით არჩილი დაიხსნა მასხარად აგდებისაგან გიორგის ჰკვიანმა შენიშვნებმა ვენახის გაკეთების საქმეში. არჩილი იქამდე განათლებულია, რომ განთავისუფლებულა ცრუ-სწავლულთა ცუდ-მედიდურობისა და ამაყობისაგან. ამიტომაც იმისი ყური მუდამ მზა არის მოისმინოს გლეხის საუბარი. ამისათვის არჩილს კი არა სწყინს გლეხის შენიშვნები, მადრიელიც დარჩება ხოლმე და გულის ფიცარზე იჭდევს ამ შენიშვნებსა.

ჰოიგონეთ მკითხველო ის სცენა, როდესაც ოთარაანთ ქვრივი მივიდა არჩილიანთსა მოსალაპარაკებლად გიორგის მოჯამაგირეობაზე. „—ახლა შენ რომ მარტო დარჩები? იკითხა კესომ.—მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც ვეყოფა და ლხინადაც... ადამიანს მანამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება—საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა წუთი-სოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ".

ეს სიტყვები ოთარაანთ ქვრივისა კი არა სწყინს არჩილს და არ აწიწმატებს,არამედ იგი ჰხედავს მათს სიმართლესა და სტკივა გული, რომ ეს მართლა ასეა: „ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენიო", ეუბნება არჩილი ნაცვლად პასუხისა.

* * *

ამ საბით, ჰკუის სიმართლემ და გულის სიფაქიზემ დაუახლოვა არჩილი გლეხობასა. შედეგი დაახლოებისა იყო საურთიერთო ზედ-მოქმედება ნასწავლის კაცისა უსწავლელებზე და უსწავლელთა—ნასწავლზე. ახალგაზრდა თავადიშვილმა იქამდე მოაჯადოვა გლეხი, რომ სოფელი ცოტათი მაინც მართალის გულით პატივსა სცემდა არჩილსა. თვით არჩილმა ხომ, როგორც ვსთქვით, მუხლი მოიდრიკა გლეხობის წინაშე. აი რას ეუბნება თავის დას კესოს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი შექმნილნი, ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი-კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით რომელიც მარტო ბუნებამ იცის, და ბუნება, ხომ იცი, რა ოსტატია! ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი".

ამისთანა განსხვავებასა ჰხედავს არჩილი გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის. აქამდის თუ მარტო წიგნებიდამ მოეკრა ყური გლეხთა ვინაობისათვის, ეხლა საკუთარმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ აჩვენა წარმატება გლეხისა. არჩილმა თავის თვალით დაინახა ის უფსკრული, რომელიც აშორებს ერთს წოდებას მეორედამ და აფერხებს მფელის ხალხის წინსვლასა.

„ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი,—ეუბნება კესოს:—გლეხნი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მზგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება, როგორც ეჭვი ტყლაპი რამ. ამ დიდ

შანძილზე განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად ეჩვენოს?.. ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორიშორსა ვართ. იმათს ტირილს და ლხინს ცალკე ღობე აქვია. ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მოგვიხვედრებია".

ეს ჩატეხილი ხიდი სწვავს და ესა სტკივა არჩილსა. სოფლის ცხოვრებამ კაცი ადამიანად აქცია, თავადიშვილი მამულიშვილად. თავის ანგარიშებმა აარჩევინეს კაცს სოფელში დაბრუნება და სოფელმა ჰკვიანი და პატიოსანი არჩილი გამოიყვანა ქვეყნის მზრუნველად...

თუმცა გლეხთან შედარებით, როგორცა ვსთქვით, ეს დაგვიანებული საქმეა, რადგან ჩვენმა გაბრიელმა და უფრო მტკიცედ კაკო ბღაჟიაშვილმა ამ ოცდაათის წლის წინათ გამოიჩინეს მზრუნველობა, ნაღველი და ბოქმედება თანახმად ქვეყნის საშინარ-ბოროტო საგნებისა, მაგრამ მაინც დიდი და ფრიად დიდი ნაბიჯია თავად-აზნაურთა ცხოვრებაში. არჩილს აღონებს ეს ჩატეხილი ხიდი, ოცი ჰფიქრობს იმის გამთელებაზე.

როგორც ადრე მართალი ლაპარაკობდა გაბრიელის პირით და სასუფეველის სიამოვნებას აწვეთებდა გლეხობის დაჩაგრულს გულში, აგრეთვე დღეს არჩილის პირით ლაპარაკობს იგივე მართალი.

•

ამგვარად,ჩვენა ვხედავთ, რომ, არჩილი დღეს ფიქრისა და სიტყვის კაცია ამ საქმეში. საღმა და უტყუარმა ლოგიკამ მიიყვანა ჩატეხილ ხიდის გამთელებამდე, გულიც ერჯის ამ საგნისათვის, რადგან იქა ჰხედავს თავის ქვეყნის წარმატებას, მაგრამ ღონე-კი ჯერ ვერ შესწევს. როდესაც კესოსა ჰკითხა:

—შეირთავდი თუ არა გლეხის ბიჭს გიორგისაო, თითონვე „გული აუფანცქალდა—ვინ იცის, რა უფრო ენატრებოდა არჩილს: ჰო თუ არა. არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა:

—შეირთავდი?

—არა.

—მ ე ც ე გ რ ე მ ო ვ ი ქ ც ე ო დ ი. გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას...

—ნუ იტყვი მაგას!.. შეჰკიცლა კესომ წყრომითა და თვალები დაუბრიალა.

—ნუ სჯავრობ, კესო! მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს...

—არ მიყვარდა და იმიტომ.

—ჩვენი ვაიც მაგაშია. ჩანს, ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხი-

კაცი იყო. სად არის აქ „თაყვანის-ცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ანბავი წიგნში ამოგვეკითხა. რა პრტყელ-პრტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ-ვაცმევდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვიღა სჩივის, შენ ვერც-კი ეიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გევლებოდა. აი რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!.. ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია. ქვითკირი!.. ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებული ენით. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს“...

აი, როდესაც არჩილი მარტო თავითა და აზრით-კი არა, გულითა და გრძნობითაც იქამდის წაიწევს წინა, რომ თავისი მოქმედება სრულებით შეუთანხმოს, მისცეს ხელი გონებით ჩამორჩომილ გიორგისა. იცნოს იგი თავის უკეთესს ძმად და უმეცრების სამეფოდამ გამოიყვანოს ცოდნის ნათელ საბრძანებელში, — აბა სანატრელი და სასურველი გმირი მაშინ შეიქმნება ჩვენის ცხოვრებისათვის, მაშინ დაიჭერს სასახელო ადგილს ჩვენს ქვეყანაში, მაშინ მოიპოვებს იმის ხსენება სიყვარულსა და უმაღლეს პატივს არა მარტო რომელსამე წოდების გულში, არამედ მთელის ჩვენის სამშობლოს გულში. მაშინ დაიბადება განუწყვეტელი კავშირი არჩილის ცოდნასა და გიორგის ზნეობრივ სავსეების შუა. მაშინ დაგვიდგება დრო ნამდვილის გაძლიერებისა და დიდებისა. ამასთანავე არჩილის სანუგეშოდ უნდა ვსთქვათ, რომ თუ ჩვენი ცხოვრება ასრევე წავიდა, როგორც დღემდე მიდიოდა, არჩილი მალე წამოეწევა გიორგისა და შემდეგ კიდევაც გაუსწრობს, რადგან არჩილს ცოდნა უადვილებს სვლას წარმატებისაკენ, და გიორგი-კი სწავლას მოკლებული, საკუთარის ფეხით დაიარება ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე, რომელიც ასეთის ვაი-ვაგლახით არის გატარებული დაბურულს ტყეში და რომლის დაკარგვაც შესაძლებელია მრავალ უბედურ შემთხვევაში. არჩილი ზის ღონიერს რაშზე, რომელსაც ფრთებს ასხამს თანამედროვე ძრიელი მეცნიერება კაცობრიობისა და ამავე დროს გიორგი, რომელიც ვერც-კი ჰხედავს ამ ჩინებულს რაშს, ქვეითი მიიზლაზნება. არჩილმა უთუოდ უნდა გაასწროს გიორგისა, ვიდრე ახლილი გონება ამასაც არ მოჰგვრის თანაბარს რაშსა, რომელზედაც უეჭველია გიორგის თუ მეტად არა, ნაკლებ არ მოუხდება მხედრობა.

* * *

აი საგანი, რომელიც დღეს ცხოვრებამ წამოუყენა არჩილსა კერძოდ და ინტელიგენციას საზოგადოდ — ამოუდგნენ გიორგის მხარში და გაუადვილონ გზა წარმატებისა. არჩილი დღეს გულ-გატეხილი და სუსტია ჟამთავითარების ზედ-მოქმედებისაგან, აკლია სიმტკიცე ხასიათისა და სიმაგრე გულისა, რომელსაცა ვხედავთ გიორგიზე და ოთარაანთ ქვრივზე. სამაგიეროდ გონება აქვს განვითარებული და გასუფთავებული. არჩილის

ცოდნას მიეცით ხასიათი გიორგისა, ან გიორგის ხასიათს არჩილის განათლება და მაშინ ჩაუდგებიან კვალში ჩვენს ცხოვრებასა და ასახელებენ საქართველოს. ქართველი ხალხი სოფლის ხალხია ჯერა, ჩვენი ძალა გუთანი და ვენახია. ინტელიგენციაც, თუ შეგნებული აქვს საგანი ქვეყნის სამსახურისა. უნდა მიეშურებოდეს სოფლისაკენ და თავისი სიყვარული ხალხის მიმართ იმითი-კი არ უნდა გამოხატოს, რომ თვითონ ჩამოვიდეს ხალხის ნაკლულევანებამდე, როგორც დღევანდელ უსუსურსა და მოუმზადებელს ინტელიგენციას ემართება, არამედ ხალხი ასწიოს მეცნიერებისა და განათლებულ გულის სიმაღლემდე. დღეს ამის მეტი არა უჭირს-რა ჩვენს სოფელსა. გიორგი თვით თავისუფალმა ცხოვრებამ დააყენა პატიოსნების გზაზე და გულიც ერჯის მართლისათვის. ვაფართოვეთ გიორგის გაგება მართლისა და მეტი არა არის-რა საჭირო, რომ ეს ჩინებული გლეხის ბიჭი შეიქმნეს საზოგადო მოღვაწედ. შეაგონეთ, რა განწყობილება უნდა ჰსუფევდეს ცალკე კაცსა და საზოგადოებათა შორის, გააგებინეთ, რა გზით უნდა ირჯებოდეს თვითოეული კაცი ცალკე და მთელი კრებული ერთად, რომ ნაყოფი საზოგადო კეთილდღეობისა უფრო თვალსაჩინო და სახარბიელო იყოს, და გიორგი გარდაიქცევა პირველ და უკეთესს მოთაყვანეთ საზოგადო სამსახურისა, ბედნიერებისა და წარმატებისა. მანამდის-კი გიორგი დაბურულს ტყეშია და პატარა ბილიკის შეტს ვერასა ჰხედავს. თუ ამ ბილიკზე შეემთხვა, რომ ერთი კაცი მეორესა სჩაგრავს, გიორგი მიექომაგება დაჩაგრულსა და ამით გაათავებს საქმეს, მეტი არაფერი. აბა იმას აცოდინეთ, როგორ უნდა მოეწყოს სოფლის ბედი, რომ ერთმა მეორეზე არ გაიმარჯოს უსამართლობით. არ გაითელოს გლეხი არც თავადისაგან, არც მოხელისაგან, არც ვაჭრისაგან, და მაშინა ჰნახავთ, როგორ მაშინ ჩვენი გიორგი შეიქმნება მესვეურად სოფლის კეთილდღეობისა და ამით მართლა-და დიდს სამსახურს გაუწევს მთელს ქვეყანას.

ეს საგანი ესმის არჩილს და აქეთკენ არის მიმართული იმისი გული და გონება.

* *

ვინატროთ ჩემო მკითხველო, რომ მალე ჩაგვეკიდნოს ხელი [ცენზურა] საიმედო ნიშნებსა, რომელსაც იძლევა ჩვენი ავ-კარგიანობა და ბ-ნ. ილია ჭავჭავაძის პირით გვატყობინებს, [ცენზურა]...

რა ატირებს კესოსა და რა აფშვნეტინებს ხელებს მწუხარებით? განა აქამდის-კი არ იყვნენ თავადიშვილის ქალები. მაგრამ იმათ ვერ აატირებდა ქვეყნის საჭირ-ბოროტო საკითხები და ვერ აფშვნეტინებდა ხელებს მწუხარებით. მართალია, იმათაც ბევრი ცრემლი უღვრიათ, დღესაც ბევრნი იცრემლებიან, ბევრჯერ უფშვნეტიათ ხელები და დღესაც აფშვნეტენ მწუხარებით, მაგრამ როგორც ცრემლის მიზეზი, აგრეთვე ხელების ფშვნეტისაც არის და იყო ხოლმე ან ის გარემოება, რომ მშობ-

ლებმა იაფ-ფასიანი კაბები უყიდეს და მდარე მკერავალს გამოაჭრევინეს. შეაკერვინეს, ან ისა, რომ მშობლებმა ვერ იშოვნეს სასესხებელი ფული და ამიტომ „ბალსა“ და „ვეჩერში“ ძალა-უნებურად გამოარჩინეს თავიანთი საყვარელი შვილები. დამეთანხმენით, მკითხველო, რომ კესოს ცრემლსა და ამ ცრემლს შორის დიდი, უშველებელი განსხვავებაა. დამიჯერეთ, რომ კესოს ხელების ფშვნეტა, მწუხარებისაგან გამორწეული, იოტის ოდნავაც არა ჰგავს იმ ფშვნეტას, რომელიც ჩვენა ენახეთ სხვა ქალების ხელებზე.

იტირე, იტირე, შენ გენაცვალოს ბებიაშენი დარეჯანი, ჩემო კარგო კესო.

მართალია, არჩილი მეტად უდიერადა გტანჯავს და მაგისთანა საჭირბოროტო საგნებზე გელაპარაკება იმ დროს, როდესაც ჯერ გული არ დაგიმშვიდებია შემდეგ გიორგის უბედურ სიკვდილისა, მაგრამ არა უშავსრა, შენ შენებურად, ჰკვიანურად ყური უგდე შენს ძმასა, ეგ უფრო შენზე ნასწავლი და გონება გახსნილია, ეგ კარგებს გეუბნება და ღრმადაც დაგიჯდება გულში მაგისი მწარე სიტყვები, ნორჩის სულის კვეთებისაგან გამოწეული. შენს დაბრმავებას ბევრი შენი კეთილის მყოფი იმით ჰხსნის ვითომც გვარიშვილობამ-კი არ აგიბა თვალები, არამედ გიორგის გაუნათლებლობამ დაგიკეტა გული. მაგრამ მე და შენ ხომ კარგად ვიცით, რომ ის ცოდნა, რაც დღეს შენთვის მოუციათ, ერთის წლის საქმედ არ ეყოფოდა გიორგის—ერთის წლის მეცადინეობის უკან გიორგისაც შენოდენი ეცოდინებოდა. ესეც რომ არ იყოს, აბა ვინმე სრულებით უმეცარი, უსულ-გულო, მაგრამ შენის გვარიშვილობისა ყოფილიყო, თუ შენ თვითონ არ გაუბამდი მახეს და არ მიამწყვდევდი ტრფიალებისა და ეშხის მანქანებაში. ტყუილს მართალი სჯობია. შენ ჯერ არ იცი, რა არის მართალი სიყვარული. შენის ჯურის ქალს ჯანდიერი მოსწონს, იმიტომ, რომ შავგვრემანია, ილიკო—იმიტომ, რომ მხარ-ბეჭიანია, დათიკოსი მოგწონს პირ-წყლიანობა და ასე თორმეტამდე ახალგაზრდა მოგწონს და გგონია, რომ გიყვარს ყველანი ერთსა და იმავე დროს. ეგ როდია, ჩემო კარგო, ის პატიოსნური გრძნობა, რომელიც კაცსა და ქალს ერთ არსებადა ჰქმნის. აგრეთვე შენის ჯურის კაცს ერთსა და იმავე დროს მოსწონს და „ უყვარს მაშიკოს თვალები, ოლიკოს ულვაშ-ამოყრილი ლამაზი ტუჩები, სოფოს წერწეტი ტანი, ლიზიკოს გულ-მკერდი, მათიკოს მშვენიერნი მიხვრა-მოხვრა და ესე ერთ დუჟინამდე მაინც. მაგრამ ნამდვილის სიყვარულისა არც იმას გაეგება რამ. მხოლოდ გიორგისთანა უმანკოსა და სუფთა გულს შეუძლიან გაიგოს მაღალი გრძნობა სიყვარულისა. მხოლოდ ამის გულს ესმის რუსთაველის მოძღვრება სიყვარულზე და იცის, რომ

იგი სხვაა, სიძვა სხვაა,
შეა უღევს დიდი ზღვარი.

შენ ჯერ პატარა გოგონა ხარ, მარტო მაგისთანა „უროკები“-ღა გასწავლიან ჭკუას და შემდეგში მაინც სხვა თვალით შეჰხედავ უმანკო გრძნობას

ქშევნიერის გვამისას, როგორიც იყო საწყალი გიორგი, რომელმაც მაგრე გატკინა გული და ჩაგაფიქრა. არა უშავს-რა, გაიელის. ბევრი მაგაზე ათასჯერ მძიმე და სატანჯველი ვაება გამოუვლია გლეხობას, მაგრამ მაინც გაუტანია თავი იქამდე, რომ დღეს ოთარაანთ ქვრივი შენზე წინა სდგას. შენს გულ-გრილობასაც გაუძლებენ როგორმე. იმათ არა უშავთ რა, ოღონდ შენ შენი სთქვი და შეიქენ ადამიანად. მართალია შენ გგონია, რომ გლეხი ერთი ვიღაც გაუტანელი და ბოროტი რამ არისო. მაგრამ მაგასაც არა უშავს-რა, მალე შენ თვითონ დარწმუნდები, რომ ეგ არის ნსოლოდ საშინელი ჰორი, ნაანდერძევი ჯერ ისევ ლუარსაბისა და დათიკოს მიერ. ნუ გადიწყვეტ იმედს, ჯერ შენი მერმისი წინ არის. შენი სტირი უიმედობით და აბა ეხლა არჩილს შეჰხედე, რას გეუბნება მაგ ცრემლის გამო. აი, ყური უგდე, როგორ გვიწერს მოთხრობის ავტორი თქვენს ამბავს: —შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი მარტო უკანდა რომ ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ უკან ბნელა... ღამეა..,

—და ხიდია ჩატეხილი, ხიდი! წამოიძახა კესომ ტკივილით.

—ეგ მინდა, რომ უველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ უველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

—ვიცი და ვსტირი...

—ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ, წინ რაღაა, წინ! შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორსავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაიწყო.

—ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს. წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელ ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს, და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა—შუქია წინისა და შუქი ხომ...

დასაწყისია განთიადისა განა, ჩემო კარგო.

—სწორედ.

და-ძმანი ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ.

* * *

აბა მართლა აქ არის დასაწყისი განთიადისა. თავადიშვილთა წარმომადგენლებს მართალის გულით უხარიათ ქვეყნის წარმატება!

თქვენც ჩემო მკითხველო, სიხარული აგიღელვებთ გულსა და დაგიწამავთ თვალებსა, ამის გაგონებასა და დანახვაზე. აქ ხედავთ ნამდვილს ღირსებას, საკუთრივ მოპოებულს დათიკოს ჩამომავლობის მიერ.

ეს დიდი, სამზღვარ დაუდებელი ბედნიერებაა ჩვენის ქვეყნისათვის ეხლანდელ ჭალების უმეტესობა მხოლოდ სიტყვითა ჩემობს მამულიშვილობას და მამულისა-კი იმდენი გაეგება, რაც თქვენ, ჩემო მკითხველო, სანდვიჩის კუნძულთა ხალხის ვინაობისა. კესომ იცის, რომ ჩვენს მამაცაც მეტი სახსარი აქვს განათლების მიღებისა. თანაც გონების თვალი კე-

სოსი ჰხედავს, რომ არჩილს მეტი ესმის ქვეყნისა და ცხოვრებისა, ამიტომ შეეკითხება იმის ცოდნას და კიდევაც ყურს უგდებს, სწორავს და ჰზომავს ძმის სიტყვებს. ეს კაი ღირსებაა, რომელიც ასე აკლიათ ჩვენის ქალების უმრავლესობას. ამათთან თითქმის არაფერზე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგან ჰგონიათ, რომ ყველაფერი მათთვის ცხადია. ამიტომ ჰორიკანაობის მეტს არაფერსა აქვს ადგილი იმათ შორის. ამ მხრივ კესოები სწორედ ძვირფასნი არიან და ღმერთმა ამრავლოს. კიდევაც გამრავლდებიან, იმიტომ-რომ ცხოვრებას ეხლა ჰკვიანი და პატიოსანი ქალი და კაცი უჭირს — მარტო იმათა აქვთ ღირსეული ადგილი და პატივი. რა თვისებასაც ითხოვს ცხოვრება, იმ თვისებით უნდა აღიჭურვო, ფორემ ცხოვრება დაგძირავს და ვაი შენი ტყავის ბრალი.

* * *

ამაზედ შევაყენოთ ჩვენი კალამი· უამისოდაც ჩვენი კრიტიკანები, ვინ იცის რას არ გვწამებენ. ღმერთმა იმათაც ხელი მოუმართოს. რად ვარგა კაცი, თუ იმას არა ჰყავს მტერ-მოყვარე, რომელიც გაფაციცებული იყურება, რომ დაიჭიროს რასმეში· და თავის ღირსებამდე ჩამოგათრიოს სხვის თვალში მაინც, თუ საქმით ვერა. დეე, იყვნენ ჩასაფრებულნი და იყვირონ თავიანთ პატიოსნებაზე, ნიჭოსნობაზე და ტალანტოსნობაზე.....

ჩვენ-კი ჯერ-ჯერობით ამის მეტს არას ვიტყვით ამ მოთხრობაზე, რაც აქამდის წარუდგინეთ მკითხველის ყურადღებას. ნათქვამიდამაც მიჰხვდება მკითხველი, რა ფასსა ვსდებთ ჩვენ „ოთარაანთ ქვრივსა“. იქნება ერთბაშად რომ დამეწერა ჩემი შენიშვნა, უფრო უკეთ ამეცდინა თითო-ოროლა შეცდომა, რომელიც მე მომივიდა არა დედა-აზრში, არამედ წვრილმანებში. მაგრამ რაკი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვწერე, ამიტომ გთხოვთ წვრილმანი შეცდომანი „ჩოტკში“ არ ჩამიგდოთ. რაც შეეხება დედა-აზრს, იმაზედ სრულებით თქვენს ხელშია თქვენი უმორჩილესი· მონა და მზადაც გახლავსთ თავის აზრში ანგარიში გაუწიოს ყველას, ვინც კი მოიწადინებს.

კიდევაც უნდა გაგიმეოროთ, რომ მე ვლაპარაკობდი არა „ოთარაანთ ქვრივზე“, არამედ ჩვენს ცხოვრებაზე ამ მოთხრობის გამო. თქვენ ჰხედით რომ „ოთარაანთ ქვრივი“ შეეხება მრავალს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას. პატარა მოთხრობა, რომელშიაც ორიოდე სიტყვით ისე მკაფიოდ არის გამოხატული არა მარტო ხასიათი ოთარაანთ ქვრივისა და გიორგისა, არამედ რეზონერის თვისებანი გამოფხიზლებულ არჩილისა და კესოსი, სადაც რამდენისამე კალმის მოსმით დახატულია სახე თვით სოსია მეწისქვილისა, მოთხრობა, რომლის წაკითხვის შემდეგ ყველა ეს ადამიანები გონებაში გრჩებიან და აღარა გშორდებიან, და რომელიც ამასთანავე იმდენად ზედ გამოჰკრილია ჩვენს საჭირ-ბოროტო საკითხებზე, რომ ყველანი აგვალაპარაკა და ჩაგვაფიქრა,—ჰო, ასეთი მოთხრობა, როგორც

ჰნახეთ, მეტის ღირსია, ვიდრე ის „კრიტიკული“ წერილები, რომლებიც ჩვენ დაგვისახელეთ. იძახიან—ჩვენ პატიოსნები, ნიჭიერები და ტალანტიანები ვართო, და როცა სიტყვა ჩამოვარდა ისეთს საგანზე, სადაც კაცმა უნდა გამოიჩინოს, თუ რომ მადლი აცხია, იქ კორექტურულის შეცდომისა და სიტყვების ვითომ—უადგილობის მეტს ვერასა ჰხედენ მთელის თავიანთის პატიოსნებით, ნიჭოსნობით და ტალანტოსნობით. ამ ძოთხრობაზე თამამად ითქმის ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშიაო, კაცს გულს მოჰფხანსო. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხო არ არის,—მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დაიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმი კაცის საქმეა“.

ბოლოს გთხოვთ ერთი ანეგდოტი მოისმინოთ. მგონი, რუსის დრამატურგი ავერკიევი გახლდათ, რომელსაც ერთი რუსეთის მწერალი შექსპირზე მაღლა აყენებდა. მეორე მწერალმა, შექსპირის თაყვანის-მცემელმა წარუდგინა მკითხველებს ღირსება შექსპირისა და სთქვა: მართალია, ავერკიევი დიდებული გენიოსი დრამატურგია, მაგრამ შექსპირსაც არა უპირს-რა, კაი ბიჭიაო.

ჩვენც ამგვარადვე გავათავებთ ჩვენს შენიშვნას: „კუდურ-ხანუმი“ და „დიდ მოურავიანი“, მართალია, შექსპირისა და გიოტეს თხზულებასთან მხარ-და-მხარ დასაყენებელნი არიან, როგორც გვარწმუნებენ პატიოსანნი, ნიჭოსანნი და ტალანტოსანნი კრიტიკოსნი, მაგრამ არცა რა „ოთარაანთ ქვრივს“ უჭირს რამ, თუ თქვენც იტყვით, ჩემო მკითხველო.

საბიბლიოგრაფიო წერილი[22]

...ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ ჯერ არას ვიტყვით, რადგან იგი გაუთავებელია, ვისურვებთ მხოლოდ, რომ „უცნაური ამბავი“ არ იყოს პატარა ეტიუდი, რომელშიაც დახატულია ხოლმე თითო რომელიმე კუთხის საგანი. „უცნაურის ამბავის“ ავტორი დიდი ხანია ცნობილია ქართველ საზოგადოების მესაიდუმლედ, მოგულისპასუხედ, იგი ჩახედულია ჩვენს ცხოვრებაში და გულმოდგინედ უგდებს ყურს ქართველის მაჯის ცემას. აქამდის თუ ჩვენის საზოგადოების ფერსა და უფერულობას შეადგენდა ჯერ ბატონ-ყმობა და შემდეგ ახალი განწყობილება თავადსა და გლეხს შორის და ამიტომ დღემდე თუ ჯერ „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ გმირები იპყრობდნენ ქართველის საზოგადოების უპირატესს ყურადღებას, ეხლა სრულებით სხვაგვარ ხალხსა თხოულობს ჩვენი ცხოვრება, სრულებით სხვა საგნებმა მიიზიდა მისი ცნობის-მოყვარეობა, სრულებით სხვა გზას ეძებს თავის ახალ მოთხოვნილების დასაურვებლად. ჩვენმა მესაიდუმლემ „ოთარაანთ ქვრივში“ მხოლოდ გაკვრით, მხოლოდ ცალის სიტყვით დაგვანახვა ახალი კაცი, ინტელიგენტი არჩილი, რომელიც ჰცდილობს ცხოვრების საქმიანობას და ტრიალს აზრი და მიზეზი მოუნახოს, მოუჩხრიკოს და ამის გამო ყოველს მოვლენას ცხოვრებისას ჰლამის გულღვიძლი გაუსინჯოს. არჩილი ჩვენა ვნახეთ მხოლოდ ერთის თვალის მოკერით, შევატყვეთ, რომ მას მოჰხვედრია ტალღა ევროპიულ განათლებისა, რომ განვითარებულის ფიქრისა და განსპეტაკებულის ზნეობის ადამიანია, მაგრამ კი არ ვიცით ჯერ, ცხოვრებაში როგორ გაიტანს თავის ფიქრსა და როგორ მოიხდის ზნეობრივ ვალს, რომელიც მას შეუგნია. ავტორმა არ დაგვანახვა არჩილის მოქმედება, მისი გულის პასუხები, მისი წმინდათა-წმინდა, მისი მისწრაფებანი, მისი იდეალები, მისი სულთქმა, ბრძოლა, ერთის სიტყვით, მისი გზა ცხოვრებისა. არჩილი მხოლოდ რეზონერობდა თავად-აზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობის შესახებ და რეზონერობდა ჩინებულად, ფილოსოფიურად, მოსაწონად, იმიტომ რომ მისს რეზონერობას სარჩულად ჰქონდა განათლებული აზრი დღევანდელის დაწინაურებულის კაცისა.

„უცნაურ ამბავის“ გმირს სოლომონასაც ეტყობა რეზონერობა, როგორც ყოველ ქართველ განათლებულ კაცს ამ უკანასკნელის ოცდაათის წლის განმავლობაში, მაგრამ მას უკვე დაჰმჩნევია სიმტკიცე სურვილისა,

ეძლისი თავის აზრის განხორციელებისა ცხოვრებაში. ამ მხრივ ჩვენს განათლებულს საზოგადოებას უკვე აქვს საკუთარი გამოცდილება, პყავს საკუთარი კაცები რომელნიც საკმაოდ მუქად აფერადებენ ჩვენს უფერულს ცხოვრებას, და სანატრელია, რომ ჩვენმა მესაიდუმლე ავტორმა „უცნაურის ამბით“ დაგვიხატოს ქართველი განათლებული ახალგაზრდა, მისი გულის-პასუხი და მისი ჯერ გაუბედავი მოღვაწეობა, რომელიც უეჭველია მალე გაიკვლევს გზას და მედგრად მოქმედებას გამოიჩენს ქართველის ერის ცხოვრებაზედ. მაგრამ ჯერ ხომ დასაწყისი ენახეთ მოთხრობის. მოვიცადოთ...

„მოამბე" თვიური ჟურნალი № 1[23]

...რეალური საწყაოთი რომ გავზომოთ ილია ჭავჭავაძის ეტიუდი „უცნაური ამბავი", დავრწმუნდებით, რომ იგი ძალიან შორს ჩამორჩება უკან ნინოშვილის თხზულებას „მოსე მწერალს". მართლაც და რაღაც უცნაური შემთხვევა აუღია დამსახურებულს პოეტს, თითქოს თვითონაც იჭვნეულობსო, ვაი თუ ასეთი ამბავი შემთხვევითი იყოს, მართლადაც ამბათ გაგონილიო, და არა ნამდვილი ნაყოფი ჩვენის აწინდელის ცხოვრებისაო. სახელიც რომ ისეთი დაურქმევია იმ დალოცვილს თავის ეტიუდისათვის!.. შიწურში გამოჩეკილი პედაგოგი-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერს პაწია ფილოსოფოსს ყრმას ჰპოებს აღსაზრდელად და თვითონ ეს ყრმაც ხომ უცნაური რამ ამბავია. ჯერ ექვსი წლისაც არ არის და ისეთს ფილოსოფიურ კითხვებს იძლევა, ისეთს კრიტიკას უშვრება თავის დედ-მამას, რომ დარვინიც განცვიფრდებოდა მის მოქმედებაზე. „ივერიის" კრიტიკოსი წინადვე გვაფრთხილებს: ჯერ არა გაბედოთ-რა, არა თქვათ-რა ისეთ მწერლის ნაწარმოებზე, რომელსაც მთელი საქართველოს ერის მაჯა მუდამ ხელში აქვს და არამც თუ მისი გონებითი განვითარების მსვლელობა იცის, არამედ გრამობითაც აქვს აწონილი და გამოცნობილი ყოველის ქართველის ჭკუის და გრძნობის მისწრაფებაო. თუ „ივერიის" კრიტიკოსს დავუჯერებთ, ჩვენს წარჩინებულს მოხუცს მწერალს წინასწარ-გრძნეულობის ნიჭიც უნდა ჰქონდეს ზეცით მიმადლებული. ბევრნი, იქნება, ასეც ფიქრობენ. ჩვენის აზრით კი, თუმცა ეს „უცნაური ამბავი" ილ. ჭავჭავაძისა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ რაც არის ისიც საკმაოა, რომ ითქვას: „სახარე ხარსაო, სანიკორეში შეეტყობაო". არ ვგონებ, რომ ჩვენზე უფრო ხანგრძლივად ვისმე თვალ-გაფაციცებით ეგდოს ყური ჩვენის დამსახურებულის პოეტ-მწერლის ნიჭის თან-დათან დამწიფებისათვის ამ ოცდახუთის წლის განმავლობაში. მისმა შემოქმედებითმა ძალამ უმაღლეს წერტილამდე უკვე დიდი ხანია მიაღწია და ჩამოქვეითებაც კი დაეტყო. მას აქეთ, რაც მან შექმნა „გლახა ჭრიაშვილი" მომრიგებელ-მოსამართლესთან სცენებში, სხვა მისი ბადალი შემდეგ არა დაუწერია რა. აი, ამ დროიდან იწყება მისი შემოქმედებითი ძალის უკუმსვლელობა, უკან დახევა. და თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს ერის მაჯა, ამას შემდეგ კი, ვეჭობ, ხელიდან გავარდნია და ველარც უპოვია იგი...

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე[24]

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სოქვას
ნანერგითა შენით მარგე.
ი. ჭავჭავაძე

მალე ორმოცი წელიწადი შესრულდება, რაც თავადმა ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძემ პირველად შემოადგა ფეხი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. პირველსავე ნაბიჯის გადადგმით ილია ჭავჭავაძემ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა და მატულობდა. ჩვენისთანა მძინარა საზოგადოებაში რომ დაიმსახუროს კაცმა ყურადღება, რომელიც თანდათან სიყვარულზედ გადადის, და თანაც დაიმსახუროს იგი არა სიმდიდრით, არა ჩინებითა და აპელატებით, არამედ მარტოდ მარტო სამოქალაქო მოღვაწეობით და კალმის წერის ნაწარმოებით, ამისათვის ძრიელ და ძრიელ დიდი მადლი უნდა ჰქონდეს მინიჭებული ცისაგან და საგანგებოდ უნდა იყოს შეზავებული მისი გონებითი და ზნეობითი აგებულება.

გარინდებულ საზოგადოებას. გართულს მხოლოდ საყოველდღეო ჰორებში... მარტო საყვირით თუ შეაყენებ და აღუძრავ ხალისს, რომ თვალი გაახილოს და დაინახოს გულისა და სულის მარგებელი საზრდო სწორედ ასეთი საყვირი გამოდგა ლექსი, რომელსაც სახელად ერქვა, „გამოცანები“ და რომლითაც ახალგაზრდა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ ძილი დაუბრთხო ჩვენთა მოღვაწეთა და დიდებულთა. ძრიელ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს „გამოცანები“ არ არის ჩართული თავად ილია ჭავჭავაძის ლექსთა წიგნში. საკმარისმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც პირველად გამომეღავნდა „გამოცანები“, ლექსისაგან ბოძზედ მიკრულნი მოღვაწენი დღეს უკვე განისვენებენ. თითქმის ყველანი, შესვენებულთათანა და ამიტომ თავად ჭავჭავაძის „გამოცანები“ მათ ხელმეორედ ვეღარ ატკენდა გულს, ხოლო მკითხველთათვის-კი იგი დღესაც არ არიან დიდს მნიშვნელობას მოკლებულნი.

ამ საყვირმა თავზარი დასცა ყველას, ვინც ჩვენი ცხოვრების სათავეში იდგა, და თვალი მოაფშვნეტინა საზოგადოებას, რომელსაც ერთიანად დაჰვიწყებოდა თავის მოვალეობა. წინაშე სამშობლო ქვეყნისა. განცვიფრება-კი როგორც წარჩინებულთა, აგრეთვე მთელის საზოგადოებისა თითქმის ერთნაირი იყო. ქვეყანამ იგრძნო, რომ მარტო მაღალი ჩინი და

დიდი ჯამაგირი არა ყოფილა საკმარისი ცხოვრებაში, რომ მათ გარდა ყოფილა სხვა უმაღლესი სატრფიალო საგანი, რომელიც მუდამ თვალწინ უნდა ედგეს კაცს, თუ იგი ღირსია ამ სახელისა, და რომელსაც ჰქვიან დაუღალავი სამსახური სამშობლოს მიმართ. ილია ჭავჭავაძის სახელს „გამოცანების“ შემდეგ დაჰკერდა პირზედ ჩვენს საზოგადოებას, და აბა სწორედ აქედან დაიწყო ისეთი ხანა, როდესაც ქვეყანამ მიჰმართა თავისი ყურადღება ახალგაზრდა პოეტ-მქადაგებელს და გაფაციცებით აცქერდებოდა მის ყოველს ნაბიჯს. აბა თუ მართლა რამ ძალა ჰქონოდა თავად ჭავჭავაძეს, ამას იქით უნდა გამოეჩინა და დაემტკიცებინა, რომ იგი სწორედ „ციდან არის დანიშნული“, რომ მას „ერი ზრდის, მიწიერი ზეციერსა“ და რომ იგი „ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს, რომ წარუძღვეს წინა ერსა“. უკეთუ იგი თავის „გამოცანების“ შემდეგ ვერ გამოიჩენდა იმისთანა ძალას, მაშინ მას ულმობელად გაჰსრესავდნენ ის წარჩინებულნიც, რომელთაც მან შეუპოვარი ანგარიში მოსთხოვა მოქმედებისა, და თვით საზოგადოებაც ჩააქვავებდა. მაგრამ, ჩვენი ერის სასიქადულოდ, მოჰხდა ისე, რომ ახალგაზრდის ქადილს ღონეც შესწევდა, გულში მართლა ღვთიური ნაპერწკალი აღმოუჩნდა პოეტს და მის წინაშე ქედი მოიდრიკეს თვით მის მიერ გაწბილებულმა წარჩინებულებმა, ხოლო საზოგადოება ჩვენი დარწმუნდა, რომ ჭავჭავაძის სახით მას აღმოუჩნდა მტკიცე, მართალი, ღონიერი და დიდი ნიჭით შემკული წინამძღვარი.

დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, თავად ჭავჭავაძის თხზულებანი უკვე იბეჭდება. პოეტური და ბელეტრისტიკული ნაწარმოებები მისი ყველას ხელთა აქვს და შეუძლიან გამოიცნას, რამდენად გაამართლა თავადმა ჭავჭავაძემ როგორც იმედი ქართველ ერისა, აგრეთვე საკუთარი ქადილიც.

...ამ საუკეთესო ქართველ მოღვაწეს ისეთი დიდი ადგილი უჭირავს ჩვენ მწერლობაში და აგრეთვე ყოველ ქართველ დაწყობილებაში, რომ ამ ადგილის სათანადო გათვალისწინებასა და ჯეროვანს გამოკვლევას ეჭირვება დიდი და ხანგრძლივი შრომა, განხილვა მთელის ჩვენის მწერლობისა ამ საუკუნის განმავლობაში, ანუ სხვადასხვა ახსნა ქართველის ერის აწინდელ მდგომარეობისა და განმარტება ჩვენის საზოგადოების საჭიროებისა. ეს ძრიელ რთული საგანია, რომელსაც ჩვენი კალენდარი ვერ შეეჭიდება. მაგრამ ქართველ საზოგადოებისათვის მაინც საჭიროდ მიგვაჩნია შეძლებისამებრ დავანახოთ მოკლედ ის ღირსებანი თავად ილია ჭავჭავაძისა, რომელნიც შეადგენენ ჩვენს დღევანდელს სიქადულს და რომელნიც, უეჭველია, სასიქადულონი დარჩებიან იმ დროშდე, ვიდრე ქართველის სახელი იქმნება დედამიწის ზურგზედ. ილია ჭავჭავაძის ნაწერებში თქვენ ჰხედავთ ლექსებს, მოთხრობებს და პუბლიცისტიკას. საზოგადოდ, ძრიელ იშვიათია, რომ შესანიშნავი პოეტი, ლექსების მწერალი, იმავე დროს შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებსა სწერდეს, მასთან კარგი პუბლიცისტიც იყოს. ჩვეულებრივ ასეა ხოლმე, რომ უკეთესი პოეტი ძრიელ სუსტ მოთხრობას ძლივს ახერხებს და პუბ-

ლიცისტიკაში ხომ ცხვირსაც ვერ გამოპყოფს. თავად ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი-კი ჰმოწმობენ, რომ იგი არა თუ შესანიშნავი პოეტია, არამედ იგი სწერს უწარჩინებულეს მოთხრობებს და ამავე დროს იგი მკლავღონიერი და ნიჭიერი პუბლიცისტია.

უმთავრესი ღირსება ჩვენის პოეტის ლექსისა იმაში მდგომარეობს, რომ რაც გინდ პატარა იყოს ეს ლექსი, იგი დამთავრებულია, მას არა აკლია-რა არც თავში, არც შუა წელში და არც ბოლოში, თანაც ყოველი ნაწილი ლექსისა შეზავებულია ისე, რომ მეტ-ნაკლებობა არ გიმღვრევეთ გულსა. ეს უმეტ-ნაკლებობა და სისრულე, დამთავრებულობა ლექსისა სჩვევიათ მხოლოდ იშვიათს პოეტებს, რომელთა ნაწარმოებს თამამად არგუნებთ სახელს „ქნარისას“, და მათი ქნარიც სწორედ ღირსია პოეზიის სამეფოსი. გადასინჯეთ ჩვენი თუ უცხოელი პოეტები, რომელთა სახელი ლეგიონია, და თქვენ ჰნახავთ, რომ უმეტ-ნაკლებობა და სისრულე ლექსისა, რომელნიც შეადგენენ უმთავრესს მოთხოვნილებას პოეტურის ქნარისას, ძრიელ ნაკლებად არიან დაცულნი მათს ნაწარმოებში. უმეტესად-კი შეგხვდებათ ისეთი ლექსი, რომელშიაც თავი არის, მაგრამ ბოლო და შუა წელი-კი არსადა ჩანან და სხვანი. რომ უფრო ადვილად წარმოვიდგინოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწილთა უმეტ-ნაკლებობას, მოვიყვანთ შემდეგს მაგალითს: ვთქვათ მე მხატვარი ვარ და შემიძლიან ყოველი ნაწილი ადამიანის აგებულობისა ჩინებულად დავხატო, ცალკე-ცალკე, ე. ი. შემიძლიან ისეთი ცხვირი დავხატო, რომ თქვენი მოწონებული, აგრეთვე შუბლი, ნიკაპი, ლოყები, ყურები და სხვანი. თქვენ მოგწონთ ყოველი ნაწილი, ჩემ მიერ ცალკე დახატული, და მთხოვეთ დაგიხატოთ ადამიანის სახე, რომელიც შევამკო ჩინებულის ცხვირით, საუკეთესო ყურებით, შუბლით და სხვანი. აგერ, მოვკიდე საქმეს ხელი. შევაერთე ყოველი ნაწილი სახისა, მაგრამ რა... სასიამოვნო სახის მაგიერ დავხატე რაღაც მახინჯი, რომელსაც იმოდენა ცხვირი გავუკეთე, რომ ლამის ქამარს ჩასცილდეს, და ისეთი პატარა ყურები მივეცი, რომ მაკროსკოპი დაგჭირდებათ გამოსაცნობათ! თუმცა ცხვირი ისეთი ლამაზია, თითქოს მარმარილოსაგან იყოს ჩამოსხმულიო, მაგრამ იგი კარგია მხოლოდ ცალკე და როდესაც შეუწონებთ ჩემ მიერ დახატულ სახეს, დაინახავთ, რომ იგი თავის ადგილას არ არის, და ამიტომ ლამაზ სახის მაგიერ მახინჯ სახეს გაძლევთ ჩემი სურათი, რადგან არ არის დაცული ყოველად შემძლებელი უმეტ-ნაკლებობა.

სიდიდე პოეტისა, ძალა მისის შემოქმედებისა გაიზომება სწორედ მაგ უმეტ-ნაკლებობით. რამდენად მინიჭებული აქვს პოეტს მომეტებული ძალა შემოქმედობისა, იმდენად მისი ქნარი შეზავებულია ისე, რომ ყოველს ნაწილს ლექსისას უჭირავს თავისი შესაფერი ადგილი და არც სხვათა ნაწილთა მიჯნებზედ გადადის, არც თავის საკუთნოში უთმობს ადგილს სხვებს. ამ პოეტურ შემოქმედებას ჰმოწმობს ყოველი მცირე

ლექსიც-კი ილია ჭავჭავაძისა და ყოველი მისი დიდრონი პოემები გაისსენეთ თუნდა აი ეს ჩინებული ლექსი ჩვენის პოეტისა

ძესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტკრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მტრებისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში.

გასინჯეთ ეს ლექსი სასტიკ კრიტიკის თვალით და თქვენ დაჰრწმუნდებით, რომ აქ ყოველი სიტყვა თავის ადგილზედ არის და თვით აზრი ისეა გამოქანდაკებული, რომ მარტო ერთის სიტყვის გამოცვლაც შეარყევს სისრულეს აზრისას და ქანდაკება ისეთი შეიქმნება, რომ დაკოწიწებულ ადგილს თვით უმეცარიც შეიტყობს. ასეთსავე ქანდაკებას ასეთსავე უნარს შემოქმედობისას შეჰხვდებით ყოველს ლექსში, რომელიც კი დაუწერია ილია ჭავჭავაძეს 1857 წლიდამ, ე. ი. თავის სიჭაბუკიდამ, 1890 წლამდე, ე. ი. ხანში შესულ ვაჟკაცობამდე.

ასეთ ძალას პოეტური შემოქმედებისას დაუმატეთ ჭავჭავაძის თანამედროვე სამეცნიერო და სამოქალაქო განათლება, რომლის გამოც ავტორი მთელს თავის ნიჭსა და მხნეობას ანდომებს იმას, რომ თავისი საყვარელი სამშობლო გაჰხადოს მოზიარეთ დაწინაურებულ ხალხთა ცხოვრებისა, და თქვენ გაიგებთ, რა დიდი ზედმოქმედება უნდა ჰქონოდა ჩვენი პოეტის ნაწარმოებს თანამედროვე საზოგადოებაზედ და რა მნიშვნელობა ექმნება მათ ჩვენს მწერლობასა და სიტყვიერებაში სამუდამოდ, მეტადრე. როდესაც არ დაივიწყებთ, რომ ქართულის ენის აღდგენისა და მისის ფორმების გასუფთავებისათვის თავად ჭავჭავაძის ოდენა არც ერთს ქართველს არ გაუკეთებია - თავის ნაწერებით, ამ საუკუნის განმავლობაში მაინც.

ღირსება პოეტური ზომიერებისა, უმეტ-ნაკლებობისა და შემოქმედებისა ჩვენს მოღვაწეს ერთიან გადაუტანია მოთხრობათა წერაშიც. მისი „კაცია-ადამიანი" საუკეთესო ქმნილებად ჩაითვლებოდა თვით ისეთს ლიტერატურაში, როგორიც არის ლიტერატურა ინგლისისა, საფრანგეთისა, ვერმანიისა და რუსეთისა.

როდესაც კრიტიკის თვალით უყურებთ თავად ჭავჭავაძის ნაწერებს, გული იმედითა და სასოებით გევსებათ, რომ ერი, რომელსაც ასეთი შვილი აღუზრდია თავის ძუძუთი, ჯერ ისევა ერობს და მის გაღონივრებას უნდა მხოლოდ, რომ სიტყვანი, საქმენი და მცნებანი, ჩვენთა საუკეთესო მოღვაწეთა ყოველთვის თვალწინ გვედგნენ და მათის მაგალითით, მათის ჩაგონებით ვხელმძღვანელობდეთ ცხოვრებაში; საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველმა შეგნებულმა ქართველმა აიღოს ხელში მანათობელ ლამპრად მცნებანი ჩვენთა საუკეთესო მოღვაწეთა და ამ ლამპრის შუქით გაუნათოს

კნა ძთელს ჩვენს სამშობლოს; საჭიროა მხოლოდ, რომ სამშობლო იცნობდეს თავის ერთგულ შვილებს, თავის წარჩინებულ მოღვაწეებს; საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფასი დაედოს იმისთანა კაცებს, რომელთაც დროშაზედ უწერიათ საზოგადო სამსახური და ქვეყნისთვის ერთგული შრომა.

რაიც შეეხება თავად ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას, აქაცა ჰსედავთ, მრავალ სხვა ღირსებათა შორის, განსაკუთრებულს ღირსებას, რომელიც ქართველ მწერლებში ჯერ-ჯერობით ეკუთვნის სრულის სავსებით მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს და სხვას არავის. ეს ღირსება არის განუსაზღვრელი პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა, ხელშეუხებლობა მისის ადამიანურის ღირსებისა. ეს დიდი სამსახურია ჩვენის მწერლობის მიმართ, სადაც ადამიანის პიროვნებას ჩალის ფასად არავინ აფასებდა აქამომდე და ჯერ ეხლაც ძალიან ნაკლებად აფასებენ.

ამ სახით, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, თავისის მოღვაწეობით წინაშე სამშობლო მწერლობისა, არის არა მარტო უწარჩინებულესი პოეტი, მგოსანი ჩვენი სამოქალაქო და საზოგადოებურ მწუხარებისა თუ სიხარულისა, ჩინებული ბელეტრისტი და საუკეთესო პუბლიცისტი, არამედ ყველა ამათთან ერთად იგი არის ერთად ერთი ბურჯი ქართულის ლიტერატურისა მეცხრამეტე საუკუნეში, ბურჯი ჩვენის სამოქალაქო და საზოგადო აზროვნებისა, იგი არის მქადაგებელი უმაღლეს ჰუმანიურ და საკაცთმოყვარეო აზრებისა და იდეალებისა.

ჩვენებური ანდაზა ამბობს—ვისაც ღმერთი მისცემს, ორივე ხელით მისცემსო. ეს ანდაზა ერთობ გამართლდა თავად ილია ჭავჭავაძეზედ. ღმერთმა თითქო არ აკმარა იმოდენა სპმწერლო ნიჭი, რომლის წყალობითაც ქართული ენა ამოადგმევინა რამდენსამე თაობას ჩვენის მოსწავლე ახალგაზრდობისას და აალაპარაკა იგინი საქვეყნო საქმეებზე, — ჰო, თითქო ეს ღირსება არ აკმარაო, ღმერთმა შეამკო ჩვენი პოეტი საუცხოო ორატორულის ნიჭით და თანაც შრომისმოყვარეობით. მისი დარბაისლური ქართული ლაპარაკი, მისი ჰკუით სავსე და მოსწრებული სიტყვა ისე განირჩევა ორატორების და ყბედების რახა-რუხისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან...

თ—დი ილია ჭავჭავაძე

I

თ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გარჩევა მეტად წარმტაცი და მომხიბვლელი საგანია, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, მეტად რთული და ძნელია. ძნელია მიტომ, რომ თ. ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად თ. აკ. წერეთელი და სხვანი მათი თანამედროვენი თავიანთი მოქმედებით, ნაწერებით და ცხოვრებით დამასურათებელნი არიან დიადის ეპოქისა ჩვენს ცხოვრებაში, ეპოქისა, რომელიც, საუბედუროდ, არ არის შესწავლილი და რომლის სავსებით შესწავლა მიუცილებელია ამ მწერალთა ნაწარმოებთა კარგად შეგნებისათვის. მართალია, ეს ცხოვრება მათ ნაწარმოებში იხატება, მაგრამ ისიც მართალია, რომ თვით ამ ცხოვრების სხვადასხვა მხრის შესწავლაში მოიპოვება მხოლოდ საშუალება ამ მწერალთა აზრთა ზრდის კარგად გათვალისწინებისა, მათი ნაწარმოებნი შეადგენენ ჩვენის ახალის ცხოვრების ისტორიას, რომელიც მესამოცე წლებში დაიწყო და დღემდისაც მიმდინარეობს.

მათში კი განგებამა და, თუ გნებავთ, ბედმა პირველობა თ. ი. ჭავჭავაძეს არგუნა. ნახევარ საუკუნეზედ მეტმა გაიარა მას შემდეგ, რაც ავტორმა „განდეგილისამ“ პირველად აიღო კალამი ხელში და მხნედ, უშიშრად გამოვიდა ჩვენი ცხოვრების უმგვანოების შესაბრძოლებლად. ნიშანი დიადობისა ზედ შუბლზედ ემჩნეოდა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირს, იგი ბედსაც კი უშიშრად იწვევდა ხმალში, თუ შესაძლებელია, ვიხმაროთ ეს რაინდული ფორმა სიტყვებისა:

„გეყო! (ეუბნებოდა პოეტი ბედს) მოვიდა დრო ანგარიშის
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები.
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები.
შენს დუდუკზედა აქამდინ ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შემაძრუწუნე:
ეხლა დუდუკი მე მაქვს აჭ მოდი;
მე დაუკრავ და — შენ კი იხტუნე!..

კარგადა გრძნობდა ახალგაზრდა პოეტი, რაც მას მოელოდა, იცოდა ის საზოგადოება, რომელშიაც ბედმა არგუნა იმდენის ხნის ნაყოფიერი შრომა, იცოდა რა სიმწარე მოელოდა ამ საზოგადოებისაგან და, როგორც წინასწარმეტყველი, წინასწარ ხედავდა თავის სიმარტოეს, თავის სულიერს

ობლობას, რომელმაც ასეთი შხამით აღვსილი სიტყვები წარმოათქმევინა პოეტს:

აქეთ, რაკი შენდამი ეცან მე სიყვარული,
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაეინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გრთვდება.
გრძნობა გრძნობაზე შეუპოვრად იძერის ჩემს გულში.
და მე არ ვჩიევი,—მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვერია
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში!

მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და საწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვთდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო.

მაგრამ მაინც ვერა-რა აშინებდა ვერც მასა და ვერც მის ამხანაგებს: დიდი საკუთარი სიმხნე და სიყვარული ჰქონდათ საქმისა და ამ სიმხნითა და საქმის სიყვარულით აღფურვილნი შეუდგნენ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესებას; თავდაპირველად თ.. ი. ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები შეერთებულნი ერთის გრძნობითა და ერთის აზრით გატაცებულნი, შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მაშინდელ მამაძთავრებს და ძირს დასცეს იგინი. საზოგდოება სრულიად ახალს გზაზე დააყენეს, მიძინებულს ერს იდეალი დაუსახეს, ყრუ ტყეში შარა გაუკაფეს.

ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, რომ დიდი გმირობა იყო, რომ ჩვენთვის დღეს წარმოსადგენადაც გასაჭირია.

...მაშინ სასაცილოდ იყო აღებული ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა; აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ არსებობდეს რაიმე ქართული საზოგადოებრივი ინტერესი. მაშინდელ ქართულს წიგნს მკითხველი არა ჰყავდა: ჟურნალ-გაზეთს ასიოდე ხელისმომწერი თუ ჰყავდა- უკაცრავად, ასი ნომერი გამოდიოდა და ურიგდებოდა ხელის-მომწერთ. მაგრამ ეს იმასა ნიშნავს, რომ 10 ან 15 კაცი იწერდა ამ ასს ნომერს ისე საქველმოქმედო აზრით და დღესაც ხშირად შეხვდებით ზოგიერთს ოჯახში რამდენსამე ეკზემპლიარს ერთისა და იმავე წლის ჟურნალის ნომრებისას, რომელიც ხელუხლებლად ბაწრით შეკრული მიგდებულია სადმე კუთხეში.

დღეს ქართველ ინტელიგენტთა გუნდი დღითი-დღე იზრდება, უმაღლესს სასწავლებლებში რამდენსამე ას კაცზე მეტი გვყავს, ამათში ასმა მაინც იცის ერთი თუ ორი ევროპიული ენა, აქვს სურვილი შეიძინოს ევროპიული განათლება, თავისი გონების განსავითარებლად, ერის კეთილდღეობის განსამტკიცებლად.

დღეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას ათასობით ყავს ხელისმომწერი და ათიათასობით მკითხველი.

მაშინ ხალხს სრულიად არ მიჰკარებია განათლება და დღეს აიღეთ ერთი კუთხე მაინც ჩვენის ქვეყნისა, სადაც ეს განათლება რაიმე გზით არ შეპარულიყოს. მრავალი სოფლიდან მოგვდის საჩივარი, ხალხი სრულიად დაყრუებულია. განათლების შუქი უნდა მივაწვდინოთო. რას ამტკიცებს თვით ეს ჩივილი, ეს საყვედური. თუ არ იმას, რომ ყოველს სოფელსა ჰყავს ახლა თითო მაინც მისი ინტერესების დამცველი, ამ განათლების მწყურვალი. და იმ დროს კი საზოგადოებამ არც კი იცოდა არსებობდნენ თუ არა ასეთი სოფლები.

ამ საოცარის ცვლილებების თუ მთლად შემქმნელი არა, გმირი, მხნე და ენერგიული ხელმძღვანელი მაინც იყო თ. ი. ჭავჭავაძე თავისი აძხანაგებით, რომელნიც ერთსულ და ერთ-ხორც შეერთებულნი შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მავნე ძალებს, შინაგანი იყო ეს ძალა, თუ გარეგანი.

ერთი რამა ჰქონდა იმ დროს მეთაურთ, რითაც ახლა ღარიბნი ვართ: ეს გახლდათ დიდი ტალანტი, დიდი ნიჭი. ამ ნიჭისა და ბუნებრივის მხნეობის შედეგი იყო ისიც, რო ამ თაობასა ჰქონდა რწმენა თავისი თავისა. თავისი საქმის სამართლიანობისა და მიუცილებლობისა, დიდი სურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებული ენერგიული მეცადინეობა უჩვენებდა მათ იმ „სხვა ვარსკვლავს", რომლესაც იგინი სდევდნენ. ამ სურვილით წაქეზებულნი ირკვეოდნენ თავის ცხოვრებისა და მოქმედების პროგრამას და წინადვე განსაზღვრულს გზაზედ მიდიოდნენ.

აი ეგრედ შეიარაღებული თაობა გამოვიდა ბრძოლის ველზე და მედგრადა და მხნედ შეებრძოლა უშიშარ გამოცდილ მეომრებს, სიმდიდრით და მაღალ ხარისხოვნებით ცნობილებს. და თუმც ეს „უჩინონი" „ჩინიანთ" ბუზადაც არ მიაჩნდათ, თუმც იგინი აღიარებულ იქნენ „კატის კნუტებად". „სულითა, ღონითა და სწავლით სუსტად", ვერ შემძლებად „ყარსის აღებისა". მაგრამ ამ თაობამ ეს „ჩინიანი" და „კატის კნუტების" ხაფანგებს ქვეშ დამამწყვდეველნი ძირს დასცა, მათი ადგილი თითონ დაიკავა და საზოგადოებაც ახალის კეთილის მომავლისაკენ უკან გაიყოლია.

II

ეხლა ის გვმართებს, გავიგოთ, რა ნაირად დაიბადა ჩვენს მწერლობაში თ. ჭავჭავაძის მეთაურობით დიადი აზრი და სურვილი ერის წყლულისა და ტკივილის განკურნებისა, რანაირად გამოირკვა საეროენო იდეალი.

ლიტერატურის, ისტორიას, რომელიც აშენებულია ევოლიუციის მეთოდზე, ორი რამ აქვს საგნად: პირველად ყოველისა გვიჩვენოს ლიტერა-

ტურულ ჟანრთა, ფორმათა, გვართა ცვლა; ხოლო მეორედ—იდეათა ცვლილება. ამა თუ იმ დროს ესა თუ ის ლიტერატურული გვარი მეფობდა. ხოლოდ ყოველნაირი გვარი ლიტერატურისა ყოფილა რაიმე აზრის გამომხატველი და აი იდეათა ევოლიუცია ლიტერატურაში გამოიხატება ამ ფორმათაგან გამოსახულს აზრთა ცვლილებაში. ვსთქვათ, საფრანგეთში XVII საუკუნეში ლიტერატურის სამი გვარი მეფობდა—ტრაგედია, საეკლესიო მშერმეტყველება და მორალური აფორიზმები, ანუ აზრები პასკალის და ლაბრიუერის გვარისა. ყოველივე მათგანი და ერთად ყველა ზედ გამოჰკრილი იყო იმ დროის საპოლიტიკო და საეკონომიო პირობებზე, გამომსახველი იყო ავრეთვე იმ დროის უმთავრესი მიმართულებისა. სამივე ზემოხსენებული გვარი იყო ცოტად თუ ბევრად უპიროვნო გვარი ლიტერატურისა; თუ არც ტრაგედია, არც საეკლესიო მშერმეტყველება და არც მორალური სენტენციები არ აძლევდნენ ნებას პირადის მწუხარებისა და ტანჯვის, პირადის სიხარულისა და აღტაცების გამოსახატველად, მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებაც იმგვარი იყო, რომ პიროვნება მიჩქმალული გახლდათ, მარტო და მხოლოდ სახელმწიფო ითვლებოდა ანგარიშში და სხვა არარად და ეს სახელმწიფო განხორციელებული იყო ერთის მეფის პიროვნებაში. კერძო კაცი აღარ არსებობდა სახელმწიფოსთვის. აქ ყოველიფერი იყო გარდა ინდივიდუალიზმისა, ყოველიფერი შესაძლო იყო სახელმწიფოსთვის და არა-რა ინდივიდუუმისათვის, იგი იყო ერთად ერთი გამგე, მბრძანებელი და გამომსახველი ყოველთა აზრთა და გრძნობათა.

მაშინდელი ლიტერატურაც სწორედ ამავე აზრის მქადაგებელი იყო და პიროვნების უფლებათა დაცვა არად მიაჩნდა, დავიწყებული ჰქონდა კაცი, კაცი განყენებულ გეომეტრიულ ფიგურად იყო მიჩნეული, რომლის ყოველივე გრძნობა და მისწრაფება დამორჩილებული ჰქონდა განყენებულს პრინციპებს მეფისა და საზოგადოების მორჩილებისას. კორნელი, ეს სასახლისაგან აწუნებული დიდებული ტრაგიკოსი ვითომ და მისთვის, რომ საკმაოდ ვერ იჩენდა მართლ-მორწმუნეობას აბსოლიუტიზმის წინაშე, ეს კორნელიც კი ამ აზრთა გამომხატველია და შეიძლება შეცდომით შენიშნეს სისუსტე ანა და რასინთან შედარებით. მართლაც. ცოტა არ იყოს, მკრთალი აბსოლიუტისტი გამოდიოდა. აიღეთ მისი ცინნა, რომელიც მეფეთა უერთგულესი ქვეშევრდომობის დიდებაა და მეფეთა გულჩვილობისა და გულ-კეთილობის გალობა; მისი პოლიეევქტი, საცა სარწმუნოებისათვის თავის განწირვის მაგალითებია იდეალად დასახული; აიღეთ მისი პორაციუსი, საცა ის გმირია ნაქები, რომელსაც ყოველივე ნათესავური, მეგობრული გულის მოძრაობა ჩაუკლავს, საყვარელის არსებისადმი სიბრალული მოუსპია და მარტო ერთით არის აღტყინებული და ერთის ფანატიკოსია: მამული დაიცვას, მამულისა და მეფის ერთგულების მოღვაწედ დაიდვას; ანუ სიდი, საცა რაინდულის პატიოს მოყვარობისათვის ყოვე-

ლივე გრძნობის განწირვა, გამოხატული და იდეალად დასახული. ყოველ ამათში მარტო ერთი უმთავრესი აზრია გატარებული, ეს ის აზრია, რომ პირადი სიცოცხლე, მისი გრძნობა, სულის კვეთება, ყოველივე ეს არის ხელშეუხებელი საკუთრება სამეფოსი, სახელმწიფოსი და საზოგადოებისა. ჩვენ აქ სრულიადაც არ გვინდა ამ აზრის სისუსტე ანუ სიძლიერე აღვნიშნოთ, გვინდა მხოლოდ იმის მაგალითები შევიტყოთ, თუ როგორ შეიქმნება ესა თუ ის გვარი ლიტერატურისა გამომხატველი ამა თუ იმ აზრისა.

ყოველივე მწერლის ნაწარმოები იმ სახით არის საინტერესო ამ მხრით, თუ რა ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებს ლიტერატურის გვართა ევოლუციაში და მისი ნაწარმოების შინაარსს აზრთა მიმდინარეობაში. ჩვენ არას ვიტყოდით არც ალ. ჰაქჰავაძეზე, არც გრ. ორბელიანზე, არც ნ. ბარათაშვილზე და დღეს არც ილ. ჭავჭავაძეზე. თუ ყოველივე მათგანის ნაწარმოებს არა ჰქონდეს მნიშვნელობა ქართულის ლიტერატურის ფორმათა და აზრთა ევოლუციაში, ცვლილებაში.

თავდაპირველად თ. ჰაქჰავაძე და მისი თანამედროვე თაობა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზედ საზოგადო პროგრამით. ეს პროგრამმა უარსა ჰყოფდა იმ მიმართულებას, რომელთა მიმდევარნი „ქაცის მხნეობასა და ზნეობას“ ჩინებით ზომავდნენ, სარწმუნოება და სათნოება ფარისეველობად გარდაექციათ, „უსაქმოდ მოკუნტულნი და გაბღინძულნი ეყარნენ“ და ყოვლის ღონით ცდილობდნენ „ძირი გამოეთხარათ ახალ-თაობის ღარიბ ერთობისათვის“. ახალ თაობას, როგორც თვით მეთაური აცხადებს: არ უგრძვნია „ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის, ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის;“ ამ თაობას ღმერთი უქმობის, ღმერთი ხარბობის და მცარცველობის მათის წინააღმდეგობისათვის დაეთმო; მას სწამდა ღმერთი უქმთა წამწყმედი, ტყირთ-მძიმეთ და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი, ყოველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული, ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი, ორგულობისა, ორპირობისა ძირსა დამცემი და დამთრგუნველი, ფარისეველთა, სადუკეველთა გამკიცხველი და გამდევნელი“. ეს თაობა გამოდიოდა ჩვენის დაცემულის ენის მოსარჩლედ, იმ ენის, რომელსაც უწინდელთა მეოხებით „მკვდრის სუდარა ეფარა;“ ენა, რომელიც უწინდელ თაობას მოეკლა, „მას მიეღო გასაცოცხლებლად,“ ენა უწინდელის თაობისაგან გმობილი, მათგან ლტოლვილი, ამათ თავიანთ ჭოხში შეეფარებინათ და „კარგად თუ ავად იმას ინახავდნენ“.

თვით ილია ჭავჭავაძესაც არა ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწვრილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივისა და ზნეობრივის დაქვეითებისა და ამ დაცემა-დაქვეითების მიზეზები არა ჰქონია გამოკვლეული.

ეს კი არის, რომ პატრიოტობა მას „სალანძღავ სიტყვად არ გაეხადა“

და სამშობლოს სიყვარული წმინდად და დიდებულ რამედ მისჩნევია: „მამულისთვის სიკვდილი მეტად დიდი რამ არის!"—ამბობს ჩვენი პოეტი: „უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი!" მამულს მიგცა ზეცამ,—ეუბნება მისი „დედა" შვილს,—და თუ ზედ დააკვდება, „ნუგეშ იცეს დედამ, რომ კაცი კაცად ჰკვდები". ამ სიყვარულის გავრცელებას ცდილობს იგი, ხალხს დავიწყებული იდეალები გაახსენა, ისტორიული მაგალითები გმირობისა და რაინდულის თავგანწირულებისა თვალწინ დაუყენა („დედა და შვილი", „დიმიტრი თავდადებული").

სამშობლოს სიყვარული არის უმაღლესი მოვალეობა. რომლის ასრულება მით უფრო სავალდებულოა, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერება არის კერძო პიროვნების სრული გამაბედნიერებელი, საცა ეს პიროვნება შობილა და გაზრდილა.

უბედურის მამულის შვილი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ იგი პირუტყვი არ არის და, თუ პირუტყვია, ისიც კი ბედნიერი არ არის, რადგან თავისი უბედურება ვერ გაუგია. მამულის სიყვარული რა მოვალეობაა და რა იდეალები უნდა ჰქონდეს დასახული მას, ვისაც მამული უყვარს? უმთავრესი სურვილი და მეცადინეობა სამშობლოს მოყვარულისა ის უნდა იყოს, რომ ის ერი, ის ქვეყანა, რომელშიაც ყოფნა ღმერთმა არგუნა, იყოს აღმასრულებელი კაცობრიობის უმაღლესის მოვალეობისა. კაცობრიობას ცხოვრებამ თუ, განგებამ ერთი იდეალი დაუსახა—კეთილის განხორციელება და ბოროტის დამარცხება. ცხოვრებაში ეს ორი პრინციპი იბრძვის დღემდის და ამ ბრძოლაში კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს ყოველთვის კეთილის მხარე ეჭირა და მომავალშიაც მისი ცხოვრების აზრი ამაში მდგომარეობს, ჩამოაცალოს ბოროტს თავისი შემცდარი ძმები და კეთილის რაზმში შეუყაროს თავი.

უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობას თავისი ზნეობრივის ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი კერძოდ, ყოველი ერი საზოგადოთ, იყოს აღჭურვილი თანასწორის ეკონომიურისა და პოლიტიკურის უფლებით, რომ ყოველ კაცს, ყოველ ერს ჰქონდეს ნება ფაქტიურად დაიკმაყოფილოს ყოველივე თავისი მრავალგვარი მოთხოვნილება, იყოს ბედნიერი, მხიარული, კმაყოფილი, ლაღი და შემეცნიერი, რომ ყოველი ერი მარადის ძმა იყოს და მეგობარი, ყოველმა კაცმა მეორისათვის სიამოვნებით თავი განიწიროს.

იდეალი კერძო პირისა ის უნდა იყოს. რომ ძმა თავისი უყვარდეს „ვითარცა თავი თვისი". სხვა არ დაჩაგროს, თანაც თავი არავის დააჩაგვრინოს, რადგან ეს სურვილი სხვისი დაჩაგვრისა, რომელსაც დაუბუდებია კერძო კაცში, გინდ მთელს ერში, თესლია ბოროტებისა და ბოროტების წინააღმდეგ კი ბრძოლა მოვალეობაა ადამიანისა.

ასე გვესმის ჩვენ მამულის სიყვარული და, თუ მივიღებთ ამ გრძნობის ეგრეთს განსაზღვრას, საჭიროა ვიცოდეთ, ამ გვარის აზრის აღმასრულე-

ბელი იყო თ. ჭავჭავაძე და მისი თაობა თუ არა? ამის შესახებ მხოლოდ „ჰო“ ითქმის, და ამის დამამტკიცებელი საბუთი არა ერთხელ მოუცია ი. ჭავჭავაძეს. აი რას ამბობს მისი ჟურნალი, რომელიც, რასაკვირველია, მისი რედაქტორის აზრის ჰეშმარიტი გამოსახველი იყო: „თუ სხვაგან ეგოისტურია, ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა, იგი იჰყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას, ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, დათრგუნვის სურვილი ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის-შვილებს სურთ წარმატება ჩვენის ეროვნობისა და ვინაობისა, რომელთა ვარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულის შვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული; როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის. ისე ესლა ჩვენი მამულის-შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ. არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა“ („ივერია“, № 1882 წ.) მონტესკიე ამბობდა სიტყვებს, რომელიც შეეძლო ეთქვა მარტო ისეთის დიადის ეპოქის დიდებულს შვილს. როგორიც იგი იყო: თუ ქვეყნიერების ბედნიერებისათვის საჭიროა, ჩემს ქვეყანას გავსწირავო. თ. ჭავჭავაძეს და სხვა მის თანამედროვეთ ეს შეიძლება არ ეთქვათ, შეიძლება ის კი ეთქვათ, რომ თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ქვეყანას რას დავსდევო. მაგრამ კი არ იფიქროთ ეს ბოდბელის ანდაზისებური იყოს („თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ ყოფილაო“).

ეგეთი მხეცური აზრი თავის დღეში არ მოუვიდოდათ აზრად ისეთს იდეალისტებს, როგორნიც იყვნენ მესამოცე წლების ჩვენი მოღვაწენი. მათ სწამდათ მხოლოდ, რომ მსოფლიო მაშინ იქნება ბედნიერი, თუ ყოველი ერი, ქვეყნიერების შემადგენელი, ბედნიერი იქნება. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებულის მსოფლიოს, ცისქვეშეთის ბედნიერება, თუ მისი შემადგენელი ნივთიერება, ცალკე ერი, ბედნიერი არ იქნებოდა.

ყოველივე აზრი ყვავილის თესლის მსგავსია. იგი თესლი, თუ კარგს ნიადაგზე მოხვდა და კარგი მომვლელი ეყოლა, გამოიღებს მცენარეს, მცენარე ყვავილს და ყვავილი კვალად თესლს და ასეთია სამარადისო მსვლელობა ბუნების ორგანიულ ნაწილების განვითარებისა.

აზრიც ეგრე იბადება: თუ კარგს გულს მოხვდა, ფრთებს შეისხამს და მის ზრდას დასასრული აღარა აქვს.

ამგვარი თანდათანობითი ზრდა ემჩნევა საეროვნო აზრს ჩვენს ლიტე-

ტურაში საზოგადოდ ხოლო თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარებში ეს ზრდა უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიხატა.

თ. ჭავჭავაძე პოეტი და დიდბუნებოვანი არსებაც რომ არ ყოფილიყო, ისეთს დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვა-ვებისათვის ზურგი შეექცია. ამ კაცმა კარგად ცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა ერს და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს ამის გარშო სამგლოვიარო ხმა რა გამოეცა? განა შეიძლებოდა პოეტის გული არ აღეშფოთებინა და სიცოცხლე არ მოეშხამა მას, რომ მისი სატრფო სხვას ასმევდა ნექტარს ნეტარებისას; სხვას თავს ევლებოდა, შეჰხაროდა, სხვას ეტრფოდა?" ესე იგი, შეჰხაროდა და შესტრფოდა იმ იდეალებს, იმ აზრებს, რომელიც პოეტისაგან დაგმობილი იყო და რომელიც სამარცხვინო მონობის გამომსახველია.

წარმოსადგენია განა, რომ ეხლანდელის ცხოვრების... შემგნებელს „აჩრდილი" არ დაეწერა, სადაც რამდენიმე თავში საოცარის სიმკაცრით არის გამოხატული ჩვენი ცხოვრება? რა წარმოსადგენია აბა დღევანდელი გარყვნილის, ზნეობა-დაცემულის და სალახანა „დათიკოებისათვის" არ დაეპირდაპირებინა „დიმიტრი თავდადებული" და მისი გმირული, რაინდული მოქმედება სამაგალითოდ არ დაესახა „დედა და შვილის" დედა დარეჯანების გვერდით არ დაენახვებინა? ყოველივე ეს ჯი სხვაგვარის გრძნობების ამშლელი იყო, არაჩვეულებრივი ჩვენის ლიტერატურისათვის: მკითხველს აწყოს აძულებდა, წარსულში სასოებისა და იმედის საფუძველს უპოვიდა და მომავალში იდეალებს უსახავდა. ამ ლექსებს საეროვნო გრძნობების განმტკიცების მხრივ ჩვენს ლიტერატურაში უპირველესი ადგილი უკავიათ. თუ შეადარებთ, მაგალითად, თ. ი. ჭავჭავაძის სამშობლოს სიყვარულის გამომხატველ ლექსებს, ასეთსავე ლექსებს თ. გრ. ორბელიანისას, თ. ალ. ჭავჭავაძისას და თვით უკვდავ ბარათაშვილის ლექსებსაც, ნახავთ, რომ თესლი ყვავილად ქცეულა და ამ გრძნობათა გამოხატვაში ჩვენს პოეზიას თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი ნაბიჯი წაუდგამს წინ და უფრო ნათელს, უფრო ყარყეულს გზას დასდგომია.

აიღეთ მაგ. თ. ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა", ეს ერთად-ერთი გამომხატველი მის საეროვნო მწუხარებისა: რა იხატება შიგ? მხოლოდ ვაება დაკარგულის დიდების გამო, მწუხარება ამ დიდების გაჭრობით გამოწვეული, მაგრამ ამ მწუხარებაში არ იხატება არავითარი მისი აზრი არც აწყმოსა და არც მომავლის შესახებ.

მწუხარება, და უფრო ზოგადი ფილოსოფიური ტერმინი, რომ ვიხმაროთ, პესსიმიზმი, ორგვარია, ერთი პესსიმიზმი უაზროა, უიდიალო და უნუგეშო, რომელიც დარდობს მხოლოდ დაკარგულის გამო და არაფერს ცლის არც აწმყოსაგან და არც მომავლისაგან; კიდევ მეტი, არავითარი იდეალი არა აქვს არც ამწყოში და არც მომავალში; მეორე გვარი პესსი-

პიზმია ის მხნე პესსიმიზმი, რომელიც ხედავს, რომ აწმყო და გინდ წარსული სატირალია იმ იდეალთან შედარებით, რომელიც დაუსახავს ცხოვრებაში და რომლის მიღწევასაცა სცდილობს. ხანდისხან ამგვარი გრძნობით აღსებული კაცი წარსულს ადარებს აწმყოს, წარსულთან შედარებით აწმყოს აძაგებს და ამ წარსულში იძიებს საფუძველსა და გამხნევებას უკეთესი მომავლისაკენ მისასწრაფებლად. იგი აწმყოსაც უარსა ჰყოფს და უკეთესს ბრწყინვალე მომავალს შეჰყურებს.

ეს ის პესსიმიზმია, რომელიც გაიძახის:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა შეექმნათ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ეს ის პესსიმიზმია, რომელიც პოეტს ამ სანუგეშო ლექსებს წარმოთქმევინებს: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა ვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

ეს ის პესსიმიზმია, რომლითაც გამსჭვალული პოეტი „გონებით უნდო“ მშვენიერ დილასაც კი ვერ მოუხიბლავს და რომელიც ბუნების „დუმილშიაც“ კი „წუევლასა“ ხედავს. ამგვარად გულმოწყლულს პოეტს იმედისა და სასოების ნიჭი კიდევ არ დაჰკარგვია და კიდევ ჰხედავს, რომ

მსწრაფლ გადმოეშო ცასა ლაჟვარდსა
შვიდ—ფერიანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.

განაგრძობს:

ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ.
ერთს ფიქრს მიეცა გულის თქმა ყველა
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახე მე ცისარტყელა.

ვერც თ. ალ. ჭავჭავაძემ მიაღწია ამ გარკვეულობას, ვერც გრ. ორბელიანმა და ვერც თვით უკვდავმა ბარათაშვილმა მეთქი, მოგახსენეთ ძველთაგან მარტო თ. ვახ. ორბელიანმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, როგორც თვით თ. ილ. ჭავჭავაძეც ბრძანებს: „ამ გზაზედ ისე გადაუხვეველად, ისე სისწრაფით ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლიაო და დიდი წილი უდევს მას, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხაო“. მაგრამ თ. ვახ. ორბელიანმა ხომ მაშინ დაიწყო წერა, როცა ჩვენს ლიტერატურას ახალმა სულმა დაჰბერა.

თუ ძველებში მარტო „იმედის“ ავტორმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, ახლებში ილ. ჭავჭავაძემ განაგრძო და შეასრულა ეს საქმე. პირველსავე ნაწერების სტრიქონებში გამოხატა ეს მხურვალე სიყვარული თავისი სამშობლოისა. პირველ მის ლექსებს ეკუთვნის სამაგალითო ლექსი „ქართველის დედის“ მიმართ, რომელსაც არა ერთხელ აუფეთქებია ჩვენი

გული, რომლის ღრმა და ნათელი აზრი სულის ამამაღლებელი-რამ არის. მისი განსხვავება სხვა პოეტებისაგან აქვე იწყება. თუ იგინი წარსულზედ უფრო სტიროდნენ და მომავალს არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ, ამან მომავალს მიაპყრო იმედებით აღსავსე თვალი და გამამხნევებელი ლექსი შემოსძახა თავისს თანამედროვეებს:

მას ნუღარ ესტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ესდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

დღეის იქით მას სამშობლოზედ ფიქრი აღარ ასვენებს და ყოველსავე შემთხვევაში ეშლება ათასნაირი დარდი და გრძნობა სამშობლოს გამო.

ბუნების დუმილი სევდასა ჰგვრის და სამშობლო ქვეყანას გულის მომწყვლელის საყვედურით მიჰმართავს პოეტი:

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება'

ბუნების აყვავება და განმაცხოველებელის გაზაფხულის სურათი ისევ სევდიანსა, მაგრამ ნაზის საყვედურით აღსავსე, გრძნობებს აუშლის და ამ გვარიეე კითხვით მიჰმართავს სამშობლოს:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები...
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აჰყვავდები?

დაინახავს „ჭაბუკსა ვისმე ჩაუქს", რომელიც თავის სიმარდეს და სიჯიქვირცხლეს ოსმალეთის დასამშვენებლად ხმაროობს, სიამოვნების ნაცვლად „ნაღვლით აერევა სული, გული", და ეუბნება:

...ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის ირენ სიმარდესა?
შენ რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს, ჯართლი შენი არ დაკუურებს.
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიბალახებს!

არაგეს დაინახავს, თერგს თუ ალაზანს, მხოლოდ თავის ქვეყნის დარდი და ვარამი აგონდება, მათში ამაოდ ეძიებს თავის გულის პასუხსა. და ეუბნება პოეტი არაგეს:

ვულ-ხელთ დაკრეფილ შენსა წმინდა წუალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს.
რას ვეძებდი შე? ჩემს ქვეყნის წარსულს,
შენს წინ დაღუპულს ჩემს ძველსა ბამულს,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს

უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იგივე ფიქრი აწუხებდა აეტორს, მამულის კეთილ გზაზე დაყენება იდე-ფიქსად გარდაქმნილ უქმნია და თავის ერთ უკანასკნელს ლექსთაგანშიაც იგივე სამშობლოს ბედ-იღბლით გულ-

მოკლული პოეტი გვეჩვენება. რომელიც დამღერის „ბაზალეთის ტბაში ჩასვენებულს აქვანს და მასში მწოლარე ყრმას:

რომლის არ ითქმას სახელი,
ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქარდული? —
და თუ ასეა,—დასძენს იგი,—ნეტავ მაც
ვაქკაცსა საბელოვანსა,.
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აქვანსა!
ოუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელ—დებულსა.
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის,
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

მაგრამ ყველაზედ უწრფელესი, ყველაზედ უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშვური გულ-უბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა და სერიოზულის გრძნობებით არის აღსავსე თ. ი. ჭაეჭავაძის „მგზავრის წერილები". რომელიც მისი მოღვაწეობის პირველ დასაწყისშია დაწერილი.

აი რა გრძნობებით უბრუნდება იგი სამშობლოს და რა სევდები ებრძება გულზედ, როცა უახლოვდება თავის მიწა-წყალს: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე. ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემი ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა. რომ ჩემმა ქვეყანამ მომიყოლოს და მიამბოს თავისი ამბავი ღა მე კი, მის ენას გადაჩვეულმა. ვერ გავიგო მის ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ-კი. რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვათ უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვსწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო და ის თვითეული ნაპერწკალი. რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ყოლადეს, ერთად შევაგროვო? შეიძლება კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვებსაც გაიგებინებს, იმიტომ რომ შვილის სიტყვა—მშობელს ყოველთვის ესმის".

დიაღაც გაიგო მან სამშობლოს ენა და სიტყვა, დიაღაც უთხრა უნუგეშოს სიტყვა ნუგეშისა, მტირალს ცრემლი მოსწმინდა, მაგრამ მამულმა მართლა ზურგი შეაქცია, არ შეითვისა, არ მიიღო და ბოლოს უმაგალითო სატანჯველი მიაყენა მას და თითქმის საზიზღარი შური იძია ბრბომ ამ დიდებულ კაცზე.

ამ „მგზავრის წერილების“ დიდი მნიშვნელობა ჯერ ჩვენს მწერლობას არ აღუნიშნავს და არ მიუქცევია მისთვის ჯეროვანი ყურადღება. ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკი ატყდა მის შესახებ. ვინ იქონია გავლენა ეგრეთ წოდებულს ჩვენს მთიელთა ლიტერატურაზედ, რომლის ბრწყინვალე მეთაური განსვენებული ყაზბეგი იყო. თვით თ. ილია ჭავჭავაძე თ. რაფიელ ერისთავის ნაწერებს აღნიშნავდა, როგორც პირველს ნიმუშს ამგვარის ლიტერატურისას.

ხოლო ჩვენ კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლიტერატურის დასაწყისი, შთანასახი, უნდა ვეძიოთ თ. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მოხხუბარიძისა და რაზიკაშვილების თხზულებათა მთელი აზრი აქ ამ ორ-სამ გვერდზედ არის მოთავსებული, საცა ავტორი მოხევეს ესაუბრება: „მიგიხედი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“—სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში, გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?...ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“.

მოხევის გულის პასუხი სავსებითა და გარკვევით განსვენებულმა ყაზბეგმა გადმოგვცა და გაგვაგებინა.

ესეთი გახლავთ მსვლელობა საეროვნო გრძნობების განვითარებისა ჩვენს პოეზიაში. ჩვენთვისა და საზოგადოდ ჩვენის მწერლობისათვის ჯერჯერობით შეუძლებელია კვალ-და-კვალ, თანდათანობით მივსდიოთ ამ აზრის ზრდა-განვითარებას თვით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, რომელნიც არიან საუკეთესო გამომხატველნი ორმოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენის ქვეყნის გონებისა და აზრის ზრდა-განვითარებისა.

თუ ჩვენს ძველს მწერლებს კარგად არა ჰქონიათ შეგნებული ჩვენის ცხოვრების იარები, სამაგიეროდ თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, იმის დროის მწერლებმა გამოსთქვეს თავისი აზრი და შეხედულება ტკივილთა თვისებებზე და საშუალებანიც დაგვისახეს მათ დასაამებლად.

III

ეხლა უნდა გავითვალისწინოთ თ. ი. ჭავჭავაძის სიტყვა-კაზმული მწერლობა და შევიგნოთ, რა ადგილი უკავია ამ მწერალს ქართულ ლიტერატურაში. აქაც ძნელია სავსე უნაკლულო მიმოხილვის დაწერა, რადგან ჩვენ არა გვაქვს თხზულება, რომელშიაც გარკვეული იყოს უცხოეთის (საზოგადოდ უცხოეთის და არა მარტო რუსეთის, როგორც ზოგიერთს ჰგონია) ლიტერატურის გავლენა ქართულს მწერლობაზედ. მაინც და მაინც დიდ დანაშაულობად არ ჩაგვეთვლება, რომ გარეშე ამ გვარის გამოკვლევისა, შევუდგებით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გარჩევას. საფრანგეთის კრიტიკოსები აცხადებენ, ფრანგებს არა გვაქვს თხზულება, სადაც აღნუსხული იყოს უცხოეთის ლიტერატურის გავლენა საფრანგეთის ლიტერატურაზედ და უამისოდ ძნელია თვით ფრანგულის

ჭწერლობის შესწავლაო. თუ ეს დაემართა საფრანგეთის ლიტერატურას და მის წარმომადგენლებს, მით უფრო ეპატიება ქართულს ლიტერატურას და ჩვენც, რომ უცხოეთის ლიტერატურის გავლენას ჩვენს მწერლობაზედ და მწერლებზედ თითქმის გვერდი უნდა ავუაროთ და მხოლოდ ჯაკრით შევეხოთ.

ერთი კი უნდა ვთქვათ: რაიცა შეეხება ერთის ხალხის ლიტერატურის გავლენას მეორე ხალხის გონების წარმოებაზედ, მეტად ცვალებადია იგი გავლენა, მეტად და საზოგადოდ ერთობ ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა. საქმე ის არის, რომ აზრი, იდეა იშვიათად არის ხოლმე შექმნილი რომელისამე ერთის ხალხისა, უფრო ხშირად იგი ნაყოფია მთელის კაცობრიობის შრომისა და მოღვაწეობისა და ერთიმეორის დახმარებით შექმნილი. მართალია, ეს დახმარება თვალსაჩინო არ არის და ამ შემთხვევაში ერთმანეთის ძმარის მიმცემნი ვერა გრძნობენ საერთო მუშაობას, მაგრამ აზრთა ზრდის ისტორია გვაჩვენებს, რა ძნელია ამა თუ იმ აზრის პირველ შემქმნელის მიგნება. სანამდისაც ჩვენი გონება სწვდება ამ თეორიას, ვხედავთ, რომ აზრი გავრცელებულია აქა თუ იქ, ამა თუ იმ ხალხში და სხვა ხალხს ზედმოქმედებით, სხვა ხალხის ლიტერატურისა და გონების ნაწარმოების შესწავლის შედეგია. ხოლო აქედან კიდევ არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომ იმ ხალხს, რომლიდანაც მეორეს მიუღია ესა თუ ის აზრი, თვით შეექმნას იგი, თავდაპირველი ავტორი ყოფილიყოს ამ აზრისა. არა, მასაც სხვისაგან მიუღია ეს სამკვიდრო, თავისებურად შემოულამაზებია და ისე სხვისათვის გარდაუცია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ხალხი არ სესხულობს აზრს ბრმად მეორისაგან, თუთიყუშივით არ იმეორებს. არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად ასხვავებს, რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით, თუ თანდათანობით არა სდიეთ ამ აზრის შთანაჩენის წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგება იგი აზრი. აზრთა გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს „მიმბაძველობას“, როგორც ამტკიცებენ ეხლანდელი ფილოსოფოს-მეცნიერნი. კაცთა ისტორია ექვემდებარება მიმბაძველობისა და შემოქმედების, დაწუების, ინიციატივის კანონს იმგვარად, რომ ჯერ ერთი ვინმე გენიოსი, დიდი ნიჭის მქონე, რომელისამე ხალხში გაჩნდებოდა რომელისამე დიდ აზროს მოცილულად. ეს აზრი ფეხს იდგამდა ჯერ თვით მის ერში, აქ იმაგრებდა ფესვებს და მერე მიმბაძველობის შემწეობით მთელს კაცობრიობაში ვრცელდებოდა. მაგრამ სწორედ აი აქ არის ძნელი გამოსაცნობი, ვინ, რომელი ერი იყო ამა თუ იმ აზრის შემოქმედი? საბერძნეთზედ ეგვიპტეს ჭკონდა გავლენა; ჩრდილო ევროპის კულტურა საბერძნეთისა და რომის ზედ-გავლენის ქვეშეა აღზრდილი; რუსეთისა კიდევ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების გავლენის ქვეშ იყო და არის; ჩვენი კულტურა ერთი მხრით ევროპისა და მეორე მხრით აღმოსავლეთის ცივილიზაციის შექმნილია; სულ უკანასკნელ დროს რუსეთის ზედ-გავლენის ქვეშეა. ამიტომაც დიდის სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურაში მიმბაძ-

ველობის შესახებ. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მიბაძვა იყოს ნაწარმოების უვარგისობის მაჩვენებელი, ან-და მისი ნაკლულევანებისა.

თუ მიმბაძველობა ცხოვრების კანონია, როგორ-ღა გნებავთ, რომ მარტო ლიტერატურა, ეს უძლიერესი წარმომადგენელი ცხოვრებისა და უმშვენიერესი მისი სამკაული, ამ კანონს გარეშე მოქმედებდეს: ყოველს ნაწარმოებში, რა რიგ გენიოსის ტვინსაც უნდა ეკუთვნოდეს, უსათუოდ იქნება მიმბაძველობის ნაწილი: მაგრამ ამ მიმბაძველობას გენიოსი თავისებური ელფერით შემოსავს და ეს სამოსელი თითქმის შეუძლებლად ხდის მასში მიბაძვის კვალის აღმოჩენას.

რასაკვირველია, მწერლის ნაწარმოებში და მით უმეტეს დიდი მწერლის თხზულებაში თვითშემოქმედებას მეტი წილი უდევს, თვითშემოქმედება პოეტისა გადაასხვაფერებს ხოლმე ნასესხებ ნაწილს. სწორედ ნაწარმოები პოეტისა და გინდ მეცნიერისა და ფილოსოფოსისა, მათი ნიჭის სიძლიერე და სიდიადე იმდენად დაფასდება, რამდენად ძლიერი იქნება მის თხზულებაში ქმნილება შემოქმედობისა, რამდენად იქნება გადასხვაფერებული ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით მოიპოვა მწერალმა.

ამ მიმბაძველობის მაგალითებით აღსავსეა ცხოვრება და მწერლობა. საფრანგეთის XVIII საუკუნის მწერალთა ნაწარმოები ინგლისის ლიტერატურის ზედ-გავლენის ქვეშ იყო. ვოლტერი, მონტესკიე და ჟანჟაკ რუსსო ავრცელებდნენ ახალის ფორმით ინგლისურ აზრებს, მაგრამ თვით აზრი ისეთის თავისებურობით აღბეჭდეს და ისეთის ენით დაიწყეს ქადაგება, რომ ყველას ფრანგთა მწერლის აღმოჩენილად მიაჩნია კაცთა გათავისუფლებისა და ძმობის აზრები.

ეხლაბანაც საფრანგეთის ლიტერატურა, ზოგიერთთა აზრით, ჩრდილოეთის (ინგლისი, დანია და რუსეთი) ლიტერატურის ძლიერის ზედ-გავლენის ქვეშე იმყოფება. ამ აზრის წინააღმდეგნი იმას ამტკიცებენ, რომ თვით ჩრდილოეთის ლიტერატურა აღიზარდა საფრანგეთის მწერალთა ზედ-გავლენის ქვეშეო. ჩრდილოეთის მწერლებმა (იბსენმა, ელიოტმა, დიკენსმა, ტოლსტოიმ, ტურგენევმა) ფრანგთა მწერლების (ჰიუგოს, ჟორჟ-ზანდის, ბალზაკის, ზოლასი, დიუმა-შვილის, ფლობერის და სხვათა) აზრები ისესხეს, სხვა სამოსელით შემოსეს და ისე მიაწოდეს ფრანგულს ლიტერატურასაო. სხვები კიდევ იმას ამტკიცებდნენ, რომ თვით ზემოხსენებულ ფრანგ-მწერალთ სხვისაგან აქვს ნასესხები თავის თხზულებათა აზრები. ეს ყოველივე დამასურათებელია ზემომოყვანილ აზრისა: ეხლანდელ გონების ნაწარმოებთა შინაარსი, დედა-ძარღვი, მთავარი მიმართულება საუკუნოების ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია კაცის გონებისათვის იმ აზრთა დასაბამი, იმ აზრთა შემქმნელი იპოვოს და გამოიძიოს.

აზრი ერცელდებოდა მიმბაძველობის წყალობით. ყოველივე გენიოსი ექვემდებარებოდა მიმბაძველობას, მაგრამ თვით შემოქმედიც ხდებოდა და ამგვარად მსვლელობდა კაცობრიობის აზრი.

ამ ძიძბაძველობის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ნაღებულია თქმად, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მესამოცე წლებისა რუსეთის იმავე დროის ლიტერატურის მიბაძვა იყოს. როგორც მეთაურს ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი დასწამეს ეს მიძბაძველობა. ჩვენთვის კი საჭიროა გამოვარკვიოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი.

რუსეთის იმ დროის მწერლობაში ძალიან პუმანური აზრები იყო გაჟრცელებული. პირველად ყოველისა, ოასაკვირველია, იმ უსაშინელეს მოვლენას შეებრძოლა ეს მწერლობა, რომელსაც „ბატონ-უმობა“ ეწოდებოდა და კაცთა ძმობის ქადაგება ამ მხრით მაინც შესაძლო შეიქმნა. აგრეთვე მაშინდელი მწერლობა შეიქმნა ხალხის თვით-მოქმედების მიუცილებლობის აღმასრულებლად და ამაშიც კვალ-და-კვალ მისდევდა მთავრობას. გარდა ამისა რუსეთის იმ დროის მწერლობა უურადღებას აქცევდა საეროვნო საქმეებს. ამ დროში მოხდა დიდი ფაქტი იტალიის განთავისუფლებისა; რომელიც მთელის განათლებულის კაცობრიობის აღტაცებას იწვევდა. რაც შეეხება კერძოდ მწერლობას, საზოგადოებრივის აზრებისა და გრძნობების გამოხატვა ლიტერატურის იდეალად შეიქმნა, რუსეთის მწერლობაში დამყარდა რეალიზმი.

არ უნდა დავივიწყოთ, რასაკვირველია, რომ როგორც მოთხოვნილება „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“, ისე რეალური ფორმა. სინამდვილის მიბაძვის დამკვიდრება ლიტერატურაში, ეკუთვნის იმავე დროის საფრანგეთის ლიტერატურას. როგორც პირველი (მოთხოვნილება აზრიანის შინაარსისა), ისე მეორე (რეალურის ფორმისა) იყო მოთხოვნილება ახალის მიმართულებისა ლიტერატურაში. რომანტიზმი სულსა ლევდა და რეალიზმი ფლობერის მეთაურობით იჭერდა პირველ ადგილს. ჟორჟ-ზანდი და ფლობერი—აი ორი უმთავრესი წარმომადგენელი იმ ხანის ლიტერატურისა. ჟორჟ-ზანდი ცალის ხელით რომანტიზმს ებღაუჭებოდა, მეორეთი რეალიზმს. ამ დროში დაიწყო ჟორჟ-ზანდმა გლეხთა ცხოვრების აღწერა, ამ დროში (50—60) დამყარდა ლიტერატურაში საზოგადო აზრების გამოხატვის მოთხოვნილება. ეს კი წინააღმდეგი მიმართულება იყო რომანტიზმისა, რომელიც პოეტის პირადი ტანჯვა-მწუხარების, კენესა-ვაების გამომხატველი იყო.

საფრანგეთის ლიტერატურაში რეალიზმი დამყარდა და რეალიზმთან ერთად ლიტერატურის, პოეზიის მეთაურთ თავიანთი პირადის გრძნობების გამოხატვას თავი მიანებეს და „კაცობრიობის ტანჯვის, ერის ვაების“ გამოხატვას ცდილობდნენ.

ამ გზას დაადგა რუსული ლიტერატურა და ქართულიც თ. ჭავჭავაძის მეთაურობით.

რუსეთის პუბლიცისტებთან ერთად თ. ჭავჭავაძე ჰქადაგებს, რასაკვირველია, ჰუმანურ აზრებს, რომელთაც იგინი სესხულობენ ფრანგ მწერალთაგან. გარდა ამისა ის, რამაც რუსეთის მწერლების უურადღება მხოლოდ გაკვრით მიიქცია. თ. ჭავჭავაძისა და მის თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა სულად, მთავარ საგნად, დედა-ძარღვად გარდაიქცა.

რუსეთის ლიტერატურა მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მაგალითად, მაშინდელ იტალიურ ლიტერატურულ მოძრაობას... ესე იგი, თუ რასმე ადგილს აძლევდა ამ საგნის შესახებ, მარტო იმიტომ, რომ, როგორც ჰუმანურ აზრთა მიმდევარს, მოვალეობად მიაჩნდა ესა... სული და გული მათი კი, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს, გულგრილი რჩებოდა ამ საგნების გამო, და ეს სრულიად ადვილი მისახვედრია.

ევროპის ამ საუკუნის ლიტერატურის მსვლელობა მიდიოდა ამ გზით. რომანტიულს ლიტერატურას მოჰყვა რეალური; ინგლისში ბაირონსა და შელლის მოჰყვა ელლიოტი და დიკენსი, საფრანგეთში შატობრიანისა, ლამარტინისა, ჰიუგოსა და დევინის ადგილი დაიკავეს ბალზაკმა, ფლობერმა და ზოლამ. რუსეთში პუშკინსა და ლერმონტოვს მოჰყვა გოგოლი. ტურგენევი და ტოლსტოი. ქართულს ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძემ დაიწყო რომანტიული ლიტერატურა, გრ. ორბელიანმა განაგრძო, ნ. ბარათაშვილმა უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა; თ. ვახ. ორბელიანსა, თ. მაჭია გურიელს წილად ხვდა რომანტიზმის გედის სიმღერის შესრულება: თ. გ. ერისთავი თავისი კომედიებით ჩვენს ლიტერატურაში რეალიზმის ჭამამთავრად შეიქმნა, ხოლო პოეზიაში რეალიზმის დამამკვიდრებლად გამოვიდნენ თ. ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. ჩვენი ლიტერატურა თუ ვისდევდა ამ შემთხვევაში საზოგადოდ ევროპის ლიტერატურის მსვლელობას. თავისებურებაც ეტყობოდა: ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმს უფრო ვეტად სპარსულის ლიტერატურის ზედ-გავლენა ემჩნევა და ხორციელებისაკენ უფრო მიილტვის, ვიდემ სულიერებისაკენ, ეს სულიერება კი ევროპიულის რომანტიზმის არსებითს მხარეს შეადგენდა და იგი ჩვენში თ. ბარათაშვილმა შემოიღო.

IV

პოეზიაში თ. ილია ჭავჭავაძე გახლავსთ რეალიზმის განმამტკიცებელი. რეალიზმის პოეზიაში გამაძლიერებელი, თუ კი რეალიზმის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ უპირადო გრძნობებს გვისახავდა, საერო საზოგადო ჭირისა და ვარამს გვამცნებდა, ხალხის კვნესას და სევდიან ოხვრას გვასმენდა.

რომანტიზმი პოეტის პირად გრძნობათა გამომსახველი იყო. მისი კერძო, სულიერის ტანჯვის გამომქვეყნებელი. რომანტიკოსი პოეტი ჰგოდებდა სატრფოსაგან გაწამებას. სიკვდილზედ ფიქრისგან გამოწვეულს სევდებს გვაგებინებდა და, თუ მისი სასოწარკვეთილება უკიდურესობამდის არ იყო მისული, ბუნებაში მაინც ჰხედავდა „თვისთა ფიქრთ შვებას გულის სევდის ნუგეშად“ ხოლო უსასოება რომანტიკოს-პოეტისა ხანდისხან იქამდისაც მიდიოდა, რომ ბუნებასაც მარტო მაცდურებასა და გულ-ქვაობას ამჩნევდა.

რეალიზმი, როგორც რომანტიზმის უარმყოფელი მიმართულება, პირად გრძნობათა გამოსახვას განაძევებს ლიტერატურიდან და სხვისი სუ-

ლის მდგომარეობის დასურათებასა ცდილობს, სხვის ვაების ხმას გვაგონებს. არა სატრფოს ღალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და ერის კვნესა იწვევს რეალისტ-პოეტის სევდას და ოხვრას, ერის უბედურება უწყლავს გულს და უშხამავს სიცოცხლეს. თ. ილია ჭავჭავაძე სრულიად კანონიერი მემკვიდრეა თ. ბარათაშვილისა. თ. ილია ჭავჭავაძე, მართალია რეალისტია, მაგრამ რომანტიულის პოეზიის ზედ-გავლენის ქვეშაც იმყოფება. ევრე მახლობელ წინაპარა სრულებით ვერ ჩამოსცილებია და ამიტომაც მის ნაწარმოებში ხშირად ვხედავთ შერეულს რომანტიზმისა და რეალიზმის ნაწილს, თუმცა, რასაკვირველია, რეალისტი მწერალი უფრო ძლერია მასში, ვინემ რომანტიკოსი.

უმთავრესი ტემა, საგანი ი. ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემებისა საზოგადოებრივი ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, თვით ევროპიელშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიაქციოს პირად გრძნობათა გამოხატვისათვის. ამ შემთხვევაში იგი სრულიად განკერძოებულს ტიპს წარმოადგენს მწერლისას და ახალის მიმართულების დაწყების სისასტიკე ემჩნევა.

არ შეიძლება ეს იმას მივაწეროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ლირიკოსი-პოეტის ნიჭი აკლდეს და პირად გრძნობათა გამოხატვა ეძნელებოდეს; არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ ი. ჭავჭავაძე არ გვაჩვენებდეს თავის გრძნობებსა და შეხედულებას სხვადასხვა მოვლენის შესახებ; არა, ი. ჭავჭავაძე პირადის კერძო გრძნობების გამოხატვას არ კისრულობს: არ გვამცნევს თავის სევდას, ჟიმედო სიყვარულისაგან გამოწვეულს, ანა-და სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს ჰიმნს არ მღერის, არ გვიჩვენებს პირად შიშსა და ჰმუნვარებას, სიხარულსა და გინდ გულგრილობას სიკვდილ-სიცოცხლის გამო; არ გვამცნევს, რა გავლენა აქვს მასზედ ბუნების ამა თუ იმ სურათს, ბუნების ამა თუ იმ სანახაობას რა კერძო გრძნობები აღუძრავს მასში. თუ სწუხს და სტირის, საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამის მიზეზი. თუ იცინის, მწარეა ეს სიცილი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების ღრმა ნაკლულევანებათ.

მისი პოემებისა და ლექსების შინაარსი სამშობლოსათვის თავგანწირულის დიდებაა („დიმიტრი თავდადებული", „დედა და შვილი"). იმ დროის სოციალურის წყობილების (ბატონ-ყმობის) უსამართლობის გამკიცხველია: „კაკო ყაჩაღი" ამ წყობილებისაგან წარმოშობილის დრამის დამასურათებელია; „აჩრდილი" კი გამომხატველია პოეტის გრძნობისა და აზრისა ჩვენის ცხოვრების შესახებ, ჩვენის საზოგადო წყობილების დაგმობაა...

ახალის მიმართულების მეთაური პოეტს არ შეეძლო უწინდელთათვის უარმყოფელი თვალით არ შეეხედა. უწინდელი პოეზია კი ერთობ ბევრ ადგილს აძლევდა პირად გრძნობათა გამოხატვას და ამათში სიყვარულის გრძნობის გამოთქმას ანდომებდა საუკეთესო ლექსებს.

ჭავჭავაძე სხვა გზას დაადგა და ამიტომაც თითქმის მოვალეობად აღიარა, რამდენადაც შესაძლო იყო პირად გრძნობებზედ ბაასს აშორებდა, მას არ იტაცებს გარეგან ფრინველსავით მღერა, რადგან „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოჰგზავნა ქვეყნად ცამა“; ზეგარდმო დასახულ მოვალეობად აღიარა „ერის წინამძღვრობა“ „ჰმუნეასა და სიხარულში ერის მოძმედ ყოფნა“. „ცისაგან დანიშნულს და ერისგან აღზრდილს პოეტს“ დანაშაულად მიაჩნდა პირადის აღტაცებითა და სევდით ვისთვისმე თავი მოებეზრებინა, მას მხოლოდ, „ერის წყლული მიაჩნია წყლულად, მის ტანჯვით ეწვის სული, მისი ბედითა და უბედობით ედაგვის მტკიცე გული“ („პოეტი“ თხზ. ტ. I. გვ. 59).

აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი, რომ ავტორს „აღარც ნატერა და აღარც იმედია“-სას შეეძლო თავისი ლირის პირადის კვნესისა და ოხვრის გამომთქმელი სიმები აეჟღერებინა, მაგრამ როგორც კი მისი ხელი აიწეოდა, რომ ჩონგურზედ პირადის გრძნობების გამომხატველი ხმები დაეკრა, შეგნებული აზრი მოვალეობისა ხელს, სიმთან მიტანილის, ქვად აქცევდა და პოეტს მხოლოდ თავისავე გულში ჩააკლევინებდა მეტად ბუნებრივს სურვილს. ვერ წარმოიდგენთ კი, რა ძნელია კაცისათვის თავისი ტანჯვა, გინდ სიხარული დამალოს, გულში ჩაიმარხოს. ტანჯვას ამგვარად ძალი უორკეცდება და მეტის სიმძაფრით ღრღნის გულს, ხოლო სიხარულს განუზიარებელი ძალი და მომხიბლველობა უსუსტდება, მოდუნებული რჩება და სავსებით ვერ აკმაყოფილებს კაცის ბუნებას. თ. ჭავჭავაძეს უსათუოდ არა ერთხელ უგემია ეს სიმწარე „ფიქრის გაუნდობლობისა“ და „გრძნობათა განუზიარებლობისა“. ხისასტიკე მისის ნაწარმოებისა თან-და-თანობით შეძენილია, ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევს ჩვენში მისი ნაწარმოები, შედეგია ისეთის სტოიციზმისა, ესეთის სიმტკიცისა თავისი მოვალეობის მიმართ.

რადგან პირად გრძნობათა გამოაშკარავება შეადგენდა რომანტიულის ლირიზმის განსაკუთრებულს თვისებას, ამ თვისების უქონლობა თ. ჭავჭავაძეს რეალურის ლირიზმის მამამთავრად ჰქმნის ქართულს ლიტერატურაში. მაგრამ რეალიზმმა, თუ პირად გრძნობათა გამოხატვა უკუ აგდო, და თუ ამიტომ რეალისტი პოეტი პირად გრძნობათა, ტანჯვა-ვაების და სიხარულის გამოხატვას თავს არიდებს, იგივე რეალიზმი თხოულობდა მწერლის პირადობის, მწერლის „მე“-ის მისი თხზულებიდან განძევებასა და განდევნას. ეს, რასაკვირველია, იმნაირად უნდა გაიგოს კაცმა, რომ მწერალმა არ უნდა გამოსთქვას თავისი პირადი გრძნობები და აზრი შესახებ ამა თუ იმ მოვლენისა, რომელსაც აღგვიწერს, ეცადოს, რამდენადაც შესაძლოა, თავისი სიმპათია თუ ანტიპატია აღწერილის საგნის შესახებ არ გამოამჟღავნოს. სხვა გვარად მწერლის „მე“-ის თხზულებიდან განძევება შეუძლებელია, რადგან ეს „მე“ ისეთი-რამ არის, რომლის განშორება მწერალს არ ძალუძს. ეს მისი მთელი ფსიხოლოგიური არსებაა, რომელიც

გაბოსკვიეის ყოველ დაწერილ წინადადებასა და სიტყვაში, სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირებასა და შეხამებაში.

თუ პირველს მოთხოვნილებას რეალურის ლირიზმისას მეტად კარგად ასრულებს ჩვენი პოეტი, მეორე ალარ ეხერხება. ეს ადვილი მისახვედრიც არის: თ. ჭავჭავაძე ახლო მოსაზღვრეა რომანტიკოს პოეტთა და იგი იძყოფებოდა, როგორც ევროპის რომანტიკოს მწერალთა (ჟორჟ-ზანდი, ჰიუგო). ისე თავის ქვეყნის პოეტთა (ნ. ბარათაშვილი) გავლენის ქვეშე. ამიტომაც თ. ჭავჭავაძეს ხშირად პირადი ლირიზმი ეპარება ხოლმე სხვის გრძნობის გამოხატვაში და ხშირად პოეტის „მე" ამოჰყოფს თავს სხვისი სახით. აიღეთ, მაგალითად, მისი „მუშა" აქ ყოველ სტრიქონში ავტორი გვისახავს, თუ რა გრძნობები აღუძრა მას მუშის შესაბრალისმა ცხოვრებამ. პოეტს მუშის „ღიღინი ხშირად გულს უწყლულებდა", მისი „დუმილი ღვთის რისხვის ზარის" გამომხატველად მიაჩნდა. აქ ყოველი სიტყვა პოეტის წრფელი გოდებაა სამწუხარო სურათის ნახვის გამო. პოეტი თვით ჩნდება მუშის გრძნობათა გამომხატველად, მუშის ტანჯვა პირად სამწუხარო საგნად გაუხდია, მუშის პირით პოეტი ლაპარაკობს, ან-და, უკეთ ვსთქვათ, თვით პოეტის პირით გამოსთქვამს მუშა მას, რასაც ჰგრძნობს და ან უნდა ეგრძნო. ამით ჩვენი პოეტი რომანტიკოსობს. ხოლო აქ პოეტისათვის სევდა აღუძრავს არა რაიმე კერძო უბედურებას, აქ არ არის არც უარყოფილი სიყვარული, არც სატრფოს ღალატი, არც მიჯნურისაგან გაუკეთრობა, არ არის ჩივილი კაცთა სიცოცხლის დასასრულის შესახებ, არც ბუნების გულგრილობისა და გულქვაობის შესახებ პოეტის მიმართ... პოეტი აქ საზოგადო ტანჯვით იტანჯება, სხვისი ვარამი და დარდი, სხვის ჯაფანი იწვევს მასში კვნესასა და ოხვრას და ამაში იგი რეალისტობს.

თუ თ. ი. ჭავჭავაძე დედას დაგვიხატავს, რომელიც შვილის აკვანს არწევს და „ნანას" დამღერის. აქაც მშობლის იმ გრძნობებს გვამცნებს და იმ სურვილებს, რომელნიც თვით პოეტს უგრძვნია ამგვარის სურათის შარმოდგენის დროს. თორემ „დედანი მარად ნეტარნი", რომელნიც შვილის აკვანს დამღერიდნენ—„უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარიო".—დიდი ხანია ალარა ჰყვანან ჩვენს ქვეყანას. გაგვაგონებს პოეტი „გუთნის დედის" კაეშნით ასლავსე სიმღერას და ესეც ისევ პოეტის გოდებაა და კვნესა, იმ პოეტის, რომელიც, ლაბასი არ იყოს, „მიწას დაჰყურებს თვალით, რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით"—რომელსაც „მისი ჭირის, მისი წუხილის, მისი კაცობის გულის დუღილის სიტყვანი გულში ებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან" („გუთნის დედა", გვ. 135).

ეს ლექსი, ჩემი აზრით, უფრო სიმბოლიზმის ნიმუშია, აქ „გუთნის დედა" ალეგორიაა დაღერემილის, დასევდიანებულის პოეტის სევდათა გამომხატველი. გარნა პოეტი ყოველსავე ამაში კიდევ მაინც საზოგადო ხასიათის გრძნობებს გვიხატავს.

ეგ რად გნებავთ. თვით სიყვარული, ეს ყველა გრძნობაზედ უფრო კერძო და პირადი, ჩვენმა პოეტმა განაზოგადა. პირადისაგან უპირადო, საზოგადო გრძნობად გარდაჰქმნა.

თ. ი. ჭავჭავაძეს სიყვარული სულიერიდან ეს ულოზე გადააქვს, მაგრ ძ უფრო თვალსაჩინო უსულო საგანზედ და მით უფრო საგრძნობია და გასაკვები. ის ამ საგანს ისე ეპყრობა, ისე ეალერსება და ისეთის გრძნობიერის კით ელაპარაკება, თითქო მტანჯველი სატრფო იყოსო. მისი ტანჯვა და კვება, მისი სევდა ამ სატრფოს ღალატისაგან გამოწვეული ბევრად უფრო მწველია, ბევრად უფრო გულის დამთუთქველი, ვინემ სევდა ტარიელისა. ეს სიყვარული მისთვის მთელის ცხოვრების დედა-აზრია, ცხოვრებისა შინაარსი, ამიტომაც მთელს პოეტურს ნიჭს და ძალას იმას ანდომებს, ან და იმისთვის უნდა მოიხმაროს, რომ განსაცდელს ააშოროს ეს მეტად საყვარელი არსება.

ამ გვარი ტანჯვა სრულიად უანგაროა და წრფელი, პოეტს ამგვარად გულ-მოწყმულს უნდა კიდევაც, კვნესა გულში ჩაიკლას, მაგრამ იმდენად დიდია მწუხარება, რომ გული მწუხარებას ვეღარ იკავებს. ამგვარი პოეტი, თავისს ქვეყანას ეკითხება, რაზედ მოგიწყენიაო და ისეთის ენით ებაასება. გიკვირსთ: რა უნდა აქ ქვეყანას, აქ „სატრფო“ უნდა იყოს ქვეყნის მაგიერადო. ამა შეხედეთ, ახლა ამ პოეტის ოხვრა-კვნესას, როცა ხედავს, რომ, სატრფო სხვას თავს ევლის, სხვას ეტრფის“ და ამიტომ თვით იგი სწყეველის დღეს თავის გაჩენისას, არ იცის, სად წავიდეს, ვის შესჩივლოს, ვის უთხრას, ვინ გაუღებს დახშულს კარსა ბედისას“.

როცა პოეტი ბუნებას გვისურათებს, მას არც ბუნების გარეგანი სიმშვენიერე იტაცებს, არც ის გაელენა, რომელიც მას აქვს პოეტზედ ამა თუ იმ განწყობილების დროს; როცა ბუნება ხარობს, როცა „აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები“, სამშობლო აგონდება და სევდიანად ეკითხება: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო?“ როცა ბუნებასა სძინავს, „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა ეშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“, მას კიდევ აქაც თავისი ქვეყნის „ტანჯვით ამოძახილი კვნესა“ ესმის, კიდევ თავისი ქვეყნის ძილი აწუხებს და ოხვრით ეკითხება: „სულ ძილი, ძილი, როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება“-ო? („ელეგია“, გვ. 47); ანა და უცხოეთში „თუ მოაგონდა სამშობლოს ზეცა, ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული და სულ სხვა რიგად დამშვიდებული“. ურვით მოკლული გული შესტირის მაშინაც კი, როცა ბუნების მშვენიერი სანახაობით „უველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება, უველას მშვიდობა გარს ეფინება“.

პოეტიც სწორედ იქ არის ძლიერი, საცა თავის ერთად ერთს სატრფოს. ერთად ერთს საგანს ცხოვრებისას ეალერსება და ანუგეშებს. საცა „ქართველის დედას“ თაყვანსა სცემს და აღტაცებით იხსენიებს, საცა თავისი ქვეყნის ბიწიერება გულსა და სულს უდუღებს („აჩრდილი“). ძლიერია იქ, საცა მწარე ღიმილით დასტირის საყვარელის არსების გათახსირებასა და დაცემას: ძლიერია აქ მისი სარკაზმი, მისი კბილთა ღრჭენა ჯოჯოხეთურია და ძლიერ გრძნობათა აღმძვრელი. რომელ ქართველის ტკივილში არ ჩაჭედილა და არ ჩაბეჭდილა თ. ილ. ჭავჭავაძის „რას ეშვრებოდით.

ვიყავით“, ეს მოკლე სატირული ისტორია ჩვენის ცხოვრების უკანასკნელის ხანისა... „ერთმანეთს გულმოდგინეთ ვწუწდით და ვიწუწებოდით“, როცა „ფერმიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით,“ როცა ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი წაეკიდეთ“, და „ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ ვისხედით და ხელს ვითბობდით“, როცა „ოვით შევსხედით მაღლა თაროს, დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით“ („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, გვ. 158). ეს რამოდენიმე სტრიქონი ყოველ ჩვენს ისტორიულ მონოგრაფიაზედ უმაღლესია და უძლიერესი. ამ ხანას ჩვენის ცხოვრებისას ილ. ჭავჭავაძემ ისეთი განსჯა მიაყენა, ისეთის შავის ფერადებით დახატა და ისე მძლავრად შეგვაზიზღა ჩვენი მოქმედება ამ პატარა ლექსით, რომ სხვანაირის აზრის გამომთქმელს წინდაწინვე შეუძლია, დარწმუნებული იყოს, სხვა გვარ შეხედულებას ამ ხანის შესახებ ჩვენ შორის გასავალი აღარ ექნება. ანა და მისი დახასიათება ჩვენის ერის ბედნიერებისა მით, რომ ვართ „მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთული და მშვენიერი, უწყინარი, უჩივარი, ქედ-დრეკილი, მადლიერი; ყოველად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, ნახედნი და ღონიერი, მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არგამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და ჭკვიერი“ („ბედნიერი ერი“, გვ. 155) ეს ორი ლექსი მის პატარა ლექსების შედევრად უნდა ჩაითვალოს ისე, როგორც მისი „კაცია-ადამიანი“ მის პროზულ ნაწარმოებთა შორის და საზოგადოდ, ჩვენს ლიტერატურაში. ილ. ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება და არა აქვს სახეში კერძო მოვლენა, ანუ კერძო ჯგუფი საზოგადოებისა. ასეთი ღრმა სიძულვილი ქართველი ერის ნაკლულევანებისა, ასეთი ზიზღი ჩვენის ერის დამამცირებელის მოქმედებისა არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადმოუნთხევია, მაგრამ ყველამ იცის, რასაკვირველია, ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

რომანტიული ელემენტები ურევია თ. ილ. ჭავჭავაძის პოემებშიაც, მაგრამ აქ უფრო ადრე განთავისუფლდება პოეტი რომანტიზმის გავლენისაგან.

„კაკო ყაჩაღი“, რომელიც „უსამართლობას გამოჰქცევია“, უსამართლობას ბატონ-ყმობის წეს-წყობილებისას, და ზაქრო, მეორე გმირი, რომელიც ამავე მიზეზით უერთდება მას, უფრო რომანტიული გმირებია, ავტორის შეხედულების გამომხატველნი ამ წესწყობილებაზედ. ეს თემა საზოგადოდ საყვარელი თემაა რომანტიკოსებისა (ბაირონი, შილლერი, ჰიუგო). იგინი თავიანთ ავაზაკს თითქოს იდეალურ ტიპად გვიხატავენ, მთელს საზოგადოებას უპირდაპირებენ და ამ საზოგადოებაზე მაღლა აყენებენ. ეს მწერლები ავაზაკთა იდეალურად შექმნით საზოგადოებას ამცირებენ და ფეხ-ქვეშა სფელავენ, აგრეთვე იგინი იცავენ პიროვნებას

უფლებებს და საზოგადოებისაგან პიროვნებაზედ დაღებულს უღელ-
ეომებიან.

თ. ი. ჭავჭავაძეს სრულიად არა აქვს აზრად კაცობა და ბედნიერ ადამიანურ არსებად დასახოს. მათი ცხოვრება „კაცს პოსუდიდებაო" არა შეეზიზღება. ვის მიიზიდავს „უსახლკარობა. შიში. შიმშილი. ხოტბა გდება მხეცივით ტყეში, კურდღელსავითა ფხიზელი ძილი და იარაღი დღე და ღამ ხელში". რა სანატრელია იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელთა „გული ვაების ცეცხლ-მოდებული" ნაღველითა და ბალღამით არის აღსავსე. ასეთს ცხოვრებას თუ მიეკედლა ეს ორი კაცი. ბუტომ ვიღაცეებმა, რომ უსამართლობას გაექცნენ, მიტომ, რომ ზოგს მაჭას უკლავდნენ. ზოგს დედასა და დას უპატიურებდნენ, პოეტმა ამ პოემით ეს ჩვენებინება დაჰგმო. პოეტს უნდოდა ეჩვენებინა მხოლოდ ის, რომ ისეთი ცხოვრება, საცა ერთი ადამიანი მეორეში „კაცის გრძნობას არ ხედავს, საცა ერთნი ცხოვრების მმართველნი და ბატონნი", დედას ძუძუდან შვილსა გლეჯენ და ვინ იცის სად გაჰყიდიან... უწმინდურისა ხელითა სისხლიან დედისა გულში უკეთესს გრძნობას, ცოდვათ უთვლიან შვილისა ტრფობას; ქალს წაართმევენ; ქალს გაჰყიდიან, ნამუსს მოუკლენ შეუბრალებლად. უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან, გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად; მას, რაც ერთს უყვარდა, ნახავს დაცემულს, ნამუსს წართმეულს და შეგინებულს". რომ ესეთი ცხოვრება ჰქმნის ავაზაკთ, საცოცხლე გაწარებულთ და სიცოცხლე მოშხამულ კაცთ, რომელნიც აღშფოთებულნი და გააფთრებულნი მერმე თვით იყრიან გულის ჯავრს საზოგადოებაზედ. ავტორი გვიხატავს თანაც მდგომარეობას მთელის წოდებისა გლეხობისას, „გლეხ-კაცის ბედს, ჭირსა და ლხენას", რომელთაც საზიზღარი და საშინარი ცხოვრება კაკოსი სანატრელად და საშურელად გარდაქცეულიათ ზაქროს, კაკოს მაძებარსა, გზას მიასწავლის მეურმე, რომელიც „ნაღველანად მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა". ზაქრო გაჭუსლავს. მეურმემ თითქო მას შენატრაო, „ახ ნეტავი შენ", წაიდუდუნა და გაიქნია რა თავი მერმე, შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა და მერმე ისევ უფრო მწუხარედ თვისი სიმღერა დააღუღუნა." ამ ორი-სამი სტრიქონით ავტორი ძლიერად გვისურათებს იმ დროის გლეხ-კაცობის მდგომარეობას. რამდენად უფრო შესაბრალისია ეს საცოდავი გლეხი, რომლისთვისაც ავაზაკის ცხოვრებაც კი სანატრელად გაუხდია უსამართლობას, რამდენად მომხიბვლელია თავისი ადამიანური ტანჯვითა და ვაებით. „კაკოებს ის მაინც" დარჩენიათ სანუგეშოთ, „ჩვენნე ვართ ჩვენი ბატონი". საწყალი გლეხის სევდის გამაქარწყლებელი ერთად ერთი ღუღუნია „მწუხარე ვიოლოვის ზარი", რომელიც „ნაღველს მოჰბერავს დაჩაგრულს და უკუ-ჰყრის ქიდეც ვით ღრუბელს ქარი". ამ გლეხის დასურათებითაც პოეტს თითქო ის უნდოდა ეთქვა, ო ეს წყობილება ასეთს ჩინებულს და მშვიდს წევრს საზოგადოებისას ავაზაკად და მხეცად გარდაჰქმნისო.

ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი" ხომ ლირიკული პოემაა. პოეტისა „საზოგადოებრივის კენესისა და გოდების" გამომთქმელი. პოეტს სასოებას

წარუკვეთს თაკის ქვეყნის ხსნებრივი დაცემა. სადაც ღიდ-კაცი დარბაისელი კმაყოფილების განცხრომაშია მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი „სასოწარკვეთილ მონებაშია“, საცა ვაჭარიც ცბიერის ღიმით მოძმეთ ატყუებს, საცა „მღვდელნიც—ერთა მამანი“, რომელთაც „გულ-ხელი დაუკრეფიათ“ და აღარ ახსოვთ „სიტყვა დიდის სწავლისა სიყვარულის და სამართალისა“. გრძნობით აღსავსე პოეტს იმედს წარუწყმედს იმის დანახვა, რომ ქართველის „აზრში აზრს ვეღარ პოვებს“, რომ სიცოცხლე უფერულია და ცარიელი, არა აქვს მის ცხოვრებას არავითარი გულწარმტაცი საგანი და თანაც ესდენ გულმომწყვლელი სანახაობა მაინც კიდევ ვერ უსპობს ნუგეშს. სასოება კვლავ მოეკლინება და იმედები კვლავ განუახლდება. კვლავ გამოუჩნდება „შვიდფეროვანი სარტყელი ცისა მახარობელად ტკბილ იმედისა“. სამაგიეროდ, „დიმიტრი თავდადებული“ ნამდვილი რეალურ ეპიკური პოემაა. ამ პოემით თ. ი. ჭავჭავაძე შეუდგება მტკიცედ გარკვეულს რეალიზმის გზას. „უტყუარისა და მართალის ამბის“ მოთხრობა მეფანდურესაგან, დაცვა თვით სახალხო ენისა და შემდეგ თვით მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველისავე პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა სამშობლოისა, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილიო, როგორც ეს მოიმოქმედა მეფე დიმიტრი თავდადებულმა—ყოველივე ეს ჰხდიან მას რეალურ პოემად, კლასიკური მშვენიერებითა და სიდიადით მოსილ მას.

„განდეგილი“, უკანასკნელი პოემა თ. ილ. ჭავჭავაძისა, დამაშთავრებელი და დამაგვირგვინებელია ავტორის რეალურის მიმართულების განვითარებისა. როგორც დედა აზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება ღმის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით იგი ცხოვრება გამოვა), ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება და ბოლოს თვით ფორმაც პოემისა არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა.

ამგვარად, თუ თავდაპირველად თ. ილ. ჭავჭავაძის პოეზიას კიდევ აჩნია რომანტიულის სკოლის გავლენა, სამაგიეროდ და ბოლოს სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან და შეჰქმნა შედევრი რეალურის ნაწარმოებისა ქართულს ლიტერატურაში „განდეგილი“. მან დაასრულა ევოლუცია რომანტიზმისა და შეიქმნა მამა-მთავრად რეალურის პოეზიისა ჩვენში და ერთ საუკეთესო მის წარმომადგენელად.

ამ პოემის გარჩევას ჩვენ დაწვრილებით შეუდგებით, ვინაიდან ჩვენ მიგვაჩნია იგი მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის ლიტერატურის ეტიუდების ნაწარმოებად როგორც აზრით, ისე ფორმით. ჩვენა გვგონია, რომ „განდეგილს“ ჩვენს ახალ ლიტერატურაში დიდი ადგილი ექმნება და მისი გავლენა თითქმის საუკუნო იქმნება.

საკვირველი ბედი გამოიარა თ. ი. ჭავჭავაძის ზემოხსენებულმა პოემამ. კარგად მახსოვს, რომ ქუთაისში ამ პოემის გამო დიდი მიმოქმა-მოთქმა იყო. კარგად მახსოვს ისიც, რომ ერთიც ჩემი ნაცნობი მოწაფე გიმნაზიისა. პირველის, თუ მეორე კლასისა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიძახოდა: „ბატონო, იდეა არა აქვს ილიას პოემასაო, რა შვილიაო" და სხვ. და რომ გეკითხათ მისთვის, რა არის იდეა ან რა მოეთხოვება მწერლობას, რასაკვირველია, ვერაფერს მოგახსენებდათ. საყურადღებოა აქ მხოლოდ ის, რომ ამ ბავშვის სიტყვებში იხატებოდა მთლად ერთიანად ის აზრი, რომელიც მაშინ ქუთაისის საზოგადოებას შეედგინა თ. ჭავჭავაძის ნაწარმოებზედ; ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი. აბა რა შვილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს, ბერად შედექით, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო. საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა „კაცია-ადამიანის" და „კაკო ყაჩაღისამ" ასეთი რამ რაც დაგვიწერაო. შეიძლება ერთსა; თუ ორს ჰეშმარიტი აზრიც ჰქონდა შედგენილი ამ პოემაზედ, მაგრამ მე მოგახსენებთ მხოლოდ უმეტესობის აზრსა. ამგვარი აზრის დაბადება ქუთაისის საზოგადოებაში უნდა მიეწეროს უდროოდ დაღუპულს, ნიჩიერს კრიტიკოსს, ესტ. ბოსლეველს (ჰველიძეს). აი რასა სწერდა მაშინ განსვენებული ესტ. ბოსლეველი „შრომის" № 18-ში (1883 წ.): „უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პოემა თითქო ახალს ხანას იწყებს ილ. ჭავჭავაძის პოეტურს მოღვაწეობაში. ამ პოემიდან ჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა, თითქო მიჰნება თავის ცხოვრებისთვის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია"... მართალია, ბარათაშვილს და ორბელიანსაც აქვსთ გამოთქმული ეს უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ, „მაგრამ ჯერ ისე ტიპიურად, პრინციპიალურად არ გამოხატულა, როგორც გამოხატულია „განდეგილში" ბ. ჭავჭავაძის პესსიმისტურს შეხედულებას „საიქიოზედ" საზღვარი არა აქვს"... ამგვარს ფაქტს ჩვენს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიაც კი აქვს, რასაკვირველია, თავის გასამართლებელი საბუთი, მაგრამ ამას მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენი მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურს ცხოვრებას, როგორც ერთს რასმე ჰგირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდეგილისთანა პოემაში."[1]).

---

[1] თავისებური აზრი აქვთ გამოთქმული „განდეგილის" შესახებ ქ-ბ უორდროპსა და ბ. ა. ხახანაშვილს: პირველს თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში (როგორც ვიცით იმ პატარა ბიბლიოგრაფიულის შენიშვნებიდან, რომელიც „იერიას"-ში და „ქვალ"-ში იყო დასტამბული ქ-ნ უორდროპის თარგმნის გამო) და მერე კი გ-ნსაკუთრებულს წერილში თ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ შარშანდელს „Русская мысли"-ში. ორივე ზემოხსენებული მწერლები ამბობენ, რომ თ. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი" ეყუთვნის ესტეტიურს ხანას მისი მოღვაწეობისასო, არ ვიცით, როგორ გავიგოთ ეს სიტყვები, თუ არ ისე, რომ ვითომ თ. ილ. ჭავჭავაძემ ამ პოემით წმინდა ხელოვნების სასახურს მიჰყო ხელი. თუ ეს ასეა, მაშინ რ-გორც ჰქვიან მოხსენებულიდანაც ჩანს, ჩვენა გვგონია, რომ დიდად პატივცემული მწერლების აზრი შემცდარად უნდა მივიჩნიოთ.

როგორღაც არა გჯერათ, რომ ამას ამბობდეს ის კრიტიკოსი, რომელმაც ასე საუცხოვოდ და ნიჭიერად აღწუსხა-რა მოეთხოვება პოეტს და პოეტურს ნაწარმოებს: „იმ პოეტს ჩვენ ბევრად არ ვაფასებთ“, ამბობს ბ. ბოსლეველი ამავე წერილში, რომელიც მარტო მოვლენის გარეგანის მხრით, ზედა-პირით სარგებლობს თავისის პოეტურის ნაწარმოებისათვის, რომლის პოეტური ნიჭი საზოგადოებრიეის ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შორის ვერ ჰპოვებს ერთს დაფარულ დედა აზრს და ამ დედა აზრს ვერ გადასცემს მკითხველს, სურათებათ დახატულს... **მგონია არ შევსცდეთ, ვსთქვათ, რომ ჩვენს მწერლობაში ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთად ერთი პოეტია** (კურსივები ჩვენია). **რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა გამოჭანდაკება შეუძლიან“** (ესტ. ბოსლეველი, „შრომა“, № 18, 1883 წ.).

ასე კარგად ესმოდა განსვენებულს კრიტიკოსს პოეტური ნაწარმოების ღირსება, ასე კარგად აფასებდა ჩვენს ავტორს, მაგრამ ასე უცნაურად ჰოეპყრო „განდეგილს“. ზემოხსენებულის სიტყვების დამწერს, ჩვენის აზრით, „განდეგილი“ თითით საჩვენებელ მაგალითად უნდა მიეჩნია, რადგან იშვიათად „დაუხატავს სურათები“ პოეტს ასე ნათლად, ასე ბრწყინვალედ „მოვლენათა შორის დაფარული დედა აზრი“. ესტ. ბოსლეველის წერილებმა პირველადვე მოიპოვეს საზოგადოების სიმპატია და მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება, ამიტომაც გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ საზოგადოებაში მისი აზრები ტრიალებდა და ყველა მისი აზრით სჯიდა ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას. მას მერმე დიდი ხანი გავიდა. ამ პოემას უფრო ღრმად დაუკვირდნენ უფრო შეიგნეს იგი, დღეს ბევრად მოიპოვება ისეთი კაცი. რომ არ აღიაროს მაღალი ლიტერატურული ღირსება და ღრმა აზროვნება ამ პოემისა, რომელიც, უნდა ვსთქვათ, ბოსლეველმაც სამართლიანად დააფასა. არც მაშინ უთქვამს რამე ბოსლეველს ამ პოემის უაზრობის შესახებ, მაგრამ თვით აზრი, რომელიც მან თავისებურად გაიგო, არ მოსწონდა. წარმატების ნიშნად არ მიაჩნდა, პესიმისტურს შეხედულებას ცხოვრებაზედ აბა ვინ უწოდებს უაზრობას, მაგრამ შეიძლება ბევრმა მავნებლად მიიჩნიოს და არა-სასიამოვნოდ. ესტ. ბოსლეველს კიდევ ის არ მოსწონდა. რომ ფიქრობდა რაკი თ. ილ. ჭავჭავაძემ ასეთი მკაცრის სიტყვებით დახატა ცხოვრება და მის „განდეგილს“ ამ ცხოვრებისათვის ზურგი შეაქცევინა, ჰგავს სამაგალითოდ დაგვიხატა ეს ტიპი და მოქმედება განდეგილისაო. სხვანაირად, შეუძლებელია გაიგოს კაცმა უკანასკნელი სიტყვები მის ფელეტონისა ამ პოემის შესახებ. ჩვენა გვგონია, რომ ბ. ბოსლეველი უცნაურად შესცდა „განდეგილის“ მთავარ აზრის შესახებ. ჩვენ ვეცდებით გამოვარკვიოთ აზრი ამ პოემისა და ამითვე დავამტკიცოთ ნიჭიერის კრიტიკოსის შეცდომა.

„ოდესღაც“ ცხოვრების უმსგავსოებისა და ბოროტებისაგან გულდათუთქული და სიცოცხლე მოწხამული ადამიანი გასდგომია ამ წუთი-

სოფელს, მოშორებია მას და შეხიზნულა იქ, „სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილი, მზისგან აროდეს არა სდნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია“. განშორებია ცხოვრებას „ვით ცოდვის სადგურს, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა; სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ ვითა მპარავი და მტაცებელი; სად რყვნა, წარწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ხარბობს სისხლსა ძმისასა; სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა.“ ყოველივე „მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი“ განუდევნია გულისაგან, შებრძოლებია პირუტყვულს მხარეს ადამიანისას და ამ ბრძოლაში ღამე დღეთ უქცევია. მხოლოდ ერთსა ცდილობდა, ერთზე ჰფიქრობდა, მწიკვლისა და ბოროტისაგან განწმენდილ, განყენებულ არსებად გადაქცეულიყო. უნდოდა მარტო სული გაემეფებინა თავისს არსებაში და ხორცი კი ჩაეკლა, მოესპო ყოველივე მოთხოვნილება ხორცისა. მუდმივს ლოცვას, ცრემლთა ღვრას, მუდმივს ფიქრს „საიქიოზე“ იგი რაღაც განყენებულის აზრისა და ოცნების ჰურჰლად გარდაუქცევია... მაგრამ დიდი ხნით კი?

ერთ დღეს, საშინელის წვიმისა და ქარიშხლის შემდეგ, მის სენაკში ამოვა ქალი და სთხოვს თავი შეაფარებინოს. ეს ყმაწვილი ქალი „სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯადოთი, გრძნობით“, განდეგილის მიძინებულს ბუნებას გააღვიძებს ამდენი ხნის შრომა, ტანჯვა ამ ბუნების დასათრგუნავად სულ ტყუილი გამოდგება. მთელი წლების მუდმივი ცრემლისა და ლოცვისაგან გაჰაეროვნებულს არსებაში სიცოცხლის ძალები თავს მოიკრებენ, მარჯვე დროით გახარებულნი საშინელის ენერგიით შეებრძოლებიან მათ მტანჯველს აზრს, მათ მომაკვდინებელს მოქმედებას და ნიაღვარივით გადმოხეთქას აპირებენ. ვერ გაუძლო საწყალმა მწირმა ამ ბრძოლას და ცეცხლის პირად მიძინებულის მშვენიერი არსების დანახვისთანავე გრძნობები აეშალა, ვნებათა ღელვამ გაიტაცა. მაგრამ დაიხარა თუ არა თავი, უეცრად გაშეშდა. ტანჯვითა და დაგვით გამოშწვარი და შესისხლხორცებული მისი აზრი და წარმოდგენა ცხოვრებაზედ უეცრად წამოჰყოფს თავს და გაახსენებს მისს მდგომარეობას. მაშინ კი გამოერკვევა მწირი წუთიერის გატაცებისაგან, მაშინ კი გაიძახის: „ეჰა, წარწყმედავ, ეს რა სურვილი გულს გავიტარე!“ მაგრამ გვიანღაა. მან დაარღვია თავისი მოვალეობა, მან უმტყუნა თავისს აზრს, სულიერი მშვიდობა დაერღვა, გონება აერია და მაცდური სახე სდევნის მას. დედა-ღვთის ხატს უნდა ლოცვით მიჰმართოს და ღვთისმშობლის ნაცვლად „თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი! პირჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის, ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება, ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ ქალი წყეული თვალთ ელანდება!“

მართალია, ეს ბრძოლა ბუნებრივის მხარისა მისს უარმყოფელ მხარესთან (განყენებულებასთან. ასკეტიზმთან) არ გათავებულა პირველის ძლევა-მოსილის გამარჯვებით და მეორის დამარცხებით. მაგრამ ეს უკა-

ხასკნელი მაინც იძლია. კაცს, რომელსაც „საიქიოსთვის ეს საქმაო დაუგ-მია და განშორებია", რომელსაც ცხოვრების აზრად დაუსახავს, განდეგილს გულიდან ყოველი მიწიერი ზრახვა, ფიქრი, წადილი, „რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა სულით გაწმენდილ და განბანილი", ამგვარი კაცის დამარცხებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მსოფლიო ზრახვებს, სურვილებსა და გრძნობებს ისევ ადგილს მისცემს თავისს გულში, თუ გინდ ერთი წუთითაც.

სარწმუნოებას არ მოუთხოვია დასტოვე ყოველივე ბუნებრივი მოთხოვნილებაო. იესომ ბრძანა: ვისაც შეუძლიან, მხოლოდ იმან არ უნდა იქორწინოსო. მაგრამ, —„არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს"-ო. ხოლო ვინც კი ერთხელ იკისრებს ბუნების მოთხოვნილების ალაგმვას, ისიც არ უნდა დაავიწყდეს, რომ არა მარტო „არა იმრუშო" არის მისთვის აღკრძალული, არამედ უბრალო გულისთქმაც კი: „რამეთუ ყოველი, რომელი ხედვისდეს დედა-კაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა". ეს კანონი ვერ დაიცვა სიმტკიცით „განდეგილ"-მა, რადგან უძლეველ ძალას ბუნებისას ვერ წინააღუდგა. მაგრამ არც ბუნების მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. ასე, რომ ვერც ღმერთს ასიამოვნა და ვეღარც მამონას და ამ ბრძოლაში „უტევა სული". მთელი ინტერესი პოემისა სწორედ აქ არის, ამ ბუნების კანონებისა და მისი უარისყოფას (ასკეტიზმს) შუა ბრძოლაში.

„განდეგილს ცხოვრებისთვის ზურგი შეუქცევია, მაგრამ ცხოვრება ლამაზი ქალის სახით მის სენაკში შეიპარება. განდეგილი ხელ-ახლა დაუპირდაპირდება ცხოვრებასა, მის მომხიბვლელს ძალას ვეღარ გაექცევა და უნდა სავსებით დაეწაფოს მას. მაშინ გონება შეაჩერებს, მოვალეობას გაახსენებს. მაგრამ, გვიანღაა ეს გახსენება, რადგან სასტიკი კანონი სარწმუნოებისა უკვე დარღვეულია. აქვე სამაგალითოთ არის გარკვეული სა„განი „სქესობრივის" მოთხოვნილებისა, რომლებსაც ასეთი დიდი ადგილი უკავია დღევანდელ ლიტერატურაში. განდეგილი ვერ ახერხებს, სქესობრივ გრძნობას წინააღუდგეს. ეს გრძნობა ბევრად უფრო ფატალურია, ბევრად უფრო მომხიბვლელი და უძლეველი, ვიდრე ათასგვარი მოსაზრება და ფილოსოფიურისა, გინდ ზნეობრივისა და სარწმუნოებრივის ხასიათისა. იგი სძლევს აზრსაცა, გონებასაცა, ტრადიციონალურ შესედულებასაცა და ვითა გრიგალი-რამ უცნაური წალეკავს და წააცამტვერებს ყოველსავე, რაც მას წინ ეღობება, რაც მის ძლევამოსილ მშვენიერებას გზაზე უხვდება.

რა უნდოდა ეთქვა „განდეგილში" პოეტს, თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისაგანვე იქმნება დასჯილი ისე, როგორც დაისაჯა განდეგილი. ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა —„დღე და ღამე ლოცვით, გოდებით, გეემით სულისათვის ხორცის წამება", „ვერც ლოცვის ცრემლი", რომელიც არ შემწყდარა „ვითა ღელესა მას გლოვისასა"—ვერ დასძლევს ბუნების მოთხოვნილე-

ბას, ვერ გააჭარწყლებს სასტიკს კანონს ბუნებისას. მართალია, კაცს ვისი ენერგიითა და ნების ძლიერებით შეუძლია სასტიკი ბრძოლა გაუწიოს ამ მოთხოვნილებას, შეჰბოჭოს და შეასუსტოს იგი. მაგრამ მთლად ერთხანად მისი მოსპობა კი შეუძლებელია (ჩვენ აქ, რასაკვირველია, ხორმალური საშუალებანი გვაქვს სახეში და სრულიად არ მიგვაჩნია საყურადღებოდ სხვადასხვა გვარი ავადმყოფური და ბუნების წინააღმდეგი ხერხთავის დასახიჩრებისა). ასეთი გამარჯვება ბუნებაზედ ვერ შესძლო ისეთმა არაჩვეულებრივმა ადამიანმა, როგორიც არის ამ პოემის გმირი—განდეგილი, რომელიც წმინდანს დამსგავსებია, რომლის სულიც „სულ სხვა მსოფლიოს“ შეხიზნებია, რომელსაც „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი სიწმინდის მაღლით დაშვენებოდა და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარვანდედი გადაჰფენოდა“. თუ კი ასეთმა მაღალ-სულოვანმა, ადამიანმა გონიერებით აღსავსემ, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ყოველივე სიბილწე ცხოვრებისა, ზიზღით აღსებულა ამ ცხოვრების მიმართ და მიუტოვებია იგი, თუ მან ვერ სძლია ცხოვრების კანონი, ვერ გაექცა ცხოვრებას ხვეისთვის ხომ ამაზედ ფიქრიც მტკნარი ოცნება იქნებოდა. ამ პოემით თ. ჭავჭავაძე არათუ ზურგს არ უჩვენებს ცხოვრებას, როგორც რაიმე „ჭირიანს“, წინააღმდეგ, გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება გარს გვარტყია, მისგან გაქცევა, მისი უკუგდება შეუძლებელია. რაც უნდა გეზიზღებოდეს ცხოვრების მოვლენები, მაინც უნდა დაემორჩილო ცხოვრებას, რადგან ადრე იქნება, თუ გვიან იგი თავისას მოითხოვს და მოითხოვს მკაცრად, ულმობლად. ყოველი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, იმნაირადვე დამარცხდება, როგორც „განდეგილი“. გასაოცარის ხელოვნებითა აქვს აეტორს აღწერილი „განდეგილი“-ს პსიხოლოგია. მასში ბუნებრივი მხარე არ მომკვდარა, მხოლოდ მიძინებულია თვითონაც კარგად იცის, რომ ეს ლომი თუმც მძინარეა, მაინც ძლიერია და ყოველს ღონესა ხმარობს, არ გააღვიძოს იგი. გახსენეთ მისი შიში, როცა კაცის ხმა მოესმა „ჰკითხე ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“ განა ამას იკითხავს კაცი, რომელსაც რაღაც ეჭვი არ დარჩენია გულში? განა, ამას იკითხავს ადამიანი, რომლის „ხორციც“ ნამდვილად „უძლურ ქმნილა“ და არ იტყუებს თავს, რომ ეს ასე არის? განდეგილი მაინც შემოუშვებს ქალს და თანაც ამას ელაპარაკება: „თუ მაცდური ხარ, ჩანს ღმერთს სწადიან, მწირი ცოდვილი დღეს გამოსცადოს“ წინდაწინვე მოისაზრა, შეიძლება მაცდური იყოსო, ჰგავს მტერი უეცრად თავს არ დასხმია და მასაც შეეძლო იარაღით აღჭურვილიყო და ისე გამოსულიყო საბრძოლველად. ასე, რომ აქ მისი დამარცხება არ შეიძლება რაიმე უცაბედობას მიეწეროს.

ბოლოს იმასაც გაიგებს, რომ ეს ქალი ყოფილა და კიდევ უფრო კაცდება, მაგრამ ერთს წუთსაც არ ავიწყდება, იქნებ განსაცდელიაო და ვერ ახერხებს სასოებითა და გულ-დამშვიდებით დაემორჩილოს ღვთის ნებას.

ეხლა შეხედეთ, რა ღრმა ფსიხოლოგობას იჩენს აეტორი. როცა დაგვი-

ხატავს, როგორის თანდათანობით იღვიძებს „განდეგილი“-ს არსებაში ბუნებრივი გრძნობები.

სტუმარს ცეცხლის ალმა მიაშუქა, სახე გაუნათა და „განდეგილს“ თვალწინ წარმოუდგა „ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით, შვენების ჯადოთი, გრძნობით“. ამ დიდებულმა სანახაობამ დაუმშვიდა აღელვებული სული განდეგილს, რაღაცანაირი სიამოვნება მოაფინა გულს, და მან ტკბილად და ნაზად დაუწყო ბაასი ქალს. ყოველი სიტყვა ამ ქალისა ციურ ჰანგებად სწვდება მის არსებას, საოცარ მომხიბვლელ მუსიკად ესმის, ქალიც თავ-გადასავალის მოთხრობას დაიწყებს, თითქოს მისთვის, რომ ნელ-ნელა მიაჩვიოს განდეგილი. უკვე მომზადებულს ბრძოლას. ქალი უამბობს, თუ როგორ ნაირად გაიტაცა უსულო ბუნების სიმშვენიერემ და დაავიწყდა მამის ბრძანების აღსრულება; თავს იმართლებს; „მაგრამ რას იზამ, მოდი გულს უთხარ, კარგ სანახავზე ნუ ხარ—თქო ხარბი?“ თითქო ამით უნდა განდეგილს შეაპაროს და ჩააგონოს ის აზრი, რომ, თუ უსულო ბუნება კაცზე ასე მოქმედებს, რაღა უნდა იყოს ხორც-შესხმული მშვენიერება, ცოცხალი შვილი ბუნებისა და რაღა გასამტყუნარი იქნება ის, ვინც ამ მშვენიერების წინ თავს მოიხრის. განდეგილი ჰიპნოტიური ძალით შეპყრობილია, ძოხიბლულია და ეხლა ყოველი მისი სიტყვა ნაბიჯია უფსკრულისაკენ, იმ გზის ჩამოცილებაა, რომელმაც სენაკამდის მიიყვანა. მის პასუხში იხატება არა სიხარული და კმაყოფილება თავისი ხვედრით, თავისი მოქმედებით, არამედ სევდით გავსილია იგი და სამღურავისებურია განგებისა და ბუნების მიმართ. „ვინ მოხედავს ქვეყნით ერთს დავიწყებულს და განდეკილს მწირს!“ ამბობს იგი და თითქოს ესაყვედურება ვიღაცას, რომ ასე მიტოვებულია და მივიწყებული, ის კი დავიწყებია. რომ თვით დასტოვა ქვეყანა. მერე განაგრძობს, მარტოკა ვარ, მოვშორდი ყველას. „ეგეთი არის, ჩანს, ნება ღვთისა“. როგორ, ღვთის ნება და არა მისი? აქაც ხომ ჩადგილია ღვთისა მიმართ. რომელსაც ასე მოუწყვია მისი ცხოვრება; აქ ხომ ბატამალიც აღარა ჩანს იმ სიამოვნებისა, რომელსაც უნდა ჰგრძნობდეს იგი, რომ თავისავე სურვილით ამ ბოროტებით აღსავსე სოფელს მოშორდა, ბოლოს იქამდისაც მიდის, რომ თავს უბედურად ჰხადის:—„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურს..“.ეს სიტყვები კი პირდაპირი წინააღმდეგობაა თავისის ხვედრისა, გამომხატველია მისი ძლიერის უკმაყოფილებისა იმ ხვედრის მიმართ, რომელიც განგებამ მას არგუნა, ეს თვით მასაც კარგად ესმის, ესმის...რა ცოდვა ჩაიდინა ამ სიტყვების წამოროშვით:

უბედურსაო“!... და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩადგილია
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო“?... ეგ ხომ სიტყვაა
გულის ტკენის და სამღურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა

ბედნიერების დაშკარგავისა!...
მან რა დაჰკარგა?.... ნუ თუ არ ყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა ძისგან და აქ მოიპოვა
სელის მშვიდობა და მყუდროება?
ნუ თუ დაკარგად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულ-თქმის, ენებისა
და არა ჰქმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდაებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუ თუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუ თუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმე სდევს შემოქმედსა?

ცხოვრების ძალებმა ჯერ თვალები გაახილეს, ეხლა კი მთლად წარმოიმართნენ და თავისი ღონე გამოიჩინეს. ეხლა ქალში განდეგილი მაცდურს აღარა ხედავს, მისი სახე სიამოვნებით აცისკროვნებს მის გულს, მის გაცეცხლებულ არსების დამაამებელ მალამოდ ხდება. მის აღშფოთებულს სულს აცხრობს და ამშვიდებს. მაგრამ ეს სიმშვიდე ეს სიამოვნება სულ სხვანაირია, როგორღაც მაცდურად ტკბილია და მომჯადოებელი. ეხლა თითქო გული ებანს სცემს.

და ისპის ჩუმი ებნის სიმთ ქღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რაღა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდაებისა?

ეხლა მხოლოდ ისღა აკლია, აშლილი გრძნობები დაიკმაყოფილოს, სიტკბოების ფიალა ძირამდის გამოსცალოს. დაჰყოფს კიდეეაც ბაგეს ამ ფიალას, და იგრძნობს რა დამთრობელის სიტკბოების სიახლოვეს, გაახსენდება, რომ ეს მისთვის აღკრძალული ნაყოფია და ხელსა ჰკრავს ფიალას. მაგრამ რაღა დროს, ხომ მოიწადინა ამ სასმელის გემოდ ნახვა, ხომ კიდეც დაეყრდნო მომჯადოებელის ნექტარის ჭურჭელს—ესეც კმარა, მოვალეობა დარღვეულია, მცნებას გარდასულია. ამ მოვალეობის დარღვევამ განუღვიძა სინიდისი, ეს სინიდისია, რომ გაიძახის: „წაწყმდი თუ არაო;“ ეს ცოდვის შეგნებაა, რომ ალაპარაკებს რაღაცას მის გულში: „დაგძლიეთ თუ არა?“ დიაღ სძლია, სძლია ამ ქალის სახეს ვეღარ იცილებს გონებიდან. ღვთის მშობლის ხატზედ ლოცულობს და ხატის „თვალთ წინ დაუდგა იგივე ქალი!“ „პირჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის, ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება, ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე.. ქალი წყეული თვალთ ელანდება!“ ეხლა კი მიხვდა, რომ დაღუპულია, რომ ამდენის ხნის ცდამ ტყუილად გაუარა. აღელვებული, აღშფოთებული, გიჟივით გავარდა გარეთ. გათენდება თუ არა, ლოცვანს ეცემა, და უნდა სხივზე დააყრდნოს და ამით მაინც დარწმუნდეს, რომ ღმერთმა შეუნდო, აპატივა, შეიჩრალა, მაგრამ სხივი ლოცვანს არ დაიჭერს. განდეგილს „დაესხა რეტი, თვალთ

დაუბნელდა, გაშრა, გაშეშდა ზარ-დაცემული, ერთი საშინლად შეპხლავ-ლ: ღმერთსა და იქავ სხივ ქვეშ უტევა სული".

ეს სიკვდილიც განდეგილისა დიდის სინამდვილით არის აღწერილი. აქდენი ხნის შეკავებულის, მოზღვავებულის გრძნობის დაუკმაყოფილებლობას უთუოდ ასეთი მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამას ზედ დაუმატეთ მისი დასუსტება სულიერის ბრძოლის გამო და მაშინ ცხადია, რომ ამგვარად უნდა გათავებულიყო მრავალტანჯულის მწირის ცხოვრება. ასე რომ აქტორმა თვით სიკვდილიც დაუკავშირა განდეგილის მოქმედებას. ცხოვრების გაქცევა, მისი მოთხოვნილების უარყოფა მომაკვდინებელია და მომსპობელი, მისი დაკმაყოფილება კი შეუძლებელი იყო განდეგილისათვის, რადგან წინააღმდეგი იმ თავისებურად შეგნებულის მოვალეობისა, რომელიც მას წმინდათა წმინდად მიაჩნდა. ამ უცნაურის წარმოდგენის ძალით, ბუნებრივ გრძნობებზედაც ფიქრი კი ცოდვაა და ამიტომაც მისი ცხოვრება ასეთის საშინელის კატასტროფით გათავდა.

ამაშია მაღალ-აზროვნება და სიღრმე ამ პოემისა. პოეტმა წარმოგვიდგინა სურათი სიცოცხლისა და ცხოვრების და მისი უარყოფის,—ასკეტიზმის —შეტაკებისა, რომელშიაც პირველი დარჩა გამარჯვებული. ამ ბრძოლის ამგვარად დასრულებით პოეტს თითქო ის უნდოდა ეთქვა, ტყუილა ნუ ცდილობთ, გაექცეთ ცხოვრებას; მისი გაქცევა შეუძლებელია და ვინც კი ამას მოინდომებს, განდეგილის ბედს შეეყრებაო.

ბ-მა Wasian – მა ფრიად საყურადღებო სიტყვები უძღვნა თ-დის ჰავჰავაძის პოემას. თავისს ერთ წერილში ინგლისის ცხოვრების შესახებ, შემდეგი სიტყვები აქვს მოთავსებული: ქ-ნი უორდროპისა აპირობს „ეფხის ტყაოსნისა" და „განდეგილი"-ს გადათარგმნასო. მართალია დიდი მწერალია, რუსთაველი და მისი თხზულებაც დიდებული ქმნილებააო, მაგრამ „ჩვეულებრივ მკითხველი", განაგრძობს ბ-ნი Wasiani, ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულმოსახვდომად მიიჩნევს ამ განდეგილს, ამ გულ-მართალს, დიდებულ ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნილებით, ყოველის დამძლევსა და ყოველის განმაცხოველებელს სიყვარულს. „განდეგილი" დიდად მშვენიერი ნაწარმოებია, ვინაიდან შიგ ჟღერს სიმი ეკლინიზმისა, ესე იგი ცხოველის ორგანიზმისა, ამის ჰარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრების სიტკბოების უფლებათა დაცვისა... იმის ჰარმონიულს ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელის კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის სასტიკ ძალ-მომრეობისაგან ახლად განთავისუფლებულისა. და განათლებული კაცობრიობა ღირსეულად დააფასებს კიდეც დიდად მშვენიერს ნაწარმოებს ი. ჭავჭავაძისას. „განდეგილის" შინაარსისა ბევრი რამ არის დაწერილი ყოველს ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ფლობერის „La tentation de St-Antoine"-ი და ზოლას „La Faute de l'abbe Mouret", მაგრამ „განდეგილს" კი თავისის სისადავით, მოკლე სიტყვაობით და უმთავრესად კი განდეგილისა და ყმაწ-

ვილის ქალის საუბრის მომხიბვლელ გულ-უბრყვილობით ბსენებულ მწერალთა ნაწერებს ვამჯობინებ“ („ივერია“, 1894 წ. № 198).

დიდის სიამოვნებით ავღნიშნეთ ეს აზრი ბ-ნის Wasiani-სა და საყურადღებოდაც მიგვაჩნია იგი. ჩვენ სხვა აზრიცა გვქონდა, ამ ადგილს რომ ვიწერდით ბ-ნი Wasiani ადარებს „განდეგილს“ ფლობერისა და ზოლას რომანს. ჩვენ უფრო დაწვრილებით შევადარებთ ამ თხზულებებს. ვეცდებით დავანახოთ მკითხველებს, თუ რა დიდი განსხვავებაა ამ პოემასა და ზემოხსენებულის მწერლების ნაწარმოებთა შორის.

ზოლას[1] შესანიშნავი თხზულება „La Faute de l'abbe Mouret“ („აბატი მურეს შეცდომა“) გვიხატავს ორთა აზრთა შეტაკებას, ორთა გრძნობათა ბრძოლას: ბუნებრივის გრძნობისა და ასკეტიზმისას, ანუ წარმართთა აზრისა, ელლინიზმისა და ქრისტიანობრივის, განსაკუთრებით კათოლიციზმის, აზრის შებრძოლებას. თუ ბერძენთა, ელლინთა სარწმუნოება ცხოვრების გაღმერთება იყო, თუ მთელი მათი მითოლოგია ამ წუთისოფლის ქებათა-ქება იყო, თუ მათი აზრით ამ ქვეყნის მოთხოვნილების ძლიერებას ღმერთებიც კი ემორჩილებოდნენ, სამაგიეროდ ქრისტიანობრივი სარწმუნოება შეიქმნა სრული უარმყოფელი ცხოვრებისა. მთავარი აზრი ამ სარწმუნოებისა იმ რიგად, როგორც ასწავლიან ოფიციალური წარმომადგენლები ამ სარწმუნოებისა, ეს აზრი სოფლის უარყოფაა, სააქაოს საიქიოსათვის დათმობაა. მხოლოდ იგი გახდება ამ მოძღვრების მიხედვით, ნეტარების ღირსად, რომელიც თავს დააღწევს საწუთროს მაცდურებას, ყოველივე მის მომხიბვლელ ძალებს ზურგს შეაქცევს და მარტო სულზედ და საიქიოზედ ფიქრს შესწირავს მთელს თავისს სიცოცხლეს. ამ აზრებით გამსჭვალული აბატი მურე, 25 წლის პატერი, სულით ავადმყოფს ქმნილებას წარმოგვიდგენს. მასში საშინელის ძალით იღვიძებს „ადამიანის აგებულების მოთხოვნილება“ და ბუნებრივი მოთხოვნილებანი ტანჯვას აყენებენ მას, მაგრამ იგი ლოცვითა და გვემით სძლევს მათ. მხოლოდ დიდი ხნის ბრძოლა ისე მოქანცავს, ისე დაასუსტებს ახალგაზრდა პატერს, რომ გაცივდება და მძიმე ავადმყოფი შეიქმნება. ბიძა მისი, ექიმი, გადაიყვანს მას მახლობელ საუცხოო ბაღში, რომელშიაც სცხოვრობს ერთი მოხუცებული მებაღე თავისი ძმისწულით, ახალგაზრდა ქალიშვილით. თუ აბე მურე ასკეტიზმის ნაყოფია და სულით და ხორცით დასუსტებული და გაფანატიკოსებული ქმნილებაა, სამაგიეროდ ალბინა (ასე ერქვა მებაღის ძმისწულს) ნამდვილი ბუნების შვილია, კიდევ მეტი, თვით განხორციელებული ცხოველი ბუნებაა იგი მეტის-მეტი პირუტყვული ცხოვრების მიმდევარია.

[1] იხილე: ბრანდესი: ზოლა „მეცნიერად. ბიბლიოთ.“ გამოცემა: ბრუნეტიერი: Le roman naturaliste ლანსონი: histoire de La litter francaise; ბრანდესი: ფლობერი —„ნოვია ვეიანიაში“ essais de psychol. lt—ბურჟესი და ჰენეკენისა: ėcrivain francais.

დილიდან საღამომდე ჩიტიეით ერთი ხიდან მეორეზე ხტება, სულ ბაღში დარბის და ცელქობს, სულ პირუტყვებთან ატარებს დროს. როცა პატერი უგრძნობლად მიიყვანეს მებაღესთან, ალბინამ თავს იდვა მის პოვნა და მართლაც, მისი ზრუნვისა და კარგი ჰაერის წყალობით, მღვდელი იმდენად მოკეთდა, რომ ბაღში სიარული დაიწყო; ალბინა და სერჟი (ასე ერქვა მურეს) ამ საუცხოო ედემის მსგავსს ბაღში, ადამსა და ევას მოგაგონებდათ. ალბინა სხვაფრივაც ამტკიცებს ევას შთამომავლობას—საწყალ მღვდელს მოჰხიბლავს და შეაცდენს. მათ სიამოვნებას საზღვარი არა აქვს ბუნებაც აღტაცებულია თავისი გამარჯვებით და თავის შვილებს ალერსითა და სასოებით უყურებს. ხოლო ასკეტიზმი თავის „მსახვრალს ხელს“ აქამდისაც მოაწვდენს: ბერი, ამხანაგი მურესი, გამოჩნდება ბაღში, დატუქსავს მას და წაიყვანს იქიდან: ამის შემდეგ მურე მთლიანად გამომრთელდება, თავისი „შეცდომა“ ბურანივით აგონდება და იმავე ეგზალტაციით აღსავსე პატერად იქცევა, როგორიც წინათ იყო. ერთხელ კიდეც მიიტყუებს ალბინა ბაღში, მაგრამ ტყუილად. მურე გულ-გაგრილებულია, იგი კაცს აღარ წარმოადგენს, მარტო განყენებული არსებაა, უფრო ლუსკუმს მიაგავს. როცა ალბინა აღგზნებულის ბაგეებით დაეკონება, მის გაყინულს, უგრძნობელს ტუჩებს, და დაინახავს ამგვარად გამოცვლილს თავისს სატრფოს, შიშისა და სასოწარკვეთილებას მიეცემა, ხელსა ჰკრავს მურეს და განაძევებს ბაღიდან. თვითონ კი თავს მოიწამლავს. ალბინას გვამს წესს უგებს ისევ ეს მურე და ისე გულცივად დასჩერებია მის საფლავს, რომ ერთხელ წარბსაც არ შეანძრევს.

ჩემოდაცა ვსთქვით. აქაც ბრძოლაა ა ს კ ე ტ ი ზ მ ი ს ა და ცხოვრების მოთხოვნილებათა შორის და ამ მხრივ მსგავსება აქვს თ. ჭავჭავაძის პოემასთან. მაგრამ ჯერ ერთი, აქ ასკეტიზმი რჩება გამარჯვებული, მაშინ, როდესაც „განდეგილ“-ში ბუნება სძლევს ასკეტიზმს. მართალია, ზოლას რომანში ასკეტიზმის გამარჯვება დამარცხების მსგავსია, რადგან მისი გამარჯვება იმსხვერპლებს ყოველსავე კარგს და ჩვენში ზიზღსა ბაღებს, მაგრამ გარეგანი განსხვავება მაინც არის. მართალია ისიც, რომ აბე ჰურე ერთხელ „შეცდება“, მაგრამ ეს იმ დროს, როცა ავადმყოფობისაგან დასუსტებულია, როცა ის თავის თავს აღარ ეკუთვნის. გამომრთელდება თუ არა, და ისევ ნორმალურად დაიწყებს მისი ცხოვრება მიმდინარეობას, იგი უძლეველია, გაქვავებულია ყოველივე „ძირითად მოთხოვნილებათა თავის“. გარდა ამისა განდეგილი ფილოსოფოსია, პესსიმისტი, ცხოვრების ბრძოლისაგან გულმოწამლული, რომელსაც უნდა ქვეყნის ცოდვები ლოცვით და ცრემლით გამოისყიდოს, მღვდელი მურე კი ცრუმორწმუნოების და უაზრო ფორმის აღსრულების წადილის მსხვერპლია. იმ ფორმის, რომელიც ფორმალიზმს გამოუგონია და რომელსაც არავითარი მტკიცე ნიადაგი არ მოეპოვება არც სარწმუნოების კანონებში და არც ბუნე-

ბისაში. ი. ჭავჭავაძის განდეგილი ცხოვრებას სტოვებს იმიტომ კი არა რომ სარწმუნოების ესა თუ ის ფორმა აღასრულოს, არამედ იმიტომ რომ ცხოვრებამ სიცოცხლე მოუწხამა, რადგან გაიგო ყოველივე ნაკლულევანება, ყოველივე საზიზღრობა საწუთროისა. სწორედ ამის მიუხედავად კისრულობს იგი რომელისამე ფორმის აღსრულებას. ზოლას განდეგილი კი ცხოვრებასა სტოვებს (ისიც ერთ მხარეს ცხოვრებისას, თორემ ისე კი მაინც სოფლის მღვდელია და ცხოვრებაშიეე დატრიალებს), სტოვებს მხოლოდ იმიტომ, რომ პატრია და პატრი ვალდებულია ეს ფორმა აღასრულოს. მღვდელი მურე ეგზალტაციით აღსავსე, ავადმყოფი ქმნილებაა, არანორმალური არსებაა, თითქმის ფსიხოპატია. იგი რაღაც უცნაურის მოვალეობის სურვილს ისე გაუტაცნია, რომ თავს იტანჯავს, ბუნებრივ გრძნობას ისპობს და მხოლოდ მაშინ იმარჯვებს ეს გრძნობა, როცა იგი დაქანცულია და ავადმყოფობისაგან დაუძლურებული. ი. ჭავჭავაძის განდეგილი კი ნორმალური არსებაა, სულით და ხორცით ჯანმთელი და ამიტომაც მასში ბუნებრივი გრძნობა ძლიერია, მთლად ვერ ჩაუხშია იგი, თუმც იმდენწილად სულით ძლიერი ადამიანი კია, რომ შეუძლია სულ არ მიუშვას „ძირითად მოთხოვნილებათა სადავე“. ზოლას მურე მიტომ ხდება პატრად, რომ ამას თხოულობს მისი ეგზალტაციით აღსავსე ბუნება, რომელიც იეზუიტთა სასწავლებელში კიდევ უფრო დაასახიჩრეს; მას ცხოვრებაზედ არავითარი აზრი არა აქვს შეღგენილი, არც იცის ცხოვრების სიაკარგე თუ არ იმაზე იეზუტებისაგან. განდეგილი კი მიტომ სტოვებს საქართველოს, რომ იგი მისთვის „ცოდვის სადგურია“, „ბოროტის სამეუფოთა“.

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის ღღე და ღამ
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სადაც, რასაც ჰხდის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლისა, ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძლეებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთი-სოფელს,
სად ყოელი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის სახე და ცდუნებაა

ამგვარი ღრმა ცოდნა ცხოვრებისა, არც კი მოსიზმრებია საბრალო მურეს და ამ ორ პირთა შორის ის განსხვავებაა, როგორიც ღრმა ფილოსოფოსსა და ფანატიკოსს შორის.

ზოლა, ჩვენის აზრით, უფრო ვიწრო აზრს ებრძვის, კათოლიციზმისაგან

შექმნილს კანონებს და მისგან დადგენილს ასკეტიზმს, ებრძვის მას, როგორც ბუნების დამაახიჩრებელს და ადმიანის დამღუპველს ფორმას. თ. ჭავჭავაძე, ჩვენა გვგონია, საზოგადოდ „განდეგილობის“ წინააღმდეგია. ცხოვრების უარ-მყოფელ ფილოსოფიას გამკლავებია. ებრძვის ცხოვრების უარყოფას, რაშიაც უნდა იხატებოდეს იგი. (ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ განდეგილი მოლად მოშორებულია ცხოვრებას. აბატი მურე კი ზოგიერთს მხარეს ცხოვრებისას სრულიადაც არ ჰყოფს უარს). თ. ჭავჭავაძე ისეთივე წინააღმდეგი იქნებოდა პოეტის, რომელიც მარტო ცაში ნავარდობას დაიჩემებდა და „გარეგანი ფრინველივით“ იმღერებდა. ქვეყნისა და კაცობრიობის ტანჯვა-მწუხარების შემსუბუქებას არ მოიწადინებდა. ტანჯულთ გვერდში არ ამოუდგებოდა, მხარს არ მისცემდა და ჭირის ოფლს არ მოსწმენდდა მათ. თ. ჭავჭავაძისათვის განდეგილის მსგავსია და იმნაირადვე დაისჯება მეცნიერი, რომელსაც ცხოვრების დარდი არა აქვს, თავისს ოთახში ჩაკეტილია და სხვადასხვა აზრთა თამაშობით თავს იქცევს და სიცოცხლესა სწირავს უმნიშვნელო ნაკუწების შეგნებას. ამასაც ხომ განდეგილის არ იყოს, ჰგონია თავისი ჩხირ-კედელაობით ქვეყანას იხსნის და ამ დროს ვინ იცის. ცხოვრების ქარიშხალი რამდენ სულს იმსხვერპლებს და მოსპობს, ვინ იცის , რა არა ხდება ცხოვრების შემაფერხებელი და დამამხობელი, რომლის ფიქრიც არა აქვს განყენებულსა და ცხოვრების უარმყოფელს ადამიანს[1].

ილ. ჭავჭავაძე ამ პოემით ცხოვრების ფილოსოფიის მოსარჩლე ხდება. ვერაფრით ვერ გაიმართლებთ თავს ამ პოეტის წინაშე, თუ ცხოვრებას გაექეცით და ვერავითარის განყენებულის მოქმედებით ვერ გამოისყიდით მის თვალში თქვენს ცოდვას,—საწუთროს მიტოვებისას. დიდი ხანია, რაცა სთქვა თ. ჭავჭავაძემ:

მისთვის არ ვმღერი, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

---

[1] ქ-ნი უორდროპი თვითონ ამბობს, რომ „განდეგილი“ თ. ჭავჭავაძის პოემისა, საქართველოს სიმბოლიური გამომხატველია და მშვენიერი ქალი მეცნიერებისა და ახალი კულტურისაო და, ავტორის აზრით, თუ საქართველომ მეცნიერება და კულტურა არ შეითვისა, დაიღუპებაო. ჩვენ სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ პატივცემულმა მწერალმა ქალმა ასეთი აზრი გამოიყვანა თ. ჭავჭავაძის პოემიდან. ეს ამტკიცებს, რა ღრმა შინაარსი აქვს ამ პოემას. ქ-ნი უორდროპის აზრი, შეიძლება მივიღოთ, კერძო, უფრო ვიწრო ნაწილად იმ საზოგადო აზრისა, რომლის გამომხატველადაც მიგვაჩნია ჩვენ ეს პოემა. მართლაც, მეცნიერება ხომ ერთი უდიდესი იარაღია ცხოვრებისა და მისი უარ-მყოფელი ვერ ისარგებლებს სავსებით და ხეირიანად ცხოვრებით და ჩანს, ცხოვრების ბრძოლაში დამარცხებულთაგანი დარჩება.

დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ლეივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მიჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...“

ცხოვრების, საზოგადოების სამსახური, რაც უნდა მწარე აღსასრულებელი იყოს იგი, ამ გზაზედ სიარული, სავალდებულოა, რაც უნდა კაჟითა და ეკლით იყოს იგი მოფენილი,—ეს არის თ. ჭავჭავაძის იდეალი. თ. ჭავჭავაძის იდეალია ისეთი აღმასრულებელი ღვთის მცნებისა, როგორიც თავისს „გლახის ნაამბობში“ დაგვიხატა, მღვდლის სახით და რომელიც სრულიად სხვა გზით სცდილობს, ემსახუროს ღმერთსაცა და მოყვარესაც, ვინემ განდეგილი. იგი უმსუბუქებს ხვედრს გაჭირვებულებს, თავს სწირავს კაცის სიკვდილიდგან დახსნისათვის, აძლევს მათ გონებრივსა და ხორციელს საზრდოს. იგი ცხოვრებაში ტრიალებს და ცხოვრების ტალღებს გმირულად ებრძვის. კარგად ესმის, რომ მარტო ცრემლითა და ლოცვით გულის მოოხება, თუ შეიძლება, თორემ კაცს ვერას უშველი.

„განდეგილში“ ის გვიჩვენა ილ. ჭავჭავაძემ, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს კაცი, რომ ტყუილ-უბრალოდ არ გაუაროს მისმა ამ ქვეყნიერმა ცხოვრებამ. ხოლო „გლახის ნაამბობში“ ის მოძღვარი დაგვიხატა, რომელიც მისაბაძავ იდეალად უნდა დავისახოთ. განდეგილი სენაკს შეჰკედლებია, მოშორებია წუთი-სოფელს „ვით ცოდვის სადგურს“, ვით „სამეუფოს ბოროტისასა“, ლოცვითა და ცრემლით ჰლამის „წაწყმედისაგან ქვეყნის დახსნასა“; „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი კი სულ სხვას ელტვის, სულ სხვას ქადაგებს. „კაცი ის არის ჩემო ძმაო“, ეუბნება ის გაბრიელს, „რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი. მაშინ ყველაფერი საღმრთოა“. „სიცოცხლე ჩვენი ჩემო ძმაო“, ამბობს იგი მეორე ადგილას, „არც დედისა, არც მამისა, ქვეყნის არის“ და თანაც რუსთველის ლექსსაც დასძენს: „მე იგი ვარ, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

არ გავკადნიერდები და არ შევეხები ავტორის ფსიხოლოგიას, თორემ

შეიძლება „განდეგილი“ ავტორს გახყენებულის აბსტრაქტულის ს პ ი რ ი ტ უ ა ლ ი ზ მ ი ს სიმბოლოდ ჰყავდეს დასურათებული და ტურფა ასული ბუნებისა კი რ ე ა ლ ი ზ მ ი ს წარმომადგენლად და უნდოდეს, ის აზრი გამოსთქვას, რომ უნიადაგო და ცხოვრების უარ-მყოფელი სპირიტუალიზმი მკვდარი რამ არის—ყოველივე ახსნა მხოლოდ დამამტკიცებელია პოემის მაღალხარისხოვანებისა.

მე შემეძლო დამესახელებინა მკითხველთათვის, რამდენი თვისება და სათვისაობაა თ. ჭავჭავაძისაგან დასურათებულს ზემოხსენებულს ტიპებისა და თვით ავტორს შუა. მე შემეძლო პარალელი გამეყვანა ავტორის ცხოვრებაზედ შეხედულებასა („აჩრდილი") და იმ ხანდისხან საღსა და ყოველთვის ძლიერს პესიმისტურს აზრ შუა, რომელიც განდეგილს შეუდგენია ცხოვრებაზედ. მე შემეძლო დამემტკიცებინა, რომ ავტორი ყოველთვის ცდილობდა, თავის „გონების ნამუშევარი გულის სიკეთე ხიდაც გაედვა", „გლახის ნაამბობში" გამოყვანილის ტიპის არ იყოს. ვინც ჩაჰკვირვებია თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას კარგად მიხვდება, რომ აზრით „განდეგილი"—მოქმედებით „გლახის ნაამბობის" მოძღვარია. და ყოველივე ამაზედ უნდა დაურთოთ ის გარეგანი სისასტიკე (თვით ნაწარმოებშიაც), ის გარეგანი სიამაყე და „უკმეხობა", თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომელიც ისე მშვენიერად დაგვისურათა ავტორმა „ოთარაანთ ქვრივში", — სისასტიკე, რომელიც ფარავდა ღრმა შეკრებულებას თავის უფლებისა და მოვალეობისას, გარეგანი სიამაყე, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივდა და თავისი ღირსების შეგნება და მოყვასის სიყვარული, სიმკაცრე, რომელშიაც ცხადად ჩანდა კაცთა შემბრალებლობა, გულშემატკივრობა და ადამიანურის გრძნობით აღსავსე ბუნება ამ მაღალსულოვანი ადამიანისა.

ეხლა ისევ ჩვენს გზას გავუდგეთ.

ფლობერის „წმ. ანტონის განსაცდელს" (la tentation de st Antoine სულ სხვა აზრი აქვს. ფლობერის ფილოსოფია საშინელი პესსიმისტური იყო და ყოველი მისი თხზულება არის უცნაურის, სევდით აღსავსე. ფლობერი ყოველსს თავის თხზულებაში გვიხატავს კაცთა მისწრაფებისა და სურვილების შეუსრულებლობას; გვიჩვენებს, რომ მთელი ჩვენი წარმოდგენა ცხოვრებაზედ მტკნარი ოცნებაა, ჩვენი ბეჩავობისა და ჭკუის სისუსტის ნაწარმოებია. მისი აზრით, კაცი, საზოგადოდ, სულელია და მისი სისულელე უმთავრესად იმაში იხატება, რომ სწამს მისი რაიმე კარგისა და კეთილის ასრულება. „დედა-მიწას აქვს საზღვარიო", გაიძახის იგი, „ხოლო ადამიანის სისულელე კი უსაზღვროაო". კაცის იდეალურს წარმოდგენასა და აზრს ცხოვრებაზედ, მისს ოცნებას არავითარი ნიადაგი და საფუძველი არ აქვს სინამდვილეშიო. რაღა აზრი უნდა ჰქონოდა თვით ფლობერს ცხოვრებაზედ. კარგად მიხვდებით, ის ეჩვენებოდა მას „დამპალ საჭმელად, რომელიც სუნით იცნობება," რომელიც „თუ გემო იხილე, პირს წაგაღებინებს". კაცთა სისულელის დახატვას მოანდომა ფლობერმა თავისი დიდი ნიჭი. იგივე აზრი ადამიანის ოცნების უნიადაგობაზედ. მის წარმოდგინების უშინაარსობაზედ აქვს გაყვანილი მას ზემოხსენებულს ალლეგორიულს თხზულებაში. იქ არის აღწერილი ერთი

ღამე, რომელსაც საშინელს სიზმრებში ატარებს განდეგილი—უდაბნოში დაყუდებული წმ. ანტონი. მის თვალის წინ დას-დასად გაივლიან საუკუნეთა სარწმუნოებისა და ფილოსოფიის წარმომადგენელნი; ათას ნაირი ენებათა ამაღელვებელი სურათი წარმოუდგება თვალ წინ. ავტორი აჩვენებს მას, რომ ყოველივე სარწმუნოება, ყოველივე ფილოსოფიური, მეტაფიზიკური აზრია, რომელიც ერთ დროს მეფობდა. უფსკრულს დაუნთქავს, და დღეს ჩვენ და გასართობად თუ მოვკიდებთ ხოლმე ხელს ამ სისტემებისა და ამ სარწმუნოებათა ისტორიის შესწავლას. ყოველსავე ამას ცხადად ხედავს იმ ღამეს განდეგილი, მაგრამ მეორე დილას ამოვა თუ არა მზე და თავის განმაცხოველებელს სხივებს მიაფენს მის კარავს, წმ. ანტონი წამოიჩოქებს და დაიწყებს ლოცვას. მაზედ ვერ იქონია ვერავითარი გავლენა წინანდელი ღამის სანახაობამ, მას ჰგონია, რომ მისი სარწმუნოება შეურყეველია. რა ვუყოთ, სხვები რომ განქრენ და არ დასტოვეს კვალი, ის მაინც ჩაეჭიდება თავისს რწმენას, როგორც ხსნის წყაროს. მკითხველი კი გაოცებული რჩება მით, რომ კაცის ოცნების მოყვარეობა, მისი ცრუმორწმუნეობა იქამდის მიდის, რომ კიდევ რაიმე რწმენა შერჩა წმ. ანტონს. აქაც ავტორმა ადამიანის „სისულელის" სურათი დაგვიხატა.

როგორც ხედავთ, დიდი განსხვავებაა ფლობერის ალლეგორიულს თხზულებასა და თ. ჭავჭავაძის პოემას შორის. ი. ჭავჭავაძე გვეუბნება, ვინც ცხოვრებას „განშორებია", მას ვერც ღმერთი დაუკმაყოფილებია, რადგან არც ღმერთსა სურს ამგვარი კაცის მოქმედებაო; გვიმტკიცებს, რომ „სააქაოს დათმობა" შეუძლებელია და მომაკვდინებელია ყველასათვის, ვინც ამას განიზრახავს. ფლობერს კი ცხოვრების გახსენებაზედ „გული ერევა". იგი ადამიანის მოქმედებისა და მისწრაფების უაზრობას და მის უგნურებას მწარედ დასცინის. არც ჭავჭავაძეა ოპტიმისტი, არც იგია აღტაცებული მოტრფიალე ცხოვრებისა, ამ „ბოროტის სამეფოის". წინააღმდეგ მას იმდენზედ შეგნებული აქვს ეს წუთი-სოფელი, „სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა," იმდენად მწარედ აქვს იგი აღწერილი იმავე პოემაში (თავ. III), რომ განსვენებულმა ბოსლეემა მისი პესსიმიზმი, კინაღამ ბაირონის პესსიმიზმზედ უფრო ძლიერად არ იცნო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველს კაცს, და განსაკუთრებით ყოველ შეგნებულს შვილს ცხოვრებისას („განდეგილი") ვალად ადებს-ამ ცხოვრებას არ განშორდეს. აქვე იყოს, იქვე ემსახუროს და კაცობრიობის ტკივილს უეცრად მიაშველოს წამალი. უიმისოდ ცხოვრების დათმობა. მისი ზურგის შექცევა კაცისათვის, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

როგორც შინაარსით, ისე აზრით, ისე გარეგანი ფორმით ძალიან შორს არის თ. ჭავჭავაძის და ფლობერის თხზულებები. მე ლიტერატურულს ღირსებას არ შევეხები. მხოლოდ ვიტყვი, რომ ფლობერის ნაწარმოები უფრო მეცნიერულია, ვინემ ლიტერატურული (სიტყვა-კაზმული მწერლობა

მაქვს სახეში). თუ გინდათ კარგად გაიგოთ ფლობერის თხზულება, ცალ ხელში მითოლოგიური ლექსიკონი უნდა გეჭიროთ და მეორეში ისტორიული. ყოველი სტრიქონი უნდა შეისწავლოთ და გაარჩიოთ, რაიცა ძლიერ უშლის ერთიანი შთაბეჭდილების გამოტანას. თუ ყოველივე ეს თავს არ მოგაწყენთ და თუ მიგაჩნიათ, რომ ლიტერატურული ნაწარმოები მით უფრო ღრმაა და დიდებული, რაც უფრო ბუნდოვანია და გაუგებელი, მაშინ, რასაკვირველია, ფლობერს ირჩევთ. ხოლო თუ ლიტერატურული ნაწარმოები მოგწონთ, როცა შიგ ღრმა აზრებია და ეს ღრმა აზრები მშვენიერის სურათებითაა გამოხატული; როცა ეს ღრმა აზრები მარტივსა და ადვილად გასაგებს სიმბოლოებში არის გატარებული; თუ მიგაჩნიათ ლიტერატურის ნაწარმოების ღირსებად ისიც, რომ სულს არ შეგიხუთავსთ მისი კითხვა, არ დაგღლავსთ და სიამოვნებით რამდენჯერმე გადასაკითხავად მიგიზიდავთ,—მაშინ ი. ჭავჭავაძის „განდეგილს“ ირჩევთ. რასაკვირველია, ფლობერის ნაწარმოები დიდი ქმნილებაა და ზოგიერთი კრიტიკოსები „ფაუსტის“ შემდეგ საუკეთესო ალლეგორიულ პოემად სთვლიან ჩვენს დროში, მაგრამ ისეთებიც არიან, რომელნიც უხერხულად სთვლიან მას, როგორც ლიტერატურულს ნაწარმოებს. რაიცა შეეხება აზრთა სიღრმეს, ძნელია სთქვას კაცმა, რომელი აზრი უფრო ღრმაა და რომელი უფრო ძლიერი, რადგან აზრის არც სასწორზე შეიძლება აწონა და არც ადლით გაზომვა, ხოლო თუ აზრის ნაყოფიერს, მხარეს მიეღებთ მხედველობაში და მის საფუძვლიანობას. მაშინ თ. ჭავჭავაძის პოემის აზრს უნდა მივსცეთ უპირატესობა. მართლაც, უთხარით ადამიანს და დააჯერეთ იგი, რომ ყოველივე მისი რწმენა, ხეირიანი აზრი ცხოვრებაზედ, მისი იმედები და ოცნებები სისულელეა და უმეცრება, რომ მხოლოდ უგნურებაა მიზეზი მისი, რომ იგი იღწვის და სწადიან რაიმე კარგი, რადგან ყოველივე ფუჭია ამ ქვეყანაში, და იგი ან გაპირუტყვდება და გარყვნილების მორევში შესცურავს ანა და დამბაჩას იკრავს შუბლში. ხოლო დაანახვეთ კაცს ცხოვრების ნაკლულევანებები, მისი ცუდი მხარეები, მაგრამ თანაც კარგს მხარეებსაც ნუ დაუმალავთ; დაარწმუნეთ იგი, რომ ავია თუ კარგია, ამ ცხოვრებას ვერ გაექცევა ვერსად, რომ მისი მოვალეობაა, როგორც ამ ცხოვრების შვილისა, მისი გაუმჯობესობა; შეაგნებინეთ მას სიმშვენიერე და კანონიერება ბუნების, ადამიანობისა და ცხოვრების კანონების გონიერება ამცნეთ მას და იგი დაადგება ჰეშმარიტს გზას, რომელიც იმაში უნდა იხატებოდეს, რომ კაცმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს ცხოვრების განკარგებას და მის გარდაქმნას თავისი იდეალის მიხედვით.

დაგვრჩა კიდევ ერთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც ადარებენ ხოლმე „განდეგილსა“,—ლერმონტოვის „მწირი“. კარგად იცით, რომ ეს მწირი ტყვედ წამოყვანილია მთიდან და ერთ მონასტერში დატოვებული ავადმყოფობის გამო. წამოიზარდა თუ არა, უპირებდნენ ბერად აღ-

კვეცას, მაგრამ გაიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ იპოვიან გულ-შეწუხებულს და მოიყვანენ მონასტერში. ავადმყოფობის დროს იგი აღსარებას ეუბნება თავის გამზრდელ ბერს და დაწვრილებით მოუყვება თავისი სულის ტანჯვებს. ერთი აზრი მასულდგმულებდაო, ამბობს იგი:

ცოტა ვიცხოვრე და ეს ცხოვრებაც
ბედშავმან განვლე სულ ტყვეობაში!
აქ, რო შემეძლოს, ამგვარ სიცოცხლეს
ორსა გავცვლიდი, ვფიცავ, მე ერთში.
მხოლოდ ის ერთი რომ ყოფილიყო
ბრძოლით, ქუხილით, ღელვით მდიდარი!..
არვის ემონებდი, მხოლოდ ერთს სურვილს.
მე ვამეფებდი, ის იყო მძლავრი,
ცეცხლის ალმგზნები, ცხოველი ვნება;
გული თვის ჰანგზედ მან ამიელერა,
ვითარცა მღილი ლაბუდდა ჩემში.
სული დამიღრღნა, გამიცამტვერა
ამ სალოცავის ბნელ სენაკიდან
მან განიტაცა ჩემი ოცნება
იმ გრგვინვის, ბრძოლის უცხო ქვეყანას,
სადაც ღრუბლებსა მიებჯინება
გროვა ქვა-კლდეთა, ბუნდოვან მთათა:
სადაც რომ ხალხი თავისუფლებას
როგორც არწივი, ისე შეჰხარის,
მით აფერადებს თავის ცხოვრებას,
ცრემლით და ოხვრით მუდამ ჟამ ეზრდიდი
ღამის წყვდიადში, აა, ამ ვნებას;
აწ აღვიარებ ცის და ქვეყნის წინ
და არვისა ვსთხოვ მის მოტევებას.[1]

ეს აზრი იყო თავისუფლების მოპოვება და სამშობლოში დაბრუნება. მას არ შეეძლო გაეტანა სულის შემხუთველი ცხოვრება „ამა ქვეყნიდან განდეგილ იმათა", იგი შვილი იყო თავისუფლების მოყვარული ხალხისა და მათკენ მიისწრაფოდა. ეს წყურვილი თავისუფლების ცხოვრებისა დაგვიხატა ავტორმა თავისს თხზულებაში. აქ „მწირი" მიილტვის ცხოვრებისაკენ. მას კი ძალით იჰერენ მონასტერში. ძალით უნდათ მოაშორონ ცხოვრებას. მისთვის სულ ერთია, გინდ საპყრობილეში ყოფილა და გინდ ნოხუცი ბერის სენაკში. იგი არც ზოლას პატერივით ეგზალტაციით აღსავსე ბუნებაა, რომ მონასტერში იძიოს სიამოვნება, არც ი. ჭავჭავაძის „განდეგილისთანა" ფილოსოფოსი, რომ უდაბნოში იძიოს მყუდროება და მშვიდობა. იგი ცხოვრებას შეჰხარის. ცხოვრების შვილია; სიცოცხლე სწყურია და არ ანებებენ, ლაღი და დამოუკიდებელი ცხოვრების სიყვარული დაგვიხატა ავტორმა თავისს „მწირში". რა აქვს საერთო ამ აზრს „განდეგილის" აზრთან. კიდევ და კიდევ განვიმეორებთ, რომ ჭავჭავაძის

[1] მწირი, თარგ. გ. აბაშიძისა, თავი III, გვ. 7.

ვმირი შეგნებული არსებაა, გამჭრიახი და დაკვირვებული მცოდნე ცხოვრებისა. იგი ნიჭიერი, სულით და გულით მაღალი ადამიანია, იგი თვით გაურბის ცხოვრებას და ის კი ავიწყდება, რომ ცხოვრებას აზრით თუ გაეჭცევი, თორემ ისე ცხოვრება სულ თან გახლავს, ცხოვრების კანონები უღლად გაწევს კისერზედ. ლერმონტოვის „მწირი“ თუ მაინცა და მაინც ისევ ზოლას რომანის გმირსა ჰგავს. აბატი მურეც ძალა უნებურად დასახიჩრებულია, თვით მისი ეკსტაზები გამოწვეულია იმ გარემოებისაგან, რომელშიაც იგი იზრდებოდა. მას ცხოვრების არა ესმოდა-რა და ის წარმოდგენა ჰქონდა მასზედ რაც ბავშვობიდგანვე ჩაუნერგეს: კათოლიციზმისაგან აღიარებული ასკეტიზმი ეგონა ცხოვრების თავი და ბოლო. როგორც ლერმონტოვის „მწირი“, ისე ზოლას პატერი გაუბედურებულია სხვებისაგან, ულმობელი გარემოებისაგან არის დაღუპული აბატი მურეც ერთგვარი სისტემის მსხვერპლია, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მომსპობელია და დამამხობელი. სხვა მსგავსება არც ამათ შორის არის.

ზოლას რომანი სასტიკი ბრალმდებელი ოქმია ასკეტიზმისა და კათოლიციზმის; ფლობერის თხზულება ცხოვრების უაზრობისა და უმნიშვნელობის ამბავია, ადამიანის უგუნურების სურათია. ლერმონტოვის პოემა რომანტიული, ინდივიდუალური ფილოსოფიის პირმშო შეილია. „მწირი“ უსაზღვრო პირადს თავისუფლებას ელტვის და თავისუფლებაზედ ფიქრი უსპობს სიცოცხლეს. ი. ჭავჭავაძის პოემა კი გვიჩვენებს არა თუ უაზრობასა და უსაფუძვლობას ასკეტიზმისას, გვიმტკიცებს, რომ იგი შეუძლებელია, გვიჩვენებს, რი ჭორა სჯის ცხოვრება მის წინააღმდეგსა და უარმყოფელს შვილებს, აქ ავტორი სოციალურის, საზოგადოებრივის მორალის მოსარჩლედ ხდება: პირად უსიამოვნებას, პირადს ტანჯვასა და მწუხარებას არა სახავს უმთავრეს საგნად ცხოვრებისა; საზოგადოებისა და ცხოვრების სამსახურია საჭირო და აუცილებელი, მისი აზრით (რომელზედაც რასაკვირველია, ყველანი დაეთანხმებიან), ვინც მისდევს პირადს მყუდროებას, ვინც ცდილობს პირადი მშვიდობიანი ცხოვრება მოიპოვოს, იგი შემცდარია, ის სენაკშიაც მოუსვენებელი იქნება და ადრე თუ გვიან პასუხს მისცემს ცხოვრებას. თ. ჭავჭავაძისათვის საზოგადო მოვალეობასა აქვს დიადი მნიშვნელობა. იგი სჯის განდეგილს, როცა ამ მოვალეობას ივიწყებს.

VII

თ. ჭავჭავაძის ფილოსოფია, მორალი და ესტეტიკა საესებით გამოიხატა შესანიშნავ მის პოემაში. ამიტომ საჭიროა, რამდენადაც შევსძლებთ, ყველა ამ საგნებს შევეხოთ აქა.

ქარგათ იცით, ზნეობრივს კითხვათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს, ეგრეთწოდებულს, ზნეობრივს თავისუფლებას, თავისუფლებას ნებისას la liberté morale, libre arditre.

ჩვენის მოქმედებისათვის პასუხს მაშინ ვაგებთ, თუ ჩვენვე ვართ მოქ-

კმედი, თუ ჩვენ ვართ ბატონი ჩვენის მოქმედებისა. ნების თავისუფლებას დამცველნი ამბობენ, რომ კაცის ნება თავისუფალია და დამოუკიდებელი. იგი მას ალასრულებს, რაც სურს, მის სურვილს და მის მოქმედებას საზღვარი არ უდევსო. ალმოსავლეთის ფატალიზმი კი იმას ასწავლიდა, რომ კაცი მონაა ბედისა და იღბლისა, შემთხვევისაო. რაც უნდა ეცადოს, იგი ვერ გადუვა ბედის წერასაო, ბედის გარდაწყვეტილებას ვერ გაექცევაო. ორ აზრთა შორის ეხლანდელმა მორალისტებმა და ფილოსოფოსებმა უფრო მეორის მხარე დაიჭირეს და ფატალიზმის მაგიერად დეტერმინიზმი აღიარეს. ისინი ამტკიცებენ, რომ კაცის მოქმედებაზედ უსაზღვრო გავლენა აქვს ბუნების მოვლენებს, მის ორგანულს თვისებებს, მემკვიდრეობასა და აღზრდას, ცხოვრებასა და საზოგადოებასაო. ყოველივე ესი მოქმედება, აზრი და სურვილი ამ მიზეზებზედ არის დამოკიდებული, პირადად მას არავითარი თავისუფალი ნება არა აქვს და გარეშე ამ მიზეზთა და მათ წინააღმდეგ ვერასდეს ვერ იმოქმედებს. ამგვარად, ზნეობრივი თავისუფლება ოცნების ნაყოფად მიიჩნიეს.

მართლაც, თუ ნების თავისუფლებას ისე მივიჩნევთ, როგორც ძველი ფილოსოფოსები ქადაგებდნენ, იგი ძნელი დასამტკიცებელია და დასაჯერებელი, რადგან ეწინააღმდეგება მეცნიერების უდიდესს პრინციპს: ყოველსავე მოვლენასა აქვს თავისი მიზეზი. ყოველივე შედეგი რომელიმე მიზეზებისაგან წარმომდგარა. ამგვარად წარმოუდგენელია, ადამიანს ჰქონდეს ისეთი რაიმე თვისება, რომელიც გარეშე ქვეყანაში მოვლენას გამოიწვევს და ამ თვისებას არავითარი განსაზღვრა არა ჰქონდეს. ასე რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ნება წარმოუდგენელია და შეუძლებელი. მხოლოდ ეს კი უნდა ვიფიქროთ, რომ კაცის მოქმედებისა და მისი ნების განსაზღვრული მიზეზები მეცნიერების ესლანდელს მდგომარეობაში სავსებით ვერ გამოირკვევა. მრავალი მოძრაობა აქვს კაცის სულს, რომლის მიზეზი, დასაბამი და წარმოება დღეს დღეობით „გამოუცნობელია". ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ესა და ეს მოქმედება ამ ადამიანისა შედეგია მისი აგებულებისა და ბუნების მოვლენათა ზედგავლენისა, მემკვიდრეობისა და აღზრდის. ბრალია, გამოწვეულია საზოგადოების ამა თუ იმ წყობილებისაგან და კაცთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების ნაყოფია. მაგრამ ყოველივე მოქმედება რთულია, ყოველსავე მოვლენას მრავალი მხარე აქვს, განსაკუთრებით კაცის სულიერ მოვლენებს. ჩვენ შეგვიძლია კაცის სულის მოძრაობის რამდენიმე მიზეზი გამოვიკვლიოთ, მაგრამ რამდენიმე მაინც გამოურკვეველი და გამოუცნობელი გვრჩება. აი, მაშინ აღგეებრის ხოლმე კითხვა ნების თავისუფლების შესახებ და ვამბობთ, აქა და ამ მოქმედების ავტორია ეს კაცი. იგი მოქმედობდა თავისუფლად და გარეშე მიზეზთაგან არ იყო იძულებული ასე მოქცეულიყო. უფრო ხშირად თვით მოქმედ პირს დაებადება ასეთი აზრი თავისს ზნეობრივ თავისუფლების შესახებ. მე მოვიმოქმედე ესა და ეს ამა და ამ მიზეზების გამო. მაგრამ, ვგრძნობ, რომ კიდევ იყო რაღაც ამისი მიზეზი და ეს მიზეზი

ჩემთვის გამოუცნობელია. მაშინ მე ჩემს თავს. ჩემს შინაგან არსებობას ვსთვლი თავისუფალ და დამოუკიდებელ მომქმედად. ყოველს შემთხვევაში, ჩემს მოქმედებაში უპირატესობა აქვს ჩემს არსებითს, სულიერს თვისებას: ჩემს აზრებს, ჩემს გონებასა და გრძნობას და არა გარეშე მოვლენას: კლიმატიურს ცვლილებას და გინდ ჩემი ორგანიზმის მეტ-ნაკლულევანებას. მე მოვკალი კაცი მისთვის, რომ შეურაცხყოფა მომაყენა. ეს მოხდა ცხელ ზაფხულის დღეში. მე ვამბობ. მე მოვკალი კაცი იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მომაყენა. რა ვუყოთ მერე? განა ცოტა არის ისეთი კაცი, რომლისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, მაგრამ კაცი არ მოუკლავს. მე ვარ ფიცხი ადამიანი.—ათასი კაცია ფიცხი, მაგრამ ამავე შემთხვევაში კაცი არ მოუკლავს. ცხელი დღე იყო და გვარწმუნებენ, რომ სიცხეში კაცი ჩვეულებრივად ნორმალური არ არის. სისხლი უდუღს, თავი უხურს,—სხვაც მრავალია ასეთს მდგომარეობაში, მაგრამ კაცს არა ჰკლავს. ერთი სიტყვით, რამდენი მიზეზიც უნდა მოიყვანოთ. კიდევ რჩება რაღაც თვით ჩვენს არსებაში გამოუცნობელი, რომელიც უნდა აღვიაროთ მთავარ მიზეზად ჩვენის მოქმედებისა. გარეშე მიზეზებს ჩვენზედ გავლენა აქვთ,—ვინ არის ამის წინააღმდეგი; ხოლო ამ გარეშე მიზეზებს სხვაზედაც აქვს გავლენა, მხოლოდ ის არ იქცევა ასე, არამედ მარტო მე ვიქცევი. და რადგან ერთგვარს მიზეზს, ერთგვარი შედეგიც უნდა მოჰყვეს, და, თუ ეს ასე არ არის, ჰგავს მიზეზთა შორის ერთი რამ გამომეპარა, ვერ გამოვიცან რომელმაც ეს სხვაგვარი მოქმედება გამოიწვია.

ამ ბოლოს დროს დეტერმინიზმის თეორიამ სწორედ ამგვარი მიმართულება მიიღო: კაცის მოქმედებაზედ, მართალია, გავლენა აქვს გარეშე მოვლენებს, მაგრამ უპირატესობა შინაგანს, არსებითს მიზეზებს ეძლევა. ადამიანი არის ერთგვარი შუა გული (milieu), რომელიც გადაადუღებს ხოლმე გარეშე გავლენებს და თავისებურს მოვლენას გამოიწვევს. კაცის მოქმედების მთავარი მიზეზი, წყარო და დასაბამი კაცის სულიერი, ფსიხოლოგიური არსებაა და არა გარეგანი გავლენანი. ამგვარად, კაცი არის ავტორი თავის მოქმედებისა და მისთვისავე პასუხის მგებელი.[1]

ამ საგანს, რომლის სავსებით გამორკვევის ადგილი აქ არ არის, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველისავე თხზულების გარჩევაში; და ყოველისავე მწერლის ნაწარმოებში ნათლად ჩანს, ავტორს რა შეხედულება აქვს კაცის მოქმედების თავისუფლებაზედ. ყოველივე მწერალი ან ავტომატად მაშინაც დაგვიხატავს თავისს გმირს (ან კი შეიძლება, ტიკინს გმირი ვუწოდოთ?) და ან ნამდვილს მოქმედ პირად, რომელიც გონიერი და გრძნობიერი ადამიანია და მოქმედებს ისე, როგორც ადამიანი და არა პირუტყვი.

[1] იხილე, Tarde, la-philosofie penale, Alf. Feuillée—L' hibertè et le determinisme; ეს მეორე ფილოსოფოსი გვიმტკიცებს, რა გავლენა აქვს თვით აზრს ნების თავისუფლებისას კაცის მოქმედებაზედ. ამ აზრს იგი სთვლის ერთ-ერთ ძალად, რომელიც განსაზღვრავს კაცის მოქმედებას.

ესლა ვნახოთ, რა აზრს ადგიან ამ შემთხვევაში თ. ჭავჭავაძე და ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებებზედაც ლაპარაკი გვქონდა.

ფლობერი დეტერმინისტია, უკიდურესი დეტერმინისტი და თანაც პესიმისტი. მისი აზრით, რაც უნდა ეცადოს და რაც უნდა ისურვოს ადამიანმა, იგი ბოლოს მაინც სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდეს, რადგან ცხოვრება მწარეა. „დამპალი საქმელია“, მისგან სიაციის მეტს არას უნდა ელოდე. კაცის სისულელე მხოლოდ ის არის, რომ რასმე კეთილს ელის ცხოვრებიდან, რაიმე სიტკბოებას ელტვის და მოელის,—იგი ყოველთვის ამ სისულელის მსხვერპლად ხდება. ქალი, რომელიც სიყვარულისთვის არის შექმნილი და ისე ეძიებს სიყვარულს, როგორც ძალიან მწყურვალე კაცი წყალს, ვერას ჰპოვებს გარყვნილებისა და განკიცხვის მეტს და ბოლოს სასოწარკვეთილებაში შთავარდნილი, თავს იწამლავს („მადამ ბოვარი“); ახალგაზრდა კაცი ათასგვარი ოცნებით და იდეალებით გატაცებული, შევა თუ არა ცხოვრებაში, ხდება მხოლოდ მოწმე მისი ოცნების კოშკის დამხობისა და უბრალო ხავს მოკიდებულ მეწვრილმანედ იქცევა. (l'education sentimentale) წმ. ანტონი თვალით ხედავს, რომ ყოველივე ფილოსოფია და სარწმუნოება ჰქრება, როგორც წინა წლის თოვლი. ზოლა მოწაფეა ფლობერისა ყოველისფერში, როგორც რომანის ფორმაში, ისე აზრში. იგიც უკიდურესი დეტერმინისტია და პესიმისტი. კაცი პირუტყვია, მისის აზრით, ცხოვრებას განაგებს ბოროტის ღმერთი, მხოლოდ ის რჩება გამარჯვებული. ვინც ბოროტებას ემსახურება. ყოველი კაცი გარეშე ზედ — გავლენათა მონაა, ბუნების კანონებისა და მოვლენების ყურ-მოჭრილი ყმაა. ყმაწვილი პატერი ბუნებრივ გრძნობას იკლავს, მაგრამ ამის მიზეზი მისი ძლიერება კი არაა, მისი ავადმყოფი ბუნებაა; იგი ფსიხოპატია და არა ნორმალური ადამიანი, იეზუიტიზმის სისტემის აღზრდისაგან დამახინჯებული. მის ავადმყოფობისა და სულიერის დასახიჩრების მსხვერპლად ხდება საწყალი სიცოცხლით აღსავსე ქალი. ლერმონტოვმა კი თავისი გმირი ისეთს მდგომარეობაში ჩაყენა, რომ ძნელია რაიმე ითქვას, მისის სულის ღრმიერების შესახებ. კაცს თუ ხელსა და ფეხს შეუკრავ, დაამწუხდევ და მოქმედების ყოველ საშუალებას მოუსპობ, ის მაშინ კაცი კი არა, ხეა. იარაღია მისს ხელში, ვისაც დაუტყვევებია. ამ შემთხვევაში კაცს არ შეუძლიან გამოიჩინოს ხასიათი და ნების ძლიერება. მაგრამ ლერმონტოვი მაინც კაცის ნების თავისუფლების მომხრეობას იჩენს, რადგან ვერც დატყვევებამ და ვერც აღზრდამ ვერ მოუსპო მწირს თავისუფლებისა და ლაღი ცხოვრების მოყვარეობა,—თვისება, რომელიც მთიელი ხალხის განუყრელსა და დაუფასებელს მხარეს შეადგენს.

თ. ჭავჭავაძე ამ საგანშიაც სრულიად ახალს გზას ადგას. იგი დეტერმინისტია, მაგრამ იმ აზრით, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მისი დეტერმინიზმი უფრო იდეალურია. მართალია, კაცზედ გავლენა აქვს გარეშე ძალებს, მის ბუნებრივს გრძნობებს, მაგრამ სულიერი მხარე ადამიანისა

პაინც ძლიერია. თ. ჭავჭავაძის აზრით, კაცში მსეცური ძალებიც ღონიერია, მაგრამ დიდი ადგილი უჭირავს სულიერს თვისებასაც. კაცი მოქმედებს თავისი ნებით, იმ ნებას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა შორის კაცის არსებითი მხარე პირველია. მთელი ინტერესი პოემისა, მთელი მისი დრამატიზმი სწორედ იმაშია, რომ განდეგილი კაცია, ადამიანი და არავითარი ადამიანური მას არ ეუცხოება. მაგრამ თანაც განდეგილი ისეთი კაცია, რომელშიაც სულს ხორცზედ უპირატესობა აქვს: დაინახა თუ არა ყმაწვილი ქალი „სავსე სიცოცხლით," მაშინ ბუნებრივმა გრძნობამ გაიღვიძა. ის-ის იყო კისრად არ დაემორჩილა წუთიერს გატაცებას, გულში კიდევაც იმრუშა, გულის-თქმით შესცდა, მაგრამ უეცრად გაახსენდა თავისი აღთქმა ღვთის წინაშე, თავისი მოვალეობა და მოშორდა საცდურს. სძლია ბუნებრივი გრძნობა, თუმცა ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება, დიდი ბრძოლა დასჭირდა ამისათვის. აი თ. ჭავჭავაძის დეტერმინიზმი: ბუნებრივი ძალების სრულიად მოსპობა არ ძალ-გვიძს, რადგან შვილნი ვართ ბუნებისა; ამგვარად ჩვენი ნება შეზღუდულია. ხოლო ჩვენ შეგვიძლია ეს მაცდური ძალები შევაჩეროთ და მათის ზედ-გავლენის წყალობით აუკიდურესობამდის არ მივიდეთ. ამ შემთხვევაშიც არა ვართ არულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება უფრო იდეალურია, ჩვენ ჩვენს აზრზედა ვართ დამოკიდებული, ჩვენი გონებისა და გრძნობის მონა ვხდებით, ეს იგი ჩვენი ბატონი ჩვენვე ვართ. ჩვენი უფალი ჩვენი არსებითი, სულიერი მხარეა, კაცის მოქმედებაზე ამგვარი შეხედულება პოეტისა, უფრო ღრმა საფუძველს აძლევს პოემის მთავარ აზრს. მართლაც, წარმოიდგინეთ, რომ ჭავჭავაძეს ღაეხატა ისეთი არსება, რომელიც მოკლებულია ყოველსავე ადამიანურს თვისებებს. ჰაეროვანი არსება. რომელიც მარტო სულით სცხოვრობს, ეს ჩვენთვის საინტერესო არ იქნებოდა, რადგან არავითარი დამოკიდებულება არ ექნებოდა ჩვენს ცხოვრებასთან, ან და წარმოიდგინეთ, დაესურათებინა ან ფსიხოპატი ზოლას გმირივით, ან და სულით სუსტი ადამიანი, რომელიც დღეს ვიღაცას გაუჯავრებია, ამიტომ ქვეყანა შესძულებია, განდეგილა და დაყუდებულა, ხვალ ლამაზი და ტურფა არსება დაუნახავს, იმას გაუტაცნია, „ძირითად მოთხოვნილებათათვის" წინააღმდეგობა ვერ გაუწევია და ისევ ცხოვრებას დაჰბრუნებია. განა პოემას მაშინ ასეთი დიდი ინტერესი ექნებოდა? ან და ასეთის ძლიერებით დაგვანახვებდა ავტორი, რა ძლიერია ცხოვრება და რა შემცდარია, ვინც მას გაურბის, შემცდარია, რადგან ცხოვრება არც ასე საზიზღარია, რომ შიგ არა მოიპოვებოდეს-რა მიმზიდველი და სიცოცხლის დამაამებელი, თუგინდ ტურფა ქალიც იყოს იგი; შემცდარია ვინც „გაშორდება საწუთროს", რადგან ეს შეუძლებელია ისეთი სულით მხნე ადამიანისათვისაც კი, როგორიც განდეგილი იყო.

თვით აზრი, მორალი პოემისა, ამ სახით გამოთქმული, კიდევ ერთს

მის ღირსებათაგანს შეადგენს. არავითარი კატეგორიულად გადაჭრილი პრინციპი, ანუ გეგმა მოქმედებისა არ წამოუყენებია ავტორს. ცხოვრებას მრავალი მხარე აქვს, ცხოვრებაში მოქმედება რთულია და მრავალგვარი. მას ვერავითარი კალაპოტი ვერ დაიტევს, მხოლოდ შეასუსტებს და შეაფერხებს. პოეტი გეუბნებათ მხოლოდ: ამას ნუ მოიმოქმედებთ, შეუძლებელია და არა სანატრელი. ცხოვრებისადმი მიიქეცით, „ნუ აარიდებთ თვალს, როგორც ერთს რასმე ჭირიანს", ემსახურეთ მას და როგორ? ეს თქვენი საქმეა.

რაკი გამოვირკვიეთ მთავარი აზრი თ. ჭავჭავაძის პოემისა, მისი მორალური ფილოსოფიაც შევიგენით, ეხლა შევეხოთ მხატვრობითს მხარეს მისი თხზულებისას და ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ფორმა შინაარსს. რამდენად ეკადრება გარეგანი სამოსელი ისეთს მაღალსა და ღრმა ზნეობრივ აზრს, რომელიც შეადგენს ამ პოემის ერთ დაუფასებელს ღირსებათაგანს[1].

---

[1] ეს პოემა ლეგენდაზედ არის აშენებული, როგორც თვით ავტორიც გვაჩვენებს (პოემის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში სიტყვა „ლეგენდა"—ა ჩასმული). ეს ლეგენდა ძლიერ წააგავს ძველ ქრისტიანეთაგან დარჩენილს თქმულებას წმ. მარტინიანის შესახებ) („Бегство от женщины")ჟურ. „ნივა"-ს წიგნაკები 1895 წ. № 5). ერთი ლამაზი ქალი ურიგო ყოფაქცევისა დაენაძლევება თავისს მოტრფიალეთ, წმ. მარტინიანის შეცდენაც შემიძლიაო და წავიდა მარტინიანის სენაკში. გზაზედ საშინელი ქარიშხალი მოეწევა; მივა წმ. მარტინიანთან მწყემსი ქალის სახით და სთხოვს, ღამე გამათევინეო. იქ ქალი დაუწყებს ბაასს ასკეტიზმის შესახებ და მოჰყვება იმის დამტკიცებას, რომ სიყვარული ღვთისაგან არ არის აღკრძალული და დაბადებიდან მოუყვანს მაგალითებს. ღამე მშვენიერის ტანისამოსითა და ძვირფასის ნივთებით მორთული გამოეცხადა წმ. მარტინიანს. წმ. მარტინიანი აღტაცებული დაეკონება ტურფა ქალის ბაგეებს. მაგრამ მეორე დილაზედ გამოერკვევა, თავისს დანაშაულს შეიგნებს, კოცონს გააჩაღებს, ზედ შესდგება და მთლად დაიხრაკავს ფეხებს, რათა დაისაჯოს თავი და განსაცდელსაც გადარჩეს. წმ. მარტინიანის მოქმედება ისეთს გავლენას იქონიებს ქალზე, რომ თვით იგი შედგება მონოზნად, წმ. მარტინიანი კი გადიკარგება სადღაც უდაბნო კუნძულზედ, იქიდან სხვაგან და ამგვარად გაურბის მთელს თავის სიცოცხლეში დედაკაცის მომხიბვლელ არსებას, სანამ სულს არ დალევს.

როგორც ხედავთ, თ. ჭავჭავაძის პოემის არაკს დიდი მსგავსება აქვს ამ თქმულებასთან, მაგრამ არსებითი განსხვავებაცა აქვს.

თვით ქალი, წმ. მარტინიანის შემაცდენელი და განდეგილის მომხიბვლელი, სულ სხვა და სხვანი არიან. პირველი განგებ სცდილობს მოხიბლოს წმ. მარტინიანი, ხოლო მეორეს ეს აზრადაც არ მოსვლია, ამიტომ ჭავჭავაძის განდეგილი უფრო სისუსტეს იჩენს ხასიათისას. სამაგიეროდ განდეგილი იმ ზომამდის არ შემცდარა, როგორც წმ. მარტინიანი. საუბარი დედაკაცისა წმ. მარტინიანთან და განდეგილთან სხვაგვარია, პირველს გაქნილი ქალი ელაპარაკება, მისი სიტყვა პასუხი ხერხიანია და მაცდური, მეორეს კი გულ-უბრყვილო მწყემსი ქალი ებაასება; მისი სიტყვა მარტივია და თავისავე სიმარტივეში ჰპოებს ძლიერებას. განდეგილი ცხოვრებას გაექცევა, თავისი შეხედულების გამო ამ ცხოვრების შესახებ, იგი გულ მწყლული ფილოსოფოსია. ხოლო წმ. მარტინიანი უფრო ფორმის აღსასრულებლად ეტანება ასკეტობას, ეს თავისებური ფანატიკოსია. მთავარი სარწმუნოებრივის თქმულებისა რასაკვირველია, ძალიან განსხვავდება საერო პოემის აზრისაგან და ფორმა ხომ სრული კუთვნილებაა თ. ჭავჭავაძისა. არაკის მსგავსება კი იოტის ოდენადაც არ ამცი-

ჩვენ უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, როგორის სელოვნებით აღგვიწერს ავტორი განდეგილის სულის მოძრაობას ტურფა ქალის დანახვის შემდეგ.

განდეგილის ფსიხოლოგიის დასასურათებლად თ. ჭავჭავაძე ერთს მეტად ხერხიანს და ესტეტიკაში საუკეთესოდ მიჩნეულს საშუალებასა ხმარობს და კიდევაც მიაღწევს ამით თავისს აზრს. მან დაუპირდაპირა „კუშტსა და მწყარალს“ განდეგილს სიცოცხლითა და ცხოვრების შეხედულებით აღსავსე ყმაწვილი ქალი. ეს დაპირდაპირება ანტიტეზი. სწორედ მხატვრული ხერხია, ფერადთა შეხამებაა იმ აზრით, რომ ერთმა ფერადმა უფრო თვალსაჩინოდ გაჰხადოს მეორე. განდეგილისა და მწყემსი-ქალის ურთმანეთთან შედარება ორისავე პირის სულიერს და ხორციელს სურათს უფრო სავსებით გვაჩვენებს და წარმოგვადგენინებს.

განდეგილის აღწერაში პოეტი გვაგებინებს მის ჰაეროვნებას, მისს „სულით სიწმინდეს“ და სიძლიერეს, რომელსაც ხორცი უძლურ-უქმნია, თ ი თ ქ მ ის გაუნადგურებია. თ ი თ ქ მ ი ს მეთქი, ვამბობ, რათა ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავტორი არა ხედავს „შესაძლებლად მთლად გაძევებას ამ მხარისას ადამიანის ბუნებიდან. „არ იყო ხნიერი“, ამბობს პოეტი, „მაგრამ ვით წმინდანს“

სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წუნარი და ტკბილი
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება კდემით მოსილი.
თითქოს ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდასა იგი წამებულს.
შრაკალ გზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ღუეით მოსილსა და განდიდებულს.

ებს პოემის ღირსებას. თვით უკვდავი შექსპირის საუკეთესო დრამების არაკი ნაკლებია.

ჩვენთვის აქ მხოლოდ ის არის საინტერესო, ავტორმა თავისი პოემის არაკი პირდაპირ ამ თქმულებიდან ისესხა, თუ ჩვენს ხალხშია ამგვარი ლეგენდა დარჩენილი. ზემოხსენებული თქმულების ზედ-გაველენის ქვეშაა დაწერილი უთუოდ აკადემიკოს ანატოლი ფრანსის შესანიშნავი მოთხრობა „ Thais “ აქაც განდეგილისა და კურტიზანკას შებრძოლებაა, რომელიც იმით თავდება, რომ განდეგილი კურტიზანკის აზრებს შეითვისებს და უარყოფს ასკეტიზმს, ხოლო კურტიზანკა ასკეტურს აზრს დაეწაფება და მგრძნობელობასა და ხორციელობას ზურგს შეაქცევს.

ყოველს სიტყვაში, ყოველს წინადადებაში ხედავთ, რომ აქ „საქაოს“-თან, ამ წუთი-სოფელთან, ამ საწუთრონოს“-თან ან საქმე არა გაქვთ.

ეხლა დააკვირდით ქალის აღწერას. პოეტი მისი გამოჩენისთანავე გვაგრძნობინებს ხორციელი ადამიანის სიახლოვეს. მასთან ერთად ცხოვრების ძლიერი სიო შემოდის ,განდეგილის სენაკში და მთლად ერთიანად შესცვლის როგორც გარეგან სახეს სენაკისას, ისე სულიერს ვითარებას მასში შეფარებულის მწირისას. ეს ქალი მხოლოდ მიწიერსა და ხორციელზე ფიქრობს. მას არც განსაცდელი მოსდის ფიქრად და არც მაცდური; ეს ფიქრები მხოლოდ განდეგილს უნდა მოსვლოდა, რომელიც თავისი სულის მყუდროებას ისე იცავდა, როგორც იდეალს, ძვირფასს განძს, მაშინ როდესაც განდეგილი შემოსელისთანავე ამას ჰკითხავს ქალს: „ვინა ხარ? კაცი თუ მაენე. აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“ მწყემსი ქალი მხოლოდ სიკვდილისაგან თავის დახსნას სცდილობს და ვერც კი გაუგია ისეთი კითხვა: „მიხსენ, ღვთის მადლსა. სიკვდილისაგან... რა დროს კითხვა ა? შემიბრალე და ნუ დამიჭერ ჭერსა“. შედგა თუ არა სენაკში ფეხი, პირველი მისი სიტყვა ეს იყო: „უჰ, უჰ, რა მციეა. სთქვა მან სტუმარმან, ღამის გავშეშდე სიცივისაგან!“ ეი პირველი ფიქრი და ზრუნვა ხორციელის ბუნების შვილისა.—თავისი ბუნების, ფიზიკურის მხრის დაცვა და დაფარვაა.

●

ქალს იმნაირად დაგვიხატავს ავტორი, როგორც იგი განდეგილს ეჩვენებოდა და იმ შთაბეჭდილებას გვაჩვენებს, რომელიც ქალმა იქონია განდეგილზედ. ამ უდაბურს ოთახში, სადაც ზნეობრივი სისასტიკე განდეგილისა ყოველს კუთხესა და ყურს ეტყობოდა, სადაც სინათლეც ძლივს შედიოდა და სადაც სიკვდილის სუნი უფრო იყო—ვინემ სიცოცხლისა, ქალი რაღაც უცნაურის შარვანდედით ივსება, მკითხველსაც რაღაც საოცრად ჰხიბლავს. განდეგილი ხომ მთლად აღტაცებულია, რადგან დიდი ხანია, იგი მოკლებულია ცხოვრების ყოველისავე ნიშანის ნახვას. დამერწმუნებით, მგონი, მაზედ, რომ ეს ქალი ასე წარმტაცად არ ეჩვენებოდეთ არც იმ მწყემსებს, რომელთაც ყოველ დღე უნახავთ იგი და არც იმას, ვინც ცხოვრებაში ყოველ დღე მონაწილეობას იღებს, და ხშირად უნახავს „სიცოცხლით სავსე“ ტურფა ქალები.

სოლო რა შეჰქი იმა ცეცხლასა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალწინ წარმოედგინა,
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით
ნაზად ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა
ეით მინდვრის მშვენი ყელ-მოღეროებით.
ეშხითა შფრქვევსა მის შავსა თვალებს
თეით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
ძის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,

ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა.
თვით მაღალს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორც-სხმელად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს—ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად;
მაშინაც ვინ სთქვას,—ვინ ვის აწვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს..

შეხედეთ რა ენების ენითა სწერს პოეტი, შეხედეთ, რამდენი სიცოცხლე სდუღს და გადმოდის ყოველ მის სიტყვაში. დააკვირდით რა რეალიზმით აქვს ავტორს აღწერილი მომხიბვლელობა ქალის სიმშვენიერისა. განდეგილს თუ „კუშტადა და მწყრალად" ჰგვიჩვენებს, თუ იქ ის სრულიად გვავიწყებს ამ ქვეყნიერებას, —აქ ცხოვრების შუაგულია, ცხოვრების მოძრაობაა, უძლიერესი ძალა სიცოცხლისა გადმოსჩქეფს ყოველ სტრიქონიდან და ძალა-უნებურად გიტაცებთ აქ, ამ ქვეყნისაკენ, ამ მწარე და თანაც ტკბილი წუთი-სოფლისაკენ.

ცეცხლიც კი მისს თვალებს „სითბოს ეცილებოდა", „მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი, ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა", და „ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს, ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა"; თვით მკითხველიც რაღაც ნეტარ·სითბოსა ჰგრძნობს ამ მშვენიერის სურათის წინ, იმ სითბოს, რომელიც განდეგილს „გულს ჩაეფინა ნელი და თბილი". თვით მკითხველი ჰგრძნობს რაღაც·სიცოცხლეს ამ სახის წინაშე, რომლის უკეთესს ვერ ინატრებდა თვით ტრფობის მადლი „თავის სიცხოვლის გამომსახველად" (აქაც სიცხოვლე არ დაივიწყოთ). შეხედეთ, რა ხორციელი აღწერაა, რა ბუნებრივი და მხოლოდ მარტო რა ბუნებრივი გრძნობებით აღსავსეა ეს სტრიქონები: „მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით, გულმკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!" მის ღაწვზე „ეშხსა, ვითა·იადონს ვარდზედ", სული დაულევია, „მისი ღიმილის გრძნეული ჯადო ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა და იმა წვევის მაცდურებასა ზეარსთა ძალიც ვერ·გაუძლებდა..." და ამას საწყალმა მწირმა ველარ გაუძლო, აი მთლად მთელი სურათი იმ ქალისა უმაღლესის და უკეთესის რეალიზმით აღწერილი. იგი მხოლოდ·სიცოცხლეზედ გაფიქრებინებთ, მხოლოდ ცხოვრების მღელვარებას გიხატავთ და ბუნებრივს, ა ქ ა უ რ ს, გრძნობებს გიშლით. არა თუ მარტო გარეგანი სახე, მთელი მოქმედება ამ ქალისა, მისი აზრები, მარტო ცხოვრების ფილოსოფიაა, რეალური ფილოსოფიაა. მისგან შორს არის ყოველივე აზრი „განდეგილობა"-ზედ, ცხოვრების უარყოფაზედ, იგი განხორციელებული ცხოვრებაა, იგი ცხოვრების შვილია სიცოცხლის

მიტრფიალე, იგი თვით ჰფენს თავისს გარშემო სიცოცხლეს. აილეთ მისი ლაპარაკი განდეგილთან, ეს საუცხოვო დიალოგი, რომელიც ფრიად მაღალს ფასსა სდებს როგორც ავტორის მხატვრობით ნიჭს. როგორც მისს ფსიხოლოგიის სიღრმესა და სინაზეს, ისე მისს ფილოსოფიის ძლიერებასაც.

ქალი ცხვრის ფარას უდგია, და, თუმცა მამამ გააფრთხილა, ძყინვარს ნუ ენდობიო, იქ ცვალებადი ამინდი იცისო, მას ყოველივე ეს ავიწყდება, როცა ბუნების დიად სურათს ხედავს და გაშტერებული აღტაცებული პოეტივით შესცქერის მზეს, რომელიც „ღვთის სახესავით გარს შუქ-მოსხმული მთის წვერზედ ბრწყინვალებდა", და აქვე კი თავს იმართლებს: „მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, კარგ სანახავზედ ნუ ხარო ხარში?" კარგად ესმის მოვალეობა, „მამის ურჩსაო", გაუგონია, „გზა თურმე არსად არ წარემართა", მაგრამ ისიც ესმის, რომ შეუძლებელია კარგს სანახავს ცხოვრებისას, სიცოცხლის გამომხატველს სურათს ბუნებისას გვერდი, აუქციო. და ღრმა აზრიანი სიტყვები ქალისა „მაგრამ რას იზამ?" პასუხია განდეგილის მთელი ფილოსოფიისა—განუდეგ და მოშორდი საწუთროს, „მაგრამ რას იზამ, რომ ვერ შეასრულებ ამას". ეს თითქო წინასწარმეტყველებაა ამ ქალის პირში, რომ არა თუ ის, თვით განდეგილიც, რომელიც სულ ამის ცდაში ატარებდა სიცოცხლეს, ვერ შეასრულებდა ამ სოფლის დათმობას.

განდეგილი, თან-და-თან ჰგრძნობს ამ ბაასის დროს ძლიერებას იმა ქალისას, ამ სიცოცხლით სავსე ადამიანის შვილისას და ცდილობს დაუმტკიცოს, რომ „განდეგილობას" რეზონი აქვს, მაგრამ ყოველივე მისი საბუთი უფრო და უფრო სუსტდება, მაშინ როდესაც ქალის ყოველი სიტყვა უფრო და უფრო ძალას იკრებს. „მოშორდი", ეკითხება ქალი, „წუთისოფელს და აქ სულ მარტოკა ხარ?" „ეგეთი არის, ჩანს ნება ღვთისა", ამის მეტს პასუხს ვერ პოულობს განდეგილი. ქალი ამით არ დაკმაყოფილდა და მთელ თავისს ფილოსოფიას მოუყვება:

„როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?"
...აქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
...ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთი-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აილოს ხელში?

განდეგილი რომ განყენებულს საფუძველს იძიებს თავისი აზრის დასამტკიცებლად, ზენაარს ეტანება და „ღვთის ნებას" იწოდებს; ქალს მთელი თავისი აზრი თვით ცხოვრებაზედ აქვს აგებული, იქ პოულობს ძლიერებას და სიცოცხლეს მისი სიტყვები; მისი კითხვები ცხოვრების კითხვე-

ბია, ძლიერი და მახვილი, რომელიც უეცრად უთხრის საფლავს განდეგილის აზრს.

ცხოვრების ლოღიკით აღჭურვილი, საოცარის ხელოვნებით დაიმონავებს განდეგილს უბრალო, უვიცი ქალი. პირველი გამარჯვება ქალისა აზრით იხატება განდეგილის იმ სიტყვებში, სადაც იგი ქალს უბედურად ჰხდის, სხვას რაღაცას და ვიღაცას აბრალებს, ასეთი ბედი რომ ერგო, და ასეთი გზა ხსნისა შეხვდა. აზრის გამარჯვებას, ხორცით გამარჯვება მოჰყვება. ქალის გამარჯვება სიმბოლოა ცხოვრების ფილოსოფიის გამარჯვებისა, რომელიც იმას კი არ ამბობს, რომ ვითომ ცხოვრებაში ყოველივე ნათელი და კარგი იყოს, არც იმას, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი ბინძური იყოს, და მაინც ეს სიბინძურე სჯობდეს არარაობას. არა, ცხოვრებაში ბევრია ცუდი, ამბობს ეს ფილოსოფია, მაგრამ თანაც ბევრი კარგია. ჩვენი დანიშნულება არის, კარგი განვავითაროთ და ცუდი მოვსპოთ, დავამხოთ. შეიძლება არც იმის წინააღმდეგი იყოს ეს ფილოსოფია, რომ ცხოვრება - ფუჭია და ამაოებაა", როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი, „მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას. გვესმას მშობლისა".

ძლიერს მხატვრობით ნიჭს იჩენს ავტორი ქალის სიმშვენიერის აღწერილობაში, ისეთს სიძლიერეს იჩენს, ისეთს საოცარს ხელოვნებას, რომ მე მგონია ამ აღწერილობით შეგვიძლია თავი მოგვქონდეს.[1] ავტორი სამაგალითოდ ასრულებს იმ კანონებს, რომელიც ესტეტიკას მიუღია ლესსინგის შემდეგ და რომელიც უფრო ისტორიული კანონებია, ვინემ სახელმძღვანელო მწერლისათვის, რადგან მისი აღსრულება შეუძლია მხოლოდ ნიჭს, ტალანტს ულესინგოთაც. ხოლო უნიჭო პოეტს და მწერალს ამ à posteriori შედგენილის კანონებით ხელმძღვანელობა ზიანსაც თუ მისცემს, თორემ დიდ სარგებლობას არა. ჭავჭავაძე სულაც არ აგიწერთ დაწვრილებით არც ცხვირს, არც ტუჩს, არც თვალებს ქალისას,

---

[1] ჩვენ გვინდა, რომ რამდენათაც შეგვიძლია, ყოველივე წვრილმანი გავარჩიოთ ამ პოემაში. ამიტომ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავსტოვოთ შემდეგი: ლესსინგს თავის „ლაოკოონში" აქვს მოყვანილი არიოსტოს პოემიდან (Orlando Furioso c VII st. 12). ქალის სილამაზის აღწერა. ერთ ადგილას ვნახეთ ფრაზა, რომლის გავლენის ქვეშაც შეიძლება დაწერილი იყოს თ. ჭავჭავაძის პოემის ორი სტრიქონი.

„თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა".

არიოსტოს ასე აქვს ნათქვამი ქალის ცხვირზედ: „ცხვირი ისეთი სწორი ჰქონდა, რომ თვით შური ვერას უპოვიდა გასასწორებელსა"-ო. თ. ჭავჭავაძეს ზემო მოყვანილი ფრაზა აქვს ნახსენები მთელის სახის შესახებ და ამიტომ ბევრად უკეთესად გამოდის, რადგან უმწიკვლო და უნაკლო მშვენიერების იდეალს მთლად მთელი სახისას წარმოადგენინებს პირსაც. სახის ერთ ნაწილზედ კი, ისიც ცხვირზედ, გადაჭარბებული სიტყვების ხმარება უხერხულია, რადგან ამ აზრს დაგიბადავთ, რომ ეს ნაწილი ასეთია, მაგრამ ჰქავს სხვა ისეთი სრული ვერა ყოფილარაო, და ეს უშლის ერთიან შთაბეჭდილებას. სიმეტრიის კანონებს არღვევს.

არც მის წარმატებისა და წამწამს. მისთვის საკმაოა, გითხრათ, რომ ამ ქალის ეშხიან თვალების „სითბოს თვით ცეცხლი ეცილებოდა", რომ მისი ბაგე „ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა". რომ მისი სიტურფის შექმნას თით-ქო ერთად ცდილან „თვით სიყვარული და ნეტარება", „თითქო თვით მადლსა შეენებისასა თვისი საუნჯე აქ დაჰბნეოდა". აქ თქვენს ფანტაზიას სრული თავისუფლება ეძლევა და ყველას შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი იდეალი სიმშვენიერისა, როგორიც ესურვება მის წარმოდგენებით ძალას. ავტორი რომ მოჰყოლიყო წვრილ-წვრილად აღწერას, ჩვენს ფანტაზიას შეჰბოჭავდა და თვითაც ვერავითარ ნათელ სურათს ვერ დაგვიხატავდა. განა შესაძლოა უკეთესად დასახვა მშვენიერებისა. უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი ზეციური სიტურფისა, რომ მის მაცდურებას „ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც"?

არანაკლებ გასაოცარს ხელოვნებას იჩენს ავტორი ბუნების სურათის აღწერაში (თავი VII და VIII) და უნდა ვსთქვათ ესეც, რომ აღწერილობასაც პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. მე აღარ ავწერ ამ სურათს ვრცლად, დარწმუნებული ვარ ყოველ ქართველ მკითხველს ღრმად შთაბეჭდილი აქვს ის ხსოვნაში[1]. ძლიერი სული, რომელიც ამკობს ამ სურათს, სიცოცხლე და ძლიერი მოძრაობა, რომელსაც გაგრძნობინებთ ყოველი კალმის მოსმა პოეტისა, საოცარი შეხამება ფერადთა, მისი ხელოვნური სტილი და სიმბოლური აზრი თვით აღწერილობისა. უტყუარი დამასაბუთებელია თ. ჰავჰავაძის დიდის მხატვრულის ნიჭისა.

მშვენიერს სურათს მზის ჩასვლისას, რომელიც ავტორმა განდეგილის სენაკის „ზღუდის კარებიდან" დაგვანახა, აღტაცებაში მოჰყვეხართ და რაღაც საოცარს, მართლა „განმაცვიფრებელს" შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში ეს სურათი ამ უცნაურს ჩარჩოში. განდეგილის გატაცება ამ სურათით. მწყემსის ქალისაგან თავისი ცხოვრების მიტოვება, რომ ბუნების ამ მომხიბვლელი სურათის ცქერით დამტკბარიყო, კიდევ და კიდევ თავისებური პოეტური ხერხია. პოეტური საბუთია ამ სურათის სიმშვენიერისა.

აქაც ავტორი იმავე იარაღს ხმარობს—დაპირდაპირებას, ანტიტეზს: მზიანის მყუდრო საღამოს აღწერას ისეთ საშინელს დაღამებას მოაყოლებს. აქაც სიმშვენიერე პირველის სურათისა ერთი ორად ჩნდება, უცნაური. ჯოჯოხეთის მსგავსი ამინდის აღწერით. „ელვა და ჭექვა, ქუხვა და ლეტყვა არეე დარევით ღრუბელთა სრბოლა". ერთი ორად საშინელია, ერთი ორად გამაზრიალებელია, როცა წარმოიდგენ მშვიდსა და წყნარს განდეგილს, რომელიც „ცრემლით ალბობდა ღვთისმშობლის ხატსა და ხელ აპყრობით ევედრებოდა წყწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა". და ეს ძლიერი ენა. ეს სიტყვები, რომლის ეროი წარმოთქმა გაგრძნობინებთ ბუნე-

[1] ამ სურათის სიძლიერე მშვენიერად დააფასა ბ. მაიაშვილმა თავის წერილებში თ. ჰავჰავაძის შესახებ, რომელიც „ნოვ. ობოზრ"-ში იბეჭდებოდა.

ბის რაღაც საშინელებას, ხომ შედევრია იმ სტილისა, რომელზედაც შეიძლება ითქვას ბუფფონის სიტყვა — „სტილი თვით კაცია“.

და ბოლოს თვით სიმბოლიური მხარე ამ სურათისა: რა არის ეს „ირგვლივ სხივ-გაშლით ანთებული“ მზე, ეს ცა წითლადა და ყვითლად მზისგან აფერადებული, თუ არ თვით ცხოვრება, თუ არ ის მშვენიერი ქალი, რომელმაც საუკუნოდ დაარღვია საბრალო მწირის მყუდროება. რაღა არის ეს მოღრუბლული, მრისხანე, მხეთამტეხი ცა, თუ არ კუშტი და მწყრალი უარ-მყოფელი ცხოვრების სიტურფისა, რომლის ცრემლები წვიმა იყო მისის სენაკისათვის და ქვითინი—„ჭუხვა და ჰექვა“ ცხოვრების დამთმობელის სადგურისათვის. რა არის მთლად ეს ჰექა-ქუხილი „ელვა და სეტყვა“, „არევ-დარევით ღრუბელთა სრბოლა“, ეს საოცარი ამინდი რა უნდა იყოს, თუ არ წინათ მაჩვენებელი განდეგილისათვის, რომ მისს შინაგანს ცხოვრებასაც ასეთი უცნაური გრიგალი მოელის, რომელიც მისი დაღუპვით უნდა გათავდეს.

განდეგილი დაიღუპა. ქალი გამარჯვებული გაჰქრა სენაკიდან—„გადაყრილიყო ციდან ღრუბელი, და დაწყნარებულს წუთი-სოფელსა დილის ნიავი დაჰქროდა ნელი“; „ამოვიდა მზეც“, თითქო მხოლოდ მისთვის, რომ უკანასკნელად დაენახა განდეგილი, რომელიც „რბის, დაძრწის და დატანტალებს ამ კლდეებია თმა-აბურძგნული“. ამოაშუქა გამარჯვებულმა მზემ, თითქო მისთვის, რომ უკანასკნელად სტყორცნოს თავისი განმაცხოველებელი სხივები განდეგილის გვამს და შეატყობინოს ქვეყანას, რომ სიცოცხლის მომცემ მზესთან ბრძოლა და ცხოვრების განადგურება არ შეჰფერის კაცს და მასთან ბრძოლა მას არ არგია.

რა არის ბოლოს მთელი ეს სურათი, თუ არ სიმბოლო საუკუნო ბრძოლისა ცხოვრებაში ორმუზდისა (დაუსრულებელი კეთილი, სიმართლე და ნათელი სპარსთა სარწმუნოების წარმოდგენის) არიმანთან (ბოროტი სული), კეთილი მხარისა (მზიანი დღე) ბოროტთან (ქარიშხალი, ქუხვა და ჰექვა), რომელიც ღრუბლის დამარცხებით უნდა გათავდეს და მზის ძლევამოსილის გამარჯვებით, თუმც მრავალი უმწყემსოდ დაშთენილი ცხოვარი დაიღუპა ამ ბრძოლის დროს და ბევრს რიგიანსა და გონიერს ადამიანს, ვერ შემგნებს თავისი მოვალეობისას და შემცდარის აზრით გატაცებულს, იმსხვერპლებს იგი ბრძოლა.

VIII

მაშინ, როდესაც რომანტიულმა პოეზიამ თავისი კანონიერი მსვლელობა აღასრულა თ. ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის თხზულებებში, რომანტიულ პროზას, რომანისა გინდ მოთხრობის სახით, ჩვენში წარმომადგენელი არც კი ჰყოლია. არც ერთს ჩვენს რომანტიკოსს არ უცდია თავისი ძალ-ღონე, და რომანტიულის ელემენტის რომანში შეტანა ისევ ილ. ჭავჭავაძესა ჰხვდა წილად, პირდაპირ რეალურის რომანის შექმნა გარეშე რომანტიულისა ჩვენში შეუძლებელი გახდა. თა-

ნაც ხაძდვილი ტიპის რომანტიულის მოთხრობის დაწერა აღარ შეეძლო იმ კაცს, რომლის ძირითადი მიდრეკილება რეალიზმისაკენ იყო. ლიტერატურის მსვლელობის მიუცილებლობამ იმსხვერპლა თ. ი. ჰავჰავაძე და ეს იმიტომ, რომ ამ მოუცილებელის მსვლელობის თავიდან აშორება შეეძლო მხოლოდ გენიოსს. ხოლო ამავე კანონმა ვერ მოსპო მასში ახალის მიმართულების ელემენტი, რადგან, თუ ილ. ჭავჭავაძე გენიოსი არ იყო, ყოველს შემთხვევაში დიდი ნიჭის პატრონი მწერალი იყო.

თ. ილ. ჭავჭავაძე ძლიერი რეალისტი მწერალია და უფრო სუსტი რომანტიკოსი. მის მოთხრობებშიაც სწორედ ის ადგილებია ძლიერი და ის ტიპები, რომელნიც პოეტის რეალურის ნიჭის შექმნილია. ეს გახლავს უკვდავი ტიპი „ოთარაანთ ქვრივისა", „დათიკოსი", „ლუარსაბისა" და „დარეჯანის". მე აღარ მოვიხსენიებ მეორე ხარისხოვან ტიპებს — „კაცია ადამიანის" სუტ-კნეინისა, თათქარიძეთა ძმა-რძლისა და ცბიერ მოურავისას, ან არა და „ოთარაანთ ქვრივს" ბატონის არჩილისა, მისი დის და მეწისქვილე სოსიკას ხასიათებს.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები". რომელიც ისევ ლირიკული თხზულებაა, მწერლის პირადი გრძნობების გამომსახველი: იქ გამოთქმული გრძნობებიც ისევ. რასაკვირველია. საზოგადოებრივის მიზეზით გამოწვეულია.

ჩვენ ავღნიშნეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაწარმოების ერთ ადგილს (მოხევესთან საუბარს ჩვენს ლიტერატურაში), ეგრეთ წოდებულ „ბთიელთა" მწერლობის მიმართულების შექმნაში.

„გლახის ნაამბობი" არის პირველი მოთხრობა თ. ილ. ჭავჭავაძისა. რომანტიული ელემენტები ამ მოთხრობისა ცხადია. ავტორი ხშირად ჩაურევს ხოლმე თავის ფიქრსა და გრძნობას მოთხრობაში; გარდა ამისა, თვით მისი მოძღვარი და გაბრო უფრო პოეტის აზრისა და სურვილის გამომხატველი სიმბოლოა, ვინემ ცოცხალი ტიპი ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული; გაბრო უფრო უმაღლესის სასწაულებლიდან გამოსულს ახალგაზრდასა ჰგავს, მეტის-მეტი ფაქიზის ნერვებისა და გრძნობების მეპატრონეს, ვინემ იმ დროის გაუთლელს, მოუხეშავსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს გლეხის შვილს.

მღვდელი ამ მოთხრობისა, რომელიც ჩვენის აზრით, ჰიუგოს „უბედურთა" ეპისკოპოზის გავლენის ქვეშე არის შექმნილი, მართალია შესაძლებელია ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათი მოვლენაა. და ეს კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ უფრო პოეტის სურვილ-მისწრაფების განმახორციელებელი სიმბოლოა და არა ცოცხალი არსება. ჰომხიბელელობა ამ ძალით შემოსილის, კეთილის მწყემსისა, მაინც იმდენად დიდია, რომ ჩვენს ლიტერატურაში მისაბაძავ საგნად შეიქმნა („მოძღვარი" უაზბეგისა). სამაგიეროდ იქ. საცა ძლიერადა სცემს საუცხოო ნიჭი რეალისტ

მწერლისა. შეჰქმნის ხოლმე უკვდავ ტიპს და ეს ტიპია „გლახის ნააქბობ-ში“ დათიკოს ტიპი.

ამ მოთხრობის დაწერიდან თითქმის 50 წლამდე გავიდა, მას მერე ძირითადად შეიცვალა ჩვენის ცხოვრების ვითარება, მაგრამ დათიკო კი იმავე დათიკოდ დარჩა. ეს ხასიათი-აღვირ-წახსნილ თავადიშვილისა, რომელსაც ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილება დაუსახავს ცხოვრების უმთავრესს საგნად და რომელიც არავითარს საშუალებას არ ერიდება, რომ თავისი ბინძური სურვილი და ვნებათა ღელვა დაიკმაყოფილოს. გაანადგურებს მთელს ოჯახს, უღალატებს ძმადა და მეგობრად აღსრდილ თავისს გაბროს და მთელს მისს სიცოცხლეს უკუღმად წაიყვანს. ხოლო არც თავისს თავს უშვერება უკეთესს რასმე-ეს ვითომ და ადამიანი, მოქეიფე და დარდიმანდი ყმაწვილი კაცი, განხორციელებული პირუტყვია, ერთის ვნების, ერთის გრძნობის დასაკმაყოფილებელის იარაღად და მაშინად გარდაქცეული. იგი განხორციელებული ვნებათ ღელვაა და მარტოოდენ პირუტყვულ გრძნობათა ჟურჟელი.

ვის არ ეხატება სურათი დათიკოსი, ამ ჩვენი დიდკაცობის შვილისა, რომლის გონების განვითარება მეოთხე კლასით დასრულებულა და რომელსაც მაშინვე მამაპაპური ჩოხა-ლეკურისთვის მიუყვია ხელი, დაფარფაშობს აქა-იქ და თავისს „მოხდენილ მხარბეჭს“ გამოაფენს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, აცა რომელი ამოვირჩიო ამ ცხვართა გუნდში ჩემის ბრწყინვალე სურვილის მსხვერპლადაო?

ვის არ ეხატება თვალწინ მომხიბლველი სურათი დარდიმანდის ყმაწვილის კაცისა, ცხენზედ გამოჭიმულისა, რომელიც აჭენებს თავის ტაიჭს ცხოვრების მოედანზე და დარდიც არა აქვს იმისი, რამდენს მშვენიერს და ლამაზს-ამ ბუნების ტურფა სამკაულს-გასრესს და გააცამტვერებს. მას ერთი ფიქრი უტრიალებს თავში: „მე“, „მე“, უწმაწურ გრძნობათა სატუსაღე. ეს აღუვსებელი საწყაო რაიმე ნაირად აივსოს. მისი თვალი, პირი და შუბლი, და ყოველივე გამომეტყველება, ხელის ყოველივე განძრევა გამცნებთ, რომ წუთიერის სიამოვნების სურვილი აფიქრებს, იგი გამხდარა ჭურუმად სიამოვნებისა, ქეიფისა და თავის გართობის ღმერთისა.

ვის არ გახსოვთ თავზარდამცემი შეხვედრა მშვენიერის „ტაიჭოსანის“ და მისი მოქმედებით სიცოცხლე მოწამლულის კაცისა,—გაბროსი,—რომელიც ტყვიას გულში დაახლის და შურს იძიებს რამდენსამე გაუბედურებულის და ნამუს-ახდილის ადამიანისას. ეს კაცის მკვლელი ამ წუთში კეთილის ქომაგადა ხდება და ბოროტის ჯალათად, ცხოვრების ზნეობრიობის დამცველად და საზოგადოების არსებითის პრინციპების მფარველად. სიძლიერე ამ ტიპისა ისეთ დიდ-მნიშვნელოვნად ჰქმნის ამ თხზულებას, რომ 50-ის წლის განმავლობაში, თუ კი დაწერილა ჩვენში რაიმე თვალ-საჩინო მოთხრობა, ყველაზე გავლენა ჰქონია. იერემია წარბა ბ. გ. წერეთლის „პირველის ნაბიჯისა“ სხვა რა არის, თუ არ გამეორება დათიკო-

ესეც იგივე ბინძურ ვნებათა-ღელვით აღსავსეა, ისევე გაქსუებული და გასალახანებულა, რომელსაც თავისი საზიზღარის სურვილის დაკმაყოფილების წუტი არა ასსოვს-რა. მელანიას „ბნელოს“ კნიაზი შაქრო. მისგან ილოს ცოლის გაუპატიურება, ილოს ცოლის გარსკიპება იგივე ამბავია დათიკოსაგან თამროს ნამუსის ახდისა. ტარიელ მკლავაძე, ნინოშვილის „ჩვენი ცხოვრების რაინდისა“ განმეორებული დათიკოა. ეგრეთვე „ქალების მუსუსი“ და, დათიკოსი არ იყოს, თავისავე სიბოროტის მსხვერპლად იქცევა. ავგრეთვე ნინოშვილის „სიმონა“, დროიძის შვილი-მბედარი. ქრისტინეს დამღუპველი და თვით ქრისტინეს გაცუდ-ქალება სულ „გლახის ნაამბობის“ ზედ-გაელესის უეშველი საბუთები არიან.

ყველას მოგეხსენებათ შინაარსი „გლახის ნაამბობისა“. ყველამ იცით, რომ დათიკო არის ბრწყინვალე თავადიშვილი და გაბრო მისი თანამეზრდილი, რომელიც „თავდაპირველადვე აადევნეს მისოდენა ბატონიშვილსა“. ბატონი და ყმა ორივე ტფილისში გაგზავნეს სასწავლებლად. იქ დათიკო სწავლობდა სკოლაში, გაბროს კი ერთი ღვთისნიერი მღვდელი ამოუჩნდა, რომელიც წერა-კითხვას ასწავლიდა. გონებას უვითარებდა და მისი სულის გაწვრთნასა და ამაღლებას ცდილობდა. ბატონიშვილს მამა მოუკვდა; რასაკვირველია, მაშინვე სწავლა მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. „დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა, სულ გამოიცვალა ახალ ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა“. დიაღ: მშვენიერი ყმაწვილი კაცი დადგა დათიკო, მშვენიერის სანახაობისა გულუხვი, გულმარდი. გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და სხვა იარაღის ხმარებაში იმ ძიროობაზე იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბალულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოღერებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფრით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო და ამისთანებში ნამუს-გაქნილიცა. რაკი გულში ვინმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულისწადილისათვის არაფერს და არავის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ხიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაიელიდა... მგონია... თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანებში-ესეთი თავდაუჭერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თაუზე ლაფი დაასხა...“ (გვ. 79, ტ. II) და, აი დათიკოს ამ თვისებით გამოწვეულია მთელი დრამა, რომელიც ავტორს აუღია თავისი მოთხრობის სიუჟეტად. გაბრიელს უყვარს ერთი გლეხის გოგო თამრო, რომლისთვისაც დათიკოს ერთხელ კვირა დღეს ეკლესიაში თვალი გადაუელია და მამამისისთვის ესეთი თავხედი კომპლიმენტებით მიუშართავს: „კაი საპრომტავი ყოფილაო!“ მაშინ, როდესაც გაბრო ღვთაებრივ გრძნობით არის აღსავსე ამ გოგოს მიმართ, დათიკოს იგი თავის ბიძაშვილის ჟინის მოსაკლავად უნდა და აი, აქ, გაიმართება უწინდელ მეგობრად შეზრდილის ბატონ-ყმის შორის ბრძოლა, რომელიც ორთაველისთვის.

რას ვამბობ. სამისა და ოთხის ადამიანისათვის საუბედუროდ გათავდება: თამროს მამა სადღაც გზაში ჩაკვდება, თამრო „ავლაბრის უნამუსოდ" გახდება. დათიკოს გაბროს ხელი გამოასალმებს მისგან გათელილ წუთისოფელს და თვით გაბრო კი სიღატაკეში და სიგლახაკეში ჩავარდება.

დათიკოს ძალა აქვს ხელში და უფლება; „ქალი ჯერ ჩემიაო", ეუბნება ულისრცხვილოდ გაბროს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ძველა გაბროს სიყვარულსა და ერთგულებას და გააფთრებული გაიძახის: „ქალი ჯერ ჩემია, ჯერ ჩემია, ჩემის ჟინის მოსაკლავად მინდა ჯერაო და, როცა ჩემსას ავასრულებ, მერე შენთვის დამილოცნიაო".

გაბროს და თამროს მამას—პეპიას ხელ-ფეხს შეუბოჭავენ და სატუსაღოში უკრავენ თავს. ამასობაში დათიკოც თავის დიდებულ ჟინს მოიკლავს და მერმე გაბროსა და პეპიას, საციმბიროდ გაგზავნილებს, გზიდან დააბრუნებს... უთუოდ, რაკი „თავისი შეისრულა", ეხლა მისმა სინდისმაც გაიღვიძა და ნება არ მისცა, ორი ადამიანი ტყუილად დაეღუპა... გაბრო სულიერად მაინც მოკლული იყო და დღეს მისი იდეალი მხოლოდ შურისძიება იყო. დათიკოს სულთა-მხდელად აღიარა თავისი თავი; ერთხელ სადღაც შეხვდა დათიკოს და „შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დასცა..." ამის შემდეგ გაბრო მაშანწალად გარდაიქცა მშიერ-მწყურვალი სადღაც ჩაკვდა. სიკვდილის ჟამს ერთიღა სიამოვნება დასცალდა, მისი მასწავლებელი მღვდელი შეხვდა. რომელსაც აოსარება უთხრა და ზიარების მიღებასაც აპირებდა, მაგრამ ეს აღარ დასცალდა.

ამგვარად დათიკოც თავისავე ბინძურის „გულის წადილის" მსხვერპლი შეიქმნა და სხვებიც.

მართალია, ამ მოთხრობას აზრად აქვს იმ დროის, წესწყობილების კრიტიკა, ხოლო თანაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დღესაც დიდი საინტერესო მოთხრობადა ხდება; დღესაც, ზემოდაც მოგახსენეთ, ან მოთხრობასა აქვს დიდი გავლენა ჩვენს მწერლობაზე.

დათიკოები. მართალია. ბატონყმობის წესწყობილების შვილები არიან, მაგრამ დათიკოები, როგორც ბინძურ, აღვირწახსნილ გრძნობათა ჭურჭელნი თვით უდიდებულესის გრძნობის ჟინად გარდამქმნელნი და შემლახველნი, ადამიანის სიცოცხლის მომშხამველნი და საზოგადოების ცხოვრების მომწამვლელნი, ყოველ წესწყობილებას თან სდევენ. იერემია წარბა გ. წერეთლისა, ტარიელ მკლავაძე და დავით დროიძის შვილი ნინოშვილისა სულ ერთისა და იმავე თვისების არიან, თუმც სხვადასხვა ნიადაგზე აღზრდილნი, ერთი და იგივე ჯურის მოციქულნი არიან ბოროტისა და ქვეყნად ბოროტების უხვად მთესველნი.

IX

„გლახის ნაამბობს" „კაცია-ადამიანი" მოჰყვა, ჰეშმარიტი და უტყუარი საბუთი თ. ილ. ჭავჭავაძის ძლიერის რეალურის ნიჭისა. ეს მოთხრობა

სწორედ ეპოპეიაა ბატონყმობის წესწყობილებაზე აღზრდილი უსაქმურისა და დოყლაპია ბატონების ცხოვრებისა.

ლუარსაბი და დარეჯანი გახლავთ წარმოშობილი ამ უცნაერის წყობილებისა, როცა „რომის დამხსნელთა“ შთამომავლობას ნება ეძლეოდა ხალხისათვის ტვინი ეწოვა; ტახტზე განცხრომით გდებულიყო უსაქმოდ და სხვისის ნაოფლარით კი გამომძღარიყო. მაგრამ ეს მხოლოდ კანვაა, რომელზედაც ილია ჭავჭავაძემ მოქარგა თავისი დიდებული ნაწარმოები. რასაკვირველია, მწერალს არ შეუძლიან თავისი ნაწარმოები აღაშენოს, თუ არ იმ მასალის შემწეობით, რომელსაც იძლევა ცხოვრება... ილია ჭავჭავაძისათვის ფიზიკურად შესაძლებელი არ იყო იმ დროში სხვა ტიპი დაესურათებინა, თუ გინდ მისივე „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილი, რადგან მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახისა იყო, რადგან ცხოვრებაში მარტო დათიკოები დათარეშობდნენ, თათქარიძეები კი ტახტზე გორავდნენ და ხვრინავდნენ... გარნა ნიჭის ძლიერება მისი გამოიხატა მასში, რომ ამ მასალით ისარგებლა და ქართულის ლიტერატურის საუკუნო ძეგლი აღაგო.

სასაცილოა ამის შემდეგ, რომ სწორედ ამ მოთხრობის გამო ილია ჭავჭავაძეს ორიგინალობის ნაკლულევანება შესწამეს ზოგიერთმა კრიტიკოსებმა და მარტო მიმბაძველობის უნარი მიანიჭეს... ზემოთ ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკეთ, რა მნიშვნელობით უნდა იქმნეს მიღებული მიმბაძველობა ლიტერატურაში. აქ კი ვეცდებით, განვმარტოთ და დავასაბუთოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ დიდი თავისებურობა გამოიჩინა ამ მოთხრობაში.

„კაცია-ადამიანი?!“ ზოგიერთის აზრით, გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკების“ მიბაძვაა. მართალია, გოგოლსაც ორი მოხუცი ცოლ-ქმარი ჰყავს აწერილი, რომელთა ცხოვრების აზრი და მიმართულება მარტო იმაში გამოიხატება, რომ სჭამენ, სმენ და სძინავთ. მეტი არც-რა მათ აწუხებს და არც-რას სხვას აწუხებენ, ეტლუვრებათ ვინმე. მათ სიხარულს, აღტაცებას საზღვარი არა აქვს. არ ესტუმრება, და თავისი თავითაც კმაყოფილნი არიან. უყვართ ერთმანეთი განუსაზღვრელი სიყვარულით ისე, რომ, როცა ცოლი მოკვდება ქმარიც თითქმის ნახევრად მკვდარია და ცოტა ხნის შემდეგ იგიც გამოესალმება წუთისოფელს.

მართალია, ყოველსავე მაღალ აზრსა და გრძნობას მოკლებულნი არიან გოგოლის გმირები, მაგრამ ისეთი კარგი და კეთილი ადამიანები არიან. ისეთის სიმპატიითა და თანაგრძნობით ჰყავს მწერალს აღწერილი, რომ ძალაუნებურად თქვენც გაყვარებთ მათ და თქვენს გულსაც სიმპატიით აღავსებს მათდა მიმართ. და, შესანიშნავი რუსი კრიტიკოსის ბელინსკის არ იყოს, საყვედურს გათქმევინებთ ავტორისათვის: რად მიყავი ეს, რომ ასეთი უფერული ადამიანები შემაყვარე და შემაბრალე, როგორღაც დამიახლოვე და ენა დამიბი, აღარ შემიძლიან მათი უარარაობა დავგმო და განვკიცხო. გოგოლს თავისი მოხუცებულობის განკიცხვა კი არა აქვს სახეში, ჩვენ ის გვისურათებს მათ უფერულსა და უაზრო ცხოვრებას; მართა-

ლია, დაცინვის კილოსაი, სოლო ეს დაცინვის კილო რაღაც ბაზია, სენტი-
მენტალური. სიბრალულისა და თანაგრძნობის აღმძვრელი, ვიდრე ზიზღის
და უარყოფისა.

ეხლა შეხედეთ ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებს. „კაცია-ადამიანშიაც“
მოთხრობილია ორის ცოლ-ქმრის ცხოვრება, იგინიც სჭამენ, სმენ და სძი-
ნავთ. ეს არის ამ ორ მოთხრობათა შორის მსგავსება, დანარჩენი განსხვა-
ვებადა რჩება.

გოგოლის მოხრცები კეთილი, გულუბრყვილო, საბრალო ადამიანებია;
ჭავჭავაძის თათქარიძეები ჭამა-სმას გარდა ჭორიკანობენ და გესლიანო-
ბენ, ბოროტნი არიან, შურით აღსავსენი და გულ-ღვაძლიანი,—ამათის
ცხოვრების მიზნად ის გამხდარა, რომ ძმას არ დაუტოვონ საცხოვრებელი.
ამიტომაც კომიზმით აღსავსე დრამად იქცევა მათი ცხოვრება, როცა ვე-
რაფერს ღონეს გახდებიან და შვილი არ მიეცემათ. გოგოლის მოხუცნი მე-
ტად ლმობიერად ექცევიან თავიანთ ყმებსა და მოსამსახურეთ; თათქარი-
ძენი კი ხშირად „აწიოკებენ“ და დარწმუნებული არიან, რომ ეს „დაწი-
ოკება ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცი-
სათვისა“. მართალია, იგი დაწიოკება რაღაც სულელურ წყრომაში იხატე-
ბოდა, მაგრამ ეს მარტო იმიტომ, რომ ლუარსაბს მეტად ეზარებოდა თა-
ვისი ტახტის მოცილება. ლუარსაბის დარბაისელი კნეინა, ხომ ღვთის რის-
ხვასავით „დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ,
ესე იგი ვაინაჩრობით და გულში ჩამარხული გაბოროტებით სულს იბრუ-
ნებდნენ... იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზე მთვლემარე წირპლიან
გოგოსა, იქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან
ბიჭსა... აქ იმას გაუწყრებოდა-რაზე? თითონ კნეინამაც არ იცოდა, რაზე;
იქ ამას გამოგილანძღავდა—რისთვის,—არც ეს იცოდა კნეინამ; დასწყევ-
ლიდა, დაჰკრთოლავდა, დასტუქსავდა—რისთვის, ერთის სიტყვით—მთელ-
ის ღამის ნაგუბარს წამოანთხევდა ქვეშაგებზე,— და მერე დაღლილი
და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დახვდებოდა, ვერ მოითმენ-
და, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცასაც
ზედ დაატანდა, თუ ქვეიფზე იყო—და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა
ოთახში“ და თავისს დიდებულს მოღვაწეობას ისევ თვითონ დაასაბუთი-
ანებდა ხოლმე ნეტარხსენებული დარეჯანი: „ესე უნდა თვალ-გაფაციცე-
ბული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკე-
თებს. ბიჭებს მოელა უნდათ. ხანდიხან ტყუილ-უბრალოდაც უნდა და-
ტუქსო; რომ გამოლანძღო კიდეც ცუდი არ იქმნება. იქ მე გავლანძღავ
კიდეც, გაუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყეველი, სულ რისთვის? მისთვის,
რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს“.

ერთი სიტყვით, თუ თათქარიძენი დღეში ორ-სამ ნაყმევს არ აძრობენ
ტყავს და სახრჩობელაზე არა გზავნიან; ეს გულ-კეთილობით კი არ მოს-

დიდა, სიზარმაცით და ტვინის გაუნძრევლობის გამო. უფერულნი არიან და უმსგავსნი, რამდენადაც შესაძლოა, მათის ჭკუისა და სინდისისათვის მავნე და საძაგელნი არიან.

თხზულებათა ერთი მეორისაგან განსხვავებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მას, თუ როგორ ეპყრობა მწერალი მისგან აღებულს საგანს: რა თვალთა ხედვის ისრიით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ საგნის დასასურათებლად.

ამ მხრითაც დიდი გარჩევაა თ. ილ. ჭავჭავაძისა და გოგოლის შუა. მაშინ, როდესაც, როგორც მოგახსენეთ, გოგოლი იარაღადა ხმარობს სენტიმენტალურ იუმორს, სიბრალულის აღმძვრელ დაცინვას, სწერს დიკენსის კალმით, თ. ილია ჭავჭავაძე მკაცრსა და სასტიკს სატირას მიჰმართავს, სატირას მოლიერისა და ვოლტერისას, სატირას, რომელიც დაუნდობლადა ჰკიცხავს და მიწასთან ასწორებს ყოველს, რომელსაც დაუმახინჯებია და შეურცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა. თ. ილია ჭავჭავაძე მაღალ-გრძნობიერი მწერალია და, როგორც ეგრეთს, სიბრალული და შენდობა არ ეუცხოვება, მაგრამ იმ პირთ, რომელთაც თავისი სიცოცხლე ისე გაუტარებიათ, რომ მარტო შენდობისა და სიბრალულის მეტი არა დაუმსახურებიათ——რა მწარისა და გამგმირავის დაცინვით იხსენიებს: „წაიშალა ამ ორთა გვამთა (ლუარსაბისა და დარეჯანის) ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეწოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზე წაიწერონ რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბრძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედ-წარწერა. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზე, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოთ გაიხადონ საქმე?“ დიახ, აქა ჩანს მთელი თვისება საეროვნო პოეტისა, აქა ჩანს მთელი ადამიანური სიმკაცრე სასტიკის იდეალისტ-მორალისტისა——შენ შეურაცჰყე ღვთის სახე, რომლის მსგავსად ვაგაჩინა ბუნებამ?—ზიზღის ღირსი ხარ და დამცირების, შენ უნდა თითით საჩვენებელი გახდე და დასაგმობელი, რომ სხვებმა ზიზღით უყურონ ესეთ ცხოვრებას და ზურგი შეაქციონ შენისთანა ადამიანებს. ეს სიმკაცრე კი რასაკვირველია, ვალად არ ადებს მწერალს. სიბრალული არ ექმნეს უბედურის, გათახსირებულის და გახრწნილის ადამიანის მიმართ. სიბრალული რა ხელ-საყრელია, რა სანატრელია და სანუგეშო შენთვის, რომლისთვისაც მოუნიჭებია ბუნებას ადამიანობა და არა პირუტყვობა. ღვთაებრივობა და არა ქვემძრომობა.

გარდა ამისა, თ. ილია ჭავჭავაძე მთელს ცხოვრებას გვიხატავს [illegible]

რიძეებისას, თითქმის დაბადებიდან დასასრულამდე, გოგოლს კი ერთი ხაჩა აქვს აღებული თავისი მოსუცების ცხოვრებისა. ილია ჭავჭავაძე თათ-ქარიძეთა სახით ჩვენის თჳად-აზნაურობის ერთი ნაწილის ცუდ-თვისე-ბათა და ნაკლულოვანებას გვიხატავს, გვისურათებს მათს ზნე-ჩვეულებას. ქალის გათხოვებისას, სიძის მოტყუებისას, მაჭანკლობისას, მკითხაობისას, სალოცავად წასვლისას და სხვ. გოგოლი კი მოხუცთა ცხოვრების ერთ მო-ძენტს აგვიწერს. ხოლო, თუ წამბაძველობაზე წაყიდა საქმე, გოგოლსაც ხომ თავათ არ გამოუგონია არაკი თავისი მოთხრობისა. არამედ რომაელთა მწერლის ოვიდიისაგან, რომელსაც ერთს თავისს არაკთაგანში („ფილემონი და ბავკიდა") წუნარი და მშვიდი თანაც უფერული და უაზრო ცხოვრება აქვს აღწერილი ორი მოხუცი ცოლ-ქმრისა.

აბა როგორ დაიცწყოს ჩვენმა ლიტერატურამ ბრწყინვალე აღწერი-ლობა ლუარსაბის გვამისა, რომელშიაც აღარსად სჩანდა „ცით მონაბერი სული" და მარტო მძორად გადაქცეულიყო, „ძირ გავარდნილ ქვეერად" რომელსაც დღე ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგ-რამ კიდევ მაინც ვერ აავსო... რომელსაც სწავლისა ხომ არც არა გაეგე-ბოდა-რა და დიდ ბედნიერად სთვლიდა, რომ უსწავლელი იყო, რადგან „გი „ეხლანდელ ჭირად" მიაჩნდა, რომლის აზროვნება „ბუზების თვალში" იხატებოდა და ამაშიაც იქამდის კიდევ ვერ მიეტანა მის გონებას, რომ ბუ-ზები წამდაუწუმ ფრინავენ და მათი დათვლა შეუძლებელი იყო, რომლის კამათი ისეთს მძიმე საგანს უტრიალებდა გარს, როგორც საკითხი, „ბოზ-ბაში სჯობია თუ ჩიხირთმა".

როგორ დაიცწყებს ქართულის ენის მცოდნე ჩვენს კნეინა დარეჯანს, თავისი შუბსაფენითა და ჩით-მერდინით, ჩუსტით, მუჯლუგუნებით და „მეხი კი დაეცას" ყვირილით, დარეჯანს განსწავლილს სხვადასხვა შელოც-ებში, ხშირად გამარჯვებულს ქმართან ბაასში და არა ნაკლებ დარცხვე-ბილს, რომ ამ დიდებულს კამათში დამარცხებული დარჩა; დარეჯანს თა-დაიწყებით მეცადინეს, რომ შვილი შეეძინოს და ძმასა და რძალს თვალი დაუყენოს.

ვის არ გაახსენდება ჩვენის ლუარსაბის ღირსეული ძმა, რომელიც ხუთ თუმნად გაჰყიდის ძმას და ვიღაც ჯოჯოზე—ჩვენს კარგ ნაცნობ დარეჯან-ზე — გადასწერს ჯვარს...

ვის შეუძლიან დაიცწყოს სურათი მაჭანკლობისა, სუტკნეინას სხაპა-სხუპით ლაპარაკი და მისი ოინები, მკითხავის ცბიერობა, რომელსაც ხელს უწყობს ბატონყმათა სუსტი გამჭრიახობა და სუსტზე უსუსტესი გონება.

გახა შეიძლება გულით არ გაიცინოს კაცმა ას წელიწადს შემდეგაც, როცა გადაიკითხავს იმ წერილს, რომელსაც სიმამრი სწერს ლუარსაბს და რომელიც ისე სამაგალითოდ აქვს შედგენილი თ. ილ. ჭავჭავაძეს, ან და ას სიზმარი, შურისა და წვრილმანი ბოროტების შედეგი, რომლითაც შეშინე-ბული ლუარსაბი რამდენიმე ხანს გაშოტილი გდია აგურებზე და მის საყ-ვარელ დარეჯანს შიშის ელდას დასცემს. არ გამოგიყდეს ჩემი ლუარსაბი.

მესამე მოთხრობაში თ. ილია ჭავჭავაძემ თითქმის მსოფლიო ტიპი შექ-ნა. ეს მოთხრობა გახლავთ „ოთარაანთ ქვრივი“ და ეს ტიპი, თვით ქვრივი, გიორგის დედაა.

თ. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები მთელ აყალ-მაყალს გამოიწვევდა ხოლმე ჩვენს ტკბილად მსვრინავ საზოგადოებასა და მწერლობაში და საკ-საცილოა ის, რომ თავდაპირველად უფრო უარყოფით ეპყრობიან მის ნა-წერებს („განდეგილის“ კრიტიკა ბოსლეველისა, „შრომა“, № 18—1883, „ოთარაანთ ქვრივი“ კრიტიკა მ. ხ-სა, „იერია“, № 58—1888 წ., დავით სოსლანისა და სხვა).

მარტო ასეთი გამოფხიზლება ლიტერატურისა ამტკიცებს, რომ ჩვენს დიდებულს მწერალს ძლიერი ნიჭი აქვს, რომ საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მის ნაწარმოებს.

ასე ააყაყანა ჩვენი საზოგადოება „ოთარაანთ ქვრივმაც“. უმეტესმა ნა-წილმა საზოგადოებისა და კრიტიკისამ ვერ გაიგო მრავალი ადგილები მოთხრობისა, რადგან არა ჰქონდა შეგნებული ორმაგობა ჭავჭავაძის საბ-წერლო ნიჭის მიმართულებისა. მაშინდელს კრიტიკას რომ შეევნო, ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებში, ორი ლიტერატურული მიმართულება არის თავ-მოყრილი—ერთი ხან—დალეული რომანტიზმი და მეორე ახალგაზრდა, ჯანსაღი, სიცოცხლითა და ძალით აღსავსე რეალიზმი, მაშინ მოთხრობის ღირსება და ნაკლულევანება ადვილი გასაგები გახდებოდა.

სწორედ აქ, ამ მოთხრობაშიაც, გამოიხატა ჭავჭავაძის რომანტიული ჩვეულება, როგორც სხვა მის მოთხრობებში და ამის ნაყოფი—გიორგი, რომელსაც უფრო აღტაცებულის რომანტიკოს—პოეტისებური ბუნება აქვს, ვინემ ცხოვრების სისასტიკეში გამოწრთობილის ქართლელის გლე-ხისა.

სამაგიეროდ რეალური ნიჭი ილია ჭავჭავაძისა თანდათან გაზრდილა და „ოთარაანთ ქვრივის“ ტიპი არის შედეგი ავტორის მომწიფებულის, გაზრდილისა და გაძლიერებულის რეალიზმისა. ეს ტიპი ისეთი რეალური ტიპია და ისეთის სავსებით დასურათებული, რომ მაგის მსგავსი ჩვენს ახალს ლიტერატურაში არა გვაქვს-რა.

ლიტერატურის მსვლელობის საჭიროებამ იმსხვერპლა ილია ჭავჭავა-ძის მოთხრობები და ამიტომ აქვთ მკითხველზე ეგრეთი ორჭოფი, ორმაგი შთაბეჭდილება, ამიტომ აკლია ის ერთიანობა, ის ტეხნიკური სიმარტივე და სიდიადე, რაიც გამოიჩინა ავტორმა „განდეგილში“.

ხოლო ერთის მოთხრობიდან ისეთის ტიპის შექმნაც საკმარისია, რო-გორც ოთარაანთ ქვრივია.

გიორგის, ოთარაანთ ქვრივის ერთად ერთ პირმშო შვილს, შეუყვარ-დება თავისი ბატონის და კესო. კესო, რასაკვირველია აზრადაც ვერ წარ-მოიდგენს, რომ შესაძლებელია რაიმე ამგვარი ვიღაც ბიჭსა და ჭალბა-ტონს შორის, თუმცა გიორგი ბევრჯერ აძლევს კნიაზის ნემთხვევას მისი

გრძნობის გაგებისას; გიორგი უფრთხილდებოდა და უვლიდა კესოს ბედა თავისს ორ თვალზე უფრო მეტად. „მტვერი რა არის, მტვერს არ დააყენდა. არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა“, ერთხელ, როცა კესომ ამ ბალის გეგმის ჩვენება დაუპირა, გიორგიმ ფეხი ველარ გაანძრია, ვერ მიეახლოვდა კესოსა. თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა... მაგრამ კნიაჟნამ „გულის ჰიდილს“ დააბრალა.

ასე იყო დღეს, ასე იქნებოდა ხვალ და ყოველთვის: დრამა და არაკი მოთხრობისა აქ არის, ამაში—ამ სიყვარულში ერთის მხრით და სრულს გულ-გრილობისა და გაუგებრობაში მეორეს მხრით, ამ საქმის გამომჟღავნება შესაძლო იყო გიორგისთანა თავ-მოყვარეს და გულდახურულის ბიჭისაგან სწორედ ისეთ წამში, როგორიც სიკვდილის წინა წამებია.

შემთხვევით გიორგი მოკვდება და მისი სულიერი დრამა თვალწინ გადაეშლება მის ძალაუნებურად დამღუპველს კესოს და მის ძმა არჩილს. გიორგის დამარხვის შემდეგ და-ძმას შორის მოხდება გრძელი ბაასი, რომელიც, რასაკვირველია, სინამდვილეს მოკლებული არ არის. მაგრამ თითქო განგებ მოუყვანია იგი ავტორს, რათა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ გამოარკვიოს (ნაყოფი, ილ. ჭავჭავაძის რომანტიულ მანერისა). ამ ბაასის მიუცილებლობა მოთხრობისათვის უეჭველია, რადგან ამაში მშვენივრად იხატება უფერული ტიპი არჩილისა — ჩვენის ახალგაზრდობის ერთის ჯგუფისა, რომელსაც მაღალ-მაღალის ფრაზებითა აქვს ავსებული თავი, სულის სიღრმემდის კი არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ ჩასწვდენია, არც ერთი კეთილშობლიური აზრთაგანი არ გასჯდომია ძვალსა და რბილში—ტიპი რეზონიორისა, საქმით ლუარსაბის შვილისა, უფრო გათლილი და გაშალაშინებული თავისს მამაზე, რასაკვირველია და სიტყვით კი ახალის ცხოვრების წინამორბედი[1].

არჩილიც უმაღლესი წოდების წარმომადგენელია. თუ 50 წლის წინათ ამ წოდების უმეტესობა ლუარსაბებსა და დათიკოებს გზავნიდა ცხოვრების ასპარეზზე, დღეს არჩილებს გვაძლევს. მართალია, არჩილი ისე საზიზღარი არ არის, როგორც ლუარსაბი, სწავლისა და განათლების „პირად“ ამსარებელი მაინც არ არის, მაგრამ ლუარსაბივით უფერულია და უშინაარსო.

რასაკვირველია, არჩილი არ წარმოადგენს არავითარს მავნეს საზოგადოებისათვის, მაგრამ არც არა სასარგებლოა მისთვის. მაშინ, როდესაც დათიკო ნამდვილი მტერი იყო ჩვენის საერო ცხოვრებისა და საზოგადოდ კაცთა ადამიანურის ცხოვრების შემბილწველი, არჩილი გახლავთ სწორედ მეოთხმოცე წლების ახალგაზრდა, პრაქტიკულის მიმართულებისა, რომლის უმაღლესი იდეალი ადგილ-მამულის მოვლაშია და, თუმცა მის ნაწარმო-

---

[1] სრულიად სამართლიანად აღნიშნა ბ. სანომ თავისს საყურადღებო წერილებში ამ მოთხრობის შესახებ—არჩილი არის ლუარსაბისა და დათიკოს მემკვიდრე, დროისა და გარემოების შესაფერისად შეცვლილიო („ივერია“, 1888 წ., 107 და სხვ.).

ება არ ადიდებს, არა ჰფლანგავს და არა ჰყრის მაინც უთავბოლოდ. მ
თავისს სახლში და ქეიფსა და უზნეო ცხოვრებას მაინც არ მისდევს. მაგ
რამ გონებითა და მოქმედებით კი მაინც უფერულია: სოფელს არა რა არ
გა მისგან; აზრთა-წვრთნა სამშობლოისა არ ეინტერესება და იქნება სასა
ცილოდაც მიაჩნდეს, გაუზეპირებია ერთი-ორი მაღალი ჰუმანური ფრაზა
რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ წამოისვრის და ისიც სხვის სასაყვედუროდ
როცა ისეთი საშინელი ამბავი მოხდება, როგორც გიორგის სიკვდილია.

მისი სულიერი სისუსტის საუკეთესო დამამშვენებელი მისი დაა, რომელ-
ზედაც ვერავითარი გავლენა ვერა ჰქონია ძმას, რომელიც რაღაც განყე-
ნებულსა და უშინაარსო რამ ქმნილებას წარმოადგენს. ეგ კესო სწორედ
ნულია და ავტორს სულაც რომ არა ეთქვა-რა მის შესახებ და ეთქვა მხო-
ლოდ, რომ არჩილს ჰყვანდა ნულივით უშინაარსო და, რომელიც გიორგის
უყვარდაო, ამით არას წავაგებდით.

ამ ორ წოდებათა შორის სიყვარული და რაიმე ადამიანური კავშირი,
დიდიხანია რაც ავტორმა შეუძლებლად სცნო, უკვე „გლახის ნაამბობში"
აღიარა, რომ „უმცროს-უფროსობაში" სიყვარული სიზმარია. ბატონ-
ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება, რომ ეგრე ყოფილა ქვეყანაზე.
ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (ტ. II, გვ. 19) და ეგ აზრი ამავე
მოთხრობაშიცა აქვს გატარებული: თვით არჩილი, ამბობს: „ჩვენ შუა
ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი შორსა
ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი
და უტყუარი... ჩვენ ვინა და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა, შორი
შორსა ვართ მეთქი... იმათს ტირილს და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენ-
სას ცალკე. გული-გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მიგვიხვედრებია. და
რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა (ტ. III, გვ.
163). ამიტომ, სასაცილოა, რომ ავტორს დასწამეს, ვითომ ამ წოდებათა
შორის ხიდის გამთელება სიყვარულით და ქორწინებით უნდოდა.

თუ „გლახის ნაამბობში" ავტორი გვიჩვენებდა, რომ დათიკოსა და
გაბროს შორის — უფროს-უმცროსს შორის — მეგობრობა შეუძლებელი
იყო, აქ გვიმტკიცებს, რომ კესოსა და გიორგის შორის—ბატონ-ყმის შო-
რის „სიყვარულის ხიდი არ გაიდება", და არა თუ სიყვარული, სიყვარუ-
ლის გაგებაც კი არ შეიძლება ამათ შორისაო. ეს მას აწუხებს და ამას
ჰგოდებს არჩილის პირით, რადგან საზოგადოდ ცხოვრებისათვის სავნებ-
ლად მიაჩნია ეგრეთი გათიშვა წოდებათა შორის. მაგრამ ნუ თუ ავტორს
საყვედური ეთქმის, რომ წოდებათა შორის ბრძოლა სანეტაროდა და სამ-
ხიარულოდ არ ჩასთვალა. ნუ თუ დანაშაულობაა ავტორისათვის სურვილი
ისეთის წყობილებისა, სადაც არც ერთს არა ჰქონდეს-რა მეორესთან
საბრძოლველი და სადავო.

„რად უსაყვედურებს ავტორი კესოს, გიორგი რომ არ შეუყვარდა და

ცოლად არ გაჰყვა? მაგის მიზეზი წოდებათა შორის გარჩევა კი არა აზრთა და გრძნობათა სხვადასხვაობაა". ამბობდნენ მეორენი.

ერთის სიტყვითაც არ უსაყვედურებს ავტორი (არჩილი) კესოს. რატომ გიორგის მეუღლედ არ გახდიო. ის იმასა ჰკარგობს და იმაში აძტყუნებს დას, რომ „ღირსებათა თაყვანისცემას ვიღა სჩივის, შ ე ნ ვ ე რ ც კ ი მ ი უ ხ ვ დ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს. კაცი თურმე თავს გევლებოდა... ეი რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!... აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო! სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც სხვა არ იყოს რა, თუნდ ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდაო" (ტ. III, გვ. 170 172).

გიორგი რომ ყოფილიყო, თუ გინდ. იგივე საზიზღარი დათიკო, მაშინ კესო ძალიან კარგად გაიგებდა. რატომ არის მისი ბაღი ასე გაწმენდილ-გამშვენიერებული; ძალიან კარგად მიხვდებოდა, რატომ ვერ გადაადგა ფეხი გიორგიმ და შეიძლება ისე კარგადაც მიმხვდარიყო, რომ თვითონაც გულისცემით მიყრდნობოდა მის ვაკაცურს გულ-მკერდს... შეიძლება თავდავიწყებასაც მისცემოდა და იგივე მოსწლოდა თავისივე ნებით, რაც თამროს ძალით დაჰმართა ბრწყინვალე დათიკომ. აი აქ არის გრძნობათა გარყვნა და გაცუდება და არა იმაში, რომ კესო გიორგის ცოლად არ წაჰყვა. რატომ ვერ განვითარდა იმდენზედ მათი სული, რომ კარგად ეცნოთ გიორგიც, მისი ადამიანობა დაენახათ და მაშინ ხომ ადვილად წარმოიდგენდა მათი ბრწყინვალება. რისი შედეგია გიორგის რომანტიული ოხვრა-კვნესა.

თუმცა გიორგი საკმაოდ წააგავს აღმოსავლეთის ქართველის ცოტა არ იყოს ნაზ-გრძნობიერსა და რომანტიულს ბუნებას, მაინც რაღაც გვეუცხოვება. რაღაც ნამეტანის ფაქიზისა და ნაზის ნერვების პატრონად ჩრის დასახული ლომ-გულის ოთარაანთ ქვრივის ვაჟი. და ეს ბრალია, რომ ავტორსა სურდა გრძნობა-მოდუნებულისა და გაგრილებულის არისტოკრატიის შვილთათვის შეედარებინა ცხოვრებისაგან დასჯილის წოდების შვილი, რომლისთვისაც ბუნებას ესოდენ უხვად მიუნიჭებია მაღალ-გრძნობიერება და მაღალ-სულოვნება. მწერალმა უფერულს კესოსა და არჩილს ისეთი ნაზ-გრძნობიერი ადამიანი ამოუყენა გვერდით, როგორიც გიორგია.

ავტორსა სურდა უენერგიოსა და სუსტ ქმნილებათათვის, რომელნიც მხოლოდ ჭურჭელს წარმოადგენენ ორიოდე გაზეპირებულის ფრაზისას, დაეპირდაპირებინა მხნე, მამაცი სასტიკის ცხოვრებისაგან გამოწრთობილი და გამოზრდილი ადამიანი და მან დაგვისურათა ოთარაანთ ქვრივი.

მართლაც, შეხედეთ ამ ადამიანს, რამდენი სიცოცხლეა მასში, რა ძალითა და სიმხნით არის აღსავსე მისი ბუნება, თანაც რა დიდებული მედიდურობითა და ამაყობით არის შეფერადებული მისი არსებითი გულმოწყალეობა, გულმომრეობა და მაღალ-სულოვნობა. მასში მარტო ერ-

თის წოდების წარმომადგენელი კი არ ისახება. არა თუ მარტო ქართველის გლეხის დედაკაცი მოგვიყვანა მისი ავტორმა. ამ სურათში თ. ილ. ჭავჭავაძემ განახორციელა დღეინდელი ადამიანი, რომლის მკაცრი და მძაფრი პირუტყვული ბუნება ჯერ კიდევ ვერ მოუსპია საუკუნეთა ზნეობრივ კულტურას. ხოლო მისი სიმკაცრე როგორღაც კულტურის მშვენიერებით იმოსება, მით რომ საუკუნეებით კულტურის ზედგავლენას ტყუილად არ ჩაუვლია. ღრმად გამსჭვალულა ზნეობრივის მოვალეობის აზრებით და ეს შეგნებულება ადამიანისებურის ვალისა თავისებურ მომხიბლელობით აფერადებს გარეგან გულ-ქვაობასა და გულ-ღიცხელობას.

ოთარაანთ ქვრივი ყველას წარმომადგენელია. ყველასი. ვინც კი ცხოვრობს, აზროვნობს და ფიქრობს... პირუტყვული ჩვენი ბუნება პირველად ჩვენდა უნებურად წამოჰყოფს ხოლმე თავს, როცა მოგვიხდება ადამიანთა წინაშე რაიმე მოვალეობის აღსრულება, მაგრამ მეორე აზრი და შეგნება ადამიანთა თანხმობისა და საუკუნო კავშირისა სძლევს თავაშვებულ ბუნებას, თითქო სტუქსავსო ყიდევაც მას, და ბოლოს ისევ ადამიანურად მოვიქცევით ხოლმე.

ოთარაანთ ქვრივი გახლავსთ ეგრეთვე თვით ავტორის ფსიხოლოგიურის, სულიერის თვისების გამომხატველი და მაჩვენებელი. რადგან, თუ კი ოდესმე (და ეს თითქმის ყოველთვის მოხდება ხოლმე) მწერალს თავისი თვისებანი მისგან გამოსახულს ტიპში განუხორციელებია. თ. ილ. ჭავჭავაძემ ეს ოთარაანთ ქვრივის ტიპში გამოიჩინა...

ოთარაანთ ქვრივი ადამიანია ყოველისავე თავისის ნაკლულევანებითა და ღირსებით. მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი არსებაა, ეს ისეთი არსებაა, რომელშიაც ყოველთვის უძლეველია ადამიანობას პირუტყობისათვის, მასში ადამიანურს მისწრაფებას უპირატესობა მისცემია პირუტყვულს სურვილებზედ.

„ტკბილი სიტყვა რა არისო“ ეტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, „ამ გამწარებულს წუთი სოფელში, ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთ-მაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს ვულს მოჰფხანს; გულის ფხანა რაღა დაჯდებაღა ფხანა კეცმა იცის...“ ამიტომაც, ამ უცნაური ლაპარაკის გამო დაიმსხვერპლა ოთარაანთ ქვრივმა გულ-ქვა ადამიანის სახელი. მაგრამ ეგ შემცდარი აზრი გახლდათ. ვიღაც დედა-კაცს წვრილ-შვილიანს და ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალს ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბაღდა კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე... მართალია. ამ „მადლსა“ „პილპილსაც მოაყრიდა, მაგრამ მაინც მადლსა შერებოდა.“ და განა თუ მხოლოდ ერთსა სწყალობდა „გლეხა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა“, „თავისებურ პილპილსაც“,

ჩა თქმა უნდა, მოაყრიდა და კარგად ლაზათიანად გამოლანძღავდა ხოლმე."

უფრო ხშირად მოწყალებას იმ გვარად გასცემდა, რომ მარცხენას არ შეეტყო. მარჯვენა რას იღლეოდა და სხვას არწმუნებდა. მიეცი. მემართა და იმიტომა, თორემ მაგისმა თავის სეთქამ, ჩემს თავს დავაკლებ და მაგას შევძენო... თუმცა აკლებდა. რასაკვირველია. თავის თავსა და განსაკუთრებული ქისაცა ჰქონდა. საცა „ღარიბთა გასაკითხი" ფული ელაგა.

ცხოვრებაში უმეტესობა კი სხვა რიგათ იქცევა. უმეტესობა არჩილისა და კეთსაგან შესდგება, რომელიც ტირის და წუწუნებს ამა თუ იმ მოვლენის გამო. მაგრამ აზრი მარტო ენაზედ აკერია. გულის სიღრმემდი არ ჩაუწევია და ენის ჭარტალი უშინაარსო და უნიადაგო რამედ ექცევა. დღეს ცრემლსა ღვრის და ძაძით იმოსება გიორგის სიკვდილის გამო, და ხვალ და ზეგ ისევ იმავე საქციელს დაადგება— გულგრილობასა და გულქვაობას აღტაცებულის გრძნობის მიმართ, რამაც გიორგის სიცოცხლე მოუშხამა.

ოთარაანთ ქვრივი კი ამას გაგრძელებდათ. იმას დასტუქსავდა: „ისე არვის გაუკლიდა გვერდით. რომ არ გაეკინწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა." მაგრამ მისი არსებითი გულ-მოწყალეობა ამ გარეგან „პილპილს." „მადლად" გარდაჰქმნიდა. სიყვარულისა და თანაგრძნობის უეჭველ საბუთს მიაწოდებდა მისგანვე ვითომ და შეურაცხყოფილს... იგი არ არის ისეთი იდეალური არსება, როგორც „გლახის ნაამბობის" მოძღვარი რომლის მსგავსის შექმნაში ერთობ ძუნწია ბუნება... ამგვარ საუცხოო არსებას, რომლის სიტყვა და საქმე ღვთისნიერის ლმობიერებითა და გულკეთილობით არის აღსავსე, ხანდისხან მოგვაჭვენებს ხოლმე ბუნება თითქო მისთვის, რომ არ დაგვავიწყოს ჩვენი ღვთიური სახე. იმედი და სასოება არ წაგვიწყმინდოს, რომ კეთილი შესაძლოა ცხოვრებაში.

სასტიკი და მკაცრი ცხოვრება, ეს „გამწარებული წუთისოფელი" შეჰქმნის ხოლმე ოთარაანთ ქვრივს: ადამიანს, სიმწარეში გამოვლილს, რომელმაც იცის შრომისა და ჯაფის ფასი, უგრძვნია თავისი მოვალეობის აღსრულების სიამოვნება და შეუგნია ამ მოვალეობის მიუცილებლობა, ადამიანს, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს და ტყვილა-უბრალოდ თავს არავის გააქვლევინებს, რომელიც სიტყვას ტყვილა არა ჰკარგავს და საქმით კი ისეთს არას ჩაიდენს, რომ ან პირადის ღირსების შემბღალველი იყოს, ან და ადამიანურის მოვალეობის დამრღვეველი.

თუმცა არჩილმა კარგად იცის ის, რომ მისი კეთილი და ადამიანური აზრები „წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში". მაინც კიდევა სწამს, რომ წუწუნი და გოდება „ტირილი—ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ბუგავს, წინა ჰნაშავს და ამწვანებს". ოთარაანთ ქვრივმა კი ეგეთი არჩილისთანა რეზონიორობის, აზრთა ვარჯიშობის, არა იცის-რა. იგი მოქმედი პირია და აზრთა მოთამაშე: „ტკბილი სიტყვა", მისთვის

თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი“—მან მხოლოდ საქმის დაფასება იცის, მხნეობის. გარჯის, შრომისა და მეცადინეობის თაყვანის მცემელია. გრძნობათა გამომეღავნება მას სამარცხვინოდ მიაჩნია; ერთად ერთი შვილი ჰყავს, მაზედ ამოდის მზე და მთვარე, „დედამიწის ზურგზედ იმის სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისთვის ეცქირნა, შვილისთვის ეცოცხლნა. ეს ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უშალავდა თავის გულის ნადებსა“. და აი იმის მზე ჩაესვენება. ერთად ერთი თავ-მოსაწონი და ნუგეში მოესპობა, მაგრამ აქაც კი ბუნებრივი მისი თავდაჭერილობა იჩენს თავსა და მხოლოდ მაშინ წაიშენს თავში ხელს და გოდებას მორთავს, როცა დაცარიელდება ის ოთახი, საცა გიორგი განისვენებდა.

თუ ვინმე იტანჯებოდა და თუ ვისმე რაიმე აკლდებოდა ოთარაანთ ქვრივის გარეგანი სიმკაცრით, ისევ მას, რადგან მხიარულებისა და ვაების გულში ჩახვევა ადამიანს სიცოცხლესა და ძალას აკლებს, მწუხარებას უორკეცებს. თუ ჩვენი ბედნიერება განუზიარებელი რჩება, უფერულია და უმსგავსი. და არც შესაძლოა სიამოვნება კაცთა საზოგადოებაში ისე. რომ მეორე შენისთანა არ ღებულობდეს მონაწილეობას შენს სიხარულსა-სიმხიარულეში. თუ ტანჯვა და „ვიში“ გულში ჩაკლულია, თუ ვინმე სხვა გვყავს ჩვენის კვნესისა და ოხვრის გამგონი, ჩვენის ვაისა და უის მანუგეშებელი ეგრეთი მწუხარება, ეგრეთი უბედურება ორკეცდება, ერთი ორად ძლიერდება, ისე როგორც შეგუბებული მეჩხერი, ისე როგორც ერთს ადგილას მოთავსებული სენი გაორკეცებულის სიმძაფრით ავლებს მუსრს მცხოვრებთ. ასე დაემართა ოთარაანთ ქვრივსაც, მისი ხვნეშის გამგონი მისი ყურების მეტი არავინ ყოფილა, მისი ტანჯვა-ვაების მოწმე მისი გულის მეტი არავინ ყოფილა და გულში ჩამწყვდეულმა კვნესა-მწუხარებამ დაადნო და აღგავა პირისაგან ქვეყნისა ეს ძლიერი, მედგარი, სიცოცხლითა და სიმხნით აღსავსე ადამიანი.

უკანასკნელი წუთები ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლისა ისეთს ძლიერის მხატვრულის ნიჭითა აქვს აეტორს აღწერილი, რომ არ ძალგვიძს, სავსებით არ მოეიყვანოთ. იგი ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია ქართულს ლიტერატურაში. კლასიკური სიმარტივე ამ სურათისა განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში თავისის შინაარსის სიძლიერით. ისე როგორც საუცხოო რამ სიტურფე და სიმშვენიერე „განდეგილის“ მწყემსი ქალისა ერთი-ორად უფრო თვალსაჩინო ხდება გარეგანს უბრალო ტანთსაცმელში... სადა და მარტივი გარეგნობა ერთი-ორად აძლიერებს პირისახისა და შინაარსის მხატვრულს გასაოცარს რაღაც შვენებას.

„ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დრო გამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაესვე-

ოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჯიდებოდა და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მშრომელს სძინავსო და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა. დღის ყიჟინა-კივილი. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა დაკრულს. არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა. და თითო ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფალა ისმოდა ხანდიხან.

ყველას ეძინა. ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ბნელოდა. სახთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქეს კუნძს ცალ გვერდზე ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა, როცა ნაღვერდალ-მოსხმული გამოწვარი გვერდი ხისა დრო გამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტა-ხნობით მოაშუქებდა.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძაღლი იწვა, რგვლად გადმოექცნა თბილი ნაცარი, თვითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო. უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა. ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით ვიღაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლა-პირასვე იწვა დედამიწაზე გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედა-ბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩაეყრდინილი დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხვნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

—ვინ მეძახის, ვინ!.. იძახოდა ძილ-დაკარგული სნეული თავის გულში. თუმცა არსაიდამ კი ხმა და ჩამი-ჩუმი არ იყო: წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მეწვება, რად? იტრიალა ღონე-მიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

—მივაღწევ კი!.. ჰკითხა თავის თავს, ფეხის გადადგმის ღონე აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გახდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!...

შეჰკივლა ეხლა კი ხმა-მაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებითა და ვინ-შინვე გადაჰხედა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს. ხომ არ მოელვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა, პირველში ერთი ყურუდ ყელში წამოიყუფა და არაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ. წინანდებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ ისე გულიანად ეძინა.

— სძინავს!... სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა: მეც მალე დავიძინებ.

სულთა-მხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა...

ამის თქმაზედ სნეული გაჩუმდა, თითქო, რაც სტკიოდა, დაუამდაო.

კიდევ!... კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!... მოვდივარ, მოვდივარ!...

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავე თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა. მოიხვია თავს შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდან. წაჰყო ჩოხებში ფეხი და უღონობამ სძლია. ფეხი წინ ვერ წასდგა. დაბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა, — არ წავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელ დაბჯენილი იდგა გარინდებული როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს და ფეხ-აკრეფით გავიდა სახლიდამ. უღონოს სიარულით ეზო გაიარა. ორასაე ხელით წინ წაძღოლილ ჯოხზედ დანდობილმა; ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოსდგა და დაინახა ახლად მოსული. ფეხუხსლებელი თოვლი, სთქვა:

ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოხვედრია და გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!... მოვდივარ, მო!...

ფრთხილს ძაღლს პატრონის გარედ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯელ შეიბერტყა, გაიბობღა, ტანი დაიგძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზვნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი აღარსად ჩანდა. ჩახტა დერეფნიდან ეზოში, თოვლზე ახალი ნაფეხური პატრონისა დასუნა და აუჩქარებელის ძუნძულით აედევნა კვალს.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ გულიანად ეძინა (ტ. III, გვ. 175 — 178).

როცა მეცხვარე თუშებმა ძაღლის ღმუილზედ სასაფლაოს მიაგნეს ნახეს: მკვდარი საფლავზედ გარდი-გარდმო გადაქცეულიყო. ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა. თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო...“ (გვ. 180).

ესე დამთავრდა გიორგისა და მისი დედის ცხოვრების ამბავი... არჩილი და კესო მხოლოდ სენტიმენტალურ ცრემლების ფრქვევას მიეცნენ.

დიდი ძლიერი ნიჭი საუცხოო მხატვრისა გამოიჩინა თ. ილ. ჭავჭავაძემ უბედურის მეწისქვილე სოსიას ტიპის დასურათებაშიც. სამგან გამოჩნდება სოსია მოთხრობაში, და სამგანვე სურათის შთაბეჭდილებას საშინელის ტრაგიზმით ავსებს... ერთხელ, როცა გიორგი მომაკვდავად გდია და არჩილი შეშფოთებულია, სოსია ტირილის ხმითა ღმუის. „შეეტყო თუ არა ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად. თითქო ეშინიან არავინ გამიგოსო“. მეორეჯერ, როცა ოთარაანთ ქვრივი მარტოდ მარტო დას-

ტორის თავისს შვილს: „ერთს კუთხეში, რომელშიაც ნამეტნავად ბნელოდა, დაინახეს მობუზული ბებერი მეწისქვილე. როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ჭურდულად მიმალულიყო“. მესამეჯერ, როცა მეცხვარენი ოთარაანთ ქვრივსა ნახვენ მიცვალებულს საფლავზედ: „სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ. იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეპირა და ქვითქვითებდა ჩუმად. ვიღაცამ ფეხიც წამოჰკრა საწყალ მოხუცს, ეს ვიღა ოხერია, ფეხში მედებაო. და ღონიერად წაჰკრა რა ფეხი ბერი-კაცს, დაატანა: წადი, იქით გაეთრიეო“.

დაბრიყვებული ბერი-კაცი გადაიქცა თოლზედ. როგორც იყო წამოდგა და, როცა ტყავის კალთებს თოლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს: „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირეთო! ცოდო ვარ, შვილო, ცოდო“. ეს სოსიკა გარდა იმისა, რომ მშვენიერი ტიპია ბედისაგან დაჩაგრულის და მოძულებულის ადამიანისა, რომლის უშნო გარეგნობა ჰფარავს ისეთს ძლიერსა და მაღალს გრძნობიერებას, რომ ოცდაათი წელიწადი უყვარს ქალი. როცა გასათხოვარი უთხოვნია, დაუწუნიათ, როცა დაქვრივებულა, ვეღარ გაუბედნია თხოვნა, მაგრამ ოცდაათი წლის განმავლობაში უნუგეშოსა და თანაგრძნობას მოკლებულს თავისი გრძნობის წმინდა ცეცხლი მაინც არ ჩაუქრია და ყოველს გაჭირების დროს ამ ქალის ერთად ერთი ჰეშმარიტი თანამგრძნობი იგი ხდება...

ყოველ ამის გარეშე იგი რაღაც უცნაურ სიმბოლოს წარმოადგენს, სიმბოლოს ერთის ადამიანის გრძნობის მეორისაგან შეუგნებლობისას. სამჯერ თითქო მიტომ გამოდის სცენაზედ. რომ დაანახვოს მკითხველს, თუ რა რიგად ყოველგან, საზოგადოების ყოველ ადგილსა და ყოველს საფეხურზედ სუფევს იგივე შეუგნებლობა ერთმანეთისა. იგივ გულის სიგრილე და იგივ „მარტოობა სულისა“, რომელსაც დასტიროდა ყოველი დიდსულოვანი მწერალი შექსპირიდან მოკიდებული ბარათაშვილამდე. ამ სახით სოსიას ტიპი ესეთის ფილოსოფიის გამომსახველია და მით ბევრად უფრო ზოგად და დიდ მნიშვნელოვან სურათად რჩება, ვინემ თვით უმთავრესი გმირი მოთხრობისა გიორგი.

დიაღ, ეს მარტოობა სულისა, ეს ერთმანეთის გაუგებლობა, ერთმანეთის მიმართ გულ-გრილობა კაცთა პირუტყვობის მაჩვენებელია და მთელის მოთხრობის უმთავრესი ტემაა. გიორგის გრძნობებს კესო ვერ გებულობს მიტომ, რომ მათ შორის წოდებრივი განსხვავებაა; სოსია მეწისქვილეს ვაებას ოთარაანთ ქვრივი არა თუ ყურადღებას არ აქცევს, მის თანაგრძნობას უკმეხად ექცევა, არა-მკითხე მოამბედ მიიჩენს; გულ-ცივ ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, თუ შესაძლოა სოსიასებური ძლიერი და მაღალი გრძნობა, და საწყალი ბერიკაცი სიბრალულის მაგიერ რისხვასა და წყრომას იწვევს მათში. სულით ობლობასა გრძნობს, სულით უნუგეშოდა რჩე-

ბა ოთარაანთ ქვრივი, როცა მისი შვილი მხიარულად გაემგზავრება სატროფოსთან მოჯამაგირედ. „დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდან... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმა-ამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, ერთი მაინც შემოიხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა".

ეგრეთსავე გულ-გრილობას. კიდევ მეტ სიმკაცრეს მიიღებს ჯილდოდ სოსიაც, როცა თავისი საღმერთებელის ადამიანის საცოდავობას ველარ უძლებს, ტირილი ყელში მოებჯინება და ძროხასავით ბღავილს მოჰყვება... ამ ადამიანისაგან შეწყნარებისა და მადლობის ნაცვლად ესმის: „აქ შენ ადგილი არა გაქვს, მომშორდიო."

მაგრამ ისეთი მარტოობა და შეუბრალებლობა ადამიანთაგან არც ერთს არ შეხვედრია, როგორც ბედშავს მეწისქვილეს: გიორგის დედა თავს ევლებოდა, ოთარაანთ ქვრივს სოსია თანაუგრძნობდა და თანა ჰყვებოდა, შეცხვარეებმა კი საწყალი სოსია არ დაინდეს, თავისის ძვირფასის არსების საფლავზედ ტირილიც არ დაანებეს და ფეხის კვრით გააგდეს, იქით გაეთრიეო.

დიაღ, ცოდო იყო სოსია და ცოდო არის ყველა ამ წუთი-სოფელში, ყველა, ვისაც არა ღირსებია მადლიანი თანაგრძნობა და სიბრალული, რომელსაც არა ღირსებია სულის მეგობარი, სულის თვისტომი.

ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს თ. ილ. ჭავჭავაძის შედევრად პროზაში ისე, როგორც მისი „განდეგილი" პოეზიაში. ორივე ნაწარმოები უკანასკნელი ხანისაა, რაიცა ამტკიცებს, რომ ავტორს თავისი ნიჭი განუვითარებია, შეუმუშავებია და მისი ზრდისათვის ხელი შეუწყვია. ეს ქართულის ლიტერატურისათვის არა ჩვეულებრივია[1].

მართალია, ეგრეთ წოდებული კომპოზიცია, ტექნიკური მხარე მოთხრობისა, გარეგანი მისი შემუშავება ბევრად უფრო ბრწყინვალეა „კაცია ადამიანში", რომელშიაც ერთიც სტრიქონი, ერთი სიტყვა მეტი არ არის. მაგრამ სამაგიეროდ ფილოსოფია მოთხრობისა უფრო ღრმაა და შემდეგ თვით ტიპები აქ უფრო ზოგადნი არიან.

ლუარსაბი და დარეჯანი დიდის სინამდვილითა და ხელოვნებით არის დასურათებული. ბევრია მათში საზოგადო ელემენტი, მაგრამ მაინც უფრო ერთის დროისა და ერთის ხალხის თვისებათა გამომხატველნი არიან. ოთარაანთ ქვრივი კი თავის სასტიკი და მკაცრი გარეგნობით, მაგრამ არსებითად კი გულ-ჩვილი და გულ-ლმობიერი და ადამიანურის, მოყვალეობის

---

[1] ჩვენ ბევრს ვერას ვიტყვით თ. ილ. ჭავჭავაძის უკანასკნელ მოთხრობა „უცნაურ ამბავის" შესახებ თუმცა მიუხედავად ზოგთა კბილთა ღრჭენისა, თ. ილ. ჭავჭავაძემ ამ მოთხრობით მართლა დაამტკიცა, რომ ქართველის ერის მაჯის-ცემის ყურის-მგდებელია. იქ გამოყვანილი სემინარიელის სოლომონის ტიპი, თუმცა ჯერ მხოლოდ არის აწერილი, მაინც ავტორის ჩვეულებრივის ნიჭისა და ხელოვნების საბუთს გვაძლევს... გარდა ამისა, ეს მოთხრობა არის პირველი საყურადღებო ცდა ჩვენის ინტელიგენტთა ერთ-ერთის სულიერ თვისებათა დახასიათებისა.

ოტკიცედ შემკნები, ისეთი ხასიათია, რომელიც ქართულს ნიადაგზედა და ქართულს ტანისამოსშია აღზრდილი, ხოლო ზოგადი ტიპი კია, საზოგადოდ ადამიანისა და არა კერძოდ, მარტო ქართველის თვისებათა გამომხატველი. და სოსია, ეს ბეჩავი, ღვთისაგან და კაცისაგან მოძულებული, მაგრამ ურმა გრძნობით აღსავსე არსება, კაცთა გულ-ქვაობის მსხვერპლი და თავადაგ სულით დაობლებულია. ეგეც მსოფლიო ვარამისა და კაეშანის, ადამიანთა „სულის მარტოობის" გამომსახველი სიმბოლოა.

ამით ვათავებთ ჩვენს მსჯელობას თ. ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ.[2] ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თ. ილ. ჭავჭავაძეა ჩვენი პირველი რეალისტი პოეტი და პროზაში საუკეთესო რეალიზმის დამამკვიდრებელი[3]. პოეზიაში ილ. ჭავჭავაძე მემკვიდრეა ჩვენის დიდის რომანტიკოს-პოეტებისა და იმათი ზეგავლენა ემჩნევა მის პირველ ლექსებს და პოემებს. ბოლოს კი სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან.

წინამორბედ მწერალთა გავლენამ უფრო ძლიერად იჩინა თავი ილ. ჭავჭავაძის პროზაში. საცა ჩვენს დიდებულ მწერალს ბევრი შეაქვს რომანტიული ელემენტი... მაგრამ სუსტი რომანტიკოსი, იგი პროზაშიაც ძლიერი რეალისტია. ეს მხოლოდ ლიტერატურის მსელელობის ბრალი იყო, რომ მას შერჩა კილო რომანტიკოს მწერლისა, თორემ ნამდვილმა რეალურმა მისმა ნიჭმა შექმნა უკვდავი სურათები ქართული ცხოვრებისა: ლუარსაბ და დარეჯან, დათიკო და არჩილი, ოთარაანთ ქვრივი, ოსია და სხვ.

პროზაში ილ. ჭავჭავაძის შეგირდები არიან ბ. გ. წერეთელი, რომელმაც სადი და აზრიანი რეალიზმი უკიდურესობამდის მიიყვანა და უფერულ ნატურალიზმად გადააქცია და მისი მიმდევარი მწერლები ბ. მელანია, ნინოშვილი. „კაცია ადამიანი?"-ის ავტორის რეალიზმს ჭეშმარიტი მემკვიდრე სულ ბოლოს ხანს აღმოუჩნდა ბ. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში.

პროზაში თ. ილ. ჭავჭავაძის მემკვიდრეა აგრეთვე ბ. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი). ეს მეორე დიდება ჩვენის ლიტერატურისა. მან განავითარა მეორე მხარე ჭავჭავაძის მოთხრობისა, რომანტიული. მხოლოდ მისი დიდის ნიჭის ბრალია, რომ უდროო დროის რომანტიზმი დაამკვიდრა

---

[2] ჩვენ აქ არ შევეხებით მის პატარა მოთხრობებს („სარჩობელაზედ", „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი") და არც „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენებს". ესენი არაფერს არას წარმოადგენენ მის ნაწერებში, არიან მხოლოდ სხვა მოთხრობებისა და პოემებისა ძმები. არაფრით კი არა, ხელოვნების მხრით. „სცენები" იმავე „კაცია ადამიანის"?! ავტორისა არის, იმავე სატირის სატირიკოსისა, რომელიც შხამიანის სიცილით სამარეს უთხრის იქ გამოყვანილს პირებს, რომელნიც ახალ რეფორმების შემდეგ დამკვიდრებულ პირობებში მოქმედებენ.

[3] არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეალიზმის შეტანა პროზაში თ. გ. ერისთავსა ხვდა წილად. მისი კომედიები არიან პირველი მაუწყებელნი ახალი რეალურის მიმართულებისა ჩვენს ლიტერატურაში

ლიტერატურაში და მოსაწონიც გახადა. ამაში ხელს უწყობდა მას ისიც რომ ფსიხოლოგიური ელემენტი შეიტანა მოთხრობაში და ამით თანამედროვე მოთხოვნილება და გემო დააკვიდრა... აზრი მისი ნაწარმოებისა ხომ ზემოთაც მოვიხსენეთ თ. ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მოიპოება. უაზბეგის მიმდევარნი შეიქმნენ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველა, ხოლო ამათი მიმდევარია ბ. არაგვისპირელი, ია ეკალაძე, დეკანოზიშვილი და ივ. ზურაბიშვილი, რომელთაც ფსიხოლოგიური და ფილოსოფიური ეტიუდები შეჰქმნეს.

პოეზიაში კი თ. აკ. წერეთელთან ერთად მან მიიყვანა რეალური პოეზია იმ საფეხურამდის, რომლის წაცილება შეუძლებელი შეიქმნა ჩვენის ლიტერატურისათვის და დაუდვა სათავე რომანტიულის ელემენტებით შეფერადებულს რეალურ ლექსებს ჩვენის ახალგაზრდა პოეტებისას: ძმანი რაზიკაშვილნი, ცახელი, აბაშიძე, ევდოშვილი, განდეგილი და სხვ. ზოგიერთმა ამათგანმა სიმბოლიზმის გვარის ლექსებიც კი შეჰქმნეს ჩვენში: ვაჟა-ფშაველა. ბაჩანა. ცახელი და ამაშიაც თ. ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთელის პოეზიის ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ესოდენ დიდია მნიშვნელობა თ. ილ. ჭავჭავაძისა ქართულის ლიტერატურისათვის. ჩვენის ლიტერატურის ერთის (რომანტიზმის) დამამთავრებელია იგი და ახალი მიმართულების (რეალურის) დამწყები და განმამტკიცებელი.

50 წლის განმავლობაში ეს კაცი თავს ედგა ქართველის ერის ინტერესებს. შემგნები, ვით განდეგილი. რომ ქართველ ერში „დიდი საგანი სპობილა და წაწყმედილა“ და ნაცვლად „ღალვა. შური და მტრობა ღრმად ჩანერგულა“. „ცოდვის სადგურად გარდაქცეულა“, სად რუვნა. წაწყმედა და ღალატია. სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა. სად ცილი. ზაკვა ბულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“.—ყოველივე ამისი კარგად შემგნები თავს დასტრიალებს თავისს სამშობლოს, როგორც მისი ოთარაანთ ქვრივი თავისს „განძსა და ანდერძსა“ და თავის ჯავრს. არავის შეარჩენენ ხოლმე ჯავრს თავისის ერისაა. ტყუილა-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინებიან; სწორეთ პოეტზეა გამოჭრილი მისი „აჩრდილის“ მოხუცის სიტყვები:

> მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!
> მე ვარო შენი თანმდევი. უკვდავი სული.
> შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდაჭებანა,
> არ გულში მე მაქვს შენი აწმყო. შენი წარსული.
> ბედა ვტანჯულვარ, ჰე ბედ-კრულო, შენის ტანჯვითა.
> შენის ცრემლითა თვალნი ჩემნი მიტირებია;
> ძეც წარტყვევნილვარ წარსულო დღეთა შენთა სატკრითა.
> შენის აწმყოთი სული გული დამწუხრებია (I ტ., გვ. 230).

პოეტს გულ-მოშხამულს ჩვენის აწმყოთი, მაინც ყოველთვის სასოებით ესებდა „შვიდ-ფერიანი სარტყელი ცისა, რომელიც გადაეფინებოდა

ხოლმე მის ქვეყანას მახარობლად ტკბილ იმედისა“ და ამხნევებდა გულ-გატეხილ თავის ერსა, „თუ აწმყო არა გწყალობს, მომავალი ჩვენიაო“.

ეს ორმოცი წელიწადი იმის ნატვრაში გაატარა, რომ პირველად დასწვდეს იმ აკვანს, რომელიც თამარ დედოფალს „ბაზალეთის ტბაში“ ჩაუდგამს და, თუმცა ეს არ ეღირსა, თუმცა სამშობლო ქვეყანამ სხვაგვარის საწყაულით მიუწყო მას სულმნათს, მაინც თუ ქართველი ერი განწირული არ არის, თუ მას მომავალი აქვს, მის გულში საუკუნო ხელუხლებელი ძეგლი ექმნება აღგებული იმ დიდებულ მგოსანს, რომელმაც მივიწყებული აკვანი—იდეალი და აზრი დამონავებულის ერის ტანჯულის ცხოვრებისა—მოაგონა და თვალწინ დაუყენა.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი

(ოთარაანთ ქვრივი და პლატონ კარატაევი)

უეჭველია, ყველას ეუცხოვება ასეთი დაპირდაპირება. ბევრს კიდევაც ემწუთხება, ეუცხოვება იმიტომ, რომ მართლაც ი. ჭავჭავაძისა და ლ. ტოლსტოის შორის განსხვავების მეტი არაფერია და ეს განსხვავება იმდენად დიდია, როგორც რუსეთის „სტეპსა“ და ჩვენის სამშობლოს მთა-გორიან. ათასფერად აჭრელებულ ბუნებაში; ისეთი დიდია ეს განსხვავება, როგორც ქართველსა და რუსში, მათ თვისებასა და არსებაში. ეუცხოება ეს შედარება მათ, ვინც მკრეხელობადაც კი მიიჩნევს ტოლსტოის სახელთან ილიას სახელის ხსენებას.

ადამიანს ჯერ არ გამოუგონია ისეთი ინსტრუმენტი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს ორის ნიჭის შედარება, აწონ-დაწონვა. შეუძლებელია სთქვა. არა თუ მათემატიკურის, უბრალო დაახლოებულის სინამდვილითაც კი, რამდენი ერთეულით სჯობს ერთი ნიჭი მეორეს.

ლ. ტოლსტოის დიდ ნიჭიერებას უარის-ყოფა რუსეთის' სინოდსაც კი არ შეუძლია. მაგრამ ვერც ილია ჭავჭავაძის დიდის ნიჭის წინააღმდეგ იტყვის ვინმე ქართველი. ხოლო ტოლსტოი, შეიძლება, ისე ძვირფასი არც კი იყოს რუსისათვის. როგორც ილია ქართველისათვის. რაიცა შეეხება მსოფლიო მნიშვნელობას, ამაზედ ვერას ვიტყვით. ლ. ტოლსტოი კი არა, პოტაპენკოც და მსგავსნიც კი იქცევენ ევროპის ყურადღებას. მაშასადამე. ტოლსტოის დიდი ნიჭი აქ არაფერ შუაშია. რუსეთი, როგორც დიდი სახელმწიფო, ძალაუნებურად იპყრობს ქვეყნის ყურადღებას.

ჩვენ არც კი გვიკისრია ამ ორის მწერლის შედარება. ჩვენ გვსურს მხოლოდ დაუპირდაპიროთ ორი სხვროვნო მწერლის მიერ ხალხის გულიდამ ამოღებული ტიპები.

რუსის ხალხის წარმომადგენელად ტოლსტოიმ დაგვიხატა პლატონ კარატაევი. რომლის წინაშეც მუხლს იყრის. ვითა უდიდესისა და უმაღლესის.

ძალაა წინაშე. პლატონ კარატაევი (და აკიმა „ბნელეთის სამეუფოისა“. თედორე „ანნა კარენინისა“)—იგივე რუსის „მუჟიკი“, ტოლსტოის აზრით, ვანკებისაგან მოწოდებულია „დამპალის“ ევროპის კულტურის გარდაქმნელად და განსაახლებლად. იმავე „მუჟიკის“ წყალობით თვით ტოლსტოიც მოინათლა და გარდაიბადა. მისი შემწეობით თვით ტოლსტოიმ მოიპოვა აღშფოთებულის სულის დამაამებელი და დამამშვიდებელი იდეალი[1].

ოთარაანთ ქვრივი—ქართველის ხალხის წარმომადგენელია. ჰირსა და ვაობაში გამოწრთობილი, უბედურებაში გაკაჟებული. ოთარაანთ ქვრივს (გაბოს, კაკოს, ზაქროს—იმავე ქართველ გლეხებს) საუკუნოების განმავლობაში ბრძოლამ თავის დაცვისამ და მრავალ წლოვანმა კულტურამ, ცხოვრებისათვის ბრძოლისა და ჭიდილის მიუცილებლობა სავსებით შეაგნებინა. ოთარაანთ ქვრივში (გაბოსა, კაკოსა და ზაქროში)—ილიამ მთელი თავისი ცხოვრების ფილოსოფია გამოხატა, როგორც ტოლსტოიმ პლატონ კარატაევში (აკიმსა და თედორეში). გავითვალისწინოთ ეს ორი ტიპი, წარმომადგენელი ორი ერისა და დავინახავთ არა თუ იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს ამ ორ ერს შორის, არამედ იმ ღრმა განსხვავებასაც, რომელიც ორ სხვადასხვა პოლიუსზე აყენებს ორ დიდებულ მწერალს, მათ ფილოსოფიას და სულის კვეთებას.

ოთარაანთ ქვრივი მოთხრობის შესავალიდამვე ასე გვიხასიათებს თავის თავს: „მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ. ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგრინები (ხაზი ჩვენ გეეკუთვნის). თუ გაჭირდა, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლი.“ სოფელმაც კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილა-უბრალო შაქრობა და მუქარა არ უყვარდა, იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო“.

ანტომაც არა თუ სოფელი ერიდებოდა, სოფლის ბატონი და პატრონი—ეზირი და მამასახლისიც კი ისე ჰყავდა შეშინებული, რომ, რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ—ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და ღმერთს დააწყევლინებდა“.

ოთარაანთ ქვრივის არსებითი თვისება სწორედ ეს გახლდათ, რომ „თავის ჯავრს არავის შეარჩენდა და ტყუილა-უბრალოდ არავის დაეჩაგრინებოდა“. მთელი მისი აღშფოთებული მებრძოლი ბუნება სულ იმის დევნაში იყო, ვინც მცირედ. ლაჩარი, სხვისი ხელის შემყურე იყო.

ნაგრამ „მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთ“ კი დიდის სიბრალულითა და გულმოწყალეობით ეპყრობოდა: ამათ ის ნამდვილ, აქტიურ დახმარებასა და შეწევნობას უჩენდა. განსაკუთრებული ქისაც კი ჰქონდა, სადაც „ღარიბ-

[1] იხ. „Исповедь“, გამოცემა „Всемірный Вестникъ“-ისა, 1906 წ., გვ. 41 და 49.

თა გასაკითხ" ფულს ინახავდა. მისთვის ყოველივე სენტიმენტალური წრიპინი საზიზღარი იყო. თვით მხნე და ლომი დედაკაცი სიტყვების რახრუხს არას დაგიდევდათ. იმისათვის საქმესა ჰქონდა მნიშვნელობა და იმდენზედ მობეზრებული ჰქონდა ქვეყნის ქალაჩუნობა, რომ რაც უნდა მადლი ექმნა, უთუოდ პილპილს მაინც მოაყრიდა.

„ტკბილი სიტყვა რა არისო"—იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი. გამწარებულს წუთი-სოფელში ტკბილი სხვა არის. რომ სიტყვა იყოს (ხაზი ჩვენია). რას მიჰქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცია. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამუშაველი ხომ არ არის,—მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მიაწიოს, ან იქით. თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურებს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა..."

ასეთი გარეგანი სისასტიკე და სიმკაცრე სრულიათაც ხელს არ უშლის, არსებითი და გულითადი თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინოს ყოველ გაჭირვებულს.

გარეგანი მისი სისასტიკე ისეთს კეთილს გულს, ისეთს ღრმა გრძნობებს ჰფარავდა, რომლის წინაშე მართლაც მუხლი უნდა მოიდრიკოს კაცმა. აბა გაიხსენეთ, რანაირის თავგადადებით უვლის ქმრისაგან დატოვებულ თოფ-იარაღს, რომელიც მისთვის სათაყვანებელის ადამიანის სახსოვარია; აბა შეხედეთ, რანაირის ლმობიერებით და თავგანწირულებით ეპყრობა მის შვილ გიორგის ცოცხალს, და რანაირის თავდავიწყებით გადაჰყება თან მკვდარსა. ასეთ ადამიანებს შუაგზაზედ შეჩერება არც შეუძლიათ და არც უყვართ. მათი გრძნობა უსაზღვროა და უკიდო. მაგრამ ეს გრძნობა მარტო ენაზედ კი არ აკერიათ, მთელი მთი არსება ამ გრძნობითაა გამსჭვალული.

ამ უბრალო სოფლის დედაკაცისათვის ერთად ერთი იდეალი მისი ქმრის ანდერძია და განძი—მისი შვილი. ამ იდეალს შეწირავს მთლად ერთიანად. სავსებით, უკან დაუხევლად მოელს თავის ცხოვრებას და სიცოცხლეს. და ამნაირი ცხოვრება. ნამდვილი ადამიანური ცხოვრება მხოლოდ ოთარაანთ ქვრივისთანა სულს და მთელ ბუნებოვან ადამიანს შეუძლია აღასრულოს ნამდვილი დედა-შვილობა, ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, ნამდვილი მამულიშვილობა და მოქალაქეობა. ყოველსავე, რასაც ხელს მოჰკიდებს მისი ძლიერი ბუნება, ყოველსავე სავსებით შესწირავს თავისს ძალასა და ღონეს და ყოველსავე, რასაც კი ითაეებს, სინდისიერად და წმინდად აღასრულებს.

ასეთი ადამიანები ჰქმნიან ცხოვრებას, ასეთნი, რომელთა ცხოვრების დევიზია. „ტყუილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინოს". გარდაჰქმნიან ხოლმე დამპალ ცხოვრებას და ახალს საუკეთესო საძირკველს ჩაუდგმენ. მათთვის ყოველგვარი დაჩაგვრა საზიზღარია, ყოველგვარ მტარვალობას წინააღუდგებიან. ესენი ნამდვილი ცხოვრების მეტოქენი არიან-თუ ეპქვს გარეშეა ის მოვლენა, რომ ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლაა ცხოვრების სხვადასხვა ძალთა, სხვადასხვა დარგისა და მიმართულების შორის. სანამ ასეთი პირობენება იშვიათია, ცხოვრება მიმქრალია და მოდუნებული; იქ ცხოვრება ჭენჭყოდაა ქცეული, სიცოცხლის მომწაღველ და მოშხამველ ჭენჭყოდ. ასეთი იყო სიცოცხლით აღსავსე ოთარაანთ ქვრივი. ასეთი იყო უებრო მებრძოლი ამ გამწარებულ წუთისოფელში, ქვეყნის ტანჯვაში გამოზრდილი და ცხოვრების ვაებაში გამოწრთობილი ადამიანი.

ავიღოთ პლატონ კარატაევი—ეს ტოლსტოის სათაყვანებელი გმირი, რომელიც, მისის აზრით, წარმოადგენს იმ სიღრმეს აზრისა და გრძნობისას რომლის წინაშე მთელის ევროპის კულტურა გაკოტრებულად მიაჩნია.

მთელის მეცნიერებისა და ფილოსოფიის სწავლა ტოლსტოის იმ დასკვნამდი მიიყვანს, რომ ერთად ერთი ხსნა ქვეყნად არის პლატონ კარატაევის ცხოვრების სიბრძნეში და რომ ერთად ერთი შინაარსიანი ცხოვრება კარატაევის ცხოვრებაა. როგორი არის ეს ფილოსოფია და ცხოვრება, რომელიც ტოლსტოიმ დაუპირდაპირა კაცობრიობის ფილოსოფიასა და კულტურას? რაში გამოიხატება პლატონშას ეს სიბრძნე, რომელსაც ტოლსტოი სოლომონის და სოკრატის სიბრძნესაც ამჯობინებს.

პლატონ კარატაევი, პიერ ბეზუხოვის[1] წარმოდგენით, „განხორციელება იყო ყოველისავე რუსულის კეთილისა და „დარგვალებულის"... გაცნობის მეორე დღეს რომ დაინახა პიერმა პლატონი. „პირველი შთაბეჭდილება რაღაც დამრგვალებულისა ხელ-ახლად განმტკიცდა მასში" პიერისათვის კარატაევი დარჩა სამარადისო სახსოვრად „ვითა მოუწდომელი დარგვალებული და საუკუნო სახე სიმართლისა და მარტივის სულისა".

რა არის ეს „დარგვალებული"?—ამის ახსნა თვით ავტორსაც უჭირს, მაგრამ რაღაც მომხიბვლელის მისტიურის ძალით კი მოსავს მას. ამის დამამტკიცებელი ისაა, რომ ეს თავისებური ჰამლეტი-პიერ ბეზუხოვი—რომელსაც ეპვებითა აქვს მოწამლული ცხოვრება, პლატონ კარატაევის შეხვედრის შემდეგ გარდაიბადა და განახლდა: „უწინ მისთვის დამსხვრეული მსოფლიო, ეხლა ახალის ძალით გაბრწყინვებული, ახალს შეურყეველს საძირკველზედ შენდებოდა და მის სულში მოძრაობდა".

[1] „ომისა და ხავის" გმირი, რომელიც თვით ავტორის სულისკვეთების გამომხატველია იხ. ტომი IV, გვ. 62—71, და 218—223.

მთელი თვისება კარატაევისა გამოიხატება სრულს ინდივიდუალიზმში. პასსიონობასა და აპატიაში, იგი სრულის უსაზღვრო გულგრილობით ემონება და ემორჩილება ყოველს ძალსა და ხვედრს.

„თავის დღეში არ დაფიქრდებოდა იმის შესახებ, თუ რა სთქვა ან რა უნდა სთქვას და სწორედ ამიტომაც მის სიტყვებს შეურყეველი დამაჯერებელი ძალა ჰქონდა. მღეროდა ხოლმე ისე, როგორც ჩიტები გალობენ უთუოდ მარტო იმიტომ, რომ ეს მღერა მისთვის მიუცილებელი საჭირო იყო როგორც გაზმორება, გინდ გავლა-გამოვლა... ხანდისხან დაიწყებდა ლაპარაკსა და ბაასს, მაგრამ სრულიად იმის წინააღმდეგს იტყოდა, რაც წინათ უთქვამს. მაგრამ მაინც ძველი და ახალი ნათქვამი ჰეშმარიტებით იყო აღსავსე... სრულიადაც არ ესმოდა იმგვარი გრძნობა დამოკიდებულებისა, მეგობრობისა და სიყვარულისა, როგორც ეს ესმოდა პიერს (დ. მაზასადამე, ყოველ გონიერს ადამიანს). მაგრამ უყვარდა და სიყვარული ეპყრობოდა ცხოვრებაში არა რომელსამე ამა თუ იმ პირს, არამედ ყოველს კაცსა, რომელსაც კი დაინახავდა... პიერი კარგად გრძნობდა, რომ, თუმც კარატაევი ძალიან სათნოებით ეპყრობოდა. ერთი წუთითაც არ მოიწყენდა, რომ მოშორებოდა. როცა კარატაევი ლაპარაკს დაიწყებდა. ასე ეგონებოდა კაცს, არც კი იცისო, რით გაათავებს. როცა პიერს პლატონის სიტყვების აზრი განცვიფრებაში მოიყვანდა ხოლმე. შეეკითხებოდა, სთხოვდა გამეორებას, მაგრამ არაფრით არ შეეძლო იმისი გახსენება, რაცა სთქვა ერთის წუთის წინ".

მთელი ფილოსოფია და მორალი კარატაევისა,—რომელიც ბოლოს დროს, საუბედუროდ, ტოლსტოიმაც მიიღო და რომელიც „რუსულის სულის" განსაკუთრებულ საამაყო თვისებად მიაჩნია თვით ტოლსტოისაც —იმ ორ იგავში გამოიხატება, რომელსაც ხშირად იმეორებდა ხოლმე: ერთი შეეხებოდა მის ჯარის კაცად წაყვანას. ერთხელ პლატონი ხეების მოსაჭრელად სხვის ტყეში შეიპარა. დაიჭირეს, სცემეს და მერე ჯარის კაცად მისცეს (ბატონყმობის დროიდამ არის).

მწყუხარებისა და სევდის ნაცვლად პლატონის ამგვარად დასჯის გამო თვით იგი და მთელი მისი ოჯახი სიხარულსა და შვებას მიეცნენ იმიტომ, რომ ამ შემთხვევის წყალობით „სალდათობას" გადარჩა წვრილ-შვილებით დატვირთული მეორე ძმა პლატონისა. ამ იგავს კარატაევი ამგვარის ფილოსოფიურის სენტენციით იწყებს: „მათხოვრის გუდაზე და სატუსაღოზედ თავის დღეში უარს ნუ იტყვიო" და ამნაირის მორალით ათავებს: „რა ჩვენი საქმეა, რომ ვმსჯელობთ, ეს არ ვარგა, ის ცუდიაო. ყოველი ფერი იღბლის საქმეა. ჩვენი ბედნიერება წყალში ცხრილს მიაგავს, მოსწევს — მძიმეა, ამოიღებ და შიგ არაფერია".

მეორე იგავი—ერთის ვაჭრის ამბავს შეეხებოდა. ვინმე ვაჭარს უსმარ-

თლოდ შესწამეს კაცის მოკვლა, და კატორღაში გაგზავნეს. იქ სიკვდილ-ზედ მიღწეულ ამხანაგებს თავის თავგადასავალს უამბობს. მათ შორის აღმოჩნდება სწორედ ის ავაზაკი, რომლის ბოროტმოქმედებაც ვაჭრს მოახვიეს თავზედ. ავაზაკი დაეცემა მუხლებზედ, ბოდიშს მოიხდის და მთავრობასაც შეატყობინებს, მაგრამ ვიდრე მთავრობა მიწერ-მოწერას მორჩებოდეს, უდანაშაულოდ დასჯილი კიდევაც მოკვდება. უსამართლოდ დატანჯული ვაჭარი თავისს ხვედრს მორჩილებითა და მოთმინებით იტანს: „მეო“, ამბობს იგი, ვიტანჯები ჩემისა და სხვების ცოდვების გამო... ჰგავს, ღმერთმა ჩემის ცოდვებისთვის დამსაჯაო“ ხოლო სინანულში ჩავარდნილ ავაზაკს ეუბნება: „ღმერთი გაპატიებს, ხოლო ჩვენ კი ყველანი ცოდვილნი ვართ და მეც ჩემის ცოდვებისთვის მივიღე სატანჯველი (ხაზი ყველგან ჩვენია). თუ კარგად ჩაუკვირდებით, ნახავთ, რომ ეს ფილოსოფია არის ფილოსოფია სიცოცხლის, ცხოვრების და ცხოვრებაში სიხარულის უარყოფისა. ყოველივე ტანჯვა—ამ ფილოსოფიით—უნდა მიიღო, ვითა შენის ცოდვების შედეგი და კანონიერი სასჯელი და, მაშასადამე, ყოველსავე ტანჯვას, ვაებას და წამებას კი არ უნდა შეებრძოლო და წინააღუდგე.—სიხარულითა და მოთმინებით უნდა მიიღო. უბედურებას ნუ გაურბი—„отъ сумы да отъ тюрмы никогда не отказывайся“ ამიტომ, რომ იგი შენის ცოდვების ღირსეული ჯილდოა, ანა და იმიტომ, რომ შენის ტანჯვითა და ვაებით იკნება კიდევაც ვინმემ ისარგებლოს.

ამ ფილოსოფიის ლოღიკური დასკვნაა ის უცნაური „არა წინააღუდგე ბოროტსა“, რომელზედაც დაახურდავა ტოლსტოიმ მთელი ქრისტეს მორალი და რომელიც მარტო და მხოლოდ რუსის დაბეჩავებულის, საუკუნოების მტარვალობის ქვეშ წელში გაწყვეტილის ხალხის სულის ფილოსოფიაა და სხვა არაფერი.

... საკვალალო და სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ დამღუპველ თვისებას რუსეთის დიდებული მწერალი, რაღაც მიუწვდომელ იდეალად სახავს, კაცობრიობის განახლებისა და გარდაქმნის წამალს აქ იძიებს და თვით თავის მაგალითზედ ეჭვით გულ-განგმირული მიგვითითებს: „რუსის ხალხს მივმართე და იმ აზრს, რომელსაც ეს ხალხი აძლევს ცხოვრებასა და აქ მოვიპოვე ნავთსაყუდელიო“. ეს ხალხი ცხოვრებას მძიმე შრომაში ატარებს, მაგრამ იგი ცხოვრების კმაყოფილია... „ყოველსავე ავადმყოფობას, უძლურებას ისე უხვდება, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს; არაფერი არავითარ ეჭვს არ აღუძრავს ხოლმე მას; სრული სიმშვიდით მიეგებება ყოველსავე დაღრმად არის დარწმუნებული, ყოველიფერი ისე უნდა მიმდინარეობდეს, როგორც არის, აქ სხვაგვარად შეუძლებელია მოხდეს რამე, ყოველივე რაც არის—კეთილია“.

რამდენად უფრო მაღლა აყენებს ჩვენი დიდებული მწერალი ქართველის ერის წარმომადგენელსა, როცა მას სიცოცხლის მოსარჩლეობას აჩენებს და ბოროტის წინააღმდეგ მედგარ მებრძოლად გამოჰყავს. განა თუ ქართველ ერშიაც არ მოიძებნება ღვთისაგან და კაცისაგან მოძულებული ბეჩავი სოსია მეწისქვილე („ოთარაანთ ქვრივი") და თუ გინდ მეურმე. რომელიც მთელს თავისს პროტესტს არსებულის ცხოვრების მიმართ ინით გამოჰხატავს, რომ ზაქროსა დ აკაკოს ბედის შემნატრი „შურით ხარს შოლტს გაუტყლაშუნებს",—არიან ეგრეთი ბეჩავნი ქართველ ერშიაც, მაგრამ იგინი მეორე პლანზე დგანან და ილიას დიდი დამსახურება ჩვენის ერის წინაშე სწორედ ის არის, რომ ოთარაანთ ქვრივისთანა კაცისაგან გამოქანდაკებულ პიროვნებას გვისურათებს ჩვენია ერის არსებით თვისებების წარმომადგენლად და მთელი მისი სიმპატია ამგვარის პიროვნებისაკენ არის (ეგრეთივეა მისი გაბრო, კაკო და ზაქრო).

ცხოვრება, მანამდე, ვიდრე იგი ცხოვრებაა, მარტო ოთარაანთ ქვრივებისთანა ენერგიულ ადამიანების სამეუფოა. მარტო ოთარაანთ ქვრივებს შეუძლიათ შეჰქმნან გაბროები და კაკოები, რომელთა, ვითომ და „ავაზაკობა" რევოლუციონერის სულითაა გაჟღენთილი და რომელთაც მარტო შეუძლიათ გარდაქმნან ცხოვრება საუკეთესო იდეალის მიხედვით: ოთარაანთ ქვრივი თავს ტყუილად არავის დააჩაგვრინებს, გაბრო თავის გულუპატიურებას არავის შეარჩენს, ეგრე მოიქცევა კაკოცა და ზაქროც.

აბა წარმოიდგინეთ რომელიმე მათგანი ან პლატონის როლში, როცა ჯარის კაცად წაიყვანეს, ანა და უდანაშაულოდ დასჯილის ეპრის როლში: უველა მათგანი. რასაკვირველია, იგრძნობდა, რომ მათმა უბედურებამ ვისმე ბედნიერება მიუტანა და ამ ბედნიერების თვისების მიხედვით ესიამოვნებოდათ, ან იწყენდნენ. მაგრამ მათ გამაუძლურებელს კი არ შეარჩენდნენ. იგინი ჯავრს იყრიდნენ, არა თუ მარტო კერძო პირზედ, მთელს საზოგადოებისაგან იძიებდნენ შურს, იმ საზოგადოებისაგან, რომელიც ჰქმნის, ხელს უწყობს უსამართლო მსაჯულს, გამაუპატიურებელ მებატონეს, სულთამხუთავ გზირსა და მამასახლისს...

ოთარაანთ ქვრივი, გაბრო, კაკო და ზაქრო ცხოვრების ვაებას ბრძოლას უწევენ. ბოროტს წინ აღუდგებიან და ან იცხოვრებენ ისე, როგორც ცხოვრებას შეეფერება, სიხარულითა და შვებით, მტკიცედ და შეურცხვენლად, ანა და თავს შეაკლავენ ბრძოლას თავისის იდეალისათვის თუ არა და სიცოცხლეს მოისპობენ. მათ პირუტყვეულს ცხოვრებას—ნაზარახ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ.

ჩვენის დიდებულის მწერლების სადიდებლად უნდა აღვიაროთ, რომ მათგან ნაანდერძევი იდეალი სიმხნევესა, სიმამაცისა და ბოროტის წინააღმდეგ „ნესტან დარეჯანის" დასახსნელად ბრძოლის იდეალია. მათ იშვიათის გამჭრიახობით, წინასწარმეტყველურის ნიჭით შეუგნიათ ცხოვრების არარაობა, მისი სიბინძურე და სიბილწე. ძვირად თუ ოდესმე პოეტს და მწერალს უგრძვნია საუკუნის ჩვენი ბედშაობა ისე, როგორც ბარა-

თაშვილს, ილიას და აკაკის, მაგრამ თავის დღეში მათ ვერ წარმოუდგენიათ უბედურების წინაშე მუხლის მოყრა...

იგინი ყოველთვის იმას ჩაგვძახიან: „თუ კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა" ანა და: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია" ან და კიდევ: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, მოვა დრო და გაიღვიძებს".

მთელი მათი პოეზია, ფილოსოფია და მორალი ამგვარის მხნე და მრთელის პესსიმიზმით იყო გაჟღენთილი, რომელიც ცხოვრების სიმწარეს სავსებით გრძნობს, მაგრამ სიმწარის შერიგებას კი არ სცდილობს, ებრძვის მას, წინააღუდგება და სწამს სიკეთისა და სიხარულის სამეუფოს განმტკიცება და გარეშე ამისა სიცოცხლე ჩირის ფასადაც არ მიაჩნია.

ასეთია საუკუნო დედა აზრი ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც უკვე რუსთაველისაგან გვაქვს ნაანდერძევი: საარაკო ტანჯვა ტარიელისა ნესტან დარეჯანის ძებნაში, მისი მოპოებით და მასთან საუკუნო კავშირით დამთავრდება...[1]

22 სექტემბერს, 1911 წელს, ქუთაისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე წაკითხულმა ჩემმა რეფერატმა რეპლიკა გამოიწვია ჯერ თვით თე-

---

[1]. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კ. აბაშიძის შეხედულება ლ. ტოლსტოის შემოქმედებაზე ყალბი და მიუღებელია. იგი უარჰყოფს ტოლსტოის შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას და მის მსოფლიო რეზონანსს ხსნის არა მწერლის მხატვრული ტალანტით, არა იმით, რომ მისი შემოქმედება წარმოადგენდა რევოლუციის სარკეს, არამედ იმ გარემოებით, რომ „რუსეთი როგორც დიდი სახელმწიფო, ძალაუნებურად იპყრობს ქვეყნის ყურადღებას". კ. აბაშიძემ წინა ხაზზე ტოლსტოის მსოფლმხედველობის რეაქციული მხარე წამოსწია და ამ ნიადაგზე დაუპირისპირა იგი ი. ჭავჭავაძეს, გვერდი აუარა რუსი ხალხის მებრძოლ, რევოლუციურ სულისკვეთებას და იმ მცდარ დასკვნამდე მივიდა, თითქოს ქართველი ხალხისათვის აქტიურობა იყო დამახასიათებელი, ხოლო რუსი ხალხისათვის—პასიურობა. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი კი სულ სხვაგვარად აფასებდნენ ტოლსტოის შემოქმედებას. მართალია, ისინი არ იზიარებდნენ მწერლის რელიგიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებდნენ მისი შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობაზე, რადგან მასში იგრძნობოდა გულწრფელი სიყვარული ქართველი ხალხისა, გენიალობა შემოქმედისა და თვითმპყრობელობის ულმობელი კრიტიკა. 1886 წლიდან ილია სისტემატურად ბეჭდავდა „ივერიაში" ტოლსტოის ნაწარმოებებს და წერილებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მაღალ შეფასებას აძლევდნენ ტოლსტოის ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ვაჟა. საქართველოში ფართო პოპულარობით სარგებლობდა ტოლსტოის პედაგოგიური შეხედულებანი და საბავშვო ნაწარმოებნი. ი. გოგებაშვილი „დედაენის" შედგენის დროს ტოლსტოის „ანბანითაც" სარგებლობდა. ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები ტოლსტოის შესახებ ნათელყოფენ, რომ კ. აბაშიძის შეხედულებანი დიდი რუსი მწერლის შემოქმედების შეფასების საქმეში წარმოადგენდა უკან გადადგმულ ნაბიჯს. კ. აბაშიძის მცდარმა კონცეპციამ თავი იჩინა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების გარკვევაშიც. მკითხველი, კ. აბაშიძის ამავე წერილში ნახავს რუსული ლიტერატურის უსაფუძვლო და უხეშ შედარებას ქართულ მწერლობასთან (გვ. 484) ეს შედარება ნათელყოფს, თუ რა არასწორად ესმოდა კ. აბაშიძეს რუსული კლასიკური ლიტერატურის შინაარსი და მისი უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ი. ბ.

ატრის დარბაზში და მერე გაზეთებშიაც („მნათობის“ ფურცლებზე).

მე, რასაკვირველია, ვერ გამოვეკამათები ვერავის, მაგრამ მინდა ორიოდე ჩემი მოსაზრება გავუზიარო, მკითხველებს და ამით გზადაგზა პასუხი გავსცე ჩემს, ასე ვთქვათ, ოპონენტებს.

„განდეგილი“ ისეთი დიდებული, ისეთი გასაოცარი ნაწარმოებია, რომ იმის შესახებ ბაასი კაცს არ მოსწყინდება. არც მწერალს—წერა. არც მკითხველს—კითხვა. განდეგილი არა თუ უდიდებულესი ნაწარმოებია იმ სალიტერატურო სკოლისა, რომელსაც ილია ეკუთვნოდა, არა თუ გამომსახველია მთელის მეცხრამეტე საუკუნის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილის ფიქრისა, აზრისა და სულის კვეთებისა, იგი წინასწარმეტყველურის ტენდენციით არის აღსავსე. იგი გამომხატველია მთელის ქართველის ერის კულტურულის სახისა. იგი გამომხატველია ქართველის ერის რწმენისა და ფილოსოფიისა.

„ვეფხვის ტყაოსნის“ საუკეთესო მაღალ ნიჭიერმა მკვლევარმა აკადემიკოსმა და პროფესორმა მარმა აღნიშნა თავისს წიგნაში შოთას თხზულების ის ცხოველმყოფელი ილლინიზმი, ცხოერების ფილოსოფია. ცხოვრებისადმი ტრფიალი, აზრი, რომლითაც აღსავსეა ეს დიდებული ნაწარმოები, ეს უკვდავი ძეგლი ქართველი ერის გენიოსობისა, ეს საღი წარმართული (paien) შეხედულება ცხოერებაზე სჩქეფს ჩვენს ლიტერატურაში დაუშრეტელად, მისი მოძრაობა ვერ შესძლო ვერც ბიზანტიურმა ფორმალიზმა სარწმუნოებაში, ვერც აღმოსავლეთის პესსიმისტურმა ფილოსოფიამ, რომლის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა მთელი ჩვენი ლიტერატურა საუკუნოების განმავლობაში, ვერც მისტიციზმმა რუსეთის მწერლობისაჲ, რომლის გავლენის ასის წლის იუბილე უკვე ნადღესასწაულევი აქვს ქართულ მწიგნობრობას.

თუ სადმე შესაძლებელია ითქვას რომელისამე ერის ლიტერატურის მთავარ ტენდენციის შესახებ, მწერლობის ნაციონალურის ხასიათის შესახებ, კულტურის დედა-ძარღვის შესახებ — ეს უეჭველად ქართულ ლიტერატურის შესახებაც ითქმის და ეს განსაკუთრებული თვისება ქართულის მწერლობისა გამოიხატება იმაში, რომ მარად ჟამს, ყოველს გარემოებასა და ყოველს პირობაში მას არ დაუკარგავს, არ გადაუხვევია ცხოვრების ელღოსაფვის, არ უღალატნია მისთვის. ცხოვრების „სიტკბო-სიმე“ ყოველთვის ღრმად უგრძვნია, ყოველთვის სატრფიალო საგნად გაუხდია. ჩვენს ლიტერატურას. რასაკვირველია, განუცდია ქრისტიანობის ზედგავლენაც; სასაცილოც იქნებოდა და სატირალიც ეს ძლიერი ძალა მისთვის შეუმჩნეველი და შეუთვისებელი გამხდარიყო. უეჭველად ამჩნევია მას დაღი იმ სარწმუნოებისა, რომლის უმთავრესი იდეალიც მოყვასთათვის თავის დიდებაა. „უფროს ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსუას მეგობართა თავისთვის“—გაისმოდა საუკუნოების განმავლობაში იესოს ტაძარში და მისი გამოხმობა, მისი გამოძახილი თვით განხორციელებულ სასოწარკვეთილების გენიოსის ნიკო ბარათაშვილის ლექსებში გაისმის.

თუ ერთის მხრით იგი ცხოვრების თაყვანისმცემელია:

> რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა.
> უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

ჰვეტყვის ის და გვიხატავს რა ცხოვრების ძირის სიმწარეს. მეორე მხრით ქრისტიანულ მოყვასის სიყვარულს იჩენს, როცა გვეტყვის:

> და ჩემ შემცოდმად მოძმესა ჩემსა
> სიძნელე გზისა გაუადვილდეს.

მხნედ დაგვძახებს მას შემდეგ, რა ყოველსავე ამ სოფლიურს თავისის მერანით გადასთელავს: სიყვარულს, მეგობრობას, თვით საფლავს სამშობლო მხარეში.

ამიტომაც არის, რომ ჩვენის ცხოვრების ფილოსოფიას, „საიქაოს" რწმენას, ხორცის სიამეს აღვირ-ახსნილი, ეგოისტური, ბინძური ელფერი კი არა სდევს, სინაზითა და სიმშვენიერითაა შემოსილი, „სურვა", „მგრძნობელობა" სჯობს ყოველ „გრძნობას—გვეუბნება ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაგრამ მისი მგრძნობელობა სევდიანობითა და თავისუფლებით არის აღსავსე.

შედარებისათვის ავიღოთ რუსული ლიტერატურა:

რუსულის მწერლობის კორიფეები ტოლსტოი და დოსტოევსკი სულ ცხოვრების სიტკბოს წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი, მარტო სული, მარტო საიქიო აინტერესებსთ; ტოლსტოი იმ უკიდურესობამდისაც კი მივიდა, რომ დაჰგმო და ანათემის ღირსად გახადა თვით გრძნობა სქესობრივი დასაბამისა, წყარო ცხოვრებისა, ე. ი. მან ერთის კალმის მოსმით მოინდომა მთელის ცხოვრების მოსპობა. რუსული ლიტერატურა ყოველს ხორციელს, ყოველს, რასაც ბუნებრივის სტიქიონის ხასიათი აქვს, უარყოფით ეკიდება, მარტო სული, მარტო გასაცხოვნებული კაცი—ადამიანი—აი მისი იდეალი; მშრალი კანონი, მკვდარი დოღმატი—აი მისი მორალი. ყოველი ადამიანი, რომელიც ეკლესიის მიერ მიღებულ დოღმატს გადააბიჯებს, დაისჯება: ანნა კარენინა დაღუპულია იმიტომ, რომ უღალატა საუკუნოების მიერ გაჰედილ მეუღლეობის კავშირს.

ცხოვრების სიდუხჭირე, სიბინძურე, ვით სიმბოლო ცხოვრებისა, შეხარულება, სიცოცხლის უარყოფა—აი რა ამშვენებს ადამიანს. პიერ ბეზუხოვი მკბენართა ემბაზში მოინათლება და მხოლოდ მაშინ იქცევა ტოლსტოის თანამგრძნობ გმირად. ეს არის არა თუ ქრისტიანიზმი, არის გადაჭარბებული, წრეს გადასულ ფორმალიზმის გაღმერთება. და, როცა უწმინდესი სინოდი ტოლსტოის მოძღვრებას სდევნის, პირდაპირ ადამიანთა შეუგნებლობისა და სისულელის სურათი თვალ-წინ აღგემართებათ. შესაძლოა, სინოდის წევრები წინააღმდეგნი არიან არსებითად ფორმალიზმის განხორციელებისა. მათ ფორმა, დოღმატი დეკორუმად სჭირიათ, ძალის მოპოვებისათვის გამოსადეგ იარაღად და სრულიადაც არ ეჭაშნიკებათ მათი ცხოვრებაში განხორციელება. ამ შემთხვევაშიაც შორს მხედველობაა

საჭირო თვით უმცირესი, რომ იმ კაცს არ აუმხედრდე, რომელიც ახალი სულით აცხოველებს დახავსებულსა და დამპალს ჩონჩხს.

ვერავითარს მსგავსს ქართულს ლიტერატურაში ვერ იპოვით. არა მგონია ჩვენოდენი საზოგადოებრივი უბედურება ერს სწვეოდეს—ერთი ილიას მოკვლა რად ღირს,—მაგრამ მიუხედავად ამისა, სიხარული და ლაღობა, ცხოვრების, საწუთროს, სააქაოს სიყვარული ჩვენს მწერლობას არ დაუგდია. თუ ქვეყნის გეოგრაფიულს მდგომარეობას რაიმე გავლენა აქვსდა. უეჭველია, აქვს—მწერლობაზე, ერთის მხრით ამითაც აიხსნება ეს მხიარულების ფონი, ნიადაგი, რომელიც არა ჰორდება ჩვენს მარჯვენასაკურთხ მწერლებს—თვით უაღრეს პესიმისტებსაც კი. „ცა-ფირუზ.—ხმელეთ ზურმუხტი",—რომელიც ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა უკვდავჰყო თავისს ერთ საუკეთესო ლექსში, ნიადაგ მხიარული კაშკაში ცა მზით გაბრწყინვალებული, ნიადაგ ამწვანებული მიდამო—თვით უსაშინელეს წამებს უტკბობს სმენა-მახვილს გენიოსს ქართველის ერის პოეზიისას.

და აი თვისება ქართველის მწერლობისა სავსებით გამოიხატა ილიას „განდეგილში".

რაში გამოიხატა ილიას პესიმიზმი, ილიას უარყოფა ცხოვრებისა—ამ პოემაში?

სამას სტრიქონზე მეტია ამ საოცნებო ქმნილებაში და ამ სამასი სტრიქონიდან ცხოვრების მწარე მხარის აღწერას დათმობილი აქვს ოცი თუ ოცდახუთი სტრიქონი. შესაძლოა ამასში გამოერიოს ათი სტრიქონი, რომელიც მთელ ნაწარმოებს სჯობდეს, უფრო ძლიერი იყოს. ამისათვის სტატისტიკას და ციფრებს როგორც აქ, ისე, საზოგადოდ, ხელოვნებაში ადგილი არა აქვს. მაგრამ ეს პოემა იმ შედევრს ეკუთვნის, რომელშია ერთი წერტილიც არ არის მეტი, რომელშიაც ერთი სტრიქონი მეორეს სჯობს და ეს მეორე—პირველს. მეორე თავის ადგილს უფრო ძლიერია პირველით, ხოლო პირველი უმეორეოდაც მშვენიერია და წარმტაცი. მაშ, აქ ამ წმინდა ტეხნიკურ მოსაზრებასაც აქვს მნიშვნელობა.

აი ის სტრიქონები, სადაც ილიამ შეუდარებლად დაგვიხატა მთელი სიმწარე ცხოვრებისა, ვითა ძველ ე ბ რ ა ე ლ თ ა წინასწარმეტყველმა მკვეთრად და საოცარის წინაგრძნობით აგვიხსნა შხამიანი წუთისოფელი:

ოდესღაც ტაძარს იმ განდეგილს
შეუდაბნოე შეჰკედლებია:
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აექცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღეღამ,
ვითა მპარავი დამტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას ემართლება ჰქმნის ცოდვის ხელი:

სად, რყევა, წაწყმენდა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლს ძმისა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჩნდის
ქვეშინდა სიყვარულს მოყვასისაჲა.
განშორებია ამ წუთი-სოფელს.
სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეწირების მახე და ცდუნებაა.

რაგინდ ძლიერი იყოს ეს სურათი, იგი განყენებული სურათია. იგი ლოღიკური აბსტრაქციაა. იგი მსჯელობაა მოშხამულის გონებისა, და, როგორც ასეთი, ისეთს ცხოველმყოფელ შთაბეჭდილებას არ იწვევს, ვითა აღწერა „საქაოსო“ „ცხოვრების“ ამ წუთი-სოფლის სიტკბოებისა, რომელიც მგოსანმა უკვდავის მხატვრულის საშუალებით შეგვაგნებინა. ცხოვრება ის მშვენიერი ასულია, რომელიც სენაკში შეეჭრა განდეგილს და ყირამალა დააყენა მთელი მისი ფილოსოფია, ტყუილა ჩაუტარა ის, რომ „დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით. ხორცი სულისთვის უწამებია“.

აბა გადაათვალიერეთ ცხოვრების გაღმერთების სურათი:

გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალ-წინ წარმოედგინა:
ქმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით...

და ეს მშვენიერება მით არის კიდევ საყურადღებო, რომ თვით განდეგილს გააცცებს, სულს დაუწუნარებს, დაუტკბობს და გულში რაღაც უჩვეველ ან და გადაჩვეულ სითბოსა და სიტკბოს გაუტარებს.

და უკოდველის გულის ტკივილით
ქალს შეეჩერა ტყვე-ქმნილი თვალი.

მაშინ, როდესაც, თუ წარმოვიდგენთ, რომ განდეგილი უნდა იყოს „საიქიოს“ წარმომადგენელი. ეს ნამეტანი „მწყარალი და გულ-მშრალი“ უნდა ყოფილიყო, რადგან არა თუ ვერავითარ წარმტაც და მომხიბვლელ გავლენას ვერ იქონიებს მწყემს-ქალზე. არამედ მთელი მისი არსება პროტესტით აღივსება ასეთის უკუღმართობის წინააღმდეგ. რად განშორებიხარ ქვეყანასაო:

განა ქვეყნად შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?

წუთისოფელს მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?

ან შენ როგორ სძლებ უწუთი-სოფლოდ!
მერე იცი კი, რა რიგ ტკბილია:
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.

მითხარ: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?

[1] ხაზი ყველგან ჩვენ გვეკუთვნის. წინასწარმეტყველურია, მაშ რა არის თვით დიდებულ მგოსნის თავზე აღსრულებული? „სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა“.

გახა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის ქვეყანას, ღვთისგანვე დაბა-
დებულსა. ეფიქრობდი: „ნეტა მაშ რისთვის მორთო ესე ლამაზად წუთი-
სოფელი?“ და სხვ. ამ მარტივს და თითქმის ბავშვურს მოსაზრებას თუმც
თავისის სიმარტივით უძლეველს და თავისის სიყრმით მომხიბველელს, ეს
ბრძენი და ქვეყნის ავ-კარგის შემგნები მწირი ვერაფერს პასუხს გასცემს,
თუ არა მას, რომ „ეგეთი არის, ჩანს, ნება ღვთისაო“ ანა და „ხსნა
ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ე ს ე მ ე რ გ ო მ ე.. უ ბ ე დ ე რ-
ს ა ო“.

ეს უბედურად თავის მონათვლა უკვე დამარცხებაა მთელის მისი-
სოფლ-მხედველობისა, ის ვერავითარ საბუთს, ვერავითარ საფუძველს
ვერ გამოუძებნის თავისს რწმენას, თუ არ მას, რომ ღმერთს გადაბრა-
ლებს თავისს ბედს. დამარცხდა განდეგილი თავისს ფილოსოფიურ დის-
პუტში და დამარცხდა იგი პრაქტიკულადაც.

ეს დამარცხება მაშინ მოხდა, როდესაც მიძინებული ქალის ჯადოსნურ
სიმშვენიერეს ვეღარ გაუძლო და, გაპობილ ბაგეთა ლაღის ღიმილით
წარტაცებულმა მოინდომა ბაგეთ შეხება.

ეს სავსებით დამარცხებაა განდეგილისა, საშინელი და გაუსწორებელი-
აქ წინ იშლება მთელი ტრაგედია განდეგილობისა, ასკეტიზმისა, მთელი
სისუსტე და სიბეჩავე ამგვარის მიმართულებისა. „რომ განდეგილს ის
გადაეკოცნა“, „ჩახვეოდა“, მასთან ერთად გამოქვაბული მიეტოვებია და
საწუთროს უღელის ზიდვას შესდგომოდა.

როგორც ერთ-ერთი ჩემი ოპპონენტი ბრძანებს („მნათობი“), მაშინ.
განდეგილი ტრაგიზმით აღსავსე პოემა კი არ იქნებოდა—ფარსი იქნებოდა
და ისიც დაბალ-ხარისხოვანი.

განდეგილს, რომელსაც „განუდევნია გულიდ.ნ ყველა მსოფლიო ზრა-
ხვა, ფიქრი, წადილი, დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სუ-
ლისთვის უწამებია“, რომლისაც „სული აყვავებულა,“ და ხორციელი
გულის თქმა ყველა დაუმარხავს და განუსვენებია. გულში „ჯერ არ ცნო-
ბილი სიტკბოება“ ესტუმრება და სულისათვის „აღთქმულ-უკვდავებად
მოეჩვენება.—განდეგილი ამ მაცდურებას ვეღარ უძლებს, „ძრწის, მაგრამ
იგი ძრწოლა რად არის ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი“! ეს სრულიად სა-
მარისია. მან საიქიოს ამით ზურგი შეაქცია და მისი კავშირი საიქიოსთან
გასწყდა: იგი ხვთის მშობელს მიმართავს, რომ მის საფარველს ქვეშ
„წყეული ხორცი დაწუნარდეს“, მაგრამ

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი.
და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის—ნაცქერ
თვალთ—წინ დაუდგა იგივე ქალი.

დაწუნარების მაგიერ მისი ხორცი აღშფოთდა. მის ბუნებაში კატას-
ტროფა მოხდა, მთელი რევოლუცია მის რწმენაში—იგი ბუნების კა-
ნონების ყურმოჭრილი მსხვერპლი და მონა შეიქმნა.

პირქვარი, უნდა ხელი არ ერჩის.
ხატის ხილვა სურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება.
აბა სძლიეო! და კვლავ ეიდა(ცა)მ
გა(ღი)ხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

დიად, ველარ სძლევს აწ იგი ხორცს, ველარ დაუცხრობს სხეულს და წმინდელი მისი რწმენაც შეირყევა. მისი რწმენის, ასე ვსთქვათ, ნიშანი, სიმბოლო მზის სხივია, რომელიც ლოცვანს ივერს—ეს სიმბოლოა მის წინაპრდელ ღრმა კავშირისა საიქიოსთან. დღეს კი ძლეული სული ამ ალტაცეპამდის ველარ მივიდა.

კავარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!...

ესეც უტყუარი საბუთი მისი დამარცხებისა და შემდეგ კატასტროფა ვენიალისა:

...არა, გაშეშდა ზარ-დაცემული,
...ი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
იქავ, სხივ-ქვეშ, უტევა სული.

დიდად აღსანიშნავია ის ეპილოგიც, რომელიც ავტორს ...მდენსამე სტრიქონში აქვს გამოთქმული:

აწ ...ორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარი-ღა დადის და ქშუის
და გამომფრთხალი ჰეკა-ქუხილით
ძუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის.

ეს მთლად „განდეგილობის“ მოსპობაა, ვინაიდან მიმბაძველიც კი ველარ მოუპოვებია მის მაგალითს და მისი სენაკი ნადირთა სამფლობელოდ გამხდარა. ეს არის სრული უარყოფა ასკეტიზმისა, რომელსაც თანამედროვე ცხოვრებამ ზურგი შეაქცია, დაჰგმო და რომელიც არანორმალურ მოვლენად მიაჩნია.

მეტად საყურადღებოა ის ნაწილი პოემისა, სადაც აწერილია ის ადგი- როცა განდეგილმა ცოტათი დაწყნარებულმა:

კვლავ სასოებით...
ფუფა ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გამომზირალი,
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან.

ამაში გამოიხატა ერთგვარი რელიგია, თუ გნებავთ თავისებური დეიზმი ჩვენის ტანჯულის მგოსნისა, ხატი დედა-ღვთისა—ეს სიმბოლიურა გამოხატულება რელიგიისა—„მადლითა და ნუგეშით“ შესცქერის განდეგილს იმიტომ, რომ ღვთაებას არად უნდა „ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“ განა მართლა მისთვის მორთო

ესე ღაძაზედ წუთი-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეასვენოს და აიღოს ხელი?

ღვთაება ცხოვრების მფარველია, ცხოვრებისაგან განდგომილებას სრულიადაც არ თხოულობს და თუ სხვა ლოცვას აღარ დაიჭერს იმიტომ, რომ დაირღვა თვით განდეგილის სულის სიმტკიცე, მის ექსტაზს ფრთები შეეკვეცა. მისს ასკეტიზმს ნიადაგი მოესპო.

შეიძლება ორგვარად დაასაბუთოს და დაამტკიცოს მწერალმა და ყოველმა ადამიანმა ყოველივე აზრი, ცხოვრების ბრძოლა, ცხოვრებაში აუცილებლად ყოფნა. ცხოვრებისთვის თავის დადება და ცხოვრების უღლის წევა. რაც უნდა „ბოროტის სამეუფო იყოს იგი" — აუცილებელია. ან და იგივე წინადადებაში კაცმა სხვაგვარად დაჯარჭუნოთ და განახოთ, რომ ის, ვინც ცხოვრებას გაუდგება, ზღვრა შეაქცევს ვით ერთს „რასმე ჰირიანს" და ვაგლახს; ის, ვინც საჭაოს პირა უბრუნებს, ვინც ხორცს დაჰგმობს, იგი უსათაოდ დაიღუპება, ვით განდეგილი. რაც უნდა იგი სულით განწმენდილ და განბანილ იყოს, რაც უნდა აწამოს ხორცი სულისათვის და თუ გინდ კიდეაც ეგონოს, რომ

სული მისი აყვავებულა
და ხორციელი გულის-თქმა ყველა
დამარხულა და განყენებულა.

იმიტომ, რომ ეგრეთი ლტოლვა ცხოვრებიდან, ეგრეთი გადალახვა ბუნებრივის კანონებისა. ევრეთი აბუჩად აგდება „ცხოვრების" სიტკბოებისა შეუძლებელია. მოუხერხებელი ისეთ მტკიცე ხასიათისა და სულით მაღალ ადამიანისათვისაც კი, როგორიც განდეგილი იყო.

განდეგილი, რომ მწყემსი ქალის პირველის დანახვისათანავე ჩაჰკონებოდა. როგორც ეს „მნათობის" რეცენზენტს ჰნებავდა, მაშინ მხოლოდ იმას დავინახამდით, რომ ეს ილიას განდეგილი გამოდგა სულით სუსტი და მეტის მეტად ცეტი, თორემ ზოგიერთს ღრმად მორწმუნეს ეფიქრებინებოდა, აქ არ მოიქცეოდა მტკიცე ხასიათის ადამიანო.

მით არის ეს პოემა ღრმა და აუცილებლად დამარწმუნებელი, რომ განდეგილი მტკიცე და შეუდრეკელის ძლიერის ხასიათისა და მაღალის რწმენის კაცია, მაგრამ იგიც სძლია ბუნებამ და ცხოვრებამ. სძლია და მით კატასტროფა მოახდინა მთელს მის არსებაში.

ზოგიერთი არ დამეთანხმა, როგორც გავიგე, იმაში, რომ მე განდეგილის „საიქიოს", რომელიც ზოგიერთის ტერმინით „სამარადისო" არის, რომ ამ „საიქიოს ძებნას მის მარადისობამდის" მიდრეკილებას ვაუწყებ. ეგ სწორედ ესეა და არ თუ მე, თვით ზეკაცან მადლით-ცხებული მგოსანი სჯის განდეგილს ამ მისწრაფებისათვის. განდეგილი კი მარტო ცხოვრებას შყრალსა და ყოველდღიურ წარმავალ და გულის ამრევ სინამდვილეს კი არ ჰყოფდა უარს. იგი ებრძოდა ხორციელებას. იგი ებრძოდა მთლად ერთიანად ცხოვრებას და სულის სამეუფოს დამკვიდრებას ეტანებოდა; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მისი ცდა სრულის გაკოტრებითა და დამარცხებით გათავდა.

მეფე დიმიტრი თავდადებული თავ. ილ. ჭავჭავაძის პოემა

მკითხველის შენიშვნები[26]

სამწუხაროა და სავალალო, რომ ხალხს ასობით პოეტ-მწერალი ჰყავდეს და ნამდვილ საზოგადოებრივ და ესტეტიკურ კრიტიკას ჯერ კიდევ გზა ვერ გაეკვლიოს.

ჩვენში დღეს არსებობს კრიტიკის ორი უკიდურესი მიმართულება: ერთი—უზომოდ გუნდრუკის მკმეველი, მეორე—უზომოდ მკიცხველი და უარმყოფელი. უსათუოთ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ კრიტიკის ამგვარ მიმართულებათა წარმომადგენელთ არა აქვთ ჯეროვანი ნდობა და პატივი მოპოებული მწერლობის ასპარეზზე.

ქართულ დღიურ კრიტიკას რო დაუჯეროთ, რომელიმე სახელოვან მწერალს თუ რამე დაუწერია, ყოველიფერი უნაკლო და დიდებული უნდა იყოს. უნიჭო რამ თხზულება რო წაუკითხოთ, და უთხრათ, ამა და ამ სახელოვან მწერლის კალამს ეკუთვნისო, ცრუ კრიტიკოსნი ბავშვურ აღტაცებაში მოვლენ, ხოლო, თუ გამოამჟღავნეთ თქვენი საიდუმლო, ე. ი. რომ კრიტიკანთა გამოცდა გსურდათ, ეს უკანასკნელი უთუოდ რაიმე მიზეზს იპოვნიან თავიანთ შეცდომისას და წამში მათ გამტაცებელს თხზულებას მეორე წამსვე უარჰყოფენ და მიწასთან გაასწორებენ; და რაც უნდა ნიჭიერი ნაწერი წაიკითხოთ, თუ მას უსახელოსი, ან კრიტიკანთათვის რისთვისმე უსიმპატიო მწერლის სახელი ჰქვია, ეს გარემოება საკმაო საბუთი იქნება, რომ ნიჭიერ ქმნილებამ მათი მხრით უნიჭობის სახელი დაიმსახუროს.

ამგვარ მდგომარეობაშია დღეს-დღეობით ჩვენი კრიტიკა, რა გასაკვირია რომ მას არ ჰქონდეს გავლენა ქართულ ლიტერატურაზე და ვერ შესძლოს ხელოვნურ ნაწარმოებთა სწორ გზაზე დაყენება.

ილია ჭავჭავაძე. ჩვენის აზრით, შესანიშნავი მწერალია ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნიჭიერი თხზულება მიუწოდებია მას ქართველ საზოგადოებისათვის; მაგრამ ეს გარემოება კრიტიკისათვის არ არის საკმაო საფუძველი, რომ ამ მწერლის კალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულოდ და უძვირფასეს განძად ჩაითვალოს.

ჩვენის აზრით, ყოველ პატიოსან მოღვაწისათვის დამამცირებელი უნდა იყოს ამისთანა ბავშვური გუნდრუკის კმევა, როგორსაც ეპოულობთ

ხოლძე ზოგიერთ მოღვაწეთა შესახებ გუნიას კალენდრებში,—ხოლო როცა საზოგადოებაში განვითარებულათ, გულწრფელათ და ჭკუიანათ ცნობილი პირი მსგავსადვე აკმეცს გუნდრუკს. მაშინ ჩვენ შეძრწუნებას საზღვარი არა აქვს... განა შესაძლებელია, მოინახოს იმისთანა ადამიანი, რომ ის ზნეობრივათ ან გონებრივად ყოვლად უნაკლულო იყოს? აგრეთვე იპოება განა იმისთანა მწერალი, რომ მისი ნაწერი ყველა კარგი იყოს?!

ილია ჭავჭავაძის პოეტური თხზულებანი, ერთად შეკრებილნი, წაიკითხა ჩვენმა საზოგადოებამ.—ზოგმა ყველა მოიწონა, ზოგმა ბევრი დაიწუნა,—ერთი რამ გადაწყვეტილი აზრი კი ვერ შედგა მათ შესახებ. აქ უნდა მისმარებოდა მკითხველ საზოგადოებას პირუთვნელი კრიტიკა, ბაგრამ სამწუხაროთ, კრიტიკამ მშრალათ, უსაბუთებოთ წარმოთქვა: ილ. ჭავჭავაძის პოეტური თხზულებები ყველა კარგია, ხოლო საუკეთესო ესა და ეს არის და საუკეთესო თხზულებებში მოაქცია აგრეთვე „დიმიტრი თავდადებული“.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შორის ჩვენ ზოგი მიგვაჩნია შესანიშნავ თხზულებათ, ხოლო იმის კი დიდი წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული“ შესანიშნავი და საუკეთესო იყოს. ამიტომაც ავიღეთ კალამი, რომ ჩვენი აზრი წარმოვთქვათ ამ პოემის შესახებ.

▪

პირველათ ჩვენ ყმაწვილობისას წავიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული“ და, უნდა გავტყდეთ, ბევრი ცრემლი გამოიწვია მეფის სულის გაწირვამ ჩვენის თვალიდან; მეორეთ წავიკითხეთ ამ უკანასკნელ დროს ტფილისის ამხანაგობის გამოცემაში, და უცრემლოთ და აუღელვებლათაც. ჩავიკითხეთ ბოლომდის. დაუკვირდით ჩვენს სხვადასხვა დროს ორგვარს სულიერ მდგომარეობას ხსენებულ პოემის კითხვის დროს, და ეს დასკვნა გამოვიყვანეთ: იმისთანა მკითხველს, რომელსაც წაკითხულის გასჯა-აწონა არ შეუძლია, ყოველთვის გული აუჩუყებს დიმიტრი მეფის თავგადასავალი; უბრალო წიწილის დაკვლაც კი ყმაწვილს ცრემლსა გვრის. და რა გასაკვირია, რომ ადამიანის მოკვდინებამ აატიროს?! ხოლო, თუ მკითხველი ოდნავ მაინც განვითარებულია და მსჯელობა შეუძლია, ამ პოემის კითხვის დროს მას უნებლიეთ ებადება საკითხი: რისთვის სწირავს სულს მეფე? ამ საკითხის პასუხად ავტორი მეფეს ალაპარაკებს:

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი, რაში არი...
ფუ. იმ მწყემსსა, თავს უშველოს:
ჭკვეს დაუგდოს თავის ცხვარი!

ავტორის წინააღმდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიმიტრის, როგორც მეფეს, არა სცოდნია, თუ რაში მდგომარეობს „მეფის რიგი“, თორემ ეს რა „რიგია“, რომ მეფე ყეინს ეძლევა თავის ნებით და ხალხს უთაოთ

ტუკებს? რით იყო მეფე დარწმუნებული, რომ იგივე ყეინი, მის თავის მოკვეთის შემდეგ, უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას არ შეესეოდა და ნაცარტუტას არ აადენდა?

> იმ მწყემსსა, თავს უშველის,
> მგელს დაუგდოს თავის ცხვარი!?

ეს სიტყვები კარგია. მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ მწყემსი ცხვრის ფარას ღვთის ანაბარათ ტოვებს და ხელის გაუნძრევლათ მგელს კბილებში უვარდება. ჩვენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქმის, რადგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის არა, უგუნურობის ნაყოფია, წინ დაუხედავი და ანგარიშო თავგაწირვაა...

მეტათ სიმპატიური პირი იქნებოდა ჩვენთვის დიმიტრი მეფე, რომ ის სარწმუნოებისათვის სწირავდეს თავის სულს. სარწმუნოებისათვის საწამებლათ გამზადებული პირი საფუძვლიანად დარწმუნებულია, რომ როცა გულხელდაკრეფილი მტერს ნებდება და თავის ღვთის სახელის მოწოდებით თავსა სწირავს, ამით ხალხში ძლიერად გააღვიძებს სარწმუნოებისადმი პატივისცემას და სიყვარულს. და როცა კი მეფე უხმლოდ და უიარაღოდ მტერთან მიდის და „მამკალით“ ეუბნება, ამგვარ მაგალითს ხალხის ბუნებას მხოლოდ გალაჩრება შეუძლია და არა გაგულადება და გამხნევება.

ჩვენ გვახსოვს მსოფლიო ისტორიიდან მხოლოდ ერთი მაგალითი, როდესაც მეფე მტერს თავისით ნებდება და თავს შეაკლავს. ერთხელ დორიელები საბერძნეთის ერთ კუთხეს, სახელდობრ ატტიკას, შეესიენ და მისი დაპყრობა უნდოდათ; ატტიკის მცხოვრებლებმა მარჩიელს მიმართეს; მან უთქვა: „ის მხარე გაიმარჯვებს, რომლის წინამძღოლიც მოიკლისო.“ ათინის მეფემ კოდრმა ჩაიცვა უბრალო კაცის ტანისამოსი, წავიდა მტრის ბანაკში, ასტეხა იქ ჩხუბი და მტერს განგებ თავი შეაკლა. როცა დორიელებმა შეიტყვეს, რომ მათ მიერ მოკლული ათინის მეფე იყო, მარჩიელის წინასწარმეტყველობის შეეშინდათ და გაიქცნენ.

მე მესმის ამგვარი თავის შეწირვა. აქ ხალხისადმი სიყვარულიც იხატება, სიმხნეც და მასთან ჭკუა და მოსაზრება, უტყუარი ანგარიში. კოდრი დარწმუნებული იყო, რომ მისი სიკვდილი ნაყოფს მოიტანდა. მარჩიელების (ორაკულების) წინასწარმეტყველობას საბერძნეთში ძველად ისე უჯერებდნენ, როგორც ქრისტეს მოსვლის პირველ საუკუნეში ქრისტეს სიტყვებს უჯერებდნენ ხოლმე მისი მორწმუნენი. ეგ სულ სარწმუნოების საქმეა. და, აბა, რა კოდრის საქციელის შესადარებელია ჩვენის მეფის დიმიტრის საქციელი! ერთი სწირავს თავის თავს, სრულიად დაჯერებული, რომ თავის სიკვდილით მტერს დაამარცხებს და თავის სამეფოს უბედურებას აშორებს. მეორე კი მიდის წინდაუხედავად, სამეფოს შესახებ არაფერ განკარგულებას შვრება (უნდა ვიფიქროთ, რომ მეფეს იმედი ქონდა, კვლავ უკან დავბრუნდები უვნებლათო) და კვდება ჯალათის ხელით.

ასგვარად. დიმიტრი თავდადებული არ წარმოადგენს ჩვენთვის მეფის შორის სანატრელ იდეალს. მაგრამ დიმიტრი ისტორიული პირია და, ამასადამე, აეტორის ნაკლულევანებათ მხოლოდ ის უნდა ჩაეთვალოთ, რომ დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულია, ეს მეფე თავის პოემის გმირად აუყვანია და იდეალად თვალწინ გვიყენებს.

როცა „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებას და ჩვენ მიერ აღებულ პოემის შინაარს ვადარებთ, თითქმის ვერაფერ განსხვავებას ვპოულობთ. მეფის დიმიტრის გულშემატკივრობა თავის ქვეშევრდომთადმი; დამმარცხებელის ყაენის წინადადება: ან თვით გამოცხადდი ჩემთან, ან შენს ქვეყანას ავაოხრებო; მეფის მიერ დიდებულთა მოწვევა და მათი თათბირი; მეფის ამოჟინება კრების წინააღმდეგ, რომ უთუოდ უნდა წავიდე ურდოსო; ღვდელმთავრის აზრი, რომ წასვლა ურჩია; მეფის მისვლა ურდოს და მისი თავის მოკვეთა... ყველა ეს ძლიერ ვრცლად არის აღწერილი „ქართლის ცხოვრებაშიც". ჩვენის პოეტის საკუთრება პოემაში მხოლოდ ის არის, რომ 1) დიმიტრის თაეგადასავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანდურე (ეს წესი მოთხრობაში ხშირათ უხმარიათ სხვადასხვა მწერლებსაც ჩვენს პოეტამდის), 2) მოხუცისა და მის ორის შვილის გამოსვლა. ამგვარად, პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნია.

ჩვენის აზრით, საუკეთესო ადგილი პოემაში არის მეფისადმი მიმართული მოხუცის სიტყვები,—უკეთ ვთქვათ—აზრი, რასაც მოხუცი ეუბნება მეფეს და გრძნობა, რომელიც იხატება მოხუცის სიტყვებში:

... გულს რად გვიკლავთ? რაღ მიდიხართ?
ნუთუ მეფეც ხსნა არ არი?
ქუდზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.
ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯელ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლეია.
აჰა. მეფევ, ორი ბიჭი
მხრებში რომ აშოჯდომია,
ორივე ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია.
მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გიჩვენებენ,
რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე.
შეკრიბე დიდი, პატარა
გაუძეღ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუდგეს,
ღედა შეერთოს ცოლადა.
ჩვენ საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადახედია,

მაგრამ უფრო მტრის წინა
არ წაეხრია ქედია.
ვერც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
ეფშრად ნუ დაკმარცხდებით,
ოუ ეერა ეძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!!!

ასე ათავებს მოხუცი თავის სიტყვას და ამ სიტყვას მე ყოველთვის ღტაცებაში მოვყევარ და ვამბობ: აი, კაცი, რომელსაც არ შეჰხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამეფოს წარმომადგენლის დანიშნულება! ის. მხოლოდ ის არის ჩვენის თანაგრძნობისა და თვით სამეფო ტახტის ღირსი. და არა მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ფიქრობს — მეთქი.

„ქართლის ცხოვრების“ თქმულებიდან პოეტს დაუმალავს ერთი გარემოება, ურომლისოთაც დიმიტრის პიროვნება ნამდვილად არ დაეხატება მკითხველს თვალწინ. ეს ის გარემოებაა, რომ მეფე დიმიტრი თავდაპირველად თავის ხალხის შემბრალებელი, მოწყალე და ღვთის-მოყვარე იყო, ხოლო რამდენსამე წელს შემდეგ ხალხის სამსახურიც დაივიწყა და თვით ღმერთიც: სამი ცოლი შეირთო, უსჯულობასა და უწესობას ხელი მიჰყო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნა. ჩვენის აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებრძოლების შიში და მტრის წინ ლაჩრულად ქედის წახრა) მეფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილიყო, თორემ „პატარა კახს“ განა ერთხელ და ორჯელ დამუქრებია ასჯერ უფრო ძლიერი მტერი?—მაგრამ, მოხუცის არ იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქედია“.

ამას შემდეგ ჩვენ გვინდა ჩვენი შენიშვნები წარმოვთქვათ პოემის გარეგან ფორმის, ენის შესახებ.

ზოგნი ფიქრობენ, შინაარსია თავი და ბოლოვო. თუ შინაარსი კარგია, გარეგანი ფორმა სუსტიც რომ იყოს, შინაარსს ამით ბევრი არაფერი დააკლდებაო.

შემცდარი აზრია. როგორც აუწყობელ ჩონგურზე დაკრული რამე ხმა, რაც უნდა შვენიერი იყოს თავის თავათ, განვითარებულ სმენას ეჩოთირება და შეეზიზღება კიდევაც,—ისე თხზულებაც, რაც უნდა შესანიშნავი იყოს შინაარსით, თუ მისი გარეგანი ფორმა უხეიროა, არ ჩაითვლება ხეირიან თხზულებათ, არც მოიწონება იმისთანა მკითხველს, რომელსაც ლიტერატურული სმენა და გემოვნება განვითარებული აქვს.

„დიმიტრი თავდადებული“ დაწერილია 1880 წელში. ე. ი. ავტორის მწერლობით მოღვაწეობის ოცდამესამე წელში.—მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ. რომ ამ დროს ჩვენი პოეტი საკმაოდ დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ლექსთ-წყობასა და ენის მიხრა-მოხრაში. სამწუხაროდ, ამ პოემაში ბევრ შეცდომასა და წინდაუხედაობას ვპოულობთ, როგორც ერთში, ისე მეორეშიაც. ავიღოთ ჯერ ლექსთწყობა.

როგორც „შაირი“, ე. ი. იმისთანა ლექსი: როგორათაც „ვეფხის-ტყაო-

ანი“ არის დაწერილი, აგრეთვე „რვული“, ე. ი. იმისთანა ლექსი როგორითაც დაწერილია, მაგ., „დიმიტრი თავდადებული“, ორგვარია. ავიღოთ მაგალითად რვულის ერთი ხანა.

მოდით შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასართობსა,
კონ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ, ქართველნი. წინა დროსა.

ამ ხანაში თითოული სტრიქონი შედგება ორის ცეზურისაგან და თითოულ ცეზურაში მარცვლების თანასწორი რიცხვია, ე. ი. ოთხ-ოთხი; პირველ სტრიქონში, პირველი ცეზურაა: „მოდით შვილნო“, მეორე—„აქ მოგროვდით“; მეორე სტრიქონში პირველი ცეზურაა: „გეტყვით გულის“, მეორე—„გასართობსა“, და სხვა. კითხვაში თითოეულ ცეზურაში ხმის ამაღლება უნდა მოხდეს თავიდან მეორე მარცვალზე. ამისთანა „შაირს“ ანუ „რვულს“ ჩვენ ვუწოდეთ სახელათ მ ა ღ ა ლ ი შ ა ი რ ი ანუ მ ა ღ ა ლ ი რ ვ უ ლ ი. ლექსთაწყობის ნიშნებით რო გამოვხატოთ. მაღალი რვულის ერთის სტრიქონის ცენზურები ასე გამოიხატება: ა—აა/ ა—/აა. ავიღოთ კიდევ რვულის ხანა:

ამდენი სული ებრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის სალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.

ამ ხანაშიაც თითოეული სტრიქონი აგრეთვე ორ-ორ ცენზურისაგან არის შემდგარი, მაგრამ ყველა ცეზურა თანასწორი არ არის.—თითოეულ სტრიქონში პირველი ცეზურა შეიცავს ხუთ მარცვალს და მეორე სამს: მაგალითად: პირველ სტრიქონში პირველი ცეზურაა: „ამდენი სული“, მეორე—„უბრალო“; ასეა შემდგარი დანარჩენი სტრიქონებიც. ამისთანა ლექსს ჩვენ ვუწოდებთ სახელად დ ა ბ ა ლ შ ა ი რ ს ანუ რვულს. დაბალი რვული ნიშნებით ასე გამოიხატება: აა—ა//აა—ა[1].

თუ ეს წესი დარღვეულია ლექსთ-წყობაში და რომელიმე ხანაში მ ა ღ ა ლ ი და დ ა ბ ა ლ ი ლექსი ერთმანეთში არეულია, ამისთანა ლექსს ლექსი არ ეთქმის. და ჩვენი აზრით, დანგრეულ ლექსს ისევ დანგრეული პროზა სჯობია.

„დიმიტრი თავდადებულში“ ერთობ ხშირად არის დარღვეული ლექსთწყობის ზემოხსენებული კანონი. ამის მაგალითი თითქმის ყოველ ხანაშია, მაგრამ ჩვენ. რასაკვირველია ყველას აქ ვერ მოვიყვანთ.

ავიღოთ ორიოდე მაგალითი:

[1] მაღალ შაირში თითოეულ სტრიქონში ოთხ-ოთხი ცეზურაა და თითოეული ცეზურა ოთხ-ოთხის მარცვლისაგან შედგება. დაბალ შაირშიც თითოეული სტრიქონი აგრეთვე ოთხ-ოთხ ცეზურისაგან შედგება, ხოლო ცეზურების ზომა შემდეგია: პირველი და მესამე სუთ-ხუთ მარცვლისაგან შედგება, მეორე და მეოთხე კი სამ-სამიდან.

იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
რ ო ც ა მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ო ბ ა
სასახელოდ იყო ჩვენში.

ამ ხანაში პირველი, მეორე და მეოთხე ტაეპი მ ა ღ ა ლ ი ა და მესამე ტაეპი კი დ ა ბ ა ლ ი.

უცებ პეტემ თვალი მოჰკრა
ხ ა ლ ხ ი გ ა ი რ ღ ვ ა შ უ ა ზ ე დ ა
ორს მარჯვე ბიჭს ბერიკაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ

ამ ხანაში მეორე სტრიქონი დ ა ბ ა ლ რვეულისა, დანარჩენი კი მ ა ღ ა ლ ი ს...

პოემა შეიცავს 17 ფურცელს (34 გვ.) და ამ ჩვიდმეტ ფურცელზე არეული ლექსთაწყობა ჩვენ დავთვალეთ სულ ოთხმოცდა-თერთმეტი. არა გვგონია, რომ ასე დაწყობილი ლექსი მუსიკალურად და ჰარმონიულად ჩაითვალოს.

პოეტს ისე მძიმე ფორმით აქვს გამოთქმული აზრი, რომ კაცს წაკითხვაც გაუჭირდება, როგორც მაგალითად, პოემის დასაწყისში (გვ. 188): „კარგს მთქმელს ტყვეთ რჩების“...

უმუსიკალობასა და უჰარმონიობას ის გარემოებაც ხელს უწყობს, რომ ჩვენი პოეტი რითმების სიმდიდრეს ყურადღებას არ აქცევს, ერთობ მძიმესა და ხმაშეუწყობელ რითმებს ხმარობს ხშირად: „ბიჭმა“—„წადილმა“ (გვ. 188), „გასათბობსა“—„წინა დროსა“ (გვ. 189), „ხელში“—„ჩვენში“ (იქვე), „როდი იყვნენ,“ „შესწირვიდნენ“ (იქვე), „გვიხაროდა“,—„ემატებოდა“ (იქვე) და მზგავსათვე თითქმის ყოველ ხანაში.

ახლა პოემის ქართული გავსინჯოთ.

„უქმე დღე იყო; ტ ვ ი რ თ მ ძ ი მ ე ნ ი და დამაშვრალნი საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა“ (გვ. 188).

„ტვირთ მძიმენი“ არ გვესმის რა გრამატიკით არის ნახმარი! უთუოდ პოეტს ლექსისათვის დაჭირვებია მეტი მარცვალი და უკანონოთ უხმარია რიცხვი; მაგრამ ჩვენ დიდი წინაღმდეგი ვართ ამისთანა „ლიცენცია პოეტიკების“; განა „ლიცენცია პოეტიკა“ იმაში მდგომარეობს რომ —„რა გასჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევნა“, პოეტმა ენა დაიმახინჯოს უშნო ფორმებით?! ჩვენ როგორც გვახსოვს, უწინდელ გამოცემებში იყო „ტვირთ-მძიმეი და დამაშვრალი“ და ისევ სჯობდა ასე დარჩენილიყო.

191 გვერდზე პოეტი ხმარობს ფორმას „იყვეს“ შემწეობით. ზმნის ამისთანა ფორმას ჩვენ არც ერთ ხეირიან თხზულებაში არ შევხვედრივართ. არის მეორე ფორმა (იყოს), და განვითარებული სმენა ამ ფორმას ყოველთვის უფრო კეთილ ხმოვანად ჩათვლის; და თუ რითმისთვის

უნდოდა პოეტა ეს ფორმა. ვერაფერი შეწყობილი რითმაა, „კაცად იყვეს“ და „უნათვიდეს!“

190 გვერდზე: „ს ა წ ვ ე ლ ფ უ რ ა დ თავი ჩვენი გადვიქციეთ“. წინეთ პოეტი ხმარობდა „მწველელ ფურად“, ეხლა შეუცვლია „საწველ ფურად“, და არც ერთი არ არის კანონიერი. რადგან ხალხი ამბობს „მ ე წ ვ ე ლ ი ფ უ რ ი“ ანუ „მეწველი ძროხა“—ო და არა მწველელი და საწველიო (192 გვ.)

ღამით თურმე ჩაიცვაღდა
უბრალო კაბა ჯუბასა,
წ ა ვ ა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.

და კიდევ:

ეის, რაც გულში დარდი ჰქონდა,
წ ა ვ ა. იმას შესჩივლებდა და სჭვ.

„წავა და ინახულებდა“, „წავა იმას შესჩივლებდა“ მეტის მეტი უკანონობაა დროთა შეთანხმებაში, და თუ ესეც „ლიცენცია პოეტიკაა“—მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „ლიცენცია პოეტიკა“ თურმე ენის დამახინჯება ყოფილა...

გვ. 197—„წამყოლს შვილის შვილამდიე“ ალბათ ესეც ლიცენციაა („შვილის შვილამდიე!“).

გვ. 202: „ამშვენებს“—ერთობ უშნო სიტყვაა, უნდა იყოს „აშვენებს“. გვ. 204: „მშველია“—უნდა იყოს „შველია“ („შველი—შველის. და არა მშველი, მშველის“).

გვ. 206: „მკერდზე სცემდა თოვლივითა მოხუცებულს თეთრი წვერი“,—ალბათ ავტორს იმ აზრის გამოხატვა ნდომებია, რომ მოხუცებულს თოვლივით თეთრი წვერი მკერდზე სცემდაო, და აქ კი გამოდის, რომ თოვლივით სცემდა თეთრი წვერიო; სიტყვები ასე უნდა იყოს დაწყობილი:

მკერდზე სცემდა მოხუცებულს
თოვლივითა თეთრი წვერი.

კიდევ შეგეძლო—ამოგვეწერა რამდენიმე ადგილი, სადაც ჩვენის აზრით, შეცდომებია ენაში, მაგრამ, რაც ამოვწერეთ, ესეც საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ პოემის სხვა ნაკლულევანებას ქართული ენის აღნიშნული უსწორ-მასწორობაც რო დაუმატოთ, მაშინ პოემა „დიმიტრი თაედადებული“ არა თუ შესანიშნავ პოემად არ ჩაითვლება, არამედ ძლიერ სუსტ ქმნილებად უნდა ჩაირიცხოს.

რაც უფრო ხელოვანია მწერალი, მით უფრო ყურადღებით უნდა ექცეოდეს ის თავის კალმის ნაწარმოებს; უბრალოსა და საშვალო მკითხველს ამისთანა მწერლის ნათქვამი და დაწერილი უტყუარ ჭეშმარიტებათ მიაჩნია და თუ შეცდომები რამა აქვს, ცხადია—მეტად ცუდი გავლენა ექნება ხალხზე; ამიტომაც კრიტიკა მოურიდებლად უნდა უჩვენებდეს

შეითხველს, რაც კი ნაკლულევანება და შეცთომა მოიპოვება იმისთანა მწერლის თხზულებებში, რომელსაც, რა მიზეზითაც უნდა იყოს ხალხის ერდობა და ყურადღება დაუმსახურებია, და რადგან ჩვენი კრიტიკოსები მისთანა მწერალთ უფრო ეპირმოთნეებიან და სრულიად ხმასაც არ იღებენ მათ ნაკლულევანებაზე, ამიტომ ჩვენ ავიღეთ კალამი და მოურიდებლათ აღვიარეთ აქ ჩვენი გულწრფელი აზრი და შეხედულება. ჩვენის აზრით ილ. ჭავჭავაძისთანა მწერალი უფრო არ უნდა საჭიროებდეს ხელის შეფარებას და პირში შოფერებას რადგან ნაკლულევანებასთან ღირსებაც ბევრი მოიპოვება მის თხზულებათა შორის

ქუთაისი 1894 წ. 30 მარტს.

თ. ილია ჭავჭავაძის ლექსები
(ტომი I, 1892 წ.)

მკითხველის შენიშვნები[27]

თავადი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი (ლექსები) რომ დაიბეჭდა ქართველთა ამხანაგობის მიერ, ჩვენ ეს წიგნი თავიდან ბოლომდის ყურადღებით გადავიკითხეთ და თანაც დავინიშნეთ ადგილები, რომელნიც რისთვისმე საყურადღებოდ მიგვაჩნდა. ჩვენ გვწადია ეს ჩვენი შენიშვნები გავუზიაროთ ქართველ მკითხველებს. უკეთ ვთქვათ ვიკისროთ უსიამოვნო შრომა. ჩვენ ამ შრომას უსიამოვნოს იმიტომ კი არ ვუწოდებთ, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი საყურადღებოთ და საგულისხმოთ არ მიგვაჩნდეს.—პირიქით.-ისინი ქართველ მკითხველისათვის ფრიად საინტერესონი უნდა იყვნენ და არიან კიდეც. როგორც სახელმოხვეჭილი მწერლის ნაწარმოებნი.—არა, ეს შრომა პირადად ამ შენიშვნების დამწერისათვის არის უსიამოვნო, რადგან მას კარგად ესმის ხალხის ამ თქმულობის სინამდვილე: „მართლის მთქმელს. ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო", ხოლო თქვენს უმორჩილეს მონას, პატივცემულო მკითხველო, მით უფრო მეტი უსიამოვნება მოელის, რომ მართლის თქმის შემდეგ მას შეკაზმული ცხენი არ ყოლია და არც ეყოლება.

ჩვენი გულითადი სურვილი ის არის, რომ რაიმე სარგებლობა მოვუტანოთ მკითხველებს ჩვენი შენიშვნებით. და თუ ამ მიზანს ოდნავ არ მივაღწიეთ. მაშინ ჩვენ პირად უსიამოვნებას ჩხირათაც არ ჩავაგდებთ.

ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომში მოქცეულია ჩვენის პოეტის წყობილ-სიტყვაობა. ე. ი. ლექსათ დაწერილი თხზულებანი და ისინი დაწყობილნი არიან წლების კვალობაზე.

ჩვენც ამ წყობას მივყვებით. თითოული წლის თხზულებებს კალაცილაკე შევეხებით.

1857 წ.

ამ წელში პოეტს დაუწერია სულ ოთხი ლექსი, სამი ორიგინალური და ერთი თარგმანი.

პირველი ლექსით („ყვავილის მთებს") პოეტი ეთხოვება თავის სამშობლო მთებს. გულის სატრფიალო საგნის მოშორება.- სულიერი იქნებ. ეს საგანი თუ უსულო, — იმისთანა გარემოებაა, რომელიც არა პოეტსაც ძლიერად აუტოკებს გულს და აუფრთოვანებს ოცნებას და პოეტს ხომ

რაღა სათქმელია! „უყვარლის მთებში“ ბევრი გრძნობაა გამოთქმული. მაგრამ ეს გრძნობა, ჩვენის აზრით, ერთობ გაზვიადებულია, სიტყვები სჭარბობს გრძნობის ძლიერებას და მით აფერმკრთალებს წრფელ სიყვარულს. 16 წლით ჩვენ პოეტზე წინეთ გრიგოლ ორბელიანმა აგვიწერა გამოსალმების მწვავე წუთები ლექსში „საღამო გამოსალმებისა“. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის! „საღამო გამოსალმებისას“ როცა წაიკითხავთ, გული ისე არ დაგიმშვიდდებათ, თუ მეორედ, მესამედ და მრავალჯერ არ წაიკითხეთ. ამის მიზეზი ის არის, რომ პოეტი მრავალ გრძნობას აგვიძრავს გულში და იმათ გამოსახატავად ბევრ სიტყვას არ ხარჯავს: ალბათ კარგათ შეუგნია პოეტს რუსთველის მოძღვრება: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო“.

„უყვარლის მთებში“ კი სიტყვა ბევრი იხარჯება და გრძნობა კი იმდენად ძლიერი არ არის, რომ სიტყვათა სიმრავლე ჰძლიოს და დიდხანს გასტანოს: ჯერ კიდევ სიტყვების კითხვა ვერ მოგისრულებიათ, რომ გრძნობათა მღელვარება უკვე დამცხრალია და გულის ტოკვა შეჩერებული. ეს არის მიზეზი, რომ ამისთანა ლექსისა და თხზულების მეორედ წაკითხვას გული აღარ ითხოვს.

აი, როგორ გვიხატავს განშორების უკანასკნელ წუთებს და გამოსალმებას ეს ორი პოეტი: ილ. ჭავჭავაძე:

უველი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
უველი წეთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს....
აგერ თქვენ ჰქრებით თან-და-თანა თქვენსა მწუერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც! მხოლოდ—ღა ვსჭერეტ ციაგსა ცასა.
ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს.
და მოუსვენრად ვატანტალებ[1] (მწუხარ თვალსა ჩენს)
თქვენი მწუერვალნი აღარ სჩანან და მშვენიერად ცას
აღარ ამკობენ ერთ ნაირს ციაგს კამარასს...
მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწუდენთ ჩემს გულს და თვალსა,
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული
და დამიწუებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

გრიგოლ ორბელიანი:

ეტლი რბის... სატრფოც მშორდების, თან სდევს ჩემი მას სული.
ვმზერ... შორს ძლივს-და სჩანს... აღარ სჩანს,,, რაღაზა ეუმზერ შმაგ-ქმნილი?
სიშორის ნისლმან მიფარა თვალთაგან ეტლი მიმქრბოლი.
და გულით ოხვრა სიმწარის აღმოუტეეე უნებელი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
ვის ხილვა აღარ შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა

რეა ტაეპით გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ხედავს მკითხველი, უფრო აატოკა ჩვენი გული, ვიდრე ილია ჭავჭავაძემ თორმეტი ტაეპით. ეგებ

[1] თვალის ტანტალიც აღარ გაგვიგონია. რედ.

ვინმე ამ ორის ლექსის საგანთა სხვადასხვაობაზე მიგვითითოს, და მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ თუ სიყვარული წრფელია, სამშობლოს ადგილებს მოშორება არა ნაკლებ აგვიტოკებს გულს, ვიდრე სატრფიალო ადამიანის მოცილება... სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ვთქვათ, რომ გრიგოლ ორბელიანი ზემოხსენებული ლექსის დაწერის დროს საკმაოდ დახელოვნებული უნდა ყოფილიყო მწერლობაში, და ილია ჭავჭავაძე კი 1857 წელში ახლად გამოსული იყო სალიტერატურო ასპარეზზე.

მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეტმა შინაარსს გარეგანი ფორმა და ენა შეუწონოს და ისე დაგვიხატოს რომელიმე საგანი. ამ მხრით ჩვენ თ. ილია ჭავჭავაძეს მაღლა ვერ დავაყენებთ. ამ პატარა ლექსშიც („ყვარლის მთებს") საკმაოთ ბევრია მუსიკისა და ენის წინააღმდეგი ფორმები:

1) „ცას დაღუპული", უნდა იყოს „ცაში დაღუპული".

2) „ვნატრობდი ხოლმე, რო ვ ე ხ ვ ი ო სუბუქსა ქარსა, ან თავისუფალ არწივსა ძლიერსა ფრთასა (ფრთას ვნატრობდი, თუ ვეხვიო?), რომ „ა ღ მ ო ვ ფ რ ი ნ დ ე და შ ე ვ ე ხ ო თქვენს ამაყ თავსა". ვნატრობდი, რომ ვ ე ხ ვ ი ო, ა ღ მ ო ვ ფ რ ი ნ დ ე და შ ე ვ ე ხ ო სრული უკანონობაა, დროთა შეუთანხმებლობა, რაიცა ხშირად შეგხვდებათ ჩვენის პოეტის ნაწარმოებში. უნდა ითქვას: „ვნატრობდი, რომ ვხვეოდი, აღმოფრენილიყავ და შევხებოდი".

3) „მ ძ ვ ი ფ რ ნ ი ქარნი",—მძაფრი ქარი კი გვესმის, რა არის, და მძვიფრნი ქარნი ვერ გავიგეთ, სიტყვა მძვიფრი ლექსიკონში არ მოიპოვება.

4) „თვალში ცრემლით განებებთ თავსა" — რუსული გამოთქმაა (Со слезами на глазахъ).

ამას უნდა დაუმატოთ იმისთანა რითმები როგორც მაგალითად: „ჩემს ცრემლს — ნუგეშს", „ჰაერის სისქეს — მწუხარს თვალსა ჩემს" (სად არის აქ რითმა? ნუ თუ მარტოს?!) და მრავალი სხვა; აგრეთვე უშნო, არა მუსიკალური გამოთქმანი: „დამიწყებისცა", „მემარხება გულში" და სხ. ყველა ეს ნაკლულევანება რო მივიღოთ მხედველობაში, უნდა დამეთანხმოთ, რომ რაც უნდა კარგი შინაარსი იყოს, ამგვარი გარეგანი ფორმა მეტის-მეტად დაამახინჯებს მას.

ლექსი „სანთელი" არაფერს წარმოადგენს აზრით და ფორმაც თავის შინაარსის შესაფერი აქვს:

> აწ მიწურვილა თუ (მიწურულა?) განსაქრობლადაა.
> შანდლისა, თავზედ ძლივ-ძლივსღა, ბჟუტავს.
> ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა
> კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს... და კიდევ:
> „ლაჟვარდად ქმნილი სუსტი სანთელი
> შანდლის ძირომულში თავსა ანარცხებს.

ასე გვისუოათებს პოეტი სანთლის ჩაქრობას და ბოლოს ათავებს შედარებით:

ეგრედაც კაცი ძლიერი ქრება,
ის ეწვევა მას სიკვდილი მტერი ... და სხვ.

ერთობ ულაზათო შედარებაა.

„ჩიტი (თარგმანი: — რატომ არ აცხადებს ავტორი თუ საიდან უთარგმნია?!) შეტანილია ჩვენს სკოლებში ქართული ენის პროგრამაში, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოკვიდგენია, თუ როგორ ურიგდებიან პაწია ბალღებს ენის ამისთანა ძძიმე ფორმებს:

ყოველთ უწინარეს, მშვენიერთა ყვავილთ
შორისა ვჯდები, ვარნა მიკერენ მცირის
მაწითა, მატყუილებენ რა ხორბლის მარცვლითა!

„ხმა სამარიდან“ წარმოადგენს მდივანბეგის, ხალხის მცარცველ-გლეჯელის აღსარებას, თუ როგორ ეპყრობოდა ის გაჭირებულ ადამიანებს და უსამართლობით ზრდიდა დატენიდა თავის ჯიბეს. ჩვენ პოეტს, როგორც ჩანს, სატირულ კილოზე მოუწყვია თავისი ჩანგი, მაგრამ სატირის მაგიერ, მდივანბეგს ბოროტ-მოქმედების მშრალი ანგარიში წარმოუდგენია მკითხველისათვის. სატირის ნიშანწყალი ეტყობა მხოლოდ ორ ტაეპს:

ჩემი ჯიბე ვტენე, ვტეხე,
ასე მოვკვდი. ვერ გავტენე

აბა რა სატირაა:

იხრიბოდა, კაცს ეხედავდი,
ბე შემეძლო მის მორჩენა:
ძის მორჩენას (კიდევ მის მორჩენას!) გავბედავდი
თუ ძესმოდა ვერცხლის ბზენა (ბზენა - ლიცენციაა!)
თუ არა და ხელსა ვკრავდი.
და მას წყალში მე ჩავკლავდი,
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა
ძე კიქმოდი ძეტად კარგსა.

გთხოვ. მკითხველო, მოიგონო, რაცა ვთქვით ლექსთ წყობის შესახებ, როცა „დიმიტრი თავდადებული“ გავარჩიეთ. ჩვენ პოეტს ხშირად აქვს დაბალი და მაღალი ლექსი ერთმანეთში არეული, რაიცა დიდ ნაკლულევანებას შეადგენს ლექსწყობაში. ამ ლექსშიც ბევრგან არის ცეზურის კანონები დარღვეული:

ბალის ვედრება ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებარი (თუ გაუგებარი?)

აქ პირველი ტაეპი დაბალია და მეორე-მაღალი.

ასე არეული ცეზურა ამ პატარა ლექსში შეგხვდებათ თოთხმეტჯერ.

შეიბრალეთ ჩემი გვამი...
თუ ოდესმე ვინმე მნახეთ
საიქიოს თუა ქრთამი.
გამახარეთ, ჩამომძახეთ.

„მნახეთ" აქ შეცდომაა, — უნდა იყოს „მნახოთ".

არ გვესმის ამ ხანაში რა უნდა ეთქვა პოეტს: თვით მდივანბეგი საიქიოს არ ყოფილა? მაშ სააქაოს იყო? ვერ გავიგეთ: მკვდარი იყო, თუ ცოცხალი?

ამგვარათ, 1857 წელში ჩვენ პოეტს ცით-მოგზაურობა არ ეტყობა. მაგრამ მკითხველი გულს ნუ გაიტეხს, რადგან 1857 წელში ილია ჭავჭავაძეს ალბად ახლად აღებული ჰქონდა ხელში კალამი. შემდეგ წლებში შეხვდება მკითხველი ჩვენის პოეტის უკეთეს ლექსებს და თუ იშვიათად შეხვდეს, ბრალს ჩვენ ნუ დაგვდებს.

1858 წელი[1]

1858 წელი იწყება ლექსით „გიყვარდეს"! სიპატარავისა გამო ამ ლექსს სრულად მოვიყვანთ აქ:

> კაცო, გიყვარდეს!
> ცათ მომამზადეს,
> როს მათ დამბადეს
> ყველგან ეს სიტყვა,
> ლამპრად წინ მიმყვა
> და ქვეყნად ჩემს სვლას
> ჰსცემდა წმინდ ნათელს,
> მისთვისც გეტყვი ძმას:
> შენცა გიყვარდეს!...

1 გამომცემელთა შეცდომამ ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანა: 1857 წლის ლექსები რო გავარჩიეთ იქვე უნდა მოგვეხსენებია ლექსი „სიმღერა", რომელიც შეცდომით 1858 წლის ლექსთა რიცხვშია დაბეჭდილი. ეს ლექსი მაინც ვერ შეცვლის ჩვენს აზრს 1857 წლის ი. ჭავჭავაძის ლექსთა შესახებ, რადგან ეს ლექსი ამ წლის სხვა ლექსთა უსუსტესი თუ არის, თვარა უკეთესი არა.

> „მაგრამ ეგრძნობ, შევალ დიდს ზღვას და იქ ჩავღუპავ ჩემს ნავს.
> და მაღლად შენი წყალი წ ა შ ლ ი ს ჩ ე მ ს უ რ გ ე ბ ს კ ვ ა ლ ს ა..
> თუ ეს მაქვს გარდუვალი, ვსწყევლი ჩემს შობის წამსა".

გარეგან უშნო გამოთქმას გარდა, ეს ლექსი შესანიშნავია უსიმპატიო შინაარსითაც. ახალგაზრდა პოეტი ჰსწყვეტს, რომ ზვირთი „წუთი სოფლისა" ზღვაში შეაცურებს მის ნავს და იქ ჩაჰღუპავს; პოეტი ჰსწყევლის „თავის ბედის წამს" იმიტომ, რომ „მოწყენილ სიცოცხლის მდინარე" წაშლის მის „ურგებ კვალსა". არ გვესმის რა არის საკვირველი, რომ ვისმე უ რ გ ე ბ ი კ ვ ა ლ ი ცხოვრებაში წაიშალოს და მოისპოს?! პოეტი [illegible]-ლოვებს ამ ლექსს „ორსა, ობლად მცურავსა, მე და ჩემს მცირე ნავსა. ჰოი, ტალღებო, მდინარევ, ის დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ". ახალგაზრდა პოეტს ერჩია შეშვენოდა წინდაუხედავი უშიშროება თავის შავბედთა ბრძოლაში, ვიდრე ამგვარი ქედმოხრილობა და ცრემლმორეული ვედრება უწყალო ბედის წინაშე. ჩვენს პოეტს „ურგები კვალი" ვერ გაუწირავს წასაშლელათ, და ნიკოლოზ ბარათაშვილი კი თავსა სწირავს და მტერს კი არ ემორჩილება: „დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოდეთი ვერ შემაშინებს მისმან ბასრმან მოსისხლე მტერი"-ო, ეს იმიტომ, რომ კაეშანია მგოსანს კარგა ესმოდა ხალხის თქმულება.

* „მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა". ავტ.

თუ გნებავთ, დავიჯეროთ, რომ „ცათ შთამოძახეს“ პოეტს, გიყვარდესო. მაგრამ ეს კი არ შეიძლება დავიჯეროთ, რომ „ცათ“ დავიწყებოდათ იმის განმარტება, თუ რა უნდა ყვარებოდა ჩვენს პოეტს: კეკლუცთა ხვევნა-ალერსი, ყომარბაზობა და საზოგადოდ ამ სოფლიური შვება-ლხენა, — თუ ადამიანი? და თუ ადამიანი, ისიც რა გვარი: ბუზმენტებ-ეპოლეტებიანი, თუ ძონძებში გახვეული? ბოროტი თუ კეთილი? ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, პოეტს „ცანი შთამოძახებდენ“ უოუოდ ქრისტეს მოძღვრებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო“, მაგრამ სქმე ის არის, რომ აზრი ყველასათვის ნათლად უნდა იყოს გამოთქმული.

„სცემდა წმინდა თელს“: — თ. ილ. ჰავჰავაძე მეტად ხშირად ხმარობს ენის დამამახინჯებელს ამისთანა გამოთქმებს. შემდეგ წლებშიც შევხვდებით ასე უმსგავსთ შემოკლებულ ბრუნვებს, მაგალ. ერთ ლექსში: „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენმ გიჟმა რა იცოდა?... ნუთუ სახელოვანი პოეტი არ არის დარწმუნებული, რომ ამისთანა უმსგავსი ფორმები სასოებას დაუკარგავს ყველას „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“?!

„მისთვისაც გეტყვი“: — ამ გვარს უკეთილხმოვანო შემოკლებას სიტყვებში (ვისც, რაც, სადც და სხვ.) ხშირად ხმარობს ჩვენი პოეტი თავის ოხზულებაში, თითქოს ისინი ხელისხელ საგოგმანებელნი იყონ...

„უცხოეთში“

ამ ლექსის შინაარსი საკმაო მასალას აძლევს პოეტს, რომ თავის გულის ტკივა სამშობლოს ცის სიშორის გამო გრძნობით და ნათლად დაეხატა ჩვენს თვალწინ. პოეტს გული ჰმუნვით ჰქონია სავსე უცხოეთში, რომ თავის მშობლიურ ცის მაგიერ უცხოეთის უფერულ ცას შეჰცქეროდა: მაგრამ შემოქმედებითს ძალას ნება არ მიუცია, რომ თავის გულის ვარამი ჩვენთვისაც დაენახვებია.

„ყოველი ჩუმობს გარშამო ჩემსა“: — გარშამო-ს მაგიერ უნდა იყოს გარშემო, რადგან თავსართები შ და შ ა მ ო მწერლობაში უარყოფილია (შემოვიდა, შეიტანა და არა შამოვიდა და შაიტანა).

„პეშმარიტება“

ა. ს. პუშკინს მოუცლია ამ ლექსის (Истина) დაწერისათვის შაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ერთობ ახალგაზრდა იყო და ლიცეიში სწავლობდა. საზოგადოდ პუშკინის ამ დროის ლექსები არაფერს წარმოადგენს თავის შინაარსით, თუმცა გარეგანი მათი ფორმა ლამაზია და პოეტური, და ეს ლექსი კი მათ შორის უსუსტესია, ასე რომ პოეტის განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა დაემსახურებინა.

ამასთანავე თარგმანიც სუსტია. პუშკინი ამბობს: „Издавна мудрые искали“, ჩვენი პოეტი თარგმნის: „ამას წინათა ბრძენნი ეძებ-

დნენ“-ო. ორგინალის აზრი იცვლება, რადგან „Издавна“ სიტყვა არის და „ა მ ა ს წ ი ნ ა თ“ — სხვა.

ამას წინათა ბრძენნი ეძებდნენ
ჭეშმარიტების დავიწყებულ კვალს
დიდხანს და დიდხანს იგინი ხსნიდნენ
მოხუცებულთა უწინდელთა აზრს.

თუ ლექსის შინაარსი სუსტია, გარეგანი ფორმა მაინც უნდა იყოს ხეირიანი, და, აბა, რა მუსიკა ისმის რითმებში: ე ძ ე ბ დ ნ ე ნ — ხსნიდნენ კვალს — აზრს?

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბევრს ჩვენს მწერალს, და განსაკუთრებით მათს წარმომადგენელს თ. ილ. ჭავჭავაძეს, დღემდის ვერ შეუგნიათ, რომ ქართულ ზმნებში დაბოლოვება დნენ მეტად აუშნოებს ქართულ ენის გარეგან სიშვენიერეს. დ ა წ ვ ნ ე ნ, ა მ ო ი ფ ხ ვ რ ნ ე ნ, გაწყრნენ, დათვრნენ, გაძღნენ და სხვ.. — ამგვარი ფორმები მხოლოდ იმისთანა ადამიანს არ ეჩოთირება ყურში, რომელიც სმენასა და მუსიკალურ გემოვნებაზე ბწყარალად არის. რასაკვირველია, გარშემორტყმულ ხალხის ჩვეულებასაც აქვს გავლენა ამ შემთხვევაში, მაგრამ პოეტი ბრბოს არ უნდა ემორჩილებოდეს და ხალხის ენის მრავალგვარ ფორმაში უმშვენიერესი, უმუსიკალურესი უნდა არჩიოს.

* * *

**„რა ტკბილ არს, ოდეს წყვდიად ღამეშინ
(თარგმანი ვალტერ სკოტიდან).**

ეს პატარა ლექსი კარგი ნათარგმნი იქნებოდა, რომ მთარგმნელი ჩვეულებისამებრ მეტად უკეთილხმოვანო რითმებს არ ხმარობდეს ყოველგან. რა კარგი იქნებოდა ეს სიტყვები, მუსიკალური დაბოლოებანი რომ ქონდეს:

და ვით ფრინველი, მოალერსე მხის,
ფრინვენ ცისკენა ხმანი გალობის

„მეუდაბნისა (ნათეს. ბრბ.) შეცდომაა; მ ე უ დ ა ბ ნ ო ე — ნათეს. მ ე უ დ ა ბ ნ ო ე ს ი; თუ პოეტმა რითმისათვის იხმარა უკანონოთ, ვერაფერი რითმაა მ ე უ დ ა ბ ნ ი ს ა და ყ უ რ ს ა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ლექსი სულ ურითმოც შეიძლება იყოს და მაინც მუსიკალური და ჰარმონიული გამოდიოდეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როცა ლექსი ურითმოთ იწერება, მკითხველი თუ მსმენელი აღარ აქცევს ყურადღებას დაბოლოების მუსიკას; ამ შემთხვევაში მოშაირეს კიდეეაც ნაკლულევანებად ჩაეთვლება, თუ აქა-იქ რითმები იხმარა, ხოლო თუ შაირი თავიდანვე გარითმულია, მახვილი სმენა ყოველთვის მოითხოვს კეთილხმოვან დაბოლოებას. ეს უნდა იქონიონ ამ ჩემის წერილების მკითხველებმა მხედველობაში და ამით ახსნან ის გარემოება რომ ჩვე დიდ ყურადღებას ვაქცევ შაირების დაბოლოებათა კეთილხმოვანებას.

„სტიროდეთ!“

(ლორდ ბაირონის ებრაული მელოდია).

ეს ლექსი არ არის ხელოვნად ნათარგმნი, შინაარსის სინაზვილე დაცულია, მაგრამ ენა კი ჯვარცმულია.

1) „მათ, ვისც ტაბარნი ნანგრევ არიან“:— ვისც, რასც, სადც—ენის სამტკრევი ფორმებია. „ნანგრევ არიან“—უშნო ლიცენციაა.

2) „არ რა არს რა“—ამდენი „რა“ რა ამბავია?!

3) „რომელ წყაროში დიდ ისრაელი დაიბანს თვის ფეხთ აღსისხლებულთა“ სახელობით ბრუნვაში ზედსართავი სახელი არ შემოკლდება, ჰაშასადამე დიდ ისრაელი არ ითქმის; აღსისხლებული ფეხიც არ გაგვიგონია.

4) „ტომი ფეხითა სვლით მოწყლულითა,
...ვით აღფრიხდები სამშვიდო ადგილს“...

აზრი ბნელია; ეპიტეტებში მოწყლული და სამშვიდო აქ შეუფერებლად მიგვაჩნია.

5) „სტიროდეთ...სადაც ღმერთი იმ მტირალთ იმყოფებოდა, იმა ალაგსა არიან, ვისაც ღმერთი არა ჰყავთ“—აზრი ბნელია და სიტყვათა წყობა სულის მხუთავი.

„გაზაფხული“

ვიწ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სისარული.
განახლებული,
გაკოცხლებული
პლხინობს და ასტკბება
ყველა ცოლდგმული...

ძლიერ კარგი იქნებოდა ეს ლექსი, რომ ბოლომდის ასე იყოს გაგრძობილი; მაგრამ ამას ქვეით იმისთანა სიტყვები და ფორმები უხმარია პოეტს, რომ მკითხველს პოეზიისადმი ყოველსავე სასოებას და ხალისს დაუკარგავს.

1) „ბელურა იქ მღერს:—აბა, სად და როდის უნახავს პოეტს, რომ ბელურა მღეროდა?! ერთი რომ—საზოგადოდ ფრინველზე არ ითქმის მღერის, არამედ გალობს; მეორე ,ბელურას უსიამოვნო ყლივილი არა თუ პოეზიის ღმერთს—ნამდვილ პოეტს, არამედ სულ უკანასკნელს უბრალო მომაკვდავსაც არ მოესმება სიმღერად და გალობად; მესამეც, პოეტს სწადია—გაზაფხულის განსხვავებული, დამატებობელი სურათები წარმოგვიდგინოს თვალ-წინ და აბა, რა ადგილი აქვს ამ შემთხვევაში ბელურას, რომელიც ზამთარშიაც სულსა და გულს გვიწუხებს თავის ყივილ-ხივილით?!

2) „ყკავილს სწორწნს“:—გარდა იმისა, რომ უშნო ფორმაა უკანონოც არის: უნდა იყოს წუწნის ან წოვს (კოცნა-კოცნის, თოხნა-თოხნის, კორტნა-კორტნის და, მაშასადამე, წ ო წ ნ ა-ვწორწნი, წორწნი, წორწნის ანუ წუწნის).

3) „ბრწყინვალე წყარო

4) „მიცურს და ჰხარობს:

ყინვით არ ვარო“

მ ი ც უ რ ს—მეტათ უშნო ლიცენცია, და ან რა საჭირო იყო აქ ამ-თანა უკანონო ფორმა, როცა ლექსი კანონიერათაც კი გამოითქმოდა: მა-გალ. ასე: „მიცურავს, ხარობს?!“ მერე ერთობ ბნელად არის გამოთქმუ-ლი აზრი: „ყინვით არა ვარო“; ალბათ, პოეტს იმის თქმა უნდოდა, რომ წყარო ყინულისაგან თავისუფალი არისო, მაგრამ ამას მკითხველი თვი-თონ თუ მიხვდება, თვარა ავტორის გამოთქმა ერთობ გაურკვეველია.

5) პოეტი ხმარობს სიტყვას „თავისუფლობა“; შემდეგ ლექსში („ჩი-ტი“) ორნაირ მართლ-წერით აქვს ნახმარი ეს სიტყვა:

„თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო ბ ა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“; ნეტა რომელი მიაჩ-ნია პოეტს კანონიერათ? თუ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო ბ ა—ჰსცდება, რადგან დიდი ხანია მართლწერამ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება.

6) „ყველა ყვავდება“: —აწმყო დროში უნდა ყვავის და არა ყვავდება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს პოეტს და მასთან ერთად ყველას, ვინც კი ზმნებში ასო ჰ-ს ხმარობენ, არა აქვს შემუშავებული კანონი, თუ რა შემთხვევაში იხმარება ეს ასო. ამ ლექსში, მაგალითად, პოეტი ხმარობს ჰ-ს ზმნებში: ჰ ლ ხ ი ნ ო ბ ს, ჰ ს ტ კ ბ ე ბ ა, ჰ მ ღ ე რ ი ს, ჰ გ ი ე ო ბ ს, ჰ ხ ა რ ო ბ ს, ჰ ხ ე დ ა ვ ს და არა ხმარობს: ს ტ ვ ე ნ ს, ს წ ო რ წ ნ ს, ს წ უ დ ე ბ ა და ყ ვ ა ვ დ ე ბ ა: ნეტა აგვიხსნიდეს ან თვით ავტორი, ან მისი გამომცემელნი, თუ რათ იწერებიან პირველი ზმნები ჰ-თი და რათ მეორენი უ-ჰ-ოთ? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ერთი და ვერც მეორენი საფუძვლიანს ვერაფერს გვეტყვიან ამის შესახებ. ამიტომაც ჩვენ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჰ-ს ქართულ ზმნებში ადგილი არა აქვს, განსაკუთრებით დღეს, როცა მისი გამოთქმა ენას უძნელდება და ყურს ეჩოთირება.[1]

„ჩიტი“

ეს ლექსი მოგვითხრობს ჩიტის ყოველდღიურ თავგადასავალს: როდის იღვიძებს, სად დაფრინავს დღისით და ღამეს სად ატარებს,—მაგრამ ყველა ეს ერთობ ჩვეულებრივი მოვლინებაა და ამიტომაც მკითხველისათვის უფრო უინტერესო. დასასრულ ჩიტი წარმოადგენს თავის უნუგეშო მდგომარეობას, როცა მას დაიჭერენ და გალიაში ჩასმენ და წინდაწინვე

[1] ჩვენ არ ვართ ამ შენიშვნის თანახმა და თავის დროზე რედაქცია კიდეც წარმოთ-ქვამს ამ საგანზე თავის აზრს.

რედაქტორი.

მოთქვამს თავის საეჭვო მდგომარეობას... მაგრამ ეს უბედურება ჩვენ ვულს ვერ აატოკებს და თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს, რადგან ის არის ოცნებით წარმოდგენილი და არა ნამდვილი. მამია გურიელის „შოშია" თუ იწვევს მკითხველის თანაგრძნობას, ეს იმიტომ, რომ შოშია იქ ნამდვილად გაუბედურებულია, დატყვევებულია და, მაშასადამე, მისი მოთქმა თანაგრძნობის ღირსია.

„ჩ ე მ ი ა წ ე რ ა
ღ ე რ ა და მ ღ ე რ ა"

ჩ ე მ ი ა წ ე რ ა—უხერხული გამოთქმაა; თუ მაინცა და მაინც უნდა იყოს ჩ ე მ ი წ ე რ ა ა,—მაგრამ წერას მაგიერ აქ დანიშნულება ჯობია.

2) „ნ ი ჭ ი მ ა ქ ვ ს წ მ ი ნ დ ა,
საფრენად ფრთები".

რა აზრია სიტყვებში: „ნიჭი მაქვს წმინდა?" ნუთუ, „საფრენად ფრთები" რომ აქვს ჩიტს. ეს არის მისი „ნიჭი წმინდა?!"

3) პოეტი ამ ლექსში ორგან ხმარობს სიტყვას მ ე რ ე დ; თუ ეს ფორმა პოეტს სადმე ხალხში გაუგონია, ნუ თუ მწერლობაში შესაწყნარებლათ მიაჩნია?!

4) „მ ი ნ ა მ ვარ უფლად". სიტყვა მ ი ნ ა მ ჩვენს მწერლობაში არ არის შესაწყნარებელი; როგორც გვახსოვს. არც ძველ მწერლობაში შევხვედრივართ ამ სიტყვას, არც ჩვენს ლექსიკონებში მოიპოვება. არის სიტყვა ს ა ნ ა მ (სანამდი) და მ ი ნ ა მ (მინამდი), აქ უნდა იყოს ს ა ნ ა მ ვარ.

5) და როს ცდუნებით,
ძალდატანებით
გალიას ჩამსმენ,
მშვიდობით, ველო,
მ ა შ ი ნ ა ღ ა რ გ ს ტ ვ ე ნ
ს ა წ უ ა ლ ო ბ ე ლ ო!"

ამ ხანაში ლექსის ჩვეულებრივი წყობა ირღვევა და ოთხის მაგიერ, ეს სანა ექვსის ტაეპისაგან შედგება. გარდა ამისა, უხერხულად მიგვაჩნია გამოთქმა: „მაშინ აღარ გსტვენ, საწყალობელო". ეპიტეტი ს ა წ უ ა ლ ო ბ ე ლ ო ველისათვის აქ შეუფერებელია (ვითომ ჩიტი ეუბნება: ჩემი სტვენა მოგაკლდება და საწყალობელი შეიქმნებიო).

6) „დ ა ვ ი წ უ ო ბ ჰ კ ნ ო ბ ა ს", უნდა იყოს დ ა ვ ი წ უ ე ბ; დ ა ვ ი წ უ ო ბ ნიშნავს დ ა ვ ი ლ ა გ ე ბ, მაგალ. წიგნებს წინ დ ა ვ ი წ უ ო ბ. ეს ორი ზმნა (დ ა წ უ ე ბ ა და დ ა წ უ ო ბ ა) ხშირად აქვთ ერთმანეთში არეული აღმოსავლეთ საქართველოს მწერალთ, — უკეთ ვთქვათ, ისინი

ორსაევე ერთნაირად მიმოხრიან. აი,ამ ზმნათა მიმოხრა მოთხრობით კილოში:

დ ა წ უ ე ბ ა: დავიწუებ, დავიწუე, დამიწუევია;
დ ა წ უ ო ბ ა: დავიწუობ, დავიწუევე, დამიწუევია.

„სიზმარი"

ჩანს ჩვენს პოეტს ამ ლექსში მიზნად ქონია-დაეხატა ღეთისაგან განრისხებული, ტანჯულ ქვეყანათა ჯოჯოხეთური მდგომარეობა. სურათი მართლაც ჯოჯოხეთურია, გონების შემზარავი. მაგრამ ადამიანურ თვისებათა მოკლებულია, და ამიტომაც ამ ქვეყნიურ ცხოვრების ტანჯვა-ვაებას ვერ წარმოგვიდგენს:

სისხლით აღსილსა ფიალსა იქ მზენი პგვანდნენ
და ჯოჯოხეთის უფსკრულთა ეარსკვლავნი სჩანდნენ.
მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა სამივ გრიალით
უგზო-უკვლოთა წანწალებდენ ტრიალით მალით.
აქ მთვარე მზესა—იმ სისხლის ტბას მიაწყდებოდა
და ზარით, გრგვინვით და ქუხლით უკუხტებოდა.
და მზიდამ თითქოს სისხლი სიღრმეს ღვრად სდიოდა
და მუნით ალი ჯოგრის ფრადა ამოდიოდა.

სიზმარია, მართალია, მაგრამ სიზმარს, როგორც ზღაპარსაც ყოველთვის კაცობრიული აზრი და მიზანი უნდა ჰქონდეს სარჩულად.

1) „მოცურს" — კიდევ ც უ რ ს! (იხ. ლექსი „გაზაფხული": მიცურს!)

2) „ქვეყნებთა მრავალთ" — ქ ვ ე ყ ნ ე ბ თ ა არ შეიძლება. უნდა იყოს ქ ვ ე ყ ა ნ ა თ ა ან ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ა.

3) „მაგრამ ზოგად შიშთ კაცებრ მხთალათ ყველა ემონათ": — გარდა იმისა, რომ ამ წინადადების გამოთქმა გვიჭირს, გაგებაც გვეძნელება.

4) „ელოდა":—გაზეთ „ივერიას" და მის რედაქტორს რატომღაც უყვართ ეს არა ჩვეულებრივი, არა ადამიანური ფორმები.... აბა, რის მაქნისია ამ ზმნაში ორი დ?! ხალხი ერთ დ-ს ხმარობს, მწერალნიც უმეტესად ერთ დ-ს ხმარობენ და კანონითაც ერთი დ უნდა, რადგან აწმყო დრო არის ველი, მოველი (ველოდები იშვიათად), და ნამყო I ნაწარმოებს აწმყოსაგან: ველი-ი—ველ-ოდი (ვთრთ-ი ვთრთ-ოდი)

„წინასწარმეტყველი"

(პუშკინით)

პუშკინის ამ მშვენიერ ლექსის თარგმნას არ შეიძლება ვუწოდოთ კარგი. თუმცა აზრი ძალიან დაახლოებით არის გადმოცემული, მაგრამ გარეგანი ფორმა ნაკლულევანია:

1) „თითებით მჩატით, ვითა სიზმარი" (-ვითა სიზმარი).

2) „განმეხსნენ წინა-მხედველნი თვალნი": — კითხვაში ისე გამოდის

თითქო თვალი ორი იყოს: წინა და უკანა; вещий მაინც წინამხედველად არ ითარგმნების.

3) „მერედ“ (-მერე, მერმე).

4) „ფრენა ციურნი“ (-ციური): ლიცენცია რითმისათვის. თითქო ჩვენი პოეტი დიდ ყურადღებას აქცევდეს მუსიკალურ რითმებს!.

5) „დალოცვილ ხელით შთამიდგა მანა ჩემ გასისხლებულ ბაგეთა შინა“: ერთობ არაპოეტური შაირია.

ი) „გულებს უნთებდე კაცთა“: გულებს სმენისათვის როგორღაც საჩოთიროა და არცა აქვს მრავლობითი რიცხვი, როცა გული გრძნობის შეგიერად მეტაფორულად იხმარება. პატარა ლექსში ეს ექვსი უხერხული გამოთქმაც საკმაოა, რომ თარგმანი სუსტად ჩაითვალოს.

„ბუდა მქადაგებელი“

(გეტესი).

თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენის ავტორის პოეტურ თარგმანთა შორის ეს ლექსი საუკეთესო ენით არის ნათარგმნი.
საუკეთესო ადგილად მიგვაჩნია ამ ლექსში:

მშვრაფულ სასოებით, სიწმინდით, მადლით
გამოუშუქდა სახე მოხუცსა.
და მოსკდა სიტყვა ღვარებრ მის ბაგით
ძთა-ბარს უდაბურს და უკაცურსა.
კითარცა წყარო, ქვათა ძარღვისა
ამომხეთქი და გამაპობელი,
ისე ნაკადი სიტყვის მაღლის,
მის ბაგით იყო გადმოდენელი.

მხოლოდ ეს უნდა ვთქვათ, რომ ავტორის საზოგადო ნაკლულევანება -რითმების სიღარიბე — ამ ლექსსაც. რასაკვირველია, არ აშორებია.

ამ ლექსში უხერხულად მიგვაჩნია შემდეგი გამოთქმანი:

1) „ნებით ინება“

2) „ცისკენ პირ-ექმნა მის გამჭრალ თვალსა“

3) „და კლდენი ვერცხლის ფრადა დაფერა“: — ცეზურის მიხედვით უმჯობესია ასე ითქვას: „და ვერცხლის ფერადა კლდენი დაფერა“.

4) „კიდამდინ“ (-კიდემდი).

* * *

ერთხელ ჰკდა ჩემთან ქალი ლაშაზი,
ამას მეტყოდა ნარნარი ნაზი,
პაბუკო, რისთვის ხარ მოღრუბლული,
რომ ღრე აგრეა გაბრწყინებული?
შუხედე მზესა.—ვით აბნევს ნათელს,
ადნობს თოვლ-ყინვას და ათბობს სოფელს,
რა შეეხედო მზეს? ვიცი გადმოყრილს
კაცთ მაკოცხლებელს არც ერთსა მის სხივს

[1] გადმომდენელი მოქმედ. გვარის მიმღეობაა, რომელიც აქ არ უხდება. ავტ-

არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დარდის ცრემლად დადნობა.

ერთობ უსიმპატიო საუბარია ახალგაზრდა ვაჟსა და ლამაზ ქალს შორის... ვინ გაიგოს, რა აწუხებდა პოეტს, რატომ არ შეეძლო მზის სხივს იმის გულის გათბობა? ლამაზი ქალი გვერდით უჯდა, მზე უხვად ნათელს აფენდა დედამიწაზე,— ერთი სიტყვით, ყველა პირობა ყოფილა რომ პოეტის გული აფეთქებულიყო სიხარულით და სიყვარულით... მაგრამ ჩვენი პოეტი ერთობ დინჯი კაცი ყოფილა ახალგაზრდობაშიაც. ამისთანა უბრალო გარემოება მის დარდიან გულს თურმე ვერ აატოკებდა... ძალიან კი დაგვავალებდა პოეტი, რომ გადაეშალა ჩვენთვის თავის გულის დარდები, თვარა რა გავიგოთ, რა იყო მისი გულის ვარამი!...

უხერხულად მიგვაჩნია: „მეტყოდა“ (-მეუბნებოდა), „აგრეა გაბრწყინებული“ (-აგრე გაბრწყინებულია) და „გადმოყრილი სხივები“).

S. P. ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს ყურადღება მიაქციონ შემდეგ უმთავრეს შეცდომებს, რომელნიც კორექტორის მიზეზით შეპარულან ჩვენს წერილებში:

1) დაბალ რვეულის მუსიკალური ზომა უკანონოთ არის ნაჩვენები,— უნდა იყოს აა—აა (—აა) „კვალი“ № 19).

2) შეცდომით არის ნაჩვენები გამოთქმა: „მემარხება გულში“, უნდა იყოს: „მემარხება გულშია“ (იხ. „კვალი“ № 20), ჩვენ აქით იმის თქმა გვინდოდა, რომ თ. ილ. ჭავჭავაძე მეტად ხშირად უმატებს ლექსისთვის სიტყვებს ბოლოში ხმოვან ასოს ა-ს: გულშია, თბილისშია, დუმილშია და მრ. სხ., რაიცა ჩვენ არა კეთილხმოვანად მიგვაჩნია.

1859 წელი

„ქართლის დედა“

თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსებს შორის „ქართლის დედას“ პირველია, რომელიც შინაარსითაც და გარეგნობითაც კარგ ლექსად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსამდი, როგორც ვნახეთ, პოეტს ჩვენთვის ხეირიანი ლექსი არ მოუწოდებია. ლექსი „ქართლის დედას“ მით უფრო იპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომ მისი შინაარსი პატრიოტულია. რასაკვირველია, მარტო პატრიოტობაც არ კმარა, და პოეტი გრძნობით ვვიხატავს დედის დანიშნულებას:

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უძგეროდეს
და მოყვარისთვის ბედთან ჰბრძოდეს...

მხოლოდ ეს ვერ გავიგეთ, თუ რა აზრით ხმარობს პოეტი სიტყვას „ქართლი“, თუ საზოგადოდ მთელ საქართველოს უწოდებს ასე, მაშინ ეს

იქნება შეცდომა ენის მხრით, და თუ რომ საქართველოს ერთი კუთხე, ქართლი, აქვს მხედველობაში, მაშინ კიდევ უფრო დიდი შეცდომა იქნება—არის მხრით, რადგან მარტო ქართლის დედა არ ეყოფა ალმზრდელად მთელ საქართველოს შვილებს.

ენის მხრით ამ ლექსში ჩვენ უკეთილხმოვანოთ მიგვაჩნია შემდეგი ფორმები: ქ ა რ თ ვ ლ ი ს ა, ე ს ლ ა, ს ა ღ მ რ თ ო, ამათ სჯობია ფორმები: ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა, ა ხ ლ ა, ს ა ღ ვ თ ო.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ რითმები აქაც, როგორცა სხვა ლექსებშიც, ბევრია უკეთილხმოვანო: ქ ა რ თ ვ ლ ი ს ა—შ ვ ი ლ ი ს ა, მთისა—გმირსა, ნაღველმა—ბედმა და სხ. და სხ. მაგრამ ცეზურის მხრით ეს ლექსი კანონიერად არის დაწყობილი.

ჰეინედან ნათარგმნი პატარა ლექსი სულ ორი ხანადან შესდგება და ორივე ხანა უხეიროდ არის გამოთქმული. არამუსიკალურ რითმებს გარდა, უხერხული გამოთქმანიც საკმაოდ არის ამ პაწია ლექსში. მეორე ხანაში ნათქვამია:

ჰითხარ: „მიყვარხარ“—და იმავ წამსა,
თვით არ ვიწყ რაზედ მწარედა ვიტირებ.

სამწუხაროდ ორიგინალი ხელთ არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ჰეინეს ასე არ ექნება ნათქვამი, რადგან ის შესანიშნავი პოეტი იყო და, რა თქმა უნდა, სულის მოძრაობანი, ადამიანის ფსიხოლოგიური მღელვარებანი ნაგრძნობი და შეგნებული ექნებოდა. მწარედ ტირილი შეუძლებელია მაშინ, როცა საყვარელი ადამიანი გეხვევა და გეუბნება: „მიყვარხარ“-ო! ამისთანა წამს შეიძლება მხოლოდ თვალი ცრემლით აგეესოს, ღაღვარო კიდეც,—მაგრამ ეს ცრემლი არ იქნება მ წ ა რ ე, არამედ დამტკბობი საამო და სანეტარო.

უხერხულად მიგვაჩნია გამოთქმანი: ტეხა გულის, სხვა სიცოცხლეზე სული რწმუნდება, სამოთხეს ვსცხოვრებ; მათ მაგიერ უნდა იყოს: გულის კვნესა, სული რწმუნდება სხვა სიცოცხლის არსებობაში (ან: რომ არსებობს სხვა სიცოცხლე), სამოთხეში ვცხოვრობ.—უკანონოა ფორმა: მე ვუწყ, მე ვუწყის მაგიერ.

„ხიხარული“ (მიბაძვა)

სიხარული ჰგავს გზის პირას გაზრდილს,
გავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს,
რომელიც ხელში დიდხანს არ გრჩება,
მცირეჟ ხანს გატკბობს და მერე ჰქრება.

სულ ამ ერთ ხანას წარმოადგენს ეს ლექსი. ჩვენ პოეტს ვისთვისღაც მიუბაძავს ამ ლექსის აზრში (რატომ არ აცხადებს—ვისთვის?), მაგრამ, ჩვენი აზრით, ასე მცირე რაშიმე მიბაძვას ისევ სჯობია პირდაპირ სთარგმნოს პოეტმა.

„ცხის პირას გაზდილს“-ო. რატომ უთუოდ „გზის პირას“? ჩვენ გვგონია, რომ სიხარული, სიტკბოება, ბედნიერება ისე იშვიათია ადამიანის ცხოვრებაში, რომ მოულოდნელად. უალაგო-ადგილას თუ გადაეყრება მას კაცი, თვარა შარაზე ვერ იპოვნის.

„გავლით მოწყვეტილი“ უხერხული გამოთქმაა და სუნნელი ყვავილის მაგიერ სურნელოვანი ყვავილი სჯობია.

„როდემდის“

ამ ლექსით პოეტი გვიქადაგებს, რომ სიცოცხლე ამ სოფლად ძალიან არ გაატაროთო, მაგრამ ეს ქადაგება მეტად მშრალი დარიგებაა და ისიც უშნოდ არის გამოხატული.

ნათესაობით ბრუნვაში ფორმა „ქრისტის, როგორც ნახმარია ამ ლექსში, ყოველად უკეთილხმოვანო და მასთან უკანონო ფორმაცაა. ქრისტის ისე არ შეიძლება ვსთქვათ. როგორც პეტრის. ივანის და სხვ. ე-ზე დაბოლოვებულ სახელებს ნათესაობითში სი აქვს დაბოლოება, ან შემოკლებით ს (მაგალ. სახელი პეტრე)ი .ან პეტრეს სახელი და სხ.) მ. ს., აქაც უნდა ითქვას ქრისტესიან ქრისტეს.

„ნუთუ შენს თავსა მტვრათა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა?“ ენდა იყოს ნათქვამი „მტვრიდან შექმნილს“, თვარა თუ მტვრად შექმნილია, რასაკვირველია მტვრად უნდა მიიჩნიოს თავისი თავი!...

„გავსწორდეთ ბედო“

ეს ლექსი შინაარსით მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“-ს. როგორც იქ, ისე აქაც გამოთქმულია შავბედისადმი საყვედური და ბოლოს მისი განდევნის, თავიდან მოშორების წადილი. მაგრამ სად ბარათაშვილის გულის გამმჭირავი, ღვთაებრივ ნაპერწკლებიანი გძნობანი—და სად თ. ჰაქპაქაძის მშრალი სიტყვებისა და აზრების გროვანი....

მარქვი რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამ სიტყვებში ისმის მედგარი ბრძოლის ხმა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, ისე რომ—„ვინცა ისმინოს დაესევას ლახვარი გულსა ხეული!“ და ილიას ლექსში კი იგივე აზრი ერთობ უწყინარი კილოთია გამოხატული:

მოგიკლავს ბერი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებაზე გინავარდნია—ო

მასთან, მოყვანილ ლექსში ეპიტეტი კარგი (კარგი ნუგეში) სრულიად არაფერს არ ხატავს.

დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები
შენ დუდუკზედა აქამდინ ეხტოდი,

ბეკრჯერ და ბეკრჯერ შენ გაძრუწუნე
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
შე დაეკარავ და—შენ კი იტუნე"

აქ უპრობესია ითქვას ადგილები გავსცალოთო. უნჩარული ფორმა გაძრუწუნე. პოეტს. როგორც ჩანს. კეთილხმოვანებისათვის უხმარია, მაგრამ, პირიქით, მეტად უკეთილხმოვანო ფორმა გამოდის.—მე დაუკრამ, წავიკითხამ, დავმალამ და სხ. მახინჯი ფორმებიცაა და მასთან უკანონოც: მ-ზე მაშინ დაბოლოვდება ზმნა, როცა სახელზმნა მა-ზეა დაბოლოებული (ცემა—ცქამ, სმა—ვსვამ, დგმა—ვადგამ და სხ.) და თუ სახელზმნა ვა-ზე ბოლოვდება, მაშინ პიროვანი დაბოლოება ვ იქნება: დამალვა—დავმალავ, კითხვა—ვკითხავ. დაკვრა (პირველი ფორმა იყო დაკვრა)—დავუკრავ.

„კართათანა"

(რიუკერტისა)

ეს ლექსი გრძნობიერი და აზრიანია და საფუძვლიანად მიუქცევია ჩვენი მგოსნის ყურადღება, მაგრამ თარგმანი, სამწუხაროდ, ერთობ სუსტია. ფორმები უკეთილხმოვანო და ლექსთა წყობა უკანონო.

ფანჯრიდამ ჯროში (ტრიალით ჩქმ) ფეხწინ დაეცა...
ისე ჰქდით იქ (გუგუნებდა) გროვა ხალხისა.

ეს ტაეპი ცეზურის მხრით არ არის კანონიერად დაწყობილი, რადგან ცეზურა უალაგო ადგილას ყოფს სიტყვებს, როგორც ნაჩვენებია ხაზებით. ამას გარდა ამ ლექსის ენას ანაკლულევანებს რითმების სიღარიბე (ძებნა—მიჩვენა, საფლავს—ალაგს, საწყალსა—ზარსა და სხ.) და ხშირად სრული დაბოლოების ხმარება (დიდხანსა. ვერავინა, ჩემთვისაცა, კარამდისა და სხ.).

„ელეგია"

ეს ლექსი თავიდან ბოლომდი კარგია. მთვარიანი ღამის მოკლედ და გრძნობიერად გამონასკული სურათი, ღამის მყუდროება—და ამ მყუდროებაში პოეტის მარტოობა, რომელიც მძინარე ქვეყანას ჩაფიქრებული დასცქერის და დაღონებული კითხულობს:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
რისღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ყველა ეს საგრძნობელიც არის და საგულისხმოც. ენის მხრით ჩვენ აქ ურიგო ფორმებად მიგვაჩნია: მეტყოდა (მეუბნებოდას მაგიერ) და ქართვლისძილშია; ჩვენ ზევითაც გვაქვს ნათქვამი, რომ სიტყვაში ქართველი ხმოვანი ე არ იკარგება ბრუნვებში, და, მაშა-

სადამე, აქ უნდა იყოს ნახმარი ქართველის ძილში მით უფრო, რომ ამით ლექსთა წყობაც არ დაირღვევა.

(რიუკერტისა)

გვიკვირს, რა ნახა ჩვენმა პოეტმა ამ ლექსში იმისთანა, რომ უთარგმნია?! თარგმანის უვარგისობის ნიმუშად ესეც კმარა:

გზახედა სიხარულით
გამოდის მგზავრი დილით,
შაგრამ კი საღამო ჟამს
შინ ნატრობს განსვენებას.

აქ რიგით „ჰაჯი-აბრეკი" უნდა გაგეერჩია, მაგრამ ამ პოემის თარგმანის შესახებ გრძლად დაგვჭირდება ლაპარაკი, ამიტომ ჯერჯერობით წვრილი ლექსების გარჩევას განვაგრძობთ, და „ჰაჯი-აბრეკის" გარჩევას კი შემდეგში დავბეჭდავთ, როცა შემთხვევა მოგვეცემა.

„ალაზანს"

პოეტის მიერ თავისი წარსული ცხოვრების ბედნიერი წუთების მოგონება—ეს არის ამ ლექსის შინაარსი. ჭეშმარიტი გრძნობით სავსეა ეს ლექსი. წმინდა სიყვარულია ამ გრძნობიერი ლექსის პირველი წყარო, ბედნიერი სიყვარულის მოწმე ადგილები—მისი მშობელი.

აგერ ის მუხა, რომლის ჩრდილ ქვეშ ვესხედით ერთად
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად,
მუნით დაგცქერით: შენ გრგვინავდი ალელვებული
ვით შენ ჰელავდი, ისეც ჩვენში ჰელავდა გული.

რა თქმა უნდა, ბედნიერი იყო ის წუთი პოეტისათვის, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილისა არ იყოს: „საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?" ჩვენი პოეტიც სიმწარით ამბობს:

მაგრამ წარიელტო წუთის შვება ჩვენის გულისა,
გაჰქრა სიბრძნეე აღტაცებულ სიყვარულისა.

ერთად შეზავებული სიტკბოება და სიმწარე, ნაღველში მორეული თაფლი—ასეთია უდროოდ გამქრალი ბედნიერების მოგონება, ამგვარია უბედური სიყვარული...

სად არს ის ღმერთი, ოდი გრძნობა ის სიყვარული?
ყველა წარსულა,—რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული?

მხოლოდ ეს ადგილი მიგვაჩნია არანორმალური გრძნობის გამომხატველად. თვით უბედური სიყვარულიც, თუნდ ერთი წუთით გამოცდილიც,

ისე ღრმა კვალსა სტოვებს ჩვენს ცხოვრებაში, ისე ბედნიერად ქმნის ადამიანს, რომ მარტო იმ ბედნიერი წუთის მოგონებისათვის ადამიანი ვერ შეელევა თავის „ხსოვნას“ და მზად არის—ათასი მწარე წუთი გამოიაროს, ოღონდ კი გამოცდილი სიტკბოების წუთმა ათასში ერთხელ ააფრთოვანოს მისი ოცნება, ტკბილად ააჟღერინოს მისი გულის სიმი... ამიტომაც, დარწმუნებული ვართ, ჩვენი პოეტი ამისთანა ხ ს ო ვ ნ ა ს ვერ უარყოფს, რადგან შევჩენკოსი არ იყოს, „წამის შვებას, სიტკბოებას მარად მოვიგონებთ“.

ენის მხრით ამ ლექსში ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ზედიზედ, ახლოს გამეორებული ერთი და იგივე სიტყვა:

მაგრამ მასში ჩ ე ნ არ ეეძებდით შედარებასა.
რად გვინდოდა ჩ ე ნ მომავალი“... და სიტყვა ღ მ ე რ თ ა

რომელიც წარმოადგენს რუსული ენის გაელენით შემოღებულ არასაჭირო ფორმას.

„ნ ა ნ ა“

ლექსი „ნანა“ ჩვენ არ შეგვიძლია ჩავსთვალოთ ისე უნაკლულო ლექსად. როგორც წინამომდევარი ლექსი „ალაზანს“. ამ უკანასკნელს არ აკლია არც შინაარსი, არც გრძნობა, არც გარეგანი სილამაზე; „ნანა“-ში კი შინაარსიც მდიდარია, მაღალი და წრფელი, მაგრამ გარეგანი სილამაზე კი აკლია, ძალიან აკლია..

ეს ლექსი რომ პროზად იყოს დაწერილი, როგორც მაგალითად, ტურგენევს აქვს „ლექსები პროზად“, მაშინ უნაკლულო იქნებოდა (რასაკვირველია, თუ კარგი ენით იქნებოდა გამოთქმული); მაგრამ რაკი წყობილ-სიტყვაობით არის დაწერილი, არ შეიძლება ლექსის ღირსებანი არ მოვსთხოვოთ.

„ნანა“-ში ცეზურები ურიგოდ არის დაწყობილი თითქმის ყოველ ხაზში. თითოეული ტაეპი აქ გაიყოფება ცეზურით ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ოთხი მარცვალია, მეორეში სამი (ა—აა/—აა). ამ სახით უნდა იყოს დაწყობილი ყველა ტაეპი, აქ კი ორი მესამედი ურიგოდ არის დაწყობილი. ავიღოთ მაგალითი: „რისთვის მომა/პყარ თვალნი“ ამ ტაეპში ცეზურა უალაგო ალაგას არის, შუა სიტყვაშია და ამიტომაც კითხვაში ლექსი არ გამოდის რიგიანი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ლექსში შესაძლებელია ცეზურა მოხვდეს სიტყვის შუა წელში, მაგრამ ამისთანა ლექსი შესაწყნარებელია მხოლოდ მაშინ, თუ რომ საცეზურო სიტყვა მრავალმარცვლოვანია, ისე რომ მისი მარცვლების რიცხვი თითოეული ტაეპის მარცვალთა რიცხვს უდრის (მაგალ. ამ შემთხვევაში სიტყვა უნდა იქნეს შეიდმარცვლოვანი: გ ა ბ ე დ ნ ი ე/რ ე ბ უ ლ ი, გაკადნიე/რებული და სხ.) ან თუ ტაეპი ორი სიტყვისაგან შედგება, რომლისაგანაც პირველი ერთმარცვლოვანი იქნება და მეორე ექვსმარცვლოვანი, ან პირველი ორმარცვლოვანი და მეორე ხუთმარც-

ელოვანი (ერთი სიტყვით, ცეზურას ორი მარცვლით მაინც უნდა ალემატებოდეს), მაგალითად:

ნუ გამიორ/გულდები;
წკლაჟი გაგი/მაგრდება და სხ. სხ.

და თუ ამისთანა სიტყვაში შეხვდა ცეზურა, რომელიც ცეზურის მარცვლებს მხოლოდ ერთი მარცვლით აღემატება. მაშინ ლექსთა წყობის კეთილხმოვანება ირღვევა,—მაგალითად:

ბრძოლაზედ გა/გეცილება;
რად მინდა ი/გიშვილი და სხ.

ამგვარად, ცეზურების კანონი ამ ლექსში ძალიან ხშირად არის დარღვეული. ამასთანავე რითმებიც ხშირად უკეთილხმოვანოა (ბედშაობას—გმირობას, მეხად—მსხვერპლად და სხ.).

ენის მხრით საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი უკანონო ფორმები: ჯ ე რ ე დ (უნდა იყოს ჯ ე რ), ჩ ჩ ვ ი ლ ი (უნდა იყოს ჩ ვ ი ლ ი; მართლწერა ჩ ჩ ვ ი ლ ი, თთვე და სხ. თუმცა ნახმარია ჩვენს ძველსა და ახალს წერილობაში აქა-იქ, მაგრამ ამისთანა მართლწერას საფუძველი არა აქვს არც ხალხის ენაში და არც საზოგადოდ ქართული ენის ხასიათში: ქართული სიტყვების ძირში არ იხმარება ერთი და იგივე თანხმოვანი გამეორებით; ამიტომაც უცხო ენების სახელების მართლწერაც ამ კანონის მიხედვით გადაუქართულებია ჩვენს ენას, მაგალ. კ ლ ა ს ი, გ რ ა მ ა ტ ი კ ა, ე კ ლ ე ს ი ა, ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა და სხ.).

„იცოდე ეგ სიკვდილი მ ე ტ ი დ ი დ ი რ ა მ ა რ ი" გამოთქმა „მეტი ლიდი რამ არი" არ არის პოეტური.

ამ სახით, გარეგანი მხრით კრიტიკას წინ ვერ დაუდგება ეს ლექსი და მკითხველის ყურადღებას თუ მაინც იზიდავს, მიზეზი ის არის, რომ შინაარსით არის მომხიბლავი, თავისი პატრიოტული კრლთით: მამულის უზომო სიყვარული დედის მხრით, შვილის შეწირვა მამულისათვის, შვილის მოვალეობა მამულისადმი... და ყველა ეს გრძნობით არის გამოხატული.

„მძინარე ქალი"

მე შენ დაგუურებ
მშვიდ მძინარესა
და დ ა ე ტ რ ი ა ლ ე ბ
შ ე ნ ბ რ ო ლ ი ს მ კ ე რ დ ს ა.

არ გვესმის, როგორი სურათი უნდა პოეტს წარმოგვიდგინოს, როცა ამბობს: „და დაეტრიალებ შენს ბროლის მკერდსაო!"

გული თუ ღელავს, მისი მდგომარეობა არაჩვეულებრივია, ის 'მფოთავს, კვნესის...მაშასადამე, როგორ შეიძლება ითქვას: ნ ე ლ ი ღ ე ლ ვ ა? ან რა მოხელეა აქ ეპიტეტი წ რ ფ ე ლ ი? „წ რ ფ ე ლ ი გაქვს ძილი, ვით ხილვა ცისა"...—მეტად ბნელი, გაუგებარი შედარებაა.

შენ თვითონ წ რ ფ ე ლ ს ა,
წ რ ფ ე ლ ი ც გაქვს ფშვენა.—

ძალიან შეყვარებია ჩვენს პოეტს ეს სიტყვა... ვინ არ იცის, რომ სიწრფელე მშვენიერი თვისებაა, მაგრამ ყოველიფერი წ რ ფ ე ლ ი როგორ იქნება?!

საზოგადოდ ეს ლექსი სუსტია შინაარსითაც და ენის მხრითაც.

„ციური ხმები"

ეს ლექსი იმით არის შესანიშნავი, რომ პოეტი ხშირად იძეორებს: „ციური ხმები", „ციურნო ხმებო, ოჰ, საკვირველებ"-ო. სიტყვების ამგვარი შეთანხმება არსად გვინახავს: ან უნდა იყოს ც ი უ რ ი ხ მ ე ბ ი, ც ი უ რ ო ხ მ ე ბ ო, და ან ც ი უ რ ნ ი ხ მ ა ნ ი, ც ი უ რ ნ ო ხ მ ა ნ ო... უშნო გამოთქმა, და ისიც რამდენჯერმე გამეორებული, რა თქმა უნდა, მკითხველის გულზე მალამოს მოცხების მაგიერ შხამს გადაასხამს... განსაკუთრებით მაშინ, როცა შინაარსიც ღარიბია.

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
გ ა ნ ც ა ც ვ ი ფ რ დ ე ს უ ქ მ ი ე რ ი.

რა ადგილი აქვს აქ ეპიტეტს უქმი? მასთან, მშვენიერება განა მხოლოდ უქმ ერს გააცვიფრებს?

სიტყვაში გ ა ნ ც ა ც ვ ი ფ რ დ ე ს ნაწილაკი ცა უადგილოდ არის ნახმარი. ცა მაშინ იხმარება, როცა განმეორებით უნდა აღნიშნონ საგნის თვისება ან მოქმედება, უფრო ძლიერად, ვიდრე პირველ სიტყვაში, მაგალითად:

„მზესა მთვარე შეეყაროს დაილევის, დ ა ც ა ს ჰ კ ნ ე ბ ი ს"

„ჩ... სას"

უცხო თემის ყ ა რ ი ბ მ თ ქ მ ე ლ ს ა
რად აღმიგზნე სიყვარული?...
ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში ,
მე შთავწყუარო სრულად გული!"

სიტყვა ყ ა რ ი ბ ი აქ როგორლაც უადგილოდ არის ნახმარი—და ამიტომ მკითხველი ნათლად ვერ წარმოიდგენს, თუ რა უნდოდა პოეტს

გამოეხატა სიტყვებით: ყარიბ მთქმელსა. ამ ხანაში კარგი პოეტური გამოთქმაა: „ღამის ტურფავ, შენს ტრფობაში მე შთავწყურო სრულად გული“,—ძლიერი სიყვარულის ძლიერად გამომთქმელი.

ამ სიტყვებს შემდეგ პოეტი პირდაპირ გადადის სხვა აზრზე და მესამე პირით ამბობს: „ერთხელ მითხრა“-ო და სხ. აქ აზრთა შორის კავშირი ერთობ მოულოდნელად არის გაწყვეტილი და ამის მიზეზია სასაუბრო პირების შეცვლა, რომ ავტორი ხან მესამე პირს ესაუბრება, ხან კი მესამე პირით მოგვითხრობს.

„ს... ჩ... სახ“

ეს პაწია ლექსი კარგათ გვიხატავს სიყვარულის ოცნებობას, განსაკუთრებით პირველი ხანა:

სატრფოვ ხშირაც ღაღი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევიარ
სავსეს ეშხის სიამითა.

ამ ლექსში პოეტი ხმარობს: „ჩავართათ სულთან სულიო“,—რა ფორმაა ეს ჩავართათ?!

„ბევრი ვიტანჯე“

ამ ლექსის დედააზრი ის არის, რომ პოეტის აზრით, ყველა სატანჯველზე უფრო ძნელი ასატანია ადამიანისათვის თავის თავის არარაობა. ეს აზრი არ არის მაინცდამაინც დიდად საგულისხმო, და მასთან ისეა გამოთქმული, რომ უთქმელობა გვერჩია:

ყველას გაეუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება,
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერრით გაძლება

„კლდე ქვისაო“, რომ ამბობს პოეტი, ნუთუ მიწის კლდეც შეიძლება იყოს?! ალბათ სალი კლდე უნდოდა ეთქვა. ბრძოლა მეშინება არ ითქმის, არამედ ბრძოლის მეშინება (მეშინება რის?)—არ ძალმიძს ვერრით გაძლება. არ არის ქართული:

არა-სთან. არა-თი დაწყებული უარყოფითი სიტყვები იხმარება და ვერასთან ვერა-თი (არაფერი არიცის, ვერაფრით ვერ კმაყოფილდება და სხ.). უგრძნო ჯალათს:—უნდა იყოს უგრძნობ: იხმარება ფორმები: უგრძნობელი, უგრძნობი, უგრძნობო და უგრძნოკი არ არსებობს.—სიტყვა ტანჯვა, ვიტანჯე სამჯერ არ_ იც ნახმარი ამ პაწია ლექსში, რაიცა კეთილხმოვანებას არღვევს.

„ვიხილე სატრფო“

ამ ლექსში ჩვენს პოეტს ის აზრი აქვს გატარებული, რომ ქალს უფრო ადვილად შეაშრება თვალზე ცრემლი, ქალი უფრო ადვილად დაივიწყებს ტრფობის ცეცხლს, ვიდრე ვაჟიო. ჩვენი ფიქრით ქალის ამნაირი თვისების მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ ქალს უფრო ეადვილება ვაჟის გულის მოხიბლვა, ვიდრე ვაჟს ქალის. ქალი როცა სატრფოს კარგავს, იმით ნუგეშობს, რომ თუ მოისურვებს, ახალ მიჯნურს ადვილათ გაიჩენს. ვაჟისთვის კი ამგვარ ნუგეშს ნაკლები საფუძველი აქვს, რადგან იცის, რომ ქალი სიყვარულში ცფიერია და უწრფელო. ქალს რომ სიყვარულს უცხადებდე, იმისთანა ქალსაც, რომელსაც შენი ხვევნა-ალერსი სწყურია, ის მაინც თავის მოვალეობათა სთელის—შენი აგზნებული სიყვარული შორს დაიჭიროს... შესაძლებელია, სილაც გითავაზოს... ასეთია ქალის ბუნება საზოგადოდ, თუმცა, რასაკვირველია, გამოურიცხველად ყველაზე ეს არ ითქმის.

იგივე აზრი, რასაც ჩვენი პოეტი ამბობს, დიდი ხნის წინეთ უთქვამს უფრო მოკლედ და ნათლად ინგლისის პოეტს „ჩაილდ-ჰაროლდში“:

И что же находимъ мы в женскихъ слезахъ?
И долго—ли женщина ждетъ?
Чужая рука на прекрасных глазах
Вчерашния слезы сотретъ!!

„მაშინ დავსტკბები“

შოთა რუსთაველის თანახმად, თ. ილია ჭავჭავაძეც ამ ლექსში გვიხატავს წმინდა სიყვარულს, რომელიც „სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“. ჭეშმარიტად, მხოლოდ მაშინ შეიძლება დასტკბეს გაუფუჭებელი ადამიანის სული და გული, როცა ღვთაებრივი ცეცხლით აგზნებულს „აქვს საღვთო სიახლე, დაშვრების ალმაფრენითა“, ან როგორც ჩვენი პოეტი ამბობს:

მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით
რას, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,
და ქალწულების კრთომით, მორცხვობით
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე.
მე დაგყურებდე ტრფიალებითა,
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა
მე შენთვის კოცნაც ვერ გ ა მ ე ბ ე დ ნ ო ს
ეშ, მაგ შენს ნარნარს გულისცემასა,
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე
და ცოდვილთ ფიქრთა ზედმოსევასა
შენის სიწმინდით იგერიებდე.

---

[1] და რას ვპოულობთ ქალის ცრემლებში? ან განა დიდხანს კი იცოის ქალი? მის ციურ თვალებზე მომდგარ ცრემლებს მეორე დღესვე შეაშრობს სხვა ვაჟის ხელიო.

ან გრძნობით სავსე ლექსის შთაბეჭდილებას ცოტაოდნად ასუსტებს სიტყვასთან გ ე ს ვ ე ნ ო ს მისაწყობი უკეთილხმოვანო რითმა გ ა მ ე-ბ ე დ ნ ო ს, რომელიც თავისთავათაც უკეთილხმოვანო ფორმაა (გ ა მ ე-ბ ე დ ო ს სჯობია), და სრულიად უკანონო ფორმა ვ ი გ ე რ ი ე ბ დ ე („ვიგერიებდეს" მაგიერ), რომელიც რითმათაც არ არის მუსიკალური სიტყვასთან „ვისმენდე."

თავ. ილია გრიგოლის-ძე ჯავჯავაძე.
(წერილი ხალხისათვის)[28]

შარშან სწორეთ 60 წელიწადი შეუსრულდა ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს თავადს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

...და აგერ 40 წელიწადია, რაც განუწყვეტლად შრომობს საზოგადო ასპარეზზე.

მისს ბუნებრივს დიდს ნიჭიერებას და დიდ ბუნებოვნობას შეუერთდნენ: ღრმა განათლება, დაკვირვებით და გამოცდილებით საქმის აწონ-დაწონა და დაუღალავად საქმის ბეჯითობა. ეს ოთხი ძალა შეუერთდა ერთ არსებაში და გახადა თანამედროვეთა შორის პირველ კაცად.

ამ ორმოცი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დაუცლია პირველობის ადგილი, რომელიც კი მას ჰკავებია. არც ერთხელ არ დაუტოვებია საწინამძღვრო კვერთხი და საბაირახტრო დროშა...

წინამძღვრობა მისი არის ლიტერატურული. მწიგნობრული: მას ეკუთვნის საზოგადოდ მწერლობითი აზრის მიდრეკილება. პირველად აიღო ლახტი ბატონ-ყმობის ცხოვრებიდან და რაც იმის წინა მწერლობის დროს ბატონ-ყმობის ცხოვრებიდან იმალებოდა, ბ-ნმა ილიამ არა თუ გაამჟღავნა, არამედ შეჰქმნა იმისთანა პირები. რომელთა ხსენებით დღესაც ვსწონავთ ერთ-ურთის ვინაობას. მისგან დახატული პირები როგორც არშინი და გირვანქა, ისე საზომ-საწონად გვყვანან დღესაც და დარჩებიან საუკუნოდ. „კაცია-ადამიანში" დაგვიხატა ლუარსაბი, დარეჯანი,სუტკნეინა, ელისაბედი. დათო და სხ. მათი სურათები ისეთი მეტყველების სასაცილო სხივით შემოსა ბ-ნმა ილიამ, რომ თვით ლუარსაბი შეიჯავრებდა თავის თავს და თავის ტურფა დარეჯანს ხომ ადამიანად არ ჩააგდებდა.

„გლახის ნაამბობში", როგორც სარკეში, ისე დაგვანახვა ყოველი ბოროტება და გარყვნილება, რომელიც პირდაპირი შედეგი იყო ბატონყმობისა. რაც ბატონ-ყმობის ყმაწვილ-კაცობას საკვეხურად და თავმოსაწონებლად ჰქონდა. ე. ყმების ლამაზი ქალიშვილების გაუპატიურება, ისეთს საზიზღარ სურათად წარმოუდგინა თანამედროვე ბატონობას, რომ მისი დამნახველნი უნებური ზიზღით ერიდებოდნენ ყველა მსგავს საქციელს. „სურათები ყაჩაღის ცხოვრებიდან" აცნობდა თანამედროვე მება-

ტონეებს რავდენად უსამართლო და უდიერი იყო ბატონობა. რაკდენად მართალნი იყვნენ თავისუფლების მაძებარნი, ანუ უდიერი ბატონობის მოწინააღმდეგე ყმანი და რავდენად მაღალი თვისებისაა მუდამ თავისთავად თავისუფლება. პოემა „კაკო“ დაწერილია 1860 წ. მოთხრობები: „გლახის ნაამბობი“—1862 წ. და „კაცია-ადამიანი“— 1863 წ.

მაშინ დიდ დანაშაულად ითვლებოდა თავადის ისე მასხარად აგდება, გაპამპულება და ყოველისფრით დამცირება, როგორც „კაცია-ადამიანშია“. აგრეთვე დანაშაულად ითვლებოდა ბატონების ცოდვების საქვეყნოდ გამოფენა და ყმების წასარჩლება, როგორც ეს „რამდენიმე სურათი ყმაჩაღის ცხოვრებიდან“ და „გლახის ნაამბობშია“. რომ კაცმა უველა ეს ცხადად წარმოიდგინოს თვით ეს პოემა და მოთხრობები (წიგნები) უნდა წაიკითხოს. წამკითხველი მაშინ დაინახავს, როგორი თავგანწირულებით უწერია ბ-ნ ილიას. მე ახლაც მიკვირს. რამ გადაარჩინა სიკვდილს ამ პოემისა და მოთხრობების (წიგნების) დამწერი. ქართველთა ბედს დაუფარავს ასე სასარგებლო და მრავალ-ნაყოფიერი სიცოცხლე ილიასი, თორემ სხვანაირად ძნელი ასახსნელია!

ამ სამი თხზულების (წიგნის) და მრავალი ლექსის დაბეჭდვით ბ. ილიამ მთელი მწერლობა მიმდრიკა ბატონყმობის გადავარდნისათვის. ეს მომზადება იყო მთავარი მიზეზი, რომ ბატონყმობის გადავარდნის გამოცხადებას ჩუჩუნიც კი არ გამოუწვევია, არა თუ აჯანყება. როგორც მრავალი მოელოდნენ.

ისე გატაცებულის ხმით დაჰმღეროდა ყმების განთავისუფლებას. ისეთი სიტკბოება და ნეკტარი გამოსჩვიოდა მის სიმღერაში, რომ უდიერი ბატონების გულიც მოალბო. აბა ვის არ მოულბობდა გულს, თქვენი ჟირიმეთ, ამისთანა ლექსთა მღერა:

მესმის, მესმის, სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს,
დასათრგუნავად მონებისა,
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი,
გამაგონე ჩემს მამულში!

რაკი ბატონყმობა გადავარდა, ამ მხრივ ბ. ილიამ გულდამშვიდებულმა გადაავლო თვალი ნაბატონარ-ნაყმევებსა და მათში ვერ ნახა ნამდვილი მამულიშვილები. დაიწყო აწმყოს. ანუ თანამედროვეთა დაცინება და წარსულში ნამდვილი მამულიშვილების ქება. ერთსა და იმავე დროს თანამედროვე ნაკლულევნებას ლახტის ცემით თავ-პირს ამტვრევდა და წარსული ცხოვრებიდამ აღებულს გმირებს წასაბაძავ მაგალითად თვალწინ უყენებდა. ლექსში: „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთოთ, რას ვშვრებოდით“ და სხ.

ცხადად დაანახვა თანამედროვე თავადაზნაურობას თავის უგვანობა, უსაქმობა, დაუდევრობა, მოუმზადებლობა, შურიანობა, დაბეზღება, ცილისწამება, სიცარიბე და სხვ. ამით შეეჯავრა ქართველ თავადაზნაურობას მისი ნაკლულევანება. რომლისგანაც დაიწყო ნელ-ნელა განკურნება. ვის არ განჰკურნავს ამისთანა მწარე ღიმილით დაცინება! (მოტანილია მთლიანად ლექსი „ბედნიერი ერი")...

„დედა და შვილში" და „დიმიტრი თავდადებულში" დაგვიხატა ერთის ხრივ როგორი უნდა იყოს ჰეშმარიტი მამულისშვილი და მისი მშობელ-გამზრდელი დედა. მეორეს მხრივ, მეტის-მეტის სინამდვილით წარმოგვიდგინა შებრძოლება მოვალეობისა და თვისი და შობილის სიცოცხლის სიყვარულის გრძნობისა.

აბ პოემების (წიგნების) დიდს მნიშვნელობას მხოლოდ მისი წაკითხვით შეიგნებს კაცი. მით არის სხვათა შორის დიდად პატივსაცემი და სათაყვანო ბ. ილია.რომ მისი ნათქვამის ჩემი სიტყვით გარდმოცემა დამახინჯება იქნება. წამკითხველი გაიგებს, რომ ეს მართალია, როცა კითხვის დროს მთელს ტანში ჟრუანტელი დაუვლის. თმა ყალყზე შეუდგება და თვალები ცრემლით აევსება. ქვის გული რომ ჰქონდეს წამკითხველს. მაინც გულს შეუტოკებს ბ-ნ ილიას გრდემლზე გაკვერილი სიტყვები, მაინც ჩაერჩობიან როგორც ლურსმები მის გულში!

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ნაბატონრებსა და ნაყმევებს შორის საქმის გაუთავებლობამ ეს ორი წოდება ერთმანეთს გადაჰკიდა, გადაამტერა, ისედაც გადამტერებულნი. ასეთი ძმა ძმის გადაკიდება კარგს არას მოასწავებდა არც ნაბატონარისა და არც ნაყმევისათვის. ბ-ნმა ილიამ ეს უნუგეშო მდგომარეობა დაანახვა ქართველობას „ცხოვრება და კანონში" და „აჩრდილში". აუხსნა ხალხს. რომ ადამიანთა ბატონობა უნდა შეიცვალოს შრომის ბატონობით. გამეფებით; რომ მარტო მშრომელი ხელია პატიოსანიც და სათაყვანოც. რომ შრომა კი არ არის საძრახისი და დასაგმობი. უშრომლობაა. რომ მშრომელია ქვეყნის შემნახველი და რომ შრომის გამეფებას მოსდევს თანასწორობა, ძმობა. ერთობა, რომ

შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჰეშმარიტების მის ძლიერებით.
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარეობის სახიერებით.
ყველასათვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.

შრომა ისე აღამაღლა თავის ნაწერებით ბ. ილიამ, რომ შრომით დაბებრებული ხელები დიდ თავადიშვილის ქალსაც და ისიც ნასწავლს, შეაყვარა. მშრომელი გლეხის ზნეობისა, გონებისა და სხეულის სისაღე ისეთი

სიტყვებით დახატა, რომ დიდად ნასწავლი და დიდი მდიდარი თავადიშვილი არ თაკილობდა გლეხის სიძეობას. „ოთარაანთ ქვრივით" ბ. ილიამ საძირკველი ჩაუყარა იმ ხიდისა, რომელიც გლეხობასა და თავად-აზნაურობას შუა, დღეს თუ არა, ხვალ უნდა გაიდვას ამათ შესაერთებლად ორივე წოდების სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. „განდეგილში" გაგვაცნო, როგორ ამაღლებენ ადამიანს წმინდა გრძნობანი და რამდენად ძნელია ხორციელი ადამიანისათვის ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა. აქ პოეტური ნიჭი ილიასი უმწვერვალეს წერტილამდე არის ასული; აქ მისი ღვთაებრივი ნიჭი უახლოვდება თვით შემოქმედსა. მარტო ერთი „განდეგილის" წაკითხვით შეიძლება გაიგოს ადამიანმა, რა არის ცით მონაბერი ნიჭი პოეტისა!

ბ. ილიას ბაირაღტრობა იწყება 1863 წლის „საქართველოს ვაჟის" გამოცემით და დღევანდლამდის დროშა ხელში აქვს შერჩენილი, როგორც რედაქტორს „ივერიისას"...

ამნაირად ბ. ილიას 40 წლის მოღვაწეობა და მთელი მისი ნაწერები შეიძლება გავყოთ სამ ნაწილად: ერთი ნაწილი მოღვაწეობისა და ნაწერებისა მიმართული იყო ბატონყმობის და მისი შედეგის შესამუსრავად: მეორე ნაწილი თანამედროვე ბოროტებას ებრძვის და სამაგალითოდ ისტორიულ გმირებზედ უჭვენებს; მესამე ნაწილი გვიზიარებს ცით მონაბერ ნიჭიერების მადლს, ავსებს წოდებათა შორის იმ უფსკრულს, რომელიც გაუთხრია მათ შორის ცხოვრების უკუღმართობას და უძღვის მანათობელ სვეტათ ყოველ დღიურ ჰირ-ბოროტსა.

კიდევაც ბევრის გაკეთება შეუძლიან ბ. ილიას, კიდევაც მრავალჯერ წაგვიძღვება წინ, იყოს მხოლოდ დღეგრძელი და ჯანმრთელობა მისი მრავალჟამიერ.

თ. ილია ჭავჭავაძე
ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი[29]

II

ქართველობა და მისი ლიტერატურა თ. ილია ჭავჭავაძემდის

Всякъ суетится лжет за двухъ
И всюду меркантильный духъ!
Пушкин

რუსულ ლიტერატურაში შეგვხვედრია ჩვენ ასეთი ანეგდოტური, არადასაჯერებელი, მაგრამ ყურად-საღები და საინტერესო ამბავი. იყო ერთი კაცი. ნასწავლი, თავისებურად განათლებული. მხოლოდ დიდი მტერი კითხვისა, ლიტერატურისა, წიგნებისა. ერთხელ იგი დაესწრო თეატრში უკვდავის გრიბოედოვის კომედიის წარმოდგენას. ვაუბატონი დიდად განაწყენებული დარჩა: „როგორ? დაგვცინიან, თუ რა არის ეს? „ვაი ჭკუისაგან“ რა წარმოსადგენი პიესაა? ეგ პიესა კი არა, კრებულია სახალხო ანდაზებისა. იგავებისა, მზა-მეტყველებისა“ საწყალი და ვაგლახი კრიტიკოსი! აბა იმან რა იცოდა, რომ სწორედ იქ იყო მისი უაღრესი ღირსება. გრიბოედოვის მახვილ-სიტყვაობა, მისი ოხუნჯობა, მისი მოსწრებული და სურათ-ხატიანი სიტყვა დიდი ხანია გადავიდა ცოცხალი ენის სალაროში, ერის კუთვნილება-საკუთრება გახდა.

ასეთსავე ჭკუის სიღარიბეს გამოიჩენს ის, ვინც იტყვის, რომ აბა რა ჯრია ამ სიტყვებშიო:

ათასად გვარი დაფასდა,
ორი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარი-შვილობა
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები.
მამულო საყვარელო,
შენ როს-ღა აყვავდები!

საქმე ის არის. ვისთვის და რა დროს იწერებოდა ყოველივე ესე. ამიტომაც დღეს ანბანურ პეშმარიტებად არის აღიარებული ის გარემოება, რომ ყოველივე ლიტერატურული ნაწარმოები უნდა დაფასდეს შედარებით

და შეფარდებით იმ დროისა და ჟამისა, როდესაც იგი დაწერილია. თ. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პირველ ხანას ჩვენ სრულიად ვერ დავაფასებთ, თუ არ გავითვალისწინეთ იმ დროის ქართველობა და მისი ლიტერატურა. ამასვე ითხოვენ, კანონები ეგრეთ წოდებულის ისტორიულის კრიტიკისა.

XVIII საუკუნის მიწურულში მოისპო საქართველოს პოლიტიკური არსებობა. ბრალს იმისას მხოლოდ გაუნათლებელი და შეუგნებელი კაცი დასდებს ერთს ვისმე. ვინც უნდა იყოს იგი: მეფე ერეკლე, დედოფალი დარეჯანი, მოღალატე და გამცემი რომელიმე პირი. XII საუკუნიდგან მოკიდებული საქართველომ ერთი დღე მოსვენება არ იცის. იგი დღე და ღამის ფიქრშია, რომ აი ან დღეს, ან ხვალ მოვა სპარსელი, ლეკი, ოსმალი, ამიკლებს, დამარბევს, დამატყვევებს, გამყიდისო. ამ უბედურ გარემოცულ პირობებს მოსდევდა არეულობა შინაობაშიაც: გაღარიბება, გაღატაკება, ერთმანეთის დაჩაგვრა, უსამართლობა, უკანონობა. ამ ბოძებზედ დამყარებული სოციალური შენობა უნდა დაფუშულიყო და ასეც მოუვიდა. ერთს კაცს არ შეეძლო დამაგრება რვა საუკუნის განმავლობაში სისტემატიურად შეძრულ წახდენილ შენობისა.

ასე იყო თუ ისე, საქართველო ძლიერ რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა და იწყო სრულიად ახალი ცხოვრება. მისნი მამა-პაპურნი ზნე-ჩვეულებანი რუსეთის ზეგავლენის ქვეშ. იმტვრევ-იმსხვრეოდნენ. ახალი დრო თავისის ახალის მოთხოვნილებით ჯერ ვერ შეეთვისათ, ძველებური აღარა ვარგოდა-რა. ასეთი ორწყალ-შუა ყოფნა ასეთი ჭარდამავალი დრო ცუდია, როგორც კერძო კაცის ცხოვრებაში, ისე ერისაში. იდეალები ვაჟკაცობისა, მამულის შვილობისა ჩაჭრა, რადგან გარეშე მტერი აღარ გვაწუხებდა. განათლებისა და ევროპიულ იდეალებისა ჯერ გაგება-ხსენება არ იყო. ქართველობა, ანუ უკეთ მისი თავად-აზნაურობა მიეცა უაზრო ქეიფსა და დროს-ტარებას. საუკეთესო შემთხვევაში ჩინებისა და მენდლების უკან-დევნას. ნაციონალურმა გრძნობამ ერისამ ევროპაშიაც გვიან გამოიღვიძა. ჩვენში იგი წინათვე არ იყო. არ იყო-მეთქი ეს გრძნობა იმ სახით, როგორც ახლა გვესმის. მამულის სიყვარული, რასაკვირველია, იყო და იგი უდრიდა მტრისაგან თავის დაცვას გაჭირვებაში, მშვიდობიანობაში ეს გრძნობაც მიძინებული იყო. რა საქართველო რუსეთს შეუერთდა და დამშვიდდა, მოაკლდა მას ის გარეშე პირობაც, რომელიც მისს გულში მამულის შვილურ გრძნობას აღანთებდა ხოლმე. მაშ რაღას წარმოადგენდა დამშვიდებული საქართველო ამ საუკუნის პირველ ნახევარშიო, იკითხავთ გაოცებული.

არაფერს. მოგახსენებთ, და არ მეშინიან თქვენის რისხვისა. იგი იყო გონების სიბნელით გარემოცული, ზანტი, დაქანცული... გაიხსენეთ თუნდ თ. გ. ერისთავის ტიპები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ეხიატავდნენ მაშინდელს საქართველოს. ერთი-ორი მაშინდელი ნი-

ჭიური კაცი. როგორც მაგალითებრი. ბრალოზე ბარათაშვილი. ისეთ-ცრემლიანნი შემოგვჩივიან, რომ მათს დროს კაცი არ იყო, რომლისთვისაც შეგეძლოთ ფიქრი გენდოთ და აზრი გაგეზიარებინათ. ჩ. ბარათაშვილ იხუთება. ყვითელშობილი სულ უგუბდება მაშინდელს ატმოსფეროში და დატკბული გაიძახის:

ვინ კაცებია არ იქნა საზღვარი:
ოჰ, ფიქრი ჩემი შავად ძილეული!

გაეცნობის პოეტი საშინობლოს. ძნელია ბრძოლა ერთის, თანასთან, უმეცრებასთან, გაუთვითცნობიერებასთან, უმწეოდ, უამხანაგოდ. ასეთი „შავი" ბედი ჰხვდა წილად პირველს ჩვენს ახალ დროის მგოსანს.

თ. ილია ჭავჭავაძე უკეთესს გარემოებაში გამოვიდა სალიტერატურო და საზოგადო ასპარეზზედ. 1857 წელს, როდესაც ჯერ ისევ სტუდენტის ილია ჭავჭავაძის პირველი ლექსი „ჩიტი" დაიბეჭდა. უკვე ქართული ჟურნალი გამოდიოდა გიორგი ერისთავის რედაქტორობით. ცოტა შემდეგ ხომ „ცისკრის" რედაქტორი ივ. კერესელიძე გახდა. ადვილად წარმოსადგენია, რა იყო მაშინდელი ჟურნალი, რას ემსახურებოდა და ვინ იყვნენ თანამშრომლები.[1] საკმარისია ვსთქვათ, რომ ერთი-ორის გარდა იგინი დიდი ხანია აღარ-ცოცხლობენ ქართველობის მეხსიერებიდგან, თუმცა ჯერ დროც ხანი დიდი არ გასულა. ძნელია კაცმა იმაზედ მომეტებული ლიტერატურული უწიწობა და ესტეტიკის მხრივ უგემოვნება წარმოიდგინოს, რაც იყო მაშინდელი „სიტყვიერებითი ჟურნალი „ცისკარი", თუმცა შიგნით შიგ შეხვდებოდით ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მშვენიერ ლექსებს. ბაქარ ქართლელისა და დიმიტრი ბაქრაძის ნიშიერ წერილებს. მაგრამ ეს მარგალიტებიც კი საზოგადო ხასიათისაა და ფერს ვერ უცვლიდნენ „ცისკარს". რასაკვირველია, ბევრი არც მოეთხოვება ახალს საქმეს. ჩვენ მაინც მადლობლები უნდა ვიყოთ ამ უანგარო მუშაკებისა. რაც შეეძლოთ, იმას აძლევდნენ მკითხველ საზოგადოებას. გარნა ბოდიშის მოხდა და ლმობიერად მოპყრობა ერთი საქმეა და ფაქტი და სინამდვილე კიდევ მეორე.

მაშინდელი ჩვენი საზოგადოება ლიტერატურას საზოგადოდ და პოეზიას კერძოდ ისე უცქეროდა, როგორც გასართობ საგანს, მოცლილსა და უსაქმო კაცის ყბედობას, ლაყბობას. საგანი პოეზიისა „ვარდ-ბულბულის" შესხმა იყო, არც რედაქტორი ბ. ივ. კერესელიძე იყო უკეთესის აზრისა თავის ჟურნალზედ. ეს ჩანს ერთი მისი შენიშვნიდგან.[2] „მართა-

---

[1] აი „ცისკრის" თანამშრომლები: ოთარ ჭიაურელი, თამაზ ჭიაურელი, ბარამ ბარათოვი, სარდ. ალ. მესხიშვილი, დიმიტრი ბაგრატიონი, ლუკა ისარლოვი, ერასტი თურქესტანოვი, დავით მაჩაბელი, კნ. სალომე მაკაევისა; კნ. ბარბარე ჯორჯაძისა, ნიშან ხერხეულიძე, ბაქარ ქართლელი, იოსებ მამაცაშვილი, ალ. სულხანოვი დ. ჩიქოშვილი, ღ. მგალობელიანი, გრ. რჩეულიანი, ივ. კერესელიძე, დ. ბერიევი და სხვ...

[2] „ცისკარი" 1861 წლისა. შენიშვნა რედაქტორისა ი. ჭ-ძის წერილის ქვეშ.

ლიაო, სწერდა გულუბრყვილო რედაქტორი: მარმანტელიც იყო დაბეჭდილი („ცისკარში"), კაზლოვიც და სხვანიც. მაგრამ იმათ გავლენა არავიზედა ჰქონდა და არც ერთი „ცისკრის" თანამშრომელი იმათ არ ჰბაძავსო" ივ. კერესელიძეს უსაყვედურებს, უხეირო და უაზრო წერილებს რათა ჰბეჭდავ „ცისკარშიო" და ის თავს იმით მართლულობს, რომ რა უშავსო, „იმათ გავლენა არავიზედ ჰქონდაო". ბ. კერესელიძეს და მის შენიშვნებს ქვემოთაც შევხვდებით, ამიტომ ახლა მას თავს ვანებებთ. ვიტყვით მხოლოდ: როგორიც ერი—ისეთი ბერიო, როგორიც მკითხველი საზოგადოება იყო, ისეთიც—რედაქტორ-თანამშრომლები.

ჩვენ ისევ ვეცადოთ მაშინდელ ქართველობის გათვალისწინებას, მის წარმოდგენას. „ქართველობაო!" განა ეს სიტყვა მაშინ არსებობდა? იყო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, ხევსურეთი და სხვა, მაგრამ საქართველო და ქართველობა ჩვენში XII საუკუნის შემდეგ აღარ არსებობდა. მაშინაც თუ იყო გაერთიანებული საქართველო, მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერმა ხელმა დიდებულის თამარ მეფისამ მოუყარა თავი ერთად. აღარ იყო გარეგანი ძალა და იგი ერთობაც დაიშალა. ეროვნული აღორძინება ჩვენის ნაყოფია. ჩვენმა დრომ ჰქმნა ის, რომ დღეს შაისს ზღვიდგან განჯამდე ერთი სული და ერთი გული სცემს.

ამ საუკუნის პირველ ნახევრის ქართველობა ჩინებულად დახასიათდება შემდეგის სიტყვებით, რომლებითაც ერთმა ნიჭიერმა რუსთა მწერალმა დაახასიათა გერმანეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.[1]

„საზოგადო უმეცრება ისეთ მძიმე ტვირთათ აწვათ კისერზედ, რომ სურვილი და მისწრაფებაც-კი კეთილის მერმისისადმი მათში დაბნელი იყო. გერმანეთი წააგავდა ზღაპრულ შილიონის ქვესკნელს, რომელშიც იხრჩობოდნენ ნემენცები, მოკლებულნი სინათლეს მთელი ერთი საუკუნე. უკანასკნელი კვეთება სულისა მომაკვდავის ერისა ისმის ხოლმე ლიტერატურაში; პირველი სურვილები, პირველი მოთხოვნილება ერისა ჩვეულებრივ გამოითქმებიან ხოლმე მისის პოეტებისა და ლიტერატორების პირით. ის ერი, რომელმაც დაკარგა, ანუ ჯერ არ მიუღია უფლება მოქმედებისა, ლაპარაკობს მაინც, ნათელს ეძებს სიტყვაში, უკეთუ ვერ უპოვია ცხოვრებაში; დაწაფებით ისმენს აღზნებულს სიტყვას თავისის პოეტებისას. ამასაც-კი ვერ ჰპოვებდით მაშინდელს გერმანეთში" ქართველობაც სწორეთ ასეთ ხანაში იყო. მისი გონებაც მიძინებული იყო, მას არ ჰქონდა სურვილები. ქართველსაც შეეძლო განემეორებინა ეს გულსაკლავი სიტყვები:

Что потомъ с былось со мной,
Не помню: свѣтъ качался тьмой,
Тьма свѣтомъ: воздух исчезалъ;
Въ оцепененіи стоялъ

[1] „Эстетика и поэзія", Изд. М. П. Чернышевского.

Безъ памяти, безъ бытія,
Межъ камней хладнымъ камнемъ я,
И видилось, какъ в тяжкомъ снѣ,
Все блѣднымъ, темнымъ, тусклымъ мнѣ:
Все в смутную слилось тень.
То не было ни ночь, ни день
То страшный міръ какой-то былъ,
Безъ неба, солнца и свѣтилъ,
Безъ промысла, без благъ и бѣдъ,
Ни жизнь, ни смерть,—как сон гробовъ,
Как океанъ безъ береговъ,
Подавленный тяжелой мглой,
Недвижный, хладный и немой...

ი. ჭავჭავაძის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზედ და მისი პირველი პოლემიკა

იმ ბნელეთით მოცულ ცაზედ, რომელსაც შეჰყურებდა ჭავჭავაძის წინა დროის ქართველობა, განათლებისა და უმაღლესის სწავლის ზეგავლენით, უკვე გამოჩნდნენ ვარსკვლავები. ლიტერატურაში თუ ცხოვრებაში თქვენ ჰხედავთ ისეთ პატივცემულ გვამთ, როგორიც ბრძანდებიან გ. ერისთავი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, დიმიტრი ბაქრაძე, ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულოვი. ესენი არიან პირველნი ჰქადაგებელნი იმ დროში ახალის აზრებისა, ევროპულ სწავლა-მოძღვრებისა. ჰაერში მოჰბერა სიომ ახალის ცხოვრებისამ. მაგრამ მათი ხმა იყო სუსტი, რომ დიდის ხნით მიძინებული ქართველობა გამოეღვიძებინა. მათში არ ღვიოდა დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი. მათ ყველა ჰატივსა სცემდა. მაგრამ ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ იგინი არღვევენ საზოგადოების დაობებულ. ძველ, აზიურ შეხედულებას ადამიანსა და მისს მოწოდებაზედ. ლიტერატურაზედ. ახალი აზრები უკვე დაიბადნენ, მხოლოდ სახე მათი ბუნდოვანი იყო; საჭირო იყო კაცი, რომელსაც ახალის აზრებისთვის სისტემა მიეცა, შეეკრიბა ფორმულებად და მკვახედ მიერტყა საზოგადოებისათვის; გამოეკვლივა ახალი მიმართულება და მტკიცედ დასდგომოდა თვითონ ამ გზას და მოეწვია იმავე გზით სავლელად ყველა. ვინც-კი შესძლებდა ამას.

ასეთ მასწავლებლად ახალის ცხოვრებისა. ახალის აზრებისა, ახალის მიმართულებისა. მასთან აღუჭურვილი „დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლით" გულში აღმოჩნდა ახალგაზრდა უმაწვილი კაცი, ჯერ ისევ სტუდენტის სკამზე მყოფი, ილია ჭავჭავაძე. 1860 წლამდე მან რამდენიმე ლექსი დაბეჭდა „ცისკარში". ეს ლექსები საზოგადოებასაც და რედაქტორსაც ძლიერ მოეწონა. ყველა ამბობდა: ჩვენი ილიკო კარგი პიიტიკოსი დადგებაო. თუმცა უწუნებდნენ შიგა და შიგ ენას. ენა სამნაირიაო: მაღა-

ლი, საშუალო და დაბალი. პიიტიკოსს არ შეშვენის დაბალის ენით წერაო. ამას გვასწავლის რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე და სხვანიო. ძართლაც და მაშინდელი ჩვენი პიიტიკოსები სწორედ ჰბაძავდნენ შავთელ-რუსთაველს. ლექსების წერის დროს მარცვლებსა და ასოებს სთვლიდნენ: მეტი ან ნაკლები არ მოგვივიდესო. გარეგნობით მათი ლექსები, მართლაც რუსთველის ლექსებს წააგვანდნენ. უთუოდ მეოთხე სტრიქონი იწყებოდა „და"-ით. ვინც კიდეე წერაში არ იხმარებდა ასოებს: Ѳ, ѧ, ѯ, ѱ -ის უეიცად იყო აღიარებული, უნიჭოდ ცნობილი. შინაარსი? ამას არავინ არ დაგიდევდათ. საქმე გარეგნობა იყო. ფორმა.

ამას ბრძოლა უნდოდა თუ არა? დიახ უნდოდა და ბრძოლა შედგარი, ულმობელი, რადგან „იგინი", ძველის თაობის მწერალნი, ბევრნი იყვნენ, ცხოვრებაში გავლენიანნი. ასეთს სხოლასტიკოსობას და ცრუ-კლასიკოსობას ჩვენის მამა-პაპისას პირველი მკვახე ყუმბარა ესროლა ისევ პეტერბურგიდან სტუდენტმა ჰავჰავაძემ. ეს იყო მისი წერილი 1861 წლის „ცისკარში", რომელშიაც ის არჩევდა „შეშლილს" კოზლოვისას, თ. რევაზ ერისთავის მიერ თარგმნილს. ახალგაზრდა ავტორი სასტიკად მოეპყრო ერისთავს. თვალსაჩინოდ დაუმტკიცა: 1. რომ მას არავითარი პოეტური ნიჭი არა აქვს, 2. ენა ქართული არ იცის, 3. იმავე უნიჭობის გამო უცხო ენაში სათარგმნელად ვერა უპოვია-რა უნიჭო კოზლოვის უხეირო ნაწარმოების „შეშლილის" მეტი, 4. კოზლოვი რა სათარგმნელია რუსულითგან, როცა პუშკინი და ლერმონტოვი არ არიან ნათარგმნიო.

სასტიკობა ამ წერილისა, რასაკვირველია, იმაში მდგომარეობდა, რომ ახალგაზრდა ავტორი „მკვახედ" სწერდა. მოურიდებლად და ბოდიშის მოუხდელად ყოველს საგანს მისის საკუთარის სახელით იხსენიებდა. ჩვენს დროში იმ წერილში უზდელობას ვერავინა ჰპოებს. რაც შეეხება იმას, რომ წერილში ახალგაზრდა ავტორის გული და სული იყო ჩადებული, ეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ღირს შესანიშნავია. რომ ილია ჭავჭავაძეს იმთავით აქომამდე არ ეხერხება გულ-გრილი და აკადემიური კილო. ის თვით იტანჯება, თუ სამწუხარო საგანზედ სწერს, და თვით ხარობს, თუ სანუგეშოზედ. ორიეე ესე გრძნობა ავტორისა ყოველ სტრიქონში გამოსჭვრეტს და მკითხველის გულის ჩანგს თავის გუნებაზედ ააყერებს ხოლმე. მაზედ სამართლიანად ითქმის:

Онъ писалъ сокомъ своихъ нервовъ.

მაგრამ მაშინდელი ლიტერატურული ზნეობა სხვანაირი იყო. აყაყანდა და ყალყზე შედგა მთელი გუნდი მაშინდელის მწერლებისა. როგორ? ვიღაცა ბაღანა, უსუსური და ასეთი უზრდელი კილო? აბა ერთი ვაჩვენოთ იმას ჩვენი სუსხიო და მოპკუჭნენ წერას. ისიც-კი სათქმელია, რომ ნამდვილად აქ „ზრდილობა-უზრდელობაზედ" არ იყო საქმე დამოკიდებული და აშენებული. აქ იმათ დაინახეს დამსხვრევა-შეგინება თავიანთის წმინ-

დათა-წმინდისა. თავიანთ რწმენისა, თავიანთ შეხედულებისა; უარყოფა თავიანთი, როგორც საზოგადო მოღვაწეებისა.

მოგახსენებთ, საფუძველი და მთავარი მიზეზი ეს იყო, თუმცა მათ ჯელზედ მხოლოდ „უზრდელი, არა ლიტერატურული“ კილო დაიხვეს. მიაყარეს სტუდენტ-ავტორს კრიტიკები და ანტიკრიტიკები. ფარდა, რომ აიხადა. პირველი საომარ ველზედ გამობრძანდა დიდად პატივცემული მაშინდელი მწერალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. ამან ენაც დაუწუნა ჭავჭავაძეს, უმეცრებაც უკიჟინა, უზრდელობაც. ენის შესახებ კნ. ბ. ჯორჯაძისა, სხვათა შორის. სწერდა: ჰ-ძე სწერსო:

მისი ლექსი სუბუქ ფრთითა
ხან მეჯლისში მოფრინდება.

განა ფრინველს შეუძლიან ცალის ფრთით ფრენაო? ამისი დამწერი სხვას უწუნებს ენასაო?

ამაზედ ჭავჭავაძემ უპასუხა: კნეინავ, მაშ რომ ვამბობთ: „ჩემის თვალით ვნახე, ჩემის ფეხით მიველი“,—ეს იმას ნიშნავს, რომ ცალის თვალით ვნახე და ცალის ფეხით მივკინკილდიო?

ბ. ჯორჯაძისას მოჰყვნენ კრიტიკები თ. გ. ბარათაშვილისა, ივ. კერესელიძისა, ს. ალექსი-მესხიშვილისა, თ. რევაზ ერისთავისა და სხვ.

იმ დროინდელ კრიტიკოსების დასახასიათებლად და მათის პოლემიკურის ხერხისა და შნოს აღსანიშნელად აქ მოგახსენებთ თ. გიორგი ბარათაშვილის მსჯელობასაც. უნდა ითქვას, რომ ეს ბარათაშვილი მაშინდელ ჭწერლობაში უნიჭიერესად ითვლებოდა. ეგონათ, რომ ის კი სწორედ გიწასთან ვაასწორებდა ილია ჭავჭავაძეს.

ველის თაობის ნიჭიერი ავტორი ასეთის მახვილობით იწყობდა თავის კრიტიკას. განჯინის კარი გამოვაღე და „ცისკრების“ ნომრები გადმოვალაგე. დახედეთ, რა ვნახეო! თაგეებს შეეჭამათ ნომრებიო. არც ერთი ლექსი აღარ დამხვდა მთელი. მხოლოდ... ილია ჭავჭავაძის ლექსებისთვის არ ეხლოთ ხელი, არ შეეჭამათ. ალბათ იმიტომ, რომ იგინი უმაღლეს ჰარმონიით არიან გამსჭვალულნიო!

ამ უბრალო და დაბალის ღირსების იუმორმა თ. ბარათაშვილს ნამდვილის ზედრინის სახელი მოუხვეჭა „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის. მერე, რასაკვირველია, უმატებდა, რომ „უფ. ჭავჭავაძის ლექსები არიან უჰარმონიო, უნდილი და ისეთი მიიმე, რომ ვერა თაგვის მუცელი ვერ მოინელებდა. და აი ეს იყო მიზეზი, რომ თაგვებმა არ შეჭამესო“. მაგრამ ამ უსუსურ მსჯელობას თქვენი პირი წაუღია; ეს რა მოსატანია იმასთან, რაც იმავე ბარათაშვილმა სთქვა ჭავჭავაძის „გაზაფხულზედ“ აქ ის-ავიდა უვიცობის, უნიჭობის, გონების სიჩლუნგის და სიბნელის ისეთს უმწვერვალესზედ, საიდამაც ძირს ჩამოხედვა თავბრუს დაჰხვევს ადამიანს. „გაზაფხულშიო“, ამბობს კრიტიკოსი, პოეტი სულით ნატრობს საყვარელ

მამულის აღუვაებას. ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებსო"!

ბარათაშვილს „მამულის აღუვაება" მწვანე ბალახის ამოსველად მიუღია!

აი, ბატონებო, როგორ ატმოსფერაში გამოეიდა ჭავჭავაძე სალიტერატურო ასპარეზზედ. დიდი ძალა უნდოდა სულისა, დიდი ნიჭი, რომ გონების სიბნელის ჩინეთის კედელი დაერღვია და შუქი განათლებისა შეეტანა სამშობლოში.

ღირს შესანიშნავია ის ფაქტი, რომ 1861 წელში, როდესაც ყვავებივით დაესივნენ ძველი მწერლები ილია ჭავჭავაძეს, სწეწდნენ და სჯიჯგნიდნენ მას, ახალთაობის წარმომადგენელთა შორის ერთმაც ხმა არ დასძრა მის საქომაგოდ. ილია ჭავჭავაძეს მარტო მოუხდა ბრძოლა ამ წელში მაინც.

დიდი ალიაქოთი მოახდინა ილია ჭავჭავაძის პირველმა კრიტიკულმა წერილმა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ახალგაზრდა სტუდენტი ძალიან თავხედობს. ასე ამბობდნენ კერძოდ და მწერლობაში. მაგრამ იმავე დროს ყველა ჰგრძნობდა, რომ რაღაც ძალა ეტყობა სტუდენტს, რომ ის რევოლუციას მოახდენს ქართულს მწერლობაში. თ. რევაზ ერისთავმა, „შეშლილის" მთარგმნელმა, რომელიც ყველაზედ მეტად უნდა ყოფილიყო გულნატკენი ჭავჭავაძისაგან თავისს ანტიკრიტიკაში, სხვათა შორის, ესეცა სთქვა: „იმედი გვაქვს, მარტო ჩვენის შეცდომის მხილებაზედ არ შეაყენებს ილია ჭავჭავაძე თავის „ენიან ენას" და მეხის კალამს, რომელიც უპყრია ხელოვან ხელსა და განაგრძელებს სხვათაცა სტატიების განხილვას". ეს სიტყვები ცხადათ ჰმოწმობენ, რომ სტუდენტში იცნეს არა ჩვეულებრივი კაცი.

ანტიკრიტიკოსები და პიიტიკოსები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ. რომ... 1861 წელს „ცისკრის" თიბათვის ნომერში გაჩნდა ახალი წერილი თ. ილია ჭავჭავაძისა სათაურით: „პასუხი".

მთელს ქართულს ლიტერატურაში ჩვენ სხვა წერილი არ გვეგულება რომელიც იყოს დაწერილი ისეთის აღტაცებულის გრძნობით, როგორიც ის: ჯერ ქართულს ლიტერატურას ასეთი არა ენახა-რა. ამ წერილმა უცებ მოუპოვა ილია ჭავჭავაძეს სახელი პირველის მწერლისა, პირველის კრიტიკოსისა და პუბლიცისტისა. სტატია იწყებოდა ბელინსკის სიტყვებით:

„Изъ нашей литературы хотятъ устроить бальную залу и уже зазываютъ въ нее дамъ: изъ нашихъ литераторовъ хотятъ сделать светскихъ людей въ модныхъ фракахъ и белыхъ перчаткахъ; энергию хотятъ заменить вежливостью, чувство—приличiемъ, мысль—модной фразой, изящество—щеголеватостью, критику—комплиментами".

მაშინდელს სალიტერატურო ატმოსფერას, მდიდარს სანტიმენტალურის პრანჭვა-გრეხით და ბატონყმურის ზრდილობით, ეს ეპიგრაფი სავსე-

ბით ასურათებდა და ძალიან უხდებოდა. გაოცდა ამისა იგი იყო პასუხი მათკენ მიმართული, რომელნიც ავრცელებდნენ ხმებს, ჭავჭავაძემ ლანძღვა შემოიტანა მწერლობაშიო. „ცისკრის“ რედაქტორმა საჭიროდ დაიწახა ასეთი უაზრო და უნიჭო შენიშვნა გაეკეთებინა ჭავჭავაძის წერილისათვის: „ეს ეპიგრაფიო, ენა-წყლიანობდა ბ. ივ. კერესელიძე, აქ უადგილოაო: ეს მიეწერება იმ დროს, როდესაც ბელინსკისაგან მოსსენებულნი ნაკლულევანებანი ზოგიერთს ევროპის საზოგადოების ზნეობაში იყვნენ და იმ ზნეობიდგან შემოვიდნენ მათ სიტყვიერებაში. პირველი მაგალითი უჩვენა ფრანციამ, რომელსაც ჰბაძავდა თვით რუსეთიც. ქართული სიტყვიერება ჯერეთ არ დაფუძნებულა, ჯერ არა-რაი „მიმართულებაა“ მას არ მიუღია (ილია ჭავჭავაძეც ამას სწერდა!). მაშასადამე, თუ ჩვენს საზოგადოების ზნეობაში ის ნაკლულევანებანი არიან შემოტანილნი, იმათ ჯერ ლიტერატურას ვერ მივაწერთ. მართალია მარმანტელიც დაიბეჭდა. ჯაზლოვიც და სხვანიც, მაგრამ იმათ გავლენა არავიზედ ჰქონიათ და არც ერთი „ცისკრის“ თანამშრომელი იმათ არ ჰბაძავს. უფალი ჭავჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება (?!) თუმცა (დახე ამ მოწყალებას!) ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთში, მაგრამ (!) როგორათაც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმისი ბაძვა არ არის მოსაწონი და რუსეთში ეხლა ვინ ჰბაძავს მას?“

აი, ასეთის შენიშვნებით შეამკო რედაქტორმა ჭავჭავაძის წერილი. არ ვიცი, მაშინ რა თვალით შეჰხედეს ამ შენიშვნებს, ხოლო ეხლანდელის მკითხველისთვის კი ცხადია. რომ მათი ავტორი ერთი საწყალი, გონებაბნელი, უნიჭო და უვიცი კაცი ყოფილა.

თუ რას ეძახოდნენ მაშინდელი კრიტიკოსები „ლანძღვას“ ჭავჭავაძისას, ამის ნიმუშსაც წარმოგიდგენთ. დასახელებულს წერილში ილია ჭავჭავაძე, რედაქციის აზრით „საშინლად“ (!) ლანძღავს დიდად პატივცემულს თანამშრომელს „ცისკარისას“ კნ. ბარბარე ჯორჯაძისას, როდესაც ამბობს მასზედ შემდეგს: „ხშირად შემხვდება ხოლმე სიტყვები: ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება, სიტყვიერება და სხვანი. მაგრამ მხმარებელთ ხმარებულის გაგება არა ჰქონიათ: რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, რომ არამც თუ ლიტერატორობას მოჰყვებოდნენ. კალამსაც ხელში არ აიღებდნენ, და თუ აიღებდნენ მარტო მოკითხვის წიგნების დასაწერად. ამის დასამტკიცებლად მაგალითს შორს არ დავეწყებით ძებნას: აი თვით კნ. ბარბარე ჯორჯაძის სიტყვები: „ჩვენ როგორც შეგვიტყვია ილია ჭავჭავაძე, ბატონებო, გაზრდილი გახლავთ უნივერსიტეტში (ვის უთქვამს?),[1] სადაც ასწავლიან მრავალ საგნებს (ესეცა სცოდნია!) და, რასაკვირველია, სწავლას მიიღებდა. მაგრამ აი საკვირველი: უპირველესი საგანი არ შეუძინებია, ესე

[1] ეს შენიშვნაც ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

იგი თეორეტიკა(?), ანუ ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლა“ მე სწორედ მოგახსენოთ. ეგ „თეორეტიკა“ არ ვიცოდი რა იყო, მაგრამ „თეორეტიკის“ დახელოვნებული ჩემი მოპირდაპირე ისეთი კეთილი ყოფილა, რომ განსაზღვრავს იმ „თეორეტიკას“, ანუ სწავლას ხელოვნებითის სიტყვიერებისას ამ რიგად: თეორეტიკა გვასწავლის: ა, ბ, გ, დ, ე და სხვანი, რა რიგად იხმარებიან სიტყვებში, რა რიგად შეადგენენ მარცვალსა და აქ სწავლას ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლას ეძახის ჩვენი მწერალი ქალი! აი რა ძნელი ყოფილა შინიდგან გამოუსვლელობა და უნივერსიტეტის დაცინვა. აქედან ჩანს, რომ არც ხელოვნება ესმის ჩვენს მწერალს ქალს და არც სიტყვიერება. ასოს ხმარების გამსაზღვრელი საგანი ტყუილად სჩემობს ხელოვნების სწავლის სახელსა“.

აი ასეთს მსჯელობას ილია ჭავჭავაძისას მაშინდელი საზოგადოება და მწერლობა „ლანძღვასა“ და „უწმაწურ“ სიტყვა-პასუხს ეძახოდა. აი ერთი ნიმუშიც. ჭავჭავაძის ვითომ ლანძღვისა: „უბედურება ჩვენი ის არის, რომ შევბეჭდავთ თუ არა „ანბანის თეორეტიკის“ კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთო; იმიტომ გვგონია, რომ ჩვენს ლექსში „ა“ თავის ალაგას ხმარებულია, „ბ“ თავის ალაგასა. თუ „ცისკარი“ უ ვ ა რ გ ი ს ი ა, კიდევ თქვენგან. ყვავებო ფარშევანგის ფრთებით, ბულბულებო ყორნის ჩხავილით[1] ეხლა ცარიელ ანბანის თეორეტიკით და ჩხავილით ტყუილად ნუ ცდილობენ იყოს ის ბედნიერი დრო, როცა ეს ლექსი, თურმე მოსწონდათ მაგ თეორეტიკაზედ თვალებ გაწყალებულ პირთ:

არჩილ კახიბერ, ბალასანკინა მოებრ.
ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ,
რტო კიპაროსებრ, ია შამპასანსანებრ.[2]

იქნება ეხლაც მოეწონოს ვისმე, ეს ლექსი და სწორეთ მოეწონებათ კიდეც, თუ ანბანის თეორეტიკა კნ. ბარბარე ჯორჯაძისა სხვასაცა სწამს.

როგორც ჰხედავთ თქვენის ბედნიერის თვალით, აქ ლანძღვა კი არ არის, არამედ არის ენერგიული და ულმობელი კრიტიკა. სხვაფრივ ვერც დასწერდა სტუდენტი-ავტორი. მოურიდებლობა, პირში სიმართლის თქმა, აი ერთი მთავარი ღირსებათაგანი იმ წერილისა. ამ სტატიამ ყველა კრიტიკოსებს თავი მოაფხანინა, დაანახვა, რომ მათ ხელოვნებისა სრულიად გაგება არა ჰქონდათ და სულ ტყუილად პიიტიკოსობდნენ. პირველად

---

[1] ჩვენ ენახეთ ერთი წერილი 1857 წლებში მოწერილი სტუდენტ-პოეტის ... დის ... რის დასთან, რომელშიაც, სხვათა შორის, იგი იწერება: „აჰა და, აგისრულე შენი თხოვნა და გულის წადილი“: მეც დავბეჭდე ლექსი „ცისკარში“; მაგრამ უნდა გითხრა, რომ ეს ჩვენი ჟურნალი „ცის“ კარი კი არა „ჯოჯოხეთის“—კარია.

[2] ამ ლექსს; თურმე გორის სასწავლებელში ასწავლიდნენ ერთ დროსა-, შენიშნავს სქოლიოში ავტორი.

შეშმარიტი შეხედულება ლიტერატურაზედ. ხელოვნებაზედ, კრიტიკაზედ ამ წერილმა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში. სხვათა შორის ჭავჭავაძე ამბობდა თავის წერილში: ხელოვნება არის გამოთქმა იდეისა ხატშიო. ან ეს ფრაზა საწყლებმა ვერ გაიგეს და ერთმანეთს შესჩიოდნენ: გაგვაგებინეთ, რა ენაზე აწერს ილ. ჭავჭავაძეო? თ. ილია ჭავჭავაძემ ყველი გამოსპრა ჩვენს სხოლასტიკურს და ცრუ-კლასიკურს პიიტიკოსებს; პოეზიამ უჩვენა ახალი გზა და ახალი საგნები შინაარსისათვის. ახალის პოეზიის ნიმუშებიც თვითონვე მისცა ქართველობას. ლიტერატურის ისტორიაში ბევრს ვერ ნახავთ ასეთს გამარჯვებას ახალგაზრდა ავტორისას. ილია ჭავჭავაძეს შედგმა ფეხისა ქართულს ლიტერატურაში და გამეფება ერთი იყო. მას შეეძლო თამამად ეთქვა: „მოველდი, ვნახე. დავიპყარ!“ დიახ, ი. ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გამეფდა ქართულს მწერლობაში. იგი გახდა მამად ახალის ქართულის ლიტერატურისა, იგი დიქტატორის ძალღონით ჩრძანებლობს ჩვენს ლიტერატურაში იმ თავიდან დღემდის ორმოცის წლის მანძილზედ. ამისი მიზეზი არის იშვიათი ნიჭიერება და დიდ-ბუნებოვანება ილია ჭავჭავაძისა.

მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძისა ქართულს ლიტერატურასა და ცხოვრებაში, როგორც პუბლიცისტისა

Я былъ храбрым солдатом
въ войне за благо человечества
Гейне

ბეორე თავში ამ წერილისა ჩვენის შეძლებისა და გვარად ვეცადეთ. აგვეხსნა და განგვემარტებინა ის აზრი, რომ ილია ჭავჭავაძის გამოსვლამდე იყო ის საოქრომჭედლო, სადაც ყოველი ქართული საკეთილო საქმე ორგორც ეტნოგრაფიული ნიმუშები და ქართველობა კი როგორც ერი, სუსტი იყო. შეიძლება ვსთქვათ: იყო ქართველობაც, მაგრამ ეროვნული აზრი ისეთი მკრთალი იყო, რომ არ-ყოფნას უდრიდა. დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. რასაკვირველია, ამ გზაზედ გასაკეთებელი აწ აღარა იყოს-რაო. ეს არ ითქმის. ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაიელის მდინარეში, ვიდრე ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა შეიგნებს, რომ ის განცალკევებული სხეული კი არ არის. ის არის ნაწილი იმ ერთიანის ტანისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან. მაგრამ ბევრი კი გაკეთდა ამ გზით. თ. ი. ჭავჭავაძემ პირველის დღიდამვე სწორედ ამ აზრს დაუწყო სამსახური. თვით პოეზია. კრიტიკა. პუბლიცისტიკა. მეცნიერება.—სხვა არა იყო-რა იმისთვის.

თუ არ საშუალება სამშობლოს სამსახურისა, ქართველობის იდეის განმტკიცებისა. რასაკვირველია, ორმოცი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძე არ ემსახურებოდა ამ აზრს; ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს ასე ყოფილიყო. მასთანაც გამოვიდნენ და მერეც გაჩნდნენ დიდად

პატიოსანნი და ნიჭიერი მოღვაწენი, რომელნიც ვიდოდნენ იმავე გზით. ცხოლოდ ერთს ვერავინა ჰყოფს უარს: მისი კაბინეთი იმ თავით ამ თავამდე იყო ის საოქრომჭედლო, სადაც ყოველი ქართული საკეთილო საქმე თუ აზრი იქედებოდა. საქმე სხვასაც რომ დაეწყო, არ განახორციელებდნენ. ვიდრე ილიას სანქციას არ მიიღებდნენ. „რას იტყვის ილია"?— აი კითხვა, რომელიც ყოველ ჩვენებურ საქმეს ზურგზე აკერია ამ ორმოცი წლის განმავლობაში. საქმე შეიძლება სხვასაც გაეჩინა, მაგრამ ნათლია-კი უსიკვდილოდ ილია უნდა ყოფილიყო. ამრიგად ის იყო ცენტრი, ყოველის საქმისა, ყოველის ფიქრისა. ყოველის მოქმედებისა, რომელსაც-კი საქვეყნო და საეროვნო ელფერი ედო.

ილია ჭავჭავაძე ჩვენში ცნობილია, როგორც პოეტი და როგორც პუბლიცისტი უმთავრესად. ძნელია თქმა იმისა, რომლის მნიშვნელობა უფრო დიდია ერის ზრდაში. პროგრესში: პოეტისა თუ პუბლიცისტისა. იქნება პირველის სახელი დიდხანს დარჩეს შთამომავლობაში, მაგრამ მეორის მნიშვნელობა რომ აღემატება „დღიურის ვარამის" ბრძოლასთან, --ეს ცხადია. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რატომაც ილია ჭავჭავაძემ, გვაშმა დიდის პოეტურის ნიჭიერებისამ, ვერ მოისვენა, ვიწროობა იგრძნო პოეზიის კალაპოტში. პოეზიას მან შესაფერი ხარკი მისცა, მაგრამ სრულებით არ დაემონავა. ვერ შეეთვისა იმას, რასაც ჰქვიან „მსახურება წმინდა ხელოვნებისა" და პირველ წლებშივე თავისის პოეტურ მოღვაწეობისა გაანაცხადა: (აქ ავტორის მიერ მოტანილია მთლიანად ილიას ცნობილი ლექსი „პოეტი" ი. ბ.]

ჩვენ ეს ლექსი აქ იმიტომ-კი არ ამოვწერეთ თავიდგან ბოლომდის, რომ იგი მიგვაჩნდეს „მარგალიტად" ყველა მისს ლექსებში. პირიქით იგი, როგორც პოეტური ნაწარმოები, სუსტიც გვგონია. საქმე ის არის, რომ ეს პაწია ლექსი არის სრული პროგრამა ილია ჭავჭავაძის ღვაწლისა და მოქმედებისა. თუ რომ შესაძლებელია დიდებულის მოღვაწის ორმოცის წლის საქმე გამოიხატოს სავსებით ერთს პაწია ლექსში, ამაზედ უკეთესს ძვირად იპოვით ჩვენს ლიტერატურაში. მითხარით, როდის იყო, რომ ი. ჭავჭავაძე ორმოცი წლის განმავლობაში არ უძღვოდა „წინ თვისს ერს?" მითხარით, როდის ძღეროდა ი. ჭავჭავაძე „ვით ფრინველი გარეგანი?" მითხარით, როდის არ იყო ილია ჭავჭავაძე „მოძმე თვისის ერისა ჰმუნვასა და სიხარულში?" მითხარით, როდის არ ედაგოდა გული „მისის უბედობით?" მითხარით, როდის არ შეადგენდა მისს უწმინდესს გულს წადილს „მოწმენდა ტანჯვის ცრემლისა" თვისს ერისათვის?

წინ-დახედული და გონება-გამჭრიახი მკითხველი, უეჭველია, მკითხავს, — და ძალიან სამართლიანად, -- რით და რა გზით ემსახურებოდა ჭავჭავაძე თავის ერსაო. ხშირია, რომ ერთის კაცის ღვაწლს და ნამოქმედარს მეორე ჰშლის და აჭარწყლებს; ორივეს-კი თავიანთი თავი საზოგადოებისა, ერისა და მისის პროგრესის მსახურად მიაჩნია. ჭეყანა

უყვარდათ სლავიანოფილებსაც, „ზაპადნიკებსაც", ლიბერალებსაც, კონსერვატორებსაც და სხვადასხვა. ხოლო ერთი მოძღვრება მეორეს-კი ისე უხდება და უერიგდება, როგორც ცეცხლი ნავთს.

მკითხველი სამართლიანად მოელის ჩვენგან, განვუზიაროთ ჩვენი შეხედულება მასზედ თუ „რომელს ღმერთს" ემსახურებოდა და ემსახურება თ. ილია ჭავჭავაძე. სამშობლოს სამსახური ბევრნაირია, და რომელ გზას ადგა ილია.

შეძლებისა და ჩვენის გაგებისა და-გვარად ამ საგანსაც უნდა შევეცადოთ. კიდევაც რომ შევცდეთ ამ საგანში, არ ვინანებთ. მაშინ ჩვენ მივსცებთ საბუთს, რომ ვისაც ეს საგანი უკეთ გაეგება, კეთილ ინებოს თავისის აზრების საქვეყნოდ აღიარება და ჩვენი და იქნება, მრავალის სხვისაც განათლება.

დავიწყოთ იქიდან, რომ, რაგვარის მიმართულებისაც უნდა იყოს თ. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, იგი არ შეცვლილა ამ ორმოცის წლის განმავლობაში. სახელმძღვანელო მისი დედა-აზრები დღეს იგივეა არიან, რაც ამ ორმოცის წლის წინათ. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას დიდ-ბუნებოვანების აღსანიშნავად. ის იმიტომ-კი არა სდგას იმავე მიმართულებაზედ, რომ ჯიუტობს, ანუ არ იცის, რაფერ იცვალნენ ფილოსოფიური აზრები ამ უკანასკნელ დროში; არა, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ სტუდენტობის დროსვე შედგენილი თავისი პროგრამმა მოღვაწეობისა დღემდის მიაჩნია ერთად-ერთ სწორე გზად პროგრესისა. მისს მახვილს და დიდად განათლებულს გონებას არ ეუცხოვებაო-რა დღეს ევროპის ახალს თუ ძველს აზრებში, გარნა, ვიმეორებთ, ყრ ჰღალატობს თვისს ბაირაღს. ვინაიდგან დარწმუნებულია, რომ სამართლიან გზაზედ სდგას.

ილია ჭავჭავაძე იყო რუსეთში მესამოცე წლებში, იმ დროს, როდესაც რუსეთის ახალგაზრდობა მაშარივითა სდუღდა. ტიპი მაშინდელის სტუდენტებისა ყველას უნდა ახსოვდეს: ლურჯი ხალათი, გრძელი, დიაკვნური თმა. ბევრი ჩვენი ახალგაზრდათაგანიც გაჰყვა დენას იმ დროინდელ აზრისა და ცხოვრებისას. არ გაჰყვა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე. ის ფიქრობდა, რომ ცხოვრება ფიროჭხი არის, რომ აიღო და დაჰლეწო. საუკეთესო იდეალები ამ მიმართულებისა, რასაკვირველია, მიიღო და თანაუგრძნობდა. მხოლოდ პრაქტიკული გზა იდეალების მისაღწევად ილიას სხვანაირად ჰქონდა შეგნებული. „ზომიერი ლიბერალიზმი". — აი ორი სიტყვით მისი მიმართულება ორმოცის წლის განმავლობაში. განხორციელება სამშობლოში ამ მიმართულებისა შესდგებოდა ასეთის ნაწილებიდგან: ა) დაცვა ეროვნებისა, ეთნოგრაფიულის თვით-არსებობისა, ბ) სრული და ერთეული ქვეშევრდომობა სრულიად რუსსიის დიდის იმპერატორისა, გ) განათლებისა და სწავლის გავრცელება სამშობლოში და დ) შემოღება ჩვენშიც იმ

პროგრესიულ რეფორმებისა, რომლებიც ებოძა შიდა რუსეთის გუბერნიებს. ამაზედ იქით ფიქრი უნაყოფო ოცნებობად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს. ჩვენი მოღვაწე იმთავითვე დაადგა იმ ჭეშმარიტს გზას, რომელსაც თვით ევროპის მეცნიერებამ ამ ბოლოს დროს მიაგნო: პროგრესს ქმნის ევოლიუცია და არა რევოლიუციაო, — აი უკანასკნელი დასკვნა ევროპის საფილოსოფიო აზრისა.

ილია ჭავჭავაძე ვერ გაიტაცა „ახალ მოდის“ მოძღვრებამ. ის მტკიცედ ადგია ერთხელ არჩეულს გზას. მისს ნაწერებში, არც დაბეჭდილებში და არც ხელნაწერებში, ვერ ნახავთ ძებნას იაფის პოპულიარობისას ხალხის და ახალგაზრდობის თვალში. მისმა მუზამ არ იცის ლექსი, თუ პროზა ასეთს თემებზედ: „ხმალი“, „თოფი“, „ხანჯალი“ და სხვ. იარაღად ბრძოლისა მას მიაჩნია სიტყვა: ხოლო ეს სიტყვა მისი ხშირად უფრო მწვავეა და მახვილი, ვიდრე ხანჯალი და მწარე, ვიდრე შხამი.

ასეთს შეუდრეკელს ხასიათს მისის რწმენისას, მისის მისწრაფებისას დიდი აღმზრდელი ზეგავლენა ჰქონდა ქართველობაზედ, მეტადრე ახალგაზრდობაზედ. ახალგაზრდობას თვალწინ ედგა სურათი დიდებულის მოღვაწისა, რომელიც ეუბნებოდა მათს გონებას: ისა სჯობია, რომ კაცმა ისწავლოს. შეიარაღდეს მეცნიერებით და დაუბრუნდეს ერს. მისს აღმზრდელს; აქ სამშობლოში, სამკალი დიდია და მომკლები კი ეოთობ ცოტა.

1846 წელს ოგიუსტ კონტმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ფილოსოფოსი მიჰმართავდა მთელს ევროპას ასეთის სიტყვებით: „ჯერ უნდა გადაკეთდეს. გადახალისდეს რწმენა და ზნე ხალხისა; ამას თავისთავად მოჰყვება გადაკეთება და შეცვლა ცხოვრებისა“ ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს მოვალეობაც საზოგადო მოღვაწისა: გავრცელება ერში ცოდნისა და სწავლისა, დათესვა ხალხში კეთილშობილურ გრძნობებისა. პატიოსნურ და ჭეშმარიტ შეხედულობისა. გავრცელება ხალხში ძმობისა. ერთობისა და სიყვარულის იდეებისა.

ყოველსავე ამას პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე დიდის ძლევა-მოსილობით ემსახურება საქართველოში ორმოცის წლის განმავლობაში.

ორმოცის წლის განმავლობაში არ იყო წამი, როდესაც ილია ჭავჭავაძეს სრულის საბუთიანობით და სამართლიანობით არ შესძლებოდა ეთქვა ქართველებისათვის და საქართველოსთვის გოგოლისებური სიტყვები:

„Русь! чего ты хочешь от меня? какая непостижимая связь таится между нами? что глядишь ты так, и зачем все, что ни есть в тебе обратило на меня полныя ожидания очи?“

ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-მოლექსე

Сейте разумное, доброе, вечное. Сейте!
спасибо вам скажеть сердечно русский народ
ნეკრასოვი

ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოებნი განიყოფებიან ორ ნაწილად: ლექსებად და პროზად. პროზა ფორმით და არა აგებულობით. ვინაიდან რომანი, მოთხრობა იგივე პოეზიაა.

პოეტურ ნაწარმოების განხილვის დროს პირველი საკითხი. რომელიც თავის თავად იბადება. არის: რამდენად მართლა „პოეტურია" იგი ნაწარმოები? ცხადია და ძველის-ძველი ჭეშმარიტებაა, რომ პოეზიის მთავარი თვისება ლექსთა განწყობა არ არის. ძალიან კარგის ლექსებით შეიძლება დაიწეროს პროზა. აგრეთვე ულექსოდ არიან დაწერილები უმშვენიერესნი პოეტურნი თხზულებანი. ერთს დროს არითმეტიკას ლექსად სწერდნენ, რომ მოწაფეს ადვილად გაეზეპირებინა არითმეტიკული წესები და კანონები. რასაკვირველია. ეს პოეზიის ნაყოფი არ იყო. რაც გინდ ჰარმონიული და კოხტა ლექსთ-წყობა გამოსულიყო.

პოეზია — იგივე ფილოსოფიაა. მხოლოდ გამოთქმული სურათებით და ხატებით. თვით ჭავჭავაძემ ასე განმარტა 1861 წელს პოეზია: იგი არისო იდეა, გამოთქმული ხატში ანუ სურათში. მაშასადამე პირველი მოთხოვნილება პოეზიისა არის მისი სურათ-ხატობა ანუ художественность, картиность. ეს დაღეჭილი და ძველის-ძველი ამბავი ჩვენში ბევრს კარგად არ ესმის. ამ გაუგებრობაზედ არის აშენებული ის მსჯელობა, რომელიც ხშირად გაუგონია ქართველის ყურს ჩვენებურ კრიტიკოსებისაგან: ილიას ლექსი მძიმეა. ნაკეთებია. ძნელად იკითხებაო და სხვა. ცხადია, რომ ამის მთქმელი აქცევს ყურადღებას გარეგნობას, ფორმას, რომელსაც პოეზიაში სულ მდაბალი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს, რუსთაველის ლექსებიც ახლა ცოტა არ იყოს მძიმედ იკითხება; ვითომ მიტომ მათში პოეზიამ იკლო? ყველაზედ ადვილად იკითხება·

ყანწით ესვამ ღვინოს
თქვენს სადღეგრძელოს,
და გაუმარჯოს
ჩვენს საქართველოს!

ანუ:

ეო, მეო,
ძმაო დემეტრეო!
წმინდა ნინოს კარები
როგორ გააღეო?
ხელი შევყავ ვაჩხარუნე,
ისე გავტეხეო... და სხვ.

ამიტომ ეს ლექსი თვალი და მარგალიტია პოეზიისა? აკი მოგახსენეთ, პოეზიის საწყაო სურათ-ხატობაა ნაწარმოებისა. ამიტომაც პოეზია უმე-

ტესად გულს ელაპარაკება, სწორედ ისე, როგორც ფილოსოფია ელაპარაკება უმეტესად გონებას კაცისას.

ახლა ვიკითხოთ, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი რამდენად არიან პოეტურნი, ე. ი. რამდენად არიან იგინი სურათ-ხატიანნი?

ეს საკითხი, ჩემო ბატონებო, ძალიან გასაგებიც არის ყველასათვის და ძალიან გუნდრეკანი და მიუხედომელიც. ადვილია იმიტომ, რომ ყოველი ქართველისათვის საეჭვო ამ საკითხში არა არის-რა. მას არა ერთხელ გადაუკითხავს ილია ჭავჭავაძის პოეტური თხზულებანი და არა ერთხელ დამტკბარა მათი. საბუთი ხელთ უპყრია დ საგანიც ცხადი ჰგონია. ძნელია პასუხი მაშინ, როდესაც დანით ყელში მოგადგებიან და მოგთხოვენ განმარტებას, თუ რად და რისთვის მიგაჩნიათ ეს თუ ის ნაწარმოები პოეტურად. მეორე შემთხვევაში თვენგან თხოულობენ საბუთად არა პირად ნაგრძნობ შთაბეჭდილებას, არამედ თეორიას პოეზიისას, მისს კანონებს და მას, თუ ამა თუ იმ თხზულებაში რამდენად არიან დაცულნი უკვდავნი კანონნი სიმშვენიერისა. მოკლედ რომ ვსთქვათ, თქვენა გთხოვენ ესტეტიკურს კრიტიკას.

ესტეტიკური კრიტიკა ორნაირია: მეტაფიზიკური და მეცნიერული. ჩვენში თუ ვინმეს რამე დაუწერია ესტეტიკაზედ, ის უეჭველად, ყოფილა თვალებ-ახვეული მიმდევარი მეტაფიზიკურის მოძღვრებისა, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ძველმა ფილოსოფოსმა არისტოტელმა. თავისს „პოეტიკაში“ არისტოტელმა შეადგინა რეცეპტი, ანუ კანონები ხელოვნურის ნაწარმოებისა. რა-კი რეცეპტი იპოვეს, ადვილი გახდა ესტეტიკური კრიტიკა. აიღებდნენ ახალს ხელოვნურ ნაწარმოებს და შეადარებდნენ არისტოტელის „კანონებს“: თუ მიუდგებოდა,—აღიარებდნენ, რომ ახალი ნაწარმოები პოეტურია, ხელოვნურია, თუ არა და შეაჩვენებდნენ. საზოგადოება რომ აღტაცებაში მოსულიყო ახალის თხზულებით, მისი გაელენა, როგორც პოეტურის შრომისა, ყველასთვის და ყველგან რომ უეჭველ ყოფილიყო, მაინც მეტაფიზიკნი — ესტეტიკოსები გაიძახოდნენ: მასში არ არიან დაცულნი კანონები „მშვენიერებისა“, მაშასადამე... და სხვა.

ასეთს შეხედულობას ესტეტიკურ კრიტიკაზედ ბოლოს სხვებმაც კვერი დაუკრეს და მეტაფიზიკური ესტეტიკა გამეფდა. გამოსჭრეს ერთხელ და სამუდამოდ აღლი, ზომა პოეზიისა და მითი ზომავდნენ და აფასებდნენ ყოველ ახალ ნაწარმოებს. ყოველივე ესე თითქოს ძალიანაც ჰკვას ახლო იყო. მართლაც და რა მოსაფიქრია, რომ „მშვენიერებას“ თავისი კანონები არა ჰქონდეს? და თუ აქვს, აგერ იგინი გამოიკვლიეს ფილოსოფოსებმა, დიდმა პოეტებმა, ჩამოასხეს ყალიბი პოეზიის და ხელოვნების საზომად და ჰზომავენ კიდევაც „ნაფიცი კრიტიკოსები“ ამ ყალიბით. ერთმა ჩვენებურმა ჯენტლემენმა კრიტიკოსმა ამას წინათ სთქვა, მაგალითებრ რომ №-ის პიესას Коллизия აკლიაო. ეს Коллизия-ს კანონი დიდმა არისტოტელმა გამოიკვლია და აბა, მაშასადამე, რა სათქმელია

იგი ნაწარმოები, რომელიც არისტოტელის რეცეპტს არ უდგება და ის წყეული Коллизия აკლია. მეტაფიზიკურ ესტეტიკის ამყოლი, მოგახსენებთ, სხვას აღარას დაგიდევთ. ზეგავლენა საზოგადოებაზედ პიესისა, გრძნობანი აღძრულნი მის მიერ, ესე ყოველი სისულელეა: საქმე Коллизия-ა, ასე სთქვა არისტოტელმაო.

დიდი ავტორიტეტები არიან არისტოტელიც და სხვებიც, მაგრამ სალი ჭკუა ვერ შეურიგდა მათ მოძღვრებას. ამიტომაც არც ერთი ჭეშმარიტი და ნიჭიერი კრიტიკოსი არ წაჰყოფდა ხოლმე თავს მეტაფიზიკურ ესტეტიკაში და ცდილობდნენ მალე გამოსულიყვნენ წმინდა ჰაერზედ. თავისუფლად ამოესუნთქათ. განთავისუფლებულთ ესტეტიკურ კრიტიკის ქსელიდგან. გაიხსენეთ ამის საბუთად დობროლუბოვი, ბელინსკი უკანასკნელ პერიოდში, ნ. ნიკოლაძე ჩვენში.

წინადგრძნობა ნიჭიერ- კრიტიკოსებისა ასრულდა და მეტაფიზიკურს ესტეტიკას კისერი მოსტეხა პოზიტივურმა, ანუ მეცნიერულმა ესტეტიკამ.

უმთავრესი აზრი მეტაფიზიკურ ესტეტიკისა არის: ხელოვნებითი ნაწარმოები თავის-თავად უნდა იყოს სრული და მშვენიერი, მიუხედავად იმისა, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს იგი მკითხველებზედაც ანუ მაყურებლებზედ, ვინაიდგან იგი შთაბეჭდილება შეიძლება იყოს შემთხვევითი და გამოწვეული სხვა გარეშე მიზეზებისაგან. მეცნიერულმა ესტეტიკამ სულ სხვა მხრიდგან შეჰხედა საგანს; იგი ამბობს: ხელოვნებით ნაწარმოებში ძნელია წარმოსადგენადაც-კი გარეშე მკითხველისა ანუ მსმენელისა. ადამიანი და მისი შთაბეჭდილება, — აი ადლი ხელოვნების დასაფასებლად. მოსწონს ხალხს ხელოვნებითი ნაწარმოები, აღტაცებაშია მისგან, — ეს უტყუარი ნიშანია ნაწარმოების „სიმშვენიერისა" ესთეტიკის მხრით. ისიც რასაკვირველია, სათქმელია, რომ მთელი ხალხის აზრის შეკრება ძნელია. ამიტომ საკმარისია მივმართოთ ერთს კაცს, მხოლოდ კაცს ნორმალურს, არა-ავადმყოფს, არა სულელს, არა გენიოსს, არამედ საშუალო ყალიბის კაცს და გავსინჯოთ მაზედ ზეგავლენა ხელოვნურის ნაწარმოებისა. ცდამ და დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ ასეთს კაცებზედ ხელოვნური ნაწარმოები ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს. მაშასადამე გრძნობა და შთაბეჭდილება ასეთის საშუალო ყალიბის კაცისა არის უტყუარი და ჭეშმარიტი საზომი ესტეტიკურ კრიტიკისა. აქ მხოლოდ ისღა უნდა დაემატოს, რომ იგი საშუალო კაცი უნდა იყვეს შვილი თავის დროისა, შეეფერებოდეს განათლებას თავის დროისას.

ამ საზომით და ადლით გავშინჯოთ თ. ილია ჭავჭავაძის პოეტურნი ნაწარმოებნი და ვსთქვათ, რამდენად არიან იგინი სურათ-ხატოვანნი, „მშვენიერნი" ესტეტიკურად.

ჭავჭავაძემ თავის ლიტერატურულ მოღვაწეობის პირველი ხანა უმთავრესად პოეზიას შესწირა. სახელი და დიდება ჩვენში ჭავჭავაძემ პოეზიით მოიხვეჭა. მაშასადამე, უმრავლესობა „საშუალო კაცებისა“ აღტაცებული იყო მისის ლექსებითა და მოთხრობებით... და მაშასადამე იგი—მოთხრობები არიან უმაღლესად პოეტურნი. მშვენიერნი. თუნდა რომ ზოგან коллизия არ იყოს.

იტყვიან ხოლმე, ჭავჭავაძის ლექსი პოეზიით-კი არ შოქმედობს ხალხზედ, არამედ მაღალის აზრებით და შინაარსითაო. ამის მთქმელს, მკითხველო, ნუ შეგეშინდება და პირდაპირ უთხარი, რომ მას არაფერი არ გაეგება პოეზიაში.

ლექსი, მოთხრობა, რომანი, რომელიც აშენებულია ტენდენციაზედ, სწავლა-მოძღვრებაზედ, თუ გინდ მთელის ქვეყნის ფილოსოფია იყოს შიგ მოთავსებული და პოეზიას კი მოკლებულია, არა ღირს არც გროშად. როგორც ხელოვნების ნაწარმოები. იგი ვერ გაიკვლევს მის დღეში გზას ადამიანის გულისკენ, ვერ გაათბობს, ვერ აათრთოლებს. ეს პოეზიის ბედია და არა ბრძნული აზრებისა.

მითხარით, რა ემართება „საშუალო ქართველის“ გულს, როდესაც იგი კითხულობს „დიმიტრი თავდადებულს“, „ელეგიას“, „განდეგილს“, „აჩრდილს“ იგი გული ხან იტანჯება, ხან ხარობს, ხან იცინის, ხან სტირის, იგი გული ბუდეში ვეღარ დგება, ვეღარ მოთავსებულა. იგი იწვევს გარეთ სამოქმედოდ „სრკეთისა“ და „სიმშვენიერის“ სახელით... და აი უტყუარი ატტესტატიც უტყუარის და მაღალის პოეზიისა. დიახ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, უდიდესი მხატვარია (Художникъ) და მან და მხოლოდ მან მოუპოვა მას ჩვენში სახელი დიდის პოეტისა.

დიახ, დროა შერცხვეს მას, ვინც ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსები „ნაკეთებია“, „ძალათ დაწერილია“-ო. ნაძალადევი ნაძალადევადვე დარჩება და პოეტის სახელს ვერავის მოუხვეჭს. მაგალითები მრავალია. ცხონებული ივ. კერესელიძე „აკეთებდა“ ლექსებს, ხშირად ძალიან დიდ აზრებსაც ჩასდებდა ხოლმე მათში. „მამულო საყვარელო“. „ძმობა-ერთობა“. „მოძმის შველა“, „გაჭირვებულის ხსნა“ და სხვა ამისთანა თემები უცხონი არ იყვნენ მისის მუზისა. ლექსებსაც კარგად გააწყობდა ხოლმე, ძალიან მსუბუქად ადვილადაც სწერდა. მაგრამ... ჩაიცდა იგი საფლავს და ჩაჰყვა თან თავისი პოეზიაც. ილ. ჭავჭავაძის პოეზია „пройдетъ вековъ завистливую даль“ და ეს ხვედრია მხოლოდ დიდებულის პოეტისა.

კიდევ ვიტყვით: მსუბუქად წერა, დიდი აზრები, სამშობლოს წინ პრანჭვა-გრეხა ვერ აქცევენ პოეზიას პოეზიად. ავიღოთ თუნდა ნიმუშად ერთის ჩვენის ეითომ-პოეტის მსუბუქი და აზრიანი ლექსი:

მიყვარს სამშობლო,
მიყვარს მამული.

ამ უნიკობია წაკითხვაზედ განა ზიზღის მეტს ავტორისადმი სხვას რასმეს იგრძნობთ. განა არ იტყვით: აფსუს წმინდა სიტყვებო: „სამშობლო“, „მამული“, „შველა“, რა უწმინდურის ხელში ჩავარდნილხართო. ეს იმიტომ ხდება. რომ პოეზიასა და ამ ლექსს შორის იმოდენა მანძილია, რაგორც დედამიწიდამ მზემდე.

პოეზია ისეთი მადლია, რომ იგი აოც დაიმალება. სადაც იგი ჭეშმარიტად გახლავს და არც გამოჩნდება სადაც იგი არ არის. მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის კაცი. რომელიც პოეტი არ აღფილიყოს და პოეტის სახელი კი მოეხვეჭოს.

შეიძლება მკითხველმა მკითხოს: ეს ყველა კარგია, რასაც მბობთ. მაგრამ აჰ რა მოსატანიაო? ვინ არა ვართ დარწმუნებული, რომ ილია ჭავჭავაძე უპირველესად დიდებული პოეტიაო. საბუთიანი საყვედურია. ყველა ჰგრძნობს ამას, მეც თქვენს შორის. ხოლოდ გრძნობა ერთი საქმეა და დასაბუთება ამ გრძნობისა—მეორე. მე ვეცადე დამესაბუთებინა ის, რასაც, რასაკვირველია, თქვენც და მეც დიდი ხანია ვგრძნობთ. ჰთავარი აზრი ჩვენის წერილისა თავიდამ ბოლომდე მხოლოდ ეს არის: მიეცეთ ანგარიში ჩვენს თავს მასში, თუ რად მიგვაჩნია ილია ჭავჭავაძე დიდებულ კაცად.

პოეზიის ერთს დარგში—მოლექსეობაში ილია ჭავჭავაძეს წინაც გვყვანდნენ ნიჭიერი მწერალნი, მასთანაც გამოვიდნენ საასპარეზოდ და შემდეგშიაც გაჩნდნენ. მკითხველი მიხვედრილია, რომ ჩვენ სახეში გვყვანან ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძე ამ პოეტებთან ერთად შეადგენს უუძვირფასეს თაიგულს პოეზიისას; ქართველობა მათში ვერც ერთს ვერ გამოარჩევს, ყველანი მისთვის ერთნაირად ძვირფასნი და საყვარელნი არიან. აქ უხდება ძალიან ჩინებული და ქართული ანდაზა: რომელი თითიც უნდა მოვიკრა, ერთნაირად მეტკინებაო. პოეტური ნიჭი ამათთვის უხვად მიუცია გამჩენს, ხოლო განსხვავდებიან იგინი თავიანთი მუზების ფიზიონომიით. გრიგოლ ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე, მაგალითებრ, უფრო ჩაითვლებიან ცხახურებად „წმინდა ხელოვნებისა“ „დღიური ვარამი“ და სამოქალაქო მოტივები ნაკლებად იქცევენ მათს ყურადღებას. ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი პოეტია, მხოლოდ ერთ-მხრივობა ეტყობა. მისი მუზა სტირის, კვნესის, მხიარული მოტივი არ იცის მან. ილია ჭავჭავაძის მუზა ისე ღრმად ვერ ჩაფრინდება კაცის გულში, როგორც ბარათაშვილისა; ნაცვლად ამისა განიერ გზას გაიტანს. ერთი თუ სიღრმით დაჰკრავს, მეორე სიგანით, ფრთა-გაშლილობით—ნ. ბარათაშვილის მუზა დაგწვავთ, ჯვარს გაცმევთ და დაგტოვებთ ისე. ილია ჭავჭავაძის მუზას ხან თუ პესიმიზმი შეიპყრობს, ხან ოპტიმიზმიც ესტუმრება ხოლმე. თემების სიმრავლით და მრავალ-ფეროვნებით ილია ჭავჭავაძე მაღლა დგას ბარა-

თაშვილზედ, მხოლოდ ძისს ლექსს არ ძალუძს ღრმად ჩასელა კაცის ვულ-
ში, როგორც პირველისას.

ძუზა აკაკი წერეთლისა იბრძვის ერის კეთილდღეობისთვის, იბრძვი ი.
როგორც მსედარი, შეიარაღებული ნამდვილის იარაღით, თოფ-ხმალით:
მუზა ჭავჭავაძისა იარაღად ხმარობს ჰუმანიზმს, სიყვარულს. საქართვე
ლოს წარსულში აკაკის მუზა ეძებს ჩვენს გამარჯვებას. გმირობას. თოფ-
იარაღით, ვაჟკაცობით („თორნიკე ერისთავი"). ილიას მუზა შლის. ატრი-
ალებს ჩვენს მატიანეს და ჰპოვებს ისეთს მაგალითებს გმირობისას. სადაც
ხმალს პირველობა სულისთვის გადაუცია. დიმიტრი თავდადებულის
გმირია, როგორც თორნიკე ერისთავი. მხოლოდ ერთია გმირი სულისა, მე-
ორე ხორცისა. ერთის წინაშე მუხლს ვიდრეკთ იმიტომ, რომ მან გვაჩვენა
მაგალითი სულის ვაჟკაცობისა, მეორემ გულისა და მკლავისა. ილიას მუ-
ზას სძაგს იარაღი, სისხლის ღვრა, შფოთი. მისი საგანია: ჰუმანიზმი, თავ-
დადება. თავის შეწირვა მოყვასისადმი, სიყვარული განსპეტაკება ადამი-
ანისა სულიერად. აი იდეალი ჭავჭავაძის მუზისა:

ჩვენ უნდა ვსდგიოთ ეხლა სხვა კარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

რა გზით და რა საშუალებით? ამის პასუხსაც იძლევა:

აქ არის დედავ შენი მაღალი
დანიშნულება და წმინდა ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტეს მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.—
რომ სიკეთისთვის კული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
დედავ! ისშინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება
უკან ჰრჩეს ყველი განათლებული.

ილიას მუზა ცდილობს ყველგან ჰარმონია და სიყვარული შეიტანოს
ერთა შორის, წოდებათა შორის. იგი ყველგან და ყოველთვის უპირველე-
სად ეძებს „კაცს", რომელსაც არ ეუკადრისების „ადამიანის" სახელის
ტარება. კაცური კაცობა, ადამიანობა უპირველესად,—აი იმისი იდეალი.

მაშვრალნი და ჩაგრულნი ილ. ჭავჭავაძის მუზაში ჰპოებდენ დიდე-
ბულს ქომაგს. არ არის მდგომარეობა, არ არის გარემოება, სადაც ჭავჭ-
ავაძის მუზამ ადამიანში „კაცი" არა ჰპოვოს, ღვთაებრივი მხარე ადამი-
ანობისა.

იგი პოეტია ჩაგრულთა და მაშვრალთა სიმართლისათვის. სამშობლო
ის ცენტრალური ადგილია, რომლის გარშემო ტრიალებს მისი მუზა,

„მამულს საყვარელს“ შეუძლიან თამამად სთქვას, რომ ილია ჭავჭავაძე ორმოცი წლის განმავლობაში სდგას მისის ინტერესების დარაჯად პოეზიისა და პუბლიცისტიკის იარაღით ხელში. მისის ინტერესებისათვის ძმა ხშირად ვანუწირავს მეგობრობა, ამხანაგობა, პირადი მოსვენება. არ არის მისთვის საგანი უმაღლესი გარეშე სამშობლოსი.

ილია ჭავჭავაძე. როგორც ბელეტრისტი

Если бы мне предложили назвать
Самый приятный подарок, какой
XIX векъ оставитъ нашему далекому
потомству, я назвалъ бы „Романъ“.
Меньшиковъ

ბელეტრისტიკა იმ სახისა და შინაარსისა, როგორიც დღეს ცნობილია განათლებულს ევროპაში, ჭავჭავაძემდის ჩვენში ჯერ არ იყო. ჩვენი ლიტერატორებიც უფრო მოლექსეობდნენ. ბელეტრისტიკული მასალა „ცისკრისა“ სულ ნათარგმნი იყო. არდაზიანი და რჩეულოვი იყვნენ პირველი ავტორები, რომელთაც ორიგინალური მოთხრობები დასწერეს; გარნა ესენი უფრო ჩაითვლებიან წინამორბედ ნიშნებად, რომ ორიგინალი და ძძლავრი ბელეტრისტული ნიჭი უნდა გაჩენილიყო ჩვენშიაც, ვიდრე დამაარსებლად ჩვენში რომანისა. ჰეშმარიტ დამაარსებლად რომელისამე მიმართულებისა ლიტერატურაში ის ითვლება, რომელიც დიდის ენერგიით გაიტანს ახალს კვალს და შეჰქმნის ისეთს ნაწარმოებს, რომელიც ავტორზედ ბევრად დიდხანს იცოცხლებს. რჩეულოვისა და არდაზიანის ახელები მკრთალია ერთობ ჭავჭავაძის სახელთან და მათი მოთხრობებიც ერთის გარდა („მეჯლანუაშვილი“) დავიწყებას მიეცნენ. „კაცია ადამიანზედ“. „გლახის ნაამბობზედ“. „ოთარაანთ ქვრივზედ“ ეს, რასაკვირველია, არ ითქმის. იგინი დღესაც იმ წარმტაცის ინტერესით იკითხებიან, როგორც ახლად დაწერილები. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ის დრო, შორს მომავალშიაც. როდესაც ეს მოთხრობები დაძველდებიან და ინტერესს დაჰკარგავენ. ეხლა კი უნდა ითქვას, რომ ორმოცის წლის მანძილზედ ქართულმა ლიტერატურამ მათზე უკეთესი არა იცის-რა.

ილია ჭავჭავაძე ჩვენში უნდა ჩაითვალოს მამად ბელეტრისტიკისა ჩვენის სკოლისა, როგორც გოგოლი ითვლებოდა მამად რუსულ მოთხრობისა. ილია ჭავჭავაძემ პირველმა გაუკეთა ჩვენში სახელი და მისცა მნიშვნელობა პრობას, პირველმა დაუმტკიცა ქართველობას, რომ პოეზია და ხელოვნება მარტო ლექსით არ ლაპარაკობს. ჭავჭავაძის მოთხრობებით ქართულმა მწერლობამ მარტო კარგი მოთხრობები კი არ შეიძინა; არა, მათი მნიშვნელობა ბევრით ამაზედ ზევით ძიდის: ჩვენმა ლიტერატურამ შეიძინა მათში „ქართული“ მოთხრობა, ორიგინალი, ნაყოფი ქართულის ფიქრისა. ქართველების ცხოვრებიდან ამოღებული.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტი, ავიდა ხელოვნების იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც იდგნენ პირველი მისი მასწავლებლები. გოგოლი. ტურგენევი, ნეკრასოვი, პუშკინი, ლერმონტოვი. არც ერთს ამათგანს ჭავჭავაძემ არ მიჰბაძა და თვალებ-ახვეული არ გაჰყვა, მაგრამ ყოველის მათგანის კარგი კი მიიღო და განახორციელა ქართულ ნიადაგზედ. იუმორი მისის ნაწერებისა, რომელიც მკითხველს ცალი თვალით ატირებს და მეორეთი აცინებს, მოგაგონებენ ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლს. ჰუმანიზმი და სოციალურნი მისწრაფებანი მისის ნაწერებისა გაგახსენებენ დაუვიწყარს ნეკრასოვს. ის ალერსი და სიყვარული, რომლითაც ეპყრობა ჭავჭავაძე ყოველ თავის გმირს, პოეტური გარემოცულობა გმირისა, გაგონებენ ტურგენევს. ილია ჭავჭავაძე—ბელეტრისტი მომხიბლავია მკითხველისა: ავიწყებს მას თავისს თავს, გაიტაცებს მისს ფიქრს, გონებას იმ სფეროში, იმ ცხოვრებაში, რომელსაც ის ჰხატავს. ჰხედავთ ამ ცხოვრებაში რაღაც მშობლიურს, ახლო ნახულს. წაჰკითხავთ მისს მოთხრობას და იგრძნობთ, რომ ავტორმა თქვენ რაღაც ახალი სიტყვა გითხრათ, რაღაც ახალი გრძნობა გაგიღვიძათ. ეს გრძნობა არის სიბრალული ჩაგრულისადმი, ზიზღი მჩაგვრელისადმი, სურვილი ცხოვრების გაუმჯობესებისა და მაშვრალთ შველისა და დახმარებისა. სწორედ აქ არის მნიშვნელობაც პოეზიისა, სწორედ ეს გრძნობანიც შეადგენენ თამასუქს პოეტის დიდის ნიჭიერებისას და მისის ნაწარმოების მხატვრობისას.

ცოცხალ კაცს ცხოვრებაში მტერი არ გამოელევა. და თუ იგი კაცი დიდ-ბუნებოვანია, დიდის გავლენისა და საქმისა, მაშინ მტრებიც მრავლობენ და მრავლობს მეტადრე სიმძაფრე მათის ღვარძლისა და კბილთა კრაჭუნისა. მხოლოდ უმნიშვნელო, უპიროვნო კაცია ყველასთან კარგ განწყობილებაში და ყველას მეგობრად ითვლება. მტრობას კიდევ „მტრობა“ იმიტომ ჰქვიან, რომ იგი მოკლებულია მადლს სიმართლისას, მიუდგომელ მსჯავრს. მტრობა არ მოერიდება თვისთა ღვარძლიან გულის ნადებთა მისაღწევად „თეთრი“ აღიაროს „შავად“, „ღამე“—„დღეთ“, „ნათელი“—„სიბნელედ“.

ორმოცის წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძეს ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ მისდგომია კარს მსჯავრი „შურისა“, მტრობისა. ბევრი ცილი დაუწამებიათ მისთვის... მხოლოდ ერთი რამ ვერ უარჰყო თვით გაფთრებულმა და გაშმაგებულმა ბოროტებამაც: არ ვის მათში არ მოუტრიალდა ენა ეთქვა, ილია ჭავჭავაძე დიდი პოეტი და დიდი ბელეტრისტი არ არისო.

მაპატიეთ და ერთს ამის ნიმუშს მოგახსენებთ. ჩვენ წინ დევს ამ ჟამად პაწია ბროშურა: კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ დაწერილი ბ. დავით სოსლანის მიერ. დავით სოსლანი სწერს ილია ჭავჭავაძეზედ, მიხვედრილი ხართ, რასაკვირველია, უკვე. თუ რა ტონით და განზრახვით იქნება დაწერილი ეს კრიტიკა. მაგრამ მიუხედავად წინათ

განზრახვისა და „ეროგვარის სურვილისა". ავტორი დავით სოსლანი იძულებულია... ძალიან არ უნდა და არც ეპიტნავება, მაგრამ იძულებულია, ვამბობთ. შემდეგის სიტყვებით მოიხსენიოს ჭავჭავაძის ნიჭიერება:

„ბედნიერია ის ერი, რომელსაც ილია ჭავჭავაძისთანა ზეგარდმო ნიჭით შიმადლებული მწერალი ჰყავს და არანაკლებ ბედნიერია ის მწერალიც, ვისთვისაც ბუნებითს ნიჭს და გარეგან მდგომარეობას სრულის თანხმობით ხელი შეუწყვიათ და გზა წაუმართავთ.

ბ. ილია ჭავჭავაძე ითვლება ქართველთ საზოგადოების „სულის კვეთების" გამომხატველად, მის მესაიდუმლედ და ქებად ყველა საზოგადო საქმეში. ამისთანა კაცის სიტყვა იმერული აბაზი არ გახლავთ საზოგადოებისათვის. მისი სიტყვა უკანასკნელია და წყრულის გულის მალამოა საზოგადოებისათვის.

ჰეშმარიტი დიდ-ბუნებოვანი ადამიანიც ამაზედ მეტს სასწაულს ვეღარ მოახდენს, მხოლოდ დიდ ნიჭიერებას, მხოლოდ უდიდესს ტალანტს ძალუძს მოხაროს თვით მტერი, მოდრიკოს მისი მწარე ენა და ქებათა-ქება შეასხმევინოს თვისის ნიჭიერებისათვის.

მომავალი ისტორიკოსი ჩვენის ლიტერატურისა აღნიშნავს ჭავჭავაძის მოღვაწეობაში ერთს დიდს ღირსებასაც. ეს არის მისი სამსახური ქართული ენისადმი. მან განასპეტაკა და გაწმინდა ქართული ენა ერთის მხრივ ძველის სხოლასტიკურ მწერლობის „უბრჯგუებისაგან" და მეორეს მხრივ იმ სიტყვებისა და კილოსაგან, რომელიც შემოეტანათ ქართულში უვიც ლიტერატორებს. ილია ჭავჭავაძემდის „ცისკრის" მწერლები ხმარობდნენ ასეთ სიტყვებს, როგორც „ოსტროვი", „ლინია", ვითარცა ნამდვილ ქართულს. მისთა თხზულებათა განხილვა ამ მხრივ გვიჩვენებს, რომ ილიამ დიდი შრომა დადო ენის შესწავლაში. მისს პირველ ნაწერებს შიგ და შიგ ეტყობა უსწორ-მასწორობა და არა ქართული კილო. ეს მის დროინდელმა კრიტიკამ აღნიშნა და ჭავჭავაძემაც ზოგიერთი მისი შენიშვნები საბუთიანად სცნო. ყოველ ახალ მისს თხზულებაში ენა იცვლებოდა და უკეთესდებოდა. ასე იზრდებოდა და მატულობდა სიმართლე, სისპეტაკე და სიქართულე მისის ენისა. ბოლოს იგი ავიდა „ოთარაანთ ქვრივში" იმ სიმაღლემდე, სადამდინაც რუსთველის შემდეგ იგი (ენა) აღარ ასულა. „ოთარაანთ ქვრივი" უდიდესი კლასიკური თხზულებაა, ენის მხრივ. ხშირად გაისმის ჩივილი და სამდურავი, რომ ქართული ენის სიღარიბის გამო ძნელია სამეცნიერო და საფილოსოფიო წერილების წერა ქართულადაო. ილია ჭავჭავაძემ დაამტკიცა სიცრუე ამ აზრისა. არ არის იდეა, აზრი, რომლის გამოსათქმელადაც ქართულში სიტყვა და სურათი ანუ ხატი არ ეპოვოს. გადაჭარბებულს არას ვიტყვით. რო აღვიაროთ, რომ ილია ჭავჭავაძემ შექმნა ახალი ქართული ენა, სწორედ ისე, როგორც დიდმა პუშკინმა შექმნა ახალი რუსული ენა.

დავასრულებთ ამ „თავს" იმით, რომ ერთხელ კიდევ ვიტყვით: ილია ჭავჭავაძე იყო და არის უპირველესყოვლისა დიდებული მამული

შვილი. როგორც პოეტი ის ადვილად გახდებოდა მსახურად და ქურუმად „წმინდის ხელოვნებისა“ ამ გზით არ იფიქროთ, რომ სახელის მოხვეჭა შეუძლებელი იყოს. უდიდეს შექსპირს და გეტეს ბევრი სთვლის დღესაც „მხატვრებად მხატვრობისათვის“, პოეტებად— ხელოვნებისათვის, მაგრამ ამ სფეროში ილია ჭავჭავაძე ვიწროობას ჰგრძნობდა. სამშობლოს მდგომარეობა მოითხოვდა „შეიარაღებულს მეომარს“ და არა პომლერალს ანუ მგალობელს, რაგინდ ციური ჰანგები ემღერა მას.

ჭავჭავაძეს შეეძლო გამხდარიყო მსახური „წმინდის მეცნიერებისა“ და გზითაც დიდი სახელი მოეხვეჭა, თუ კი მას სახელისთვის მზოლოდ სწაღებოდა მოღვაწეობა. მაგალითებიც თვალწინ გვაქვს. დიდია სახელი დღეს ჩვენის თანამემამულის თ. თარხნიშვილისა პეტერბურგში. ყოველი ქართველი მისს გახსენებაზედ უნებლიედ რაღაც საამაყეს იგრძნობს... მაგრამ... ამით დასრულდება ყოველი მოლოდინი.

ჩვენ კი გვჭიროდა აქამდის და გვჭირია დღესაც წინამძღვარი ეროვნულ წარმატებისა, ეროვნულ პროგრესისა.

ეს საქმე ითხოვს მოღვაწისაგან დიდს ნიჭიერებას, მრავალფეროვან განათლებას, დიდს გრძნობას, დიდს სიმტკიცეს ხასიათისას, დიდს ზნეობრივ სისპეტაკეს და უზაკველობას, დიდს სიყვარულს მოძმისადმი, ქართველისადმი, განურჩევლად წოდებისა და ჩამომავლობისა... და ეს ყოველივე ქართველობამ ჰპოვა იმ კაცში, რომლის იუბილეისაც მალე იდღესასწაულებს. აქ ძალა-უნებურად გვახსენდება ნეკრასოვის ლექსი

Природа мать
Какдашъ такихъ людей
Ты не посылала миру,
Заглохлабъ нива жизни!

ორმოცი წელიწადია. რაც ი. ჭავჭავაძე ჰპატრონობს. პყარაულობს, ქართველობის ინტერესებს, მისს აწმყოს და წარსულს. ამ ხნის განმავლობაში ჭავჭავაძეს ჩვენ ვხედავთ ხან პოეტად-მოლექსედ. ხან ბელეტრისტად, ხან ისტორიკოსად, ხან ფინანსისტად. მისი ნაწერები დროისა და ჟამის ვითარებით იყო გამოწვეული. მოიგონეთ რანაირად ზურგზედ ბოლი აადინა ვიღაც „ნარ-დონს“, რომელმაც ინება ჩვენის წარსულის უკადრისად ხსენება.

მოიგონეთ. რამდენი პირადი მტერი გაიჩინა ამ ხასიათის მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძემ, მაგრამ...

„მტერი რა მტერი“, ოდეს იგი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის სამსახური ამას მოითხოვს მისგან.

„დიდებული მოქალაქე თავის ქვეყნისა XIX საუკუნეში“.—აი ჩვენი ფიქრით შესაფერი და საესებით აღმნიშვნელი სიტყვები ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა. დანარჩენს ყოველივეს თვით იგივე სიტყვები შეიცავენ...

საშუბილეო ბროშიურა

(მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავარის წიგნაკის გამო:)
(თ. ილ. ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი)[1]

მესამოცე წლების „მოღვაწეებზე“ ლაპარაკმა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში და საზოგადოებაში ღამის გადაგვიტანოს. საითაც გაიხედავთ, ყველგან გესმით, რომ მესამოცე წლების „მოღვაწენი“ და მწერლები ყოველი მხრით უნაკლო არსებანი იყვნენ, რომ მათ არ კლებიათ არავითარი ღირსება, რომელიც კი ადამიანს ამაღლებს: უდიდესი ნიჭი, მაღალი და საფუძვლიანი განათლება, თავდადებული და ყოვლად უანგარო სამსახური მაღალი საკაცობრიო დანიშნულებისადმი, შეუდრეკლობა და უშიშროება ყოველგვარი დაბრკოლების წინაშე, მაგარი, მტკიცე ხასიათი. შესანიშნავი ძალა გულის წადილის შესრულებაში და ბრავალი სხვა.—ყოველივე ამით უხვათ იყვნენ ისინი დაჯილდოვებულნი. გესმით ეს. კითხულობთ ამ მაღალ ფარდოვან სიტყვებს და თანაც გულში ფიქრობთ, რომ ამის მოლაპარაკეს ან დამწერს მარტოთ მარტო ერთი პირი ჰყავს მხედველობაში, ე. ი. თავადი ილია ჭავჭავაძე. თქვენ სრულიად ამაოთ მოითხოვთ ამის დასამტკიცებელ საბუთს ან ფაქტს.—ამას დამტკიცება არ ეპირვება, ამას ყველა ქართველი ასე უნდა გრძნობდესო. გიპასუხებენ თქვენ. თუ თქვენ თქვენი მაინც არ მოიშალეთ, იმ შემთხვევაში გიყს დაგიძახებენ, რომელთანაც არ ღირს ლაპარაკი. სხვას რომ თავი დავანებოთ. ბ-ნ გ. მაიაშვილი. ერთხელ დიდ თავგამოდებით ცდილობდა ჩვენში ასეთი კერპთთაყვანისმცემლობის განმტკიცებას[1], დღეს კი ამავე როლს ბ-ნი კიტა აბაშიძე ასრულებს[2]. როცა მესამოცე წლების მწერლებზე დაიწყებენ ისინი მსჯელობას, მაშინ ამათ თვალში არც ისტორიულ ფაქტს აქვს ფასი და არც ლიტერატურულ დოკუმენტს: ყოველივე ეს ერთი პირის გალმერთების მსხვერპლი უნდა გახდეს. ბ-ნი მაიაშვილი, მაგ. კითხულობს: „ვინ ამოიღო ხმა მაშინ (მესამოცე წლებში) დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოდ... ან ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ დათრგვნილი სახელი ადამიანისა? ვინ მიიტანა იერიში თავადაზნაურობის და მისი უფლება უპირატესობის წინააღმდეგ? წარმოიდგინეთ. რომ იმავ თავად-აზნაურობამაო — თამამად გაიძახის

---

1 იხ. „ივერია“ 1889 წ., სტ.: „ძველი და ახალი თაობა“, №№ 222, 223, და სხ.

2 იხ. „მოამბე“, 1897 წ., სტ.: „ჩვენი ახალგაზრდობა“.

აეტორი და დარწმუნებული ხართ, რომ როცა ამას ამბობთ, მართლა ილია ჭავჭავაძე ჰყავს მხედველობაში და სხვა არავინ. მაგრამ თავის მოსაზრების დასამტკიცებლად ავტორი არც ერთ ისტორიულ ფაქტს არ აჩვენებს, არც ერთ ლიტერატურულ დოკუმენტს არ ასახელებს და განა კი არსებობენ ასეთი ფაქტები? საუბედუროდ, ასეთი კითხვა ოდნავაც არ აფიქრებს ავტორს, თორემ ცოტაოდნად რომ ამაზე დაფიქრებული-ყო ავტორი და რამდენიმედ მაინც გაეცნო ის ხანა, რომელზედაც ლაპარაკობს, გაეცნო მაშინდელი თავად-აზნაურობა en maess, გაეცნო აგრეთვე ჩვენი ღარიბი მწერლობა, იმას როდი იტყოდა, რომ თავად-აზნაურობის უფლება უპირატესობის წინააღმდეგ ისევ თავად-აზნაურობამ მიიტანა იერიშით. ბ-ნ მაიაშვილს რომ შეესწავლა ჩვენი მწერლობის ისტორია ამ საუკუნის ორმოცდაათი წლებიდან დაწყებული მაინც, იმას უცოდინებოდა, რომ ის ვინც პირველად ამოიღო ხმა დაჩაგრული გლეხკაცობის სასარგებლოდ ან ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ გათელილი პიროვნება ადამიანისა, ვინც პირველად განაცხადა ჩვენში პროტესტი იმ შემაძრწუნებელი წესწყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონყმობა ერქვა, იყო დანიელ ჭონქაძე, სოფლის უბრალო ღვდლის შვილი, ჩამომავლობით დუშეთელი გლეხი[1]. ეს გარემოება არავისთვის საჭირო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართული მწერლობის მამინაცვლებმა ჭონქაძის—„სურამის ციხე“, რომელშიაც აღწერილია შემაძრწუნებელი ამბები ბატონყმობის ცხოვრებიდან, მიაფუჩეჩეს და მის ავტორზედაც სრულიად ხმა გაკმინდეს. ჩვენ არა გვგონია, რომ სხვაგან ისე უცოდნელად, როგორც ჩვენში, შეიძლებოდეს წერა. რასაკვირველია, მარტო უცოდნელობას არ მიეწერება ის გარემოება, რომ ჩვენ მწერლობაში ჭონქაძის სახელი არ დავიწყებულა, ამ მცირე შენიშვნით ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ პატარა წიგნაკზე, რომელიც აგერ-ახლა დაიბეჭდა და რომელშიაც გამოსარკვევი საგნის სრული უცოდინარობა და გაუგებრობაა.

მოგახსენებთ, რომ ამ ერთი წლის წინათ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ერთი დაუსრულებელი სჯა-ბაასი ატყდა იმის გამო, თუ როგორ უნდა ედღესასწაულათ თ-დი ილ. ჭავჭავაძის ორმოცი წლის მოღვაწეობის შესრულება. რა „დიდი ზეიმით და ამბით“ ემზადებოდნენ ამ დღესასწაულისათვის „ინტელიგენტები“ ეს ჩვენ არ გვჯერა. სხვათა შორის წარმოთქმული იყო ის აზრი, რომ კარგი იქნება იუბილარის შესახებ ვირმე ბროშიურას გამოსცემდესო. მაგრამ ვის უნდა ეკისრა თავის თავზე ასეთი შრომა? რასაკვირველია, იმავე წერეს, რომელმაც ამის შესახებ აღ-

---

[1] დ. ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხე“ ერთი მოქმედი პირი ასე ლაპარაკობს: „იმათ (ბატონთ) ჰგონიათ, რომ ჩვენ (ე. ი. ყმები) კაცნი არ ვიყვნენით, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არ გვჭირდეს გული, არ გვჭირდეს სჯა—(„სურ. ციხე“, გვ. 36—7).

ძრა ლაპარაკი და რომელიც თვით ილ. ჭავჭავაძეს ასეევია გარშემო. რა ვუყოთ, რომ ეს წრე ყველაზე ნაკლებად არის მოწოდებული, რომ ვისმე მოღვაწეობა არა მარტო ილ. ჭავჭავაძის, პირუთვნელად და ღირსეულად დააფასოს.... ასე მოიტანა გარემოებამ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს წრე ორ ნაწილად იყოფა: ერთს უფრო მცირე ნაწილს შეადგენენ. ჭავჭავაძისებრ მხცოვანნი „მოღვაწენი"; თითოეულ იმათგანს საქართველოს „ბურჯად" მოაქვს თავი და ასეთ სანეტარო ოცნებაში ჰკლავს დროს; ამასთანავე თითოეული იმათგანი თავის მეგობრის ბურჯობაზე იმდენად წუხს, რამდენად მე და შენ, მკითხველო, ჩინეთის სახელმწიფოზე. ცხადია, რომ არც ერთი იმათგანი, ილ. ჭავჭავაძეზე ბროშურის შედგენას არ მოჰკიდებდა ხელს. მეორე ნაწილი, ანუ წვრილფეხა, მჩხავანა, „ინტელიგენცია". შედგება ამ მოღვაწეთა ბრმა თაყვანისმცემლებისაგან, რომლებიც იმათ სახელზე ლოცულობენ და იმათ ნათქვამს იმეორებენ. უნდა უყუროთ იმათ მაშინ, როცა ვინმე რომელიმე „ბურჯის" მოქმედებას აქვს თვალით შეხედავს: რაღა ბევრი გაგაგრძელოთ, ილ. ჭავჭავაძის დაფასება ამ ხანათ ვისმეს ამათგანს უნდა რგებოდა წილად და კიდეც ხშირად მოსდა.

ამ ორი თვის წინეთ თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში შემდეგ განცხადებას: „იბეჭდება და მალე გამოვა „თ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი „მეგახლავარისა". სწორედ მოგახსენოთ, ეს განცხადება იმნაირი ხასიათისა იყო, რომ ძალაუნებურად იწვევდა საზოგადოების ყურადღებას. რასაკვირველია, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ილ. ჭავჭავაძეს ის დიდება და სახელი აღარ აქვს დღეს ჩვენ საზოგადოებაში, როგორც წინეთ, მაგრამ უმეტესობა მას მაინც პატივსა სცემა და საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მისი ბიოგრაფიის გაცნობა და მის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა ყველა ქართველი მკითხველისთვის საინტერესოა.

როგორც იყო წიგნაკი გამოვიდა და კიდევაც გადავიკითხეთ. როგორც ჩანს, ავტორის მიზანი ყოფილა „ანგარიშის მიცემა იმაში, თუ რით დაიმსახურა ილია ჭავჭავაძემ ერის სიყვარული და თაყვანისცემა (!) რომ გახდა ის პირველ ქართველად" (წინასიტყ.), მაგრამ მისი ბროშურის გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ავტორს სრულებით ასეთი მიზანი არ ჰქონებია მხედველობაში. ავტორის ნამდვილი მიზანი მხოლოდ ის ყოფილა, რომ ქება-დიდება შეესხა თ. ილ. ჭავჭავაძისათვის. ბ-ნი მეგახლავარის წიგნაკი თავიდან ბოლომდე მეტს არას წარმოადგენს: ილია ჭავჭავაძე „იშვიათი ნიჭიერი და დიდბუნებოვანი ადამიანია", „ის ცენტრია ყოველი საქმისა, ყოველი ფიქრისა, ყოველი მოქმედებისა", „ის ყოველთვის მიუძღოდა წინ თავის ერს", „ის არის უდიდესი მხატვარი". ის არის „ჩვენში მამა ბელეტრისტიკისა, რეალური სკოლისა", ის არის ჩვენი „გოგოლი, ჩვენი პუშკინი, ჩვენი ტურგენევი, ჩვენი ნეკრასოვი. ჩვენი ლერმონტოვი". ის არის „უპირველეს ყოვლისა დიდებული მა-

ჭულის შვილი. დიდებული მოქალაქე თავის ქვეყნისა", ის არის „წინააღღვარი ეროვნული პროგრესისა", ის არის „მტკიცე ხასიათის და დიდი ხნეობრივი სისპეტაკის მქონე. უზაკველი" და რა ვიცი კიდევ რა. ყველაფერი ეს კარგი, სიმართლით და სისწორით არის ნათქვამი; თუ გვსმენიათ „ყველა ქართველს" სწამს ეს, მაგრამ ჩვენ ავტორმა შეგვიყვანა ეჭვში. ბ-ნმა მეგახლავარმა თავის ქებათა ქებაში ორი ისეთი გარემოება ვიოიხსენია, რომლებიც, ავტორის სურვილის წინააღმდეგ, ერთი მხრით, ამდაბლებენ თვით ილ. ჭავჭავაძეს და მეორე მხრით, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც დიდად ამცირებენ, რასაკვირველია, თუ ბროშურის ავტორს დავუჯერებთ.

პირველი გარემოება: მეგახლავარ ცდილობს იმის განმარტებას, თუ რა მიმართულებას ემსახურებოდა ილ. ჭავჭავაძე „ორმოცი წლის მანძილზე" და გადმოგვცემს, რომ ამ ხნის განმავლობაში „არ შეცვლილა მისი მიმართულებაო, ვინაიდგან დარწმუნებულია, რომ სამართლიან გზას ადგასო" (გვ. 27). ავტორის თქმით, ის „ჭეშმარიტი გზა", რომელსაც „ჩვენი მოღვაწე იმ თაეითვე დაადგა და რომელსაც თვით ევროპის მეცნიერებამ ამ ბოლო დროს მიაგნო", მდგომარეობს იმაში, რომ პროგრესს ჰქმნის ევოლუცია და არა რევოლუციაო (გვ. 28). საბრალო ევროპა! მან ტყუილა უბრალოთ გამოიარა იმოდენა რევოლუციები, იმოდენა ვაი-ვაგლახი და ჭაპან-წყვეტა! ის ჭეშმარიტება, რომელსაც მან მხოლოდ ამ ბოლო დროს მიაგნო, ჩვენში ილია ჭავჭავაძეს ურევოლუციოთ და უდავიდარაბოთ სტუდენტობის დროს აღმოუჩენია! აბა მოდი და ჰხე შემდეგ ნუ იტყვი: „გვაქვს საბუთი სიამაყისა!"

მეორე გარემოება. ბ-ნი მეგახლავარ, მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის გამოსვლის ამბავს სალიტერატურო ასპარეზზე. გაკვირვებს: „ილია ჭავჭავაძე პირველ დღიდანვე გამეფდა ქართულ მწერლობაში... იგი დიქტატორული ძალ-ღონით ბრძანებლობს ჩვენს ლიტერატურაში იმ თავიდანვე დღემდის ორმოცი წლის მანძილზეო" (გვ. 23. ხაზ გასმული სიტყვები ამ წერილში ყოველგან ჩვენ გვეკუთვნის). უნდა გამოვტყდეთ, რომ გამეფება და დიქტატორული ბრძანებლობა მწერლობაში, ვერაფერ სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. პირიქით, სასარგებლო და ნაყოფიერ გავლენას მწერალი თუ მოღვაწე მხოლოდ მაშინ ახდენს საზოგადოებაზე, როცა ასეთ ბრძანებლობას, ერთისა თუ რამდენისამე პირისას, თანდათან ასუსტებს და სამუდამოთ სპობს. ერთი კაცის გაბატონება მწერლობაში, მის დიქტატორული ბრძანებლობის ქვეშ ქედის მოხრა და დამორჩილება, ნიშნავს საზოგადოებრივი განვითარების შეჩერებას, გაყინვას და საზოგადოებრივი ცხოვნების ჩაქრობას. ნუთუ ამას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე „ორმოცი წლის მანძილზე"? „დიქტატორულ ბრძანებლობასა" შეიძლება სარგებლობის მოტანა შეეძლოს სხვა ადგილას, ხოლო მწერლობაში იგი ყოველთვის და ყოველგან მავნებელი იქნება. თვით ლიტერატურის პრინ-

ცხვი. მისი დედააზრი, პირდაპირ ეწინააღმდეგება ასეთ ბრძანებლობას, ამიტომ თუ ილია ჭავჭავაძეს თავისი მოღვაწეობა სასარგებლოდ მიაჩნია საზოგადოებისათვის, მან საქვეყნოთ უნდა უარყოს ის ცილი, რომელსაც მას ბ-ნი მეგახლავარი სწამობს, თორემ ჩვენ ეკვში შევალთ: ვინ იცის. შეიძლება. ეს მართლა ასე იყოს და იმ შემთხვევაში თვით ბ-ნი მეგახლავარი მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ილ. ჭავჭავაძის დიქტატორული ბრძანებლობის მონაბერი იქნება!

წიგნის სიპატარავე სრულებით არ უშლის იმ გარემოებას, რომ ბ-ნ მეგახლავარის ბროშურა შეუწყნარებელი შეცდომებით არის გავსებული. დავასახელოთ რამდენიმე იმათგანი: შეათე გვერდზე ავტორი მოგვითხრობს, რომ 1857 წელს, როცა ილ. ჭავჭავაძემ პირველი ლექსი დაბეჭდა, ქართული ჟურნალი „ცისკარი" გამოდიოდა გიორგი ერისთავის რედაქტორობითო. მაგრამ ჩვენ ვიცით (და განა ბ-ნ მეგახლავარის გარდა ვინ არ იცის დღეს?) რომ გიორგი ერისთავი მხოლოდ ორი წლის განმავლობაში იყო „ცისკრის" რედაქტორად ე. ი. 1852 წლებში. და შემდეგ სრულიად დაანება თავი რედაქტორობას, რის გამო თვით „ცისკარის" გამოცემაც შეწყდა. 1857 წლიდან შედგა სრულიად ახალი წრე ქართული ჟურნალის გამოსაცემათ და „ცისკარი" ისევ განახლდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით. ამ წრეს ასულდგმულებდნენ ლავ. არდაზიანი, ალექსანდრე სვანელი და მიხეილ თუმანიშვილი. არც ერთ ამათგანს ბ-ნი მეგახლავარ არ ახსახელებს თავის სიაში, სადაც მას ჩამოთვლილი ჰყავს სრულიად შემთხვევით თანამშრომლები მაშინდელი „ცისკრისა" (გვ. 10 შენიშვნა). იმას, ვინც „ისტორიული კრიტიკის" ცოდნას ჩემულობს (გვ. 6) და მაღალ სფეროებში ფართი-ფურთობს. ასეთი უბრალო რამეების უცოდნელობა არ მიეტევება, არ მიეტევება მით უფრო, რომ იმ ხანებში ჩვენ ერთი მჭლე ჟურნალის მეტი არა გაგვაჩნდა რა

ლიტერატურული და ისტორიული შეცდომაა აგრეთვე ავტორის შემდეგი მსჯელობა: „ილია ჭავჭავაძე ჩვენში უნდა ჩაითვალოს მამათ ბელეტრისტიკის რეალურის სკოლისა... ილია ჭავჭავაძემ პირველმა გაუკეთა ჩვენში ისახელი და მისცა მნიშვნელობა პროზას" (გვ. 40). რასაკვირველია, თუ მთელი ერის ლიტერატურაში თქვენ მხოლოთ ერთი მწერლის სახელი იცით, მაშინ შეგიძლიათ ყოველივე მას მიაწეროთ. მხოლოთ ამ შემთხვევაში შეიძლება იმის თქმა, რასაც ბ-ნი მეგახლავარ ზევით მოყვანილ სიტყვებში ამბობს ილ. ჭავჭავაძეზე. და მართლაც ვინ მისცა პირველად ჩვენ ახალ მწერლობაში მნიშვნელობა პროზას, ე. ი. ნამდვილი საერო, ხალხური კილოს, და ვინ უარჰყო სამუდამოდ ძველი მწიგნობრული. საეკლესიო ენა? ასეთები იყვნენ პირველად გიორგი ერისთავი და მეორედ ზურაბ ანტონოვი თავიანთ კომედიებში, რომლებიც დღემდის საუკეთესო პიესებად

ითვლებიან მთელს ჩვენს ლიტერატურაში[1]. ვინ უნდა ჩაითვალოს ჩვენში მაჩათ ბელეტრისტიკის რეალური მიმართულებით? ისტორიულმა კრიტიკამ ასეთი ალაგი უნდა დაუთმოს ლავრ. არდაზიანს, „მეჯღანუაშვილის“ ავტორს. ახლა ვიკითხოთ: ვინ შეძინა ქართულ მწერლობას მოთხრობა ქართულ ნიადაგზე აგებული, „ქართველების ცხოვრებიდან აღებული?“ დანიელ ჭონქაძემ თავის—„სურამის ცხე.“თამამად შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ უმთავრესი იმათგანი, როგორც. მაგალითად „გლახის ნაამბობი“, უცხო ნიადაგიდან არიან გადმოღებულნი, და ამიტომ იმათში ნამდვილი ცხოვრება ძლიერ მკრთალად იხატება.

ამ მოკლე შენიშვნაში შეუძლებელია ბ-ნ მეგახლაურის ყველა შეცდომების აღნუსხვა, ამიტომ ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ავტორის წმინდა ბავშვურ მსჯელობაზე ესტეტიური კრიტიკის შესახებ, რომლის „უტყუარი და ჭეშმარიტი საზომი,“ თურმე ნუ იტყვით, „საშუალო ყალიბის კაცის გრძნობა და შთაბეჭდილებაა“ (გვ. 34) და არც იმაზე, რომ ვითომც „პიეზიაში ფორმას, გარეგნობას, სულ მდაბალი, უკანასკნელი ადგილი უჭირავსო“ (გვ. 30). ვერ გაგვიგია აგრეთვე, თუ რისთვის აუცსია ავტორს თავის წიგნაკი სულ უადგილო და გაუგებარი ფრაზებით და ლექსებით უცხო ენაზე, რომლებიც სრულებით არაფერს არ ეკერებიან, „Ни к селу, ни к городу“-ო რომ იტყვიან.

დროა ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და ჭართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინათ. სად არინ მაშინდელი ამბების მცოდნე პირები? დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მათგანი კიდევ ცოცხალია და გადმოცემის ნიჭიც აქვთ. მაშ რას უყურებენ? ხომ ხედავენ, რომ მეგახლაურები ათასგვარ უვიცობასა და ჭორს თესენ და აერცელებენ საზოგადოებაში! საკვირველია ჩვენი საქმე! ჩვენ ისეთ უბედურ ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი, რომ ჩვენი წარსული ვითარების შესწავლა და გაგება სრულიად არ გვეხალისება და გვეინტერესება. ამისთანა გულგრილი ხალხი გაგონილა? არ შეგვიძლია აქ არ მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები. წარმოთქმული ერთი ჩვენი პუბლიცისტის მიერ ამ 23 წლის წინათ, რომლებითაც ის უსაყვედურებდა თანამედროვე საზოგადოებას ამავე გულგრილობას: „გასაკვირველად და სასირცხოთ როგორ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ჩვენ თითქმის სრულიად არა ვიცოდეთ რა ისეთ შესანიშნავ მოვლენაზე ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ამ 40—50 წლის წინათ ყოფილა[2]. თუ ამ დროინდელი ჩვენი ლიტერატურული მოძრაობა ასე უცნობელი და შეუნიშნავი რჩება ჩვენთვის, თუ იმის

[1] გიორგი ერისთავის შესახებ ეს პირველად პლატონ იოსელიანმა აღნიშნა.

[2] ავტორს, რასაკვირველია ამ საუკუნის მეოცდაათე წლები აქვს მხედველობაში. მარა ეს სულ ერთია.

გაკეთაც გვიჭირს და არ გვეხალისება რა მოუქმედნიათ ჩვენს მამებს, მაშ ჩვენი წინაპრების, წინა საუკუნოების ჩვენი ცხოვრება. როგორ ძნელი შესატყობი და უინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის... ყველაზე უფრო გვაკვირვებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ თვით იმ დროს ცხოვრებაზედაც, რომელსაც თითქმის ჩვენ თვალწინ გაიარა, არა ვიცით რა, და ისინი კი, ვისაც ეს წარსული ახსოვს თითქო რაღაც საიდუმლოების ფარდას აფარებენ მას[1]. ამ სიტყვებსაც იგივე ბედი ეწვია, რაც ხმას მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

ს. ანაგა
(სიღნაღის მაზრა)
9 ივლისს

ბ-ნი მეგახლავარ უკანასკნელ გვერდზე უცხადებს მკითხველებს, რომ „აი პირველ წერილს საზოგადო ხასიათი ჰქონდაო," ხოლო „მეორე წერილს" ვუძღვნი ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ლიტერატურულ კრიტიკასო" ოინებიც სწორეთ ასეთი უნდა! თუ ამ „პირველმა წერილმა" არ დაგაკმაყოფილოთ, მოიცადეთ, ჩქარა მეორე წერილსაც გამოვცემთ! მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ „მეორე წერილს" არ დავუწყეთ ლოდინი „მეორე," რომ „პირველის" სიტყვა-სიტყვით განმეორება იქნება, უფრო გაზვიადებული, რასაკვირველია, ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

---

[1] სიტყვები სერგეი მესხისა. იხ. გაზ. „დროება", 1875 წ., 50.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ალ. ცაგარელი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში", დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1870 წ. №№ 2, 3, 4, 6 და 7. წერილში ავტორი ეხება ილ. ჭავჭავაძის, ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, გ. ერისთავის, მ. გურიელის და გრ. რჩეულიშვილის შემოქმედებას. ჩვენ ვბეჭდავთ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ეხება.

2. ნიკ. ყიფიანი—„ბიბლიოგრაფია—„კრებული" პირველი და მეორე წიგნი". დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1871 წ. № 8 დ ი მ ი ტ რ ი ძ ე ს ხელმოწერით. წერილში მიმოხილულია ჟურნალ „კრებულის" პირველი და მეორე ნომერი. ვბეჭდავთ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეხება ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს".

3. ს. წკ. — „ბიბლიოგრაფია „კრებული" მეხუთე წიგნი", წარმოადგენს რეცენზიას „კრებულის" მეხუთე ნომერზე. წერილი დაიბეჭდა „დროებაში" 1871 წ. № 39. ვაქვეყნებთ წერილის იმ ნაწილს, რომელიც ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს" ეხება.

4. ანტონ ფურცელაძე—„საწყალი კუდაბზიკა"—დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში" 1872 წ. №№ 10, 11, 12. იგი ძირითადად მიმართულია ნ. ნიკოლაძის წერილის „ჩვენი მწერლობა"-ს წინააღმდეგ. 1872 წლის ჟურნალ „მნათობის" მე-9, მე-6 ნომრებში ა. ფურცელაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ათი მტერს და ერთი მოყვარეს", რომლითაც ავტორი ეკამათებოდა გაზ. „დროების" სხვადასხვა საკითხებზე. ა. ფურცელაძის ამ წერილს 1872 წლის „კრებულის" № 10, 11, 12-ში გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე წერილით: „ჩვენი მწერლობა". წერილში ნ. ნიკოლაძემ, სხვათა შორის, იმ გარემოებაზედაც მიუთითა, რომ ა. ფურცელაძე არ იყო თანმიმდევრული ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებაში და ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა. ა. ფურცელაძემ უპასუხოდ არ დასტოვა ნ. ნიკოლაძის სტატია და გამოეკამათა „მნათობის" ფურცლებიდან წერილით „საწყალი კუდაბზიკა". წერილს ვბეჭდავთ შემოკლებული სახით.

5. ნ. ნიკოლაძე — „ჩვენი მწერლობა" „გლახის ნაამბობზე" ნ. სკანდელის ხელმოწერით დაიბეჭდა ჟურნ. „კრებულში" 1873 წ. № 5—6. ვბეჭდავთ სრული სახით.

6. გ. თუმანიშვილი — „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება" დაიბეჭდა 1878 წ. „ალმანახი" წიგნი I. ვბეჭდავთ შემოკლებით.

7. გ. თუმანიშვილი — „ახლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება". დაიბეჭდა 1879 წ. „ალმანახი" წიგნი II. ვბეჭდავთ წერილის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება ილ. ჭავჭავაძეს.

8. ალ. სარაჯიშვილი — „მწერლობა, „ივერია" № 1, იანვარი 1879 წ." წარმოადგენს 1879 წლის „ივერიის" პირველი ნომრის მიმოხილვას. სტატია დაიბეჭდა „დროებაში" 1879 წ. № 31, „ა"-ს ხელმოწერით.

9. გრ. ვოლსკი — „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული" უმწიფარიძის ხელმოწერით დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1879 წ. № 53. წერილს ვაქვეყნებთ სრული სახით.

10. ალ. სარაჯიშვილი — „მწერლობა „ივერია“ № 2. თებერვალი 187[illegible] წ.“ დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1879 წ. № 67. წერილში მიმოხილულია „ივერიის“ 1879 წლის ძირე ნომერი. ვაქცევნებთ წერილის ძხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს ეხება.

11. სტ. ჭრელაშვილი—„დამტვრეული ოცნებანი“ დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ 1882 წ. № 2. ვაქცევნებთ შემოკლებით.

12. ი. მეუნარგია — „განდეგილი“ პოემა ი. ჭავჭავაძისა“ დაიბეჭდა გაზ. „ქვეყანაში“ 1883 წ. № 53. ილ. ჭავჭავაძე ამ სტატიას, როგორც „განდეგილის“ ერთ-ერთ პირველ რეცენზიას, საყურადღებო მოვლენად თვლიდა და თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1903 წ. დაწერია, პოეტს მიუთითებია ი. მეუნარგიას ამ კრიტიკულ სტატიაზე (იხ. „Вестник Грузии“, 1907 წ. № 1). ი. მეუნარგიას ამ სტატიაზე მიგვითითა მწერალმა სოლ. ცაიშვილმა.

13. დავით სოსლანი — „საკვირაო მასლაათი“ დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1883 წ. № 60. წერილს ვბეჭდავთ შეჩოკლებული სახით.

14. ე. მჭედლიძე (ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი) — „ილია ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი“ დაიბეჭდა 1883 წ. გაზ. „შრომაში“ № 18. წერილს ვბეჭდავთ სრული სახით.

15. ა. ლეისტი—„ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ“. დაიბეჭდა გაზ. „ცნობებში“ 1883 წ. № 264.

16. ა. ლეისტი—„ქართული ლიტერატურა“ გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1884 წ. № 5—6. ვბეჭდავთ შემოკლებული სახით.

17. ნ. ჩხეიძე (ა ლ ი ს ე ბ ნ ე ლ ი)—„ჩვენს ლიტერატურაზე“ დაიბეჭდა ჟურნ. „თეატრში 1885 წ. №№ 2, 3, 9. 14, 15, 16. ვაქცევნებთ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ილ. ჭავჭავაძეს ეხება (იხ. „თეატრი“, 1885, № 15, გვ. 143).

18. შ. დავითაშვილი — „ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვრივის“ ბ. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები“ ეს პატარა ბროშურა გამოქვეყნდა 1887 წელს „მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს“ ხელმოწერით. ვბეჭდავთ მთლიანად.

19. დ. სოსლანი—„კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“. წიგნაკი გამოქვეყნდა 1888 წელს. ჩვენს მიერ დაბეჭდილ ტექსტში გამოტოვებულია მეორე თავი, რომელშიც ლაპარაკია კრიტიკის აუცილებელ საჭიროებაზე. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენილობაზე და იმ პირობებზე, რაც ხელს შეუწყობს კრიტიკის აღორძინებას. დანარჩენი მასალა უცვლელად იბეჭდება.

20. მიხ. ხელთუფლიშვილი — „რამდენიმე შენიშვნა შეხახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“, დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წ. № 58. ვბეჭდავთ სრული სახით.

21. სტ. ჭრელაშვილი — „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის გამო“—დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1888 წ. №№ 95. 107, 108, 112. 117, 122, 123. ვბეჭდავთ უმნიშვნელო შემოკლებით.

22. სტ. ჭრელაშვილი—„საბიბლიოგრაფიო წერილი“—დაიბეჭდა „ივერიაში“ 1894 წ. 10. ვბეჭდავთ შემოკლებული სახით.

23. გ. წერეთელი—„მოამბე“ თეატრი ჟურნალი № 1. წერილი დაიბეჭდა „ცქალში“ 1894 წ. № 6, გვ. 7-10 მ ა ზ ა კ ე ე ლ ი ს ხელმოწერით. წერილი წარმოადგენს „ძოამბის“ პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. ავტორი აქვე ეხება ე. ნინოშვილის „მოსე მწერალს“ და ნ. ხიკოლაძის „შინაურ ამბებს“. ვბეჭდავთ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ილ. ჭავჭავაძეს შეეხება.

24. ი-ნი ამერი—„თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“,—დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში“ 1894 წ. ვაქცევნებთ მცირე შემოკლებით.

25. კ. აბაშიძე—„თ-დი ილია ჭავჭავაძე“ და დამატება „ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი“ იბეჭდება „ეტიუდების“ პირველი ტომის მიხედვით.

26. სილ. ხუნდაძე —„მეფე დიმიტრი თავდაღებული“ თავ. ილია ჭავჭავაძის პოემა, ქართხელის შენიშვნები“, დაიბეჭდა „კვალში“ 1894 წ. № 18 და 19. ებეჭდავთ სრული სახით.

27. სილ. ხუნდაძე—„თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები (ტ. I, 1892 წ.) დაიბეჭდა „კვალში“ 1894 წ. №№ 20, 29, 30. ებეჭდავთ სრული სახით.

28. ნადიკვრელი—„თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“ (წერილი ხალხისათვის), დაიბეჭდა ცალკე ბროშურად 1898 წ. ებეჭდავთ მცირე შემოკლებით.

29. ვ. ნასიძე (მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ)—„თ. ილია ჭავჭავაძე—ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.“ ეს ბროშურა დაწზადებული იყო 1898 წლის 24 მაისისათვის, როდესაც ქართველ საზოგადოებას უნდა გადაეხადა ი. ჭაჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. იუბილეს გამართვა არ მოხერხდა, მაგრამ წიგნაკი მაინც გამოიცა 1898 წელს. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში გამოტოვებულია წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და ბოლო, მეშვიდე, თავი: „გვაქვს საბუთი სიამაყისა“.

30. ფ. მახარაძე—„საიუბილეო ბროშიურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავარის წიგნის გამო)—დაიბეჭდა „კვალში“ 1898 წ. № 31. ებეჭდავთ სრული სახით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა
ი. ბოცვაძე, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში
ალ. ცაგარელი. ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში 199
ნიკ. ყიფიანი, [დიმიტრიძე] ბიბლიოგრაფია, „კრებული“ პირველი და მეორე წიგნი 219
ს. წკ. ბიბლიოგრაფია, „კრებული“ მეხუთე წიგნი 221
ა. ფურცელაძე, საწყალი კუდაბზიკა 223
ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, „გლახის ნაამბობზე“ 225
გ. თუმანიშვილი, შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება 237
გ. თუმანიშვილი, ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება 239
ალ. სარაჯიშვილი, მწერლობა, „ივერია“, № 1, იანვარი 1879 წ. 242
გრ. ვოლსკი [უმწიფარიძე], შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული“ 244
ალ. სარაჯიშვილი, მწერლობა. „ივერია“, № 2, თებერვალი 1879 წ. 249
სტ. ცრელაშვილი, დამტვრეული ოცნებანი 251
ი. მეუნარგია, „განდეგილი“—პოემა ი. ჭავჭავაძისა 254
დ. სოსლანი, საკვირაო მასლაათი 266
ე. მჭედლიძე [ბოსლეველი], ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდეგილი“ 268
ა. ლეისტი, ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ, ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი 277
ა. ლეისტი, ქართული ლიტერატურა. წერილი 282
რ. ჩხიკვაძე [ალისუბნელი] ჩვენს ლიტერატურაზე 285
შ. დავითაშვილი [მკითხველი], „ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვრივი-ს“ ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები 286
დ. სოსლანი კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ 310
მიხ. ხელთუფლიშვილი, რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაან ქვრივისა“ 319
სტ. ცრელაშვილი, მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო 329
სტ. ცარელაშვილი, საბიბლიოგრაფიო წერილი 392
გ. წერეთელი, „მოამბე“ თვიური ჟურნალი № 1 394
ი-ნი ამერი, თავადი ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე 395
კ. აბაშიძე, თ-დი ილია ჭავჭავაძე 400
კ. აბაშიძე, ილ. ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი 475
სილ. ხუნდაძე მეფე დიმიტრი თავდადებული 490
სილ. ხუნდაძე, თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები (ტ. I, 1892 წ) 499
ნადიკვრელი, თავ. ილია გრიგოლის-ძე ჭაჭავაძე 522
მ. ნასიძე [მეგახლავარ], თ. ილია ჭავჭავაძე—ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი 526
ფ. მახარაძე, საიუბილეო ბროშიურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მეგახლავრის წიგნაკის გამო) 550
შენიშვნები 557

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРНОЙ КРИТИКЕ

Составил и снабдил предисловием, вступительной статьей и примечаниями

Иосиф Луарсабович Боцвадзе

Издательство Научно-методического кабинета Министерства просвещения Грузинской ССР

***

კორექტორი მ. გოგობაძე

***

გადაეცა წარმოებას 17/VIII-57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/II-58 წ. ქაღალდის ზომა 60×92. წიგნის ანაწყობის ზომა 6,5×10,5. ტირაჟი 3.000 გამომც. შეკვ. № 69. სტამბის შეკვ. № 1839 უე02002

***

საგამ.-საალრ. ფორმათა რაოდენობა 34,16.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 35,12

- ფასი 16 მან. 15 კაპ.

***

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.